Bible Asiatic Georgian
Bible Georgian 1879
Bible. Georgian
[New Testament in Georgian]

უფლისა ჩუჱნისა

# იესო ქრისტესი

# წმიდა სახარება

მათესი, მარკოსისი, ლუკასი და იოანესი, საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი.

[Tiflis]

ტფილისს.

კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის მმართველობის სტამბაში.

1879.

# სარჩევი.


| | გვერდი |
|---|---|
| წმიდა სახარება მათესი | 1 |
| წმიდა სახარება მარკოზისი | 63 |
| წმიდა სახარება ლუკასი | 102 |
| წმიდა სახარება იოანესი | 168 |
| საქმე წმიდათა მოციქულთა | 218 |
| ეპისტოლე იაკობისი | 283 |
| პირველი ეპისტოლე პეტრესი | 290 |
| მეორე ეპისტოლე პეტრესი | 297 |
| პირველი ეპისტოლე იოანესი | 302 |
| მეორე ეპისტოლე იოანესი | 309 |
| მესამე ეპისტოლე იოანესი | 311 |
| ეპისტოლე იუდასი | 313 |
| ეპისტოლე რომაელთა მიმართ | 315 |
| პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ | 342 |
| მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ | 368 |
| ეპისტოლე გალატელთა მიმართ | 385 |
| ეპისტოლე ეფესელთა მიმართ | 394 |
| ეპისტოლე ფილიპპელთა მიმართ | 403 |
| ეპისტოლე კოლასელთა მიმართ | 410 |
| პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ | 416 |
| მეორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ | 422 |

პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ. . . . . . . . 426
მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ. . . . . . . . . 433
ეპისტოლე ტიტეს მიმართ . . . . . . . . . . 438
ეპისტოლე ფილიმონის მიმართ. . . . . . . . . 441
ეპისტოლე ებრაელთა მიმართ. . . . . . . . . . 443
გამოცხადება იოანე ღმრთის-მეტყუჱლისა. . . . . . 462

# სახარება მათესი.

## თავი 1.

1. წიგნი შობისა იესო ქრი-
სტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრა-
ამისი.

2. აბრაამ ჰშჳა ისაკ; ისაკ
ჰშჳა იაკობ; იაკობ ჰშჳა იუდა და
ძმანი მისნი;
3. ხოლო იუდა ჰშჳა ფარეზ
და ზარა თამარისგან; ფარეზ ჰშჳა
ესრომ; ესრომ ჰშჳა არამ;
4. არამ ჰშჳა ამინადაბ; ამინა-
დაბ ჰშჳა ნაასონ; ნაასონ ჰშჳა
სალმონ;
5. სალმონ ჰშჳა ბოოს რექა-
ბისაგან; ბოოს ჰშჳა იობედ რუ-
თისაგან; იობედ ჰშჳა იესე; იესე
ჰშჳა დავით მეფე;
6. დავით მეფემან ჰშჳა სოლო-
მონ ჰურიის ცოლისაგან;
7. სოლომონ ჰშჳა რობოამ;
რობოამ ჰშჳა აბია; აბია ჰშჳა ასა;
8. ასა ჰშჳა იოსაფატ; იოსა-
ფატ ჰშჳა იორამ; იორამ ჰშჳა
ოზია;

9. ოზია ჰშჳა იოათამ; იო-
ათამ ჰშჳა აქაზ; აქაზ ჰშჳა ეზეკია;
10. ეზეკია ჰშჳა მანასე; მანასე
ჰშჳა ამონ; ამონ ჰშჳა იოსია;

11. იოსია ჰშჳა იექონია და
ძმანი მისნი, ტყჳჱობასა მას ბაბი-
ლონელთასა.
12. შემდგომად ტყჳჱობისა
მის ბაბილონისა, იექონია ჰშჳა
სალათიელ; სალათიელ ჰშჳა ზო-
რობაბელ;
13. ზორობაბელ ჰშჳა აბიუდ;
აბიუდ ჰშჳა ელიაკიმ; ელიაკიმ
ჰშჳა აზორ;
14. აზორ ჰშჳა სადუკ; სადუკ
ჰშჳა აქიმ; აქიმ ჰშჳა ელიუდ;
15. ელიუდ ჰშჳა ელეაზარ;
ელეაზარ ჰშჳა მატათან; მატათან
ჰშჳა იაკობ;
16. იაკობ ჰშჳა იოსებ, ქმარი
მარიამისი, რომლისაგან იშჳა იე-
სო, რომელსა ჰრქჳან ქრისტე.
17. ყოველი ნათესავი აბრაა-
მისითგან ვიდრე დავითისადმდე,
ნათესავი ათ-ოთხ-მეტ; და დავითი-
სიდგან ვიდრე ტყჳჱნჳსადმდე ბაბი-
ლოვნისა ნათესავი ათ-ოთხ-მეტ;
და ტყჳჱნვითგან ბაბილოვნისათ
ვიდრე ქრისტესადმდე ნათესავი
ათ-ოთხ-მეტ.
18. ხოლო იესო ქრისტეს შო-
ბა ესრეთ იყო: რამეთუ თხოვილ-
იყო დედა მისი მარიამ იოსებისა,
და ვიდრე შერთჳსადმდე მათდა, იპო-

ვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა.
19. ხოლო იოსებ, ქმარი მისი, მართალი იყო, და არა უნდა განმხილებაჲ მისი, იზრახა ფარულად განტევებაჲ მისი.
20. და ვითარ იგი ამას განიზრახჳდა ოდენ, აჰა ანგელოსი უფლისა ჩუენებით გამოუჩნდა მას, და ჰრქუა: იოსებ, ძეო დავითისო! ნუ გეშინინ მიყუანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი იგი მისგან იშუეს, სულისაგან წმიდისა არს.
21. ჰშუეს ძეჲ, და უწოდონ სახელი მისი იესო; რამეთუ მან იხსნეს ერი თჳსი ცოდუათა მათთაგან.
22. ესე ყოველი იქმნა, რათა აღესრულოს სიტყუა იგი უფლისა, პირითა წინასწარმეტყუელისათა თქმული:
23. აჰა ქალწული მიუდგეს, და ჰშუეს ძეჲ, და უწოდიან სახელი მისი ემმანუილ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენ-თანა ღმერთი.
24. განიღჳძა იოსებ ძილისა მისგან, და ჰყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას ანგელოსმან უფლისამან, და წარიყუანა ცოლი თჳსი.
25. და არა იცოდა იგი, ვიდრემდე ჰშუა ძეჲ იგი მისი პირმშოჲ, და უწოდა სახელი მიხი იესო.

თ ა ვ ი 2.

1. ხოლო იესოს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა იროდი მეფისათა, აჰა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალიმად, და იტყოდეს:
2. სადა არს, რომელი იგი იშუა მეუფე ჰურიათა? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანისცემად მისსა.
3. ვითარცა ესმა ესე იროდი მეფესა, შეჰსძრწუნდა და ყოველი იერუსალიმი მის თანა.
4. და შეჰკრიბნა ყოველნი მღუდელთ-მთავარნი და მწიგნობარნი ერისანი, და იკითხჳდა მათგან: სადა უკუე შობად არს ქრისტე?
5. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ბეთლემს ჰურიასტანისასა; რამეთუ ესრეთ წერილ-არს წინასწარმეტყუელისა მიერ:
6. და შენ, ბეთლემ, ქუეყანა ეგე იუდასი, არა სადა უმრწემეს-ხარ მთავართა შორის იუდასთა; რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღუარი, რომელმან დაჰმწყსოს ერი ჩემი, ისრაილი.
7. მაშინ იროდი იდუმალ მოუწოდა მოგუთა მათ და გამოიკითხა მათგან ჟამი იგი გამოჩინებულისა მის ვარსკულავისა.
8. და წარავლინნა იგინი ბეთლემად და ჰრქუა: მივედით და გამოიკითხეთ ჭეშმარიტად ყრმისა მისთჳს, და რაჟამს ჰპოვოთ იგი, მითხართ მე, რათა მეცა მივიდე და თაყუანის-ვჰცე მას.
9. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან, წარვიდეს; და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინა-უძღოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაად-

გრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმა იგი.

10. ხოლო მათ, ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.

11. და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, იხილეს ყრმაჲ იგი მარიამისთანა, დედისა თჳსისა, და დავარდეს, და თაყუანის-სცეს მას; და აღაღეს საუნჯეთა მათთა, და შესწირეს მისსა ძღუნნი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური.

12. და მოიღეს ბრძანებაჲ ჩუენებით, რათა არა მიაქციონ იროდისა, არამედ სხჳთ გზით წარვიდენ სოფლად თჳსსა.

13. და ვითარცა განეშორნეს მოგუნი იგი, აჰა ანგელოზი უფლისა გამოუჩნდა ჩუენებით იოსებს და ჰრქუა: აღსდეგ და წარიყუანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი, და ივლტოდე ეგჳპტედ, და იყავ მუნ, ვიდრემდე გრქუა შენ; რამეთუ ეგულების იროდის მოძიებად ყრმაჲ ეგე და წარწყმედად ეგე.

14. ხოლო იგი აღსდგა, და წარიყუანა ყრმა იგი და დედაჲ მისი ღამე, და წარვიდა ეგჳპტედ, და იყო მუნ ვიდრე აღსრულებადმდე იროდისა.

15. რათა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისა, თქმული წინასწარმეტყუელისა მიერ: ეგჳპტით უწოდე ძესა ჩემსა.

16. მაშინ ვითარცა იხილა იროდი, რამეთუ მოიცვსა მოგუთა მათგან, განრისხნა ფრიად, წარავლინნა და მოსწყჳდნა ყოველი ყრმები, რომელნი იყუნეს ბეთლემს და ყოველთა საზღუართა მისთა, ორით წლითგანი და უდარესი, მსგავსად მის ჟამისა, ვითარცა გამოიკითხა მოგუთა მათგან.

17. მაშინ აღესრულა თქმული იგი იერემია წინასწარმეტყუელისა, რომელსა იტყჳს:

18. ჴმაჲ რამათს ისმა გოდებისა და ტირილისა, და ტყებისა მრავალი. რახილ სტიროდა შვილთა თჳსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არნ.

19. ხოლო რაჟამს აღესრულა იროდი, აჰა ანგელოზი უფლისა გამოეცხადა ჩუენებით იოსებს ეგჳპტეს.

20. და რქუა: აღსდეგ და წარიყუანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი, და წარვედ ქუეყანად ისრაილისა; რამეთუ მოსწყდეს, რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა.

21. ხოლო იგი აღსდგა და წარმოიყუანა ყრმაჲ იგი და დედაჲ მისი, და მოვიდა ქუეყანად ისრაილისა.

22. და ვითარცა ესმა, რამეთუ არხელაოს ჰმეფობს ჰურიასტანს იროდის-წილ, მამისა თჳსისა, შეეშინა მისლვად მუნ; და ბრძანება მოიღო ჩუენებით და წარვიდა კერძოთა გალილეასათა.

23. და მივიდა და დაეშენა ქალაქსა შინა, რომელსა ჰრქჳან ნაზარეთ; რათა აღესრულოს თქმული იგი წინასწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ ნაზარეველ ეწოდოს.

## თ ა ვ ი 3.

1. მათ დღეთა შინა, მოვიდა იოანე ნათლის-მცემელი ქადაგებად უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა.

2. და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ-არს სასუფეველი ცათა.

3. რამეთუ ესე არს, რომელ იგი თქმულ-არს ისაია წინასწარმეტყუჱლისა მიერ და იტყჳს: ხმა ღაღადებისა უდაბნოსა ზედა; განმზადენით გზანი უფლისანი, და წრფელ-ჰყუჱნით ალაგნი მისნი.

4. ხოლო თავადსა იოანეს ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა, და სარტყელი ტყავისა წელთა მისთა; ხოლო საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური.

5. მაშინ განვიდოდა მისა იერუსალიმი და ყოველი ჰურიასტანი და გარემო სოფლები იორდანისა.

6. და ნათელს-იღებდეს იორდანესა შინა მისგან, და აღუარებდეს ცოდუათა მათთა.

7. და ვითარცა იხილნა მრავალნი ფარისეველნი და სადუკეველნი, მომავალნი ნათლისღებად მისგან, ჰრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო! ვინ გიჩუჱნა თქუჱნ სივლტოლაჲ მერმისა მისგან რისხჳსა?

8. ჰყავთ უკუჱ ნაყოფი, ღირსი სინანულისა;

9. და ნუ ჰგონებთ და იტყჳთ თავით თჳსით: მამა გჳვის ჩუჱნ აბრაამი; რამეთუ გეტყჳ თქუჱნ, ვითარმედ შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქუათა ამათგან შვილად აბრაამისა.

10. რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ჰსძეს; ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუჱთოს და ცეცხლსა დაედუას.

11. მე უკუჱ ნათელ-გცემ თქუჱნ წყლითა სინანულად; ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ სამლთა მისთა ტჳრთუად; მან ნათელ-გცეს თქუჱნ სულითა წმიდითა და ცეცხლითა.

12. რომლისა ნიჩაბი ხელთა მისთა, განჰსწმიდოს კალოჲ თჳსი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა, ხოლო ბზეჲ დაჰსწუას ცეცხლითა მით უშრეტითა.

13. მაშინ მოვიდა იესო გალილიაჲთ იორდანედ იოანესა ნათლის-ღებად მისგან;

14. ხოლო იოანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიხმს შენ მიერ ნათლის-ღება, და შენ ჩემდა მოჰხუალა?

15. მიუგო იესო და ჰრქუა მას: აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუჱნის ჩუჱნდა აღსრულებად ყოველი სიმართლე; მაშინ მიუშუა მას.

16. და ნათელ-იღო იესო, და მეყუსეულად აღმოვიდა რა წყლისა მისგან; და აჰა განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისა, გარდამომავალი ვითარცა ტრედი, მოვიდა, დაადგრა მას ზედა.

17. და ხმა იყო ზეცით და ჰსთქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ.

## თ ა ვ ი 4.

1. მაშინ იესო აღმოიყუანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან.

2. და იმარხა ორმეოცი დღეჲ და ორმეოცი ღამეჲ, და მერმე შეემშია.

3. მოუხდა მას გამომცდელი იგი და ჰრქუა: უკეთუ შენ ხარ ძე ღმრთისა, ჰსთქუ, რათა ქუანი ესე პურ იქმნენ.

4. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა: წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო ჰსცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა.

5. მაშინ წარიყუანა იგი ეშმაკმან მან წმიდასა ქალაქსა, და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა.

6. და ჰრქუა მას: უკეთუ ძე ხარ ღმრთისა, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად; რამეთუ წერილ არს, ვითარმედ ანგელოზთა მისთა დაუბრძანებიეს შენთჳს, და ხელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარჰსცე ქუასა ფერხი შენი.

7. ჰრქუა მას იესო: ვითარმედ წერილ არს: არა განჰსცადო უფალი ღმერთი შენი.

8. კუალად წარიყუანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა, და უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდება მათი.

9. და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე.

10. მაშინ ჰრქუა მას იესო: წარვედ ჩემგან მართლ-უკუნ სატანა; რამეთუ წერილ-არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-ჰსცე, და მას მხოლოსა ჰმსახურებდე.

11. მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან; და ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას.

12. ხოლო ესმა რა იესოს, ვითარმედ იოანე მიეცა, განეშორა და წარვიდა გალილეად.

13. და დაუტევა ნაზარეთი, და მოვიდა და დაემკჳდრა კაპერნაუმს, საზღუართა ზაბულონისთა და ნეფთალემისთა;

14. რათა აღესრულოს თქმული იგი ესაია წინასწარ-მეტყუელისა, რომელსა იტყჳს:

15. ქუეყანა ზაბულონისი, და ქუეყანა ნეფთალემისი, გზა ზღჳსა წიაღ-იორდანესა, გალილეა წარმართთა.

16. ერი, რომელი ჰსხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი ჰსხდეს საფლავსა და აჩრდილთა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ.

17. მიერითგან იწყო იესო ქადაგებად და სიტყუად: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა.

18. და იქცეოდა რა იესო ზღჳსკიდესა მას გალილეასასა, იხილნა ორნი ძმანი, სჳმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრია,

ძმაჲ მისი, ითხევლიდეს რა სათხეველითა ზღუასა მას, რამეთუ იყუნეს მესათხევლე;

19. და ჰრქუა მათ: მოვედით და შემომიდეგით მე, და გყუნე თქუენ მესათხევლე კაცთა.

20. ხოლო მათ მეყუსეულად დაუტევეს ბადეჲ მათი და შეუდგეს მას.

21. და წარმოვიდა მიერ და იხილნა სხუანი ორნი ძმანი, იაკობ ზებედესი და იოანე, ძმაჲ მისი, ნავსა შინა, ზებედეს თანა მამისა მათისა, განრაგებდეს ბადეთა მათთა, და უწოდა მათ,

22. ხოლო მათ მეყუსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამა მათი, და მისდევდეს მას.

23. და მოვლიდა იესუ ყოველსა გალილეასა, და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა, და ჰქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა, და განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ერსა შორის.

24. და განითქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა ასურასტანისასა; და მოჰგუარიდეს მას ყოველთა ბოროტად სნეულთა, თითო-სახეთაგან სენთა, და გუემითა შეპყრობილთა, და ეშმაკეულთა, და ცისად ცისად გუემულთა, და განრღუეულთა; და განჰკურნნა იგინი.

25. და მისდევდა მას ერი მრავალი გალილეაჲთ და ათ-ქალაქით, და იერუსალიმით, და ჰურიასტანით, და წიაღ-იორდანით.

თ ა ვ ი 5.

1. და ვითარცა იხილა იესუ ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ, და მოუხდეს მას მოწაფენი მისნი.

2. და აღაღო პირი თჳსი, ასწავებდა მათ და ეტყოდა:

3. ნეტარ-იყუნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

4. ნეტარ-იყუნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.

5. ნეტარ-იყუნენ მშჳდნი, რამეთუ მათ დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ.

6. ნეტარ-იყუნენ, რომელთა ჰშიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათჳს, რამეთუ იგინი განძღნენ.

7. ნეტარ-იყუნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

8. ნეტარ-იყუნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

9. ნეტარ-იყუნენ მშჳდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ.

10. ნეტარ-იყუნენ დევნულნი სიმართლისა თჳს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

11. ნეტარ-იყუნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ, და სთქუან ყოველი სიტყუა ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთჳს.

12. გიხაროდენ და მხიარულ იყუენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა; რამეთუ ეგრეთვე ჰსდევნნეს წინა-

სწარ-მეტყუჱლნი უწინარეს თქუჱნსა.

13. თქუჱნ ხართ მარილნი ქუჱყანისანი; უკეთუ მარილი იგი განჰქარდეს, რაჲთამე დაიმარილოს? არღარა შემძლებელ არიან მერმე, არამედ განგდებად გარე, და დათრგუნვად კაცთა მიერ.

14. თქუჱნ ხართ ნათელნი სოფლისანი; ვერ ხელეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა.

15. არცა აღანთიან სანთელი და დაჰსდგიან ქუჱშე კჳმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყუჱნიან სახლსა შინა.

16. ეგრეთ ჰბრწყინვიდინ ნათელი თქუჱნი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუჱნნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუჱნსა ზეცათასა.

17. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჰხსნად ჰსჯულისა, გინა წინასწარ-მეტყუჱლთა; არა მოვედ დახსნად, არამედ აღსრულებად.

18. ამინ გეტყჳ თქუჱნ, ვიდრემდე წარჰხდეს ცა და ქუჱყანა, იოტა ერთი, გინა რქა ერთი არა წარჰხდეს ჰსჯულისაგან და წინასწარ-მეტყუჱლთა, ვიდრემდის ყოველივე იქმნეს.

19. უკეთუ ვინმე დაჰხსნას ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთა, და ასწავოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ჰყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა.

20. ხოლო გეტყჳ თქუჱნ: უკეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუჱნი უფროს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეჰხჳდეთ სასუფეველსა ცათასა.

21. გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს სასჯელისა.

22. ხოლო მე გეტყჳ თქუჱნ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თჳსსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა: რაკა, თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსლუად; და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა: ცოფ, თანამდებ-არს იგი გეენიასა მას ცეცხლისასა.

23. უკუეთუ შეჰსწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა, და მუნ მოგეხსენოს შენ, ვითარმედ ძმა შენი გულ-მჳრ რამე არს შენთჳს.

24. დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა, და მაშინ მოვედ და შეჰსწირე შესაწირავი შენი.

25. იყავ კეთილად-მცნობელ წინა მოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მისთანა გზასა ზედა, ნუ უკუჱ მიგცეს შენ წინა-მოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა, და მსაჯულმან მსახურსა, და საპყრობილედ შეჰვარდე.

26. ამინ გეტყჳ შენ: ვერ გამოჰხჳდე მიერ, ვიდრე არა მიჰსცე უკანასკნელი კოდრატი.

27. გესმა, რამეთუ ითქუა: არა იმრუშო.
28. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ჰხედვდეს დედაკაცსა გულის თქმად მას, მუნვე იმრუშა მისთანა გულსა შინა თჳსსა.
29. უკეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან; რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეენიასა.
30. და უკეთუ მარჯუენე ხელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან; რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გეჰენიასა.
31. თქმულ არს, რამეთუ რომელმან განუტევოს ცოლი თჳსი, მისცეს მას განსატევებელი.
32. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველმან, რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ სიტყჳსა სიძვისა, მან იმრუშა იგი; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა.
33. კუალად გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა ცილი ჰფუცო, არამედ მისცე უფალსა ფიცი შენი.
34. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: არა ფუცვად ყოვლადვე, ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისა;
35. ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეკი არს ფერხთა მისთა; ნუცა იერუსალიმსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისა.
36. ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიძს ერთისა თმისა განსპეტაკებად, გინა დაშავებად.
37. არამედ იყავნ სიტყუა თქუენი: ჰე, ჰე; და არა, არა; ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს.
38. გესმა, რამეთუ თქმულ არს: თუალი თუალისა წილ, და კბილი კბილისა წილ.
39. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: არა წინა-აღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთ კერძოცა.
40. და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი.
41. და რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მიჰყევ მისთანა ორიცა.
42. და რომელი გთხოვდეს შენ, მიეც, და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე-მიიქცევი.
43. გესმა, რამეთუ თქმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი, და მოიძულო მტერი შენი.
44. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: გიყუარდედ მტერნი თქუენნი, და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა, და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა, და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ;
45. რათა იყუნეთ თქუენ შვილ

მამისა თქუენისა ზეცათასა; რამეთუ მზე მისი აღმოავალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და ჰსწჳმს მართალთა ზედა და ცრუთა.

46. უკეთუ გიყუარდენ მოყუარენი ხოლო თქუენნი, რაჲ სასყიდელი გაქუს? რამეთუ მეზუერეთაცა ეგრეთვე ჰყვან.

47. და უკეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს იქმთ? ანუ არა მეზუერეთაცა ეგრეთვე ჰყვანა?

48. იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათა სრულ არს.

## თავი 6.

1. ეკრძალენით ქუელის-საქმესა თქუენსა, რათა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა; უკეთუ არა, სასყიდელი არა გაქუს მამისა თქუენისაგან ზეცათასა.

2. ხოლო რაჟამს იქმოდე ქუელის-საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა იგი ორგულთა ჰყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რათა იდიდნენ კაცთაგან. ამინ გეტყვი თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.

3. ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქუელის-საქმესა, ნუ ჰსცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდეს მარჯუენე შენი;

4. რათა იყოს ქუელის-საქმე შენი ფარულად, და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

5. და რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ეგრე, ვითარცა იგი ორგულნი, რამეთუ უყუარან შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომა და ლოცუა; რათა უჩუენონ კაცთა. ამინ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.

6. ხოლო შენ, რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჰხშე კარი შენი, და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამა შენი, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

7. და რაჟამს ილოცვიდე, ნუ მრავალსა იტყვით, ვითარცა იგი წარმართთაგანნი; რამეთუ ჰგონებენ, ვითარმედ მრავლის-მეტყუელებითა მათითა ისმინოს მათი.

8. ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რა იგი გიხმს თქუენ, ვიდრე თხოვადმდე თქუენდა მისგან.

9. ხოლო თქუენ ესრეთ ილოცევდით: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი;

10. მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა.

11. პური ჩუენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს;

12. და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა:

13. და ნუ შემიყუანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან. რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი, და დიდება საუკუნეთა მიმართ, ამინ.

14. უკეთუ მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან.

15. ხოლო უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი.

16. და რაჟამს იმარხჳდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა იგი ორგულნი, მწუხარე; რამეთუ განირყუნიან პირნი მათნი, რათა ეჩუენნენ კაცთა მმარხულად. ამინ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.

17. ხოლო შენ, რაჟამს იმარხჳდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი.

18. რათა არა ეჩუენო კაცთა მმარხულად, არამედ მამასა შენსა დაფარულად; და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

19. ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დაჰხთხარიან და განიპარიან.

20. ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან განჰრყუნის, და სადა არცა მპარავთა დაჰხთხარიან და განიპარიან.

21. რამეთუ სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი.

22. სანთელი გუამისა არს თუალი. უკეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს.

23. ხოლო უკეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენმე?

24. ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად; ანუ ერთი იგი მოიძულოს, და სხუა იგი შეიყუაროს, ანუ ერთისა მის თავს-იდუას, და ერთი იგი შეურაცხ-ჰყოს. ვერ ხელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონასა.

25. ამისთვის გეტყჳ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათვის, რაჲ ჰსჭამოთ და რაჲ ჰსუათ, ნუცა ხორცთა თქუენთათჳს, რაჲ შეიმოსოთ, ანუ არა სული უფროს არს საზრდელისა, და გუამი სამოსლისა.

26. მიჰხედეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა ჰსთესვენ, არცა ჰმკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქუენი ზეცათა ჰზრდის მათ, არამე უფროს თქუენ უმჯობეს ხართა მფრინველთა?

27. ანუ ვინმე თქუენგანი ჰზრუნჳდეს და შეუძლოს შემინებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთ?

28. და სამოსლისათჳს რასა ჰზრუნავთ? განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ იგი აღორძნდის? არა ჰშურებიან, არცა ჰსთავენ.

29. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.

30. უკეთუ თივა იგი ველისა, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნის, ღმერთმან ესრეთ შეჰმოსის, არა მე უფროს თქუენა, მცირედ მორწმუნენო!
31. ნუ ჰზრუნავთ და იტყჳთ: რაჲ ვჰსჭამოთ? ანუ რაჲ ვჰსუათ? ანუ რაჲ შევიმოსოთ?
32. რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ; რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რა გიხმს ამათ ყოველთაგანი.
33. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ.
34. ნუ ჰზრუნავთ ხვალისათვის, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თჳსისა. კმა არს დღისა მის სიბოროტე თჳსი.

## თ ა ვ ი 7.

1. ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ.
2. რამეთუ რომლითა განკითხჳთა განიკითხჳდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ.
3. ანუ რასა ჰხედავ წუელსა, თუალსა შინა ძმისა შენისასა, და დვირესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი?
4. ანუ, ვითარ ჰრქუა ძმასა შენსა: მაცადე, და აღმოგიღო წუელი თუალისაგან შენისა; და აჰა ეგერა დჳრე თუალსა შინა შენსა.
5. ორგულო! აღმოიღე პირველად დჳრეჲ თუალისაგან შენისა, და მაშინ იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა.
6. ნუ მიჰსცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუ უკუე დაჰსთრგუნონ იგი ფერხითა მათითა, და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ.
7. ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით, და ჰპოოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ.
8. რამეთუ ყოველი, რომელი ითხოვდეს, მოიღოს, და რომელი ეძიებდეს, ჰპოვოს, და რომელი ირეკდეს, განეღოს.
9. ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ჰსთხოვდეს ძე თჳსი პურსა, ნუ ქუაჲ მიჰსცესა მას?
10. ვინა თუ თევზსა ჰსთხოვდეს, ნუ გველი მიჰსცეს მას?
11. უკეთუ თქუენ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროსღა მამამან თქუენმან ზეცათამან მოჰსცეს კეთილი, რომელნი ჰსთხოვდენ მას.
12. ყოველი, რომელი გინდეს თქუენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყავთ მათდა მიმართ; რამეთუ ესრეთ არს ჰსჯული და წინასწარ-მეტყუელნი.
13. შევედით იწროჲსაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა.
14. ვითარ იგი იწრო არს ბჭე და საჭირუელ გზა, რომელი მიიყუანებს ცხოვრებასა, და მცი-

ჭედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ
მას.
15. ეკრძალენით ცრუ-წინას-
წარმეტყუელთაგან, რომელნი მო-
ვიდოდენ თქუენდა სამოსლითა
ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყუ-
ნენ მგელ-მტაცებელ.
16. ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ
იგინი. ნუ უკუე შეჰკრიბიან ეკალ-
თაგან ყურძენი, ანუ კუროსთავ-
თაგან ლეღჳ?
17. ესრეთ ყოველმან ხემან
კეთილმან ნაყოფი კეთილი გამო-
იღოს, ხოლო ხემან ხენეშმან ნა-
ყოფი ხენეში გამოიღის.
18. ვერ ხელ-ეწიფების ხესა
კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გა-
მოღებად, და არცა ხესა ხენეშსა
ნაყოფი კეთილი ყოფად.
19. ყოველმან ხემან, რომელ-
მან არა ჰქონს ნაყოფი კეთილი,
მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედჳას.
20. ნაყოფთა სამე მათთაგან
იცნნეთ იგინი.
21. არა ყოველმან, რომელმან
მჰრქუას მე: უფალო! უფალო! და შე-
ვიდეს იგი სასუფეველსა ცათასა;
არამედ რომელმან ჰყოს ნებაჲ
მამისა ჩემისა ზეცათასა.
22. მრავალთა მჰრქუან მე მას
დღესა შინა: უფალო! უფალო! არა
სახელითა შენითა წინასწარ-ვმეტ-
ყუელებდითა? და სახელითა შენითა
ეშმაკნი განვასხენით? და სახელითა
შენითა ძალნი მრავალნი ვჰქმნენით?
23. მას ჟამსა ვჰრქუა მათ, ვი-
თარმედ არა გიცნით თქუენ; განმე-
შორენით ჩემგან ყოველნი მოქ-
მედნი უსჯულოებისანი.

24. ყოველმან, რომელმან ის-
მინნეს სიტყუანი ესე ჩემნი, და
ჰყუნეს იგინი, ვამსგავსო იგი კაც-
სა გონიერსა, რომელმან აღაშენა
სახლი თჳსი კლდესა ზედა.
25. და გარდამოხდა წჳმა, მო-
ვიდეს მდინარენი, ჰქროდეს ქარ-
ნი, და ეკუეთნეს სახლსა მას, და არა
დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო
კლდესა ზედა.
26. და ყოველმან, რომელმან
ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და
არა ჰყუნეს იგინი, ემსგავსოს იგი
კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა
სახლი თჳსი ქჳშასა ზედა:
27. და გარდამოჰხდა წვიმა, მო-
ვიდეს მდინარენი, ჰქროდეს ქარ-
ნი, და ეკუეთნეს სახლსა მას, და
დაეცა, და იყო დაცემა იგი მისი
დიდ ფრიად.
28. და იყო რაჟამს დაასრულნა
იესო სიტყუანი ესე, განუკჳრდე-
ბოდა ერსა მას მოძღურება იგი
მისი.
29. რამეთუ იყო სწავლა იგი
მისი მათდა მიმართ, ვითარცა
იგი ვის ჴელმწიფება აქვნ, და არა
ვითარ იგი მწიგნობარნი მათნი
და ფარისეველნი.

## თავი 8.

1. და გარდამოვიდოდა რა იგი
მიერ მთით; მოჰსდევდა მას ერი
მრავალი.
2. და აჰა ესერა, კეთროვანი ვინ-
მე მოუხდა, თაყუანის-ჰსცემდა მას
და ეტყოდა: უფალო! უკეთუ გინ-
დეს, ძალგიძს განწმედაჲ ჩემი.

3. და მიჰყო კელი თჳსი იე-
სო, შეახო მას, დ̃ ჰრქ̂ჳა: მნებავს,
განჰსწმიდენი. დ̃ მეყ̂ჳსეულად გან-
სწმიდნა იგი კეთრონებისა მისგან.
4. და ჰრქ̂ჳა მას იესო: იხილე,
ნუ ვის უთხრობ; არამედ წარვედ,
დ̃ უჩ̂ჳენე თავი შენი მღ̂ჳდელსა,
დ̃ შეჰსწირე შესაწირავი შენი, რო-
რომელი ჰბრძანა მოსე, საწამებე-
ლად მათდა.
5. და შერავიდა იგი კაპერნა-
უმად; მოუკდა მას ასის-თავი,
ევედრებოდა მას,
6. და ეტყოდა: უფალო! მონა ჩე-
მი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა
განრღ̂ჳეული, და ფრიად იგ̂ჳე-
მების.
7. ჰრქ̂ჳა მას იესო: მე მოვი-
დე, დ̃ განვჰკურნო იგი.
8. მიუგო ასის-თავმან მან, დ̃
ჰრქ̂ჳა: უფალო! არა ღირს ვარ მე,
რათამცა სართულსა ჩემსა ქ̂ჳეშე
შემოხჳდე; არამედ სიტყჳთ სო-
ლო ჰსთქ̂ჳ, დ̃ განიკურნოს მონა
იგი ჩემი.
9. რამეთუ მეცა კაცი ვარ
კელმწიფებასა ქ̂ჳეშე, დ̃ მქონან
ჩემ ქ̂ჳეშე ერისაგანნი, დ̃ ვაჰრქჳ
მას: წარვედ, დ̃ წარვიდის; და
სხ̂ჳასა: მოვედ, დ̃ მოვიდის; და
მონასა ჩემსა: ჰქმენ ესე, დ̃ ჰქმნის.
10. ესმა რა ესე იესოს, დაუკ-
ვირდა, დ̃ ჰრქ̂ჳა ერსა მას, რომელ-
ნი მიჰსდევდეს მას: ამინ გეტყჳ
თქ̂ჳენ, არცაღა ისრაილსა შორის
ესოდენი სარწმუნოებაჲ ჰპოვე.
11. ხოლო გეტყჳთ თქ̂ჳენ, რა-
მეთუ მრავალნი მზისა აღმოსავა-
ლით დ̃ დასავალით მოვიდოდენ,
დ̃ ინაჴ-იდგმიდენ აბრაამისთანა,
დ̃ ისაკისთანა, დ̃ იაკობისთანა
სასუფეველსა ცათასა;
12. ხოლო ძენი იგი სასუფე-
ველისანი განითხინენ ბნელსა მას
გარესკნელსა; მუნ იყოს ტირი-
ლი დ̃ ღრჭენა კბილთა.
13. და ჰრქ̂ჳა იესო ასის-თავსა
მას: წარვედ, დ̃, ვითარცა გრწმე-
ნა, გეყავნ შენ. დ̃ განიკურნა მონა
იგი მას ჟამსა შინა.
14. და მოვიდა იესო სახლსა
პეტრესსა, დ̃ იხილა სიდედრი იგი
მისი, დავრდომილი მკურვალებითა.
15. და შეახო კელსა მისსა,
დ̃ დაუტევა იგი მკურვალებამან.
აღჰსდგა, დ̃ ჰმსახურებდა მას.
16. და ვითარცა შემწუხრდა;
მოჰგ̂ჳარეს მას ეშმაკეულები მრა-
ვალი, დ̃ განასხა სულები იგი
სიტყჳთა, დ̃ ყოველნი, რომელნი
ბოროტად სნეულ-იყ̂ჳნეს, განჰ-
კურნნა;
17. რათა აღესრულოს თქმუ-
ლი იგი ისაია წინასწარმეტყ̂ჳე-
ლისა, რომელ ჰსთქ̂ჳა: მან უძ-
ლურებანი ჩ̂ჳენნი მიიხ̂ჳნა, დ̃
სნეულებანი ჩ̂ჳენნი იტჳრთნა.
18. ვითარცა იხილა იესო ერი
მრავალი გარემოს მისა, უბრძანა
წიაღსლ̂ჳაჲ მიერ-კერძო.
19. და მოუკდა მას ერთი მწიგ-
ნობარი, დ̃ ჰრქ̂ჳა: მოძღ̂ჳარ! მიგ-
დევდე შენ, ვიდრეცა ჰსჳდოდე.
20. ჰრქ̂ჳა მას იესო: მელთა
კ̂ჳრელი უჩნს დ̃ მფრინ̂ჳელთა
ცისათა საყოფელი; ხოლო ძესა
კაცისასა არა აქ̂ჳს, სადა თავი
მიიდრიკოს.

21. და სხუამან მოწაფეთა მისთაგანმან ჰრქუა მას: უფალო! მიბრძანე მე პირველად მისლვად, და დაფლვად მამისა ჩემისა.

22. ხოლო იესო ჰრქუა მას: შენ მომდევდი მე, და აცადე მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა.

23. და აღვიდა იგი ნავსა; და მიჰსდევდეს მას მოწაფენი მისნი.

24. და აჰა ესერა, აღძრუა იყო დიდი ზღუასა შინა, ვიდრე დაფარვადმდე ნავისა ღელვათაგან; ხოლო თავადსა ეძინა.

25. და მოუკდეს მას მოწაფენი მისნი, და აღადგინეს იგი, და ეტყოდეს: უფალო! მიკსნენ ჩუენ; რამეთუ წარვჰსწყმდებით.

26. და თავადმან ჰრქუა მათ: რასა შეშინდით, მცირედ მორწმუნენო? მაშინ აღჰსდგა, და შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა, და იქმნა მეყუსეულად დაყუდება დიდი.

27. ხოლო კაცთა მათ, უკჳრდა, და იტყოდეს: რაბამ ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუა ერჩიან მას?

28. და ვითარცა მოვიდა იგი მიერ კერძო სოფელსა მას გერგესეველთასა; შეემთხჳნეს მას ორნი ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისაგან, ფრიად ბოროტნი, ვიდრემდა ვერვის კელეწიფებოდა წიაღსლვა მიერ გზით.

29. და ღაღად-ჰყვეს, და იტყოდეს: რა ჰსძეს ჩუენი და შენი იესო, ძეო ღმრთისაო? მოჰსრულხარ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა.

30. იყო შორს მათგან კოლტი ღორთა მძოვარი.

31. ხოლო ეშმაკნი იგი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: უკეთუ განგვასხამ ჩუენ; მიბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორთასა.

32. და ჰრქუა მათ: მივედით. ხოლო იგინი, განვიდეს კაცთა მათგან, და მიჰმართეს კოლტსა მას ღორთასა. და მიჰმართა ყოველმან კოლტმან ღორთამან კბოდესა მას ზღჳსასა, და მოჰსწყდეს იგინი წყალთა მათ შინა.

33. ხოლო მწყემსნი იგი ივლტოდეს, და წარვიდეს ქალაქად, და უთხრეს ყოველივე ეშმაკეულთა მათთვის.

34. მაშინ, ყოველი იგი ქალაქი გამოვიდა შემთხუევად იესოსა; და იხილეს იგი, და ევედრებოდეს, რათა წარვიდეს საზღუართა მათთაგან.

## თ ა ვ ი 9.

1. და შევიდა ნავსა, და წიაღკდა, და მოვიდა თჳსად ქალაქად.

2. მაშინ, მოართუეს მას განრღუეული, ცხედარსა ზედა მდებარე. და იხილა იესო სარწმუნოებაჲ მათი, და ჰრქუა განრღუეულსა მას: ნუ გეშინინ, შვილო! მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი.

3. და აჰა ესერა, მწიგნობართაგანთა ვიეთმე ჰსთქუეს გულთა შინა მათთა: ვითარმედ ესე ჰგმობს.

4. იცნოდა იესო ზრახვანი

მათნი, და ჰრქუა მათ: რასა თქუენ
ბოროტსა ჰზრახავთ გულთა ში-
ნა თქუენთა?
5. რა უადვილეს არს სიტყ-
უად: მიგეტევნენ შენ ცოდუანი
შენნი, ანუ სიტყუად: აღჰსდეგ და
ვიდოდე?
6. ხოლო რათა უწყოდეთ, რამე-
თუ ჴელმწიფება აქუს ძესა კაცი-
სასა ქუეყანასა ზედა მიტევებად
ცოდუათა: მაშინ ჰრქუა განრღუე-
ულსა მას: აღჰსდეგ, აღიღე ცხე-
დარი შენი, და წარვედ სახიდ
შენდა.
7. და იგი მეყუსეულად აღ-
ჰსდგა, და წარვიდა სახიდ თჳ-
სად.
8. იხილა რა ესე ერმან მან,
და უკჳრდა, და ადიდებდეს ღმერთ-
სა, რომელმან მოჰსცა ესე ვითა-
რი ჴელმწიფებაჲ კაცთა.
9. და წარვიდოდა მიერ იესო,
იხილა კაცი, რომელი ჰსჯდა სა-
ზუერესა, მატთეოს სახელი მისი,
და ჰრქუა მას: მომდევდი მე. და
აღჰსდგა, და მიჰსდევდა მას.
10. და იყო, ჰსჯდა რა იგი
ინაჴით სახლსა შინა; და მრავალნი
მეზუერენი და ცოდჳლნი თანა-
ჰსხდეს ინაჴით იესოს თანა და
მოწაფეთა მისთა თანა.
11. და ვითარცა იხილეს ფა-
რისეველთა მათ, ჰრქუეს მოწაფე-
თა მისთა: რასათჳს მეზუერეთა
და ცოდჳლთა თანა ჰსჭამს მოძღუა-
რი თქუენი?
12. ხოლო იესოს, ვითარცა
ესმა, ჰრქუა მათ: არა უჴმს ცოც-
ხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა.

13. ხოლო თქუენ წარვედით,
და ისწავეთ, რა არს: წყალობა
მნებავს, და არა მსხუერპლი. რა-
მეთუ არა მოვედ წოდებად მარ-
თალთა, არამედ ცოდჳლთა სინა-
ნულად.
14. მაშინ მოუჴდეს მას მოწა-
ფენი იოანესნი, და ეტყოდეს: რა-
სათჳს ჩუენ და ფარისეველნი ვი-
მარხავთ ფრიად, ხოლო მოწაფენი
შენნი არა იმარხუენ?
15. ჰრქუა მათ იესო: ჴელე-
წიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად,
ვიდრემდე მათ თანა არს სიძე?
მოვლენან დღენი, რაჟამს ამაღლ-
დეს მათგან სიძე იგი და მაშინ
იმარხვიდენ.
16. არავინ დაადგის სადგმელი
უმრკნუელი სამოსელსა ძუელსა;
რამეთუ აღიღის სავსება სამოს-
ლისა მისგან, და უფროსი გან-
ხეთქილება იქმნის.
17. არცა შთაასხიან ღჳნოჲ
ახალი თხიერთა ძუელთა; რათა
არა განსქდენ თხიერნი, და ღჳნო
დაითხიოს, და თხიერნი წარჰსწყმ-
დენ. არამედ შთაასხიან ღჳნოჲ
ახალი თხიერთა ახალთა, და ორ-
ნივე დაიმარხნიან.
18. და ვითარცა იგი ამას
ეტყოდა მათ; მაშინ მოუჴდა მას
მთავარი ერთი, თაყუანის-ჰსცემდა
მას, და ეტყოდა: ვითარმედ ასული
ჩემი აწდა აღესრულა; არამედ მო-
ვედ, და დაჰსდევ ჴელი შენი მას
ზედა, და ჰსცხოვნდეს.
19. და აღჰსდგა იესო და შე-
უდგა მას და მოწაფენი მისნი
მისთანა.

20. და აჰა ესერა, დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ათ-ორმეტ-წელ, მოუჴდა ზურგით, და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა.

21. რამეთუ იტყოდა გულსა თჳსსა: ვითარმედ შეხოლო თუ ვეხო სამოსელსა მისსა, ვჰსცხონდე.

22. ხოლო იესო მიექცა, იხილა იგი, და ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან.

23. და მოვიდა იესო სახლსა მის მთავრისასა, და იხილა მუნ მგოსნები, და ერი კრებული, და შფოთი.

24. და ჰრქუა მათ: განეშორენით; რამეთუ არა მომკუდარ არს ეგე, არამედ ჰსძინავს. ხოლო იგინი ეკიცხჳდეს მას.

25. და რაჟამს გამოასხა ერი იგი, შევიდა, და უპყრა ჴელი მისი, და აღადგინა ქალი იგი.

26. და განჰკადა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა.

27. და წარმოვიდოდა მიერ იესო, მოჰსდევდეს მას ორნი ბრმანი, ღაღადებდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუჱნ, ძეო დავითისო.

28. და ვითარცა შევიდა იესო სახლსა; მოუჴდეს მას ბრმანი იგი, და ჰრქუა მათ იესო: გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიძს ესე ყოფად? ჰრქუჱს მას: ჱე, უფალო!

29. მაშინ შეახო თუალთა მათთა, და ჰრქუა მათ: სარწმუნოებისა თქუჱნისაებრ გეყავნ თქუჱნ.

30. და მეყუსეულად აღეხილნეს თუალნი მათნი; და შეჰსრისხნა მათ იესო და ჰრქუა: იხილეთ, ნუმცა ვინ უწყის.

31. ხოლო იგინი გამოვიდეს, და მიმო-დაჰსდუჱს იგი ყოველსა მას ქუჱყანასა.

32. და ვითარცა იგი გამოო-დენ-ვიდეს; მოჰგუარეს მას კაცი ყრუ და ეშმაკეული.

33. და, ვითარცა განჰკადა ეშმაკი იგი, იტყოდა ყრუ იგი. და დაუკჳრდებოდა ერსა მას, და იტყოდეს: ვითარმედ არა სადა ისრაილსა შორის ესრეთ გამოჰსჩნდა.

34. ხოლო ფარისეველნი იტყოდეს: მთავრითა ეშმაკთათა განასხამს ეშმაკთა.

35. და მოჰვლიდა იესო ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა, და ასწავებდა შესაკრებელსა შორის მათსა, და ჰქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა, და განჰკურნებდა ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა ერთა შორის.

36. და ვითარცა იხილა ერი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყუნეს დამაშურალ და დაცჳვნებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი.

37. მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ვითარმედ სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რათა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თჳსსა.

## თ ა ვ ი 10.

1. და მოუწოდა ათ-ორ-მეტ-

თა მოწაფეთა თჳსთა, და მისცა მათ ჴელმწიფებაჲ სულთა ზედა არა-წმიდათა, რათა განასხმიდენ მათ, და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა.

2. ხოლო ათ-ორ-მეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს: პირველად სჳმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრია, ძმა მისი, იაკობ ზებედესი და იოანე, ძმა მისი,

3. ფილიპპე და ბართლომე, თომა და მატთეოს მეზუერე, იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოს.

4. სჳმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა განსცა იგი.

5. ესე ათ-ორ-მეტნი წარავლინნა იესო, ამცნო მათ და ჰრქუა: გზასა წარმართთასა ნუ მიჰხვალთ, და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეჰხუალთ.

6. არამედ მივედით უფროს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაილისათა.

7. და მირასხჳდეთ, ჰქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა.

8. უძლურთა განჰკურნებდით, მკუდართა აღადგინებდით, კეთროვანთა განჰსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით. უსასყიდლოდ მიგიღებიეს, და უსასყიდლოდ მიჰსცემდით.

9. ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენთა.

10. ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა კამელთა, ნუცა კუერთხსა; რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა.

11. რომელსა ქალაქსა ანუ დაბასა შეჰხჳდეთ, გამოიკითხეთ, ვინ ღირს იყოს, მუნ დაადგერით, ვიდრე გამოსლვადმდე.

12. და შერასხვიდოდეთ სახლსა მას, მოიკითხეთ იგი, და ჰსთქუთ: მშჳდობა სახლსა ამას.

13. და უკეთუ სახლი იგი ღირს იყოს, მოვიდეს მშჳდობა თქუენი მას ზედა; უკეთუ არა ღირს იყოს, მშჳდობა თქუენი თქუენდავე მოიქეცინ.

14. და უკეთუ არავინ შეგიწყნარნეს თქუენ, და არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამორასხჳდოდეთ მიერ სახლით, გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერკთა თქუენთა.

15. ამინ გეტყჳ თქუენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანა იგი სოდომისა და გომორისა დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი.

16. აჰა, მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა; იყუენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი.

17. ეკრძალებოდეთ კაცთაგან: რამეთუ მიგცემდენ თქუენ კრებულსა, და შორის შესაკრებელთა მათთა გტანჯჳდენ თქუენ.

18. და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყუანნენ თქუენ ჩემთჳს, საწამებელად მათდა და წარმართთა.

19. და რაჟამს მიგცნენ თქუენ;

ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყუოდეთ; რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა იგი იტყუოდეთ.

20. რამეთუ არა თქუენ იყუნეთ მეტყუელნი, არამედ სული მამისა თქუენისა, რომელი იტყუოდეს თქუენ შორის.

21. რამეთუ მიჰსცეს მმამან მმაჲ სიკუდილად, და მამამან შჳლი; და აღსდგენ შჳლნი მამა-დედათა ზედა, და მოჰკლჳდენ მათ.

22. და იყუნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს; ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ჰსცხოვნდეს.

23. რაჟამს გჰსდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მივლტოდეთ სხუად. ამინ გეტყჳ თქუენ: ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაილისა, ვიდრემდის ძე კაცისა მოვიდეს.

24. არა არს მოწაფე უფროს მოძღურისა თჳსისა, არცა მონა უფროს უფლისა თჳსისა.

25. კმა არს მოწაფისა მის, უკეთუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თჳსი, და მონა იგი, ვითარცა უფალი თჳსი. უკეთუ სახლისა უფალსა ბელზებულით ჰხადოდეს, რაოდენ უფროს სახლეულთა მისთა?

26. ნუ უკუე გეშინინ მათგან; რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჰსჩნდეს, და არცა საიდუმლო, რომელი არა გამოჰსცხადნეს.

27. რომელი გარქუ თქუენ ბნელსა შინა, თქუენ ჰსთქუთ ნათელსა შინა; და რომელი ყურთა გესმა, ჰქადაგებდით ერდოთა ზედა.

28. და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოჰსწყჳდნენ კორცნი, ხოლო სულისა ვერ კელ-ეწიფების მოკლუად; არამედ გეშინოდენ მისა უფროს, რომელი შემლებელ-არს სულისა და კორცთა წარწყმედად გეენიასა შინა.

29. ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდების? და ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თჳნიერ მამისა თქუენისა.

30. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან.

31. ნუ გეშინინ: რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ.

32. ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა.

33. და რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვჰყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა.

34. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშჳდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშჳდობისა, არამედ მახჳლისა.

35. რამეთუ მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თჳსისა, და ასული დედისაგან თჳსისა, და სძალი დედამთილისაგან თჳსისა.

36. და მტერ-იყუნენ კაცისა სახლეულნი თჳსნი.

37. რომელსა უყუარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა

უყ̂არდეს მე ანუ ასული უფროს
ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს.
38. და რომელმან არა აღი-
ღოს ჯუ̂არი თჳსი და შემომიდ-
გეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.
39. რომელმან მოიპოვოს სუ-
ლი თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რო-
მელმან წარიწყმიდოს სული თჳსი
ჩემთჳს, მან ჰპოვოს იგი.
40. რომელმან შეგიწყნარნეს
თქუ̂ენ, მე შემიწყნარა; და რო-
მელმან მე შემიწყნაროს, შეიწ-
ყნაროს მომავლინებელი ჩემი.
41. რომელმან შეიწყნაროს
წინასწარ-მეტყუ̂ელი, სახელად წი-
ნასწარ-მეტყუ̂ელისა, სასყიდელი
წინასწარ-მეტყუ̂ელისა მიიღოს;
და რომელმან შეიწყნაროს მართა-
ლი, სახელად მართლისა, სასყი-
დელი მართლისა მიიღოს.
42. და რომელმან ასუ̂ას ერთ-
სა მცირეთაგანსა სასუ̂მელი ერთი
წყალი გრილი, სახელად მოწაფი-
სა; ამინ გეტყჳ თქუ̂ენ, არა წა-
რუწყმდეს სასყიდელი მისი.

## თ ა ვ ი 11.

1. და იყო რაჟამს დაასრულნა
იესო ბრძანებანი ესე ათ-ორმეტ-
თა მიმართ მოწაფეთა მისთა,
წარვიდა მიერ ქადაგებად და სწა-
ვლად ქალაქებსა მათსა.
2 ხოლო იოანეს რა ესმნეს
საპყრობილესა შინა საქმენი ქრი-
სტესნი, მიავლინნა ორნი მოწა-
ფენი თჳსნი.
3. და ჰრქუ̂ა: შენ ხარა მომა-
ვალი იგი, ანუ სხუ̂ასა მოველო-
დეთ?
4. ხოლო იესო მიუგო და
ჰრქუ̂ა მათ: მივედით და უთხართ
იოანეს, რომელი გესმის და ჰხე-
დავთ.
5. ბრმანი აღიხილვენ, მკე-
ლობელნი ვლენან, კეთროვანნი
განჰსწმდებიან და ყრუთა ესმის,
მკუ̂დარნი აღჰსდგებიან და გლახაკ-
თა ეხარების.
6. და ნეტარ-არს, რომელი
არა დაჰბრკოლდეს ჩემდა მომართ.
7. და ვითარცა ესენი წარვი-
დეს, იწყო იესო სიტყუ̂ად ერსა
მას იოანესთჳს: რასა გამოჰსუ̂ლ-
დით უდაბნოდ ხილვად? ლელწმი-
სა ქარისაგან შერყეულისა?
8. არამედ რასა გამოჰსუ̂ლდით
ხილუ̂ად? კაცისა, ჩჩჳლითა სამოს-
ლითა შემოსილისა? აჰა ესერა,
რომელნი ჩჩჳლითა სამოსლითა
შემოსილ არიან, სახლთა შინა სა-
მეუფოთა არიან.
9. არამედ რასა გამოჰსუ̂ლდით
ხილუ̂ად? წინასწარ-მეტყუ̂ელისა?
ჰე, გეტყჳ თქუ̂ენ, და უმეტეს წი-
ნასწარ-მეტყუ̂ელისა.
10. რამეთუ ესე არს, რომლი-
სა თჳს წერილ-არს: აჰა ესერა,
წარვავლინო ანგელოსი ჩემი წი-
ნაშე შენსა, რომელმან განჰმზად-
ნეს გზანი შენნი წინაშე პირსა
შენსა.
11. ამინ გეტყჳ თქუ̂ენ: არა
აღდგომილ არს ნაშობთაგანი დე-
დათა უფროს იოანე ნათლის-
მცემელისა; ხოლო უმცირესი სა-
სუფეველსა ცათასა უფროს მის-
სა არს.
12. რამეთუ დღითგან იოანე

ნათლის-მცემელისათ ვიდრე აქა-
მომდე სასუფეველი ცათა იიძუ-
ლების, და რომელნი აიძულებდენ
მას, მიიტაცონ იგი.
13. რამეთუ ყოველნი წინას-
წარ-მეტყუელნი და ჰსჯული ვიდ-
რე იოანესადმდე წინასწარ-მეტ-
ყუელებდეს.
14. და უკეთუ გნებავს შეწყნა-
რების, იგი არს ილია, რომელი
მოვალს.
15. რომელსა ასხენ ყურნი
სმენად, ისმინენ!
16. აწ ვის ვამსგავსო ნათე-
სავი ესე? მჰსგავს არს ყრმათა,
რომელნი სხენედ უბანთა, და მოუ-
წესედ მოყუასთა თჳსთა.
17. და ეტყჳედ მათ: გისტჳ-
ნევდით თქუენ, და არა ჰროკევ-
დით; გიგოდებდით, და არა იტ-
ყებდით.
18. რამეთუ მოვიდა იოანე,
არცა ჰსჭამდა, არცა ჰსუმიდა; და
იტყჳან: ვითარმედ ეშმაკეულ არს.
19. მოვიდა ძე კაცისა, ჰსჭამს და
ჰსუამს, და იტყჳან: აჰა კაცი, მჭა-
მელი და ღჳნის-მსმელი, მეგობარი
მეზუერეთა და ცოდვილთა. და
განმართლდა სიბრძნე შჳლთაგან
თჳსთა.
20. მაშინ იწყო იესო ყუედ-
რებად ქალაქებისა მის, სადა იგი
იქმნნეს უმრავლესნი ძალნი მის-
ნი, რამეთუ არა შეინანეს.
21. ვაჲ შენდა, ხორაზინ! და
ვაჲ შენდა, ბეთსაიდა! რამეთუ
ტჳროსს თუმცა და სიდონს იქ-
მნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს
თქუენ შორის, მაშინვე სამეძცა
ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარე-
თა შეინანეს.
22. ხოლო გეტყჳ თქუენ:
რამეთუ ტჳროსი და სიდონი უმო-
ლხინეს იყოს დღესა მას სასჯე-
ლისასა, ვიდრე თქუენ.
23. ხოლო შენ, კაპერნაუმ,
ნუ ცადმდე აჰმაღლდები, არამედ
ჯოჯოხეთადმდე შთაჰკდე; რამეთუ
სოდომს თუმცა იქმნნეს ძალნი, რო-
მელნი იქმნნეს შენ შორის, ჰგიანმცა
დღეინდელად დღედმდე.
24. ხოლო გეტყჳ თქუენ,
რამეთუ ქუეყანა იგი სოდომისა
უმოლხინეს იყოს დღესა მას სა-
სჯელისასა, ვიდრე შენ.
25. მას ჟამსა შინა, იტყოდა
იესო და ჰსთქუა: აღგიარებ შენ,
მამაო, უფალო ცისა და ქუეყანი-
საო! რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენ-
თაგან და მეცნიერთა, და გამოუც-
ხადე ესე ჩჩჳლთა.
26. ჰე, მამაო! რამეთუ ესრეთ
სათნო იყო შენ წინაშე.
27. ყოველივე მომეცა მე მა-
მისა ჩემისა მიერ, და არავინ იცის
ძეჲ, გარნა მამამან; არცა მამაჲ
ვინ იცის, გარნა ძემან, და რომ-
ლისა უნდეს ძესა, გამოცხად-
ნების.
28. მოვედით ჩემდა ყოველნი
მაშურალნი და ტჳრთ-მძიმენი, და
მე განგისუენო თქუენ.
29. აღიღეთ უღელი ჩემი
თქუენ ზედა, და ისწავეთ ჩემგან:
რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გუ-
ლითა; და ჰპოვოთ განსუენებაჲ
სულთა თქუენთა.
30. რამეთუ უღელი ჩემი

ტკბილ არს, და ტჳრთი ჩემი სუ-ბუქ არს.

## თ ა ვ ი 12.

1. მას ჟამსა შინა წარვიდოდა იესო დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა; ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია, და იწყეს მუსრვად თავსა კუვილისასა და ჭამად.
2. ხოლო ფარისეველთა მათ, იხილეს რა, ჰრქუჱს მას: აჰა, მოწაფენი შენნი იქმან, რომელი არა ჯერ-არს შაბათსა შინა საქმედ.
3. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რა იგი ჰყო დავით, ოდეს იგი შეემშია და მისთანათა მათ?
4. ვითარ იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა, და პურნი იგი შესაწირავთანი შეჰსჭამნა, რომელთა არა ჯერ იყო ჭამად მისა, არცა მისთანათა მათ, გარნა მღდელთა ხოლო?
5. ანუ არა აღმოგიკითხავსა ჰსჯულსა, რამეთუ შაბათთა შინა მღდელთა ტაძარსა მას შინა შაბათი შეურაცხ-ჰყჳან, და უბრალო იუნიან?
6. ხოლო გეტყჳ თქუჱნ, ვითარმედ ტაძრისა უფროს არს აქა.
7, უკეთუმცა გეცნა, რა არს: წყალობაჲ მნებავს, და არა მსხუჱრპლი; არამცა დაჰსაჯენით უბრალონი.
8. უფალ-არს მე კაცისა შაბათისაცა.
9. და წარმოვიდა მიერ იესო, და მოვიდა შესაკრებელსა მათსა.
10. და ჰპოვა მუნ კაცი ერთი, რომელსა ჴელი განჴმელ-ედგა; ჰკითხჳდეს მას, და ეტყოდეს: უკეთუ ჯერ-არს შაბათსა კურნება, რათამცა შეასმინეს იგი?
11. ხოლო იესო ჰრქუა მათ: ვინ არს თქუჱნგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი, და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა, არა-მე უპყრასა და აღმოიქუას იგი?
12. რაოდენ უმჯობეს არს კაცი ცხოვარისა! ამისთჳს ჯერ-არს შაბათსა შინა კეთილისა საქმე.
13. მაშინ ჰრქუა იესო კაცსა მას: განირთხ ჴელი შენი; და მან განირთხა ჴელი; და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი.
14. ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს, და ზრახუა ჰყუჱს მისთჳს, რათა წარჰსწყმიდონ იგი. ხოლო იესო გულის-ხმა-ჰყო, და განეშორა მიერ და წარვიდა.
15. და მიჰსდევდა მას ერი მრავალი, და განჰკურნნა იგი ყოველნი.
16. და ამცნო მათ, რათა არა გამოაცხადონ იგი.
17. რათა აღესრულოს თქმული იგი ისაია წინასწარ-მეტყუჱლისა, რომელსა იტყჳს:
18. აჰა ესერა, მე ჩემი, რომელი მე სათნო ვიყავ, საყუარელი ჩემი, რომელი ჰსთნავს სულსა ჩემსა; დავჰსდუა სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა მიუთხრას.
19. არა ჰსლდებოდეს, არცა ღა-

ღაღებდეს, არცა ესმეს ვის უბანთა ზედა ჴმა მისი.

20. ლერწამი შემუსრვილი არა განჰსტეხოს, და პატრუქი მბრძჳნვარე არა დაჰშრიტოს, ვიდრემდე გამოიღოს ძლევად სასჯელი.

21. და სახელსა მისსა წარმართნი ესჳდენ.

22. მაშინ მოჰგუარეს მას ეშმაკეული, ბრმა და ყრუ; და განჰკურნა იგინი, ვითარმედ ყრუ იგი და ბრმა ჰხედვიდა და იტყოდა.

23. და განუკჳრდებოდა ერსა მას, და იტყოდეს: ნუ უკუე ესე არს ძე დავითისი?

24. ხოლო ფარისეველთა მათ, ვითარცა ესმა ესე, იტყოდეს: ესე არა განასხამს ეშმაკთა, გარნა ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთათა.

25. იცოდნა იესო, ზრახვანი იგი გულისა მათისანი, და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფება, რომელი განევლთის თავსა თჳსსა, მოოკრდის; და ყოველი ქალაქი, გინა სახლი, რომელი განევლთის თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცოს.

26. და უკეთუ ეშმაკი ეშმაკსა განჰკდის, თავსა თჳსსა განევლთა: ვითარ დაჰმტკიცნეს მეუფება მისი?

27. და უკეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაჲთა განასხმენ? ამისთჳს იგინივე მსაჯულ თქუენდა იყუნენ.

28. უკეთუ მე სულითა ღმრთისათა განვასხამ ეშმაკთა, მოსამე-იწია თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისა.

29. ანუ, ვითარ ვის ჴელეწიფების სახლსა ძლიერისასა შესლუად და ჭურჭელი მისი გამოტყუენვად, უკეთუ არა პირველად შეჰკრას ძლიერი იგი? და მაშინღა სახლი მისი იავარ ჰყოს.

30. რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს.

31. ამისთჳს გეტყჳ თქუენ: ყოველი ცოდუა და გმობა მიეტეოს კაცთა; ხოლო სულისა წმიდისა გმობა არა მიეტეოს კაცთა.

32. და რომელმან ჰსთქუას სიტყუაჲ მისა კაცისათჳს, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან ჰსთქუას სულისა წმიდისა თჳს, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა მერმესა მას.

33. ანუ ჰყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ; ანუ ჰყავთ ხე იგი ხენეშ და ნაყოფიცა მისი ხენეშ; რამეთუ ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს.

34. ნაშობნო იქედნეთანო! ვითარ ჴელგეწიფების კეთილისა სიტყუად, რამეთუ თქუენ უკეთურნი ხართ? რამეთუ ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყჳს.

35. კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი; და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი.

36. ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველი სიტყუა უქმი, რომელსა იტყოდენ კაცნი, მიჰ-

სცენ სიტყჳსა მისთჳს დღესა მას
სასჯელისასა.
37. რამეთუ სიტყჳსათა შენ-
თაგან განჰმართლდე, და სიტყჳსა-
თა შენთაგან დაისაჯო.
38. მაშინ მივიეთმე უგეს
მწიგნობართაგან და ფარისეველთა
და ჰრქჳჱს: მოძღჳარ! გჳნებავს
შენგან სასწაულისა ხილჳად.
39. ხოლო თავადმან მიუგო
და ჰრქჳა მათ: ნათესავი ბორო-
ტი და მემრუშე სასწაულსა ეძი-
ებს; და სასწაული არა ეცეს მას,
გარნა სასწაული იგი იონა წი-
ნასწარ-მეტყჳჱლისა.
40. რამეთუ ვითარცა იგი
იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა
სამ-დღე და სამ-ღამე, ეგრეთ იყოს
ძე კაცისა გულსა ქჳჱყანისასა
სამ-დღე და სამ-ღამე.
41. კაცნი იგი ნინეველნი აღ-
ჰსდგენ სასჯელსა მას ნათესავი-
სა ამის თანა, და დაჰსჯიდენ მათ:
რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას
იონასსა; და აჰა ესერა, უფროს
იონასსა არს აქა.
42. დედოფალი იგი სამხრი-
სა აღჰსდგეს სასჯელსა მას ნათე-
სავისა ამის თანა, და დაჰსაჯოს
იგი; რამეთუ მოვიდა კიდით ქჳჱ-
ყანისათ სმენად სიბრძნესა სო-
ლომონისსა; და აჰა ესერა, უფროს
სოლომონისსა არს აქა.
43. ხოლო რაჟამს სული იგი
არა-წმიდა განვიდის კაცისაგან,
მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა,
და ეძიებნ განსჳჱნებასა, და არა
ჰპოვის.
44. მაშინ ჰსთქჳს: მივიქცე
სახედ ჩემდა, ვინაცა გამოვედ; და
მორავიდის, ჰპოვის იგი მოცალე,
განშჳჱნებული და შემკული.
45. მაშინ წარვიდის, და მოი-
ყჳანნის მის თანა სხჳანი შჳდნი
სულნი, უბოროტესნი მისა, და
მოვიდის, და დაემკჳდრის მუნ; და
იქმნის უკანასკნელი კაცისა მის
უძჳრეს პირველისა. ესრეთ ეყოს
ნათესავსა ამასცა უკეთურსა.
46. და იყო ვიდრე იგი ეტ-
ყოდაღა ერსა მას; აჰა ესერა, დე-
და მისი და ძმანი მისნი ჰსდგეს
გარე, და ეძიებდეს მას სიტყჳად.
47. მაშინ ჰრქჳა ვინმე მას:
აჰა დედა შენი და ძმანი შენნი
ჰსდგანან გარეშე, და უნებს რამე
სიტყჳად შენდა.
48. ხოლო იესო მიუგო მე-
ტყჳჱლსა მას და ჰრქჳა: ვინ არს
დედა ჩემი? ანუ ვინ არიან ძმანი
ჩემნი?
49. და მიჰყო კელი მისი მო-
წაფეთა მიმართ თჳსთა, და ჰსთ-
ქჳა: აჰა, დედა ჩემი და ძმანი
ჩემნი.
50. რემეთუ რომელმან ჰყოს
ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათასა,
იგი არს ძმა, და დაჲ, და დედა
ჩემი.

## თავი 13.

1. მას დღესა შინა გამოვიდა
იესო სახლისა მისგან, და დაჰს-
ჯდა იგი ზღჳს-კიდესა.
2. და შეჰკრბა მისა ერი მრა-
ვალი, ვიდრე შესლჳადმდე მისა
ნავად, და დაჯდომად; და ყოველი
იგი ერი ზღჳს-კიდესა ჰსდგა.

3. და ეტყოდა მათ მრავალსა
იგავით, და ჰრქჳა: ესერა, გამო-
ვიდა მთესვარი თესვად.
4. და თესვასა მას მისსა, რო-
მელიმე დაჰვარდა გზასა ზედა;
და მოვიდეს მფრინჳჱლნი ცისანი,
და შესჭამეს იგი.
5. და სხჳა დაჰვარდა კლდო-
ვანსა ზედა, სადა არა იყო მიწა
ფრიად; და მეყჳსეულად აღმოს-
ცენდა, და რამეთუ არა იყო სიღ-
რმე მიწისა.
6. მზე რა აღმოჰკდა, დაჰსც-
ხა, და რამეთუ ძირნი არა დაებ-
ნეს, განჰკმა.
7. და სხჳა იგი დაჰვარდა
ეკალთა შორის, და აღმოჰსცენდეს
ეკალნი, და შეაშთჳჱს იგი.
8. და რომელიმე დაჰვარდა
ქჳჱყანასა კეთილსა, და მოჰსცემდა
ნაყოფსა: რომელიმე ასსა, რომე-
ლიმე სამეოცსა, რომელიმე ოც-
და-ათსა.
9. რომელსა ასხენ ყურნი სმე-
ნად, ისმინენ!
10. და მოუკდეს, მოწაფენი
და ჰრქჳჱს მას: რასათჳს იგავით
ეტყჳ მათ?
11. ხოლო იესო ჰრქჳა მათ:
თქჳჱნდა მოცემულ არს ცნობად
საიდუმლო სასუფეველისა ცათასა,
ხოლო მათდა არა მიცემულ არს.
12. რამეთუ რომელსა აქჳნ-
დეს, მიეცეს, და მიემატოს; და
რომელსა არა აქჳნდეს, და რო-
მელდა იგი აქჳს, მოვეღოს მას.
13. ამისთჳს იგავით ვეტყჳ
მათ, რამეთუ ჰხედჳჱნ და არა
ჰხედვენ, ესმის და არა ესმის, არ-
ცა გულის-კმა-ჰყჳან.
14. და აღესრულების მათ ზე-
და წინასწარ-მეტყჳჱლება იგი
ისაიასი; სმენით გესმოდეს, და
არა გულის-კმა-ჰყოთ; ხედჳთ
ჰხედჳდეთ, და არა იხილოთ.
15. რამეთუ განჰზრქა გული
ერისა ამის, და ყურითა მძიმედ
ისმინეს, და თჳალნი მათნი და-
იწუხნეს, ნუ უკჳჱ იხილონ თჳა-
ლითა, და ყურითა ისმინონ, და
გულითა გულის-კმა-ჰყონ, და მო-
იქცენ, და მე განვჰკურნნე იგინი.
16. ხოლო თჳალნი თქჳჱნ-
ნი ნეტარ არიან, რამეთუ ჰხედ-
ჳჱნ, და ყურნი თქჳჱნნი, რამე-
თუ ესმის.
17. ამინ გეტყჳ თქჳჱნ, რა-
მეთუ მრავალთა წინასწარ-მეტყუ-
ჳჱლთა და მართალთა გული უთქ-
მიდა ხილჳად, რომელსა თქჳჱნ
ჰხედავთ, და არა იხილეს, და სმე-
ნად, რომელი გესმის, და არა
ესმა.
18. ხოლო თქჳჱნ ისმინეთ
იგავი ესე მთესვარისა.
19. ყოველსა, რომელსა ეს-
მის სიტყჳა სასუფეველისა და
არა გულის-კმა-ჰყოს, მოვიდის
უკეთური იგი, და მიჰსტაცის დათე-
სული იგი გულისაგან მისისა:
ესე არს, რომელი იგი გზასა ზე-
და დაეთესა.
20. ხოლო რომელი იგი
კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს,
რომელმან სიტყჳა იგი ისმინის,
და მეყჳსეულად სიხარულით მი-
იღის იგი;

21. ხოლო მირი არა აქუნ გულსა თჳსსა, არამედ საწუთრო არნ; და რაჟამს არნ ჭირი ანუ დევნა სიტყჳსა მისთჳს, მეყუსეულად დაჰბრკოლდის იგი.

22. ხოლო რომელი იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს, რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის, და ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთჳს სიტყუა იგი, და უნაყოფო იქმნის.

23. ხოლო რომელი იგი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა, ესე არს, რომელმან სიტყუა იგი ისმინა და გულის-ჴმა-ჰყო, რომელმან გამოიღო ნაყოფი და ჰყო, რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი, და რომელმანმე ოცდა-ათი.

24. სხუა იგავი დაუდგა მათ, და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისა კაცსა, რომელმან დაჰსთესა თესლი კეთილი აგარაკსა თჳსსა.

25. და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი, და დასთესა ღვარძლი შორის იფქლსა მას, და წარვიდა.

26. ხოლო ოდეს აღმოჰსცენდა ჯეჯლი იგი, და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჰსჩნდა ღუარძლი იგი.

27. მოვიდეს მონანი იგი, და უთხრეს სახლისა-უფალსა მას და ჰრქუეს: უფალო! ანუ არა თესლი კეთილი დაჰსთესე აგარაკსა შენსა? ვინა აღმოსცენდა ღუარძლი?

28. ხოლო მან ჰრქუა: მტერმან კაცმან ჰყო იგი. ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: გნებავსა, რათა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი?

29. ხოლო მან ჰრქუა მათ: არა; ნუ უკუე, შეკრებასა ღუარძლისასა, აღმოჰფხურათ იფქლიცა.

30. აცადეთ იგი თანა აღორძინებად ურთიერთარს ვიდრე ჟამადმდე მკისა, და ჟამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ; შეჰკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი, და შეჰკართ მნეულად, რათა დაიწუას იგი; ხოლო იფქლი იგი შეჰკრიბეთ საუნჯესა ჩემსა.

31. სხუასა იგავსა ეტყოდა მათ, და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათა მარცუალსა მდოგჳსასა, რომელი მოიღო კაცმან და დაჰსთესა თჳსსა მტილსა.

32. რომელი, უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძნდის, უფროს ყოველთა მხალთა არნ იგი, და იქმნის იგი ხე დიდ, ვიდრემდის მოვიდიან მფრინველნი ცისანი, და დაადგრიან რტოთა მისთა.

33. მერმე სხუასა იგავსა ეტყოდა მათ, და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათა ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან, და შეჰრთო იგი ფქჳლსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუვნა იგი ყოვლად.

34. ამას ყოველსა ეტყოდა იესო იგავით ერსა მას, და თჳნიერ იგავისა არა რას ეტყოდა მათ;

35. რათა აღესრულოს სიტყუა იგი წინასწარ-მეტყუელისა

მიერ, თქმული: აღვაღო იგავით
პირი ჩემი, და ვიტყოდე დაფა-
რულთა დასაბამითგან სოფლი-
სათ.

36. მაშინ დაუტევა იესო ერი
იგი, და მოვიდა სახლსა. და მოუხ-
დეს მას მოწაფენი მისნი, და ჰრ-
ქუეს: განმოგჳთარგმანე ჩუენ იგა-
ვი იგი ღუარძლისა და აგარაკისა.

37. ხოლო თავადმან მიუგო
და რქუა მათ: რომელი ჰსთესავს
თესლსა კეთილსა, ძე კაცისა არს.

38. ხოლო აგარაკი იგი ესე
სოფელი არს; ხოლო თესლნი
იგი კეთილნი, ესე არიან ძენი
სასუფეველისანი; და ღუარძლნი
იგი არიან ძენი უკეთურისანი.

39. ხოლო მტერი იგი, რო-
მელმან დასთესა, იგი ეშმაკი არს;
და მკა იგი არს აღსასრული ამის
სოფლისა, და მომკალნი იგი არი-
ან ანგელოსნი.

40. ვითარცა იგი შეჰკრიბიან
ღუარძლი, და ცეცხლითა დაჰს-
წჳან; ეგრეთ იყოს აღსასრული
ამის სოფლისა.

41. რამეთუ მოავლინნეს ძე-
მან კაცისამან ანგელოსნი თჳსნი,
და შეჰკრიბნენ სუფევისაგან მისისა
ყოველნი საცთურნი და მოქმედ-
ნი უსჯულოებისანი.

42. და შეჰსთხინენ იგინი
საკმილსა მას ცეცხლისასა; მუნ
იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა.

43. მაშინ მართალნი გამობრ-
წყინდენ, ვითარცა მზე, სასუფე-
ველსა მამისა მათისასა. რომელსა
ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ.

44. კუალად: მსგავს არს სა-
სუფეველი ცათა საუნჯესა, და-
ფარულსა ყანასა შინა, რომელი
ჰპოვა კაცმან და დაჰმალა, და სიხა-
რულითა მით მისთჳს წარვიდა,
და განჰყიდა ყოველი, რაცა აქუნ-
და, და მოიყიდა აგარაკი იგი.

45. მერმე: მსგავს არს სასუ-
ფეველი ცათა კაცსა ვაჭარსა, რო-
მელი ეძიებნ კეთილთა მარგა-
რიტთა.

46. და ჰპოვის რა ერთი მარ-
გარიტი მრავალ-სასყიდლისა, წარ-
ვიდა, და განჰყიდა ყოველივე,
რაჲცა ედვა, და მოიყიდა იგი.

47. მერმე: მსგავს არს სასუ-
ფეველი ცათა სათრომელსა ზღუ-
სა, რომელი ჰსდვიან ზღუასა,
რომელმან ყოველთაგან თევზთა
შეჰკრიბის.

48. და ოდეს აღივსის, გა-
მოიღიან იგი ზღჳს-კიდესა, და
დასხდიან, და შეჰკრიბიან კეთილი
იგი ჭურჭელსა, ხოლო ჯერკუა-
ლი იგი გარე-განჰსთხიიან.

49. ესრეთ იყოს აღსასრული
ამის სოფლისა: რამეთუ გამოვი-
დენ ანგელოსნი, და განაშორნენ
უკეთურნი იგი შორის მართალთა.

50. და შესთხინენ იგინი შო-
რის საჰმილსა მას ცეცხლისასა:
მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა
კბილთა.

51. ჰრქუა იესო მოწაფეთა
თჳსთა: გულის - კმა - ჰყავთა ესე
ყოველი? ხოლო მათ ჰრქუეს მას:
ჰე, უფალო!

52. და ჰრქუა მათ: ამისთჳს
ყოველი მწიგნობარი, დამოწა-
ფებული სასუფეველსა ცათასა,

მსგავს არს იგი კაცსა სახლისა-
უფალსა, რომელმან გამოიღის
საუნჯისაგან თჳსისა ძუ̂ელი და
ახალი.
53. და იყო, რაჟამს დაასრულ-
ნა იესო იგავნი ესე, წარვიდეს
მიერ.
54. და მოვიდა მამულად თჳ-
სად, და ასწავებდა მათ შესაკრე-
ბელთა შორის მათთა, ვიდრემ-
დის განუკჳრდებოდა მათ, და იტ-
ყოდეს: ვინა არს ამისა სიბრძნე
ესე და ძალი?
55. ანუ არა ესე არსა ხურო-
სა მის ძე? ანუ არა დედასა მის-
სა ჰრქჳან მარიამ, და ძმანი მის-
ნი იაკობ და იოსე, და სჳმონ და
იუდა?
56. და დანი მისნი არა ყო-
ველნი ჩუ̂ენ შორის არიანა? ვინა
უკუ̂ე არს ამისა ესე ყოველი?
57. და დაჰბრკოლდებოდეს მის-
თჳს. ხოლო იესო ჰრქუ̂ა მათ:
არა არს წინასწარმეტყუ̂ელი შე-
ურაცხ, გარნა სოფელსა თჳსსა
და სახლსა შინა თჳსსა.
58. და არა ჰქმნა მუნ ძალნი
მრავალნი ურწმუნოებისა მათი-
სათჳს.

## თავი 14.

1. მას ჟამსა შინა ესმა იერო-
დის ოთხთა მათ სამთავროთა მთა-
ვარსა, ამბავი იესოსი,
2. და ჰრქუ̂ა მონათა თჳსთა:
ესე არს იოანე ნათლის-მცემელი;
იგი აღდგომილ არს მკუ̂დრეთით
და მისთჳს იქმნებიან ძალნი ესე
მისთანა.
3. რამეთუ ამან იროდი, შე-
იპყრა იოანე, და შეჰბორკილა იგი,
და საპყრობილესა შეაყენა იერო-
დიასთჳს, ცოლისა ფილიპპეს,
ძმისა თჳსისა.
4. რამეთუ ეტყოდა მას იო-
ანე: ვითარმედ არა ჯერ არს
შენდა ვითარმცა გესუ̂ა იგი ცო-
ლად.
5. და უნდაღათუ მისი მოკ-
ლუ̂აჲ, არამედ ეშინოდა ერისა
მის; რამეთუ ვითარცა წინასწარ-
მეტყუ̂ელი ეპყრა მათ იგი.
6. და ვითარცა შობისა დღე-
ნი იყუ̂ნეს იეროდისნი, ჰროკჳდა
ასული იეროდიასი შორის, და ჰსთ-
ნდა იეროდის როკვაჲ იგი მისი,
7. რომლისათჳს ფიცით აღუ-
თქუ̂ა მას მიცემად, რაჲცა ითხო-
ვოს.
8. ხოლო იგი, წინასწარ-ბი-
რებულ-იყო დედისაგან თჳსისა,
და ჰრქუ̂ა: მომეც მე აქა ლაკნითა
თავი იოანესი ნათლის-მცემელისა.
9. და შეღათუ ჰსწუხნა მეფე
იგი, არამედ, ფიცისა მისთჳს და
მისთანა მეინაკეთა, ჰბრძანა მიცე-
მად იგი მას.
10. და მიავლინა და მოჰკუ̂ეთა
თავი იოანესი საპყრობილესა
შინა.
11. და მოართუ̂ეს თავი მისი
ლაკნითა, და მიჰსცეს ქალსა მას,
და მან მიართუ̂ა დედასა თჳსსა.
12. და მოვიდეს მოწაფენი მის-
ნი, და წარიღეს გუ̂ამი მისი, და
დაჰფლეს იგი; და მოვიდეს და
უთხრეს იესოს.
13. ხოლო, ესმა რა ესე იე-

სოს, განეშორა მიერ ნავითა და
წარვიდა უდაბნოსა ადგილსა თჳ-
საგან; და ვითარცა ესმა ერსა მას,
მიჰსდევდეს მას მკჳრცხლ ქალა-
ქებისაგან.

14. და გამოვიდა იესო და იხი-
ლა ერი მრავალი და შეეწყალნეს
იგინი, და განჰკურნნა სნეულნი
მათნი.

15. და ვითარცა შემწუხრდა,
მოუხდეს მოწაფენი მისნი, და
ჰრქუეს მას: უდაბნო არს ადგი-
ლი ესე და ჟამი გარდასრულ არს;
განუტევე ერი ესე, რათა წარვი-
დენ გარემო დაბნებსა და იყიდონ
თავისა თჳსისა საზრდელი.

16. ხოლო იესო ჰრქუა მათ:
არა უჴმს მათ წარსლვა; თქუენ
ეცით მაგათ ჭამადი.

17. ხოლო მათ ჰრქუეს მას:
არა გუაქუს აქა, გარნა ხუთი პუ-
რი და ორი თევზი.

18. ჰრქუა მათ იესო: მომარ-
თჳთ მე იგი აქა.

19. და უბრძანა ერსა მას და-
სხდომად თივასა ზედა, და მოი-
ღო ხუთი იგი პური და ორი თე-
ვზი, აღიხილნა ზეცად, და აკურ-
თხა, და განჰსტეხა, და მიჰსცნა პურ-
ნი იგი მოწაფეთა თჳსთა, და მო-
წაფეთა მათ მიჰსცეს ერსა მას.

20. და ჰსჭამეს ყოველთა, და
განჰსძღეს, და აღიღეს ნეშტი ნა-
მუსრევი ათ-ორ-მეტი გოდორი
სავსე.

21. ხოლო იყუნეს, რომელთა
იგი ჰსჭამეს, მამანი ხოლო, ხუთ-
ათას, თჳნიერ ყრმებისა და დედებისა.

22. და მეყსეულად აიძულა
მოწაფეთა შესლვად ნავსა, და წი-
ნა-წარმძღუანვად მისა წიაღ-კერძო,
ვიდრემდე განუტეოს ერი იგი.

23, და ვითარცა განუტევა ერი
იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თჳ-
საგან; და შერამწუხრდა მარტო
იყო მუნ.

24. ხოლო ნავი იგი განშო-
რებულ იყო ქუეყანით მრავალ-
უტევან, და იგუემებოდა ღელუა-
თაგან; რამეთუ იყო ქარი იგი
პირით კერძო.

25. და მეოთხესა საჴმილავსა
ღამისასა მოვიდა მათდა იესო,
სლჳთ ზღუასა მას ზედა.

26. ხოლო მოწაფეთა, ვითარ-
ცა იხილეს ვიდოდა რა ზღუასა
მას ზედა, შეჰსძრწუნდეს, და ჰსთ-
ქუეს: ვითარმედ საოცარ რამე
არს; და შიშისაგან ღაღად-ჰყუეს.

27. მეყსეულად ეტყოდა მათ
იესო, და ჰრქუა: კადნიერ-იყუე-
ნით; მე ვარ, ნუ გეშინინ.

28. მიუგო პეტრე და ჰრქუა
მას: უფალო! უკეთუ შენ ხარ,
მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალ-
თა ამათ ზედა.

29. ხოლო მან ჰრქუა: მოვედ.
და გარდამოვიდა პეტრე ნავით და
ვიდოდა წყალთა მათ ზედა და მო-
ვიდოდა იესოისა.

30. და ვითარცა იხილა ქარი
იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო
დანთქმად, ღაღად-ჰყო და ჰსთქუა:
უფალო, მიჴსენ მე.

31. და მეყსეულად განჰყო
კელი იესო, უპყრა მას, და ჰრქუა:

მცირედ მორწმუნეო! რასა შეორგულდი?

32. და ვითარცა აღვიდეს იგინი ნავსა მას, დაჰსცხრა ქარი იგი.

33. ხოლო რომელნი იგი ნავსა მას შინა იყუნეს, მოუკდეს და თაყუანის-ჰსცეს მას, და ეტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისა ხარ შენ.

34. და განვიდეს და მივიდეს მიერ ქუეყანასა მას გენესარეთისასა.

35. და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა, და წარავლინეს ყოველსა მას სანახებსა, და მოართუეს მას ყოველი ბოროტად-ვნებული.

36. და ევედრებოდეს მას, რათა შეხოლო ახონ ფესუსა სამოსლისა მისისასა, და რაოდენთა შეახეს, ჰსცხოუნდეს.

## თავი 15.

1. მაშინ მოუხდეს იესოს იერუსალიმით ფარისეველნი და მწიგნობარნი და ეტყოდეს:

2. რასათჳს მოწაფენი შენნი გარდავლენ მოძღურებასა ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანიან კელნი, რაჟამს პურსა ჰსჭამედ.

3. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: და რაჲსათჳს თქუენცა გარდაჰხვალთ მცნებასა ღმრთისასა მოძღურებითა თქუენითა?

4. რამეთუ ღმერთმან ჰსთქუა: პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; და რომელმან ჰსთქუას ბოროტი მამისთჳს გინა დედისა, სიკუდილით მოჰკუედინ.

5. ხოლო თქუენ ჰსთქუთ: რომელმან ჰრქუას მამასა თჳსსა გინა დედასა თჳსსა: ნიჭი, რომელი ჩემგან სარგებელ-გეყო;

6. და არა პატივ-ჰსცეს მამასა, ანუ დედასა თჳსსა. ესე ვითართა დაუმტკიცებელ ჰყავთ მცნებაჲ ღმრთისა მოძღურებითა თქუენითა.

7. ორგულნო! კეთილად წინასწარ-მეტყუელებდა თქუენთჳს ისაია და ჰსთქუა:

8. მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა, და ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე; ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან.

9. ამაოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა.

10. და მოუწოდა ერსა მას და ეტყოდა: ისმინეთ და გულის-კმაჰყავთ!

11. არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა.

12. მაშინ მოუკდეს იესოს მოწაფენი მისნი და ჰრქუეს მას: უწყია, რამეთუ ფარისეველთა რა ესმა სიტყუა იგი, დაჰბრკოლდეს?

13. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ყოველი ნერგი, რომელი არა დაჰნერგა მამამან ჩემმან ზეცათამან, მირითურთ აღიფხურას.

14. უტევენით ეგე, რამეთუ ბრმანი არიან და წინა-მძღუარნი ბრმათანი; ხოლო ბრმა ბრმასა

თუ წინა უძღჳნ, ორნივე მთხრებლსა შთაცჳვიან.

15. მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: განმოგვითარგმანე ჩუენ იგავი ესე.

16. ხოლო იესო ჰრქუა მას: თქუენცა უგულის-ჴმოვე ხართ?

17. და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი შევალს პირით, მუცლად შევალს, და განსავალით განვალს?

18. ხოლო გამომავალი პირით გულისაგან გამოვალს და იგი შეაგინებს კაცსა.

19. რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლუანი, მრუშებანი, სიძუანი, პარვანი, ცილის-წამებანი, გმობანი.

20. ესენი არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა; ხოლო უბანელითა ჴელითა ჭამა, არა შეაგინებს კაცსა.

21. და წარვიდა მიერ იესო და მივიდა ადგილთა ტჳროსისა და სიდონისათა.

22. და აჰა ესერა, დედაკაცი ქანანელი, საზღუართა მათგან გამოვიდა, ღაღადებდა და იტყოდა: შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისო! რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს.

23. ხოლო იესო არა მიუგო მას სიტყუა; და მოუჴდეს მოწაფენი იესოს და ჰრქუეს მას: განუტევე ეგე, რომელი ღაღადებს და შეგჳდგს ჩუენ.

24. ჰრქუა მათ იესო: არა ვიდრე მოვლინებულ ვარ გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაელისათა.

25. ხოლო იგი მოუჴდა, და თაყუანის-ჰსცემდა მას, და ეტყოდა: უფალო! შემიწყალე მე.

26. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მას: არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძაღლთა.

27. ხოლო მან ჰრქუა: ჵე უფალო! რამეთუ ძაღლნიცა ჰსჭამენ ნაბიჭუეისაგან, რომელ გარდამოსცჳვიან ტაბლისაგან უფალთა მათთასა.

28. მაშინ მიუგო იესო და ჰრქუა მას: ჵი დედაკაცო! დიდ არს სარწმუნოება ეგე შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს. და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ჟამითგან.

29. და წარვიდა მიერ იესო, და მოვიდა ზღჳს-კიდესა მას გალილეასასა, და აღვიდა მთასა, და დაჰჯდა მუნ.

30. და მოუჴდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყუა მათ თანა მკელობლები, ბრმები, ყრუნი, ქუტ-წამმრომელნი, და სხუანი მრავალნი თითო-სახეთაგან სენთა შეპყრობილნი, და დაჰსხნეს იგინი ფერჴთა თანა მისთა, და განჰკურნნა იგინი.

31. ვიდრე უკვირდაცა ერსა მას, ჰხედჳდეს რა, ვითარ იგი ყრუნი იტყოდეს, და მკელობელნი ვიდოდეს, და ღრეკილნი განიკურნებოდეს, და ბრმანი ჰხედჳდეს, და ადიდებდეს ღმერთსა ისრაელისასა.

32. ხოლო იესო მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა, და ჰრქუა მათ: მეწყალჳს ერი ესე, რამეთუ აჰა

ესერა, სამი დღე არს და მელიან მე, და არა რა აქუს, რათამცა ჰსჭამეს; და განტევება მათი უზმათა არა მნებავს, ნუ უკუჱ დაჰსცჳვენ გზასა ზედა.

33. ჰრქუჱს მას მოწაფეთა მის-თა: ვინა არს ჩუჱნდა უდაბნოსა ზედა, პური ესოდენ ვითარმცა გან-ძღა ერი ესოდენი? ჰრქუა მათ იესო: რაოდენი პური გაქუს? ხოლო მათ ჰრქუჱს მას: შჳდი პური, და მცი-რედ თევზი.

34. და უბრძანა ერსა მას და-სხდომაჲ ქუჱყანასა ზედა.

35. და მოიღო შჳდი იგი პუ-რი და თევზნი, ჰმადლობდა, გან-ჰსტეხა, და მიჰსცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი მიჰსცემდეს ერსა მას.

36. ჰსჭამეს ყოველთა, და გან-ჰსძღეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შჳდი სფირიდი სავსე.

37. ხოლო რომელთა ჰსჭამეს იყუნეს ოთხ-ათას მამანი ხოლო, თჳნიერ ყრმებისა და დედებისა.

38. და განუტევა ერი იგი, და აღვიდა იესო ნავსა, და მოვიდა საზღუართა მაგდალოსათა.

## თ ა ვ ი 16.

1. და მოუკდეს მას ფარისე-ველნი და სადუკეველნი, გამო-ჰსცდიდეს მას და ეტყოდეს, რათა სასწაული ზეცით უჩუჱნოს მათ.

2. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: შერამწუხრდის, ჰსთ-ქუთ: მყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცა;

3. და განთიად ჰსთქუთ: ზამ-თარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცა. ორგულნო! პირი სამე ცისა იცით ცნობად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ გიცნო-ბიეს გულის-კმის-ყოფად?

4. ნათესავი ბოროტი და მემ-რუშე სასწაულსა ეძიებს; და სას-წაული არა ეცეს მას, გარნა სას-წაული იონა წინასწარ-მეტყუჱ-ლისა; და დაუტევნა იგინი და წარ-ვიდა.

5. და მორავიდეს მოწაფენი მისნი მიერ წიაღ, და დაავიწყდა მათ პური მიღებად.

6. ხოლო იესო ჰრქუა მათ: იხილეთ და ეკრძალენით ცომი-საგან ფარისეველთასა და სადუკე-ველთასა.

7. ხოლო იგინი განიზრახჳ-დეს გულსა თჳსსა და იტყოდეს: ვათარმედ პური არა მოვიღეთ.

8. გულის-კმა-ჰყო იესო და ჰრქუა მათ: რასა ჰზრახავთ გულ-თა შინა თქუჱნთა, მცირედ-მორ-წმუნენო, რამეთუ პურნი არა მოიხუჱნით?

9. არა გიცნობიეს, არცა მოი-კსენეთ ხუთთა მათ პურთა და ხუთ-ათასთა მათ, და რაოდენი გოდორი აღიღეთ?

10. და არცა შჳდთა მათ პურ-თა და ოთხ-ათასთა მათ, და რაო-დენი სფჳრიდი აღიღეთ?

11. ვითარ არა გიცნობიეს, რამეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუჱნ: ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთასა და სადუკეველთასა?

12. მაშინ გულის-კმა-ჰყუჱს,

რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალვად
ცომისაგან პურისა, არამედ მოძ-
ღურებისაგან ფარისეველთასა და
სადუკეველთასა.
13. მოვიდა იესო ადგილთა
მათ კესარია-ფილიპპესთა, ჰკით-
ხჳდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა:
რა ჰსთქუან ჩემთჳს კაცთა, ძისა
კაცისა ყოფად?
14. ხოლო მათ ჰრქუეს: რო-
მელთამე იოანნე ნათლის-მცემე-
ლი, რომელთამე ილია, და სხუა-
თა იერემია, გინა ერთი წინა-
სწარმეტყუელთაგანი.
15. ხოლო მან ჰრქუა მათ:
თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?
16. მიუგო სჳმონ პეტრე და
ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძე
ღმრთისა ცხოველისა.
17. მიუგო იესო და ჰრქუა მას:
ნეტარ-ხარ შენ, სჳმონ, ბარ იო-
ნა; რამეთუ ჴორცთა და სისხლთა
არა გამოგიცხადეს, არამედ მამა-
მან ჩემმან ზეცათამან.
18. და მე გეტყჳ შენ: რამეთუ
შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა
აღვაშენო ეკკლესია ჩემი, და ბჭე-
ნი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეო-
დენ მას.
19. და მიგცნე შენ კლიტენი
სასუფეველისა ცათასანი, და რო-
მელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა,
კრულ იყოს იგი ცათა შინა; და
რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზე-
და, ჴსნილ-იყოს იგი ცათა შინა.
20. მაშინ ამცნო მოწაფეთა
თჳსთა, რათა არა ვის უთხრან,
ვითარმედ იგი არს იესო ქრისტე.
21. მიერითგან იწყო იესო
უწყებად მოწაფეთა თჳსთა, ვითარ-
მედ ჯერ-არს მისა იერუსალიმად
აღსლუა, და ფრიად ვნება მღუ-
დელთ-მთავართაგან და მწიგნობარ-
თა და მოხუცებულთა, და მოკლვად
და მესამესა დღესა აღდგომად.
22. და მოუკდა მას პეტრე და
იწყო ბრალობად მისა, და ჰრქუა:
შენდობა იყავნ შენდა, უფალო!
არა იყოს ეგრე.
23. ხოლო თავადი მიექცა
პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან,
სატანა; საცთურ ჩემდა ხარ; რა-
მეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა,
არამედ კაცთასა.
24. მაშინ ჰრქუა იესო მოწა-
ფეთა თჳსთა: რომელსა ჰნებავს
შემოდგომად ჩემდა; უარ-ჰყავნ თა-
ვი თჳსი, და აღიღენ ჯუარი თჳ-
სი, და შემომიდეგნ მე.
25. რამეთუ უკეთუ ვისმე უნ-
დეს სული თჳსი განარინებად, წა-
რიწყმიდოს იგი; და რომელმან წა-
რიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს,
მან ჰპოვოს იგი.
26. რამეთუ რა სარგებელ
ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყო-
ველი შეიძინოს, და სული თჳსი
იზღვიოს? ანუ რა მისცეს კაც-
მან ნაცვლად სულისა თჳსისა?
27. რამეთუ მოსლვად არს
ძე კაცისა დიდებითა მამისა თჳ-
სისათა ანგელოსთა მისთა თანა;
და მაშინ მისცეს კაცად-კაცადსა
საქმეთა მათთა-ებრ.
28. ამინ გეტყჳ თქუენ: რა-
მეთუ არიან ვინმე აქა-მდგომარეთა-
განნი, რომელთა არა იხილონ გე-
მო სიკუდილისა, ვიდრემდე იხი-

ლონ ძე კაცისა, მომავალი სუფე-
ვითა თჳსითა.

## თავი 17.

1. და შემდგომად ექუსისა დღისა, წარიყუანნა იესო პეტრე, და იაკობ, და იოანე, ძმა მისი, და აღიყუანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან.

2. და იცუალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განჰბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი.

3. და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე და ილია მის თანა, და თანა-ჰზრახჳდეს.

4. მიუგო პეტრე და ჰრქუა იესოს: უფალო! კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა, და თუ გნებავს, ვჰქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, და ერთი მოსესა, და ერთი ილიასა.

5. და ვიდრელა იგი ამას იტყოდა, აჰა ესერა, ღრუბელი ნათლისა აგრილობდა მათ, და აჰა ჴმა იყო ღრუბლით გამო და ჰსთქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ.

6. და ესმა რა ესე მოწაფეთა, დაჰვარდეს პირსა ზედა თჳსსა, და შეეშინათ ფრიად.

7. და მოუხდა მათ იესო, შეახო ჴელი, და ჰრქუა: აღსდეგით და ნუ გეშინინ.

8. და აღრაიხილნეს თუალნი მათნი, არავინ იხილეს, გარნა იესო ხოლო მარტო.

9. და გარდამოვიდოდეს იგინი მიერ მთით, ამცნო მათ იესო და ჰრქუა: ნუვის უთხრობთ ხილუასა ამას, ვიდრემდის ძე კაცისა მკუდრეთით აღსდგეს.

10. და ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა და ეტყოდეს: ვითარ უკუე იტყჳან მწიგნობარნი, ვითარმედ ილიასი ჯერ-არს პირველად მოსლუა?

11. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: ილია მოვიდეს პირველად და კუალად-აგოს ყოველი.

12. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ილია აწვე მოვიდა და არა იცნეს იგი, არამედ უყუეს მას, რაოდენი უნდა; და ეგრეთვე ძე-ცა კაცისასა ეგულების ვნებად მათგან.

13. მაშინ გულის-ჴმა-ჰყუეს მოწაფეთა, რამეთუ იოანე ნათლის-მცემელისა თჳს ჰრქუა მათ.

14. და ვითარცა მოვიდეს იგინი ერისა მის, მოუხდა მას კაცი ერთი, მუჴლნი დაიდგნა მის წინაშე,

15. და ეტყოდა: უფალო! შეიწყალე ძეჲ ჩემი; რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების; რამეთუ მრავალ-გზის შთაჰვარდის იგი ცეცხლსა, და მრავალ-გზის წყალსა.

16. და მოვჰგუარე იგი მოწაფეთა შენთა, და ვერ შეუძლეს განკურნებად მისა.

17. მიუგო იესო და ჰრქუა მას: ჵ ნათესავი ურწმუნო და გულარძნილი! ვიდრემდის ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა.

18. და ვითარცა მოჰგუარეს, შეჰრისხნა მას იესო, და განვიდა მისგან ეშმაკი იგი, და განიკურნა ყრმა იგი მიერ-ჟამითგან.

19. მაშინ მოუჴდეს იესოს მოწაფენი თჳსაგან და ჰრქუჱს: რასათვის ჩუჱნ ვერ შეუძლეთ განჴდად მისა.

20. ხოლო იესო ჰრქუა მათ: ურწმუნოებისა თქუჱნისა თჳს; ამინ გეტყჳ თქუჱნ: უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოება, ვითარცა მარცუალი მდოგჳსა, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცუალე ამიერ იქი, და მიიცუალოს, და არა რა შეუძლებელ იყოს თქუჱნ მიერ.

21. ხოლო ესე ნათესავი არა-რათ განჰვალს, გარნა ლოცჳთა და მარხჳთა.

22. და ვითარცა იქცეოდეს იგინი გალილეას, ჰრქუა მათ იესო: ვითარმედ ეგულუჱბის ძესა კაცისასა მიცემად ჴელთა კაცთასა.

23. და მოჰკლან იგი, და მესამესა დღესა აღჰსდგეს; ხოლო იგინი შეჰსწუხნეს ფრიად.

24. და ვითარცა მოვიდეს იგინი კაპერნაუმად, მოუჴდეს მას რომელნი იგი დიდრაქმასა შეჰკრებდეს, და ჰრქუჱს პეტრეს: მოძღუარმან თქუჱნმან არა მოგუცეს ხარკი?

25. ხოლო მან ჰრქუა: ჱე. და ვითარცა შევიდა იგი სახიდ, უსწრო მას იესო და ჰრქუა: რასა ჰგონებ შენ, სჳმონ? მეფენი ქუჱყანისანი ვიეთგან მიიღებენ ხარკსა ანუ ზუჱრსა? შჳლთაგან ანუ უცხოთაგან?

26. ჰრქუა მას პეტრე: უცხოთაგან. მიუგო იესო და ჰრქუა მას: აწ უკუჱ თავის-უფალსამე არიან შჳლნი.

27. ხოლო რათა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად, და შთააგდე სამჭედური, და რომელი პირველად აღმოჰკდეს თევზი, აღილე და აღუღე პირი მისი და ჰპოვო მის შორის სატირი; მოიღე იგი და მიეც მათ, შენთჳს და ჩემთჳს.

## თ ა ვ ი 18.

1. მას ჟამსა შინა მოუჴდეს იესოს მოწაფენი და ეტყოდეს: ვინმე უფროს იყოს სასუფეველსა ცათასა?

2. და მოუწოდა იესო ყრმასა, და დაადგინა შორის მათსა,

3. და ჰრქუა: ამინ გეტყჳ თქუჱნ, უკეთუ არა მოიქცეთ, და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა.

4. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ვითარცა ყრმა ესე, იგი უფროს იყოს სასუფეველსა ცათასა.

5. და რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმა ესე-ვითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს.

6. და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი, ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა, დამოთუკიდოს წისქჳლი ვირით საფქუჱლი ქედსა, და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღჳსასა.

7. ვაჲ სოფლისა ამის საც-
თურთა მათგან; რამეთუ უნებ-
ლიეთცა მომავალ არიან საცთურ-
ნი, ხოლო ვაჲ მის კაცისა, რომ-
ლისაგან მოვიდეს საცთური.

8. უკეთუ ჴელი შენი, ანუ
ფერჴი შენი გაცთუნებდეს შენ,
მოიკუეთე იგი, და განაგდე შენ-
გან: უმჯობეს არს შენდა შესლვა
ცხოვრებასა მკელობელისა, გინა
უჴელოსა, ვიდრე ორნი ჴელნი
და ორნი ფერჴნი თუ გესხნენ და
შთავარდე ცეცხლსა მას საუკუ-
ნესა.

9. და უკეთუ თუალი შენი
გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი,
და განაგდე შენგან: უმჯობეს არს
შენდა ერთ-თუალისა შესლვად
ცხოვრებასა, ვიდრე ორთა თუალ-
თა სხმასა და შთაგდებად გეენიასა
ცეცხლისასა.

10. ეკრძალენით, ნუ უკუე
ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცი-
რეთა ამათგანი; გეტყჳ თქუენ,
რამეთუ ანგელოსნი მათნი ცათა
შინა მარადის ჰხედვენ პირსა
მამისა ჩემისასა, რომელ-არს ცა-
თა შინა.

11. რამეთუ მოვიდა ძე კაცი-
სა ცხოვრებად წარწყმედულისა.

12. ვითარ ჰგონებთ თქუენ?
კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხო-
ვარი, და შესცთეს ერთი მათგანი,
არამე დაუტევნესა ოთხმეოცდა-
ათცხრამეტნი იგი მთათა ზედა,
და წარვიდეს და მოიძიოს შეცთო-
მილი იგი?

13. და რაჟამს ჰპოვოს იგი,
ამინ გეტყჳ თქუენ, უფროს უხა-
როდეს მის ზედა, ვიდრე ოთხმე-
ოცდა-ათცხრამეტთა მათ, რომელ-
ნი არა შეცთომილ-იყვნეს.

14. ესრეთ არა არს ნება მამისა
თქუენისა ზეცათასა, რათა წარ-
ჰსწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი.

15. ხოლო უკეთუ შეგცოდოს
შენ ძმამან შენმან, მივედ და ამ-
ხილე მას, რაჟამს შენ და იგი
ხოლო იყვნეთ მარტონი; უკეთუ
ისმინოს შენი, შეიძინე ძმაჲ იგი
შენი.

16. ხოლო უკეთუ არა ისმი-
ნოს, მიიყვანე შენთანა ერთი
ანუ ორი სხუა, რათა პირითა
ორისა და სამისა მოწმისათა, დაემ-
ტკიცოს ყოველი სიტყუა.

17. ხოლო უკეთუ მათიცა არა
ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხო-
ლო უკეთუ კრებულისაცა არა
ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვი-
თარცა მეზუერე და წარმართი.

18. ამინ გეტყჳ თქუენ: რაო-
დენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა,
კრულ-იყოს იგი ცათა შინა; და
რაოდენი განჰხსნათ ქუეყანასა
ზედა, ჰხსნილ იყოს იგი ცათა
შინა.

19. კუალად ამინ გეტყჳ თქუენ:
უკეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუ-
ნეს ქუეყანასა ზედა ყოვლისა-
თჳსვე საქმისა, რომელიცა ითხო-
ონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან
ზეცათასა.

20. რამეთუ სადაცა იყვნენ
ორნი, გინა სამნი შეკრებულ სა-
ხელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე
შორის მათსა.

21. მაშინ მოუხდა მას პეტ-

*

რე, და ჰრქუა: უფალო! რაოდენ
გზის შემცოდოს ძმამან ჩემმან,
და მიუტეო მას? ვიდრე შჳდ გზი-
სამდეს?
22. ჰრქუა მას იესო: არა
გეტყჳ შენ: ვიდრე შჳდ-გზისამ-
დე, არამედ ვიდრე სამეოცდა-ათ-
შჳდ-გზის.
23. ამისთჳს ემსგავსა სასუ-
ფეველი ცათა კაცსა მეუფესა,
რომელმან ინება სიტყჳს-განგე-
ბაჲ მონათა თჳსთა თანა.
24. და ვითარცა იწყო გან-
გებად, წარმოუდგინეს მას ერთი
თანამდები ბევრისა ტალანტისა.
25. და ვითარ არა რა აქუნდა
მას, რამცა მიჰსცა; უბრძანა უფალ-
მან მისმან განსყიდუაჲ ცოლისა
მისისა, და შჳლთა მისთა, და რა-
ცა აქუნდა მას, და გარდაკდად იგი.
26. დავარდა უკუჱ მონა იგი,
თაყუანის-ჰსცემდა მას, და ეტყო-
და: სულ-გრძელ-იქმენ ჩემზედა
უფალო, და ყოველივე მიგცე შენ.
27. შეეწყალა უფალსა მისსა
მონა იგი, და განუტევა იგი, და
თანა-ნადებიცა იგი მიუტევა მას.
28. და ვითარცა გამოვიდა
მიერ მონა იგი, ჰპოვა ერთი
მისთანა მონაჲ, რომელსა თანა-
ედუა მისი ასი დრაჰკანი, შეი-
პყრა იგი და შეაშთობდა მას, და
ეტყოდა: მომეც, რაცა იგი თა-
ნა გაძს.
29. შეუვრდა მას მოყუასი
იგი მისი, და ევედრებოდა მას,
და ეტყოდა: სულ-გრძელ-იქმენ
ჩემ ზედა, და ყოველივე მიგცე შენ.
30. ხოლო მან არა ისმინა
მისი, არამედ წარვიდა, და შეაგ-
დო იგი საპყრობილესა, ვიდრემ-
დე მიჰსცეს მას თანა-ნადები იგი.
31. ხოლო იხილეს რა მის-
თანა მონათა მათ საქმეჲ ესე,
შეჰსწუხნეს ფრიად, და მივიდეს
და აუწყეს უფალსა მათსა ყოვე-
ლივე იგი, რაცა იქმნა.
32. მაშინ მოუწოდა მას უფალ-
მან მისმან, და ჰრქუა მას: მონაო
ბოროტო! ყოველივე თანა-ნადე-
ბი შენი მიგიტევე შენ, რამეთუ
მევედრებოდი მე.
33. არა ჯერ-იყო შენდაცა,
რათამცა შეიწყალე შენ თანა მო-
ნა იგი, ვითარცა მე შენ შეგიწ-
ყალე?
34. და განურისხნა უფალი
იგი მისი, და მიჰსცა იგი კელთა
მტანჯუჱლთასა, ვიდრემდის გარ-
დაიხადოს ყოველი იგი თანა-ნა-
დები მისი.
35. ეგრეცა მამამან ჩემმან ზე-
ცათამან გიყოს თქუჱნ, უკეთუ
არა მიუტევნეთ კაცად-კაცადმან
ძმასა თჳსსა ყოვლითა გულითა
თქუჱნითა ცთომანი მათნი.

## თ ა ვ ი 19.

1. და იყო ვითარცა დაასრულ-
ნა იესო სიტყუანი ესე, წარვიდა
გალილეათ, და მივიდა საზღუარ-
თა, ჰურიასტანისათა, წიაღ-იორ-
დანესა.
2. და მიჰსდევდა მას ერი
მრავალი, და განჰკურნნა იგინი
მუნ.
3. მაშინ მოუკდეს მას ფარი-

სჯულნი, გამოჰსცდიდეს მას, და ეტყოდეს: უკეთუ ჯერ-არს კაცისა განტევებაჲ ცოლისა თჳსისა ყოვლისათჳს ბრალისა?

4. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა მამა-კაცად და დედა-კაცად შექმნნა იგინი.

5. და ჰსთქუა: ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი, და შეეყოს ცოლსა თჳსსა, და იყუნენ ორნივე იგი ერთ-კორც.

6. ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ-კორც. აწ უკუჱ, რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ.

7. ხოლო მათ ჰრქუჱს მას: რაჲსათჳს უკუჱ მოსე ამცნო წიგნი განტევებისა მიცემად, და განტევებად?

8. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: რამეთუ მოსე, გულ-ფიცხელობისა თქუენისათჳს, გიბრძანა განტევებაჲ ცოლთა თქუენთა; ხოლო დასაბამსა არა ეგრე იყო.

9. ხოლო მე გეტყჳ თქუენ: რამეთუ რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ სიძჳსა, და სხუა შეირთოს, იმრუშებს; და რომელმან განტევებული შეირთოს, იგიცა იმრუშებს.

10. ჰრქუჱს მას მოწაფეთა მისთა: უკეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისა დედა-კაცისა თანა, არა შეჰგავს ქორწინებაჲ.

11. ჰრქუა მათ იესო: არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთა მიცემულ არს.

12. რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თჳსისათ საჭურისნი იშუნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისა თჳს ცათასა. რომელი შემძლებელ-არს დატევნად, დაიტიენ.

13. მაშინ მოჰგუარეს მას ყრმები, რათამცა კელი დაჰსდუა მათ ზედა, და აკურთხნა იგინი; ხოლო მოწაფენი ჰრისხჳდეს მათ.

14. ხოლო იესო ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლუად ჩემდა, და ნუ აყენებთ მაგათ; რამეთუ ეგე ვითართა არს სასუფეველი ცათა.

15. და დაასხნა მათ ზედა კელნი, და ვითარცა წარვიდა მიერ,

16. აჰა მოვინმე-უკდა მას და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო! რა კეთილი ვჰქმნე, რათა მაქუნდეს ცხოვრება საუკუნო?

17. ხოლო იესო ჰრქუა მას: რასა მეტყჳ მე: სახიერით? არავინ არს სახიერი, გარნა მხოლო ღმერთი. ხოლო უკეთუ გნებავს ცხოვრებასა შესლვა, დაიმარხენ მცნებანი.

18. ჰრქუა მას: რომელნი? ხოლო იესო ჰრქუა მას: ვითარმედ არა კაც-ჰკლა; არა იპარო; არა იმრუშო; არა ცილი-ჰსწამო.

19. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, და შეიყუარო მოყ-

ჳასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.
20. ჰრქუა მას ჭაბუკმან: ესე
ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩე-
მითგან; რაღა მაკლს მე?.
21. ჰრქუა მას იესო: უკეთუ
გნებავს რათა სრულ-იყო, წარვედ
და განჰყიდე მონაგები შენი, და მი-
ეც გლახაკთა, და გაქუნდეს საუნ-
ჯე ცათა შინა, და მოვედ და შე-
მომიდეგ მე.
22. და ვითარცა ესმა სიტ-
ყუაჲ ესე ჭაბუკსა მას, წარვიდა
მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდი-
დარ ფრიად.
23. ხოლო იესო ჰრქუა მოწა-
ფეთა თჳსთა: ამინ გეტყჳ თქუენ,
რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს
სასუფეველსა ცათასა.
24. და მერმე გეტყჳ თქუენ:
უადვილეს არს აქლემი განსლვად
ჴურელსა ნემსისასა, ვიდრე მდი-
დარი შესლვად სასუფეველსა ცა-
თასა.
25. ვითარცა ესმა ესე მოწა-
ფეთა მისთა, განუკჳრდებოდა
ფრიად, და იტყოდეს: და ვისმე
ჴელეწიფების ცხოვნებად?
26. მიჰხედა იესო, და ჰრქუა
მათ: კაცთაგან შეუძლებელ არს
ესე, ხოლო ღმრთისა მიერ ყო-
ველივე შესაძლებელ არს.
27. მაშინ მიუგო პეტრე და
ჰრქუა მას: აჰა ესერა ჩუენ ყო-
ველი დაუტევეთ და შეგიდექით
შენ; რამე იყოს ჩუენდა?
28. ხოლო იესო ჰრქუა მათ:
ამინ გეტყჳ თქუენ, რამეთუ თქუ-
ენ, რომელნი ეგე შემომიდეგით
მე, მერმესა მას შობასა, რაჟამს
დაჰსჯდეს ძე კაცისა საყდართა დი-
დებისა თჳსისათა, დასხსდეთ თქუ-
ენცა ათ-ორ-მეტთა საყდართა,
განჰსჯად ათ-ორ-მეტთა ტომთა
ისრაილისათა.
29. და ყოველმან, რომელმან
დაუტევა სახლი, გინა ძმანი, ანუ
დანი, ანუ მამა, ანუ დედა, ანუ
ცოლი, ანუ შვილნი, ანუ აგარაკ-
ნი, სახელისა ჩემისათჳს, ას-წი-
ლად მიიღოს, და ცხოვრება საუ-
კუნო დაიმკჳდროს.
30. ხოლო მრავალნი იყუნენ
პირველნი უკანა, და უკანანი წინა.

## თავი 20.

1. რამეთუ მსგავს არს სასუ-
ფეველი ცათა კაცსა სახლისა-უფალ-
სა, რომელი განვიდა განთიად
დადგინებად მუშაკთა ვენაჴსა თჳსსა.
2. და აღუთქუა მათ სასყიდე-
ლი თჳთოეულსა დრაჰკანი დღე-
სა შინა, და წარავლინნა იგინი
ვენაჴსა თჳსსა.
3. და განვიდა იგი მესამესა
ჟამსა, და ჰპოვნნა სხუანი, მდგო-
მარენი უბანთა ზედა უქმად.
4. და ჰრქუა მათ: წარვედით
თქუენცა ვენაჴსა ჩემსა, და რა
იგი იყოს სამართალი, მიგცე
თქუენ.
5. ხოლო იგინი წარვიდეს. და
მერმე განვიდა მეექუსესა და მეც-
ხრესა ჟამსა, და ჰყო ეგრეთვე.
6. ხოლო მეათ-ერთმეტესა ჟამ-
სა განვიდა, და ჰპოვნა სხუანი
მდგომარენი, და ჰრქუა მათ: რასა

ჰსდეგით თქუენ აქა დღე-ყოველ
უქმად?
7. ხოლო მათ ჰრქუეს მას,
ვითარმედ არავინ დამიდგინნა
ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედით
თქუენცა ვენაკსა ჩემსა, და რა იგი
იყოს სამართალი, მიიღოთ.
8. და ვითარცა შემწუხრდა,
ჰრქუა უფალმან სავენაკისამან ეზოს-
მოძღუარსა თჳსსა: მოუწოდე მუ-
შაკთა მათ და მიეც მათ სასყიდე-
ლი; იწყე უკანასკნელითგან ვიდ-
რე პირველთამდე.
9. მოვიდეს მეათ-ერთ-მეტი-
სა ჟამისანი იგი და მიიღეს თი-
თო დრაჰკანი.
10. მოვიდეს პირველისანიცა
იგი, და ჰგონებდეს ვითარმედ
უფროსი მიიღონ; და მიიღეს მათ-
ცა თითო დრაჰკანი.
11. ხოლო მირაიღეს, ჰსდრ-
ტჳნვიდეს სახლისა-უფლისა მის-
თჳს.
12. და იტყოდეს: ვითარმედ
უკანასკნელთა მათ ერთი ხოლო
ჟამი დაჰყუეს, და სწორ ჩუენდა
ჰყუენ იგინი, რომელთა ვიტვირ-
თეთ სიმძიმეჲ დღისა და სიცხე.
13. ხოლო მან მიუგო ერთ-
სა მათგანსა და ჰრქუა: მოყუასო!
არა რას გავნებ შენ; ანუ არა
ერთი დრაჰკანი აღგითქუ შენ?
14. მიიღე შენი, და ვიდოდე;
ხოლო მე მნებავს უკანასკნელსა
ამას მიცემად, ვითარცა შენ.
15. ანუ არა ჯერ-არსა ჩემდა,
რაცა მინდეს ყოფად ჩემსა ზედა?
არამედ თუალი შენი ვიდრემდე ბო-
როტ არს, ხოლო მე სახიერ ვარ?
16. ესრეთ იყუნენ წინანი უკა-
ნა, და უკანანი წინა, რამეთუ მრა-
ვალნი არიან ჩინებულ, და მცი-
რედნი რჩეულ.
17. და ვითარცა აღვიდოდა
იესო იერუსალიმად, წარიყუანნა
ათ-ორ-მეტნი იგი მოწაფენი თჳ-
საგან, და მგზავრ ეტყოდა მათ:
18. აჰა ესერა, აღვალთ იერუ-
სალიმად, და ძე კაცისა მიეცეს მღუ-
დელთ-მთავართა და მწიგნობარ-
თა, და დაჰსაჯონ იგი სიკუდილად;
19. და მიჰსცენ იგი წარმართ-
თა კიცხევად და ტანჯუად, და
ჯუარცმად, და მესამესა დღესა
აღჰსდგეს.
20. მაშინ მოუკდა იესოს დე-
და ძეთა ზებედესთა, ძეთა მის-
თა თანა, თაყუანის-ჰსცემდა მას,
და ითხოვდა რასამე მისგან.
21. ხოლო თავადმან ჰრქუა
მას: რა გნებავს? ჰრქუა მას:
ჰსთქუ, რათა დაჰსხდენ ორნი ესე
ძენი ჩემნი, ერთი მარჯუენით
შენსა, და ერთი მარცხენით შენ-
სა სასუფეველსა შენსა.
22. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: არა იცით, რასა ითხოვთ.
ძალ-გიძსთა შესუმად სასუმელი,
რომელი მე მეგულების შესუმად,
ანუ ნათლის-ღება, რომელი მე
ნათელს ვიღო ნათლის-ღებად?
ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გვიძს.
23. ჰრქუა მათ იესო: სასუმე-
ლი სამე ჩემი შესუათ, და ნათლის-
ღება, რომელი მე ნათელ-ვიღო,
ნათელ-იღოთ; ხოლო დაჯდომა
მარჯუენით ჩემსა და მარცხენით,
არა არს ჩემი მიცემად, არამედ

ვიეთდა განმზადებულ-არს მამისა
მიერ ჩემისა.
24. ვითარცა ესმა ესე ათთა
მათ, განჰრისხნეს ორთა მათ ძმა-
თათჳს.
25. ხოლო იესო მოუწოდა
მათ და ჰრქუა: უწყით, რამეთუ
მთავარნი წარმართთანი უფლებენ
მათ ზედა, და დიდ-დიდნი ჴელმ-
წიფებენ მათ ზედა.
26. ხოლო თქუენ შორის არა
ეგრეთ იყოს: არამედ, რომელსა
უნებს თქუენ შორის დიდ-ყო-
ფაჲ, იყავნ თქუენდა მსახურ;
27. და რომელსა უნებს თქუენ
შორის წინა-ყოფაჲ, იყოს იგი
თქუენდა მონა:
28. ვითარცა ძე კაცისა არა მო-
ვიდა, რათამცა იმსახურა, არამედ
მსახურებად, და მიცემად სული
თჳსი საჴსრად მრავალთა თჳს.
29. და ვითარცა გამოვიდოდეს
იგინი იერიქოთ, მიჰსდევდა მას
ერი მრავალი.
30. და აჰა ესერა, ორნი ბრმა-
ნი, ჰსხდეს გზასა ზედა, და ვი-
თარცა ესმა, ვითარმედ იესო წარ-
მოვალს, ჰკმობდეს და იტყოდეს:
შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო
დავითისო!
31. ხოლო ერი იგი ჰრისხჳ-
და მათ, რათა დაჰსდუმნენ; ხო-
ლო იგინი უფროს ჰღაღადებდეს:
შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო
დავითისო!
32. და დაჰსდგა იესო, მოუ-
წოდა მათ და ჰრქუა: რა გნებავს
და გიყო თქუენ?
33. ჰრქუეს მას: უფალო! რა-
თა აღვიხილნეთ თუალნი ჩუენნი.
34. შეეწყალნეს იგინი იესოს,
და შეახო თუალთა მათთა, და მეყუ-
სეულად აღეხილნეს, და შეუდგეს
მას.

## თ ა ვ ი 21.

1. და ვითარცა მიეახლნეს იე-
რუსალიმად, და მოვიდეს ბეთბა-
გედ მთასა მას ზეთის-ხილთასა,
მაშინ წარავლინნა იესო ორნი
მოწაფეთა მისთაგანნი,
2. და ჰრქუა მათ: წარვედით
დაბასა მაგას, რომელ-არს წინაშე
თქუენსა; და მეყუსეულად ჰპოოთ
ვირი დაბმული და კიცჳ მისთანა;
აღჰჴსენით და მომგუარეთ მე იგი.
3. და უკეთუ ვინმე გრქუას
რამე, თქუენ არქუთ, ვითარმედ
უფალსა უხმან ეგე; და მეყუსეუ-
ლად მოავლინნეს იგინი.
4. ესე ყოველი იქმნა, რათა
აღესრულოს სიტყუა იგი წინას-
წარ-მეტყუელისა, რომელ ჰსთქუა:
5. არქუთ ასულსა სიონისასა:
აჰა ესერა, მეუფე შენი მოვალს შენ-
და მშჳდი, და ზე ჰზის იგი ვირსა
და კიცუსა ნაშობსა კარაულისასა.
6. ხოლო მოწაფენი იგი
წარვიდეს და ჰყუეს ეგრეთ, ვი-
თარცა უბრძანა მათ იესო.
7. და მოჰგუარეს ვირი იგი და
კიცჳ მისთანა, და დაასხეს მას
ზედა სამოსელი, და დაჰსჯდა მას
ზედა.
8. ხოლო უმრავლესი იგი ერი
დაუფენდა სამოსელსა მათსა გზა-
სა ზედა; და სხუანი მოჰკაფდეს

რტოებსა ხეთაგან, და დაუფენდეს
გზასა ზედა.
9. და ერი იგი, რომელი წი-
ნა უვიდოდა და რომელი უკანა
შეუდგა, ღაღადებდეს და იტყო-
დეს: ოსანნა ძესა დავითისასა!
კურთხეულ-არს მომავალი სახელი-
თა უფლისათა! ოსანნა, რომელი
ხარ მაღალთა შინა!
10. და ვითარცა შევიდა იგი
იერუსალიმად, შეიძრა ქალაქი იგი
ყოველი, და იტყოდეს: ვინ არს
ესე?
11. ხოლო ერი იგი ეტყოდა:
ესე არს წინასწარ-მეტყუელი იე-
სო, ნაზარეთით გალილეასით.
12. და შევიდა იესო ტაძარსა
მას ღმრთისასა, და განასხა ყო-
ველი იგი განმსყიდუელი და ყო-
ველი, რომელი იყიდდა ტაძარსა
მას შინა, და ტაბლები იგი მეკერმე-
თა მათ დაამხუა და დასასხდომლები
იგი ტრედის-მოფარდულთა მათ
დაუქცია.
13. და ჰრქუა მათ: წერილ-
არს: სახლსა ჩემსა სახლ სალო-
ცუელ ეწოდოს; ხოლო თქუენ
გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა.
14. და მოუხდეს მას ბრმანი
და მკელობელნი ტაძარსა მას ში-
ნა, და განჰკურნნა იგინი.
15. და ვითარცა იხილეს მღუ-
დელ-მთავართა მათ და მწიგნო-
ბართა, რომელ იგი ჰქმნა სას-
წაულნი, და ყრმები იგი, რომელ
ღაღადებდეს ტაძარსა მას შინა
და იტყოდეს: ოსანნა ძესა დავი-
თისასა! განჰრისხნეს,
16. და ჰრქუეს მას: გესმისა,
რასა ესე იტყჳან? ხოლო იესო
ჰრქუა მათ: ჰე! არა სადა აღმო-
გიკითხავსა, ვითარმედ პირითა
ყრმათა ჩჩჳლთა მწოვართათა და-
ამტკიცე ქებაჲ?
17. და უტევნა იგინი, და
განვიდა გარე ქალაქით ბეთანიად,
და იქცეოდა მუნ.
18. და განთიად, მორავიდო-
და ქალაქად, შეემშია.
19. და იხილა ლეღჳ ერთი
გზასა ზედა, და მოვიდა მისა და
არა რა ჰპოვა მას შინა, გარნა
ფურცელი ხოლო, და ჰრქუა მას:
ნუღარა იყოფინ ნაყოფი შენგან
საუკუნოდ, და განჴმა ლეღჳ იგი
მეყუსეულად.
20. ვითარცა იხილეს მოწაფე-
თა მათ, და უკჳრდა და იტყოდეს:
ვითარ მეყუსეულად განჴმა ლეღჳ
იგი?
21. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: ამინ გეტყჳ თქუენ: უკეთუ
გაქუნდეს სარწმუნოება, და არა
შეორგულდეთ, არა ხოლო ლეღჳ-
სა ამის ჰყოთ, არამედ ჰრქუათ
თუ მთასა ამას: აღიფხუარ ამიერ,
და შთავარდი ზღუასა, იყოს ეგ-
რეთ,
22. და ყოველსა, რაოდენსა
ითხოვდეთ ლოცუასა შინა სარ-
წმუნოებით, გეყოს თქუენ.
23. და მოვიდა იგი ტაძ-
რად, მოუხდეს მას მღუდელთ-
მთავარნი იგი და მოხუცებულნი
ერისანი, ვითარ იგი ასწავებდა
ერსა და ჰრქუეს მას: რომლითა
ხელმწიფებითა ამას იქმ? და ვინ
მოგცა შენ ხელმწიფებაჲ ესე?

24. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: გკითხო მეცა თქუენ სიტყუა ერთი, რომელი უკეთუ მითხრათ მე, მეცა გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას.

25. ნათლის-ცემა იოანესი ვინა იყო: ზეცით, ანუ კაცთაგან? ხოლო, იგინი განიზრახვიდეს თჳსაგან და იტყოდეს: უკეთუ ვჰსთქუათ: ზეცით იყო, გურქუას ჩუენ: რასათჳს უკუე არა გრწმენა მისი?

26. და უკეთუ ვსთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა ამის, რამეთუ ყოველთავე ვითარცა წინასწარ-მეტყუელი უპყრიეს იოანე.

27. და მიუგეს იესოს და ჰრქუეს: არა უწყით. ჰრქუა მათ მანცა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას.

28. აწ ვითარ ჰგონებთ თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე, მოვიდა პირველისა მის და ჰრქუა: შვილო! წარვედ დღეს, და იქმოდე ვენაკსა ჩემსა.

29. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მნებავს; ხოლო უკანასკნელ შეინანა და წარვიდა.

30. და მოუხდა მეორესა მას და ჰრქუა ეგრეთვე. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: წარვიდე უფალო; და არა წარვიდა.

31. ვინ ორთა ამათგანმან ჰყო ნებაჲ მამისა თჳსისა? ჰრქუეს მას: პირველმან მან. ჰრქუა მათ იესო: ამინ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მეზუერენი და მეძავნი წინაგიძღოდენ თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა.

32. რამეთუ მოვიდა თქუენდა იოანე გზითა სიმართლისათა, და არა გრწმენა მისი; ხოლო მეზუერთა, და მეძავთა ჰრწმენა მისი; ხოლო თქუენ იხილეთ, და არა შეინანეთ უკანასკნელ, რათამცა გრწმენა მისი.

33. სხუა იგავი ისმინეთ: კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენაკი, და ზღუდეჲ გარე-მოსდუა მას, და ჰქმნა მას შინა საწნახელი, და აღაშენა გოდოლი და მიჰსცა იგი მოქმედთა საქმედ, და წარვიდა.

34. და რაჟამს მოიწია ჟამი ნაყოფთა, მიავლინნა მონანი მისნი მოქმედთა მათ, მოღებად ნაყოფისა მისისა.

35. და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელთამე ჰსცეს, რომელნიმე მოჰსწყჳდნეს, და რომელთამე ქუა დაჰკრიბეს.

36. კუალად წარავლინნა სხუანი მონანი, უმრავლესნი პირველთასა, და მათცა ეგრეთვე უყუეს.

37. ხოლო უკანასკნელ მიუვლინა მათ ძეჲ თჳსი და ჰსთქუა: შეხოლოთუ იკდიმონ ძისაგან ჩემისა.

38. ხოლო ქუეყანის-მოქმედთა მათ, ვითარცა იხილეს ძე იგი მისი, და ჰსთქუეს გულსა მათსა: ესე არს მკჳდრი; მოვედით და მოვჰკლათ იგი, და დავიპყრათ სამკჳდრებელი მისი.

39. და შეიპყრეს იგი, და განიყუანეს გარეშე ვენაკისა მის, და მოჰკლეს.

40. რაჟამს უკუჱ მოვიდეს უფალი სავენახისა მის, რამე უყოს ქუჱყანის-მოქმედთა მათ?

41. ჰრქუჱს მას: ბოროტნი იგი ბოროტად წარჰსწყმიდნეს; და ვენაკი იგი მიჰსცეს სხუათა ქუჱყანის-მოქმედთა, რომელთა მოჰსცენ მას ნაყოფი ჟამსა თჳსსა.

42. ჰრქუა მათ იესო: არა სადა აღმოგიკითხავსა წიგნთა შინა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ჰყუჱს მაშენებელთა, ესე იქმნა თავკიდეთა; უფლისა მიერ იყო ესე, და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩუჱნთა?

43. ამისთჳს გეტყჳ თქუჱნ, ვითარმედ მიგეღოს თქუჱნგან სასუფეველი ღმრთისა, და მიეცეს ნათესავსა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა.

44. და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანიქიოს იგი.

45. და ესმნეს რა მღუდელთმთავართა მათ და ფარისეველთა იგავნი ესე მისნი, ჰსცნეს, რამეთუ მათთჳს ჰსთქუნა.

46. და ეძიებდეს მას შეპყრობად, და ეშინოდა ერისა მისგან, რამეთუ ვითარცა წინასწარ-მეტყუელი აქუნდა მათ იგი.

## თავი 22.

1. და მერმე მიუგო მათ იესო იგავით და ჰრქუა:

2. ემსგავსა სასუფეველი ღმრთისა კაცსა მეუფესა, რომელმან ჰყო ქორწილი ძისა თჳსისა.

3. და წარავლინნა მონანი თჳსნი, მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, და არა ინებეს მოსლუად.

4. კუალად წარავლინნა სხუანი მონანი და ჰრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა ესერა, პური ჩემი მზა მიყოფიეს, ზუარაკები და ნისებნი ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას.

5. ხოლო მათ უდებ ჰყუჱს და წარვიდეს, რომელიმე თჳსსა აგარაკსა, რომელიმე სავაჭროსა თჳსსა.

6. ხოლო სხუათა შეიპყრნეს მონანი იგი მისნი, აგინეს და მოჰსწყჳდნეს.

7. ხოლო მეუფე იგი განჰრისხნა, ესმა რა ესე, და მიავლინა ერი თჳსი და მოჰსრნა კაცისმკულელნი იგი, და ქალაქი იგი მათი მოჰსწუა ცეცხლითა.

8. მაშინ ჰრქუა მონათა თჳსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყუნეს.

9. წარვედით მებომართა გზათასა, და რაოდენნიცა ჰპოვოთ მოუწოდეთ ქორწილსა ამას.

10. და განვიდეს მონანი იგი მისნი გზათა ზედა, და შეჰკრიბეს ყოველნი, რაოდენნი ჰპოვეს ბოროტნი და კეთილნი, და აღივსო ქორწილი იგი მეინახეთა.

11. ხოლო შერავიდა მეუფე იგი ხილუად მეინახეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე;

12. და ჰრქუა მას: მოყუასო!
ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ
არა გმოსიეს სამოსელი საქორწი-
ნე? ხოლო იგი ჰსდუმნა.
13. მაშინ ჰრქუა მეუფემან მან
მსახურთა თჳსთა: შეუკრენით მა-
გას ჴელნი და ფერჴნი, და განაგ-
დეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა;
მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა
კბილთა.
14. რამეთუ მრავალ არიან ჩი-
ნებულნი. და მცირედ რჩეულნი.
15. მაშინ წარვიდეს ფარი-
სეველნი იგი, და ზრახვა-ჰყუეს,
რათა სიტყჳთა საფრჴე უგონ მას.
16. და მიუვლინნეს მოწაფენი
მათნი იროდიანთა თანა და ჰრქ-
უეს: მოძღუარ! ვიცით, რამეთუ
ჭეშმარიტ ხარ, და გზასა ღმრთი-
სასა ჭეშმარიტად ასწავებ და არა
ჰზრუნავ არა ვისთჳს, რამეთუ არა
თუალ-აღებ პირსა კაცისასა.
17. აწ მარქუ ჩუენ: რა გნე-
ბავს შენ? ჯერ არსა მიცემა ხარ-
კისა კეისრისა, ანუ არა?
18. გულის-ჴმა-ჰყო იესო უკე-
თურებაჲ მათი და ჰრქუა: რასა
გამომცდით მე, ორგულნო!
19. მიჩუენეთ დრაჰკანი იგი
ხარკისა; ხოლო მათ მოართუეს
მას დრაჰკანი.
20. ჰრქუა მათ იესო: ვისი
არს ხატი ესე ანუ ზედა წერილი?
21. ჰრქუეს მას: კეისრისა.
მაშინ ჰრქუა მათ იესო: მიეცით
კეისრისა კეისარსა, და ღმრთისა
ღმერთსა.
22. და ესმა რა ესე, დაუკჳრ-
და, და დაუტევეს იგი, და წარვიდეს.

23. მას დღესა შინა მოუჴ-
დეს მას სადუკეველნი, რომელნი
იტყოდეს, ვითარმედ არა არს აღ-
დგომა, ჰკითხეს მას,
24. და ეტყოდეს: მოძღუარ!
მოსე ესრეთ ჰსთქუა: უკეთუ ვინ-
მე მოჴუდეს და არა ესუას შვილი,
ესიძენ ძმა მისი ცოლსა მისსა, და
აღუდგინენ თესლი ძმასა თჳსსა.
25. იყუნეს უკუე ჩუენ შო-
რის შჳდნი ძმანი, და პირველმან
მან შეირთო და მოჴუდა, და არა
დაშთა თესლი, და დაუტევა ცო-
ლი თჳსი ძმასა თჳსსა.
26. ეგრეთვე მეორემან, და
მესამემან, ვიდრე მეშჳდემდე.
27. ხოლო უკანასკნელ ყო-
ველთასა მოჴუდა დედაკაციცა
იგი.
28. აწ უკუე, აღდგომასა მას,
ვისა შჳდთა მათგანისა იყოს იგი
ცოლად? რამეთუ ყოველთა ესუა
იგი.
29. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: ჰსცთებით, რამეთუ არა იც-
ნით წიგნი, არცა ძალი ღმრთისა.
30. რამეთუ აღდგომასა მას
არცა იქორწინებოდიან, არცა გან-
ჰქორწინებდენ; არამედ ვითარცა
ანგელოსნი ღმრთისანი იყუნენ
ცათა შინა.
31. ხოლო აღდგომისათჳს
მკუდართასა არა აღმოგიკითხავსა
თქმული იგი ღმრთისა მიერი,
რომელსა იტყჳს:
32. მე ვარ ღმერთი აბრაამი-
სი, და ღმერთი ისაკისი; და ღმერ-
თი იაკობისი? არა არს ღმერ-
თი მკუდართა, არამედ ცხოველთა.

33. და ესმა რა ესე ერსა მას, დაუკჳრდებოდა მოძღურება იგი მისი.

34. ხოლო ფარისეველთა რა ესმა, რამეთუ დაუყო პირი სადუკეველთა მათ, შეკრბეს ერთად.

35. და ჰკითხა ერთმან მათგანმან სჯულის-მოძღუარმან, გამოსცდიდა მას და ეტყოდა:

36. მოძღუარ! რომელი მცნება უფროს არს სჯულსა შინა?

37. ხოლო იესო ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა.

38. ესე არს დიდი და პირველი მცნება.

39. და მეორე მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.

40. ამათ ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარ-მეტყუელნი დამოკიდებულ-არიან.

41. შეკრებულ რა იყუნეს ფარისეველნი იგი, ჰკითხა მათ იესო,

42. და ჰრქუა: ვითარ ჰგონებთ თქუენ ქრისტესთჳს? ვისი ძე არს? ხოლო მათ ჰრქუეს: დავითისი.

43. ჰრქუა მათ იესო: ვითარ უკუე დავით, სულითა ჰხადის მას უფლად, და იტყჳს:

44. ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსდვნე მტერნი შენნი ქუეშე ფერხთა შენთა?

45. უკეთუ დავით სულითა უფლად ჰხადის მას, ვითარ ძე მისი არს?

46. და ვერვის ეძლო სიტყჳს მიგებად მისა; არცადა ვინ იკადრა მიერ დღითგან კითხვად მისა არღარა.

## თავი 23.

1. მაშინ ეტყოდა იესო ერსა მას და მოწაფეთა თჳსთა,

2. და ჰრქუა: საყდართა მოსესთა დასხდენ მწიგნობარნი და ფარისეველნი.

3. ყოველსა უკუე, რაოდენსა გეტყოდენ თქუენ დამარხვად, დაიმარხეთ და ჰყავით: ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ; რამეთუ ჰსთქუან და არა ჰყუან.

4. რამეთუ შეჰკრიან ტჳრთი მძიმე და მნიად სატჳრთავი, და დაჰსდჳან მკართა ზედა კაცთასა; ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებნ შეძჳრად იგი.

5. და ყოველსა საქმესა მათსა იქმან სახილველად კაცთა; განივრცნიან საცონი მათნი, და განადიდნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი.

6. უყუარს ზემო-ჯდომა სერსა ზედა, და პირველ-დაჯდომა შესაკრებელთა შორის.

7. და მოკითხვა უბანთა ზედა, და რათა ჰხადოდიან კაცნი: რაბი! რაბი!

8. ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბად; რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი, ქრისტე; ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ.

9. და მამით ნუვის ჰხადით ქუჱყანასა ზედა: რამეთუ ერთი არს მამა თქუჱნი, რომელ არს ცათა შინა.
10. ნუცა გერქმინ თქუჱნ წინა-მძღუარ; რამეთუ ერთ-არს წინამძღუარი თქუჱნი, ქრისტე.
11. ხოლო უდიდესი თქუჱნი იყავნ თქუჱნდა მსახურ.
12. ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს.
13. ვაჲ თქუჱნდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ შეჰსჭამთ სახლებსა ქურივთასა, და მიზეზით განგრძობილად ილოცჳდით; ამისთჳს მიიღოთ უმეტესი სასჯელი.
14. ვაჲ თქუჱნდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ დაჰკშავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა, თქუჱნ შეარაჰხუალთ, და შემავალთა უტევებთ არა შესლუად.
15. ვაჲ თქუჱნდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ მიმოხუალთ ზღუასა ზედა და ჴმელსა, რათა ჰყოთ ერთი ვინმე მწირ; და რაჟამს არნ, ჰყჳთ იგი ნაშობ გეჰენიისა, ორწილ თქუჱნსა.
16. ვაჲ თქუჱნდა, წინამძღუარნო ბრმანო, რომელთა ჰსთქუთ: ვითარმედ რომელმან ჰფუცოს ტაძარსა ამას, არა რაჲ არს; ხოლო რომელმან ჰფუცოს ოქროსა მას ტაძრისასა, ჯერ-არს.
17. ცოფნო და ბრმანო! რომელი უფროს არს, ოქრო, ანუ ტაძარი, რომელი განჰსწმედს ოქროსა მას?
18. და ჰსთქუთ: რომელმან ჰფუცოს საკურთხეველსა, არა რაჲ არს; ხოლო რომელმან ჰფუცოს შესაწირავსა მას, რომელ-არს საკურთხეველსა ზედა, ჯერ-არს.
19. ცოფნო და ბრმანო! რომელი უდიდეს არს, შესაწირავი, ანუ საკურთხეველი, რომელი განჰსწმედს შესაწირავსა მას?
20. რამეთუ რომელმან ჰფუცოს საკურთხეველსა, ჰფუცავს მას და ყოველსა, რომელი არს მას ზედა.
21. და რომელმან ჰფუცოს ტაძარსა, ჰფუცავს მას, და რომელი დამკჳდრებულ არს მას შინა.
22. და რომელმან ჰფუცოს ცასა, ჰფუცავს საყდარსა ღმრთისასა, და რომელი ჰზის მას ზედა.
23. ვაჲ თქუჱნდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ ათეულსა მიიღებთ პიტნაკისასა, და ცერეცოსასა, და მირაკისასა, და დაგიტევებიეს უმძიმესი ჰსჯულისა, სამართალი, და წყალობა, და სარწმუნოება; ესე ჯერ-იყო საქმედ, და იგი არა დატევებად.
24. წინა-მძღუარნო ბრმანო, რომელნი დაჰსწურავთ ბუჩნაკსა, ხოლო აქლემსა შთანთქამთ!
25. ვაჲ თქუჱნდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ განჰსწმედთ გარეშესა სასმელისასა, და პაროფსიდისასა, და პინაკისასა, ხოლო შინაგან

სავსე არიან ნატაცებითა და არა-
წმიდებითა.

26. ფარისეველო ბრმაო! გან-
ჰსწმიდე პირველად შინაგანი იგი
სასმელისა და პაროფსიდისა, რა-
თა იყოს გარეშეცა იგი მისი
წმიდა.

27. ვაჲ თქუენდა, მწიგნო-
ბარნო და ფარისეველნო, ორგულ-
ნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ
საფლავთა განგოზილთა, რომელ-
ნი ჰსჩანედ გარეშე შუენიერ, ხო-
ლო შინაგან სავსე არიედ მძუალე-
ბითა მკუდართათა და ყოვლითა
არა-წმიდებითა.

28. ეგრეცა თქუენ გარეშე
ჰსჩანთ წინაშე კაცთა მართალ,
ხოლო შინაგან სავსე ხართ ორ-
გულებითა და უსჯულოებითა.

29. ვაჲ თქუენდა, მწიგნო-
ბარნო და ფარისეველნო, ორგულ-
ნო, რამეთუ აშენებთ საფლავთა
წინასწარ-მეტყუელთასა, და შეამ-
კობთ სამარებსა მართალთასა.

30. და იტყჳთ: უკეთუმცა
ვიყუენით დღეთა მათ მამათა
ჩუენთასა, არამცა ვიყუენით მათ
თანა ზიარ სისხლსა მას წინას-
წარ-მეტყუელთასა.

31. ვინაცა ეწამებით თავთა
თჳსთა, რამეთუ ნაშობნი ხართ
მკულელთა წინასწარ-მეტყუელ-
თასნი.

32. და აწ თქუენცა აღავსეთ
საწყაული მამათა თქუენთა.

33. გუელნო, ნაშობნო იქედ-
ნეთანო! ვითარმე განერნეთ საჰს-
ჯელსა მას გეენიისასა?

34. ამისთჳს, აჰა ესერა, მე
მოვავლინნე თქუენდა წინასწარ-
მეტყუელნი, ბრძენნი, და მწიგ-
ნობარნი, და მათგანნი მოსწყჳდ-
ნეთ, და ჯუარს-აცუნეთ, და მათგა-
ნი ჰსტანჯნეთ შესაკრებელთა შო-
რის თქუენთა. და ჰსდევნიდეთ
ქალაქითი ქალაქად.

35. რათა მოიწიოს თქუენ
ზედა ყოველი სისხლი მართალი,
დათხეული ქუეყანასა ზედა, სის-
ხლითგან აბელ მართლისათ, ვიდ-
რე სისხლადმდე ზაქარიასა, ძისა
ბარუქისა, რომელი მოჰკალთ შო-
რის ტაძრისა და საკურთხევე-
ლისა.

36. ამინ გეტყჳ თქუენ, რა-
მეთუ მოიწიოს ესე ყოველი ნა-
თესავსა ამას ზედა.

37. იერუსალიმ, იერუსალიმ,
რომელმან მოჰსწყჳდენ წინასწარ-
მეტყუელნი, და ქუა დაჰკრიბე
მოვლინებულთა შენ ზედა! რაო-
დენ-გზის ვინებე შეკრება შჳლთა
შენთა, ვითარცა სახედ შეიკრიბ-
ნის მფრინუელმან მართუენი თჳ-
სნი ქუეშე ფრთეთა თჳსთა, და
არა ინებეთ!

38. აჰა ესერა, დაეტეოს
თქუენგან სახლი თქუენი ოჴრად.

39. რამეთუ გეტყჳ თქუენ:
არღარა მიხილოთ მე ამიერითგან,
ვიდრემდე ჰსთქუათ: კურთხეულ-
არს მომავალი სახელითა უფლი-
სათა!

## თ ა ვ ი 24.

1. და გამოვიდა იესო ტაძრი-

სა მისგან და წარვიდოდა, და
მოუკდეს მას მოწაფენი მისნი, და
უჩჳენებდეს შენებულსა მას ტაძ-
რისასა.

2. ხოლო იესო ჰრქჳა მათ:
არა ხედავთა ამას ყოველსა? ამინ
გეტყჳ თქჳენ: არა დაჰშთეს აქა
ქჳა ქჳასა ზედა, რომელი არა
დაირღჳეს.

3. და ვითარცა დაჰსჯდა იგი
მთასა მას ზეთის-ხილთასა, მოუ-
ხდეს მას მოწაფენი თჳსაგან და
ეტყოდეს: მითხარ ჩჳენ: ოდეს
იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული
იგი შენისა მის მოსლჳსა და აღ-
სასრული ამის სოფლისა?

4. მიუგო ესო და ჰრქჳა მათ:
ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს
თქჳენ.

5. რამეთუ მრავალნი მოვიდო-
დენ სახელითა ჩემითა, და იტყო-
დენ, ვითარმედ მე ვარ ქრისტე,
და მრავალთა აცთუნებდენ.

6. და გესმოდენ ბრძოლანი,
და ამბავნი ბრძოლათანი. იხილეთ
და ნუ შეჰსძრწუნდებით, რამეთუ
ჯერ-არს ესე ყოველი ყოფად,
არამედ არა არს აღსასრული.

7. რამეთუ აჰღსდგეს ნათესა-
ვი ნათესავსა ზედა, და მეუფება
მეუფებასა ზედა. და იყჳნენ სიყ-
მილნი, და სრჳანი, და ძრჳანი,
ადგილად ადგილად.

8. ხოლო ესე ყოველი დასა-
ბამი სალმობათა არს.

9. მაშინ მიგცნენ თქჳენ ჭირ-
სა, და მოგწყჳდნენ თქჳენ, და
იყჳნეთ თქჳენ მოძულებულ ყო-
ველთაგან წარმართთა სახელისა
ჩემისათვის.

10. და მაშინ დაჰბრკოლდებო-
დენ მრავალნი, და ურთიერთარს
შინა განჰსცემდენ, და ჰსძულობ-
დენ ურთიერთარს.

11. და მრავალნი ცრუ-წინას-
წარ-მეტყჳელნი აღჰსდგენ და აც-
თუნებდენ მრავალთა.

12. და განმრავლებითა უჰსჯუ-
ლოებისათა, განკმეს სიყჳარული
მრავალთა.

13. ხოლო რომელმან დაით-
მინოს სრულიად, იგი ჰსცხოვნდეს.

14. და იქადაგოს სახარება
ესე სასუფეველისა ყოველსა სო-
ფელსა საწამებელად ყოველთა წა-
რმართთა; და მაშინ მოიწიოს აღ-
სასრული.

15. რაჟამს იხილოთ საძაგე-
ლი იგი მოოხრებისა, თქმული
იგი დანიილ წინასწარ-მეტყჳე-
ლისა მიერ, მდგომარე ადგილსა
წმიდასა, რომელი აღმოიკითხჳ-
დეს გულის-კმა-ჰყავნ.

16. მაშინ რომელნი ჰურიას-
ტანს იყჳნენ, ივლტოდედ მთად;

17. და რომელი ერდოსა ზე-
და იყოს, ნუ გარდამოვალნ აღე-
ბად რასამე სახლისაგან თჳსისა;

18. და რომელი ველსა გარე
იყოს ნუ უკუნ-იქცევინ აღებად
სამოსლისა თჳსისა.

19. ხოლო ვაჲ მიდგომილთა
და რომელნი აწოებდენ მათ დღე-
თა შინა.

20. არამედ ილოცევდით, რა-
თა არა იყოს სივლტოლაჲ თქჳე-
ნი ზამთარსა შინა, გინა შაბათსა.

21. რამეთუ იყოს მაშინ ჭი-
რი დიდი, რომელი არა იყო და-
საბამითგან სოფლისათ ვიდრე
აქამდე, არცაღა ყოფად არს.
22. და უკეთუმცა არა შემო-
კლდეს დღენი იგი, არამცა განე-
რა ყოველი კორციელი, ხოლო
რჩეულთა მათ თჳს შემოკლდენ
დღენი იგი.
23. მაშინ უკეთუ ვინმე გჰრ-
ქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე,
გინათუ იქი, ნუ გრწამნ.
24. რამეთუ აღჰსდგენ ქრის-
ტე მტყუარნი, და ცრუ-წინასწარ-
მეტყუელნი, და ჰყოფდენ სასწაუ-
ლებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა ვი-
დრე ცთუნებადმდე, უკეთუმცა ვი-
თარ შეუძლეს, რჩეულთა მათცა.
25. აჰა ესერა, წინასწარ გარქუ
თქუენ.
26. უკეთუ გრქუან თქუენ:
აჰა უდაბნოსა არს, ნუ განჰსუალთ.
აჰა ესერა, საუნჯეთა შინა არს,
ნუ გრწამნ.
27. რამეთუ ვითარცა ელვა რა
გამობრწყინდის მზისა აღმოსავა-
ლით, და ჰსჩანნ ვიდრე დასავა-
ლადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვა
მისა კაცისა.
28. რამეთუ სადაცა იყოს მძო-
რი, მუნცა შეჰკრბეს ორბები.
29. ხოლო მეყუსეულად, შემ-
დგომად ჭირისა მის მათ დღე-
თასა, მზე დაბნელდეს, და მთო-
ვარემან არა გამოჰსცეს ნათელი
თჳსი, და ვარსკულავნი დამოჰს-
ცჳვნენ ზეცით, და ძალნი ცათანი
შეიძრნენ.
30. და მაშინ გამოჰსჩნდეს
სასწაული მისა კაცისა ცათა შინა,
და მაშინ იტყებდენ ყოველნი ტო-
მნი ქუეყანისანი, და იხილონ ძე
კაცისა, მომავალი ღრუბელთა ზე-
და ცისათა, ძალითა, და დიდები-
თა მრავლითა.
31. და წარავლინნეს ანგელოზ-
ნი თჳსნი საყჳრითა კმისა დიდი-
სათა; და შეჰკრიბნეს რჩეულნი მისნი
ოთხთაგან ქართა, კიდითგან ცა-
თათ, ვიდრე კიდედმდე მათთა.
32. ხოლო ლეღჳსაგან ისწა-
ვეთ იგავი, ვითარცა იგი რაჟამს
რტონი მისნი დაჩჩჳან, და ფურ-
ცელნი გამოვალნ, უწყოდეთ, რა-
მეთუ ახლოს არს ზაფხული.
33. ეგრეცა თქუენ ოდეს იხი-
ლოთ ესე ყოველი, უწყოდეთ რა-
მეთუ ახლოს არს კართა ზედა.
34. ამინ გეტყჳ თქუენ: არა
წარჰჴდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე
ესე ყოველი იქმნეს.
35, ცანი და ქუეყანა წარჰჴდენ,
ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარ-
ჰჴდენ.
36. ხოლო დღისა მისთჳს და
ჟამისა არა ვინ იცის, არცა ანგე-
ლოსთა ცისათა, გარნა მამამან
ჩემმან მხოლომან.
37. ვითარცა იგი დღეთა მათ
ნოესთა, ეგრეთ იყოს მოსლუა
მისა კაცისა.
38. რამეთუ ვითარცა იგი
იყუნეს დღეთა მათ შინა პირველ
წყლით-რღუნისა, ჰსჭამდეს და ჰსუმი-
დეს, იქორწინებდეს და განჰქორ-
წინებდეს, მუნ დღედმდე, ვიდრემ-
დე შევიდა ნოე კიდობნად;
39. და ვერ ჰსცნეს, ვიდრემ-

დე მოიწია წყლით რღვნა იგი, და წარიღო ყოველი; ესრეთ იყოს მოსლვაცა ძისა კაცისა.

40. მაშინ ორნი იყვნენ ველსა გარე; ერთი წარიყვანოს, და ერთი დაეტეოს.

41. ორნი ჰფქვიდენ ფქვილსა, ერთი წარიტაცოს, და ერთი დაეტეოს.

42. იღვიძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს.

43. ხოლო ესემცა იცით, უკეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა საკმილავსა მპარავი მოსლვად არს, იღვიძებდამცა, და არა უტევა დათხრად სახლისა თვისისა.

44. ამისთვის თქუენცა იყვენით განმზადებულ; რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისა მოვიდეს.

45. ვინმე არს სარწმუნო იგი მონა და ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალმან თვისმან მონათა თვისთა ზედა, მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თვისსა?

46. ნეტარ-არს მონისა მის, რომლისა მოვიდეს უფალი მისი, და ჰპოვოს იგი ესრეთ მოქმედი.

47. ამინ გეტყვი თქუენ, ვითარმედ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი.

48. ხოლო უკეთუ ჰსთქუას ბოროტმან მან მონამან გულსა თვისსა: ჰყოვნის უფალი ჩემი მოსლვად;

49. და იწყოს გუემად მისთანაათა მათ მონათა, და ჰსჭამდეს და ჰსმიდეს მომთრვალეთა თანა.

50. მოვიდეს უფალი იგი მონისა მის დღესა, რომელსა არა მოელოდეს, და ჟამსა, რომელი არა უწყოდეს.

51. და ორგან განჰკუეთოს იგი, და ნაწილი მისი დაჰსდვას ორგულთა თანა; მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა.

## თ ა ვ ი 25.

1. მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათა ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხვნეს ლამპარნი თვსნი, და განვიდეს მიგებებად სიძისა.

2. ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი, და ხუთნი სულელნი.

3. მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი, და არა მიიღეს მათ თანა ზეთი.

4. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი, ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა.

5. და დაყოვნებასა მას სიძისასა, მიერულა ყოველთა, და დაიძინეს.

6. ხოლო შუაღამეს ოდენ ღაღადება იყო, ვითარმედ აჰა ესერა, სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა.

7. მაშინ აღჰსდგეს ყოველნი იგი ქალწულნი, და აღიგნეს ლამპარნი მათნი.

8. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩვენ ზეთისაგან თქუენისა, რამე-

თუ ლამპარნი ჩუჱნნი დაშრტებიან.

9. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუჱს: ნუ უკუჱ ვერ კმა-გუჱყოს ჩუჱნ და თქუჱნ, არამედ უფროს-ღა წარვედით სავაჭროდ, და იყიდეთ თავისა თქუჱნისა.

10. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდჳად, მოვიდა სიძე იგი, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას, და დაეკშა კარი.

11. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი, და იტყოდეს: უფალო! უფალო! განგჳღე ჩუჱნ.

12. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამინ გეტყჳ თქუჱნ, არა გიცნი თქუჱნ.

13. იღჳძებდით უკუჱ, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისა მოვიდეს.

14. ვითარცა იგი რაჟამს წარვალნ კაცი, და მოუწესნ მონათა თჳსთა და მისცის მათ მონაგები თჳსი.

15. და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი, და რომელსამე ორი ქანქარი, და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თჳსისა, და მეყუსეულად წარვიდა.

16. ხოლო წარვიდა რომელმან იგი ხუთი ქანქარი მიიღო, აქმნია მას ზედა, და შეჰსძინა სხუა-ღა ხუთი ტალანტი.

17. ეგრეთვე რომელმან იგი ორი მიიღო, შეჰსძინა სხუა ორი.

18. ხოლო რომელმან იგი ერთი მიიღო, წარვიდა და მოსთხარა, და დაფლა ქუჱყანასა ვეცხლი იგი უფლისა თჳსისა.

19. შემდგომად მრავლისა ჟამისა, მოვიდა უფალი იგი მათ მონათა, და სიტყუა-ჰყო მონათა მათ თანა.

20. და წარმოჰსდგა, რომელმან იგი ხუთი ქანქარი მიიღო, და მოართუა მას სხუაღა ხუთი ქანქარი, და ჰრქუა: უფალო! ხუთი ქანქარი მომეც მე; აჰა ესერა, სხუაღა ხუთი ქანქარი შევჰსძინე.

21. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ-მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.

22. მოვიდა იგიცა, რომელსა ორი ქანქარი მიეღო და ჰრქუა: უფალო! ორი ქანქარი მომეც მე, აჰა სხუა ორი ტალანტი შევჰსძინე.

23. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ-მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.

24. მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მიეღო და ჰრქუა: უფალო! უწყოდი, რამეთუ ფიცხელი კაცი ხარ შენ; მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განიბნიე ვიეს.

25. და შემეშინა, წარვედ და დავმალე ქანქარი იგი შენი ქუჱ-

*

უანასა; აჰა ესერა, შენი შენ თანა
არს.
26. მიუგო უფალმან მისმან
და ჰრქუა მას: ბოროტო მონაო
და მედგარო! უწყოდი, რამეთუ
მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და
შევიკრიბი, სადა არა განმიბნე-
ვიეს.
27. ჯერ-იყო შენდა დადებად
ვეცხლი ჩემი სავაჭროსა, და მომ-
ცაველ და მოვიღე ჩემი იგი აღ-
ნადგინებითურთ.
28. მოუღეთ მაგას ქანქარი
ეგე, და მიეცით მას, რომელსა
აქუს ათი ქანქარი.
29. რამეთუ ყოველსა, რომელ-
სა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს;
და რომელსა არა აქუნდეს, და რო-
მელღა იგი აქუნდეს, მოუღონ
მისგან. და უკმარი ეგე მონაჲ
განსჭვადეთ ბნელსა მას გარესკნელ-
სა, მუნ იყოს ტირილი, და ღრჭე-
ნა კბილთა.
30. და ამას რა იტყოდა, კმა-
ჰყო: რომელსა ასხენ ყურნი სმე-
ნად, ისმინენ.
31. ხოლო რაჟამს მოვიდეს
ძე კაცისა დიდებითა თჳსითა, და
ყოველნი ანგელოზნი მისნი მის-
თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა
დიდებისა თჳსისათა.
32. და შეჰკრბენ წინაშე მის-
სა ყოველნი ნათესავნი, და განარ-
ჩინნეს იგინი ურთიერთარს, ვი-
თარცა იგი მწყემსმან რა განარჩი-
ნის ცხოვარნი თიკანთაგან;
33. და დაადგინნეს ცხოვარ-
ნი მარჯუენით მისსა, და თიკან-
ნი მარცხენით.

34. მაშინ ჰრქუას მეუფემან
მარჯუენითთა მათ მისთა: მოვე-
დით, კურთხეულნო მამისა ჩემისა-
ნო! და დაიმკჳდრეთ განმზადებუ-
ლი თქუენთჳს სასუფეველი, და-
საბამითგან სოფლისათ.
35. რამეთუ მშიოდა, და მე-
ცით მე ჭამადი; მწყუროდა, და
მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შე-
მიწყნარეთ მე.
36. შიშუელ ვიყავ, და შემ-
მოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომ-
ხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ,
და მოჰხუედით ჩემდა.
37. მაშინ მიუგონ მას მარ-
თალთა მათ და ჰრქუან: უფალო!
ოდეს გიხილეთ შენ მშიერი, და
გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი, და
გასუთ შენ?
38. ოდეს გიხილეთ შენ უც-
ხოდ, და შეგიწყნარეთ? ანუ შიშ-
უელი, და შეგმოსეთ შენ?
39. ოდეს გიხილეთ შენ, უძ-
ლური, ანუ საპყრობილესა, და
მოვედით შენდა?
40. და მიუგოს მეუფემან მან,
და ჰრქუას მათ: ამინ გეტყჳ თქუენ:
რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირე-
თაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე
მიყავთ.
41. მაშინ ჰრქუას მარცხენით-
თა მათცა: წარვედით ჩემგან წყე-
ულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა,
რომელი განმზადებულ არს ეშმა-
კისა თჳს და ანგელოსთა მისთა თჳს.
42. რამეთუ მშიოდა, და არა
მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და
არა მასუთ მე.
43. უცხო ვიყავ, და არა შე-

მიწყნარეთ მე; შიშჳელ ვიყავ, და
არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ
და საპყრობილესა, და არა მოჰ-
ხჳედით ჩემდა.
44. მაშინ მიუგონ მათცა და
ჰრქჳან: უფალო! ოდეს გიხილეთ
შენ მშიერი, ანუ წყურიელი, ანუ
უცხოებასა, ანუ შიშლოებასა, ანუ
უძლურებასა, ანუ საპყრობილესა,
და არა გმსახურეთ შენ?
45. მაშინ მიუგოს მან და ჰრ-
ქჳას მათ: ამინ გეტყჳ თქჳენ,
რავდენი არა უყავთ ერთსა ამას
მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ.
46. და წარვიდენ ესენი სა-
ტანჯჳელსა საუკუნესა, ხოლო
მართალნი ცხოვრებასა საუკუ-
ნესა.

## თავი 26.

1. და იყო, რაჟამს დაასრულ-
ნა იესო ყოველნი ესე სიტყჳანი,
ჰრქჳა მოწაფეთა თჳსთა:
2. უწყითა, რამეთუ შემდგო-
მად ორისა დღისა ვნება იყოს,
და ძე კაცისა მიეცეს ჯჳარცმად.
3. მაშინ შეკრბეს მღჳდელთ-
მთავარნი იგი და მწიგნობარნი და
მოხუცებულნი ერისანი ეზოსა
მას კაიაფა მღჳდელთ-მთავრი-
სასა.
4. და ზრახჳა-ჰყჳეს, რათა
იესო ზაკჳთ შეიპყრან და მოჰკ-
ლან.
5. ხოლო იტყოდენ: ნუ დღე-
სასწაულსა ამას, რათა არა შფო-
თი იქმნეს ერსა შორის.
6. ხოლო იესო იყო რა ბე-
თანიას, სახლსა სჳმონ კეთრო-
ვ-ნისასა,
7. მოუხდა დედაკაცი, რომელ-
სა აქჳნდა ალაბასტრი ნელსაცხე-
ბელისა მრავალ სასყიდლისა, და
დაასხა თავსა მისსა ინაკით მჯდო-
მარესა.
8. ხოლო იხილეს რა მოწა-
ფეთა, განჰრისხნეს და იტყოდეს:
რასათჳს იყო წარწყმედა ნელსა-
ცხებელისა ამის?
9. რამეთუ შესაძლებელ-იყო
ესე განჰსყიდჳად დიდ-ძალის, და
მიცემად გლახაკთა.
10. ხოლო იესო, გულის-ჰმა-
ჰყო და ჰრქჳა მათ: რასა შრომასა
შეამთხჳევთ დედაკაცსა მაგას? რა-
მეთუ საქმე კეთილი ჰქმნა ჩემდა
მომართ.
11. რამეთუ გლახაკნი მარა-
დის თქჳენთანა არიან, ხოლო
მე არა მარადის თქჳენთანა ვარ.
12. რამეთუ დაასხა მაგან ნელ-
საცხებელი ესე ხორცთა ჩემთა
და დასაფლველად ჩემდა ჰყო.
13. ამინ გეტყჳ თქჳენ: სა-
დაცა იქადაგოს სახარება ესე ყო-
ველსა სოფელსა, ითქმოდეს, რო-
მელიცა ესე ჰყო მაგან საჴსენებე-
ლად მაგისსა.
14. მაშინ წარვიდა ერთი იგი
ათორ-მეტთაგანი, რომელსა ერ-
ქჳა იუდა ისკარიოტელი, მღჳ-
დელთ-მთავართა მათ,
15. და ჰრქჳა: რა გნებავს მო-
ცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი?
ხოლო მათ მიუწონეს მას ოცდა-
ათი ვეცხლი.
16. და მიერითგან ემიებდა

ჟამსა მარჯუესა, რათა მიჰსცეს
იგი მათ.
17. ხოლო პირველსა მას დღე-
სა უცომოებისასა, მოუჴდეს მო-
წაფენი იესოს და ჰრქუეს მას:
სადა გნებავს და მოგიმზადოთ შენ
ჭამად პასქა ესე?
18. ხოლო იესო ჰრქუა მათ:
წარვედით ქალაქად კაცისა ვისსა-
მე, და არქუთ მას: მოძღუარი ეგ-
რეთ იტყჳს: ჟამი ჩემი ახლოს
არს, შენთანა ვჰყო პასქა ესე მო-
წაფითურთ ჩემით.
19. და ჰყუეს ეგრეთ მოწა-
ფეთა, ვითარცა უბრძანა მათ იე-
სო, და მოუმზადეს პასქა იგი.
20. და ვითარცა შემწუხრდა,
ინაჴით ჰსჯდა იესო ათ-ორ-მეტ-
თა მათ თანა.
21. და ვითარცა ჰსჭამდეს
იგინი, ჰრქუა იესო: ამინ გეტ-
ყჳ თქუენ: ერთმან თქუენგანმან
მიმცეს მე.
22. და იგინი შეჰსწუხნეს
ფრიად, და იწყეს კაცად-კაცადმან
მათმან სიტყუად: ნუ უკუე მე
ვარ უფალო?
23. ხოლო თავადმან მიუგო
და ჰრქუა მათ: რომელმან შთა-
მოყოს ჩემთან ჴელი პინაკსა ამას,
ამან მიმცეს მე.
24. ძესამე კაცისა წარვალს,
ვითარცა წერილ-არს მისთჳს. ხო-
ლო ვაჲ კაცისა მის, რომლისა
მიერ ძე კაცისა მიეცეს. უმჯო-
ბეს იყო მისა, არა თუმცა შო-
ბილ-იყო კაცი იგი.
25. მიუგო იუდა, რომელმან-
ცა მიჰსცა იგი და ჰსთქუა: ნუ
უკუე მე ვარ მოძღუარ? ჰრქუა
მას იესო: შენ ჰსთქუ.
26. და ვითარცა ჰსჭამდეს
იგინი, მოიღო იესო პური, და
ჰმადლობდა, და განჰსტეხა, და მიჰ-
სცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა
მათ: მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე არს
ჴორცი ჩემი.
27. და მოიღო სასუმელი და
ჰმადლობდა, და მიჰსცა მათ და
ჰსთქუა: ჰსუით ამისგან ყოველთა.
28. ესე არს სისხლი ჩემი ახ-
ლისა აღთქმისა, მრავალთათჳს
დათხეული მისატევებელად ცოდ-
უათა.
29. ხოლო გეტყჳ თქუენ,
ვითარმედ არღარა ვჰსუა მე ამი-
ერითგან ნაყოფისაგან ამის ვენა-
ჴისა, ვიდრე მუნ დღედმდე, რა-
ჟამს იგი ვჰსუა თქუენთანა ახა-
ლი სასუფეველსა მამისა ჩემისასა.
30. და გალობა წაჰრსთქუეს,
და განვიდეს მთასა მას ზეთის-
ხილთასა.
31. მაშინ ჰრქუა მათ იესო:
თქუენ ყოველნი დაბრკოლდებად
ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა,
რამეთუ წერილ-არს: დავჰსცე მწყემ-
სი და განიბნინეს ცხოვარნი სამ-
წყსოსა მისისანი.
32. ხოლო შემდგომად აღ-
დგომისა ჩემისა წინა წარგიძღუე
თქუენ გალილეას.
33. მიუგო პეტრე და ჰრქუა
მას: დაღათუ ყოველნი დაბრკოლ-
დენ შენდა მომართ, ხოლო მე
არა სადა დავჰბრკოლდე.
34. ჰრქუა მას იესო: ამინ
გეტყჳ შენ, რამეთუ ამას ღამესა

ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე სამ-
გზის უარ-მყო მე.

35. ჰრქჳა მას პეტრე: და-
ღაცათუ ჯერ-იყოს სიკჳდილი ჩე-
მი შენ თანა, არა სადა უარ-გყო
შენ. და ეგრეთვე მჴსგავსად ყო-
ველნი მოწაფენი ეტყოდეს.

36. მაშინ მოვიდა იესო მათ
თანა ადგილსა, რომელსა ჰრქჳან
გეთსამანია, და ჰრქჳა მათ: დაჰს-
ხედით მანდა, ვიდრემდე მივიდე
იქი, და ვილოცო.

37. და წარიყჳანნა პეტრე, და
ორნი ძენი ზებედესნი, და იწყო
მწუხარებად, და ურვად.

38. მაშინ ჰრქჳა მათ იესო:
შეწუხებულ-არს სული ჩემი ვიდ-
რე სიკჳდილადმდე; დაადგერით
აქა, და იღჳძებდით ჩემთანა.

39. და წარვიდა მცირედ, და
დავარდა პირსა ზედა თჳსსა,
ილოცჳდა და იტყოდა: მამაო ჩე-
მო! უკეთუ შესაძლებელ-არს, თა-
ნა წარმხედინ ჩემგან სასჳმელი
ესე; ხოლო არა ვითარ მე მნე-
ბავს, არამედ ვითარცა შენ.

40. და მოვიდა მოწაფეთა თა-
ნა, და ჰპოვნნა იგინი მძინარენი,
და ჰრქჳა პეტრეს: ესოდენ ვერ უძ-
ლეთ ჟამ-ერთ მღჳძარებად ჩემთანა.

41. იღჳძებდით და ილოცვე-
დით, რათა არა შეხჳდეთ გან-
საცდელსა; სული გულს-მოდგი-
ნე არს, ხოლო ჴორცნი უძლურ.

42. კჳალად მეორედ წარვიდა,
და ილოცჳდა, და ჰსთქჳა: მამაო
ჩემო! უკეთუ ვერ შესაძლებელ-
არს სასჳმელი ესე თანა წარს-
ლჳად ჩემდა, რათამცა არა შევ-
ჰსვი იგი; იყავნ ნება შენი.

43. და მოვიდა და კჳალად
ჰპოვნნა იგინი მძინარენი, რამე-
თუ იყჳნეს თჳალნი მათნი დამ-
მიმებულ.

44. და დაუტევნა იგინი, და
კჳალად წარვიდა მესამედ, და ილო-
ცა, და მასვე სიტყჳსა იტყოდა.

45. მაშინ მოვიდა მოწაფეთა
და ჰრქჳა მათ: დაიძინეთ ამიერით-
გან და განისჳჱნეთ; აჰა ესერა,
მოახლებულ-არს ჟამი, და ძე კა-
ცისა მიეცემის ჴელთა ცოდჳლთასა.

46. აღჰსდეგით, წარვედით ამი-
ერ; აჰა ესერა, მოიწია მიმცემე-
ლი ჩემი.

47. და ვიდრე იგი იტყოდა-
და, აჰა ესერა, იუდა, ერთი იგი
ათორ-მეტთაგანი, მოვიდა, და მის
თანა ერი მრავალი, მახჳლებითა
და წათებითა, მღჳდელთ-მთავართა-
გან და მოხუცებულთა ერისათა.

48. ხოლო მიმცემელსა მას
მისსა მიეცა სასწაულად. და ჰრქჳა:
რომელსა მე ამბორს-უყო, იგი
არს, შეიპყართ იგი.

49. და მეყჳსეულად მოუჴდა
იესოს და ჰრქჳა: გიხაროდენ მოძ-
ღჳარ! და ამბორს-უყო მას.

50. ხოლო იესო ჰრქჳა მას:
მოყჳასო, რომლისათჳსცა მოს-
რულ ხარ? მაშინ მოუჴდეს და
დაჰსხნეს ჴელნი მათნი იესოს
ზედა, და შეიპყრეს იგი.

51. და აჰა, ერთმან იესოს თანა-
მან, მიჰყო ჴელი და იჴადა მახჳლი,
და ჰსცა მონასა მღჳდელთ-მთავ-
რისასა და წარჰკჳჱთა ყური მისი.

52. მაშინ ჰრქუა მას იესუ: მიაქციე მახჳლი ადგილსავე თჳსსა, რამეთუ ყოველთა, რომელთა აღიღონ მახჳლი, მახჳლითა წარჰსწყმდენ.

53. ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ვერ ძალ-მიძს ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათ-ორ-მეტთა გუნდთა ანგელოსთა?

54. და ვითარმედ აღესრულნენ წერილნი, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს ყოფად?

55. მას ჟამსა ჰრქუა იესუ ერსა მას: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუჱდით მახჳლითა, და წათებითა შეპყრობად ჩემდა; დღითი დღე თქუჱნთანა ტაძარსა მას შინა ვჰსჯედ, და გასწავებდ, და არა შემიპყართ მე.

56. ხოლო ესე ყოველი იქმნა, რათა აღესრულნენ წიგნნი წინასწარ-მეტყუჱლთანი. მაშინ მოწაფეთა ყოველთა, დაუტევეს იგი და ივლტოდეს.

57. ხოლო მათ შეიპყრეს იესუ და მიიყუანეს კაიაფასა მღუდელთ-მთავრისასა, სადა იგი მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყუნეს.

58. ხოლო პეტრე მიჰსდევდა მას შორით, ვიდრე ეზოდმდე მღუდელთ-მთავრისა, და შევიდა შინა და დაჰსჯდა მსახურთა თანა ხილუად აღსასრულისა.

59. ხოლო მღუდელთ-მთავარნი იგი და მოხუცებულნი და ყოველი კრებული ეძიებდეს ცრუ-მოწამეთა იესოსთჳს, რათამცა მოჰკლეს იგი.

60. და არა ჰპოვებდეს, და მრავალნი მოსრულ-იყუნეს ცრუ მოწამენი და არა ჰპოვნეს. ხოლო უკანასკნელ მოვინმე-ვიდეს ორნი და ჰსთქუჱს:

61. ვითარმედ ამან ესრეთ ჰსთქუა: ძალ-მიძს დარღუჱვად ტაძარი ესე ღმრთისა, და მესამესა დღესა აღშენებად.

62. მაშინ აღჰსდგა მღუდელთ-მთავარი იგი, და ჰრქუა მას: არა რას მიუგება? რასა ესე შეგწამებენ შენ?

63. ხოლო იესუ ჰსდუმნა. მაშინ მღუდელთ-მთავარმან მან ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რათა მითხრა ჩუჱნ, უკეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა?

64. ჰრქუა მას იესუ: შენ ჰსთქუ; ხოლო გეტყჳ თქუჱნ: ამიერითგან იხილოთ ძე კაცისა მჯდომარე მარჯუჱნით ძლიერებასა, და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.

65. მაშინ მღუდელთ-მთავარმან მან დაიპო სამოსელი თჳსი, და ჰსთქუა: ვითარმედ ჰგმო; აწ უკუჱ რასაღა გჳხმან მოწამენი? აჰა ესერა, გუჱსმა გმობა მაგისი.

66. რა გნებავს თქუჱნ? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუჱს: თანამდებ-არს სიკუდილისა-

67. მაშინ ჰნერწყუდეს პირსა მისსა, და კურთითა ჰსცემდეს თავსა მისსა, და რომელნიმე ყურიმალსა-ჰსცემდეს.

68. და ეტყოდეს: გუწინასწარ-მეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ?

69. ხოლო პეტრე ჰსჯდა გარეშე ეზოსა შინა, მოუჴდა მას ერთი მჴევალი და ჰრქუა მას: და შენცა იყავ იესოსთანა გალილეველისა.

70. ხოლო მან უარ-ჰყო წინაშე ყოველთასა და ჰრქუა: არა ვიცი რასა იტყჳ.

71. და ვითარცა გამოვიდა იგი გარეშე ბჭეთა, იხილა იგი სხუამან, და ჰრქუა მუნ მდგომარეთა მათ: ესეცა იყო იესოს თანა ნაზარეველისა.

72. და მერმეცა უარ-ჰყო პეტრე ფიცით და ჰსთქუა, ვითარმედ არა ვიცი კაცი იგი.

73. და შემდგომად მცირედისა მოუჴდეს მუნ მდგომარენი იგი პეტრეს და ჰრქუეს მას: ჭეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, და რამეთუ სიტყუაცა შენი გამოგაჩინებს შენ.

74. მაშინ იწყო შეჩუენებად და ფიცად, ვითარმედ არა ვიცი კაცი იგი. და მეყსეულად ქათამმან იყივლა.

75. და მოეჴსენა პეტრეს სიტყუა იგი იესოსი, რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ ვიდრე ქათმის ჴმობადმდე სამ-გზის უარ-მყო მე. და გამოვიდა გარე, და ჰსტიროდა მწარედ.

## თავი 27.

1. და ვითარცა განჰსთენა, ზრახუა-ჰყუეს ყოველთა მღდელთ-მთავართა და მოხუცებულთა ერისათა იესოსთჳს, რათა მოჰკლან იგი.

2. და შეჰკრეს იგი, და მიიყუანეს, და მიჰსცეს იგი პონტოელსა პილატეს მთავარსა.

3. მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმანცა მიჰსცა იგი, რამეთუ დაისაჯა, შეინანა, და მიაქცია ოცდა-ათი იგი ვეცხლი მღდელთ-მთავართა მათ მიმართ და მოხუცებულთა.

4. და ჰსთქუა: ვჰსცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჩუენდა რა? შენ იხილე.

5. და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა, და განეშორა; და წარვიდა, და შიშთვილიბა.

6. ხოლო მღდელთ-მთავართა მოიღეს ვეცხლი იგი და ჰსთქუეს: არა ჯერ-არს ესე დადებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისა არს.

7. და ზრახუა ჰყუეს, და მოიყიდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისა, სათვალავად უცხოთა.

8. ამისთჳს ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისა, ვიდრე აქა დღედმდე.

9. მაშინ აღესრულა თქმული იგი იერემია წინასწარ-მეტყუელისა, რომელსა იტყჳს: და მოვიღე ოცდა-ათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისა მის, რომელი მოიყიდეს მეთაგან ისრაილისათა.

10. და მიჰსცეს იგი აგარაკი-

სათჳს მეკეცისა, ვითარც მიბრძა-
ნა მე უფალმან.
11. ხოლო იესო დაჰსდგა წი-
ნაშე მთავრისა მის, და ჰკითხა
მას მთავარმან მან, და ჰრქუა: შენ
ხარა მეუფე ურიათა? ხოლო იესო
ჰრქუა მას: შენ იტყჳ.
12. და შესმენასა მას მღუდელთ-
მთავართასა და მოხუცებულთასა
არა რა მიუგო.
13. მაშინ ჰრქუა მას პილატე:
არა გესმისა რაოდენსა ესე შეგ-
წამებენ შენ?
14. და არა რა მიუგო მას
არცა ერთისა სიტყჳსათჳს, ვიდ-
რემდე უკჳრდაცა მთავარსა მას
ფრიად.
15. ხოლო დღესასწაულთა
ჩუეულ-იყო მთავარი იგი, და მიუ-
ტევის ერსა მას ერთი პყრობილი,
რომელიცა უნებნ მათ.
16. ხოლო ჰყვა ვინმე მაშინ
პყრობილი შესწავებული, რომელ-
სა ერქუა ბარაბა.
17. და ვითარ შეკრებულ-იყუ-
ნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე:
ვინ გნებავს ორთა ამათგანი და
მიგიტეო თქუენ, ბარაბა, ანუ იე-
სო, რომელსა ჰრქჳან ქრისტე?
18. რამეთუ უწყოდა, ვითარ-
მედ შურითა მიჰსცეს იგი.
19. და ვითარცა დაჰსჯდა პი-
ლატე საყდართა ზედა, მიუვლინა
მას ცოლმან მისმან და ჰრქუა მას:
არა რა ჰსმეს შენი და მართლისა
მაგის კაცისა, რამეთუ მრავალი
მევნო მე დღეს ჩუენებით მაგი-
სთჳს.
20. ხოლო მღუდელთ-მთავარ-
თა მათ და მოხუცებულთა არწმუ-
ნეს ერსა მას, რათა გამოითხოონ
ბარაბაჲ, ხოლო იესო წარჰსწყუ-
მიდონ.
21. მიუგო მთავარმან მან და
ჰრქუა მათ: ვინ გნებავს ორთა
ამათგანი და მიგიტეო თქუენ?
ხოლო მათ ჰრქუეს: ბარაბა.
22. ჰრქუა მათ პილატე: რა
უყუ უყო იესოს, რომელსა ჰრ-
ქჳან ქრისტე? ჰრქუეს მას ყო-
ველთა: ჯუარს-ეცჳ.
23. ხოლო მთავარმან ჰრქუა
მათ: და რა ბოროტი უქმნიეს?
ხოლო იგინი უმეტესად ჰღაღა-
დებდეს და იტყოდეს: ჯუარს-
ეცჳ.
24. ვითარცა იხილა პილატე,
რამეთუ არას არგებს, არამედ უფ-
როსღა შფოთი იქმნების, მოით-
ხოვა წყალი, და დაიბანნა კელნი
წინაშე ერისა მის, და ჰსთქუა: უბ-
რალო ვარ მე სისხლისაგან მაგი-
სისა; თქუენ იხილეთ.
25. და მიუგო ყოველმან ერ-
მან და ჰრქუეს: სისხლი მაგისი
ჩუენ ზედა და შჳლთა ჩუენთა
ზედა.
26. მაშინ მიუტევა მათ ბარა-
ბა, ხოლო იესოს შოლტითა ჰს-
ცა, და მიჰსცა მათ, რათა ჯუარს-
ეცუას.
27. მაშინ ერისაგანთა მათ მთავ-
რისათა, წარიყუანეს იესო ტაძ-
რად და შეჰკრიბეს მის ზედა ნა-
თესავები იგი ყოველი.
28. და განჰსძარცუეს იგი, და
ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს
მას.

29. და შეჰსთხზეს გჳრგჳნი
ეკალთაგან, და დაადგეს თავსა მის-
სა, და ლელწამი მისცეს მარჯუე-
ნესა ჴელსა მისსა, და მუჴლნი
დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს
მას და ეტყოდეს: გიხაროდენ მე-
უფეო ურიათაო!
30. და ჰნერწყჳდეს მას, და
მოიღეს ლელწამი, და ჰსცემდეს
თავსა მისსა.
31. და ოდეს განჰკიცხეს იგი,
განჰსძარცუეს მას ქლამინდი იგი,
და შემოსეს მას თჳსივე სამოსე-
ლი, და წარიყუანეს იგი, რათა
ჯუარს-აცუან.
32. და ვითარცა გამოვიდეს
იგინი მიერ, ჰპოვეს კაცი კჳრი-
ნელი, სახელით სჳმონ; ესე წა-
რიქციეს პაჰრაკად, რათა აღიღოს
ჯუარი მისი.
33. და მოვიდენ ადგილსა მას,
რომელსა ჰრქჳან გოლგოთა, რო-
მელ-არს: თხემისა-ადგილი.
34. და მისცეს მას ძმარი,
ნაღველითა აღზავებული, და გემო
რა იხილა, არა უნდა სუმის.
35. და ვითარცა ჯუარს-აცუეს
იგი, განიყუეს სამოსელი მისი
და განიგდეს წილი; რათა აღეს-
რულოს თქმული იგი წინასწარ-
მეტყუელისა მიერ, რომელსა იტ-
ყჳს: განიყუეს სამოსელი ჩემი
მათ შორის, და კუართსა ჩემსა ზე-
და განიგდეს წილი.
36. და ჰსხდეს მუნ და ჰსცჳ-
დეს მას.
37. და დაჰსდუეს თავსა მისსა
ზედა ბრალი მისი, დაწერილი:
ესე არს იესო, მეუფე ჰურიათა.
38. მაშინ ჯუარს-აცუნეს მის-
თანა ორნი ავაზაკნი, ერთი მარ-
ჯუენით მისა, და ერთი მარცხენით.
39. ხოლო თანა-წარმავალნი
იგი ჰგმობდეს მას, ჰყრიდეს თავ-
თა მათთა.
40. და იტყოდეს: რომელი
დაჰხსნიდ ტაძარსა მას, და მესა-
მესა დღესა აღაშენებდ, იჴსენ თა-
ვი თჳსი, უკეთუ ძე ხარ ღმრთი-
სა, გარდამოჰჴედ მაგიერ ჯუარით.
41. ეგრეთვე მღუდელთ-მთა-
ვარნი იგი, ემღერდეს მწიგნო-
ბართა თანა და მოხუცებულთა, და
ფარისეველთა და იტყოდეს.
42. სხუანი აცხოვნნა, თავი
თჳსი ვერ ძალ-უძს ცხოვნებად.
უკეთუ მეუფე ისრაილისა არს,
გარდამოჰჴედინ აწ მაგიერ ჯუა-
რით, და გურწმენეს იგი.
43. უკეთუ ესვიდა ღმერთსა,
იჴსენინ იგი, უკეთუ ჰნებავს იგი,
რამეთუ ჰსთქუა, ვითარმედ ძე
ღმრთისა ვარიმე.
44. ეგრეთვე ავაზაკნი იგი,
მისთანა ჯუარ-ცმულნი, აყუედ-
რებდეს მას.
45. ხოლო მეექუსით ჟამით-
გან დაბნელდა ყოველი ქუეყანა,
ვიდრე მეცხრე ჟამადმდე.
46. და მეცხრესაოდენ ჟამსა
ჴმა-ყო იესო ჴმითა დიდითა და
ჰსთქუა: ილი, ილი! ლამა საბაქ-
თანი? ესე არს: ღმერთო ჩემო,
ღმერთო ჩემო! რასათჳს დამიტე-
ვე მე?
47. და რომელთამე მუნ მდგო-
მარეთა ესმა ესე, და იტყოდეს ვი-
თარმედ ილიას უჴმობს ესე.

48. და მეყუ̂სეულად მირბიოდა ერთი მათგანი, და მოიღო ღრუბელი, და აღავსო ძმრითა, და დაადგა ლელწამსა და ასუ̂მიდა მას.

49. ხოლო სხუ̂ანი იტყოდეს: აცადეთ და ვიხილოთ, უკეთუ ილია მოვიდეს ჴსნად მისა.

50. ხოლო იესო კუ̂ალად ჴმა-ჰყო ჴმითა დიდითა, და განუტევა სული.

51. და აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძრისა მის განიპო ორად, ზეითგან ვიდრე ქუ̂ჱმდე; და ქუ̂ჱყანა შეიძრა; და კლდენი განჰსქდეს;

52. და საფლავნი აღეკუ̂ნენ; და მრავალნი გუ̂ამნი შესუ̂ჱნებულთა წმიდათანი აღჰსდგეს;

53. და გამოვიდეს საფლავით მათით, და შემდგომად აღდგომისა მისისა, შევიდეს წმიდასა ქალაქსა, და გამოეცხადნეს მრავალთა.

54. ხოლო ასის-თავმან მან და მისთანათა, რომელნი ჰსცჳდეს იესოს, იხილეს რა ძრვა იგი და რა იგი იქმნა, შეეშინა ფრიად, და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისა იყო ესე:

55. იყუ̂ნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედჳდეს, რომელნი შეუდგეს იესოს გალილეაით, და მსახურებდეს მას.

56. რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალინელი, და მარიამ იაკობისი და იოსეს დედა, და დედა ძეთა ზებედესთა.

57. და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიათ, სახელით იოსებ, რომელ იგიცა მოწაფე ყოფილ-იყო იესოსა.

58. ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუ̂ამი იესოსი. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუ̂ამი იგი მისი.

59. და მოიღო გუ̂ამი იგი მისი იოსებ, და წარჰგრაგნა იგი არმენაკსა წმიდასა.

60. და დაჰსდუ̂ა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუ̂ჱთა კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისასა, და წარვიდა.

61. იყო მუნ მარიამ მაგდალინელი და სხუ̂ა იგი მარიამ, დაჰსსდეს წინაშე საფლავსა მას.

62. ხოლო ხვალისაგან, რომელ-არს შემდგომად პარასკევისა, შეჰკრბეს მღუ̂დელთ-მთავარნი იგი და ფარისეველნი პილატესა.

63. და ჰრქუ̂ჱს: უფალო! მოვიხსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან ჰსთქუ̂ა, ვიდრე ცოცხალღა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვჰსდგეო.

64. აწ უკუ̂ჱ ბრძანე დაკრძალუ̂ად საფლავი იგი, ვიდრე მესამედ დღედმდე, ნუ უკუ̂ჱ მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი, და უთხრან ერსა, ვითარმედ აღჰსდგა მკუ̂დრეთით, და იყოს უკანასკნელი საცთური უმჳრეს პირველისა.

65. ჰრქუ̂ა მათ პილატე: გაქუ̂ს თქუ̂ჱნ დასი, წარვედით და დაჰკრძალეთ ვითარცა იცით.

66. ხოლო იგინი წარვიდეს,

და დაჰკრძალეს საფლავი იგი, და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისათანა.

თ ა ვ ი 28.

1. ხოლო მწუხრი შაბათსა, რომელი განჰსთენდებოდა ერთ-შაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალინელი, და სხჳა იგი მარიამ, ხილვად საფლავისა მის.

2. და აჰა ძრვა იყო დიდი, რამეთუ ანგელოსი უფლისა გარდამოჰხდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა, და დაჰსჯდა მას ზედა.

3. ხოლო იყო ხილვა მისი, ვითარცა ელვა, და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი.

4. ხოლო საშინელებისაგან მისისა შეჰსძრწუნდეს მცჳელნი იგი, და იქმნნეს ვითარცა მკჳდარნი.

5. მიუგო ანგელოსმან მან და ჰრქჳა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქჳენ, ვიცი, რამეთუ იესოს ნაზარეველსა ჯჳარ-ცმულსა ეძიებთ.

6. არა არს აქა, რამეთუ აღჰსდგა, ვითარცა ჰსთქჳა. მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დაიდვა უფალი.

7. და ადრე წარვედით, და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ აღჰსდგა მკჳდრეთით, და აჰა წინა-გიძღჳს თქჳენ გალილეას; მუნ იხილოთ იგი. აჰა ესერა, გარქჳ თქჳენ.

8. ხოლო იგინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით, შიშით და სიხარულითა დიდითა მიჰრბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა.

9. და ვითარ იგი მივიდოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა, და აჰა, იესო შეემთხჳა მათ, და ჰრქჳა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მოვიდეს და შეუვრდეს ფერხთა მისთა, და თაყჳანის-ჰსცეს მას.

10. მაშინ ჰრქჳა მათ იესო: ნუ გეშინინ, წარვედით და უთხართ ძმათა ჩემთა, რათა წარვიდენ გალილეას, და მუნ მიხილონ მე.

11. და ესენი ვითარცა წარვიდეს, აჰა ესერა, დასისა მისგანნი, შევიდეს ქალაქად და უთხრეს მღჳდელთ-მთავართა მათ, ყოველი ესე რაცა იქმნა.

12. ხოლო იგინი შეჰკრბეს მოხუცებულთა თანა და ზრახჳა-ჰყჳეს, ვეცხლი დიდ-ძალი მიჰსცეს ერისაგანთა მათ,

13. და ჰრქჳს: ესრეთ ჰსთქჳთ, ვითარმედ მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი ვიდრე ჩჳენ მეძინა.

14. უკეთუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩჳენ ვარწმუნოთ, და თქჳენ უზრუნველ-გყჳნეთ.

15. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი, და ჰყჳეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათგან; და განითქჳა სიტყუა ესე ურიათა შორის, ვიდრე დღეინდელად დღედმდე.

16. ხოლო ათ-ერთ-მეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეას, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესო.

17. იხილეს იგი, დ თაყუ̂ანის-ჰსცეს მას, ხოლო რომელნი შეორგულდეს.

18. მოუკდა მათ იესო, ეტყოდა დ ჰრქუ̂ა: მომეცა მე ყოველი კელმწიფება ცათა შინა დ ქუ̂ეყანასა ზედა.

19. წარვედით დ მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, დ ნათელს-ჰსცემდით მათ სახელითა მამისათა, დ ძისათა, დ სულისა წმიდისათა.

20. და ასწავებდით მათ დამარხუ̂ად, ყოველი, რაოდენი გამცენ თქუ̂ენ; დ აჰა ესერა, მე თქუ̂ენ თანა ვარ ყოველთა დღეთა, დ ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა ამინ.

# სახარება მარკოსისი.

## თავი 1.

1. დასაბამი სახარებისა იესო
ქრისტესი, ძისა ღმრთისა.
2. ვითარცა წერილ-არს ისაია
წინასწარ-მეტყჳელსა: აჰა ესერა,
მე წარვავლინო ანგელოსი ჩემი
წინაშე პირსა შენსა, რომელმან
განმჰზადნეს გზანი შენნი წინაშე
პირსა შენსა.
3. ჴმა ღაღადებისა უდაბნოსა:
განმზადენით გზანი უფლისანი,
დ̃ წრფელ-ჰყჳენით ალაგნი მისნი.
4. იყო იოანე უდაბნოსა, დ̃
ნათელს-ჰსცემდა, დ̃ ჰქადაგებდა
ნათლის-ცემასა სინანულისასა მი-
სატევებელად ცოდჳათა.
5. და განვიდოდა მისა ყოვე-
ლი სოფლები ურიასტანისა დ̃
იერუსალემელნი, დ̃ ნათელ-იღებ-
დეს მისგან ყოველნი იორდანე-
სა მდინარესა, დ̃ აღუარებდეს ცო-
დჳათა მათთა.
6. ხოლო ემოსა იოანეს სა-
მოსლად თმისაგან აქლემისა, დ̃
სარტყელი ტყავისა წელთა მის-
თა, დ̃ ჰსჭამდა იგი მკალსა დ̃
თაფლსა ველურსა.
7. ჰქადაგებდა, დ̃ იტყოდა:
ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა
შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ
ღირს ვარ განჰხსნად საბელსა ჴამ-
ლთა მისთასა.
8. მე ნათელ-გცემთ თქჳენ
წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეს
თქჳენ სულითა წმიდითა.
9. და იყო მათ დღეთა შინა,
მოვიდა იესო ნაზარეთით გალი-
ლეასათ, დ̃ ნათელ იღო იოანეს-
გან იორდანესა.
10. და მეყჳსეულად აღმოს-
ლჳასა მისა მიერ წყლით, იხილ-
ნა ცანი განჴმულნი დ̃ სული
ღმრთისა გარდამომავალი, ვითარ-
ცა ტრედი მის ზედა.
11. და ჴმა იყო ზეცით: შენ
ხარ მე ჩემი საყჳარელი, შენ სათ-
ნო-გიყავ.
12. და მეყჳსეულად სულმან
განიყჳანა იგი უდაბნოდ.
13. და იყო მუნ ორმეოც
დღე, დ̃ გამოიცადებოდა ეშმაკი-
საგან, დ̃ იყო მჴეცთა თანა, დ̃
ანგელოსნი მსახურებდეს მას.
14. და შემდგომად მიცემისა
იოანესა, მოვიდა იესო გალილე-
ად, ჰქადაგებდა სახარებასა სასუ-
ფეველისა ღმრთისასა.
15. და იტყოდა: ვითარმედ
აღსრულებულ-არს ჟამი, დ̃ მოახ-

ღებულ-არს სასუფეველი ღმრთი-
სა; შეინანეთ, და გრწმენინ სახა-
რებისა.
16. ხოლო ვიდოდა რა ზღჳს-
კიდესა მას გალილიასასა, იხილ-
ნა სჳმონ და ანდრია, ძმაჲ მისი,
ითხევლიდეს რა ზღ̂ასა მას ზე-
და; რამეთუ იყ̂ნეს იგინი მესა-
თხევლე.
17. და ჰრქ̂ა მათ იესო: მო-
ვედით და შემომიდეგით მე და
გყ̂ნე თქ̂ჱნ მესათხევლე კაცთა.
18 ხოლო მათ მეყ̂სეულად
დაუტევნეს ბადენი მათნი და მიჰ-
სდევდეს მას.
19. და მცირედ წარვიდა, და
იხილა იაკობ ზებედესი და იოა-
ნე, ძმაჲ მისი, და იგინი განაგებ-
დეს ბადეთა ნავსა შინა.
20. და უწოდა მათ. ხოლო მათ
მეყ̂სეულად დაუტევეს ზებედე,
მამაჲ მათი, ნავსა შინა მუშაკთა
მისთა თანა, და მიჰსდევდეს მას.
21. და შევიდეს კაპერნაუმად,
და მეყ̂სეულად დღესა შაბათსა
შევიდა შესაკრებელსა მათსა, და
ასწავებდა მათ.
22. და განუკჳრდებოდა ერსა მას
მოძღ̂რება იგი მისი; რამეთუ
ასწავებდა მათ, ვითარცა იგი ვის
აქ̂ნ ჴელმწიფება, და არა ვითარ
იგი მწიგნობარნი მათნი.
23. და იყო კრებულსა მას
შინა მათსა კაცი, რომლისა თა-
ნა იყო სული არა-წმიდა, ღაღად
ჰყო,
24. და ჰსთქ̂ა: ეჰა რაჲ არს
ჩ̂ჱნი, და შენი, იესო ნაზარეველო?
მოსრულ-ხარ წარწყმედად ჩ̂ჱნდა.
გიცით შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე
ღმრთისა.
25. შერისხნა მას იესო და
ჰრქ̂ა: პირი დაიყავ, და განვედ
მაგისგან.
26. და დაჰსცა იგი სულმან
მან არა-წმიდამან, და ჴმა-ჰყო ჴმითა
დიდითა, და განვიდა მისგან.
27. და დაუკჳრდებოდა ყოველ-
თა, ვიდრე გამოიებადმდე ურ-
თიერთარს, და იტყოდეს: რამე
არს მოძღ̂რება ესე ახალი,
რამეთუ ჴელმწიფებით სულთაცა
არა წმიდათა უბრძანებს, და ერჩი-
ან მას?
28. და განჰსხდა ჰამბავი მისი
ყოველსა მას სოფლებსა გალილი-
ასასა.
29. და მიერ შესაკრებელით
გამოვიდა, და მოვიდა სახლსა სჳ-
მონისსა, და ანდრიასსა, იოანეს და
და იაკობისთანა.
30. ხოლო სიდედრი სჳმონი-
სი დავრდომილ-იყო მკურვალე-
ბითა, და უთხრეს იესოს მისთჳს.
31. და მოვიდა, და უპყრა ჴე-
ლი მისი, და აღადგინა იგი, და
მეყ̂სეულად დაუტევა იგი მკურ-
ვალებამან მან, და აღჰსდგა და ჰმ-
სახურებდა მათ.
32. და ვითარ შემწუხრდებო-
და და მზე დაჰსვიდოდა, მოჰყ̂ან-
დეს მისა ყოველნი სნეულნი და
ეშმაკეულნი.
33. და ყოველი ქალაქი შეკ-
რებულ-იყო წინაშე კართა.
34. და განჰკურნნა ყოველნი
ბოროტთაგან სენთა, და თითო-
სახეთაგან სნეულებათა, და ეშმაკ-

ნი მრავალნი განასხნა, და არა უტევებდა სიტყუჲად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს იგი ვითარმედ ქრისტე არს.

35. და განთიად რიჟურაჟსოდენ, აღსდგა და გამოვიდა მიერ, და განვიდა უდაბნოსა ადგილსა, და მუნ ილოცჳდა.

36. და მიჰსდევდეს მას სჳმონ და მისთანანი.

37. და ჰპოვეს იგი, და ჰრქუეს მას: ვითარმედ ყოველნი გემიებენ შენ.

38. ხოლო იესო ჰრქუა მათ: მოვედით და წარვიდეთ მახლობელსა დაბნებსა და ქალაქებსა, რათა მუნ უქადაგოთ, რამეთუ ამისთჳს მოვივლინე.

39. და ჰქადაგებდა შესაკრებელთა მათთა და ყოველსა გალილიასა, და ეშმაკთა განასხმიდა.

40. მაშინ მოუხდა მას ერთი განკეთროვნებული, ევედრებოდა მას და მუკლნი დაიდგნა და ეტყოდა: უფალო! უკეთუ გინდეს, ძალგიძს განწმედად ჩემდა.

41. ხოლო იესოს შეეწყალა იგი, განჰყო კელი, შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განჰსწმიდენი.

42. და ვითარცა ესე ჰსთქუა: მეყუსეულად განეყარა მას კეთროვნება იგი, და განჰსწმიდნა იგი.

43. და შეჰრისხნა მას, და მეყუსეულად გამოაძო იგი,

44. და ჰრქუა მას: იხილე, ნუ ვის უთხრობ, არამედ მივედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა, და შეჰსწირე განწმედისა შენისათჳს, რომელი იგი ჰბრძანა მოსე საწამებელად მათდა.

45. ხოლო იგი გამოვიდა მიერ, და იწყო ქადაგებად ფრიად და მიმო დადებად სიტყჳსა მის, ვითარმედ ვერღარა კელეწიფა მას ცხადად ქალაქად შესლვად, არამედ გარე უდაბნოთა ადგილთა იყოფოდა; და მოვიდოდეს მისა ყოვლით კერძო.

## თავი 2.

1. და შევიდა კუალად კაპერნაუმად შემდგომად მცირედთა დღეთა; და ესმა, რამეთუ სახლსა შინა არს.

2. და მეყუსეულად შეჰკრბა მუნ სიმრავლე ერისა, ვიდრემდე ვერღარა იტევდა წინაშე კართა მათ, და ეტყოდა მათ სიტყუჳსა.

3. და მოვიდეს მისა, და მოაქუნდა განრღუეული ზე-კიდებული ოთხთაგან.

4. და ვითარ ვერ შეუძლეს მიახლებად მისა ერისა მისგან, აღჰსხმარცუეს სართული სახლისა მის, სადა იგი იყო, და აღიღეს და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდუა განრღუეული იგი.

5. და იხილა იესო სარწმუნოებაჲ იგი მათი, და ჰრქუა განრღუეულსა მას: შვილო მიგეტევნენ შენ ცოდუანი შენნი.

6. ხოლო იყუნეს ვინმე მუნ მსხდომარენი მწიგნობართაგანნი, და ჰზრახჳდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს,

7. ვითარმედ ესე გმობასა იტ-
ყჳს; ვის ჴელეწიფების მიტევებად
ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერ-
თისა?
8. ხოლო იესო მეყსეულად
გულის-ჴმა-ჰყო სულითა, რამეთუ
ესრეთ ჰზრახვენ გულთა შინა
მათთა, და ჰრქუა მათ: რასა მაგას
ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა?
9. რა უადვილეს არს? სიტ-
ყუად განრღუეულისა ამის: მიგე-
ტევნენ ცოდვანი შენნი? ანუ
თქმად: აღსდეგ, აღიღე ცხედა-
რი შენი და ვიდოდე?
10. ხოლო რათა უწყოდეთ,
რამეთუ ჴელმწიფება აქუს ძესა
კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტე-
ვებად ცოდვათა, და ჰრქუა განრ-
ღუეულსა მას:
11. შენ გეტყჳ: აღსდეგ და
აღიღე ცხედარი შენი, და წარვედ
სახიდ შენდა.
12. და მეყსეულად აღსდგა
იგი, და აღიღო ცხედარი თჳსი,
და გამოვიდა წინაშე ყოველთასა,
ვითარმედ განუკჳრდებოდაცა ყო-
ველთა, და ადიდებდეს ღმერთსა,
და იტყოდეს, ვითარმედ არა სა-
და ესრეთ ვიხილეთ.
13. და კუალად განვიდა ზღჳს-
კიდესა, და ყოველი ერი მოვიდო-
და მისა, და მუნ ასწავებდა მათ;
14. და წარვიდოდა, იხილა
ლევი ალფესი, მჯდომარე საზუე-
რესა ზედა, და ჰრქუა მას: მომ-
დევდი მე. და აღსდგა, და მიჰს-
დევდა მას.
15. და იყო ვითარცა ინახით
ჰსჯდა იგი სახლსა შინა მისსა,
და მრავალნი მეზუერენი და ცოდ-
ვილნი ჰსხდეს იესოს თანა და მო-
წაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყუ-
ნეს მუნ მრავალნი და მიჰსდევდეს
მას.
16. და მწიგნობართა მათ და
ფარისეველთა, ვითარცა იხილეს
იგი, რამეთუ მეზუერეთა და ცო-
დვილთა თანა ჰსჭამს, ეტყოდეს
მოწაფეთა მისთა: რასათჳს მეზუ-
ერეთა და ცოდვილთა თანა ჰსჭამს
და ჰსუამს.
17. და ესმა ესე იესოს და ჰრ-
ქუა მათ: არა უჴმს ცოცხალთა
მკურნალი, არამედ სნეულთა. არა
მოვედ წოდებად მართალთა, არა-
მედ ცოდვილთა სინანულად.
18. და იყუნეს მოწაფენი იო-
ანესნი და ფარისეველნი მარხვასა
შინა; და მოვიდეს მისა და ჰრქუეს
მას: რასათჳს მოწაფენი იოანესნი
და ფარისეველთანი იმარხვენ, და
მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?
19. ჰრქუა მათ იესო: ვერ
ჴელეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდ-
რე სიძე იგი მათ თანა არს, მარ-
ხვად.
20. არამედ მოვლენან დღენი,
ოდეს ამაღლდეს სიძე იგი მათგან,
და მაშინ იმარხჳდენ მას დღესა
შინა.
21. არავინ სადგმელი ახალი
დაადგის სამოსელსა ძუელსა,
უკეთუ არა მოაპის მისგან ცოც-
ხალიცა იგი ახალმან მან ძუელი-
სა მის, და უძჳრესად განიპის.
22. და არა ვინ შთაასხის ღჳ-
ნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა,
რათა არა განხეთქნეს ღჳნომან

ახალმან თხიერნი იგი, და ღჳნო დაითხიოს, და თხიერნი წარჰსწყმდენ; არამედ ღჳნოჲ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან.

23. და იყო ვითარ იგი თანაწარჰვიდოდა შაბათსა ყანებისაგან, და მოწაფეთა მისთა იწყეს გზასა სლჳად, და მუსრჳად თავსა კუვილისასა.

24. ხოლო ფარისეველნი იგი ეტყოდეს მას: იხილე, რასა ჰზმენ მოწაფენი შენნი შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ არს ყოფად?

25. ხოლო იესო ჰრქჳა მათ: არა სადა აღმოგიკითხავსთა, რა იგი ჰყო დავით, რაჟამს იგი უკმდა და შეემშია მას, და მისთანათა?

26. ვითარ იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა, აბიათარ მღჳდელთ-მთავრისა ზე, და პურნი იგი შესაწირავთანი შეჰსჭამნა, და ჰსცა მისთანათაცა, რომელთა არა ჯერ-არს ჭამად, გარნა მღჳდელთა ხოლო?

27. და ეტყოდა მათ: შაბათი კაცისათჳს დაებადა, და არათუ კაცი შაბათისათჳს. ვინაცა უფალ-არს ძე კაცისა შაბათისაცა.

## თ ა ვ ი 3.

1. და მერმე შევიდა შესაკრებელსა; და იყო მუნ კაცი, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა.

2. და უმზირდეს მას, უკეთუ შაბათსა განჰკურნოს იგი, რათა შეასმინონ იგი.

3. და მას ჟამსა ჰრქჳა იესო კაცსა მას, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა: აღსდეგ და წარმოსდეგ შორის.

4. და ჰრქჳა მათ იესო: ჯერ-არსა შაბათსა შინა კეთილისა საქმე, ანუ ბოროტისა? სულისა ცხოვნება, ანუ მოკლვა? ხოლო იგინი ჰსდუმნეს.

5. და მიმო-იხილა მათდა რისხჳთ, და მწუხარედ სიბრმისათჳს გულთა მათთასა, და ჰრქჳა კაცსა მას: განირთხ ჴელი შენი, და მან განირთხა, და კჳალად მოეგო ჴელი იგი, ვითარცა ერთი იგი.

6. და ვითარცა გამოვიდეს მიერ ფარისეველნი იგი იროდიანთა თანა, და ზრახჳა ჰეჳფს მისთჳს, რათა წარჰსწყმიდონ იგი.

7. ხოლო იესო მოწაფითურთ განეშორა მათგან, და მოვიდა ზღჳს-კიდედ, და მრავალი ერი შეუდგა მას გალილიით და ურიასტანით,

8. იერუსალიმით, და იდუმიაჲთ, წიაღ-იორდანით, და ტჳროსით კერძო და სიდონით, ესმა მრავალსა სიმრავლესა, რაოდენსა იგი იქმოდა და მოვიდეს მისსა.

9. და ჰრქჳა მოწაფეთა თჳსთა, რათა ნავი განუმზადონ მას ერისა მისთჳს, რათა არა შეაიწრონ იგი.

10. რამეთუ მრავალთა განჰკურნებდა, ვითარმედ ზედაცა დაესხმოდა მას ერი იგი, რათა შეოდენ-ესხნენ, და რაოდენთა აქჳნდა უძლურება, და შეეხნეს, განიკურნებოდეს.

11. და სულები იგი არა-წმი-

და, ჰსედვიდეს მას და შეუვრდებო-
დეს, ჰღაღადებდეს და იტყოდეს:
შენ ხარ ძე ღმრთისა.
12. და ფრიად შეჰრისხნა მათ
იესო, რათა არა გამოაცხადონ იგი.
13. და აღვიდა მთასა, და მოუ-
წოდა, რომელთა უნდა მას, და
მოვიდეს მისა.
14. და ჰყუნა ათორ-მეტნი
იგი, რათა იყუნენ მის თანა, და
წარავლინნეს იგინი ქადაგებად.
15. და რათა აქუნდეს ჴელმწი-
ფება განჰსხმად ეშმაკთა.
16. და დაჰსდუა სახელები:
სჳმონს პეტრე,
17. და იაკობ ზებედესი და
იოანე, ძმა იაკობისი, და დაჰსდუა
მათ სახელები: ბანერგეს, რომელ-
არს, ძენი ქუხილისანი,
18. ანდრეა და ფილიპპე, ბარ-
თლომე და მატთეოს, თომა და ია-
კობ ალფესი, თადეოს და სჳმონ
კანანელი,
19. და იუდა ისკარიოტელი,
რომელმანცა მისცა იგი.
20. და მოვიდეს სახლსა, და
შეჰკრბა კუალად მისა ერი, ვი-
დრემდის ვერ ჰელეწიფებოდა მათ
ვერცაღა პურისა ჭამად.
21. და ესმა მის კერძოსათა,
და გამოვიდეს შეპყრობად მისა,
რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ გან-
კრთომილ-არს.
22. და მწიგნობარნი იგი, რო-
მელნი იერუსალიმით შთამოსრულ
იყუნეს, იტყოდეს, ვითარმედ ბელ-
ზებული მის თანა არს, და მთავ-
რითა ეშმაკთათა განასხამს ეშ-
მაკთა.

23. და მოუწოდა მათ, და იგა-
ვით ეტყოდა: ვითარ ჰელეწიფე-
ბის ეშმაკსა ეშმაკისა განგდებად?
24. და უკეთუ მეუფება მეუ-
ფებასა განევლთის, ვერ ჰელეწიფე-
ბის დამტკიცებად მეუფება იგი.
25. და უკეთუ სახლი სახლსა
განევლთის, ვერ ჰელეწიფების
სახლი იგი დამტკიცებად.
26. და უკეთუ ეშმაკი თავსა
თჳსსა ზედა აღდგომილ-არს, და
განყოფილ-არს, ვერ ჰელეწიფების
დამტკიცებად, არამედ აღსასრული
აქუს.
27. და არცა ვის ჰელეწიფე-
ბის შესლუად სახლსა ძლიერისა-
სა, და ჭურჭელი მისი გამოტყუჱნ-
ვად, არათუ პირველად ძლიერი
იგი შეჰკრას, და მაშინღა სახლი
მისი გამოჰსტყუჱნოს.
28. ამინ გეტყჳ თქუჱნ, ვი-
თარმედ ყოველივე მიეტეოს ძეთა
კაცთა ცოდუანი და გმობანი, რა-
ოდენსაცა ჰგმობდენ.
29. ხოლო რომელმან ჰსთქუას
გმობა სულისა წმიდისა თჳს, არა
აქუს მიტევება უკუნისამდე; არა-
მედ თანამდებ-არს იგი საუკუნო-
სა საჰსჯელისა.
30. რამეთუ იტყოდეს, ვი-
თარმედ სული არაწმიდა არს მის-
თანა.
31. მოვიდეს უკუჱ ძმანი მის-
ნი და დედა მისი, და გარეშე ჰსდ-
გეს, და მოუვლინეს მას და გამო-
ჰხადოდეს.
32. და ჰსხდა გარემო მისა
ერი მრავალი, და ვითარცა ჰრქუჱს
მას: აჰა დედა შენი, და ძმანი შენ-

ნი გარე ჰსდგანან და გეძიებენ შენ.

33. მიუგო იესო და ჰრქუა: ვინ არს დედა ჩემი, ანუ ძმანი ჩემნი?

34. და მიმო-ისილა გარემოს მისა მოწაფეთა თჳსთა მსხდომარეთად, და ჰრქუა: აჰა, დედა ჩემი და ძმანი ჩემნი.

35. რამეთუ რომელმან ჰყოს ნებაჲ ღმრთისა, ესე არს ძმა ჩემი, და დაჲ ჩემი, და დედა ჩემი.

## თ ა ვ ი 4.

1. მერმე კუალად იწყო სწავლად ზღჳს-კიდესა, და შეჰკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე მისა ნავად, და დაჰსჯდა იგი ნავსა მას ზღუასა შინა; და ყოველი იგი ერი ზღჳს-კიდესა ქუეყანასა ზედა ჰსდგა.

2. და ასწავებდა მათ იგავით ფრიად, და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისსა:

3. ისმინეთ ესე: გამოვიდა მთესვარი თესუად.

4. და იყო თესვასა მას მისსა, რომელიმე დაჰვარდა გზასა ზედა, მოვიდეს მფრინველნი, და შეჰსჭამეს იგი.

5. და სხუა დაჰვარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწა ფრიად; და მეყუსეულად აღმოჰსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა.

6. და ვითარცა მზე აღმოჰჴდა და დაჰსწუა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განჰჴმა.

7. და სხუა დაჰვარდა ეკალთა შორის, და აღმოჰსცენდეს ეკალნი, და შეაშთუეს იგი, და ნაყოფი ვერ გამოიღო.

8. და სხუა დაჰვარდა ქუეყანასა კეთილსა, და მოჰსცემდა ნაყოფსა, აღმოვიდოდა და აღორძინდებოდა, და მოაქუნდა ოცდა-ათეული, სამოცეული და ასეული.

9. და ეტყოდა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

10. და ოდეს იყო იგი თჳსაგან, ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა: რა არს იგავი ესე?

11. ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლო იგი სასუფეველისა ღმრთისა, ხოლო გარეშეთა მათ ყოველივე იგავით სიტყუად;

12. რათა ხედვით ჰხედჳდენ, და არა იხილონ; და სმენით ესმოდეს, და ვერ გულის-ჴმა-ჰყონ, ნუ უკუე მოიქცენ, და მიეტეოს მათ ცოდუა მათი.

13. და ჰრქუა მათ: არა იცით იგავი ესე? და ვითარ უკუე ყოველნი იგავნი გულის-ჴმა-ჰყუნეთ?

14. რომელი იგი ჰსთესავს, სიტყუასა მას ჰსთესავს.

15. ხოლო ესენი არიან, რომელნი იგი გზასა ზედა, სადა იგი დაეთესვის სიტყუა, და რაჟამს ისმინიან, მეყუსეულად მოვიდის ეშმაკი, და მოუღის მათ სიტყუა იგი გულთაგან მათთა.

16. და ესენი არიან კლდოვანსა მას დათესულნი, რომელთა იგი, რაჟამს ისმინიან სიტყუა, მეყუსეულად სიხარულით მიიღიან.

17. და რამეთუ არა უჴნ ძირი მათ შორის, არამედ საწუ̂თო არიედ, და რაჟამს მოიწიის ჭირი, ანუ დევნულება სიტყჳსა მისთჳს, მეყუ̂სეულად დაჰბრკოლდიან.

18. და რომელნი ეკალთა შორის დაეთესნეს, ესენი არიან, რომელთა სიტყუ̂ა იგი ისმინიან;

19. და ზრუნვანი ამის სოფლისანი, და საცთური სიმდიდრისა შეუკდის, და შეაშთჳიან სიტყუ̂ა იგი, და უნაყოფო იქმნის.

20. და ესენი არიან, რომელნი კეთილსა ქუ̂ეყანასა დაეთესნეს, რომელთა ისმინიან სიტყუ̂აჲ იგი და შეიწყნარიან, და ნაყოფი გამოიღიან, ოცდა-ათეული, სამოცეული, და ასეული.

21. და ეტყოდა მათ: ნუ სანთელი მოიღიან, და ჴჳმირსა ქუ̂ეშე შეჰსდგიან, ანუ ცხედარსა ქუ̂ეშე დაჰსდგიან? ანუ არა სასანთლესა ზედა დაჰსდგიან?

22. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჰსცხადნეს, არცა იყოს საიდუმლოდ, არამედ რათა განცხადებულად მოვიდეს.

23. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

24. და ეტყოდა მათ: იხილეთ, რა ესე გესმისთ. რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუ̂ენ, და ზედა დაგერთოს თქუ̂ენ, რომელთა ეგე გესმის.

25. რამეთუ რომელსა აქუ̂ნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუ̂ს, და რომელდა იგი აქუ̂ნდეს, მოვეღოს მას.

26. და ეტყოდა მათ: ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისა, ვითარცა იგი კაცმან დაჰსთესის თესლი ქუ̂ეყანასა;

27. და დაიძინის, და აღჰსდგის ღამე და დღე, და თესლი იგი აღმოჰსცენდის, და განორძნდებინ, ვითარ იგი მან არა უწყინ.

28. რამეთუ თჳსით თავით ქუ̂ეყანა̂ ნაყოფსა გამოიღებს, პირველად წუ̂ელი, მერმე თავი, მაშინღა სავსე იფქლი თავსა მას შინა.

29. და რაჟამს მოჰსცის ნაყოფი, მეყუ̂სეულად მოავლინის მანგალი, რამეთუ მოიწია მკა.

30. და ეტყოდა: რასა ვამსგავსოთ სასუფეველი ღმრთისა? ანუ რომელი იგავი მოვიღოთ მისთჳს.

31. ვითარცა მდოგჳსა მარცუ̂ალი, რომელი დაეთესის ქუ̂ეყანასა, რამეთუ უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, რომელნი არიან ქუ̂ეყანასა ზედა;

32. და ოდეს დაეთესის, და აღმოჰსკდის, და იქმნის იგი უფროს ყოველთა მხალთა, და გამოისხუ̂ნის რტონი დიდ-დიდნი, ვითარმედ შესაძლებელ არიანცა ქუ̂ეშე საგრილსა მისსა მფრინუ̂ელთა ცისათა დადგრომად.

33. და ესე ვითარითა იგავითა ეტყოდა მათ სიტყუ̂ასა, ვითარცა შემძლებელ იყუ̂ნეს იგინი სმენად.

34. და თჳნიერ იგავისა არა რას ეტყოდა მათ; ხოლო თჳსგან მოწაფეთა გამოუთარგმანის იგი ყოველი.

35. მას დღესა შინა, ვითარ-
ცა შემწუხრდა, ჰრქუა მათ:
წიაღ-ვჴდეთ მიერ-კერძო.
36. და დაუტევეს ერი იგი,
და წარიყუანეს იგი მოწაფეთა,
ვითარცა იყო ნავსა მას შინა, და
სხუაცა ნავები, რომელი იყო
მისთანა.
37. და იყო მეყუსეულად ბორ-
ბალი ქარისა დიდი, და ღელუას
მას შთაასხმიდა ნავსა, ვითარმედ
აღცა-ივსებოდა ნავი იგი.
38. და თავადი იყო პირით
კერძო თავსა მის ნავისასა, და
ემინა, და განაღჳძებდეს მას და
ეტყოდეს: მოძღუარ! არა ჰზრუ-
ნავ, რამეთუ წარვჴსწყმდებით?
39. და აღჴსდგა და შეჰრის-
ხნა ქარსა მას და ზღუასა, და
ჰრქუა: დაჰჴსდუმენ და პირი დაი-
უავ. და დაჰჴსცხრა ქარი იგი, და
იქმნა დაყუდება დიდ.
40. და ჰრქუა მათ: რასა ესო-
დენ მოშიშ ხართ, ვითარ არა
გაქუს სარწმუნოებაჲ?
41. და შეეშინა მათ შიშითა
დიდითა და იტყოდეს ურთიერთ-
არს: ვინმე არს ესე, რამეთუ ქარ-
ნიცა და ზღუაცა ერჩიან მას.

## თავი 5.

1. და მოვიდეს წიაღ-ზღუასა
მას, სოფელსა მას გადარინელთასა.
2. და ვითარცა გამოვიდა იგი
ნავით, მეყუსეულად მოეგებოდა
მას საფლავებისაგან კაცი, რომლი-
სა თანა იყო არა წმიდა სული;
3. რომელსა საყოფლადვე აქუნ-
და საფლავები, და არცადა ჯა-
ჭჳჱბითა ვის ჴელეწიფა შეკ-
რჳად იგი.
4. რამეთუ მრავალ-გზის ჯა-
ჭჳთა და ბორკილითა შეკრულ-
იყო იგი, და განჰხეთქის, და შე-
მუსრის, და არა ვის ემლო და-
ყენებად მისა.
5. და მარადის ღამე და დღე,
საფლავებსა და მთათა გარე იქცე-
ვინ, ჰღაღადებნ და დაიგოდნ თავ-
სა თჳსსა ლოდითა.
6. და ვითარცა იხილა მან
იესო შორით, მოჰრბიოდა და
თაყუანის-ჰსცა.
7. ჰღაღადებდა ჴმითა დიდი-
თა და იტყოდა: რა ჰმეს ჩემი და
შენი, იესო, ძეო ღმრთისა მაღ-
ლისაო? გაფუცებ შენ ღმერთსა,
ნუ მტანჯავ მე.
8. რამეთუ ეტყოდა მას იესო:
სული ეგე არა წმიდა, განვედ
კაცისა მაგისგან.
9. და ჰკითხა მას: რაჲ არს
სახელი შენი? და ჰრქუა მას: ლე-
გეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ
მრავალ ვართ.
10. და ევედრებოდა მას ფრი-
ად, რათა არა განასხნეს იგინი
გარეშე სოფლისა.
11. და იყო მუნ კოლტი
ღორთა დიდ-ძალი მთასა გარე
მძოვარი.
12. და ევედრებოდეს მას ყო-
ველნი იგი ეშმაკნი, და ეტყო-
დეს: მიმავლინენ ჩუჱნ ღორებსა
იმას, რათა მათდა შევიდეთ.
13. და უბრძანა მათ; და გან-
ვიდა სულები იგი არა-წმიდა კა-

ცისა მისგან, და შევიდა ღორებ-
სა მას; და მიჰმართა კოლტმან
მან ღორებისამან კბოდესა მას
ზღჳად, რამეთუ იყჳნეს ვითარ
ორ-ათას, და დაიშთჳნეს ზღჳასა
მას შინა.
14. ხოლო მწყემსნი იგი მათ-
ნი ივლტოდეს, და უთხრეს ქა-
ლაქსა და დაბნებსა; და გამოვიდეს
ხილჳად, რაჲ მი არს, რომელი
იგი იქმნა.
15. და მოვიდეს იესოსა, და
იხილეს ეშმაკეული იგი მჯდო-
მარე, შემოსილი და გონიერი,
რომლისა თანა იგი ყოფილ-იყო
ლეგეონი, და შეეშინა.
16. და უთხრობდეს მათ, რო-
მელთა იგი ეხილჳა, ვითარ იგი
იქმნა ეშმაკეულისა მისთჳს და ღო-
რებისა მისთჳს.
17. და ევედრებოდეს მას,
რათა წარვიდეს საზღჳართა მათ-
თაგან.
18. და აღრავიდა იესო ნავსა,
ევედრებოდა მას, რომელი იგი
იყო პირველ ეშმაკეული, რათა
მისთანა იყოს.
19. და არა უტევა იგი, არა-
მედ ჰრქჳა მას: წარვედ სახიდ
შენდა თჳსთა შენთა თანა, და უთ-
ხარ მათ, რაოდენი გიყო შენ
უფალმან, და შეგიწყალა.
20. და წარვიდა იგი, და იწყო
ქადაგებად ათ-ქალაქსა მას, რაო-
დენი უყო მას იესო, და ყოველ-
თა უკჳრდა.
21. და წიაღ-ჰხდა რა კჳალად
იესო მიერ კერძო; შეჰკრბა მისა ერი
დიდ-ძალი. და იყო ზღჳს კიდესა.

22. და აჰა, მოვინმევიდა მისა
ერთი შესაკრებელის-მთავარი, სა-
ხელი მისი იაიროს, იხილა იგი
და შეუვრდა ფერხთა მისთა,
23. და ევედრებოდა მას ფრი-
ად და ეტყოდა, ვითარმედ ასული
ჩემი აღესრულების, რათა მოხჳ-
დე და დაჰსხნე კელნი მას ზედა,
და განერეს, და ჰსცხოვნდეს.
24. და წარვიდა იესო მის
თანა. და მიჰსდევდა მას ერი მრა-
ვალი, და შეაურვებდეს მას.
25. და დედაკაცი ვინმე იყო
მუნ, რომელი იყო წყაროთა სი-
სხლისათა გჳემულ ათ-ორმეტ
წელ.
26. და ფრიად ვნებულ-იყო
იგი მრავალთაგან მკურნალთა, და
წარეგო ყოველივე მისი, და არა
რაჲ სარგებელ ეყო, არამედ უფ-
როსად უძჳრესად მოვიდა;
27. და ვითარცა ესმა იესოს-
თჳს, მოუკდა მას ერსა მას შო-
რის ზურგით კერძო, და შეახო
სამოსელსა მისსა.
28. რამეთუ იტყოდა გულსა
შინა თჳსსა: დაღათუ სამოსელსა
ოდენ მისსა შევეხო, ვჰსცხოჳნდე.
29. და ვითარცა შეეხო, მე-
ყჳსეულად განჰხმა წყარო იგი
სისხლისა მის, და ჰსცნა კორც-
თაგან, რამეთუ განიკურნა გჳე-
მულებისაგან.
30. ხოლო იესო, გულის-ხმა-
ჰყო მეყჳსეულად თავით თჳსით,
განსრული იგი ძალი მისგან,
მოიქცა ერისა მის, და ჰსთქჳა:
ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა?
31. ხოლო მოწაფენი მისნი

ეტყოდეს მას: ჰხედავ ერსა ამას,
რამეთუ შეგაჭირვებენ შენ, და შენ
იტყჳ: ვინ შემახო მე?
32. და მიმო-ჰხედჳდა, რათა
იხილოს, რომელმან ესე ჰყო.
33. ხოლო დედაკაცსა მას შე-
ეშინა და ჰსძრწოდა, უწყოდა, რა
იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა, და
შეუვრდა მას, და უთხრა მას ყო-
ველივე ჭეშმარიტი.
34. ხოლო თავადმან ჰრქუა
მას: ასულო! სარწმუნოებამან შენ-
მან განგცხოვნა შენ; წარვედ მშვი-
დობით, და იყავ შენ ცოცხალ
გუემულებისაგან შენისა.
35. და ვითარ იგი ამას იტ-
ყოდა, მოვიდეს შესაკრებელის-
მთავრისანი მის და ეტყოდეს: ასუ-
ლი შენი აღესრულა, რასადა აშ-
რომებ მოძღუარსა?.
36. ხოლო იესოს, ვითარ
ესმნეს სიტყუანი ესე, რომელსა
ეტყოდეს, ჰრქუა შესაკრებელთ-
მთავარსა მას: ნუ გეშინინ, გარ-
ნა გრწმენინ ხოლო.
37. და არავინ უტევა მიდევ-
ნებად მისთანა, გარნა პეტრე, და
იაკობ, და იოანე, ძმა იაკობისი.
38. და მოვიდა სახლსა მას
შესაკრებელთ-მთავრისასა, და იხი-
ლა შფოთი და ტირილი, და ღაღა-
დება ფრიადი.
39. და შევიდა, და ჰრქუა
მათ: რასა აღშფოთებულ-ხართ და
ჰსტირთ? ყრმა ეგე არა მომკუ-
დარ-არს, არამედ ჰსძინავს.
40. და იგინი ჰბასრობდეს მას;
ხოლო თავადმან განმოასხა ყოვე-
ლი იგი შფოთი, და მიიყუანა
მამაჲ მის ყრმისა და დედა, და
მოწაფენი მისნი, და შევიდა, სა-
და იგი იდუა მკუდარი იგი ყრმა.
41. და უპყრა ჴელი ყრმისა
მის და ჰრქუა მას: ტალითა კუმი,
რომელ-არს თარგმანებით: შენ
გეტყჳ, ყრმაო, აღსდეგ.
42. და მეყუსეულად აღსდგა
ქალი იგი, და იწყო სლვად,
რამეთუ იყო იგი ათ-ორმეტის-
წლის ოდენ, და განუკჳრდებოდა
მათ განკჳრვებითა დიდითა
ფრიად.
43. და ამცნებდა მათ ფრიად,
რათა არა ვინ აგრძნას ესე, და
უბრძანა მათ, რათა ჰსცნეს მას
ჭამადი.

## თავი 6.

1. და განმოვიდა მიერ, და მო-
ვიდა თჳსად მამულად, და მოჰს-
დევდეს მას მოწაფენი მისნი.
2. და იყო შაბათი; და იწყო
შესაკრებელსა მათსა სწავლად მათ-
და; და მრავალთა, რომელთა ეს-
მოდა, განუკჳრდებოდა და იტყო-
დეს: ვინა არს ესე ამისა? ანუ
რა არს სიბრძნე ესე მოცემული
ამისა, და ძალნი ესოდენნი ჴელ-
თაგან ამისთა, რომელნი იქმნე-
ბიან?
3. ანუ არა ესე არს ხუროჲსა
მის, და ძე მარიამისი, და ძმა ია-
კობისი, და იოსესი, იუდასი, და
სჳმონისი? და დანი მისნი ყოველ-
ნი ჩუენ თანა არიან? და დაჰბრ-
კოლდებოდეს მისა მიმართ.
4. ხოლო იესო ეტყოდა:

არა არს წინასწარ-მეტყუელი შეუ-
რაცხ, გარნა თჳსსა სოფელსა, და
ნათესავთა შორის მისთა, და სახლ-
სა შინა თჳსსა.
5. და არა ჰქმნა მუნ ძალი
არცა ერთი; გარნა მცირედთა
სნეულთა ჴელი დაჰსდუა, და გან-
ჰკურნა იგინი.
6. და უკჳრდა ურწმუნოება
იგი მათი, და მიმო-იქცეოდა გა-
რემო სოფლებსა მას, და ასწავებ-
და მათ.
7. და მოუწოდა ათ-ორმეტთა
მათ, და იწყო წარვლინებად მათ-
და ორ-ორისა, და მიჰსცემდა ჴელ-
მწიფებასა სულთა ზედა არა-წმი-
დათა.
8. და ამცნებდა მათ, რათა
არა რა მიიღონ გზასა ზედა, გარ-
ნა კუერთხი ხოლო, ნუცა ვაშკა-
რანი, ნუცა პური, ნუცა სარტ-
ყელსა რვალი;
9. და რათა ესხნენ სანდალნი,
და ნუცა შემოსად ორი სამოსელი.
10. და ეტყოდა მათ: ვიდრე-
ცა შეხჳდეთ სახლსა მუნ, დაად-
გერით, ვიდრე მიერ გამოსლვად-
მდე.
11. და რაოდენთა არა შეგიწ-
ყნარნენ თქუენ, და არცა ისმი-
ნონ თქუენი, გამორახჳდოდეთ
მიერ განიყარეთ მტუერი ფერხ-
თაგან თქუენთა საწამებელად მათ-
და. ამინ გეტყჳ თქუენ: უმოლ-
ხინეს იყოს სოდომისა და გომო-
რისა დღესა მას საჰსჯელისასა,
ვიდრე ქალაქისა მის.
12. და გამოვიდეს და ჰქადა-
გებდეს, რათა შეინანონ;
13. და ეშმაკნი მრავალნი განა-
სხნეს, და ჰსცხებდეს ზეთსა მრავალ-
თა სნეულთა და განჰკურნებდეს.
14. და ესმა იროდის მეფესა,
რამეთუ განჰსცხადნა სახელი მი-
სი, და იტყოდა, ვითარმედ იო-
ანე ნათლის-მცემელი მკუდრეთით
აღდგომილ-არს და მისთჳს იქმნე-
ბიან ძალნი მისთანა.
15. და სხუანი იტყოდეს;
ილია არს, გინა, ვითარცა ერთი
წინასწარ-მეტყუელთაგანი პირ-
ველთა.
16. ესმა რა იროდის, ჰსთქუა,
ვითარმედ რომელსა მე თავი მოვჰ-
კუეთე იოანეს, იგი აღდგომილ-
არს მკუდრეთით.
17. რამეთუ ამან იროდი მი-
ავლინა და შეიპყრა იოანე, შეჰ-
ბორკილა იგი და შეჰსხუა საპყრო-
ბილედ, იროდიადასა თჳს, ცოლი-
სა ფილიპპეს, ძმისა მისისა, რა-
მეთუ იგი შეირთო ცოლად.
18. რამეთუ ეტყოდა იოანე
იროდის, ვითარმედ არა ჯერ-არს
შენდა, ვითარმცა ცოლად გესხუა
ძმის ცოლი შენი.
19. ხოლო იროდიას გულსა
დაედუა მისთჳს, და უნდა მოკ-
ლუაჲ მისი, და ვერ ჴელეწიფა.
20. რამეთუ იროდის ეშინოდა
იოანესა, და იცოდა იგი, რამეთუ
კაცი მართალი და წმიდა არს, და
ჰსცჳდა მას, და ისმინის მისი, და
მრავალსა პატივსა უყოფდა, და
ჯეროვნად ისმენდა მისსა.
21. და ვითარცა იყო დღე
მარჯუე, ოდეს იროდი ჟამსა შო-
ბისა მისისასა, სერი უმზადა მთა-

ვართა მისთა და ათასის-თავთა მისთა, და აზნაურთა გალილეისთა.

22. და შევიდა ასული იროდიასი და როკჳდა, და ჰსთნდა იროდის და მისთანა მეინაჳეთა, და ჰრქუა იროდი მეფემან ქალსა მას: მთხოვე რაჲცა გნებავს და მიგცე შენ.

23. და ეფუცა მას, ვითარმედ, რაცა ითხოვო, მიგცე შენ, ვიდრე ზოგადმდე მეფობისა ჩემისა.

24. ხოლო იგი გამოვიდა და ჰკითხა დედასა თჳსსა, ვითარმედ რა ვითხოვო? ხოლო მან ჰრქუა მას: თავი იოანე ნათლის-მცემელისა.

25. და შევიდა ქალი იგი მსწრაფლ მეფისა, და ჰრქუა: მნებავს, რათა აწვე მომცე მე ლაკნითა თავი იოანე ნათლის-მცემელისა.

26. და მწუხარე იქმნა იროდი მეფე; ხოლო ფიცისა მისთჳს და მისთანა მეინაჳეთა, არა ინება შეურაცხყოფაჲ ქალისა მის.

27. და მეყუსეულად წარავლინა მეკრძლე მისი, და უბრძანა მოღებად თავი მისი.

28. ხოლო იგი წარვიდა, და მოჰკუეთა თავი საპყრობილესა შინა, და მოიღო თავი მისი ფეშხუმნითა, და მისცა ქალსა მას, და ქალმან მან მიართუა დედასა თჳსსა.

29. და ესმა მოწაფეთა მისთა, მოვიდეს და შეჰმოსეს გუამი მისი, და დაჰფლეს საფლავსა.

30. და მოვიდეს, და შემოჰკრბეს მოციქულნი იესოსა, და უთხრეს მას ყოველი, რაოდენი ჰქმნეს და ასწავეს.

31. და ჰრქუა მათ იესო: მოვედით თქუენ თჳსაგან უდაბნოსა ადგილსა, და განისუენეთ მცირედ; რამეთუ იყუნეს მომავალნი და წარმავალნი მრავალ, და არცაღა პურისა ჭამად აცალებდეს.

32. და წარვიდეს უდაბნოსა ადგილსა ნავითა თჳსაგან.

33. და იხილეს ერმან მან წარლავიდოდეს, და გულის-ჴმა-ჰყუეს მრავალთა, და მკჳრცხლ ყოვლისაგან ქალაქებისა შეჰკრბა მუნ და მოვიდეს მათდა.

34. და გამოვიდა იესო, და იხილა ერი მრავალი, და შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყუნეს ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი, და იწყო სწავლად მათდა ფრიად.

35. და ვითარ მრავალი ჟამი წარხდულ-იყო, მოვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს მას: ვითარმედ უდაბნო არს ადგილი ესე, და ჟამი არსღა ფრიად;

36. განუტევე ერი ესე, რათა წარვიდენ გარემო სოფლებსა და სანახებსა, და იყიდონ თავისა მათისა საზრდელი, რამეთუ რამცა ჭამეს, არა აქუს.

37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ეცით თქუენ მაგათ ჭამადი. ხოლო მათ ჰრქუეს მას: წარვიდეთ და ვიყიდოთ ორ-ასისა დრაჰკნისა პური, და ვჰსცეთ მათ ჭამადი?

38. ხოლო იესო ჰრქუა მათ: რაოდენი გაქუს პური? მივედით

და იხილეთ. და იხილეს და ჰრქჳჱს:
ხუთი პური და ორი თევზი.
39. და უბრძანა მან დასხდო-
მაჲ მათ ყოველთა, პურის-მტედ პუ-
რის-მტედ მწჳანვილსა ზედა თივი-
სასა.
40. და დაჰსხდა მწყობრად
მწყობრად, ას-ასი და ერგასის ერ-
გასისი.
41. და მოიღო ხუთი იგი
პური და ორი თევზი, და აღიხილ-
ნა ზეცად, და აკურთხა, და დაჰმუს-
რა პური იგი, და მიჰსცემდა მო-
წაფეთა თჳსთა, რათა დაუგონ
მათ, და ორი იგი თევზი ეგრეთ-
ვე განუყო ყოველთა.
42. და ჰსჭამეს ყოველთა და
განჰსძღეს.
43. და აღიღეს ნეშტი ნამუს-
რევი ათორ-მეტი გოდორი სავ-
სებით და თევზისა მისგანცა.
44. და იყჳნეს რაოდენთა იგი
ჰსჭამეს, ვითარ ხუთ-ათას კაცნი.
45. და მეყჳსეულად აიძულა
მოწაფეთა შესლჳად ნავსა, რათა
წინა-წარუძღჳჱს მას წიაღ-კერძო
ზღჳსასა მას ბედსაიდათ, ვიდრემ-
დე განუტეოს მან ერი იგი.
46. და უჯმნა მათ, და აღვიდა
მთასა ლოცჳად.
47. და ვითარცა შეჰმწუხრდა,
იყო ნავი იგი შუაოდენ ზღჳსასა
მას, და იგი თავადი მარტო ქჳჱ-
ყანასა.
48. და იხილნა იგინი, რამე-
თუ იურვოდეს სლჳასა მას ნავი-
სასა, რამეთუ იყო ქარი იგი პი-
რით კერძო მათსა. და მეოთხესა
საკმილავსა ღამისასა, მოვიდა მათ-
და იესო სლჳთ ზღჳსასა ზედა, და
უნდა თანა-წარსლჳად მათგან.
49. ხოლო მათ, ვითარცა იხი-
ლეს იგი, ვიდოდა რა ზღჳსასა
ზედა, ჰგონებდეს, ვითარმედ სა-
ოცარ რამე არს, და დაღადჰყჳჱს.
50. რამეთუ ყოველთა იხილეს
იგი, და შესძრწუნდეს; და მეყჳსეუ-
ლად ეტყოდა მათ და ჰრქჳა: გულ-
პყრობილ-იყჳჱნით, მე ვარ, ნუ-
გეშინინ.
51. და აღვიდა მათ თანა ნავ-
სა, და დაჰსცხრა ქარი იგი, და
უმეტესად დაუკჳრდებოდა მოწა-
ფეთა მისთა.
52. რამეთუ ვერ გულის-კმა-
ჰყჳჱს პურთა მათ ზედა, რამეთუ
იყჳნეს გულნი მათნი დასულებულ.
53. და წიაღ-ჰკდეს, და მოვი-
დეს ქჳჱყანად გენესარეთად.
54. და ვითარ გამოოდენ-ვიდეს
მიერ ნავით, მეყჳსეულად იცნეს
იგი კაცთა მათ მის ადგილისათა.
55. და მიმორბიოდეს ყოველ-
სა მას სოფლებსა, და იწყეს მო-
ღებად ყოველთა სნეულთა ცხედ-
რებითა, სადაცა ესმის, ვითარმედ
მუნ არს.
56. და ვიდრეცა შევიდოდა
დაბნებსა, და ქალაქებსა, და აგა-
რაკებსა, უბანთა ზედა დაჰსდგმი-
დეს უძლურთა მათთა და ევედრე-
ბოდეს მას, რათა ფესჳსა ოდენ
სამოსლისა მისისასა შეახონ, და
რაოდენნი შეეხებოდეს, ჰსცხონ-
დებოდეს.

თავი 7.

1. და შეჰკრბეს მისა ფარი-

სჯულნი და რომელნიმე მწიგნო-
ბართაგანნი, რომელნი მოსრულ
იყჳნეს იერუსალიმით.
2. და იხილნეს ვინმე მოწა-
ფეთა მისთაგანნი შეგინებულითა
ჴელითა, ესე იგი არს უბანელითა
ჴელითა ჰსჭამდეს პურსა, და ჰგმო-
ბდეს.
3. რამეთუ ფარისეველთა და
ყოველთა ურიათა, უკეთუ არა
იდაყჳთგან დაიბანიან ჴელნი, არა
ჰსჭამიან, რამეთუ ეპყრა მათ მო-
ცემული იგი მომღჳრება ხუ-
ცესთა;
4. და უბანთაგან რა შევიდიან,
უკეთუ არა იბანიან, არა ჰსჭამიან,
და სხჳაცა მრავალი არს, რომელი
მოეღო პყრობად, განრეცხვა სასჳ-
მელებისა, და სტამნებისა, და ქჳა-
ბებისა. და ცხედრებისა.
5. მაშინ ჰკითხეს მას ფარი-
სეველთა მათ და მწიგნობართა:
რასათჳს მოწაფენი შენნი არა
ვლენან მომღჳრებისაებრ ხუცეს-
თასა, არამედ უბანელითა ჴელითა
ჰსჭამენ პურსა?
6. ხოლო იესო მიუგო და
ჰრქჳა მათ: რამეთუ კეთილად ჰსთ-
ქჳა ისაია წინასწარმეტყჳელმან
თქუენ ორგულთათჳს, ვითარცა
წერილ-არს: ვითარმედ ერი ესე
ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე,
ხოლო გულნი მათნი შორად გან-
შორებულ არიან ჩემგან.
7. ამაოდ მსახურებენ მე, ას-
წავებენ მცნებასა და მომღჳრება-
სა კაცთასა.
8. და დაგიტევებიეს მცნება
ღმრთისა, და გიპყრიეს მომღჳრე-
ბა კაცთა, განრეცხვა სასჳმლებისა
და სტამნებისა, და სხჳასა ესე ვი-
თარსა მრავალსა ჰყოფთ.
9. და ეტყოდა მათ: კეთილად
შეურაცხ-ჰყოფთ მცნებასა ღმრთი-
სასა, რათა მომღჳრება თქუენი
დაამტკიცოთ?
10. რამეთუ მოსე ჰსთქჳა:
პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა
შენსა, და რომელმან ბოროტი
ჰსთქჳას მამისათჳს, გინა დედი-
სათჳს სიკჳდილითა მოჰკუდეს.
11. ხოლო თქუენ ჰსთქუთ:
უკეთუ ჰრქჳას კაცმან მამასა ანუ
დედასა: კორბან, რომელ-არს ნი-
ჭი, რომელი რა ჩემგან სარგებელ-
გეყოს;
12. და არა უტევებთ მათ, მა-
მასა და დედასა ყოფად,
13. და დაუმტკიცებელ გიყო-
ფიეს სიტყუაჲ ღმრთისა მომღჳ-
რებითა მაგით თქუენითა, რო-
მელსა ასწავებთ, და მსგავსსა ამათ-
სა მრავალსა ჰყოფთ.
14. და მოუწოდა ყოველსა
მას ერსა, და ეტყოდა მათ: ისმი-
ნეთ ჩემი ყოველთა და გულის-ჴმა
ჰყავთ.
15. არა რა არს კაცისა გარეთ
შემავალი მისა, რომელმანცა შეა-
გინა იგი, არამედ რომელი გამო-
ვალს მისგან, იგი არს, რომელი
შეაგინებს კაცსა.
16. რომელსა ასხენ ყურნი
სმენად, ისმინენ!
17. და ოდეს შევიდა სახიდ
ერისა მისგან, ჰკითხვიდეს მას მო-
წაფენი მისნი იგავისა მისთჳს.
18. და ჰრქჳა მათ: ეგრევე

თქუ̂ჱნცა უგულის-ხმოვე-ხართ
და არა გიცნობიეს, რამეთუ ყო-
ველი გარეშე შემავალი კაცსა არა
შეაგინებს?
19. რამეთუ არა შევალს გულ-
სა, არამედ მუცლად, და განსავა-
ლით განვალს, და განჰსწმედს ყო-
ველსა ჭამადსა.
20. და იტყოდა, ვითარმედ
კაცისაგან გამომავალი შეაგინებს
კაცსა.
21. რამეთუ შინაგან გულისა-
გან კაცთასა გამოვლენან გულის-
სიტყუ̂ანი ბოროტნი, მრუშებანი,
სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი.
22. ანგარებანი, და უკეთურე-
ბანი, ზაკუ̂ანი, არა-წმიდებანი,
თუ̂ალ-ბოროტებანი, გმობანი,
ამპარტავანებანი, უგჳნურებანი.
23. ესე ყოველნი ბოროტნი
შინაგან გამოვლენ, და შეაგინებენ
კაცსა.
24. და მიერ აღჰსდგა, და წარ-
ვიდა საზღუ̂ართა ტჳროსისა და
სიდონისათა; და შევიდა სახლსა,
და არა უნდა, რათამცა აგრძნა
ვინმე, და ვერ ჴელეწიფა დაფარ-
ვად.
25. რამეთუ ესმა ვისმე დე-
დაკაცსა მისთჳს, რომელსა ესუ̂ა
ასული, სულითა არა წმიდითა
ურვეული, და მოვიდა და შეუვრდა
ფერჴთა მისთა.
26. ხოლო დედაკაცი იგი იყო
წარმართი, ნათესავით ასური ფი-
ნიკელი ზღჳს-კიდით, და ევედრე-
ბოდა მას, რათა განჰკადოს ეშმა-
კი იგი ასულისაგან მისისა.
27. ხოლო იესო ჰრქუ̂ა მას:
მაცადე პირველად განძღებად შჳლ-
თა, რამეთუ არა კეთილ-არს მო-
ღებაჲ პურისა შჳლთაგან, და და-
გებად ძაღლთა.
28. ხოლო მან მიუგო და ჰრ-
ქუ̂ა: უფალო! რამეთუ ძაღლნიცა
ტაბლასა ქუ̂ჱშე ჰსჭამედ ნამუს-
რევისაგან შჳლთასა.
29. ხოლო იესო ჰრქუ̂ა მას:
მაგის სიტყჳსათჳს ვიდოდე; გან-
სრულ-არს ეშმაკი ასულისაგან
შენისა.
30. და წარვიდა დედაკაცი იგი
სახიდ თჳსად, და ჰპოვა, რამეთუ
ეშმაკი იგი განსრულ-იყო, და ასუ-
ლი იგი მისი შემოსილი მჯდო-
მარე ცხედარსა ზედა.
31. და მერმე კუ̂ალად გამო-
ვიდა საზღუ̂ართაგან ტჳროსისა
და სიდონისათა, და მოვიდა ზღუ̂ა-
სა მას გალილიასასა, შორის საზ-
ღუ̂ართა ათ-ქალაქისათა.
32. და მოართუ̂ჱს მას ყრუ,
და ძნიად-მეტყუ̂ჱლი, და ევედრე-
ბოდეს მას, რათა ჴელი დაჰსდუ̂ას
მას ზედა.
33. და განიყუ̂ანა ერისა მის-
გან თჳსაგან, და დაჰსხნა თითნი
მისნი, ყურთა მისთა, და ჰნერწყუ̂ა,
და შეახო ენასა მისსა.
34. და აღიხილნა ზეცად და
სულთ-ითქუ̂ნა, და ჰრქუ̂ა მას: ეფ-
ფათა, რომელ-არს, განეხუ̂ჱნით.
35. და მეყუ̂სეულად განეხუ̂-
ნეს მას სასმენელნი, და განჰჴსნდა
კრულება ენისა მისისა, და იტყო-
და მართლიად.
36. და ამცნო მათ, რათა არა-
ვის უთხრან, და რაოდენ იგი ამ-

ცნებდა მათ, იგინი უფროს მიმო-დაჰქადებდეს.

37. და უმეტესად განუკჳრდებოდა და იტყოდეს: ყოვლსავე კეთილსა იქმს; ყრუთა ასმენს, და უტყჳთა ატყჳჱბს.

თავი 8.

1. მათ დღეთა შინა, მერმე კჳალად ერი მრავალი იყო, და არა რა აქჳნდა რამცა ჰსჭამეს; მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქჳა მათ:

2. მეწყალვის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღე არს, ვინადგან მელიან მე, და არა რაჲ აქჳს რა ჰსჭამონ.

3. და უკეთუ განუტევნე უზმანი ვანად მათდა, დაჰკსნდენ გზასა ზედა; რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან.

4. და მიუგეს მოწაფეთა მისთა და ჰრქჳჱს: ვინა ძალ-გჳძს განძღებად აქა პურითა ესეოდენისა ერისა უდაბნოსა ზედა?

5. და ჰკითხა მათ: რაოდენი გაქჳს პური? ხოლო მათ ჰრქჳჱს: შჳდი.

6. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქჳჱყანასა; და მოიღო შჳდი იგი პური, ჰმადლობდა, და განჰსტეხა, და მიჰსცემდა მოწაფეთა თჳსთა, რათა დაუგონ მათ, და დაუგეს ერსა მას.

7. და აქჳნდა თევზიცა მცირედ, და იგიცა აკურთხა, და უბრძანა მან დაგებად.

8. და ჰსჭამეს, და განჰსძღეს, და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შჳდი სფჳრიდი.

9. და იყჳნეს, რომელთა იგი ჰსჭამეს, ვითარ ოთხ-ათას ოდენ; და განუტევნა იგინი.

10. და მეყჳსეულად შევიდა იესო ნავსა მოწაფეთა მისთა თანა, და წარვიდა ადგილთა დალმანუთასათა.

11. და გამოვიდეს ფარისეველნი, და იწყეს გამოძიებად მისთანა, და ითხოვდეს მისგან სასწაულსა ზეცით, და გამოსცდიდეს მას.

12. და სულთ-ითქჳნა სულითა თჳსითა, და ჰსთქჳა: რაჲ არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასწაულსა? ამინ გეტყჳ თქჳჱნ: არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული.

13. და დაუტევნა იგინი, და კჳალად შევიდა ნავსა, და წარვიდა მიერ კერძო.

14. და დაავიწყდა მიღებად პური, და ერთი ხოლო პური აქჳნდა მათ ნავსა შინა.

15. და ამცნებდა მათ იესო და ეტყოდა: იხილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთასა და ცომისაგან იროდიანთასა.

16. ხოლო იგინი განიზრახჳდეს ურთიერთარს, და იტყოდეს: ვითარმედ პური არა გჳაქჳს.

17. და გულის-ხმა ჰყო იესო და ჰრქჳა მათ: რასა ზრახავთ გულთა თქჳჱნთა, მცირედ მორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქჳს? არა გიცნობიეს, არცა მოიხსენეთ, რამეთუ დაბრმობილნი გულნი გქონან თქჳჱნ?

18. თუალ-გასხენ, დ~ არა ჰხე-
დავთ? დ~ ყურ გასხენ, და არა გესმის?
არა გიცნობიეს, არცა მოიხსენეთ?

19. ოდეს იგი ხუთი პური
განვჰსტეხე ხუთ-ათასთა თჳს, დ~
რაოდენი გოდორი სავსე ნამუ-
სრევითა აღიღეთ? ხოლო მათ
ჰრქუეს: ათ-ორმეტი.

20. და ოდეს იგი შჳდი ოთხ-
ათასთა, რაოდენი სფჳრიდი ნამუ-
სრევი აღიღეთ? დ~ მათ ჰრქუეს:
შჳდი.

21. ხოლო იესო ჰრქუა მათ:
ვითარ არა გულის-ჴმა-ჰყავთ?

22. და მოვიდა ბეთსაიდათ,
დ~ მოჰგუარეს მას ბრმაჲ, დ~ ევე-
დრებოდეს მას, რათა შეახოს
მას.

23. და უპყრა ჴელი ბრმასა
მას, დ~ განიყუანა იგი გარეშე
დაბასა, დ~ ჰნერწყუა თუალთა მის-
თა, დ~ დაჰსდუა ჴელი მისი, დ~
ჰკითხა მას: რასა მი ჰხედავს?

24. და აღიხილნა დ~ იტყოდა:
ვჰხედავ კაცთა, ვითარცა ხეთა მი-
მომავალთა,

25. და მერმე კუალად დაჰსხნა
ჴელნი თუალთა მისთა დ~ აღუ-
ხილნა, დ~ მან აღიხილნა, დ~ კუა-
ლად მოეგო დ~ ხედჳდა ბრწყინ-
უალედ ყოველთა.

26. და წარავლინა იგი სახიდ
თჳსად, დ~ ჰრქუა: წარვედ სახიდ
შენდა, დ~ დაბად რა შეხჳდე, ნუ-
რავის უთხრობ დაბასა შინა.

27. და გამოვიდა იესო და
მოწაფენი მისნი დაბნებსა მას კე-
სარია ფილიპპესსა; დ~ გზასა ზე-
და ჰკითხჳდა მოწაფეთა თჳსთა,
დ~ ეტყოდა მათ: რა ჰსთქუან კაც-
თა ჩემთჳს ყოფა?

28. ხოლო მათ მიუგეს დ~ ჰრქუ-
ეს მას: იოანე ნათლის-მცემელი,
დ~ სხუათა ილია, დ~ სხუათა ერთი
წინასწარ-მეტყუელთაგანი.

29. ჰრქუა მათ იესო: თქუენ
რა ჰსთქუთ ჩემთჳს, ვინ ვარ მე?
მიუგო მას პეტრე დ~ ჰრქუა: შენ
ხარ ქრისტე.

30. და შერისხნა მათ, რათა
არავის უთხრან მისთჳს.

31. და იწყო სწავლად მათ-
და, ვითარმედ ჯერ-არს ძისა კაცი-
სა ფრიად ვნებად, დ~ შეურაცხ-ყო-
ფად მოხუცებულთაგან, დ~ მღუ-
დელთ-მთავართა, დ~ მწიგნობართა
დ~ მოკლუად, დ~ მესამესა დღესა
აღდგომად.

32. და განცხადებულად სიტ-
ყუასა ამას ეტყოდა, დ~ განრაიყ-
უანა იგი პეტრე, დ~ იწყო ბრა-
ლობად მისა ამის სიტყჳსათჳს.

33. ხოლო თავადი მიექცა, დ~
იხილნა მოწაფენი თჳსნი, შეჰ-
რისხნა პეტრეს დ~ ჰრქუა მას:
წარვედ ჩემგან მართლ უკუნ ეშ-
მაკო, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრ-
თისასა, არამედ კაცთასა.

34. და მოუწოდა ერსა მას
მოწაფეთა მისთა თანა, დ~ ჰრქუა
მათ: რომელსა უნებს შემდგომად
ჩემსა მოსლუაჲ, უარ-ჰყავნ თავი
თჳსი, დ~ აღიღენ ჯუარი თჳსი, დ~
შემომიდეგინ მე.

35. რამეთუ რომელსა უნდეს
სულისა თჳსისა განრინებაჲ, წა-
რიწყმიდოს იგი, დ~ რომელმან
წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემ-

თჳს, გინა სახარებისათჳს, მან აცხოვნოს იგი.

36. რა სარგებელ-არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი, და სული თჳსი იზღჳოს?

37. ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისა?

38. რამეთუ რომელსა იგი სირცხჳლ-უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთა, ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდჳლსა, ძემანცა კაცისამან არცხჳნოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისათა ანგელოსთა თანა წმიდათა.

თ ა ვ ი 9.

1. და ეტყოდა მათ: ამინ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემო სიკუდილისა, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისა, მომავალი ძალითა.

2. და შემდგომად ექუსისა დღისა, წარიყუანნა იესო პეტრე, და იაკობ, და იოანე, და აღიყუანნა იგინი, მთასა მაღალსა თჳსაგან მარტონი, და იცუალა სხუად ხატად წინაშე მათსა.

3. და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ, ვითარცა თოვლი, რომელ ყოველსავე მმურკნვალსა ქუეყანასა ზედა ვერ ჰელეწიფების ეგრეთ განსპეტაკებად.

4. და ეჩუენა მათ მოსე ილიას თანა; და იყუნეს იესოს თანა და ზრახჳდეს.

5. და მიუგო პეტრე და ჰრქუა იესოს: რაბი! კეთილ-არს ჩუენდა აქა ყოფა; ვქმნეთ აქა სამ-ტალავარ: ერთი შენთჳს, ერთი მოსესთჳს, და ერთი ილიასთჳს.

6. რამეთუ არა იცოდა, რაჲმცა მიუგო, რამეთუ იყუნეს შეშინებულ.

7. და იყო ღრუბელი, და აგრილობდა მათ, და ჴმა იყო ღრუბლით გამო, და ჰსთქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი; მაგისი ისმინეთ.

8. და მეყსეულად მიმოიხილეს, და არავინ იხილეს, გარნა იესო ხოლო მათთანა.

9. და გარდამოავიდოდეს მიერ მთით, ამცნო მათ, რათა არავის უთხრან, რაჲ იგი იხილეს, გარნა ოდეს ძე კაცისა მკუდრეთით აღდგეს.

10. და სიტყუა იგი დაიმარხეს თავისა თჳსისათანა, და გამოეძიებდეს ურთიერთას, ვითარმედ რა არს იგი, ოდეს მკუდრეთით აღდგეს.

11. და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: ვითარმედ იტყჳან მწიგნობარნი, ილიასი ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ?

12. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ილია მოვიდეს, და კუალად აგოს ყოველი, და ვითარმედ წერილ-არს, ძისა კაცისათჳს, რათა ფრიად ევნოს და შეურაცხ-იქმნეს.

13. არამედ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ილია მოვიდა და უყუნეს მას, რაოდენი უნდა, ვითარცა წერილ-არს მისთჳს.

14. და მოვიდა მოწაფეთა
მისთათანა, იხილა ერი გარე-
მო მათსა, და მწიგნობარნი გამო-
ეძიებდეს მათ თანა.
15. და მეყუსეულად ყოველ-
მან ერმან იხილა იგი, და დაუკჳრ-
და, და მორბიოდეს, და მოიკით-
ხეს იგი.
16. და ჰკითხა მწიგნობართა
მათ და ჰრქუა: რასა გამოეძიებთ
ურთიერთარს?
17. და მივინმე-უგო მას ერთ-
მან მის ერისაგანმან და ჰრქუა:
მოძღუარ! მოვიყუანე ძე ჩემი
შენდა, რომლისა თანა არს სული
უტყუჱბისა.
18. და სადაცა დააპყრის იგი,
დააკუჱთის, და პეროინ, და იღრ-
ჭენნ კბილთა, და განჰხმებინ; და
უთხარ მოწაფეთა შენთა, რათამ-
ცა განჰკურნეს; და ვერ შეუძლეს.
19. მიუგო იესო და ჰრქუა:
ჵი ნათესავი ურწმუნო! ვიდრემ-
დე ვიყო თქუჱნ თანა? ვიდრემდე
თავს-ვიდებდე თქუჱნსა? მომგუა-
რეთ მე იგი აქა.
20. და მოჰგუარეს იგი მას.
და იხილა რა იგი, მეყუსეულად
სულმან არა-წმიდამან დააკუჱთა
იგი; და დარაეცა ქუჱყანასა, ჰგო-
რვიდა და პეროოდა.
21. და ჰკითხა იესო მამასა
მისსა: რავდენი ჟამი აქუს, ვინათ-
გან შეემთხჳა ესე? ხოლო მან
ჰრქუა: სიყრმითგან.
22. და მრავალ-გზის ცეცხლსა
შთააგდო ეგე და წყალსა, რათამ-
ცა წარჰსწყმიდა ეგე; არამედ რა
მალ-გიძს, შემეწიენ ჩუჱნ უფა-
ლო! და წყალობა ჰყავ ჩუჱნთჳს.
23. ხოლო იესო ჰრქუა მას:
უკეთუ მალ-გიძს რწმუნებად, ყო-
ველივე შესაძლებელ-არს მორწმუ-
ნისა.
24. და მეყუსეულად ჴმა-ჰყო
მამამან მის ყრმისამან და ჰრქუა
ცრემლით: მრწამს, შემეწიე ურ-
წმუნოებასა ჩემსა.
25. და ვითარცა იხილა იესო,
რამეთუ შეკრბებოდა ერი მის
ზედა, შერისხნა სულსა მას და
ჰრქუა უტყუსა და ყრუსა სულსა:
მე გიბრძანებ შენ, განვედ მაგი-
საგან, და ნურღარა შეხუალ მა-
გისა.
26. და ღაღად-ჰყო: და ფრიად
ჰგორვიდა, და განვიდა მისგან, და
იქმნა იგი ვითარცა მკუდარი, ვი-
თარმედ მრავალნი იტყოდესცა,
ვითარმედ მოკუდა.
27. ხოლო იესო უპყრა ჴე-
ლი მისი, და აღადგინა იგი, და
აღჰსდგა.
28. და ვითარცა შევიდა ი-
ესო სახიდ, მოწაფეთა მისთა თჳ-
სგან, ჰკითხეს მას: რასათჳს ჩუჱნ
ვერ შეუძლეთ განძებად მას?
29. ხოლო თავადმან ჰრქუა
მათ: ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ-
არს განჰსლუად, გარნა ლოცჳთა
და მარხჳთა.
30. და მიერ განვიდეს, და წარ-
მოვლიდეს გალილიასა, და არა უნ-
და, რათამცა აგრძნა ვინ.
31. რამეთუ ასწავებდა მოწა-
ფეთა თჳსთა და ეტყოდა მათ,
რამეთუ ძე კაცისა მიეცემის ჴელ-
თა კაცთასა, და მოჰკლან იგი, და

მორაჰკჳდეს, მესამესა დღესა აღ-
ჰსდგეს.
32. ხოლო იგინი უმეცარ
იყჳნეს სიტყჳასა ამას, და ეში-
ნოდა კითხჳად მისა.
33. და მოვიდა კაპერნაუმად,
და ვითარცა შევიდა იგი სახლსა,
და ჰკითხჳდა მათ: რასა იგი იცი-
ლებოდეს ურთიერთარს გზასა
ზედა?
34. ხოლო იგინი სდუმნეს,
რამეთუ ურთიერთარს იტყოდეს
გზასა ზედა, ვითარმედ ჩჳენგანი
ვინმე უდიდეს იყოს.
35. და დაჰსჯდა და მოუწოდა
ათ-ორმეტთა მათ და ჰრქჳა: ვის
უნდეს თქჳენგანსა პირველ ყო-
ფა, იყოს იგი ყოველთა მრწემ
და ყოველთა მსახურ.
36. და მოიყჳანა ყრმაჲ და და-
ადგინა იგი შორის მათსა, და მკლავ-
თა მიიქჳა იგი და ჰრქჳა მათ:
37. რომელმან ერთი ამათგა-
ნი ყრმა შეიწყნაროს სახელისა
ჩემისათჳს, მე შემიწყნაროს, და
რომელმან მე შემიწყნაროს, არა
მე შემიწყნაროს, არამედ მომა-
ვლინებელი ჩემი.
38. მიუგო მას იოანე და ჰრ-
ქჳა: მოძღჳარ! ვიხილეთ ვინმე,
რომელი სახელითა შენითა ეშ-
მაკთა განასხმიდა, რომელი ჩჳენ
არა შეგჳდგს; და ვაყენებდით მას,
რამეთუ არა შემიდგს ჩჳენ.
39. ხოლო თავადმან ჰრქჳა:
ნუ აყენებთ მას; რამეთუ არა ვინ
არს, რომელმან ჰქმნეს ძალი სა-
ხელითა ჩემითა, და ჰელეწიფოს
ბოროტის სიტყჳად ჩემდა.
40. რამეთუ რომელი არა
ჩჳენდა მტერ არს, იგი ჩჳენ
კერძო არს.
41. რომელმან გასჳას თქჳენ
სასმელი წყლისა, სახელად ჩემდა,
რამეთუ ქრისტესნი ხართ; ამინ
გეტყჳ თქჳენ, არა წარუწყმდეს
სასყიდელი მისი.
42. და რომელმან დააბრკო-
ლოს ერთი მცირეთაგანი მორ-
წმუნეთა ჩემდა მომართ, უმჯო-
ბეს არს მისა გამო თუმცა-იბა ქედ-
სა მისსა წისქჳლის ქჳაჲ ვირით
სატქჳელი, და შთავარდა ზღჳასა.
43. და უკეთუ დაგაბრკოლებ-
დეს ჴელი შენი, მოიკჳეთე იგი:
უმჯობეს-არს შენდა უჴელოსა
შესლჳად ცხოვრებასა, ვიდრე ორ-
თა ჴელთა სხმასა, და შესლჳად
გეენიასა ცეცხლსა მას უშრეტსა,
44. სადა იგი მატლი მათი
არა მოაკლდების, და ცეცხლი არა
დაჰშრტების.
45. და უკეთუ ფერჴი შენი
დაგაბრკოლებდეს შენ, მოიკჳეთე
იგი: უმჯობეს-არს შენდა მკელო-
ბელისა შესლჳად ცხოვრებასა,
ვიდრე ორითა ფერჴითა შთაგ-
დებად გეენიასა ცეცხლსა მას
უშრეტსა,
46. სადა იგი მატლი მათი
არა დაესრულების, და ცეცხლი
არა დაჰშრტების.
47. და უკეთუ თჳალი შენი
გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი:
უმჯობეს-არს შენდა ერთითა თჳა-
ლითა შესლჳად სასუფეველსა
ღმრთისასა, ვიდრე ორითა თჳა-

*

ლითა შთავრდებად გეენიასა ცეც-
ხლისა უშრეტისასა,
48. სადა იგი მატლი მათი
არა დაესრულების, და ცეცხლი
არა დაჳშრტების.
49. რამეთუ ყოველივე ცეც-
ხლითა დაიმარილოს, და ყოველი
შესაწირავი მარილითა დაიმარი-
ლოს.
50. კეთილ-არს მარილი; ხო-
ლო უკეთუ მარილი უმარილო
იქმნეს, რაჲთადა შეინელოს იგი?
გაქუს თავისა თქუჱნისა მარილი,
და მშჳდობით იყუჱნით ურთი-
ერთარს.

## თ ა ვ ი 10.

1. და აღჰსდგა მიერ იესო, და
მოვიდა საზღვართა ჰურიასტანი-
სათა, წიაღ-იორდანესა, და შეჰკრ-
ბებოდა მისა კუალად ერი, და ვი-
თარცა ჩუეულ-იყო, კუალად ას-
წავებდა მათ.
2. ხოლო ფარისეველნი იგი
მოუკდეს და ჰკითხჳდეს მას: უკე-
თუ ჯერ-არს კაცისა ცოლისა
თჳსისა განტევებაჲ? და გამოჰსცდი-
დეს მას.
3. ხოლო თავადმან მიუგო და
ჰრქუა მათ: ვითარ გამცნო თქუჱნ
მოსე?
4. ხოლო მათ ჰრქუჱს: მოსე
ჰბრძანა წიგნი განშორებისა მი-
ცემად, და განტევებად.
5. მიუგო იესო და ჰრქუა მათ:
გულფიცხელობისა თქუჱნისათჳს
დაჰსწერა მოსე მცნებაჲ ეგე.
6. ხოლო დასაბამითგან და-
ბადებისათ მამა-კაცად და დედა-
კაცად შეჰქმნნა იგინი ღმერთმან
და ჰსთქუა:
7. ამისთჳს დაუტეოს კაცმან
მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი, და
შეეყოს ცოლსა თჳსსა,
8. და იყუნენ ორნივე იგი
ერთ-ჴორც, ვითარმედ არღარა
არიან ორ, არამედ ერთ-ჴორც.
9. რომელნი ღმერთმან შეა-
უღლნა, კაცი ნუ განაშორებნ.
10. და მერმე სახლსა რა ში-
ნა იყო, კუალად მისვე სიტყჳ-
სათჳს ჰკითხჳდეს მას მოწაფენი
მისნი. ხოლო იესო ჰრქუა მათ:
11. უკეთუ განუტეოს ქმარ-
მან ცოლი თჳსი და შეირთოს
სხუა, მან იმრუშა.
12. და ცოლი თუ განვიდეს
ქმრისაგან, და შეერთოს სხუასა,
მანცა იმრუშა.
13. და მოჰგვრიდეს მას ყრ-
მებსა, რათა ჴელი დაჰსდუას მათ;
ხოლო მოწაფენი აყენებდეს მათ,
რომელნი იგი მოჰგურიდეს.
14. ვითარცა იხილა იესო,
შეჰრისხნა მათ, და ჰრქუა: აცადეთ
ყრმებსა მაგას მოსლუად ჩემდა, და
ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგე
ვითართა არს სასუფეველი ცათა.
15. ამინ გეტყჳ თქუჱნ: რა-
მეთუ რომელმან არა შეიწყნაროს
სასუფეველი ღმრთისა, ვითარცა
ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას.
16. და შაიტკბობდა მათ, და
დაჰსხმიდა მათ ზედა ჴელთა, და
აკურთხევდა მათ.
17. და ვითარცა გამოვიდა
იგი გზასა, ესერა მდიდარი ვინ-

მე მოჰრბიოდა მისა, და მუკლნი
დაიდგნა მის წინაშე, ევედრებო-
და მას და ეტყოდა: მოძღუარო
სახიერო! რომელი საქმე ვჰქმნა,
რათა ცხოვრება საუკუნო დავიმ-
კვიდრო?

18. ხოლო იესო ჰრქუა მას:
რასა მეტყჳ მე სახიერით? არა
ვინ არს სახიერ, გარნა ღმერთი
მხოლო.

19. მცნებანი იცნი: ნუ კაც-
ჰკლავ; ნუ იპარავ; ნუ ცილსა-
ჰსწამებ; ნუ დააკლებ კეთილის-
ყოფად; პატივ-ეც მამასა შენსა და
დედასა შენსა.

20. ხოლო მან მიუგო და ჰრ-
ქუა მას: ესე ყოველი ვჰყავ სიჭა-
ბუკით ჩემითგან, რაღა მაკლს მე?

21. ხოლო იესო მიჰხედა და
შეუყუარდა იგი, და ჰრქუა მას:
უკეთუ გნებავს სრულ-ყოფაჲ, ერ-
თიღა გაკლს შენ; წარვედ, და რა-
ოდენი გაქუს, განჰყიდე და მიეც
გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯე
ცათა შინა; აღიღე ჯუარი, მოვედ
და შემომიდეგ მე.

22. ხოლო იგი შეჰსწუხნა
ამის სიტყჳსათჳს, და წარვიდა
მწუხარე, რამეთუ აქუნდა მონაგე-
ბი ფრიად.

23. და მიმო-იხილა იესო, და
ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ვითარ-
მედ ძნიად შევიდენ სასუფეველსა
ღმრთისასა, რომელთა აქუს სა-
ფასე!

24. ხოლო მოწაფეთა დაუკჳრ-
დებოდა სიტყუასა ამას ზედა. ხო-
ლო იესო კუალად მიუგო და ჰრ-
ქუა მათ: რაოდენ ძნელ-არს, რო-
მელნი საფასეთა ესუჱნ, შესლუა
სასუფეველსა ღმრთისასა!

25. უადვილეს-არს აქლემი
კუერელსა ნემსისასა განსლუად,
ვიდრე მდიდარი შესლუად სასუ-
ფეველსა ღმრთისასა!

26. ხოლო მათ უმეტესად
განუკჳრდებოდა და იტყოდეს ურ-
თიერთარს: და ვინ მალ-უძს ცხო-
ვრებად?

27. მიჰხედა მათ იესო და ჰრ-
ქუა: კაცთა მიერ შეუძლებელ-არს,
არამედ არა ღმრთისაგანცა; რა-
მეთუ ყოველივე შესაძლებელ-არს
ღმრთისა მიერ.

28. იწყო პეტრე სიტყუად
მისა და ჰრქუა: აჰა ესერა, ჩუჱნ
დაუტევეთ ყოველივე, და შეგიდე-
გით შენ.

29. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: ამინ გეტყჳ თქუჱნ: არა
ვინ არს, რომელმან დაუტევა
სახლი, გინა ძმანი, გინა დანი,
გინა მამაჲ, გინა დედაჲ, გინა
ცოლი, გინა შჳლნი, გინა აგა-
რაკნი ჩემთჳს, და სახარებისა
ამისთჳს,

30. უკეთუ არა მიიღოს ასი
წილი აწ ჟამსა ამას, სახლი, და
ძმანი, და დანი, მამაჲ, და დედაჲ,
და შჳლნი, და აგარაკნი შემდგო-
მად დევნისა, და საუკუნესა მას
მომავალსა ცხოვრება საუკუნო.

31. ხოლო მრავალნი იყუნენ
პირველნი უკანასკნელ, და უკანას-
კნელნი პირველ.

32. და იყუნეს გზასა ზედა,
და აღვიდოდეს იერუსალიმად, და
იესო წინა-უძღოდა მათ, და და-

უკჳრდებოდა მოწაფეთა; ხოლო
იგინი მიჰსდევდეს მას, და ეში-
ნოდა. და წარმოიყუანნა კუალად
ათორ-მეტნი იგი, და იწყო თხრო-
ბად მათდა მერმისა მისთჳს, რო-
მელი შემთხუჱვად იყო მისა.
33. ვითარმედ აჰა ესერა, აღ-
ვალთ იერუსალიმად, და ძე კაცი-
სა მიეცეს მღუდელთ-მთავართა
და მწიგნობართა, და დაჰსაჯონ
იგი სიკუდილად, და მიჰსცენ იგი
წარმართთა,
34. და ეკიცხჳდენ მას, და ჰს-
ტანჯონ იგი, და ჰნერწყჳდენ მას,
და მოჰკლან იგი, და მესამესა
დღესა აღჰსდგეს.
35. და მოვიდეს მისა იაკობ, და
იოანე, ძენი ზებედესნი, და ჰრქ-
უჱს: მოძღუარ! გუნებავს, რათა
რომელი გთხოოთ, მიყო ჩუჱნ.
36. ხოლო თავადმან ჰრქუა
მათ: რა გნებავს ჩემგან, რათა
გიყო თქუჱნ?
37. ხოლო მათ ჰრქუჱს მას:
მომეც ჩუჱნ, რათა ერთი მარ-
ჯუჱნით, და ერთი მარცხენით
შენსა დავჰსხდეთ დიდებასა შენსა.
38. ხოლო იესო ჰრქუა მათ:
არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-
გიძსთა სასუმელისა, რომელსა
მე შევჰსუამ, შესმად, და ნათლის-
ღებასა, რომელსა მე ნათელ-ვი-
ღებ, ნათლის-ღებად?
39. ხოლო მათ ჰრქუჱს მას:
ძალ-გვიძს. ხოლო იესო ჰრქუა
მათ: სასმელი სამე, რომელსა მე
ვჰსუამ, ჰსუათ, და ნათლის-ღება,
რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-
იღოთ;
40. ხოლო დაჯდომა მარჯუჱ-
ნით ჩემსა და მარცხენით, არა არს
ჩემი მიცემად. არამედ ვიეთდა
განმზადებულ-არს.
41. და ესმა რა ესე ათთა
მათ, იწყეს რისხუად იაკობისა და
იოანესა.
42. ხოლო იესო მოუწოდა და
ჰრქუა მათ: უწყითა, რამეთუ რო-
მელნი იგი ჰგონებედ მთავრად
წარმართთა, უფლებედ მათ ზედა,
და დიდ-დიდნი მათნი ჴელმწიფე-
ბენ მათ ზედა?
43. ხოლო არა ეგრე იყოს
თქუჱნ შორის; არამედ რომელსა
უნდეს დიდ-ყოფაჲ თქუჱნ შო-
რის, იყოს თქუჱნდა მსახურ;
44. და რომელსა უნდეს თქუჱნ
შორის პირველ ყოფაჲ, იყოს
ყოველთა მონა.
45. და რამეთუ ძე კაცისა
არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა,
არამედ მსახურებად და მიცემად
სული თჳსი, სასყიდლად მრავალთა.
46. და მოვიდეს იერიქოდ; და
ვითარცა გამოვიდა იესო და მო-
წაფენი მისნი იერიქოდ, და ერი
მრავალი მათ თანა, ძე ტიმესი,
ბარტიმეოს, ბრმა ჰსჯდა გზასა
თანა მთხოველად.
47. და ესმა რა, რამეთუ იე-
სო ნაზარეველი არს, იწყო ღა-
ღადებად და სიტყუად: იესო, ძეო
დავითისო! შემიწყალე მე.
48. და ჰრისხჳდეს მას მრა-
ვალნი, რათა დაჰსდუმნეს; ხოლო
იგი უფროს ღაღადებდა: ძეო
დავითისო! შემიწყალე მე.
49. და ჰსდგა იესო, და ჰბრძა-

ნა მოწოდებაჲ მისი. და მოუწო-
დეს ბრმასა მას, და ეტყოდეს: ნუ
გეშინინ, აღჰსდეგ, გიწესს შენ.
50. ხოლო მან დააბნია სა-
მოსელი თჳსი, და აღჰსდგა და მო-
ვიდა მისა.
51. მიუგო და ჰრქჳა მას იე-
სო: რა გნებავს და გიყო შენ?
ხოლო ბრმამან მან ჰრქჳა მას:
რაბი! რათა აღვიხილნე თჳალნი
ჩემნი.
52. ხოლო იესო ჰრქჳა მას:
გჳალე ვიდოდე, სარწმუნოებამან
შენმან გაცხოვნა შენ; და მეყჳსეუ-
ლად აღიხილნა, და მიჰსდევდა მას
გზასა ზედა.

## თ ა ვ ი 11.

1. და რაჟამს მიეახლნეს იე-
რუსალიმად, ბეთბაგედ ბეთანიად,
მთასა თანა ზეთის-ხილთასა, წა-
რავლინნა ორნი მოწაფეთაგანნი.
2. და ჰრქჳა მათ: წარვედით
დაბასა მაგას, რომელ-არს წინაშე
თქჳჱნსა; და შერაჰსხჳდოდეთ მას
შინა, ჰპოვოთ კიცჳ, დაბმული,
რომელსა კაცი არღა დაჯდომილ-
არს; აღჰკსენით იგი და მომგჳა-
რეთ.
3. და უკეთუ ვინმე გრქჳას რა
თქჳჱნ, არქჳთ, ვითარმედ უფალ-
სა უჴმს ეგე. და მეყჳსეულად მოავ-
ლინოს იგი აქა.
4. ხოლო იგინი წარვიდეს და
ჰპოვეს კიცჳ იგი დაბმული კარ-
თა თანა, გარეშე შესავალთა, და
აღჰკსნეს იგი.
5. ხოლო მუნ-მდგომარენი
ვინმე ეტყოდეს მათ: რასა ჰზამთ
და აღჰკსნით კიცჳსა მაგას?
6. ხოლო მათ ჰრქჳჱს, ვითარ-
ცა იგი უბრძანა მათ იესო; და
მიუტევეს მათ.
7. და მოიყჳანეს კიცჳ იგი
იესოსა, და დაასხეს მას ზედა სა-
მოსელი მათი, და დაჰსჯდა მას
ზედა,
8. და მრავალნი სამოსელსა
მათსა დაუფენდეს გზასა ზედა;
და სხჳანი მოჰკაფდეს რტოთა ხე-
თაგან, და დაუფენდეს გზასა
ზედა.
9. და რომელნი წინაუძღოდეს
და რომელნი უკანა შეუდგეს, ჰღა-
ღადებდეს და იტყოდეს: ოსანნა!
კურთხეულ-არს მომავალი სახე-
ლითა უფლისათა!
10. კურთხეულ-არს მოსლჳა
მეუფისა სახელითა უფლისათა
დავითის მამისა ჩჳჱნისა! ოსან-
ნა მაღალთა შინა!
11. და შევიდა იესო იერუ-
სალიმად და ტაძარსა მას, და მი-
მო-ჰხედჳდა ყოველსა, რამეთუ
მწუხრი იყო ჟამი იგი, და განვი-
და ბეთანიად ათორ-მეტთა თანა.
12. და ხვალისაგან ვითარ-გა-
მოვიდეს იგინი ბეთანიით, შეემ-
შია.
13. და იხილა ლეღვი ერთი
შორით, რომელსა ესხა ფურცელი,
და მოვიდა, უკეთუმცა რამე ჰპოვა
მას შინა, და მოვიდა რა მისა, არა
რა ჰპოვა, გარნა ფურცელი ხო-
ლო, რამეთუ არა იყო ჟამი ლეღ-
ვისა.
14. და ჰრქჳა მას: ნუ ღარამ-

ცა ვინ ჰსჭამს უკუნისამდე შენ-
გან ნაყოფსა! და ესმოდა ესე მო-
წაფეთა მისთა.
15. და მოვიდეს იერუსალიმად;
და შევიდა იესო ტაძარსა მას, და
იწყო განსხმად განმსყიდველთა
მათ და მომსყიდუელთა მიერ ტაძ-
რით, და ტაბლები იგი მეკერმეთა
მათ და დასასხდომლები იგი მსყი-
დველთა მათ ტრედისათა დაუმხუა.
16. და არა უტევებდა, რათა
განვინმე-იღოს ჭურჭელი მიერ
ტაძრით.
17. და ასწავებდა და ეტყოდა,
ვითარმედ წერილ-არს: სახლსა
ჩემსა სახლ სალოცუელ ეწოდოს
ყოველთა მიერ წარმართთა; ხო-
ლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ
ავაზაკთა.
18. და ესმა ესე მღუდელთ-
მთავართა მათ და მწიგნობართა,
დ ეძიებდეს, ვითარმცა წარჰსწყმი-
დეს იგი; და ეშინოდა მისა, რა-
მეთუ ყოველი ერი განკჳრვებულ
იყო მოძღურებასა მას მისსა.
19. და ვითარცა იყო მწუხრი,
განვიდოდეს გარეშე ქალაქსა.
20. და ვითარცა თანა-წარვი-
დოდეს განთიად, იხილეს ლეღვი
იგი განჴმელი ძირითგან.
21. და მოეჴსენა პეტრეს, და
ჰრქუა მას: რაბი! აჰა ლეღვი იგი,
რომელსა ჰსწყევე, განჴმა.
22. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ:
23. გაქუნდინ სარწმუნოება
ღმრთისა. ამინ გეტყჳ თქუენ:
ვითარმედ, რომელმან ჰრქუას მთა-
სა ამას, აღიფხუარ და შთაჰვარდი
ზღუად, და არა შეორგულდეს
გულსა თჳსსა, არამედ ჰრწმენეს;
რამეთუ რომელი ჰსთქუას, იქმნეს,
და იყოს ეგრე.
24. ამისთჳს გეტყჳ თქუენ:
ყოველსა, რომელსა ლოცუასა ში-
ნა ითხოვდეთ, გრწმენინ, რამეთუ
მოიღოთ, და გეყოს თქუენ.
25. და რაჟამს ჰსდგეთ ლო-
ცუასა შინა, მიუტევეთ უკეთუ
გაქუნდეს რამე ბოროტი ვისთჳს-
მე, რათა მამამანცა თქუენმან,
რომელ-არს ცათა შინა, მოგიტევ-
ნეს შეცოდებანი თქუენნი.
26. ხოლო უკეთუ თქუენ არა
მიუტევნეთ, არცა მამამან თქუენ-
მან, რომელ-არს ცათა შინა, მო-
გიტევნეს შეცოდებანი თქუენნი.
27. და მოვიდეს კუალად იე-
რუსალიმად, და ვითარცა იქცეოდა
იგი ტაძარსა მას შინა, მოვიდეს
მისა მღუდელთ-მთავარნი იგი, და
მწიგნობარნი, და მოხუცებულნი.
28. და ეტყოდეს მას: რომლი-
თა ჴელმწიფებითა იქმ ამას? და ვინ
მოგცა შენ ჴელმწიფება ესე, რამე-
თუ ამას იქმოდი?
29. ხოლო იესო მიუგო და
ჰრქუა მათ: გკითხო მეცა თქუენ
სიტყუა ერთი, და თქუენ მომი-
გეთ მე; და მე გითხრა თქუენ, რო-
მლითა ჴელმწიფებითა ვიქმ ამას.
30. ნათლის-ცემა იოანესი ზე-
ცით იყო, ანუ კაცთაგან? მით-
ხართ მე.
31. ხოლო იგინი განიზრახჳ-
დეს თჳსაგან და იტყოდეს: უკეთუ
ვჰსთქუათ: ზეცით იყო; გურქუას

ჩუენ: რასათჳს უკუე არა გრწმე-
ნა მისი?

32. და უკეთუ ვჰსთქუათ: კაც-
თაგან; გუეშინის ერისა ამის, რა-
მეთუ ყოველთა იცოდეს იოანე,
ვითარმედ ჭეშმარიტად წინასწარ-
მეტყუელი იყო.

33. და მიუგეს და ჰრქუეს მათ
იესოს: არა ვიცით. და მიუგო
მათ იესო და ჰრქუა: არცა მე გით-
ხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფე-
ბითა ამას ვიქმ.

## თ ა ვ ი 12.

1. და იწყო იგავით მათდა
სიტყუად: კაცმან ვინმე დასხა ვე-
ნაკი, და ზღუდე გარე-მოჰსდუა,
და ჰქმნა საწნეხელი, და აღაშენა
გოდოლი და მისცა იგი ქუე-
ყანის-მოქმედთა, და წარვიდა.

2. და მიავლინა ქუეყანის-
მოქმედთა მათ მიმართ, ჟამსა ნაყო-
ფისასა, მონაჲ, რათა მოიღოს
ნაყოფი ვენაკისა მის.

3. ხოლო მათ შეიპყრეს და
ჰგუემეს იგი, და წარავლინეს ცა-
ლიერი.

4. მერმე კუალად წარავლინა
სხუა მონაჲ; და მასცა კუალად
გამოვლეწუენეს, ჰგუემეს და წარა-
ვლინეს გინებული.

5. და კუალად სხუა მიავლინა;
და იგიცა მოჰკლეს, და სხუანი
მრავალნი, რომელთამე ჰსტანჯჳ-
დეს, და რომელთამე მოჰკლჳდეს.

6. უკანასკნელ, ერთი ძე ესუა
საყუარელი თჳსი; მიავლინა მათ
თანა, რამეთუ ჰსთქუა, ვითარმედ
შეიკდიმონ მისა ჩემისათჳს.

7. ხოლო ქუეყანის-მოქმედთა
მათ ჰსთქუეს ურთიერთარს: ესე
არს მკჳდრი მისი; მოვედით და
მოვჰკლათ იგი, და ჩუენდა იყოს
სამკჳდრებელი ესე.

8. და შეიპყრეს იგი, და მო-
ჰკლეს, და გამოაგდეს იგი მიერ
სავენაკით.

9. აწ რა უყოს მათ უფალ-
მან მის ვენახისამან? მოვიდეს და
მოსრნეს ქუეყანის-მოქმედნი იგი,
და ვენაკი იგი მისცეს სხუათა.

10. არცაღა ესე წიგნი აღმო-
გიკითხავსა: ლოდი, რომელ შეუ-
რაცხ-ჰყუეს მაშენებელთა, ესე
იქმნა თავ კიდეთა;

11. უფლისა მიერ იყო ესე,
და არს საკჳრველ წინაშე თუალთა
ჩუენთა.

12. და ეძიებდეს მას შეპყრო-
ბად, და ეშინოდა ერისა მისგან,
რამეთუ ჰსცნეს, ვითარმედ მათ-
თჳს ჰსთქუა იგავი იგი. და დაუ-
ტევეს იგი და წარვიდეს,

13. და მივინმეავლინნეს მის-
სა ფარისეველნი და იროდიანნი,
რათა მოინადირონ იგი სიტყ-
ჳთა.

14. ხოლო იგინი მოვიდეს
და ჰკითხჳდეს მას: მოძღუარ! ვი-
ცით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ, და
არა რა ზრუნვა გაქუს ვისთჳსმე,
რამეთუ არა ჰხედავ პირსა კაცი-
სასა, არამედ ჭეშმარიტად გზასა
ღმრთისასა ასწავებ. ჯერ-არსა ხარ-
კი მიცემად კეისრისა? მივჰსცეთ,
ანუ არა მივჰსცეთ?

15. ხოლო თავადმან იცოდა
ორგულებაჲ მათი და ჰრქუა მათ:

რასა გამომცდით მე? მომართჳთ
მე დრაჰკანი, რათა ვიხილო.
16. ხოლო მათ მოართუჱს,
და ჰრქუა მათ: ვისი არს ხატი
ესე და ზედა წერილი? ხოლო მათ
ჰრქუჱს: კეისრისა.
17. მიუგო იესო და ჰრქუა მათ:
მიეცით კეისრისა კეისარსა, და
ღმრთისა ღმერთსა; და დაუკჳრდა
ამას ზედა და წარვიდა.
18. და მოვიდეს მისა სადუ-
კეველნი, რომელნი იტყჳან, ვი-
თარმედ აღდგომა არა არს, და
ჰკითხჳდეს მას და ეტყოდეს:
19. მოძღუარ! მოსე ესრეთ
დამიწერა ჩუჱნ: უკეთუ ვისმე მო-
უკუდეს ძმა და ესუას ცოლი, და
შჳლი არა დაჰშთეს, რათა შეირ-
თოს ძმამან მისმან ცოლი იგი
მისი, და აღუდგინოს თესლი ძმა-
სა თჳსსა.
20. აწ შჳდნი ძმანი იყუნეს
ჩუჱნ შორის; და პირველმან შე-
ირთო ცოლი და მოკუდა, და არა
დაჰშთა შჳლი.
21. და მეორემან შეირთო
იგი, და მოკუდა, და არა დაჰშთა
შჳლი, და მესამემან ეგრეთვე,
22. ვიდრე მეშჳდედმდე, და არა
დაუშთა შჳლი; უკანასკნელ ყო-
ველთასა მოკუდა დედაკაციცა იგი.
23. აწ უკუჱ აღდგომასა მას,
ოდეს აღჰსდგენ, ვისა მათგანისა
იყოს იგი ცოლ? რამეთუ შჳდთა-
ვე ესუა იგი ცოლად.
24. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: არა ამისთჳს ჰსცთებითა,
რამეთუ არა იცნით წიგნნი, არ-
ცა ძალი ღმრთისა.
25. რამეთუ რაჟამს მკუდრე-
თით აღჰსდგენ, არცა იქორწინე-
ბოდიან, არცა განჰქორწინებდენ,
არამედ იყუნენ ვითარცა ანგელოს-
ნი ცათა შინა.
26. ხოლო ამისთჳს, რამეთუ
აღჰსდგენ მკუდარნი, არა აღმოგი-
კითხავსა წიგნსა მოსესსა მაყულო-
ვანსა ზედა, ვითარ იგი ღმერთი
ეტყოდა მას და ჰრქუა: მე ვარ
ღმერთი აბრაამისი, ღმერთი ისაა-
კისი, და ღმერთი იაკობისი?
27. არა არს ღმერთი მკუდარ-
თა, არამედ ღმერთი ცხოველთა.
ხოლო თქუჱნ ფრიად ჰსცთებით.
28. და მოვიდა მისა ერთი
მწიგნობართაგანი, ესმოდა რა
მათი, ვითარ იგი გამოეძიებდეს
მისთანა, იცოდა, რამეთუ კეთი-
ლად მიუგო მათ, ჰკითხა მას მან-
ცა, ვითარმედ რომელი არს ყო-
ველთა პირველი მცნება?
29. ხოლო იესო ჰრქუა მას:
პირველი ყოველთა მცნებათა ესე
არს: ისმინე ისრაილ! უფალი
ღმერთი შენი უფალი ერთ-არს;
30. და შეიყუარო უფალი ღმე-
რთი შენი ყოვლითა გულითა შე-
ნითა, და ყოვლითა სულითა შე-
ნითა, და ყოვლითა გონებითა შე-
ნითა, და ყოვლითა ძალითა შე-
ნითა; ესე არს პირველი მცნება!
31. და მეორე მჰსგავსი ამი-
სი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვი-
თარცა თავი თჳსი. უფროს ამათ-
სა სხუა მცნება არა არს.
32. ჰრქუა მას მწიგნობარმან
მან: კეთილად, მოძღუარ! ჭეშმა-
რიტად ჰსთქუ, რამეთუ ერთ-არს

ღმერთი, და არა ვინ არს სხუა მის-
სა გარეშე;

33. და შეყუარებად იგი ყო-
ვლითა გულითა, და ყოვლითა სუ-
ლითა, და ყოვლითა ძალითა, და
ყოვლითა გულის-ჴმის-ყოფითა, და
შეყუარებად მოყუასი, ვითარცა
თავი თჳსი, უფროს არს ესე ყო-
ველთა მსხუერპლთა და შესაწი-
რავთა.

34. და იხილა იესო, რამე-
თუ გონიერად მიუგო, ჰრქუა
მას: არა შორს ხარ სასუფევე-
ლისაგან ღმრთისა; და არღარა-ვინ
იკადრა კითხვად მისა.

35. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ, და ასწავებდა ტაძარსა მას ში-
ნა: ვითარ უკუე იტყჳან მწიგ-
ნობარნი, ვითარმედ ქრისტე ძე
არს დავითისი?

36. რამეთუ თჳთ იგი დავით
იტყჳს სულითა წმიდათა: ჰრქუა
უფალმან უფალსა ჩემსა: დაჰსჯედ
მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის
დავჰსხნე მტერნი შენნი ქუეშე
ფერკთა შენთა.

37. თჳთ იგი დავით ჰხადის
მას უფლით; და ვითარ ძე მისი
არს? და მრავალი ერი ისმენდა
მისსა ტკბილად.

38. და ეტყოდა მათ სწავლა-
სა მას შინა მისსა: ეკრძალენით
მწიგნობართა მათგან, რომელთა
ჰნებავს სამკაულითა სლუა, და მო-
კითხვა უბანთა ზედა,

39. და ზემო-ჯდომა კრებულ-
სა შორის, და პირველ ინაკით-ჯდო-
მა სერსა ზედა.

40. რომელნი შესჭამენ სახ-
ლებსა ქურივთასა, და მიზეზით
მყოვარ ჟამ ილოცუენ, რომელთა
მიიღონ უმეტესი საჰსჯელი.

41. და დაჰსჯდა იესო წინაშე
ფასის-საცავსა მას, და ჰხედჳდა,
ვითარ იგი ერი დაჰსდებდა რვალ-
სა ფასის-საცავსა მას; და მრავალ-
თა მდიდართა დაჰსდუეს ფრიად.

42. და მოვიდა ერთი ქური-
ვი გლახაკი, და დაჰსხნა ორნი
წულილნი, რომელ-არს კოდრანტე.

43. და მოუწოდა იესო მოწა-
ფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: ამინ
გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქურივმან
ამან გლახაკმან უფროს ყოველ-
თასა დაჰსდუა ფასის-საცავსა ამას;

44. რამეთუ ყოველთა ნამეტ-
ნავისაგან მათისა დაჰსდუეს; ხო-
ლო ამან ნაკლულევანებისაგან თჳ-
სისა ყოველი, რაცა აქუნდა, და-
ჰსდუა საცხოვრებელი თჳსი.

## თავი 13.

1. და გამოვიდოდა იგი ტა-
ძრით, ჰრქუა მას ერთმან მოწა-
ფემან მისმან: მოძღუარ! იხილე,
რაბამი ქუაბი არს, და რაბამი
შენებულება!

2. მიუგო იესო და ჰრქუა მას:
ჰხედავა ამათ დიდ-დიდთა შენე-
ბულთა? არა დაჰშთეს ქუა ქუასა
ზედა, რომელი არა დაირღუეს.

3. და დაჰსჯდა რა იგი მთასა
მას ზეთის-ხილთასა, წინაშე ტა-
ძარსა მას, ჰკითხვიდეს მას თჳსა-
გან პეტრე, და იაკობ, და იოანე,
და ანდრია:

4. მითხარ ჩუენ, ოდეს ყო-
ფად არს ესე, და რა იყუნენ სას-
წაულნი, ოდეს ესე ყოველნი აღე-
სრულნენ?
5. მიუგო იესო და ჰრქუა მათ:
ეკრძალენით, ნუ უკუე ვინმე გა-
ცთუნნეს თქუენ.
6. რამეთუ მრავალნი მოვი-
დოდენ სახელითა ჩემითა და იტ-
ყოდენ, ვითარმედ მე ვარ; და
მრავალთა აცთუნებდენ.
7. რაჟამს გესმოდენ ბრძო-
ლანი და ამბავნი ბრძოლათანი, ნუ
შეჰსძრწუნდებით; რამეთუ ჯერ-
არს ესე ყოფად, არამედ არღა
არს აღსასრული.
8. რამეთუ აღჰსდგეს ნათესა-
ვი ნათესავსა ზედა, და მეუფება
მეუფებასა ზედა, და იყუნენ ძრვა-
ნი ადგილ ადგილ, და იყუნენ
სიყმილნი და შფოთნი. ესე ყოვე-
ლი დასაბამი სალმობათა არს.
9. ხოლო ეკრძალენით თქუენ
თავთა თქუენთა, რამეთუ მიგცემ-
დენ თქუენ შესაკრებელთა, და
კრებულთა შორის გტანჯჳდენ
თქუენ, და წინაშე მეფეთა და მთა-
ვართა წარჰსდგეთ ჩემთჳს საწამე-
ბელად მათდა.
10. და ყოველთა წარმართთა,
ხოლო პირველად ჯერ არს ქადა-
გებად სახარება ესე.
11. და რაჟამს მიგიყუანნენ
თქუენ მიცემად მათდა, ნუ წი-
ნასწარ ზრუნავთ, ნუცა იწურთით,
რასა იტყოდეთ; არამედ რა იგი
მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა,
მას იტყოდეთ; რამეთუ არა თქ-
უენ ხართ მეტყუელნი, არამედ
სული-წმიდა.
12. რამეთუ მიჰსცეს ძმამან
ძმა სიკუდილად, და მამამან შჳლი,
და აღჰსდგენ შჳლნი მამა-დედათა
ზედა, და მოკლჳდენ მათ.
13. და იყუნეთ თქუენ მო-
ძულებულ ყოველთაგან სახელისა
ჩემისათჳს. ხოლო რომელმან და-
ითმინოს სრულიად, იგი სცხოვ-
ნდეს.
14. ხოლო ოდეს იხილოთ სა-
მაგელი იგი მოოხრებისა, თქმუ-
ლი დანიილ წინასწარ-მეტყუელი-
სა, მდგომარე, სადა იგი არა
ჯერ-არს, რომელი იგი აღმოი-
კითხჳდეს ჰსცნობდინ; მაშინ,
რომელნი იყუნენ ურიასტანს,
ივლტოდენ მთად;
15. და რომელი ერდოსა ზე-
და იყოს, ნუ გარდამოვალნ სა-
ხიდ, და ნუცა შევალნ აღებად რა-
სამე სახლისაგან თჳსისა;
16. და რომელი ველსა გარე
იყოს, ნუ უკუნ-იქცევინ აღებად
სამოსლისა თჳსისა.
17. ხოლო ვაჲ მუცელ-ქმნულ-
თა და რომელნი აწოებდენ მათ
დღეთა შინა.
18. არამედ ილოცევდით, რათა
არა იყოს სივლტოლა თქუენი
ზამთარსა.
19. რამეთუ იყუნენ დღენი
იგი ჭირისანი, რომელი არა სა-
და იქმნა ესე-ვითარი დასაბამით-
გან, რომელ დაჰბადა ღმერთმან,
ვიდრე აქამომდე, და არცა-და
იყოს.
20. და არათუმცა ღმერთმან

შეამოკლნა დღენი იგი, არამცა ჰსცხოვნდა ყოველი ჴორციელი; არამედ რჩეულთა მათ თჳს, რომელნი გამოირჩინა, შეამოკლნა დღენი იგი.

21. მაშინ უკეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა, აქა არს ქრისტე, გინა: იქი; ნუ გრწამნ.

22. რამეთუ აღდგნენ ქრისტე-მტყუარნი და ცრუ-წინასწარმეტყუელნი, და ჰყოფდენ სასწაულებსა და ნიშნებსა, რათა აცთუნენ, უკეთუმცა შეუძლეს, რჩეულთაცა.

23. ხოლო თქუენ იხილეთ და ეკრძალენით. აჰა ესერა, წინასწარ გითხარ თქუენ ყოველი.

24. არამედ მათ დღეთა შინა, შემდგომად ჭირისა მის, მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი;

25. და ვარსკულავნი ზეცით გარდამოსცჳვენ, და ძალნი, რომელნი იყვნენ ცათა შინა, შეიძრნენ.

26. და მაშინ იხილონ ძე კაცისა, მომავალი ღრუბელთა ზედა ძალითა და დიდებითა მრავლითა.

27. და მაშინ წარავლინნეს ანგელოსნი მისნი, და შეჰკრიბნეს რჩეულნი თჳსნი ოთხთაგან ქართა, კიდითგან ქუეყანისათ, ვიდრე კიდედმდე ცისა.

28. ხოლო ლეღჳსაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩჳან და გამოავლნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული.

29. ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს კართა ზედა.

30. ამინ გეტყჳ თქუენ: არა წარჰხდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს.

31. ცანი და ქუეყანანი წარჰხდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა სადა წარჰხდენ.

32. ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არა ვინ იცის, არცა ანგელოსთა ცათა შინა, არცა ძემან, არამედ მამამან.

33. არამედ იხილეთ და მღჳძარე იყვენით, და ილოცევდით, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს ჟამი იგი:

34. ვითარცა იგი კაცმან გზად წარმავალმან დაუტევის სახლი თჳსი, და მისცის მონათა თჳსთა ჴელმწიფება, და კაცად კაცადსა საქმე თჳსი, და მეკარესა ამცნის, რათა მღჳძარე იყოს.

35. იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, ოდეს იგი უფალი სახლისა მის მოვიდეს, მწუხრი, ანუ შუა-ღამესა, ანუ ქათმისა-ჴმობასა, ანუ განთიად;

36. ნუ უკუე მოვიდეს მეყუსეულად და გპოვნეს თქუენ მძინარენი.

37. ხოლო რომელსა ესე გეტყჳ თქუენ, ყოველთა გეტყჳ: მღჳძარე იყვენით.

## თავი 14.

1. ხოლო იყო პასქა იგი, რომელ არს ვნება და უცომოება, შემდგომად ორისა დღისა, და ეძიებდეს

მღდელთ-მთავარნი იგი და მწიგ-
ნობარნი იესოს, ვითარმცა ზა-
კჳთ შეიპყრეს იგი და მოკ-
კლეს;
2. ხოლო იტყოდეს: ნუ დღე-
სასწაულსა ამას, ნუ უკუჱ შფო-
თი იქმნეს ერისა.
3. და ვითარცა იყო იესო ბეთა-
ნიას სახლსა სჳმონ კეთროვნისასა,
და ინახით ჰსჯდა იგი; მოვიდა
დედა-კაცი, და აქუნდა ალაბასტ-
რითა ნელსაცხებელი ნარდისა,
სარწმუნოსა, მრავალ-სასყიდლისა;
და შეჰმუსრა ალაბასტრი იგი, და
დაასხა თავსა მისსა.
4. იყჳნეს ვინმე, რომელნი
ჰსდრტჳნვიდეს ურთიერთარს და
იტყოდეს: რასა თჳს იქმნა წარ-
წყმედა ნელსაცხებლისა ამის?
5. რამეთუ შესაძლებელ-იყო
ესე განსყიდუად უფროს სამასისა
დრაჰკნისა და მიცემად გლახაკთა, და
ჰრისხჳდეს მას.
6. ხოლო იესო ჰრქუა მათ:
აცადეთ მაგას; რასა შრომასა
შეამთხუჱვთ? რამეთუ საქმე კეთი-
ლი ჰქმნა ჩემთანა.
7. რამეთუ გლახაკნი მარადის
თქუჱნ თანა არიან, უკეთუ გინ-
დეს, მალ-გიძს კეთილის-ყოფად
მათდა; ხოლო მე არა მარადის
თქუჱნთანა ვარ.
8. რომელი აქუნდა, ჰყო: უს-
წრო ნელსაცხებელითა ცხებად კო-
რცთა ჩემთა დასაფლუჱლად ჩე-
მდა.
9. ამინ გეტყჳ თქუჱნ: სა-
დაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყო-
ველსა სოფელსა, და რომელიცა
ესე ჰქმნა, ითქმოდეს საჴსენებე-
ლად მაგისა.
10. და იუდა ისკარიოტელი,
ერთი ათ-ორმეტთაგანი, წარვიდა
მღდელთ-მთავართა მათ მიმართ,
რათა მიჰსცეს იგი მათ.
11. ხოლო მათ, ვითარცა ეს-
მა მისგან, განიხარეს, და აღუ-
თქუჱს მას მიცემად ვეცხლი; და
ეძიებდეს, ვითარმცა ჟამსა მარ-
ჯუჱსა მიჰსცა იგი მათ.
12. და პირველსა მას დღესა
უცომოებისასა, ოდეს პასექსა მას
დაჰკლჳდეს, ჰრქუჱს იესოს მოწა-
ფეთა მისთა: სადა გნებავს წარ-
ვიდეთ და მოვამზადოთ შენ, რა-
თა ჰსჭამო ვნება ესე?
13. და წარავლინნა ორნი მო-
წაფეთა მისთაგანნი, და ჰრქუა მათ:
წარვედით ქალაქად, და შეგემთხჳ-
ოს თქუჱნ კაცი, რომელსა ლაგ-
ჳნითა წყალი ზე ედგას, და შეუ-
დეგით მას, ვიდრე შევიდეს;
14. და არქუთ სახლისა-უფალ-
სა მას, ვითარმედ მოძღუარი იტ-
ყჳს: სადა არს სავანე, სადა იგი
პასექი მოწაფეთა ჩემთა თანა
ვჰსჭამო?
15. და მან გიჩუჱნოს თქუჱნ
ქორი დიდი, დაგებული და მომ-
ზადებული; მუნ მზა მიყავთ ჩუჱნ.
16. და გამოვიდეს მოწაფენი
მისნი, და მოვიდეს ქალაქად, და
ჰპოვეს ეგრეთ, ვითარცა ჰრქუა
მათ იესო, და მოჰმზადეს ვნება
იგი.
17. და ვითარცა მწუხრი იყო
მოვიდა ათ-ორმეტთა მათ თანა.
18. და ვითარ ინაჳით ჰსხდეს

და ჭამდეს, ჰრქუა იესუ: ამინ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე, რომელი ჭამს ჩემთანა.

19. ხოლო მათ იწყეს მწუხარებად და სიტყუად მისდა თჳთოეულმან: ნუ უკუე მე ვარ? და სხუამან ჰსთქჳს: ნუ უკუე მე ვარ?

20. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ერთმან ათორმეტთაგანმან, რომელმან შთამოყოს პინაკსა ამას ჴელი ჩემთანა, იგი მიმცემს მე.

21. ძე-სამე კაცისა წარვალს, ვითარცა წერილ-არს მისთჳს: ხოლო ვაჲ არს მის კაცისა, რომლისაგან ძე კაცისა მიეცემის; უკეთეს იყო მისა, უკეთუმცა არა შობილ-იყო კაცი იგი.

22. და ჭამდეს რა იგი, მოიღო იესუ პური, აკურთხა, განსტეხა და მისცა მათ, და ჰრქუა: მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ჴორცი ჩემი.

23. და მოიღო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ, და ჰსუეს მისგან ყოველთა.

24. და ჰრქუა მათ: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა ჰსჯულისა, მრავალთათჳს დათხეული.

25. ხოლო ამინ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არღარა ვჰსუა ნაყოფისა ამისგან ამის ვენახისა ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს იგი ვჰსუა ახალი სასუფეველსა ღმრთისასა.

26. და გალობა წარჰსთქუეს, და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა.

27. და ჰრქუა მათ იესუ: ვითარმედ ყოველნი დაჰბრკოლდებად ხართ ჩემდა მომართ ღამესა ამას, რამეთუ წერილ-არს: დავჰსცე მწყემსი და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოსა მისისანი.

28. არამედ შემდგომად აღდგომისა ჩემისა, წარვიძღუე თქუენ გალილეად.

29. ხოლო პეტრე ჰრქუა მას: დაღათუ ყოველნი დაჰბრკოლდენ, არამედ მე არა სადა დავჰბრკოლდე.

30. ჰრქუა მას იესუ: ამინ გეტყჳ შენ, ვითარმედ შენ დღეს, ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა მეორედ ჴმობადმდე, სამ გზის უარმყო მე.

31. ხოლო პეტრე უმეტესად უფროს იტყოდა: დაღაცათუ იყოს სიკუდილი ჩემი შენთანა, არა სადა უარ-გყო შენ. და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი იტყოდეს.

32. და მოვიდეს დაბასა, რომლისა სახელი გეთსამანია, და ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: დაჰსხედით აქა, ვიდრემდე ვილოცო.

33. და წარიყუანნა პეტრე, და იაკობ, და იოანნე მის თანა, იწყო დასულებად და ურვად.

34. და ჰრქუა მათ: მწუხარე არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე; დაადგერით აქა და იღჳძებდით.

35. და წარვიდა მცირედ, და დავარდა ქუეყანასა, და ილოცვიდა, უკეთუ შესაძლებელ-არს, რათა თანა წარჰსხდეს ჟამი იგი მისგან.

36. და იტყოდა: აბბა მამაო!

ყოველივე შესაძლებელ-არს შენ
მიერ თანა წარჰხსლჳად სასმელი
ესე ჩემგან, არამედ არა რა იგი
მე მნებავს.
37. და მოვიდა, და ჰპოვნნა
იგინი მძინარენი, და ჰრქჳა პეტ-
რეს: სჳმონ! გძინავსა? და ვერ უძ-
ლე ჟამ ერთ მღვიძარებად ჩემ თანა?
38. იღვიძებდით და ილოცევ-
დით, რათა არა შეჰხჳდეთ გან-
საცდელსა. სული გულს-მოდგინე-
არს, ხოლო ჴორცნი უძლურ.
39. და კჳალად წარვიდა, და
ილოცჳდა, და იგივე სიტყჳა
ჰსთქჳა.
40. და მოიქცა კჳალად, და
ჰპოვნნა იგინი მძინარენი, რამეთუ
იყჳნეს თჳალნი მათნი დამძიმე-
ბულ, და არა რა იცოდეს, რამცა
მიუგოს მას.
41. და მოვიდა მესამედ, და
ჰრქჳა მათ: დაიძინეთ ამიერითგან
და განისჳჱნეთ, მოიწია დასას-
რული და მოვიდა ჟამი; აჰა ესერა
მიეცემის მე კაცისა ჴელთა ცოდ-
ვილთასა.
42. აღჰსდეგით და წარვედით
ამიერ; აჰა ესერა, მიმცემელი ჩემი
მოახლებულ-არს.
43. და მეყჳსეულად, ვიდრე
იგი იტყოდადა, მოვიდა იუდა
ისკარიოტელი, ერთი ათ-ორმეტ-
თაგანი, და მისთანა ერი მრავალი
მახჳლებითა და წათებითა მღჳდელთ-
მთავართაგან, და მწიგნობართა, და
მოხუცებულთა.
44. ხოლო მიეცა მათდა სას-
წაული მიმცემელსა მას მისსა, და
ჰრქჳა მათ: რომელსა მე ამბორს-
უყო, იგი არს; შეიპყართ იგი
და წარიყჳანეთ კრძალულად.
45. და მეყჳსეულად მოვიდა,
და მოუხდა მას, და ჰრქჳა: რაბი!
რაბი! და ამბორს-უყო მას.
46. ხოლო მათ დაჰსხნეს მას
ზედა ჴელნი და შეიპყრეს იგი.
47. და ერთმან ვინმე წინაშე
მდგომელმან იკადა მახჳლი, და
ჰსცა მონასა მღჳდელთ-მთავრისა-
სა, და წარჰკჳჱთა მას ყური მისი.
48. მიუგო იესო და ჰრქჳა
მათ: ვითარცა ავაზაკსა ზედა გა-
მოხჳჱდით თქჳჱნ მახჳლითა და
წათებითა შეპყრობად ჩემდა.
49. დღითი დღე თქჳჱნ თა-
ნა ვიყავ ტაძარსა შინა, გასწავებდ,
და არა შემიპყართ მე; არამედ რა-
თა აღესრულნენ წიგნნი.
50. მაშინ მოწაფეთა მისთა
ყოველთა დაუტევეს იგი და ივლ-
ტოდეს.
51. და ერთი ვინმე ჭაბუკი
მიჰსდევდა მას და შეემოსა არდა-
გი შიშჳლივ; ხოლო სხჳათა მათ
ჭაბუკთა შეიპყრეს იგი.
52. და მან დაუტევა არდაგი,
და ივლტოდა მათგან შიშჳჱლი.
53. და მიიყჳანეს იესო კაია-
ფასა მღჳდელთ-მთავრისასა, და
შეჰკრბეს ყოველნი მღჳდელთ-მთა-
ვარნი, და მწიგნობარნი, და მოხუ-
ცებულნი.
54. ხოლო პეტრე შორით
მიჰსდევდა მას, ვიდრე შინა ეზოდ-
მდე მღჳდელთ-მთავრისა, და დაჰ-
სჯდა იგი მსახურთა თანა, და
ჰტფებოდა წინაშე ნათელსა ცე-
ცხლისასა.

55. ხოლო მღდელთ-მთავარ-
ნი იგი და ყოველი კრებული ეძი-
ებდეს იესოჲსთჳს მოწამეთა, რათა
მოჰკლან იგი, და არა ჰპოვებდეს.
56. რამეთუ მრავალნი ცრუსა
ჰსწამებდეს მისთჳს და სწორ არა
იყვნეს წამებანი მათნი.
57. და სხუანი ვინმე აღჰსდგეს,
და ცრუსა ჰსწამებდეს მისთჳს და
იტყოდეს,
58. ვითარმედ ჩუენ გუესმა
მაგისგან სიტყუა, ვითარმედ მე
დავარღჳო ტაძარი ესე ჴელით-
ქმნული და მესამესა დღესა აღვა-
შენო სხუაჲ ჴელით-უქმნელი.
59. და არცა ესრეთ ერთ იყვ-
ნეს წამებანი მათნი.
60. და აღჰსდგა მღდელთ-
მთავარი იგი შორის, და ჰკითხა
იესოს და ჰრქუა: არა რას მიუგე-
ბა, რასა ესე შეგწამებენ შენ?
61. ხოლო იესო ჰსდუმნა და
არა რა მიუგო მათ; და მერმე
ჰკითხვიდა მას მეორედ მღდელთ-
მთავარი იგი და ეტყოდა: შენ ხა-
რა ქრისტე, ძე კურთხეულისა?
62. ხოლო იესო მიუგო მას,
ვითარმედ მე ვარ; და ამიერითგან
იხილოთ ძე კაცისა მარჯუენით
მჯდომარე ძლიერებათა, და მომა-
ვალი ღრუბელთა თანა ცისათა.
63. ხოლო მღდელთ-მთავარ-
მან მან დაიპო სამოსელი თჳსი
და ჰსთქუა: რასაღა გჳჴმან მოწამენი?
64. გესმა ყოველთა გმობა მა-
გისგან. ვითარ გნებავს თქუენ?
მაშინ ყოველთა დაჰსაჯეს იგი თა-
ნამდებად სიკუდილისა.
65. და იწყეს ვიეთმე ნერწყუად
მისა, და დაბურვად პირსა მისსა
და კურთითა ცემად მისა და ეტ-
ყოდეს: გჳწინასწარ-მეტყუელებდ
ჩუენ, ქრისტე! ვინ არს, რომელ-
მან გცა შენ. და მსახურთა მათ
მოიყუანეს იგი ყურიმლის-ცემად.
66. და იყო რა პეტრე ეზოსა
მას შინა, მოვიდა ერთი მჴევალ-
თაგანი მღდელთ-მთავრისათა,
67. და ვითარცა იხილა იგი
ჰტფებოდა რა, მიჰხედა მას და
ჰრქუა: და შენცა იყავ იესოსთანა
ნაზარეველისა.
68. ხოლო მან უარ-ჰყო და
ჰსთქუა: არა ვიცი, და არცა უწყი,
რასა ეგე იტყჳ შენ. და გამოვი-
და პეტრე გარეშესა მას ეზოსა,
და ქათამმან ჴმა-ჰყო.
69. და კუალად იხილა იგი
მჴევალმან მან, და იწყო სიტყუად
წინაშე მდგომარეთა მათ, ვითარ-
მედ ესეცა მათგანივე არს.
70. ხოლო მან კუალად უარ-
ჰყო; და შემდგომად მცირედისა
ჟამისა წინაშე-მდგომელნი იგი
ეტყოდეს პეტრეს: ჭეშმარიტად
მათგანი ხარ, და რამეთუ გალი-
ლეველ ხარ, და სიტყუაცა შენი
გამოგაჩინებს.
71. ხოლო პეტრე იწყო შე-
ჩუენებად და ფიცად, ვითარმედ
არა ვიცი კაცი ესე, რომელსა
იტყჳთ.
72. და მეყუსეულად მეორედ
ქათამმან იყივლა. და მოეხსენა პეტ-
რეს სიტყუა იგი, რომელი ჰრქუა
მას იესო, ვითარმედ პირველ ქათ-
მისა ჴმობადმდე მეორედ, სამ-გზის
უარ-მყო მე; და იწყო ტირილად.

## თ ა ვ ი 15.

1. და მეყსეულად განთიად ზრახუა ჰყუჱს მღდელთ-მთავართა მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა, და ყოველმან კრებულმან, და შეჰკრეს იესო, და წარიყვანეს, და მიჰსცეს იგი პილატეს.

2. და ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა მეუფე ჰურიათა? ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მას: შენ იტყჳ.

3. და შესწამენდეს მას მღდელთ-მთავარნი იგი ფრიად.

4. ხოლო პილატე კუალად ჰკითხა მას და ჰრქუა: არა რას მიუგებ? აჰა რაოდენსა შეგწამებენ შენ.

5. ხოლო იესო არა რა მიუგო, ვიდრემდის უკჳრდაცა პილატეს.

6. და რა დღესასწაულ მიუტევის მათ ერთი პყრობილი, რომელიცა გამოითხოვიან.

7. ხოლო იყო ვინმე ბარაბა მეშფოთეთა თანა კრული, რომელთა შფოთსა შინა კაცი ეკლა.

8. და ღაღად-ჰყო ერმან მან გამოთხოვად მისა, ვითარცა იგი მიჰმადლის მათ მარადის.

9. ხოლო პილატე მიუგო და ჰრქუა მათ: გნებავსა, რათა მიგიტეო თქუჱნ მეუფე ჰურიათა?

10. რამეთუ იცოდა, ვითარმედ შურითა მიჰსცეს იგი მღდელთ-მთავართა მათ.

11. ხოლო მღდელთ-მთავართა მათ აღჰსძრეს ერი იგი, რათა ბარაბა მიუტეოს მათ.

12. ხოლო პილატე მერმეცა მიუგო და ჰრქუა მათ: და რა უყუჱ გნებავს ყოფად, რომელსა ესე იტყჳთ მეუფედ ჰურიათად?

13. ხოლო მათ კუალად ღაღად-ჰყუჱს და ჰრქუჱს: ჯუარს-აცუ ეგე.

14. ხოლო პილატე ეტყოდა მათ: რა ბოროტი უქმნიეს? და იგინი უმეტესად ჰღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუ ეგე.

15. ხოლო პილატეს უნდა ერისა მის მოსადლება, მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესოს ჰსცა შოლტითა, და მიჰსცა მათ, რათა ჯუარს-აცუან.

16. ხოლო სტრატიოტთა მათ შეიყვანეს იგი შინაგან ეზოსა მის, რომელ-არს ტაძარი, და შეჰკრიბეს ყოველივე იგი თესლები.

17. და შეჰმოსეს მას მოწეული, და დაადგეს შეთხზული ეკალთაგან გჳრგჳნი;

18. და იწყეს მოკითხუად მისა და იტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო!

19. და ჰსცემდეს მას თავსა ლელწმითა, და ჰნერწყუჱდეს მას, და დაიდგნიან მუკლნი და თაყუანის-ცემედ მას.

20. და ოდეს განჰკიცხეს იგი, განჰსძარცუჱს მას მოწეული იგი, და შეჰმოსეს თჳსივე სამოსელი, და განიყვანეს იგი, რათა ჯუარს-აცუან.

21. და პარაკად წარიყვანეს თანა-წარმავალი სჳმონ ვინმე კჳრინელი, მომავალი ველით, მამა

ალექსანდრესი და როფესი, რათა
აღიღოს ჯუარი მისი.

22. და მოიყუანეს იგი გოლ-
გოთას ადგილსა, რომელ-არს
გამოთარგმანებით: თხემისა ად-
გილი.

23. და მისცემდეს მას სუმად
შემურვილსა ღჳნოსა; ხოლო მან
არა მიიღო.

24. და ჯუარს-აცუეს იგი, და
განიყოფდეს სამოსელსა მისსა, და
განიგდებდეს მას ზედა წილსა,
ვინ მი რა აღიღოს.

25. ხოლო იყო ჟამი მესამე, და
ჯუარს-აცუეს იგი.

26. და იყო ზედა წერილი
ბრალისა მისისა ესრეთ დაწერილი:
ესე არს მეუფე ურიათა.

27. და მის თანა ჯუარს-აცუ-
ნეს ორნი ავაზაკნი, ერთი მარ-
ჯუენით, და ერთი მარცხენით
მისა.

28. და აღესრულა წერილი
იგი, რომელი იტყჳს, ვითარმედ
უსჯულოთა თანა შეირაცხა.

29. და თანა-წარმავალნი იგი
ჰგმობდეს მას, და ჰყრიდეს თავთა
და იტყოდეს: ეჰა! რომელი და-
არღუევდ ტაძარსა ამას და მესა-
მესა დღესა აღაშენებდ.

30. იჴსენ თავი თჳსი და გარ-
დამოჴედ მაგიერ ჯუარით.

31. ეგრეთვე მღუდელთ-მთა-
ვარნი იგი იმღერდეს მწიგნობარ-
თა თანა და იტყოდეს: სხუანი
აცხოვნნა, თავი თჳსი ვერ ძალ-
უძს ცხოვნებად.

32. ქრისტესა, მეუფესა ისრა-
ილისასა, გარდამოჴედინ აწ ჯუა-
რით, რათა ვიხილოთ, და გურწმე-
ნეს. და მისთანა ჯუარ-ცმულნიცა
იგი ეგრეთვე აყუედრებდეს მას.

33. და ვითარცა იყო ჟამი მე-
ექუსე, ბნელი იყო ყოველსა ქუე-
ყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.

34. და მეცხრესა ჟამსა ჴმა ჰყო
იესო ჴმითა დიდითა და ჰსთქუა:
ელოი! ელოი! ლამა საბაქთანი?
რომელ-არს თარგმანებით: ღმერ-
თო, ღმერთო ჩემო! რასათჳს და-
მიტეობ მე?

35. და რომელთამე წინაშე-
მდგომელთა ესმა და იტყოდეს:
აჰა ილიას ჰხადის.

36. და მიჰრბიოდა ერთი და
აღავსო ღრუბელი ძმრითა, და და-
ადგა ლელწამსა და ასუმიდა, და
იტყოდა: უტევეთ, ვიხილოთ, უკე-
თუ მოვიდეს ილია გარდამოჴსნად
მაგისა.

37. ხოლო იესო ჴმა ჰყო ჴმი-
თა დიდითა და განუტევა სული.

38. და კრეტსაბმელი იგი ტაძ-
რისა მის განიპო ორად, ზეით-
გან ვიდრე ქუედმდე.

39. და ვითარცა იხილა ასის-
თავმან მან, რომელი ჰსდგა წინა-
შე მისსა, რამეთუ ესრეთ ღაღად-
ჰყო და განუტევა სული, ჰსთქუა:
ჭეშმარიტად კაცი ესე ძე ღმრთი-
სა იყო.

40. ხოლო იყუნეს დედანიცა,
რომელნი შორით ჰხედჳდეს; რო-
მელთა თანა იყო მარიამ მაგდალი-
ნელი, და მარიამ იაკობისი მცი-
რისა, და იოსეს დედა, და სალომე,

41. რომელნი ოდეს იგი იყო
გალილიას, შეუდგეს მას და ჰმსა-

ხურებდეს, და სხჳანი მრავალნი, რომელნი მის თანა აღსრულ-იყჳნეს იერუსალიმად.

42. და ვითარცა შემწუხრდებოდა, რამეთუ პარასკევი იყო, რომელ-არს უწინარეს შაბათისა,

43. მოვიდა იოსებ არიმათიელი, შჳჱნიერი მზრახჳჱლი, რომელი იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა, იკადრა და შევიდა პილატესსა, და მოითხოვა გჳამი იესოისი.

44. ხოლო პილატე დაუკვირდა, უკეთუ აწვე მოკჳდა, და მოუწოდა ასის-თავსა მას და ჰკითხა, უკეთუ ადრევე მოკჳდა?

45. და იცნა ასის-თავისა მისგან ესე, და მიჰმადლა გჳამი მისი იოსებს.

46. და მან იყიდა არდაგი, და გარდამოჰხსნა იგი ჯჳარისა მისგან, და წარჰგრაგნა იგი არდაგითა მით, და დაჰსდჳა იგი საფლავსა, რომელი იყო გამოკჳჱთილ კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი კარსა ზედა მის საფლავისასა.

47. იყო მუნ მარიამ მაგდალინელა, და მარიამ იოსესი, და ჰხედჳდეს, სადა იგი დაჰსდებდეს მას.

თ ა ვ ი 16.

1. და ვითარცა გარდაჰხდა შაბათი იგი, მარიამ მაგდალინელმან, და მარიამ იაკობისმან, და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, რათა მოვიდენ და ჰსცხონ მას.

2. დანიად განთიადსა მას ერთშაბათისასა, მოვიდეს საფლავსა მას ზედა მერმეცა აღმოსლჳასა მზისასა.

3. და იტყოდეს ურთიერთარს: ვინ გარდაგჳგორვოს ჩჳჱნ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა?

4. და მიჰხედეს, და იხილეს, რამეთუ გარდაგორვებულ-იყო ლოდი იგი, რომელი იყო დიდ ფრიად.

5. და შერავიდეს საფლავსა მას, იხილეს ჭაბუკი, მჯდომარე მარჯჳჱნით კერძო, შემოსილი სამოსლითა სპეტაკითა, და განჰკრთეს.

6. ხოლო მან ჰრქჳა მათ: ნუ განჰკრთებით; იესოს ეძიებთ ნაზარეველსა ჯჳარ-ცმულსა: აღჰსდგა; არა არს აქა. აჰა ადგილი, სადა დაჰსდჳჱს იგი.

7. არამედ წარვედით, და უთხართ მოწაფეთა მისთა და პეტრეს, ვითარმედ აჰა ეგერა წინა-გიძღჳს თქჳჱნ გალილეას; მუნ იხილოთ იგი, ვითარცა გრქჳა თქჳჱნ.

8. და ამათ ვითარცა ესმა ესე, გამოვიდეს და ივლტოდეს მიერ საფლავით; რამეთუ შეძრწუნებულ-იყჳნეს და დაკჳრვებულ; და არარა ვის უთხრეს, რამეთუ ეშინოდათ.

9. ხოლო აღრაჰსდგა განთიად პირველსა მას შაბათსა, ეჩჳჱნა პირველად მარიამ მაგდალინელსა, რომლისაგან განსრულ-იყჳნეს შჳდნი ეშმაკნი.

10. იგი წარვიდა, და უთხრა

მისთანა მყოფთა მათ, რომელნი იგლოვდეს და ჰსტიროდეს;

11. და მათ რა ესმა, რამეთუ ცხოველ არს, და ეჩჳენა მათ, არა ჰრწმენა.

12. ხოლო ამის შემდგომად ორთა მათგანთა სლჳასა შინა გამოეცხადა სხჳთა ხატითა, მირავიდოდეს დაბასა.

13. და იგინი მოვიდეს და უთხრეს სხჳათა მათ; და არცა მათი ჰრწმენა.

14. უკანასკნელ მსხდომარეთა ათერთ-მეტთა მათ ეჩჳენა, და აყჳედრა ურწმუნოებაჲ მათი და გულ-ფიცხელობა, რამეთუ რომელთა იგი იხილეს აღდგომილი, მათი არა ჰრწმენა.

15. და ჰრქჳა მათ: წარვედით ყოველსა სოფელსა, და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა.

16. რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ჰსცხონდეს; ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს.

17. ხოლო სასწაული მორწმუნეთა მათ ესე შეუდგეს: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ; ენათა ახალთა იტყოდენ;

18. გჳელთა შეიპყრობდენ; დაღათუ სასიკჳდინე რაჲმე სჳან, არა რაჲ ავნოს მათ; სნეულთა ზედა კელთა დაჰსდებდენ და განცოცხლდებოდენ.

19. ხოლო უფალი შემდგომად სიტყჳათა ამათ მათდა მიმართ, ამაღლდა ზეცად, და დაჰსჯდა მარჯჳენით ღმრთისა.

20. ხოლო იგინი გამოვიდეს, და ჰქადაგებდეს ყოველსა ქჳეყანასა, უფლისა შეწევნითა და სიტყჳსა ამის დამტკიცებითა მის მიერ, რომელნი იგი შეუდგეს მას სასწაულნი. ამინ.

# სახარება ლუკასი.

## თ ა ვ ი. 1.

1. ვინადგან უკუჱ მრავალთა
ჴელ-ჰყუჱს აღწერად მოთხრობისა
საქმეთა თჳს გულ-სავსე-ქმნილთა
ჩუჱნ შორის,
2. ვითარცა იგი მომცეს ჩუჱნ,
რომელნი დასაბამითგან თჳთ მხი-
ლუჱლ და მსახურ-ყოფილ-იყუნეს
სიტყჳსა მის,
3. ჯერ-მიჩნდა მეცა, რომელი
შეუდეგ პირველითგან ყოვლითა
ჭეშმარიტებითა, შემდგომითი შემ-
დგომად, მიწერად შენდა, მკნეო
ღმრთის მოყუარეო თეოფილე.
4. რათა ჰსცნა, რომელთა-თჳს
იგი ისწავე სიტყუათა მათ კრძალუ-
ლებაჲ.
5. იყო დღეთა მათ იროდი
მეფისა ჰურიასტანისათა მღუდელი
ვინმე, რომლისა სახელი ზაქარია,
შემდგომად დღითი დღე მსახუ-
რებისა მის აბიასა, და ცოლი მი-
სი ასულთაგან აჰრონისთა, და
სახელი მისი ელისაბედ.
6. და იყუნეს ორნივე ესე წი-
ნაშე ღმრთისა მართალ, და ვიდო-
დეს ყოველთა მცნებათა სიმართ-
ლისა უფლისათა უბიწონი;
7. და არა ესუა მათ შჳლი,
რამეთუ ელისაბედ იყო ბერწ, და
ორნივე გარდასრულ-იყუნეს დღე-
თა მათთა.
8. და იყო მღუდელობასა მას
მისსა, წესსა მას დღითი დღედი-
სა მისისა წინაშე ღმრთისა,
9. მსგავსად ჩუჱულებისა მღუ-
დელობისა, ჰხუდა მას საკმევე-
ლისა კმევა, და შევიდა ტაძარსა
უფლისასა;
10. და ყოველი სიმრავლე
ერისა ილოცჳდა გარეშე ჟამსა
მას საკმეველისა კმევისასა;
11. და ეჩუჱნა მას ანგელო-
სი უფლისა მდგომარე მარჯუჱ-
ნით საკურთხეველისა მის საკუმე-
ველთასა.
12. და შეჰსძრწუნდა ზაქარია,
იხილა რა იგი, და შიში დაეცა
მას ზედა.
13. ჰრქუა მას ანგელოსმან
მან: ნუ გეშინინ ზაქარია, რამე-
თუ შეისმეს ვედრებანი შენნი,
და ცოლმან შენმან ელისაბედ გი-
შუჱს შენ ძე, და უწოდე სახელი
მისი იოანე.
14. და იყოს შენდა სიხარულ
და მხიარულება, და მრავალთა შო-
ბასა მისსა განიხარონ.
15. რამეთუ იყოს დიდ წინა-

შე უფლისა, და ღვინო და თაფლუ-
ჭი არა ჰსუას, და სულითა წმი-
დითა აღივსოს მიერვე დედის-
მუცლით მისითგან.
16. და მრავალნი ძეთა ისრა-
ილისათაგანნი მოაქცინეს უფლი-
სა ღმრთისა მათისა.
17. და იგი თავადი პირვე-
ლად განვიდეს წინაშე მისსა სუ-
ლითა და ძალითა ილიასითა, მო-
ქცევად გულნი მამათანი შჳლთა
მიმართ, და ურჩნი გონებითა მარ-
თალთათა განმზადებად უფლისა
ერი მომზადებული.
18. და ჰრქუა ზაქარია ანგე-
ლოსსა მას: რაჲთა ვჰსცნა ესე? რა-
მეთუ მე მოხუცებულ-ვარ, და ცო-
ლი ჩემი გარდასრულ-არს დღეთა
მისთა.
19. მიუგო ანგელოსმან მან
და ჰრქუა: მე ვარ გაბრიელ წინა-
შე-მდგომელი პირსა ღმრთისასა,
და მოვივლინე სიტყუად შენდა და
ხარებად ამას.
20. და აჰა, იყო შენ დადუ-
მებულ და ვერ შემძლებელ სიტ-
ყუად, ვიდრე დღედმდე ყოფად
ამისა, ამისთჳს, რამეთუ არა გრწ-
მენნეს სიტყუანი ჩემნი, რომელ-
ნი აღესრულნენ ჟამსა თჳსსა.
21. და ჰსდგა ერი იგი და
ელოდა ზაქარიას, და უკჳრდა და-
ყოვნებაჲ იგი მისი ტაძარსა მას
შინა.
22. და გამოვიდა, ვერ ეძლო
სიტყუად მათდა, და ჰსცნეს, რამე-
თუ ჩუჱნებაჲ რაჲმე იხილა ტაძარ-
სა მას შინა; და იგი წამ-უყოფდა
მათ, და დაადგრა უტყუად.

23. და ვითარცა აღესრულნეს
დღენი იგი მსახურებისა მისისა-
ნი, წარვიდა სახიდ თჳსად.
24. და შემდგომად დღეთა
მათ მიუდგა ელისაბედ, ცოლი
მისი, და იფარვიდა თავსა თჳსსა
ხუთ-თთუჱ და იტყოდა:
25. ვითარმედ ესრეთ მიყო მე
უფალმან დღეთა ამათ, რომელთა
მოხედუა-ჰყო მოსპოლვად უჱდ-
რება ჩემი კაცთა შორის.
26. და თთუჱსა მეექუსესა მო-
ივლინა გაბრიელ ანგელოსი ღმრ-
თისა მიერ ქალაქად გალილეასა,
რომლისა სახელი ნაზარეთ,
27. ქალწულისა, თხოვილისა
ქრმისა, რომლისა სახელი იოსებ,
სახლისაგან და ტომისა დავითისა;
და სახელი ქალწულისა მის: მა-
რიამ.
28. და შევიდა ანგელოსი იგი
მისა, და ჰრქუა: გიხაროდენ მიმად-
ლებულო! უფალი შენთანა; კურ-
თხეულ ხარ შენ დედათა შორის.
29. ხოლო მან რა იხილა,
შეჰსძრწუნდა სიტყუასა მას მისსა
ზედა, და განიზრახჳდა, ვითარმე
არს მოკითხუა ესე.
30. და ჰრქუა მას ანგელოს-
მან მან: ნუ გეშინინ, მარიამ! რა-
მეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრ-
თისა.
31. და აჰა ესერა, შენ მუც-
ლად-იღო და ჰშუჱ ძეჲ, და უწოდე
სახელი მისი: იესო.
32. ესე იყოს დიდ და ძე მაღ-
ლის ეწოდოს, და მიჰსცეს მას
უფალმან ღმერთმან საყდარი და-
ვითის, მამისა თჳსისა;

33. და მეუფებდეს სახლსა ზე-
და იაკობისსა საუკუნოდ, და სუ-
ფევისა მისისა არა იყოს დასას-
რულ.
34. ჰრქუა მარიამ ანგელოსსა
მას: ვითარმე იყოს ესე ჩემდა,
რამეთუ მე მამა-კაცი არა ვიცი?
35. მიუგო ანგელოსმან მან
და ჰრქუა მას: სული წმიდა მოვი-
დეს შენ ზედა და ძალი მაღლისა
გფარვიდეს შენ; ამისთჳსცა შო-
ბილსა მას წმიდა ეწოდოს, და ძე
მაღლის.
36. და აჰა, ელისაბედ, ნათე-
სავი შენი, იგიცა მიდგომილ-არს
ძესა სიბერესა თჳსსა, და ესე მე-
ექუსე თთუჱ არს მისი, რომე-
ლსა იგი ერქუა ბერწ.
37. რამეთუ არა შეუძლებელ-
არს წინაშე ღმრთისა ყოველი
სიტყუა.
38. ჰრქუა მას მარიამ: აჰა,
მხევალი უფლისა; მეყავნ მე სიტ-
ყჳსაებრ შენისა. და წარვიდა მის-
გან ანგელოსი იგი.
39. და აღდგა მარიამ მათ
დღეთა შინა და წარვიდა მთად
კერძო მსწრაფლ, ქალაქად იუ-
დასსა.
40. და შევიდა სახლსა ზაქა-
რიასსა, და მოიკითხა ელისაბედ.
41. და იყო, ვითარცა ესმა
ელისაბედს მოკითხუა მარიამისი,
ჰკრთებოდა ყრმა იგი მუცელსა
მისსა, და აღივსო სულითა წმიდი-
თა ელისაბედ.
42. და ჴმა-ჰყო ჴმითა დიდი-
თა, და ჰსთქუა: კურთხეულ-ხარ
შენ დედათა შორის, და კურთხე-
ულ-არს ნაყოფი მუცლისა შენისა!
43. და ვინა ჩემდა ესე, რათა
მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა
ჩემდა?
44. რამეთუ აჰა ესერა, ვი-
თარცა იყო ჴმა მოკითხჳსა შენი-
სა ყურთა მომართ ჩემთა, ჰკრთე-
ბოდა ყრმა ესე სიხარულით მუ-
ცელსა ჩემსა.
45. და ნეტარ-არს, რომელსა
ჰრწმენეს, რამეთუ იყოს აღსრუ-
ლება თქმულთა მათ მისა მიმართ
უფლისა მიერ,
46. და ჰსთქუა მარიამ: ადი-
დებს სული ჩემი უფალსა,
47. და განიხარა სულმან ჩემ-
მან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრი-
სა ჩემისა;
48. რამეთუ მოხედნა სიმდაბ-
ლესა ზედა მჴევლისა თჳსისასა,
რამეთუ აჰა ესერა, ამიერითგან
მნატრიდენ მე ყოველნი ნათე-
სავნი.
49. რამეთუ ჰყო ჩემთანა დი-
დებული ძლიერმან; და წმიდა არს
სახელი მისი;
50. და წყალობა მისი ნათე-
სავითი ნათესავადმდე მოშიშთა
მისთა ზედა.
51. ჰყო სიმტკიცე მკლავითა
თჳსითა; განაბნინა ამპარტავანნი
გონებითა გულთა მათთათა;
52. დაამჴუნა ძლიერნი საყ-
დართაგან, და აღამაღლნა მდა-
ბალნი.
53. მშიერნი აღავსნა კეთილი-
თა, და მდიდარნი განავლინნა
ცუდნი.
54. შეეწია ისრაილსა, მონა-

სა თჳსსა, მოჴსენებად წყალო-
ბისა,
55. ვითარცა ეტყოდა მამათა
ჩუენთა აბრაამს; და ნათესავსა მის-
სა საუკუნოდ.
56. და დაადგრა მარიამ ელი-
საბედის თანა სამ-თთუე, და წარ-
ვიდა სახიდ თჳსად.
57. ხოლო ელისაბედისნი აღი-
ვსნეს ჟამნი შობისა მისისანი და
ჰშუა ძეჲ.
58. და ესმა გარემოთა და ნა-
თესავთა, რამეთუ განადიდა უფალ-
მან წყალობა თჳსი მისთანა, და
მისთანა იხარებდეს.
59. და იყო მერუესა დღესა,
და მოვიდეს წინა-დაცუეთად ყრმი-
სა მის, და რათამცა უწოდეს მას
სახელად მამისა მისისა ზაქარია.
60. და მიუგო დედამან მის-
მან და ჰრქუა: არა; არამედ ეწო-
დოს მაგას იოანე.
61. და ჰრქუეს მას, ვითარ-
მედ არავინ არს ნათესავსა შენსა,
რომელსა ჰრქჳან სახელი ეგე.
62. და წამ-უყოფდეს მამასა
მისსა, რაჲ უნდეს სახელის-დე-
ბად მისა.
63. და მოითხოვა ფიცარი, და
დაჰსწერა, და ჰსთქუა: იოანე არს
სახელი მისი; და დაუკჳრდა ესე
ყოველთა.
64. და მეყუსეულად აღეღო
პირი მისი და ენა, და იტყოდა,
და აკურთხევდა ღმერთსა.
65. და იყო შიში დიდი ყო-
ველთა ზედა გარემო მკჳდრთა
მისთა; და ყოველთა მათ მთიით-
კერძოთა ურიასტანისათა მიმო-
ითქმოდეს ყოველნი ესე სიტ-
ყუანი.
66. და დაიდუეს გულსა,
რომელთა ესმოდა ესე, და იტყო-
დეს: რაჲმე იყოს ყრმა ესე? და კე-
ლი უფლისა იყო მის ზედა.
67. და მამა მისი ზაქარია აღი-
ვსო სულითა წმიდითა, წინასწარ-
მეტყუელებდა და ჰსთქუა:
68. კურთხეულ-არს უფალი
ღმერთი ისრაილისა, რამეთუ მოჰ-
ხედნა და ჰყო ჴსნაჲ ერისა თჳ-
სისა;
69. და აღმიდგინა ჩუენ რქა
ცხოვრებისა შორის სახლსა მას
დავითის, მონისა თჳსისა;
70. ვითარცა ეტყოდა პირითა
წმიდათა საუკუნითგან წინასწარ-
მეტყუელთა მისთათა,
71. ცხოვრებასა მტერთა ჩუენ-
თაგან, და კელისაგან ყოველთა მო-
ძულეთა ჩუენთასა;
72. ყოფად წყალობისა მამათა
ჩუენთა თანა, და მოხსენებად აღ-
თქმისა წმიდისა მისისა,
73. ფიცით, რომელ ეფუცა
აბრაამს, მამასა ჩუენსა, მოცემად
ჩუენდა,
74. უშიშად კსნად კელთაგან
მტერთა ჩუენთასა,
75. მსახურებად მისა, დი-
რსებით და სიმართლით წინაშე
მისსა, ყოველთა დღეთა ცხოვრე-
ბისა ჩუენისათა.
76. და შენ, ყრმაო, წინასწარ-
მეტყუელ მაღლის იწოდო, რამე-
თუ წარჰსძღუე შენ წინაშე პირ-
სა უფლისასა განმზადებად გზა-
თა მისთა,

77. მიცემად მეცნიერებას ცხოვ-
რებისა ერსა თჳსსა მოტევებითა
ცოდვათა მათთათა,
78. მოწყალებითა წყალობისა
ღმრთისა ჩუენისათა, რომელთა
მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალ-
მან მაღლით,
79. გამოჩინებად მათ ზედა,
რომელნი ჰსხენან ბნელსა შინა და
აჩრდილთა სიკუდილისათა, და წარ-
მართებად ფერკთა ჩუენთა გზასა
მშჳდობისასა.
80. ხოლო ყრმა იგი აღორძ-
ნდებოდა, და განმტკიცნებოდა სუ-
ლითა; და იყოს უდაბნოს, ვიდრე
გამოცხადებადმდე მისა ისრაილი-
სა მიმართ.

თ ა ვ ი 2.

1. და იყო მათ დღეთა შინა გა-
მოჰხდა ბრძანება აგჳსტოს კეის-
რისაგან აღწერად ყოვლისა სოფ-
ლისა.
2. ესე აღწერა პირველი იყო
მთავრობასა ასურეთს კჳრინესსა.
3. და წარვიდოდეს ყოველნი
აღწერად, კაცად კაცადი თჳსსა
ქალაქსა.
4. აღმოვიდა იოსებცა გალი-
ლიათ, ქალაქით ნაზარეთით ურია-
ასტანად, ქალაქად დავითისა, რო-
მელსა ჰრქჳან ბეთლემ, რამეთუ
იყო იგი სახლისაგან და ტომისა
დავითისა,
5. აღწერად მარიამის თანა,
რომელი მითხოვილ-იყო მისდა,
და იყო იგი მიდგომილ.
6. და იყო ვიდრე იყუნესღა
იგინი მუნ, აღივსნეს დღენი იგი
შობისა მისისანი.
7. და ჰშვა ძე იგი მისი პირ-
მშოჲ, და შეჰხჳა იგი სახუჳველი-
თა, და მიაწვინა იგი ბაგასა, რა-
მეთუ არა იყო მათდა ადგილ სა-
ვანესა მას.
8. და მწყემსნი იყუნეს მასვე
სოფელსა, ველთა ჰსდგებოდეს, და
ჰკუმილვიდეს კუმილვასა ღამისა-
სა სამწყსოსა მათსა.
9. და აჰა, ანგელოსი უფლი-
სა დაადგრა მათ ზედა, და დიდე-
ბა უფლისა გამოუბრწყინდა მათ;
და შეეშინა მათ შიშითა დიდითა.
10. და ჰრქუა მათ ანგელოს-
მან მან უფლისამან: ნუ გეშინინ,
რამეთუ აჰა ესერა, გახარებ თქუენ
სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს
ყოვლისა ერისა:
11. რამეთუ იშუა დღეს თქუ-
ენდა მაცხოვარი, რომელ - არს
ქრისტე უფალი, ქალაქსა დავი-
თისსა.
12. და ესე იყოს თქუენდა სა-
სწაულად: ჰპოვოთ ყრმა იგი შე-
ხუეული და მწოლარე ბაგასა.
13. და მეყუსეულად იყო ან-
გელოსისა მის თანა სიმრავლე
ერთა ცისათა, აქებდეს ღმერთსა
და იტყოდეს:
14. დიდება მაღალთა შინა
ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშჳ-
დობა, და კაცთა შორის სათ-
ნოება.
15. და იყო ვითარცა აღვიდეს
ანგელოსნი იგი ზეცად, მწყემს-
თა მათ ჰსთქუეს ურთიერთას:
განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლე-

მადმდე, დ~ ვიხილოთ სიტყუ̂ა ესე, რომელი იყო ჩუ̂ჱნდა მომართ, რომელი იგი უფალმან მაუწყა ჩუ̂ჱნ.

16. და მოვიდეს მსწრაფლ, დ~ ჰპოვეს მარიამ დ~ იოსებ, დ~ ყრმა იგი, მწოლარე ბაგასა.

17. და ვითარცა იხილეს, გუ̂ლის-ჴმა-ჰყუ̂ჱს სიტყუ̂ა იგი, რომელი ითქუ̂ა მათდა მიმართ ყრმისა მისთჳს.

18. და ყოველთა, რომელთა ესმოდა, უკჳრდა სიტყუ̂ა იგი მწყემსთა მათ მათდა მიმართ.

19. ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუ̂ანი ესე დ~ დაედუ̂ა გულსა თჳსსა.

20. და მიიქცეს დ~ წარვიდეს მწყემსნი იგი, ადიდებდეს დ~ აქებდეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, რომელი ესმა დ~ იხილეს, ვითარცა იგი ითქუ̂ნეს მათდა მიმართ.

21. და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინა-დაცუ̂ჱთისა მისისანი, დ~ უწოდეს სახელი მისი იესო, რომელ იგი ეწოდა ანგელოსისა მისგან ვიდრე ყოფადმდე მისა მუცელსა დედისა თჳსისასა.

22. და რაჟამს აღესრულნეს დღენი იგი განწმედისა მათისანი ჰსჯულისა მისებრ მოსესისა; აღმოიყუ̂ანეს ყრმა იგი იერუსალიმად წარდგინებად წინაშე უფლისა,

23. ვითარცა წერილ-არს ჰსჯულსა უფლისასა, რამეთუ ყოველმან წულმან, რომელმან განაღოს საშოჲ, წმიდა უფლისა იწოდოს;

24. და მიცემად შესაწირავი, ვითარცა თქმულ-არს ჰსჯულსა უფლისასა, ორნი გუ̂რიტნი, ანუ ორნი მართუ̂ჱნი ტრედისანი.

25. და აჰა იყო კაცი იერუსალიმს, რომლისა სახელი სჳმეონ; დ~ კაცი ესე მართალი იყო დ~ მოშიში უფლისა, დ~ მოელოდა ნუგეშინის-ცემასა ისრაილისასა, დ~ სული წმიდა იყო მის ზედა.

26. და იყო მისა უწყებულ სულისაგან წმიდისა, არა ხილუ̂ად სიკუ̂დილი, ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისა.

27. და მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა, დ~ შეყუ̂ანებასა მას მამა დედისა მიერ ყრმისა მის იესოსა, ყოფად მათთა მსგავსად ჩუ̂ჱულებისა მისებრ ჰსჯულისა მისა მიმართ;

28. და მან მიიქუ̂ა იგი მკლავთა თჳსთა ზედა, დ~ აკურთხევდა ღმერთსა, დ~ ჰსთქუ̂ა:

29. აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყჳსაებრ შენისა მშჳდობით;

30. რამეთუ იხილეს თუ̂ალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი,

31. რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა,

32. ნათელი გამობრწყინუ̂ჱბად წარმართთა ზედა, დ~ დიდებად ერისა შენისა ისრაილისა.

33. და იყუ̂ნეს იოსებ დ~ დედა მისი დაკჳრვებულ სიტყუ̂ათა მათ ზედა მისთჳს.

34. და აკურთხნა იგინი სჳ-

მეონ, და ჰრქუა მარიამს დედასა
მისსა: აჰა ესერა, ესე ჰსდგეს და-
ცემად და აღდგინებად მრავალთა
ისრაილსა შორის, და სასწაულად
სიტყჳს-საგებელად.
35. და თჳთ შენსაცა სულსა
განვიდეს მახჳლი, რათა განჰსცხა-
დნენ მრავალთაგან გულთა ზრა-
ხუანი.
36. და იყო ანნა წინასწარ-
მეტყუელი, ასული ფანუელისა,
ტომისაგან ასერისა, ესე გარდას-
რულ-იყო დღეთა მრავალთა და
ცხოვრებულ-იყო ქმრისა თანა შჳდ-
წელ სიქალწულითგან თჳსით.
37. და ესე იყო ქურივ ვითარ
ოთხმეოცდა-ოთხის-წლის, რომე-
ლი არა განეშორებოდა ტაძრისა
მისგან მარხჳთა და ვედრებითა და
მსახურებითა ღამე და დღე.
38. ესე მასვე ჟამსა შინა მოი-
წია, და აღუარებდა ღმერთსა და
ეტყოდა მისთჳს ყოველთა, რო-
მელნი მოელოდეს გამოჴსნასა იე-
რუსალიმს შინა.
39. და ვითარცა აღასრულეს
მის ზედა ყოველივე, მჰსგავსად
ჰსჯულისა უფლისა; მოიქცეს და
წარვიდეს გალილიად ქალაქად თჳ-
სად ნაზარეთად.
40. ხოლო ყრმა იგი აღორძ-
ნდებოდა და განმტკიცნებოდა სუ-
ლითა, და აღივსებოდა სიბრძნითა,
და მადლი ღმრთისა იყო მის
ზედა.
41. და აღმოვიდიან მამა-დე-
დანი მისნი წლითი-წლად იერუ-
სალიმად დღესასწაულსა მას პასე-
ქისასა.
42. და იყო რა იგი ათორ-
მეტის-წლის, აღმოვიდეს იგინი
იერუსალიმად, ვითარცა ჩუეულ-
იყუნეს დღესასწაულსა მას.
43. და აღასრულნეს დღენი
იგი, და წარსლუასა მას მათსა,
დაჰშთა იესო ყრმა იერუსალიმს;
და არა უწყოდეს იოსებ და დედა-
მან მისმან;
44. ჰგონებდეს მისა, ვითარ-
მედ მოგზაურთა თანა არს იგი.
და მოვიდეს დღისა ერთისა გზა-
სა, და ეძიებდეს მას ნათესავთა
შორის და მეცნიერთა.
45. და არა ჰპოვეს იგი, და
მოიქცეს იგინი იერუსალიმადვე და
და ეძიებდეს მას.
46. და იყო შემდგომად სა-
მისა დღისა ჰპოვეს იგი ტაძარსა
მას შინა, მჯდომარე შორის მოძ-
ღუართა, ისმენდა მათსა და ჰკით-
ხჳდა მათ.
47. განუკჳრდებოდა მათ ყო-
ველთა, რომელთა ესმოდა მისი
გულის-ჴმის-ყოფა იგი და სიტყჳს-
მიგება მისი.
48. და იხილეს იგი და განუ-
კჳრდა; ჰრქუა მას დედამან მისმან:
შვილო! რა ესე მიყავ ჩუენ ესრეთ?
აჰა ესერა, მე და მამა შენი ვჰრო-
ნინებთ და გეძიებთ შენ.
49. და მან ჰრქუა მათ: და რა-
სა მეძიებთ მე? არა უწყითა, რა-
მეთუ მამისა ჩემისათანა ჯერ-არს
ჩემი ყოფა?
50. და მათ ვერ გულის-ჴმა-
ჰყუეს სიტყუა იგი, რომელი
ჰრქუა მათ.
51. და წარვიდა მათ თანა, და

მოვიდა ნაზარეთად, და იყო დამორჩილებულ მათდა; ხოლო დედასა მისსა დაემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თჳსსა.

52. და იესუ წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა, და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა.

## თავი 3.

1. წელსა მეათხუთ-მეტესა ტიბერის კეისრისასა, მთავრობასა პონტოელისა პილატესა ურიასტანს, და მეოთხედ-მთავრობასა გალილეას იროდისსა, ხოლო ფილიპეს ძმისა მისისა მეოთხედ-მთავრობასა, იტურეას და ტრაქონელთა სოფელსა და ლჳსანისსა მეოთხედ-მთავრობასა აბილინესსა,

2. მღუდელთ-მთავრობასა ანნასსა და კაიაფასსა, იყო სიტყუა უფლისა იოანეს მიმართ, ძისა ზაქარიასსა უდაბნოს.

3. და მოვიდა ყოველსა მას გარემო სოფლებსა იორდანისასა, და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდუათა,

4. ვითარცა წერილ-არს წიგნსა მას სიტყუათა ისაია წინასწარმეტყუელისათა, და იტყჳს: ჴმა ღაღადებისა უდაბნოსა; განმზადენით გზანი უფლისანი, და წრფელ-ჰყუენით ალაგნი მისნი.

5. ყოველი ჴევნები აღმოივსოს, და ყოველი მთანი და ბორცუნი დამდაბლდენ, და იყოს გუძარძნილი იგი მართალ, და ფიცხელი იგი გზად წრფელად;

6. და იხილოს ყოველმან ჴორციელმან მაცხოვარება ღმრთისა.

7. და ეტყოდა განმავალსა მას მისდა ერსა ნათლის-ღებად მისგან: ნაშობნო იქედნეთანო! ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან რისხჳსა?

8. ჰყავთ უკუე აწ ნაყოფი, ღირსი სინანულისა, და ნუ ჰგონებთ და იტყჳთ გულთა თქუენთა: მამა გვივის ჩუენ აბრაამი; გეტყჳ თქუენ, რამეთუ ძალ-უძს ღმერთსა აღდგინებად ქუათა ამათგან ნაშობად აბრაამისა.

9. რამეთუ აწვე ცული ძირთა თანა ხეთასა ჰსძეს; ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედუას.

10. და ჰკითხჳდეს მას ერი იგი და ეტყოდეს: და რაჲმე უკუე ვჰყოთ?

11. მიუგო და ჰრქუა მათ: რომელსა აქუნდეს ორი სამოსელი, მიეცინ რომელსა არა აქუნდეს, და საზრდელიცა ეგრეთვე მსგავსად ჰყავნ.

12. მოვიდეს მისა მეზუერენიცა ნათლის-ღებად, და ჰრქუეს მას: მოძღუარ! ჩუენ რაჲმე ვჰყოთ?

13. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნურა რას უფროს განწესებულისა თქუენისა იქმთ.

14. ჰკითხჳდეს მას მჴედრად-განწესებულნიცა იგი და ეტყოდეს: და ჩუენ რაჲმე ვჰყოთ? და მან ჰრქუა მათ: ნუ ვის აჯირვებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ, და კმა-გეყავნ როჯიკი თქუენნი.

15. და ვითარცა მოელოდა
ერი იგი, და განიზრახვიდეს ყო-
ველნი გულთა მათთა იოანესთჳს,
ნუ უკუჱ იგი არს ქრისტე.
16. მიუგო ყოველთა იოანე და
ეტყოდა: მე ნათელ-გცემ თქუჱნ
წყლითა, ხოლო მოვალს უძლიე-
რესი ჩემსა, რომლისა არა ვარ
ღირს ჴამლთა მისთა ტჳრთვად;
მან ნათელ-გცეს თქუჱნ სულითა
წმიდითა და ცეცხლითა.
17. რომლისა ნიჩაბი ჴელთა
შინა მისთა, განჰსწმინდოს კა-
ლოჲ თჳსი და შეჰკრიბოს იფქლი
საუნჯესა თჳსსა, ხოლო ბზეჲ
დაჰსწუას ცეცხლითა უშრეტითა.
18. და ფრიად სხუასაცა მრა-
ვალსა ჰლოცჳდა, და ახარებდა ერ-
სა მას.
19. ხოლო იროდი ოთხთა
სამთავროთა მთავარმან, რამეთუ
ამხილებდა მას იროდიასთჳს, ცო-
ლისა ფილიპპეს ძმისა მისისა,
და ყოვლისა მისთჳს, რომელი
ჰქმნა ბოროტი იროდი;
20. შეჰსძინა ესეცა მას ყოველ-
სა ზედა, და შეაყენა იოანე საპ-
ყრობილესა.
21. და იყო ნათლის-ღებასა
მას ყოვლისა ერისასა, დ იესოცა
ნათელს-იღო და ილოცჳდა და გა-
ნეხუნეს ცანი,
22. და გარდამოჰკდა სული
წმიდა ჴორციელითა ხილჳთა, ვი-
თარცა ტრედი მის ზედა, და ჴმა იყო
ზეცით და ჰსთქუა: შენ ხარ ძე
ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გი-
ყავ!
23. და თავადსა იესოს ეწყო
ოდენ ყოფად ოცდა-ათესა წლი-
სა, რომელი საგონებელ იყო ძედ
იოსებისსა, იაკობისსა, ელისსა,
24. მატათანისა, ლევისსა, მე-
ლქისსა, იანესა, იოსებისსა,
25. მატათისა, ამოსისა, ნაო-
მისა, ელისა, ნაგესა,
26. მაათისა, მატათისა, სემი-
სა, იოსებისა, იუდასსა,
27. იოანანისა, რესასა, ზო-
რობაბელისა, სალათიელისა, ნე-
რისა,
28. მელქისა, ადდისა, კო-
სამისა, ელმოდადისა, ერისა,
29. იოსისა, ელიეზერისა,
იორამისა, მატტათისა, ლევისა,
30. სჳმეონისა, იუდასსა, იო-
სებისა, იონანისა, ელეაკიმისა,
31. მელეასა, მაჲნანისა, მა-
ტათანისა, ნათანისა, დავითისსა,
32. იესესსა, იობედისა, ბო-
ოსისა, სალმონისა, ნაასონისა,
33. ამინადაბისა, არამისა, იო-
რამისა, ესრომისა, ფარეზისა,
იუდასა,
34. იაკობისა, ისაკისა, აბ-
რაამისა, თარასა, ნაქორისა,
35. სერუქისსა, რაგავისა, ფა-
ლეგისა, ებერისა, სალასა,
36. კაინანისა, არფაქსადისა,
სემისა, ნოესა, ლამექისა,
37. მათუსალასა, ენუქისა, ია-
რედისა, მალელეილისა, კაინანისა,
38. ენოსისა, სეითისა, ადამი-
სა და ღმრთისა.

## თ ა ვ ი 4.

1. ხოლო იესო, სავსე სული-

თა წმიდითა, მოიქცა იორდანით, და მოჰყვანდა სულსა უდაბნოდ.

2. და ორმეოც დღე განმოიცადებოდა ეშმაკისაგან, და არა რა ჭამა მათ დღეთა შინა; და, აღრასრულნეს დღენი იგი, შემშია.

3. და ჰრქუა მას ეშმაკმან მან: უკეთუ ძე ხარ ღმრთისა, არქუ ქვათა ამათ, რათა იქმნენ პურ.

4. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: წერილ-არს: არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყჳთა ღმრთისათა.

5. და აღიყვანა იგი მთასა მაღალსა, და უჩუენა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი გამოხატჳთა ჟამთათა.

6. და ჰრქუა მას ეშმაკმან მან: შენ მიგცე ამის ყოვლისა ხელმწიფებაჲ და დიდება მათი, რამეთუ ჩემდა მოცემულ-არს, და რომლისა მინდეს, მივსცე იგი.

7. უკეთუ შენ თაყუანის-მცე ჩემ-წინაშე, იყოს შენდა ესე ყოველი.

8. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: წარვედ მართლ-უკუნ ჩემგან, ეშმაკო; წერილ-არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-ჰსცე, და მას მხოლოსა მსახურებდე.

9. და მოიყვანა იგი იერუსალიმად, და დაადგინა იგი ფრთესა მას ზედა მის ტაძრისასა და ჰრქუა მას: უკეთუ ძე ხარ ღმრთისა, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად;

10. რამეთუ წერილ-არს: ვითარმედ ანგელოსთა მისთა დაუბრძანებიეს შენთჳს დაცვად შენდა.

11. ხელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუ სადა წარსცე ქვასა ფერჴი შენი.

12. მიუგო იესუ და ჰრქუა მას, რამეთუ თქმულ-არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი.

13. და აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი ეშმაკმან მან, და განეშორა მას ვიდრე ჟამადმდე.

14. და მოიქცა იესუ ძალითა სულისა წმიდისათა გალილეად; და ამბავი განჴდა მისთჳს ყოველსა მას გარემო სოფლებსა.

15. და იგი თავადი ასწავებდა შესაკრებელთა მათთა, და იდიდებოდა ყოველთაგან.

16. და მოვიდა ნაზარეთად, სადაცა აღზრდილ-იყო, და შევიდა, ვითარცა ჩუეულ-იყო იგი, დღესა შაბათსა შესაკრებელსა მათსა, და მოჰსცეს მას წიგნი ისაია წინასწარ-მეტყუელისა.

17. და აღჰსდგა კითხვად და განჴსნა წიგნი იგი, და ჰპოვა ადგილი, რომელსა წერილ-იყო:

18. სული უფლისა ჩემ ზედა, რომლისათჳს მცხო მე, და მახარებლად გლახაკთა მომავლინა მე, განკურნებად შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა განტევებისა, და ბრმათა აღხილვად, განვლინებად მომსრველთა განტევებითა,

19. და ქადაგებად წელიწადი უფლისა შეწყნარებული.

20. და შეჰყო წიგნი იგი და მისცა მსახურსა, და დაჯდა; და

თჳალნი ყოვლისა კრებულისანი
მას ჰხედვიდეს.
21. და იწყო სიტყჳსად მათ-
და, ვითარმედ დღეს აღესრულა
წერილი ესე ყურთა მომართ
თქჳჱნთა.
22. და ყოველნი ეწამებოდეს
მას, და უკჳრდა სიტყჳსათა მათ
ზედა მისთა მადლისათა, რომელ-
ნი გამოვიდოდეს პირისაგან მი-
სისა, და იტყოდეს: ანუ არა ესე
არსა ძე იოსებისი?
23. და თავადმან ჰრქჳა მათ:
მარქჳთ სამე იგავი ესე: მკურნა-
ლო! განიკურნე თავი შენი; და
ჰრქჳა მას, რავდენი გჳჱსმა საქ-
მე კაპერნაუმს, ჰქმენ აქაცა მამულ-
სა შენსა.
24. ხოლო თავადმან ჰრქჳა
მათ: ამინ გეტყჳ თქჳჱნ, რამეთუ
არა ვინ წინასწარ-მეტყჳჱლი შე-
წყნარებულ-არს თჳსსა მამულსა.
25. ხოლო ჭეშმარიტად გეტ-
ყჳ თქჳჱნ, რამეთუ მრავალნი ქჳ-
რივნი იყჳნეს დღეთა მათ ილი-
ასთა ისრაილსა შორის, ოდეს
იგი დაეხშა ცაჲ სამ-წელ და ექუს
თთჳჱ, რაჟამს იგი იყო სიყმი-
ლი დიდი ყოველსა ქჳჱყანასა;
26. და არა ვის მათგანისა
მიივლინა ილია, გარნა სარეფთად
სიდონისა დედაკაცისა ქჳრივისა.
27. და მრავალნი კეთროვანნი
იყჳნეს ისრაილსა შორის ელისეს
ზე წინასწარ-მეტყჳჱლისა, და არა
ვინ მათგანი განიკურნა, გარნა
ნეემან ასური.
28. და აღივსნეს ყოველნი
გულის წყრომითა, რომელნი იგი
იყჳნეს შესაკრებელსა მას შინა,
ესმოდა რა ესე.
29. და აღჰსდგეს და განაძეს
იგი გარეშე ქალაქისა მისგან, და
მოიყჳანეს იგი, ვიდრე წჳჱრად-
მდე მის მთისა, რომელსა ზედა
ქალაქი იგი მათი დაშენებულ
იყო, რათა გარდაასგდონ იგი;
30. ხოლო თავადმან განვლო
შორის მათსა და წარვიდა.
31. და შთავიდა კაპერნაუმად,
ქალაქსა გალილეასასა, და ასწავებ-
და მათ შაბათსა შინა.
32. და უკჳრდა მოძღჳრება
იგი მისი, რამეთუ ჴელმწიფებითი
იყო სიტყჳა იგი მისი.
33. და იყო შესაკრებელსა
მათსა კაცი, რომლისა თანა იყო
სული არა-წმიდა, და ღაღად-ჰყო
ჴმითა დიდითა:
34. ეჰა, რა არს ჩჳჱნი, და
შენი იესო ნაზარეველო? მოჰსრჳად
წარმწყმედად ჩჳჱნდა; გიცი შენ,
ვინ ხარ, წმიდა იგი ღმრთისა.
35. და შეჰრისხნა მას იესო და
ჰრქჳა: პირი დაიყავ, და განვედ
მაგისგან; და დაჰსცა იგი შორის
მათსა ეშმაკმან მან და განვიდა
მისგან, და არა რა ავნო მას.
36. და იყო განკჳრვება მათ
ყოველთა ზედა, და ჰზრახჳდეს
ურთიერთარს და იტყოდეს: რა
არს სიტყჳა ესე, რამეთუ ჴელმწი-
ფებითა, და ძალითა უბრძანებს
სულთა არა წმიდათა, და განვლენ?
37. და მიმოეფინებოდა ჴამბავი
მისთჳს, ყოველთა მათ ადგილ-
თა გარემო მის სოფლებისათა.
38. და აღჰსდგა მის კრებუ-

ლისაგან და შევიდა სახლსა სჳმო-
ნისსა; ხოლო სიდედრი სჳმონი-
სი შეპყრობილ-იყო სიცხითა დი-
დითა, და უთხრეს მას მისთჳს.
39. და დაჰსდგა მას ზედა,
და შეჰრისხნა სიცხესა მას; და მეყუ-
სეულად დაუტევა იგი, და აღჰსდ-
გა და ჰმსახურებდა მათ.
40. და დასლუასა ოდენ მზი-
სასა, ყოველთა, რავდენთა აქუნდა
უძლურები თჳთო-სახეთაგან სენ-
თა, მოიყუანნეს მისა; ხოლო თა-
ვადმან კაცად-კაცადსა მათსა დაჰ-
სდუა ჴელი და განჰკურნნა იგინი.
41. და განვიდეს ეშმაკნი მრა-
ვალთაგან, ჰღაღადებდეს და იტ-
ყოდეს, ვითარმედ შენ ხარ ქრი-
სტე, ძე ღმრთისა ცხოველისა; და
არა უტევებდა მათ სიტყუად, რა-
მეთუ იცოდეს, ვითარმედ იგი არს
ქრისტე.
42. და ვითარცა განჰსთენა,
გამოვიდა მიერ, და წარვიდა უდა-
ბნოსა ადგილსა, და ერი იგი ეძი-
ებდა მას, და მოვიდეს მისა და აყე-
ნებდეს მას, რათამცა არა წარვი-
და მათგან.
43. ხოლო თავადმან ჰრქუა
მათ, ვითარმედ სხუათაცა ქალაქთა
ჯერ-არს ჩემდა ხარებად სასუფე-
ველი ღმრთისა, რამეთუ ამისთჳს
მოვივლინე.
44. და ჰქადაგებდა ყოველთა
შესაკრებელთა გალილიასათა.

## თავი 5.

1. და იყო, ვითარ ერი იგი
დაესხმოდა-მას სმენად სიტყუასა
ღმრთისასა, და თავადი ჰსდგა კი-
დესა თანა ტბისა მის გენესარე-
თისასა,
2. და იხილნა ორნი ნავნი,
მდგომარენი კიდესა მას ტბისასა;
ხოლო მესათხევლენი იგი გამო-
ვიდეს ნავისა მისგან, და განჰრეც-
ხიდეს ბადეთა.
3. და შევიდა ერთსა მას ნავ-
სა, რომელი იყო სჳმონისი, და
უბრძანა მათ ქუჱყანით შერედგი-
ნება მცირედ, და დაჰსჯდა და ას-
წავებდა ნავით გამო ერსა მას.
4. და ვითარცა დაჰსცხრა სი-
ტყუად, ჰრქუა სჳმონს: შეავლინე
ღრმად, დაჰსდევით ბადეჲ თქუჱ-
ნი ნადირობად.
5. მიუგო სჳმონ და ჰრქუა:
მოძღუარ! ღამე ყოველ დავჰშუჱ-
რით, და არა რა მოვიღეთ; ხოლო
სიტყჳთა შენითა გარდაუტევოთ
ბადეჲ.
6. და ესერა ჰყუჱს, შეაყენეს
თევზისა სიმრავლე დიდი, და გან-
ჰსქდებოდეს ბადენი მათნი.
7. და წამ-უყოფდეს, რომელ-
ნი იგი იყუნეს ერთსა მას ნავ-
სა, რათა მოვიდენ და შეეწინენ
მათ; და მოვიდეს, და აღავსნეს ორ-
ნივე იგი ნავნი, ვიდრემდე დაინ-
თქმოდეს იგინი.
8. და ვითარცა იხილა სჳმონ
პეტრე, შეუვრდა მუხლთა იესოსთა
და ჰრქუა მას: განვედ ჩემგან, რა-
მეთუ კაცი ცოდჳლი ვარ, უფალო!
9. რამეთუ განკჳრვებამან შე-
იპყრა იგი და ყოველნი მისთანა-
ნი, ნადირობასა მას თევზისასა,
რომელი შეაყენეს;

10. ეგრეთვე იაკობ და იოანე, ძენი ზებედესნი, რომელნი იყჳნეს ზიარნი სჳმონისნი. და იესო ჰრქჳა სჳმონს: ნუ გეშინინ, სჳმონ; ამიერითგან იყო კაცთა მონადირე.

11. და გამოადგინეს ნავი იგი ქჳეყანად, და დაუტევეს ყოველი და მიჰსდევდეს მას.

12. და იყო ვითარცა შევიდა იგი ერთსა ქალაქთაგანსა, და აჰა კაცი სავსე კეთროვნებითა; ვითარცა იხილა მან იესო, დაჰვარდა პირსა ზედა თჳსსა, ევედრებოდა მას და ეტყოდა: უფალო! უკეთუ გინდეს, ძალ-გიძს განკურნებად ჩემდა.

13. და განჰყო ჴელი, შეახო მას და ჰრქჳა: მნებავს, განჰსწმიდენი. და მეყჳსეულად განეშორა კეთროვნება იგი მისგან.

14. და თავადმან ამცნო მას, რათა არავის უთხრას, არამედ წარვედ და უჩჳენე თავი შენი მღჳდელსა, და შეჰსწირე განწმედისა შენისათჳს, ვითარცა უბრძანა მოსე საწამებელად მათდა.

15. და უფროსად მიმოედებოდა მისთჳს სიტყჳა იგი, და შეჰკრბებოდა ერი მრავალი სმენად და განკურნებად უძლურებათა მათთაგან მის მიერ.

16. ხოლო თავადი განეშორის უდაბნოდ, და ილოცავნ.

17. და იყო ერთსა შინა დღესა, და თავადი იესო ასწავებდა მათ, და ჰსხდეს მუნ ფარისეველნი და ჰსჯულის-მოძღჳარნი, რომელნი მოსრულ-იყჳნეს ყოვლისაგან დაბნებისა გალილეასა, და ჰურიასტანისა, და იერუსალიმისა, და ძალი ღმრთისა იყო განკურნებად მათდა.

18. და აჰა ესერა, კაცთა მოაქჳნდა ცხედრითა კაცი, რომელი იყო განრღჳეულ, და უნდა შეღება მისი და დადგმა წინაშე მისსა.

19. და ვერ ჰპოვეს, ვინამცა შეიღეს იგი ერისა მისგან, აღჰვდეს ერდოსა ზედა, და აღიღეს ბეცი, და შთაუტევეს კაცი იგი ცხედრითურთ წინაშე იესოსა.

20. და იხილა რა სარწმუნოებაჲ მათი, ჰრქჳა მას: კაცო, მიგეტევნენ ცოდჳანი შენნი.

21. და იწყეს განზრახჳად მწიგნობართა მათ და ფარისეველთა, და იტყოდეს: ვინ არს ესე, რომელი იტყჳს გმობასა? ვის ჰელეწიფების მიტევება ცოდჳათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა?

22. გულის-ჴმა-ჰყჳნა იესო გულის-ზრახჳანი მათნი, მიუგო და ჰრქჳა მათ: რასა ეგე ჰზრახავთ გულთა თქჳენთა?

23. რა უადვილეს-არს სიტყჳად: მიგეტევნენ შენ ცოდჳანი შენნი? ანუ ჰრქჳმად: აღჰსდეგ და ვიდოდე?

24. არამედ რათა უწყოდეთ, რამეთუ ჴელმწიფება აქჳს ძესა კაცისასა ქჳეყანასა ზედა მიტევებად ცოდჳათა, და ჰრქჳა განრღჳეულსა მას: შენ გეტყჳ: აღჰსდეგ და აღიღე ცხედარი შენი, და წარვედ სახედ შენდა.

25. და მეყჳსეულად აღჰსდგა

წინაშე მათსა, და აღიღო ცხედა-
რი, რომელსა ზედა იდვა, და წარ-
ვიდა სახედ თჳსა, და ადიდებდა
ღმერთსა.

26. და განკჳრვებამან შეიპყრ-
ნა ყოველნი; და ადიდებდეს ღმერთ-
სა, და შიში დაეცა მათ ზედა და
იტყოდეს, რამეთუ ვიხილეთ უდი-
დებულესი დიდება დღეს.

27. და ამისა შემდგომად გა-
მოვიდა და იხილა მეზჳერე, სა-
ხელით ლევი, მჯდომარე საზჳერ-
რესა ზედა, და ჰრქუა მას: მომ-
დევდი მე.

28. და მან დაუტევა ყოველი,
და აღსდგა და მისდევდა მას.

29. და დაუმზადა ლევი პუ-
რი დიდი იესოს სახლსა შინა თჳს-
სა; და იყო კრებული დიდი მე-
ზჳერეთა და სხუათა, რომელნი
იყუნეს მათ თანა ინახით მსხდო-
მარენი.

30. და ჰსდრტჳნვიდეს ფარი-
სეველნი და მწიგნობარნი მათნი
მოწაფეთა მისთა თანა, და იტყო-
დეს: რასათჳს მეზჳერეთა და ცოდ-
ვილთა თანა ჰსჭამთ და ჰსუამთ?

31. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: არა უჴმს ცოცხალთა მკურ-
ნალი, არამედ რომელნი ბოროტ-
სა სენსა შინა არიან.

32. არა მოვედ წოდებად მარ-
თალთა, არამედ ცოდვილთა, რათა
შეინანონ.

33. ხოლო მათ ჰრქუჳს მას:
რადსათჳს მოწაფენი იოანესნი
იმარხვჳან ზედას-ზედა, და ვედრე-
ბასა ჰყოფენ, და ეგრეთვე ფარი-
სეველთანი; ხოლო მოწაფენი შენ-
ნი ჰსჭამენ და ჰსუმენ?

34. ხოლო იესო ჰრქუა მათ:
ნუ უკუე ძალ-ეწიფების ძეთა სი-
ძისათა, ვიდრემდე სიძე მათ თა-
ნა არს, რათა ამარხვებდეს მათ?

35. ხოლო მოვლენან დღენი,
და ოდეს ამაღლდეს მათგან სიძე
იგი, მაშინ იმარხვიდენ მათ დღე-
თა შინა.

36. და ეტყოდა მათ იგავით-
ცა, ვითარმედ არავინ სადგმელი
სამოსლისა ახლისა დაადგის სა-
მოსელსა მჳელსა, რათა არა ახა-
ლიცა იგი განაპოს, და მჳელსა
მას ვერ შეჰკავს სადგმელი ახლი-
სა სამოსლისა.

37. და არავინ შთაასხის ღჳ-
ნოჲ ახალი თხიერთა მჳელთა,
რათა არა განჰსთქნეს. ღჳნომან
ახალმან თხიერნი იგი, და ღჳნო
დაითხიოს და თხიერნი წარჰსწყმ-
დენ.

38. არამედ ღჳნო ახალი თხი-
ერთა ახალთა ჭერ-არს შთაჰსხმად,
და ორნივე დაიმარხნენ.

39. და არავინ ჰსუამნ ღჳნო-
სა მჳელსა, და მეყსეულად ჰნებავნ
ახალი, რამეთუ ჰსთქჳს: მჳელი
უმჯობეს-არს.

თავი 6.

1. და იყო შაბათსა მეორესა,
და განვიდოდა თავადი თესულის-
გან ყანისა, ხოლო მოწაფენი მის-
ნი მოჰსჭრიდეს თავსა კუვილისა-
სა, ჰმუსრვიდეს ხელითა და ჰსჭამ-
დეს.

*

2. ხოლო რომელთამე ფარი-
სეველთა ჰრქჳჱს მათ: რასა ჰზამთ
შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-
არს?
3. მიუგო იესო და ჰრქჳა მათ:
არცაღა ესე აღმოგიკითხავსა, რო-
მელი იგი ჰყო დავით, ოდეს იგი
შეემშია მას და მისთანათა?
4. ვითარ იგი შევიდა ტაძარ-
სა ღმრთისასა, და პურნი იგი შე-
საწირავისანი შეჰსჭამნა, და ჰსცა
მისთანათაცა, რომელთა არა ჯერ-
არს ჭამა, გარნა მღდელთა ხო-
ლო?
5. და ეტყოდა მათ: უფალ-
არს ძე კაცისა შაბათისაცა.
6. და იყო სხჳასაცა შაბათსა
და შთავიდა თავადი შესაკრებელსა
მათსა, და ასწავებდა მათ; და იყო
მუნ კაცი, რომელსა ჴელი მისი
მარჯჳჱნე განჴმელ-ედგა.
7. უმზერდეს მას მწიგნობარ-
ნი და ფარისეველნი, უკეთუმცა
შაბათსა განჰკურნნა, რათა ჰპო-
ვონ, ვითარმცა შეასმინეს იგი.
8. ხოლო თავადმან იცნოდა
ზრახჳანი მათნი, და ჰრქჳა კაც-
სა მას, რომელსა ჴელი განჴმელ-
ედგა: აღჰსდეგ და წარმოჰსდეგ
შორის; ხოლო იგი აღჰსდგა და
დაჰსდგა შორის.
9. და იესო ჰრქჳა მათ: გკით-
ხო თქჳჱნ სიტყჳა: რაჲ ჯერ-
არს შაბათსა? კეთილისა საქმე, ანუ
ბოროტისა ყოფა? სულისა ცხოვ-
რება, ანუ მოკლჳა?
10. და მიჰხედა მათ ყოველთა
და ჰრქჳა კაცსა მას: განირთხ ჴე-
ლი შენი; ხოლო მან განირთხა;
და მოეგო ჴელი მისი, ვითარცა
სხჳა იგი.
11. ხოლო იგინი აღივსნეს
მანკიერებითა, და განიზრახჳდეს
ურთიერთარს, უკეთუმცა უყვეს
რა იესოს.
12. და იყო მათ დღეთა ში-
ნა, და განვიდა თავადი მთად-კერ-
ძო ლოცჳად, და დამესა ათევდა
ლოცჳთა ღმრთისა მიმართ.
13. და ვითარცა განჰსთენა
დღე, მოუწოდა მოწაფეთა თჳს-
თა, და გამოირჩინა ათორ-მეტნი
მათგანნი, რომელთაცა მოციქუ-
ლად უწოდა:
14. სჳმონ, რომელსა უწოდა
პეტრე, და ანდრია, ძმა მისი, ია-
კობ და იოანე, ფილიპპე და ბარ-
თლომე,
15. მატთეოს და თომა, და ია-
კობ ალფესი, და სჳმონ, რომელსა
ერქჳა მოშურნე.
16. და იუდა იაკობისი, და
იუდა ისკარიოტელი, რომელი
იგი იქმნა განმცემელ.
17. და გარდამოვიდოდა მათ-
თანა, და დაჰსდგა ადგილსა ველსა,
და ერი იგი მოწაფეთა მისთა და სხჳ-
სა ერისა სიმრავლე ფრიადი ური-
ასტანით, და იერუსალიმით, და
ზღჳს-კიდისა ტჳროსით, და სი-
დონით,
18. რომელნი მოსრულ-იყჳ-
ნეს სმენად მისგან, და განკურნე-
ბად სნეულებათაგან მათთა, და ურ-
ვილნი იგი სულთაგან არა-წმიდა-
თა განიკურნებოდეს.
19. და ყოველი იგი ერი ეძი-
ებდა შეახლებად მისა, რამეთუ ძა

ლნი გამოვიდოდეს მისგან და გან-
ჰკურნებდეს ყოველთა.

20. და თვალმან აღიხილნა თუალნი მისნი მოწაფეთა მიმართ და ეტყოდა: ნეტარ-ხართ გლახაკ-ნი სულითა; რამეთუ თქუენი არს სასუფეველი ღმრთისა.

21. ნეტარ-ხართ თქუენ, რომელთა გშიის აწ; რამეთუ განჰსძღეთ. ნეტარ-ხართ, რომელნი ჰსტირით აწ; რამეთუ იცინოდეთ.

22. ნეტარ-იყუნეთ, რაჟამს მოგიძულნენ თქუენ კაცთა, და ოდეს განმოგასხნენ თქუენ, და გაყუედრებდენ, და განჰკადონ სახელი თქუენი, ვითარცა ბოროტთა, მისათჳს კაცისა.

23. გიხაროდენ მას დღესა შინა და მხიარულ იყუენით, რამეთუ აჰა ესერა სასყიდელი თქუენნი მრავალ-არს ცათა შინა; რამეთუ ესრეთვე უყოფდეს წინასწარმეტყუელთა მამანი მათნი.

24. ხოლო ვაჲ თქუენდა მდიდარნო! რამეთუ მიგიღებიეს ნუგეშინის-ცემა თქუენი.

25. ვაჲ თქუენდა, განმაძღარნო აწ! რამეთუ გშიოდეს. ვაჲ თქუენდა, რომელნი იცინით აწ! რამეთუ იგლოვდეთ და ჰსტიროდეთ.

26. ვაჲ თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდენ თქუენ კაცნი! რამეთუ ეგრეთვე უყოფდეს ცრუწინასწარ-მეტყუელთა მამანი მათნი.

27. არამედ თქუენ გეტყჳ, რომელთა ეგე გესმის: გიყუარდედ მტერნი თქუენნი, და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა;

28. და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა, და ილოცევდით მათ თჳს, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ.

29. რომელმან ჰგცეს ყურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთ-კერძოცა; და რომელი მიგიღებდეს შენ სამოსელსა შენსა, კუართსაცა შენსა ნუ აყენებ.

30. ყოველი, რომელი გთხოვდეს, მიეც, და რომელი მიგიღებდეს შენ, ნუ მოჰხდი.

31. და ვითარცა იგი თქუენ გნებავს, რათა გიყონ კაცთა, და თქუენცა ეგრეთვე მჰსგავსად უყოდით მათ.

32. და უკეთუ გიყუარდენ თქუენ მოყუარენი თქუენნი, რაჲ არს მადლი თქუენდა? რამეთუ ცოდჳლნიცა მოყუარეთა მათთა ჰყუარობენ.

33. და უკეთუ კეთილის-მყოფელთა თქუენთა კეთილსა უყოფდეთ, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდჳლნიცა ამას ჰყოფენ.

34. და უკეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესავთ კუალად მოღებასა, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდჳლნიცა ცოდჳლთა ავასხებენ, რათა მოიღონ სწორი.

35. ხოლო თქუენ გიყუარდედ მტერნი თქუენნი, და კეთილსა უყოფდით, და ავასხებდით, და ნუ რას რაჲს უსასო ჰყოფთ; და იყოს სასყიდელი თქუენი მრა-

ვალ, და იყვნეთ ძე მაღლის; რა-
მეთუ იგი თავადი ტკბილ-არს
უმადლოთა თჳსცა და უკეთურთა.
36. იყვენით თქვენ მოწყა-
ლე, ვითარცა მამა თქვენი მოწ-
ყალე არს.
37. ნუ განიკითხავთ, და არა
განიკითხნეთ; და ნუ დაჰსჯით, და
არა დაისაჯნეთ; მიუტევეთ და მო-
გეტევნენ.
38. მიეცით, და მოგეცეს
თქვენ; საწყაული კეთილი და შეს-
რილი, და დატენილი, და ზედა-
გარდათხეული მოგცენ წიაღთა
თქვენთა; მითვე საწყაულითა,
რომლითა მიუწყოთ, კვალად მო-
გეწყოს თქვენ.
39. ეტყოდა მათ იგავსაცა: ნუ
ჰელეწიფების ბრმასა ბრმისა წი-
ნა-მძღვანებად? არამეა ორნივე ჯურ-
ღმულსა შთაცვივენ?
40. არა არს მოწაფე უფროს
მოძღვრისა თჳსისა; ხოლო გან-
კრძალული იგი ყოველი იყავნ,
ვითარცა მოძღვარი თჳსი.
41. რასა ჰხედავ წველსა თუალ-
სა შინა ძმისა შენისასა, და დვრე-
სა თუალსა შინა თჳსსა არა გა-
ნიცდი?
42. ანუ ვითარ ჰელგეწიფე-
ბის ჰრქმად ძმასა შენსა: ძმაო!
მიტევე და აღმოვიღო წველი
თუალისაგან შენისა, და შენ დვე-
რესა თუალსა შინა შენსა არა ჰხე-
დავ? ორგულო! აღმოიღე პირვე-
ლად დვრე თუალისაგან შენისა, და
მერმე იხილო აღმოღებად წვე-
ლი თუალისაგან ძმისა შენისა.
43. რამეთუ არა არს ხე კე-
თილი, რომელმან გამოიღის ნა-
ყოფი ხენეში; არცა კვალად ხე-
ნეში, რომელმან ჰყვეს ნაყოფი კე-
თილი.
44. რამეთუ თჳთოეული ხე
თჳსისაგან ნაყოფისა საცნაურ-არი-
ან; რამეთუ არა ეკალთაგან შეჰ-
კრიბიან ლეღვი, არცა მაყვალთა-
გან მოისთვლიან ყურძენი.
45. კეთილმან კაცმან კეთილი-
საგან საუნჯისა გულისა თჳსისა
გამოიღის კეთილი; და ბოროტ-
მან კაცმან ბოროტისაგან საუნ-
ჯისა გულისა თჳსისა გამოიღის
ბოროტი; რამეთუ ნამეტნავისაგან
გულისა იტყჳს პირი მისი.
46. რასა მეტყჳთ მე: უფალო!
უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა
მე გეტყჳ თქვენ?
47. ყოველი, რომელი მოვალს
ჩემდა, და ისმენს სიტყუათა ჩემ-
თა, და ჰყოფს მათ, გიჩუენო
თქვენ, ვისა იყოს მსგავს.
48. მსგავს არს იგი კაცსა,
რომელი აშენებნ სახლსა, რომელ-
მან მოჰთხარა და დაადრმო, და
დაჰსდვა საფუძველი კლდესა
ზედა; და ღვარი რა იყო, ეკუე-
თა მდინარე იგი სახლსა მას, და
ვერ შეუძლო შეძრვად მისა, რა-
მეთუ დაფუძნებულ-იყო კლდესა
ზედა.
49. ხოლო რომელმან ისმინა
და არა ჰყოს, მსგავს-არს იგი
კაცსა, რომელმან აღაშენა სახლი
მიწასა ზედა თჳნიერ საფუძვე-
ლისა, რომელსა ეკუეთა მდინარე
და მეყსეულად დაეცა; და იყო
დაცემა სახლისა მის დიდ ფრიად.

## თ ა ვ ი 7.

1. და ვითარცა დაასრულნა
იესო სიტყუანი ესე, სასმენელთა
მიმართ ერისათა, შევიდა კაპერ-
ნაუმს.
2. და ასის-თავისა ვისიმე მო-
ნა სნეულ-იყო, და მიახლდა აღს-
რულებად, რომელი იყო მისა პა-
ტივოსან.
3. და ესმა მას იესოისთჳს, და
მიავლინნა მისა მოხუცებულნი
ურიათანი, ვედრებად მისა, რათა
მოვიდეს და განჰკურნოს მონაჲ
იგი მისი.
4. ხოლო რომელნი იგი მი-
ვიდეს იესოისა, ჰლოცვიდეს მას
მსწრაფლ, და ეტყოდეს, ვითარმედ
ღირს-არს, რომელი ესე ჰყო მის-
თჳს;
5. რამეთუ უყუარს ნათესავი
ჩუენი, და შესაკრებელი მან აღ-
მიშენა ჩუენ.
6. და იესო წარვიდა მათ თა-
ნა; ხოლო თავადი ვითარ მიახ-
ლებულ-იყო სახლსა მას, მიუვ-
ლინნა ასის-თავმან მან მეგობარ-
ნი და ჰრქუა: უფალო! ნუ მოჰ-
შურები, რამეთუ არა ვარ ღირს,
რათა სართულსა სახლისა ჩემისასა
შემოხჳდე.
7. რომლისაგან არცა თავით
ჩემით ღირს-მიჩნდა მისლვად
შენდა; არამედ სიტყჳთ ხოლო
ჰსთქუ, და განიკურნოს მონა ესე
ჩემი.
8. რამეთუ მეცა კაცი ვარ
ჴელმწიფებასა ქუეშე განწესებუ-
ლი, და მქონან ჩემ ქუეშე ერისა-
კაცნი, და ვჰრქჳ: წარვედ, და წარ-
ვიდის; და სხუასა: მოვედ, და მო-
ვიდის; და მონასა ჩემსა: ჰყავ ესე,
და ჰყჳს.
9. ხოლო ვითარცა ესმა ესე
იესოს, დაუკჳრდა სარწმუნოებაჲ
მისი, მიექცა ერსა მას და ჰრქუა:
ამინ გეტყჳ თქუენ, არცაღა ის-
რაილსა შორის ვჰპოვე ესე-ვითა-
რი სარწმუნოებაჲ.
10. და მიიქცეს, რომელნი
იგი მოსრულ-იყვნეს, სახიდ მი-
სა, და ჰპოვეს მონა იგი მისი
ცოცხალი.
11. და იყო ამისა შემდგომად,
და წარვიდოდა ქალაქად, რომელ-
სა ჰრქჳან ნაინ, და თანა-უვიდო-
დეს მას მოწაფენი მისნი და ერი
მრავალი.
12. და ვითარ მიეახლა ბჭე-
თა ქალაქისათა, და აჰა ესერა, გა-
მოაქუნდა მკუდარი, მე მხოლოდ-
შობილი დედისა თჳსისა, და იგი
იყო ქურივ; და ერი მრავალი იყო
ქალაქისა მისთანა.
13. და იხილა დედაკაცი იგი
იესო, და შეეწყალა იგი, და ჰრქუა
მას: ნუ ჰსტირ.
14. და მივიდა ცხედარსა მას
და შეახო; ხოლო რომელთა აქუნ-
და ცხედარი იგი, დაჰსდგეს; და
ჰრქუა მას: ჭაბუკო! შენ გეტყჳ,
აღჰსდეგ.
15. და ზე-წარმოჰსჯდა მკუდა-
რი იგი, და იწყო სიტყუად; და
მიჰსცა იგი დედასა თჳსსა.
16. და შიში დაეცა მათ ყო-
ველთა ზედა, და ადიდებდეს ღმერთ-
სა, და იტყოდეს, ვითარმედ წი-

ნასწარ-მეტყუჱლი დიდი აღდგო-
მილ-არს ჩუჱნ შორის, და რამე-
თუ მოჰხედნა ღმერთმან ერსა
თჳსსა.
17. და განეფინა სიტყუა ესე
ყოველსა ჰურიასტანსა მისთჳს და
ყოველსა მას გარემო სოფლებსა.
18. და უთხრეს იოანეს მო-
წაფეთა მისთა ამის ყოვლისათჳს,
19. და მოუწოდა იოანე ორ-
თა მოწაფეთა თჳსთა, და მიავლინ-
ნა იესოსა, და ჰრქუა: შენ ხარა
მომავალი, ანუ სხუასა მოველო-
დეთ?
20. და მირავიდეს მისა კაც-
ნი იგი, ჰრქუჱს: იოანე ნათლის-
მცემელმან მომავლინნა ჩუჱნ შენ-
და და ჰსთქუა: შენ ხარა მომავა-
ლი, ანუ სხუასა მოველოდეთ?
21. მას ჟამსა შინა განჰკურნ-
ნა მრავალნი სნეულებათაგან და
სალმობათა, და სულთაგან უკეთურ-
თა, და მრავალთა ბრმათა მიჰმად-
ლა ხედუა.
22. და მიუგო, და ჰრქუა მათ
იესო: მივედით და უთხართ იოა-
ნეს, რა ესე იხილეთ და გესმა:
ბრმანი აღიხილუჱნ, მკელობელ-
ნი ვჰლენან, კეთროვანნი განჰსწ-
მდებიან, ყრუთა ესმის, მკუდარ-
ნი აღჰსდგებიან, და გლახაკთა ეხა-
რების.
23. და ნეტარ-იყოს, რომე-
ლი არა დაჰბრკოლდეს ჩემდა მო-
მართ!
24. და ვითარცა წარვიდეს
მოციქულნი იგი იოანესნი, იწ-
ყო სიტყუად იესო ერისა მის
მიმართ იოანესთჳს: რასა გამო-
ჰხუჱდით უდაბნოდ ხილუად? ლე-
ლწამისა, ქარისაგან შერყეულისა?
25. არამედ რასა გამოჰხუჱ-
დით ხილუად? კაცისა სამოსლი-
თა ჩჩჳლითა მოსილისა? აჰა ეს-
რა, რომელნი სამოსლითა დიდე-
ბულითა და საშუჱბელითა არიან,
სამეუფოთა შინა არიან.
26. არამედ რასა გამოხუჱდით
ხილუად? წინასწარ-მეტყუჱლისა?
ჰე, გეტყჳ თქუჱნ, და უმეტეს
წინასწარ-მეტყუჱლისა.
27. რამეთუ ესე არს, რომ-
ლისათჳს იგი წერილ-არს: აჰა
ესერა, მე წარვავლინო ანგელო-
სი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რო-
მელმან განჰმზადნეს გზანი შენნი
წინაშე შენსა.
28. რამეთუ გეტყჳ თქუჱნ:
უფროისი შობილთა შორის დე-
დათასა იოანე ნათლის-მცემელი-
სა წინასწარ-მეტყუჱლი არავინ
არს; ხოლო უმცირესი სასუფე-
ველსა ღმრთისასა უფროს მისსა
არს.
29. და ყოველსა ერსა ესმა, და
მეზუჱრეთა განამართლეს ღმერ-
თი, და ნათელ-იღეს ნათლის-ცე-
მითა იოანესითა.
30. ხოლო ფარისეველთა და
ჰსჯულის-მოძღუართა ზრახუა
ღმრთისა შეურაცხ-ჰყუჱს თავი-
სა თჳსისა, რამეთუ არა ნათელ-
იღეს მისგან.
31. ხოლო ჰსთქუა უფალმან:
ვის ვამჰსგავსნე კაცნი ამის ნათე-
სავისანი? და ვისა არიან მჰსგავს?
32. მჰსგავს არიან ყრმათა,
უბანთა ზედა მსხდომარეთა, რო-

მეღჳნი მოუწესედ მოყუასთა მათთა და ეტყჳედ: გისტჳნევდით თქუენ, და არა ჰროკევდით; გიგოდებდით თქუენ, და არა ჰსტიროდით.

33. რამეთუ მოვიდა იოანნე ნათლის-მცემელი, არცა ჰსჭამდა პურსა, არცა ჰსმიდა ღჳნოსა, და იტყჳთ: ეშმაკეულ-არს.

34. მოვიდა ძე კაცისა: ჰსჭამს, და ჰსვამს; და იტყჳთ: აჰა, კაცი მჭამელი და მსმელი ღჳნისა, და მეგობარი მეზუერეთა და ცოდჳლთა.

35. და განმართლდა სიბრძნე ყოველთაგან შჳლთაგან თჳსთა.

36. ევედრებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი, რათა ჰსჭამოს პური მის თანა; და შევიდა სახლსა მის ფარისეველისასა და დაჰსჯდა.

37. და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელი იყო ცოდჳლ; ესმა, რამეთუ არს იგი სახლსა შინა მის ფარისეველისასა, მოიღო ალაბასტრი ნელსაცხებელისა,

38. და დაჰსდგა ფერხთა თანა მისთა, ჰსტიროდა და იწყო დალტობად ცრემლითა ფერჴთა მისთა, და თმითა თავისა მისისათა წარჰჴოცდა, და ამბორს-უყოფდა ფერჴთა მისთა, და ჰსცხებდა ნელსაცხებელსა.

39. ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, რომელმანცა იგი ჰხადა მას, ჰსთქუა გულსა თჳსსა: ესე უკეთუმცა იყო წინასწარ-მეტყუელი, უწყოდამცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხების მას, რამეთუ ცოდვილ-არს.

40. მიუგო იესო და ჰრქუა მას: სჳმონ! მაქუს რაჲმე შენდა სიტყუად. ხოლო მან ჰსთქუა: მოძღუარ! იტყოდე.

41. და ჰსთქუა: ორნი თანამდებნი იყუნეს მასესხებელისა ვისნიმე: ერთსა თანა-ედუა ხუთ-ასი დრაჰკანი; ხოლო ერთსა მას ერგასისი.

42. და ვითარ არა რა აქუნდა მათ, ორთავე მიუტევა; აწ ჰსთქუ შენ, ვინ უფროს შეიყუაროს იგი?

43. მიუგო სჳმონ და ჰსთქუა: მე ეგრე ვჰგონებ, ვითარმედ რომელსაცა იგი უფროსი მიუტევა. ხოლო თავადმან ჰსთქუა: სამართლად ჰსაჯე.

44. და მიექცა დედაკაცსა მას, და სჳმონს ეტყოდა: ჰხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერჴთა ჩემთა არა მეც; ხოლო ამან ცრემლითა დაალტუნა ფერჴნი ჩემნი, და თმითა თჳსითა წარჰხოცნა.

45. ამბორის-ყოფა არა მომეც მე; ხოლო ესე, ვინათგან შემოვიდა, არა დაჰსცხრების ამბორის-ყოფითა ფერჴთა ჩემთათა.

46. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე; ხოლო ამან ნელსაცხებელი ჰსცხო ფერჴთა ჩემთა.

47. რომლისა მადლისათჳს გეტყჳ შენ: მიეტევნენ მაგას ცოდუანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შეიყუარა ფრიად; ხოლო რომელ-

ს მცირედ მიეტეოს, მცირედცა შეიყუაროს.

48. და ჰრქუა მას: მიგეტევნენ შენ ცოდუანი შენნი.

49. და იწყეს თანა-მეინაჴეთა მათ სიტყუად გულთა შინა მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდუათა მიუტეობს?

50. ჰრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ; გუალე ვიდოდე მშჳდობით.

## თავი 8.

1. და იყო ამისა შემდგომად, თავადი ვიდოდა ქალაქად ქალაქად, და დაბად დაბად, ჰქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა და ათორმეტნი მოწაფენი მისთანა.

2. და დედანი ვინმე, რომელნი განკურნებულ-იყუნეს სულთაგან არა-წმიდათა, და უძლურებათა: მარიამ, რომელსა ერქუა მაგდალინელი, რომლისაგან შჳდნი ეშმაკნი განსრულ-იყუნეს,

3. იოანნა, ცოლი ქოზასი, ეზოს-მოძღურისა იროდისი, და სუსანნა, და სხუანი მრავალნი, რომელნი ჰმსახურებდეს მას ნაყოფთაგან მათთა.

4. ხოლო რომელნი იგი მისთანა იყუნეს ერნი მრავალნი, და ქალაქად ქალაქად რომელნი მოვიდოდეს მისა, ეტყოდა მათ იგავით:

5. განმოვიდა მთესუარი თესუად თესლისა თჳსისა; და თესუასა მას მისსა, რომელიმე დაჰვარდა გზასა ზედა, და დაითრგუნა, და მფრინველთა ცისათა შეჰსჭამეს იგი.

6. და სხუა დაჰვარდა კლდესა ზედა, აღმოჰსცენდა და განჴმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა.

7. და რომელიმე დაჰვარდა შორის ეკალთა, და აღმოჰსცენდეს ეკალნი, და შეაშთვეს იგი.

8. და სხუა დაჰვარდა ქუეყანასა კეთილსა, და აღმოჰსცენდა და ჰყო ნაყოფი ასი-წილი. ამას ეტყოდა ჴმითა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

9. ჰკითხჳდეს მას მოწაფენი მისნი, ვითარმედ რა არს იგავი ესე?

10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ-არს ცნობად საიდუმლო სასუფეველისა ღმრთისა; ხოლო სხუათა იგავით, რათა ჰხედვიდენ, და ვერ იხილონ, და ესმოდის, და ვერ გულის-ჴმა-ჰყონ.

11. ხოლო იგავი იგი ესე არს: თესლი იგი არს სიტყუა ღმრთისა.

12. ხოლო გზასა ზედა, იგინი არიან, რომელთა ესმის, მერმე მოვიდის ეშმაკი, და მოუღის სიტყუა იგი გულისაგან მათისა, რათა არა ჰრწმენეს და ცხონდენ.

13. ხოლო რომელ იგი კლდესა ზედა, რომელთა იგი რაჟამს ისმინიან, სიხარულით შეიწყნარიან სიტყუა იგი, და ამათ ძირი არა უჴნ, რომელთა იგი ჟამს ერთ ჰრწამნ, და ჟამსა განსაცდელისასა განდგიან.

14. ხოლო რომელი იგი ეკალთა შორის დავარდა, ესე არიან, რომელთა ისმინიან სიტყჳსა, და ზრუნვისაგან, და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ, და შეაშთჳან, და არა ნაყოფიერ იქმნიან.

15. ხოლო რომელი იგი კეთილსა ქუეყანასა დაეთესა, ესენი არიან რომელთა გულითა კეთილითა და სახიერითა ისმინიან სიტყჳსა და შეიკრძალიან, და ნაყოფი გამოიღიან მოთმინებითა.

16. არავინ სანთელი აღანთის და დაჰფარის ჭურჭლითა, გინა ქუეშე ცხედარსა შეჰსდგიან, არამედ სასანთლესა ზედა დაჰსდგიან, რათა შემავალნი იგი ნათელსა ჰხედჳდენ.

17. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჰსცხადნეს, არცა საიდუმლო, რომელი არა საცნაურ-იყოს, და ცხადად მოვიდეს.

18. იხილეთ უკუე, ვითარ ეგე ისმენთ; რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას; და რომელსა არა აქუნდეს, და რომელიღა იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მოვეღოს მას.

19. მოვიდეს მისა დედა და ძმანი მისნი, და ვერ ეძლო შემთხუევად მისა ერისა მისგან.

20. უთხრეს მას და ეტყოდეს: დედა შენი, და ძმანი შენნი გარე ჰსდგანან და ხილუად შენი ჰნებავს.

21. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: დედა ჩემი და ძმანი ჩემნი ესე არიან, რომელთა სიტყუა ღმრთისა ისმინონ და ჰყონ იგი.

22. და იყო ერთსა შინა დღესა, თავადი შევიდა ნავსა და მოწაფენი მისნი მისთანა, და ჰრქუა მათ: განვიდეთ წიაღ-კერძო ტბასა მას; და აღვიდეს.

23. და მირავიდოდეს იგინი ნავითა, მიეძინა. და გარდამოჰსდა არმური ქარისა ტბასა მას ზედა, და აღივსებოდა ნავი იგი, და იურვოდეს.

24. და მოვიდეს, და განაღჳძეს, და ეტყოდეს: მოძღუარ! მოძღუარ! წარვჰსწყმდებით. ხოლო თავადი აღჰსდგა, და შეჰრისხნა ქარსა მას და ღელვასა წყალთასა; და დაჰსცხრეს; და იყო დაყუდება დიდი.

25. და ჰრქუა მათ: სადა არს სარწმუნოება თქუენი? ხოლო მათ შეეშინა და დაუკჳრდა, და იტყოდეს ურთიერთარს: ვინმე არს ესე, რამეთუ ქართაცა უბრძანებს და წყალთა და ერჩიან მას?

26. და განვიდეს სოფელსა მას გადარინელთასა, რომელ-არს წიაღ-კერძო გალილიასა.

27. და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად, მოვინმე-ეგებოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყუნეს ეშმაკნი, და მრავალ ჟამ სამოსელი არა შეემოსა, და სახლსა შინა არა იყოფოდა, არამედ საფლავებსა.

28. და ვითარცა იხილა მან იესო, ღაღად-ჰყო და შეუვრდა ფერკთა მისთა, და ჴმითა დიდითა იტყოდა: რა ჰსმეს ჩემი და შენი, იესო, ძეო ღმრთისა მაღლისაო? გევედრები, ნუ მტანჯავ მე.

29. რამეთუ უბრძანა სულსა მას არა-წმიდასა განსლჳად კაცისა მისგან; რამეთუ მრავალ-გზის წარიტაცის იგი, და შეჰბორკილიან იგი ჯაჭჳთა და საკრჳელითა, და ჰსცჳვედ; და განჰხეთქნის საკრჳელნი, და იდევნებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა.

30. ჰკითხა მას იესო: რაჲ არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქჳა: ლეგეონ, რამეთუ ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყჳნეს მისა.

31. და ევედრებოდეს მას, რათა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასლჳა.

32. და იყო მუნ კოლტი ღორთა მრავალი, მძოვარი მთასა ზედა; და ევედრებოდეს მას, რათა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესლჳაჲ; და თავადმან უბრძანა მათ.

33. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან, და შევიდეს ღორთა მათ, და მიჰმართა ყოველმან კოლტმან კბოდესა მას ტბად, და დაიშთჳნეს.

34. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმე ესე, ივლტოდეს, და შევიდეს, და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა.

35. და გამოვიდეს ხილჳად, რომელი იგი იქმნა, და მოვიდეს იესოსა, და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყჳნეს, შემოსილი და გონიერი ფერჴთა თანა იესოსთა; და შეეშინა.

36. რამეთუ უთხრეს რომელთა იგი ეხილჳა, ვითარ იგი ჰსცხოვნდა ეშმაკეული.

37. და ევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლე გარემო სოფლებისა მის გადარინელთასა, რათა წარვიდეს მათგან; რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყჳნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნვე.

38. ევედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ იყჳნეს, რათა იყოს მისთანა; ხოლო თავადმან განუტევა იგი და ჰრქჳა:

39. მიიქეც სახიდ შენდა, და მიუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან. და წარვიდა ყოველსა მას ქალაქებსა, და ჰქადაგებდა, რა იგი ჰყო მისთჳს იესო.

40. და იყო მიქცევასა მას იესოსსა მუნვე; შეიწყნარა იგი ერმან მან, რამეთუ ყოველნივე მოელოდეს მას.

41. და აჰა ესერა, მოვიდა კაცი, და სახელი მისი იაიროს, და ესე მთავარი იყო შესაკრებელისა, და დავარდა ფერჴთა თანა იესოსთა, და ევედრებოდა მას, რათა შევიდეს სახლსა მისსა.

42. რამეთუ ასული მარტო ესვა მას, რომელი იყო ათორმეტის-წლის, და იგი მოკჳდებოდა, და მისლჳასა მას მისსა ერი იგი შეჰკრებებოდა მისა.

43. და იყო ვინმე დედაკაცი წყაროთა სისხლისათა ათორმეტით-წლითგან, რომელსა ყოველი მონაგები მისი წარეგო მკურნალთა ზედა, და ვერ ვის განეკურნა.

44. და მოვიდა ზურგით კერ-

მო და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა, და მეყსეულად დაჰსცხრა წყარო იგი სისხლისა მისისა.

45. და ჰსთქუა იესო: ვინ შემახო მე? და ვითარცა უარ-ჰყოფდეს ყოველნი, ჰრქუა პეტრე და მისთანათა: მოძღუარ! ერნი გარე-მოგადგან და შეგაიწრებენ შენ; და შენ იტყჳ: ვინ შემახო მე?

46. ხოლო იესო ჰრქუა: შევინმემახო მე, რამეთუ მე ვჰსცან ძალი განსრული ჩემგან.

47. და იხილა რა დედაკაცმან მან, რამეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძრწოლით და შეუვრდა მას, და რომლისა ბრალისა-თჳს შეახო, უთხრა წინაშე ყოვლისა ერისა, და ვითარ იგი მეყსეულად განიკურნა.

48. ხოლო იესო ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ; ვიდოდე მშჳდობით.

49. და ვითარ იგი ეტყოდა ოდენ, მოვინმევიდა შესაკრებელისმთავრისა მის და ჰრქუა მას, ვითარმედ ასული შენი მოკუდა, ნუ დააშრომ მოძღუარსა.

50. ხოლო იესოს ვითარცა ესმა, ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ, და ჰსცხოვნდეს იგი.

51. და ვითარცა მოვიდა იესო სახლსა მას, არავინ უტევა შესლუად მისთანა, გარნა პეტრე, და იაკობ, და იოანე, და მამა, და დედა მის ყრმისა.

52. ჰსტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს; ხოლო იესო ჰრქუა მათ: ნუ ჰსტირით; რამეთუ ყრმა ეგე არა მომკუდარ-არს, არამედ ჰსძინავს.

53. ხოლო იგინი ჰბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ მომკუდარ-იყო.

54. და თავადმან გამოასხა ყოველი, და უპყრა კელი ყრმისა მის, და კმა-უყო: ყრმაო! აღსდეგ.

55. და მოიქცა სული მისი; და მეყსეულად აღჰსდგა, და უბრძანა, რათა ჰსცენ მას ჭამადი.

56. და განუკჳრდებოდა მამადედათა მისთა. ხოლო თავადმან ამცნო მათ, რათა არავის უთხრან საქმე იგი.

## თავი 9.

1. და მოუწოდა იესო ათ-ორმეტთა მათ მოწაფეთა თჳსთა, და მიჰსცა მათ ძალი და კელმწიფება ყოველთა ზედა ეშმაკთა, და სენთა განკურნება.

2. და წარავლინნა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა, და განკურნებად უძლურთა.

3. და ჰრქუა მათ: ნურა რა გაქუნ გზასა ზედა, ნუცა კუერთხი, ნუცა გაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი გაქუნ.

4. და რომელსა სახლსა შეხჳდეთ, მუნ დაადგერით, და მიერ გამოვედით.

5. და რავდენთა არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამორასხჳდოდეთ მიერ ქალაქით, მტუერი ფერკთა

თქუენთაგან განიყარეთ საწამებე-
ლად მათდა.
6. და გამოვიდეს, მიმოვი-
დოდეს დაბნებსა მას, და ახარებ-
დეს, და განჰკურნებდეს სნეულთა
ყოველთა ადგილთა.
7. ესმნეს იროდის მეოთხედ
მთავარსა ყოველნი იგი საქმენი,
რომელნი მის მიერ იქმნებოდეს, და
განიზრახვიდა, რამეთუ იტყოდეს
ვინმე, ვითარმედ იოანე ნათლის-
მცემელი აღდგომილ-არს მკუდრე-
თით.
8. ხოლო რომელნიმე იტყო-
დეს: ილია გამოჩნდა, და სხუანი
იტყოდეს: წინასწარ-მეტყუელი
ვინმე პირველთაგანი აღდგომილ-
არს.
9. ხოლო იროდი ჰსთქუა: იო-
ანეს მე თავი მოვჰკუეთე; ხოლო
ესე ვინ არს, რომლისათჳს ესე
ვითარი მესმის, არა ვიცი. და უნ-
და ხილუა მისი.
10. და მოიქცეს მოციქულნი,
და უთხრეს იესოს, რაოდენი ჰქმ-
ნეს; და წარიყუანნა იგინი და გა-
ნეშორა თჳსაგან ადგილსა უდაბ-
ნოსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან
ბეთსაიდა.
11. ხოლო ერმან მან აგრძნა
და მიჰსდევდეს მას, და შეიწყნა
იგინი, და ეტყოდა მათ სასუფე-
ველისათჳს ღმრთისა, და რაოდენ-
თა უჴმდა განკურნებაჲ, განკურ-
ნებდა.
12. და ვითარცა იწყო დღე-
მან მიდრეკად, მოვიდეს ათ-ორ-
მეტნი იგი და ჰრქუეს მას: გა-
ნუტევე ერი ესე, რათა წარვიდენ
გარემო დაბნებსა და აგარაკებსა, და
დაადგრენ მუნ, და ჰპოვონ საზრ-
დელი თავისა მათისა, რამეთუ აქა
უდაბნოსა ადგილსა ვართ.
13. ხოლო იესო ჰრქუა მათ:
თქუენ ეცით მაგათ ჭამადი. და
მათ ჰრქუეს: არა არს ჩუენთანა
უფროს, გარნა ხუთი ხუეზა პუ-
რი და ორი თევზი; გარნა თუ
ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ ყო-
ველსა ამას ერსა საზრდელი?
14. რამეთუ იყვნეს კაცნი იგი
ვითარ ხუთ-ათას ოდენ. ჰრქუა
იესო მოწაფეთა თჳსთა: დაჰსხით
კაცები ეგე პურისმტეხ-პურის-
მტეხ ერგასეული.
15. და მათ ჰყუეს ეგრე, და
დაჰსხეს ყოველი იგი ერი.
16. ხოლო თავადმან მოიღო
ხუთი იგი პური და ორი თევზი,
და აღიხილნა თუალნი ზეცად, და
აკურთხნა იგინი, და დაჰმუსრა, და
მიჰსცემდა მოწაფეთა, რათა დაუ-
გონ ერსა მას.
17. და ჰსჭამეს, და განჰსძღეს
ყოველნი, და აღიღეს, რომელ იგი
დაუშთა მათ ნამუსრევი ათ-ორმე-
ტი გოდორი.
18. და იყო ლოცვასა მას
მისსა თჳსაგან, მისთანა იყვნეს
მოწაფენი; ჰკითხვდა მათ და ჰრ-
ქუა: ვინ მჰგონიე მე ერსა ამას,
და რა ჰსთქჳან ჩემთჳს ყოფად?
19. ხოლო მათ მიუგეს და ჰრ-
ქუეს: იოანე ნათლის-მცემელი, და
სხუათა ილია, და რომელნიმე იტ-
ყჳან: წინასწარ-მეტყუელი ვინმე
პირუელთაგანი აღდგომილ-არს.
20. ხოლო იესო ჰრქუა მათ:

თქუენ ვინ გგონივ მე? მიუგო
პეტრე დ~ ჰრქუა: ცხებული ღმრ-
თისა.
21. ხოლო თავადმან შეჰრი-
სხნა მათ დ~ ამცნო, რათა არავის
უთხრან ესე.
22. და ჰრქუა მათ, ვითარმედ
ჯერ-არს მისა კაცისა ფრიად ვნე-
ბა დ~ შეურაცხ-ყოფა მოხუცებულ-
თაგან, დ~ მღდელთ-მთავართა, დ~
მწიგნობართა, დ~ მოკლუად, დ~
მესამესა დღესა აღდგომად.
23. და იტყოდა ყოველთა მი-
მართ: რომელსა უნდეს შემოდ-
გომად ჩემდა, უარ-ჰყავნ თავი
თჳსი, დ~ აღიღენ ჯუარი თჳსი,
დ~ მომდევდინ მე.
24. რამეთუ რომელსა უნდეს
განრინებაჲ სულისა თჳსისა, წა-
რიწყმიდოს იგი; დ~ რომელმან წა-
რიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს,
მან ჰპოვოს იგი.
25. რა სარგებელ-არს კაცისა
შეთუიძინოს სოფელი ყოველი,
დ~ თავი თჳსი წარიწყმიდოს, გი-
ნა იზღჳოს?
26. რომელსა სირცხჳლ-უჩნ-
დეს ჩემდა მომართ დ~ სიტყუათა
ჩემთა, ამას მემანცა კაცისამან არც-
ხჳნოს, ოდეს მოვიდეს დიდები-
თა თჳსითა დ~ მამისათა, დ~ წმი-
დათა ანგელოსთა თანა.
27. გეტყჳ თქუენ: არიან
ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რო-
მელთა არა იხილონ გემო სიკუ-
დილისა, ვიდრემდე იხილონ სა-
სუფეველი ღმრთისა.
28. და იყო შემდგომად სიტ-
ყუათა მათ, ვითარ რვა ოდენ დღე, დ~
წარიყუანნა იესო; პეტრე დ~ ია-
კობ, დ~ იოანე, დ~ აღვიდა მთასა
ლოცვად.
29. და იყო ლოცვასა მას
მისსა ხილვაჲ პირისა მისისა სხუა,
დ~ სამოსელი მისი სპეტაკ დ~ ელ-
ვარე.
30. და აჰა ესერა, ორნი კაც-
ნი მისთანა ზრახვიდეს, რომელნი
იყვნეს მოსე დ~ ილია.
31. რომელნი გამოჩნდეს
დიდებითა დ~ იტყოდეს განსლუა-
სა მას მისსა, რომელი ეგულ-
ვებოდა აღსრულებად იერუსა-
ლიმს.
32. ხოლო პეტრე დ~ მისთა-
ნანი დამძიმებულ-იყვნეს ძილი-
თა, ხოლო განჰრაიღჳძეს, იხი-
ლეს დიდებაჲ მისი, დ~ ორნი
კაცნი მისთანა მდგომარენი.
33. და იყო განშორებასა მას
მათსა მისგან, ჰრქუა პეტრე იე-
სოს: მოძღუარ! კეთილ-არს ჩუენ-
და აქა ყოფა, დ~ ვჰქმნეთ აქა სამ
ტალავარ, ერთი შენდა, დ~ ერთი
მოსეს, დ~ ერთი ილიასა, რამეთუ
არა იცოდა რასა იტყოდა.
34. და ვითარცა ამას იტყო-
და, აჰა ღრუბელი აგრილობდა
მათ, დ~ შეეშინა მათ შესლუად
ღრუბელსა მას.
35. და ჴმა იყო ღრუბლით
გამო: ესე არს ძე ჩემი საყუარე-
ლი; ამისი ისმინეთ.
36. და ესე რა იყო ჴმა, იპო-
ვა იესო მარტო; დ~ მათ დაიდუ-
მეს, დ~ არავის უთხრეს მათ დღე-
თა შინა, რომელ იგი იხილეს.
37. და იყო მერმესა დღესა,

გარდამოსლჳასა მათსა მიერ მთით,
მოეგებოდა მას ერი მრავალი.
38. და აჰა კაცმან ვინმე და-
ღადჰყო ერსა მას შორის და ჰსთ-
ქჳა: მოძღჳარ! გევედრები შენ,
მოიხილე ძესა ზედა ჩემსა, რამე-
თუ ესე ხოლო მარტო მივის.
39. და სულმან უკეთურმან
შეიპყრის იგი, და მეყსეულად
ღაღად-ჰყჳს და დააკჳჱთის იგი, და
პეროინ, და ძნიად განეშორის
მისგან, და შეჰმუსრის იგი.
40. და ვევედრე მოწაფეთა
შენთა, რათამცა განაშორეს იგი;
და ვერ შეუძლეს.
41. ხოლო იესო მიუგო და
ჰრქჳა: ჵი ნათესავი ურწმუნო და
გჳლარძნილი! ვიდრემდე ვიყო
თქჳჱნ თანა და თავს-ვიდებდე
თქჳჱნსა? მომგჳარე მე აქა ძეჲ
შენი.
42. და ვიდრე იგი მოვიდო-
და, დააკჳჱთა იგი ეშმაკმან მან,
და აძრწოლებდა მას; შეჰრისხნა
იესო სულსა მას არაწმიდასა, და
განჰკურნა ყრმაჲ იგი და მიჰსცა
მამასა თჳსსა.
43. და განუკჳრდებოდა ყო-
ველთა, დიდებასა მას ზედა ღმრ-
თისასა და ყოველნი დაკჳრვებულ-
იყჳნეს ყოველსა მას ზედა, რო-
მელსა იქმოდა იესო: ხოლო იე-
სო ჰრქჳა მოწაფეთა თჳსთა:
44. დაისხენით თქჳჱნ სიტ-
ყჳანი ესე ყურთა თქჳჱნთა, რა-
მეთუ ძე კაცისა მიცემად არს კელ-
თა კაცთასა.
45. ხოლო იგინი უმეცარ-
იყჳნეს სიტყჳასა ამას ზედა, და
იყო დაფარულ მათგან, რათა ვერ
გულის-კმა-ჰყონ იგი; და ეშინო-
და მათ კითხჳად მისა სიტყჳსა
ამისთჳს.
46. შევიდა მათდა გულის
სიტყჳაცა, ვინ მი უდიდეს იყოს
შორის მათსა.
47. ხოლო იესო იცნოდა გუ-
ლის ზრახჳანი მათნი, და მოიყ-
ჳანა ყრმაჲ, და დაადგინა იგი
წინაშე მათსა,
48. და ჰრქჳა მათ: რომელ-
მან შეიწყნაროს ესე ყრმაჲ სახე-
ლითა ჩემითა, მე შემიწყნარა, და
რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწ-
ყნაროს მომავლინებელი ჩემი, ხო-
ლო უმცირესი თქჳჱნ ყოველთა
შორის იგი არს დიდ.
49. მიუგო იოანე და ჰრქჳა:
მოძღჳარ! ვიხილეთ ვინმე, რო-
მელი სახელითა შენითა ეშმაკთა
განასხმიდა, და ჩჳჱნ ვაყენებდით
მას; რამეთუ არა შემოგჳდგეს
ჩჳჱნ.
50. ჰრქჳა მას იესო: ნუ აყე-
ნებთ, რამეთუ რომელი არა არს
ჩჳჱნდა მტერ, იგი ჩჳჱნ კერძო
არს.
51. და იყო აღსრულებასა მას
დღეთა ამაღლებისა მისისათა, და
თავადმან დაამტკიცა პირი თჳსი
აღსლჳად იერუსალიმად.
52. და წარავლინნა მოციქულ-
ნი წინაშე მისსა; და იგინი წარ-
ვიდეს, და შევიდეს დაბასა სამა-
რიტელთასა, რათა მორამე უმზა-
დონ მას.
53, და არა შეიწყნარნეს იგი-

ნი, რამეთუ პირი მისი იყო მი-
სლვად იერუსალიმად.
54. ვითარცა იხილეს მოწაფე-
თა მისთა, იაკობ და იოანე, ჰსთ-
ქუეს: უფალო! გნებავს, რათა
ვჰსთქუათ, და ცეცხლი გარდამოჰ-
კდეს ზეცით, და აღჰხოცნეს იგი-
ნი, ვითარცა ილია ჰყო?
55. მიექცა იესო და შეჰრის-
ხნა მათ, და ჰრქუა: არა იცით,
რომლისა სულისანი ხართ თქუენ.
56. რამეთუ ძე კაცისა არა
მოვიდა წარწყმედად სულსა კაც-
თასა, არამედ ცხოვრებად. და წარ-
ვიდეს სხუასა დაბასა.
57. და იყო სლვასა მას მათ-
სა გზასა ზედა, ჰრქუა ვინმე მას:
მიგდევდე შენ, ვიდრეცა მიხვალ.
58. ჰრქუა მას იესო: მელთა
ხურელი უჩნს, და მფრინველთა
ცისათა საყოფელი; ხოლო ძესა
კაცისასა არა აქუს, სადა თავი
მიიდრიკოს.
59. ხოლო სხუასა ჰრქუა: შენ
მომდევდი მე; და მან ჰრქუა: უფა-
ლო! მიბრძანე მე პირველად მის-
ლვად და დაფლვად მამისა ჩემისა.
60. ჰრქუა მას იესო: აცადენ
მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუ-
დართა; ხოლო შენ წარვედ, და
მიმოჰსდევ სასუფეველი ღმრთისა.
61. ჰრქუა მას სხუამან: მეცა
მიგდევდე შენ, უფალო! ხოლო
პირველად მიბრძანე მე ჯმნაჲ სახ-
ლეულთა ჩემთაგან.
62. ჰრქუა მას იესო: არა ვინ დაჰს-
ხდჳს ჴელი სახნუელსა, და ჰხედავნ
იგი გარეშე უკუნ, და წარმართებულ
არნ სასუფეველსა ღმრთისასა.

თავი 10.

1. და ამისა შემდგომად გამო-
ირჩინა უფალმან სხუანი სამეოც-
და-ათნი, და წარავლინნა იგინი
ორ-ორი წინაშე მისსა ყოველსა
ქალაქებსა და დაბნებსა, ვიდრეცა
ეგულვებოდა მას მისლვად.
2. და ეტყოდა მათ: სამკალი
ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცი-
რედ; ევედრენით უკუე უფალსა
სამკალისასა, რათა მოავლინნეს
მუშაკნი სამკალსა თჳსსა.
3. წარვედით; აჰა ესერა, მიგა-
ვლინებ თქუენ, ვითარცა კრავთა
შორის მგელთა.
4. ნუ წარგაქუნ ბალანტი,
ნუცა ვაშკარანი, ნუცა შესასხმელი
ფერხთა, და ნუცა ვის გზასა ზედა
მოიკითხავთ.
5. და რომელსაცა სახლსა
შეჰხჳდეთ, პირველად ჰსთქუთ:
მშჳდობა სახლსა ამას.
6. და უკეთუ იყოს მუნ ძე
მშვიდობისა, განისუენოს მის
ზედა მშჳდობამან თქუენმან; უკე-
თუ არა, თქუენდავე მოიქცეს.
7. მასვე სახლსა შინა იყუე-
ნით, ჰსჭამდით და ჰსუემდით მათ
თანა, რამეთუ ღირს-არს მუშაკი
სასყიდლისა თჳსისა; ნუ მიჰსხუალთ
სახლითი სახლად.
8. და რომელსა ქალაქსა შეჰხჳ-
დეთ, და შეგიწყნარნენ თქუენ, ჰს-
ჭამდით წინა-დაგებულსა თქუენსა.
9. და განჰკურნებდით მას ში-
ნა უძლურთა, და ეტყოდეთ მათ:
მოახლებულ-არს თქუენ ზედა სა-
სუფეველი ღმრთისა.

10. და რომელსა ქალაქსა შეჰ-
ხჳდეთ, და არა შეგიწყნარნენ
თქუენ, გამორახჳდოდეთ უბანთა
მისთა, არქუთ მათ:
11. აჰა ესერა, მტუერი, რო-
მელ აღეკრა ფერჴთა ჩუენთა ქა-
ლაქისაგან თქუენისა, განვიყრით
თქუენ ზედა; გარნა ესემცა უწ-
ყით, რამეთუ მოახლებულ-არს
სასუფეველი ღმრთისა.
12. გეტყჳ თქუენ: სოდო-
მელთა უმოლხინეს იყოს მას დღე-
სა შინა, ვიდრე ქალაქისა მის.
13. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და
ვაჲ შენდა, ბეთსაიდა, რამეთუ
ტჳროს და სიდონს თუმცა იქმნ-
ნეს ძალნი, რომელ იქმნნეს თქუენ
შორის, პირველვემცა ძაძითა
და ნაცარსა ზედა მსხდომარე-
თა შეინანეს.
14. ხოლო ტჳროსი და სიდო-
ნი უმოლხინეს იყოს სასჯელსა
მას, ვიდრე თქუენ.
15. და შენ, კაპერნაუმ, ნუ
ცადმდე აჰმაღლდები, არამედ ჯო-
ჯოხეთადმდე შთაჰჴდე.
16. რომელმან თქუენი ის-
მინოს, ჩემი ისმინა; და რომელ-
მან თქუენ შეურაცხ-გყუნეს, მე
შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე
შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-ჰყოფს
მომავლინებელსა ჩემსა.
17. და მოიქცეს სამეოცდა-
ათნი იგი სიხარულითა, და იტ-
ყოდეს: უფალო! ეშმაკნიცა და-
გუემორჩილებიან სახელითა შე-
ნითა.
18. ჰრქუა მათ იესო: ვჰხე-
დევდ ეშმაკსა, ვითარცა ელუასა
ზეცით გარდამოვრდომილსა.
19. აჰა, მიგცემ თქუენ ჴელ-
მწიფებასა დათრგუნვად გუელთა
და ღრიანკალთა, და ყოველსა ზე-
და ძალსა მტერისასა, და თქუენ
არა რა გავნოს.
20. ხოლო ამას ზედა ნუ გი-
ხარინ, რამეთუ სულნი უკეთურ-
ნი დაგემორჩილებიან; არამედ
გიხაროდენ, რამეთუ სახელები
თქუენი დაიწერა ცათა შინა.
21. მას ჟამსა შინა იხარებდა
იესო სულითა და ჰსთქუა: აღგი-
არებ შენ, მამაო, უფალო ცისა
და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფა-
რე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა,
და გამოუცხადე ესე ჩჩჳლთა. ჰე
მამაო! რამეთუ ესრეთ სათნო-იყო
შენ წინაშე.
22. და მიექცა მოწაფეთა, და
ჰრქუა: ყოველივე მომეცა მე მა-
მისა ჩემისა მიერ; და არავინ
იცის ვინ არს მამა, გარნა ძემან,
და არცა ვინ იცის, ვინ არს ძე,
გარნა მამამან, და ვისა უნდეს ძე-
სა გამოცხადნების, გამოუცხა-
დოს.
23. და მიექცა მოწაფეთა მის-
თა თჳსაგან, და ჰრქუა: ნეტარ-არი-
ან თუალნი, რომელნი ჰხედუენ,
რომელსა თქუენ ჰხედავთ, და ეს-
მის, რომელი თქუენ გესმის!
24. ხოლო გეტყჳ თქუენ,
რამეთუ მრავალთა წინასწარ-მეტ-
ყუელთა და მეფეთა უნდა ხილუა,
რომელსა თქუენ ჰხედავთ, და ვერ
იხილეს, და სმენად, რომელი
თქუენ გესმის, და ვერ ესმა.

25. და აჰა ესერა, ჰსჯულის-მეცნიერი ვინმე აღჰსდგა, და გამოსცდიდა იესოს და ეტყოდა: მოძღუარ! რა ვჰქმნე, რათა ცხოვრება საუკუნო დავიმკჳდრო?

26. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: ჰსჯულსა ვითარ წერილ-არს? ვითარ აღმოიკითხავ?

27. ხოლო მან ჰრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა ძალითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.

28. ჰრქუა მას იესო: მართლ-მომიგე; მაგას იქმოდე, და ჰსცხონდე.

29. ხოლო მას უნდა განმართლებად თავი თჳსი, და ჰრქუა იესოს: და ვინ არს მოყუას ჩემდა?

30. მიუგო იესო და ჰრქუა: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალიმით იერიქოდ, და ავაზაკნი დაესხნეს, განჰსძარცუეს იგი, დაჰსწყლეს, და წარვიდეს, და დაუტევეს მწუდარი.

31. ხოლო დამთხუევით მღუდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა, და იხილა იგი, და თანა-წარჰვდა.

32. და ეგრეთვე ლევიტელი მასვე ადგილსა მივიდა, იხილა იგი, და თანა-წარჰვდა.

33. მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა, მოვიდა მასვე ადგილსა, იხილა იგი, და შეეწყალა.

34. და მოვიდა მისა და შეუხჳა წყლული იგი, დაასხა ზეთი და ღჳნოჲ; და აღსუა იგი კარაულსა თჳსსა, და მოიყუანა იგი ყოველთასა მას სადგურსა, და იღუაწა იგი.

35. და ხუალისაგან გამორავიდოდა, ორი დრაჰკანი მიჰსცა ყოველთა სადგურის მოღუაწესა მას და ჰრქუა: იღუაწე ეგე; და სხუა თუ რამე წარაგო უმეტესი, მორავიდე მიგცე შენ.

36. ვინ უკუე ამათ სამთაგანი გგონიეს შენ მოყუას მისსა, რომელ იგი შეჰვარდა ავაზაკთა მათ?

37. ხოლო მან ჰსთქუა: რომელმან ჰყო წყალობა მის თანა. ჰრქუა მას იესო: ვიდოდე და ჰყოფდ შენცა ეგრეთვე.

38. და იყო ვითარცა წარვიდეს ესენი, და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე, და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომლისა სახელი მართა, და შეიყუანა თავადი სახიდ თჳსა.

39. და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი დაჰსჯდა ფერკთა თანა იესოსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა.

40. ხოლო მართა მიმოდა ჰზრუნვიდა მრავლისა მსახურებისათჳს, ზედა-მიადგა და ჰრქუა: უფალო! არა იღუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტო დამიტევა მე მსახურებად? არქუ მას, რათა შემეწეოდეს მე.

41. მიუგო იესო და ჰრქუა მას: მართა! მართა! ჰზრუნავ და შფოთ-ხარ მრავლისათჳს; აქა ერთისა არს საკმარ.

*

42. ხოლო მარიამ კეთილი
ნაწილი გამოირჩია, რომელი არა-
სადა მიეღოს მისგან.

## თ ა ვ ი 11.

1. და იყო ადგილსა, რომელ-
სამე თავადი ილოცჳდა, და ვი-
თარცა დაჰსცხრა ლოცჳსაგან, ჰრ-
ქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან:
უფალო! გუასწავე ლოცუაჲ, ვი-
თარცა იოანე ასწავა მოწაფეთა
თჳსთა.
2. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ:
რაჟამს ილოცჳდეთ, ჰსთქუთ: მა-
მაო ჩუჱნო, რომელი ხარ ცათა
შინა! წმიდა იყავნ სახელი შენი;
მოვედინ სუფევა შენი; იყავნ ნე-
ბა შენი, ვითარცა ცათა შინა,
ეგრეცა ქუჱყანასა ზედა.
3. პური ჩუჱნი არსობისა
მომეც ჩუჱნ დღითი დღედ;
4. და მომიტევენ ჩუჱნ ცოდ-
უანი ჩუჱნნი, და რამეთუ ჩუჱნ-
ცა მიუტევებთ ყოველთა თანა-
მდებთა ჩუჱნთა; და ნუ შემიყუა-
ნებ ჩუჱნ განსაცდელსა, არამედ
მიხსნენ ჩუჱნ ბოროტისაგან.
5. და ეტყოდა მათ: ვის
თქუჱნგანსა ესუას მეგობარი, და
მივიდეს მისა შუა-ღამესა, და ჰრ-
ქუას მას: მეგობარო! მავასხენ მე
სამნი პურნი;
6. რამეთუ მეგობარი მოვიდა
ჩემდა გზით და არა რა მაქუს, რა
დაუგო მას.
7. მან მიუგოს შინათ-გამო
და ჰრქუას: ნუ შრომასა შემამთ-
ხუჱვ მე; რამეთუ კარი დახშულ-
არს, და ყრმანი ჩემნი ჩემთანა
არიან სარეცელსა ზედა; ვერ მალ-
მიძს აღდგომად და მიცემად შენდა.
8. გეტყჳ თქუჱნ, დაღაცათუ
არა ემლოს მას აღდგომად და მი-
ცემად, რამეთუ არს იგი მე-
გობარ მისა, წყინებისა მისთჳს
მისისა აღჰსდგეს და მიჰსცეს, რა-
ოდენი უჴმდეს მას.
9. ხოლო მე გეტყჳ თქუჱნ:
ითხოვდით, და მოგეცეს თქუჱნ;
ეძიებდით, და ჰპოვოთ; ირეკდით,
და განგეღოს თქუჱნ.
10. რამეთუ ყოველი, რომე-
ლი ითხოვდეს, მოიღოს, და რო-
მელი ეძიებდეს, ჰპოვოს, და რო-
მელი ირეკდეს, განეღოს.
11. ვის უკუჱ თქუჱნგანსა მა-
მასა ჰსთხოვდეს ძე პურსა, ნუ
უკუჱ ქუაჲ მიჰსცეს მას? გინათუ
თევზსა ჰსთხოვდეს, ნუ უკუჱ თევ-
ზისა წილ გუჱლი მიჰსცესა მას?
12. გინათუ კუჱრცხსა ჰსთ-
ხოვდეს, ნუ უკუჱ ღრიაკალი მიჰ-
სცეს მას?
13. უკეთუ თქუჱნ, უკეთურ-
თა, იცით მისაცემელი კეთილი
მიცემად შჳლთა თქუჱნთა; რაო-
დენ უფროს მამამან ზეცით მოჰ-
სცეს სული წმიდაჲ, რომელნი
ჰსთხოვდენ მას.
14. და კაცისა ვისგანმე გა-
ნაძო ეშმაკი, რომელი იყო ყრუ;
და იყო განსლუასა მას ეშმაკისა-
სა, იტყოდა ყრუ იგი; და უკჳრ-
და ყოველსა მას ერსა.
15. ხოლო რომელთამე მათ-
განთა ჰსთქუჱს: ბელზებულითა

მთავრითა, მით ეშმაკთათა განასხამს ეშმაკთა.

16. და სხუანი ვინმე გამოცდით სასწაულსა ზეცით ითხოვდეს მისგან.

17. ხოლო თავადმან იცნოდა ზრახუანი მათნი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფება, რომელი თავსა თჳსსა განევლთის, მოოჴრდის, და სახლი სახლსა ზედა დაეცის.

18. და უკეთუ ეშმაკი თავსა თჳსსა განევლთა, ვითარ დაჰმტკიცნეს მეუფება მისი? რამეთუ იტყჳთ ჩემთჳს, ვითარმედ ბელზებულითა განასხამ ეშმაკთა.

19. უკეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა; ძენი თქუენნი რაჲთა განასხმენ? ამისთჳს იგინივე მსაჯულ გექმნენ თქუენ.

20. უკეთუ მე თითითა ღმრთისათა განვასხამ ეშმაკთა, მოსამწევნულ-არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისა.

21. რაჟამს ძლიერი შეჭურვილი ჰსცჳდეს ეზოსა თჳსსა, მშჳდობით არნ მონაგები მისი.

22. და ოდეს უძლიერესი მისი ზედა მოუჴდის, ჰსძლის მას, და საჭურველი მისი მოუღის, რომელსა იგი ესჳდა, და ნატყუენავი მისი განუყჳს.

23. რომელი არა არს ჩემთანა, მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემთანა, იგი განაბნევს.

24. რაჟამს სული არა-წმიდა განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა, და ეძიებნ განსუენებასა, და არა ჰპოვის, ჰსთქჳს: მივიქცე სახლსავე ჩემსა, ვინაცა გამოვედ.

25. და მოვიდის და ჰპოვის იგი განშუენებული და შემკული.

26. მაშინ წარვიდის და მოიყუანნის სხუანი შჳდნი სულნი უბოროტესნი მისსა, და შევიდის, და დაიმკჳდრის მას შინა; და იქმნის უკანასკნელი კაცისა მის უძჳრეს პირველისა.

27. და იყო ვიდრე იტყოდადა იგი ამას, აღვინმეიღო დედაკაცმან ჴმა ერსა მას შორის და ჰრქუა მას: ნეტარ-არს მუცელი, რომელმან გიტჳრთა შენ, და ძუძუნი რომელთა ჰსწოვდი!

28. ხოლო თავადმან ჰრქუა: არამედ ნეტარ-არიან, რომელთა ისმინონ სიტყუა ღმრთისა და დაიმარხონ იგი!

29. და ვითარცა შეკრბებოდა ერი იგი, იწყო სიტყუად მათდა: ნათესავი ესე ნათესავი ბოროტი არს; სასწაულსა ითხოვს, და სასწაული არა ეცეს მას, არამედ სასწაული იონა წინასწარ-მეტყუელისა.

30. ვითარცა იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრეთ იყოს ძე კაცისა ნათესავსა ამას.

31. დედოფალი იგი სამხრისა აღჰსდგეს სასჯელსა მას კაცთათანა ამის ნათესავისათა და დაჰსჯიდეს მათ; რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისათ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა; და აჰა ესერა, უფროს სოლომონისსა არს აქა.

32. კაცნი იგი ნინეველნი აღჰს-

სდგენ სასჯელსა მას ნათესავისა
ამის თანა და დაჰსჯიდენ მათ; რა-
მეთუ შეინანეს ქადაგებასა მას
იონასსა; და აჰა ესერა, უფროს
იონასსა არს აქა.
33. არავინ აღანთის სანთელი
და დაჰსდგის ფარულად, გინა საწ-
მირსა ქუეშე, არამედ სასანთლესა
ზედა; რათა შემავალნი ჰხედვიდენ
ნათელსა.
34. სანთელი გუამისა არს
თუალი; ოდეს თუალი შენი გან-
მარტებულ-იყოს, ყოველი გუამი
შენი ნათელ იყოს; და უკეთუ
თუალი შენი ბოროტ იყოს, ყო-
ველი გუამი შენი ბნელ-იყოს.
35. იხილე, ნუ უკუე ნათე-
ლი იგი შენ შორის ბნელ იყოს.
36. უკეთუ ყოველი გუამი
შენი ნათელ-არს, და არა აქუნდეს
ადგილი რამე ბნელისა, იყოს იგი
ყოვლად-ნათელ, ვითარცა იგი
სანთელი ელჳთა განგანათლოს
შენ.
37. და ვითარცა იტყოდა ამას
თავადი, ჰლოცვიდა ვინმე ფარი-
სეველი, რათა პური ჰსჭამოს მის-
თანა. და შევიდა, და დაჰსჯდა.
38. ხოლო ფარისეველმან მან,
ვითარცა იხილა, უკჳრდა, რამე-
თუ პირველად არა იბანა ვიდრე
სადილობადმდე.
39. ჰრქუა მას უფალმან: აწ
თქუენ ფარისეველთა, გარეშე სა-
სუმლისა და პინაკისა განჰსწმი-
დეთ, და შინაგანი თქუენი სავსე
არიან ნატაცებითა და უკეთურე-
ბითა.
40. ორგულნო! ანუ არა რო-
მელმან იგი გარეშე შეჰქმნა, მან-
ვე შინაგანი შეჰქმნა?
41. გარნა ესე, რომელი ჯერ-
არს, მიეცით მოწყალებად; და აჰა
თქუენი ყოველი წმიდა არს.
42. არამედ ვაჲ თქუენდა,
ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა
აღიღებთ პიტნაკისა, და ტეგანი-
სასა, და ყოვლისა მხლისასა, და
თანა წარჰვლით სამართალსა და
სიყუარულსა ღმრთისასა; ესე ჯერ-
იყო ყოფად, და იგი არა დატე-
ვებად.
43. ვაჲ თქუენდა, ფარისე-
ველნო ორგულნო, რამეთუ გი-
ყუარს თქუენ ზემო-ჯდომა შესა-
კრებელთა შორის და მოკითხუა
უბანთა ზედა.
44. ვაჲ თქუენდა, მწიგნო-
ბარნო და ფარისეველნო, ორგულ-
ნო, რამეთუ ხართ ვითარცა საფ-
ლავნი უჩინონი, და კაცნი ზედა
ჰვლენ და არა იციან.
45. მიუგო ჰსჯულის მეცნი-
ერმან ვინმე და ჰრქუა მას: მოძ-
ღუარ! მაგას რა იტყჳ, ჩუენცა
გუაგინებ.
46. ხოლო თავადმან ჰრქუა
მას: თქუენდაცა ჰსჯულის მეცნი-
ერთა ვაჲ არს, რამეთუ აღჰკიდით
კაცთა ტჳრთი მძიმად-სატჳრთავი,
და თქუენ ერთითაცა თითითა არა
შეახით ტჳრთსა მას.
47. ვაჲ თქუენდა, რამეთუ
აშენებთ საფლავებსა წინასწარ-მე-
ტყუელთასა; ხოლო მამათა თქუენ-
თა მოჰსწყჳდნეს იგინი.
48. ეწამებით სამე და თანა
სათნო ეყოფით საქმესა მამათა

თქუენთასა, რამეთუ მათ მოჰსწყჳდნეს იგინი, და თქუენ საფლავთა მათთა აშენებთ.

49. ამისთჳსცა იგი სიბრძნემან ღმრთისამან ჰსთქუა: მოვავლინნე მათდა წინასწარ-მეტყუელნი და მოციქულნი, და მათგანნი მოჰსწყჳდნენ და ჰსდევნნენ;

50. რათა იძიოს სისხლი ყოველთა წინასწარ-მეტყუელთა, დათხეული დასაბამითგან სოფლისათ ნათესავისა ამისგან,

51. სისხლითგან აბელისით ვიდრე სისხლადმდე ზაქარიასა, რომელი წარჰსწყმდა შორის საკურთხეველისა მის და ტაძრისა; ჰე, გეტყჳ თქუენ, იძიოს ნათესავისა ამისგან.

52. ვაჲ თქუენდა ჰსჯულის მოძღუართო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ შეარახუალთ და შემავალთა აყენებთ.

53. და ვითარ იგი თავადი ეტყოდა მათ ამას წინაშე ყოვლისა მის ერისა, იწყეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა განზრახუად ბოროტისა, და უმნდა სიტყუა იგი, და ჰგმობდეს მას მრავლისა მისთჳს სიტყჳსა,

54. და უმზირდეს მას, პოვნად რასამე სიტყუასა პირისაგან მისისა, რათა შეასმინონ იგი.

## თავი 12.

1. რომელთა ზედა შეკრებულ-იყო ბევრეული ერი, ვიდრე დაჰსთრგუნვიდეს ურთიერთარს, იწყო პირველად სიტყუად მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: ეკრძალენით თავთა თქუენთა ცომისაგან ფარისეველთასა, რომელ არს ორგულება.

2. ხოლო არა რაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოჰსცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ-იყოს.

3. ამისთვის, რომელი ბნელსა შინა ჰსთქუათ, ნათელსა შინა ისმეს, და რომელსა ყურსა ეტყოდეთ საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერდოთა ზედა.

4. ხოლო გეტყჳ თქუენ, მეგობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოჰსწყჳდნენ ხორცნი, და ამისა შემდგომად ვერა რაჲ აქუს უმეტესი, რაჲ გიყონ თქუენ.

5. ხოლო გიჩუენო თქუენ, ვისა გეშინოდეს: გეშინოდენ მისა, რომელსა შემდგომად მოწყუედისა კელეწიფების შთაგდებად გეჰენიასა: ჰე, გეტყჳ თქუენ, მისა გეშინოდენ.

6. ანუ არა ხუთი სირი განისყიდების ორის ასარის? და ერთიცა მათგანი არა არს დაფარულ წინაშე ღმრთისა.

7. არამედ თმანიცა თავისა თქუენისანი ყოველნი განრაცხილ არიან. ნუ უკუე გეშინინ; რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ.

8. ხოლო გეტყჳ თქუენ: ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, ძემან-

ცა კაცისამან აღიაროს იგი წინა-
შე ანგელოსთა ღმრთისასა.
9. და რომელმან უარ-მყოს
მე წინაშე კაცთა, უარ-იქმნეს იგი-
ცა წინაშე ანგელოსთა ღმრთისათა.
10. და ყოველმან, რომელმან
ჰსთქუას სიტყუაჲ ძისა მიმართ
კაცისა, მიეტეოს მას; ხოლო სუ-
ლისა წმიდისა მგმობარსა არა მიე-
ტეოს.
11. და ოდეს შეგიყუანნენ
თქუენ მესაკრებელთა, და წინაშე
მთავართა და ჴელმწიფეთა; ნუ
ჰზრუნავთ, ვითარ, ანუ რა სიტ-
ყუა მიუგოთ, ანუ რა ჰსთქუათ;
12. რამეთუ სულმან წმიდამან
გასწავოს თქუენ მას ჟამსა შინა,
რა იგი ჰსთქუათ.
13. ჰრქუა ვინმე მას მის ერი-
საგანმან: მოძღუარ! არქუ ძმა-
სა ჩემსა, რათა განმიყოს მე სამ-
კჳდრებელსა.
14. ხოლო თავადმან ჰრქუა
მას: კაცო, ვინ დამადგინა მე
მსაჯულად და განმყოფელად თქუე-
ნდა?
15. და ეტყოდა მათ: ეკრძა-
ლენით და დაიცუენით თავნი
თქუენნი ყოვლისაგან ანგარები-
სა, რამეთუ არა ნამეტნავ ვისამე
არს ცხორება მისი ნაყოფთა მის-
თაგან.
16. და ეტყოდა მათ იგავსაცა
და ჰრქუა მათ: კაცისა ვისმე მდი-
დრისა ნაყოფიერ-იყო აგარაკი;
17. და განიზრახჳდა გულსა
შინა თჳსსა და ჰსთქუა: რაჲმე
ვჰყო, რამეთუ არა მაქუს, სადა შე-
ვიკრიბო ნაყოფი ჩემი?
18. და ჰსთქუა: ესე ვჰყო,
დავარღჳვნე საუნჯენი ჩემნი და
უფროსნი აღვაშენნე, და შევიკ-
რიბო მუნ ყოველი ნაყოფი, და
კეთილი ჩემი.
19. და ვჰრქუა სულსა ჩემსა:
სულო! გაქუს მრავალი კეთილი,
დაუნჯებული მრავალთა წელთა;
განისუენე, ჰსჭამე და ჰსუ, და
იხარებდ.
20. ჰრქუა მას ღმერთმან:
უგუნურო! ამას ღამესა მიგიღონ
სული შენი შენგან; ესე, რომელ
მოიმზადე, ვისა იყოს?
21. ეგრეცა, რომელი იუნ-
ჯებდეს თავისა თჳსისა და არა
ღმრთისა მიერ განმჰსდიდრდებო-
დეს.
22. და ჰრქუა იესო მოწაფეთა
თჳსთა: ამისთჳს გეტყჳ თქუენ:
ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისა,
რა ჰსჭამოთ, და ნუცა ჴორცთა
თქუენთა, რა შეიმოსოთ.
23. რამეთუ სული უფროს-
არს საზრდელისა, და ჴორცნი სა-
მოსლისა.
24. განიცადენით ყორანნი:
რამეთუ არა ჰსთესუენ, არცა მკი-
ან; რომელთა არა აქუს საუნჯე,
ანუ სადა შეიკრიბონ, და ღმერთი
ჰზრდის მათ; რაოდენ თქუენ უმ-
ჯობეს ხართ მფრინველთა?
25. ვინმე უკუე თქუენგანი
ჰზრუნვიდეს და შეუძლოს შემი-
ნებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთ?
26. უკეთუ არცა უმცირესსა
შემძლებელ-ხართ, რაჲსადა სხუა-
სა მას ჰზრუნავთ.
27. განიცადენით შროშანნი,

ვითარ იგი აღორძნდების, არცა ჰშურების, არცა ჰსთავს; ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ არცა სოლომონ ყოველსა დიდებასა თჳსსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.

28. უკეთუ ველსა გარე, რომელი დღეს თივა არს, და ხვალე თორნესა შთაეგზნეს, ღმერთმან ესრე შეჰმოსის, რაოდენ უფროს თქუენ, მცირედ მორწმუნენო.

29. და თქუენ ნუ ეძიებთ, რა ჰსჭამოთ და რაჲ ჰსუათ, და ნუცა განჰსცხრებით.

30. რამეთუ ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ; ხოლო მამამან თქუენმან იცის, რა გიჴმს ამათ ყოველთაგანი.

31. გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ.

32. ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო-იყო მამამან თქუენმან ზეცათამან მოცემად თქუენდა სასუფეველი.

33. განჰყიდენით მონაგებნი თქუენნი, და მიეცით ქუელისსაქმე, და ჰყავთ თავისა თქუენისა საფასე, რომელი არა დაძუელდეს, და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა იგი მპარავი არა მიეხების, არცა მღილმან განჰრყუნის.

34. სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი.

35. იყუნედ წელნი თქუენნი მორტყმულ, და სანთელნი თქუენნი აღნთებულ.

36. და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თჳსსა, ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რათა რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყუსეულად განუღონ მას.

37. ნეტარ-იყუნენ იგი მონანი, რომელთა მოვიდეს უფალი მათი, და ჰპოვნეს იგინი მღჳძარენი; ამინ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მოირტყუნეს და დაჰსხნეს იგინი, წარმოუდგეს და მსახურებდეს მათ.

38. დაღათუ მეორესა საკმილავსა, და მესამესა მოვიდეს, და ჰპოვნეს ესრეთ, ნეტარ-იყუნენ იგინი.

39. ხოლო ესე უწყით, უკეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვალს, იღჳძებდამცა, და არა უტევა დათხრად სახლისა თჳსისა.

40. და თქუენცა იყუენით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისა მოვიდეს.

41. ჰრქუა მას პეტრე: უფალო! ჩუენდა მომართ ხოლო იტყჳ იგავსა ამას, ანუ სხუათა ყოველთა მიმართ?

42. და ჰრქუა იესო: ვინმე არს მნე იგი სარწმუნო და გონიერი, რომელი დაადგინოს უფალმან მონათა თჳსთა ზედა მიცემად იფქლი ჟამსა თჳსსა?

43. ნეტარ-არს იგი მონა, რომლისა მოვიდეს უფალი მისი და ჰპოვოს იგი ესრეთ მოქმედი.

44. ჭეშმარიტად გეტყჳ თქუენ,

რამეთუ ყოველთა ზედა მონაგებ-
თა მისთა დაადგინოს იგი.
45. უკეთუ ჰსთქუას მონამან
მან გულსა შინა თჳსსა: ჰყოვნის
უფალი ჩემი მოსლუად, და იწყოს
გუემად მონათა და მჴევალთა, და
ჭამად, და სუმად, და დათრობად.
46. მოვიდეს უფალი იგი მო-
ნისა მის დღესა, რომელსა არა
მოელოდეს, და ჟამსა, რომელი არა
იცის, და ორგან განჰკუეთოს იგი,
და ნაწილი მისი დაჰსდუას ურწ-
მუნოთა თანა.
47. ხოლო მონამან, რომელ-
მან იცის ნებაჲ უფლისა თჳსისა,
და არა განემზადოს ნებისაებრ მი-
სისა, იტანჯოს იგი ფრიად.
48. ხოლო რომელმან არა
იცის და ჰქმნეს რაჲმე ღირსი
ტანჯჳსა, იგუემოს მცირედ. რა-
მეთუ ყოველსა, რომელსა მიეცა
დიდად, დიდადცა მიეღოს მის-
გან, და რომელსა მიეცა ფრიად,
უმეტესი მოჰკადონ მას.
49. ცეცხლისა მოვედ მიფენად
ქუეყანასა ზედა და არა მნებავს,
რათა აწვე აღეგზნას.
50. ხოლო ნათლის-ღება მაქუს
ნათლის-ღებად, და ვითარ შეურ-
ვებულ-ვარ, ვიდრემდე აღესრუ-
ლოს.
51. ეგრე ჰგონებთ, ვითარ-
მედ მშჳდობისა მოვედ მიფენად
ქუეყანასა ზედა? არა, გეტყჳ
თქუენ, არამედ განყოფად.
52. რამეთუ იყუნენ ამიერით-
გან ხუთნი სახლსა შინა ერთსა
განყოფით, სამნი ორთაგან, და
ორნი სამთაგან.
53. განყოფად მამა ძისაგან, და
ძე მამისაგან; დედა ასულისაგან,
და ასული დედისაგან; დედამთილი
ძის ცოლისაგან მისისა, და ჰსძალი
დედამთილისაგან.
54. ეტყოდა იესო ერსაცა
მას: რაჟამს იხილოთ ღრუბელი,
აღმომავალი დასავალით, მეყუსეუ-
ლად ჰსთქუთ, ვითარმედ წჳმა მო-
აქუს, და არნ ეგრეთ.
55. და რაჟამს სამკრით ქარი
ჰქრინ, ჰსთქუთ, ვითარმედ სიც-
ხე იყოს და არნ ეგრე.
56. ორგულნო! პირისამე ქუე-
ყანისა და ცისა იცით გამოცდად,
ხოლო ჟამი ესე ვითარ არა გა-
მოიცადეთ?
57. ანუ რასა თავით თჳსით
არა ჰსჯით სამართალსა.
58. რამეთუ ოდეს მიხუალ
მოსაჯულისა შენისა თანა მთავ-
რისა წინაშე გზასა ზედა, მიეც
საქმარი განთავისუფლებად მის-
გან, ნუ უკუე მიგიყუანოს შენ
მსაჯულისა, და მსაჯულმან მიგცეს
შენ მეხარკესა, და მეხარკემან მიგ-
ცეს შენ საპყრობილედ.
59. გეტყჳ შენ: ვერ გამოჰხჳ-
დე მიერ, ვიდრემდე უკანასკნე-
ლიცა იგი მივეჰსცე მწულილი.

## თ ა ვ ი 13.

1. მოვინმე-სრულ-იყუნეს მას
ჟამსა ოდენ, და უთხრეს მას გა-
ლილეველთა მათთჳს, რომელთა
იგი სისხლი პილატე შეჰრია
მსხუერპლთა მათთა.
2. მიუგო იესო და ჰრქუა მათ:

ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეველნი ესე უფროს ყოველთა გალილეველთა იყუნეს ცოდვილ, რამეთუ ესე-ვითარი ევნო მათ?

3. გეტყჳ თქუჱნ: არა; არამედ უკეთუ არა შეინანოთ, ეგრე-ვე სახედ ყოველნი წარჰსწყმდეთ.

4. ანუ იგი, რომელ ათრუამეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა, და მოსწყჳდნა იგინი, ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანა-მდებ-იყუნეს უფროს ყოველთა კაცთა, რომელნი მკჳდრ-არიან იერუსალიმს?

5. გეტყჳ თქუჱნ: არა; არამედ უკეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარჰსწყმდეთ.

6. და ეტყოდა მათ იგავსა ამას: ლეღჳ ვისმე ედგა ნერგი სავენაკესა თჳსსა; მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან, და არა ჰპოვა.

7. და ჰრქუა ვენაკისა-მოქმედსა მას: აჰა ესერა, სამი წელი არს, ვინათგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლეღუსა ამას შინა, და არა ვჰპოვებ; მოჰკუჱთე ეგე; რასათჳს ქუჱყანასაცა დაუპყრიეს უქმად?

8. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო! უტევე ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოხნო მას გარემო და სკორე დაუდვა.

9. ჰყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკეთუ არა, მერმე მოჰკუჱთე იგი.

10. და ასწავებდა მათ იესო შესაკრებელსა ერთსა შაბათსა შინა.

11. და აჰა ესერა, დედაკაცი იყო, რომლისა თანა იყო სული უძლურებისა ათრუამეტ-წლითგან, და იყო იგი დაღონებულ, და ვერ ეძლო ზე აღხილუად ყოვლითურთ.

12. იხილა იგი იესო, მოუწოდა და ჰრქუა მას: დედაკაცო! განტევებულ-ხარ უძლურებისაგან შენისა.

13. და დასხნა მას ზედა კელნი; და მეყუსეულად აღემართა და ვიდოდა და ადიდებდა ღმერთსა.

14. მიუგო შესაკრებელის-მთავარმან მან რისხჳთ, რამეთუ შაბათსა განჰკურნა იგი იესო, და ეტყოდა ერსა მას: ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდეთ, და ნუ დღესა შაბათსა.

15. მიუგო მას იესო და ჰრქუა: ორგულო! კაცად-კაცადმან თქუჱნმან არა აღჰკსნისა შაბათსა შინა კარი, გინა ვირი ბაგათაგან მათთა, და წარიბის და ასჳს მას წყალი?

16. ხოლო ესე ასული აბრაამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა, აჰა ესერა, ათრუამეტი-წელი არს, არა ჯერ-იყოა განჰკსნად საკრუჱლთაგან მისთა დღესა შაბათსა?

17. და ამას რა იტყოდა თავადი, ჰრცხუჱნოდა ყოველთა წინა-აღმდგომთა მისთა, და ყოველსა მას ერსა უხაროდა, ყოველთა მათ ზედა დიდებულებათა მისთა, რომელნი იქმნებოდეს მის მიერ.

18. და იტყოდა: რასა ვამჰს-

გავსო სასუფეველი ღმრთისა? და
ვისა მჰსგავს-არს იგი?
19. მჰსგავს-არს იგი მარც-
ჳალსა მდოგჳსასა, რომელი მოი-
ღო კაცმან, და დაჰსთესა იგი
მტილსა თჳსსა; და აღორძნდა, და
იქმნა იგი ხე დიდ, და მფრინჳელ-
თა ცისათა დაიმკჳდრეს რტოთა
მისთა.
20. მერმე კჳალად ჰსთქჳა:
რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმ-
რთისა?
21. ვამჰსგავსო იგი ცომსა,
რომელი მოიღო დედაკაცმან და
შეჰრთო იგი ფქჳლსა სამსა საწ-
ყაულსა, ვიდრემდე აღაფუვნოს
ყოველი.
22. და მიმოვიდოდა ქალაქებ-
სა და დაბნებსა, და ასწავებდა და
წარიგზავნებოდა იერუსალიმად.
23. და ჰრქჳა ვინმე მას: უფალო!
უკეთუ მცირედ არიან ცხოვრებულ-
ნი? ხოლო თავადმან ჰრქჳა მათ:
24. იღჳაწეთ შესლჳად იწრო-
სა მისგან კარისა; ხოლო გეტყჳ
თქჳენ, მრავალნი ეძიებდენ შეს-
ლჳად, და ვერ უძლონ.
25. ვინადგან აღჰსდგეს სახ-
ლისა-უფალი და დაჰკშას კარი, და
გარეშე ჰსდგეთ, და იწყოთ რე-
კად კარსა, და ეტყოდეთ: უფალო!
უფალო! განგვიღე ჩჳენ; მოგი-
გოს და გჰრქჳას თქჳენ: არა გი-
ცნი თქჳენ, ვინანი ხართ.
26. მაშინ იწყოთ სიტყჳად:
ვჰსჭამდით წინაშე შენსა და ვჰსჳემ-
დით, და უბანთა ჩჳენთა ზედა
გჳასწავებდ.
27. და გრქჳას: არა გიცნი,
ვინანი ხართ; განმეშორენით ჩემ-
გან ყოველნი მოქმედნი უჰსჯუ-
ლოებისანი.
28. მუნ იყოს ტირილი და
ღრჭენა კბილთა, რაჟამს იხილოთ
აბრაჰამი, ისაკი და იაკობი, და ყო-
ველნი წინასწარ-მეტყჳელნი სა-
სუფეველსა ღმრთისასა, და თქჳენ
განსხმულნი გარეშე.
29. და მოვიდოდენ მზისა
აღმოსავალით, და მზისა დასავა-
ლით, ჩრდილოთ, და სამხრით,
და ინაკ-იდგმიდენ სასუფეველსა
ღმრთისასა.
30. და აჰა ესერა, არიან უკა-
ნასკნელნი, რომელნი იყჳნენ პირ-
ველ, და არიან პირველნი, რო-
მელნი იყჳნენ უკანასკნელ.
31. მას დღესა შინა მოვინმე-
ვიდეს იესოსა ფარისეველნი და
ეტყოდეს მას: განვედ, და წარვედ
ამიერ, რამეთუ იროდი გეძიებს
შენ მოკლჳად.
32. ხოლო თავადმან მიუგო
და ჰრქჳა მათ: მივედით და არქჳთ
მელსა მას: აჰა ესერა, განვასხამ
ეშმაკთა, და კურნებათა აღვასრუ-
ლებ დღეს და ხჳალე, და ზეგე აღ-
ვესრულები.
33. რამეთუ ჯერ-არს ჩემდა
დღეს და ხვალე, და ზეგე წარ-
სლჳად, რამეთუ ვერ ეგების წი-
ნასწარ-მეტყჳელი გარეშე იერუ-
სალიმსა წარწყმედად.
34. იერუსალიმ, იერუსალიმ,
რომელმან მოჰსწყჳდენ წინასწარ-
მეტყჳელნი, და ქჳა დაჰკრიბე მო-
ვლინებულთა შენდა! რავდენ გზის
მინდა შეკრება შჳლთა შენთა,

ვითარცა სახედ მფრინუელმან
თჳსნი მართუენი ფრთეთა ქუე-
შე, და არა ინებეთ!
35. აჰა ესერა, დაუტევნეთ
თქუენ სახლნი თქუენნი ოჴრად.
გეტყჳ თქუენ: არღარა მიხილოთ
მე ამიერითგან, ვიდრემდე ჰსთ-
ქუათ: კურთხეულ-არს მომავალი
სახელითა უფლისათა!

## თ ა ვ ი 14.

1. და იყო მორავიდა იესო
სახლსა ვისმე მთავრისა ფარისევე-
ლისასა, დღესა შაბათსა, ჭამად
პურისა; და იგინი უმზირდეს
მას.
2. და აჰა ესერა, იყო ვინმე
კაცი წყლით მანკიერი წინაშე
მისსა.
3. მიუგო იესო და ჰრქუა ჰსჯუ-
ლის-მოძღუართა მათ და ფარისე-
ველთა: უკეთუ ჯერ-არს შაბათსა
განკურნება?
4. ხოლო იგინი ჰსდუმნეს. და
მოიყუანა კაცი იგი, განჰკურნა,
და განუტევა.
5. და ჰრქუა მათ: ვისი თქუენ-
განისა შჳლი გინა ჴარი შთაჰვარ-
დეს ჯურღმულსა; არამე მეყუსე-
ულად აღმოიქუას იგი დღესა შა-
ბათსა?
6. და ვერა რა მიუგეს მას
ამისთჳს.
7. და ეტყოდა ჩინებულთა მათ
იგავსა და შეასწავებდა, ვითარ იგი
ზემო-ჯდომასა ირჩევდეს, და ეტ-
ყოდა მათ:
8. რაჟამს გხადოს ვინმე ქორ-
წილსა, ნუ დაჰსჯდები პირველსა
საინაკესა, ნუ უკუე უპატიოსნესი
შენსა იყოს ჩინებული მისგან;
9. და მოვიდეს, რომელმან იგი
შენ და მას გჰხადა, და გრქუას შენ:
ადგილ-ეც ამას; მაშინ იწყო სირ-
ცხჳლით უკანასკნელსა ადგილსა
დაპყრობად.
10. არამედ ოდეს გჰხადოს
ვინმე, მივედ და დაჰსჯედ უკანას-
კნელსა ადგილსა, რათა მოვიდეს,
რომელმან იგი გჰხადა შენ, და
გრქუას: მეგობარო! აღმოგუალე
ზემო-კერძო; მაშინ იყოს შენდა
დიდება წინაშე ყოველთა მეინაკე-
თა შენთა თანა.
11. რამეთუ ყოველმან, რო-
მელმან აღიმაღლოს თავი თჳსი,
იგი დამდაბლდეს, და რომელმან
დაიმდაბლოს თავი თჳსი, ამა-
ღლდეს.
12. ეტყოდა მასცა, რომელ-
მან იგი ჰსხადა მას: ოდეს ჰყოფ-
დე სამხარსა გინა სერსა, ნუ ჰხა-
დი მეგობართა შენთა, ნუცა ძმა-
თა შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა,
ნუცა მოძმეთა მდიდართა, ნუ
უკუე მათცა კუალად გჰხადონ
შენ, და გექმნეს შენ მოსაგებელ.
13. არამედ ოდეს ჰყოფდე
შენ სამხარსა, ჰხადე გლახაკთა
უმეცართა, მკელობელთა და ბრმათა;
14. და ნეტარ-იყო, რამეთუ
არა რა აქუს, რამცა მოგაგოს შენ;
და მოგეგოს შენ აღდგომასა მას
მართალთასა.
15. ესმა ვისმე მისთანა მეი-
ნაკესა ესე, და ჰრქუა მას: ნეტარ-

არს, რომელმან ჰსჭამოს პური
სასუფეველსა ღმრთისასა!
16. ხოლო თავადმან ჰრქუა
მას: კაცმან ვინმე ჰყო პური დი-
დი, და მოუწოდა მრავალთა.
17. და წარავლინა მონაჲ თჳ-
სი ჟამსა პურისასა, რათა ჰრქუას
ჩინებულთა მათ მოსლუად: რამე-
თუ აჰა ესერა, პური ჩემი მზა
არს ყოველი.
18. და იწყო თითოეულმან
ყოველმან ჯმნად. პირველმან მან
ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე, და-
უნებელი ზედა-მაძს მისლუად და
ხილუად იგი; გლოცავ შენ, გან-
მიტევე, ჯმნულმცა ვარ შენგან.
19. და სხუამან ჰსთქუა: უღ-
ლეული კართა ვიყიდე ხუთი, და
მივალ გამოცდად მათდა; გლო-
ცავ შენ, ჯმნულმცა ვარ.
20. და მერმე სხუამან ჰრქუა:
ცოლი შევირთე, და მისგამო ვერ
ჴელმეწიფების მოსლუად.
21. და მოვიდა მონა იგი და
უთხრა ესე უფალსა თჳსსა. მაშინ
განჰრისხნა სახლისა-უფალი იგი,
და ჰრქუა მონასა მას თჳსსა: გან-
ვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქა-
ლაქისათა, და გლახაკთა და უცხო-
თა, და ბრმათა და მკელობელთა
შემოჰხადე აქა.
22. და ჰსთქუა მონამან მან:
უფალო! იქმნა ბრძანება შენი, და
ადგილი არსღა.
23. და ჰრქუა უფალმან მონა-
სა მას: განვედ გზათა ზედა და
ფოლოცთა, და აიძულე შემო-
სლუად, რათა აღივსოს სახლი
ჩემი.

24. ხოლო გეტყუ თქუენ:
არავინ მათ კაცთაგანმან გემო-
იხილოს სერობისა ამის ჩემისა.
რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ,
და მცირედნი რჩეულ.
25. და შეჰკრბებოდა მისა ერი
მრავალი; მიექცა და ჰრქუა მათ:
26. რომელი მოვალს ჩემდა
და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი,
და ცოლი, და შჳლნი, და ძმანი, და
დანი, და მერმე კუალად სულიცა
თჳსი, ვერ ჴელ-ეწიფების მოწა-
ფე-ყოფად ჩემდა.
27. და რომელმან არა აღი-
ღოს ჯუარი თჳსი და შემომიდ-
გეს მე, ვერ ჴელ-ეწიფების მო-
წაფე-ყოფად ჩემდა.
28. ვისმე უკუე თქუენგანსა
უნდეს გოდოლი შენებად, არამეა
პირველად დაჰსჯდეს, და აღჰრაც-
ხოს, რაოდენი წარაგოს, უკეთუ
აქუს, რათა კმა-ეყოს მას აღსრუ-
ლებადმდე.
29. ნუ უკუე დადუას საფუ-
ძუელი და ვერ შეუძლოს აღსრუ-
ლებად მისა, და ყოველნი, რო-
მელნი ჰხედჳდენ მას, იწყონ კიც-
ხვად მისა.
30. და ჰსთქუან: ვითარმედ
კაცმან ამან იწყო შენებად, და ვერ
შეუძლო აღსრულებად?
31. ანუ რომელი მეფე მივალნ
სხჳსა მეფისა ბრძოლად, არამე
პირველად დაჰსჯდის და განიზრა-
ხის, უკეთუ შემძლებელ-არს ათი-
თა ათასითა შემთხუევად ოცითა
ათასითა მომავალსა მის ზედა?
32. უკეთუ არა, ვიდრე შორს-

და არიან, მოციქული მიუვლინის და მოიკითხის იგი მშჳდობით.

33. ეგრეცა ყოველმანვე თქუენგანმან, რომელმან არა იჯმნას ყოვლისაგან მონაგებისა თჳსისა, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე-ყოფად ჩემდა.

34. კეთილ-არს მარილი; უკეთუ მარილი იგი განჰქარდეს, რაჲთა დაიმარილოს? არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ-არს; არამედ გარე განჰსდჳან იგი. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

## თავი 15.

1. და იყჳნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდჳლნი მახლობელად მისა, და ისმენდეს მისსა.

2. და ჰსდრტჳნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი, და იტყოდეს, ვითარმედ ესე ცოდჳლთა შეიწყნარებს, და მათთანა ჰსჭამს და ჰსუამს.

3. და ეტყოდა მათ იგავსა ამას და ჰრქუა:

4. ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი, და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი, არამე დაუტევნესა ოთხმეოცდა-ათ-ცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა, და წარვიდეს წარწყმედულისა მისთჳს, ვიდრემდე ჰპოვოს იგი?

5. და ჰპოვოს რა, დაისუას იგი მჴართა თჳსთა ზედა სიხარულით;

6. და მორავიდეს იგი სახიდ თჳსსა, მოუწოდოს მეგობართა და მომმეთა და ჰრქუას მათ: ჩემთანა გიხაროდენ; რამეთუ ვჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული.

7. გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათჳს ცოდჳლისა, რომელმან შეინანოს, ვიდრელდარა ოთხმეოცდა-ათ-ცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უჴმს სინანული.

8. ვინა დედაკაცსა, რომელსა აქუნდა დრაქმა ათი, და წარჰსწყმიდის ერთი, არამე აღანთისა სანთელი, და მოჰჴმართის სახლი, და ეძიებნ გულს-მოდგინედ, ვიდრემდე ჰპოვის იგი?

9. და ჰპოვის რა, მოუწოდის მეგობართა და მომმეთა და ჰრქჳს მათ: ჩემთანა გიხაროდენ; რამეთუ ვჰპოვე დრაქმაჲ იგი, რომელი წარვჰსწყმიდე.

10. გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული წინაშე ანგელოსთა ღმრთისათა ერთსა ზედა ცოდჳლსა, რომელმან შეინანოს.

11. მერმე იტყოდა და ჰსთქუა: კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე;

12. და ჰრქუა უმრწემესმან მან მამასა თჳსსა: მამაო! მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკჳდრებელისა. და განუყო მათ საცხოვრებელი იგი.

13. და შემდგომად არა მრავალთა დღეთა, შეიკრიბა ყოველი უმრწემესმან მან ძემან, და წარვიდა შორსა სოფელსა, და მუნ განაბნია ნაყოფი იგი მისი, რამეთუ ჰსცხონდებოდა იგი არა-წმიდებით.

14. და ვითარცა წარაგო მან
ყოველივე მისი, იყო სიყმილი
ძლიერი მას სოფელსა, და იწყო
მან მოკლებად.
15. და მივიდა, და შეუდგა
ერთსა მოქალაქესა მის სოფლი-
სასა; ხოლო მან წარავლინა იგი
ველად თჳსსა მოვნად ღორთა.
16. და გული ეტყოდა გან-
ძღებად მუცლისა რქისა მისგან,
რომელსა ჰსჭამდეს ღორნი; და არა-
ვინ ჰსცის მას.
17. და მოეგო რა თავსა თჳს-
სა, ჰსთქუა: რავდენთა სასყიდ-
ლით-დადგინებულთა მამისა ჩემი-
სათა ჰმატს პური, და მე აქა სიყ-
მილითა წარვჰსწყმდები!
18. აღვჰსდგე და წარვიდე მა-
მისა ჩემისა, და ვჰრქუა მას: მა-
მაო! ვჰსცოდე ცად მიმართ და წი-
ნაშე შენსა.
19. და არღარა ღირს ვარ მე
წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ
მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი.
20. და აღჰსდგა, და მოვიდა
იგი მამისა თჳსისა; და ვიდრე
შორსღა იყო, იხილა იგი მამა-
მან მისმან, და შეეწყალა; და მიჰრ-
ბიოდა იგი და დავარდა ქედსა
ზედა მისსა, და ამბორს-უყოფდა
მას.
21. და ჰრქუა მას ძემან მან:
მამაო! ვჰსცოდე ცად მიმართ და
წინაშე შენსა, და არღარა ვარ მე
ღირს წოდებად ძედ შენდა.
22. ჰრქუა მამამან მონათა
თჳსთა: გამოიღეთ სამოსელი პირ-
ველი, და შეჰმოსეთ მას, და შე-
აცუთ ბეჭედი ჴელსა მისსა, და
ჴამლნი ფერხთა მისთა.
23. და მოიბით ზუარაკი იგი
ჯამებული, და დავჰკლათ, და ვჰსჭა-
მოთ და ვიხარებდეთ.
24. რამეთუ ძე ესე ჩემი მო-
მკუდარ-იყო, და განჰსცოცხლდა;
წარწყმედულ-იყო, და იპოვა. და
იწყეს განცხრომად.
25. და იყო ძე იგი მისი
უხუცესი ველსა გარე; და ვითარ-
ცა მოვიდოდა, და მოეახლა სახ-
ლსა მას, ესმა ჴმა სიხარულისა
და განცხრომისა.
26. და მოუწოდა ერთსა მონა-
თაგანსა, და ჰკითხჳდა, ვითარმედ
რაჲ არს ესე?
27. ხოლო მან ჰრქუა მას:
რამეთუ ძმა შენი მოსრულ-არს;
და მამამან შენმან დაჰკლა ზუარა-
კი იგი ჯამებული, რამეთუ ცოც-
ხლებით მოვიდა იგი.
28. ხოლო იგი განჰრისხნა,
და არა უნდა შინა შესლუად. ხო-
ლო მამა მისი გამოვიდა და ლო-
ცჳდა მას.
29. და მან მიუგო, და ჰრქუა
მამასა თჳსსა: აჰა ესერა, ესოდე-
ნი წელნი გმონენ შენ, და არა
სადა მცნებასა შენსა გარდავჰხედ,
და მე არა-სადა მომეც ერთი თი-
კანი, რათამცა მეგობართა ჩემთა
თანა ვიხარე.
30. და ოდეს ძე ესე შენი მო-
ვიდა, რომელმან შეჰსჭამა საც-
ხოვრებელი შენი მეძავთა თანა,
დაუკალ მას ზუარაკი იგი ჯამე-
ბული.
31. ხოლო მან ჰრქუა მას:

შჳლო! შენ მარადის ჩემთანა ხარ,
და ჩემი ყოველი შენი არს.
32. ხოლო აწ მხიარულება და
სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმა
ესე შენი მომკჳდარ-იყო, და გან-
ცოცხლდა; წარწყმედულ-იყო, და
იპოვა.

## თ ა ვ ი 16.

1. და ეტყოდა მოწაფეთაცა:
კაცი ვინმე იყო მდიდარი, რო-
მელსა ესჳა მნე, და ესე შეასმი-
ნეს მას, ვითარმედ განაბნია ნა-
ყოფი მისი.
2. და მოუწოდა, და ჰრქჳა მას:
რაჲ არს ესე, რომელ მესმის
შენთჳს? მომეც მე სიტყჳა სამ-
ნოჲსა შენისა, რამეთუ არღარა
ჰელგეწიფების ამიერითგან მნე-
ობად.
3. ხოლო მნემან მან ჰსთქჳა
გულსა თჳსსა: რაჲ ვყო? რამე-
თუ უფალი ჩემი მიმიღებს სამ-
ნოსა ჩემსა: საქმედ არა მალ-მიძს,
თხოვად მრცხჳენის.
4. უწყი, რა ვყო, რათა რა-
ჟამს გარდავჰსდგე მნეობისაგან,
შემიწყნარონ მე სახლთა მათთა.
5. და მოუწოდა კაცად კაცად-
სა თანამდებსა უფლისა თჳსი-
სასა, და ჰრქჳა პირჳელსა მას:
რაოდენი თანა-გაძს უფლისა ჩე-
მისა?
6. და მან ჰსთქჳა: ასი საწნე-
ხელი ზეთისა. და ჰრქჳა მას: მი-
იღე ჰელით-წერილი შენი, და დაჰ-
სჯედ ადრე, და დაჰსწერე: ერგა-
სისი.
7. მერმე სხჳასა ჰრქჳა: შენ
რაოდენი თანა-გაძს? ხოლო მან
ჰსთქჳა: ასი სათოველი იფქლისა.
ჰრქჳა მასცა: მიიღე ჰელით-წერი-
ლი შენი, და დაჰსწერე: ოთხმეოცი.
8. და აქო უფალმან მნე იგი
სიცრუისა, რამეთუ გონიერად
ჰყო; რამეთუ ძენი ამის სოფლი-
სანი უგონიერეს არიან უფროს
ძეთა ნათლისათა ნათესავსა შო-
რის მათსა.
9. და მე გეტყჳ თქჳენ: ის-
ხენით თავისა თქჳენისა მეგო-
ბარნი მამონასა მისგან სიცრუი-
სა, რათა რაჟამს მოაკლდეთ თქჳენ
ამიერ, შეგიწყნარნენ თქჳენ საუ-
კუნეთა მათ საყოფელთა.
10. სარწმუნო იგი მცირესა
ზედა და მრავალსა ზედაცა სარ-
წმუნო-არს; და რომელი მცირესა
ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზე-
და ცრუ არს.
11. უკეთუ სიცრუისა ამას მა-
მონასა სარწმუნო არა იქმნენით,
ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს
თქჳენ?
12. და უკეთუ სხჳსსა ამას
სარწმუნო არა იქმნენით, თქჳენი
იგი ვინ მოგცეს თქჳენ?
13. არავის მონასა ჰელეწი-
ფების ორთა უფალთა მონებად:
ანუ ერთი იგი მოიძულოს, და
ერთი შეიყჳაროს; და ანუ ერთი-
სა თავს-იდჳას და ერთი შეურაცხ-
ჰყოს. ვერ ჰელეწიფების ღმრთისა
მონებად და მამონასა.
14. ესმოდა ესე ყოველი ფა-
რისეველთაცა, რამეთუ ვეცხლის

მოყუარე იყუნეს და შეურაცხ ჰყოფ-
დეს მას.
15. და ეტყოდა მათ: თქუენ
ხართ, რომელნი განიმართლებთ
თავთა თჳსთა წინაშე კაცთა; ხო-
ლო ღმერთმან იცნის გულნი
თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის
მაღალი, საძაგელ-არს წინაშე ღმრ-
თისა.
16. რამეთუ სჯული და წინას-
წარ-მეტყუელნი ვიდრე იოანე-
სადმდე; მიერითგან სასუფეველი
ღმრთისა ეხარების, და ყოველივე
მისა მიმართ იიძულების.
17. უადვილეს-არს ცისა და ქუე-
ყანისა წარსლუა, ვიდრე სჯუ-
ლისა ერთი რქა დავრდომად.
18. ყოველმან, რომელმან გა-
ნუტეოს ცოლი თჳსი, და სხუა
შეირთოს, მან იმრუშა; და რო-
მელმან განტევებული ქმრისაგან
შეირთოს, მანცა იმრუშა.
19. კაცი ვინმე იყო მდიდა-
რი, და იმოსებოდა ძოწეულითა და
ბისონითა, და იხარებდა დღი-
თი-დღე ბრწყინუალედ.
20. გლახაკი ვინმე იყო, სა-
ხელით ლაზარე, დავრდომილი წი-
ნაშე ბჭეთა მისთა და ქუე-მურე-
ბოდა;
21. და გული ეტყოდა განძ-
ღებად ნამუსრევისაგან, გარდამო-
ცჳვენებულისა ტაბლისაგან მის
მდიდრისა; არამედ ძაღლნიცა მო-
ვიდოდეს და ჰლოშნიდეს წყლულ-
სა მას მისსა.
22. იყო სიკუდილი გლახა-
კისა მის, და მიიყუანა იგი ანგე-
ლოსთაგან წიაღთა აბრაამისთა.
მოკუდა მდიდარიცა იგი, და და-
ეფლა.
23. და ჯოჯოხეთს შინა აღი-
ხილნა თუალნი თჳსნი, იყო სატან-
ჯუელსა შინა, და იხილა აბრაამი
შორით, და ლაზარე წიაღთა მისთა.
24. და მან ჴმა-ყო და ჰსთქუა:
მამაო აბრაამ! შემიწყალე მე, და
მოავლინე ლაზარე, რათა დაასოს
მწუერვალი თითისა მისისა წყალ-
სა, და განმიგრილოს ენაჲ ჩემი;
რამეთუ ვიტანჯები მე ალითა
ამით ცეცხლისათა.
25. ხოლო აბრაამ ჰრქუა მას:
შვილო! მოიხსენე, რამეთუ მიიღე
კეთილი შენი ცხოვრებასა შენსა,
და ლაზარე ეგრევე მჴსგავსად ბო-
როტი; და აწ ესერა, აქა ესე ნუ-
გეშინის-ცემულ-არს, ხოლო შენ
იტანჯები.
26. და ამას ყოველთა თანა
შორის ჩუენსა და შენსა დანახეთ-
ქი დიდი დამტკიცებულ-არს, რა-
თა რომელთა უნდეს წიაღსლუად
ამიერ თქუენდა, ვერ კელეწიფოს,
არცა მაგიერ ჩუენდა წიაღ-მოს-
ლუად.
27. ხოლო მან ჰრქუა: გლო-
ცავ შენ, მამაო, მიავლინე ეგე
სახლსა მამისა ჩემისასა;
28. რამეთუ მისხენ ხუთნი
ძმანი, რათა აუწყოს მათ, და არა
მოვიდენ იგინიცა ადგილსა ამას
სატანჯუელისასა.
29. ჰრქუა მას აბრაამ: ჰქო-
ნან მოსე და წინასწარ-მეტყუელნი;
მათი ისმინონ.
30. ხოლო მან ჰსთქუა: არა,
მამაო აბრაამ! არამედ უკეთუ ვინ-

მე მკუდრეთით აღჰსდგეს და მი-
ვიდეს, მათ შეინანონ.
31. ჰრქუა მას აბრაამ: უკეთუ
მოსესი და წინასწარ-მეტყუელთა
არა ისმინონ; არცაღა მკუდრე-
თით თუ ვინმე აღჰსდგეს, ჰრწმე-
ნეს მათ.

## თ ა ვ ი 17.

1. ჰრქუა იესო მოწაფეთა თჳს-
თა: შეუგვანებელ-არს საცთური-
სა არა მოსლუა; ხოლო ვაჲ ვის-
გან მოვიდეს.
2. უადვილეს-არს მისა, უკე-
თუმცა ლოდი ვირით საფქუელისა
ზედა-ედუა ქედსა მისსა, და შთა-
ვრდომილ-იყო ზღუასა, ვიდრე
არა დაბრკოლებად ერთსა ამას
მცირეთაგანსა.
3. არამედ ეკრძალენით თავ-
თა თქუენთა. უკეთუ შეგცოდოს
შენ ძმამან შენმან, შეჰრისხენ მას;
და უკეთუ შეინანოს, მიუტევე მას.
4. დაღათუ შჳდ-გზის დღესა
შინა შეგცოდოს, და შჳდ-გზის
მოაქციოს და გრქუას შენ: შევი-
ნანე; მიუტევე მას.
5. და ჰრქუეს მოციქულთა
უფალსა: შემძინე ჩუენ სარწმუ-
ნოებაჲ.
6. ჰრქუა მათ იესო: უკეთუ
გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა
მარცუალი მდოგჳსა: არქუთმცა
ლეღვ-სულელსა ამას: აღიფხუარ,
და დაენერგე ზღუასა შინა; ისმი-
ნამცა თქუენი.
7. ვისმე თქუენგანსა მონა
ესუას მკუნელი, გინა მწყემსი,
რომელიცა მოვიდა ველით, და
მეყუსეულად ჰრქუა მას: წარმო-
ჰკედ და დაჰსჯედ?
8. ანუ არამე ჰრქუასა მას:
მზა-მიყავ მე, რათა ვისერო, და
მოირტყუენ და მმსახურებდ მე, ვი-
დრემდე ვჰსჭამო და ვჰსუა; და
ამისა შემდგომად ჰსჭამე და ჰსუ
შენცა?
9. ნუ უკუე მადლ-იპყრასა
მონისა მის, რამეთუ ჰყო ბრძა-
ნებაჲ მისი? არა ვჰგონებ.
10. ეგრეცა თქუენ, ოდეს
ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, ჰს-
თქუთ, ვითარმედ მონანი ვართ
უკმარნი; რომელი თანა-გუედვა
ყოფად, ვჰყავთ.
11. და იყო მისლუასა მას მის-
სა იერუსალიმად, და თავადი გან-
ვლიდოდა შორის სამარიასა და გა-
ლილიასა.
12. და შევიდა იგი დაბასა
რომელსამე, მოეგებოდეს მას ათ-
ნი კეთროვანნი კაცნი, რომელნი
დაჰსდგეს შორს.
13. და მათ აღიმაღლეს ჴმაჲ
მათი და იტყოდეს: იესო მოძ-
ღუარ! შემიწყალენ ჩუენ.
14. და თავადმან ვითარცა
იხილნა იგინი, ჰრქუა მათ: წა-
რვედით და უჩუენენით თავნი
თქუენნი მღუდელთა. და იყო ვი-
თარცა წაროდენ-ვიდეს იგინი მის-
გან, განჰსწმდეს კეთროვნებისა
მისგან.
15. ხოლო ერთმან მათგანმან
იხილა, რამეთუ განიკურნა, მოიქ-
ცა და ჴმითა დიდითა ადიდებდა
ღმერთსა,

16. და დავარდა წინაშე ფერხ-
თა იესოსთა, და ჰმადლობდა მას;
და ესე იყო სამარიტელი.
17. მიუგო იესო და ჰრქუა
მას: არა ათნივე განიკურნნეს? და
ცხრანი იგი სადა არიან?
18. ვერ იპოვნეს ეგოდენ,
რათამცა მოიქცეს და მისცეს დი-
დება ღმერთსა, გარნა უცხო-თეს-
ლი ხოლო ესე?
19. და ჰრქუა მას: აღდეგ და
წარვედ; სარწმუნოებამან შენმან
განგცხოვნა შენ.
20. ჰკითხეს მას ფარისეველ-
თა: ოდეს მოიწიოს სასუფეველი
ღმრთისა? მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: არა მოვიდეს სასუფეველი
ღმრთისა ზმნით;
21. არცა ჰსთქუან: აჰა აქა, ანუ
იქი; და აჰა ეგერა, სასუფეველი
ღმრთისა შორის თქუენსა არს.
22. და ჰრქუა მოწაფეთა: მო-
ვლენან დღენი, ოდეს გული-გით-
ქმიდეს თქუენ, დღეთა-თჳს მისა
კაცისათა ხილვად, და არა იხი-
ლოთ.
23. და გჰრქუან თქუენ: აჰა,
აქა არს, და აჰა, იქი არს; ნუ გან-
ხუალთ, ნუცა შეუდგთ.
24. რამეთუ ვითარცა ელვა
რა ელავნ ქუეშე ცისათგან, ვიდ-
რე ქუეშე ცისადმდე ჰბრწყინავნ;
ესრეთ იყოს მე კაცისა დღეთა
მისთა.
25. ხოლო პირველად ჯერ-
არს მისა ფრიად ვნებად, და შე-
ურაცხ-ყოფად ნათესავისა ამის-
გან.
26. და ვითარცა იგი იყო
დღეთა მათ ნოესთა, ეგრეთ იყოს
დღეთა მათ მისა კაცისათა:
27. ჰსჭამდეს და სუმიდეს, იქო-
რწინებდეს და განჰქორწინებდეს,
ვიდრე დღედმდე შესლვად ნოესა
კიდობნად, და მოიწია წყლით-
რღუნა, და წარჰსწყმიდნა ყოველნი.
28. და ეგრევე ვითარცა იგი
იყო დღეთა ლოთისთა, ჰსჭამდეს
და სუმიდეს, იყიდდეს და განჰს-
ყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშე-
ნებდეს;
29. და რომელსა დღესა გან-
ვიდა ლოთ სოდომით, აწჳმა ცეც-
ხლი და წუნწუბა ზეცით, და წარ-
ჰსწყმიდნა ყოველნი.
30. ესრეთვე იყოს დღე იგი,
ოდეს მე კაცისა გამოჰსცნდეს.
31. მას დღესა შინა, რომე-
ლი იყოს ერდოსა ზედა და ჭურ-
ჭელი მისი სახლსა შინა, ნუ გარ-
დამოვალნ აღებად მისა; და რო-
მელი ველსა გარე იყოს, ნუ გა-
რე-მოიქცევინ კუალად.
32. მოიხსენეთ ცოლისა მის
ლოთისი.
33. რამეთუ რომელსა უნდეს
სულისა თჳსისა განრინება, წარი-
წყმიდოს იგი; და რომელმან წა-
რიწყმიდოს, მან აცხოვნოს იგი.
34. გეტყჳ თქუენ: მას ღამე-
სა ორნი იყუნენ ერთსა ცხედარ-
სა; ერთი იგი წარიტაცოს, და
ერთი იგი დაეტეოს.
35. ორნი ფქჳდენ ერთად;
ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი
იგი დაჰშთეს.
36. ორნი იყუნენ ველსა; ერ-

თი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაჰშთეს.

37. და მიუგეს და ჰრქუეს მას: ვიდრე უფალო? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: სადაცა ჴორცი, მუნცა ორბები შეჰკრბეს.

## თავი 18.

1. ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ იგი ჯერ-არს მარადის ლოცუა, და რათა არა ეწყინებოდეს ლოცუასა შინა,

2. მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდა, და კაცთაგან არა ჰრცხუენოდა.

3. და ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა, და მოვიდის მისა, და ეტყჳს: მისაჯე მე წინა-მოსაჯულისაგან ჩემისა.

4. და არა ისმინის მისი, ვიდრე რომლადმე ჟამადმდე. ამისა შემდგომად ჰსთქუა გულსა შინა თჳსსა: დაღათუ ღმრთისა არა მეშინის, და კაცთაგან არა მჰრცხუენის;

5. ამისთჳს, რამეთუ შრომასა შემამთხუევს მე მარადის ქურივი ესე, უსაჯო მას, რათა არა მარადის მოვიდოდეს და მაწყინებდეს მე.

6. და ჰრქუა მათ უფალმან: ისმინეთ, რასა იგი მსაჯული სიცრუისა იტყჳს.

7. ხოლო ღმერთმან არამე ჰყოსა შურის-გებაჲ რჩეულთა მისთა, რომელნი ჰღაღადებენ მისა დღე და ღამე, და სულ-გრძელ-არს მათ ზედა?

8. გეტყჳ თქუენ: ჰყოს შურის-გებაჲ მათთჳს ადრე. ხოლო მორავიდეს ძე კაცისა, ჰპოვოსმეა სარწმუნოებაჲ ქუეყანასა ზედა?

9. ჰსთქუა ვიეთდამე მიმართ იგავი ესე, რომელნი ესუენ თავთა თჳსთა, ვითარმედ მართალ-არიან, და შეურაცხ-ჰყოფენ სხუათა,

10. ვითარმედ ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცუად ტაძარსა მას, ერთი ფარისეველი და ერთი მეზუერე.

11. ფარისეველი იგი წარჰსდგა და ამას ილოცჳდა თჳსაგან: ღმერთო! გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხუანი კაცნი, მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზუერე.

12. ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა, და ათეულსა შევჰსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა.

13. ხოლო მეზუერე იგი შორს ჰსდგა, და არა იკადრებდა თუალთაცა ზე აღხილუად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო! მილხინე ცოდჳლსა ამას.

14. გეტყჳ თქუენ: გარდამოვიდა ესე განმართლებული სახიდ თჳსა, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს.

15. მოჰგუარიდეს მას ყრმებსაცა, რათა მიეახლნენ მას, და ვითარცა იხილეს მოწაფეთა, აყენებდეს მათ.

16. ხოლო იესო მოუწოდა

მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა
მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყე-
ნებთ მაგათ, რამეთუ ეგე ვითარ-
თა არს სასუფეველი ღმრთისა.
17. ამინ გეტყჳ თქუჱნ: რო-
მელმან არა შეიწყნაროს სასუფე-
ველი ღმრთისა, ვითარცა ყრმაჲ,
ვერ შევიდეს მას შინა.
18. და ჰკითხა ვინმე მას
მთავარმან, და ჰრქუა: მოძღუარო
სახიერო! რა საქმე ვჰქმნე, რათა
ცხოვრებასა საუკუნოსა დავიმკვი-
დრო?
19. ჰრქუა მას იესო: რასა
მეტყჳ მე სახიერით? არავინ-არს
სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი.
20. მცნებანი იცნი: ნუ იმრუ-
შებ, ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ,
ნუ ცილსა-ჰსწამებ, პატივ-ეც მამა-
სა შენსა და დედასა შენსა.
21. ხოლო მან ჰსთქუა: ეგე
ყოველი დავიმარხე სიყრმით ჩე-
მითგან.
22. ესმა რა ესე იესოს, ჰრქუა
მას: ერთიღა გაკლს შენ; ყოველი,
რაჲცა გაქუს, განჰყიდე და მიეც
გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯე
ცათა შინა, და მოვედ, და შემო-
მიდეგ მე.
23. და ვითარცა ესმა ესე მას,
მწუხარე-იქმნა, რამეთუ იყო იგი
მდიდარ ფრიად.
24. ვითარცა იხილა იგი იესო,
რამეთუ შეჰსწუხნა, ჰსთქუა, ვი-
თარმედ ძნიად შევიდენ სასუფე-
ველსა ღმრთისასა, რომელთა აქუნ-
დეს საფასე.
25. ჳადჳლეს-არს მანქანისა
საბელი ჴურელსა ნემსისასა გან-
სლვად, ვიდრე მდიდარი შეს-
ლვად სასუფეველსა ღმრთისასა.
26. ხოლო რომელთა იგი ესმა,
ჰრქუჱს მას: და ვის ჴელეწიფების
ცხოვრებად?
27. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: შეუძლებელი კაცთაგან, შესა-
ძლებელ-არს ღმრთისა მიერ.
28. ჰრქუა მას პეტრე: აჰა
ესერა, ჩუჱნ დაუტევეთ ყოველი
და შეგიდეგით შენ.
29. ხოლო იესო ჰრქუა მათ:
ამინ გეტყჳ თქუჱნ, რამეთუ არა
ვინ არს, რომელმან დაუტევა სა-
ხლი, გინა მამაჲ, გინა დედაჲ,
გინა ძმანი, გინა ცოლი, გინა
შჳლნი, სასუფეველისა-თჳს ღმრ-
თისა,
30. რომელმან არა მიიღოს
მრავალი წილი ჟამსა ამას, და სა-
უკუნესა მომავალსა ცხოვრებასა სა-
უკუნო.
31. და წარიყუანნა ათორ-მეტ-
ნი იგი, და ჰრქუა მათ: აჰა ესერა,
აღვალთ იერუსალიმად, და აღე-
სრულნენ ყოველნი წერილნი წი-
ნასწარ-მეტყუჱლთანი ძესა ზედა
კაცისასა.
32. რამეთუ მიეცეს ჴელთა
წარმართთასა და ეკიცხჳდენ მას, და
იგინოს, და ჰნერწყუჳდენ.
33. და ჰსტანჯონ, და მოჰ-
კლან იგი, და მესამესა დღესა აღჰ-
სდგეს.
34. და მათ არა რა გულის-
ხმა-ჰყუჱს ესე, არამედ იყო სიტ-
ყუაჲ იგი დაფარულ მათგან, და არა
იცოდეს თქმული იგი.
35. და იყო, ვითარცა მიე-

ახლნეს იერიქოდ, ბრმა ვინმე ჰსჯდა გზასა ზედა მთხოველად.

36. ვითარცა ესმა, ვითარმედ ერი წარმოვალს, იკითხვდა: რაჲ-მე არს ესე?

37. უთხრეს მას, ვითარმედ იესო ნაზარეველი წარმოვალს.

38. და მან ღაღად-ყო, დ ჰსთქუა: იესო, ძეო დავითისო! შემიწყალე მე.

39. ხოლო რომელნი წინა-უძღოდეს, ჰრისხვდეს მას, რათა დაჰსდუმნეს; ხოლო იგი უფროს ჰღაღადებდა დ იტყოდა: იესო, ძეო დავითისო! შემიწყალე მე.

40. დაჰსდგა იესო დ ბრძანა მოწოდებაჲ მისი, დ ვითარცა მო-ახლა იგი, ჰკითხა მას:

41. რა გნებავს დ გიყო შენ? ხოლო მან ჰრქუა: უფალო! რათა აღვიხილნე თუალნი.

42. ხოლო იესო ჰრქუა მას: აღიხილე, სარწმუნოებამან შენ-მან განცხოვნა შენ.

43. და მეყუსეულად აღიხილ-ნა, დ მისდევდა მას, დ ადიდებ-და ღმერთსა; დ ყოველმან ერმან იხილეს, დ აქებდეს ღმერთსა.

## თავი 19.

1. და შევიდა დ განვიდოდა იერიქოთ.

2. და აჰა ესერა, კაცი ვინმე, დ სახელი მისი ზაქე, დ იყო იგი მთავარი მეზუერეთა, დ ესე იყო მდიდარ ფრიად.

3. და უნდა ხილვა იესოსი, ვინძი არს, დ ვერ უძლო ხილვად ერისა მისგან, რამეთუ ჰასაკითა იყო მცირე.

4. და წარჰრბიოდა წინა, დ აჰ-კდა ლეღუ-სულელსა, რათა იხი-ლოს იგი, რამეთუ მიერ წარ-სლუად იყო.

5. და მოვიდა ადგილსა მას, მიჰხედა იესო დ ჰრქუა მას: ზაქე! ისწრაფე დ გარდამოჰკედ, რამე-თუ დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფა.

6. და ისწრაფა, დ გარდა-მოჰკდა, დ შეიყუანა იგი სიხარუ-ლით.

7. და იხილეს ყოველთა, დ დრტჳნვიდეს დ იტყოდეს, ვითარ-მედ ცოდვილისა კაცისა თანა შე-ვიდა დადგომად.

8. აღჰსდგა ზაქე დ ჰრქუა უფალსა: აჰა, უფალო! ზოგი ნა-ყოფთა ჩემთა მივჰსცე გლახაკთა, დ უკეთუ ვისმე ცილი დავჰსდევ, მივაგო ოთხი წილი.

9. ჰრქუა მას იესო: დღეს იქმნა ცხოვრება სახლისა ამის, რამეთუ ესეცა შჳლი აბრაჲამ სი არს.

10. რამეთუ მოვიდა ძე კაცი-სა მოძიებად დ ცხოვრებად წარ-წყმედულისა.

11. და ვითარცა ესმოდა ესე ერსა მას, შეჰსძინა დ ჰსთქუა იგავი ამისთჳს: რამეთუ მოახ-ლებულ-იყო იგი იერუსალიმსა, დ ჰგონებდეს იგინი, ვითარმედ მეყუსეულად გამოჰსჩნდეს სასუ-ფეველი ღმრთისა.

12. და ჰრქუა მათ: კაცი ვინ-მე აზნაური წარვიდა შორსა სო-

ფელსა, მოღებად თავისა თჳსისა
მეუფებისა და მოქცევად.
13. და მოუწოდა ათთა მო-
ნათა თჳსთა, და მიჰსცა მათ ათი
მნაჲ და ჰრქუა მათ: ვაჭრობდით
ამას, ვიდრემდე მოვიდე.
14. ხოლო მოქალაქეთა მისთა
ჰსძულდა იგი, და მიავლინნეს მო-
ციქულნი შემდგომად მისა, და
ჰრქუეს მას: არა გუნებავს მაგისი
მეუფებაჲ ჩუენ ზედა.
15. და იყო მოქცევასა მას
მისსა, მორააქუნდა მეუფებაჲ თჳ-
სი, და ჰბრძანა მოწოდება მათ მო-
ნათა, რომელთადა მიეცა ვეცხლი
იგი, რათა უწყოდეს, რა იგი ივა-
ჭრეს.
16. და მოვიდა პირველი იგი
და ჰრქუა: უფალო! შენმან ვეც-
ხლმან ათი სხუა შეჰსძინა სას-
წორი.
17. ჰრქუა მას: კეთილ-სახიე-
რო მონაო; რამეთუ მცირესა ზე-
და სარწმუნო იქმენ, იყავ შენ
კელმწიფე ათთა ზედა ქალაქთა.
18. და მოვიდა მეორე იგი და
ჰრქუა: უფალო! ვეცხლმან შენმან
სხუა ხუთი სასწორი ჰყო.
19. ჰრქუა მასცა: და შენცა იყავ
ხუთთა ზედა ქალაქთა.
20. და მესამე იგი მოვიდა და
ჰრქუა: უფალო! აჰა ვეცხლი შე-
ნი, რომელი მაქუნდა დაკრძალუ-
ლი სუდარსა.
21. რამეთუ შემეშინა, ვითარ-
მედ კაცი ხარ სასტიკი, მოიღი,
სადა არა დაჰსდჳ, და მოიმკი, სა-
და არა დაჰსთესი.
22. ჰრქუა მას: პირისა შენი-
საგან გჰსაჯო შენ, მონაო ბო-
როტო! იცოდი, რამეთუ მე კაცი
ვარ სასტიკი, მოვიღი, სადა არა
დავჰსდჳ, და მოვიმკი, სადა არა
დავჰსთესი;
23. და რაჲსათჳს არა დაჰსდევ
ვეცხლი ჩემი სავაჭროსა, და მო-
მცაველ მე და ვახშითურთ ვჰქმენ
იგი?
24. და ჰრქუა წინაშე-მდგო-
მელთა მათ: მოუღეთ ვეცხლი იგი,
და მიეცით, რომელსა იგი აქუს
ათი სასწორი ვეცხლი.
25. და მათ ჰრქუეს მას: უფა-
ლო! აქუს ათი სასწორი.
26. გეტყჳ თქუენ, ვითარმედ
ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიე-
ცეს; ხოლო რომელსა არა აქუნდეს,
და რომელდა იგი აქუნდეს, მოვე-
ღოს მისგან.
27. ხოლო მტერნი იგი ჩემ-
ნი, რომელთა იგი არა უნდა მე-
უფება ჩემი მათ ზედა, მომგუა-
რენით მე აქა, და მოჰსწყჳდენით
წინაშე ჩემსა.
28. და ვითარცა ესე წარჰსთ-
ქუა, ვიდოდა წინაშე მათსა და აღ-
ვიდოდა იერუსალიმად.
29. და იყო, ვითარცა მიეახ-
ლა ბეთბაგედ და ბეთანიად, მთასა
თანა, რომელსა ჰრქჳან ზეთის-
ხილთა, წარავლინნა ორნი მოწა-
ფეთაგანნი,
30. და ჰრქუა მათ: წარვედით
წინაშე დაბასა მაგას, რომელსა
შეჰხჳდეთ, და ჰპოვოთ კიცჳ დაბმუ-
ლი, რომელსა კაცი არღა ვინ
დაჯდომილ-არს, აღჰკსენით და
მომგუარეთ მე.

31. და უკეთუ ვინმე გკითხჳ-
დეს: რასათჳს აღჰჴსნით? ესრეთ
არქჳთ, ვითარმედ უფალსა უჴმს
ეგე.
32. და ვითარცა წარვიდეს,
რომელნი იგი მივლინნა, ჰპოვეს
ეგრეთ, ვითარცა იგი ჰრქჳა მათ.
33. და აღჰჴსნიდეს იგინი
კიცჳსა მას, ჰრქჳჱს მათ უფალ-
თა მათ მისთა: რაჲსათჳს აღჰჴს-
ნით კიცჳსა მაგას?
34. ხოლო მათ ჰრქჳჱს, ვი-
თარმედ უფალსა უჴმს ეგე.
35. და მოჰგჳარეს იგი იესოს,
და დაასხეს სამოსელი კიცჳსა მას,
და დაჰსჯდა იესო მას ზედა.
36. და ვითარ შევიდოდა იგი,
დაუფენდეს სამოსელსა მათსა გზა-
სა ზედა.
37. და ვითარცა მიიწია იგი
შთასავალსა მას მთისა მის ზე-
თის-ხილთასა, იწყო ყოვლმან
სიმრავლემან მოწაფეთამან სიხარუ-
ლით ქებად ღმრთისა ჴმითა დი-
დითა ყოვლთა მათ-თჳს, რომელ-
ნი იხილნეს ძალნი.
38. და იტყოდეს: კურთხე-
ულ-არს მომავალი მეუფე, სახე-
ლითა უფლისათა! მშჳდობა ცათა
ზედა და დიდება მაღალთა შინა!
39. და ფარისეველნი ვინმე
ერისა მისგანნი ეტყოდეს მას და
ჰრქჳჱს: მოძღჳარ! შეჰრისხენ მო-
წაფეთა შენთა.
40. ხოლო იესო მიუგო და
ჰრქჳა მათ: გეტყჳ თქჳჱნ, და-
თუ ესენი ჰსდუმდენ, ქჳანი ჰღა-
ღადებდენვე.
41. და ვითარცა მიეახლა, იხი-
ლა ქალაქი იგი და ჰსტიროდა მას
ზედა.
42. და იტყოდა, ვითარმედ
უკეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას
მშჳდობად შენდა! ხოლო აწ და-
ფარა თჳალთაგან შენთა;
43. რამეთუ მოვლენან დღენი
შენ ზედა, და მოგადგან შენ მტერ-
თა შენთა ლაშქარი, და გარე-მო-
გადგენ შენ და შეგკრიბონ შენ,
ყოვლით-კერძო.
44. და დაგარღჳონ შენ, და
შჳლნი შენნი შენ შორის დაეც-
ნენ, და არა დაჰშთეს ქჳა ქჳასა
ზედა შენ შორის, ამისთჳს, რა-
მეთუ არა გულის-ჴმა-ჰყავ ჟამი
მოხედჳსა შენისა.
45. და ვითარცა შევიდა ტა-
ძარსა მას, იწყო გამოსხმად მსყი-
დჳჱლთა მათ და მომსყიდჳჱლთა.
46. და ჰრქჳა მათ: წერილ-
არს სახლი ჩემი სახლ სალო-
ცჳჱლ-არს; ხოლო თქჳჱნ ჰყავთ
იგი ქჳაბ ავაზაკთა.
47. და იყო მუნ და ასწავებდა
დღითი-დღე ტაძარსა მას შინა.
ხოლო მღჳდელთ-მთავარნი იგი
და მწიგნობარნი, და მთავარნი
ერისანი ეძიებდეს მას წარწყმე-
დად.
48. და ვერარას ჰპოვებდეს, რა
უყონ მას; რამეთუ ყოვლი ერი
დამორჩილებულ-იყო სმენად მის-
გან.

## თავი 20.

1. და იყო მათ დღეთა შინა,
ასწავებდა რა ერსა მას და ახარებდა

ტაძარსა შინა, ზედა - მიუხდეს
მღუდელთ-მთავარნი იგი და მწიგ-
ნობარნი მოხუცებულითურთ;

2. ეტყოდეს მას, და ჰრქუეს:
გჳთხარ ჩუენ, რომლითა ჴელ-
მწიფებითა ამას იქმ, ანუ ვინ
მოგცა შენ ჴელმწიფებაჲ ესე?

3. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ:
გკითხო თქუენ მეცა სიტყუაჲ
ერთი, და მითხარით მე:

4. ნათლის-ცემა იოანესი ზე-
ცით იყო, ანუ კაცთაგან?,

5. ხოლო იგინი შეიზრახნეს
ურთიერთარს და იტყოდეს: უკე-
თუ ვჰსთქუათ, ვითარმედ ზეცით
იყო; მრქუას ჩუენ: რაჲსათჳს
არა გრწმენა მისი?

6. და უკეთუ ვჰსთქუათ: კაც-
თაგან; ყოველმან ერმან ქუა-დამ-
კრიბოს ჩუენ, რამეთუ სარწმუ-
ნო-არს იოანე წინასწარ-მეტყუე-
ლად.

7. და მიუგეს და ჰრქუეს: არა
ვიცით ვინა იყო.

8. და იესუ ჰრქუა მათ: არცა
მე გითხრა თქუენ, რომლითა
ჴელმწიფებითა ამას ვიქმ.

9. და იწყო იგავით სიტყუად
მათდა: კაცმან ვინმე დაასხა ვე-
ნაჴი, და მიჰსცა იგი მოქმედთა,
და წარვიდა მრავალთა ჟამთა.

10. და ჟამსა თჳსსა მიუვლი-
ნა მოქმედთა მათ მონაჲ, რათა
ნაყოფისა მისგან მოჰსცენ მას;
ხოლო მოქმედთა მათ ჰსცეს და
ჰსტანჯეს და წარავლინეს იგი ცა-
რიელი.

11. და შეჰსძინა მივლინებად
სხუა მონა; ხოლო მათ იგიცა
ჰგუემეს, და წარავლინეს ცუდი.

12. მერმე კუალად მიავლინა
მესამე: ხოლო მათ შეიპყრეს და
დაჰსდუეს მას წყლულება და გა-
მოაძეს იგი.

13. და ჰსთქუა უფალმან მის
ვენაჴისამან: რა ვჰყო? მივავლინო
ძე ჩემი საყუარელი; ვინ უწყის,
შეიკდიმონ.

14. ხოლო ვითარცა იხილეს
იგი ქუეყანის მოქმედთა მათ,
ზრახუა-ჰყუეს ურთიერთარს და
ჰსთქუეს: ესე არს მკჳდრი; მო-
ვედით და მოვჰკლათ იგი, რათა
ჩუენდა იყოს სამკჳდრებელი.

15. და განიყუანეს იგი გარე-
შე სავენაჴესა მას, და მოჰკლეს.
აწ რა უყოს მათ უფალმან სავე-
ნაჴისამან?

16. მოვიდეს და წარჰსწყმიდ-
ნეს ქუეყანის-მოქმედნი იგი, და
მიჰსცეს ვენაჴი იგი სხუათა. ხო-
ლო მათ ესმა ესე და ჰსთქუეს:
ნუ იყოფინ.

17. ხოლო თავადმან მან მიჰ-
ხედა მათ და ჰრქუა: ვითარ არს
წერილი ესე: ლოდი, რომელ შეუ-
რაცხ-ჰყუეს მაშენებელთა, იგი
იქმნა თავ-კიდეთა?

18. ყოველი, რომელი დაეცეს
ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს;
და რომელსა ზედა დაეცეს, განან-
ქრიოს იგი.

19. და უნდა მღუდელთ-მთა-
ვართა მათ და მწიგნობართა დასხ-
მად ჴელთა მათთა მას ჟამსა ში-
ნა, და ეშინოდა ერისა მის, რამე-

თუ გულის-კმა-ჰყოფს, ვითარმედ მათ-თჳს ჰსთქუა იგავი ესე.

20. და მზირ-უყვნეს მას, და მიავლინნეს მზირნი ორგულნი, რომელნი მართლად იტყოდეს თავთა თჳსთა, რათა ჰპოვონ რაჲმე სიტყუა მისთანა, და მისცენ იგი მთავრობასა და კელმწიფებასა მთავრისასა.

21. და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ! ვიცით, რამეთუ მართალსა იტყჳ და ასწავებ, და არავის თუალ-აღებ პირსა, არამედ ჭეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ.

22. ჯერ-არსა კეისრისა ხარკისა მიცემად, ანუ არა?

23. და ვითარცა გულის-კმა-ჰყო ზაკულება იგი მათი, ჰრქუა მათ: რასა გამომცდით მე?

24. მიჩუენეთ მე დრაჰკანი, ხოლო მათ უჩუენეს, და ჰრქუა: ვისი არს ხატი და ზედა-წერილი? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: კეისრისა.

25. და იესო ჰრქუა მათ: აწ უკუე მიეცით კეისრისა კეისარსა, და ღმრთისა ღმერთსა.

26. და ვერა რა ჰპოვეს მის-თჳს სიტყჳს-გებაჲ წინაშე ერისა მის, და უკჳრდა სიტყჳს-მიგება იგი მისი და დაჰსდუმნეს.

27. მოვინმეუკდეს მას, მას ჟამსა შინა სადუკეველნი, რომელნი აცილობენ, ვითარმედ აღდგომა არა არს, და ჰკითხეს მას და ეტყოდეს:

28. მოძღუარ! მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ, უკეთუ ვისმე ძმა მოუკუდეს, და ესუას მას ცოლი, და იგი უშჳლო იყოს, რათა შეირთოს ცოლი იგი მისი ძმამან მისმან და აღუდგინოს თესლი ძმასა თჳსსა.

29. შჳდნი უკუე ძმანი იყუნეს ჩუენ შორის; და პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა უშჳლო.

30. და მეორემან შეირთო, და იგიცა მოკუდა უშჳლო.

31. და მესამემან, და მოჰსწყუდეს უშჳლონი, და ეგრეთვე ვიდრე მეშჳდედმდე, და არა დაჰშთა შჳლი.

32. შემდგომად მათ ყოველთასა მოკუდა დედაკაციცა იგი.

33. აწ უკუე აღდგომასა მას მკუდართასა, ვისა მათგანისა იყოს ცოლ? რამეთუ შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად.

34. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და განჰქორწინებენ;

35. ხოლო რომელნი იგი ღირს-იქმნენ საუკუნესა მას მიმთხუევად, და აღდგომასა მას მკუდრეთით, არცა იქორწინებოდენ, არცა განჰქორწინებდენ.

36. არცაღა მერმე სიკუდილად კელეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოსთა არიან, და ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი არიან.

37. ხოლო რამეთუ აღჰსდგენ მკუდარნი, მოსეცა აუწყა მაყუალოვანსა მას ზედა, ვითარცა იგი იტყჳს: უფალსა ღმერთსა აბრაამისსა და ღმერთსა ისაკისსა, და ღმერთსა იაკობისსა.

38. რამეთუ არა არს ღმერთი მკუდართა, არამედ ცხოველ-

თა; რამეთუ ყოველნი ცხოველ
არიან მის წინაშე.
39. მივიეთმე-უგეს მწიგნობარ-
თა და ჰრქუეს: მოძღუარ! კეთი-
ლად ჰსთქუ.
40. და ვერღარა იკადრეს კით-
ხუად მისა მიერითგან. და ჰრქუა
მათ უფალმან:
41. ვითარ უკუე იტყჳან ქრი-
სტესა ძედ დავითისა?
42. რამეთუ თჳთ იგი დავით
იტყჳს წიგნსა ფსალმუნთასა: ჰრ-
ქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჰ-
სჯედ მარჯუენით ჩემსა,
43. ვიდრემდე დავსხნე მტერ-
ნი შენნი ქუეშე ფერკთა შენთა.
44. თჳთ იგი დავით უფლით
ჰხადის; და ვითარ მე მისი არს?
45. და ვითარცა ესმოდა ესე
ყოველსა მას ერსა, ჰრქუა მოწა-
ფეთა თჳსთა:
46. ეკრძალენით მწიგნობარ-
თაგან, რომელთა ჰნებავს სამო-
სლით სლუა, და რომელთა უყ-
უარს უბანთა ზედა მოკითხუაჲ,
და პირველად ჯდომა კრებულსა
შორის, და ზემო ჯდომა პურსა
ზედა,
47. რომელნი შეჰსჭამენ სა-
სლებსა ქურივთასა, და მიზეზით
განგრძობილად ილოცუენ. ამათ
მოიღონ უმეტესი საშჯელი.

თ ა ვ ი 21.

1. და მიჰხედა, და იხილა, რო-
მელნი იგი დაჰსდებდეს შესაწი-
რავსა ფასის-საცავსა მას მდი-
დარნი.
2. და იხილა ვინმე ქურივი
გლახაკი, რომელმან დაჰსდუა ორი
მწული;
3. და ჰსთქუა: ჭეშმარიტად
გეტყჳ თქუენ, რამეთუ ქურივმან
ამან გლახაკმან უმეტეს ყოველ-
თასა შეჰსწირა.
4. რამეთუ ამათ ყოველთა ნა-
მეტნავისაგან მათისა დაჰსდუეს
შესაწირავსა ამას ღმრთისასა; ხო-
ლო ამან ნაკლულევანებისაგან თჳ-
სისა ყოველი, რაჲცა აქუნდა სა-
ცხოვრებელი, შეჰსწირა.
5. და რომელნიმე იტყოდეს
ტაძრისათჳს, ვითარმედ ქჳთა კე-
თილითა და პატივოსნითა შენე-
ბულ-არს, და ჰსთქუა იესო:
6. ჰხედავთა ამას? მოვლენან
დღენი, რომელთა შინა არა დაჰ-
შთეს ქუა ქუასა ზედა, რომელი
არა დაირღუეს.
7. ჰკითხეს მას მოწაფეთა:
მოძღუარ! ოდეს უკუე იყოს ესე
და რაჲ არს სასწაული, რაჟამს ესე
ყოფად არს?
8. ხოლო თავადმან ჰსთქუა:
იხილეთ, ნუ უკუე ჰსცთეთ; რა-
მეთუ მრავალნი მოვიდოდენ სა-
ხელითა ჩემითა და იტყოდენ, ვი-
თარმედ მე ვარ; და ჟამი მოწევ-
ნულ-არს, არამედ ნუ მიხუალთ
შემდგომად მათდა.
9. და ოდეს გესმოდენ ბრძო-
ლანი და შფოთნი, ნუ შეჰსძრწუნ-
დებით, რამეთუ ჯერ-არს ესე
პირველად ყოფად, და არღა მეყუ-
სეულად იყოს აღსასრული.
10. მაშინ ეტყოდა მათ: აღ-

ჴსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა, და მეუფება მეუფებასა ზედა;

11. და იყვნენ ძვრანი დიდ-დიდნი, ადგილ ადგილ, სიყმილნი და სრვანი, საშინელებანი ზეცით, და სასწაულნი დიდ-დიდნი იყვნენ.

12. ხოლო ამათ ყოველთა წინა დაგასხნენ თქუენ ზედა ჴელნი მათნი, და გდევნიდენ, და მიგცნენ თქუენ შესაკრებელთა და საპყრობილეთა, და მეფეთა წინაშე და მთავართა მიგიყვანნენ სახელისა ჩემისათჳს.

13. და გექმნეს თქუენ ესე საწამებელ.

14. დაისხენით ესე გულთა თქუენთა, რათა არა წინასწარ იწურთიდეთ, რა სიტყუა მიუგოთ.

15. რამეთუ მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინააღმდგომად, და სიტყჳს-გებად ყოველთა წინააღმდგომთა თქუენთა.

16. რამეთუ მიეცნეთ თქუენ მამა-დედათაგან, და ძმათა, და მეგობართა, და ნათესავთა, და მოჰკლჳდენ თქუენგანთა.

17. და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს.

18. და თმა თავისა თქუენისა არა წარჰსწყმდეს.

19. და მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი.

20. რაჟამს იხილოთ იერუსალიმსა გარე-მოდგომილი ერი მჴედრებისა, მაშინ გულის-ჴმა-ჰყავთ, რამეთუ მოასლებულ-არს მოოხრება მისი.

21. მაშინ, რომელნი იყვნენ ურიასტანს, ივლტოდენ მთად; და რომელნი იყვნენ შორის მისსა, განივლტოდენ; და რომელნი ველსა იყვნენ, ნუ შევლენედ მუნ.

22. რამეთუ დღენი შურისგებისანი ესე არიან; რათა აღესრულნენ ყოველნი წერილნი.

23. ხოლო ვაჲ მუცელ-ქმნულთა, და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა: რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი ქუეყანასა ზედა და რისხვა ერსა ამას ზედა.

24. და დაეცნენ პირითა მახჳლისათა, და წარიტყუენნენ ყოველთა მიერ წარმართთა; და იერუსალიმი დათრგუნჳლ-იყოს წარმართთაგან, ვიდრემდე აღესრულნენ ჟამნი წარმართთანი.

25. და იყოს სასწაული მზესა შინა და მთოვარესა, და ვარსკვლავთა, და ქუეყანასა ზედა შეკრება თესლებისა განკჳრვებითა ოხრისათა ზღჳსაგან და ძრჳსა,

26. სულითა კაცთათა შიშისაგან, და მოლოდებისა მომავალისა ზედა სოფელსა ამას; რამეთუ ძალნი ცათანი შეიძრნენ.

27. და მაშინ იხილონ ძე კაცისა, მომავალი ღრუბელთა ძალითა და დიდებითა მრავლითა.

28. და ვითარცა იწყოს ამან ყოველმან ყოფად, აღიხილენით თუალნი და აღიპყრენით თავნი თქუენნი, რამეთუ მოწევნულ-არს გამოჴსნა თქუენი.

29. და ეტყოდა მათ იგავსა: იხილეთ ლეღუ და ყოველნი ხენი.

30. რაჟამს გამოვალნ ფურცელი, თჳთ უწყოდეთ, რამეთუ ახლოს-არს ზაფხული.

31. ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს-არს სასუფეველი ღმრთისა.

32. ამინ გეტყჳ თქუენ, რამეთუ არა წარჴდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იყოს.

33. ცანი და ქუეყანაჲ წარჴდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჴდენ.

34. ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუ უკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა, და მთრვალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისათა, და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღე იგი.

35. რამეთუ ვითარცა საფრჴე მოუჴდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა.

36. იღჳძებდით უკუე ყოველსა ჟამსა, და ევედრებოდეთ, რათა ღირს-იქმნნეთ განრინებად ამის ყოვლისაგან, რომელი ყოფად არს, და დადგომად წინაშე ძისა კაცისა.

37. და იყოფვოდა თავადი ტაძარსა მას შინა დღისი, და ასწავებდა; ხოლო ღამე განვიდის; და იქცევინ მთასა მას, რომელსა ჰრქჳან ზეთის-ხილთა.

38. და ყოველმან ერმან ადიმსთჳს მისა ტაძარსა მას შინა სმენად სიტყუათა მისთა.

## თავი 22.

1. და მოახლებულ-იყო დღესასწაული იგი უცომოებისა, რომელსა ჰრქჳან პასქა.

2. და ეძიებდეს მას მღდელთმთავარნი იგი და მწიგნობარნი, რათამცა მოჰკლეს იგი; ხოლო ეშინოდა ერისა მის.

3. და შეუჴდა ეშმაკი იუდას, რომელსა ერქუა ისკარიოტელ, და იყო იგი რიცხჳსაგან ათორ-მეტთასა.

4. და მივიდა, ეზრახა მღდელთ-მთავართა და მწიგნობართა და ერისა წინა-მძღუართა, ვითარმცა იგი მისცა მათ.

5. ხოლო მათ განიხარეს, და აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად.

6. და აღუარა მათ, და ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რათა მისცეს იგი მათ თჳნიერ ერისა.

7. მოიწინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ჰღირდა პასქა იგი დაკლჳად.

8. და წარავლინნა პეტრე და იოანე, და ჰრქუა მათ: წარვედით და მომიმზადეთ ჩუენ პასქა, რათა ვჭამოთ.

9. ხოლო მათ ჰრქუეს: სადა გნებავს და მოგიმზადოთ?

10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: აჰა ეგერა, შესლვასა ოდენ თქუენსა ქალაქად, შეგემთხჳოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგჳნი წყლითა ზე ედგას; შეუდეგით მას სახიდ, ვიდრეცა შევიდეს.

11. და არქუთ სახლისა-უფალსა მას: გეტყჳს შენ მოძღუარი:

სადა არს სავანე, რომელსა პასქა
ესე მოწაფეთა ჩემთა თანა ვჰს-
ჭამო?

12. და მან გიჩუენოს თქუენ
ქორი დაგებული დიდი; მუნ მზა-
მიყავთ ჩუენ.

13. და წარვიდეს და ჰპოვეს
ეგრე, ვითარცა იგი ჰრქუა მათ,
და მოუმზადეს პასქა იგი.

14. და ოდეს იყო ჟამი, დაჰს-
ჯდა, და ათორ-მეტნი მოციქულნი
მისთანა.

15. და ჰრქუა მათ: გულის-
სიტყჳთ გული-მითქმიდა პასექსა
ამას ჭამად თქუენ თანა, ვიდრე
ვნებადმდე ჩემდა.

16. ხოლო გეტყჳ თქუენ: არ-
ღარა ვჰსჭამო ამიერითგან, ვიდ-
რემდე აღესრულოს სასუფეველსა
შინა ღმრთისასა.

17. და მოიღო სასუმელი, და
ჰმადლობდა და ჰსთქუა: მიიღეთ და
განიყავთ თავისა თქუენისა.

18. ხოლო გეტყჳ თქუენ:
ამიერითგან არღარა ვჰსუა ნაყო-
ფისაგან ვენაჴისა, ვიდრემდე სა-
სუფეველი ღმრთისა მოვიდეს.

19. და მოიღო პური, ჰმად-
ლობდა, და განჰსტეხა, და მისცა
მათ და ჰსთქუა: ესე არს ჴორცი
ჩემი, თქუენთჳს მიცემული; ამას
ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა;

20. ეგრეთვე სასუმელი შემ-
დგომად სერობისა, და ჰსთქუა:
ესე სასუმელი ახალი ჰსჯული სის-
ხლისა ჩემისა, თქუენთჳს დათხე-
ული.

21. ხოლო აჰა, ჴელი განმცე-
მელისა ჩემისა ჩემთანა ტაბლასა
ზედა.

22. ძე-სამე კაცისა მჰსგავსად
განჩინებულისა მისისა წარვალს;
ხოლო ვაჲ არს კაცისა მის, ვის
მიერ მიეცემის იგი.

23. და მათ იწყეს გამოძიე-
ბად ურთიერთარს, ვინმე არს მა-
თგანი, რომელსა ეგულების ესე
ყოფად.

24. და იყო ცილობაცა მათ
შორის, ვითარმედ ვინმე იყოს
დიდ მათ შორის.

25. ხოლო თავადმან ჰრქუა
მათ: მეფენი წარმართთანი უფ-
ლებენ მათ ზედა, და რომელთა
ჴელმწიფებაა აქუნ მათ ზედა, ქუე-
ლის-მოქმედ ჰრქჳან.

26. ხოლო თქუენ არა ეგრე
იყუენით; არამედ უდიდესი იგი
თქუენ შორის იყავნ მრწემ, და
წინა-მძღუარი იგი, ვითარცა მსა-
ხური.

27. ვინ არს უფროსი, რომე-
ლი ინაჴით ჰზის, ანუ რომელი
ჰმსახურებს? ანუ არა რომელი იგი
ინაჴით ჰზის? ხოლო მე ვარ შო-
რის თქუენსა, ვითარცა მსა-
ხური.

28. და თქუენ ხართ, რო-
მელნი დაადგერით ჩემ თანა, გან-
საცდელთა შინა ჩემთა;

29. და მე აღგითქუამ თქუენ,
ვითარცა მე აღმითქუა მამამან ჩემ-
მან, სასუფეველსა,

30. რათა ჰსჭამდეთ და ჰსუ-
მიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა, და
დაჰსხდეთ ათორ-მეტთა საყდარ-

თა, და ჰსჯიდეთ ათორ-მეტთა
ტომთა ისრაილისათა.
31. და ჰსთქუა უფალმან:
სჳმონ! სჳმონ! აჰა ესერა, ეშმაკ-
მან გამოგითხოვნა თქუენ აღ-
ცრად, ვითარცა იფქლი.
32. ხოლო მე ვევედრე მამა-
სა ჩემსა შენთჳს, რათა არა მო-
აკლდეს სარწმუნოება შენი; და
შენ ოდესმე მიიქეც და განამტკი-
ცენ ძმანი შენნი.
33. ხოლო მან ჰსთქუა: უფა-
ლო! მე შენთანა მზა ვარ საპყ-
რობილედ და სიკუდილად მის-
ლუად.
34. ხოლო თავადმან ჰსთქუა:
გეტყჳ შენ, პეტრე! არღა ეყივლოს
ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ-გზის
უარ-მყო, ვითარმედ არა მიცი მე.
35. და ჰრქუა მათ: ოდეს იგი
წარგავლინენ თქუენ თჳნიერ ბა-
ლანტისა და ვაშკარანისა, და ფერხ-
თა შესასხმელთა, ნუ გაკლდა რაჲ
თქუენ? ხოლო მათ ჰრქუეს: არა
რაჲ გუაკლდა.
36. და მერმე ჰრქუა მათ: არა-
მედ აწ, რომელსა აქუნდეს საქუფ-
თე, აღიღენ; ეგრეთვე მსგავსად
ვაშკარანიცა; და რომელსა არა
აქუნდეს, განჰყიდენ სამოსელი
თჳსი და იყიდენ მახჳლი.
37. გეტყჳ თქუენ: ესე ხო-
ლოდა წერილი ჯერ-არს ჩემ ზე-
და აღსრულებად, ვითარმედ უჰს-
ჯულოთა თანა შეირაცხა; და რამე-
თუ ჩემთჳს აღსასრული იყოს.
38. ხოლო მათ ჰრქუეს: უფა-
ლო! აჰა ესერა, არიან აქა ორ
დანაკ; ხოლო თავადმან ჰრქუა
მათ: კმა არს.
39. და გამოვიდა მიერ, და
წარვიდა, ვითარცა ჩუეულება
აქუნდა მთასა მას ზეთის-ხილთასა,
და მიჰსდევდეს მას მოწაფენიცა
მისნი.
40. და მირავიდა ადგილსა მას,
ჰრქუა მათ: ილოცევდით, რათა
არა შეჰხჳდეთ განსაცდელსა.
41. და თავადი განეშორა მათ-
გან ვითარ ქჳს-სატყორცებელ-
ოდენ, და, დაიდგნა მუკლნი, ილო-
ცჳდა.
42. და იტყოდა: მამაო! უკუე-
თუ გნებავს თანა წარსლუად სასუ-
მელი ესე ჩემგან! ხოლო ნუ ნე-
ბა ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ.
43. და ეჩუენა მას ანგელოსი
ზეცით, განამლიერებდა მას.
44. და იყო იგი დუაწლსა ში-
ნა, უმეტესღა ილოცჳდა, და იქმ-
ნა ოფლი მისი, ვითარცა ცუარი
სისხლისა, გარდამომავალი ქუე-
ყანასა ზედა.
45. და აღჰსდგა მიერ ლოცჳსა-
გან, და მოვიდა მოწაფეთა თჳს-
თა თანა, და ჰპოვნა იგინი მძინა-
რენი მწუხარებისა მისგან.
46. და ჰრქუა მათ: რასა გძი-
ნავს? აღჰსდეგით, ილოცევდით,
რათა არა შეჰხჳდეთ განსაცდელსა.
47. და ვიდრე იგი ამას იტ-
ყოდაღა, აჰა ერი, და რომელსა
ერქუა იუდა ისკარიოტელი, ერ-
თი ათორ-მეტთაგანი, წინა-უძ-
ღოდა მათ და მიეახლა იესოს ამ-
ბორის-ყოფად მისა; რამეთუ ესე
სასწაული მიეცა მათდა, და ჰრქუა:

რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს.
48. ხოლო იესო ჰრქჳა მას: იუდა! ამბორის ყოფითა მიჰსცემა ძესა კაცისასა?
49. იხილეს რა მისთანათა მათ საქმე ესე, ჰრქჳეს მას: უფალო! უკეთუ მოვსრნეთ ესენი მახჳლითა?
50. და ჰსცა ვინმე მათგანმან ერთმან მონასა მღჳდელთ მთავრისასა, და წარჰკჳეთა ყური მისი მარჯჳენე.
51. მიუგო იესო და ჰრქჳა მათ: აცადეთ აქამომდე; და შეახო ჴელი ყურსა მისსა, და განჰკურნა იგი.
52. ჰრქჳა იესო მოსრულთა მათ მის ზედა მღჳდელთ-მთავართა და ერისთავთა ტაძრისათა და ხუცესთა: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ-ხართ მახჳლითა და წათებითა.
53. დღითი-დღე ვიყავ მე თქჳენთანა ტაძარსა მას შინა, და არა განჰყავთ ჴელი ჩემ ზედა; არამედ ესე არს ჟამი თქჳენი და ჴელმწიფება ბნელისა.
54. და ვითარცა შეიპყრეს იგი, წარიყჳანეს და შეიყჳანეს სახლსა მღჳდელთ-მთავრისასა. ხოლო პეტრე მიჰსდევდა შორით.
55. და აღაგზნეს ცეცხლი შორის ეზოსა მას, და გარე-მოასხდეს იგინი, დაჰსჯდა პეტრეცა შორის მათსა.
56. და იხილა იგი მკევალმან ვინმე მჯდომარე ნათელსა მას, მიჰხედა მას და ჰსთქჳა: ესეცა მისთანა იყო.
57. ხოლო მან უარ-ჰყო და ჰსთქჳა: დედაკაცო! არა ვიცი იგი.
58. და მცირედრე შემდგომად, იხილა იგი სხჳამან, და ჰსთქჳა: და შენცა მათ თანა ხარ. ხოლო პეტრე ჰსთქჳა: კაცო, არა ვარ მათ თანა.
59. და ვითარცა წარჰკდა ჟამი ერთი, სხჳა ვინმე დაამტკიცებდა და იტყოდა: ჭეშმარიტად, ესეცა მისთანავე იყო; რამეთუ გალილეველ-არს.
60. ხოლო პეტრე ჰრქჳა მას: კაცო, არა ვიცი, რასა იტყჳ. და მეყსეულად, ვიდრე იტყოდაღა იგი ამას, ქათამმან იყივლა.
61. და მოიქცა უფალი, და მიჰხედა პეტრეს, და მოეჴსენა პეტრეს სიტყჳა იგი უფლისა, რომელ ჰრქჳა მას, ვითარმედ ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე სამ-გზის უარ-მყო მე.
62. და განვიდა გარე, და ჰსტიროდა მწარედ.
63. ხოლო კაცთა მათ, რომელთა შეეპყრა იესო, ეკიცხჳდეს მას, და ჰსცემდეს.
64. და დაჰბურეს მას თავსა, და ჰსცემდეს პირსა, და ჰკითხჳდეს, და ეტყოდეს: ჰსწინასწარ-მეტყჳელებდ, ვინ არს რომელმან გცა შენ?
65. და სხჳასა მრავალსა სიტყჳასა ჰგმობდეს და იტყოდეს მისთჳს.
66. და ვითარცა განსთენა დღე, შეჰკრბეს მოხუცებულნი ერისანი, მღჳდელთ-მთავარნი და მწიგნობარნი, და აღიყჳანეს იგი საკრებულოსა მას მათსა.

67. და ეტყოდეს: უკეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ. ჰრქუა მათ იესუ: უკეთუ გითხრა თქუენ, არა გრწმენეს ჩემი;

68. და უკეთუ გკითხო თქუენ, ვერავე მომიგოთ მე, გინა განმიტევოთ.

69. ამიერითგან იყოს ძე კაცისა მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა ღმრთისასა.

70. და ჰრქუეს მას ყოველთა: შენ უკუე ხარა ძე ღმრთისა? ჰრქუა მათ იესუ: თქუენ იტყჳთ, ვითარმედ მე ვარ.

71. და მათ ჰსთქუეს: რასღა გჳკმან მოწამენი? რამეთუ ჩუენ თჳთ გუესმის პირისაგან მაგისისა.

## თ ა ვ ი 23.

1. და აღჰსდგა ყოველი იგი სიმრავლე მათი, და მოიყუანეს იგი პილატესა.

2. და იწყეს შესმენად მისა, და იტყოდეს: ესე ვჰპოვეთ, რამეთუ გარდააქცევდა ნათესავსა ჩუენსა, და აყენებდა ხარკსაცა მიცემად კეისრისა, და იტყოდა თავსა თჳსსა ქრისტედ და მეუფე-ყოფად.

3. და ჰკითხა მას პილატე, და ჰრქუა: შენ ხარა მეუფე ჰურიათა? ხოლო თავადმან ჰრქუა მას: შენ იტყჳ.

4. ხოლო პილატე ჰრქუა მღდელთ-მთავართა და ერსა მას: არა რასა ბრალსა ვჰპოვებ კაცისა ამის თანა.

5. ხოლო იგინი უფროს განძლიერდებოდეს და იტყოდეს, ვითარმედ აღაშფოთებს ერსა, და ასწავებს ყოველსა ჰურიასტანსა, იწყო გალილეაჲთ ვიდრე აქამომდე.

6. ხოლო პილატეს რა ესმა გალილეა, ჰკითხა მათ, უკეთუ გალილეაით არს კაცი ესე?

7. და გულის-ხმა-ჰყო, რამეთუ ჴელმწიფებისაგან იროდისსა არს; მიუძღუანა იგი იროდის, რამეთუ იყო იგიცა მაშინ იერუსალიმს მათ დღეთა შინა.

8. ხოლო იროდი, ვითარცა იხილა იესუ, განიხარა ფრიად; რამეთუ უნდა მისი ხილუაჲ მრავლით-ჟამითგან, ამისთჳს, რამეთუ ესმოდა მისთჳს, და ჰსწადოდა ხილუად რაჲსამე სასწაულისა ყოფასა მისგან.

9. და ჰკითხჳდა მას სიტყჳთა მრავლითა; ხოლო თავადმან არა რა მიუგო მას.

10. ჰსდგეს მღდელთ-მთავარნი იგი და მწიგნობარნი, და განკრძალულად შესმენდეს მას.

11. ხოლო იროდი შეურაცხ-ჰყო იგი და ერმან მისმან, და განჰკიცხეს იგი, და შეჰმოსეს მას სამოსელი ბრწყინვალე, და მიუძღუანეს პილატეს.

12. და იქმნნეს მეგობარ პილატე და იროდი ურთიერთარს მას დღესა შინა, რამეთუ პირველ მტერ იყუნეს იგინი.

13. ხოლო პილატე მოუწოდა მღდელთ-მთავართა მათ და მთავართა, და ერსა მას,

14. და ჰრქუა მათ: მომგუარეთ მე კაცი ესე, ვითარცა გარდამაქცეველი ერისა; და მე წინაშე

თქჳენსა განვიკითხე, და არა რა
ვჰპოვე ბრალი კაცისა ამის თანა,
რასა იგი შეასმენდით მას;
15. და არცა იროდი: რამეთუ
მიუმღჳანე მას; და აჰა, არა რაჲ
ღირსი სიკჳდილისა საქმე არს
მის თანა.
16. ვსწავლო იგი და განუ-
ტევო.
17. რამეთუ უნებელად ედებო-
და მას განტევებად დღესასწაულ-
სა მას ერთი.
18. ღაღად-ჰყჳეს ყოველმან მან
სიმრავლემან და იტყოდეს: აღიღე
ეგე და მოგჳტევე ჩჳენ ბარაბა.
19. რომელი შფოთისა ყოფა-
სა ქალაქსა შინა და კაცის-კლჳსა-
თჳს შეგდებულ-იყო საპყრობილესა.
20. კჳალად უკჳე მოუწოდა
მათ პილატე, რამეთუ უნდა გან-
ტევებაჲ იესოსი.
21. ხოლო იგინი ჰღაღადებ-
დეს და იტყოდეს: ჯჳარს-აცჳ,
ჯჳარს-აცჳ ეგე!
22. ხოლო მან მესამედ ჰრქჳა
მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს ამას?
არა რა ბრალი სიკჳდილისა ვჰპო-
ვე ამის თანა. ვჰსწავლო ეგე და
განუტევო.
23. ხოლო იგინი ზედა-დაეს-
ხმოდეს ჴმითა დიდითა და გამო-
ითხოვდეს მას ჯჳარცმად; და გან-
ძლიერდებოდეს ჴმანი მათნი და
მღჳდელთ-მთავართანი.
24. მაშინ პილატე ჰსაჯა თხო-
ვისა-ებრ მათისა.
25. და მიუტევა მათ ბარაბა,
რომელი იგი შფოთისათჳს და
კაცის-კლჳსა შეგდებულ-იყო სა-
პყრობილესა, რომელსაცა ითხოვ-
დეს; ხოლო იესო მისცა ნებასა
მათსა.
26. და ვითარცა წარიყჳანეს
იგი, შეიპყრეს სჳმონ ვინმე კჳ-
რინელი, მომავალი ველით, და
დაჰსდჳეს მას ზედა ჯჳარი იგი,
და მიაქჳნდა შემდგომად იესოსა.
27. და შეუდგა მას სიმრავ-
ლე ერისა და დედებისა, რომელნი
ეტყებდეს და ჰსტიროდეს მას.
28. მიექცა მათ იესო და ეტ-
ყოდა; ასულნო იერუსალიმისანო!
ნუ ჰსტირთ ჩემ ზედა, არამედ
თავთა თქჳენთა ჰსტიროდეთ და
შჳლთა თქჳენთა.
29. რამეთუ აჰა ესერა მოვლე-
ნან დღენი, რომელთა შინა ჰსთ-
ქჳან: ნეტარ-არიან ბერწნი და მუ-
ცელნი, რომელთა არა ჰშჳნეს, და
ძუძუნი, რომელთა არა განჰზარ-
დნეს.
30. მაშინ იწყონ სიტყჳად
მთათა: დამეცენით ჩჳენ ზედა,
და ბორცჳთა: დამფარენით ჩჳენ.
31. რამეთუ უკეთუ ნედლსა
ხესა ესრეთ უყოფენ, ჴმელსა მას
რაჲმე ეყოს?
32. მაშინ მოჰყჳანდეს სხჳა-
ნიცა ორნი ძჳრის-მოქმედნი მოკ-
ლჳად მის თანა.
33. და ვითარცა მოჰყჳანდეს
ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან
თხემისა ადგილი, და მუნ ჯჳარს-
აცჳეს იგი და ძჳრის-მოქმედნი-
ცა იგი მის თანა, რომელიმე
მარჯჳენით, და რომელიმე მარც-
ხენით მისსა ჯჳარს-აცჳნეს.
34. ხოლო იესო იტყოდა: მა-
*

მაო! მიუტევე ამათ; რამეთუ არა იციან, რასა იქმან. ხოლო განრაიყოფდეს სამოსელსა მისსა, განიგდეს წილი.

35. და დაჰსდგა ერი იგი, და ჰხედჳდა; ხოლო შეურაცხ-ჰყოფდეს მას მთავარნიცა იგი მათ თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა; იცხოვნენ თავიცა თჳსი, უკეთუ ეგე არს ქრისტე, რჩეული ღმრთისა.

36. ემღერდეს მას ერის-კაცნიცა იგი, მოუკდიან მას და მმარი მოართჳან,

37. და ეტყჳედ: შენ თუ ხარ მეუფე ურიათა, იჴსენ თავი შენი.

38. ხოლო იყო ზედა-წერილიცა, რომელი დაწერილ-იყო მას ზედა წიგნითა ბერძულითა, და რომაელებრითა, და ებრაელებრითა, ვითარმედ ესე არს, იესო, მეუფე ურიათა.

39. ხოლო ერთი იგი დამოკიდებულთაგანი მჴრის-მოქმედი ჰგმობდა მას, და ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტე, იჴსენ თავი შენი და ჩუენცა.

40. მიუგო ერთმან მან მოყუასმან, შეჰრისხნა მას, და ეტყოდა: არცაღა გეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე საჰსჯელსა შინა ხარ?

41. და ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვჰქმენით, მოგუეგების; ხოლო ამან არა რა უჯერო ჰქმნა.

42. და ეტყოდა იესოს: მომიხსენე მე, უფალო! ოდეს მოჰხჳდე სუფევითა შენითა.

43. ხოლო იესო ჰრქუა მას: ამინ გეტყჳ შენ, დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა.

44. და იყო ჟამი მეექუსე; და ბნელ-იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.

45. და დაბნელდა მზე, და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისა მის შორის.

46. და ჴმა-ჰყო ჴმითა დიდითა იესო, და ჰსთქუა: მამაო! ჴელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა. და ესერა ჰსთქუა, განუტევა სული.

47. და ვითარცა იხილა ასისთავმან მან საქმე ესე, ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა: ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო.

48. და ყოველნი მათთანა მოსრულნი და რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე და საქმენი ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და წარვიდოდეს.

49. და ჰსდგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით, და დედანი, რომელნი შეუდგეს მას გალილეაჲთ, ჰხედჳდეს მას.

50. და აჰა ესერა კაცი, სახელით იოსებ, მზრახუელი, იყო კაცი სახიერი და მართალი;

51. ესე არა თანა-შერთულ-იყო ზრახუასა მათსა და საქმესა; იყო იგი არიმათიაჲთ, ქალაქისა ურიათასა, რომელი იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა.

52. ესე მივიდა პილატესა და მოითხოვა გუამი იგი იესოსი.

53. და გარდამოჰხსნა იგი, და შეჰმოსა მას არდაგი, და დაჰსდუა იგი საფლავსა, გამოკუეთილსა კლდისგან, სადა არავინ დადებულ-იყო.

54. და დღე იგი იყო პარასკევი, შაბათად განჰსთენდებოდა.

55. შეუდგეს მას დედანიცა, რომელნი მისთანა მოსრულ-იყუ̂ნეს გალილეათ, და იხილეს საფლავი, და ვითარ დაჰსდებოდეს გუ̂ამსა მისსა;

56. და წარვიდეს, და მოჰმზადეს საკუ̂მეველი სუნნელი და ნელსაცხებელი, და შაბათი იგი დადაიდუმეს მცნებისა მისთჳს.

თავი 24.

1. ხოლო ერთსა მას შაბათსა, ცისკარსა მსთუ̂ად, მოვიდეს საფლავსა მას, და მოაქუ̂ნდა, რა იგი მოემზადა სუნნელი და ნელსაცხებელი, და სხუ̂ანი ვინმე მათ თანა.

2. და ჰპოვეს ლოდი იგი გარდაგორვებული საფლავისა მისგან.

3. და შერავიდეს შინა, არა ჰპოვეს გუ̂ამი იგი უფლისა იესოსა.

4. და იყო განზრახვასა მას მათსა ამისთჳს, და აჰა ესერა, ორ კაც ზედა-მოადგეს მათ სამოსლითა ელვარითა.

5. და ვითარ შეშინებულ-იყუ̂ნეს იგინი, და დაედრიკნეს პირნი მათნი ქუ̂ეყანად, ჰრქუ̂ეს მათ: რასა ეძიებთ ცხოველსა მას მკუ̂დართა თანა?

6. არა არს აქა, არამედ აღჰსდგა; მოიჴსენეთ, ვითარ იგი გეტყოდა თქუ̂ენ, ვიდრე იყოდა იგი გალილეას,

7. და ჰსთქუ̂ა: ვითარმედ ჯერ-არს ძისა კაცისა, მიცემად ჴელთა კაცთა ცოდჳლთასა, და ჯუ̂არცმად, და მესამესა დღესა აღდგომად.

8. და მოეჴსენნეს სიტყუ̂ანი მისნი.

9. და მიიქცეს საფლავით, და უთხრეს ესე ყოველი ათერთ-მეტთა მათ და სხუ̂ათა ყოველთა.

10. ხოლო იყუ̂ნეს მაგდალინელა მარიამ, და იოანნა, და მარიამ იაკობისი, და სხუ̂ანი მათ თანა, რომელნი უთხრობდეს მოციქულთა ამას.

11. და უჩნდეს სიტყუ̂ანი მათნი ვითარცა სიჩქურისანი მათ წინაშე, და არა ჰრწმენა მათი.

12. ხოლო პეტრე აღჰსდგა, და მიჰრბიოდა საფლავად, და შთაჰხედნა საფლავსა მას, და იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი, და წარვიდა თჳსაგან და უკჳრდა საქმე ესე.

13. და აჰა, ორნი მათგანნი მოვიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა, რომელი ჰშორავს იერუსალიმსა სამეოც-უტევან, რომლისა სახელი ემმაოს;

14. და ესენი ჰზრახჳდეს ურთიერთარს ყოვლისა ამისთჳს, რომელი იქმნა.

15. და იყო ზრახუ̂ასა მას მათსა და გამოძიებასა, და თავადი იესო მიეახლა მათ და თანა-უვიდოდა.

16. ხოლო თუ̂ალნი მათნი შეპყრობილ-იყუ̂ნეს, რათა ვერ იცნან იგი.

17. და ჰრქუ̂ა მათ: რა არიან სიტყუ̂ანი ესე, რომელთა იცილობით ურთიერთარს სლუ̂ასა შინა, და ხართ თქუ̂ენ მწუხარე?

18. მიუგო ერთმან მათგანმან,
რომლისა სახელი კლეოპა, და
ჰრქუა მას: შენ ხოლო მწირ ხარ
იერუსალიმს და არა ჰსცანა, რა
ესე იქმნა მას შინა ამათ დღეთა?
19. და მან ჰრქუა მათ: რო-
მელი? ხოლო მათ ჰრქუეს: იესოს-
თჳს ნაზარეველისა, რომელი იყო
კაცი წინასწარ-მეტყუელი, ძლიე-
რი საქმითა და სიტყჳთა მისითა
წინაშე ღმრთისა და ყოვლისა
ერისა;
20. ვითარ იგი მიჰსცეს მღუ-
დელთ-მთავართა და მთავართა ჩუენ-
თა საჰსჯელსა სიკუდილისასა და
ჯუარს-აცუეს იგი.
21. ხოლო ჩუენ ვესავთ, ვი-
თარმედ იგი არს, რომელმან იკ-
სნას ისრაილი, და ამას ყოველსა
თანა ესე მესამე დღე არს, ვინათ-
გან ესე იქმნა.
22. არამედ დედათაცა ვიეთმე
ჩუენგანთა დამაკჳრვნეს ჩუენ, ვი-
თარ იგი მივიდეს ცისკარსა საფ-
ლავსა მას,
23. და არა ჰპოვეს გუამი მი-
სი, მოვიდეს და ჰსთქუეს, ვითარ-
მედ ხილუაცა ანგელოსთა იხი-
ლეს, რომელთა ჰრქუეს მათ, ვი-
თარმედ ცხოველ-არს იგი.
24. და მივინმევიდეს ჩუენგანნი-
ცა საფლავად, და ჰპოვეს ეგრე, ვი-
თარცა დედათა მათ ჰსთქუეს, ხო-
ლო იგი თავადი ვერ იხილეს.
25. ხოლო მან ჰრქუა მათ: ჵ
უცნობელნო და მძიმენო გულითა
სარწმუნოებისათჳს ყოველსა ზე-
და, რომელსა იტყოდეს წინას-
წარ-მეტყუელნი!
26. ანუ არა ესრეთ ჯერ-იყო
ვნებად ქრისტესა, და შესლვად
დიდებასა თჳსსა?
27. და იწყო მოსესითგან და წი-
ნასწარ - მეტყუელთა, და გამოუ-
თარგმანებდა მათ ყოველთაგან
წიგნთა მისთჳს.
28. და მიეახლნეს დაბასა მას,
ვიდრეცა ვიდოდეს; ხოლო თავად-
მან მიზეზ-ჰყო უშორესადრე წარს-
ლუა.
29. ხოლო იგინი აიძულებდეს
მას და ეტყოდეს: დაადგერ ჩუენ-
თანა, რამეთუ მწუხრ-არს და მი-
დრეკილ-არს დღე, და შევიდა დად-
გრომად მათ თანა.
30. და იყო ინაკით-ჯდომასა
მას მისსა მათ თანა, მოიღო პუ-
რი, აკურთხა, და განჰსტეხა, და
მიჰსცემდა მათ.
31. ხოლო მათ თუალნი მათ-
ნი განეხუნეს, და იცნეს იგი, და
თავადი მიეფარა მათგან.
32. და იგინი იტყოდეს ურთი-
ერთარს: ანუ არა გულნი ჩუენ-
ნი განსურვებულ-იყუნეს ჩუენ
შორის, ვითარ იგი მეტყოდა
ჩუენ გზასა ზედა, და ვითარ იგი
გამომითარგმანებდა ჩუენ წიგნთა?
33. და აღჰსდგეს მასვე ჟამსა
შინა, და მოიქცეს იერუსალიმად,
და ჰპოვნეს კრებულად ათ-ერთმეტ-
ნი იგი და სხუანი მათ თანა,
34. იტყოდეს რა, ვითარმედ
ნამდჳლვე აღჰსდგა უფალი და
ეჩუენა სჳმონს.
35. და იგინი უთხრობდეს გზი-
სასა მას, და ვითარ იგი გამოეცხა-
და მათ განტეხასა მას პურისასა.

36. და ვითარ იგინი ამას იტყოდეს ოდენ, და თავადი იესო დაჰსდგა შორის მათსა, და ჰრქუა მათ: მშჳდობა თქუენთანა.

37. ხოლო იგინი შეჰსძრწუნდეს და შეეშინა, ეგონათ, ვითარმედ სული რაჲმე იხილეს.

38. და თავადმან ჰრქუა მათ: რასა შეძრწუნებულ-ხართ და რასათჳს გულის-სიტყუანი მრავალნი მოვლენან გულთა თქუენთა?

39. იხილენით ჴელნი ჩემნი და ფერჴნი, რამეთუ თავადი მე ვარ; ჴელი შემახეთ მე და იხილეთ, რამეთუ სულსა ჴორც და ძუალ არა ასხენ, ვითარცა ესე მე მხედავთ, რამეთუ მასხენ.

40. და ესერა ჰსთქუა, უჩუენნა მათ ჴელნი და ფერჴნი მისნი.

41. და ვიდრე იგი არღა რწმენა მათ სიხარულისა მისგან და საკჳრველებისა, ჰრქუა მათ იესო: გაქუს რა აქა ჭამადი?

42. ხოლო მათ მიუპყრეს მას თევზისა მწუარისა ნახევარი, და თაფლისაგან გოლი.

43. და ჰსჭამა წინაშე მათსა, და მოიღო ნეშტი იგი და მიჰსცა მათ.

44. და ჰრქუა: ესე იგი სიტყუანი არიან, რომელთა გეტყოდი თქუენ, ვიდრე იგი ვიყავდა თქუენ თანა, ვითარმედ ჯერ-არს აღსრულებად ყოველი წერილი ჰსჯულსა მოსესსა, და წინასწარ-მეტყუელთასა, და ფსალმუნთა ჩემთჳს.

45. მაშინ განუხუნა გონებანი მათნი გულის-ხმის-ყოფად წიგნთა.

46. და ჰრქუა მათ, რამეთუ ესრეთ წერილ-არს ვნებად ქრისტესა, და აღდგომად მკუდრეთით მესამესა დღესა,

47. და ქადაგებად სახელითა მისითა სინანული, და მოტევება ცოდუათა ყოველთა მიმართ წარმართთა, იწყეთ იერუსალიმით.

48. რამეთუ თქუენ ხართ მოწამე ამის ყოვლისა.

49. და აჰა ესერა, მე მოგივლინო თქუენ აღთქმა იგი მამისა ჩემისა; ხოლო თქუენ დაჰსხედით ქალაქსა ამას შინა იერუსალიმსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მაღლით.

50. და განიყუანნა იგინი გარე ვიდრე ბეთანიადმდე, და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი, და აკურთხნა იგინი.

51. და იყო კურთხევასა მას იესოსსა მათდა მიმართ, განეშორა მათგან, და აღვიდოდა ზეცად.

52. და იგინი თაყუანის-ჰსცემდეს მას, და მოიქცეს იერუსალიმად სიხარულითა დიდითა.

53. და იყოფოდეს ტაძარსა მას შინა, მარადის აქებდეს და აკურთხევდეს ღმერთსა. ამინ.

# სახარება იოანესი.

თავი 1.

1. პირველითგან იყო სიტყუჲ,
დ სიტყუჲ იგი იყო ღმრთისა
თანა, დ ღმერთი იყო სიტყუჲ იგი.
2. ესე იყო პირველითგან
ღმრთისა თანა.
3. ყოველივე მის მიერ შეიქმ-
ნა, დ თჳნიერ მისა არცა ერთი
რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა.
4. მის თანა ცხოვრება იყო,
დ ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა.
5. და ნათელი იგი ბნელსა შინა
ჰსჩანს, დ ბნელი იგი მას ვერ ეწია.
6. იყო კაცი მოვლინებული ღმრ-
თისა მიერ, დ სახელი მისი იოანე.
7. ესე მოვიდა მოწამედ, რათა
ჰსწამოს ნათლისა მისთჳს, რა-
თა ყოველთა ჰრწმენეს მისგან.
8. არათუ იგი იყო ნათელი,
არამედ რათა ჰსწამოს ნათლისა
მისთჳს.
9. იყო ნათელი ჭეშმარიტი,
რომელი განანათლებს ყოველსა
კაცსა, მომავალსა სოფლად.
10. სოფელსა შინა იყო, დ
სოფელი მის მიერ შეიქმნა, დ
სოფელმან იგი ვერ იცნა.
11. თჳსთა თანა მოვიდა, დ
თჳსთა იგი არა შეიწყნარეს.
12. ხოლო რაოდენთა იგი
შეიწყნარეს, მოჰსცა მათ კელმწი-
ფებაჲ შჳლ-ღმრთისა-ყოფად, რო-
მელთა ჰრსწამს სახელი მისი,
13. რომელნი არა სისხლთაგან,
არცა ნებითა ხორცთათა, არცა ნე-
ბითა მამა-კაცისათა, არამედ ღმრ-
თისაგან იშვნეს.
14. და სიტყუჲ იგი ხორცი-
ელ-იქმნა, დ დაემკვიდრა ჩუენ
შორის, დ ვიხილეთ დიდება მი-
სი, დიდება, ვითარცა მხოლოდ-
შობილისა მამისა მიერ, სავსე მად-
ლითა დ ჭეშმარიტებითა.
15. იოანე ჰსწამა მისთჳს,
ღაღად-ჰყო დ ჰსთქუა: ესე არს,
რომლისათჳს იგი ვჰსთქუ, რომე-
ლი ჩემსა შემდგომად მოვალს,
ჩემსა უწინარეს იყო, რამეთუ პირ-
ველ ჩემსა არს.
16. და სავსებისაგან მისისა
ჩუენ ყოველთა მოვიღეთ, დ მად-
ლი მადლისა წილ.
17. რამეთუ ჰსჯული მოსეს-
გან მოეცა; ხოლო მადლი დ ჭეშმა-
რიტება ქრისტე იესოს მიერ იქმნა.
18. ღმერთი არავინ სადა იხი-
ლა; მხოლოდ-შობილმან ძემან,
რომელი იყო წიაღთა მამისათა,
მან გამოჰსთქუა.

19. და ესე არს წამებაჲ იოანე-
სი, ოდეს მიავლინნეს მისა ურია-
ათა იერუსალიმით მღჳდელნი და
ლევიტელნი, რათა ჰკითხონ მას,
ვითარმედ შენ ვინ ხარ?
20. და აღიარა, და არა უარ-
ჰყო, აღიარა, ვითარმედ მე არა
ვარ ქრისტე.
21. და მათ ჰკითხეს მას: და
უკჳჱ ვინ ხარ შენ? ილია ხა-
რა? და მან ჰსთქჳა: არა ვარ. წი-
ნასწარ-მეტყჳჱლი იგი ხარა შენ?
და მიუგო: არა.
22. და ჰრქჳჱს: გჳარქჳ ჩჳჱნ:
ვინ ხარ შენ? რათა სიტყჳა მი-
ვართჳათ მომავლინებელთა ჩჳჱნ-
თა: რასა იტყჳს შენთჳს?
23. და ჰსთქჳა: მე ჴმა ღაღა-
დებისა უდაბნოსა: განჰმზადენით
გზანი უფლისანი, ვითარცა ჰსთ-
ქჳა ისაია წინასწარ-მეტყჳჱლმან.
24. და მივლინებულნი იგი იყჳ-
ნეს ფარისეველთაგანნი;
25. ჰკითხეს მას და ჰრქჳჱს: და
რაჲსათვის ნათელ-ჰსცემ, უკეთუ
არა ხარ შენ ქრისტე, არცა ილია,
არცა წინასწარ-მეტყჳჱლი იგი?
26. მიუგო იოანე და ჰრქჳა
მათ: მე ნათელ-ვჰსცემ წყლითა;
ხოლო შორის თქჳჱნსა ჰსდგას,
რომელი თქჳჱნ არა იცით.
27. რომელი ჩემსა შემდგომად
მოსლჳად არს, რომელი პირველ
ჩემსა იყო, რომლისა არა ღირს
ვარ მე, რათა განვჰხსნნე საბელნი
ჴამლთა მისთანი.
28. ესე ბეთაბრას იყო წიაღ-
იორდანესა, სადა იგი იყო იოანე
და ნათელ-ჰსცემდა.

29. ხვალისაგან იხილა იოანე
იესო, მომავალი მისა, და ჰსთქჳა:
აჰა ტარიგი ღმრთისა, რომელმან
აღიხჳნეს ცოდჳანი სოფლისანი.
30. ესე არს, რომლისათჳს
იგი ვჰსთქჳ: შემდგომად ჩემსა
მოვალს კაცი, რომელი პირველ
ჩემსა იყო; რამეთუ უპირატეს
ჩემსა არს.
31. და მე არა ვიცოდი იგი; არა-
მედ რათა გამოეცხადოს იერუსა-
ლიმსა, ამისთჳს მოვედ მე წყლი-
თა ნათლის-ცემად.
32. და ჰსწამა იოანე და ჰსთქჳა,
რამეთუ ვიხილე სული ღმრთისა,
ვითარცა ტრედი გარდამომავალი
ზეცით, და დაადგრა მას ზედა.
33. და მე არა ვიცოდი იგი;
არამედ რომელმან მომავლინა მე
ნათლის-ცემად წყლითა, მან მჰრქჳა
მე: რომელსა ზედა იხილო სული
გარდამომავალი და დადგრომილი
მის ზედა. იგი არს, რომელმან
ნათელ-გცეს სულითა წმიდითა.
34. და მე ვიხილე, და ვჰსწამე,
რამეთუ ესე არს ძე ღმრთისა.
35. ხვალისა დღე ჰსდგა კჳალად
იოანე და მოწაფეთა მისთაგანნი
ორნი,
36. და მიჰხედა იესოს, ვი-
დოდა რა იგი, და ჰსთქჳა: აჰა ტა-
რიგი ღმრთისა.
37. და ესმა მისი ორთა მათ
მოწაფეთა, იტყოდა რა ამას, და
მიჰსდევდეს იესოსა.
38. მოექცა იესო, და იხილნა
იგინი, მჲრაჰსდევდეს მას, და ჰრქჳა
მათ:
39. რასა ეძიებთ? ხოლო მათ

ჰრქჳჱს მას: რაბი! რომელი ითარ-
გმანების: მოძღჳარ! სადა იყოფჳ.
40. ჰრქჳა მათ: მოვედით და
იხილეთ; და მივიდეს, და იხილეს,
სადა იყოფვოდა; და მისთანა და-
ადგრეს. მას დღესა შინა ჟამი იყო
ვითარ მეათე.
41. იყო ანდრეა, ძმა სჳმონ-
პეტრესი, ერთი ორთაგანი, რო-
მელთა ესმა იოანესგან, და მიჰს-
დევდეს მას.
42. ჰპოვა ამან პირველად ძმაჲ
თჳსი სჳმონ, და ჰრქჳა მას: ვჰპო-
ვეთ მესია, რომელ-არს თარგმა-
ნებით: ქრისტე.
43. ამან მოიყჳანა იგი იესო-
სა. მიჰხედა მას იესო და ჰრქჳა:
შენ ხარ სჳმონ, ძე იონასი; შენ
გეწოდოს კეფა, რომელი ითარ-
გმანების: კლდე.
44. ხვალისაგან უნდა იესოს
განსლჳად გალილეად, და ჰპოვა
ფილიპე, და ჰრქჳა მას იესო: მომ-
დევდი მე.
45. ხოლო იყო ფილიპე ბეთ-
საიდაჲთ, ქალაქისაგან ანდრეასსა
და პეტრესა.
46. ჰპოვა ფილიპე ნათანაილ,
და ჰრქჳა მას: რომელი იგი დაჰს-
წერა მოსე სჯულსა და წინასწარ-
მეტყჳჱლთა, ვჰპოვეთ იესო, ძე
იოსებისი ნაზარეთით.
47. და ჰრქჳა მას ნათანაილ:
ნაზარეთით შესაძლებელ-არსა კე-
თილისა რაჲსამე ყოფად? ჰრქჳა
მას ფილიპე: მოვედ და იხილე.
48. იხილა რაჲ იესო ნათანა-
ილ, მომავალი მისა, და ჰსთქჳა
მისთჳს: აჰა ჭეშმარიტად ისრაი-
ტელი, რომლისა თანა ზაკჳა არა
არს.
49. ჰრქჳა მას ნათანაილ: ვი-
ნა მიცი მე? მიუგო იესო და ჰრქჳა
მას: პირველ ფილიპეს კმობად-
მდე შენდა, იყავ რა ლეღჳსა ქჳჱ-
შე, გიხილე შენ.
50. მიუგო მას ნათანაილ და
ჰრქჳა: რაბი! შენ ხარ ძე ღმრთი-
სა, შენ ხარ მეუფე ისრაილისა.
51. მიუგო იესო და ჰრქჳა
მას: რამეთუ გარქჳ შენ, ვითარ-
მედ გიხილე შენ ლეღჳსა ქჳჱშე, და
გრწამს; უფროსი ამათსა იხილო.
52. და ჰრქჳა მათ: ამინ, ამინ
გეტყჳ თქჳჱნ: იხილენით ცანი
განხმულნი, და ანგელოსნი ღმრთი-
სანი აღმავალნი და გარდამომავალ-
ნი ძესა ზედა კაცისასა.

## თავი 2.

1. და მესამესა დღესა ქორწი-
ლი იყო კანას გალილეასასა, და
მუნ იყო დედა იესოჲსი.
2. მიჰხადეს იესოს და მოწა-
ფეთა მისთა ქორწილსა მას.
3. და ვითარ მოაკლდა ღჳნო,
ჰრქჳა იესოს დედამან მისმან: ღჳ-
ნო არა აქჳს.
4. ჰრქჳა მას იესო: რა არს
ჩემდა და შენდა, დედაკაცო? არღა
მოწევნულ-არს ჟამი ჩემი.
5. ჰრქჳა დედამან მისმან მსახუ-
რთა მათ, ვითარმედ რაცა გრქჳას
თქჳჱნ, ჰყავთ.
6. იყჳნეს მუნ სარწყულნი ქჳ-
სანი ექჳსნი, მდგომარენი მჰსგავ-
სად განწმედისა მის . ურიათასა,

რომელთა შთაასხიან საწყაული
ორ-ორი გინა სამ-სამი.
7. და ჰრქუა მათ იესუ: აღავ-
სენით სარწყულნი ეგე წყლითა:
და მათ აღავსნეს იგინი პირის-პირ.
8. და ჰრქუა მათ: აღმოავსეთ
აწ, და მოართუთ პურისა-უფალსა;
ხოლო მათ მოართუეს.
9. და ვითარცა გემო იხილა
პურისა-უფალმან წყალი იგი, რო-
მელი ღჳნო იქმნა, და არა უწყო-
და, ვინა იყო; გარნა მსახურთა
მათ უწყოდეს, რომელთა აღავს-
ნეს წყლითა; მოუწოდა პურისა-
უფალმან მან სიძესა,
10. და ჰრქუა მას: ყოველმან
კაცმან კეთილი ღჳნო პირველად
წარმოჰსდგის, და ოდეს დაითურ-
ნიან, მაშინ უჯერესიცა; ხოლო
შენ დაჰმარხე ღჳნოჲ კეთილი აქა-
მომდე.
11. ესე ჰქმნა დასაბამად სას-
წაულთა იესუ კანას-გალილეასასა,
და გამოაცხადა დიდება თჳსი; და
ჰრწმენა მისი მოწაფეთა მისთა.
12. ამისა შემდგომად შთავიდა
იესუ კაპერნაუმად, იგი და დედა
მისი, და ძმანი მისნი, და მოწაფე-
ნი მისნი მის თანა; და მუნ დაად-
გრა არა მრავალ-დღე.
13. და მოახლებულ-იყო პა-
სექი იგი ურიათა, და აღჳდა იესუ
იერუსალიმად;
14. და ჰპოვნა ტაძარსა მას ში-
ნა მოვაჭრენი ზროხათანი და
ცხოვართანი და ტრედთა, და მე-
კერმენი მსხდომარენი.
15. და შექმნა შოლტი საბ-
ლისა, და ყოველი იგი გამოასხა
ტაძრით, ზროხა და ცხოვარი, და
კერმის-მსყიდელთა მათ დაუთხია
კერმაჲ, და ტაბლები იგი დაუმ-
ჴუა.
16. და ტრედის-მოვაჭრულ-
თა მათ ჰრქუა: აღიღეთ ესე ამი-
ერ, და ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა
ჩემისასა სახლ სავაჭრო.
17. და მოესხენა მოწაფეთა
მისთა, რამეთუ წერილ-არს: შურ-
მან სახლისა შენისამან შემჭამა მე.
18. მიუგეს ურიათა და ჰრქუეს
მას: რასა სასწაულსა მიჩუენებ
ჩუენ, რამეთუ ამას იქმ?
19. მიუგო იესუ და ჰრქუა:
დაჰჴსენით ტაძარი ესე, და მესა-
მესა დღესა აღვადგინო ეგე.
20. ჰრქუეს მას ურიათა: ორ-
მეოცდა-ექუსსა წელსა აღეშენა
ტაძარი ესე, და შენ სამთა დღე-
თა აღადგინო იგი?
21. ხოლო იგი იტყოდა ტაძ
რისათჳს გუამისა თჳსისა.
22. და ოდეს აღსდგა მკუდრე-
თით, მოესხენა მოწაფეთა მისთა,
რამეთუ ამისთჳს იტყოდა, და
ჰრწმენა წიგნისა და სიტყუა იგი,
რომელი ჰრქუა მათ იესუ.
23. და ოდეს იყო იგი იე-
რუსალიმს პასქასა მას დღესას-
წაულსა, მრავალთა ჰრწმენა სახე-
ლისა მისისა, რამეთუ ჰხედვიდეს
სასწაულთა მისთა, რომელთა იქ-
მოდა.
24. ხოლო თჳთ იესუ არა
არწმუნებდა მათ თავით თჳსით;
რამეთუ ყოველთა იცოდეს იგი.
25. და რამეთუ არა უჴმდა,
რათა ჰსწამოს ვინმე კაცისა მის-

თჳს; რამეთუ მან თჳთ იცოდა, რა იყო კაცისა მის თანა.

### თ ა ვ ი 3.

1. იყო ვინმე კაცი ფარისე-
ველთაგანი, სახელით ნიკოდიმოს,
მთავარი ჰურიათა.
2. ესე მოვიდა იესოსა ღამე,
და ჰრქუა მას: რაბი! უწყით, რა-
მეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ-
ხარ მოძღურად; რამეთუ ვერვის
ჴელეწიფების სასწაულთა ამათ
საქმედ, რომელთა შენ იქმ, უკე-
თუ არა ღმერთი იყოს მის თანა.
3. მიუგო იესო და ჰრქუა მას:
ამინ, ამინ გეტყჳ შენ: უკეთუ
ვინმე არა იშუეს მეორედ, ვერ
ჴელეწიფების ხილუად სასუფე-
ველი ცათა.
4. ჰრქუა მას ნიკოდიმოს:
ვითარ ჴელეწიფების კაცსა ბერსა
შობად? ნუ უკუე შესაძლებელ-
არს მუცელსა დედისა თჳსისასა
შესლუად მეორედ, და შობად?
5. მიუგო იესო და ჰრქუა მას:
ამინ, ამინ გეტყჳ შენ: უკეთუ
ვინმე არა იშუეს წყლისაგან და
სულისა, ვერ ჴელეწიფების შესლ-
უად სასუფეველსა ღმრთისასა.
6. შობილი იგი ჴორცთაგან
ჴორცი არს; და შობილი იგი სუ-
ლისაგან სული არს.
7. ნუ გიკჳრნ, რამეთუ გარქუ
შენ ესე: ჯერ-არს თქუენდა მეო-
რედ-შობა.
8. სული, ვიდრეცა უნებნ
ჰქრის, და ჴმა მისი გესმის, არა-
მედ არა იცი, ვინა მოვალს და
ვიდრე ჰვალს; ესრეთ არს ყოვე-
ლი შობილი სულისაგან.
9. მიუგო ნიკოდიმოს და ჰრ-
ქუა მას: ვითარ შესაძლებელ-არს
ყოფად ესე?
10. მიუგო იესო და ჰრქუა მას:
შენ ხარ მოძღუარი ისრაილისა,
და ესე არა იცი?
11. ამინ, ამინ გეტყჳ შენ: რა-
მეთუ რომელი ვიცით, ვიტყჳთ,
და რომელი ვიხილეთ, ვჰსწამებთ,
და წამებასა ჩუენსა არა შეიწყნა-
რებთ.
12. უკეთუ ქუეყანისა გითხარ
თქუენ, და არა გრწამს; ვითარ
უკუე ზეცისა გითხრა თქუენ,
და გრწმენეს?
13. და არა ვინ აღჴდა ზეცად,
გარნა რომელი იგი გარდამოჴდა
ზეცით, ძე კაცისა, რომელი არს
ზეცათა შინა.
14. და ვითარცა იგი მოსე
აღამაღლა გუელი უდაბნოს; ეგ-
რეთ ჯერ-არს ამაღლებად მისა კა-
ცისა,
15. რათა ყოველსა, რომელსა
ჰრწმენეს იგი, არა წარჰსწყმდეს,
არამედ აქუნდეს ცხოვრება საუ-
კუნო.
16. რამეთუ ესრეთ შეიყუარა
ღმერთმან სოფელი ესე, ვითარ-
მედ ძეცა თჳსი მხოლოდ-შობი-
ლი მოჰსცა მას, რათა ყოველსა,
რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარჰ-
სწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვ-
რება საუკუნო.
17. რამეთუ არა მოავლინა ღმერ-
თმან ძე თჳსი სოფლად, რა-
თა დაჰსაჯოს სოფელი, არამედ

რათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ.

18. რომელსა ჰრწმენეს მისი, არა დაისაჯოს, ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დაჰსჯილ-არს, რამეთუ არა ჰრწმენა სახელისა მიმართ მისა ღმრთისა მხოლოდ-შობილისა.

19. და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყუნეს საქმენი მათნი ბოროტ.

20. რამეთუ ყოველი, რომელი ბოროტსა იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რათა არა ემხილნენ საქმენი მისნი.

21. ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვალს ნათლად, რათა ცხად იყუნეს საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ არიან.

22. ამისა შემდგომად მოვიდა იესო და მოწაფენი მისნი ქუეყანად ურიასტანისა და მუნ იყოფოდა მათ თანა და ნათელ-სცემდა.

23. იყო იოანეცა და ნათელ-სცემდა ენონს, მახლობელად სალიმსა, რამეთუ წყალნი ფრიად იყუნეს მუნ; და მოვიდოდეს, და ნათელს-იღებდეს მისგან.

24. რამეთუ არღა შევრდომილ-იყო იოანე საპყრობილედ.

25. და იყო გამოძიება მოწაფეთაგან იოანესთა ურიათა თანა განწმედისა თჳს.

26. და მოვიდეს იოანესა და ჰრქუეს მას: რაბი! რომელი იგი იყო შენ თანა წიაღ-იორდანესა, რომლისათჳს შენ ჰსწამე, აჰა იგი ნათელ-სცემს და ყოველნი მივლენან მისა.

27. მიუგო იოანე და ჰრქუა მათ: ვერ ჴელეწიფების კაცსა მოღებად თავით თჳსით არცა ერთი რა, უკეთუ არა არს მოცემულ მისა ზეცით.

28. თქუენ თჳთ მეწამებით მე, რამეთუ ვჰსთქუ: არა ვარ მე ქრისტე, არამედ მოვლინებულ-ვარ წინაშე მისსა.

29. რომელსა აქუნდეს სძალი, იგი სიძე არს, ხოლო მეგობარი სიძისა, რომელი ჰსდგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ჴმითა სიძისათა. ესე უკუე სიხარული ჩემი აღსრულებულ-არს.

30. მისა ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად.

31. ზეგარდამო მომავალი იგი ყოველთა ზედა არს, და რომელი არს ქუეყანით ქუეყანისაგანი არს, და ქუეყანისასა იტყჳს, ხოლო ზეცით მომავალი ყოველთა ზედა არს.

32. და რომელი იხილა და ესმა, ამას ჰსწამებს, და წამებასა მისსა არავინ მიიღებს.

33. რომელმან მიიღო წამებაჲ მისი, დაჰბეჭდა, რამეთუ ღმერთი ჭეშმარიტ-არს.

34. და რომელი მოავლინა ღმერთმან სიტყუათა ღმრთისათა იტყჳს; რამეთუ არა ზომით მოჰსცა ღმერთმან სული.

35. მამასა უყუარს ძე და ყოველივე მოჰსცა ჴელთა მისთა.

36. რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო, ხო-

ლო რომელი ურჩ-იყოს ძისა, არა იხილოს ცხოვრება, არამედ რისხუა ღმრთისა დადგრომილ-არს მის ზედა.

თ ა ვ ი 4.

1. ვითარცა გულის-ჴმა-ჰყო უფალმან, რამეთუ ესმა ფარისეველთა, ვითარმედ იესოს უმრავლესნი მოწაფენი უსხენ და ნათელ-ჰსცემს, ვიდრე იოანეს;
2. რამეთუ თჳთ იესო არა ნათელ-ჰსცემდა, არამედ მოწაფენი მისნი.
3. დაუტევა ურიასტანი და წარვიდა გალილიად.
4. ხოლო თავადი განსლუად იყო სამარიათ.
5. და მივიდა ქალაქსა სამარიტელთასა, რომელსა ჰრქჳან სუქარ, მახლობელად დაბასა, რომელი მიჰსცა იაკობ იოსებს, ძესა თჳსსა.
6. და იყო მუნ წყარო იაკობისი. ხოლო იესო, მაშურალი გზისა სლჳსაგან, ჰსჯდა წყაროსა მას ზედა. ჟამი იყო ვითარ მეექუსე.
7. მოვიდა დედაკაცი სამარიაჲთ ვსებად წყლისა, ჰრქუა მას იესო: მასუ მე წყალი.
8. რამეთუ მოწაფენი მისნი წარსრულ-იყუნეს ქალაქად რათა საზრდელი იყიდონ.
9. ჰრქუა მას დედაკაცმან მან სამარიტელმან: ვითარ შენ ურია ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარიტელისა დედაკაცისაგან? რამეთუ არა შეეხნიან ურიანი სამარიტელთა.
10. მიუგო იესო და ჰრქუა მას: უკეთუმცა იცოდე შენ ნიჭი ღმრთისა, და ვინ არს, რომელი გეტყჳს შენ: მეც მე წყალი, რათა ვსუა, შენმცა ჰსთხოვე მას, და გცამცა წყალი ცხოველი.
11. ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო! არცა სავსებელი გაქუს და ჯურღმული ესე ღრმა არს, ვინა გაქუს შენ წყალი ცხოველი?
12. ნუ უკუჱ შენ უფროს ხარ მამისა ჩუჱნისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული მომცა ჩუჱნ, და იგი თავადი ამისგან ჰსუმიდა, და ძენი მისნი, და საცხოვარი მისი?
13. მიუგო იესო და ჰრქუა მას: ყოველი, რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, ჰსწყუროდეს კუალადცა;
14. ხოლო რომელმან ჰსუას წყლისა მისგან, რომელი მე მივჰსცე მას, არღარა ჰსწყუროდეს უკუნისამდე; არამედ წყალი რომელი მე მივჰსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლისა, რომელი ვიდოდეს ცხოვრებად საუკუნოდ.
15. ჰრქუა დედაკაცმან მან: უფალო! მეც მე წყალი ესე, რათა არა მწყუროდეს, არცაღა მოვიდე აქა ვსებად.
16. ჰრქუა მას იესო: წარვედ და მოჰსადე ქმარსა შენსა, და მოვედ აქა.
17. მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა: არა მივის ქმარი. ჰრქუა

მას იესო: კეთილად ჰსთქუ, ვი-
თარმედ არა მივის ქმარი;

18. რამეთუ ხუთ ქმარ გეს-
ხნეს, და აწ, რომელი გივის, არა
არს ქმარი შენი; ესე ჭეშმარიტი
სთქუ.

19. ჰრქუა მას დედაკაცმან მან:
უფალო! ვხედავ, რამეთუ წინასწარ-
მეტყუელი ხარ შენ.

20. მამანი ჩუენნი მთასა ამას
თაყუანის-ჰსცემდეს; და თქუენ
იტყჳთ, ვითარმედ იერუსალიმს არს
ადგილი, სადა ჯერ-არს თაყუანის-
ცემა.

21. ჰრქუა მას იესო: დედაკა-
ცო, გრწმენინ ჩემი, რამეთუ
მოვალს ჟამი, ოდეს არცა ამას
მთასა, არცა იერუსალიმს თაყუა-
ნის-ჰსცემდეთ მამასა.

22. თქუენ თაყუანის-ჰსცემთ,
რომელი არა იცით; ხოლო ჩუენ
თაყუანის-ვჰსცემთ, რომელი ვი-
ცით; რამეთუ ცხოვრება ჰურიათა-
გან არს.

23. არამედ მოვალს ჟამი, და
აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი თა-
ყუანის-მცემელნი თაყუანის-ჰსცემ-
დენ მამასა სულითა და ჭეშმარიტე-
ბითა; რამეთუ მამაცა ეგევე ვითარ-
თა ეძიებს თაყუანის-მცემელთა
მისთა.

24. სულ-არს ღმერთი, და თა-
ყუანის-მცემელთა მისთა სულითა
და ჭეშმარიტებითა თანა-აძს თა-
ყუანის-ცემა.

25. ჰრქუა მას დედაკაცმან
მან: ვიცი, რამეთუ მესია მოვალს,
რომელსა ჰრქჳან ქრისტე; ოდეს
მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყო-
ველი.

26. ჰრქუა მას იესო: მე ვარ,
რომელი გეტყჳ შენ.

27. და ამას ოდეს სიტყუასა
ზედა მოვიდეს მოწაფენი მისნი,
და უკჳრდა, რამეთუ დედაკაცისა
თანა იტყოდა; და არა ვინ ჰრქუა
მას: რასა ეძიებ, ანუ რასა იტყჳ
მისთანა?

28. დაუტევა უკუე სარწყული
იგი მისი დედაკაცმან, და წარვიდა
ქალაქად, და უთხრა კაცთა მათ.

29. მოვედით და იხილეთ კა-
ცი, რომელმან მითხრა მე ყოვე-
ლი, რაჲცა ვჰქმენ; ნუ უკუე იგი
არს ქრისტე?

30. გამოვიდეს ქალაქით და
მოვიდოდეს მისა.

31. და ვიდრე იგი მოვიდო-
დეს, ამას ოდენ სიტყუასა ეტყო-
დეს მას მოწაფენი და ჰრქუეს:
რაბი! ჰსჭამე.

32. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ:
მე ჭამადი მაქუს ჭამად, რომელი
თქუენ არა იცით.

33. იტყოდეს მოწაფენი ურთი-
ერთარს: ნუ უკუე მოვიხმეარ-
თუა მას ჭამადი.

34. ჰრქუა მათ იესო: ჩემი
ჭამადი არს, რათა ვჰყო ნებაჲ
მომავლინებელისა ჩემისა, და აღვა-
სრულო საქმე მისი.

35. არა თქუენ იტყჳთა, ვი-
თარმედ ოთხლა თთუე არიან, და
მოვალს მკა? აჰა ესერა, მე გეტყჳ
თქუენ: აღიხილენით თუალნი
თქუენნი და იხილეთ ყანები, რა-
მეთუ სპეტაკ-არიან სამკალად აწვე.

36. და მომკალმან სასყიდელი თჳსი მიიღოს, და შეიკრიბოს ნაყოფი ცხორებად საუკუნოდ, რათა მთესვარსა და მომკალსა ერთბამად უხაროდეს მისთანა.

37. რამეთუ ამით არს ჭეშმარიტ სიტყჳა იგი, ვითარმედ სხჳა არს მთესვარი, და სხჳა არს მომკალი.

38. მე წარგავლინებ თქჳენ მკად, რომელსა თქჳენ არა დაჰშჳრებით; სხჳანი დამაშჳრალ-არიან, და თქჳენ შრომილსა მათსა შემოხჳედით.

39. ხოლო ქალაქისა მისგანთა მრავალთა ჰრწმენა მისა მიმართ სამარიტელთა მათ, სიტყჳთა მის დედაკაცისათა, რამეთუ ჰსწამებდა, ვითარმედ ყოველივე მითხრა მე, რაოდენი ვჰქმენ.

40. და ვითარცა მოვიდეს მისა სამარიტელნი იგი, ევედრებოდეს მას, რათა დაადგრეს მათ თანა; და დაადგრა მუნ ორ-დღე.

41. და უფროსსა სიმრავლესა ჰრწმენა სიტყჳსათა მისთა.

42. და ეტყოდეს დედაკაცსა მას, ვითარმედ არღარა სიტყჳთა შენითა გჳრწამს; რამეთუ ჩჳენ თჳთ გჳესმა მისგან, და უწყით, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტად მაცხოვარი სოფლისა, ქრისტე.

43. და შემდგომად ორისა მის დღისა გამოვიდა მიერ, და წარვიდა გალილეად.

44. რამეთუ თავადი იესო ჰსწამებდა, ვითარმედ წინასწარ-მეტყჳელსა თჳსსა სოფელსა პატივი არა აქჳს.

45. და ოდეს მოვიდა გალილეად, შეიწყნარეს იგი გალილეველთა, რამეთუ ყოველი ეხილვა, რავდენი ჰქმნა იერუსალიმს დღესასწაულსა მას, და რამეთუ იგინიცა მოსრულ-იყჳნეს დღესასწაულსა მას.

46. მოვიდა იესო მერმეცა კანად-გალილეასა, სადა იგი ჰქმნა წყალი ღჳნოდ. და იყო ვინმე სამეუფოჲთ მოსრული კაცი, რომლისა ძე სნეულ-იყო კაპერნაუმს.

47. ამას ესმა, ვითარმედ იესო მოსრულ-არს ურიასტანით გალილეას, მოვიდა მისა და ევედრებოდა, რათა მივიდეს მის თანა, და განჰკურნოს ძე იგი მისი, რომელი მიასწდა სიკჳდილად.

48. ჰრქჳა მას იესო: უკეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები, არა გრწმენეს.

49. ჰრქჳა მას სამეუფოსა კაცმან მან: უფალო! მოვედ პირველად სიკჳდილადმდე ძისა ჩემისა.

50. ჰრქჳა მას იესო: ვიდოდე, ცოცხალ-არს ძე შენი. და ჰრწმენა კაცსა მას სიტყჳა იგი, რომელი ჰრქჳა მას იესო, და წარვიდა.

51. და ვითარცა მიოდენ ვიდოდა იგი, მონანი მისნი მოეგებოდეს მას, და უთხრეს და ჰრქჳეს, ვითარმედ ძე შენი ცოცხალ-არს.

52. ჰკითხვიდა მათ: რომელსა ჟამსა უმოლხინეს იქმნა? ჰრქჳეს მას: გუშინ მეშჳდესა ჟამსა ოდენ დაუტევა იგი მცხურვალებამან.

53. მოეგონა მამასა მის ყრმი-

სახსა, რამეთუ მას ჟამსა ოდენ ჰრქუა მას იესო, ვითარმედ ძე შენი ცოცხალ-არს და ჰრწმენა მას, და ყოველთა სახლეულთა მისთა.

54. ესე კუალად მეორე სასწაული ჰქმნა იესო, მოსრავიდა ურიასტანით გალილიად.

თ ა ვ ი 5.

1. ამისა შემდგომად იყო დღესასწაული ურიათა, და აღვიდა იესო იერუსალიმად.

2. და არს იერუსალიმს ცხოვართა-საბანელსა მას ტბა, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ ბითეზდა, და ხუთ სტოვა იყო.

3. ამას შინა ისხა სიმრავლე უძლურთა, ბრმები, მკელობლები, განკმელები, რომელნი მოელიედ წყლისა მის აღმრღუევასა.

4. რამეთუ ანგელოსი წლითი-წლად გარდამოვიდოდა საბანელსა მას, და აღამრღჳვის წყალი იგი; და რომელიცა პირველ შთავიდის აღმრღუევასა მას წყლისასა, განიკურნის, რომლითაცა შეპყრობილ-არიან სნეულებითა.

5. იყო ვინმე მუნ კაცი, რომელსა ოცდა-ათრვამეტი წელი დაეყო უძლურებასა შინა.

6. ესე იხილა იესო მდებარე, და გულის-ხმა-ჰყო, რამეთუ მრავალი წელი აქუს უძლურებასა შინა, ჰრქუა მას იესო: გნებავსა, რათა განიკურნო?

7. მიუგო უძლურმან მან და ჰრქუა: უფალო! კაცი არა მაქუს, რათა რაჟამს წყალი ესე აღიმრღუეს და შთამაგდოს საბანელსა ამას; ვიდრე მე მოვიდოდე, სხუა უწინარეს ჩემსა შთავიდის და განიკურნის.

8. ჰრქუა მას იესო: აღდგე, აღიღე ცხედარი შენი, და ვიდოდე.

9. და მეყუსეულად განცოცხლდა კაცი იგი, და აღიღო ცხედარი თჳსი და წარვიდა. ხოლო იყო შაბათი დღე იგი.

10. ეტყოდეს მას ურიანი იგი: შაბათი არს, და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი შენი.

11. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან იგი განმკურნა მე, მან მრქუა: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე.

12. ჰკითხვიდეს უკუე მას ურიანი იგი და ჰრქუეს: ვინ არს კაცი იგი, რომელმან გრქუა შენ: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე?

13. ხოლო განკურნებულმან მან არა უწყოდა, ვინ არს, რამეთუ იესო მიეფარა, რამეთუ ერი იყო ადგილსა მას.

14. ამისა შემდგომად ჰპოვა იგი იესო ტაძარსა მას შინა და ჰრქუა მას: აჰა, ცოცხალ-იქმენ; ნუღარა ჰსცოდავ, რათა არა უძჳრესი რაჲმე გეყოს შენ.

15. წარვიდა კაცი იგი და უთხრა ურიათა მათ, ვითარმედ იესო არს, რომელმან განმკურნა მე.

16. და მისთჳს ჰსდევნიდეს ურიანი იგი იესოს, და ენება მოკლუაჲ მისი, რამეთუ ამას იქმოდა შაბათთა შინა.

17. ხოლო იესო მიუგო და-

ჰრქუა მათ: მამა ჩემი მოაქამომ-
დე იქმს, და მეცა ვიქმ.
18. ამისთჳს უფროს ხოლო
ეძიებდეს ურიანი იგი მოკლუად
იესოს, რამეთუ არა ხოლო თუ შა-
ბათსა დაჰჴსნიდა, არამედ ღმერთი-
საცა მამად თჳსად იტყოდა, და
თავსა თჳსსა სწორ ჰყოფდა ღმრ-
თისა.
19. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ: არა
ჴელეწიფების ძესა კაცისასა საქმედ
თავით თჳსით არცა ერთი რა,
უკეთუ არა იხილოს რამე მამისაგან
საქმე; რამეთუ რავდენსა იგი მა-
მა იქმს, მას ძე ეგრეთვე მჰსგავ-
სად იქმს.
20. რამეთუ მამასა უყუარს
ძე, და ყოველსავე უჩუენებს მას,
რაოდენსაცა იგი იქმს; და უფრო-
სიცა ამისა უჩუენოს მას საქმე,
რათა თქუენ გიკჳრდეს.
21. რამეთუ ვითარცა იგი მამა
აღადგინებს მკუდართა და აცხოვ-
ნებს, ეგრეცა ძე, რომელთა ჰნე-
ბავს, აცხოვნებს.
22. არცაღა მამა ჰსჯის არა-
ვის, არამედ ყოველი სასჯელი
მოჰსცა ძესა.
23. რათა ყოველნი პატივ-
ჰსცემდენ ძესა, ვითარცა იგი პა-
ტივ-ჰსცემენ მამასა; რამეთუ რო-
მელმან არა პატივ-ჰსცეს ძესა,
მან არა პატივ-ჰსცა მამასა, რო-
მელმან მოავლინა იგი.
24. ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ,
რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩე-
მნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავ-
ლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხოვ-
რება საუკუნო; და სასჯელსა იგი
არა შეჰჴვიდეს, არამედ გარდა-
იცუალოს იგი სიკუდილისაგან
ცხოვრებად.
25. ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ,
რამეთუ მოვალს ჟამი, და აწვე არს,
ოდეს მკუდართა ისმინნენ სიტ-
ყუანი მისა ღმრთისანი, და რო-
მელთა ისმინნენ, ჰსცხოვნდენ.
26. რამეთუ ვითარცა იგი მა-
მასა აქუს ცხოვრება თავისა თჳ-
სისა თანა, ეგრეცა ძესა მოჰსცა,
რათა აქუნდეს ცხოვრება თავისა
თჳსისა თანა.
27. და ჴელმწიფება მოჰსცა მას
საჰსჯელისაცა ყოფად, რამეთუ ძე
კაცისა არს.
28. ნუ გიკჳრნ ესე; რამეთუ
მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი,
რომელნი ისხნენ საფლავებსა,
ისმინონ ჴმისა მისისა;
29. და გამოვიდოდენ კეთი-
ლის-მოქმედნი აღდგომასა ცხოვ-
რებისასა, ხოლო ბოროტის-მოქ-
მედნი აღდგომასა საჰსჯელისასა.
30. არა ჴელმეწიფების ძე საქ-
მედ თავით თჳსით არა რა; არა-
მედ ვითარცა მესმის, ვჰსჯი; და
სასჯელი ჩემი მართალ-არს; რამე-
თუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არა-
მედ ნებასა მომავლინებელისა ჩე-
მისა მამისასა.
31. უკეთუ მე ვჰსწამებდე თა-
ვისა ჩემისათჳს, წამება ჩემი არა
არს ჭეშმარიტ.
32. სხუა არს, რომელი ჰსწა-
მებს ჩემთჳს; და უწყი, რამეთუ ჭე-
შმარიტ-არს წამება მისი, რო-
მელსა ჰსწამებს ჩემთჳს.

33. თქუენ მიავლინეთ იოანნე-
სა; და ჰსწამა ჭეშმარიტი.
34. ხოლო მე წამება კაცისა-
გან არა მოვიღო; არამედ ამას ვიტ-
ყჳ, რათა თქუენ ჰსცხოვნდეთ.
35. იგი იყო სანთელი აღნ-
თებული და საჩინო; ხოლო თქუენ
ინებეთ ყამ-ერთ სიხარული ნა-
თელსა მისსა.
36. ხოლო მე მაქუს წამება
უფროს იოანნესსა; რამეთუ საქმე-
ნი, რომელნი მომცნა მე მამამან,
რათა აღვასრულნე იგინი, ესევე
საქმენი ჰსწამებენ ჩემთჳს, რო-
მელთა მე ვიქმ, რამეთუ მამამან
მომავლინა მე.
37. და რომელმან მომავლინა
მე, მამამან, მან ჰსწამა ჩემთჳს.
თქუენ არცა ჴმა მისი გესმა სა-
დამე, არცა ხატი მისი იხილეთ.
38. და სიტყუა მისი არა არს
თქუენთანა დადგრომილ; რამეთუ
რომელი იგი მოავლინა ღმერთ-
მან, ესე თქუენ არა გრწამს.
39. გამოიძიებდით წიგნთაგან,
რამეთუ თქუენ ჰგონებთ, ვითარ-
მედ გაქუს ცხოვრება საუკუნო
მათ შინა; და იგინი არიან, რო-
მელნი ჰსწამებენ ჩემთჳს.
40. და თქუენ არა გნებავს
მოსლვად ჩემდა, რათა ცხოვრება
გაქუნდეს.
41. დიდება კაცთაგან არა მო-
ვიღო;
42. არამედ გიცნი თქუენ,
რამეთუ სიყუარული ღმრთისა
არა გაქუს თავთა შინა თქუენთა.
43. მე მოვედ სახელითა მა-
მისა ჩემისათა, და არა შემიწყნა-
რებთ; უკეთუ სხუა მოვიდეს სა-
ხელითა თჳსითა, იგი შეიწყნა-
როთ.
44. ვითარ უკუე ჰელგეწიფე-
ბის თქუენ რწმუნებად, რამეთუ
დიდებასა ურთიერთარს მიიღებთ,
და დიდებასა მხოლოჲსა ღმრთი-
სასა არა ეძიებთ?
45. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ
მე შეგასმენნე თქუენ მამასა ჩემ-
სა; არს შემასმენელი თქუენი
მოსე, რომელსა თქუენ ესავთ.
46. უკეთუმცა გრწმენა მოსე-
სი, გრწმენამცა ჩემიცა; რამეთუ
მან ჩემთჳს დაჰსწერა.
47. უკეთუ მისთა წიგნთა არა
გრწამს, ჩემთა სიტყუათა ვითარ-
მე გრწმენეს?

## თ ა ვ ი 6.

1. ამისა შემდგომად წიაღჰვლდა
იესო წიაღ-ზღუასა მას გალილე-
ასასა, რომელ-არს ტიბერიასა.
2. და მიჰსდევდა მას ერი მრა-
ვალი, რამეთუ ჰხედვიდეს სასწა-
ულთა მათ, რომელთა იქმოდა უძ-
ლურთა ზედა.
3. და აღვიდა იესო მთასა, და
მუნ დაჰსხდა მოწაფითურთ თჳ-
სით.
4. და იყო მოახლებულ პასქა,
დღესასწაული იგი ურიათა.
5. აღიხილნა თუალნი თჳსნი
იესო და იხილა, რამეთუ მრავალი
ერი მოვალს მისა, ჰრქუა ფილიპე-
პეს: ვინა ვიყიდოთ პური, რათა
ჰსჭამონ ამათ?
6. ამას რა ეტყოდა, გამოჰსც-

*

დიდა მას; ხოლო თჳთ უწყოდა,
რა ეგულვებოდა ყოფად.
7. ჰრქუა ფილიპე: ორ-ასისა
დრაჰკნისა პური ვერ კმა არს
ამათდა, რათა კაცად-კაცადმან მცი-
რედ რამე მიიღოს.
8. ჰრქუა მას ერთმან მოწა-
ფეთა მისთაგანმან, ანდრია, ძმა-
მან სჳმონ-პეტრესმან:
9. არს აქა ყრმა, რომელსა
აქუს ხუთი პური ქრთილისა და
ორი თევზი; არამედ ესე რა არს
ესოდენთა წინაშე?
10. ჰრქუა მათ იესო: დასხსით
კაცები ესე; და იყო თივა ფრიად ად-
გილსა მას. და დასხდა კაცები იგი
რიცხჳთ ვითარ ხუთ-ათას ოდენ.
11. და მოიხუნა იესო პურ-
ნი იგი, და ჰმადლობდა, და მისც-
ცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი
მისცემდეს ერსა მას, რომელნი
იგი დასხდეს; ეგრეცა თევზთა
მათგანი, რაოდენი იგი უნდა მათ.
12. და ვითარცა განძღეს,
ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: შეკრი-
ბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რათა
ნუმცარა წარწყმდების.
13. ხოლო მათ შეკრიბეს და
აღავსეს ათ-ორმეტი გოდორი ნა-
მუსრევითა ხუთთა მათ პურთაგან
ქრთილისათა, რომელ იგი დაუშ-
თა მათ, რომელთა იგი ჰსჭამეს.
14. ხოლო კაცთა მათ, ვი-
თარცა იხილეს სასწაული იგი,
რომელ ჰქმნა იესო, იტყოდეს:
ესე არს ჭეშმარიტად წინასწარ-
მეტყუელი, რომელი მოსრულ-
არს სოფლად.
15. ხოლო იესო გულის-კმა-
ჰყო, რამეთუ მოვიდოდეს წარტა-
ცებად, რათამცა ჰყუნეს იგი მე-
ფედ, და განეშორა, და წარვიდა
მთად იგი ხოლო მარტო.
16. და ვითარცა შემწუხრდა,
შთავიდეს მოწაფენი მისნი ზღუად,
17. და შევიდეს ნავსა, და მო-
ვიდოდეს წიაღ ზღუასა მას კა-
პერნაუმად; და ვითარ შეოდენ-
რიჟუდებოდა, და არდა მოსრულ-
იყო მათდა იესო.
18. და ზღუა იგი ქარისაგან
დიდისა აღიძრვოდა.
19. და შეოდენ სრულ-იყუნეს,
ვითარ ოცდა-ხუთ უტევან, გინა
ოცდა-ათ, იხილეს იესო, ვიდო-
და რა ზღუასა ზედა და მოახ-
ლა რა ნავსა მას, შეეშინა მათ.
20. ხოლო თავადმან მან ჰრქუა
მათ: მე ვარ; ნუ გეშინინ.
21. უნდა მათ, რათამცა შეი-
ყუანეს იგი ნავსა მას; და მეყუსეუ-
ლად იპოვა ნავი იგი ქუეყანასა
მას, ვიდრეცა მივიდოდეს.
22. ხვალისაგან ერი იგი, რო-
მელი ჰსდგა წიაღ ზღუასა მას,
უწყოდეს, რამეთუ სხუა ნავი არა
იყო მუნ, გარნა ერთი იგი ხოლო,
რომელსა შესრულ-იყუნეს მოწა-
ფენი იესოსნი, და რამეთუ არა შე-
ვიდა იესო მოწაფეთა თანა ნავსა
მას, არამედ მოწაფენი ხოლო მის-
ნი შევიდეს.
23. მოვიდეს უკუე სხუანიცა
ნავნი ტიბერიით, მახლობელად
ადგილსა მას, სადა იგი ჰსჭამეს
პური, რომელი იგი აკურთხა
უფალმან და ჰმადლობდა.
24. ვითარცა იხილა ერმან მან,

ვითარმედ იესო არა მუნ არს, არცა მოწაფენი მისნი, შთადგინეს მათ ნავები იგი, და მოვიდეს კაპერნაუმად, და ეძიებდეს იესოს.

25. და ჰპოვეს იგი წიაღ-ზღუასა მას, და ჰრქუეს მას: რაბი! ოდეს მოჰხუედ აქა?

26. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ: მეძიებთ მე არა თუ, რამეთუ იხილენით სასწაულნი; არამედ რამეთუ ჰსჭამეთ პურთა მათგან და განჰსძეღით.

27. იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხოვრებად საუკუნოდ, რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქუენ; რამეთუ ამას მამამან დაჰბეჭდა ღმერთმან.

28. ჰრქუეს მას: რა ვჰყოთ, რათა ვიქმოდეთ საქმესა ღმრთისასა?

29. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: ესე არს საქმე ღმრთისა, რათა გრწმენეს, რომელი იგი მან მოავლინა.

30. და მათ ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა იქმ, რათა ვიხილოთ და გრწმენეს შენი? რას იქმ?

31. მამანი ჩუენნი ჰსჭამდეს მანანასა უდაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ-არს: პური ზეცით მოჰსცა მათ ჭამად.

32. ჰრქუა მათ იესო: ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ: არა მოსე მოგცა თქუენ პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგცა თქუენ პური ჭეშმარიტი ზეცით.

33. რამეთუ პური ღმრთისა არს, რომელი გარდამოჰხდა ზეცით, და მოჰსცა ცხოვრება სოფელსა.

34. ჰრქუეს მას: უფალო! მარადის მომეც ჩუენ პური ესე.

35. ჰრქუა მათ იესო: მე ვარ პური ცხოვრებისა; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა ჰშიოდეს, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არა სადა ჰსწყუროდეს.

36. არამედ გარქუ თქუენ, ვითარმედ მიხილეთ მე, და არა გრწამს.

37. ყოველი, რომელი მომცა მე მამამან ჩემმან, ჩემდა მოვიდეს; და რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაგდო გარე.

38. რამეთუ გარდამოვჰხედ ზეცით, არა რათა ვჰყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნება მომავლინებელისა ჩემისა მამისა.

39. ხოლო ესე არს ნება მომავლინებელისა ჩემისა მამისა, რათა ყოველი, რომელი მომცა მე, არა წარვჰსწყმიდო მისგან, არამედ აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა.

40. რამეთუ ესე არს ნება მომავლინებელისა ჩემისა, რათა ყოველი, რომელი ჰხედვიდეს ძესა და ჰრწმენეს მისი, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო; და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა.

41. ჰსდრტჳნვიდეს მისთჳს ურიანი იგი, რამეთუ ჰსთქუა: მე ვარ პური იგი, რომელი ზეცით გარდამოვჰხედ.

42. და იტყოდეს: არა ესე არსა იესო, ძე იოსებისი, რომლისა მამა და დედა ჩუენ ვიცით? ვითარ უკუე იტყჳს ესე, ვითარმედ ზეცით გარდამოვჴსედ?

43. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: ნუ ჰსდრტჳნავთ ურთიერთარს.

44. ვერვის კელეწიფების მოსლუად ჩემდა, უკეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყუანოს იგი ჩემდა; და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა.

45. წერილ-არს წინასწარ-მეტყუელთა შინა, ვითარმედ იყუნენ ყოველნი ღმრთივ-სწავლულ. ყოველსა, რომელსა ესმას მამისა ჩემისაგან, და ისწავოს, მოვიდეს ჩემდა.

46. არათუ ღმერთი ვის უხილავს, არამედ რომელი იგი არს ღმრთისაგან; ამან იხილა მამაჲ.

47. ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო.

48. მე ვარ პური ცხოვრებისა.

49. მამათა თქუენთა ჰსჭამეს მანანაჲ უდაბნოსა, და მოჰსწყუდეს.

50. ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოჴსდა; უკეთუ ვინმე ჰსჭამოს მისგანი, არა მოკუდეს.

51. მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჴსედ; უკეთუ ვინმე ჰსჭამდეს ამის პურისაგან, არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე; და პური, რომელი მე მივჰსცე, კორცი ჩემი არს, რომელსა მე მივჰსცემ ცხოვრებისათჳს სოფლისა.

52. ილალვიდეს ურთიერთარს ურიანი იგი და იტყოდეს: ვითარმე კელეწიფების ამას მოცემად ჩუენდა კორცი თჳსი ჭამად?

53. ჰრქუა მათ იესო: ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ: უკეთუ არა ჰსჭამოთ კორცი ძისა კაცისა, და ჰსუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენთა.

54. ხოლო რომელი ჰსჭამდეს კორცსა ჩემსა, და ჰსმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო; და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა.

55. რამეთუ კორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასმელი არს.

56. და რომელი ჰსჭამდეს კორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ-არს, და მე მისთანა.

57. ვითარცა მომავლინა მე ცხოველმან მამამან, და მეცა ცხოველ-ვარ მამისათანა; და რომელი ჰსჭამდეს ჩემგან, იგიცა ჰსცხოვნდეს ჩემ მიერ.

58. რამეთუ ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოჴსდა. არა ეგრეთ, ვითარ იგი ჰსჭამეს მამათა თქუენთა მანანაჲ, და მოჰსწყუდეს: ხოლო რომელი ჰსჭამდეს ამას პურსა, ჰსცხოვნდეს უკუნისამდე.

59. ესე ჰსთქუა შესაკრებელსა შორის და ასწავებდა კაპერნაუმს.

60. მრავალთა უკუ̂ჱ მოწაფეთა მისთაგანთა ესმა ესე და იტყოდეს: ფიცხელ-არს სიტყუ̂ა ესე! ვის ჴელეწიფების სმენად მისა?
61. იცოდა იესო თავით თჳსით, რამეთუ ჰსდრტჳნვენ მოწაფენი მისნი ამისთჳს, და ჰრქუ̂ა მათ: ესე დაგაბრკოლებს თქუ̂ენ?
62. უკეთუ იხილოთ ძე კაცისა აღმავალი, სადაცა იყო პირველ?
63. სული არს განმაცხოველებელ; ხოლო ჴორცნი არად სარგებელ არიან. სიტყუ̂ათა, რომელთა გეტყჳ თქუ̂ენ, სულ არიან და ცხოვრება.
64. არამედ არიან ვინმე თქუ̂ენგანნი, რომელთა არა ჰრწამს. რამეთუ იცოდა იესო პირველითგან, თუ ვინ არიან იგინი, რომელთა არა ჰრწამს, ანუ ვინ არს მიმცემელი მისი.
65. და ეტყოდა: ამისთჳს გარქუ̂ თქუ̂ენ: ვერ ვის ჴელეწიფების მოსლუ̂ად ჩემდა, უკეთუ არა არს მოცემულ მისა მამისაგან ჩემისა.
66. ამისგამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნ-იქცეს, და არღარა ვიდოდეს მისთანა.
67. ჰრქუ̂ა იესო ათ-ორმეტთა მათ: ნუ უკუ̂ჱ თქუ̂ენცა გნებავს წარსლჳს?
68. მიუგო მას სჳმონ-პეტრე და ჰრქუ̂ა: უფალო! ვისა მივიდეთ ჩუ̂ენ? რამეთუ სიტყუ̂ანი ცხოვრებისა საუკუნოისანი გქონან შენ.
69. და ჩუ̂ენ გურწმენა და გჳცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა.
70. მიუგო იესო და ჰრქუ̂ა მათ: არა მე ათ-ორმეტნი გამოგირჩიენ? და ერთი თქუ̂ენგანი ეშმაკი არს.
71. ხოლო იტყოდა იუდა სჳმონისსა ისკარიოტელსა, რომელი იყო ერთი ათ-ორმეტთაგანი, რამეთუ ამას ეგულვებოდა მიცემა მისი.

## თავი 7.

1. ამისა შემდგომად იქცეოდა იესო გალილიას, და არა უნდა მისლუ̂ად ურიასტანს, რამეთუ ეძიებდეს მას ურიანი იგი მოკლუ̂ად.
2. ხოლო იყო მახლობელ დღესასწაული იგი ურიათა, რომელ-არს კარვობისა.
3. ჰრქუ̂ეს მას ძმათა მისთა: გარდაგუ̂ალე ამიერ და წარვედ ურიასტანად, რათა მოწაფეთაცა შენთა იხილნენ საქმენი შენნი, რომელთა იქმ.
4. რამეთუ არავინ ფარულად რასმე იქმნ, და ეძიებნ, რათამცა განცხადებულ-იყო. უკეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა.
5. რამეთუ არცაღა ძმათა მისთა ჰრწმენა მისი.
6. ჰრქუ̂ა მათ იესო: ჟამი ჩემი არღა მოწევნულ-არს; ხოლო ჟამი თქუ̂ენი ოდესვე განმზადებულ-არს.
7. ვერ ჴელეწიფების სოფელსა მოძულებად თქუ̂ენდა, ხოლო მე ვჰსძულ; რამეთუ ვჰსწამე მის-

თჳს, ვითარმედ საქმენი მისნი
ბოროტ-არიან.
8. თქუენ აღვედით დღესასწა-
ულსა ამას; ხოლო მე არა აღვალ
დღესასწაულსა ამას, რამეთუ ჟამი
ჩემი არღა აღსრულებულ-არს.
9. ესე ჰრქუა მათ, და დაადგრა
გალილეას.
10. და ვითარცა აღჳდეს ძმა-
ნი მათნი დღესასწაულსა მას, მა-
შინ თავადიცა იესო აღჳდა არა
განცხადებულად, არამედ ვითარცა
ფარულად.
11. ხოლო ჰურიანი იგი ეძი-
ებდეს მას დღესასწაულსა მას და
იტყოდეს: სადამე არს იგი?
12. და იყო მრავალი დრტჳნ-
ვა მისთჳს ერსა შორის: რომელ-
ნიმე იტყოდეს: კეთილ-არს; ხო-
ლო სხუანი იტყოდეს: არა, არა-
მედ აცთუნებს ერსა.
13. და არავინ განცხადებუ-
ლად იტყოდა მისთჳს შიშისათჳს
ჰურიათასა.
14. და ვითარცა დღესასწა-
ული იგი განოდენზოგებულ-იყო,
აღვიდა იესო ტაძრად და ასწავებდა.
15. უკჳრდა ჰურიათა მათ და
იტყოდეს: ვითარ უკუჱ ამან წიგ-
ნი იცის უსწავლელად?
16. მიუგო იესო და ჰრქუა:
ჩემი ესე მოძღურება არა არს
ჩემი, არამედ მომავლინებელისა
ჩემისა.
17. უკეთუ ვინმე ნებასა მის-
სა ჰყოფდეს, ჰსცნას მან მოძ-
ღურებაჲ ესე, ვითარ რა არს,
ღმრთისაგან არს, ანუ მე თავით
თჳსით ვიტყჳ.
18. რომელი თავით თჳსით
იტყჳნ დიდებასა, თავისა თჳსისა-
სა ეძიებნ; ხოლო რომელი
ეძიებნ დიდებასა მომავლინებელი-
სა თჳსისასა, იგი ჭეშმარიტ-არს
და სიცრუე არა არს მისთანა.
19. ანუ არა მოსე მოგცა
თქუენ ჰსჯული? და არავინ თქუენ-
განი ჰყოფს ჰსჯულსა. რაისათჳს
მეძიებთ მე მოკლუად?
20. მიუგო ერმან მან და
ჰრქუა: ეშმაკი არს შენთანა? ვინ
გეძიებს შენ მოკლუად?
21. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: ერთი საქმე ვჰქმენ თქუენ
შორის, და ყოველთა გიკჳრს.
22. ამისთჳს მოსე მოგცა
თქუენ წინა-დაცუჱთა, არა თუ
მოსესგან არს, არამედ მამათაგან,
და შაბათსა წინა-დაიცჳთის კაც-
მან.
23. უკეთუ წინა-დაცუჱთილე-
ბა მოიღის კაცმან შაბათსა, რათა
არა განჰქარდეს ჰსჯული მოსესი:
მე მაბრალებთა, რამეთუ ყოვლად-
ვე განვაცოცხლე კაცი შაბათსა
შინა?
24. ნუ ჰსჯით თვალთ-ღებით,
არამედ სამართალი საჰსჯელი ჰსა-
ჯეთ.
25. იტყოდეს ვინმე იერუსა-
ლიმელთაგანნი: არა ესე არსა, რო-
მელსა ეძიებდეს მოკლუად?
26. აჰა ესერა, განცხადებულად
ეტყჳს, და არა ეტყჳან მას; ნუ
უკუჱ ჭეშმარიტად ჰსცნეს მთა-
ვართა მათ, ვითარმედ ესე არს
ჭეშმარიტად ქრისტე?

27. არამედ ესე ვიცით, ვინ არს; ხოლო ქრისტე, ოდეს მოვიდეს, არა ვინ უწყოდეს, თუ ვინ არს.

28. ღაღად-ყო იესო ტაძარსა მას შინა, ასწავებდა და ეტყოდა: მეცა მიცით, და იცით, ვინა ვარ, და თავით ჩემით არა მოსრულვარ, და არს ჭეშმარიტ, რომელმან იგი მომავლინა მე, რომელი თქუენ არა იცით.

29. ხოლო მე ვიცი იგი, რამეთუ მის მიერ ვარ და მან მომავლინა მე.

30. ეძიებდეს მას შეპყრობად, და არა ვინ დაასხნა მას ჴელნი; რამეთუ არღა მოწევნულ-იყო ჟამი მისი.

31. და მრავალთა ერისა მისგანთა ჰრწმენა მისა მიმართ, და იტყოდეს: ქრისტე ოდეს მოვიდეს, ნუ უკუე უმრავლესნი სასწაულნი ჰქმნნესა, რომელნი ამან ჰქმნნა?

32. და ესმა ფარისეველთა ერისა მის დრტჳნვაჲ მისთჳს, და მიავლინნეს მღდელთ-მთავართა მათ და ფარისეველთა მსახურნი, რათა შეიპყრან იგი.

33. და ჰსთქუა იესო: მცირედ ჟამ თქუენთანა ვარ, და წარვალ მომავლინებელისა ჩემისა.

34. მეძიებდეთ მე, და არა მპოვოთ, და სადა იგი მე ვიყო, თქუენ ვერ მალ-გიძს მოსლვად.

35. იტყოდეს ურთიერთარს ურიანი იგი, ვიდრემე ეგულების ამას წარსლვად, და ჩუენ არა ვჰპოვოთ იგი? ნუ უკუე განთესულთა მათ წარმართთასა ეგულების მისლვად, და სწავლად მუნ წარმართთა?

36. რა არს სიტყუა ეს, რომელსა იტყჳს: მეძიებდეთ მე, და არა მპოვოთ, და სადა მე ვიყო, თქუენ ვერ ჴელგეწიფების მოსლვად?

37. და დასასრულსა მას დიდისა მის დღესასწაულისასა დადგა იესო, ღაღად-ყო და ჰსთქუა: უკეთუ ვისმე ჰსწყუროდეს, მოვედინ ჩემდა და ჰსუმდინ.

38. და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა ჰსთქუა წიგნმან, მდინარენი მუცლისა მისისაგან ჰსდიოდენ წყლისა ცხოველისანი.

39. ესე ჰსთქუა სულისა მისთჳს, რომელი მიღებად იყო მორწმუნეთა მათ მისსა მიმართ; რამეთუ არღა მოცემულ-იყო სული წმიდა, რამეთუ იესო არღა იყო დიდებულ.

40. მრავალთა ერისა მისგანთა ისმინეს სიტყუა ესე, და იტყოდეს: ესე არს ჭეშმარიტად წინასწარ-მეტყუელი.

41. სხუანი იტყოდეს: ესე არს ქრისტე. ხოლო სხუანი იტყოდეს: ნუ უკუე გალილიაით მოსლვად არს ქრისტე?

42. არა წიგნი იტყჳსა, ვითარმედ თესლისაგან დავითისა და ბეთლემით დაბით, სადა იყო დავით, მოვიდეს ქრისტე?

43. და განწვალება იყო მისთჳს ერსა შორის.

44. და რომელთამე მათგანთა

უნდა შეპყრობა მისი, და არავინ
მიჰყუნა ჴელნი მის ზედა.
45. მოვიდეს მსახურნი იგი
მღუდელთ-მთავართანი და ფარი-
სეველთანი, და ჰრქუეს მათ: რად
არა მოიყუანეთ იგი?
46. მიუგეს მსახურთა მათ და
ჰრქუეს: არა სადა ვინ იტყოდა
კაცი ესრეთ, ვითარ ესე კაცი.
47. მიუგეს ფარისეველთა მათ
და ჰრქუეს: თქუენცა ნუ უკუე
შევეცთომილ-ხართა?
48. ნუ უკუე მთავართაგანთა
ვიეთმე ჰრწმენა მისი, ანუ ფარი-
სეველთა?
49. არამედ ერსა ამას, რო-
მელმან არა იცის ჰსჯული, დაწყე-
ულ-არიან.
50. ჰრქუა მათ ნიკოდიმოს,
რომელი იგი მოსრულ-იყო პი-
რველ მისა, იყო ერთი მათგანი:
51. ნუ უკუე ჰსჯული ჩუენი
დაჰსჯის კაცსა, უკეთუ არა პირ-
ველად ისმინოს მისგან და ჰსცნას,
რასა იქმს?
52. მიუგეს მათ და ჰრქუეს
მას: ნუ შენცა გალილეით ხარ?
გამოიძიე და იხილე, რამეთუ გა-
ლილეით წინასწარ-მეტყუელი არა
აღდგომილ-არს.
53. და წარვიდეს კაცად-კაცა-
დი სახიდ თჳსად.

თ ა ვ ი 8.

1. ხოლო იესო წარვიდა მთა-
სა მას ზეთის-ხილთასა.
2. და განთიად კუალად მოვი-
და ტაძრად, და ყოველი ერი მო-
ვიდოდა მისა მიმართ. და დაჰსჯ-
და, და ასწავებდა მათ.
3. ხოლო მწიგნობართა მათ
და ფარისეველთა მოიყუანეს მისა
დედაკაცი, რომელი ცხადად ერსა
ზედა დაეპყრა მრუშებასა, და და-
ადგინეს იგი შორის,
4. და ჰრქუეს მას: მოძღუარ!
ესე დედაკაცი ცხადად მრუშებასა
დაეპყრა.
5. და მოსე ამცნო ჰსჯულსა
შინა ჩუენსა ესე-ვითართა ქჳსა-
დაკრება: შენ უკუე რასა იტყჳ?
6. ხოლო ესე ჰსთქუეს და
გამოჰსცდიდეს მას, რათა აქუნდეს
შესმენად მისა. ხოლო იესო ქუე-
ყანად დაჰსდრკა, და თითითა ქუე-
ყანასა ჰსწერდა და არა რას ეტ-
ყოდა.
7. და ვითარ მყოვარ ჰსდგეს
და ჰკითხვიდეს მას, აღემართა ზე და
ჰრქუა მათ: ვინ უცოდუელ-არს
თქუენგანი, პირველად მან დაუ-
ტევენ ქუაჲ მაგას ზედა.
8. და კუალად ქუე-დაჰსდრკა,
და ჰსწერდა ქუეყანასა.
9. ხოლო მათ, ვითარცა ესმა,
მხილებულნი სჳნიდისისაგან, გან-
ვიდოდეს თითო, იწყეს მოხუცე-
ბულითგან, ვიდრემდის დაჰშთა
თავადი მარტო, და დედაკაცი იგი
ჰსდგა შორის.
10. ხოლო იესო აღემართა და
არავინ იხილა, გარნა დედაკაცი
იგი, და ჰრქუა მას: სადა არიან
შემასმენელნი შენნი? არავინ გან-
გიკითხა შენ?
11. ხოლო მან ჰრქუა: არა-
ვინ, უფალო! ხოლო იესო ჰრქუა

მას: არცა მე განგიკითხავ შენ. წარვედ და ამიერითგან ნურღარა ჰსცოდავ.

12. მერმეცა ეტყოდავე იესო, და ჰრქუა მათ: მე ვარ ნათელი სოფლისა; რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა.

13. ჰრქუეს მას ფარისეველთა: შენ თავისა შენისათჳს ჰსწამებ, და წამება შენი არა არს ჭეშმარიტ.

14. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: დაღაცათუ მე ვჰსწამო თავისა ჩემისა თჳს, ჭეშმარიტ-არს წამება ჩემი; რამეთუ ვიცი, ვინა მოსრულ-ვარ და ვიდრე მივალ; ხოლო თქუენ არა იცით, ვინა მოვედ და ვიდრე ვალ.

15. თქუენ ჴორცთაებრ ჰსჯით, ხოლო მე არავის ვჰსჯი.

16. უკეთუ ვჰსჯიდე მე, სასჯელი ჩემი ჭეშმარიტ-არს; რამეთუ არა ვარ მარტო, არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამა.

17. რამეთუ ჰსჯულსაცა თქუენსა წერილ-არს, ვითარმედ ორისა კაცისა წამება ჭეშმარიტ-არს.

18. მე ვარ, რომელი ვჰსწამებ ჩემთჳს, და ჰსწამებს ჩემთჳს მომავლინებელი ჩემი მამა.

19. ჰრქუეს მას ურიათა მათ: სადა არს მამა შენი? მიუგო იესო და ჰრქუა მათ: არცა მე მიცით, არცა მამა ჩემი; უკეთუმცა მიცოდეთ მე, მამაცამცა ჩემი იცოდეთ.

20. ამას სიტყუასა ეტყოდა ფასის-საცავსა მას თანა, და ასწავებდა ტაძარსა შინა; და არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არღა მოსრულ-იყო ჟამი მისი.

21. მერმე ჰრქუა მათ იესო: მე წარვალ და მეძიებდეთ მე, და არა მპოვოთ; და ცოდვათა შინა თქუენთა მოჰსწყდეთ; და ვიდრე იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჴელგეწიფების მოსლვად.

22. იტყოდეს ურთიერთარს ურიანი იგი: ნუ უკუე მოიკლავს თავსა თჳსსა, რამეთუ იტყჳს: ვიდრე იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჴელგეწიფების მოსლვად?

23. და ეტყოდა მათ იესო: თქუენ ქუეყანისაგანნი ხართ, ხოლო მე ზეცისაგანი ვარ; თქუენ ამის სოფლისაგანნი ხართ, ხოლო მე არა ამის სოფლისაგანი ვარ.

24. ვარქუ თქუენ, ვითარმედ მოჰსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენთა: უკეთუ არა გრწმენეს ჩემი, რამეთუ მე ვარ, მოჰსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენთა.

25. ეტყოდეს მას: და შენ ვინ ხარ? ჰრქუა მათ იესო: პირველად, რამეთუ მე გეტყჳ თქუენ.

26. მრავალი მაქუს თქუენდა სიტყუად და განკითხვად; არამედ რომელმან მომავლინა მე, ჭეშმარიტ-არს, და რა იგი მესმა მისგან, მას ვიტყჳ სოფელსა ამას შინა.

27. ხოლო მათ არა ჰსცნეს, რამეთუ მამასა თჳსსა უთხრობდა მათ.

28. მერმე ჰრქუა მათ იესო: ოდეს აღამაღლოთ მე კაცისა, მაშინ ჰსცნათ, რამეთუ მე ვარ, და თავით ჩემით არას ვიქმ, არამედ

ვითარცა მასწავა მე მამამან, მას-
ცა ვიტყჳ:
29. და რომელმან მომავლინა
მე, ჩემ თანა არს; არა დამიტევა
მე მარტო მამამან, რამეთუ მე
სათნოებასა მისსა ვიქმ მარადის.
30. ამას რა იტყოდა, ჰრწ-
მენა მრავალთა მისი.
31. და ეტყოდა იესო მორწ-
მუნეთა მათ მისთა ჰურიათა: უკე-
თუ თქუენ დაადგრეთ სიტყუათა
ჩემთა, ჭეშმარიტად მოწაფენი ჩემ-
ნი ხართ;
32. და ჰსცნათ ჭეშმარიტი,
და ჭეშმარიტებამან განგათავის-
უფლოს თქუენ.
33. მიუგეს ჰურიათა მათ და
ჰრქუეს მას: ჩუენ ნათესავნი აბ-
რაამისნი ვართ, და არა სადა ვის
ვჰმონებდით; ვითარ ეგე შენ იტ-
ყჳ, ვითარმედ განთავისუფლდეთ?
34. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ,
რამეთუ ყოველმან, რომელმან ჰქმ-
ნეს ცოდუაჲ, მონა არს იგი ცო-
დჳსა.
35. და მონამან არა დაიმკჳ-
დროს სახლსა შინა უკუნისამდე;
ხოლო ძემან დაიმკჳდროს უკუნი-
სამდე.
36. უკუთუ ძემან განგათა-
ვისუფლნეს, ჭეშმარიტად თავის
უფალ-იყუნეთ.
37. უწყი, რამეთუ ნათესავნი
აბრაამისნი ხართ; არამედ მეძიებთ
მე მოკლუად, რამეთუ სიტყუა ჩემი
ვერ დაეტევის თქუენ შორის.
38. მე, რომელი ვიხილე მა-
მისა ჩემისა თანა, მას ვიტყჳ; და
თქუენ, რომელი იხილეთ მამისა
თქუენისა თანა, მას ჰყოფთ.
39. მიუგეს და ჰრქუეს მას:
მამა ჩუენი აბრაამი არს. მიუგო
იესო და ჰრქუა მათ: უკეთუმცა
შჳლნი აბრაამისნი იყუენით, საქ-
მეთამცა აბრაამისთა იქმოდეთ.
40. ხოლო აწ მეძიებთ მე მო-
კლუად, კაცსა, რომელი ჭეშმარიტ-
სა გეტყჳ თქუენ, რომელი მესმა
ღმრთისაგან. ესე აბრაამ არა ჰქმნა.
41. ხოლო თქუენ იქმთ საქ-
მესა მამისა თქუენისასა. ჰრქუეს
მას: ჩუენ სიძჳთ არა შობილ-
ვართ; ერთი მამა ვიცით ღმერთი.
42. ჰრქუა მათ იესო: უკე-
თუმცა ღმერთი მამა თქუენი იყო,
გიყუარდიმცა მე, რამეთუ ღმრთი-
საგან გამოვედ, და მოსრულ-ვარ;
რამეთუ არა თავით თჳსით მოს-
რულ-ვარ, არამედ მან მომავლინა
მე.
43. რასათჳს სიტყუანი ჩემნი
არა იცნით? რამეთუ ვერ ძალ-
გიძს სიტყუათა ჩემთა სმენად.
44. თქუენ მამისა ეშმაკისა-
ნი ხართ, და გულისთქმათა მამისა
თქუენისათა გნებავს ყოფად; რა-
მეთუ იგი კაცის-მკულელი იყო
დასაბამითგან, და ჭეშმარიტებასა
არა დაადგრა. რამეთუ ჭეშმარი-
ტება არა არს მის თანა. ოდეს
იტყჳნ ტყუილსა, თჳსისაგან გუ-
ლისა იტყჳნ; რამეთუ მტყუარ-
არს და რამეთუ მამაცა მისი მტყუ-
არი არს.
45. ხოლო მე ჭეშმარიტსა
გეტყჳ თქუენ, და არა გრწამს
ჩემი.

46. ვინ თქუენგანმან მამხილოს მე ცოდვისათჳს? უკეთუ ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, რაჲსათჳს არა გრწამს ჩემი?

47. რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს. ამისთჳს არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან.

48. მიუგეს ურიათა მათ და ჰრქუეს მას: არა კეთილად ვჰსთქუთა, ვითარმედ სამარიტელ ხარ შენ, და ეშმაკი არს შენ თანა?

49. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ჩემ თანა ეშმაკი არა არს; არამედ პატივ-ვჰსცემ მამასა ჩემსა, და თქუენ მაგინებთ მე.

50. ხოლო მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა; არს რომელი ეძიებს და ჰსჯის.

51. ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ: უკეთუ ვინმე სიტყუა ჩემი დაიმარხოს, სიკუდილი არა იხილოს უკუნისამდე.

52. ჰრქუეს მას ურიათა: აწ გვიცნობიეს, რამეთუ ეშმაკეულხარ. აბრაამ მოკუდა და წინასწარმეტყუელნიცა, და შენ იტყჳ: უკეთუ ვინმე სიტყუა ჩემი დაიმარხოს, არა იხილოს გემო სიკუდილისა უკუნისამდე.

53. ნუ უკუე შენ უფროს ხარა მამისა ჩუენისა აბრაამისა, რომელი მოკუდა, და წინასწარ-მეტყუელნი მოჰსწყდეს? შენ ვის ჰყოფ თავსა შენსა?

54. მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: უკეთუ მე ვადიდებდე თავსა ჩემსა, დიდება ჩემი არა რაჲ არს; არამედ არს მამა ჩემი, რომელი მადიდებს მე, რომელი თქუენ ჰსთქუთ, ვითარმედ ღმერთი ჩუენი არს იგი.

55. და არა იცით იგი, ხოლო მე ვიცი იგი; და უკეთუ ვჰსთქუა, ვითარმედ არა ვიცი იგი, ვიყო მეცა მჰსგავს თქუენდა მტყუარ. არამედ ვიცი იგი და სიტყუასა მისსა ვიმარხავ.

56. აბრაამსა, მამასა თქუენსა, უხაროდა, რათა იხილოს დღე ესე ჩემი; იხილა და განიხარა.

57. ჰრქუეს მას ურიათა მათ: ერგასის-წლის არღა ხარ; და შენ აბრაამი გიხილავსა?

58. ჰრქუა მათ იესუ: ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ: პირველ აბრაამის ყოფადმდე, მე ვარ.

59. აღიღეს ქუბი ურიათა მათ, რათა დაჰსკრიბონ მას; ხოლო იესუ დაეფარა და განვიდა ტაძრით; განვლო შორის მათსა, და წარვიდა ესრეთ.

## თ ა ვ ი 9.

1. და ვითარცა წარვიდოდა იესუ, იხილა კაცი ბრმა შობითგან.

2. ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს: რაბი! ვინ ჰსცოდა, ამან, ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ ბრმა იშვა.

3. ჰრქუა მათ იესუ: არცა ამან ჰსცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ რათა გამოჰსცხადნეს საქმე ღმრთისა მაგას ზედა.

4. და ჩემდა ჯერ-არს საქმედ საქმესა მომავლინებელისა ჩემისასა, ვიდრე დღე არსღა; მოვალს

ღამე, ოდეს ვერვის ჴელეწიფოს
საქმედ.
5. ვიდრემდე ვარ სოფელსა
შინა, ნათელი ვარ სოფლისა.
6. და ესე ვითარცა ჰსთქუა,
ჰნერწყუა ქუეყანასა, და შეჰქმნა
თიკაჲ ნერწყჳსაგან, და ჰსცხო
თიკა იგი თუალთა მის ბრმისათა.
7. და ჰრქუა მას: წარვედ, და
დაიბანე საბანელსა მას სილოამი-
სასა, რომელი ითარგმანების მო-
ვლინებულად. წარვიდა კაცი იგი,
და დაიბანა, მოვიდა და ჰხედჳდა.
8. ხოლო მოძმენი და რომელ-
თა ეხილვა იგი პირველად, რამე-
თუ მთხოველი იყო, იტყოდეს:
არა ესე არსა, რომელი ჰზინ და
ითხოვნ?
9. სხუანი იტყოდეს: ესე არს,
ხოლო რომელნიმე იტყოდეს: არა,
არამედ მჰსგავსი მისი არს; ხოლო
იგი ეტყოდა: მე ვარ.
10. ჰკითხჳდეს მას: ვითარ
აღგეხილვნეს თუალნი შენნი?
11. მან მიუგო და ჰრქუა მათ:
კაცსა, რომელსა ჰრქჳან იესო, თი-
კა შეჰქმნა, დამცხო თუალთა ჩემ-
თა, და მრქუა მე: წარვედ საბანელ-
სა მას სილოამისასა და დაიბანე.
მივედ და დავიბანე, და აღვიხილე.
12. ჰრქუეს მას: სადა არს
იგი? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა
უწყი.
13. იყო შაბათი, ოდეს იგი
თიკა შეჰქმნა იესო, და აღუხილნა
თუალნი მისნი.
14. მოიყუანეს იგი წინაშე ფა-
რისეველთა, რომელი იგი პირვე-
ლად ბრმა იყო.
15. კუალად ჰკითხჳდეს მას
ფარისეველნიცა იგი: ვითარ აღი-
ხილენ? ხოლო მან ჰრქუა მათ:
თიკა დამჰსდუა თუალთა ჩემთა, და
დავიბანე, და აწ ვჰხედავ.
16. იტყოდეს ვინმე ფარისე-
ველთაგანნი: ესე კაცი არა არს
ღმრთისაგან, რამეთუ შაბათსა არა
იმარხავს. სხუანი იტყოდეს: ვი-
თარ ჴელეწიფების კაცსა ცოდვილ-
სა ესე-ვითარისა სასწაულისა საქ-
მედ? და ცილობა იყო მათ შო-
რის.
17. ჰრქუეს მას, რომელი იგი
პირველ ბრმა იყო: შენ რასა იტ-
ყჳ მისთჳს, რამეთუ აღგიხილნა
თუალნი შენნი? ხოლო მან ჰრქუა
მათ: წინასწარ-მეტყუელი არს.
18. არა ჰრწმენა ურიათა მის-
თჳს, ვითარმედ ბრმა იყო, და
აღიხილნა თუალნი, ვიდრემდე მო-
უწოდეს მამა-დედათა მისთა, რო-
მელმან იგი აღიხილნა.
19. ჰკითხჳდეს მათ და ჰრქუეს:
ესე არსა ძე იგი თქუენი, რომ-
ლისა თქუენ ჰსთქუით, ვითარმედ
ბრმა იშუა? აწ უკუე ვითარ ჰხე-
დავს?
20. მიუგეს მამა-დედათა მის-
თა და ჰრქუეს: უწყით, რამეთუ
ესე არს ძე ჩუენი, და რამეთუ
ბრმა იშუა;
21. ხოლო აწ ვითარ ჰხედავს,
ჩუენ არა ვიცით, ანუ ვინ აღუ-
ხილნა მაგას თუალნი, ჩუენ არა
უწყით. მაგას ჰკითხეთ, ჰასაკი
აქუს; ეგე თავისა თჳსისათჳს იტ-
ყოდეს.
22. ამისთჳს ესე ჰსთქუეს

მშობელთა მისთა, რამეთუ ეში-
ნოდა ურიათაგან; რამეთუ შეთქ-
მულ-იყჳნეს ურიანი, რათა აღთუ-
ვინმეიაროს იგი ქრისტედ, კრე-
ბულისაგან განჰკადონ იგი.
23. ამისთჳს ჰსთქჳჱს მამა-
დედათა მისთა, ვითარმედ ჰასაკი
აქჳს; მაგას ჰკითხეთ.
24. მოუწოდეს კაცსა მას მე-
ორედ, რომელი იგი პირველ ბრმა
იყო, და ჰრქჳჱს მას: მიეც დი-
დება ღმერთსა; ჩჳჱნ უწყით, რა-
მეთუ კაცი ესე ცოდჳლი არს.
25. ხოლო მან მიუგო და ჰრქჳა:
ცოდჳლი თუ არს, მე არა უწყი;
ხოლო ერთი ესე უწყი, რამეთუ
ბრმა ვიყავ, და აწ ვჰხედავ.
26. მერმე ჰრქჳჱს მას: რა
გიყო შენ? ვითარ აღგიხილნა
თჳალნი შენნი?
27. მიუგო და ჰრქჳა მათ:
გარქჳ თქჳჱნ პირველვე, და არა
გესმა; რასაღა გნებავს კჳალად
სმენად? ანუ თქჳჱნცა გნებავს
მოწაფე ყოფად მისა?
28. ხოლო იგინი აგინებდეს
მას და ჰრქჳჱს: შენ ხარ მოწაფე
მისი; ხოლო ჩჳჱნ მოწაფენი მო-
სესნი ვართ.
29. უწყით, რამეთუ მოსეს ეტ-
ყოდა ღმერთი; ხოლო ესე არა
ვიცით, ვინა არს.
30. მიუგო კაცმან მან და ჰრქჳა
მათ: საკჳრველი ესე არს, რამე-
თუ თქჳჱნ არა იცით, ვინა არს,
და მე აღმიხილნა თჳალნი.
31. ესე უწყით, რამეთუ ცო-
დჳლისა არა ისმინის ღმერთმან;
არამედ უკეთუ ვინმე არნ ღმრთის
მსახურ და ნებასა ღმრთისასა
ჰყოფნ, ამისი ისმინის ღმერთმან.
32. საუკუნითგან არა სადა
ისმა, ვითარმცა აღვინმეუხილნა
თჳალნი შობითგან ბრმისანი.
33. უკეთუმცა არა იყო ესე
ღმრთისაგან, ვერმცა რას შემძლე-
ბელ-იყო საქმედ.
34. მიუგეს და ჰრქჳჱს მას:
ცოდჳათა შინა შობილ-ხარ შენ
ყოვლად. და შენ გვასწავებ ჩჳჱნ? და
განჰკადეს იგი გარე.
35. ესმა იესოს, რამეთუ განა-
მეს იგი გარე, ჰპოვა იგი და ჰრქჳა
მას: შენ გრწამსა მე ღმრთისა?
36. მან მიუგო და ჰრქჳა: ვინ
არს იგი, უფალო, რათა მრწმენეს
იგი?
37. ჰრქჳა მას იესო: იხილე
იგი, და რომელი იტყჳს შენ თანა,
იგი არს.
38. ხოლო მან ჰრქჳა მას:
მრწამს, უფალო! და თაყჳანის-ჰსცა
მას.
39. და ჰსთქჳა იესო: ჰსჯად
სოფელსა ამას მოსრულ-ვარ მე,
რათა რომელნი არა ჰხედჳდეს,
ჰხედჳდენ, და რომელნი ჰხედჳდეს,
დაბრმენ.
40. ესმა ესე ფარისეველთაგან-
თა, რომელნი იყჳნეს მისთანა, და
ჰრქჳჱს: ნუ უკჳჱ ჩჳჱნცა ბრმანი
ვართა?
41. ჰრქჳა მათ იესო: უკე-
თუმცა ბრმანი იყჳჱნით, ცოდჳა-
მცა არა გაქჳნდა; ხოლო აწ იტ-
ყჳთ, ვითარმედ ვჰხედავთ; და ცო-
დჳანი თქჳჱნნი ჰგიან.

თ ა ვ ი 10.

1. ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ:
რომელი არა შევალს კარით ეზო-
სა ცხოვართასა, არამედ სხჳთ კერ-
ძო შევალს; იგი მპარავი არს და
ავაზაკი.
2. ხოლო რომელი შევალს
კარით, მწყემსი არს ცხოვართა.
3. ამას მეკარემანცა განუღის,
და ცხოვართა ჴმისა მისისა ისმი-
ნიან, და თჳსთა ცხოვართა უწესნ
სახელით, და განიყუანნის იგი.
4. და ოდეს თჳსნი იგი ცხო-
ვარნი განიყუანნის, წინაშე მათ-
სა ვიდოდის; და შეუდგენ მას
ცხოვარნი იგი, რამეთუ იციან ჴმა
მისი.
5. ხოლო უცხოსა არა შეუდ-
გენ, არამედ ივლტოდენ მისგან,
რამეთუ არა იციან ჴმა უცხოსა
მის.
6. ამას იგავსა ეტყოდა მათ
იესო, და მათ არა გულის ჴმა
ჰყუეს, რასა იგი ეტყოდა მათ.
7. ხოლო იესო მერმეცა ჰრქუა
მათ: ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ:
მე ვარ კარი ცხოვართა.
8. ყოველნი, რომელნი ჩემსა
პირველად მოვიდეს, მპარავნი იყუ-
ნეს და ავაზაკნი; არამედ არა ის-
მინეს მათი ცხოვართა.
9. მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ
ვინმე შევიდეს, ჰსცხოვნდეს; შე-
ვიდეს, და გამოვიდეს, და საძოვა-
რი ჰპოვოს.
10. ხოლო მპარავი იგი არა
მოვიდის, არამედ რათა იპაროს,
და დაკლას, და წარწყმიდოს.
ხოლო მე მოვედ, რათა ცხოვრე-
ბა აქუნდეს, და უმეტესი აქუნდეს.
11. მე ვარ მწყემსი კეთილი:
მწყემსმან კეთილმან სული თჳსი
დაჰსდჳს ცხოვართა-თჳს.
12. ხოლო სასყიდლით დად-
გინებულმან, და რომელი არა არნ
მწყემსი, რომლისა არა არიედ
ცხოვარნი თჳსნი, იხილის რა
მგელი მომავალი, დაუტევნის ცხო-
ვარნი, და ივლტინ; და მგელმან
წარიტაცნის იგინი, და განაბნი-
ნის ცხოვარნი.
13. ხოლო სასყიდლით დად-
გინებულნი იგი ივლტინ, რამეთუ
სასყიდლით დადგინებული არნ,
და არა რა ჰსჭირნ მას ცხოვართა-
თჳს.
14. მე ვარ მწყემსი კეთილი;
და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან
ჩემთა მათ.
15. ვითარცა მიცის მე მამა-
მან, ვიცი მეცა მამაჲ; და სულსა
ჩემსა დავჰსდებ ცხოვართა-თჳს.
16. და სხუანიცა ცხოვარნი
მიდგან, რომელნი არა არიან ამის
ეზოსაგანნი; იგინიცა ჯერ არიან
მოყუანებად ჩემდა; და ჴმისა ჩემისა
ისმინონ, და იყუნენ ერთ სამწყსო
და ერთ მწყემს.
17. ამისთჳს უყუარ მე მამასა,
რამეთუ მე დავჰსდებ სულსა ჩემ-
სა, რათა კუალად მოვიღო იგი.
18. არავინ მიმიღოს იგი ჩემ-
გან; არამედ მე დავჰსდებ მას თა-
ვით ჩემით. ჴელმეწიფების დადე-
ბად მისა, და ჴელმეწიფების კუა-
ლად მოღებად მისა. ესე მცნება
მომიღებიეს მამისა ჩემისაგან.

19. და იყო განწვალება კუალ-
ად ურიათა მათ შორის ამის
სიტყჳსათჳს.
20. და იტყოდეს მრავალნი
მათგანნი: ეშმაკეულ-არს და ჰსცბის;
რასა ისმენთ მისსა?
21. და სხუანი იტყოდეს: ესე
სიტყუანი არა ეშმაკეულისანი არი-
ან; ნუ უკუე ეშმაკსა ჴელეწიფე-
ბის ბრმისა თუალთა ახილუად?
22. და იყო მაშინ სატფუ-
რება იერუსალიმს; ზამთარი იყო.
23. და იქცეოდა იესო ტაძარ-
სა მას შინა და სტოასა სოლო-
მონისსა.
24. გარე-მოადგეს მას ურიანი
იგი და ეტყოდეს: ვიდრემდის
სულთა ჩუენთა წარგუხდი? უკე-
თუ შენ ხარ ქრისტე, გვითხარ
ჩუენ განცხადებულად.
25. მიუგო იესო და ჰრქუა:
გარქუ თქუენ, და არა გრწამს;
საქმეთა, რომელთა ვიქმ, სახელი-
თა მამისა ჩემისათა, ესენი ჰსწა-
მებენ ჩემთჳს.
26. და თქუენ არა გრწამს
ჩემი, რამეთუ არა ხართ ცხოვარ-
თა ჩემთაგანნი, ვითარცა გარქუ
თქუენ.
27. ცხოვართა ჩემთა ჴმისა
ჩემისა ისმინიან, და მე ვიცნი
იგინი, და მომდევენ მე.
28. და მე ცხოვრება საუკუნო
მივჰსცე მათ, და არა წარჰსწყმდენ
უკუნისამდე; და არავინ მიმტაცნეს
იგინი ჴელთაგან ჩემთა.
29. მამა ჩემი, რომელმან
მომცნა იგინი, უფროს ყოველ-
თასა არს; და არავის ჴელეწიფების
მიტაცებად მათდა ჴელთაგან მა-
მისა ჩემისათა.
30. მე და მამა ჩემი ერთ ვართ.
31. აქუნდათ კუალად ქუები
ურიათა მათ, რათამცა დაჰკრიბეს
მას.
32. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: მრავალი საქმე კეთილი გი-
ჩუენე თქუენ მამისა ჩემისა მიერ;
რომლისა მათგანისა საქმისათჳს
ქუასა დამკრებთ მე?
33. მიუგეს ურიათა და ჰრქუეს
მას: კეთილისა საქმისათჳს ქუა-
სა არა დაგკრებთ შენ; არამედ
გმობისათჳს, და რამეთუ კაცი ხარ
შენ, და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ.
34. მიუგო იესო და ჰრქუა
მათ: არა წერილ-არსა ჰსჯულსა,
ვითარმედ მე ვჰსთქუ: ღმერთნი
სამე ხართ?
35. უკეთუ იგინი ჰსთქუნა
ღმრთად, რომელთა მიმართ იყო
სიტყუა ღმრთისა, და ვერ ჴელეწი-
ფების დახსნად წერილი;
36. და რომელი იგი მამამან
წმიდა ჰყო და მოავლინა სოფლად,
თქუენ იტყჳთ, ვითარმედ ჰგმობს,
რამეთუ ვჰსთქუ, ვითარმედ ძე
ღმრთისა ვარი მე?
37. უკეთუ არა ვიქმ საქმესა
მამისა ჩემისასა, ნუ ჰგრწამნ ჩემი.
38. უკეთუ ვიქმ, დაღაცათუ
ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწმე-
ნედ, რათა ჰსცნათ და უწყოდეთ,
რამეთუ მამა ჩემთანა არს, და მე
მამისათანა.
39. ეძიებდეს კუალად შეპყრო-
ბად მას; და განვიდა ჴელთაგან
მათთა.

40. და წიაღხდა მიერ იორდანესა, ადგილსა მას, სადა ნათელ-ჰსცემდა პირველად იოანე, და დაადგრა მუნ.
41. და მრავალნი მოვიდოდეს მისდა და იტყოდეს, ვითარმედ იოანე სასწაული არა რა ჰქმნა; ხოლო ყოველი, რომელი ჰსთქუა იოანე ამისათჳს, ჭეშმარიტი იყო.
42. და მრავალთა ჰრწმენა მისი მუნ.

## თავი 11.

1. იყო ვინმე უძლური ლაზარე ბეთანიაჲთ, დაბისაგან მარიამისა, და მართასა, დისა მისისა.
2. ესე იყო მარიამ, რომელმან ჰსცხო ნელსაცხებელი უფალსა და თმითა თჳსითა წარჰხოცნა ფერჴნი მისნი, რომლისა ძმა მისი ლაზარე სნეულ-იყო.
3. მიუვლინეს იესოს დათა მისთა და ჰრქუჱს: უფალო! აჰა, რომელი გიყუარს, სნეულ-არს.
4. ხოლო ვითარცა ესმა იესოს, ჰსთქუა: ესე სნეულება არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათჳს ღმრთისა, რათა იდიდოს ძე ღმრთისა მისგან.
5. უყუარდა იესოს მართაჲ, და დაჲ მისი, და ლაზარე.
6. ვითარცა ესმა, რამეთუ სნეულ-არს; მაშინ დაღაადგრა ადგილსა მას, სადაცა იყო ორ-დღე.
7. მერმე ამისა შემდგომად ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: გუალეთ წარვიდეთ კუალად ჰურიასტანად.
8. ჰრქუჱს მას მოწაფეთა: მოძღუარ! აწღა გეძიებდეს შენ ჰურიანი ქჳსა დაკრებად; და კუალად მუნვე მისვალა?
9. ჰრქუა მათ იესო: არა ათორმეტნი ჟამნი არიან დღისანი? უკეთუ ვინმე ვიდოდეს დღისი, არა წარჰსცეს ფერჴი; რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა ჰხედავს.
10. და უკეთუ ვინმე ვიდოდეს ღამესა შინა, უბრკმეს მას, რამეთუ ნათელი არა არს მას შინა.
11. ესე ჰსთქუა, და ამისა შემდგომად ჰრქუა მათ: ლაზარე, მეგობარმან ჩუენმან, დაიძინა, არამედ მე მივიდე და განვაღჳძო იგი.
12. ჰრქუჱს მას მოწაფეთა: უფალო! უკეთუ დაიძინა, ჰსცხონდეს.
13. ხოლო იესო ჰრქუა სიკუდილისა მისისათჳს; და მათ ეგონა, ვითარმედ მძინარებისათჳს ძილისა ჰსთქუა.
14. მაშინ ჰრქუა მათ იესო განცხადებულად: ლაზარე მოკუდა.
15. და მე მიხარის თქუჱნთჳს, რათა გრწმენეს ჩემი, რამეთუ არა ვიყავ მუნ; არამედ მოჰგუალეთ მივიდეთ მისა.
16. ჰრქუა უკუჱ თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, მისთანანათა მათ მოწაფეთა: მოჰგუალეთ მივიდეთ, რათა მოვჰსწყდეთ ჩუჱნცა მის თანა.
17. და ვითარცა მოვიდა იესო ბეთანიად, ჰპოვა იგი, რამეთუ ოთხი დღე აქუნდა საფლავსა შინა.
18. ხოლო იყო ბეთანია მას-

ლობელ იერუსალიმსა, ვითარ ათხუთ-მეტ-ოდენ-უტევან.

19. და მრავალნი ურიათაგანნი მოსრულ-იყვნეს მართასსა და მარიამისსა, რათა ნუგეშინის-ჰსცენ მათ ძმისა მათისათჳს.

20. ხოლო მართას ვითარცა ესმა, რამეთუ იესო მოვალს, მიეგებოდა მას; ხოლო მარიამ სახლსა შინა ჰსჯდა.

21. ჰრქუა მართა იესოს: უფალო! უკეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ-იყო ძმა იგი ჩემი.

22. არამედ და აწცა უწყი, ვითარმედ რაჲცა იგი ჰსთხოვო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან.

23. ჰრქუა მას იესო: აღჰსდგეს ძმა შენი.

24. ჰრქუა მას მართა: უწყი, რამეთუ აღჰსდგეს აღდგომასა მას, უკანასკნელსა დღესა.

25. ჰრქუა მას იესო: მე ვარ აღდგომა და ცხოვრება; რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მოღათუკუდეს, ჰსცხოვნდესვე.

26. და ყოველი, რომელი ცოცხალ-არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე. გრწამსა ესე?

27. ჰრქუა მას მართა: ჰე, უფალო! მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა, მომავალი სოფლად.

28. და ვითარცა ესე ჰსთქუა, წარვიდა, და მოუწოდა მარიამს, დასა თჳსსა, იდუმალ, და ჰრქუა მას: მოძღუარი მოსრულ-არს და გიწესს შენ.

29. ხოლო მას ვითარცა ესმა, აღჰსდგა ადრე და მივიდოდა მისა.

30. რამეთუ არღა მოსრულ-იყო იესო დაბად, არამედ მუნღა იყო ადგილსა მას, სადაცა მიეგებოდა მას მართა.

31. ხოლო ურიანი იგი, რომელნი იყვნეს მის თანა სახლსა შინა და ნუგეშინის-ჰსცემდეს მათ, ვითარცა იხილეს მარიამ, რამეთუ ადრე აღჰსდგა და გამოვიდა, მიჰსდევდეს მას, ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მივალს ტირილად მისა.

32. ხოლო მარიამ, ვითარცა მოვიდა, სადა იგი იყო იესო, ვითარცა იხილა იგი, დაჰვარდა ფერხთა მისთა თანა და ჰრქუა მას: უფალო! უკეთუმცა აქა ყოფილ-იყავ, არამცა მომკუდარ-იყო ძმა იგი ჩემი.

33. ხოლო იესო, ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ჰსტიროდა, და მის თანა მოსრულნი იგი ურიანიცა ჰსტიროდეს, შეჰსძრწუნდა სულითა, ვითარცა რისხჳთ.

34. და ჰრქუა მათ: სადა დაჰსდევით იგი? ჰრქუჱს მას: მოვედ და იხილე.

35. და ჰსცრემლეოდა იესოცა.

36. იტყოდეს უკუჱ ურიანი იგი: აჰა, ვითარ სამე უყუარდა იგი.

37. ვიეთნიმე მათგანნი იტყოდეს: არამცა ეძლო ამას, რომელმან აღუხილნა თუალნი ბრმასა, ყოფად რაჲმე, რათამცა ესეცა არა მოკუდა?

*

38. ხოლო იესო, კუალად ვი-
თარცა განრისხებული თავსა შო-
რის თჳსსა, მოვიდა საფლავსა
მას. ხოლო იყო ქუაბი, და ლო-
დი ზედა ედუა მას.
39. ჰრქუა მათ იესო. აღიღეთ
ლოდი ეგე. ჰრქუა მას მართა,
დამან მის მკუდრისამან: უფალო!
ჰყროდისღა, რამეთუ მეოთხე დღე
არს.
40. ჰრქუა მას იესო: არა გარქუ
შენ, ვითარმედ, უკეთუ გრწმენეს,
იხილო დიდება ღმრთისა.
41. აღიღეს უკუჱ ლოდი იგი,
სადა მდებარე იყო მკუდარი იგი.
ხოლო იესო აღიხილნა თუალნი
ზეცად და ჰსთქუა: მამაო! გმად-
ლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი.
42. და მე ვიცი, რამეთუ მა-
რადის ისმენ ჩემსა. არამედ ერისა
ამისთჳს, რომელი გარე-მომადგს
მე, ვჰსთქუ რათა ჰრწმენეს, რამე-
თუ შენ მომავლინე მე.
43. და ესე ვითარცა ჰსთქუა,
ჴმითა დიდითა ღაღად-ჰყო: ლაზა-
რე! გამოვედ გარე.
44. და გამოვიდა მკუდარი
იგი შეკრული ჴელით და ფერჴით
სახვევლითა, და პირი მისი დაბურ-
ვილ-იყო სუდარითა. ჰრქუა მათ
იესო: განხსენით ეგე და უტე-
ვეთ, ვიდოდეს.
45. მრავალთა უკუჱ ურიათა-
განთა, რომელნი მოსრულ-იყუ-
ნეს მარიამისა და მართასა, იხი-
ლეს, რომელი იგი ჰქმნა იესო,
და ჰრწმენა მისა მიმართ.
46. ხოლო რომელნიმე მათ-
განი წარვიდეს და უთხრეს ფარი-
სეველთა მათ, რა იგი ჰქმნა
იესო.
47. და შეჰკრიბეს მღუდელთ-
მთავართა მათ და ფარისეველთა
კრებული, და იტყოდეს: რაჲმე
ვჰყოთ, რამეთუ კაცი ესე მრავალ-
სა სასწაულსა იქმს.
48. უკეთუ დაუტეოთ იგი
ესრეთ, ყოველთა ჰრწმენეს მისა
მიმართ; და მოვიდენ ჰრომნი, და
მიგჳღონ ჩუჱნ, ადგილიცა ჩუჱ-
ნი და ნათესავიცა.
49. ერთმან ვინმე მათგანმან,
კაიაფა, რომელი იყო მღუდელთ-
მთავარი მის წელიწდისა, ჰრქუა
მათ: თქუჱნ არა იცით არცა
ერთი;
50. არცა განიზრახავს, რა-
მეთუ უმჯობეს-არს ჩუჱნდა, რა-
თა ერთი კაცი მოკუდეს ერისა-
თჳს, და არა ყოველი ნათესავი
წარჰსწყმდეს.
51. ესე თავით თჳსით არა
ჰსთქუა, არამედ მღუდელთ-მთავა-
რი იყო მის წელიწდისა და ჰწინა-
სწარ-მეტყუჱლა, რამეთუ ეგულე-
ბოდა იესოს მოსიკუდიდ ნათე-
სავთა თჳს;
52. და არა ხოლო ნათესავთა
თჳს, არამედ რათა შჳლნიცა ღმრ-
თისანი განბნეულნი შეჰკრიბნეს
ერთად.
53. მიერ დღითგან შეიზრახ-
ნეს ურიანი, რათა მოჰკლან იგი.
54. ხოლო იესო არღარა გან-
ცხადებულად ვიდოდა ურიათა შო-
რის, არამედ წარვიდა მიერ სო-
ფელსა მახლობელად უდაბნოსა,
ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან ეფრაიმ,

და მუნ დაადგრა მოწაფითურთ
თჳსით.
55. ხოლო იყო მახლობელ
პასქი იგი ურიათა, და აღვიდეს
მრავალნი იერუსალიმად სოფლე-
ბისაგან უწინარეს მის პასქისა,
რათა განიწმიდნენ თავნი თჳსნი.
56. ხოლო ურიანი ეძიებდეს
იესოს, და იტყოდეს ურთიერთ-
არს, ჰსდგეს რა ტაძარსა შინა:
ვითარ ჰგონებთ თქუენ? არა მე
მოვიდეს დღესასწაულსა ამას?
57. რამეთუ მიეცა მცნებაჲ
მღდელთ-მთავართა მათ და ფარი-
სეველთა, რათა, უკეთუ ვინმე
უწყოდეს, სადა არს, აუწყოს მათ,
რათა შეიპყრან იგი.

## თ ა ვ ი 12.

1. ხოლო იესო უწინარეს ექუ-
სისა დღისა ვნებისა მის მოვი-
და ბეთანიად, სადა იგი იყო ლა-
ზარე, მომკუდარი, რომელი იგი
აღადგინა მკუდრეთით.
2. და მოუმზადეს მას მუნ
სერი, და მართა მსახურებდა მას,
ხოლო ლაზარე იყო ერთი მეინა-
ხეთაგანი მის თანა.
3. ხოლო მარიამ მოიღო ლიტ-
რა ერთი ნელსაცხებელი ნარდი-
სა სარწმუნოსა, მრავალ-სასყიდ-
ლისა, და ჰსცხო ფერჴთა იესოს-
თა, და თმითა თჳსითა წარჰხოც-
ნა ფერჴნი მისნი, და სახლი იგი
ყოველი აღივსო სუნნელებითა
მის ნელსაცხებელისათა.
4. ჰსთქუა ვინმე ერთმან მო-
წაფეთა მისთაგანმან, იუდა სჳმო-
ნისმან ისკარიოტელმან, რომელ-
სა ეგულებოდა მიცემა მისი:
5. რაჲსათჳს ნელსაცხებელი
ესე არა განისყიდა სამასის დრაჰკ-
ნის და მიეცა გლახაკთა?
6. ხოლო ესე ჰსთქუა, არა თუ
გლახაკთა რაჲმე ზრუნვა ედვა
გულსა მისსა, არამედ რამეთუ
მპარავი იყო, და გვადრუცი იგი
მას აქუნდა, და შთასადებელი იგი
მას ჰკიდავნ.
7. და ჰსთქუა იესო: უტევე
მაგას, დღედ დაფლჳსა ჩემისა
დამიმარხა ეგე.
8. რამეთუ გლახაკნი მარადის
თქუენთანა არიან, ხოლო მე არა
მარადის თქუენთანა ვარ.
9. აგრძნა უკუე ყოველმან
ერმან ურიათამან, რამეთუ იესო
მუნ არს, მოვიდეს, არა ხოლო
თუ იესოს თჳს, არამედ რათა
ლაზარეცა იხილონ, რომელი იგი
აღადგინა მკუდრეთით.
10. ხოლო ზრახუა-ჰყუეს
მღდელთ-მთავართა მათ, რათა
ლაზარეცა მოჰკლან;
11. რამეთუ მრავალნი ური-
ათაგანნი მისთჳს მოვიდოდეს და
ირწმუნებდეს იესოსა.
12. ხვალისაგან ერი მრავალი,
რომელ იგი მოსრულ-იყუნეს დღე-
სასწაულსა მას, რამეთუ ესმა,ვითარ-
მედ იესო მოვალს იერუსალიმად.
13. მოიღეს რტოები დანა-
კის-კუდთაგან, და განვიდეს მიგე-
ბებად მისა, ჰღაღადებდეს და იტ-
ყოდეს: ოსანნა! კურთხეულ-არს
მომავალი სახელითა უფლისათა,
მეუფე ისრაილისა!

14. და ჰპოვა იესო ვირი, და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ-არს.

15. ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა, მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე ჰზის იგი კიცჳსა ვირისასა.

16. ხოლო ესე არა ეცნა მოწაფეთა მისთა პირველად; არამედ ოდეს იდიდა იესო, მაშინ მოეხსენა, რამეთუ ესრეთ წერილ-იყო მისთჳს, და ესე უყჳეს მას.

17. და ეწამებოდა მას ერი იგი, რომელი იყო მისთანა, რაჟამს ლაზარეს უწოდა საფლავით და აღადგინა იგი მკჳდრეთით.

18. ამისთჳსცა მიეგებვოდა მას ერი იგი, რამეთუ ესმინა, ვითარმედ ესე სასწაული ჰქმნა იესო.

19. ხოლო ფარისეველთა მათ ჰსთქჳეს ურთიერთარს: ჰხედავთა, რამეთუ არა ირგებთ არა რას? აჰა ესერა, სოფელი ყოველი მივიდა შემდგომად მისა.

20. იყჳნეს ვინმე წარმართთაგანნიცა აღმოსრულთა მათგანნი, რათა თაყჳანის-ჰსცენ დღესასწაულსა მას.

21. ესენი მოვიდეს ფილიპპესსა, რომელი იგი იყო ბეთსაიდათ გალილიასათ და ეტყოდეს მას: უფალო! გჳნებავს იესოსი ხილჳაჲ.

22. მივიდა ფილიპპე და ჰრქჳა ანდრეას, და მოვიდეს ანდრეა და ფილიპპე და ჰრქჳეს იესოს.

23. ხოლო იესო მიუგო და ჰრქჳა მათ: მოიწია ჟამი, რათა იდიდოს ძე კაცისა.

24. ამინ, ამინ გეტყჳ თქჳენ: უკეთუ არა მარცჳალი იფქლისა დავარდეს ქჳეყანასა და არა მოკჳდეს, იგი მარტო ხოლო ეგოს; ხოლო უკეთუ მოკჳდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს.

25. რომელსა უყვარდეს სული თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელსა ჰსძულდეს სული თჳსი ამას სოფელსა ცხოვრებად, საუკუნოდ დაიმარხოს იგი.

26. უკეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, მე შემომიდეგინ; და სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს. და უკეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, პატივ-ჰსცეს მას მამამან ჩემმან.

27. აწ სული ჩემი შეძრწუნებულ-არს; და რაჲმე ვჰსთქჳა? მამაო! მიჴსენ მე ჟამისა ამისგან? არამედ ამისთჳს მოვედ ჟამსა ამას.

28. მამაო! ადიდე ძე შენი, მოიწია მისა ჴმა ზეცით: და ვადიდე, და კჳალადცა ვადიდო.

29. ხოლო ერი იგი; რომელი ჰსდგა და ესმა, იტყოდეს, ვითარმედ ქუხილი იყო; ხოლო სხჳანი იტყოდეს: ანგელოსი ეტყოდა მას.

30. მიუგო იესო და ჰრქჳა მათ: არა ჩემთჳს იყო ჴმა ესე, არამედ თქჳენთჳს.

31. აწ არს სასჯელი ამის სოფლისა; აწ მთავარი იგი ამის სოფლისა განვარდეს გარე.

32. და მე ოდეს ავმაღლდე ქჳეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა.

33. ხოლო ამას რა იტყოდა,

აუწყებდა, რომლითა სიკჳდილი-
თა ეგულებოდა სიკჳდილად.
34. მიუგო მას ერმან მან და
ჰრქჳა: ჩჳჱნ გჳასმიეს სჯული-
საგან, ვითარმედ ქრისტე უკუნი-
სამდე ეგოს; და შენ ვითარ იტყჳ,
ვითარმედ ჯერ-არს ამაღლება ძისა
კაცისა? ვინ არს ესე ძე კა-
ცისა?
35. ჰრქჳა მათ იესო: მცი-
რედ-ჟამ ნათელი თქჳჱნ თანა
არს; ვიდოდეთ, ვიდრე ნათე-
ლი გაქჳსღა, რათა არა გეწიოს
თქჳჱნ ბნელი, რამეთუ რომელი
ვალნ ბნელსა, არა უწყინ, ვიდრე
ვალნ.
36. ვიდრე ნათელი გაქჳს,
გრწმენინ ნათელი, რათა ძე ნა-
თლისა იყჳნეთ. ამას ეტყოდა იე-
სო, და წარვიდა, და დაეფარა მათგან.
37. და ესოდენნი სასწაულნი
ჰქმნნა წინაშე მათსა, და არა ჰრწმე-
ნა მისა მიმართ,
38. რათა აღესრულოს სიტ-
ყჳა იგი ისაიას წინასწარ-მეტყჳჱ-
ლისა, რომელსა იტყჳს: უფალო!
ვისმე ჰრწმენა სასმენელი ჩჳჱნი?
და მკლავი უფლისა ვის გამოეცხადა?
39. ამისთჳს ვერ ჰრწმენა,
რამეთუ მერმეცა ჰსთქჳა ისაია.
40. დაუბრმეს მათ თჳალნი
მათნი, რათა ვერ იხილონ თჳა-
ლითა, და დაუსლბეს გულნი მათნი,
რათა არა გულის-ჴმა-ჰყონ გული-
თა, და მოიქცენ და მე განვჰკურნნე
იგინი.
41. ესე ჰსთქჳა ისაია, ოდეს
იგი იხილა დიდება მისი, და იტ-
ყოდა მისთჳს.

42. ხოლო მთავართაგანთაცა
მრავალთა ჰრწმენა მისა მამართ;
არამედ ფარისეველთა თჳს ვერ
აღიარეს, რათა არა კრებულისა-
გან განასხნენ.
43. რამეთუ შეიყჳარეს დიდე-
ბა კაცთა უფროს, ვიდრე დიდება
ღმრთისა.
44. ხოლო იესო ღაღად-ჰყო
და ჰსთქჳა: რომელსა ვჰრწმენე მე,
არა მე ვჰრწმენე, არამედ მომა-
ვლინებელი ჩემი.
45. და რომელმან მიხილა მე,
იხილა მომავლინებელი ჩემი.
46. მე ნათელი სოფლად მოვი-
ვლინე, რათა ყოველსა, რომელსა
ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა
დაადგრეს.
47. და რომელმან ისმინნეს
სიტყჳანი ჩემნი, და არა ჰრწმენ-
ნენ, მე არა ვჰსაჯო იგი; რამეთუ
არა მოვედ მე ჰსჯად სოფლისა,
არამედ, რათა ვაცხოვნო სოფელი.
48. ხოლო რომელმან შეუ-
რაცხ-მყოს მე, და არა შეიწყნარნეს
სიტყჳანი ჩემნი, აქჳს მსაჯული
თჳსი: სიტყჳასა, რომელსა ვიტ-
ყოდი, მან ჰსაჯოს იგი უკანას-
კნელსა დღესა.
49. რამეთუ მე თავით თჳსით
არა რას ვიტყოდი, არამედ რო-
მელმან მომავლინა მე, მამამან, მან
მომცა მე მცნებაჲ, რაჲ ვჰსთქჳა,
და რასა ვიტყოდი.
50. და უწყი, რამეთუ მცნება
მისი ცხოვრება საუკუნო არს, და
რომელსა ვიტყჳ მე, ვითარცა
მამცნო მე მამამან, ეგრეცა ვი-
ტყჳ.

## თ ა ვ ი 13.

1. და უწინარეს დღესასწაუ-
ლისა მის პასექისა იცოდა იესო,
რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რა-
თა განვიდეს ამიერ სოფლით და
მივიდეს მამისა; რამეთუ შეიყუარ-
ნა თჳსნი იგი ამას სოფელსა ში-
ნა და სრულიად შეიყუარნა იგინი.
2. და ვითარცა სერობა იგი
იყო, და ეშმაკი შესრულ-იყო გუ-
ლსა იუდასსა სჳმონ ისკარიოტე-
ლისასა, რათა განჰსცეს იგი,
3. იცოდა იესო, რამეთუ ყო-
ველივე მოჰსცა მას მამამან ჴელ-
თა მისთა, და რამეთუ ღმრთისა-
გან გამოვიდა, და ღმრთისა მივალს,
4. აღჰსდგა სერობისა მის-
გან, და დაჰსდუა სამოსელი თჳსი,
და მოიღო არდაგი, და მოირტყა
იგი.
5. და მოიღო წყალი და შთა-
ასხა საბანელსა მას, და იწყო ბა-
ნად ფერჴთა მოწაფეთა თჳსთა, და
წარჰხოცდა არდაგითა მით, რომე-
ლი მოერტყა.
6. და მოვიდა სჳმონ პეტრე-
სა; ჰრქუა მას პეტრე: უფალო!
შენ დამბანა ფერჴთა ჩემთა?
7. მიუგო იესო და ჰრქუა:
რომელსა მე ვიქმ, არა იცი აწ,
ხოლო ჰსცნა ამისა შემდგომად.
8. ჰრქუა მას პეტრე: არა დამ-
ბანნე ფერჴნი ჩემნი უკუნისამდე.
ჰრქუა მას იესო: უკეთუ არა დავ-
ბანნე შენ ფერჴნი, არა გაქუნდეს
ნაწილი ჩემთანა.
9. ჰრქუა მას სჳმონ პეტრე:
უფალო! ნუ ხოლო ფერჴნი ჩემ-
ნი, არამედ ჴელნიცა და თავიცა
ჩემი.
10. ჰრქუა მას იესო: განბანილ-
სა მას არა უჴმს, გარნა ფერჴნი
ხოლო დაბანად, რამეთუ ყოვლად
წმიდა არს იგი, და თქუენცა წმიდა
ხართ, არამედ არა ყოველნი.
11. რამეთუ იცოდა იესო მი-
მცემელი იგი, ამისთჳს ჰსთქუა:
არა ყოველნი წმიდა ხართ.
12. და ოდეს დაჰბანნა ფერჴ-
ნი მათნი, მოიღო სამოსელი თჳ-
სი, და ინახიდგა, და მერმე ჰრქუა
მათ: უწყითა, რა ესე გიყავ თქუენ?
13. თქუენ მხადით მე: მო-
ძღუარო და უფალო, და კეთილად
ჰსთქუთ, რამეთუ ვარ.
14. უკეთუ მე დავბანენ ფერჴ-
ნი, უფალმან და მოძღუარმან, და
თქუენცა თანა-გაძს ურთიერთარს
დაბანად ფერჴთა.
15. რამეთუ სახე მიგეც თქუენ,
რათა, ვითარცა ესე მე გიყავ თქუენ,
ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდეთ.
16. ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ:
არა არს მონა უფროს უფლისა
თჳსისა, არცა მოციქული უფროს
მომავლინებელისა თჳსისა.
17. ესე თუ ჰსცნათ, ნეტარ
ხართ, უკეთუ ჰყოფდეთ ამას.
18. არა თქუენ ყოველთა თჳს
ვიტყჳ, რამეთუ მე ვიცნი, რო-
მელნი გამოვირჩიენ; არამედ რა-
თა წერილნი იგი აღესრულნენ:
რომელი ჰსჭამდა ჩემთანა პურსა,
აღიღო ჩემ ზედა ბრჭალი მისი.
19. ამიერითგან გეტყჳ თქუენ
ვიდრე ყოფადმდე, რათა რაჟამს

იყო, გრწმენეს თქუენ, რამეთუ მე
ვარ.
20. ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ:
უკეთუ ვინმე შეიწყნაროს, რომე-
ლი მე მივავლინო, მე შემიწყნა-
რებს, და რომელმან მე შემიწყნა-
როს, შეიწყნარებს მომავლინებელ-
სა ჩემსა.
21. ესე ჰსთქუა იესო და შეჰ-
სძრწუნდა სულითა, და ჰსწამა, და
ჰსთქუა: ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ,
ვითარმედ ერთმან თქუენგანმან
მიმცეს მე.
22. ჰხედჳდეს უკუე ურთი-
ერთ-არს მოწაფენი, და არა იცო-
დეს, ვისთჳს იტყოდა.
23. და იყო ერთი მოწაფეთა
მისთაგანი მიყრდნობილ წიაღთა
თანა იესოსა, რომელი იგი უყუარ-
და იესოს.
24. წამ-უყუნა მას სჳმონ-
პეტრე, რათა ჰკითხოს, ვინ არს,
რომლისათჳს იტყჳს?
25. ხოლო იგი მიეყრდნა
მკერდსა იესოსსა და ჰრქუა მას:
უფალო! ვინ არს?
26. მიუგო იესო და ჰრქუა:
რომელსა მე დავაწო პური და
მივჰსცე, იგი არს. და დააწო პუ-
რი იგი, და მიჰსცა იუდას სჳმო-
ნისსა ისკარიოტელსა.
27. და შემდგომად მიღებისა
იუდასსა პურისა მის, შევიდა მისსა
ეშმაკი; და ჰრქუა მას იესო: რო-
მელი გეგულების საქმედ, ჰყავ
ადრე.
28. ესე უკუე არავინ ჰსცნა
ინაკით მჯდომარეთაგანმან იე-
სოს თანა, რაჲსათჳს ჰრქუა მას.

29. რამეთუ რომელნიმე ჰგო-
ნებდეს, ვინათგან გუადრუცი იგი
იუდას აქუნდა, ვითარმედ ჰრქუა
მას იესო: იყიდე, რა იგი გვიკმ-
დეს დღესასწაულსა ამას, გინათუ
მიცემად რამე გლახაკთა.
30. ხოლო მან მიიღო პური
იგი და მეყუსეულად განვიდა; და
იყო ღამე.
31. და ვითარცა განვიდა
იუდა, ჰსთქუა იესო: აწ იდიდა ძე
კაცისა, და ღმერთიცა იდიდა მის-
თანა.
32. უკეთუ ღმერთი იდიდა
მისთანა, ღმერთმანცა ადიდოს
იგი თავისა თჳსისა თანა, და
მეყუსეულად ადიდოს იგი.
33. შჳლნო! მცირედ-ჟამ
თქუენთანა ვარ, და მეძიებდეთ მე,
და ვითარცა იგი ვარქუ ურიათა,
ვითარმედ ვიდრე იგი მე მივალ,
თქუენ ვერ ჴელგეწიფების მოს-
ლუად, და აწ თქუენ გეტყჳ.
34. მცნებასა ახალსა მიგ-
ცემ თქუენ, რათა იყუარებოდეთ
ურთიერთარს, ვითარცა მე შეგი-
ყუარენ თქუენ, რათა თქუენცა
იყუარებოდეთ ურთიერთარს.
35. ამით ჰსცნან ყოველთა,
ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ,
უკეთუ იყუარებოდეთ ურთიერთ-
არს.
36. ჰრქუა მას სჳმონ-პეტრე:
უფალო! ვიდრე ჰსუალ? ჰრქუა
მას იესო: ვიდრე იგი მე მივალ,
შენ ვერ ძალ-გიძს მოსლუად აწ,
ხოლო მერმე მომდევდე მე.
37. ჰრქუა მას პეტრე: უფა-
ლო! რასა ვერ ძალ-მიძს მიდევ-

ნებად შენდა? აწ სული ჩემი შენთჳს დავჰსდჳა.

38. მიუგო იესო და ჰრქუა მას: სული შენი ჩემთჳს დაჰსდჳა? ამინ, ამინ გეტყჳ შენ: არლა ყუივლოს ქათამსა, ვიდრემდის უარმყო მე სამ-გზის.

## თავი 14.

1. ნუ შეჰსძრწუნდებიან გულნი თქუენნი; გრწმენინ ღმრთისა და გრწმენინ ჩემდა მომართ.

2. სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ-არიან; უკეთუ არა გარქუმცა თქუენ, ვითარმედ მე წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი.

3. და უკეთუ წარვიდე, და განგიმზადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე, და წარგიყუანნე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რათა სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყუნეთ.

4. და ვიდრე იგი მე მივალ, უწყით, და გზაცა იგი იცით.

5. ჰრქუა მას თომა: უფალო! არა ვიცით, ვიდრე ჰსუალ, და ვითარ შემძლებელ-ვართ გზისა მის ცნობად?

6. ჰრქუა მას იესო: მე ვარ გზა, და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება; არა ვინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ.

7. უკეთუმცა მიცოდეთ მე, მამაცამცა ჩემი იცოდეთ. ამიერითგან იცით იგი, და გიხილავს იგი.

8. ჰრქუა მას ფილიპე: უფალო! მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი, და კმა-არს ჩუენდა.

9. ჰრქუა მას იესო: ესოდენჟამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცი მე, ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი, და შენ ვითარ მეტყჳ მე: მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი?

10. არა ჰგრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ, და მამა ჩემთანა არს? სიტყუათა, რომელთა გეტყჳ თქუენ, თავით ჩემით არა გეტყჳ, არამედ მამა ჩემი, რომელი ჩემ თანა არს, იგი იქმს საქმესა.

11. გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ და მამა ჩემთანა არს; უკეთუ არა, საქმეთა ამათთჳს გრწმენინ ჩემი.

12. ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმესა, რომელსა მე ვიქმ, მანცა ჰქმნეს, და უფროისიდა ამისა ჰქმნნეს; რამეთუ მე მამისა მივალ.

13. და რაჲცა ითხოვოთ სახელითა ჩემითა, იგი ვჰყო, რათა იდიდოს მამა მისა თანა.

14. და უკეთუ რაოდენი ითხოვოთ სახელითა ჩემითა, მე ვჰყო.

15. უკეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით.

16. და მე ვჰკითხო მამასა ჩემსა, და სხუა ნუგეშინის-მცემელი მოგივლინოს თქუენ, რათა თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე.

17. სული იგი ჭეშმარიტებისა, რომელი სოფელსა ვერ ჰელეწიფების მოღებად, რამეთუ არა

ჰხედავს მას, არცა იცის იგი;
ხოლო თქუენ იცით იგი, რამე-
თუ თქუენ თანა არს, და თქუენ
თანა იყოს.
18. არა დაგიტევნე თქუენ
ობლად, მოვიდე თქუენდა.
19. მცირედღა, და სოფელი
ესე არა მხედვიდეს; ხოლო თქუენ
მხედვიდეთ მე, რამეთუ მე ცხო-
ველ ვარ, და თქუენცა ცხოველ-
იყუნეთ.
20. მას დღესა შინა ჰსცნათ
თქუენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა-
თანა, და თქუენ ჩემთანა, და მე
თქუენ შორის.
21. რომელსა აქუნდენ მცნე-
ბანი ჩემნი, და დაიმარხნეს იგინი,
იგი არს, რომელსა უყუარ მე;
ხოლო რომელსა უყუარდე მე,
საყუარელ-იყოს მამისა ჩემისა
მიერ, და მეცა შევიყუარო იგი,
და გამოუცხადო მას თავი ჩემი.
22. ჰრქუა მას იუდა, არა ის-
კარიოტელმან: უფალო! რაჲ არს,
რამეთუ ჩუენ გამოგჳცხადებ თავ-
სა შენსა, და არა სოფელსა.
23. მიუგო იესო და ჰრქუა
მას: უკეთუ ვინმე უყუარდე მე,
სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და
მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი,
და მოვიდეთ მისსა, და მისთანა
დავადგრეთ.
24. ხოლო რომელსა არა უყ-
უარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა
დაიმარხნეს, და სიტყუანი, რომელ
გესმიან, არა ჩემნი არიან, არა-
მედ მომავლინებელისა ჩემისა მა-
მისანი.

25. ამას გეტყოდი თქუენ,
რამეთუ თქუენთანა ვიყავ.
26. ხოლო ნუგეშინის-მცემე-
ლი იგი სული წმიდა, რომელი
მოავლინოს სახელითა ჩემითა მა-
მამან, მან გასწავოს თქუენ ყოვე-
ლი და მოგაჴსენოს თქუენ ყო-
ველივე, რაოდენი გარქუ თქუენ.
27. მშჳდობასა დაგიტევებ
თქუენ, მშჳდობასა ჩემსა მიგცემ
თქუენ, არა ვითარ სოფელმან
მიჰსცის, მე მიგცემ თქუენ; ნუ
შეჰსძრწუნდებიან გულნი თქუენ-
ნი, ნუცა ეშინინ.
28. გესმა, რამეთუ გარქუ
თქუენ: წარვალ და მოვიდე თქუენ-
და. უკეთუმცა გიყუარდი მე, გი-
ხაროდამცა, რამეთუ მივალ მამი-
სა ჩემისა, რამეთუ მამა ჩემი უფ-
როს ჩემსა არს.
29. და აწ გარქუ თქუენ, ვიდ-
რე ყოფადმდე, რათა რაჟამს იყოს,
გრწმენეს.
30. არღარა მრავალსა ვიტყო-
დე თქუენთანა; რამეთუ მოვალს
მთავარი იგი ამის სოფლისა და
ჩემთანა ჰპოვოს არა რაჲ.
31. არამედ რათა ჰსცნას სო-
ფელმან, რამეთუ მიყუარს მე მამა,
და ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგ-
რეთცა ვჰყოფ: აღჰსდეგით, წარვი-
დეთ ამიერ.

## თავი 15.

1. მე ვარ ვენაჴი ჭეშმარიტი,
და მამა ჩემი მოქმედი არს.
2. ყოველმან რტომან, რომე-
ლი ჩემ თანა არს და არა მოიღოს

ნაყოფი, აღიღოს იგი; და ყოველ-
მან, რომელმან მოიღოს ნაყოფი,
განწმიდოს იგი, რათა უფროისი
ნაყოფი გამოიღოს.
3. ხოლო თქუენ აწვე წმიდა
ხართ, სიტყჳთა მით, რომელსა
გეტყოდი თქუენ.
4. დაადგერით თქუენ ჩემ-
თანა და მე თქუენთანა, ვითარცა
იგი ნასხლევსა ვერ ჰელეწიფების
ნაყოფისა გამოღებად თავით თჳ-
სით, უკეთუ არა ეგოს ვენაჴსა
ზედა, ეგრეთვე არცა თქუენ, უკე-
თუ არა დაადგრეთ ჩემთანა.
5. მე ვარ ვენაჴი და თქუენ
რტონი; რომელი დაადგრეს ჩემ-
თანა და მე მის თანა, ამან მო-
იღოს ნაყოფი მრავალი; რამეთუ
თჳნიერ ჩემსა არა რა ძალ-გიძსთ
ყოფად არცა ერთი.
6. უკეთუ ვინმე არა დაადგრეს
ჩემთანა, განვარდეს გარე, ვი-
თარცა ნასხლევი, და განჴმეს, და
შეჰკრიბონ იგი და ცეცხლსა და-
ასხან, და დაიწჳს.
7. უკეთუ დაადგრეთ ჩემთანა
და სიტყუანი ჩემნი თქუენთანა
ეგნენ, რაჲცა გინდეს, ითხოვეთ,
და გეყოს თქუენ.
8. ამით იდიდოს მამა ჩემი,
რათა ნაყოფი მრავალი გამოი-
ღოთ, და იყვნეთ ჩემდა მოწაფე.
9. ვითარცა შემიყუარა მე მა-
მამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ;
დაადგერით სიყუარულსა ჩემსა
ზედა.
10. უკეთუ მცნებანი ჩემნი
დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყუარულსა
ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი
მამისა ჩემისანი დავიმარხენ და
ჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა.
11. ამას გეტყოდი თქუენ,
რათა სიხარული ჩემი თქუენთა-
ნა ეგოს, და სიხარული თქუენი
სავსებით იყოს.
12. რამეთუ ესე არს მცნება
ჩემი, რათა იყუარებოდეთ ურთი-
ერთარს, ვითარცა მე შეგიყუარენ
თქუენ.
13. უფროისი ამისა სიყუარუ-
ლი არავის აქუს, რათა სული
თჳსი დაჰსდუას მეგობართა თჳს-
თა თჳს.
14. თქუენ მეგობარნი ჩემნი
ხართ, უკეთუ ჰყოთ, რომელსა ესე
გამცნებ თქუენ.
15. არღარა გეტყჳ თქუენ
მონად, რამეთუ მონამან არა
იცის, რასა იქმს უფალი მისი;
ხოლო თქუენ გარქუ მეგობრად,
რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა
მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ.
16. არა თქუენ გამომირჩიეთ
მე, არამედ მე გამოგირჩიენ თქუ-
ენ, და დაგადგინენ თქუენ, რათა
თქუენ წარხჳდეთ და ნაყოფი გა-
მოიღოთ, და ნაყოფი თქუენი
ეგოს სავსებით, რათა რა იგი
ჰსთხოვოთ მამასა ჩემსა სახელითა
ჩემითა, მოგცეს თქუენ.
17. ამას გამცნებ თქუენ, რა-
თა იყუარებოდეთ ურთიერთარს.
18. უკეთუ სოფელი გძულობს
თქუენ, უწყოდეთ, რამეთუ პირ-
ველად მე მომიძულა.
19. უკეთუმცა სოფლისაგანნი
იყუენეთ, სოფელიმცა თჳსთა
ჰყუარობდა; რამეთუ არა სოფლი-

საგანნი ხართ თქუენ, არამედ მე
გამოგირჩიენ თქუენ სოფლისა-
გან, ამისთჳს ჰსძულთ თქუენ
სოფელსა.
20. მოიხსენეთ სიტყუა იგი,
რომელ გარქუ თქუენ: არა არს
მონა უფროს უფლისა თჳსისა.
უკეთუ მე მდევნეს, თქუენცა
გდევნნენ; უკეთუ სიტყუანი ჩემნი
დაიმარხნეს, თქუენიცა დაიმარ-
ხნენ.
21. არამედ ესე ყოველი გიყონ
თქუენ სახელისა ჩემისა თჳს, რა-
მეთუ არა იციან მომავლინებელი
ჩემი.
22. უკეთუმცა არა მოვედ და
ვეტყოდი მათ, ცოდუამცა არა აქუ-
ნდა; ხოლო აწ მიზეზი არა აქუს
ცოდუათა მათთა თჳს.
23. რომელსა ჰსძულდე მე,
მამაცა ჩემი ჰსძულს.
24. უკეთუმცა არა ვქმენ სა-
ქმენი იგი მათ შორის, რომელნი
სხუამან არა ვინ ჰქმნა, ცოდუამცა
არა აქუნდა; ხოლო აწ მიხილეს,
და მოიძულეს მეცა და მამაცა ჩემი.
25. არამედ რათა აღესრულოს
სიტყუა იგი, რომელი ჰსჯულ-
სა მათსა წერილ-არს, რამეთუ
მოიძულეს მე ცუდად.
26. ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუ-
გეშინის-მცემელი იგი, რომელი
მე მოვავლინო თქუენდა მამისა
ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტე-
ბისა, რომელი მამისაგან გამო-
ვალს, მან ჰსწამოს ჩემთჳს.
27. და თქუენცა მოწამე ხართ,
რამეთუ დასაბამითგან ჩემთანა
ხართ.

## თავი 16.

1. ამას გეტყოდი თქუენ, რა-
თა არა დაჰბრკოლდეთ.
2. კრებულისაგან განგახსნენ
თქუენ; არამედ მოვალს ჟამი, რათა
ყოველმან, რომელმან მოგწყჳდ-
ნეს თქუენ, ჰგონებდეს, ვითარ-
მედ მსხუერპლი შეჰსწირა ღმრ-
თისა.
3. და ესე გიყონ თქუენ, რა-
მეთუ არა იციან მომავლინებელი
ჩემი მამა, არცა მე.
4. არამედ ამას გეტყოდი თქუ-
ენ, რათა რაჟამს მოიწიოს ჟამი
იგი, მოიხსენოთ მათი, რამეთუ
მე გარქუ თქუენ; ესე პირველით-
გან არა გარქუ თქუენ, რამეთუ
თქუენთანა ვიყავ.
5. ხოლო აწ მივალ მომავლინე-
ბელისა ჩემისა, და არავინ თქუენ-
გან მკითხავს მე, ვითარმედ: ვიდრე
ჰსუალ?
6. არამედ ამას რა გეტყოდი
თქუენ, მწუხარებამან აღავსნა
გულნი თქუენნი.
7. არამედ მე ჭეშმარიტსა გე-
ტყჳ თქუენ: უმჯობეს-არს თქუენ-
და, რათა მე წარვიდე; უკეთუ
მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცე-
მელი იგი არა მოვიდეს თქუენდა;
უკეთუ მე წარვიდე, მოვავლინო
იგი თქუენდა.
8. და მოვიდეს იგი, და ამხი-
ლოს სოფელსა ცოდჳსათჳს, და სი-
მართლისათჳს, და საჰსჯულისათჳს.
9. ცოდჳსათჳს ესრეთ, რამე-
თუ არა ჰრწმენა ჩემდა მომართ;
10. ხოლო სიმართლისათჳს,

რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ,
და არღარა მხედვიდეთ მე.
11. ხოლო საშჯელისათჳს,
რამეთუ მთავარი იგი ამის სო-
ფლისა დაშჯილ-არს.
12. ფრიადღა მაქუს სიტყუად
თქუენდა, არამედ აწ არღარა
ძალ-გიძსთ ტჳრთვად.
13. ხოლო ოდეს მოვიდეს
სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძ-
ღოდეს თქუენ ჭეშმარიტებასა ყო-
ველსა; რამეთუ არა იტყოდეს თა-
ვით თჳსით, არამედ, რაოდენი
რა ესმეს, იტყოდეს და მომავალი
იგი გითხრას თქუენ.
14. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემ-
გან მიიღოს, და გითხრას თქუენ.
15. ყოველი, რაოდენი აქუს
მამასა, ჩემი არს, და ამისთჳს
გარქუ თქუენ, რამეთუ ჩემგან
მიიღოს და გითხრას თქუენ.
16. მცირედღა და არღარა
მხედვიდეთ მე, და კუალად მცირედ-
ღა და მიხილოთ მე, რამეთუ მე
მივალ მამისა ჩემისა.
17. ჰსთქუეს უკუე მოწაფეთა
მისთა ურთიერთარს: რაჲ არს,
რომელსა ესე მეტყჳს ჩუენ: მცი-
რედღა და არღარა მხედვიდეთ მე,
და კუალად მცირედღა და მიხილოთ
მე, და: რამეთუ მე მივალ მამისა
ჩემისა?
18. და იტყოდეს უკუე: რაჲ
არს ესე: მცირედ? არა ვუწყით,
რასა იტყჳს.
19. გულის-ხმა-ჰყო იესო, რა-
მეთუ უნდა კითხჳს, და ჰრქუა მათ:
ამისთჳს გამოეძიებთა ურთიერთ-
არს, რამეთუ ვჰსთქუ: მცი-
რედღა და არღარა მხედვიდეთ
მე, და კუალად მცირედ და მიხი-
ლოთ მე?
20. ამინ, ამინ გეტყჳ თქუენ,
რამეთუ ჰსტიროდეთ და ჰგოდებ-
დეთ თქუენ, ხოლო სოფელსა
უხაროდეს, და თქუენ ჰსწუხდეთ,
არამედ მწუხარება თქუენი სიხა-
რულად გარდაიქცეს.
21. დედაკაცი, რაჟამს ჰშობნ,
მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია
ჟამი მისი; ხოლო რაჟამს ჰშჳს
ყრმაჲ, არღარა მოეხსენის ჭირი
იგი სიხარულითა მით, რამეთუ
იშუა კაცი სოფელსა შინა.
22. ხოლო თქუენ აწ ჭირი
გაქუს, და მერმე კუალად გიხილნე
თქუენ და უხაროდეს გულთა
თქუენთა, და სიხარული თქუენი
არავინ მიგიღოს თქუენგან.
23. და მას დღესა შინა მე
არა რაჲ მკითხოთ. ამინ, ამინ
გეტყჳ თქუენ, რამეთუ რაოდენი-
ცა რა ჰსთხოვოთ მამასა სახელი-
თა ჩემითა, მოგცეს თქუენ.
24. აქამომდე არა რა გითხო-
ვიეს სახელითა ჩემითა; ითხოვ-
დით, და მოიღოთ, რათა სიხარუ-
ლი თქუენი სავსებით იყოს.
25. ამას იგავით გეტყოდი
თქუენ; ხოლო მოვალს ჟამი,
ოდეს არღარა იგავით გეტყო-
დე თქუენ, არამედ განცხადებუ-
ლად მამისა ჩემისათჳს გითხრა
თქუენ.
26. მას დღესა შინა ითხოვოთ
სახელითა ჩემითა, და არა გეტყჳ
თქუენ, ვითარმედ მე ვჰკითხო
მამასა ჩემსა თქუენთჳს;

27. რამეთუ თჳთ მამასა ჩემსა უყუართ თქუენ, რამეთუ თქუენ მე შემიყუარეთ, დ გრწმენა, რამეთუ მე ღმრთისაგან გამოვედ.

28. გამოვედ მამისაგან, დ მოვედ სოფლად, დ კუალად დაუტევობ სოფელსა, დ მივალ მამისა.

29. ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: აჰა, აწ განცხადებულად იტყჳ, დ იგავსა არცა ერთსა რას იტყჳ.

30. და აწ უწყით ჩუენ, რამეთუ ყოველივე იცი, დ არა გიკმს, რათა გკითხოს ვინმე. ამის გამო გურწამს, რამეთუ ღმრთისაგან გამოხუედ.

31. მიუგო იესო დ ჰრქუა მათ: აწ სამე გრწამს?

32. აჰა, მოვალს ჟამი, დ მოწევნულ-არს, რამეთუ განიბნინეთ კაცად-კაცადი თჳსად ადგილად, დ მე მარტო დამიტევოთ; დ არა ვარ მე მარტო, არამედ მამა ჩემი ჩემთანა არს.

33. ამას გეტყოდი თქუენ, რათა ჩემთანა მშჳდობა გაქუნდეს. სოფელსა ამას ჭირი გაქუს; არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მძლევიეს სოფელსა.

## თ ა ვ ი 17.

1. ამას იტყოდა იესო, დ აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად დ ჰსთქუა: მამაო! მოიწია ჟამი ჩემი, ადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ.

2. ვითარცა ესე მოეც მას ჴელმწიფება ყოველთა ჴორციელთა, რათა ყოველი, რომელი მოეც მას, მიჰსცეს მათ ცხოვრება საუკუნო.

3. და ესე არს ცხოვრება საუკუნო, რათა გიცოდნენ შენ მხოლო შეშმარიტი ღმერთი, დ რომელი მოავლინე იესო ქრისტე.

4. მე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა, საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვჰყო.

5. და აწ მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა, დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაშე შენსა უწინარეს სოფლის-დაბადებისა.

6. გამოუცხადე სახელი შენი კაცთა, რომელნი მომცენ მე სოფლისა ამისგან; შენნი იყუნეს, დ მე მომცენ იგინი, დ სიტყუა შენი დაუმარხავს.

7. და აწ უცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი მომეც მე, შენგან არს.

8. რამეთუ სიტყუანი, რომელნი მომცენ მე, მივჰსცენ მათ; დ მათ მიიხუნეს, დ ჰსცნეს ჭეშმარიტად, რამეთუ შენგან გამოვედ, დ ჰრწმენა, რამეთუ შენ მომავლინე მე.

9. მე მათთჳს გკითხავ, არა თუ სოფლისათჳს გკითხავ, არამედ მათ თჳს, რომელნი მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან.

10. და ჩემი ყოველი შენი არს, დ შენი ჩემი არს; დ დიდებულ ვარ მე მათ შორის.

11. და არღარა ვარ მე სოფელსა ამასა, დ ესენი სოფელსა შინა არიან, დ მე შენდა მოვალ. მამაო წმიდაო! დაიცუენ ესენი

სახელითა შენითა, რომელნი მო-
მეცენ მე, რათა იყვნენ ერთ, ვი-
თარცა ჩვენ.
12. ოდეს ვიყავ მათ თანა
სოფელსა შინა, მე ვჰსცევდ მათ
სახელითა შენითა; რომელნი მო-
მეცენ მე, დავიცვენ, და არავინ
მათგანი წარჰსწყმდა, გარნა მე იგი
წარწყმედისა, რათა წერილი აღე-
სრულოს.
13. ხოლო აწ შენდა მოვალ,
და ამას ვიტყჳ სოფელსა შინა,
რათა აქვნდეს მათ სიხარული ჩემი
სავსებით.
14. მე მივჰსცენ მათ სიტყვანი
შენნი, და სოფელმან მოიძულვნა
იგინი, რამეთუ არა არიან სოფ-
ლისა ამისგანნი, ვითარცა მე არა
ვარ სოფლისა ამისგან.
15. არა ვიტყჳ, რათა აღიხვნე
იგინი სოფლისაგან, არამედ რათა
დაიცვნე იგინი ბოროტისაგან.
16. სოფლისაგანნი არა არი-
ან, ვითარცა მე არა სოფლისაგან
ვარ.
17. წმიდა ჰყვენ ესენი ჭე-
შმარიტებითა, რამეთუ სიტყვა
შენი ჭეშმარიტ-არს.
18. ვითარცა მომავლინე მე
სოფლად, მეცა წარვავლინებ მათ
სოფლად.
19. და მათ თჳს წმიდა-ვჰყოფ
თავსა ჩემსა, რათა იგინიცა იყვ-
ნენ წმიდა ჭეშმარიტებით.
20. და არა ამათთჳს ხოლო
გკითხავ, არამედ ყოველთა თჳს,
რომელთა ჰრწმენეს სიტყჳთა მა-
თითა ჩემდა მომართ;
21. რათა ყოველნი ერთ-იყვ-
ნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდა-
მო, და მე შენდამი, რათა იგინიცა
ჩვენ შორის ერთ იყვნენ; რათა
სოფელსა ჰრწმენეს, რამეთუ შენ
მომავლინე მე.
22. და მე დიდება, რომელი
მომეც მე, მივეც მათ, რათა იყვ-
ნენ ერთ, ვითარცა ჩვენ ერთ
ვართ.
23. მე მათ შორის, და შენ
თანა; რათა იყვნენ სრულ ერთო-
ბითა, და რათა უწყოდეს სოფელ-
მან, რამეთუ შენ მომავლინე მე,
და შეიყვარენ იგინი, ვითარცა მე
შემიყვარე.
24. მამაო! რომელნი ესე მომ-
ცენ მე, მნებავს; რათა სადაცა
მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყვ-
ნენ, რათა ჰხედვიდენ დიდებასა
ჩემსა, რომელი მომეც მე, რამეთუ
შემიყვარე მე უწინარეს სოფლის-
დაბადებისა.
25. მამაო მართალო! და სო-
ფელმან შენ არა გიცნა; ხოლო
მე გიცან შენ, და მათცა ჰსცნეს,
რამეთუ შენ მომავლინე მე.
26. და ვაუწყე სახელი შენი,
და ვაუწყო, რათა სიყვარულითა
მით, რომლითა შემიყვარე მე,
მათ შორის იყოს, და მე მათ
თანა.

## თ ა ვ ი 18.

1. ესე ჰსთქვა იესო და გამო-
ვიდა მოწაფითურთ თჳსით წიაღ
კევსა მას ნამოვანსა, სადა იგი
იყო მტილი, რომელსა შევიდა
თავადი და მოწაფენი მისნი.

2. იცოდა იუდაცა, მიმცემელმან მისმან, ადგილი იგი, რამეთუ მრავალ-გზის შესრულ-იყო მუნ იესო მოწაფითურთ თჳსით.

3. ხოლო იუდა წარიყჳანა ერი, და მღჳდელთ-მთავართა და ფარისეველთაგან მსახურნი, და მოვიდა მუნ სანთლებითა და ლამპრებითა და საჭურველითა.

4. ხოლო იესო იცოდა ყოველი იგი მომავალი მის ზედა, გამოვიდა და ჰრქჳა მათ: ვის ეძიებთ?

5. მიუგეს და ჰრქჳეს მას: იესოს ნაზარეველსა. ჰრქჳა მათ იესო: მე ვარ. ჰსდგა იუდაცა, მიმცემელი იგი მისი, მათ თანა.

6. და ვითარცა ჰრქჳა მათ: მე ვარ, გარე-უკუნ-იქცეს, და დაეცნეს ქჳეყანასა.

7. მერმე კჳალად ჰკითხა მათ: ვის ეძიებთ? და მათ ჰრქჳეს მას: იესოს ნაზარეველსა.

8. ჰრქჳა მათ იესო: გარქჳ თქჳენ, ვითარმედ მე ვარ. უკეთუ მე მეძიებთ, უტევენით ესენი წარვიდენ.

9. რათა აღესრულოს სიტყჳა იგი, რომელი ჰსთქჳა, ვითარმედ რომელნი მომცენ მე, არა წარვჰ-სწყმიდე მათგანი არცა ერთი.

10. ხოლო სჳმონ-პეტრეს აქჳნდა მახჳლი, აღმოიკადა იგი, და ჰსცა მონასა მღჳდელთ-მთავრისასა, და წარჰკჳეთა ყური მისი მარჯჳენე. ხოლო იყო სახელი მონისა მის მალქოზ.

11. ჰრქჳა იესო პეტრეს: დაჰსდევ მახჳლი ქარქაშსა; სასჳმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა შევსვა იგი?

12. ხოლო კრებულმან მან და ათასის-თავმან და მსახურთა მათ ჰურიათამან შეიპყრეს იესო, და შეჰკრეს იგი.

13. და მიიყჳანეს იგი პირველად ანნასა; რამეთუ იყო სიმამრი კაიაფასი, რომელი იყო მღჳდელთ-მთავარი მის წელიწდისა.

14. ხოლო ესე კაიაფა იყო, რომელმან აზრახა ჰურიათა, ვითარმედ უმჯობეს არს კაცისა ერთისა სიკჳდილი ერისათჳს.

15. მიჰსდევდა იესოს სჳმონ-პეტრე და სხჳა იგი მოწაფე; ხოლო მოწაფე იგი ერთი მეცნიერი იყო მღჳდელთ-მთავრისა, და შევიდა იესოსთანა ეზოსა მღჳდელთ-მთავრისასა.

16. ხოლო პეტრე ჰსდგა კარსა თანა გარეშე. განვიდა ერთი იგი მოწაფე, რომელი იყო მეცნიერ მღჳდელთ-მთავრისა, და ჰრქჳა მეკარესა მას დედაკაცსა, და შეიყჳანა პეტრე.

17. ჰრქჳა მკევალმან მან მეკარემან პეტრეს: ნუ უკჳე შენცა მოწაფეთაგანი ხარ მის კაცისათა? ხოლო პეტრე ჰსთქჳა: არა ვარ.

18. ჰსდგეს მონანი იგი, და მსახურნი მღჳდელთ-მთავართანი, და ნაკჳერცხალი აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო და ტფებოდეს. ჰსდგა მათთანა პეტრეცა და ტფებოდა.

19. ხოლო მღჳდელთ-მთავარმან მან ჰკითხა იესოს მოწაფეთა

მისთა თჳს და მოძღურებისა მისისა თჳს.

20. მიუგო იესო და ჰრქუა მას: მე განცხადებულად ვეტყოდი სოფელსა, და მე მარადის ვასწავებდ შესაკრებელსა და ტაძარსა შინა, სადა იგი ყოვლადვე ურიანი შეჰკრბიან, ხოლო ფარულად არა რას ვეტყოდი.

21. რასა მკითხავ მე? ჰკითხე მათ, რომელთა ესმოდა, რასა ვასწავებდ მათ; აჰა, ამათ იციან, რასა იგი ვეტყოდი მათ.

22. და ვითარცა ესე ჰსთქუა იესო, ერთმან მსახურთაგანმან მუნ მდგომარემან, ჰსცა ყურიმალსა იესოს და ჰრქუა: ესრეთ სიტყუას-უგება მღდელთ-მთავარსა?

23. ჰრქუა მას იესო: უკეთუ ბოროტსა ვეტყოდე, ჰწამე ბოროტისათჳს; უკეთუ კეთილსა, რაჲსა თჳს მცემ?

24. და მიავლინა იგი ანნა კრული კაიაფასა მღდელთ-მთავრისა.

25. ხოლო სჳმონ-პეტრე ჰსდგა და ტფებოდა. ჰრქუეს მას მუნმდგომარეთა მათ: ნუ უკუე შენცა მოწაფეთა მისთაგანი ხარ? ხოლო მან უარ-ჰყო და ჰსთქუა: არა ვარ.

26. ჰრქუა მას ერთმან მონათაგანმან მღდელთ-მთავრისამან, ნათესავი იყო მისი, რომელსა იგი პეტრე წარჰკუეთა ყური: არა მე გიხილეა მტილსა მას შინა მის თანა?

27. და კუალად უარ-ჰყო პეტრე; და მეყუსეულად ქათამმან იყივლა.

28. და მოიყუანეს იესო კაიაფასით ტაძრად; და იყო განთიად; და იგინი არა შევიდეს ტაძრად, რათა არა შეიგინნენ, არამედ რათა ჰსჭამონ პასექი.

29. გამოვიდა პილატე მათდა გარე და ჰრქუა მათ: რასა შესმენასა მოიღებთ კაცისა ამის ზედა?

30. მიუგეს და ჰრქუეს მას: უკეთუმცა არა ბოროტის-მოქმედი იყო, არამცა მიგეცით შენ ეგე.

31. ჰრქუა მათ პილატე: მოიყუანეთ ეგე თქუენ, და ჰსჯულისა თქუენისა-ებრ განიკითხეთ ეგე. ჰრქუეს მას ურიათა მათ: ჩუენდა არავისი ჯერ-არს მოკლუა;

32. რათა აღესრულოს სიტყუა იგი იესოსი, რომელ ჰსთქუა, და აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ეგულვებოდა მოსიკუდიდ.

33. კუალად უკუე შევიდა პილატე ტაძრად, და შეჰხადა იესოს და ჰრქუა მას: შენ ხარა მეუფე ურიათა?

34. ჰრქუა მას იესო: შენ თავით თჳსით იტყჳ მაგას, ანუ სხუათა გითხრეს ჩემთჳს?

35. მიუგო პილატე და ჰრქუა მას: ნუ უკუე მე ურია ვარა? ნათესავთა შენთა და მღდელთ-მთავართა მოუცემიხარ შენ ჩემდა; რა გიქმნიეს?

36. მიუგო იესო და ჰრქუა მას: მეუფება ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს; უკეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფება ჩემი, მსახურნიმცა ჩემნი იღუწიდეს ჩემთჳს, რათა არამცა მივეცი ურიათა; ხოლო აწ მეუფება ჩემი არა არს ამიერ სოფლით.

37. ჰრქუა მას პილატე: უკე-
თუ მეუფე ხარ შენ? ჰრქუა მას
იესო: შენ იტყჳ, რამეთუ მეუფე
ვარ მე. ამისთჳს შობილვარ, და
ამისთჳს მოვივლინე სოფლად, რა-
თა ვჰსწამო ჭეშმარიტი. ყოველი,
რომელი ჭეშმარიტებისაგან იყოს,
ისმინოს ჴმისა ჩემისა.
38. ჰრქუა მას პილატე: რაჲ
არს ჭეშმარიტებაჲ? და ვითარცა
ესე ჰსთქუა, კუალად გამოვიდა
და ჰრქუა ურიათა მათ: მე არცა
ერთსა ბრალსა ვჰპოვებ ამისთანსა.
39. ხოლო არს ჩუეულებაჲ
თქუენი, რათა ერთი მიგიტევო
თქუენ დღესასწაულსა ამას; გნე-
ბავსა, რათა მიგიტევო თქუენ მე-
უფე ურიათა?
40. კუალად უკუჱ ღაღად-ჰყუეს
ყოველთა და ჰსთქუეს: ნუ ამას,
არამედ ბარაბას. და იყო ესე ბარა-
ბა ავაზაკი.

## თ ა ვ ი 19.

1. მაშინ მოიყუანა პილატე
იესო, და ჰსტანჯა იგი.
2. და ერისაგანთა მათ შეჰსთხ-
ზეს გჳრგჳნი ეკალთაგან, და და-
ადგეს თავსა მისსა, და სამოსელი
მოწეული შეჰმოსეს მას.
3. და მოვიდიან მისა და ეტყჳ-
ედ მას: გიხაროდენ, მეუფეო ური-
ათაო! და ჰსცემდეს ყურიმალსა.
4. გამოვიდა უკუჱ კუალად
გარე პილატე და ჰრქუა მათ: აჰა
გამოვიყუანო იგი გარე თქუენ-
და, რათა ჰსცნათ, რამეთუ მის-
თანა არცა ერთი ბრალი ვჰპოვე.
5. გამოვიდა იესო გარე, და
ედგა ეკლისა იგი გჳრგჳნი, და
მოწეული სამოსელი, და ჰრქუა
მათ პილატე: აჰა კაცი იგი!
6. და ვითარცა იხილეს იგი
მღდელთ-მთავართა მათ და მსა-
ხურთა, ღაღად-ჰყუეს და ჰსთქუეს:
ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე. ჰრ-
ქუა მათ პილატე: მიიყუანეთ ეგე
თქუენ, და ჯუარს-აცუთ; რამეთუ
მე მაგის თანა ბრალსა არა რასა
ვჰპოვებ.
7. მიუგეს ურიათა და ჰრქუეს
მას: ჩუენ ჰსჯული გვაქუს, და
ჰსჯულისა ჩუენისაებრ თანა-აძს
სიკუდილი, რამეთუ თავი თჳსი
ძედ ღმრთისა ჰყო.
8. ვითარცა ესმა სიტყუა ესე
პილატეს, უფროს შეეშინა.
9. და შევიდა კუალად მუნვე
ტაძრად და ჰრქუა იესოს: ვინა
ხარ შენ? ხოლო იესო სიტყუა
არა მიუგო მას.
10. ჰრქუა მას პილატე: მე
არას მეტყჳ? ანუ არა უწყია, რა-
მეთუ ჴელმწიფება მაქუს ჯუარ-
ცმად შენდა, და ჴელმწიფება მაქუს
განტევებად შენდა?
11. ჰრქუა მას იესო: არა
გაქუს ჴელმწიფება ჩემი არცა
ერთი, უკეთუმცა არა მოცემულ-
იყო შენდა ზეგარდამო; ამისთჳს
მიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდესი
ცოდუა აქუს.
12. ამის გამო პილატეს უნდა
განტევება მისი. ხოლო ურიანი
იგი ღაღადებდეს და იტყოდეს:
უკეთუ ეგე განუტევო, არა ხარ
მოყუარე კეისრისა; რამეთუ ყო-

ველი, რომელი მეუფედ იტყჳნ,
თავსა თჳსსა, სიტყუასა უგებნ
კეისარსა.
13. ხოლო პილატეს რა ესმა
სიტყუა ესე, გამოიყუანა იესო
გარე, და დაჰსჯდა იგი საყდართა
ზედა, ადგილსა მას, რომელსა
ჰრქჳან ქუა-ფენილ, ხოლო ებრა-
ელებრ გაბბათა.
14. და იყო პარასკევი პასქასა,
და ჟამი იყო მეექუსე. ჰრქუა პი-
ლატე ურიათა მათ: აჰა მეუფე
თქუენი!
15. ხოლო იგინი ღაღადებ-
დეს და იტყოდეს: აღიღე, აღიღე
და ჯუარს-აცუ ეგე! ჰრქუა მათ პი-
ლატე: მეუფე თქუენი მე ჯუარს-
ვაცუა? მიუგეს მღდელთ-მთა-
ვართა მათ და ჰრქუეს: არა გვი-
ვის ჩუენ მეუფე, გარნა კეისარი.
16. მაშინ მისცა იგი მათ,
რათა ჯუარს-ეცუას. ხოლო მათ
წარიყუანეს იესო.
17. და ეკიდა თჳთ ჯუარი
თჳსი, და განვიდა ადგილსა მას
თხემისასა, რომელსა ჰრქჳან ებ-
რაელებრ გოლგოთა.
18. და მუნ ჯუარს-აცუეს იგი
და მისთანა სხუანი ორნი, ამიერ
და იმიერ, და შორის იესო.
19. და დაჰსწერა პილატე ფი-
ცარი, და დასდუა ჯუარსა მას
ზედა, და იყო წერილი ესრეთ:
იესო ნაზარეველი, მეუფე
ურიათა.
20. ესე ფიცარი მრავალთა
ურიათა აღმოიკითხეს, რამეთუ
მახლობელ-იყო ქალაქსა ადგილი
იგი, სადა ჯუარს-აცუეს იესო,
და იყო წერილი ებრაელებრ, და
ჰრომაელებრ, და ბერძულ.
21. ეტყოდეს უკუე პილატეს
მღდელთ-მთავარნი იგი ურია-
თანი: ნუ დაჰსწერ მეუფედ ური-
ათა, არამედ ვითარმედ მან ჰსთქუა:
მეუფე ურიათა ვარი მე.
22. ჰრქუა მათ პილატე: რო-
მელი დავჰსწერე, დავჰსწერე.
23. და ერისკაცთა მათ, რო-
მელთა ჯუარს-აცუეს იესო, მო-
იღეს სამოსელი მისი, და განიყუეს
ოთხად ნაწილად, თითოეულმან
ერისკაცმან ნაწილი; ხოლო კუარ-
თი იგი, რომელი იყო უკერველ,
ზეით-გამო ქსოვილ ყოვლად.
24. ჰსთქუეს უკუე ურთიერთ-
არს: არა განვჰხიოთ ესე, არა-
მედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა,
ვისსაცა იყოს; რათა აღესრულოს
წერილი იგი: განიყუეს სამოსე-
ლი ჩემი თავისა მათისა, და კუართ-
სა ჩემსა ზედა განიგდეს წილი.
ერისკაცთა მათ ესე ჰყუეს.
25. ხოლო ჰსდგეს ჯუარსა მას
თანა იესოსსა დედა მისი, და და-
დედისა მისისა, მარიამ კლეოპა-
სი, და მარიამ მაგდალინელი.
26. ხოლო იესო, ვითარცა
იხილა დედაჲ თჳსი, და მოწაფე
იგი, რომელი უყუარდა, წინაშე
მდგომარენი, ჰრქუა დედასა თჳს-
სა: დედაკაცო! აჰა ძე შენი.
27. და მერმე მოწაფესა მას
ჰრქუა: აჰა დედა შენი. და მიე-
რითგან წარიყუანა იგი მოწაფემან
მან თჳსთა თანა.
28. ამისა შემდგომად იხილა
იესო, რამეთუ ყოველივე აღსრუ-

ლებულ არს, და რათა აღესრულოს
წერილი იგი, ჰსთქუა: მწყურის.
29. ჰსდგა მუნ ჭურჭელი ძმრი-
თა სავსე; და მათ ღრუბელი აღავ-
სეს ძმრითა მით უსუპსა თანა, და
დაადგეს ლელწამი, და მიუპყრეს
პირსა მისსა.
30. და ოდეს მიიღო ძმარი
იგი იესო, ჰსთქუა: ესეცა წერი-
ლი აღსრულებულ-არს! და მიიდ-
რიკა თავი, და განუტევა სული.
31. ხოლო ურიათა მათ, რა-
მეთუ პარასკევი იყო, რათა არა
დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზე-
და შაბათადმდე, რამეთუ იყო დიდ
დღე იგი შაბათისა მის, ჰკითხეს
პილატეს, რათა წვივნი მათნი
განუტეხნენ, და გარდამოიხუნენ.
32. მოვიდეს ერისაგანნი იგი,
და პირველისანი მის განუტეხნეს
წვივნი, და ერთისა მის ეგრეთვე,
რომელნი ჯუარ-ცმულ-იყუნეს მის-
თანა.
33. ხოლო მორავიდეს იესო-
სა, და იხილეს იგი, რამეთუ მომ-
კუდარ-იყო, არა განუტეხნეს
წვივნი მისნი;
34. არამედ ერთმან ერისაგან-
მან ლახურითა უგმირა გუჱრდსა
მისსა, და მეყუსეულად გარდამოჰ-
კდა სისხლი და წყალი.
35. და რომელმან იხილა ჰსწა-
მა, და ჭეშმარიტ-არს წამება მი-
სი; და მან უწყის, რამეთუ ჭეშ-
მარიტსა იტყჳს, რათა თქუჱნცა
გრწმენეს.
36. რამეთუ იყო ესე, რათა
წერილი აღესრულოს, ვითარმედ
ძუალი მისი არა შეიმუსროს.
37. და სხუა წერილი იტყჳს:
იხილონ, რომელსა იგი უგმირეს.
38. ამისა შემდგომად ჰკითხა
პილატეს იოსებ, რომელი იყო
არიმათიაჲთ, რამეთუ იყო იგი
მოწაფე იესოსი ფარულად, ში-
შისათჳს ურიათასა, რათა აღი-
ღოს გუამი იესოსი; და უბრძანა
მას პილატე, მოვიდა და აღიღო
გუამი მისი.
39. მოვიდა ნიკოდიმოსცა,
რომელი იგი მოსრულ-იყო იე-
სოსა ღამე პირველ, და მოიღო
აღრეული მურისა და ალოჲსა, ვი-
თარ ასი ლიტრა.
40. და მოიღეს გუამი იესო-
სი, და შეჰკრაგნეს იგი ტილო-
ებითა სუნნელთა მათ თანა, ვი-
თარცა ჩუჱულება-არს ურიათა
დაფლჳსა.
41. იყო ადგილსა მას, სადა
ჯუარს-ეცუა, მტილი, და მტილ-
სა მას შინა საფლავი ახალი, რო-
მელსა არავინ დადებულ-იყო.
42. მუნ დაჰსდუჱს გუამი იე-
სოსი პარასკევისა თჳს ურიათასა,
რამეთუ მახლობელ-იყო საფლავი
იგი.

## თავი 20.

1. ერთსა მას შაბათსა მოვიდა
მარიამ მაგდალინელა განთიად,
ვიდრე ბნელღა იყო, საფლავსა მას
ზედა, და იხილა ლოდი იგი აღე-
ბული კარისა მისგან საფლავისა.
2. რბიოდა და მოვიდა სჳმონ
პეტრესსა, და სხჳსა მის მოწაფი-
სა, რომელი უყუარდა იესოს, და

ჰრქუა მათ: აღიღეს უფალი საფ-
ლავისაგან, და არა უწყი, სადა
დაჰსდუეს იგი.
3. გამოვიდა პეტრე და სხუა
იგი მოწაფე, და მოვიდოდეს საფ-
ლავად.
4. ჰრბიოდეს ორნივე ზოგად;
ხოლო სხუა იგი მოწაფე წინა
ჰრბიოდა უადრეს პეტრესსა, და
მოვიდა პირველად საფლავად.
5. და შთაჰხედა საფლავსა მას,
და იხილნა ტილონი იგი ხოლო
მდებარენი; და შინა არა შევიდა.
6. მოვიდა სჳმონ-პეტრეცა შე-
მდგომად მისა, და შევიდა საფლა-
ვად, და იხილნა ტილონი იგი
მდებარენი,
7. და სუდარი იგი, რომელი
იყო თავსა მისსა არა ტილოთა
თანა მდებარე, არამედ თჳსაგან
შეკეცილი ერთსა ადგილსა.
8. მაშინ შევიდა სხუაცა იგი
მოწაფე, რომელი მოვიდა პირვე-
ლად პეტრესსა საფლავად, და იხი-
ლეს, და ჰრწმენა.
9. რამეთუ არღა იცოდეს წე-
რილისა, ვითარმედ ჯერ-არს მი-
სი მკუდრეთით აღდგომა.
10. წარვიდეს უკუე კუალად
თჳსაგან მოწაფენი იგი.
11. ხოლო მარიამ ჰსდგა გა-
რეშე საფლავსა მას თანა, და ჰს-
ტიროდა. და ვითარ ჰსტიროდა,
შთაჰხედა საფლავსა მას,
12. და იხილნა ორნი ანგე-
ლოზნი, სპეტაკითა მოსილნი,
მსხდომარენი ერთი თავით და ერთი
ფერჴით, სადა იგი იდუა გუამი
უფლისა იესოსი.

13. და ჰრქუეს მას ანგელოზ-
თა მათ: დედაკაცო! რასა ჰსტირ?
ხოლო მან ჰრქუა მათ, რამეთუ
აღიღეს უფალი ჩემი საფლავით,
და არა უწყი, სადა დაჰსდუეს
იგი.
14. ესე რა ჰსთქუა, მიიქცა
გარე, და იხილა იესო მდგომარე;
და არა უწყოდა, რამეთუ იესო
არს.
15. ჰრქუა მას იესო: დედა-
კაცო! რასა ჰსტირ? ვის ეძიებ?
მას ეგონა, ვითარმედ მებაღე
იგი არს, და ჰრქუა მას: უფალო!
უკეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ
მე, სადა დაჰსდევ, და მე წარმოვი-
ღო იგი.
16. ჰრქუა მას იესო: მარიამ!
მიიხილა მან გარე, და ჰრქუა მას
ებრაელებრ: რაბბუნი! რომელსა
ჰრქჳან: მოძღუარ! და მიჰრბიოდა
შემთხუევად მისა.
17. ჰრქუა მას იესო: ნუ შემო-
მეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ-
ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა
ჩემთა, და არქუ მათ: აღვალ მამი-
სა ჩემისა და მამისა თქუენისა,
ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა
თქუენისა.
18. მოვიდა მარიამ მაგდალი-
ნელი თხრობად მოწაფეთა მისთა,
რამეთუ იხილა უფალი, და ესრეთ
ჰრქუა მას.
19. და ვითარცა შემწუხრდა
დღე იგი ერთ-შაბათისა მის, და
კარნი იგი დახშულ-იყუნეს, სადა
იგი იყუნეს მოწაფენი შეკრებულ,
შიშისათჳს ჰურიათასა, მოვიდა
იესო, და დადგა შორის მათსა,

და ჰრქუა მათ: მშჳდობა თქუენ-
თანა!
20. და ვითარცა ესე ჰსთქუა,
უჩუენნა მათ ჴელნი თჳსნი და
გუერდი მისი. და განიხარეს მო-
წაფეთა, იხილეს რა უფალი.
21. ჰრქუა მათ იესო კუალად:
მშჳდობა თქუენთანა! ვითარცა
მომავლინა მე მამამან, მეცა წარ-
გავლინებ თქუენ.
22. და ვითარცა ესე ჰსთქუა,
შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ
სული წმიდა.
23. უკეთუ ვიეთნიმე მიუტევ-
ნეთ ცოდუანი, მიეტევნენ მათ;
და უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ,
შეპყრობილ-იყუნენ.
24. ხოლო თომა, ერთი იგი
ათ-ორმეტთაგანი, რომელსა ერ-
ქუა მარჩბივ, არა იყო მათ თანა,
ოდეს იგი მოვიდა იესო.
25. უთხრობდეს მას სხუანი
იგი მოწაფენი, ვითარმედ ვიხი-
ლეთ ჩუენ უფალი. ხოლო მან
ჰრქუა მათ: უკეთუ არა ვიხილო
ჴელთა მისთა სახე იგი სამსჭუალ-
თა, და დავჰსხნე თითნი ჩემნი
ადგილსა მას სამსჭუალთასა, და
დავჰსდუა ჴელი ჩემი გუერდსა
მისსა, არა სადა მჰრწმენეს.
26. და შემდგომად რვისა
დღისა კუალად იყუნეს მოწაფენი
მისნი შინაგან, და თომაცა მათ
თანა. და შევიდა იესო კართა ჴშულ-
თა, და დაჰსდგა შორის მათსა, და
ჰრქუა მათ: მშჳდობა თქუენთანა!
27. მერმე ჰრქუა თომას: მოჰ-
ყუენ თითნი შენნი, და იხილენ
ჴელნი ჩემნი, და მოიღე ჴელი შენი,
და დამჰსდევ გუერდსა ჩემსა, და
ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ
გრწმენინ.
28. მიუგო თომა და ჰრქუა:
უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!
29. ჰრქუა მას იესო: რამეთუ
მიხილე და გრწამს; ნეტარ-არიან,
რომელთა არა უხილავ, და ჰრწ-
მენე.
30. მრავალნი სხუანიცა სას-
წაულნი ჰქმნა იესო წინაშე მოწაფე-
თა თჳსთა, რომელნი არა დაწე-
რილ არიან წიგნსა ამას.
31. ხოლო ესე დაიწერა, რათა
გრწმენეს, რამეთუ იესო არს ქრი-
სტე, ძე ღმრთისა, და რათა გრ-
წმენეს, და ცხოვრება გაქუნდეს
სახელითა მისითა.

## თ ა ვ ი 21.

1. ამისა შემდგომად კუალად
გამოუცხადა თავი თჳსი იესო
მოწაფეთა თჳსთა ზღუასა მას ზე-
და ტიბერიისასა. ხოლო გამო-
უცხადა ესრეთ:
2. იყუნეს ზოგად სჳმონ-პე-
ტრე და თომა, რომელსა ერქუა
მარჩბივ, და ნათანაილ, რომელი
იყო კანათ-გალილიასათ, და ძენი
ზებედესნი, და სხუანი მოწაფე-
თაგანნი ორნი.
3. ჰრქუა მათ სჳმონ-პეტრე:
წარვიდე სათხევლობად. ჰრქუეს
მას: მოვიდეთ ჩუენცა შენთანა.
განვიდეს და შევიდეს ნავსა, და
მას ღამესა არა რა იპყრეს.
4. და ვითარცა განჰსთენდე-
ბოდა, ჰსდგა იესო კიდესა ზედა;

და არა უწყოდეს მოწაფეთა, ვი-
თარმედ უფალი არს.
5. ჰრქუა მათ იესო: ყრმანო!
საჭმელი ნუ გაქუს რა? მიუგეს
და ჰრქუეს: არა.
6. ხოლო თავადმან ჰრქუა
მათ: ჰსდევით ბადე ეგე მარჯუე-
ნით კერძო ნავისა მაგის, და ჰპო-
ვოთ. ხოლო მათ ჰსდუეს ბადე
იგი, და ვერღარა ეძლო გამო-
თრევაჲ სიმრავლისა მისგან თევზ-
თასა.
7. ჰრქუა პეტრეს მოწაფემან
მან, რომელი უყუარდა იესოს,
ვითარმედ უფალი არს. ხოლო
სჳმონ-პეტრეს, ვითარცა ესმა,
ვითარმედ უფალი არს, მოირტყა
შესამოსელი თჳსი, რამეთუ ში-
შველი იყო, და შთაიგდო თავი
თჳსი ზღუად.
8. ხოლო სხუანი მოწაფენი
ნავითა მივიდეს, რამეთუ არა
შორს იყუნეს ქუეყანისაგან, არა-
მედ ორას-წყრთა-ოდენ და გამოი-
თრევდეს ბადესა მას თევზითა სა-
ვსესა.
9. და ვითარცა გამოჴდეს
ქუეყანად, იხილეს ნაკუერცხალი
მდებარე, და თევზი მას ზედა და
პური.
10. ჰრქუა მათ იესო: მოი-
ღეთ თევზთა მათგანი, რომელი
იპყართ.
11. აღჳდა სჳმონ-პეტრეცა,
და გამოითრევდა ბადესა მას ქუე-
ყანად, სავსესა, დიდ-დიდითა თევ-
ზითა, რომელი იყო ას-ერგასის
და სამ; ესოდენ იყო, და არა განჴ-
სქდა ბადე იგი.

12. ჰრქუა მათ იესო: მოვე-
დით, და ისადილენით. და არავინ
იკადრა მოწაფეთაგანმან კითხუად
მისა, ვითარმედ: შენ ვინ ხარ?
იცოდეს ყოველთა, რამეთუ უფა-
ლი არს.
13. მოვიდა იესო, და მოიღო
პური იგი და მიჰსცა მათ, და თევ-
ზი იგი ეგრეთვე.
14. ესე სამ-გზის გამოეცხადა
იესო მოწაფეთა თჳსთა, აღრაჰს-
დგა მკუდრეთით.
15. და ოდეს ისადილნეს,
ჰრქუა სჳმონ-პეტრეს იესო: სჳ-
მონ-იონასო! გიყუარმეა უფროს
ამათსა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე
უფალო! შენ უწყი, რამეთუ მი-
ყუარ შენ. ჰრქუა მას იესო: აძო-
ვენ კრავნი ჩემნი.
16. ჰრქუა მას მერმეცა მეო-
რედ: სჳმონ-იონასო! გიყუარმეა?
ჰრქუა მას პეტრე: ჰე უფალო!
შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ.
ჰრქუა მას იესო: დაჰმწყსენ ცხო-
ვარნი ჩემნი.
17. კუალად ჰრქუა მას იესო
მესამედ: სჳმონ-იონასო! გიყუარ-
მეა? შეჰსწუხნა პეტრე, რამეთუ
ჰრქუა მას მესამედ: გიყუარ მე?
და ჰრქუა მას: უფალო! შენ ყო-
ველი უწყი, და ყოველი იცი, რა-
მეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას
იესო: დაჰმწყსენ ცხოვარნი ჩე-
მნი.
18. ამინ, ამინ გეტყჳ შენ:
ოდეს იყავ ჭაბუკ, შეირტყი თა-
ვით თჳსით, და ხჳდოდე ვიდრეცა
გნებავნ; ხოლო რაჟამს დაჰბერდე,
განიპყრნე ჴელნი შენნი, და სხუა-

მან შეგარტყას შენ, და წარგიყჳანოს, ვიდრეცა შენ არა გინდეს.

19. ხოლო ესე ჴსთქჳა, და აუწყებდა, რომლითა სიკჳდილითა ადიდოს ღმერთი. და ვითარცა ესე ჴსთქჳა, ჰრქჳა მას: შემომიდეგ მე.

20. მოიქცა პეტრე, და იხილა მოწაფე იგი, რომელი უყჳარდა იესოს, მიჴსდევდა რა, რომელი იგი მიეყრდნა სერობასა მას მკერდსა მისსა, და ჰრქჳა მას: უფალო! ვინ არს, რომელი მიგცემს შენ?

21. ესე ვითარცა იხილა პეტრე, ჰრქჳა იესოს: უფალო! ხოლო ესერა?

22. ჰრქჳა მას იესო: უკეთუ მინდეს ყოფაჲ მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რაჲ? შენ მე შემომიდეგ.

23. და განჴსდა სიტყჳა ესე ძმათა შორის, ვითარმედ მოწაფე იგი არა მოკჳდეს. და არა ჰრქჳა მას იესო, ვითარმედ არა მოკჳდეს, არამედ: უკეთუ მინდეს მაგისი ყოფაჲ, ვიდრე მოსლჳად ჩემდამდე, შენდა რა?

24. ესე არს მოწაფე იგი, რომელი ჴსწამებს ამათთჳს, და რომელმან დაჴსწერა ესე, და უწყით, რამეთუ ჭეშმარიტ-არს წამება მისი.

25. და არიან სხჳანიცა მრავალ, რომელ ჰქმნა იესო, რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცადა ვგონებ, ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები. ამინ

# საქმე წმიდათა მოციქულთა.

## თავი 1.

1. პირველი ესე სიტყუა ვყავ
ყოველთა თჳს, ჵ ღმრთის მო-
ყუარეო თეოფილე, რომელთა იწ-
ყო იესო ყოფად და სწავლად,
2. ვიდრე დღედ, რომლადმდე
ამცნებდა მოციქულთა სულითა
წმიდითა, რომელნი გამოირჩინა,
ამაღლდა,
3. რომელთაცა წარუდგინა
თავი თჳსი ცხოველი, შემდგო-
მად ვნებისა მისისა, მრავლითა
ჭეშმარიტითა სახითა, ორმეოც-
თა დღეთა ეჩუენებოდა მათ და
ეტყოდა სასუფეველისათჳს ღმრ-
თისა.
4. და თანა ექცეოდა მათ და
ამცნებდა: იერუსალიმით ნუ გა-
ნეშორებით, არამედ მოელოდეთ
აღთქმასა მამისასა, რომელი გეს-
მა ჩემგან.
5. რამეთუ იოანე ნათელ-ჰსცემ-
და წყლითა, ხოლო თქუენ ნათელ
იღოთ სულითა წმიდითა, არა
მრავალთა ამათ დღეთა შემდგო-
მად.
6. ხოლო რომელნი იგი შეკ-
რებულ იყუნეს, ჰკითხვიდეს მას
და ეტყოდეს: უფალო, უკეთუ ამათ
ჟამთა კუალად მოაგოა სასუფეველ-
ლი ისრაილისა?
7. ხოლო მან ჰრქუა მათ; არა
თქუენი არს ცნობა ჟამთა და წელ-
თა, რომელნი იგი მამამან დასხნა
თჳსითა ჴელმწიფებითა;
8. არამედ მოიღოთ ძალი
მოსლვასა სულისა წმიდისასა
თქუენ ზედა, და იყუნეთ ჩემდა
მოწამე იერუსალიმს და ყოველთა
ჰურიასტანსა და სამარიასა, და ვიდ-
რე დასასრულადმდე ქუეყანისა.
9. და ესე ვითარცა სთქუა,
ამაღლდა: ხედვიდეს რა იგი, და
ღრუბელმან შეიწყნარა იგი თუალ-
თაგან მათთა.
10. და ვითარცა ხედვიდეს
იგინი ზეცად აღსლვასა მისსა, და
აჰა ესერა, ორ-კაც ზედა მოადგეს
მათ სამოსლითა სპეტაკითა,
11. და ჰრქუა მათ: კაცნო გა-
ლილეველნო! რასა სდგათ და ხე-
დავთ ზეცად? ესე იესო, რომელი
ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგ-
რეთვე მოვიდეს, ვითარცა იხი-
ლეთ აღმავალი ზეცად.
12. მაშინ მიიქცეს იერუსა-
ლიმად მთისა მისგან, რომელსა
ჰრქჳან ზეთის-ხილთა, რომელ

არს მახლობელ იერუსალიმსა შა-
ბათის გზა ოდენ.
13. და ოდეს შევიდეს, აჴდეს
ქორსა მას, სადაცა იყოფოდეს
პეტრე და იოანე, იაკობ და ანდ-
რეა, ფილიპე და თომა, ბართლო-
მე და მათეოს, იაკობ ალფესი, და
სიმონ მოშურნე და იუდა იაკო-
ბისი.
14. ესე ყოველნი იყუნეს გან-
კრძალულ ლოცვასა და ვედრებასა,
ერთბამად დედებითურთ, და მარი-
ამ, დედით იესოსით და ძმებითურთ
მისით.
15. და ამათ დღეთა შინა, აღ-
დგა პეტრე შორის მოწაფეთა და
ჰსთქუა:
16. იყო რიცხჳ ერისა მის ერთ-
ბამად, ვითარ, ას-და-ოცოდენ,
კაცნო ძმანო! ჯერ იყო აღსრუ-
ლებად წერილი, რომელი იგი
წინასწარ ჰსთქუა სულმან წმიდამან
პირითა დავითისითა იუდასთჳს,
რომელი ექმნა წინამძღუარ შემ-
პყრობელთა მათ იესოსთა.
17. რამეთუ აღრაცხილ იყო
ჩუენთანა, დასხუედრებულ წილი
მსახურებისა ამის.
18. და მან მოიგო დაბა იგი
სასყიდელითა მით სიცრუვისათა,
და განსივნა და განსქდა შორის, და
განიბნინეს ყოველნი ნაწლევნი
მისნი.
19. და საცნაურ იქმნა ყოველ-
თა მკჳდრთა იერუსალიმისთა, ვიდ-
რეღა ეწოდაცა დაბასა მას თჳ-
სითა სიტყჳთა მათითა აკელდა-
მა, ესე იგი, არს დაბა სისხლისა.
20. რამეთუ წერილ არს წიგნ-
სა მას ფსალმუნთასა: იყავნ სამ-
კჳდრებელი მისი ოჴერ, და ნუ
იყოფინ მკჳდრი მას შინა; და გან-
საგებელი მისი სხუამან მიიღენ.
21. ჯერ-არს უკუე ჩუენ თანა
შეკრებულთა ამათ კაცთა, ყოველ-
სა ჟამსა, რომელსა შემოვიდა და
განვიდა ჩუენდა უფალი იესო.
22. იწყო ნათლის-ცემითგან
იოანესით, ვიდრე დღედმდე ამა-
ღლებისა მისისა ჩუენგან, მოწა-
მედ აღდგომისა მისისა ჩუენთა-
ნა ყოფად ერთი ამათგანი.
23. და დაადგინეს ორნი, იო-
სებ, რომელსა ერქუა ბარსაბა, და
მერმე ეწოდა იოსტოს და მატათა.
24. და ილოცეს, და სთქუეს:
შენ, უფალო, ყოველთა გულთა
მეცნიერო, გმოაჩინე ერთი ამათ
ორთაგანი, რომელიცა გამოირჩიე,
25. მიღებად წილი მსახურე-
ბისა ამის და მოციქულებისა, რომ-
ლისაგან განვიდა იუდა, მისლვად
ადგილსა თჳსსა.
26. და მისცნეს წილნი მათ-
და, გამოუკდა წილი მატათას, და
თანა აღირაცხა ათერთ-მეტთა მათ
მოციქულთა.

## თავი 2.

1. და აღსრულებასა მას დღი-
სა მის მეერგასისასა, იყუნეს ყო-
ველნი ერთბამად ურთიერთარს.
2. და იყო მეყუსეულად ზე-
ცით ოხრა, ვითარცა მოწევნა
ქარისა სასტიკისა, და აღავსო ყო-
ველი იგი სახლი, სადა იგი იყუნეს
მსხდომარე.

3. და ეჩუენნეს მათ განყო-
ფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლი-
სანი, და დაადგრა თითოეულად
კაცად კაცადსა მათსა ზედა.
4. და აღივსნეს ყოველნი სუ-
ლითა წმიდითა, და იწყეს სიტ-
ყუად უცხოთა ენათა, ვითარცა
სული იგი მისცემდა მათ სიტ-
ყუად.
5. ხოლო იყუნეს იერუსა-
ლიმს დამკჳდრებულნი ჰურიანი,
კაცნი ღმრთის მოშიშნი, ყოველ-
თაგან თესლთა, რომელნი არიან
ცასა ქუეშე.
6. და იყო რა ჴმა ესე, შეკრ-
ბა სიმრავლე ერისა და შეშფოთ-
ნეს, რამეთუ ესმოდა მათ თითო-
ეულსა კაცად კაცადსა მათსა თჳ-
სი სიტყუა მათი, იტყოდეს რა
იგინი.
7. განჰკრთეს ყოველნი და და-
უკჳრდა ერთსა ერთისა თანა და
იტყოდეს: ანუ არა ესე ყოველნი
არიანა, რომელნი იტყჳან გალი-
ლეველ?
8. და ვითარ ჩუენ გუესმის
კაცად კაცადსა თჳსი სიტყუა
ჩუენი მათგან, რომელნი ვართ.
9. პართნი და მიდნი და უჟიკ-
ნი, და ელამიტელნი, და მკჳდრნი
შუა მდინარისანი, ჰურიასტანისა-
ნი და კაბადუკიასანი, პონტოისა-
ნი და ასიაჲსანი,
10. ფირგჳაისანი და პამფჳ-
ლიისანი, ეგჳპტიისანი და ადგი-
ლის ლიბიისანი, კჳრინით კერ-
ძონი, და მოსრულნი ჰრომნი,
ჰურიანი და მწირნი,
11. კრიტელნი და არაბიელნი,
გუესმის იტყჳან რა ჩუენითა
ენითა დიდებასა ღმრთისასა.
12. ხოლო განჰკრთეს ყო-
ველნი და გამოეძიებდეს ერთი
ერთისა თანა და იტყოდეს: რაჲმე
ჰნებავს ამათ ყოფად?
13. ხოლო სხუანი ეკიცხევდეს
და იტყოდეს, ვითარმედ ტკბილთა-
გან სავსე არიან.
14. ხოლო პეტრე დადგა შო-
რის ათერთმეტთა მათ, და აღი-
მაღლა ხმა თჳსი, და ეტყოდა მათ:
კაცნო ჰურიანო, და ყოველნი რო-
მელნი დამკჳდრებულ ხართ იერუ-
სალიმს! ესე თქუენდა ცხად
იყავნ, და ყურად იხუენით სიტ-
ყუანი ჩემნი;
15. რამეთუ არა ვითარ თქუენ
ჰგონებთ, ვითარმედ ამათ სთრავს,
რამეთუ არს ჟამი დღისა ამის
მესამე;
16. არამედ ესე არს თქმული
იგი იოელ წინასწარ-მეტყუელი-
სა მიერ:
17. და იყოს უკანასკნელთა
დღეთა, იტყჳს უფალი ღმერთი:
მივფინო სულისაგან ჩემისა ყო-
ველსა ზედა ხორციელსა; და წინას-
წარ-მეტყუელებდენ ძენი თქუენ-
ნი და ასულნი თქუენნი და ჭაბუკ-
ნი თქუენნი; ხილვასა იხილვი-
დენ, და მოხუცებულთა თქუენთა
ჩუენებით განვეცხადო.
18. და მონათა ჩემთა ზედა
და მჴევალთა ჩემთა ზედა, მათ
დღეთა შინა მივფინო სულისა-
გან ჩემისა, და წინასწარ-მეტყუე-
ლებდენ.
19. დავსცე ნიშებ ცათა შინა,

და სასწაული ქუეყანასა ზედა, სისხლი და ცეცხლი და არმური კუამლისა.

20. მზე გარდაიქცეს ბნელად, და მთოვარე სისხლად, პირველ ვიდრე მოწევნადმდე დღისა მის უფლისა დიდისა და განჩინებულისა.

21. და იყოს ყოველმან, რომელმან ხადოს სახელსა უფლისასა, ცხოვნდეს.

22. კაცნო ისრაიტელნო! ისმინენით სიტყუანი ესე: იესო ნაზარეველი, კაცი განჩინებული ღმრთისა მიერ, თქუენდა მიმართ ძალითა და ნიშებითა და სასწაულებითა, რომელნი იგი ჰქმნნა ღმერთმან მის მიერ შორის თქუენსა, ვითარცა იგი თქუენცა უწყით.

23. ესე განჩინებულითა ზრახვითა და წინასწარ-ცნობითა ღმრთისათა, განცემითა კელთა ურჯულოთათა, მიიყუანეთ და შემსჭუალეთ და მოჰკალთ;

24. რომელი იგი ღმერთმან აღადგინა, და დაჰჴსნნა სალმობანი სიკუდილისანი; რამეთუ ვერ შესაძლებელ-იყო დაყენება მისი მის მიერ.

25. რამეთუ დავით იტყჳს მისთჳს: წინასწარ ვხედევდ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯუულ ჩემსა არს, რათა არა შევიძრა.

26. ამისთჳს განიხარა გულმან ჩემმან და გალობდა ენა ჩემი; უფროს კორცთაცა ჩემთა დაიმკჳდრონ სასოებით.

27. რამეთუ არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს, და არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განხსრწნელი.

28. მაუწყენ მე უფალო გზანი ცხოვრებისანი, და აღმავსო მე სიხარულითა პირისა შენისათა.

29. კაცნო ძმანო! ჯერ-არს თქმად განცხადებულად თქუენდა მიმართ მამათ-მთავრისა დავითისთჳს, რამეთუ აღესრულა და დაეფლა, და საფლავი მისი არს ჩუენ შორის, ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე.

30. წინასწარ-მეტყუელი უკუე იყო და იცოდა, რამეთუ ფიცით ეფუცა მას ღმერთი, ნაყოფისაგან მუცლისა მისისა კორციელად აღდგინებად ქრისტესსა, და დაჯდომად საყდართა მისთა.

31. წინასწარ იცოდა და იტყოდა აღდგომისათჳს ქრისტესისა, რამეთუ არა დაშთა სული მისი ჯოჯოხეთს, არცა კორცთა მისთა იხილეს განხსრწნელი.

32. ესე იესო აღადგინა ღმერთმან, რომლისა ვართ ჩუენ ყოველნი მოწამე.

33. მარჯუენითა უკუე მისითა ამაღლდა, და აღთქმა სულისა წმიდისა მოიღო მამისაგან, და მოჰფინა, რომელსა ესე თქუენ აწ ხედავთ და გესმის.

34. რამეთუ არა დავით ამაღლდა ზეცად, ვითარცა იტყჳს იგივე: ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა,

35. ვიდრემდის დავჰჴსნნე მტერნი შენნი ქუეშე ფერკთა შენთა.

36. განცხადებულად უკუჱ უწყოდენ ყოველმან სახლმან ისრაილისამან, რამეთუ უფალ და ცხებულ-ჰყო იგი ღმერთმან ესე იესო, რომელი თქუენ ჯუარს-აცუთ.

37. ესმა რა ესე, შეინანეს გულითა, და ჰრქუეს პეტრეს და სხუათა მათ მოციქულთა: რამე ვჰყოთ, კაცნო ძმანო?

38. ხოლო პეტრე ჰრქუა მათ: შეინანეთ და ნათელ-იღენ კაცად კაცადმან თქუენმან სახელითა უფლისა იესო ქრისტესითა მისატევებელად ცოდვათა; და მიიღოთ ნიჭი სულისა წმიდისა.

39. რამეთუ თქუენი არს აღთქმა და შჳლთა თქუენთა და ყოველთა შორიელთა, რაოდენთა მოუწოდის უფალმან ღმერთმან ჩუენმან.

40. და სხჳთაცა მრავლითა სიტყჳთა უწამებდა, ჰლოცვიდა მათ და ეტყოდა: ჰსცხოვნდით ნათესავისა ამის დრკუისაგან.

41. და რომელთა იგი სიხარულით შეიწყნარეს სიტყუა მისი, ნათელ-იღეს; და შეეძინნეს მას დღესა შინა სულნი, ვითარ სამ ათასნი ოდენ.

42. და იყუნეს განკრძალულ მოძღურებასა მას მოციქულთასა, და ზიარებასა და განტეხასა პურისასა და ლოცუასა.

43. და იყო ყოველსა ზედა სულსა შიში; და მრავალი ნიშები და სასწაულები მოციქულთა მიერ იქმნებოდა.

44. და ყოველნივე მორწმუნენი იყუნეს ერთბამად, და აქუნდა ყოველივე ზოგად.

45. და დაბნებსა და მონაგებსა განყიდდეს და განუყოფდეს მას ყოველთა, ვითარცა ვის რა უჴმდა.

46. და დღითი დღედ განკრძალულ იყუნეს ტაძარსა მას შინა, აკურთხევდეს სახლ-მდაბრ პურსა, მიიღებდეს საზრდელსა მხიარულითა და განმარტებულითა გულითა,

47. აქებდეს ღმერთსა, და აქუნდა მადლი ყოვლისა მიმართ ერისა. ხოლო უფალი შეჰსძინებდა ცხოვნებულთა დღითი დღედ ეკკლესიასა.

## თ ა ვ ი 3.

1. პეტრე და იოანე აღვიდოდეს ტაძარსა მას, ჟამსა ოდენ ლოცვისასა ცხრა ჟამს.

2. და კაცი ვინმე იყო მკელობელი დედის მუცლითგან თჳსით, რომელი იგი აღიკიდიან და დაჰსვიან დღითი დღედ ბჭეთა-თანა მის ტაძრისათა, რომელთა ერქუა შუენიერ, თხოვად ქუელის საქმისა შემავალთაგან ტაძრად.

3. რომელმან იხილნა პეტრე და იოანე, შერავიდოდეს ტაძრად, და ითხოვდა ქუელის საქმესა მათგან.

4. მიჰსედა მას პეტრე იოანითურთ და ჰრქუა: მოიხილე ჩუენდა.

5. ხოლო იგი ხედვიდა მათ და ელოდა მოღებად რასამე მათგან.

6. ჰრქუა მას პეტრე: ვეცხლი და ოქრო არა მაქუს ჩუენ; ხოლო

რომელი მაქუს, გცეთ შენ: სახე-
ლითა იესო ქრისტეს ნაზარეველი-
სათა აღჰსდეგ და ვიდოდე.
7. და უპყრა ჴელი მარჯუენე
მისი და აღადგინა; და მეყსეულად
განემტკიცნეს ფერჴნი მისნი და
კოჭნი.
8. და სლდომით აღჰსდგა, და
ვიდოდა, და შევიდა მათ თანა ტა-
ძარსა მას, და ვიდოდა და ჰხლდე-
ბოდა, და აქებდა ღმერთსა.
9. და იხილა იგი ყოველმან ერმან,
ვიდოდა რა და აქებდა ღმერთსა.
10. იცოდეს იგი, რამეთუ იგი
იყო, რომელი ქუელის საქმისა-
თჳს ჰზის ბჭეთა თანა შუენიერ-
თა ტაძრისათა; და აღივსნეს იგი-
ნი შიშითა და საკჳრველებითა,
რომელი იგი იქმნა მის ზედა.
11. და ვითარ იგი ეპყრა
განკურნებულსა მას მკელობელსა
პეტრე და იოანე; შეკრბებოდა
მათდა ყოველი ერი სტოასა მას,
რომელსა ჰრქჳან სოლომონისი,
საკჳრველებისა მისთჳს.
12. ვითარცა იხილა პეტრე,
ჰრქუა ერსა მას: კაცნო ისრა-
იტელნო! რასა გიკჳრს ამას ზე-
და, ანუ ჩუენ რასა გუხედავთ,
ვითარცა თჳსითა ძალითა, გინა
ღმრთის მსახურებითა მცა გუე-
ქმნა სლუა მაგისი?
13. ღმერთმან აბრაამისმან და
ისაკისმან და იაკობისმან, ღმერთ-
მან მამათა ჩუენთამან, ადიდა ძე
თჳსი იესო, რომელი თქუენ მი-
ეცით და უარ-ჰყავით წინაშე პილა-
ტესა, რომელმან საჯა განტევება
მისი.

14. ხოლო თქუენ წმიდა იგი
და მართალი უარ-ჰყავით, და ითხო-
ვეთ კაცი იგი, კაცის მკულელი
მიმადლებად თქუენდა;
15. ხოლო წინამძღუარი იგი
ცხოვრებისა მოჰკალთ. რომელი
ღმერთმან აღადგინა მკუდრეთით,
რომლისა ვართ ჩუენ მოწამე.
16. და სარწმუნოებითა სახე-
ლისა მისისათა, ამას რომელსა
ხედავთ და იცით, განამტკიცა სა-
ხელმან მისმან, და სარწმუნოება-
მან მის მიერმან, მოჰსცა მას
სიცოცხლე ესე წინაშე თქუენ
ყოველთა.
17. და აწ უწყი, ძმანო, რამე-
თუ უმეცრებით ჰქმენით, ვითარ-
ცა იგი მთავართა თქუენთა.
18. ხოლო ღმერთმან, რომე-
ლი იგი წინასწარ აღუთქუა პი-
რითა ყოველთა წინასწარ-მეტ-
ყუელთა მისთათა ვნება ქრისტე-
სი, აღესრულა ესრეთ.
19. შეინანეთ უკუე და მოი-
ქეცით, რათა აღიხოცნენ ცოდუანი
თქუენნი,
20. რათა რაჟამს მოიწინენ
ჟამნი განსვენებისანი პირისაგან
უფლისა და მოავლინოს, რომელ-
სა იგი ჴელი შეჰყავთ თქუენ
ქრისტე იესო,
21. რომლისა იგი ჯერ-არს
ზეცათა შეწყნარება, ვიდრე ჟამად-
მდე კუალად გებისა ყოველთა,
რომელთა იტყოდა ღმერთი სა-
უკუნითგან, პირითა ყოველთა
წმიდათა წინასწარ-მეტყუელთა
მისთათა.
22. რამეთუ მოსე ჰსთქუა მამა-

თა მიმართ: ვითარმედ წინასწარ-
მეტყუჱლი აღგიდგინოს თქუენ
უფალმან ღმერთმან ძმათაგან
თქუენთა, ვითარცა ესე მე; მისი
ისმინეთ ყოვლისა მისებრ, რო-
მელსა გეტყოდის თქუენ და იყოს.

23. ყოველმან სულმან, რო-
მელმან არა ისმინოს მის წინას-
წარ-მეტყუჱლისა, მოისპოს იგი
ერისაგან.

24. და ყოველნი წინასწარ-
მეტყუჱლნი სამოელისითგან, და
შემდგომითი შემდგომად, რაო-
დენნი იტყოდეს და წინასწარ-უთ-
ხრობდეს დღეთა ამათ.

25. რამეთუ თქუენ ხართ შვილ-
ნი წინასწარ-მეტყუჱლთანი და
აღთქმისანი, რომელი იგი აღუ-
თქუა ღმერთმან მამათა ჩუენთა,
და ჰრქუა აბრაამს, ვითარმედ ნათე-
სავისა შენისა მიმართ იკურთხე-
ოდიან ყოველნი ტომნი ქუეყა-
ნისანი.

26. თქუენ პირველად აღგი-
დგინა ღმერთმან ძე თჳსი იესო,
რომელი იგი მოავლინა მაკურ-
თხეველად თქუენდა, რათა მოიქ-
ცეთ კაცად კაცადი უკეთურებისა-
გან თქუენისა.

## თავი 4.

1. და ვიდრე ეტყოდესღა იგი-
ნი ერსა მას, მოიწივნეს მათ ზე-
და მღუდელნი იგი და ერისთავი
იგი ტაძრისა მის და სადუკეველნი,
2. ლმობილნი და მძვინვარენი
სწავლისა მისთჳს ერისა და მით-
ხრობისა იესოს მიერ აღდგომისა-
თჳს მკუდრეთით.
3. და დასხნეს მათ ზედა ჴელ-
ნი მათნი, და მისცნეს იგინი და-
მარხვად ხვალისა, რამეთუ შემ-
წუხრდებოდა.
4. და მრავალთა, რომელთა
ესმა სიტყუა იგი მათი ჰრწმენა;
და იყო რიცხჳ იგი მორწმუნეთა
მათ, ვითარ ხუთ-ათას-ოდენ.
5. და იყო ხვალისაგან შეკრე-
ბა მთავართა მათთა და ხუცესთა
და მწიგნობართა იერუსალიმს.
6. და ანნა მღუდელთ-მოძღუა-
რი და კაიაფა და იოანე და ალექ-
სანდრე და რავდენნი იყუნეს ნათე-
სავისაგან მღუდელთ-მოძღუარ-
თასა;
7. და დაადგინეს იგინი შო-
რის მათსა და ჰკითხჳდეს: რომ-
ლითა ძალითა, ანუ რომლითა
სახელითა ჰქმენით თქუენ ესე?
8. მაშინ პეტრე, აღივსო სუ-
ლითა წმიდითა და ჰრქუა მათ: მთა-
ვარნო ერისანო და მოხუცებულნო
ისრაილისანო!
9. უკეთუ ჩუენ დღეს განვი-
კითხვით ქველის საქმესა ზედა
კაცისა უძლურისასა, რომელი ესე
ცხოვნდა;
10. ცხად იყავნ თქუენ ყო-
ველთა და ყოვლისა ერისა ისრა-
ილისა, ვითარმედ სახელითა იესო
ქრისტე ნაზარეველისათა, რომე-
ლი თქუენ ჯუარს აცუთ, რომე-
ლი იგი ღმერთმან აღადგინა
მკუდრეთით, ამის მიერ ესე სდგას
წინაშე თქუენსა ცოცხალი.
11. ესე არს ლოდი იგი, რო-

მელი შეურაცხ იქმნა თქუენ მი-
ერ მაშენებელთა, რომელი იქმნა
თავსაკიდურთა, და არავინ არს
სხჳთ ცხოვრება.
12. და არცაღა არს სახელი
სხუა ცასა ქუეშე მოცემული კაც-
თა, რომლითამცა ჯერ იყო ცხოვ-
რება ჩვენდა.
13. ხოლო იგინი ხედვიდეს
რა პეტრესსა მას განცხადებულე-
ბასა და იოანესსა, და უწყოდეს,
რამეთუ კაცნი უწიგნონი არიან
და უმეცარნი და უკჳრდა; იცოდნეს
იგინი, რამეთუ იესოს თანა იყვ-
ნეს;
14. და კაცსა მას ხედვიდეს
მათ თანა მდგომარესა განკურნე-
ბულსა და ვერ ეძლო მათა ცილო-
ბად.
15. და ბრძანეს განსვლა მათი
გარეშე კრებულისაგან, იტყოდეს
ურთიერთარს,
16. და სთქუეს: რამე უყოთ
კაცთა ამათ? რამეთუ სასწაული
განცხადებული იქმნა მათ მიერ,
ყოველთა შორის მკჳდრთა იერუ-
სალიმისთა, სჩანს და ვერ ჴელ-
გვეწიფების უარის ყოფად.
17, არამედ რათა არა უფროს
განითქვას ერსა შორის. შინებით
უთქმიდეთ მათ, რათა არა უთხ-
რობდენ სახელთა ამათ არავის
კაცსა.
18. და მოუწოდეს მათ და
ამცნეს ყოვლითურთ არა სიტყვად,
არცა სწავლად სახელითა იესო-
სითა.
19. ხოლო პეტრე და იოანე
მიუგეს და ჰრქუეს მათ: უკეთუ
სამართალ არს წინაშე ღმრთისა,
თქუენი სმენა უფროს, ანუ
ღმრთისა. საჯეთ?
20. რამეთუ ჩუენ ვერ ჴელ-
გუეწიფების, რომელი იგი გუეს-
მა და ვიხილეთ, ვითარმცა არა
ვიტყოდეთ.
21. ხოლო იგინი ამას ზედა
უთქმიდესვე და განუტევნეს, რამე-
თუ ვერ ჰპოებდეს, ვითარმცა
სტანჯნეს იგინი ერისა მისთჳს,
რამეთუ ყოველნი ადიდებდეს
ღმერთსა საქმისა მისთჳს.
22. რამეთუ უმეტეს ორმეო-
ცისა წლისა იყო კაცი იგი, რო-
მელსა ზედა იქმნა სასწაული ესე
კურნებისა.
23. ხოლო ესენი ვითარცა გა-
ნუტევნეს მათ, მოვიდეს თჳსთა
თანა და უთხრეს მათ, რაჲ იგი
მღუდელთ-მოძღუართა და მოხუ-
ცებულთა ჰრქუეს მათ.
24. ხოლო მათ ვითარცა ესმა
ესე, აღიღეს ერთბამად ჴმა ღმრთი-
სა მიმართ, და სთქუეს: უფალო
ღმერთო, შენ ხარ, რომელმან
ჰქმენ ცა და ქუეყანა და ზღვა და
ყოველი რა არს მათ შინა!
25. რომელმან მამისა ჩუენი-
სა დავით, მონისა შენისა, პირი-
თა სთქუ სულისა მიერ წმიდისა;
რად აღიმრნეს წარმართნი, და ერ-
მან იზრახა ცუდი?
26. მოვიდეს მეფენი ქუეყა-
ნისანი და მთავარნი შეკრბეს
ერთად უფლისა თჳს და ცხებული-
სა მისისა თჳს.
27. რამეთუ შეკრბეს ჭეშმა-
რიტად ქალაქსა ამას წმიდასა მე-

სა შენსა ზედა იესოს, რომელსა
შენ სცხე, ჰეროდე და პონტიელი
პილატე თესლებითურთ ერისა
თანა ისრაილისა.
28. საქმედ, რაოდენი ჴელმან
შენმან და ზრახუამან შენმან წი-
ნასწარ განაჩინა ყოფად.
29. და აწცა, უფალო, მოხე-
დენ თქმასა ამას მათსა ზედა, და
მოეც მონათა შენთა, ყოვლითა
განცხადებულებითა სიტყუად სი-
ტყჳსა შენისა.
30. განრთხმად ჴელი შენი
კურნებად და სასწაულებისა და ნი-
შებისა ყოფად, სახელითა წმიდი-
სა მის შენისა იესოსითა.
31. და ლოცუასა მათსა, შე-
იძრა ადგილი იგი, სადა იყვნეს
შეკრებულ, და აღივსნეს ყოველნი
სულითა წმიდითა, და იტყოდეს
სიტყუასა მას ღმრთისასა განცხა-
დებულად.
32. ხოლო სიმრავლისა მის
მორწმუნეთასა, იყო გული და გო-
ნება ერთ, და არცა ერთმან ვინ
სთქჳს მონაგები მისი თჳსად, არა-
მედ იყო ყოველივე მათდა ზოგად.
33. და ძალითა დიდითა ჰყო-
ფდეს მოციქულნი წამებასა მას
აღდგომისასა უფლისა ჩუჱნისა
იესო ქრისტესსა; და მადლი დიდი
იყო მათ ყოველთა ზედა.
34. და არა ვინ იყო ნაკლუ-
ლევან მათ შორის; რამეთუ რო-
მელნი იგი პოვნიერ იყუნეს სახ-
ლებისა, გინა დაბნებისა, განჰყიდ-
დეს და მოაქუნდა სასყიდელი გან-
სყიდულთა მათ.
35. და დასდებდეს ფერჴთა
თანა მოციქულთასა; და მიეცემო-
და კაცად კაცადსა, რაცა ვის
უჴმდა.
36. ხოლო იოსე, რომელსა
ეწოდა ბარნაბა, მოციქულთა მიერ,
რომელი გამოითარგმანების მე
ნუგეშინის ცემისა, ლევიტელი,
კჳპრიელი ნათესავით.
37. ამას აქუნდა დაბაჲ და გან-
ყიდა იგი, და მოიღოა ფასი, და
დასდვა ფერჴთა თანა მოციქულ-
თასა.

თ ა ვ ი 5.

1. კაცი ვინმე იყო ანანია სა-
ხელით, საპფირას თანა ცოლისა
მისისა, განყიდა დაბაჲ,
2. და გამოაკუა სასყიდლისა
მისგან, უწყოდა ესე ცოლმანცა
მისმან, და მოიღო ზოგი რავდე-
ნიმე და დასდვა ფერჴთა თანა
მოციქულთასა.
3. ხოლო პეტრე ჰრქუა მას:
ანანია! რაჲსათჳს აღავსო გული
შენი ეშმაკმან ცრუებად სულისა
წმიდისა და გამოკუჱბად სასყიდელ-
სა მას დაბისასა?
4. ანუ არა იყოა, შენი იყო
და განრაჰყიდე ჴელმწიფებასავე
შენსა იყოა? და რასათჳს დაიდევ
საქმე ესე გულსა შენსა? არა ეც-
რუვე შენ კაცთა, არამედ ღმერ-
თსა.
5. ვითარცა ესმნეს სიტყუანი
ესე ანანიას, დაეცა და სულნი წარ-
ჰხდეს; და დაეცა შიში დიდი ყო-
ველთა, რომელთა ესმა ესე.
6. და აღდგეს ჭაბუკნი და შე-

მოსეს იგი და განიღეს და დაფლეს.

7. და იყო ვითარ სამისა ოდენ ჟამისა დაყოვნება, და ცოლმან მისმან არა უწყოდა საქმე ესე და შევიდა.

8. ჰრქჳა მას პეტრე: მითხარ მე, უკეთუ ესოდენისა განჰყიდეთ დაბა იგი? ხოლო მან ჰრქჳა: ჰე, ეგოდენის.

9. ჰრქჳა მას პეტრე: რასათჳს ესრეთ შეითქჳჱნით თქჳჱნ განცდად სულსა უფლისასა? ანუ არა, აჰა ესერა, ფერკნი დამფლჳჱლთა ქმრისა შენისათანი, კართა ზედა ჰსდგანან, და განგიღონ შენცა.

10. და დაეცა მეყჳსეულად ფერკთა თანა მისთა, და სული წარჰსდეს. შევიდეს ჭაბუკნი იგი და ჰპოვეს იგი მომკჳდარი და განიღეს და დაჰფლეს ქმრისა მისისათანა.

11. და იყო შიში დიდი ყოველსა მას ზედა კრებულსა, და ყოველთა, რომელთა ესმა ესე.

12. ხოლო კელითა მოციქულთათა იქმნებოდა სასწაულები და ნიშები მრავალი ერსა შორის; და იყჳნეს ყოველნი ერთბამად სტოვასა მას სოლომონისსა.

13. ხოლო სხჳსათა მათ ვერვის მალ ედჳა შეხებად მათდა, რამეთუ ადიდებდა მათ ერი იგი.

14. უფროსღა შეემინებოდეს მორწმუნენი უფალსა, სიმრავლე მამათა და დედათა;

15. ვითარმედ უბანთაცა ზედა გამოაქჳნდეს უძლურნი, და დაჰსდგმიდეს ცხედრებითა და საკაცებითა, რათა მოსლჳასა მას პეტრესა, აჩრდილი ოდენ ვისმე მისი შეადგეს მათგანსა.

16. და შეკრბებოდა სიმრავლე გარემო ქალაქებისა იერუსალიმს, და მოაქჳნდეს უძლურნი და შეპყრობილნი სულთაგან არა წმიდათა, და განიკურნებოდეს ყოველი.

17. აღჰსდგა მღჳდელთ-მოძღჳარი იგი და ყოველნი მისთანანი, რომელ იგი იყო წვალება სადუკეველთა, აღივსნეს შურითა,

18. და დასხნეს კელნი მათნი მოციქულთა ზედა, და შესხნეს იგინი საპყრობილესა შინა, დამარხვად ხვალისადმდე.

19. ხოლო ანგელოსმან უფლისამან ღამე განუხჳნა კარნი საპყრობილისანი, და გამოიყჳანნა იგინი და ჰრქჳა:

20. მივედით და დასდეგით და ეტყოდეთ ტაძარსა შინა ერსა მას, ყოველთა მათ სიტყჳათა ამის ცხოვრებისათა;

21. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე, შევიდეს ცისკარს ოდენ ტაძრად და ასწავებდეს. მაშინ მოვიდა მღჳდელთ-მოძღჳარი იგი და მისთანანი, და მოუწოდეს შესაკრებელსა მას და ყოველთა მოხუცებულთა ძეთა ისრაილისათა, და მიავლინეს საპყრობილედ მოყჳანებად მოციქულთა.

22. ხოლო მირავიდეს მსახურნი იგი, არა ჰპოვნეს იგინი საპყრობილესა შინა, და მოიქცეს იგინი,

23. და უთხრეს მათ, და ჰრქჳჱს, ვითარმედ საპყრობილე იგი ჰპოვეთ დასშული ყოვლითა კრძალულებითა, და მცჳჱლნი იგი

მდგომარენი წინაშე კართა: ხო-
ლო განრავაღეთ, შინა არავინ
ვჰპოვეთ.
24. და ვითარცა ესმნეს სიტ-
ყუ̂ანი ესე ერისთავსა მას ტაძრი-
სასა და მღუ̂დელთ-მოძღუ̂ართა,
განიზრახჳდეს მათთჳს, ვითარმედ
რამე იქმნა ესე.
25. მოვინმევიდა და უთხრა
მათ და ჰრქუ̂ა, ვითარმედ აჰა ესე-
რა, კაცნი იგი, რომელნი თქუ̂ჱნ
შესხენით საპყრობილესა, არიან
ტაძარსა შინა, ჰსდგანან და ასწავე-
ბენ ერსა.
26. მაშინ წარვიდა ერის-
თავი იგი მსახურთა თანა, მოი-
ყვანნა იგინი არა ძლით, რამეთუ
ეშინოდა ერისა მის, ნუ უკუ̂ჱ
ქუ̂ა დაჰკრიბონ.
27. და ვითარცა მოიყვანნეს
იგინი, დაადგინნეს შორის კრებუ-
ლსა; და ჰკითხვიდა მათ მღუ̂დელთ-
მოძღუ̂არი იგი და ჰრქუ̂ა:
28. არა მცნებით გამცენით
თქუ̂ჱნ, რათა არღარა ასწავებდეთ
სახელითა ამით? აჰა ესერა, აღგივ-
სიეს იერუსალიმი მოძღუ̂რებითა
თქუ̂ჱნითა; და გნებავს მოწევნად
ჩუ̂ჱნ ზედა სისხლი კაცისა მის.
29. მიუგო პეტრე და მოცი-
ქულთა და ჰრქუ̂ჱს: მორჩილება
ჯერ-არს ღმრთისა უფროჲს, ვიდ-
რე კაცთა.
30. ღმერთმან მამათა ჩუ̂ჱნთა-
მან აღადგინა იესო, რომელსა იგი
თქუ̂ჱნ ჴელნი შეასხენით და დამოჰ-
კიდეთ ძელსა.
31. ესე ღმერთმან წინამძღუ̂-
რად და მაცხოვრად აღამაღლა
მარჯუ̂ენითა თჳსითა, მიცემად სი-
ნანული ისრაილსა და მოტევება
ცოდუ̂ათა.
32. და ჩუ̂ჱნ ვართ მოწამე
მისა სიტყუ̂ათა ამათ და სული
წმიდა, რომელი მოსცა ღმერთმან
მორწმუნეთა თჳსთა.
33. ხოლო მათ ვითარცა ესმა,
განიხერხებოდეს, და განიზრახჳ-
დეს მოკლვასა მათსა.
34. ხოლო აღვინმე სდგა
კრებულსა მას შორის ფარისეველი,
სახელით გამალიელ, ჰსჯულის-
მოძღუ̂არი, პატიოსანი ყოველსა
ერსა შორის, და ბრძანა მცირედ
გარე განყუ̂ანება მოციქულთა.
35. და ჰრქუ̂ა მათ: კაცნო
ისრაიტელნო! ეკრძალენით თავთა
თქუ̂ჱნთა კაცთა ამათგან, რა
გეგულვების ყოფად.
36. რამეთუ უწინარეს დღეთა
ამათ აღსდგა თევდა, და ეტყოდა
თავსა თჳსსა, ვითარმედ არს ვინ-
მე, რომელსა მისდევდეს კაცნი
რიცხვით ვითარ ოთხას-ოდენ,
რომელ იგიცა მოისპო და ყოველ-
ნი მორჩილნი მისნი განიბნინეს და
იქმნეს, ვითარცა არა რაჲ.
37. ამისა შემდგომად აღს-
დგა იუდა გალილეველი დღეთა
მათ სოფლის-წერისათა და განი-
დგინა ერი მრავალი შემდგომად
მისა; და იგიცა წარწყმდა, და
ყოველნი მორჩილნი მისნი განიბ-
ნინეს.
38. და აწცა გეტყჳ თქუ̂ჱნ,
განეშორენით კაცთა ამათგან და
უტევენით იგინი: რამეთუ უკეთუ

არს კაცთა განზრახვა ესე, გინა-
თუ საქმე ესე დაჴსნდეს;
39. ხოლო უკეთუ ღმრთისა-
გან არს, ვერ კელგეწიფების დაჴს-
ნად მისა; ნუ უკუე ღმრთის-
მოლალეცა იპოვნეთ.
40. ხოლო იგინი ერჩდეს
მას; და მოუწოდეს მოციქულთა,
სტანჯნეს იგინი და ამცნეს, რათა
არღარა იტყოდენ სახელითა იე-
სოსითა, და განუტევნეს იგინი.
41. ხოლო იგინი წარვიდეს
პირისაგან მის კრებულისა და უხა-
როდა, რამეთუ ღირს-იქმნნეს
სახელისა მისისათჳს გინებად.
42. და ყოველსა დღესა ტა-
მარსა მას შინა და სახლსა, არა
დასცხრებოდეს მოძღურებათა და
სახარებათა იესო ქრისტესთა.

თავი 6.

1. ამათ დღეთა შინა, განმრავ-
ლებასა მას მოწაფეთასა, იყო
დრტჳნვა ბერძენთა ებრაელთა მი-
მართ, რამეთუ უგულებელს-იქმ-
ნებოდა მსახურება იგი დღითი-
დღედი ქურივთა მათთა.
2. მაშინ მოუწოდეს ათორ-
მეტთა მათ სიმრავლესა მას მოწა-
ფეთასა და ჰრქუეს: არა სათნო
არს ჩუენდა დატევება სიტყჳსა
ღმრთისა და მსახურება ტაბლებსა.
3. აწ გამოირჩიენით ძმანო,
კაცნი თქუენგანნი, რომელნი წა-
მებულ-იყუნენ შჳდნი, სავსენი
სულითა წმიდითა და სიბრძნითა,
რომელნი დავადგინნეთ საქმარსა
ამას ზედა;
4. ხოლო ჩუენ ლოცვასა და
მსახურებასა ამის სიტყჳსასა გან-
ვკრძალნეთ.
5. და სათნო-უჩნდა სიტყუა
ესე წინაშე ყოვლისა მის სიმრავ-
ლისა; და გამოირჩიეს სტეფანე,
კაცი სავსე სარწმუნოებითა და სუ-
ლითა წმიდითა, და ფილიპე და
პროხორონ და ნიკანორა და ტი-
მონა და პარმენა და ნიკოლაოზ-
მწირი ანტიოქელი.
6. და დაადგინეს წინაშე მო-
ციქულთა; და ილოცეს და დასხნეს
მათ ზედა კელნი მათნი.
7. და სიტყუა იგი ღმრთისა
აღორძინდებოდა, და განმრავლდე-
ბოდა რიცხჳ იგი მოწაფეთა იე-
რუსალიმს შინა ფრიად; და მრა-
ვალნი ერი მღდელთა მათ ერჩ-
და სარწმუნოებასა.
8. ხოლო სტეფანე სავსე იყო
მადლითა და ძალითა, იქმოდა ნი-
შებსა და სასწაულებსა დიდ-დიდსა
ერსა შორის.
9. აღვინმე სდგეს კრებულისა
მისგან, რომელსა ჰრქჳან ლიბერ-
ტიმელთა და კჳრინელთა და ალე-
ქსანდრელთა და კილიკიათ და ასიაჲთ
და გამოეძიებდეს სტეფანეს თანა
სიტყუასა;
10. და ვერ შეუძლებდეს წინა-
დადგომად სიბრძნითა მით და სუ-
ლითა წმიდითა, რომლითა იტყო-
და იგი.
11. მაშინ აზირნეს ვინმე კაც-
ნი, რომელნი იტყოდეს, ვითარ-
მედ გვესმეს მაგისგან სიტყუანი
გმობისანი, რომელთა იტყოდა
მოსესთჳს და ღმრთისა.

12. და აღძრეს ერი იგი და მოხუცებულნი და მწიგნობარნი, და ზედა მიადგეს და აღიტაცეს იგი და მოიყვანეს წინაშე კრებულისა.

13. და წარმოადგინნეს მოწამენი ცრუნი, რომელთა სთქუეს: კაცი ესე არა დასცხრების სიტყუად სიტყუათა გმობისათა ადგილისა ამისთჳს წმიდისა და რჩულისა.

14. რამეთუ გუესმა მაგისგან, იტყოდა რა, ვითარმედ იესო ნაზარეველმან მან დაარღჳოს ადგილი ესე, და ცვალოს სჯული, რომელი მომცა ჩუენ მოსე.

15. და მისჩედეს მას ყოველთა, რომელნი სხდეს კრებულსა შინა და იხილეს პირი მისი, ვითარცა პირი ანგელოზისა.

თ ა ვ ი 7.

1. ჰრქუა მას მღუდელთ-მოძღუარმან მან: უკეთუ ესე ესრეთ არს?

2. ხოლო მან სთქუა: კაცნო ძმანო და მამანო! ისმინეთ ჩემი. ღმერთი დიდებისა ეჩუენა მამასა ჩუენსა აბრაამს, ვიდრე იყოდა იგი შუა-მდინარეს პირველ დამკჳდრებისა მისისა ქარანს შინა.

3. და ჰრქუა მას, გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა, და მოვედ ქუეყანად, რომელი მე გიჩუენო შენ.

4. მაშინ გამოვიდა ქუეყანისაგან ქალდეველთასა და დაეშენა ქარანს შინა; და მიერ შემდგომად სიკუდილისა მამისა მისისა, დაამკჳდრა იგი ქუეყანასა ამას, რომელსა ესე აწ თქუენ დამკჳდრებულ ხართ.

5. და არა ჰსცა მას სამკჳდრებელი მას შინა არცა ფერხისწარსადგმელ, და აღუთქუა მიცემად მას იგი სამკჳდრებელად და ნათესავსა მისსა, შემდგომად მისსა და არა ესუა მას შვილი.

6. ეტყოდა მას ღმერთი ესრეთ, ვითარმედ მწირ იყოს ნათესავი შენი ქუეყანასა უცხოსა, და დაიმონებდენ მათ და ძჳრსა უყოფდენ ოთხას წელ.

7. და ნათესავი იგი, რომელსა ჰმონებდენ, ვსაჯო მე; სთქუა უფალმან, და ამისა შემდგომად გამოვიდენ და მმსახურებდენ მე ქუეყანასა ამას.

8. და მოჰსცა მას სჯული წინადაცუეთისა. და მან ჰშვა ისაკი, და წინა-დაჰსცუეთა მას მერვესა დღესა; და ისაკმან იაკობსა, და იაკობმან ათორმეტთა მათ მამათმთავართა.

9. და მამათ-მთავარნი იგი ეშურებოდეს იოსებს, და განჰყიდეს იგი ეგჳპტეს; და იყო ღმერთი მის თანა.

10. და განარინა იგი ყოველთაგან ჭირთა მისთა, და მოჰსცა მას მადლი და სიბრძნე წინაშე ფარაო მეფისა მეგჳპტელთასა, და დაადგინა იგი მთავრად ეგჳპტესა ზედა და ყოველსა ზედა სახლსა მისსა.

11. იყო სიყმილი ეგჳპტეს და ყოველსა ქუეყანასა ქანაანისასა

და ჭირი დიდი, და არა ჰპოვებდეს საზრდელსა მამანი ჩუენნი.

12. ხოლო ესმა იაკობს, ვითარმედ არს საზრდელი ეგჳპტეს, წარავლინნა მამანი ჩუენნი პირველად.

13. და მეორესა ჯერსა, გამოეცხადა იოსებ ძმათა თჳსთა, და განეცხადა ფარაოს ნათესავი იოსებისი.

14. და მიავლინა იოსებ, და მოუწოდა მამასა თჳსსა იაკობს და ყოველსა ნათესავსა თჳსსა, სულსა სამეოცდა-ათხუთმეტსა.

15. და შთავიდა იაკობ ეგჳპტედ, და აღესრულა იგი და მამანი ჩუენნი;

16. და მოიხუნეს იგინი სჳქემად და დაისხნეს საფლავსა მას, რომელ მოიგო აბრაამ სასყიდლითა ვეცხლისათა ძეთაგან ემორისთა სჳქემს.

17. და ვითარცა მოესლო ჟამი იგი აღთქმისა, რომლისა-თჳს ეფუცა ღმერთი აბრაამს, აღორძნდა ერი იგი და განმრავლდა ეგჳპტეს შინა.

18. ვიდრემდის აღსდგა სხუა მეფე ეგჳპტესა ზედა, რომელმან არა იცოდა იოსები.

19. ესე ჰმძლავრობდა ნათესავსა ჩუენსა, და ბოროტსა უყოფდა მამათა ჩუენთა და გარე განუთხევდა ყრმათა მათთა, რათა არა ცხოვნდენ.

20. რომელსა ჟამსა იშუა მოსე, და იყო იგი მკჳრცხლ წინაშე უფლისა; და იზრდებოდა სამ თუე სახლსა შინა მამისა თჳსისასა.

21. და ვითარცა განაგდეს იგი გარე; აღიქუა იგი ასულმან ფარაოსმან, და განჰზარდა იგი თავისა თჳსისა, შვილად.

22. და განისწავლა მოსე ყოვლითა სიბრძნითა მეგჳპტელთათა, და იყო იგი ძლიერ სიტყჳთა და საქმითა მისითა.

23. და ვითარცა აღესრულნეს ორმეოცნი წელნი ჟამთა მისთანი, მოუკდა გულსა მისსა მისედვად ძმათა თჳსთა, ძეთა ისრაილისათა,

24. და იხილა ვინმე დაწუნებული, ჰრეოდა და ჰყო შურისგება დაწუნებულისა მისთჳს, და მოჰკლა მეგჳპტელი იგი.

25. ჰგონებდა, ვითარმედ გულისკმა-ჰყოფნ ძმათა მისთა, რამეთუ ჴელითა მისითა მოჰსცეს მათ ღმერთმან ცხოვრებაჲ; ხოლო მათ არა გულისკმა-ჰყუჱს.

26. კუალად მეორესა დღესა, იხილნა ვინმე მოლალენი, და დააგებდა მათ მშჳდობად, და ჰრქუა: კაცნო, თქუენ ძმანი ხართ; რასათჳსავნებთ ურთიერთარს?

27. ხოლო რომელი იგი ავნებდა მოყუასსა, აჴენა მას, და ჰრქუა: ვინ დაგადგინა შენ მთავრად და მსაჯულად ჩუენზედა?

28. ანუ ჩემიცა მოკლვაჲ გნებავსა, ვითარ იგი მოჰკალ გუშინ მეგჳპტელი იგი?

29. და ივლტოდა მოსე სიტყჳთა ამით და მწირობდა იგი ქუეყანასა მადიამისსა, სადა იგი ესხნეს ორ ძე.

30. და ვითარცა აღესრულნეს

ორმეოცნი წელნი, ეჩუენა მას
უდაბნოსა მთისა სინაისასა ანგე-
ლოსი უფლისა ალითა ცეცხლი-
სათა მაყულოვანით.
31. ხოლო მოსე, იხილა რა,
დაუკჳრდა ხილვა იგი; და ვითარ
მივიდოდა განცდად, იყო მისა
მიმართ ჴმა უფლისა:
32. მე ვარ ღმერთი მამათა
შენთა, ღმერთი აბრაამისი, ღმერ-
თი ისააკისი და ღმერთი იაკობი-
სი. შეძრწუნდა მოსე და ვერ ეძლო
განცდად.
33. ჰრქუა მას უფალმან: წა-
რიკადეჲ სანდალნი ფერჴთაგან შენ-
თა; რამეთუ ადგილი ეგე, რო-
მელსა ზედა ჰსდგა ქუეყანასა, წმი-
და არს.
34. ხილვით ვიხილე ძვირი
ერისა ჩემისა, რომელ-არს ეგჳპ-
ტეს, და სულთქმანი მათნი მეს-
მნეს, და გარდამოვჴედ განრინე-
ბად მათდა; და აწ მოვედ და მიგა-
ვლინო შენ ეგჳპტედ.
35. ესე მოსე, რომელი უარ-
ჰყუეს და ჰსთქუეს: ვინ დაგად-
გინა შენ მთავრად და მსაჯულად
ჩუენ ზედა? ესე ღმერთმან მთავ-
რად და მჴსნელად მოუვლინა ჴე-
ლითა მის ანგელოსისათა, რო-
მელი ეჩუენა მაყულოვანსა მას
შინა.
36. ამან გამოიყუანნა იგინი,
და ჰქმნა ნიშნები და სასწაულები
ქუეყანასა მას ეგჳპტისასა, და
ზღუასა მას მეწამულსა, და უდა-
ბნოსა ზედა ორმეოც წელ.
37. ესე არს მოსე, რომელ-
მან იგი ჰრქუა ძეთა ისრაილი-
სათა, ვითარმედ წინასწარ-მეტ-
ყუელი აღგიდგინოს თქუენ უფალ-
მან ღმერთმან თქუენმან ძმათა-
გან თქუენთა, ვითარცა ესე მე;
მისი ისმინეთ.
38. ესე არს, რომელი იყო
კრებულსა მას თანა უდაბნოსა
ზედა ანგელოსისა მისთანა, რო-
მელი ეტყოდა მას მთასა სინასა,
მამათა ჩუენთა, რომელმან შეი-
წყნარნა სიტყუანი იგი ცხოვრე-
ბისანი, მოცემად ჩუენდა,
39. რომელთა არა ინებეს და-
მორჩილებად მამათა მათ ჩუენ-
თა, არამედ განიშორნეს და მიი-
ქცეს გულითა მათითა ეგჳპტედ.
40. ეტყოდეს აჰრონს: მიქმნენ
ჩუენ ღმერთნი, რომელნი წინა
მიმძღოდენ ჩუენ; რამეთუ მოსე
ესე, რომელმან გამომიყუანნა ჩუენ
ქუეყანით ეგჳპტით, არა ვიცით,
თუ რა შეემთხჳა მას.
41. და ქმნეს ჴბოჲ მათ დღე-
თა შინა, და შესწირეს მსხუერპ-
ლი კერპისა მის, და იხარებდეს
ქმნულსა ჴელთა მათთასა.
42. მიაქცინა და მისცნა იგი-
ნი ღმერთმან მსახურებად მალთა
ცისათა, ვითარცა წერილ-არს
წიგნსა წინასწარ-მეტყუელთასა:
საკლველებსა ანუ და მსხუერპლებ-
სა შესწირევდით ჩემდა უდაბნო-
სა ზედა ორმეოც წელ სახლო
ისრაილისაო?
43. და აღიღეთ კარავი იგი
მოლოქისი და ვარსკულავი ღმრთი-
სა თქუენისა რემფასი, კერპნი
იგი, რომელ ჰქმნენით თაყუანის-

საცემელად; და მიგსცნე თქუჱნ მიერ კერძო ბაბილოანსა.

44. კარავი იგი საწამებელი იყო მამათა ჩუჱნთა თანა უდაბნოსა ზედა, ვითარცა იგი უბრძანა, რომელი იგი ეტყოდა მოსეს საქმედ მისა, მსგავსად სატისა მის, რომელი იგი ეხილვა.

45. რომელიცა იგი შემოიღეს მამათა ჩუჱნთა, შემდგომითი შემდგომად ისოჲს თანა დამკჳდრებასა მას წარმართთასა, რომელნი იგი მოჰსრნა ღმერთმან პირისაგან მამათა ჩუჱნთასა, ვიდრე დღეთადმდე დავითისთა.

46. რომელმან ჰპოვა მადლი წინაშე ღმრთისა და ითხოვა პოვნად საყოფელი ღმრთისა იაკობისი.

47. ხოლო სოლომონცა უშენა მას სახლი.

48. არამედ არა თუ მაღალი იგი ჴელით-ქმნულთა ტაძართა შინა დამკჳდრებულ-არს, ვითარცა წინასწარ-მეტყუჱლი იტყჳს:

49. ცანი საყდარნი ჩემნი, და ქუჱყანა ჴუარცხლბეკი ფერჴთა ჩემთა. ვითარი სახლი მიშენოთ მე, სთქუა უფალმან, ანუ რაჲმე ადგილი იყოს განსასუჱნებელისა ჩემისა?

50. ანუ არა ჴელმან ჩემმან შექმნა ესე ყოველი?

51. ქედ-ფიცხელნო და წინადაუცუჱთელნო გულითა და სასმენელითა! თქუჱნ მარადის სულსა წმიდასა ანტაკრად წინა-აღუდგებით, ვითარცა მამანი თქუჱნნი, ეგრეცა თქუჱნ.

52. რომელნიმე წინასწარმეტყუჱლთაგანნი არა ჰსდევნნეს მამათა მათ თქუჱნთა? და მოსწყჳდნეს, რომელნი იგი წინასწარუთხრობდეს მოსლუასა მას მართლისასა, რომლისა იგი აწ თქუჱნ შინა-განმცემელ და მკლველ-იქმენით.

53. რომელთა მოიღეთ ჰსჯული ბრძანებისა-ებრ ანგელოსთასა, და არა დაიმარხეთ.

54. ხოლო მათ, ვითარცა ესმოდა ესე, განიხერხებოდეს გულითა მათითა, და იღრჭენდეს მის ზედა კბილთა მათთა.

55. ხოლო იგი სავსე იყო სულითა წმიდითა, ახედნა ცად და იხილა დიდებაჲ ღმრთისა და იესო მდგომარე მარჯუჱნით ღმრთისა;

56. და ჰსთქუა: აჰა ესერა, ვხედავ ცათა განხსმულთა და ძესა კაცისასა მარჯუჱნით ღმრთისა მდგომარესა.

57. ხოლო მათ ჴმითა მაღლითა დაღად-ჰყუჱს და ჴელნი ყურთა შეისხნეს, და მიმართეს ერთბამად მის ზედა,

58. და განიყუანეს გარეშე ქალაქსა და ქუასა დაჰკრებდეს. და მკლველნი იგი დასდებდეს სამოსელსა მათსა ფერჴთა თანა ჭაბუკისა ვისთანამე, რომელსა სახელი ერქუა სავლე.

59. და ქუასა დაჰკრებდეს სტეფანეს, ხოლო იგი ილოცვიდა და იტყოდა: უფალო იესო ქრისტე! შეივედრე სული ჩემი.

60. და დაიდგნა მუჴლნი და

ჴმითა დიდითა ჰსთქჳა: უფალო! ნუ შეურაცხ ამათ ცოდჳასა ამას, და ესე ვითარცა ჰსთქჳა, დაიძინა.

## თ ა ვ ი 8.

**1.** ხოლო სავლე იყო თანა-ჯერ-მჩინებელ მოკლჳასა მისსა. იყო მას დღესა შინა დევნულება დიდი ეკკლესიათა მათ ზედა, რომელნი იყჳნეს იერუსალიმს; და ყოველნივე განიბნინეს სოფლებსა მას ჰურიასტანისასა და სამარიისასა, თჳნიერ ხოლო მოციქულთა.

2. და შემოსეს სტეფანე კაცთა ღმრთის-მოშიშთა, და ჰყვეს ტყება დიდი მას ზედა.

3. ხოლო სავლე ფრიად მავნებელ-იყო ეკკლესიათა მიმართ, სახლებსა შევიდოდა და ითრევდა მამებსა და დედებსა და მისცემდა საპყრობილედ.

4. და რომელნი იგი მიმოდაიბნნიეს, ვიდოდეს და ახარებდეს სიტყჳასა მას ცხოვრებისასა.

5. ფილიპპე შთავიდა ქალაქსა სამარიტელთასა, და უქადაგებდა მათ ქრისტესა.

6. და ერჩდა ერი იგი სიტყჳათა მათ ფილიპპესთა ერთბამად სმენად მათდა და ხილჳად სასწაულებსა მას, რომელსა იქმოდა.

7. რამეთუ მრავალთა, რომელთა თანა იყო სულები არა წმიდები, ღაღადებედ ჴმითა მაღლითა და განვიდიან; და მრავალნი განრღჳეულნი და მკელობელნი განიკურნებოდეს.

8. და იყო სიხარული დიდი ქალაქსა მას შინა.

9. კაცი ვინმე იყო, რომელსა სახელი ერქჳა სჳმონ, წინათვე იყო ქალაქსა მას შინა, ჰგრძნებდა და განაკჳრვებდა ნათესავსა მას სამარიტელთასა.

10. რომელსა ხედჳდეს ყოველნი, მცირითგან, ვიდრე დიდადმდე, და იტყოდეს, ვითარმედ ესე არს ძალი ღმრთისა დიდი.

11. ხოლო ერჩდეს მას, რამეთუ მრავლით ჟამითგან გრძნებითა განეკჳრვნეს იგინი.

12. და რაჟამს ჰრწმენა ფილიპპესი, სახარება სასუფეველისათჳს ღმრთისა და სახელისათჳს იესო ქრისტესისა, ნათელ-იღებდეს მამანი და დედანი.

13. და სჳმონსაცა თჳთ ჰრწმენავე და ნათელ-იღო, და იყო დადგრომილ ფილიპპეს თანა; და ხედჳდა სასწაულებსა და ძალთა დიდთა, რომელნი იგი იქმნებოდეს და დაუკჳრდებოდა.

14. ესმა რა უკჳე მოციქულთა, რომელნი იყვნეს იერუსალიმს, რამეთუ შეიწყნარეს სამარიას სიტყჳა ღმრთისა, მიავლინნეს მათდა პეტრე და იოანე.

15. რომელნი იგი, ვითარცა მივიდეს, ლოცჳა-ჰყჳეს მათთჳს, რათა მიიღონ სული წმიდა.

16. რამეთუ მუნამდე არა იყო არცა ერთსა მათგანსა ზედა მოწევნულ სული წმიდა, გარნა ბანილ ხოლო იყჳნეს სახელითა უფლისა იესოსითა.

17. მაშინ დაასხმიდეს ჴელთა

მათ ზედა, და მიაქუნდა სული
წმიდა.
18. ვითარცა იხილა სჳმონ,
რამეთუ ჴელთ დასხმითა მით მო-
ციქულთათა მოეცემის სული წმი-
და, მიუპყრა მათ ფასი,
19. და ჰრქუა: მომეცით მეცა
ჴელმწიფება ესე, რათა რომელსა-
ცა დავასხნე ხელნი, მიაქუნდეს
სული წმიდა.
20. ჰრქუა მას პეტრე: ვეც-
ხლი ეგე შენი შენთანავე იყავნ
წარსაწყმედელად შენდა; რამეთუ
ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფა-
სითა მოპოვნებად.
21. არა გიც შენ ნაწილი, არ-
ცა სამკჳდრებელი სიტყუასა მას
შინა; რამეთუ გული შენი არა არს
წრფელ წინაშე ღმრთისა.
22. შეინანე უკუჱ უკეთურე-
ბისა ამისგან შენისა, და ევედრე
უფალსა; მი-ხოლო თუ გიტეოს
შენ უსჯულოება ეგე გულისა
შენისა.
23. რამეთუ სიმწარედ ნაღ-
ვლისა და თანა-შეკრულ ცოდვისა
გხედავ შენ, რამეთუ ხარ.
24. მიუგო სჳმონ და ჰრქუა:
ილოცეთ თქუჱნ ჩემთჳს უფლი-
სა მიმართ, რათა არა მოვიდეს
ჩემ ზედა რა იგი თქუჱნ სთქუთ.
25. ხოლო მათ, მიმო დააწე-
სეს წამება იგი სიტყჳსა მის და
იტყოდეს სიტყუასა მას უფლი-
სასა, და მოიქცეს იერუსალიმად,
და მრავალსა დაბნებსა სამარიტელ-
თასა ახარებდეს.
26. ანგელოსი უფლისა ეტ-
ყოდა ფილიპპეს და ჰრქუა: აღ-
სდეგ და მივედ შენ სამხრით-კერ-
ძო, გზასა მას, რომელი შთა-
ვალს იერუსალიმით გზად, ესე
არს უდაბნო.
27. და აღსდგა და წარვიდა.
და აჰა ესერა, კაცი ინდო, საჭუ-
რისი ძლიერი კანდაკისი, დედო-
ფლისა მის ინდოეთისა, რომელი
იგი მოსრულ-იყო თაყუანისცე-
მად იერუსალიმად,
28. და მოქცეულ-იყო, დაჰსჯდა
იგი ეტლთა ზედა მისთა, და იკი-
თხჳდა წიგნსა ისაია წინასწარ-მეტ-
ყუჱლისასა.
29. ჰრქუა სულმან წმიდამან
ფილიპპეს: მივედ და შეეახლე შენ
ეტლთა ამათ.
30. და მივიდა ფილიპპე და ის-
მენდა მისსა, ვითარ იგი იკითხჳდა
ისაია წინასწარ-მეტყუჱლსა და
ჰრქუა: უწყიმია, რასა ეგე იკით-
ხავ?
31. ხოლო მან ჰრქუა, ვითარმე
მეძლოს უწყებად, არა თუ ვინ-
მე იყოს წინა-მძღუარ ჩემდა? და
ჰლოცვიდა ფილიპპეს აღსლუად და
დაჯდომად მის თანა.
32. ხოლო თავი საკითხავისა
მის, რომელსა იკითხჳდა, იყო
ესე, ვითარცა ცხოვარი კლუად
მიიგუარა; და ვითარცა ტარიგი
წინაშე მრისველისა უჴმობელად,
ესრეთ არა აღაღებს პირსა თჳს-
სა.
33. სიმდაბლითა მისითა სას-
ჯელი მისი მიეღო, ხოლო თესლ-
ტომი მისი ვინმე მიუთხრას?
რამეთუ აღებულ-არს ქუჱყანით
ცხოვრება მისი.

34. მიუგო საჭურისმან მან
დ ჰრქუა ფილიპეს: გევედრები
შენ, ვისთჳს იტყჳს წინასწარ-მე-
ტყუელი ამას, თავისა თჳსისა
თჳს, ანუ სხჳსა ვისთჳსმე?
35. აღაღო პირი თჳსი ფი-
ლიპე დ იწყო თხრობად მისა
დ სახარებად წიგნთაგან იესოსთჳს.
36. და ვითარცა მიოდენ ვი-
დოდეს, მგზავრ მოვიდეს წყალსა
ერთსა ზედა; და ჰსთქუა საჭურის-
მან მან: აჰა წყალი; რაღა ყენებს
არს ჩემდა ნათლის-ღებად?
37. ჰრქუა მას ფილიპე:
გრწამს თუ ყოვლითა გულითა
შენითა, ჯერ-არს. მიუგო დ
ჰრქუა მას: მრწამს, რამეთუ ძე
ღმრთისა არს იესო ქრისტე.
38. და უბრძანა დადგინება
ეტლთა მათ: დ შთავიდეს ორნივე
წყალსა, ფილიპე დ საჭურისი
იგი, დ ნათელ-ჰსცა მას.
39. და ვითარცა აღმოვიდეს
წყლით; სული წმიდა მოვიდა
საჭურისსა მას ზედა, დ სულმან
უფლისამან წარიტაცა ფილიპე,
დ მერმე არღარა იხილა იგი სა-
ჭურისმან მან, დ ვიდოდა გზასა
თჳსსა სიხარულით.
40. და ფილიპე იპოვა აზო-
ტით კერძო; მიმოვიდოდა დ
ახარებდა ყოველსა მას ქალაქებ-
სა, ვიდრე მოსლვადმდე მისა კე-
სარიად.

თ ა ვ ი 9.

1. ხოლო სავლე, უფრო გა-
ნრისხნებოდა დ სავსე იყო გუ-
ლის-წყრომითა დ კლვითა მო-
წაფეთა მათ ზედა უფლისათა,
მოუვიდა მღუდელთ-მთავარსა მას,
2. და ითხოვა მისგან წიგნე-
ბი დამასკოდ, სხუათა მიმართ
კრებულთა, რათა მოვიდეს, დ თუ
ვინმე პოვნეს ამის მოძღურებისა
გზასა მამები ანუ დედები, კრულ-
ნი, მოიყვანნეს იერუსალიმად.
3. და მიოდენრა ვიდოდა იგი
დ მიეახლა დამასკოსა; მეყუსეუ-
ლად იყო გარემოს მისსა ბრწყინ-
ვალება ნათლისა ზეცით გარ-
დამო.
4. და იგი დაეცა ქუეყანასა
ზედა, დ ესმა ჴმა, რომელ ჰრქუა
მას: საულ, საულ! რასა მდევნი მე?
5. მან მიუგო დ ჰრქუა: შენ
ვინ ხარ, უფალო? ჰრქუა მას: მე
ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი.
ფიცხელ-არს შენდა წიხნუა დე-
ზისა.
6. მრწოდა დ განსცჳფრდებო-
და დ ჰრქუა: უფალო! რა გნებავს
ჩემდა ყოფად? დ ჰრქუა მას უფალ-
მან: აღჰსდეგ დ შევედ ქალაქად;
დ მუნ გეთხრას შენ, რა იგი ღირ-
დეს შენდა საქმედ.
7. და კაცნი იგი, რომელნი
იყუნეს მისთანა, ჰსდგეს დაჴჳრ-
ვებულნი, სმენით ესმოდა ჴმა იგი,
ხოლო ხედჳდეს ვერა-რას.
8. აღჰსდგა სავლე ქუეყანით,
თუალნი ეხილუნეს დ ხედჳდა
ვერა-რას. უპყრეს ჴელი მისთანა-
თა მათ, დ შეიყუანეს დამასკოდ.
9. და წარკდეს სამნი დღენი
დ არა-რას ხედჳდა, დ არცა ჰსჭამა,
დ არცა ჰსუა.

10. ხოლო იყო ვინმე მოწა-
ფე დამასკეს შინა, სახელით ანა-
ნია; და ჰრქუა მას უფალმან ჩუჱ-
ნებით: ანანია! და მან სთქუა: აჰა
ვარ, უფალო.
11. ჰრქუა მას უფალმან: აღ-
ჰსდეგ შენ ადრე და მივედ უბანსა
მას, რომელსა ჰრქჳან მართალი, და
მოიძიე ტაძართა მათ იუდასთა,
სავლე სახელით, ტარსელი; რა-
მეთუ აჰა ეგერა, ილოცავს მუნ,
12. და იხილა მან ჩუჱნებით
კაცი, სახელით ანანია, რომელი
შევიდა და დაასხნა კელნი მას ზედა,
რათა აღიხილნეს.
13. მიუგო ანანია და ჰრქუა:
უფალო! მასმიეს მრავალთაგან
მის კაცისათჳს, რავდენი მჳრი
შეაჩუჱნა წმიდათა შენთა იერუ-
სალიმს შინა;
14. და აქაცა მოუღებიეს კელმ-
წიფება მღუდელთ-მთავართაგან,
შეკრუად ყოველთა, რომელნი ხა-
დიან სახელსა შენსა.
15. ჰრქუა მას უფალმან: მი-
ვედ შენ, რამეთუ მე ჭური რჩე-
ული მიპოვნიეს იგი, რათა ზე-
აქუნდეს სახელი ჩემი წინაშე ყო-
ველთა წარმართთა და მეფეთა და
მთავართა ძეთა ისრაილისათა.
16. და მე უჩუჱნო მას, რავ-
დენი ღირდეს მისა ვნებად სახე-
ლისა ჩემისათჳს.
17. აღჰსდგა ანანია და წარვი-
და, და შევიდა ტაძართა მათ, და
დაასხნა მის ზედა კელნი მისნი და
ჰრქუა: საულ ძმაო! უფალმან მო-
მავლინა მე, იესო, რომელი გე-
ჩუჱნა შენ გზასა მას, რომელსა
მოხჳდოდი, რათა აღიხილნე თუა-
ლნი შენნი და აღივსო სულითა
წმიდითა.
18. და მეის გარდამოვარდეს
თუალთაგან მისთა, ვითარცა ნაქუ-
რცენნი, და მეუჴსეულად აღიხილნა,
და აღსდგა და ნათელ-იღო;
19. და მოიღო საზრდელი და
განძლიერდა. და იყო მუნ სავლე
მოწაფეთა მათ თანა დამასკოს
დღე რავდენმე.
20. და მეუჴსეულად შესაკრე-
ბელთა შინა ჰქადაგებდა ქრისტე-
სა, ვითარმედ ესე არს ძე
ღმრთისა.
21. და დაუკჳრდებოდა ყოველ-
თა, რომელთა ესმოდა და იტყო-
დეს: არა ესე არსა, რომელი იგი
ჰსტყუჱნვიდა იერუსალიმს შინა,
რომელნი ჰხადოდეს სახელსა იე-
სოსსა; და აქაცა მისთჳს მოსრულ-
იყო, რათა კრულნი აღიყუანნეს
იგინი მღუდელთ - მოძღუართა
თანა?
22. ხოლო სავლე უფროს გან-
ძლიერდებოდა, და შეჰკრებდა ჰური-
ათა, რომელნი მყოფ იყუნეს დამას-
კოს შინა, და გულის-ჴმა-უყოფდა,
ვითარმედ ესე არს ქრისტე.
23. ვითარცა აღესრულნეს დღე-
ნი მრავალნი, განიზრახეს ჰური-
ათა მათ მოკლუაჲ მისი.
24. და ეუწყა სავლეს მჳრის-
ზრახვა მათი; რამეთუ ჰსცვიდეს
ბჭეთა დღე და ღამე, რათამცა ვი-
თარ მოჰკლეს იგი.
25. და მოიყუანეს იგი მო-
წაფეთა ღამე, და ზღუდით გარდა-
უტევეს იგი სფირიდითა.

26. და მირავიდა სავლე იერუსალიმად, აზმნობდა შემდგომად მოწაფეთა მათ; და ყოველთა ეშინოდა მისგან, რამეთუ არა ჰრწმენა, ვითარმედ არს იგი მოწაფე.

27. ხოლო ბარნაბა, წარმოიყჳანა იგი და მოჰგჳარა მოციქულთა და უთხრა მათ, ვითარ იგი გზასა ზედა იხილა უფალი, და რამეთუ ეტყოდა მას, და ვითარ იგი დამასკეს შინა განეცხადა სახელითა იესოსითა.

28. და იყო მათ თანა და შევიდოდა იერუსალიმს და განცხადნებოდა სახელითა უფლისა იესოსითა.

29. ეტყოდა და გამოეძიებდა ბერძულ-მეტყჳელთა მათ თანა; ხოლო იგინი ზრახჳდეს მოკლჳასა მისსა.

30. და ვითარცა აგრძნეს ესე ძმათა, წარიყჳანეს კესარიად, და წარგზავნეს იგი ტარსუნად.

31. ხოლო ეკკლესიანი იგი ყოველთა მათ ადგილთა ჰურიასტანისათა და გალილეასათა და სამარიასათა ეგნეს მშჳდობით, შენნი და წარმართებულნი შიშსა უფლისასა, და ნუგეშინის-ცემითა სულისა წმიდისათა განმრავლდებოდეს.

32. და იყო, იქცეოდა რა პეტრე ყოველთა მათ ადგილთა, შთავიდა წმიდათა მათცა, რომელნი მკჳდრ-იყჳნეს ლჳდიას.

33. და ჰპოვა მუნ კაცი ვინმე, რომელსა სახელი ერქჳა ენეა, რვა-წლითგან ქჳე მდებარე ცხედარსა ზედა, რომელი იყო განრღჳეული.

34. და ჰრქჳა მას პეტრე: ენეა! განგკურნებს შენ უფალი იესო ქრისტე; აღჰსდეგ და გარდაყარენ სარეცელნი შენნი; და მეყჳსეულად აღჰსდგა.

35. და იხილეს იგი ყოველთა მკჳდრთა ლუდიისათა და სარონიისათა, რომელთა იგი მოაქციეს უფლისა.

36. ხოლო იოპეს შინა იყო ვინმე დედა-კაცი დამოწაფებული, რომელსა სახელი ერქჳა ტაბითა, რომელი გამოითარგმანების, ქურციკ; ესე სავსე იყო ქჳელის საქმითა და წყალობითა, რომელსა იგი იქმოდა.

37. და იყო მათ დღეთა შინა დასნეულება მისი და სიკჳდილი. ხოლო დაბანეს იგი და დაჰსდჳეს ქორსა მას შინა.

38. რამეთუ ახს ლუდია იოპესა; ესმა მოწაფეთა, ვითარმედ პეტრე მუნ არს, და მიავლინნეს მისსა ორნი კაცნი და ლოცჳდეს, ვითარმედ ნუ გცონის მოსლჳად, ვიდრე ჩჳენდამდე.

39. და აღჰსდგა პეტრე და წარვიდა მათ თანა; რომელი ვითარცა მივიდა, აღიყჳანეს ქორსა მას ზედა, და გარე მოადგა მას ქჳრივები იგი ყოველნი, სტიროდეს და უჩჳენებდეს კუბასტებსა და სამოსლებსა, რაოდენსა იქმოდა მათ თანა რა იყო ტაბითა.

40. ხოლო პეტრე განავლინნა გარე ყოველნი, და მოიდრიკნა მუკლნი და ილოცა; და მოექცა

გუამსა მას და ჰრქუა: ტაბითა!
აღსდეგ. და მან მეყუსეულად აღი-
ხილნა თუალნი თჳსნი, და იხილა
რა პეტრე, წარმოჯდა.
41. ხოლო მან მისცა მას ჴელი
და აღადგინა იგი; და მოუწოდა
წმიდათა მათ და ქურივთა და წარუ-
დგინა იგი ცოცხალი.
42. აგრძნა ესე ყოველმან
იოპემან, და ჰრწმენა მრავალთა
უფალი.
43. და იყო იგი მრავალ-დღე
დადგრომილ იოპეს შინა სჳმონ
ვისმე მეპრატაკისა თანა.

## თ ა ვ ი 10.

1. კაცი ვინმე იყო კესარიას
შინა, სახელით კორნილიოს,
ასის-თავი ტომისაგან, რომელსა
ჰრქჳან იტალიკე,
2. კეთილად-მსახური და მოში-
ში უფლისა ყოვლითურთ სახლე-
ულით თჳსით, იქმოდა ქუჱლის-
საქმესა მრავალსა ერსა შორის
და ევედრებოდა ღმერთსა მარა-
დის.
3. იხილა მან ჩუჱნებით გან-
ცხადებულად ვითარ მეცხრესა ოდენ
ჟამსა მის დღისასა, რამეთუ ან-
გელოსი უფლისა მოვიდა მისა
და ჰრქუა მას: კორნილიე!
4. და მან მიჰხედა მას და ზა-
რი განჰხდა და ჰრქუა მას: რა
არს, უფალო? ხოლო მან ჰრქუა
მას: ლოცუანი შენნი და ქუჱლის
საქმენი შენნი აღვიდეს სახსენე-
ბელად შენდა წინაშე უფლისა.
5. და აწ მიავლინენ შენ იოპედ
კაცნი, და მოუწოდე სჳმონს, რო-
მელსა ჰრქჳან პეტრე.
6. ამისი ვანი არს სჳმონის
ვისთანამე მეპრატაკისა, რომ-
ლისა ტაძარი ასს ზღუასა.
7. და ვითარცა წარვიდა ანგე-
ლოსი იგი, რომელი ეტყოდა
მას, მოუწოდა ორთა მონათა მის-
თა და ერის კაცსა კეთილად მსა-
სურსა წინაშე მდგომელსა მისსა.
8. და უთხრა მათ ესე ყოვე-
ლი და წარავლინნა იგინი იო-
პედ.
9. და ხვალისაგან მირავიდო-
დეს იგინი გზასა ზედა, ქალაქსა
მიეახლნეს, აღვიდა პეტრე ერდო-
სა ზედა ლოცუად ჟამსა მეექუ-
სესა.
10. რამეთუ შეემშია და უნდა
პირისა ჴსნა. და ვიდრე იგინი უმ-
ზადებდეს მას, იყო მის ზედა
განკჳრვება.
11. და ჴედჳდა ცათა განხუმულ-
თა და გარდამომავალსა ჭურჭელ-
სა რასამე, ვითარცა ტილოსა
დიდსა, ოთხთაგან კიდეთა ზე
მოკიდებულსა ზეცით ქუჱყანად.
12. რომელსა შინა იყო ყო-
ველი ოთხ-ფერკი ქუჱ-წარმავალი
და მხეცი ქუჱყანისა, და მფრინვე-
ლნი ცისანი.
13. და იყო ჴმა მისა მიმართ:
აღსდეგ, პეტრე, დაჰკალ და
ჰსჭამე.
14. მიუგო პეტრე და ჰსთქუა:
ნუ იყოფინ უფალო, რამეთუ არა
სადა შეგინებული და არა წმიდა
შესრულ-არს პირსა ჩემსა.
15. და მერმე კუალად მეო-

რედ კმა იყო მისა მიმართ დ
ჴსთქუა: რომელი იგი ღმერთმან
წმიდა ჰყო, შენ ნუ შეგინებულ-
გიჩნს.
16. ხოლო ესე იყო სამ-გზის;
დ კუალად ამაღლდა ჭურჭელი
იგი მუნვე ზეცად.
17. და ვითარ იგი განიზრა-
ხვდა პეტრე გულსა თჳსსა, ვი-
თარმედ რაჲმე იყოს ხილვა ესე,
რომელ ეჩუენა მას: დ აჰა ესერა,
კაცნი იგი, რომელნი კორნილი-
ოსისგან მოვლინებულ - იყვნეს,
ივითხჳდეს სახლსა სჳმონისსა,
დ მოვიდეს დ დაჰდგეს ბჭეთა
ზედა მისთა.
18. და მოჰხადეს დ ჰკითხჳ-
დეს: უკეთუ სჳმონისი, რომელსა
ჰრქჳან პეტრე, ვანი აქა არსა?
19. ხოლო პეტრე, ვიდრედა
იგი გულის-ზრახვად ჰსდგა ჩუე-
ნებისა მისთჳს, ჰრქუა მას სულ-
მან: აჰა ეგერა, სამნი კაცნი გე-
მიებენ შენ;
20. არამედ აღჰსდეგ დ გარდა-
გუალე დ მივედ მათ თანა, დ
ნურა რას ორგულებ; რამეთუ მე
მომივლინებიან იგინი.
21. გარდამოვიდა პეტრე კაც-
თა მათ თანა მოვლინებულთა
კორნილიოსის მიერ დ ჰრქუა:
აჰა ესერა, მე ვარ, რომელსა თქუენ
მეძიებთ; აწ რაჲ არს მიზეზი,
რომლისათჳს მოსრულ-ხართ?
22. ხოლო მათ ჰრქუეს: კორ-
ნილიოს ასის-თავმან, კაცმან მარ-
თალმან დ მოშიშმან ღმრთისამან,
რომელი წამებულ-არს ყოვლისაგან
ნათესავისა ჰურიათასა, ბრძანება
მოიღო ანგელოსისაგან წმიდისა,
მიყვანებად შენდა სახლსა თჳსსა
დ სმენად შენგან სიტყუათა.
23. ხოლო მან შეუწოდა მათ
დ მუნ დაივანნა დ ისტუმრნა
იგინი. დ ხვალისაგან აღჰსდგა
პეტრე, დ განვიდა მათ თანა, დ
ვიეთნიმე მმათაგანნიცა იოპით
მიჰყუეს მისთანა.
24. და ხვალისაგან შევიდეს
კესარიად. ხოლო კორნილიოს
მიელოდა მათ, შემოეკრიბა თესლ-
ტომი მისი დ საყუარელნი მეგო-
ბარნი მისნი.
25. და იყო შესლვასა მას
პეტრესსა; მოეგებვოდა მას კორ-
ნილიე დ შეუვრდა ფერკთა მის-
თა დ თაყუანის-ჰსცა მას.
26. ხოლო პეტრე აღადგინა
იგი დ ჰრქუა მას: აღჰსდეგ; რა-
მეთუ მეცა თავადი კაცივე ვარ.
27. და იტყოდეს თანად, დ
შევიდა შინა, ჰპოვნა მუნ მრა-
ვალნი შემოკრებულნი.
28. და ჰრქუა მათ პეტრე:
თქუენ თჳთ უწყით, ვითარმედ
არა ჯერ-არს კაცისა ჰურიისა
მიახლებად წარმართთა ანუ შესლე-
ბად უცხო-თესლთა: დ მე მიჩუე-
ნა ღმერთმან, რათა არავინ კაცი
შევჰრაცხო ბილწად დ არაწმიდად.
29. ამისთჳს უცილობელად შე-
მოვედ თქუენდა, მოვედ რა, აწ
უკუე მაუწყეთ, რომლისა სიტყჳ-
სათჳს მომხადეთ მე?
30. ჰრქუა მას კორნილიოს:
მეოთხით-დღითგან ვიდრე აქა
ჟამადმდე ვიყავ მარხულ-ი, დ მეც-
ხრესა ჟამსა ვილოცვიდ რა სახლ-

სა შინა ჩემსა, ჲ აჰა ესერა, დაჰს-
დგა კაცი წინაშე ჩემსა სამოსლი-
თა ბრწყინვალითა,
31. და მრქჳა მე: კორნილიე!
შეისმეს ლოცჳანი შენნი, ჲ ქჳჱ-
ლის-საქმენი შენნი მოიხსენნეს
წინაშე ღმრთისა.
32. აწ მიავლინე შენ იოპედ
ჲ მოუწოდე სჳმონს, რომელსა
ჰრქჳან პეტრე; ამას ვანი დაუმს
სახლსა სჳმონის ვისმე მეპრატაკი-
სასა ზღჳს-კიდით კერძო, რომე-
ლი მოვიდეს ჲ გეტყოდეს შენ.
33. და მუნ თქჳჱნსვე წარმო-
ვავლინე შენდა, ჲ შენ კეთილად
ჰყავ, რამეთუ მოხჳჱდ. აწ ესერა,
ჩჳჱნ ყოველნი მოსრულ ვართ
წინაშე ღმრთისა, სმენად ყოველ-
სა ბრძანებულსა შენდა უფლისა
მიერ.
34. აღაღო პეტრე პირი თჳსი
ჲ ჰსთქჳა: ჭეშმარიტად ვიცი,
რამეთუ არა არს თჳალ-ღება
ღმრთისათანა;
35. არამედ ყოველთა შორის
თესლთა, რომელსა ეშინის მისსა
ჲ იქმს სიმართლესა სათნო მისსა
არს.
36. სიტყჳა იგი, რომელი
მოუვლინა ძეთა ისრაილისათა
მახარებელად მშჳდობისა იესო
ქრისტეს მიერ; ესე თავადი არს
უფალი ყოველთა.
37. თქჳჱნ თჳთ უწყით სიტ-
ყჳა იგი, რომელი იყო ყოველსა
ზედა ჰურიასტანსა, რომელმან
იგი იწყო გალილეათ შემდგომად
ნათლის-ცემისა, რომელსა იგი
ქადაგებდა იოანე;
38. იესოს ნაზარეველსა, რო-
მელსა იგი სცხო ღმერთმან სუ-
ლითა წმიდითა ჲ ძალითა, რო-
მელი იგი მოვიდა ქჳჱლის მოქ-
მედად ჲ განკურნებად ყოველთა
მიმძლავრებულთა ეშმაკისათა; რა-
მეთუ ღმერთი იყო მის თანა.
39. და ჩჳჱნ მოწამე ვართ
ყოველთათჳს, რომელნი ჰქმნნა
სოფელსა მას ჰურიასტანისასა ჲ
იერუსალიმს შინა, რომელიცა იგი
მოჰკლეს, დამოკიდებითა ძელსა
ზედა.
40. ესე ღმერთმან აღადგინა
მესამესა დღესა, ჲ მიჰსცა მას
განცხადებულება.
41. არა ყოვლისა ერისა,
არამედ მოწამეთა ამათ რჩეულთა
წინასწარვე ღმრთისა მიერ, ჩჳჱნ,
რომელნი მის თანა ვჰსჭამდით
ჲ ვჰსჳჱმდით, შემდგომად მკჳდრე-
თით აღდგომისა მისისა.
42. და მამცნო ჩჳჱნ ქადა-
გებად ერისა ჲ წამებად, რამეთუ
იგი თავადი არს განჩინებული
ღმრთისა მიერ მსაჯული ცხოველ-
თა ჲ მკჳდართა.
43. ამას ყოველნი წინასწარ-
მეტყჳჱლნი ეწამებიან მოტევე-
ბასა ცოდჳათასა, მოღებად სახე-
ლითა მისითა ყოველთა, რომელ-
თა რწმენეს მისა მიმართ.
44. და ვიდრე იგი იტყოდაღა
პეტრე სიტყჳათა ამათ, მოვიდა
სული წმიდა ჲ დაადგრა ყოველ-
თა ზედა.
45. რომელთა ესმოდა სიტ-
ყჳა იგი ჲ დაუკჳრდა წინა და-
ცჳჱთილებისაგანთა მორწმუნეთა,

რავდენნი იგი შევიდეს პეტრეს-
თანა, რამეთუ წარმართთაცა ზედა
ნიჭი იგი სულისა წმიდისა მიფე-
ნილ-არს:
46. რამეთუ ესმოდა მათი,
იტყოდეს რა ენათა ⁊ ადიდებდეს
ღმერთსა.
47. მაშინ მიუგო პეტრე ⁊
ჰრქუა: წყლისაგან ნურა ყენება
არსა არა ნათლის-ცემა ამათი,
რომელთა ესე სული წმიდა მიი-
ღეს, ვითარცა იგი ჩუჱნ?
48. და უბრძანა მათ ნათლის-
ღებად სახელითა იესო ქრისტესი-
თა. მაშინ ევედრნეს, რათა დაა-
დგრეს მათ თანა დღე რავდენმე.

თ ა ვ ი 11.

1. ხოლო ესმა მოციქულთა
მათ ⁊ ძმათა, რომელნი იყუნეს
ჰურიასტანს, ვითარმედ წარმართ-
თაცა შეიწყნარეს სიტყუა ღმრთისა.
2. და რაჟამს აღჴდა პეტრე
იერუსალიმად, ერიდებოდეს მას
წინა დაცუჱთილებისაგანნი ძმანი,
3. და იტყოდეს, ვითარმედ
კაცთა მიმართ წინა-დაუცუჱთელ-
თა შესუჱდ, ⁊ მათ თანა ჰსჭამე.
4. ხოლო პეტრე იწყო ⁊
მიუთხრა მათ შემდგომითი შემდ-
გომად ⁊ ჰრქუა:
5. მე ვიყავ ქალაქსა შინა
იოპესა ⁊ ვილოცევდ რა, ვიხილე
განკჳრვებასა ჩემსა ჩუჱნება, რამე-
თუ გარდამოვიდოდა ჭურჭელი რა-
ჲმე, ვითარცა ტილო დიდი ოთხთა-
გან კიდეთა დამოკიდებული ზე-
ცით, ⁊ მოვიდა ვიდრე ჩემდამდე.
6. რომელსა მივხედენ ⁊ გან-
ვიცდიდი, ⁊ ვიხილე მას შინა
ოთხ-ფერკი ქუჱყანისა, ⁊ მჴეცნი
⁊ ქუჱ-წარმავალნი ⁊ მფრინველნი
ცისანი.
7. და მესმა ჴმა, რომელი
მეტყოდა მე: აღჰსდეგ, პეტრე, დაჰ-
კალ ⁊ ჰსჭამე.
8. და მე ვსთქუ: ნუ იყოფინ
უფალო, რამეთუ ბილწი რაჲმე
გინა არა წმიდა არა სადა შესრულ-
არს პირსა ჩემსა.
9. მომიგო მე ჴმამან მან მე-
ორედ ზეცით: რომელი ღმერთ-
მან წმიდა-ჰყო, შენ ნუ ბილწ
გიჩნს.
10. ესე იყო სამ გზის, ⁊
კუალად ამაღლდა ყოველი იგი
ზეცად.
11. და აჰა, მუნ თქუჱსვე: სამ-
ნი კაცნი მოიწინეს ბჭეთა მის
სახლისათა, რომელსა იგი შინა
ვიყავ, მოვლინებულნი ჩემდა კეს-
რიით.
12. და მრქუა მე სულმან
წმიდამან მისლვად მათთანა ⁊
არა რას ორგულებად. მოვიდეს
ჩემთანა ექუსნიცა ესე ძმანი, ⁊
შევედით სახლსა მის კაცისასა.
13. და მითხრა ჩუჱნ, ვითარ
იგი იხილა ანგელოზი ღმრთისა
სახლსა შინა თჳსსა მდგომარე,
რომელმან ჰრქუა მას: მიავლინე
იოპედ ⁊ მოიყუანე შენ სჳმონ,
რომელსა ჰრქჳან პეტრე.
14. რომელმან იგი გრქუნეს
შენ სიტყუანი, რომლითა ჰსცხონ-
დე შენ ⁊ ყოველი სახლი შენი.
15. და ვითარცა ვიწყე მე სიტ-

ყჳად; მოვიდა სული წმიდა მათ ზედა, ვითარცა იგი ჩჳჱნ ზედა პირველად.

16. და მომესსენა მე სიტყჳსა უფლისა, რომელ ჰსთქჳა, ვითარმედ იოანე ნათელ-ჰსცემდა წყლითა, ხოლო თქჳჱნ ნათელ-იღეთ სულითა წმიდითა.

17. აწ, უკეთუ სწორი ნიჭი მისცა მათ ღმერთმან, ვითარცა ჩჳჱნ, რომელთა ესე გჳრწმენა უფალი იესო ქრისტე; მე რა მალმედჳა უენებად ღმრთისა?

18. ვითარცა ესმა ესე, დაჰსდუმნეს და ადიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს: უკეთუ ნამდჳლვე წარმართთაცა მისცა ღმერთმან სინანული იგი ცხოვრებისა.

19. და რომელნი იგი მიმოდაიბნინეს მოციქულნი ჭირისა მისგან, რომელი იყო სტეფანეს ზედა, მივიდეს-ვე ფინიკედმდე და კჳპრედ და ანტიოქიად, არა რას ვის ეტყოდეს სიტყჳასა, გარნა ჰურიათა მათ ხოლო.

20. ხოლო იყჳნეს ვინმე მათგანნი კაცნი კჳპრელნი და კჳრინელნი, რომელნი შევიდეს ანტიოქიად, იტყოდეს ბერძულ-მეტყჳჱლთა მათ მიმართ და ახარებდეს უფალსა იესოს.

21. და იყო ჴელი უფლისა მათ თანა განკჳრნებად, და მრავალსა რიცხჳსა ჰრწმენა და მოიქცეს უფლისა.

22. ესმა სიტყჳა ესე ყურთა კრებულისათა, რომელნი იყჳნეს იერუსალიმს მათ თჳს, და მიავლინეს ბარნაბა, რათა განვიდეს ვიდრე ანტიოქიადმდე.

23. რომელი იგი მოვიდა და იხილა მადლი იგი ღმრთისა და განიხარა, და ლოცვიდა ყოველთა გულსმოდგინებითა გულისათა, დადგრომად უფლისა მიმართ.

24. რამეთუ იყო კაცი იგი სახიერ და სავსე სულითა წმიდითა და სარწმუნოებითა. და შეემინა ერი მრავალი უფალსა.

25. და გამოვიდა ბარნაბა ტარსუნად მოძიებად სავლესა, და ჰპოვა და მოიყჳანა ანტიოქიად.

26. და იყო მათი წელიწადი ერთ შეკრება ეკკლესიად, და სწავლად ერისა მრავლისა; და წოდებად პირველად ანტიოქიას შინა მოწაფეთა მათ ქრისტიანედ.

27. ამათ დღეთა შინა გამოვიდეს იერუსალიმით წინასწარმეტყჳჱლნი ანტიოქიად.

28. და აღჰსდგა ერთი მათგანი, რომელსა სახელი ერქჳა აგაბოს, რომელი იგი აუწყებდა სულითა წმიდითა, ვითარმედ სიყმილი დიდი ყოფად არს ყოველსა ზედა სოფელსა, რომელი იგი იყო დღეთა მათ კლავდის კეისრისათა.

29. ხოლო მოწაფეთა მათ, ვითარცა ჴელ-რა-ვის-ეწიფებოდა, ბრძანეს თჳთოეულმან მათმან, სამსახურებელად მიმღჳანებად ძმათა მათ, რომელნი იგი მყოფ იყჳნეს ჰურიასტანს.

30. რომელიცა იგი ჰყჳჱს და წარუმღჳანეს ხუცესთა მათ მი-

*

მართ, ჴელითა ბარნაბასითა და სავლესითა.

## თ ა ვ ი 12.

1. მას ჟამსა შინა, ჴელი მიჰყო ჰიროდი მეფემან ძჳრის-ყოფად რომელთამე ეკკლესიისაგანთა.

2. და მოკლა იაკობ, ძმა იოანესი მახჳლითა.

3. და ვითარცა იხილა, რამეთუ სათნო-უჩნდა ჰურიათა მათ, შეჰსძინა შეპყრობაჲ პეტრესიცა. ხოლო იყჳნეს დღენი იგი უცომობისანი.

4. და შეაიპყრა იგი, შესჳა საპყრობილესა, და მისცა იგი ოთხთა ოთხეულთა ერისაგანთა ცჳად, ესრეთ ეგულებოდა, რათა შემდგომად ზატიკისა აღიყჳანოს იგი და მიჰსცეს ერსა მას.

5. და პეტრე ცჳლ-იყო საპყრობილესა მას შინა; ხოლო ლოცჳა გულს-მოდგინედ იყოფოდა ეკკლესიათა მიერ ღმრთისა მიმართ მისთჳს.

6. რაჟამს უკჳე ეგულებოდა ჰიროდის გამოყჳანებად და მიცემად ჴელთა მათთა, მას ღამესა ემინა პეტრეს შორის ორთა ერისაგანთა, შეკრულსა ჯაჭჳთა მრჩობლითა, და კჳმილნი იგი წინაშე კართა სცჳდეს საპყრობილესა მას.

7. და აჰა ანგელოსი უფლისა ზედა-მოადგა, და ნათელი გამობრწყინდა სახლსა მას შინა; და ჰსცა გჳერდსა პეტრესსა და განაღჳძა იგი, და ჰრქჳა მას: აღჰსდეგ ადრე. დაჰსცჳვნეს ჯაჭჳნი იგი ჴელთაგან მისთა.

8. ჰრქჳა მას ანგელოსმან მან: მოირტყ და შეისხენ სანდალნი შენნი. და მან ჰყო ეგრე. და ჰრქჳა მას: შეიმოსე სამოსელი შენი და შემომიდეგ მე.

9. და განვიდა და შეუდგა მას, და არა უწყოდა, ვითარმედ ჭეშმარიტ არს, რომელი იგი იყო ანგელოსისა მისგან, ეგრე ჰგონებდა, ჩჳენებასა იხილავს.

10. და ვითარ განვლეს მათ პირველი საკმილავი და მეორე, მიიწინეს იგინი ბჭეთა მათ რკინისათა, რომელი შევიდოდა ქალაქად, რომელიცა იგი თჳთ განეღო მათ; და ვითარცა განვლეს იგი, წარვლეს უბანი ერთი, და მეყჳსეულად განეშორა მისგან ანგელოსი იგი.

11. და პეტრე მოეგო გონებასა თჳსსა და ჰსთქჳა: აწ უწყი ჭეშმარიტად, რამეთუ მოავლინა ღმერთმან ანგელოსი თჳსი, და განმარინა მე ჴელთაგან ჰიროდისთა და ყოვლისაგან მოლოდებისა ერისა მის ჰურიათასა.

12. გულსა მოეგონა და მოვიდა სახლსა მარიამისსა, დედისა მის იოანესსა, რომელსა ერქჳა მარკოს, სადა იგი იყჳნეს მრავალნი შეკრებულ და ილოცჳდეს.

13. და ვითარცა ჰრეკა პეტრე კარსა ბჭისასა; გამოვიდა მხევალი ერთი სმენად, რომელსა სახელი ერქჳა როდი;

14. და ვითარცა იცნა ხმა იგი

პეტრესი, სიხარულიით არა განუ-
ღო მას კარი, არამედ შინა შერ-
ბიოდა და უთხრა, ვითარმედ პეტ-
რე კართა ზედა ჰსდგას.
15. ხოლო მათ ჰრქუჱს მას:
ჰბორგ? და იგი დაამტკიცებდა,
ვითარმედ ესრეთ არს. ხოლო
იგინი იტყოდეს, ანგელოსი მი-
სი არს.
16. და პეტრე ჰრეკდა კარსა
მას ზედას ზედა. ხოლო განრაუ-
ღეს, იხილეს იგი და განჰკრთეს.
17. მან ჴელი განუყარა მათ,
რათა დადუმნენ, და მიუთხრა მათ,
ვითარ იგი უფალმან გამოიყუანა
საპყრობილით; და ამცნო: უთხართ
ესე იაკობს და ძმათა ყოველთა.
და განვიდა და წარვიდა სხუასა ად-
გილსა.
18. და ვითარცა განთენა, არა
მცირედი შეზრუნება იყო ერის-
კაცთა მათ, ვითარმედ რაჲმე იქმ-
ნა პეტრე.
19. და იროდი ეძიებდა მას
და არა ჰპოვა, მაშინ განიკითხნა
მცუჱლნი იგი, და ბრძანა მოკლუაჲ
მათი. და მოვიდა მიერ ჰურიას-
ტანით და კესარიას იქცეოდა.
20. ხოლო იყო იროდი გულ-
მწყრალ ტჳრელთა და სიდონელთა
თჳს; და იგინი მოსრულ-იყუნეს
ერთბამად მისა, და ქუჱლის-მეტ-
ყუჱლ-იყოფოდეს ბლასტოსს,
რომელი იყო სასუჱნებელსა ზე-
და მეფისასა და ითხოვდეს მშჳ-
დობასა, რამეთუ ქუჱყანა იგი მა-
თი იზარდებოდა სამეფოჲსაგან
მისისა.
21. და დღესა ერთსა დაწე-
სებულსა, იროდი შეიმოსა სამო-
სელი სამეფოჲ და დაჰსჯდა საყდარ-
თა ზედა და ზრახჳდა მათდა მი-
მართ.
22. და ერი იგი ღაღადებდა:
ღმრთისა ჴმა არს და არა კაცისა.
23. და მეყუსეულად ჰსცა მას
ანგელოსმან უფლისამან ამისთჳს,
რამეთუ არა მისცა დიდებაჲ
ღმერთსა; და იქმნა იგი მატლთა
შესაჭმელ და სულნი წარჰსდეს,
24. და სიტყუა იგი ღმრთი-
სა აღორძნდებოდა და განმრავლ-
დებოდა.
25. ბარნაბა და სავლე მიიქცეს
იერუსალიმით ანტიოქიადვე, ვი-
თარ იგი აღასრულეს მსახურებაჲ
მათი, თანა წარიყუანეს იოანეცა,
რომელსა წოდებულ-იყო მარკოს.

## თ ა ვ ი 13.

1. იყუნეს ვინმე ანტიოქიას
შინა, მსგავსად კრებულისა მის
წინასწარ-მეტყუჱლნი და მოძღვარ-
ნი: ბარნაბა და სჳმეონ, რომელ-
სა იგი ერქუა ნიგერ, და ლუკიოს
კჳრინელი, და მანაინ, რომელი
იგი იყო ძუძუს-მტე იროდი მე-
ფისა, და სავლე.
2. და ვიდრე იგი ჰმსახურებ-
დეს უფალსა და იმარხჳდეს, ჰრქუა
მათ სულმან წმიდამან: გამომირ-
ჩიენით მე ბარნაბა და სავლე საქ-
მესა, რომელსა მე უწოდ მათ.
3. მაშინ იმარხეს და ილოცეს,
და დასხნეს მათ ზედა ჴელნი მათ-
ნი და განუტევნეს.
4. ესენი უკუჱ, ვითარცა წა-

რიგზავნნეს სულისა მიერ წმი-
დისა, შთავიდეს სელევკიად, და
მიერ ნავითა წიაღვლდეს კჳპრედ.
5. და შერავიდეს სალმინად,
უთხრობდეს სიტყუასა მას ღმრთი-
სასა შესაკრებელსა მას შორის
ჰურიათასა; თანა-ჰყუანდა იოანეცა
მსახურად.
6. და ვითარცა მოვლეს ყო-
ველი იგი ჭალაკი, ვიდრე პაფო-
მდე, ჰპოვეს კაცი ვინმე მოგუ,
ცრუ-წინასწარ-მეტყუჱლი, ჰური-
აჲ, რომლისა სახელი ბარიისუ,
7. რომელი იგი იყო მთავ-
რისა მის ანტჳპატისა თანა სერ-
გისა პავლესსა, კაცისა გონიე-
რისა. ამან მოუწოდა ბარნაბას და
სავლეს, და ეძიებდა მათგან სმე-
ნად სიტყუასა ღმრთისასა.
8. ხოლო უხდებოდა მათ ელჳ-
მას მოგუ იგი, რამეთუ ესრეთ
გამოითარგმანების სახელი მისი, და
ეძიებდა გარდაქცევასა ანთჳპატის-
სა სარწმუნოებისაგან.
9. ხოლო სავლე, რომელ-არს
პავლე, აღივსო სულითა წმიდი-
თა, მიხედა მას,
10. და ჰრქუა: ჵი სავსეო
ყოვლითა ზაკჳთა და ყოვლითა
მანკიერებითა, შჳლო ეშმაკისაო
და მტერო ყოვლისა სიმართლი-
საო! არა დასცხრეა გარდაქცევად
გზათა მათ უფლისათა წრფელთა?
11. და აწ ესერა კელი უფ-
ლისა შენ ზედა: და იყო შენ ბრმა,
და ვერ ჰხედჳდე მზესა ვიდრე ჟა-
მადმდე. და მეყუსეულად დაეცა
მის ზედა არმური და ბნელი, და მიმო
ვიდოდა და ეძიებდა მოძღუარსა.
12. მაშინ, ვითარცა იხილა
ანთჳპატმან მან რა იგი იქმნა,
ჰრწმენა, განკჳრვებულსა მოძღუ-
რებასა ზედა უფლისასა.
13. წარრავიდეს პაფოჲთ, პა-
ვლე და მისთანანი იგი წიაღჰკდეს
პერგედ პამფილიაჲსა. ხოლო იო-
ანე განეშორა მათგან და მიიქცა
მუნვე იერუსალიმად.
14. და იგინი, განვიდეს პერ-
გით და მივიდეს ანტიოქიად პი-
სიდიისა, და შევიდეს შესაკრებელ-
სა მათსა დღესა შაბათსა, და დაჰ-
სხდეს.
15. და ვითარცა აღმოიკით-
ხეს ჰსჯული და წინასწარ-მეტყუჱ-
ლნი, მიავლინნეს მათდა შესაკრე-
ბელისა-მთავართა მათ და ჰრქუჱს:
კაცნო ძმანო! უკეთუ არს თქუჱნ-
თანა სიტყუა ნუგეშინის-ცემისა
ერისა ამის მომართ, იტყოდეთ.
16. და აღჰსდგა პავლე და გა-
ნუყარა კელი, რათა დადუმნენ და
ჰსთქუა: კაცნო ისრაიტელნო და
რომელნი მოშიშნი ღმრთისანო
ხართ! ისმინეთ.
17. ღმერთმან ამის ერისამან
გამოირჩინა მამანი ჩუჱნნი და ერი
იგი აღამაღლა, ჟამსა მას მწირო-
ბისასა ქუჱყანასა მას ეგჳპტისასა,
და მკლავითა მაღლითა გამოიყუან-
ნა იგინი მიერ;
18. და ჰზრდიდა მათ უდაბ-
ნოსა ზედა ორმეოცისა წლისა
ჟამთა.
19. და დაარღჳნა ნათესავნი
შჳდნი ქუჱყანასა მას ქანანისასა,
და დაუმკჳდრა მათ ქუჱყანა იგი
მათი.

20. და შემდგომად ამისა, ვითარ ოთხას-ერგასის-წელ ოდენ, მოსცა მათ მსაჯულები მიდღედმდე სამოელ წინასწარ-მეტყუელისა.

21. მიერითგან ითხოვეს მეფე, და მოჰსცა მათ ღმერთმან საულ, ძე კისისი, კაცი ნათესავისაგან ბენიამენისა, ორმეოც წელ.

22. და ვითარცა გარდაიცუალა იგი, აღუდგინა მათ დავით მეფედ, რომელსა იგი თავადი ეწამა და ჰსთქუა: ვჰპოვე დავით, ძე იესესი, კაცი გულითადი ჩემი, რომელმან ჰყოს ყოველი ნება ჩემი.

23. მისისა მის ნათესავისაგან ღმერთმან, აღთქუმისა მისებრ აღუდგინა ისრაილსა მჴსნელი იესო.

24. რომელსა წინასწარ ქადაგებდა იოანე, წინაშე პირსა შემოსლვისა მისისასა, ნათლის-ღებასა სინანულისასა ყოვლისა მიმართ ერისა ისრაილისა.

25. ვითარცა აღასრულებდა იოანე სრბასა თჳსსა, იტყოდა: ვინ იგი გგონიე მე ყოფად? მე არა იგი ვარ; არამედ ესე რა მოვალს შემდგომად ჩემსა, რომლისა იგი არა ვარ ღირს განჴსნად ჴამლთა ფერჴთა მისთასა.

26. კაცნო ძმანო, და ძენო ნათესავისა მის აბრაამისნო, და თქუენ შორის, რომელთა ეშინის ღმრთისა! თქუენთჳს სიტყუა იგი ცხოვრებისა მოივლინა.

27. რამეთუ რომელნი იგი მკჳდრ-არიან იერუსალიმს შინა და მთავარნი იგი მათნი, ამას უმეცარ იქმნნეს, და ჴმათა მათ წინასწარ-მეტყუელთასა, რომელნი იგი ყოველთა შაბათთა აღმოიკითხვოდეს საჯეს და აღასრულეს.

28. და არცა ერთი ბრალი სიკუდილისა უპოვეს, და მოითხოვეს პილატესგან მოკლვად იგი.

29. და ვითარ იგი აღასრულეს, ყოველივე, რომელი მისთჳს წერილ-იყო, გარდამოჰსხნეს იგი ძელისაგან და დასდვეს საფლავსა.

30. ხოლო ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით.

31. რომელი იგი ეჩუენა დღეთა მრავალთა მათ, რომელნი იგი მისთანა აღმოსრულ იყვნეს გალილეათ იერუსალიმად, რომელნი იგი აწ არიან მოწამე მისა ერისა მიმართ.

32. და ჩუენ თქუენ გახარებთ, მამათა მიმართ თქმულსა მას აღთქუმასა, რამეთუ ესე ღმერთმან აღუსრულა შვილთა მათთა, და ჩუენ აღგჳადგინა იესო.

33. ვითარცა ფსალმუნსა მეორესა წერილ-არს, ვითარმედ ძე ჩემი ხარი შენ; და მე დღეს მიშობიე შენ.

34. ხოლო რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით და არღარა ეგულებოდა მიქცევა განსახრწნელად, ესრეთ ჰსთქუა, ვითარმედ მიგცე თქუენ წმიდა იგი დავითისი, სარწმუნოჲ.

35. რომლისათჳს სხუასაცა ადგილსა იტყჳს: არა ჰსცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელი.

36. რამეთუ დავით, ნათესავსა

შინა თჳსსა ჰმსახურა და ნებითა ღმრთისათა შეისუჱნა, და შეეძინა მამათა თჳსთა, და იხილა განსახრწნელი.

37. ხოლო რომელი იგი ღმერთმან აღადგინა, არა იხილა განსახრწნელი.

38. უწყებულ უკუჱ იყავნ ესე თქუჱნდა, კაცნო ძმანო, რამეთუ ამის მიმართ ჩუჱნ მოტევებაჲ ცოდუათა გვეხარების;

39. და ყოველთა მათგან, რომელთაგანთა ვერ უძლეთ ჰსჯულითა მით მოსესითა, განმართლებად. ამის მიერ ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს განმართლდების.

40. იხილე, ნუ უკუჱ მოიწიოს თქუჱნ ზედა თქმული იგი წინასწარ-მეტყუჱლთა შინა, ვითარმედ:

41. იხილეთ, შეურაცხის მყოფელთა მაგათ და გიკჳრდინ და განირყუჱნით, რამეთუ საქმესა ვიქმ დღეთა თქუჱნთა, საქმესა, რომელ იგი არა გრწმენეს, უკეთუ ვინმე გითხრას თქუჱნ.

42. და ვითარცა ეგულებოდა მათ განსლუაჲ შესაკრებელისაგან ჰურიათასა, ჰლოცჳდეს მათ წარმართნი და ევედრებოდეს მერმესაცა შაბათსა თხრობად მათდა სიტყუათა მათ.

43. და ვითარცა განუტევეს კრებული იგი, მიჰსდევდეს მათ მრავალნი ჰურიათაგანნი და მორწმუნეთა მათ მწირთაგანნი პავლეს და ბარნაბას, ხოლო იგინი ეტყოდეს მათ და არწმუნებდეს მტკიცედ დადგრომად მადლსა მას ზედა ღმრთისასა.

44. და მერმესა მას შაბათსა კნინღა და ყოველი იგი ქალაქი შეჰკრბა სმენად სიტყუასა მას უფლისასა.

45. ხოლო იხილეს რა ჰურიათა მათ ეგოდენი იგი ერი, აღივსნეს შურითა, და მხდომად აღუდგეს სიტყუათა მათ პავლესთა და ჰგმობდეს მათ.

46. განეცხადნეს ბარნაბა და პავლე და ჰსთქუჱს: თქუჱნდა ჯერ-იყო პირველად ჰრქმად სიტყუა ესე ღმრთისა; ხოლო ვინადგან განიშორებთ მას, და არა ღირსად გიჰსჯიან თავნი თჳსნი ცხოვრებასა საუკუნესა; აჰა ესერა, მივიქცევით წარმართთა მიმართ.

47. რამეთუ ესრეთ მამცნო ჩუჱნ უფალმან, ვითარმედ დაგადგინე შენ ნათლად წარმართთა, რათა ეყო მაცხოვრად კიდით-კიდედმდე ქუჱყანისა.

48. ესერა ესმოდა წარმართთა, უხაროდა და ადიდებდეს სიტყუასა მას უფლისასა და ჰრწმენა რავდენნიცა იყუნეს დაწესებულ ცხოვრებასა საუკუნესა.

49. და მიმოეფინებოდა სიტყუა იგი უფლისა ყოველსა მას სოფელსა.

50. ხოლო ჰურიათა მათ განარისხნეს მსახურნი იგი დედანი, აზნაურნი და მთავარნი მის ქალაქისანი და აღადგინეს დევნაჲ პავლეს და ბარნაბას ზედა, და განჰსდევნეს იგინი საზღურით მათით.

51. ხოლო მათ, განიყარეს

მტჳერი ფერჴთა მათთა მათ ზედა და მივიდეს იკონიად.

52. და მოწაფენი იგი აღივსებოდეს მადლითა და სულითა წმიდითა.

## თავი 14.

1. იყო იკონიას შინა მსგავსად წესისა შესლჳასა მათსა შესაკრებელსა ჰურიათასა, და სიტყჳად ესრეთ, ვიდრე რწმუნებადმდე ჰურიათა და წარმართთა, მრავალსა სიმრავლესა.

2. ხოლო რომელნი ურწმუნონი ჰურიანი იყჳნეს, აღაზრზინეს და განაბოროტნეს სულნი წარმართთა მმათა ზედა.

3. მრავალ-ჟამ იქცეოდეს იგინი განცხადებულად უფლისა მიმართ, რომელი ეწამებოდა მათ სიტყჳთა მით მადლისა მისისათა, და მოჰსცემდა სასწაულებსა და ნიშებსა ყოფად ჴელითა მათითა.

4. მაშინ განიწჳალა სიმრავლე იგი მის ქალაქისა; და რომელნიმე იყჳნეს ჰურიათა თანა, და რომელნიმე მოციქულთა თანა.

5. და ვითარ შეითქჳნეს ჰურიანი და წარმართნი მთავრებით მათითურთ, ზედა მისლჳად და გინებად და ქჳსა-დაკრებად მათდა;

6. განეშორნეს და მივლტოდეს ქალაქებსა ლუკაონისასა, ლუსტრად და დერბედ, და გარემოსოფლებსა;

7. და მუნ იყოფოდეს და ახარებდეს.

8. და კაცი ვინმე იყო ლუსტრას შინა, უძლური ორითავე ფერჴითა, და დაჰსჯდა მკელობელი დედის-მუცლით მისითგან, რომელსა არა სადა ევლო.

9. ამას ესმნეს სიტყჳანი პავლესნი, იტყოდა რა, ვითარ მიჰხედა მას პავლე და იხილა, რამეთუ აქჳნდა სარწმუნოებაჲ საცხოვრებელად მისა.

10. ჰრქჳა მას დიდითა ჴმითა: შენ გეტყჳ სახელითა იესო ქრისტესითა: აღჰსდეგ ფერჴთა შენთა ზედა მართლ; და ახლდნა, და იწყო სლჳად.

11. ხოლო ერმან მან იხილა რა, რომელი იგი ჰქმნა პავლე, აღიმაღლეს ჴმა მათი ჴმითა მით ლუკაონებრითა და იტყოდეს: ღმერთნი მსგავსებულ-არიან კაცთა და გარდამოსრულ-არიან ჩჳენდა.

12. და ხადოდეს ბარნაბას დიოს კერპით, და პავლეს ერმით, რამეთუ პავლე იყო წინამძღჳარ სიტყჳსა მის.

13. ხოლო მღჳდელმან მან დიოს კერპისამან, რამეთუ იყო იგი მთავარი მის ქალაქისა, კუროები და გჳრგჳნები ბჭეთა ზედა ქალაქისათა მოიღო ერისა მის თანა, და ეგულებოდა ზორვად.

14. ესმა რა ესე მოციქულთა ბარნაბას და პავლეს, დაიპეს სამოსელი მათი და შეჰხდეს ერსა მას შორის, ღაღადებდეს და იტყოდეს:

15. კაცნო! რასა იქმთ ამას? რამეთუ ჩჳენცა კ ცნივე ვართ მჰსგავსნი თქჳენნი, და გახარებთ თქჳენ, რათა ამაოებათა ამათგან

მოიქცეთ ღმრთისა ცხოველისა,
რომელმან ჰქმნა ცაჲ და ქჳეყანა,
ზღჳაჲ, და ყოველი, რა არს მათ
შინა.
16. რომელმან იგი წარსრულ-
თა მათ ნათესავთა, მიუშჳა ყო-
ველსა მას თესლებსა სლჳად გზა-
თა ნებისა მათისათა.
17. და არავე უწამებელად დაუ-
ტევა ქჳელის-მოქმედება იგი მი-
სი ზეცით გარდამო, მოცემად
თქჳენდა წჳმა და ჟამნი ნაყოფისა
გამომღებელნი, განმღებად საზ-
რდელითა და სიხარულითა გულთა
თქჳენთა.
18. და ესერა წარჰსთქჳს,
ძნიად დააცხრვეს ერი იგი არა
ზორვად მათდა.
19. მოიწინეს ანტიოქიაჲთ და
იკონიად ჰურიანი, და ვიდრე იგი
ეტყოდეს მათ განცხადებულად,
არწმუნეს ერსა მას განშორებად
მათგან, რამეთუ იტყოდეს, ვი-
თარმედ არა-რას ჭეშმარიტსა იტ-
ყჳნ, არამედ ყოველსა ტყუიან;
და ქჳა დაჰკრიბეს პავლეს და განი-
თრიეს იგი გარეშე ქალაქსა მას,
ეგრე ჰგონებდეს, ვითარმედ მომ-
კჳდარ-არს იგი.
20. და ვითარ იგი შემოკრბეს
და გარე მოადგეს მოწაფენი; აღჰს-
დგა და შევიდა ქალაქად.
21. ხოლო ხვალისაგან გამო-
ვიდა ბარნაბას თანა და მივიდეს
დერბედ; და ახარებდეს ქალაქსა მას
და დაიმოწაფნეს მრავალნი, და
მივიდეს ლუსტრად და იკონიად
და ანტიოქიად,
22. და განამტკიცებდეს სულ-
სა მოწაფეთასა და ჰლოცჳდეს მათ,
რათა მტკიცედ ჰსდგენ სარწმუ-
ნოებასა ზედა, და ვითარმედ მრა-
ვლითა ჭირითა ჯერ-არს ჩჳენდა
შესლჳად სასუფეველსა ღმრთი-
სასა.
23. და უკურთხნეს მათ ეკკლე-
სიად ხუცესნი, და ლოცჳთა და
მარხჳთა შევედრნეს იგინი უფალ-
სა, რომლისა მიმართ ჰრწმენა.
24. და განვლეს რა პისიდია,
მოვიდეს პამფილიად.
25. და იტყოდეს პერგეს შინა
სიტყჳსა მას ღმრთისასა, და შთა-
ვიდეს ატალიად;
26. და მიერ ნავითა მივიდეს
ანტიოქიად, ვინაცა იგი შევედრე-
ბულ-იყჳნეს მადლითა ღმრთისათა
საქმესა მას, რომელიცა აღასრუ-
ლეს.
27. და მოსავიდეს, შეჰკრიბეს
კრებული იგი და უთხრეს მათ,
რავდენი ჰყო ღმერთმან მათ თანა
და რამეთუ განუღო წარმართთა კარი
სარწმუნოებისა.
28. და მუნ იქცეოდეს ჟამთა
არა მცირედთა მოწაფეთა მათ თანა.

## თ ა ვ ი 15.

1. და გარდამოვინმე-ვიდეს
ჰურიასტანით და ასწავებდეს მმა-
თა, ვითარმედ არათუ წინადაი-
ცჳთო ჰსჯულითა მოსესითა, ვერ
მალ-გიძს ცხოვრებად.
2. და ვითარ იგი იყო კდომა
და გამოძიება არა მცირედი პავ-
ლესი და ბარნაბასი მათდა მიმართ;
ჰბრძანეს აღსლჳაჲ პავლესი და
ბარნაბასი, და სხჳათა ვიეთმე მათ-

განთა მოციქულთა მიმართ და ხუცესთა იერუსალიმად, ამის ცილობისათჳს.

3. და იგინი წარმოჰგზავნნეს კრებულისა მისგან და განვლიდეს ფინიკესა და სამარიასა, მიუთხრობდეს მათ მოქცევასა წარმართთასა; და ჰყოფდეს სიხარულსა დიდსა ყოველთა შორის ძმათა.

4. და მოვიდეს იერუსალიმად, შეწყნარებულ-იქმნეს კრებულისა მისგან და მოციქულთა და ხუცესთა, და მიუთხრეს მათ, რავდენი რა ღმერთმან ჰყო მათ თანა, და რამეთუ განუღო წარმართთა კარი სარწმუნოებისა.

5. აღვინმე ჰსდგეს დასისა მისგან ფარისეველთასა მორწმუნენი და იტყოდეს, ვითარმედ ჯერ-არს წინა დაცუეთად მათდა, და მცნებად, რათა დაიმარხონ ჰსჯული მოსესი.

6. შეჰკრბეს მოციქულნი და ხუცესნი ხილუად სიტყჳსა ამისთჳს.

7. და ვითარ იყო მრავალი გამოძიებაჲ, აღჰსდგა პეტრე და ჰრქუა მათ: კაცნო ძმანო! თქუენ უწყით, რამეთუ პირველით დღითგან თქუენ შორის გამოირჩია ღმერთმან პირითა ჩემითა სმენად წარმართთა სიტყუა იგი სახარებისა და რწმუნებად.

8. და გულთ-მეცნიერი ღმერთი ეწამა მათ და მისცა მათ სული წმიდა, ვითარცა იგი ჩუენ.

9. და არა რა განიკითხა შორის ჩუენსა და მათსა, და სარწმუნოებითა განჰსწმიდნა გულნი მათნი.

10. აწ უკუე რასათჳს გამოჰსცდით ღმერთსა, დადებად უღლისა ქედსა ზედა მოწაფეთასა, რომელსა იგი ვერცა მამათა ჩუენთა, ვერცა ჩუენ შეუძლოთ ტჳრთუად?

11. არამედ მადლითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა გურწამს ჩუენ ცხოვრება, ვითარცა სახედ იგი მათ.

12. და დადუმნა ყოველი იგი სიმრავლე, და ისმენდეს ბარნაბასსა მას და პავლესსა მითხრობასა, რავდენი ჰქმნა ღმერთმან ნიშები და სასწაულები წარმართთა შორის მათ მიერ.

13. და შემდგომად დადუმებისა მათისა, მიუგო იაკობ და ჰრქუა: კაცნო ძმანო! ისმინეთ ჩემი.

14. სჳმეონ მიგითხრა, ვითარ იგი ღმერთმან მოჰხედნა პირველად მიყვანებად წარმართთაგან ერი სახელისა თჳს მისისა.

15. და ამას შეეტყუებიან სიტყუანი იგი წინასწარმეტყუელთანი, ვითარცა წერილ-არს;

16. ვითარმედ ამისა შემდგომად მოვაქციო და აღვაშენო კარავი იგი დავითისა დაცემული, და დამკობილი იგი მისი აღვმართო, და აღვაშენო;

17. რათა გამოიძიონ ნეშტთა კაცთა უფალი და ყოველთა წარმართთა, რომელთა ზედა წოდებულ-არს სახელი ჩემი მათ ზედა, ჰსთქუა უფალმან.

18. რომელმან ჰქმნა ესე ყოველი საცნაური, საუკუნითგან

არიან ღმრთისა მიერ ყოველნი
საქმენი მისნი.
19. ამისთჳს მე ესრეთ ვჰსჯი
და ჯერ-მიჩნს, რომელნი წარმართ-
თაგანნი მოქცეულ-არიან ღმრთისა
მიმართ, რათა არა ვაურვებდეთ
მათ;
20. არამედ მიწერად მათდა,
რათა განეყუჱნნენ იგინი ჭამად
ნაზორევისაგან კერპთასა, და სიძჳ-
საგან დამშთჳარისა და სისხლისა,
და რათა რაოდენი მათ არა უნებს,
რათამცა ეყო იგინი სხჳსასა, ნუ
უყოფენ.
21. რამეთუ მოსეს პირველთა
ნათესავთაგან ქალაქად ქალაქად ქა-
დაგნი იგი მისნი დაედგინნეს,
რომელნი იგი ამას აღმოიკითხჳ-
დეს ყოველთა შაბათთა შესაკრე-
ბელთა მათთა შორის.
22. მაშინ ჯერ-იჩინეს მოცი-
ქულთა და ხუცესთა ყოვლითურთ
კრებულით და გამოირჩინეს კაც-
ნი მათგანნი მივლინებად ანტიო-
ქიად პავლეს და ბარნაბას თანა,
იუდა, რომელსა ეწოდა ბარსაბა,
და შილა, კაცნი შერაცხილნი ძმა-
თა შორის,
23. და დაჰსწერეს ჴელითა
მათითა ესრეთ: მოციქულნი და
ხუცესნი და ძმანი, რომელნი ეგე
ანტიოქიათ და ასურეთით და კილი-
კიათ ჴერძო ძმანი ხართ წარმართ-
თაგანნი: გიკითხავთ, გიხარო-
დენ!
24. ვინადგან გუჱსმა ჩუჱნ,
რამეთუ ჩუჱნგანნი ვინმე განვი-
დეს, და აღგძრნეს თქუჱნ სიტ-
ყჳთა, და აღაშფოთებდეს სულთა
თქუჱნთა და გეტყოდეს წინა-დაც-
უჱთად და დამარხუად ჰსჯულსა,
რომელთადა ჩუჱნ არა გუჱმ-
ცნო.
25. აწ უკუჱ ჯერ-გვიჩნდა
კრებულსა ყოველსა ერთბამად გა-
მორჩევად კაცთა მაგათ, და მივ-
ლინებად თქუჱნდა პავლეს თანა
და ბარნაბას თანა საყუარელთა
ჩუჱნთა,
26. კაცთა, რომელთა იგი
სულნი თჳსნი მიჰსცნეს სახელი-
სა თჳს უფლისა ჩუჱნისა იესო
ქრისტესა.
27. წარმო-უკუჱ-გვივლინები-
ან იუდა და შილა და მათცა სიტ-
ყჳთ გითხრან ესევე.
28. რამეთუ ჯერ-უჩნდა სულ-
სა წმიდასა და ჩუჱნცა, რათა არა
რაჲ უმეტესი ტჳრთი დავჰსდუათ
თქუჱნ ზედა.
29. გარნა რომელნი ესე სას-
წრაფო არიან განშორებად თქუჱნ-
და ნაკერპავისაგან და სისხლისა,
დამშთუარისა, და სიძვისა. რომელ-
თაგან დაიმარხენით თავნი თჳს-
ნი, კეთილსა იქმოდეთ, და ცოც-
ხლებით იყუჱნით.
30. იგინი ვითარცა წარმოე-
მართნეს, მოვიდეს ანტიოქიად და
შეჰკრიბეს კრებული იგი და მიჰს-
ცეს წიგნი ჴელთა მათთა.
31. და ყოველთა აღმოიკით-
ხეს, განიხარეს ნუგეშინის-ცემა-
სა მას ზედა.
32. იუდა და შილა, რამეთუ
იგინიცა წინასწარ - მეტყუჱლნი
იყუნეს, მრავლითა სიტყჳთა ნუ-

გეშინის-ჴსცეს ძმათა მათ და და-
ამტკიცნეს.
33. და დაჰყუჱს მუნ ჟამი
მრავალი და წარიგზავნნეს მშჳ-
დობით ძმათაგან მოციქულთა მი-
მართ.
34. ჯერ-იჩინა შილა დად-
გრომა მუნვე. ხოლო იუდა მი-
იქცა იერუსალიმს შინა.
35. ხოლო პავლე და ბარნაბა
იქცეოდეს ანტიოქიას შინა, და
ასწავებდეს და ახარებდეს სხჳათა-
ცა მრავალთა თანა, სიტყუასა მას
უფლისასა.
36. შემდგომად დღეთა რაო-
დენთამე ჰრქუა პავლე ბარნაბას:
მივიქცეთ და მოვიხილნეთ ძმანი
ჩუჱნნი ყოველთა ქალაქთა, რო-
მელთა შინა ვქადაგეთ სიტ-
ყუაჲ იგი უფლისა, ვითარძი
არიან.
37. ბარნაბას უნდა, რათამცა
ვინმე თანა-წარიყუანა, რომელსა
ერქუა მარკოს;
38. ხოლო პავლე ჰლოცვიდა,
რათა რომელი იგი განეყენა მათ
პამფილიაჲთ და არა შეუდგა საქ-
მესა მას, არა თანა-წარყუანებად
იგი.
39. იყო უკუჱ მცხინვარება
მათ შორის, ვიდრე განშორებად-
მდე მათდა ურთიერთარს; ბარ-
ნაბა, თანა წარიყუანა მარკოს, და
განვიდა ნავით კჳპრედ.
40. ხოლო პავლე, გამოირჩია
შილა და განვიდა, და მიეცა მად-
ლითა ღმრთისათა ძმათაგან.
41. და მიმოვიდოდა ასურეთ-
სა და კილიკიასა, და განამტკიცებ-
და ეკკლესიათა.

## თავი 16.

1. მიიწია იგი დერბედ და
ლუსტრად. და აჰა ესერა, მოწა-
ფე ვინმე იყო მუნ, სახელით ტი-
მოთეოს, ძე დედაკაცისა ჰურიისა
მორწმუნისა, და მამისა წარმარ-
თისაჲ,
2. რომელი იწამებოდა ლუს-
ტრელთაგან და იკონელთა ძმათა.
3. ამისი სათნო-უჩნდა პავლეს
მისთანა განსლვაჲ; და მოიყუანა
და წინა-დასცჳთა მას ჰურიათა მათ
თჳს, რომელნი იყუნეს მათ ად-
გილთა; რამეთუ უწყოდეს ყო-
ველთა, ვითარმედ წარმართი იყო
მამა მისი.
4. და ვითარცა განვლიდეს
ქალაქებსა მას, ასწავებდეს მათ და-
მარხვად მოძღურებათა მათ, და-
მტკიცებულთა მოციქულთაგან და
ხუცესთა, რომელნი იგი იყუნეს
იერუსალიმს შინა.
5. ხოლო ეკკლესიანი იგი
განმტკიცნებოდეს სარწმუნოებითა,
და შეემინებოდა რიცხჳსა მას დღი-
თი-დღე.
6. და მოვლეს ფრიგჳა და გა-
ლატელთა სოფელი, დაყენებულ-
იქმნნეს სულისა მიერ წმიდისა
სიტყუად სიტყჳსა მის ასიას
შინა.
7. მოვიდეს იგინი მისუნად,
აზმნობდეს წარსლვად ბითჳნიად,
და არა უტევა მათ სულმან უფ-
ლისამან.

8. და ვითარ თანა-წარჰჴდეს
მისუნს, შთავიდეს ტროადად.
9. და ჩუენებასა ღამისასა, ეჩ-
უენა პავლეს: კაცი ვინმე იყო
მაკედონელი, ჰსდგა და ევედრე-
ბოდა მას და ეტყოდა: წიაღ-მო-
გუალე მაკედონიად, და შეგვეწიე
ჩუენ.
10. და ვითარცა ჩუენება იგი
იხილა პავლე, ვისწრაფეთ მეყუ-
სეულად განსლვად მაკედონიად,
გულის-ჴმა-ვჰყავთ, რამეთუ მუნ
მიჩინნა ჩუენ უფალმან ხარებად
მათდა.
11. აღვჴედით ნავსა ტროა-
დას და მართლ მივისწრაფეთ სა-
მუნთრაკედ, და სვალისაგან ახალ-
ქალაქად.
12. და მიერ ფილიპედ, რო-
მელი იგი არს პირველი ნაწილი
მაკედონიისა ქალაქი, კოლონია;
ხოლო ვიყუენით მას ქალაქსა ში-
ნა და ვიქცეოდით დღეთა რავდენ-
თამე.
13. და დღესა შაბათთასა გან-
ვედით გარეშე ქალაქსა მას, მდი-
ნარის-კიდესა, სადა იგი სგონე-
ბელ იყო ლოცჳსა შეწირვაჲ; და
დავჰსხედით და ვეტყოდეთ დედა-
თა მათ, რომელნი მოსრულ-იყუ-
ნეს.
14. და დედაკაცი ერთი, სა-
ხელით ლჳდია, მოწეულის-მო-
ფარდული ქალაქისა თჳატირისა,
მსახური ღმრთისა იყო მუნ და
ესმოდა; რომელსა იგი უფალმან
განუღო გული მორჩილებად სიტ-
ყუათა პავლეს მიერ თქმულთა.
15. და ვითარცა ნათელ-იღო
მან და სახლმან მისმან, გულოც-
ვიდა და იტყოდა: უკეთუ შეგი-
რაცხიე მე მორწმუნედ უფლისა,
შემოვედით ვანად ჩემდა, და მუნ
დაადგერით და გუაიძულნა ჩუენ,
16. და იყო ვითარ წარვიდო-
დით ჩუენ ლოცუად, მკევალი
ვინმე წინა-შემემთხჳა ჩუენ, რომ-
ლისა თანა იყო სული პითონი,
რომელ-არს მისნობისა, რომლი-
საგან სარეწავჲ დიდ-ძალი შეუვი-
ლოდა უფალთა მისთა, მისნობი-
თა მისითა.
17. ესე მიჰსდევდა პავლეს და
ჩუენ, ჰკმობდა და იტყოდა: ესე
კაცნი მონანი არიან ღმრთისა
მაღლისანი, რომელნი გახარებენ
თქუენ გზათა ცხოვრებისათა.
18. და ამას ჰყოფდა დღეთა
მრავალთა. განჰრისხნა პავლე და
მიექცა სულსა მას უკეთურსა და
ჰრქუა: გამცნებ შენ სახელითა იე-
სო ქრისტესითა განსლვად მაგის-
გან. და განვიდა მასვე ჟამსა.
19. ვითარცა იხილეს უფალთა
მის დედაკაცისათა, რამეთუ გან-
სრულ-იყო სასოება სარეწავისა
მათისა, შეიპყრნეს პავლე და შილა,
და მიიზიდვიდეს მათ ურაკპარაკად
მთავართა მათ თანა.
20. და მიჰგვარნეს იგინი ერის-
თავთა მათ და ჰრქუეს: ესე კაც-
ნი, აღჰსძრვენ ქალაქსა ამას ჩუენ-
სა, ურიანი არიან,
21. და მითხრობენ ჰსჯულსა,
რომელი არა ჯერ-არს ჩუენდა
თავს-დებად, არცა ქმნად, რამეთუ
ჩუენ კაცნი ჰრომნი ვართ.
22. და შეკრბებოდა ერი მათ

ზედა, დ ერის-თავთა მათ, მოა-
პეს სამოსელი მათი დ უბრძანეს
კუერთხითა ცემაჲ.

23. და ვითარ მრავალი წყლუ-
ლებაჲ დასდვეს მათ ზედა, შე-
ჰყსნეს იგინი საპყრობილესა; დ
ამცნეს საპყრობილის-მცველსა მას
კრძალულად დაცვაჲ მათი.

24. და მან ვითარცა ესე-ვი-
თარი მცნებაჲ მოიღო მათგან,
შეჰყსნა იგინი უშინაგანესსა საპ-
ყრობილესა, დ ფერხნი მათნი დაჰ-
კრძალნა კუნძსა შინა.

25. და შუა-ღამესა ოდენ, პავ-
ლე დ სილა, ილოცვიდეს დ უგა-
ლობდეს ღმერთსა, დ ისმენდეს
მათსა სხუანი იგი პყრობილნი.

26. მეყსეულად ძრვა იყო დი-
დი, ვიდრემდე საპყრობილე იგი
საფუძველითურთ შეიძრა; დ მყის
თქუმსვე, ყოველნი კარნი განე-
ხუნეს, დ ყოველთა კრულებანი
განიჴსნნეს.

27. და ვითარ განეღჳძა საპ-
ყრობილის-მცველსა მას, დ იხილ-
ნა კარნი საპყრობილისანი გან-
ხმულნი, იკადა მახჳლი დ ეგუ-
ლებოდა განგმირვაჲ თავისა თჳ-
სისაჲ, ეგრე ჰგონებდა, ვითარ-
მედ განლტოლვილ-არიან ყოველ-
ნი პყრობილნი.

28. ჴმა-უყო მას ჴმითა დი-
დითა პავლე დ ჰრქუა: ნურას შე-
იმთხუევ თავსა შენსა ბოროტ-
სა, რამეთუ ჩუენ ყოველნი აქა
ვართ.

29. ხოლო მან მოითხოვა
სანთელი დ შეისწრაფა შინა, დ
ძრწოლა შეედვა დ შეუვრდა პავ-
ლეს დ სილას,

30. და გამოიყვანნა იგინი გა-
რე დ ჰრქუა: უფალნო! რა მი-
ღირს მე ყოფად, რათა ვცხონდე?

31. ხოლო მათ ჰრქუეს: გრწმე-
ნინ უფალი იესო ქრისტე, დ
ჰსცხონდე შენ დ ყოველი სახლი
შენი.

32. და ეტყოდეს მას სიტყუა-
სა მას უფლისასა დ ყოველთა
სახლეულთა მისთა.

33. და წარიყვანნა იგინი მას-
ვე ჟამსა ღამისასა დ განჰბანნა
იგინი ნაგუემთა მათგან, დ ნა-
თელ-იღო მან დ მისთა ყოველ-
თა.

34. მეყსეულად აღიყვანნა
იგინი სახედ თჳსად დ დაუგო მათ
ტაბლაჲ, დ უხაროდა მას ყოვლი-
თურთ სახლეულით, რომელთა
ჰრწმენა ღმერთი.

35. და ვითარცა განთენა, მიუ-
ვლინნეს ერისთავთა მათ მტარვალ-
ნი დ ჰრქუეს: განუტევენ კაცნი იგი,
რომელნი მიგცენით პყრობილად.

36. მიუთხრნა სიტყუანი ესე
მესაპყრობილეთ-მოძღუარმან მან
პავლეს დ ჰრქუა, ვითარმედ ერის-
თავთა მათ უბრძანებიეს, განტე-
ვებაჲ თქუენი; აწ უკუე განვე-
დით, დ წარვედით მშჳდობით.

37. ხოლო პავლე ჰრქუა მათ:
გუემნეს ჩუენ ურავპარაკთა ზე-
და, კაცნი უბიწონი, ჰრომნი, დ
შემსხნეს საპყრობილესა ცუდად, დ
აწ ფარულად განგჳყვანებენ ჩუენ?
არა ეგრე, არამედ თჳთ მოვიდენ,
დ მათ განმიყვანნენ ჩუენ.

38. მიუთხრეს მტარვალთა
მათ ესე ყოველი ერის-თავთა მათ,
ზარი განჰკდა, ესმა რა, ვითარ-
მედ ჰრომნი არიან.
39. და მოვიდეს და ლოცვიდეს
მათ, და გამოიყვანნეს იგინი საპ-
ყრობილით, და ევედრებოდეს გან-
სლვად ქალაქისა მისგან.
40. იგინი ვითარ გამოვიდეს
მიერ საპყრობილით, მივიდეს და
შევიდეს სახლსა ლუდიასსა, და
იხილნეს ძმანი, და ნუგეშინის-
ჰსცეს მათ, და გამოვიდეს.

თ ა ვ ი 17.

1. და ვითარცა მოვლეს ამფი-
პოლი და აპოლონიაჲ, მოვიდეს
იგინი თესალონიკედ, სადა იგი
იყო შესაკრებელი ურიათა.
2. და ვითარცა ჩუეულ-იყო
პავლე, შევიდა მათა, და სამსა შა-
ბათს ეტყოდა მათ წიგნთაგან,
3. გამოუთარგმანებდა მათ და
წინა დაუდებდა, რამეთუ ქრისტე-
სა ჯერ-იყო ვნებაჲ და აღდგომა
მკუდრეთით, და ვითარმედ ესე არს
იესო ქრისტე, რომელსა მე გა-
სარებ თქუენ.
4. და რომელთამე მათგანთა
ჰრწმენა, და შეუდგეს პავლეს და
შილას, მორწმუნეთა წარმართთა სი-
მრავლე მრავალი, და დედათა მთა-
ვართა არა მცირედთა.
5. ხოლო შური აღიღეს. რო-
მელნი იგი ურწმუნონი ურიანი
იყვნეს, და მოიყვანნეს სავაჭრო-
თაგან კაცნი ვინმე ბოროტნი, და
ერის-კრება-ჰყვეს და აღაშფოთებ-
დეს ქალაქსა მათ ზედა; და ზედა-მი-
ადგეს სახლსა იასონისსა, და ეძი-
ებდეს მათ გამოყვანებად ერსა
წინაშე.
6. და ვითარცა არა ჰპოვნეს
იგინი, მიითრევდეს იასონს და
სხუათა ვიეთმე ძმათა მთავართა
წინაშე ქალაქისათა, და ღაღადებ-
დეს, ვითარმედ რომელთა ყოვე-
ლი სოფელი აღუშფოთებიეს იგი-
ნი აქაცა მოსრულ-არიან.
7. რომელნი შეუწყნარებიან
იასონს; და ესე ყოველნი წინა-
აღმდგომსა კეისრისა ბრძანებათა-
სა იქმან, მეუფესა სხუასა იტყჳ-
ან ყოფად, იესოს.
8. აღაშფოთეს ერი იგი და
მთავარნი ქალაქისანი, ესმოდა რა
ესე.
9. და მოჰკადეს თავს-მდები ია-
სონს, და მაშინღა განუტევნეს
იგინი.
10. ხოლო ძმათა მეყუსეულად
ღამე წარგზავნნეს პავლე და შილა
ბერიად, რომელნი იგი, ვითარცა
მიიწინეს შესაკრებელსა ხოლო
ურიათასა შევიდეს.
11. რამეთუ ესენი უაზნაურეს
იყვნეს თესალონიკელთა მათ, რო-
მელთაცა შეიწყნარეს სიტყუა იგი
ყოვლითა გულს-მოდგინებითა,
მარადღე გამოეძიებდეს წიგნთაგან,
უკეთუ ესე ესრეთ არს.
12. მრავალთა უკუე მათგან-
თაცა ჰრწმენა, და წარმართთაგანთა
დედათა მრავალთა წესიერთა და
მამებსა არა მცირედსა.
13. ხოლო ვითარცა აგრძნეს
თესალონიკელთა მათ ურიათა,

ვითარმედ ბერიასცა მიეთხრა პავ-
ლეს მიერ სიტყჳა იგი ღმრთი-
სა; მოვიდეს მუნცა, აღჰსძრჳდეს
და აღჰსტეხდეს ერსა მას.
14. მუნ-თქჳესვე, განიყჳა-
ნეს ძმათა მათ პავლე, წარსლვად
ზღჳთ-კერძო; ხოლო შილა და ტი-
მოთე მუნვე დაჰსდგეს.
15. და რომელთა იგი მიჰყ-
ვანდა პავლე, წარიყჳანეს იგი,
ვიდრე ათინადმდე, და მოიღეს მცნე-
ბაჲ შილას და ტიმოთეს მიმართ,
რათა ადრე მივიდენ მისა და გამო-
ვიდეს.
16. ვიდრე იგი ათინას შინა
ელოდა მათ, პავლე ემძჳნებოდა
სული მისსა მის თანა, ჰხედვიდა
რა კერპთ-მსახურებასა მის ქალა-
ქისასა.
17. ეტყოდა მარადის შესა-
კრებელსა შორის ურიათა, და რო-
მელნი ჰმსახურებდეს, და უბანთა
ზედა ყოველსა დღესა, რომელთა
იგი შეემთხჳეოდა.
18. რომელთამე ეპიკურელთა
და სტოისა ფილოსოფოსთა სი-
ტყჳა ჰყჳეს მის თანა. და რომელ-
ნიმე იტყოდეს: რაჲმე ჰნებავს
თესლის-მეტყჳელსა ამას სიტ-
ყჳად? და რომელნიმე იტყოდეს:
უცხოთა ეშმაკთა ჰსჩანს მთხრო-
ბელ ესე; რამეთუ იესოს და აღდ-
გომასა ახარებდა მათ.
19. შეიპყრეს იგი და არიოპა-
გედ მიიყვანეს, და ეტყოდეს: შემ-
ძლებელ-ვართ ცნობად, რაჲ არს
ახალი ესე, შენ მიერ თქმული
მოძღჳრება?
20. რამეთუ უცხოსა რასმე
ასმენ სასმენელთა ჩჳენთა. გნე-
ბავს ცნობად, რაჲსა ჰნებავს ამას
ყოფად?
21. ხოლო ათინელნი ყოველ-
ნი, და რომელნი მოსრულ-იყჳნეს
უცხონი სხჳად, არად მოცალე-
იყჳნეს, გარნა სიტყჳად რაჲსა-
მე და სმენად უახლესისა.
22. მაშინ დაჰსდგა პავლე შო-
რის არიოპაგისა და ჰსთქჳა: კაც-
ნო ათინელნო! ყოვლითურთ, ვი-
თარცა კეთილ-მსახურთა გხედავ
თქჳენ.
23. რამეთუ მიმო-რა ვიქცეო-
დე და მოვიხილევდ სამსახურებელ-
თა თქჳენთა, ვჰპოვე ბომონიცა,
რომელსა ზედა წერილ-იყო: უც-
ნაური ღმერთი. აწ უკჳე, რო-
მელსა იგი უმეცარ ხართ და ჰმსა-
ხურებთ, მას მე გახარებ თქჳენ,
24. ღმერთსა, რომელმან შეჰქ-
მნა სოფელი და ყოველი, რა არს
მას შინა: ესე ცისა და ქჳეყანი-
სა არს უფალი, არა ჴელით-
ქმნულთა ტაძართა შინა დამკჳდ-
რებულ-არს,
25. არცა კაცობრივთა ჴელთა
მიერ იმსახურების, ვითარმცა მოქე-
ნე ვისსამე იყო, რამეთუ იგი
თავადი მოჰსცემს ყოველთა ცხოვ-
რებასა, და სულსა ყოვლით-კერძო.
26. და შეჰქმნა ერთისაგან
სისხლისა ყოველნი ნათესავნი კაც-
თანი, დამკჳდრებად ყოველსავე
ზედა პირსა ქჳეყანისასა განა-
ჩინნა, დაწესებულნი ჟამნი და სა-
ზღჳრის-დადებანი დამკჳდრებისა
მათისანი.
27. მომიებად ღმრთისა, და

უკეთუმცა ვინ ემიებდა, ჰპოვამცა იგი; და რამეთუ არცა შორს არს კაცად-კაცადისაგან ჩუენისა:

28. რამეთუ მის მიერ ცხოველ-ვართ, და ვიქცევით, და ვართ, ვითარცა იგი ვინმე თქუენგანნი სიტყჳს-მოქმედნი იტყჳან: რომლისა იგი ნათესავცა ვართო.

29. აწ უკუე, ვინაჲთგან ნათესავ ღმრთისა ვართ, არა გჳღირს, ვითარმცა ვჰგონებდით ოქროსა გინა ვეცხლსა, ანუ ანთრაკსა, გამოხატულსა ხუროებით, განზრახვთა კაცთათა, საღმრთოჲსა მის მსგავს ყოფად.

30. რამეთუ ჟამნი იგი უმეცრებისანი უგულებელს ჰყუნა ღმერთმან, და აწ ამცნებს ყოველთა კაცთა, ყოველსა ადგილსა შენანებად.

31. ვითარცა იგი დაამტკიცა დღე, რომელსა შინა ეგულების განკითხვაჲ სოფლისაჲ სიმართლით, კაცითა მით, რომელი განაჩინა, სარწმუნოებაჲ მოჰსცა ყოველთა, რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით.

32. ხოლო მათ ვითარცა ესმა აღდგომაჲ მკუდართა, რომელნიმე ეკიცხჳდეს, და რომელთამე ჰსთქუეს: ვისმინოთ შენი ამისთჳს კუალადცა.

33. და ესრეთცა მოვიდა პავლე შორის მათსა. ხოლო რომელნიმე კაცნი მოჰსდევდეს მას და ჰრწმენა; რომელთა თანა იყო დიონოსიოს არიოპაგელი და დედაკაცი, სახელით დამარის, და სხუანი მათ თანა.

თ ა ვ ი 18.

1. და ამისა შემდგომად გამოვიდა პავლე ათინელთა მათგან და მოვიდა კორინთედ.

2. და ჰპოვა ვინმე ურიაჲ, სახელით აკჳლა, პონტოელი ნათესავით, რამეთუ მაშინ ოდენ მოსრულ-იყო იგი იტალიაჲთ და პრისკილა, ცოლი მისი, რამეთუ ებრძანა კლავდის კეისარსა განშორებად ყოველნი ურიანი ჰრომით, მოვიდა მათდა;

3. და რამეთუ ერთი ჴელოვნებაჲ იცოდეს, იყოფოდა მათ თანა და იქმოდეს; რამეთუ იყუნეს ჴელოვნებით მეპრატაკე.

4. და ეტყოდა შესაკრებელსა მას ყოველსა შაბათსა, და არწმუნებდა ურიათა და წარმართთა

5. და ოდეს მოვიდეს მაკედონიაჲთ შილა და ტიმოთე, აწუხებდა სული პავლეს და უწამებდა ურიათა მათ, ქრისტე იესოს.

6. ხოლო იგინი ვითარ უჴდებოდეს და ჰგმობდეს, განიყარა მათ ზედა სამოსელი თჳსი, და ჰრქუა მათ: სისხლი თქუენი თავთა ზედა თქუენთა; უბრალომცა ვარ მე; ამიერითგან წარმართთა მიმართ მივიდე.

7. და წარმოვიდა მიერ, და შევიდა სახლსა ვისსამე, რომელსა სახელი ერქუა ტიტოს, მისა იოსტოსსა, ღმრთის-მსახურისა, რომელსა სახლი ეზღურებოდა შესაკრებელსა მას.

8. ხოლო კრისპოს, შესაკრებელის მთავარსა, ჰრწმენა უფალი

ყოვლითურთ სახლეულით მისით, და მრავალნი კორინთელნი, ისმენდეს, და ჰრწმენა და ნათელს-იღებდეს.

9. ჰრქუა უფალმან, ჩუენებით ღამე, პავლეს: ნუ გეშინინ, არამედ იტყოდე და ნუ ჰსდუმ.

10. რამეთუ მე ვარ შენთანა, და არავინ შეუძლოს ბოროტის-ყოფად შენდა, რამეთუ ერი მრავალი არს ჩუენდა ქალაქსა ამას შინა.

11. და დაჰყო მუნ ერთ-წელ და ექუს-თთუე და ასწავებდა მათ შორის სიტყუასა ღმრთისასა.

12. ხოლო გალიონ, მთავარი იყო აქაიასა, ზედა მიუკდეს ყოველნი ურიანი ერთბამად პავლეს, და მოიყუანეს საყდარსა წინაშე,

13. და იტყოდეს, ვითარმედ თჳნიერ ჰსჯულისა ურჩ-იქმს ესე კაცთა მსახურებად ღმრთისა.

14. და ვითარცა ეგულებოდა პავლეს აღებად პირისა, ჰრქუა გალიონ ურიათა მათ: უკეთუმცა იყო შეცოდებათაგანი რაჲმე, მძჳნის-საქმე ბოროტი; ჵი ურიანო! სიტყჳსა-მის-ებრმცა თავს ვიდევ თქუენი.

15. უკეთუ მიებაჲ რაჲმე არს სიტყჳსათჳს, და სახელებისა, და ჰსჯულისა თქუენისა; თქუენ იხილეთ; რამეთუ მსაჯულ ეგევითართა თჳს არა მნებავს ყოფად.

16. და განასხნა იგინი საყდრისაგან.

17. მაშინ შეიპყრეს ყოველთა წარმართთა, სოსთენი, შესაკრებელის მთავარი და ჰსცემდეს საყდარსა წინაშე; არა რას ჰზრუნვიდა ამათგანსა გალიონ.

18. ხოლო პავლე, დაადგრა მუნ მრავალ-დღე ძმათა თანა, და მერმე იჯმნა და განვიდა ნავით ასურეთად, და მისთანა პრისკილა და აკჳლა; ხოლო იკუეცა მან თმაჲ კენქერს, რამეთუ აღთქმაჲ აღეთქუა.

19. და მიიწია ეფესოდ, იგინი დაუტევნა მუნ, და იგი შევიდა შესაკრებელსა, და ეზრახა ურიათა მათ.

20. და ვითარ იგინი ილოცვიდეს უმეტესსარე ჟამსა დადგრომად მათ თანა, არა ინება.

21. არამედ იჯმნა მათგან, და ჰრქუა: ჯერ-არს ჩემდა დღესასწაულსა ამას მომავალსა იერუსალიმს აღსრულებად; და კუალად მოვიდე თქუენდა ნებითა ღმრთისათა; შევიდა ნავსა ეფესოით.

22. და შთავიდა კესარიად, აღვიდა და მოიკითხა ეკლესიაჲ, და შთავიდა ანტიოქიად.

23. და დაჰყო ჟამი რავდენიმე და განვიდა, და მიმოვიდოდა შემდგომითი შემდგომად გალატელთა სოფელსა და ფრიგჳისასა, და განამტკიცებდა ყოველთა მოწაფეთა.

24. ურიაჲ ვინმე, აპოლო სახელით, ალექსანდრელი ნათესავით, კაცი სიტყუა მეცნიერი მოვიდა ეფესოდ, ძლიერ-იყო წიგნთაგან.

25. ესე იყო ჰსწავლულ გზათა უფლისათა, და მდუღარე სულითა, ეტყოდა და ასწავებდა ჭეშმარიტად იესოჲსთჳს, და იცოდა ნათლის-ცემაჲ ხოლო იოანესი.

26. ამან იწყო განცხადებად

შესაკრებელსა შორის. ესმა მისი
აკჳლას და პრისკილას და მოიყუა-
ნეს იგი, და უჭეშმარიტეს ადრე
უთხრეს მას გზაჲ იგი უფლისა.
27. და ვითარ იგი ეგულებო-
და მას აქაიად წიაღსლვად, უზრ-
მანეს ძმათა და მიუწერეს მოწაფე-
თა მათ შეწყნარებაჲ მისი; რო-
მელი მივიდა და შეეწყოდა მორ-
წმუნეთა მათ, ფრიად მადლისა მის
მიერ.
28. რამეთუ ძლიერად ურია-
თა მათ ამხილებდა ერსა წინაშე
და უჩუენებდა წიგნთაგან, ვითარ-
მედ არს ქრისტე იესო.

## თავი 19.

1. იყო აპოლოსა მას ყოფა-
სა კორინთეს შინა, პავლეს მოევ-
ლო ზემო-კერძოჲ იგი ადგილი
და მოიწია ეფესოდ, და ჰპოვნა ვინ-
მე მოწაფეთაგანნი,
2. და ჰრქუა მათ: უკეთუ სული
წმიდა მიგიღებიეს, და გრწამს?
ხოლო მათ ჰრქუეს მას: არამედ
არცადა არს თუ სული წმიდა გუა-
სმიეს.
3. ჰრქუა მათ პავლე: რაჲთა
უკუე ნათელ-გიღებიეს? და მათ
ჰრქუეს: იოანეს ნათლის-ცემითა.
4. ჰრქუა მათ პავლე: იოანე
ნათელ-სცემდა ნათლის-ცემასა
სინანულისასა ერსა და ეტყოდა
მომავალისა მისთჳს, შემდგომად
მისსა, რათა ჰრწმენეს, ესე იგი
არს, იესო ქრისტე.
5. ხოლო მათ, ვითარცა ესმა,
ნათელ-იღეს სახელითა უფლისა
იესოსითა.
6. და დასხმითა ჴელთა პავლე-
სითათა მათ ზედა, მოვიდა მათ
ზედა სული წმიდა, იტყოდეს
ენათა და წინასწარ-მეტყუელებ-
დეს.
7. ხოლო იყვნეს კაცნი იგი
ყოველნივე ათ-ორმეტ.
8. შევიდა უკუე შესაკრებელსა
მას და კადნიერად იქცეოდა სამ თუე,
ეტყოდა და არწმუნებდა სასუფევე-
ლისათჳს ღმრთისა.
9. და ვითარ იგი ვინმე გან-
ფიცხნებოდეს და ურჩ იქმნებო-
დეს და ძჳრსა იტყოდეს გზისა
მისთჳს, წინაშე სიმრავლისა მის;
განეყენა მათგან და განაშორნა
მოწაფენი იგი, და დღითი დღე
ეტყოდა მას სამწიგნობრესა მას
ტჳრანეს ვისსამე.
10. და ესე იყო ორ-წელ, ვიდრე-
მდე ყოველთა დამკჳდრებულთა ასი-
ისათა ესმა სიტყუა უფლისა იესო-
სი, ურიათა და წარმართთა.
11. ხოლო ძალთა არა მცირედ-
თა იქმოდა ღმერთი კელითა პავლე-
სითა.
12. ვიდრეღა უძლურთაცა ზე-
და მიაქუნდა ოფლისა მისისაგან
ვარშამანგებითა და ოლარებითა,
და განეყენებოდა მათ სენი იგი,
და სულები არა წმიდა განვიდოდა.
13. იწყეს ვიეთმე მიმომავალ-
თა ურიათა მაფუცებელთა სახე-
ლის-დებად სახელსა უფლისა
იესოსსა მათ ზედა, რომელთა
თანა იყო სულები უკეთურები,
და იტყოდეს: გაფუცებ თქუენ
იესოს, რომელსა პავლე ჰქადაგებს.
14. იყვნეს ვისმე სკევას მღუ-

ღელთ-მთავრისა ურიისა შჳდნი
ძენი რომელნი ამას ჰყოფდეს.
15. მიუგო სულმან მან უკე-
თურმან ჲ ჰრქუა მათ: იესო ვიცი
ჲ პავლესთჳსცა მეცნიერ ვარ,
ხოლო თქუენ ვინ ხართ?
16. და აღხლდნა კაცი იგი,
რომლისა თანა იყო სული არა-
წმიდა, ჰსძლო მათ, ჲ ერეოდა,
ვიდრემდე შიშველნი ჲ წყლულნი
ივლტოდეს მიერ სახლით.
17. და ესე განცხადებულ-იქმნა
ყოველთა მიმართ ურიათა ჲ წარ-
მართთა, რომელნი დამკჳდრებულ-
იყუნეს ეფესოს, ჲ დაეცა შიში
დიდი მათ ყოველთა ზედა, ჲ
განდიდნებოდა სახელი უფლისა
იესოსი.
18. და მრავალნი მორწმუნეთა-
განნი მოვიდოდეს ჲ აღუარებ-
დეს საქმეთა მათთა.
19. და მრავალთა გრძნე-
ბის-მოქმედთა, მოკრიბნეს წიგნე-
ბი მათი ჲ დაჰსწჳდეს წინაშე
ყოველთასა, ჲ აღრაცხეს სასყი-
დელი მათი, ჲ ჰპოვეს ვეცხლი
ხუთი ბევრი.
20. და ესრეთ მტკიცედ სიტ-
ყუა იგი უფლისა აღორძინდებო-
და ჲ განმტკიცნებოდა.
21. ვითარცა აღესრულა ესე,
დაიდუა პავლე გულსა თჳსსა,
მოვლო მაკედონია ჲ აქაია,
მისლუად იერუსალიმად, ჲ ჰსთქუა,
ვითარმედ შემდგომად მისლვჳსა
ჩემისა მუნ, ჯერ-არს ჩემდა ჰრო-
მეცა ხილუად.
22. და მიავლინნა მაკედონიად
ორნი მსახურნი მისნი, ტიმო-
თე ჲ ერასტოს, ხოლო იგი და-
ადგრა ჟამ რაოდენმე ასიას შინა.
23. იყო მას ჟამსა შინა შფო-
თი არა მცირედი გზისა მის თჳს.
24. რამეთუ დემეტრეოს ვინ-
მე სახელით, ვეცხლის-მჭედე-
ლი იქმოდა ტაძართა ვეცხლისათა
არტემისთა, ჲ მიჰსცემდა ხუროთა
მათ სარეწავსა არა მცირედსა.
25. რომელნი შეკრიბნა ჲ
ჰრქუა: კაცნო! იცით, რამეთუ ამის
საქმისაგან არს სარეწავი ჩუენი.
26. და ჰხედავთ ჲ გესმის,
რამეთუ არა ხოლო თუ ეფესოს,
არამედ კნინღა ჲ ყოველსა ასიას,
ამან პავლე არწმუნა ჲ გარდააქცია
ერი მრავალი ჲ იტყჳს, ვითარმედ
არა არიან ღმერთნი კელით ქმნუ-
ლნი.
27. და არა მხოლო ესე ჭირი
არს ჩუენდა ადგილად მხილებისა
მოწევნად ჩუენდა, არამედ დიდი-
სა ღმრთისა არტემის ტაძარიცა
არავე შერაცხვად-ყოფად არს, ჲ
დარღუევად სიმდიდრე მისი,
რომელსა ყოველი სოფელი ჲ
ასია ჰმსახურებს.
28. მათ, ვითარცა ესმა ესე,
აღივსნეს გულის-წყრომითა, და-
ღადებდეს ჲ იტყოდეს: დიდ-არს
არტემი ეფესელთა!
29. და აღივსო ყოველი ქალა-
ქი შფოთითა. ჲ მიმართეს ჲ
მივიდეს ერთბამად სახილველსა
მას, თანა წარიტაცნეს გაიოს ჲ
არისტარხოს მაკედონელნი, პავ-
ლეს თანა წარსრულნი.
30. ხოლო პავლეს ენება რა

შესლვად ერსა მას შორის, არა
უტევეს მოწაფეთა.
31. და რომელნიმე ასიასა მთა-
ვარნი მეგობარ-იყვნეს მისა, მია-
ვლინეს მისა, და ჰლოცვიდეს, რათა
არა მიჰსცეს თავი თჳსი სახილ-
ველსა მას.
32. სხუანი უკუე სხუასა რას-
მე ღაღადებდეს; რამეთუ იყო
კრებული იგი შეშფოთებულ, და
უმრავლესთა მათგანთა არა უწყო-
დეს, რაჲსათჳს შეკრებულ-იყვნეს.
33. ხოლო ერისაგან წარმოად-
გინეს ალექსანდრე, რამეთუ ურია-
თა წარმოადგინეს იგი. ხოლო
ალექსანდრე განუყარა კელი, და
უნდა სიტყჳს მიგებაჲ ერისა მის
მათ.
34. ვითარცა გულის-კმა-
ჰყუეს, ვითარმედ ურია არს; იქმნა
ერთი კმა ყოველთაგან, ვიდრე
ორ-ჟამადმდე ღაღადებდეს და იტყო-
დეს: დიდ არს არტემი ეფესელთა!
35. დააცხრვო მწიგნობარმან
მან ერი იგი და ჰრქუა: კაცნო ეფე-
სელნო! ვინმე არს კაცთაგან, რო-
მელმან არა იცის ეფესელთა ქალა-
ქი, რამეთუ მსახური არს დიდისა
არტემისი და დიოპეტისი?
36. და ესე უცილობელ არს;
ჯერ-არს თქუენდა, რათა დაწყნა-
რებულ-იყვნეთ, და ნურა-რას იქმთ
წარმდებებით.
37. რამეთუ მოიყვანენით კაც-
ნი ესე, არცა ბაგინის-მპარცუელ,
არცა მგმობარ არიან ღმრთისა
ჩუენისა.
38. უკეთუ დემეტრიოსს და
მისთანა ხუროთა მათ უქს ვისთანა-
მე სიტყუა; უბანთა კაჭარნი მოი-
ყვანნედ, და მთავარნი არიან, და
აბრალებედ ურთიერთარს.
39. უკეთუ კჳლა სხჳსა რაჲსა-
თჳსმე ეძიებთ; ჰსჯულიერითა
კრებითა განეგოს.
40. და რამეთუ ვიურვით
ბრალობად შფოთისა ამისთჳსცა
დღეინდელისა, რამეთუ არა რაჲ
მიზეზი იყო, რომლისათჳსცა
ვერცა სიტყჳს-მიგებად კელ-მეწი-
ფების შეკრებულისა ამისთჳს ერი-
სა. და ესე ვითარცა ჰსთქუა, განუ-
ტევა კრებული იგი.

## თავი 20.

1. ხოლო შემდგომად დაცხრო-
მისა მის შფოთისა, მოუწოდა
პავლე მოწაფეთა მათ, და ნუგეში-
ნის-ჰსცა, და მოიკითხნა და იჯმნა
მათგან, და განვიდა მისლვად მა-
კედონიად.
2. და ვითარცა მოვლო ადგი-
ლები იგი, და ნუგეშინის-ჰსცა
მათ სიტყჳთა მრავლითა, წარ-
ვიდა ელადად.
3. და იყო მუნ სამ-თთუე.
იქმნა მისთჳს მჳრის-ზრახუა
ურიათაგან, ეგულებოდა რა ად-
სლვა ასურეთად; განიზრახა მიქ-
ცევაჲ მაკედონიაჲთ.
4. და მისთანა ჰყუანდეს ვიდ-
რე ასიადმდე სოსიპატრე პჳრე-
სი, ბერიელი, და თესალონიკელი
არისტარხოს და სეკუნდოს, და
გაიოს დერბელი და ტიმოთე, და
ასიელნი, ტჳქიკოს და ტროფი-
მოს.

5. ესენი წინა წარგჳმძღუერს და გუელოდეს ჩუენ ტროადას შინა.

6. ხოლო ჩუენ, ნავითა წარვედით შემდგომად დღეთა მათ უცომოებისათა ფილიპპაით, და მოვედით მათთანა ტროადად მეხუთესა დღესა, და ვიყუენით ჩუენ მუნ შჳდ დღე.

7. და ერთსა მას შაბათთასა, შეკრებულ რა იყუნეს მოწაფენი იგი განტეხად პურისა, ხოლო პავლე ეტყოდა მათ სიტყუასა მოძღურებისასა, რამეთუ განსლვად იყო ხვალისაგან, და განაგრძო სიტყუა იგი ვიდრე შუაღამედმდე.

8. იყუნეს სანთელნი მრავალნი ქორსა მას ზედა, სადა იგი შეკრებულ-ვიყუენით.

9. ხოლო ჰსჯდა ვინმე ჭაბუკი ერთი, სახელით ევტჳხოს, სარკმელსა ზედა, და ვითარცა მიერულა მას ძილითა კშირითა სიტყუასა მას პავლესსა, მრავალ-ჟამ გარდავარდა მძინარე და დაეცა სამსართულისა მისგან ქუეყანად, და დაიღუა მკუდარი.

10. გარდავიდა პავლე და დავარდა მას ზედა, შეიტკბო იგი და ჰსთქუა: ნუ აღშფოთნებით; რამეთუ სული მისი მისთანა არს.

11. აღჰსდგა მიერ და აღვიდა, განჰსტეხა პური და ჰსჭამა, და მრავალ-ჟამ ჰზრახჳდალა, ვიდრე განთენებადმდე, და ესრეთ განვიდა.

12. ხოლო მოიყუანეს ყრმა იგი ცოცხალი, და ნუგეშინისიცეს არა მცირედ.

13. ხოლო ჩუენ წინა-წარუმეღვით ნავითა, და აღვედით ასსონდ მიერ, გუეგულებოდა წარყუანებაჲ პავლესი; რამეთუ ეგრეთ განეწესა, რამეთუ მკჳრცხლ ეგულებოდა მოსლუაჲ.

14. ვითარცა მოვიდა ჩუენდა ასსონდ, წარმოვიყუანეთ იგი და მოვედით მიტჳლინდ.

15. და მიერ ნავითა წარმოვედით, და ხვალისაგან მივიწიენით წინაშე ქიოსისა, და მიერ მივედით სამონდ, და დავადგერით ტროგჳლიას შინა, და მეორესა დღესა მივედით მელიტონდ.

16. ინება პავლე ეფესოს თანა წარსლუაჲ, რათა არა დაეყენოს მრავალ-ჟამ ასიას შინა; რამეთუ ისწრაფდა, უკეთუმცა შესაძლებელ-იყო მისა, დღისა მის მეერგასისა ყოფად იერუსალიმს.

17. ხოლო მელიტონით მიავლინა ეფესოდ, და მოუწოდა ხუცესთა ეკკლესიისათა.

18. და ვითარცა მოვიდეს მისა, ჰრქუა მათ: თქუენ იცით, პირველით დღითგან, ვინათგან შემოვედ ასიად, თუ ვითარ ვიყავ თქუენ თანა ყოველსა ჟამსა,

19. და ვმონებდ უფალსა ყოვლითა სიმდაბლითა და მრავლითა ცრემლითა და განსაცდელითა, რომელნი შემემთხუეოდეს მე მძჳრის-ზრახუათაგან ურიათასა;

20. ვითარ იგი არა რაჲ დავაყენე უმჯობესი თქუენნი, რომელიმცა არა გითხარ და გასწავე

თქუენ ერსა წინაშე და სახლსა
შინა,
21. და უწამებდ ურიათა და
წარმართთა ღმრთისა მიმართ სი-
ნანულსა და სარწმუნოებასა, უფ-
ლისა მიმართ ჩუენისა იესო ქრი-
სტესა.
22. და აწ, აჰა ესერა, მე კრუ-
ლი სულითა, მივალ იერუსალიმს,
და მუნ თუ რაჲ შემთხუევად არს
ჩემდა, არა ვიცი;
23. გარნა სული წმიდა ქალა-
ქად ქალაქად მიწამებს მე და მე-
ტყჳს, რამეთუ კრულებანი და ჭირ-
ნი მელიან მე.
24. არამედ არა რას ვზრუ-
ნავ, ამისთჳს არცა უპატიოსნეს
სულისა ჩემისა შემირაცხიეს თა-
ვი ჩემი, ვითარმცა არა აღვასრუ-
ლე სრბა ჩემი სიხარულით და
მსახურება, რომელი მოვიღე უფ-
ლისა იესო ქრისტესგან, წამებად
სახარება იგი მადლისა ღმრთისა.
25. და აწ, აჰა ესერა, მე უწ-
ყი, რამეთუ არღარა იხილოთ პი-
რი ჩემი თქუენ ყოველთა, რო-
მელთა შორის ვიქცეოდე და ვქა-
დაგებდ სასუფეველსა ღმრთისასა.
26. ვინაცა გიწამებ თქუენ
დღეინდელსა ამას დღესა, რამეთუ
უბრალო ვარ მე სისხლისაგან
თქუენ ყოველთასა;
27. რამეთუ არა რაჲ დავა-
ყენე, რომელიცა არა გითხარ
თქუენ ყოველივე ნებაჲ ღმრ-
თისა.
28. ეკრძალენით უკუე თავთა
თქუენთა და ყოველსავე სამწყსო-
სა, რომელსა ეგე თქუენ სულ-
მან წმიდამან დაგადგინნა მოღუა-
წედ და მწყსად ეკკლესიასა უფლი-
სა ღმრთისასა, რომელი მოიგო
სისხლითა თჳსითა.
29. და აჰა მე უწყი ესე, რა-
მეთუ შემოვიდენ თქუენდა, შემ-
დგომად განსლვისა ჩემისა მგელ-
ნი მძიმენი, რომელნი არა ერი-
დებოდენ სამწყსოსა;
30. და თჳთ თქუენგანნი აღ-
ჰსდგენ კაცნი, რომელნი იტყო-
დენ გულარძნილსა, რათა განადგინ-
ნენ მოწაფენი შემდგომად მათდა.
31. ამისთჳს იღჳძებდით და
მოიხსენეთ, რამეთუ სამსა წელსა
ღამით და დღით არა დავჰსცხრე-
ბოდი ცრემლით სწავლასა კაცად-
კაცადისა თქუენისასა.
32. და აწ შეგვედრებ თქუენ
ღმერთსა, ძმანო, და სიტყუასა მას
მადლისა მისისასა, რომელი შემ-
ძლებელ-არს აღშენებად და მოცე-
მად მკჳდრობისა ყოველთა შო-
რის წმიდათა.
33. ვეცხლისა და ოქროჲსა და
სამოსლისა არა ვისი გულმან მი-
თქუა.
34. თქუენ თჳთ უწყით, რა-
მეთუ საჴმარსა მას ჩემსა, და რო-
მელნი იყუნეს ჩემთანა, ჴელნი
ესე ჩემნი მსახურებდეს.
35. და ყოველივე გიჩუენე
თქუენ, რამეთუ ესრეთ მშრომელ-
თა მათდა ჯერ-არს შეწყნარებაჲ
უძლურთა მათ, და მოხსენებად
სიტყუა იგი უფლისა იესოსი;
რამეთუ თავადმან ჰსთქუა: ნეტარ-
არს მიცემა უფროჲს, ვიდრე მო-
ღებისა.

36. და ესერა ჰსთქუა, დაიდ-
გნა მუჴლნი მათ ყოველთა თანა,
დ~ ილოცა.
37. იყო ტირილი დიდი მათ
ყოველთა, დ~ მოეხჳნეს ქედსა პავ-
ლესსა, ამბორს-უყოფდეს მას,
38. და ელმოდა უფროჲსღა
სიტყჳსა მისთჳს, რომელი ჰსთქუა,
ვითარმედ არღარა იხილონ პირი
მისი. წარგზავნიდეს მას ნავად.

## თ ა ვ ი 21.

1. და ვითარცა იყო შესლუაჲ
ჩუენი, განვეშორენით მათგან;
მართლ წარმოვედით დ~ მივიწიე-
ნით კონდ, დ~ გუალად სვალისა-
გან როდედ, დ~ მიერ პატრად.
2. და ვჰპოვეთ ნავი, რომელი
წიაღ ვიდოდა ფინიკედ, აღვჰსხედით
დ~ შევსხედით მათ.
3. ხოლო აღრასჩნდა კჳპრე,
დაუტევეთ იგი მარცხენით დ~ მი-
ვიდოდით ასურეთად, დ~ მივიწიე-
ნით ტჳრედ; რამეთუ მუნ გარ-
დაყრად იყო ნავისა მის ტჳრთი.
4. და მოვიძიენით მოწაფენი
დ~ დავადგერით მუნ შჳდ დღე.
რომელი იგი პავლეს ეტყოდეს
სულითა, რათამცა არა აღვიდა
იერუსალიმად.
5. და ვითარცა აღვასრულენით
ჩუენ დღენი იგი, გამოვედით დ~
წარვიდოდით, დ~ იგინი წარმგზავ-
ნიდეს ჩუენ სასლეულებითურთ
დ~ შჳლით, ვიდრე გარეშე ქალა-
ქისა მის, დ~ დაიდგნეს მუხლნი
ზღჳს-კიდესა დ~ ილოცეს.
6. და მოვიკითხენით ურთი-
ერთარს დ~ აღვედით ნავსა, დ~ იგი-
ნი მიიქცეს თჳსსა ადგილსა.
7. და ჩუენ ნავითა წარმოვე-
დით ტჳრეთ დ~ მივიწიენით პტო-
ლემაჲდად, მოვიკითხენით ძმანი,
დ~ დავადგერით მათ თანა ერთ
დღე.
8. ხოლო სვალისაგან გამოვე-
დით მიერ დ~ შევედით კესარიად,
დ~ მივედით სახლსა ფილიპპე მა-
ხარებელისასა, რომელი იგი იყო
შჳდთაგანი, დ~ დავადგერით მის-
თანა.
9. ამისნი იყუნეს ოთხნი ასულ-
ნი ქალწულნი, წინასწარ-მეტ-
ყუელნი.
10. და ვიყოფოდით რა მუნ
მრავალ-დღე, გარდამოვინმევიდა
ჰურიასტანით წინასწარ-მეტყუე-
ლი, სახელით აგაბოს;
11. და მოვიდა ჩუენდა დ~
აღიღო სარტყელი პავლესი, დ~
შეიკრნა ფერკნი დ~ კელნი მისნი დ~
ჰსთქუა: ამას იტყჳს სული წმი-
და: კაცისა, რომლისა არს სარ-
ტყელი ესე, ესრეთ შეკრან იე-
რუსალიმს ჰურიათა, დ~ მიჰსცენ
იგი კელთა წარმართთასა.
12. ხოლო ჩუენ, ვითარცა
გუესმა ესე; ვევედრებოდეთ მას
დ~ მის ადგილისანი იგი, რათამ-
ცა არა აღვიდა იგი იერუსალიმს.
13. მაშინ მოგჳგო პავლე დ~
ჰრქუა: რასა იქმთ? ჰსტირთ დ~
შეაურვებთ გულსა ჩემსა? რამეთუ
მე არა ხოლო შეკრვად, არამედ
მოსიკუდიდცა მზა ვარ იერუსა-
ლიმს სახელისათჳს უფლისა იე-
სოსსა.

14. ვითარ იგი ვერ ვარწმუნეთ მას, დავჰსდუმენით და ვჰსთქუთ: ნება უფლისა იყავნ.

15. შემდგომად ამათ დღეთა განვემზადენით და აღვიდოდით იერუსალიმად.

16. მოვიდეს ჩუჱნთანა მოწაფენი კესარიაჲთცა, მოვიყვანეთ იგიცა, რომლისა თანა ვიყუჱნით მნასონ კჳპრელი, პირველი მოწაფე.

17. მირავედით ჩუჱნ იერუსალიმად, მხიარულად შემიწყნარეს ჩუჱნ ძმათა.

18. ხოლო ხვალისაგან შევიდა პავლე ჩუჱნ თანა იაკობისსა; რამეთუ ყოველნივე ხუცესნი მოვიდოდეს.

19. და მოიკითხჳდეს მას და მიუთხრობდა კაცად-კაცადსა, რომელი იგი ჰქმნა ღმერთმან წარმართთა შორის მსახურებითა მისითა.

20. ხოლო მათ, ვითარცა ესმა ესე, ადიდებდეს ღმერთსა, და ჰრქუჱს მას: ჰხედავა, ძმაო, რავდენნი ბევრნი არიან ჰურიათა შორის მორწმუნენი, და ყოველნივე მოშურნე ჰსჯულისა არიან.

21. ესმა ვიეთგანმე შენთჳს, ვითარმედ განდგომასა ასწავებ მოსესგან, რომელნი იგი წარმართთა შორის ჰურიანნი არიან და ეტყჳ, რათა არა წინა-დაჰსცჳთონ შჳლთა მათთა, და არცა ჩუჱულებათა ვიდოდენ.

22. რაჲ უკუჱ არს? უეჭუჱლად ერი შეკრებად არს; რამეთუ ესმა, ვითარმედ მოსრულხარ.

23. აწ უკუჱ ესე ჰყავ, რომელსა გეტყჳთ შენ: არიან ჩუჱნ შორის კაცნი ოთხნი, რომელთა ლოცუაჲ აქუს თავისა თჳსისაჲ.

24. ესენი წარიყუანენ და განჰსწმდი მათ თანა, დაიკუჱცე მათ თანა, რათა დაიყჳნნენ თავნი მათ თანა, და ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ რომელთათჳს იგი ესმა შენთჳს, არა რაჲ არს, არამედ ჰგიე შენცა და იმარხავ ჰსჯულსა.

25. ხოლო მორწმუნეთა წარმართთა თჳს ჩუჱნ მივწერეთ და უბრძანეთ, რათა არა რაჲს ეგევითარსა იმარხჳდენ იგინი, არამედ რათა ეკრძალნენ კერპთა-კლულისაგან და სისხლისა დამშთჳარისა და სიძჳსა.

26. მაშინ პავლე წარიყუანნა კაცნი იგი მეორესა დღესა და მათ თანა განსწმიდნა, და შევიდოდა ტაძარსა მითხრობად აღსრულებასა შჳდთა მათ დღეთა განწმედისათა, ვიდრემდის შეიწირა კაცად კაცადისა მათისათჳს შესაწირავი.

27. ვითარცა აღესრულებოდეს შჳდნი იგი დღენი, რომელნი იგი იყუნეს ასიათ ჰურიანნი, იხილეს იგი ტაძარსა შინა, შეაშფოთეს ყოველი იგი ერი, და დაჰსხნეს მის ზედა კელნი მათნი.

28. და ღაღადებდეს და იტყოდეს: კაცნო ისრაიტელნო! შემეწიენით ჩუჱნ; ესე არს კაცი იგი, რომელი ერისა ამისთჳს და ჰსჯულისა და ადგილისა ამისთჳს მჳრსა ჰზრახავს ყოველთა ყოველ-

სა ადგილსა ასწავებს; და მერმე კჳალად წარმართნიცა შეიყვანნა ტაძრად, და შეაგინა ადგილი ესე წმიდა.

29. რამეთუ ეხილვა წინასწარ ტროფიმე ეფესელი მისთანა ქალაქსა შინა, რომლისასა ჰგონებდეს, ვითარმედ ტაძრად შეიყჳანა იგი პავლე.

30. აღიძრა ყოველი იგი ქალაქი, და იყო შეკრება ერისა და შფოთი დიდი; და შეიპყრეს პავლე და გამოითრევდეს გარე ტაძრისა მისგან, და მეყჳსეულად დაეკშნეს კარნი.

31. და ვითარცა ეგულებოდა მოკლვაჲ მისი, მიიწია ჰამბავი ათასის-თავისა მის გუნდისა, ვითარმედ ყოველი იერუსალიმი შეკრებულ-არს.

32. ხოლო მან მეყჳსეულად წარიყჳანნა მკედარნი და ასისთავნი და მიიწია მათ ზედა; ხოლო მათ, ვითარცა იხილეს ასის-თავი იგი და მკედარნი, დააცადეს ცემაჲ პავლესი.

33. მაშინ მიეახლა ათასის-თავი იგი და გამოიყჳანა იგი, და ჰბრძანა შეკრვაჲ მისი მრჩობლითა ჯაჭჳთა, და ჰკითხჳდა: ვინ არს, ანუ რა უქმნიეს?

34. სხჳანი იგი, სხჳასა რასმე ჰკმობდეს ერსა შორის. და ვითარ იგი ვერ გულის-კმა-ჰყო გამოწჳლილვით შფოთისა მისგან, ჰბრძანა შეყჳანებაჲ მისი ბანაკად.

35. და ვითარცა მიიწია იგი აღსავალსა მას; ზე აქჳნდა პავლე მკედართა მათ სიმრავლისა მისთჳს ერისა.

36. რამეთუ შეუდგა მას სიმრავლე იგი ერისა და ჰკმობდეს: აღიღე ეგე!

37. და ვითარცა შეჰყჳანდა იგი ბანაკად, ჰრქჳა პავლე ათასის-თავსა მას: უკეთუ ჯერ-არს რაჲსამე ჩემდა სიტყჳსად შენდა მიმართ? ხოლო მან ჰრქჳა: ბერძნულ იცია, ანუ არამე?

38. შენ ხარა მეგჳპტელი იგი, რომელმან უწინარეს დღეთა ამათ აღჰსძარ და განიყჳანენ უდაბნოდ ოთხ-ათასნი იგი კაცნი სიკარელნი?

39. ჰრქჳა მას პავლე: მე კაცი ვარ ურია, ტარსელი, კილიკიისა, არა უცნაურისა ქალაქისა მოქალაქე; და გევედრები შენ, მიბრძანე მე ერისა მიმართ სიტყჳად.

40. და მან ვითარცა უბრძანა; დაჰსდგა პავლე აღსავალსა მას და განუყარა კელი ერსა მას; და ვითარ მრავალი დადუმება იყო; ეტყოდა მათ ებრაელებრითა სიტყჳთა და ჰრქჳა:

## თ ა ვ ი 22.

1. კაცნო, ძმანო და მამანო' ისმინეთ ჩემი თქჳენდა მიმართისა სიტყჳს-გებისათჳს.

2. და ვითარცა ესმა, რამეთუ ებრაელებრითა სიტყჳთა ეტყოდა მათ, უფროჲს დადუმება ჰსცეს. და ჰსთქჳა:

3. მე კაცი ვარ ურია, შობილი ტარსუს კილიკიისასა, აღ-

ზრდილი ამას ქალაქსა შინა ფერხ-
თა თანა გამალიელისათა, გან-
სწავლულ ზედა-მიწევნით მამული-
თა სჯულითა, მოშურნე ვიყავ
ღმრთისათჳს, ვითარცა თქუენ
ყოველნი ხართ დღეს.
4. რომელი ამას გზასა ვსდევ-
ნიდ ვიდრე სიკუდილადმდე, შევ-
ჰკრევდ და მივსცემდ საპყრობი-
ლედ მამათა და დედათა.
5. ვითარცა ეგე მღუდელთ-
მთავარი მეწამების მე და ყოველ-
ნი მოხუცებულნი, რომელთაგან
წიგნებიცა მოვიღე ძმათა თჳს,
რომელნი იყუნეს დამასკეს, და
მივიდოდი მოყუანებად მუნ-მყო-
ფთა მათ კრულთა იერუსალიმად,
რათა იტანჯნენ.
6. იყო უკუე ჩემსა მას სლვასა
და მიახლებასა დამასკოსასა, შუა-
სამხრის, მეყუსეულად ზეცით გა-
მობრწყინდა ნათელი დიდი ჩემ
ზედა.
7. და დავვარდი ქუეყანასა
ზედა, და მესმა ჴმა, რომელმან
მრქუა მე: საულ! საულ! რასა
მდევნი მე?
8. და მე მიუგე: ვინ ხარ, უფა-
ლო? და მრქუა მე: მე ვარ იესო
ნაზარეველი, რომელსა შენ მდევნი.
9. და რომელნი იგი ჩემთანა
იყუნეს ნათელი იგი იხილეს, და
შიში დაეცა მათ ზედა; ხოლო
ჴმა იგი არა ესმა, რომელი მეტ-
ყოდა მე.
10. და მე ვარქუ: რაჲმე ვყო?
უფალო! ხოლო უფალმან მრქუა
მე: აღსდეგ და შევედ დამასკოდ,
და მუნ გეთხრას შენ ყოვლისა
თჳს, რომელი ბრძანებულ-არს
შენდა ყოფად.
11. და ვითარ იგი მე არა
რას ვჰხედვიდი დიდებისა მისგან
ნათლისა მის; კელის-პყრობითა
თანა-მყოფთა მათ ჩემთათა შევედ
დამასკოდ.
12. ანანია ვინმე, კაცი ღმრ-
თის-მოშიში მჰსგავსად სჯულისა,
წამებული ყოველთაგან მკჳდრთა
დამასკოსათა ურიათა,
13. მოვიდა ჩემდა, ზედა-მო-
მადგა და მრქუა მე: საულ ძმაო!
აღიხილენ. და მე მასვე ჟამსა აღ-
ვიხილენ და მივჰხედენ მას.
14. ხოლო მან მრქუა მე:
ღმერთმან მამათა ჩუენთამან გა-
მოგირჩია შენ, ცნობად ნებისა
მისისა, და ხილუად მართლისა
მის და სმენად ჴმისა პირისა მი-
სისა;
15. რამეთუ იყო მოწამე მისა
ყოველთა მიმართ კაცთა, რომელი
იგი იხილე და გესმა.
16. და აწ ნუ რას ეურვი? აღ-
ჰსდეგ და ნათელ-იღე, და განიბანენ
ცოდუანი შენნი, და ჰხადოდე სა-
ხელსა მისსა.
17. ხოლო იყო მოქცევასა
ჩემსა იერუსალიმად, და ლოცუასა
ჩემსა ტაძარსა შინა, ვიყავ გან-
კჳრვებასა შინა.
18. და ვიხილე უფალი, და
მრქუა მე: ისწრაფე და განვედ აღ-
რე იერუსალიმით, რამეთუ არა
თავს-იდუან წამებაჲ შენი ჩემ-
თჳს.
19. და მე ვჰსთქუ: უფალო!
მათ თჳთ იციან, რამეთუ მე ვი-

ყავ, რომელი მივჰსცემდ საპყრო-
ბილედ და ვჰსტანჯევდ შესაკრე-
ბელსა შორის მორწმუნეთა შენთა;
20. და რაჟამს დაითხეოდა
სისხლი მოწამისა შენისა სტეფა-
ნესი, მე ვიყავ ზედა-მდგომელ და
თანა-ჯერ-მჩინებელ მოკლჳასა მის-
სა, და მცჳელ სამოსელსა მკლჳე-
ლთა მისთასა.

21. და მრქჳა მე: წარვედ;
რამეთუ ნათესავთა შორიელთა მი-
გავლინო შენ.

22. ისმენდეს მისსა ვიდრე
ამის სიტყჳსამდე; და აღიღეს კმა
მათი და ჰსთქჳეს: აღიღე ქჳეყა-
ნით ეგე-ვითარი ეგე! რამეთუ არა
ღირს-არს ცხოვრებად.

23. და ვითარცა ღაღადებდეს
იგინი უმეტეს და დაჰყრიდეს სა-
მოსელსა მათსა და მტჳერსა ზე
აღათქჳრევდეს ჰაერსა,
24. ბრძანა ათასის-თავმან მან
შეყჳანებაჲ მისი ბანაკად და ჰსთქჳა:
ტანჯვით განვიკითხო ეგე, რათა
ვჰსცნა, რომლისა ბრალისა თჳს
ესრეთ ჰკმობენ მისთჳს.

25. და ვითარცა განართხმიდეს
მას ძჳედებითა; ჰრქჳა პავლე ასის-
თავსა მას ზედა-მდგომელსა: უკე-
თუ კაცისა ჰრომისა და უბრალოჲ-
სა, ჯერ-არს თქჳენდა ტანჯჳად?
26. ესმა რა ესე ასის-თავსა
მას, მოვიდა და უთხრა ათასის-თავ-
სა მას და ჰრქჳა: იხილე, რაჲ გე-
გულების ყოფად? რამეთუ კაცი ესე
ჰრომი არს.
27. მოუკდა ათასის-თავი იგი
და ჰრქჳა პავლეს: მითხარ მე, ჰრო-
მი ხარა შენ? ხოლო მან ჰრქჳა: ჰე.
28. მიუგო ათასის-თავმან მან:
მე მრავლითა საფასითა მოქალა-
ქობაჲ ესე მოვიპოვე. ხოლო პავ-
ლე ჰრქჳა: მე შობილივე მას ში-
ნა ვარ.
29. მაშინ მეყუსეულად განე-
შორნეს მისგან, რომელთა იგი
ეგულებოდა ტანჯჳაჲ მისი. და
ათასის-თავსა მასცა შეეშინა, ჰსცნა
რა, რამეთუ ჰრომი არს, და რამე-
თუ მისა იყო შევედრებულ.
30. ხვალისაგან, უნდა გულის-
კმის-ყოფად უკრძალულესადრე,
რასათჳს მი შესმენენ მას ურიანი
იგი განჰკსნად იგი, და ჰბრძანა
შეკრებაჲ მღდელთ-მთავართა და
ყოვლისა მის კრებულისა, და მოი-
ყჳანა პავლე, და დაადგინა შორის
მათსა.

## თავი 23.

1. მიჰხედა პავლე შესაკრებელ-
სა მას და ჰრქჳა: კაცნო ძმანო!
მე ყოვლითა გონებითა კეთილი-
თა ვმოქალაქობ ღმრთისა მიმართ,
ვიდრე აქა დღედმდე.
2. ხოლო მღდელთ-მთავარმან
ანანია უბრძანა წინაშე-მდგომელ-
თა მათ მისთა პირსა ცემაჲ მისი.
3. მაშინ პავლე ჰრქჳა მას:
ცემაჲ შენი ეგულების ღმერთსა,
კედელო განგოზილო; და შენ ჰზი,
მსაჯულად ჩემდა მჰსგავსად ჰსჯუ-
ლისა, და უჰსჯულოდ ჰბრძანებ ცე-
მად ჩემდა.
4. ხოლო წინაშე-მდგომელთა

მათ ჰრქჳჱს მას: მღჳდელთ-მთავარსა ღმრთისასა აგინება?

5. ჰრქჳა მათ პავლე: არა ვიცოდე, ძმანო, ვითარმედ არს ეგე მღჳდელთ-მთავარ; რამეთუ წერილ-არს: მთავარსა ერისა· შენისასა არა ჰრქჳა ბოროტი.

6. ვითარცა გულის-ჴმა-ჰყო პავლე, ვითარმედ ერთ-კერძო იგი კრებული ფარისეველთა არს, და ერთ-კერძო სადუკეველთა, ჴმა-ჰყო კრებულსა მას შორის: კაცნო ძმანო! მე ფარისეველი ვარ, და მე ფარისეველისა; და სასოებისათჳს და აღდგომისა მკჳდართასა მე ვისაჯები.

7. ესე ვითარცა ჰსთქჳა მან; იყო შფოთი სადუკეველთა და ფარისეველთაჲ, და განივლთა სიმრავლე იგი.

8. რამეთუ სადუკეველნი იტყჳან: არა არს აღდგომა, არცა ანგელოსი, არცა სული; ხოლო ფარისეველნი აღიარებენ ამას ყოველსა.

9. და იყო ღაღადება დიდი; აღვინმე-ჰსდგეს მწიგნობარნი კრებულისაგან ფარისეველთასა, ილალვიდეს და იტყოდეს: არა რას ბოროტსა ვჰპოებთ კაცისა ამის თანა. გინა სული ეტყოდა მას, გინა ანგელოსი; ნუ ღმრთის-მბრძოლ ვართ.

10. და ვითარ მრავალი შფოთი იყო; შეეშინა ათასის-თავსა მას, ნუ უკჳჱ განიჭრას პავლე მათგან, უბრძანა მჴედრობასა შთასლვა და გამოტაცებაჲ მისი შორის მათსა, და მიყჳანებაჲ მისი ბანაკად.

11. ხოლო მეორესა ღამესა დაადგრა მას უფალი და ჰრქჳა: ნუ გეშინინ, პავლე; რამეთუ ვითარცა ეგე ჰსწამე ჩემთჳს იერუსალიმს, ეგრეცა ჯერ-არს შენდა ჰრომესცა შინა წამება.

12. და ვითარცა განთენა, ჰყჳჱს ვიეთმე ჰურიათა შეთქმულებაჲ, შეჩჳჱნებულ-ჰყჳნეს თავნი თჳსნი და ჰსთქჳჱს არა ჭამად არცა სჳმად, ვიდრემდე მოჰკლან პავლე.

13. ხოლო იყჳნეს უმრავლეს ორმეოცისა, რომელთა შეთქმულებაჲ ესე ჰყჳჱს.

14. რომელნი მოუჴდეს მღჳდელთ-მთავართა და ხუცესთა და ჰრქჳჱს: შეჩჳჱნებით შეჩჳჱნებულ-ვჰყჳჱნით თავნი თჳსნი არარაჲსა გემოს-ხილვად, ვიდრემდე მოვჰკლათ პავლე.

15. აწ უკჳჱ თქჳჱნ აუწყეთ ათასის-თავსა კრებულითურთ, რათა ხვალე შთამოიყვანოს იგი თქჳჱნდა, რეცა თუ ბებულვებით უჭეშმარიტეს-ადრე გულის-ჴმის-ყოფად მისთჳს; ხოლო ჩჳჱნ ვიდრე მოახლებადმდე მისა, განმზადებულ-ვართ მოკლვად მისა.

16. ესმა დის-წულსა პავლესსა სიტყჳაჲ ესე, მივიდა და შევიდა ბანაკად და უთხრა პავლეს.

17. ხოლო პავლე, მოუწოდა ასის-თავსა ერთსა და ჰრქჳა: ჭაბუკი ესე მიიყჳანე ათასის-თავისა, რამეთუ უნებს რამე თხრობად მისა.

18. ხოლო მან წარიყვანა იგი, და მიიყვანა ათასის-თავისა მის და ჰრქუა: კრულმან პავლე მიწოდა და მრქუა მე ჭაბუკისა ამის მოყვანებად შენდა, რამეთუ აქუს რაჲმე სიტყუა თხრობად შენდა.

19. უპყრა ჴელი ათასის-თავმან და განიყვანა თჳსაგან და ჰკითხვიდა, ვითარმედ რაჲ არს, რა გისმს თხრობად ჩემდა?

20. ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ ჰურიანი შეითქუნეს, რათა ითხოვონ შენგან პავლე და შთაიყუანონ ხვალე კრებულსა მათსა, რეცა თუ უჴეშმარიტესადრე კითხვად მისთჳს.

21. შენ უკუე ნუ ერჩი მათ; რამეთუ უმზირიან მას მათგანნი კაცნი უმრავლეს ორმეოცისა, რომელთა შეიჩუენეს თავნი თჳსნი არა ჭამად, არცა სუმად, ვიდრემდე მოკლან პავლე; და აწ განმზადებულ-არიან და ელიან შენსა ბრძანებასა.

22. ხოლო ათასის-თავმან განუტევა ჭაბუკი იგი და ამცნო, რათა არა ვის უთხრას, ვითარმედ ესე მაუწყე მე.

23. და მოუწოდა ორთა ვიეთმე ასის-თავთა და ჰრქუა: განმზადეთ ორ-ასი ერისგანი, რათა მივიდენ კესარიადმდე, და მჴედარი სამეოცდა-ათი, და ფაროსანი ორ-ასი მესამით ჟამითგან ღამისათ.

24. და საჴედარი ერთი, რათა აღსუან პავლე და მიიყუანონ იგი ფელიქს მთავრისა.

25. და მიჰსწერა წიგნი, რომელსა წერილ იყო სახე ესე-ვითარი.

26. კლავდიოს ლუსია მჴნესა ფელიქს მთავარსა გახარებ.

27. კაცი ესე შეეპყრა ჰურიათა და ეგულებოდა მოკლუაჲ მისი: ზედა მიუჴედ მჴედრებითურთ და განვარინე ეგე, ვჰსცანდა, რამეთუ ჰრომი არს.

28. და მინდა გულის-ჴმის-ყოფად ბრალი იგი, რომლისათჳს შეასმენდეს ჰურიანი და შთავიყუანე იგი კრებულსა მათსა;

29. და ვჰპოვე, რამეთუ აბრალებდეს მას მიებათა თჳს ჰსჯულისა მათისათა, და არა რაჲ ღირსი სიკუდილისა, გინა კრულებისა ბრალი იპოვა მაგის თანა.

30. და ვითარცა მეუწყა, რამეთუ უმზირდეს ჰურიანი მოკლუად კაცისა მაგის, მუნ თქუმსვე წარმოვავლინე შენდა, მიბრძანებიეს შემასმენელთა მათდაცა სიტყუად მაგისა შენ წინაშე. და ცოცხლებით იყავ.

31. ხოლო სტრატიოტთა მათ მჰსგავსად ბრძანებულისა მათისა, წარიყუანეს პავლე, და მიიყუანეს ღამე ანტიპატრიადმდე.

32. და ხვალისაგან, განუტევნეს მჴედარნი იგი მისლუად მის თანა, და იგინი მოიქცეს ბანაკად.

33. რომელნი იგი მოავიდეს კესარიად, მიჰსცეს წიგნი იგი მთავარსა მას, და წარუდგინეს მას პავლეცა.

34. აღმოიკითხა იგი მთავარმან და ჰკითხა თუ, რომლისა სამთავროსა არს, და ისწავა, რამეთუ კილიკიაჲსა არს და ჰრქუა:

35. ვისმინო შენი, რაჟამს შემასმენელნიცა შენნი მოვიდენ. და უბრძანა ტაძარსა მას ჰიროდისსა დამარხვაჲ მისი.

### თ ა ვ ი 24.

1. შემდგომად ხუთისა დღისა შთავიდა მღუდელთ-მთავარი ანანია ხუცესთა თანა და მეტყუჱლისა ვისმე ტერტჳლოჲს თანა, რომელთა აუწყეს მთავარსა მას, პავლეს თჳს.

2. და ვითარცა მოუწოდეს მას; იწყო ტერტჳლოს შესმენად მისა და ჰრქუა:

3. მრავალსა მშჳდობასა შინა ვართ, შენ ძლით და განგებულებასა, რომელ იქმნების ნათესავსა ამას შინა მოღუაწებითა შენითა სადავე, და ყოველთა ადგილთა შევიწყნარებთ მჴნეო ფელიქს, ყოვლითა მადლობითა.

4. ხოლო რათა არა უმეტეს დაგაშრო შენ, გლოცავ, რათა შემოკლებულად ისმინო ჩუჱნი შენითა სახიერებითა.

5. რამეთუ ვჰპოვეთ კაცი ესე ბილწი და შფოთის აღმძრველი ყოველთა შორის ურიათა, რომელნი არიან ყოველსა სოფელსა, წინამძღუარი გალილეველთა წვალებისა.

6. რომელმან ტაძარსა აზმნო შეგინებად, რომელიცა შევიპყართ და მჰსგავსად ჰსჯულისა ჩუჱნისა ვინებეთ განკითხუაჲ.

7. ზედა მოგჳხდა ლუსია ათასის-თავი და მრავლითა იძულებითა ჴელთაგან ჩუჱნთა წარიყუანა, და შენ წინაშე წარმოავლინა,

8. და ჰბრძანა შემასმენელთაცა მისთა შენ თანავე მოსლუად; რომლისა მიერ შეუძლო შენ განკითხუად და ცნობად ამის ყოვლისა, რომელსა ჩუჱნ ვჰსწამებთ მაგას თანა.

9. ეწამებოდეს ურიანიცა და იტყოდეს, ვითარმედ ესე ესრეთ არს.

10. მიუგო პავლე წამის ყოფითა მთავრისათა და ჰსთქუა: მრავლით წლითგან გიცოდი შენ, მსაჯულად ამის ნათესავისა, გულსმოდგინებით თავისა ჩემისათჳს სიტყუა მიუგო.

11. რამეთუ შემძლებელ ხარ შენ გულის-ჴმის-ყოფად, უმრავლეს არს ჩემი ათორ-მეტისა დღისა, ვინადგან აღვედ მე თაყუანისცემად იერუსალიმად.

12. და არცა ტაძარსა შინა მპოვეს მე მეტყუჱლად ვისთანამე, გინათუ ამბოხისათჳს ერისკრებად, გინა შესაკრებელთა შორის, ანუთუ ქალაქსა შინა.

13. არცა მალ-უძს შენ წინაშე ჩემ ზედა ამისი ჩინებად, რომლისათჳს ესე აწ შემასმენს მე.

14. ხოლო ამას აღგიარებ შენ, რამეთუ გზისა მისთჳს, რომელსა ეგე იტყჳან წვალებად, ესრეთ ვჰმსახურებ მამათა ღმერთსა და მრწამს ყოვლისა მის-ებრ, რომელი ჰსჯულსა და წინასწარ-მეტყუჱლთა წერილ-არს.

15. სასოება მაქუს ღმრთისა მიმართ, რომელსა ეგენიცა მო-

ლიან, აღდგომა ყოფად არს მკჳდართა მართალთაცა და ცოდვილ-თაცა.

16. ამას ზედა ვიღჳწი, დაუბრკოლებელი გონება მაქჳს ღმრთისა მიმართ და კაცთა მარადის.

17. მრავლისა წლისა შემდგომად, ქჳჱლის საქმისა ყოფად მოხრულ-ვიყავ ნათესავისა ჩემისა, და შესაწირავისა.

18. რომელსა შინა მპოვეს მე, განწმედილი ტაძარსა შინა არა ერითა, არცა შფოთითა ასიათ ვინმე ურიათა.

19. რომელთა ჯერ-იყო შენ წინაშე მოსლჳა და შესმენა რა იგი აქჳს ჩემდა მომართ სიტყჳა.

20. ანუ მაგათ თჳთ თქმად, რაჲ ჰპოვეს ჩემ თანა ბრალი, ვჰსდეგ კრებულსა შორის.

21. ანუ ერთისა მის სიტყჳსა თჳს, რომელ კმა-ვჰყავ მათ შორის, რა იგი ვჰსდეგ, ვითარმედ აღდგომისათჳს მკჳდართასა ვისაჯები დღეს თქჳჱნ მიერ.

22. ესმა რა ესე ფელიქს, დრო-უყო მათ ჭეშმარიტებით, იცოდა გზისა მისთჳს და ჰსთქჳა: რაჟამს ლუსია ათასის-თავი მოვიდეს, მაშინ ვჰსცნა თქჳჱნ თჳს.

23. და უბრძანა ასის-თავსა მას დამარხჳაჲ პავლესი, და რათა იყოს იგი მოლხინედ, და ნუ ვის უენებად თჳსთა მისთა მსახურებისა, ანუ შესლჳად მისთანა.

24. ხოლო შემდგომად დღეთა რაოდენთამე მოვიდა ფელიქს დრუსილას თანა, ცოლისა თჳსისა, ურიისა, მოუწოდა პავლეს, და ისმინა მისი იესო ქრისტეს სარწმუნოებისათჳს.

25. და ვითარ იგი იტყოდა სიმართლისათჳს და მოთმინებისა და სარჩელისათჳს მერმისა; შეეშინა ფელიქს, და ჰრქჳა პავლეს: აწ ამას ჟამსა წარვედ, და ჟამსა მას მოცალესა, მოგიწოდო შენ.

26. და ამას თანა ჰგონებდა, ვითარმედ ფასი მოიღოს მან პავლესგან, რათა განჰხსნას იგი: ამისთჳს ზედას ზედა მოუწოდნ და ზრახავნ მას.

27. ხოლო ვითარცა ორი წელი აღესრულა, გარდაიდგინა ფელიქს, და ნაცჳლად მისა მოვიდა პორკიონი ფესტოს. და რამეთუ ენება ფელიქს მომადლებაჲ ურიათა, დაუტევა პავლე კრულებათა შინა.

## თ ა ვ ი 25.

1. ფესტოს, ვითარცა აღვიდა სამთავროსა თჳსსა, შემდგომად სამისა დღისა აღვიდა იერუსალიმად კესარიაჲთ.

2. აუწყეს მას მღჳდელთ-მოძღჳარმან და მთავართა ურიათასა პავლესთჳს, და ევედრებოდეს მას,

3. და ითხოვდეს მადლსა მისთჳს, რათა მოუწოდოს მას იერუსალიმად; და უმზირდეს გზასა ზედა მოკლჳად.

4. ხოლო ფესტოს მიუგო და ჰრქჳა მათ, ვითარმედ დამარხულ-არს პავლე კესარიას და, ვითარმედ

ადრე ჰნებავს განსლვაჲ იერუსა-
ლიმით.
5. აწ უკუჱ, რომელნი შემძ-
ლებელ-არიან თქუჱნგანნი ჩემთა-
ნა შთამოვიდენ, და რა იგი არს
უჯეროჲ კაცისა მისთანა, შეჰს-
წამონ მას.
6. იქცეოდა იგი მუნ არა უმ-
რავლეს ათისა დღისა, და შთავი-
და კესარიად, და ხვალისაგან, დაჰ-
სჯდა საყდართა ზედა და ჰბრძანა
მოყუანებაჲ პავლესი.
7. და ვითარცა მოვიდა იგი;
გარემოადგეს მას იერუსალიმით
შთასრულნი იგი ურიანი, მრავა-
ლსა და მძიმესა ბრალსა დაჰსდებ-
დეს პავლეს ზედა, რომლისა ვერ
ეძლო გამოჩინებად.
8. რამეთუ იგი სიტყუჱს უგებ-
და მათ, ვითარმედ არცა ჰსჯულ-
სა ურიათასა, არცა ტაძარსა, არ-
ცა კეისარსა რა შევჰსცოდე.
9. ფესტოსს უკუჱ უნდა მო-
მადლებაჲ ურიათა, მიუგო პავლეს
და ჰრქუა: გნებავსა იერუსალიმად
აღსლვაჲ და მუნ ამისთჳს განკით-
ხვაჲ ჩემ წინაშე?
10. ჰრქუა მას პავლე: საყდარ-
თა წინაშე კეისრისათა ვჰსდგა,
სადა ჯერ-არს ჩემი განკითხვაჲ.
ურიათა არა შევჰსცოდე, ვითარცა
შენ უმჯობესი იცი.
11. უკეთუ რაჲსამე ვავნებ და
ღირსი სიკუდილისა მიქმნიეს; არა
ვევედრი სიკუდილსა: უკეთუ არა
რაჲ არს, რომელსა ესენი შემას-
მენენ მე; ვერვის კელეწიფების
მიმადლებად ჩემი მათდა. კეისარსა
უღაღადებ.

12. მაშინ ფესტოს, ზრახუა-
ჰყო თანა-მზრახუალისა თჳსისა
თანა და ჰსთქუა: კეისარსა უღა-
ღადებ, კეისრისაცა წარხჳდე.
13. და ვითარცა დღენი რავ-
დენიმე წარვიდეს, აგრიპა მეფე და
ბერენიკე მოიწივნეს კესარიად მო-
კითხვად ფესტოსსა.
14. და ვითარ მრავალ-დღე
იქცეოდეს მუნ; ფესტოს უთხრა
მეფესა პავლესთჳს და ჰრქუა: კა-
ცი ვინმე დაშთომილ-არს ფელიქ-
სისაგან კრული.
15. რომლისათჳს ვიყავ რა იე-
რუსალიმს, მითხრეს მღდელთ-
მთავართა და მოხუცებულთა ური-
ათა და ითხოვდეს მისთჳს სას-
ჯელსა.
16. რომელთა მიუგე და ვარქუ,
ვითარმედ არა არს ჩუეულება
ჰრომთა, მიმადლებად ვისმე კა-
ცისა წარწყმედად, ვიდრემდე რო-
მელსა იგი შეასმენდენ პირის
პირ, აქუნდენ შემასმენელნი იგი
და ადგილი სიტყჳს-გებისა მი-
იღოს ბრალისა მისთჳს.
17. და ვითარცა შემოკრბეს
იგინი აქა; არცა ერთი რა დროჲ
ვჰყავ, ხვალისაგან დავჰსჯედ სა-
ყდართა ზედა, და ვჰბრძანე მოყუა-
ნებაჲ კაცისა მის.
18. რომლისათჳს წარმოჰსდგეს
შემასმენელნი, და არცა ერთი რა
ბრალი აჩინეს, რომელსა ვჰგო-
ნებ მე.
19. ბოროტისა მიეზნი რა-
მე თჳსისა ეშმაკეულებისანი აქუნ-
დეს მისა მიმართ და იესოს ვი-

სთჳსმე მომკუდრისა, რომელსა
იტყოდა პავლე ცხოველად.
20. და ვითარ ვერა რას ვჰპო-
ვებდ მე ამის მიეზისათჳს, ვეტ-
ყოდე მას: უკეთუმცა უნდა მი-
სლუად იერუსალიმად, და მუნ გან-
კითხუად ამისთჳს.
21. ხოლო პავლე ღაღადებდა
დამარხუაჲდ მისა, რათა კეისარმან-
ცა აგრძნას; და ვბრძანე დამარ-
ხუაჲ მისი, ვიდრემდე მიუძღუანო
იგი კეისარსა.
22. მიუგო აგრიპა და ჰრქუა
ფესტოსს: მინდა მე კაცისა მის-
გან სმენად. ხოლო მან ჰრქუა მას:
ხვალე ისმინო მისი.
23. და ხვალისაგან მოვიდა
აგრიპა და ბერენიკე მრავლითა სა-
ოცრებითა, და შევიდა განსაკით-
ხავსა მას ათასის-თავსა თანა და
კაცთა მათ მთავართა თანა ქალა-
ქისათა, და ვითარცა ჰბრძანა ფეს-
ტოს, მოიყუანეს პავლე.
24. და ჰრქუა ფესტოს: აგ-
რიპა მეფე და ყოველნი კაცნი,
რომელნი ჩუენთანა ხართ! ჰხე-
დავთ ამას, ამისთჳს ყოველი სიმ-
რავლე ურიათა შემემთხჳა მე იე-
რუსალიმს და აქაცა, ღაღადებდეს
და იტყოდეს, ვითარმედ არა ჯერ-
არს ეგე ცხოვრებად ამიერითგან.
25. ხოლო მე გულის-კმა-ვჰყავ,
ვითარმედ არა რა ღირსი სიკუ-
დილისა უქმნიეს ამას; და ვითარ
იგი თჳთ ესე უღაღადებდა კეი-
სარსა, ვჰსაჯე წარვლინებაჲ მისი.
26. რომლისათჳს განკრძალუ-
ლად ვერა რა მაქუს რა მივჰსწე-
რო უფლისა ჩემისა; ამისთჳს მო-
ვიყუანე ეგე თქუენ წინაშე, უფ-
როჲსღა შენ წინაშე, მეფე აგრი-
პა, რათა განიკითხო ეგე, და უწ-
ყოდე რაჲმე მივჰსწერო.
27. რამეთუ, უჯერო მიჩნს
მე მიძღუანებაჲ პყრობილისა, და
ბრალთაცა მისთა არა უწყებად.

## თ ა ვ ი 26.

1. ხოლო აგრიპა ჰრქუა პავ-
ლეს: ბრძანებულ-არს შენდა თა-
ვისა შენისათვის სიტყუად. მაშინ
პავლე, განჰყო კელი, მიუგო და
ჰსთქუა:
2. ყოველთა თჳს, რომლითა
მაბრალებენ მე ურიანი, მეფე აგ-
რიპა! შემირაცხიეს თავი ჩემი
ნეტარად, რამეთუ შენ წინაშე მე-
გულების დღეს სიტყჳს-გებად
უფროჲსღა.
3. რამეთუ მეცნიერ-ხარ შენ
ყოველთა მათ ჩუეულებათა და მი-
ებათა ურიათასა. ამისთჳს გევედ-
რები სულ-გრძელებით • ისმინე
ჩემი.
4. ცხოვრება უკუე ჩემი სიყრ-
მითგან, პირველითგან ყოფილი
ნათესავსა შორის ჩემსა იერუსა-
ლიმს შინა, იციან ყოველთა ური-
ათა.
5. წინასწარვე მიცოდეს მე
პირველითგან, უკეთუ უნდეს წა-
მების, რამეთუ ჭეშმარიტისა მი-
სებრ მსახურებისა ჰსჯულისა ჩუე-
ნისა ვჰსცხონდებოდი ფარისე-
ველი.
6. და აწ სასოებისათჳს მამათა
ჩუენთა აღთქმულისა, რომელი

იყო ღმრთისა მიერ ვჰსდგა და
განვიკითხვი.
7. რომლისა მიმართ ათ-ორ-
მეტი ნათესავი განკრძალული დღე
და ღამე ჰმსახურებს, და ესავს მი-
წევნასა, რომლისა სასოებისათჳს
ვიბრალები ურიათაგან მეფე აგ-
რიპა.
8. რა ურწმუნოება არს? გან-
კითხუათა თქუენ შორის უკუე
ღმერთი მკუდართა აღადგინებს?
9. მე უკუე მენება თავით ჩე-
მით სახელისათჳს იესო ნაზარე-
ველისა მრავლისა მჳრის საქმედ.
10. რომელი იგი ვჰყავცა იე-
რუსალიმს შინა, და მრავალნი წმი-
დათაგანნი მე საპყრობილესა შე-
ვაყენენ, რამეთუ ჴელმწიფებაჲ მო-
ვიღე მღუდელთ-მთავართაგან მო-
სრუად მათდა, და მომეღო რი-
ცხჳ.
11. და ყოველთა შესაკრებელ-
თა შორის მრავალ-გზის ვჰსტან-
ჯევდ მათ, და ვაიძულებდ გმობად;
უმეტესადღა ვჰბორგდ მათ ზედა,
და ვჰსდევნიდი, ვიდრე გარემოთა
ქალაქთამდეცა.
12. რომელთა შინა მივიდოდი
მე, და მეყუსეულად ჴელმწიფებითა
და ბრძანებითა მღუდელთ-მთავარ-
თათა.
13. შუა-დღე, გზასა ზედა, ვი-
ხილე მეუფე ზეცით გარდამო,
უბრწყინვალესი მზისა, გამო-
მიბრწყინდა მე ნათელი და ჩემ-
თანა მოგზაურთა მათ.
14. და ვითარცა ჩუენ ყო-
ველნი ქუეყანად დავჰსცჳვენით.
მესმა ჴმა, რომელმან მრქუა მე

ებრაელებრითა სიტყჳთა: საულ,
საულ! რასა მდევნი მე? ფიცხელ
არს შენდა წიხნა დეზისა.
15. და მე ვარქუ: შენ ვინ
ხარ, უფალო? მან მრქუა მე: მე
ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი.
16. არამედ აღჰსდეგ და დაჰს-
დეგ ფერკთა შენთა ზედა, რამე-
თუ ამისთჳს გეჩუენე შენ, რათა
დაგადგინო შენ მსახურად და მო-
წამედ, რომელი იხილე, და რო-
მელი გეჩუენო შენ,
17. განრინებად შენდა ერი-
საგან და ნათესავთაგან, რომელთა
მე მიგავლინო შენ,
18. აღხილვად თვალთა მათ-
თა, და მოქცევად ბნელისაგან ნათ-
ლად, და ჴელმწიფებისაგან ეშმაკი-
სა ღმრთისა მიმართ, მიღებად
მათდა მიტევებაჲ ცოდუათა, და
ნაწილი განწმედილთა შორის სა-
რწმუნოებითა ჩემდა მომართ.
19. რომლისათჳს, მეფე აგ-
რიპა, არა ვექმენ ურჩ ზეცისასა
მას ჩუენებასა.
20. არამედ რომელნი იყუნეს
დამასკოს შინა პირველად, და იე-
რუსალიმს შინა და ყოველსა სო-
ფელსა ურიასტანისასა და წარმა-
რთთა მითხრობად სინანულსა, და
მოქცევად ღმრთისა მიმართ და
ღირსი სინანულისა საქმე ქმნად.
21. ამისთჳს შემიპყრეს მე
ურიათა ტაძარსა შინა, და აზმნობ-
დეს მოკლუად ჩემდა.
22. შეწევნითა ღმრთისათა,
რომელსა ღირს ვიქმენ ვიდრე აქა
დღედმდე, ვჰსდგა და უწამებ მცი-
რესა და დიდსა, არა-რას გარეშე-

სა ვიტყჳ წინასწარ-მეტყუჱლთა
თქმულისასა, რომელსა ეგულებო-
და ყოფად და მოსესსა,
23. ვითარმედ ვნებად იყო
ქრისტესა, და ვითარმედ პირველ
მკუდართა აღდგომისა, ნათლისა
ეგულების მითხრობად ერთა და
ნათესავთა.
24. და ვითარ იგი ამას იტ-
ყოდა, ფესტოს დიდითა ჴმითა
ჰსთქუა: ჰბორგ, პავლე, რამეთუ
მრავალნი წიგნნი შენნი სიცბი-
ლედ მიგაქცევენ შენ.
25. ხოლო პავლე ჰსთქუა: არა
ვჰბორგ, მკნეო ფესტოს, არამედ
ჭეშმარიტებისა და სიწმიდისა სი-
ტყუათა ვიტყჳ.
26. რამეთუ მეცნიერ არს ამი-
სთჳს მეფე, რომლისა მიმართცა
კადნიერად ვიტყჳ. რამეთუ და-
ფარვად მისა რაჲსამე ამათგანისა
არა ვირწმუნო, რამეთუ არცა და-
ფარულსა ადგილსა ქმნილ-არს ესე.
27. ჰრწამსა, მეფე აღრიპა,
წინასწარ-მეტყუჱლთა? ვიცი, რა-
მეთუ გრწამს.
28. ხოლო აღრიპა ჰრქუა
პავლეს: მცირედღა დამარწმუნო
მე ქრისტიანე ყოფად.
29. ხოლო პავლე ჰრქუა მას:
ვილოცავ ღმრთისა მიმართ, მცი-
რეთათჳსცა და მრავალთა, არა ხო-
ლო თუ შენდა, არამედ ყოველთა,
რომელთა ესმის ჩემი დღეს ყო-
ფად ესრეთ, ვითარცა მე ვარ,
თჳნიერ კრულებათა ამათ.
30. და ვითარცა ესე ჰსთქუა
მან, აღჰსდგა მეფე და მთავარი და
ბერენიკე და მათ თანა მსხდომა-
რენი იგი.
31. წარვიდეს და იტყოდეს
ურთიერთარს, ვითარმედ არა რას
სასიკუდინესა გინა კრულებათა
საქმესა იქმს კაცი ესე.
32. ხოლო აღრიპა ჰრქუა ფეს-
ტოს: განტევებად ღირდა კაცი
ესე, უკეთუმცა არა ღაღად-ეყო
კეისრისა.

## თ ა ვ ი 27.

1. და ვითარცა განაჩინეს ნა-
ვითა წარსლვაჲ ჩუჱნი იტალიად;
მიჰსცეს პავლე და სხუანი ვინმე
პყრობილნი ასის-თავსა, სახელით
იულიოსს, გუნდისა სევასტიელი-
სა.
2. შევედით ნავსა ადრამიტჳ-
ნელსა, რომელი მიმავალი იყო
ადგილთა მათ ასიაჲსათა. და აღ-
ვვედით რა ჩუჱნ თანა იყო არი-
სტარხოს, მაკედონელი თესალო-
ნიკელი.
3. და მეორესა დღესა შთავე-
დით სიდონდ. კაცთ-მოყუარებაჲ
აჩუჱნა იულიოს პავლეს თჳს, და
უბრძანა მეგობართა თჳსთა თანა
მისლუად, და მოღუაწებისა მიმთ-
ხუჱვად.
4. და მიერ შევჰსხედით და
თანა-წარვლეთ კჳპრე, წინა-აღმდ-
გომებითა ქართათა.
5. მაშინ უფსკრული იგი
კილიკიისა და პამფილიისა განვ-
ვლეთ და შთავედით მჳრა ქალა-
ქად ლუკიისა.
6. და მუნ ჰპოვა ასის-თავმან

მან ნავი ალექსანდრიისა, რომელი მივიდოდა იტალიად, და შემსხნა ჩუენ მას შინა.

7. ხოლო მრავალთა დღეთა მძიმედ ვიდოდით და ძნიად მივიწიენით კნიდონდ, რამეთუ არა გჳტევებდა ჩუენ ქარი იგი, და თანა-წარვვლეთ კრიტი სალმუნით კერძო.

8. და ვითარცა ძლით წარმოვირჩიეთ იგი, მოვედით ადგილსა რასამე, რომელსა ერქუა ტბები კეთილი, რომელსა ეახლა ქალაქი ლასია.

9. და ვითარცა მრავალი ჟამი წარჴდა, და იყოდა ნავი საცთომელ სავალად, რამეთუ მარხუანი წაროდენ-სრულ-იყუნეს;

10. ამცნებდა მათ პავლე და ეტყოდა: კაცნო ძმანო! ვჰხედავ, რამეთუ ჭირი და ზღვევაჲ მრავალი ყოფად-არს, არა ხოლო თუ ტჳრთისა და ნავისა, არამედ თავნიცა ჩუენნი წარწყმედად არიან ნავისა თანა.

11. ხოლო ასის-თავი იგი მენავეთ-მოძღუარსა მას და ნავის-უფალსა ერჩდა უფროჲს, ვიდრე-და პავლეს სიტყუათა.

12. და ვითარ უმარჯუე იყო ნავთ-სადგური იგი დასაზამთრებელად; უმრავლესთა მათგანთა დაიდვეს გულსა წარსლვად მიერ, უკეთუმცა ვითარ უძლეს მისლვად ფინიკედ, და მუნ დაზამთრებად ტბასა მას კრიტისასა, რომელი ჰხედჳდა ჩრდილოდ და სოფლად.

13. და ვითარ იგი ჰქროდა ქარი სამხრისა, ჰგონებდეს, ვითარმედ ნებისა ებრ მათისა იყოს, აღჰსდგეს ასონით და წარირჩევდეს კრიტით.

14. და შემდგომად არა მრავლისა ჟამისა იწყო ქროლად მის თანა ქარმან მან ბორბალმან, რომელსა ჰრქჳან ვრცელ-დელვა.

15. და ვითარ შეაცთუნა ნავი იგი და ვერ ემლო პირისა მიქცევად ქარისა მის; მიუტევეთ და მიმოვაქუნდით.

16. ჭალაკსა რასმე თანა-წარვჰკედით რა, რომელსა ერქუა კლავდი, ძლით შეუძლეთ დაპყრობად კუამალდისა.

17. რომელი აღიღეს და შესაწევნელად იკუმევდეს და შემოჰსწებეს ნავსა: ხოლო ეშინოდა, ნუ უკუე კბოდოანსა განცჳვენ, გარდაუტევეს ჭურჭელი, და ესრეთ მიმოაქუნდა.

18. და ვითარ დიდსა ზამთარსა შინა ვიყუენით, ხვალისაგან გარდაჰსდებდეს ტჳრთსა.

19. და მესამესა დღესა ჭურჭელი ნავისა თჳსითა ჴელითა გარდაასხნიეს.

20. ხოლო არცა მზე, არცა ვარსკულავი ჰსჩნდა მრავალთა დღეთა, რამეთუ ზამთარი დიდი იყო; მიერითგან წარვიწირეთ სასოება ყოველი ცხოვრებად ჩუენდა.

21. და ფრიადი უზმობა იყო; მაშინ პავლე, აღჰსდგა შორის მათსა და ჰსთქუა: ჯერ-იყო, ჵ კაცნო! რათამცა მერჩდით მე და არა წარჰსხუედით კრიტით, და

შეამინეთ ჭირი ესე და ზღჳევაჲ.

22. და აწცა გეტყჳ თქჳენ, გულდებულ-იყჳენით; რამეთუ განსხჳენბა სულისა არცა ერთისა იყოს თქჳენგან, თჳნიერ ხოლო ნავისა.

23. რამეთუ წარმომიდგა მე ამას ღამესა ანგელოსი ღმრთისა, რომლისა ვარ მე, რომელსაცა ვჰმსახურებ,

24. და მრქჳა: ნუ გეშინინ, პავლე; კეისრისა ჯერ-არს შენდა წარდგომაჲ: და აჰა ესერა, მიგმადლნა შენ ღმერთმან ყოველნი, რომელნი არიან შენ თანა ნავსა მაგას.

25. ამისთჳს გულ-დებულ იყჳენით, კაცნო! რამეთუ მრწამს ღმრთისა, რამეთუ ესრეთ იყოს, ვითარცა სახედ მეტყოდა მე.

26. ჭალაკსა რასამე განცჳვებად ვართ ჩჳენ.

27. ხოლო ვითარცა მეათოთხმეტე ღამე მოიწია, და მიმოვეტაცენით ჩჳენ ანდრიასა შინა შუა ღამეს ოდენ, ჰგონებდეს მენავენი იგი მიწევნად რომელსამე სოფელსა.

28. და გარდაუტევეს საზომი, და ჰპოვეს ოც-მხარ; და მცირედ დარეყოვნეს და კჳალად მოზომეს, და ჰპოვეს ათ-ხუთმეტი მხარი.

29. და ეშინოდა, ნუ უკჳე კბოდოანსა ადგილსა განცჳვენ, ბოლოთ-კერძო ნავისა მის გარდაჰსთხინეს ოთხნი კავნი, და ილოცჳდეს განთენებასა.

30. ხოლო მენავეთა მათ ეგულებოდა სივლტოლაჲ ნავისა მისგან, და გარდაუტევეს სჳამალდი იგი ზღჳად, მიზეზად, რეცა თუ თავით კერძო ნავისა მის განმარტებენ კავთა.

31. მაშინ პავლე ჰრქჳა ასისთავსა მას და ერის-კაცთა: უკეთუ ესენი არა იყჳნენ ნავსა შინა, თქჳენ განრინებად ვერ ჰელგეწიფების.

32. მაშინ ერისაგანთა მათ განუკჳეთნეს საბელნი იგი სჳამალდისანი, და მიუშვეს იგი წარტაცებად ღელვათა.

33. და ვითარცა განთენდებოდა, ლოცჳდა ყოველთა პავლე მიღებად საზრდელისა და ჰრქჳა: მეათოთხმეტე დღე არს დღეს, ვინათგან უზმათა დაგიყოფიეს და არა რა მიგიღებიეს.

34. ამისთჳს გლოცავ თქჳენ მიღებად საზრდელისა; რამეთუ ესე თქჳენისა ცხორებისათჳს იქმნა, რამეთუ არავის თქჳენგანისა თმა ერთი თავისა წარწყმედად არს.

35. და ესე ვითარცა ჰსთქჳა, მოიღო პური, ჰმადლობდა ღმერთსა წინაშე ყოველთასა, და განჰსტეხა, და იწყო ჭამად.

36. გულს-მოდგინე იქმნეს ყოველნი და მათცა მიიღეს საზრდელი.

37. ხოლო ვიყჳენით ნავსა მას შინა ყოველნი კაცნი ორას-სამეოც-და-ათ-თექჳსმეტი სული.

38. და ვითარცა განჰსძღეს საზრდელითა, აღუმცირებდეს ნავ-

სა მას და გარდაჰსდებდეს იფქლსა
ზღუად.
39. და რაჟამს განთენა, ქუე-
ყანა იგი ვერ იცნეს, ყურესა
რასმე განიცდიდეს, რომლისა
იყო ზღჳს-კიდე, სადა იგი ეგუ-
ლებოდა, უკეთუმცა ვითარ შეუ-
ძლეს განდგინება ნავისა მის.
40. მოხსნეს კავნიცა იგი და
მიუტევნეს ზღუად, და მათთანა
მიუტევნეს შესაუდლველნიცა იგი
საჭეთანი, და აღუპყრეს აფრა
მცირე და ქარით კერძო, ეპყრა
ზღჳს-კიდით კერძო.
41. და ვითარცა შეჰსცჳეს უმ-
ძაფრესსა ადგილსა, დაჰკიდეს ნა-
ვი იგი. და რამეთუ თავით კერძო
იგი უმაგრესად ჰსდგა და ეგო
უძრავად; ხოლო ბოლოთ-კერძო
იგი დაირღვეოდა სიმძაფრითა
ღელვათათა.
42. ხოლო ერის-კაცთა მათ
ზრახუა ჰყუეს, რათა მოჰსწყჳდ-
ნენ პყრობილნი იგი, ნუ უკუე
განვინმე-სცურდეს და ივლტოდეს.
43. ხოლო ასის-თავსა მას,
უნდა განრინება პავლესი, და და-
აბრკოლნა იგინი ზრახჳსა მის-
გან და უბრძანა, რომელნი იგი
ცურვით შემძლებელ-იყუნეს გან-
სლუად ქუეყანად,
44. და სხუანი იგი რომელ-
ნიმე ფიცრითა, და რომელნიმე
ჭურჭლითა ნავისათა რომლითა-
მე; და ესრეთ განვერენით ყოველნი-
ვე და გამოვედით ქუეყანად.

თავი 28.

1. და გამორავსხედით, მაშინ
იცნეს, რამეთუ მელიტონი ერ-
ქუა ჭალაკსა მას.
2. ხოლო ბარბაროსთა მათ
წინა-მიჰყუეს ჩუენ არა მცირედი
კაცთ-მოყუარებაჲ; რამეთუ აღაგ-
ზნეს ცეცხლი და შემიწყნარნეს
ჩუენ ყოველნი წჳმისა მისგან და
ყინელისა, რომელი იყო.
3. და ვითარ შეჰკრებდა პავ-
ლე ფრიადსა ქარქუეტსა და დას-
ხმიდა ცეცხლსა მას ზედა; იქედ-
ნე სიტფოჲსა მისგან გამოჰხდა
და მოესვია ჴელსა პავლესსა.
4. ვითარცა იხილეს ბარბა-
როსთა მათ გუელი იგი დამოკი-
დებული ჴელსა მისსა, იტყოდეს
ურთიერთარს: კაცის - მკლველი
სამე არს კაცი ესე, რომელი
ზღუასაღა თუ განერა, სასჯელ-
მან ცხოვრებად არა უტევა.
5. ხოლო მან ჴელი განჰყარა
და შეაგდო გუელი იგი ცეცხლსა,
და არა რა ბოროტი ევნო მას.
6. ხოლო იგინი ჰგონებდეს,
ვითარმედ განსივნეს და დაეცეს
მეყუსეულად მკუდარი; და ვითარ
იგი მყოვარ-ჟამ ჰგებდეს და ჰხე-
დჳდეს, რამეთუ არა რა ბორო-
ტი შეემთხჳა მას, მოიქცეს და
იტყოდეს, ვითარმედ ღმერთი
არს.
7. ხოლო ადგილთა მათ იყო
სოფლები მთავრისა ვისიმე მის
ჭალაკისა, რომელსა სახელი ერ-
ქუა პოპლიოს: რომელმან შემი-
წყნარნა ჩუენ, და სამ-დღე სიყუა-
რულით მოწლედ მისტუმრნა.
8. და იყო მამა პოპლიოსისი
სიცხითა და ნაწლევითა სნეულ და

მწოლარე; რომლისა შევიდა პავლე და ულოცა, და დასხნა მის ზედა ჴელნი მისნი და განჰკურნა იგი.

9. და ვითარცა ესე იქმნა, სხუანიცა, რომელნი იყუნეს ჭალაკსა მას შინა და აქუნდა უძლურება, მოვიდოდეს და განიკურნებოდეს ძალითა ღმრთისათა.

10. რომელთაცა მრავლითა პატივითა პატივ-გუცეს ჩუჱნ, და წარსლუასა ჩუჱნსა აღგუაგნეს საგზლითა.

11. და შემდგომად სამისა თჳსა შევედით ნავსა, რომელსა დაეზამთრა მას ჭალაკსა ალექსანდრიაჲსასა, სახელით დიოსკორესსა,

12. და შთავედით სვირაკოსად და დავადგერით მუნ სამ-დღე.

13. ვინა იგი მოვლეთ და მივიწიენით რეგონდ; და შემდგომად ერთისა დღისა, იყო სამხრით ნავი და ორ-დღე მოვედით პონტოილეს.

14. სადა იგი ვჰპოვენით ძმანი, და ნუგეშინის-ცემულ ვიქმნენით მათ ზედა, და დავადგერით მუნ შჳდ-დღე; და ესრეთ მოვედით ჰრომედ.

15. და მიერ ძმათა ესმა ჩუჱნთჳს, და გამოვიდეს შემთხუჱვად ჩუჱნდა, ვიდრე აპპიოფორადმდე და მესამედ ღვინის-საფარდულად. რომელნი იხილნა რა პავლე, ჰმადლობდა ღმერთსა, და ნუგეშინის-იცა.

16. და ოდეს შევედით ჰრომედ; ასის-თავმან მან მიჰსცნა პყრობილნი იგი ერის მთავარსა მას, ხოლო პავლეს ებრძანა ყოფაჲ თჳსაგან მცუჱლისა მისისა, ერის-კაცისა თანა.

17. და იყო შემდგომად სამისა დღისა, მოუწოდა პავლე, რომელნი იგი იყუნეს მუნ ურიანი მთავარნი და, ვითარ მოჰკრბეს იგინი, ეტყოდა მათ: კაცნო ძმანო! მე არა რაჲ ბოროტი ვჰქმენ ერისა მის თანა, გინა ჰსჯულისა მამულისა, და კრული იერუსალიმით მივეცი ჴელთა ჰრომთასა.

18. რომელთა განმიკითხეს მე და უნდა განტევებაჲ ჩემი; ამისთჳს, რამეთუ არცა ერთი ბრალი სიკუდილისა იყო ჩემთანა.

19. და ვითარ იგი სიტყუაუგებდეს ურიანი; ვიიძულე ღადადის-გდებაჲ კეისრისა, არა თუ, ვითარმცა შესმენაჲ რამე მედვა ნათესავისა ჩემისა.

20. ამის უკუჱ მიზეზისათჳს გლოცევდ თქუჱნ, რათა მოჰხჳდეთ და გიხილნე და გეტყოდე; რამეთუ სასოებისათჳს ისრაილისა ჯაჭჳ ესე ზედა მაძს მე.

21. ხოლო მათ ჰრქუჱს მას: ჩუჱნ არცა წიგნი მოგვიკდა შენთჳს ურიასტანით, არცა მოვინვიდა ძმათაგანი და გვითხრა, გინა იტყოდა შენთჳს ბოროტსა.

22. ხოლო ამას გლოცავთ, რათა ვისმონოთ შენი, ვითარ ჰზრახავ; ხოლო კდომისა ამისთჳს უწყებულ-არს ჩუჱნდა, რამეთუ ყოველსა ადგილსა ცილობაჲ აღდგომილ არს.

23. და განუჩინეს მას დღე, და მოვიდეს ვანად მისა მრავალნი; რომელთა ასწავებდა და მიუთხრობდა სასუფეველისათჳს ღმრთისა, და არწმუნებდა მათ იესოსთჳს ჰსჯულისაგან მოსესა და წინასწარმეტყუელთა განთიადითგან; ვიდრე მიმწუხრადმდე.

24. და რომელნიმე ერჩდეს სიტყუათა მათ, და რომელნიმე არა ერჩდეს.

25. და შეთქმულ-იყუნეს ურთიერთარს და განვიდოდეს, ჰსთქუა პავლე სიტყუა ერთი, ვითარმედ კეთილად იტყოდა სული წმიდა ისაიას მიერ წინასწარმეტყუელისა მამათა თქუენთა მიმართ,

26. და ჰსთქუა: მივედ ერისა ამის და არქუ მათ: სმენით გესმოდეს, და არა გულის-ხმა-ჰყოთ; ხედჳთ ჰხედჳდეთ, და არა იხილოთ.

27. რამეთუ განჰზრქნა გული ერისა ამის, და ყურითა მძიმედ ისმინეს, და თუალნი მათნი დაიწუხნეს, ნუ სადა იხილონ თუალითა, და ყურითა ისმინონ, და გულითა გულის-ჴმა-ჰყონ, და მოიქცენ, და განვჰკურნენ იგინი.

28. საცნაურ უკუე იყავნ თქუენდა, რამეთუ წარმართთა თჳს მოივლინა მაცხოვარება ღმრთისა; და მათცა ისმინონ.

29. და ესე რა ჰსთქუა, წარვიდეს ურიანი იგი, და ფრიადი გამოძიება აქუნდა თავთა შორის თჳსთა.

30. ხოლო პავლე დაადგრა მუნ ორ-წელ ყოვლად, თჳსითა სასყიდლითა, და შეიწყნარებდა ყოველთა, რომელნი მოვიდოდეს მისსა,

31. ჰქადაგებდა სასუფეველსა ღმრთისასა და ასწავებდა უფლისა იესოს ქრისტეს თჳს ყოვლითა განცხადებულებითა დაუბრკოლებელად.

# კათოლიკე ეპისტოლე იაკობ მოციქულისა.

## თავი 1.

1. იაკობ, ღმრთისა და უფლისა იესო ქრისტეს მონა, ათორმეტთა ნათესავთა გიხაროდენ.

2. ყოვლივე სიხარულად შერაცხეთ, ძმანო ჩემნო, რაჟამს განსაცდელსა შეჰსცჳვეთ პირად-პირადსა,

3. უწყოდეთ, რამეთუ გამოცდილებამან მან სარწმუნოებისა თქუენისამან, შეჰქმნის მოთმინებაჲ;

4. ხოლო მოთმინებასა მას საქმე სრული აქუნდინ, რათა იყუნეთ სრულ და ყოვლად ცოცხალ, და არა რაჲთ ნაკლულევან.

5. ხოლო უკეთუ ვინმე თქუენგანი ნაკლულევან-არს სულიერითა სიბრძნითა, ითხოვენ ღმრთისაგან, რომელმან იგი მოჰსცის ყოველთა უხუად, და არა ვის აყუედრის; და მოჰსცეს მას.

6. ითხოვდინ ხოლო სარწმუნოებით, და ნუ ორგულებით, რამეთუ რომელი ორგულებდეს, მჰსგავს-არს იგი ღელვასა ზღჳსასა, ქარითა აღძრულსა და მიმოტაცებულსა.

7. ნუ ჰგონებნ კაცი იგი, ვითარმედ რაჲმე იღოს ღმრთისაგან.

8. კაცი ორგული, დაუდგრომელ-არს ყოველთა გზათა მისთა.

9. იქადოდენ ძმა იგი მდაბალი ამაღლებასა თჳსსა;

10. ხოლო მდიდარი დამდაბლებასა თჳსსა; რამეთუ, ვითარცა ყუავილი თივისა ეგრე წარჰკდეს.

11. რამეთუ აღმოჰკდა მზე სიცხითა თჳსითა, და განაკმო თივა იგი და ყუავილი მისი დაჰსცჳვა, და შუენიერება პირისა მისისა წარჰკდა; ეგრეცა მდიდარი სლვასა შინა თჳსსა დაჭნეს.

12. ნეტარ-არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა; რამეთუ გამოცდილ-იქმნეს, და მოიღოს გჳრგჳნი ცხოვრებისა, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა.

13. ნუ ვინ განცდილთაგანი იტყჳნ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განვიცდები; რამეთუ ღმერთი გამოუცდელ-არს ბოროტისა, და არავის განჰსცდის იგი.

14. არამედ კაცად-კაცადი განიცდების თჳსისაგან გულის-თქმისა, მიიზიდვის და ჰსცთების.

15. მერმე გულის-თქმა იგი

მიუდგის და ჴშჳს ცოდუჲსა; და ცოდუა იგი სრულ-იქმნის და ჴშჳს სიკუდილი.

16. ნუ ჴსცთებით, ძმანო ჩემნო საყუარელნო.

17. ყოველივე მოცემული კეთილი და ყოველივე ნიჭი სრული ზეგარდამო არს გარდამოსრულ მამისაგან ნათლისა, რომლისა თანა არა არს ცვალება გინა თუ ქცევისა აჩრდილ.

18. მას უნდა, და გუშვნა ჩუენ სიტყჳთა ჭეშმარიტებისათა, რათა ვიყუნეთ ჩუენ დასაბამ რაჲმე მისთა დაბადებულთა.

19. აწ უკუე, ძმანო ჩემნო საყუარელნო, იყავნ ყოველი კაცი მოსწრაფე სმენად, მძიმე სიტყუად, მძიმე გულის-წყრომად.

20. რამეთუ გულის-წყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისა არა ჴქმნის.

21. ამისთჳს, განიშორეთ ყოველი მწიკულევანებაჲ და მეტი იგი სიბოროტისა, სიმშჳდით შეიწყნარეთ ნერგი იგი სიტყჳსა, რომელი შემძლებელ-არს ცხოვრებად სულთა თქუენთა.

22. და იყუენით მყოფელ სიტყჳსა მის, და ნუ ხოლო მსმენელ და შეურაცხის-მყოფელ თავთა თჳსთა.

23. უკეთუ ვინმე მსმენელ ხოლო იყოს სიტყჳსა მის, და მყოფელ არა; ესე-ვითარი იგი მჴსგავს-არს კაცისა მის, რომელმან განიცადის პირი ქმნულებისა თჳსისა სარკით.

24. რამეთუ განიცადა თავი თჳსი და წარვიდა, და მეყუსეულად დაავიწყდა, რაბამ რა იყო.

25. ხოლო რომელმან მიჴხედა ჴსჯულსა მას სრულსა აზნაურებისასა, და დაადგრა მას; ესე არა მსმენელ და დამვიწყებელ-იქმნა, არამედ მყოფელ საქმისა, ესე ნეტარ-იყოს ქმნითა მით მისითა.

26. რომელსა ეგონოს თქუენ შორის, ვითარმედ ღმრთის მსახურ-არს, და არა აღჳრ-ასხმიდეს ენასა თჳსსა, არამედ აცთუნებდეს გულსა თჳსსა, ამისი ამაო არს მსახურება.

27. მსახურება წმიდა და შეუგინებელი ღმრთისა მიერ და მამისა ესე არს: მისხედუა ობოლთა და ქურივთა ჭირსა შინა მათსა, და შეუგინებელად დაცუაჲ თავისა თჳსისა ამის სოფლისაგან.

## თ ა ვ ი 2.

1. ძმანო ჩემნო! ნუ თუალ-ღებით გაქუნ სარწმუნოება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს დიდებისა.

2. რამეთუ, უკეთუ შევიდეს შესაკრებელსა თქუენსა კაცი ოქროჲსა ბეჭდითა და სამოსლითა ბრწყინვალითა, და შევიდეს გლახაკიცა სამოსლითა შეურაცხითა;

3. და მიჴხედოთ მას, რომელსა იგი ემოსოს სამოსელი ბრწყინვალე, და ჰრქუათ მას: შენ დაჯედ აქა კეთილად, და გლახაკსა მას ჰრქუათ: შენ ჴდეგ იქი, ანუ დაჯედ აქა, ქუეშე ფერხთა ჩუენთა;

4. და არა განიკითხენით თავთა შორის თქუენთა, და იქმნენით მსაჯულ გულის-სიტყჳთა ბოროტითა?

5. ისმინეთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო: ანუ არა გლახაკნი სოფლისანი გამოირჩინნა ღმერთმან მდიდარნი სარწმუნოებით და მკჳდრნი სასუფეველისანი, რომელ იგი აღუთქუა მოყუარეთა თჳსთა?

6. ხოლო თქუენ შეურაცხ-ჰყავით გლახაკი. ანუ არა მდიდარნი გმძლავრობენა თქუენ, და იგინივე მიგიზიდვენ თქუენ სამსაჯავროდ?

7. არა იგინი ჰგმობენა კეთილსა მას სახელსა, რომელი წოდებულ-არს თქუენ ზედა?

8. უკეთუ ჰსჯულსა აღასრულებთ სამეუფოსა, მჰსგავსად წერილისა: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი; კეთილსად ჰყოფთ.

9. ხოლო უკეთუ თუალთ-ღებით; ცოდუასა იქმთ, და იმხილებით ჰსჯულისაგან, ვითარცა გარდამავალნი ჰსჯულისანი.

10. რამეთუ რომელმან ყოველი ჰსჯული დაიმარხოს, და ჰსცთეს ერთითა, იქმნა იგი ყოვლისავე თანა-მდებ.

11. რამეთუ რომელმან იგი ჰსთქუა: ნუ იმრუშებ, მანვე ჰსთქუა: ნუ კაც-ჰკლავ; ხოლო უკეთუ იმრუშო არა, და კაც ჰკლა; იქმენ გარდამავალ ჰსჯულისა.

12. ესრეთ იტყოდეთ, და ესრეთ ჰყოფდეთ, ვითარცა ჰსჯულისაგან აზნაურებისა განჰსჯადნი.

13. რამეთუ სასჯელი უწყალო არს მათთჳს, რომელთა არა ჰყონ წყალობაჲ; იქადოდეთ წყალობასა სასჯელისასა.

14. რა სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკეთუ ვინმე ჰსთქუას, სარწმუნოება მაქუს, და საქმენი არა ჰქონდენ? ნუ ძალ-უძსმეა სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა?

15. რამეთუ უკეთუ ძმა გინა დაჲ შიშუელ-იყუნენ, და ნაკლულევან მდღევრისა საზრდელისა,

16. და ჰრქუას ვინმე მათ თქუენგანმან: წარვედით მშჳდობით, განჰსმელით და განჰსტეფით, და არა ჰსცეთ მათ სახმარი ჴორცთა: რა სარგებელ-არს?

17. ეგრეცა სარწმუნოება, უკეთუ არა აქუნდენ საქმენი, მკუდარ არს იგი ხოლო.

18. არამედ ჰსთქუას თუ ვინმე: შენ სარწმუნოება გაქუს, და მე საქმენი მქონან; მიჩუენე მე სარწმუნოებაჲ შენი საქმეთაგან შენთა, და მე გიჩუენო შენ საქმეთაგან ჩემთა სარწმუნოებაჲ ჩემი.

19. შენ გრწამს, ვითარმედ ერთ-არს ღმერთი: კეთილად იქმ; და ეშმაკთაცა ჰრწამს და ჰსძრწიან მისგან.

20. გნებავსა ცნობად, ჵ კაცო ამაო, რამეთუ სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთასა მკუდარ არს?

21. აბრაჰამ მამა ჩუენი, არა საქმეთაგან განმართლდა, რამე-

თუ შეჰსწირა ისააკი მე თჳსი საკურთხეველსა ზედა?

22. ჰხედავა, რამეთუ სარწმუნოება შეეწია საქმეთა მისთა, და საქმეთაგან სარწმუნოება იგი სრულ-იქმნა.

23. და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყჳს: ჰრწმენა აბრაამს ღმერთი, და შეერაცხა მას სიმართლედ; და მეგობარ ღმრთისა იწოდა.

24. ჰხედავთა, რამეთუ საქმეთაგან განჰმართლდების კაცი, და არა სარწმუნოებისაგან?

25. ხოლო ეგრეთვე და რაავცა მეძავი, არა საქმეთაგან განმართლდაა, რამეთუ შეიწყნარნა მსტოვარნი იგი, და სხჳთ გზით წარავლინნა.

26. რამეთუ, ვითარცა კორცნი თჳნიერ სულისა მკუდარ-არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თჳნიერ საქმეთასა მკუდარ-არს.

თავი 3.

1. ნუ მრავალნი ჰმოძღურით, ძმანო ჩემნო! უწყოდეთ, რამეთუ უდიდესი სასჯელი მოვიღოთ.

2. რამეთუ ფრიად ჰსცთებით ყოველნივე. რომელი სიტყჳთა არა ჰსცთებოდეს; იგი სრული კაცი არს, შემძლებელ-არს იგი აღვირ-სხმად ყოვლისავე გუამისა.

3. უკეთუ ცხენსა აღჳრნი აღუსხნით დამორჩილებად ჩუენდა, იგი და ყოველი გუამი მისი მოვაქცით.

4. აჰა ესერა, ნავებიცა იგი დიდ-დიდები, და ფიცხელთაგან ქართა მიმოტაცებულნი, მოიქცევიან მცირისაგან საჭისა, ვიდრეცა იგი ჰნებავს მისლუად მმართებელსა მას მათსა.

5. ეგრეცა, ენა მცირე ასო არს და დიდად მაღლობს. აჰა ესერა, მცირემან ცეცხლმან რავდენი ნივთი აღაგზნის.

6. და ენა ეგრეთვე ცეცხლ არს, სამკაული სიცრუისა; ენა დადგრომილ-არს ასოთა შინა ჩუენთა, რომელი შეაგინებს ყოველსა გუამსა და აღაგზნებს ურმის თუალსა მას შესაქმისასა, და აღგზებულ-არს გეენიისაგან.

7. რამეთუ ყოველივე ბუნება მჴეცთა და მფრინველთა, და ქუეწარმავალთა და მცურველთა დაიმწყსების, და დამწყსილ-არს ბუნებასა ქუეშე კაცთასა.

8. ხოლო ენა კაცთა ვერვის კელეწიფების დამწყსად; დაუშურობელი ბოროტი; სავსე გესლითა მაკუდინებელითა.

9. რამეთუ მით ვაკურთხევთ ღმერთსა და მამასა, და მითვე ვჰსწყევთ კაცთა, რომელნი მჰსგავსად ღმრთისა შექმნულ არიან.

10. მიერვე პირით გამოვალს კურთხევაჲ და წყევაჲ; არა ჯერ-არს, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ესე ესრეთ ყოფად.

11. ნუ უკუე წყაროჲსაგან მისვე თუალისა აღმოჰსდინ ტკბილი და მწარე?

12. ეგების-მეა, ძმანო ჩემნო, ვითარმცა ლეღუმან ზეთის-ხილი გამოიღო, გინა ვენაკმან ლეღჳ. ეგრეთვე ვერცა ერთი წყაროჲ

მარილიანსა და ტკბილსა წყალსა აღმოცენებად.

13. ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქუენ შორის; აჩუენნენ კეთილად სლვასაგან საქმენი თჳსნი, სიმშჳდითა სიბრძნისათა.

14. ხოლო უკეთუ შური მწარე გაქუნდეს და კდომა გულთა შინა თქუენთა; ნუ იქადით, და ჰსტყუით ჭეშმარიტებასა ზედა.

15. არა არს ეს სიბრძნე ზეგარდამო სრული, არამედ ქუეყანისა, მშჳნვიერი და საეშმაკოჲ.

16. რამეთუ სადა არს შური და კდომა; მუნ შფოთი და ყოველი ბოროტისა საქმე.

17. ხოლო ზეგარდამო სიბრძნე, პირველად სიწმიდე არს, და მერმე მშჳდობა, სახიერება, მორჩილება, სავსე წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა კეთილთათა, განუკითხველ და შეუორგულებელ.

18. რამეთუ ნაყოფი სიმართლისა დაეთესვის მშჳდობით, მათთჳს, რომელნი ჰყოფენ მშჳდობასა.

თავი 4.

1. ვინაჲ არიან ბრძოლანი და ლალვანი თქუენ შორის? ანუ არა მიერვე გულის-თქმათაგან თქუენთა, რომელნი განწყობილარიან ასოთა შინა თქუენთა?

2. გული გითქუამს, და არა გაქუს; კაც ჰკლავთ და იშურებით, და ვერ ძალ-გიძს მიმთხუევად; ილალვით და იბრძვით, და არა გაქუს, რამეთუ არა ითხოვთ.

3. ითხოვთ, და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვთ, რათა გულის-თქმათა შინა თქუენთა განილინეთ.

4. მეძავნო და მემრუშენო, არა უწყითა, რამეთუ სიყუარული სოფლისა ამის მტერობა არს ღმრთისა? აწ უკუე, რომელსა უნდეს მეგობარ-ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების.

5. ანუ ჰგონებთა, ვითარმედ ცუდად იტყჳს წიგნი: საშურებელად ჰსურის სულსა, რომელი დამკვიდრებულ-არს ჩუენ თანა?

6. უფროს მოცემად მადლი; ამისთჳს იტყჳს: ამპარტავანთა შეემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოჰსცის მადლი.

7. დაემორჩილენით ღმერთსა, და წინა აღუდეგით ეშმაკსა, და ივლტოდეს თქუენგან.

8. მიეახლენით ღმერთსა და მოგეახლოს თქუენ; განიწმიდენით კელნი, ცოდჳლნო, და უბიწო ჰყუენით გულნი, ორგულნო.

9. დამდაბლდით და ჰსტიროდეთ და იგლოვდით; სიცილი თქუენი გლოვად გარდაიქეცინ, და სიხარული თქუენი მწუხარებად.

10. დამდაბლდით წინაშე უფლისა და აღგამაღლნეს თქუენ.

11. ნუ ძჳრსა იტყჳთ, ძმანო ჩემნო, ურთიერთარს; რომელი ძჳრსა იტყოდეს ძმისათჳს, და განიკითხვიდეს ძმასა თჳსსა, განიკითხავს ჰსჯულსა, და ჰსჯის ჰსჯულსა: უკეთუ ჰსჯულსა ჰსჯი, არა

ხარ მეოფელ სჯულისა, არამედ განმკითხველ.

12. ერთ-არს სჯულის-მდებელი და განმკითხველი, რომელი შემძლებელ-არს ცხოვრებად და წარწყმედად; შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ მოყუასსა?

13. აწ უკუე თქუენცა, რომელნი ეგე იტყჳთ: დღეს, გინა ხვალე წარვიდეთ მას რომელსამე ქალაქსა, და დავჰყოთ მუნ წელიწადი ერთი, და ვივაჭროთ და შევიძინოთ;

14. რომელთა ეგე არა იცით ხვალისა; რამეთუ ვითარ არს ცხოვრება თქუენი? ვითარცა კუამლნი ხართ, რომელი მცირედ ჟამ ჰსჩანნ, და მერმე განჰქარდის.

15. ამის წილ, რომელი გიღირს თქუენ თქმად: უკეთუ უფალსა უნდეს, და ვჰსცხოვნდეთ და ვჰყოთ ესე გინა იგი.

16. ხოლო აწ იქადით სილაღითა თქუენითა; ყოველივე სიქადული ესე ვითარი ბოროტ-არს.

17. რომელმან იცოდეს კეთილისა საქმე, და არა ჰქმნეს, ცოდუა არს მისსა.

თ ა ვ ი 5.

1. აწ უკუე თქუენცა მდიდარნო: ჰსტიროდეთ და ჰგოდებდეთ უბადრუკებათა მათ თჳს, თქუენ ზედა მომავალთა.

2. სიმდიდრე თქუენი დალპოლილ-არს, სამოსელი თქუენი მღილთა დაუჭამიეს.

3. ოქრო თქუენი და ვეცხლი თქუენი დაგესლებულ-არს, და გესლი იგი მათი საწამებელად თქუენდა იყოს, და შეჰსჭამდეს ჴორცთა თქუენთა, ვითარცა ცეცხლი; დაიუნჯეთ დღეთა მათ უკანასკნელთა.

4. აჰა ესერა, სასყიდელი მოქმედთა მათ, რომელთა განლეწეს ყანაჲ თქუენი, დაკლებული იგი თქუენგან ღაღადებს; და ღაღადება იგი მომკალთა მათ, ყურთა უფლისა საბაოთისათა მიიწევის.

5. იშუებდით ქუეყანასა ზედა და განსცხრებოდეთ; გაჰზარდენით ჴორცნი თქუენნი, ვითარცა დღედ დაკლვისა.

6. დაჰსაჯეთ და მოჰკალთ მართალი იგი, და არა წინა-აღგიდგა თქუენ.

7. სულ-გრძელ უკუე იქმენით, ძმანო, ვიდრე მოსლუადმდე უფლისა. აჰა ესერა, მუშაკი მოელის პატიოსანსა ნაყოფსა ქუეყანისასა, და სულ-გრძელ-არს მას ზედა, ვიდრემდის მიიღოს წჳმაჲ მსთუადი და მცხუედი.

8. სულ-გრძელ იქმენით თქუენცა, განიმტკიცენით გულნი თქუენნი; რამეთუ მოსლუა უფლისა მოახლებულ-არს.

9. ნუ სულთ-ითქუამთ, ძმანო, ურთიერთარს, რათა არა განიკითხნეთ: აჰა ესერა, განმკითხველი წინაშე კართა ჰსდგას.

10. სახედ გაქუნდინ, ძმანო ჩემნო, ძჳრის-ხილვისა და სულ-გრძელებისა, წინასწარ-მეტყუელ-

ნი, რომელნი იტყოდეს სახელითა უფლისათა.

11. აჰა ესერა, ვნატრით მოთმინეთა მათ. მოთმინება იობისი გასმიეს, და აღსასრული უფლისა იხილეთ; რამეთუ მრავალ მოწყალე არს და შემწყნარებელ.

12. ყოვლისა წინა, ძმანო ჩემნო, ნუ ჰფუცავთ ნუცა ცასა, ნუცა ქუეყანასა, ნუცა სხუასა რომელსამე ფიცსა; არამედ იყავნ თქუენი ჰე, ჰე, და არა, არა; რათა არა ორგულებასა შეჰსცჳვეთ.

13. ჰსჭირდეს თუ ვისმე თქუენგანსა; ილოცევდინ: მოლხინე თუ ვინმე არს; ჰგალობდინ.

14. უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის; მოუწოდენ ხუცესთა ეკკლესიისათა, და ილოცონ მის ზედა, და ჰსცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა.

15. და ლოცუამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან; დადაცათუ ცოდუაჲ რაჲმე ექმნეს, მიეეტეოს მას.

16. აღუარებდით ურთიერთარს ცოდუათა, და ულოცევდით ერთი ერთსა, რათა განიკურნნეთ; რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცუა მართლისა შეწევნად.

17. ილია კაცივე იყო მჰსგავსი ჩუენი, და ლოცუა ილოცა არა წჳმად; და არა ჰსწჳმა ქუეყანასა ზედა სამ-წელ და ექუს-თთუე.

18. და კუალად ილოცა; და ცამან მოჰსცა წჳმაჲ და ქუეყანამან აღმოაცენა ნაყოფი თჳსი.

19. ძმანო, უკეთუ ვინმე თქუენ შორის შეჰსცთეს ჭეშმარიტებისაგან, და თუ ვინმე მოაქციოს იგი;

20. უწყოდენ, რამეთუ რომელმან მოაქციოს ცოდჳლი გზისაგან საცთურისა მისისა, იჴსნეს სული თჳსი სიკუდილისაგან, და დაჰფაროს სიმრავლე ცოდუათა.

# პირველი კათოლიკე ეპისტოლე პეტრე მოციქულისა.

## თავი 1.

1. პეტრე მოციქული იესო ქრისტესი, რჩეულთა მწირთა, განთესულთა პონტოჲსა და გალატიისა, კაბბადუკიისა, ასიისა და ბითჳნიისათა,

2. წინასწარ ცნობითა ღმრთისა მამისათა და სიწმიდითა სულისათა, დასამორჩილებელად და საპკურებელად სისხლისა იესო ქრისტესისა: მადლი თქუენთანა და მშჳდობა განმრავლდინ.

3. კურთხეულ-არს ღმერთი და მამა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელმან იგი მრავლითა მით წყალობითა თჳსითა, კუალად გუშვნა ჩუენ, სასოებად ცხოველად აღდგომითა იესო ქრისტესითა, მკუდრეთით,

4. სამკჳდრებელად უხრწნელად და შეუგინებელად და დაუჭნობელად, დამარხულნი ცათა შინა თქუენდა მიმართ,

5. რომელნი ეგე ძალითა ღმრთისათა მოცვულ-ხართ სარწმუნოებითა ცხოვრებასა მას განმზადებულსა, გამოჩინებად ჟამსა მას უკანასკნელსა.

6. რომლითა გიხარის აწ მცირედ, უკეთუ ჯერ-არს, რომელნი ეგე შეწუხებულ-იყუენით მრავალ-ფერთა შინა განსაცდელთა;

7. რათა გამოცდილება იგი სარწმუნოებისა თქუენისა, უპატიოსნეს უფროს ოქროჲსა მის წარწყმედადისა ცეცხლისა მიერ გამოცდილისა იპოვოს, საქებელად და დიდებად და პატივად, გამოჩინებასა იესო ქრისტესსა,

8. რომელი არა იცოდით და გიყუარს, რომელსა იგი აწ არა ჰხედავთ და გრწამს, იხარებდით სიხარულითა გამოუთქმელითა და დიდებითა.

9. და მოიღოთ აღსასრულსა მას სარწმუნოებისა თქუენისასა ცხოვრებაჲ სულთა.

10. რომლისა ცხოვრებისათჳს გამოიძიეს და გამოიკულიეს წინასწარ-მეტყუელთა, რომელნი თქუენ მადლსა მას გიწინასწარ-მეტყუელებდეს.

11. გამოეძიებდეს, ოდეს ანუ რომელსა ჟამსა ეუწყებოდა მათ შორის სული ქრისტესი, წინასწარ უწამებდა მათ ქრისტესთა მათ ვნებათა და მისა შემდგომად დიდებათა მისთა.

12. რომელთა იგი გამოეცხა-

და, რამეთუ არა თავთა თჳსთა, არამედ თქუენ გმსახურებდეს მას, რომელ ესე აწ მიგეთხრა თქუენ მახარებელთა მათ თქუენთა მიერ სულითა წმიდითა, მოვლინებულითა ზეცით, რომლისათჳს გული-უთქუამს ანგელოზთა ხილვად.

13. ამისთჳს, მოირტყუენით წელნი გონებათა თქუენთანი, ფრთხილ-იყუენით, სრულიად ესევდით მოწევნულსა მას თქუენდა მადლსა გამოცხადებასა იესო ქრისტესსა.

14. ვითარცა შვილნი მორჩილებისანი, და ნუ თანა-ხატ-ექმნებით პირველთა მათ უმეცრებისა თქუენისა გულის-თქუმათა;

15. არამედ მწოდებელისა მისებრ თქუენისა წმიდისა, და თქუენცა წმიდა იყუენით ყოველსავე შინა სლვასა თქუენსა.

16. რამეთუ წერილ-არს: წმიდა იყუენით, რამეთუ მე წმიდა ვარ.

17. და უკეთუ მამით ხადით მას, რომელი იგი თუალ-უხუავად მსაჯული არს თჳთოეულისა საქმეთა; შიშით მწირობისა მაგის თქუენისა ჟამნი აღასრულენით,

18. უწყოდეთ, რამეთუ არა განხრწნადითა ვეცხლითა გინა ოქროჲთა იჴსენით თქუენ ამაოჲსა მისგან მამათა, მოცემულისა სლჳსა,

19. არამედ პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა უბიწოჲსა და უმანკოჲსა ქრისტესითა.

20. წინასწარ უწყებულისა უწინარეს სოფლის-დაბადებისა, ხოლო გამოჩინებულისა უკანასკნელთა ამათ ჟამთა თქუენთჳს,

21. რომელთა ეგე მის მიერ გრწმენა ღმრთისა მიმართ, რომელმან იგი აღადგინა იგი მკუდრეთით, და მისცა მას დიდებაჲ, რათა სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი და სასოებაჲ იყოს ღმრთისა მიმართ.

22. სულნი თქუენნი განწმიდენით მორჩილებითა ჭეშმარიტებისათა, სულითა მმათ-მოყუარებისათჳს შეუორგულებელ იყუენით გულითა წმიდითა, ურთიერთარს იყუარებოდეთ განმარტებულად.

23. მეორედ-შობილ-ხართ არა თესლისაგან განხრწნადისა, არამედ უხრწნელისა სიტყჳთა ღმრთისა ცხოველისათა, რომელი იგი ჰგიეს უკუნისამდე.

24. რამეთუ ყოველი კორცი, თივა არს, და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუავილი თივისა; განჴმა თივა იგი, და ყუავილი მისი დაჴსცჳვა:

25. ხოლო სიტყუაჲ ღმრთისა ჰგიეს უკუნისამდე; ხოლო ესე არს იგი სიტყუაჲ, რომელი გეხარა თქუენ.

## თ ა ვ ი 2.

1. განიშორეთ უკუე ყოველი უკეთურებაჲ, და ყოველი ზაკვა და ორგულებაჲ და შური და ყოველივე მძჳრის-სიტყუაჲ.

2. ვითარცა აწინდელ-შობილთა ყრმათა, სიტყჳერისა მის უზაკველისა სძისა გსუროდენ, რათა მას შინა აღორძნდეთ;

*

3. უკეთუ გემო გიხილავს, რამეთუ ტკბილ-არს უფალი.
4. რომელსა იგი მოუხედით ლოდსა ცხოველსა, რომელი იგი კაცთაგან შეურაცხ იქმნა, ხოლო ღმრთისაგან რჩეულ და პატიოსან.
5. და თქუენცა, ვითარცა ლოდნი ცხოველნი აღეშენებოდეთ სახლად სულიერად, სამღუდელოდ წმიდად, შესაწირავად მსხუერპლთა სულიერთა, სათნოთა ღმრთისათა იესო ქრისტეს მიერ.
6. რამეთუ წერილ-არს წიგნსა შინა: აჰა ესერა, დავჰსდებ სიონს შინა ლოდსა საკიდურსა, რჩეულსა პატიოსანსა; და რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ არა სადა ჰრცხუენეს.
7. თქუენდა უკუე არს პატივ მორწმუნეთა მაგათ, ხოლო ურჩთათჳს ლოდი, რომელ შეურაცხ-ჰყუეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ საკიდურთა, და ლოდ შებრკოლებისა და კლდე საცთურებისა.
8. რომელნი შებრკოლდებიან სიტყუასა მას ურჩებითა, რომელსაცა ზედა დაესხნეს.
9. ხოლო თქუენ ნათესავი რჩეული, სამეუფო სამღუდელოჲ, თესლი წმიდა, ერი მოგებული, რათა სათნოებათა მიუთხრობდეთ, რომელმან იგი ბნელისაგან გიწოდა თქუენ საკჳრველსა მას ნათელსა მისსა;
10. რომელნი ეგე ოდესმე არა ერ, ხოლო აწ ერი ღმრთისა; რომელნი ეგე ოდესმე არა შეწყალებულ, ხოლო აწ შეიწყალენით.
11. საყუარელნო! გლოცავ თქუენ, ვითარცა მწირთა და წარმავალთა, განეშორენით გულისთქმათაგან ჴორციელთა, რომელნი ეწყუებიან სულსა.
12. სლუაჲ თქუენი წარმართთა შორის გაქუნდინ კეთილი; რათა რომლითა იგი ძჳრსა იტყოდენ თქუენ თჳს, ვითარცა ძჳრის-მოქმედთა თჳს, კეთილთაგან საქმეთა შეიკდიმონ, და ადიდებდენ ღმერთსა დღესა მას მოხედვისასა.
13. დაემორჩილენით უკუე ყოველსავე კაცობრივსა დაბადებულსა, უფლისათჳს; გინა თუ მეფესა, რამეთუ ყოველთა ზედა არს;
14. გინათუ მთავართა, ვითარცა მის მიერ მოვლინებულთა შურის-მეძიებელად ბოროტის-მოქმედთა თჳს, ხოლო მაქებელად კეთილის-მოქმედთა თჳს.
15. რამეთუ ესრეთ არს ნება ღმრთისა, კეთილის მოქმედთა თჳს, დადუმებად უგუნურთა კაცთა უმეცრებასა.
16. ვითარცა აზნაურნი, და ნუ ვითარცა საფარველად გაქუნ უკეთურებისა აზნაურებაჲ ეგე, არამედ ვითარცა მონანი ღმრთისანი.
17. ყოველთა პატივ-ჰსცემდით, ძმათა ჰყუარობდით, ღმრთისა გეშინოდენ, მეფესა პატივ-ჰსცემდეთ.
18. მონანი დაემორჩილენით ყოვლითა მოშიშებითა თჳსთა უფალთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსხურთაცა.

19. რამეთუ ესე არს მადლი ღმრთისაგან, უკეთუ გონებისაგან კეთილისა, ღმრთისათჳს დაითმინეს ვინმე, მწუხარებანი ევნებინ თუ სიცრუით.

20. რამეთუ რა უმჯობეს-არს, უკეთუ ჰსცოდვიდეთ და დაიქენჯნებოდეთ და მოითმენდეთ? არამედ უკეთუ კეთილსა იქმოდეთ, და გევნებოდეს და მოითმენდეთ; ესე არს მადლი ღმრთისაგან.

21. და იჩინენითცა მებრ ამისთჳსვე:

22. რამეთუ ქრისტემანცა ივნო ჩუ̂ჱნ თჳს, და თქუ̂ჱნ დაგიტევა ჴელით-წერილი, რათა შეუდგეთ კუ̂ალთა მისთა.

23. რომელმან იგი ცოდუ̂აჲ არა ჰქმნა, არცა იპოვა ზაკუ̂ა პირსა მისსა.

24. რომელი იგი იგინებოდა, და იგი არავის აგინებდა, ევნებოდა, და არავის უთქმიდა მიეცა მართალი იგი მსაჯულსა.

25. რომელმან ცოდუ̂ანი ჩუ̂ჱნნი აღიხუ̂ნა ჴორცითა თჳსითა ჯუ̂არსა ზედა, რათა ცოდუ̂ათა განვეშორნეთ და სიმართლით ვჰსცხონდებოდეთ; რომლისა იგი წყლულებითა განვიკურნენით.

26. რამეთუ იყუ̂ჱნით, ვითარცა ცხოვარნი შეცთომილნი, არამედ აწ მოიქეცით მწყემსისა მის მიმართ და მოღუ̂აწისა სულთა თქუ̂ჱნთასა.

## თავი 3.

1. ეგრეთვე ცოლნი, დაემორჩილენით თჳსთა ქმართა, რათა დაღათუ ვინმე ურჩ არიან სიტყჳსა მის, დედათა სლჳსა მისგან, თჳნიერ სიტყჳსა შეიძინნენ.

2. ჰხედვიდენ რა იგინი შიშითა წმიდასა მას სლუ̂ასა თქუ̂ჱნსა.

3. რომელი იყავნ არა გარეშითა მით განთხზჳთა თმათათა და შესხმითა ოქროჲსათა. გინა შემოსითა სამოსლისათა შემკობაჲ.

4. არამედ დაფარული იგი გულისა კაცი, უხრწნელითა მით მშჳდისა მის და მყუდროჲსა სულისა წესითა, რომელ-არს წინაშე ღმრთისა ფრიად პატიოსან.

5. რამეთუ ესრეთვე ოდესმე წმიდანი იგი დედანი, რომელნი ესჳდეს ღმერთსა, შეიმკობდეს თავთა თჳსთა და დამორჩილებულ-იყუ̂ნეს თჳსთა ქმართა.

6. ვითარცა იგი სარრა ერჩდა აბრაამს და უფლით ჰხადინ მას. რომლისა იგი იქმნენით შჳლ-კეთილის მოქმედ, და ნუ გეშინინ ნუცა ერთისა შიშისა.

7. ქმარნი ეგრეთვე მჰსგავსად თანა მკჳდრ იყუ̂ჱნით შენდობით, ვითარცა უუძლურესსა ჭურჭელსა, დედათა მიჰსცემდით პატივსა, ვითარცა თანა-მკჳდრთა მადლისა ცხოვრებისათა, რათა არა დაბრკოლდებოდენ ლოცუ̂ასა თქუ̂ჱნსა.

8. ხოლო დასასრულსა ყოველნი ერთ ზრახუ̂ა იყუ̂ჱნით, მოწყალე, ძმათ მოყუ̂არე, შემწყნარებელ, მდაბალ.

9. ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, ნუცა გინებასა გინებისა წილ; არამედ წინა-აღმდგომსა აკურთხევდით, და უწყოდეთ,

რამეთუ ამისთჳს მებრ იჩინენით,
რათა კურთხევაჲ დაიმკჳდროთ.
10. რამეთუ რომელსა ჰნებავს
სიყუარული ცხოვრებისა და ხი-
ლუად დღენი კეთილისანი, და-
აცხრუენ ენაჲ თჳსი ბოროტისა-
გან და ბაგენი მისნი ნუ იტყჳედ
ზაკუასა.
11. მოიქეცინ ბოროტისაგან
და ჰქმენინ კეთილი; მოიძიენ მშჳ-
დობაჲ და მიჰსდევდინ მას.
12. რამეთუ თუალნი უფლი-
სანი მართალთა ზედა და ყურნი
მისნი ლოცუათა მათთა ზედა,
ხოლო პირი უფლისა მოქმედთა
ზედა ძჳრისათა.
13. და ვინმე არს ბოროტის
მყოფელ თქუჱნდა, უკეთუ თქუჱნ
კეთილის-მობაძავ-იქმნნეთ?
14. და დაღაცათუ გევნებო-
დეს სიმართლისათჳს, ნეტარ-
ხართ. ხოლო შიშისა მის მათისა-
გან ნუ გეშინინ, ნუცა შეჰსძრ-
წუნდებით.
15. არამედ უფალი ღმერთი
წმიდა ჰყავთ გულთა შინა თქუჱნ-
თა; განმზადებულ-იყუჱნით მა-
რადის სიტყჳს-მიგებად ყოვლი-
სა, რომელი ეძიებდეს თქუჱნგან
სიტყუასა, თქუჱნ შორის სასოე-
ბისა მისთჳს, სიმშჳდით და შიშით.
16. გონება გაქუნდინ კეთი-
ლი, რათა რომელნი იგი ძჳრსა
იტყოდენ თქუჱნთჳს, ვითარცა
ძჳრის მოქმედთათჳს, ჰრცხუჱნო-
დეს, რომელნი იგი ჰმძლავრო-
ბენ თქუჱნსა მას კეთილსა ქრის-
ტეს მიერ სლუასა.
17. რამეთუ უმჯობეს-არს კე-
თილსა თუ იქმოდით, ეგრეთვე
ჯერ-უჩნდეს ნებასა ღმრთისასა
ვნება თქუჱნი, ვიდრეღა რა ბო-
როტსა თუ იქმოდით;
18. რამეთუ ქრისტემანცა ერთ-
გზის ცოდუათა ჩუჱნთა თჳს
ივნო, მართალმან მან ცრუთა-თჳს,
რათა ჩუჱნ წარგუადგინნეს ღმრ-
თისა: მოკუდა კორცითა და ცხო-
ველ-იქმნა სულითა,
19. რომლითაცა საპყრობილე-
სა მას სულითა მივიდა და ჰქადაგა.
20. რომელნი იგი ურჩ
ოდესმე იყუნეს, რაჟამს ერთ-გზის
თავს ედუა სულ-გრძელებასა მას
ღმრთისასა, დღეთა მათ ნოესთა,
შემზადებასა მას კიდობნისასა,
რომელსა შინა მცირედნი, ესე
იგი არს, რვანი სულნი განერნეს
წყლისაგან.
21. რომლისა სახედ აწ
თქუჱნცა განცხოვნებს ნათლის-
ღება; არა კორცთაგან განშორება
მწიკულისა, არამედ გონებისა კე-
თილისა ტრფიალება ღმრთისა
მიმართ აღდგომითა იესო ქრისტე-
სითა,
22. რომელი არს მარჯუჱ-
ნით ღმრთისა, რომელი ამაღლდა
ზეცად, და დაემორჩილნეს მას
ანგელოსნი, კელმწიფებანი და ძა-
ლნი.

თავი 4.

1. ქრისტემან რა ივნო ჩუჱნ-
თვის კორცითა, და თქუჱნცა იგი-
ვე გონება შეიჭურეთ; რამეთუ
რომელმან იგი ივნო კორცითა
დაცხრომილ-არს ცოდჳსაგან,

2. რათა არღარა კაცთა გულის-თქმითა, არამედ ნებითა ღმრთისათა, ნეშტნი იგი ჟამნი ჴორცითა ცხოვრებად.

3. რამეთუ კმა არიან ჩუჱნდა წარსრულნიცა იგი ჟამნი ამის ცხოვრებისანი, ნებისა მისებრ წარმართთასა აღსრულებად, რომელი იგი ვლენან არა-წმიდებითა გულის-თქმათათა, მთვრალობითა, სიმღერითა, შუჱბითა და უჯეროთა კერპთ-მსახურებითა;

4. რომლისაგან უკჳრს არა სლუა თქუჱნი, მასვე არა-წმიდებისა აღრევასა, და გგმობენ.

5. რომელთა სიტყუა მიუგონ მას, რომელი იგი განმზადებულ-არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა.

6. რამეთუ ამისთჳს ეხარა მკუდართა, რათა ისაჯნენ კაცობრივ ჴორცითა, და ჰსცხოვნდენ ღმრთისა მიერ სულითა.

7. ხოლო ყოველთა აღსასრული მოახლებულ-არს. განიწმიდენით უკუე და განიფრთხუჱთ ლოცუად.

8. ყოვლისა წინა ურთიერთარს სიყუარული განმარტებული გაქუნდის; რამეთუ სიყუარულმან დაჰფარის სიმრავლეჲ ცოდუათა.

9. სტუმრის-მოყუარე-იყუჱნით ურთიერთარს თჳნიერ დრტჳნვისა.

10. კაცად კაცადმან, ვითარცა მიიღო მადლი, ეგრეთვე ურთიერთარს ამსახურებდით მას, ვითარცა კეთილნი მნენი მრავალფერისა მის ნიჭისა ღმრთისანი.

11. რომელი იტყოდეს, ვითარცა სიტყუათა ღმრთისათა; რომელი ჰმსახურებდეს, ვითარცა ძალისაგან, რომელსა მოჰსცემს ღმერთი, რათა ყოველსა შინა იდიდებოდეს ღმერთი იესო ქრისტეს მიერ, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

12. საყუარელნო! ნუ უცხოგიჩნს თქუჱნ შორის განხურვება ეგე, რომელი იქმნების განსაცდელად თქუჱნ-თანა, ვითარმცა უცხო რაჲმე შეგემთხუჱოდა თქუჱნ.

13. არამედ რავდენ ეგე ეზიარებით ვნებათა ქრისტესთა გიხაროდენ, რათა გამოჩინებასაცა დიდებისა მისისასა გიხაროდეს და მხიარულ-იყუნეთ.

14. უკეთუ იყუარებოდეთ სახელისათჳს ქრისტესისა, ნეტარ-ხართ; რამეთუ დიდებისა იგი და ღმრთისა სული თქუჱნ ზედა განსუჱნებულ-არს. რამეთუ ვითარცა იგინი ჰგონებენ იგმობვით, ხოლო ვითარ იგი თქუჱნ გნებავს იდიდებით.

15. ნუმცა-ვის თქუჱნგანსა ევნების, ვითარცა კაცის-მკლველსა, გინა მპარავსა, გინა ძჳრისმოქმედსა, გინა ვითარცა უცხოჲსა განმგესა.

16. ხოლო უკეთუ ვითარცა ქრისტეანესა, ნუ ჰრცხუჱნინ, არამედ ადიდებდინ ღმერთსა ამით ნაწილითა.

17. რამეთუ ჟამმან დაწყებად სასჯელისა, პირველად სახლისაგან ღმრთისა იწყოს, უკეთუ გჳლა პირველად ჩუჱნგან, რაჲმე იყოს

აღსასრული, ურჩთა მათ სახარე-
ბისა ღმრთისათა?
18. და უკეთუ მართალი ძნი-
ად განერეს; უღმრთო იგი და
ცოდვილი სადაღა იპოვოს?
19. ამიერითგან რომელთაცა
ევნებოდეს ნებითა ღმრთისათა,
ვითარცა სარწმუნოთა, დამბადე-
ბელსა შევედრნეთ სულნი თჳსნი
კეთილის-საქმითა.

## თავი 5.

1. ხუცესთა მათ თქუენ შორის
ვლოცავ, ვითარცა თანა ხუცესი, და
მოწამე ვნებათა ქრისტესთა, და მერ-
მისა მის გამოჩინებადისა დიდები-
სა ზიარი; მწყსიდით თქუენ
შორის სამწყსოსა მას ღმრთისასა;
2. იღუწიდით ნუ იძულებით,
არამედ ნებსით, ნუცა საძაგელი-
სა შემინებით, არამედ გულსმოდ-
გინედ;
3. ნუცა ვითარმცა ეუფლებო-
დეთ მნეთა მათ, არამედ სახე
ექმნენით სამწყსოსა მას;
4. და გამოჩინებასა მას მწყემსთ-
მთავრისასა, მოიღოთ დაუჭნობელი
იგი დიდებისა გჳრგჳნი.
5. ეგრეთვე ჭაბუკნი დაემორ-
ჩილენით მოხუცებულთა; და ყოველ-
თავე ურთიერთარს მორჩილებითა
სიმდაბლე შეიმოსეთ, რამეთუ
ღმერთი ამპარტავანთა შეემუსრავს,
ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი.
6. და უკუე მდაბლდით წინაშე
მტკიცესა ჴელსა ღმრთისასა, რათა
აღგამაღლნეს თქუენ ჟამსა თჳსსა.
7. ყოველივე ზრუნვაჲ თქუენ-
ნი მიუტევეთ მას; რამეთუ იგი
იღუწის თქუენთჳს.
8. განიფრთხუეთ, მღჳძარე-
იყუენით, რამეთუ წინა მოსაჯუ-
ლი თქუენი ეშმაკი, ვითარცა
ლომი მყჳრალი მიმოვალს და ეძი-
ებს ვინმცა შთანთქა.
9. რომელსა წინა-აღუდეგით
მტკიცენი სარწმუნოებითა, უწყო-
დეთ, იგივე ვნებათა მათ ამას
სოფელსა შინა ძმობასა მას
თქუენსა აღსასრულებდით.
10. ხოლო ღმერთმან ყოვ-
ლისა მადლისამან, რომელმან
გიჩინნა თქუენ საუკუნესა მას
დიდებასა მისსა ქრისტე იესოს
მიერ, მცირედღა-თუ გევნო, მანვე
განგამტკიცენინ თქუენ, დაგამ-
ტკიცებინ, განგამლიერნენინ და
დაგამყარენენ.
11. მისა დიდება და სიმტკიცე
უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
12. სილოანეს მიერ, ძმისა
თქუენისა, სარწმუნოსა, ვითარ
ვჰგონებ, მცირედ მივჰსწერე, გლო-
ცავდ და გიწამებდ, ვითარმედ ესე
არს ჭეშმარიტი მადლი ღმრთი-
სა, რომელსაცა ზედა ჰსდგათ.
13. გკითხავს თქუენ, რო-
მელ-არს ბაბილონს შინა რჩეული-
სა მის თანა და მარკოს, ძე ჩემი
მოიკითხვედით ურთიერთარს.
14. ამბორის-ყოფითა სიყუა-
რულისათა. მშჳდობა თქუენდა,
ყოველნი, რომელნი ხართ ქრის-
ტეს იესოს მიერ. ამინ.

# მეორე წიგნი კათოლიკე ეპისტოლე პეტრე მოციქულისა.

თავი 1.

1. სჳმონ პეტრე, მონა და მოციქული იესო ქრისტესი, რომელთა ეგე სწორი ჩუენდა პატივი ხუედრებულ-არს სარწმუნოება სიმართლითა ღმრთისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესითა.

2. მადლი თქუენდა და მშჳდობა განმრავლდინ მეცნიერებითა ღმრთისათა, და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა.

3. რომელმან იგი ყოველივე თჳსისა ღმრთაებისა ძალი საცხოვრებელად და ღმრთისა სამსახურებელად მოგუანიჭა ჩუენ მეცნიერებითა მისითა, რომელმან იგი მიჩინნა ჩუენ თჳსსა მას დიდებასა და სათნოებასა.

4. რომელთაგან დიდ-დიდნი და პატიოსანნი აღთქმანი ჩუენ მოგუანიჭნა, რათა ამის მიერ იქმნნეთ საღმრთოჲსა მის ზიარ ბუნებისა, და ევლტოდეთ სოფლისა ამის გულის-თქმისა ხრწნილებასა;

5. და თქუენცა ესევე მოსწრაფებაჲ ყოვლითურთ მოიპოვეთ, და ჰყავთ სარწმუნოებასა შინა თქუენსა სათნოებაჲ, და სათნოებასა შინა მეცნიერებაჲ,

6. და მეცნიერებასა შინა მარხუაჲ, მარხუასა შინა მოთმინებაჲ, მოთმინებასა შინა ღმრთის-მსახურებაჲ.

7. ღმრთის-მსახურებასა შინა ძმათ-მოყუარებაჲ, და ძმათ-მოყუარებასა შინა სიყუარული.

8. რამეთუ ესე რაჟამს იყოს თქუენ თანა და გარდაგემატოს; არა უქმად, არცა უნაყოფოდ იპოვნეთ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს მეცნიერებასა.

9. ხოლო რომლისა თანა ესე არა არს, ბრმა არს და ვერ ჰხედავს იგი, რამეთუ დაავიწყდა განწმედაჲ იგი პირველთა მათ ცოდუათა მისთა.

10. ამისთჳს, ძმანო, უფროჲსღა ისწრაფეთ, რათა კეთილთაგან საქმეთა მტკიცე-ჰყოთ ჩინებაჲ იგი თქუენი, და რჩეულებაჲ; რამეთუ ამას რა იქმოდეთ, არა სადა ჰსცდეთ ყოვლადვე.

11. არამედ ესრეთ მდიდრად წარგემართოს თქუენ შესავალი იგი საუკუნოსა მას სასუფეველსა უფლისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესსა.

12. რომლისათჳსცა არა უდებ

ვიქმნე მარადის მოხსენებად თქუენდა, ამისთჳს დადაცათუ იცით, და მტკიცე ხართ მოწევნულსა ამასა ზედა ჭეშმარიტებასა.

13. ხოლო სამართლად შემირაცხიეს, ვიდრე ესე ვარ მე ამას სოფელსა შინა, განღჳძებად თქუენდა მოჴსენებითა.

14. უწყი, რამეთუ ადრე ყოფად არს დატევებაჲ საყოფელისა ამის ჩემისა, ვითარცა იგი უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან მაუწყა მე.

15. და ვისწრაფო, რათა კაცად-კაცადსა თქუენსა აქუნდეს შემდგომად განსლვისა ჩემისა ამათი მოჴსენებისა ყოფაჲ.

16. რამეთუ არა სიბრძნისა ზღაპართა შეუდეგით და გაუწყეთ თქუენ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს ძალი და მოსლვაჲ, არამედ თჳთ მხილველ-ვიქმნენით მისისა მის დიდებულებისა.

17. რამეთუ მოიღო ღმრთისაგან მამისა პატივი და დიდება, ჴმა, რომელი მოიწია მისა ესევითარისაგან დიდად-შუენიერებისა დიდებისა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნოვიყავ.

18. და ესე ჴმა, ჩუენ გუესმა, ზეცით მოსრული მის ზედა, მისთანა რა ვიყუენით მთასა მას წმიდასა.

19. და მაქუს ჩუენ უმტკიცესი საწინასწარ-მეტყუელო სიტყუაჲ; რომელი კეთილად ჰყოთ, ეკრძალენით თუ, ვითარცა სანთელსა მნთებარესა ადგილსა შინა წყუდიადსა, ვიდრემდის დღე განათლდეს, და მთიები აღმობრწყინდეს გულთა შინა თქუენთა.

20. ესე მცა პირველად უწყით, რამეთუ ყოველი წინასწარ-მეტყუელება წიგნისა თჳსისა თავისა სათარგმანებელ არა იქმნების.

21. რამეთუ არა ნებითა კაცთათა მოსადამეიწია წინასწარ-მეტყუელებაჲ; არამედ წუევითა სულისა წმიდისათა, იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი.

## თ ა ვ ი 2.

1. იყუნეს ცრუ-წინასწარ-მეტყუელნიცა ერსა შორის, ვითარცა იგი თქუენ შორისცა ყოფად-არიან ცრუ-მოძღუარნი, რომელთა შემოიღონ წუალებაჲ წარწყმედისა, და განმათავისუფლებელსა მათსა უფალსა უარ-ჰყოფდენ, და მოიზიდვიდენ თავისა მათისა-თჳს მსთუად წარწყმედასა.

2. და მრავალნი შეუდგენ მათსა მას არა-წმიდებასა, რომელთაგან გზა იგი ჭეშმარიტებისა იგმობოდეს.

3. და ანგაარებითა და ტყუილისა სიტყჳთა თქუენ გვაჭრობდენ; რომელთა სასჯელი პირველითგან არა დაჴსცხრების, და წარსა-წყმედელსა მათსა არა ჰრულის.

4. უკეთუ ღმერთმან ანგელოსთა მათ შეცოდებულთა არა ჰრიდა, არამედ ჯაჭუებითა მით წყუდიადისათა ტარტაროსსა შეა-

ყჱნნა, და მიჰსცნა იგინი სატანჯველად და სასჯელად დამარხჳად;

5. და პირველსა მას სოფელსა არავე ჰრიდა, არამედ მიერვე ნოჱ სიმართლისა ქადაგი დაჰმარხა, და წყლით-რღჳნა იგი უღმრთოთა სოფელსა ზედა მოაწია;

6. და ქალაქები იგი სოდომელთა და გომორელთა დაჰსწჳა და დააქცია და დაჰსაჯა, და სახედ მერმეთა მათ უღმრთოთა დაჰსდვა.

7. და მართალი ლოთ, დაწუნებული უჰსჯულოთა მათ სიბილწით მავალთაგან იჴსნა,

8. რამეთუ ხედვთა და სმენითა მართალი იგი დამკჳდრებული რა იყო მათ შორის, დღითიდღედ სული იგი მისი მართალი უსჯულოთა მათ საქმეთაგან იტანჯებოდა.

9. იცის უფალმან ღმრთის-მსახურთა მათ განსაცდელთაგან ჴსნაჲ, ხოლო ცრუნი იგი დღესა მას სასჯელისასა ტანჯჳასა შინა დაჰმარხნეს·

10. უფროჲსღა, რომელნი იგი კჳალსა მას ჴორცთა გულის-თქმისასა სიბილწით შეუდგან, და უფლებასა შეურაცხ-ჰყოფენ, კადნიერნი და თავ-კედნი, დიდებისათჳს არა ჰსძრწიან, არამედ ჰგმობენ.

11. სადაღა ანგელოსნი, რომელნი მძლიერებითა და ძალითა უფროს არიან, არა მოაწევენ მათ ზედა სასჯელსა გმობისასა უფლისა მიერ.

12. ხოლო ესენი, ვითარცა პირ-უტყჳნი საცხოვარნი, შობილნი ბუნებით მოსასრველად და განსარყჳნელად, რომლითა იგი უმეცარ-არიან ჰგმობენ, ხრწნილებასა მათსა შინა განიხრწნნენ.

13. და მოიღონ სასყიდელი სიცრუისა; გულის-თქმა იგი შეურაცხიეს, ვითარცა დღე შჳებისა, შეგინებულნი და ბილწნი, იშჳებენ საცთურსა შინა მათსა, და თქჳენთანა შეგცხრებიან.

14. თჳალნი ასხენ სავსენი მრუშებითა და დაუცხრომელითა ცოდვითა, და აცთუნებენ სულთა დაუმტკიცებელთა; გულნი ჰქონან წჳრთილნი ანგაარებითა; შჳლნი წყევისანი.

15. დაუტევეს წრფელი იგი გზაჲ, შეჰსცთეს და შეუდგეს გზასა მას ბალამ ბოსორელისასა, რომელმან იგი სასყიდელი სიცრუისა შეიყჳარა,

16. მამხილებელად აქჳნდა თჳსისა უსჯულოებისა. კარაული უტყუჳ, კაცობრივითა კმითა მეტყჳელი, რომელმან დააბრკოლა წინასწარ-მეტყჳელისა იგი უგუნურებაჲ.

17. ესენი არიან წყაროni ურწყულნი, ღრუბელნი ალმურისა მიერ მიმოტაცებულნი; რომელთათჳს წყჳდიადი იგი ბნელი საუკუნო დამარხულ-არს.

18. რამეთუ გარდარეულად ამაოებისა ზრახვათა, მიიზიდვენ გულის-თქმასა ჴორცთა ბილწებისასა, რომელნი იგი ჭეშმარიტებით ლტოლვილ-არიან, და რომელნი იგი საცთურსა შინა იქცევიან.

19. თავის-უფლებასა აღუთქმენ მათ, და იგინი თჳთ მონა

არიან ხრწნილებისა; რამეთუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ-არიან, მისდაცა დამონებულ-არიან.

20. რამეთუ, რომელნი იგი განერნეს შეგინებათაგან ამის სოფლისათა მეცნიერებითა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, მათვე კუალად აღერინეს და იძლინეს; ექმნა მათ უკანასკნელი იგი უძჳრეს პირველისა.

21. უმჯობეს იყო მათდა ეცნავე თუმცა არა გზა იგი სიმართლისა, ვიდრე ცნობასა და მართლ-უკუნ-ქცევასა მოცემულისა მისგან მათდა წმიდისა მცნებისა.

22. შეემთხჳა მათ ჭეშმარიტებისა მისებრ იგავისა; ძაღლი მიექცა ნათხევარსა თჳსსა, და ღორი ინწუბა სანგორელსა მწჳრისასა.

თ ა ვ ი 3.

1. აჰა ესერა, საყუარელნო, ამას მეორესა ეპისტოლესა მივჰსწერ თქუენდა; რომელთა მიერ განვაღვიძებ მოხსენებითა წადიერითა გონებასა თქუენსა.

2. მოჴსენებად პირველ-თქმულთა მათ სიტყუათა წმიდათა წინასწარ-მეტყუელთა მიერ, და მოციქულთა მათ თქუენთა მცნებათა უფლისა და მაცხოვრისათა.

3. ესემცა პირველად უწყით, რამეთუ მოიწინენ უკანასკნელთა დღეთა მეკიცხევარნი, გულისთქმისა-ებრ თჳსისა მავალნი,

4. და იტყოდენ: სად არს აღთქმა იგი მოსლჳსა მისისა? რამეთუ ვინაჲთგან მამათა შეისუენეს ყოველივე, ესრეთ ჰგიეს დასაბამითგან დაბადებისათ.

5. რამეთუ დაავიწყდეს მათ ესე ნებსით, ვითარმედ ცანი იყუნეს პირველითგან და ქუეყანაჲ წყალთაგან და წყალთა მიერ შეიქმნა სიტყჳთა ღმრთისათა:

6. რომლისაგან მაშინდელი იგი სოფელი წყლითა წარირღუნა და წარჰსწყმდა.

7. ხოლო აწ ცანი და ქუეყანა, მითვე სიტყჳთა დაუნჯებულ-არიან, ცეცხლისა დამარხულნი დღედ საჰსჯელისა და წარწყმედისა უღმრთოთა კაცთასა.

8. ერთიმცა ესე ნუ დაგავიწყდების, საყუარელნო, რამეთუ ერთი დღე უფლისა მიერ, ვითარცა ათასი წელი, და ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე.

9. არა ჰყოვნოს უფალმან აღთქმისა მისგან, ვითარ იგი ვიეთმე დაყოვნებად შეურაცხიეს; არამედ სულ-გრძელ არს თქუენთჳს, რამეთუ არა-ვისი ჰნებავს წარწყმედაჲ, არამედ ყოველთა სინანულად მოსლუაჲ.

10. ხოლო მოიწიოს დღე იგი უფლისა, ვითარმცა მპარავი ღამისა, რომელსა შინა ცანი მძაფრიად წარჰსხდენ და წესნი იგი დაიწუნენ და დაზუელენ, და ქუეყანა და მას შინა საქმენი დაიწუნენ.

11. რაჲამს ესე ყოველნი ესრეთ დაზუელებოდენ; რაბამთა ჯერ-არს თქუენი ყოფა წმიდითა ქცევითა და კეთილითა მსახურებითა, რათა მოელოდეთ,

12. და ისწრაფდეთ მოსლუა-

სა მას დღისა მის ღმრთისასა, რომელსა შინა ცანი მსურვალენი დაიჴსნენ, და წესნი დაიწუნენ და დაჰსდნენ?

13. ახალთა ცათა და ახალსა ქუეყანასა მჰსგავსად აღთქმისა მისისა მოველით, რომელსა შინა სიმართლე დამკჳდრებულ-არს.

14. ამისთჳს, საყუარელნო, ამას მოელოდეთ და ისწრაფეთ შეუგინებელთა და უბიწოთა მისა პოვნად მშჳდობით;

15. და უფლისა ჩუენისა იგი სულ-გრძელებაჲ ცხოვრებად შეჰრაცხეთ, ვითარცა იგი საყუარელმან ძმამან ჩუენმან პავლე, მჰსგავსად მოცემულისა მის მისდა სიბრძნისა, მიჰსწერა თქუენდა,

16. ვითარცა იგი ყოველთა შინა წიგნთა მისთა იტყჳს ამის-თჳს, რომელნი იგი არიან ძნიად საცნაურ რაჲმე, რომელსა იგი უსწავლელნი და დაუმტკიცებელნი გარდააქცევენ, ვითარცა სხუათა მათცა წიგნთა, მჰსგავსად მათისავე მის წარწყმედისა.

17. თქუენ უკუე, საყუარელ-ნო, წინასწარ რა უწყით ესე, ეკრძალენით, რათა არა უჯეროთა-სა მას საცთურსა თანა აღერი-ნეთ, და გაჰსცჳვნეთ სიმტკიცისა მისგან თჳსისა.

18. არამედ აღორძნდებოდეთ მადლითა და მეცნიერებითა უფ-ლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესითა. მისა დიდება და აწ დღეთა მათ საუკუნეთასა. ამინ.

# პირველი კათოლიკე ეპისტოლე იოანე მოციქულისა.

## თ ა ვ ი 1.

1. რომელი იყო პირველითგან, რომელი გუესმა და ვიხილეთ თუალითა ჩუენითა, რომელი ვიხილეთ, და ჴელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა,

2. და ცხოვრება იგი გამოჰს-ცხადნა, და ჩუენ ვიხილეთ და ვჰსწამეთ, და გითხრობთ თქუენ ცხოვრებასა მას საუკუნესა, რომელი იყო მამისა თანა და გამოგვიჩნდა ჩუენ,

3. რომელი გუესმა და ვიხილეთ, გითხრობთ თქუენ, რათა თქუენცა ზიარება გაქუნდეს ჩუენ თანა; და ზიარება ჩუენი მამისა თანა და ძისა მისისა თანა, იესო ქრისტესა.

4. და ამას მივჰსწერ თქუენდა, რათა სიხარული იგი ჩუენი სავსებით იყოს.

5. და ესე არს აღთქმა იგი, რომელი გუესმა მისგან, და გითხრობთ თქუენ, რამეთუ ღმერთი ნათელ-არს, და ბნელი არა არს მის თანა, არცა ერთი.

6. უკეთუ ვჰსთქუათ, ვითარმედ ზიარება გუაქუს მის თანა, და ჩუენ ბნელსა შინა ვიდოდეთ; ვჰსტყუით, და არა ვიქმთ ჭეშმარიტებასა.

7. ხოლო უკეთუ ნათელსა შინა ვიდოდეთ, ვითარცა იგი ნათელსა შინა არს, ზიარება გუაქუს ურთიერთარს, და სისხლი იგი იესო ქრისტეს, ძისა მისისა, განმწმედს ჩუენ ყოვლისაგან ცოდჳსა.

8. უკეთუ ვჰსთქუათ, ვითარმედ ცოდუა არა გუაქუს; თავთა თჳსთა ვაცთუნებთ, და ჭეშმარიტება არა არს ჩუენ თანა.

9. უკეთუ აღვიარნეთ ცოდუანი ჩუენნი; სარწმუნო არს და მართალ, რათა მოგვიტევნეს ჩუენ ცოდუანი ჩუენნი, და განმწმიდნეს ჩუენ ყოვლისაგან სიცრუისა.

10. უკეთუ ვსთქუათ, ვითარმედ არა ვჰსცოდეთ; მტყუვრად გამოვაჩინებთ მას, და სიტყუა მისა არა არს ჩუენ შორის.

## თ ა ვ ი 2.

1. შჳლნო ჩემნო! ამას მივჰსწერ თქუენდა, რათა არა ჰსცოდოთ; და უკეთუ ვინმე ჰსცოდოს; ნუგეშინის-მცემელი გვივის მამი-

სა მიმართ, ქრისტე იესო, მართალი.

2. და იგი არს მომტევებელი ცოდვათა ჩუენთა, და არა ხოლო ცოდვათა ჩუენთა, არამედ ყოვლისა სოფლისა.

3. და ამით უწყით, რამეთუ ვიცით იგი, უკეთუ მცნებათა მისთა ვიმარხჳდეთ.

4. რომელმან ჰსთქუას, ვითარმედ ვიცან იგი, და მცნებათა მისთა არა იმარხვიდეს; მტყუვარ-არს, და ჭეშმარიტება არა არს მისთანა.

5. ხოლო რომელმან დაიმარხნეს სიტყუანი მისნი; ჭეშმარიტად სიყუარული ღმრთისა აღსრულებულ-არს მისთანა: ამით უწყით, რამეთუ მისთანა ვართ.

6. რომელმან ჰსთქუას მისთანა ყოფაჲ; თანა-ამს, რათა, ვითარცა იგი თავადი ვიდოდა, ეგრეცა მისი სლვაჲ.

7. ძმანო! არა მცნებასა ახალსა მივჰსწერ თქუენდა, არამედ მცნებასა პირველსა, რომელი გაქუნდა დასაბამითგან. მცნება იგი პირველი არს სიტყუა იგი, რომელი გესმა პირველითგან.

8. კუალად მცნებას ახალსა მივჰსწერ თქუენდა, რომელი არს ჭეშმარიტ მისთანა და თქუენ შორის; რამეთუ ბნელი წარვალს და ნათელი იგი ჭეშმარიტი აწვე ჰსჩანს.

9. რომელმან ჰსთქუას ნათელსა შინა ყოფაჲ, და ძმა თჳსი ჰსძულდეს: იგი ბნელსა შინა არს, ვიდრე აქამომდე.

10. ხოლო რომელსა უყუარდეს ძმა თჳსი; იგი ნათელსა შინა არს, და საცთური არა არს მისთანა.

11. ხოლო რომელსა ჰსძულდეს ძმა თჳსი; იგი ბნელსა შინა არს, და ბნელსა შინა ვალს, და არა იცის, ვიდრე ვალს, რამეთუ ბნელმან დაუბრმნა თვალნი მისნი.

12. მივჰსწერ თქუენდა, შჳლნო; რამეთუ მიგეტევებიან თქუენ ცოდვანი თქუენნი სახელითა მისითა.

13. მივჰსწერ თქუენდა, მამანო, რამეთუ იცანით პირველი იგი. მივჰსწერ თქუენდა, ჭაბუკნო; რამეთუ გიძლევიეს ბოროტისადა. მივჰსწერ თქუენდა, ყრმანო; რამეთუ იცანით მამაჲ.

14. მივჰსწერ თქუენდა, მამანო; რამეთუ იცანით პირველი იგი. მივჰსწერ თქუენდა, ჭაბუკნო; რამეთუ ძლიერ ხართ, და სიტყუა ღმრთისა თქუენთანა დადგრომილ-არს, და გიძლევიეს ბოროტისადა.

15. ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცაღა რაჲ არს სოფლისა ამის; უკეთუ ვისმე უყუარდეს სოფელი ესე; არა არს სიყუარული მამისა მისთანა.

16. რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა, ესე არს გულის-თქმა ჴორცთა და გულის-თქმა თვალთა და სილაღე ამის ცხოვრებისა, და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს.

17. და სოფელი ესე წარჰსდეს, და გულის-თქმა მისი, ხოლო რომელმან ჰყოს ნებაჲ ღმრთისა იგი ეგოს უკუნისამდე.

18. ყრმანო! უკანასკნელი ჟამი
არს. და ვითარცა იგი გასმიეს,
ვითარმედ ანტი-ქრისტე მოვალს,
და აწცა ანტი-ქრისტენი მრავალნი
არიან; ვინაცა უწყით, ვითარმედ
უკანასკნელი ჟამი არს.
19. ჩუენგან განვიდეს, არა-
მედ არა იყუნეს ჩუენგანნი; რა-
მეთუ უკეთუმცა ჩუენგანნი იყუ-
ნეს; დამცა-დგრომილ იყუნეს
ჩუენ თანა, არამედ რათა ცხად
იყუნენ, რამეთუ არა არიან ყოველ-
ნი ჩუენგან.
20. და თქუენცა ცხებულება
გაქუს წმიდისა მისგან, და იცით
ყოველივე.
21. არა მივსწერე თქუენდა,
ვითარმედ არა იცით ჭეშმარიტე-
ბა იგი, არამედ ვითარმედ იცით
იგი, და რამეთუ ყოველი ტყუილი
ჭეშმარიტებისაგან არა არს.
22. ვინმე არს მტყუარი იგი,
ანუ არა, რომელმან უარ-ჰყოს,
ვითარმედ იესო არს ქრისტე?
ესე არს ანტი-ქრისტე, რომელ-
მან უარ-ჰყოს მამაჲ და ძეჲ.
23. ყოველმან, რომელმან უარ-
ჰყოს ძე, არცა მამა არს მისთანა;
და რომელი აღიარებს ძესა მამაცა
მისთანა არს.
24. თქუენ უკუე, რომელი
იგი გესმა პირველითგან, თქუენ-
თანა ეგენ; უკეთუ თქუენთან
ეგოს, რომელი იგი გესმა პირ-
ველითგან; და თქუენცა ძისა
თანა და მამისა ეგნეთ.
25. და ესე არს აღთქმა, რომე-
ლი იგი მან აღმითქუა ჩუენ
ცხოვრება საუკუნოჲ.

26. ესე მივსწერე თქუენდა
მაცთუნებელთა მათ თქუენთათჳს.
27. და თქუენცა ცხებულებაჲ
იგი, რომელი მიიღეთ მისგან,
თქუენთანა ჰგიეს, და არა გიჴმს,
ვითარცა ვინ გასწავა თქუენ;
არამედ თჳთ იგივე ცხებულება
გასწავებს თქუენ ყოვლისათჳს,
და ჭეშმარიტ-არს და არა არს
ტყუილ; და ვითარცა იგი გასწავა
თქუენ, ეგენით მას ზედა.
28. და აწ, შჳლნო, ეგენით
მას ზედა, რათა რაჟამს გამო-
ცხადნეს, გაქუნდეს კადნიერება და
არა მრცხუენეს მისგან მოსლვასა
მას მისსა.
29. უკეთუ იცით, ვითარმედ
მართალ-არს; უწყოდეთ, რამეთუ
ყოველმან, რომელმან ჰყოს სიმარ-
თლე, მისგან შობილ-არს.

## თავი 3.

1. იხილეთ, რაბამი სიყუარუ-
ლი მომცა ჩუენ მამამან, რათა
შვილ ღმრთისა ვიწოდნეთ. ამის-
თჳს სოფელმან არა გიცნის თქუენ,
რამეთუ არცა იგი იცნეს.
2. საყუარელნო! აწ შჳლნი
ღმრთისანი ვართ; და არღა გამო-
ჩინებულ-არს რაჲ ყოფად ვართ.
გარნა ვიცით, რამეთუ უკეთუ
გამოცხადნეს, მსგავს მისა ვიყუ-
ნეთ, რამეთუ ვიხილოთ იგი, ვი-
თარცა იგი არს.
3. და ყოველსა, რომელსა
აქუნდეს სასოებაჲ ესე მისა მიმართ,
განიწმიდოს თავი თჳსი, ვითარ-
ცა იგი წმიდა არს.

4. ყოველმან, რომელმან ჰქმნეს ცოდვაჲ, მან უსჯულოებაჲცა ჰქმნეს; და ცოდუა იგი არს უსჯულოებაჲ.

5. და იცით, რამეთუ იგი გამოჰსჩნდა, რათა ცოდუანი ჩუჱნნი აღისუნეს, და ცოდუა მისთანა არა არს.

6. ყოველი, რომელი მისთანა ეგოს, არა ჰსცოდავს; და ყოველი, რომელი ჰსცოდჳდეს მას, არა უხილავს იგი, არცა იცის იგი.

7. შჳლნო! ნუმცა ვინ გაცთუნებს თქუჱნ. რომელმან ჰქმნეს სიმართლე, იგი მართალ-არს, ვითარცა იგი თავადიცა მართალ-არს.

8. რომელმან ჰქმნეს ცოდვაჲ, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამითგან ეშმაკი ჰსცოდავს. ამისთჳს გამოცხადნა ძე ღმრთისა, რათა დაარღჳნეს საქმენი ეშმაკისანი.

9. ყოველი, რომელი შობილ-არს ღმრთისაგან, მან ცოდვაჲ არა ჰქმნეს; რამეთუ თესლი მისი მისთანა დადგრომილ-არს; და ვერ ჴელეწიფების ცოდუად, რამეთუ ღმრთისა მიერ შობილ-არს.

10. ამის მიერ ცხად არიან შჳლნი ღმრთისანი და შჳლნი ეშმაკისანი: ყოველმან, რომელმან არა ჰქმნეს სიმართლე იგი, არა არს ღმრთისაგან, და რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ თჳსი.

11. რამეთუ ესე არს აღთქმა, რომელი გესმა პირველითგან, რათა ვიყუარებოდეთ ურთიერთარს.

12. არა, ვითარცა იგი კაინ, რომელი იგი უკეთურისაგან იყო, და მოკლა ძმაჲ თჳსი. და რასა-თჳსმე მოკლა იგი? რამეთუ საქმენი მისნი ბოროტ-იყუნეს, ხოლო ძმისა მისისა მართლ.

13. ნუ გიკჳრნ თქუჱნ, ძმანო ჩემნო, რამეთუ გძულობსთ თქუჱნ სოფელი.

14. ჩუჱნ უწყით, რამეთუ მივიცუალენით სიკუდილისაგან ცხორებად, რამეთუ გვიყუარან ძმანი; რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ, სიკუდილსა შინა დადგრომილ არს.

15. ყოველსა, რომელსა ჰსძულდეს ძმაჲ თჳსი, იგი კაცის-მკლველი არს; და იცით, რამეთუ ყოველსა კაცის-მკულელსა, არა აქუს ცხორება საუკუნო მისთანა დადგრომილად.

16. ამით ვჰსცნათ სიყუარული მისი, რამეთუ მან სული თჳსი ჩუჱნთჳს დაჰსდუა; და ჩუჱნცა თანა გუამს ძმათათჳს სულთა ჩუჱნთა დადებაჲ.

17. უკეთუ ვისმე აქუნდეს საცხორებელი სოფლისა ამის, და იხილოს ძმაჲ თჳსი, რომელსა ეკმარებოდეს რაჲმე, და დაჰკშნეს ნაწლევნი თჳსნი მისგან; ვითარმე ჰგიეს მისთანა სიყუარული ღმრთისა?

18. შჳლნო ჩემნო! ნუ ვიყუარებით სიტყჳთა ხოლო, ნუცა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა.

19. და ამით საცნაურ-ვიყუნეთ, რამეთუ ჭეშმარიტებისაგანნი ვართ, და წინაშე მისსა გულნი ჩუჱნნი გუჱრწმუნებიან.

20. რამეთუ უკეთუ გუგმობ-

დეს გული ჩუჱნი, უფროჲს არს
ღმერთი გულისა ჩუჱნისა, დ
იცის ყოველი.
21. საყუარელნო! უკეთუ გუ-
ლი ჩუჱნი არა გუგმობდეს ჩუჱნ;
განცხადებულებაჲ გუაქუს ღმრ-
თისა მიმართ,
22. და რაჲცა იგი ვითხო-
ვოთ, მოვიღოთ მისგან;
23. რამეთუ მცნებათა მისთა
ვიმარხავთ, დ სათნოებასა წინაშე
მისსა ვჰყოფთ.
24. და ესე არს მცნებაჲ მისი,
რათა გურწმენეს სახელი ძისა მი-
სისა იესო ქრისტესი, დ ვიყუა-
რებოდეთ ურთიერთარს, ვითარ-
ცა მომცა მცნებაჲ.
25. და რომელი იმარხჳდეს
მცნებათა მისთა, მისთანა ჰგიეს,
დ იგი თავადი მისთანა. დ ამით
უწყით, რამეთუ ჰგიეს ჩუჱნთანა
სულისა მისგან, რომელი მომცა
ჩუჱნ.

თ ა ვ ი 4.

1. საყუარელნო! ნუ ყოველი-
სა სულისა გრწამნ, არამედ გამო-
იცადენით სულნი, უკეთუ ღმრთი-
საგან იყუნენ; რამეთუ მრავალ-
ნი ცრუ-წინასწარ-მეტყუელნი გან-
სრულ-არიან სოფლად.
2. ამით უწყოდეთ სული
ღმრთისა: ყოველმან სულმან, რო-
მელმან აღიაროს იესო ქრისტე,
კორციელად მოსრული, იგი ღმრ-
თისაგან არს.
3. და ყოველმან სულმან, რო-
მელმან არა აღიაროს იესო ქრი-
სტე, კორციელად მოსრული, იგი
არა ღმრთისაგან არს, დ ესე არს
ანტი-ქრისტესთჳს, რომელ გას-
მიეს, ვითარმედ მოსლვად-არს, დ
აწცა სოფელსა შინა არს.
4. თქუჱნ ღმრთისაგან ხართ,
შვილნო! დ გიძლევიეს მათდა, რა-
მეთუ უფროჲს არს, რომელი
თქუჱნ შორის არს, ვიდრეღა
რომელი იგი სოფლისაგან.
5. იგინი სოფლისაგანნი არი-
ან, ამისთჳსცა სოფლისასა იტ-
ყჳან, დ სოფელი ისმენს მათსა.
6. ჩუჱნ ღმრთისაგან ვართ;
რომელმან იცოდეს ღმერთი, მან
ისმინოს ჩუჱნი; დ რომელი არა
იყოს ღმრთისაგან, მან არა ის-
მინოს ჩუჱნი. ამის გამო ვჰსცნათ
სული ჭეშმარიტებისაჲ დ სული
მაცთურებისაჲ.
7. საყუარელნო! ვიყუარებო-
დეთ ურთიერთარს, რამეთუ სი-
ყუარული ღმრთისაგან არს; დ
ყოველსა, რომელსა უყუარდეს
ღმრთისაგან შობილ-არს, დ იცის
ღმერთი.
8. რომელსა არა უყუარდეს;
მან არა იცის ღმერთი, რამეთუ
ღმერთი სიყუარული არს.
9. ამით გამოცხადნა სიყუარუ-
ლი ღმრთისა ჩუჱნ შორის,
რამეთუ ძე თჳსი მხოლოდ შობი-
ლი მოავლინა ღმერთმან სოფ-
ლად, რათა ვჰსცხონდეთ მის მიერ.
10. და ესე არს სიყუარული,
არა, რამეთუ ჩუჱნ შევიყუარეთ
ღმერთი, არამედ, რამეთუ მან
ჩუჱნ შემიყუარნა, დ მოავლინა
ძეჲ თჳსი მლხინებელად ცოდუა-
თა ჩუჱნთა.

11. საყუარელნო! უკეთუ ღმერთმან ესრეთ შემიყუარნა; ჩუენცა თანა-გუაძს ურთიერთარს სიყუარული.

12. ღმერთი არა სადა ვის უხილავს. უკეთუ ვიყუარებოდეთ ურთიერთარს; ღმერთი ჩუენ შორის ჰგიეს, და სიყუარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ-არს.

13. ამით უწყით, რამეთუ მის თანა ვჰგიეთ და იგი ჩუენ შორის, რამეთუ სულისა მისისაგან მომცა ჩუენ.

14. და ჩუენ ვიხილეთ და ვჰსწამებთ, რამეთუ მამამან მოავლინა ძეჲ მაცხოვრად სოფლისა.

15. რომელმან აღიაროს, ვითარმედ იესო არს ძე ღმრთისა; ღმერთი მისთანა ჰგიეს, და იგი ღმრთისათანა.

16. და ჩუენ ვჰსცანთ და გურწმენა სიყუარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ. ღმერთი სიყუარული არს, და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მისთანა ჰგიეს, და იგი ღმრთისა თანა.

17. ამით აღსრულებულ-არს სიყუარული ჩუენ შორის, რათა განცხადებულებაჲ გუაქუნდეს დღესა მას სასჯელისასა, რამეთუ ვითარცა იგი იყო და ჩუენცა ვართ სოფელსა ამას შინა.

18. შიში არა არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარე განჰსდევნის შიში; რამეთუ შიშსა ტანჯვაჲ აქუს. ხოლო მოშიში იგი არა სრულ-არს სიყუარულსა ზედა.

19. ჩუენ გვიყუარს იგი, რამეთუ მან პირველად შემიყუარნა ჩუენ.

20. უკეთუ ვინმე ჰსთქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი, და ძმაჲ თჳსი ჰსძულდეს; მტყუარ· არს; რამეთუ რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ თჳსი, რომელი იხილა, ღმერთი რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უძს შეყუარებად?

21. და ესე მცნებაჲ მოვიღეთ მისგან, რათა რომელსა უყუარდეს ღმერთი უყუარდეს ძმაჲცა თჳსი.

## თ ა ვ ი 5.

1. ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს, ვითარმედ იესო არს ქრისტე, იგი ღმრთისაგან შობილ-არს, და ყოველსა, რომელსა უყუარდეს მშობელი, უყუარს შობილიცა იგი მისგან.

2. ამით უწყით, რამეთუ გვიყუარან შჳლნი ღმრთისანი, რაჟამს ღმერთი გვიყუარდეს, და მცნებათა მისთა ვიმარხჳდეთ.

3. რამეთუ ესე არს სიყუარული ღმრთისა, რათა მცნებათა მისთა ვიმარხჳდეთ; და მცნებანი მისნი მძიმე არა არიან.

4. რამეთუ ყოველი, რომელი შობილ-იყოს ღმრთისაგან, ჰსძლევს სოფელსა; და ესე არს ძლევაჲ,

5. რომლითა ჰსძლევს სოფელსა სარწმუნოებაჲ ჩუენი. რაჲ არს, რომლითა ჰსძლევს სოფელსა, არამედ რომელსა ჰრწმენეს, ვითარმედ იესო არს ძე ღმრთისა?

6. ესე არს, რომელი მოვიდა წყლითა და სისხლითა და სულითა,

*

7. იესო ქრისტე, არა წყლი-
თა ხოლო, არამედ წყლითა და
სისხლითაცა, და სული არს, რო-
მელი ჰსწამებს, რამეთუ სული არს
ჭეშმარიტებისა.
8. რამეთუ სამნი არიან, რო-
მელნი ჰსწამებენ ქუეყანასა ზედა:
სული და წყალი და სისხლი; და
სამნივე ესე ერთისა მიმართ არიან.
9. და სამნი არიან, რომელნი
ჰსწამებენ ცათა შინა: მამა, სიტ-
ყუა, და სული წმიდა; ესე სამნი
ერთნი არიან.
10. უკეთუ წამებასა კაცთასა
მოვიღებთ; წამება ღმრთისა უფ-
როჲს არს; რამეთუ ესე არს
წამებაჲ ღმრთისა, რომელი ჰსწა-
მა ძისა მისისათჳს.
11. რომელსა ჰრწმენეს ძისა
მიმართ ღმრთისა, აქუს წამებაჲ
იგი თავსა შორის თჳსსა; რომელ-
სა არა ჰრწმენეს ღმერთი მტყუვ-
რად გამოაჩინა იგი, რამეთუ არა
ჰრწმენა წამება იგი, რომელი ჰსწა-
მა ღმერთმან ძისა მისისათჳს.
12. და ესე არს წამებაჲ,
რამეთუ ცხოვრებაჲ საუკუნო მომ-
ცა ჩუენ ღმერთმან, და ესე
ცხოვრებაჲ ძისა მისისა თანა არს.
13. რომელსა აქუნდეს ძე აქუს
ცხოვრებაჲცა; რომელსა არა აქუნ-
დეს ძე ღმრთისა მას არცა ცხოვ-
რება აქუს.
14. ესე მივჰსწერე თქუენდა,
მორწმუნეთა სახელისა მიმართ ძისა
ღმრთისა, რათა უწყოდეთ, რამეთუ
ცხოვრება საუკუნო გუაქუს, რათა
გრწმენეს სახელისა მიმართ ძისა
ღმრთისა.
15. და ესე არს განცხადებულე-
ბა, რომელი მაქუს მისა მიმართ,
რამეთუ უკეთუ რაჲმე ვითხოვოთ
ნებისაებრ მისისა ისმენს ჩუენსა.
16. რაჲცა იგი ვითხოვოთ და
უწყით, რამეთუ მოვიღოთ იგი,
რომელი ვითხოვეთ მისგან.
17. უკეთუ ვინმე იხილოს
ძმაჲ თჳსი, რომელი ჰსცოდვი-
დეს ცოდუასა არა სასიკუდინესა,
ითხოვოს, და მოჰსცეს მას ცხოვ-
რებაჲ, რომელი იგი ჰსცოდვი-
დენ არა სასიკუდინედ. არს ცო-
დუა სასიკუდინე; არა მისთჳს ვი-
ტყუჳ, რათა ითხოვოს.
18. ყოველივე სიცრუვე ცოდუა
არს; და არს ცოდუა არა სასიკუდინე.
19. ვიცით, რამეთუ ყოველი,
რომელი შობილ-იყოს ღმრთი-
საგან არა ჰსცოდავს; არამედ რო-
მელი იგი შობილ-იყოს ღმრთი-
საგან დაიმარხოს თავი თჳსი,
და ბოროტი მას არა შეეხოს.
20. ვიცით, რამეთუ ღმრთისა-
გან ვართ და ყოველი სოფელი
ბოროტსა ზედა ჰსდგას.
21. ხოლო ვიცით, რამეთუ ძე
ღმრთისა მოვიდა, და მომცა ჩუენ
გონებაჲ, რათა ვიცოდეთ ჩუენ ჭეშ-
მარიტი ღმერთი, და ვართ ჩუენ
ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა იე-
სო ქრისტესა. ესე არს ჭეშმარიტი
ღმერთი და ცხოვრება საუკუნო.
22. შჳლნო! დაიცუენით თა-
ვნი თჳსნი კერპთაგან. ამინ.

# იოანე მოციქულისა კათოლიკე მეორე.

## თ ა ვ ი 1.

1. მოხუცებული რჩეულსა დედოფალსა და შჳლთა მისთა, რომელნი მიყუარან მე ჭეშმარიტებით, და არა ხოლო მე, არამედ ყოველთავე, რომელთა უცნობიეს ჭეშმარიტებით,

2. ჭეშმარიტებისაგან, რომელი დამკჳდრებულ-არს ჩუენ შორის, და ჩუენთანა იყოს უკუნისამდე.

3. იყავნ თქუენთანა მადლი, წყალობა და მშჳდობა ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა მიერ იესო ქრისტესა, ძისა მამისა, ჭეშმარიტებით და სიყუარულით.

4. განვიხარე ფრიად, რამეთუ ვჰპოვენ შჳლთაგან შენთა, რომელნი ვლენან ჭეშმარიტებით, ვითარცა იგი მცნებაჲ მოვიღეთ მამისაგან.

5. და აწ გიკითხავ შენ, დედოფალო, არა ვითარცა მცნებასა ახალსა მივჰსწერ შენდა, არამედ რომელი მაქუნდა დასაბამითგან, რათა ვიყუარებოდეთ ურთიერთარს.

6. და ესე არს სიყუარული, რათა ვიდოდეთ მცნებათაებრ მისთა. და ესე არს მცნებაჲ მისი, ვითარცა იგი გესმა დასაბამითგან, რათა მას შინა ხვიდოდეთ.

7. რამეთუ მრავალნი მაცთურნი შემოვიდეს სოფლად, რომელნი არა აღიარებენ იესო ქრისტესა, ჴორციელად მოსრულსა; ესე არს მაცთური და ანტი-ქრისტე.

8. ეკრძალენით თავთა თქუენთა, რათა არა წარვჰსწყმიდოთ რა იგი ვჰქმენით კეთილი, არამედ სასყიდელი სავსებით მოვიღოთ.

9. ყოველივე, რომელი გარდაჰხდებოდეს და არა ეგოს მოძღუ-

რებასა ზედა ქრისტესსა, მისთანა
ღმერთი არა არს; ხოლო რო-
მელი ეგოს მოძღჳრებასა ზედა
ქრისტესსა, მისთანა მეცა და მამა-
ცა არს.
10. რომელი მოვიდეს თქჳენ-
და, და ესე მოძღჳრებაჲ არა მო-
აქჳნდეს; ნუ შეიწყნარებთ მას
სახლთა თქჳენთა, და გიხაროდენ
ნუ ეტყჳთ მას.
11. რამეთუ რომელმან ჰრქჳს
მას გიხაროდენ, ეზიარების საქ-
მეთა მისთა ბოროტთა.
12. მრავალი მინდა მიწერად
თქჳენდა, არამედ არა ვინებე ქა-
რტითა და მელნითა, რამეთუ ვე-
სავ მოსლჳად თქჳენდა და პი-
რის-პირ სიტყჳად, რათა სიხა-
რული იგი თქჳენი სავსებით
იყოს.
13. გიკითხჳენ შენ შჳლნი დი-
სა შენისა რჩეულისანი. ამინ.

# იოანე მოციქულისა წიგნი მესამე კათოლიკე.

## თ ა ვ ი 1.

1. მოხუცებული გაიოზს საყუარელსა, რომელი მიყუარს მე ჭეშმარიტებით.

2. საყუარელო! ყოვლისათჳს გლოცავ შენ, წარმართებად და მშჳდობად ეგე, ვითარცა წარუმართებიეს სულსა შენსა.

3. რამეთუ ფრიად განვიხარე მომავალთაგან ძმათა, რომელნი ჰსწამებდეს ჭეშმარიტებისა შენისათჳს, ვითარ იგი შენ ჭეშმარიტებით ჰსუალ.

4. სხუა უფროსი სიხარული ამისსა არა მაქუს, რათა მესმოდეს შჳლთა ჩემთა ჭეშმარიტებით სლუაჲ.

5. საყუარელო! სარწმუნოდ ჰყოფ, რომელსა ეგე იქმ ძმათა მიმართ და უცხოთა.

6. რომელთა ჰსწამეს სიყუარულისა შენისათჳს წინაშე ეკლესიათა. რომელთასა კეთილად ჰყოფ, წარრაჰგზავნი მათ ღირსად ღმრთისა.

7. რამეთუ სახელისა მისისათჳს გამოვიდეს, და არა რაჲ გამოიღეს წარმართთაგან.

8. ხოლო ჩუენ ჯერ-არს შეწყნარება ეგე ვითართა მათ, რათა თანა-შემწე-ვექმნნეთ ჭეშმარიტებასა.

9. მივჰსწერე ეს ეკლესიისა, არამედ მთავრობის მოყუარე იგი მათი დიოტრეფე, არა შემიწყნარებს ჩუენ.

10. ამისთჳს, უკეთუ მოვიდე, მოვახსენნე მას საქმენი მისნი, რომელთა იქმს, სიტყჳთა ბოროტითა გუგმობს ჩუენ, და არა კმა-იყოფს მას ზედა, არამედ არცა იგი შეიწყნარებს ძმათა, და რომელთა ჰნებავს შეწყნარების, მათცა აყენებს, და კრებულისაგან განასხამს.

11. საყუარელო! ნუ ჰბაძავ

ბოროტსა მას, არამედ კეთილ-სა რამეთუ კეთილის-მოქმედი, ღმრთისაგან არს; ხოლო ბორო-ტის მოქმედსა მას არა უხილავს ღმერთი.

12. დიმიტრი წამებულ-არს ყოველთაგან ღ თჳთ მის ჭეშმა-რიტებისაგანცა; ღ ჩჳენცა ვწა-მებთ ღ იცით, რამეთუ წამება ჩჳენი ჭეშმარიტ-არს.

13. მრავალი მინდა მიწერად შენდა, არამედ არა მნებავს მელ-ნითა ღ კალმითა მიწერად შენდა.

14. რამეთუ ვესავ ადრე ხილ-ჳასა შენსა ღ პირის-პირ ვიტ-ყოდეთ.

15. მშჳდობა შენდა; გიკით-ხჳენ შენ მეგობარნი; კითხჳა არქჳთ მოყჳარეთა ჩჳენთა სახე-ლით. ამინ.

# კათოლიკე ეპისტოლე იუდა მოციქულისა.

თავი 1

1. იუდა, იესო ქრისტეს მონა და ძმა იაკობისი, თქჳენ ღმრთისა მიერ მამისა განწმედილთა და იესო ქრისტეს მიერ დამარხულთა ჩინებულთა,
2. წყალობა თქჳენთანა და მშჳდობა, და სიყჳარული განმრავლდინ.
3. საყჳარელნო! ყოველივე სწრაფად ვჰყავ მიწერად თქჳენდა ზოგადისათჳს ცხოვრებისა, ჯერ-მიჩნდა მიწერად თქჳენდა, და გლოცავ იღჳწიდეთ ერთ გზის მოცემულისა მის თჳს წმიდათა სარწმუნოებისა,
4. რამეთუ შემოვინმევიდეს კაცნი, რომელნი პირველვე წერილ-იყჳნეს ამას სასჯელსა უღმრთონი, რომელნი მადლსა ღმრთისა ჩჳენისასა გარდააქცევენ არა-წმიდებად, და მხოლოსა მფლობელსა ღმერთსა და უფალსა ჩჳენსა იესო ქრისტესა უარ-ჰყოფენ.
5. მოხსენება თქჳენი მნებავს, დაღათუ იცით ესე ყოველი, რამეთუ ღმერთმან ერთ-გზის ერი იგი ქჳეყანით ეგჳპტით იჴსნა, ხოლო მეორედ ურწმუნონი იგი წარჰსწყმიდნა.
6. ანგელოზნი რომელთა იგი არა დაიმარხეს თჳსი იგი სამთავროჲ, არამედ დაუტევეს სამკჳდრებელი მათი, სასჯელად დიდისა მის დღისა, საკრველებითა მით სამარადისოჲთა, წყუდიადსა ქჳეშე დაჰმარხნა.
7. ვითარცა სოდომოჲ და გომოროჲ და გარემოს მათსა ქალაქები იგი, რომელნი მათდავე სახედ ისიძჳდეს და მოდევნებულ-იყჳნეს შემდგომად ჴორცსა უცხოსა, წინა-ჰსხენან სახედ ცეცხლისა საუკუნოჲსა სასჯელი მიუღებიეს.
8. ეგრეთვე მჰსგავსად ესენიცა საჩჳენებელსა ისილვენ, ჴორცთა შეიბილწებენ, უფლებათა შეურაცხ-ჰყოფენ, დიდებათა ჰგმობენ.
9. ხოლო მიხაილ მთავარ-ანგელოსი, ოდეს იგი ეშმაკსა მას ესჯოდა, და ეტყოდა მოსეს ჴორცთათჳს, ვერ იკადრა სასჯელი გმობისა მოწევნად მის ზედა, არამედ ჰრქჳა: შეგრისხენინ შენ უფალმან.
10. ვარნა ესენი, რაოდენნი არა იციან, ჰგმობენ; და რაოდენი, ვითარცა პირ-უტყჳთა, ბუნებით იციან, მათ შინა განიხრწნებიან.
11. ვაჲ მათდა, რამეთუ გზასა მას კაენისასა ვლენან, და საცთურსა მას ბალაამის სასყიდლისა-

სა აღერინეს, და ცილობითა მით კორესითა წარჴსწყმდეს.

12. ესენი არიან, რომელნი სიყუარულთა მათ თქუენთა შებილწებულნი თანა-შეგცხრებიან, და უშიშად თავთა თჳსთა ჴმწყსიან. ღრუბელნი ურწყულნი, ქარისაგან მიმოტაცებულნი, ხენი ზამთრისანი, უნაყოფონი, ქარისაგან მიმოტაცებულნი, ხენი ზამთრისანი, უნაყოფონი, ორ-გზის მომწყუდარნი,

13. მირითურთ მოფხურილნი, ღელვანი ზღჳსანი განმჳნებულნი, რომელნი პერად აღაფქურევენ თავისა თჳსისათჳს სირცხჳლისა, ვარსკულავნი ცთომილნი, რომელთათჳს წყუდიადი იგი ბნელისა საუკუნოდ დამარხულ არს.

14. ჰსწინასწარ-მეტყუელა მათთჳს მეშჳდემან ადამისითგან ენუქ, და ჰსთქუა: აჰა ესერა, მოვალს უფალი ბევრეულითა წმიდათა მისთათა.

15. ყოფად სასჯელისა ყოველისათჳსვე, და მხილებად ყოველთა უღმრთოთა მათთა ყოველთათჳს საქმეთა უღმრთოებისა მათისათა, რომელთა უჩრულოებდეს, და ყოველთათჳს სიტყუათა ფიცხელთა, რომელ იტყოდეს მისთჳს ცოდვილნი უღმრთონი.

16. ესენი არიან მდრტჳნავნი, მაბრალობელნი, გულის-თქმისაებრ თჳსისა მავალნი, და პირი მათი იტყჳს გარდარეულსა; თუალთაღებენ პირსა სარგებელისა მიზეზითა.

17. ხოლო თქუენ, საყუარელნო, მოიხსენენით სიტყუანი იგი წინასწარ-თქმულნი მოციქულთა მიერ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესთა.

18. რამეთუ გეტყოდეს თქუენ, ვითარმედ უკანასკნელთა ჟამთა იყუნენ მოკიცხარნი, გულის-თქმისაებრ თჳსისა მავალნი უღმრთოსა.

19. ესენი არიან, რომელნი განიშორებენ თავთა თჳსთა მშჳნვიერნი, რომელთა სული არა აქუს.

20. ხოლო თქუენ, საყუარელნო, წმიდასა მას სარწმუნოებასა თქუენსა ზედა აღაშენებდით თავთა თქუენთა, სულითა წმიდითა ილოცვიდით,

21. თავნი თქუენნი სიყუარულითა ღმრთისათა დაიცუენით, და მოელოდეთ წყალობასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა ცხოვრებად საუკუნოდ.

22. რომელთამე ჰსწყალობდით, შეუორგულებელად;

23. და რომელთამე იხსნიდით შიშითა, და ვითარცა ცეცხლისაგან გამოიტაცებდით; გძულდინ კორცთაგან შეგინებულიცა იგი სამოსელი.

24. ხოლო რომელი იგი შემძლებელ-არს დამარხუად თქუენდა შეუცოდებელად, და დადგინებად წინაშე დიდებისა თჳსისა უბიწოთ სიხარულით.

25. მხოლოსა, ბრძენსა ღმერთსა, მაცხოვარსა ჩუენსა, დიდება და სიმდიდრე, სიმტკიცე და კელმწიფებაჲ, უწინარეს ყოველსა საუკუნეთა, და აწ და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

# რომაელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი.

## თავი 1.

1. პავლე, მონა იესო ქრისტესი, ჩინებული მოციქული, რჩეული სახარებასა მას ღმრთისასა,
2. რომელი იგი წინასწარაღუთქუა წინასწარ-მეტყუელთა მისთა მიერ, წიგნთაგან წმიდათა,
3. ძისა მისისათჳს, რომელი იგი იშუა თესლისაგან დავითისა ჴორციელად,
4. რომელი იგი გამოჰსჩნდა ძედ ღმრთისა, ძალითა და სულითა მით სიწმიდისათა, აღდგომითა მით მკუდრეთით იესო ქრისტეს უფლისა ჩუენისათა,
5. რომლისაგან მოვიღეთ მადლი და მოციქულებაჲ, დასამორჩილებელად სარწმუნოებითა ყოველთა წარმართთა სახელისა მისისათჳს,
6. რომელთა შორის ხართ თქუენცა, წოდებულნი იესო ქრისტესნი:
7. ყოველთა, რომელნი ხართ რომეს შინა, საყუარელთა ღმრთისათა, წოდებულთა წმიდათა, მადლი თქუენდა და მშჳდობა ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესო ქრისტესა.
8. პირველად ვმადლობ ღმერთსა ჩემსა ქრისტეს იესოს მიერ თქუენ ყოველთათჳს, რამეთუ სარწმუნოება ეგე თქუენი განთქმულ არს ყოველსა სოფელსა.
9. რამეთუ მოწამე ჩემდა არს ღმერთი, რომელსა ვმსახურებ სულითა ჩემითა სახარებითა ძისა მისისათა, ვითარ უნაკლულოდ ჴსენებასა თქუენსა ვჰყოფ,
10. მარადის ლოცუათა შინა ჩემთა, და ვევედრები, რათა აწ-და თუ სამე წარმემართოს მე ნებითა ღმრთისათა მისლუად თქუენდა.
11. რამეთუ მსურის ხილუაჲ თქუენი, რათა მირამექცე თქუენ მადლი სულიერი დასამტკიცებელად თქუენდა.
12. ხოლო არს ესე თანა ნუგეშინის-ცემა თქუენ შორის ურთიერთარსი იგი სარწმუნოებაჲ, თქუენი და ჩემი.
13. არა მნებავს უმეცრება თქუენი, ძმანო, რამეთუ მრავალ-გზის მინდა მისლუად თქუენდა, და დავეყენე მოაქამდე, რათა თქუენ შორისცა ნაყოფი რაჲ-

მე მაქუნდეს, ვითარცა სხუასათა
მათ შორის თესლთა.
14. წარმართთა და ბარბაროს-
თა, ბრძენთა და უგუნურთა თა-
ნა-მდებ ვარ.
15. და ესრეთ არს გულს-
მოდგინება ჩემი, რათა თქუენცა,
რომელნი ხართ რომს შინა, გა-
ხარო.
16. რამეთუ არა მრცხუენის
მე სახარება იგი ქრისტესი; რა-
მეთუ ძალი ღმრთისა არს მაც-
ხოვრად ყოვლისა მორწმუნისა,
ურიისა პირველად და მერმე წარ-
მართისა.
17. რამეთუ სიმართლე ღმრთი-
სა მას შინა გამოჰსცხადნების
სარწმუნოებითი სარწმუნოებად,
ვითარცა წერილ-არს: მართალი
სარწმუნოებით ჰსცხოვნდეს.
18. რამეთუ გამოჩინებად არს
რისხუა ღმრთისა ზეცით ყო-
ველსა ზედა უღმრთოებასა და
სიცრუესა კაცთასა, რომელთა
ჭეშმარიტება სიცრუვით აქუნდა.
19. რამეთუ მეცნიერება იგი
ღმრთისა, ცხად-არს მათ შორის;
რამეთუ ღმერთმანვე გამოუცხა-
და მათ.
20. რამეთუ უხილავი იგი
მისი, დაბადებითგან სოფლისათ
ქმნულთა მათ შინა საცნაურად
იხილვების, და სამარადისო იგი
ძალი მისი და ღმრთაება, რათა
იყუნენ იგინი ვერ სიტყჳს-მგებელ.
21. რამეთუ იცოდეს ღმერთი,
და არა ღმრთაებრ ადიდებდეს მას,
გინა ჰმადლობდეს, არამედ ამაო
იქმნეს გულის-ზრახჳთა მათითა,
და დაუბნელდა უგულის-კმო იგი
გული მათი;
22. იტყოდეს თავთა თჳსთა
ბრძენ, და განჰსცოფნეს.
23. და ჰსცუალეს დიდებაჲ
იგი უხრწნელისა ღმრთისა მჰსგავ-
სებად ხატისა მის განხრწნადისა
კაცისა, და მფრინველთა, და ოთხ-
ფერკთა, და ქუე-წარმავალთა:
24. ამისთჳსცა მიჰსცნა იგინი
ღმერთმან, გულის-თქმასა გულთა
მათთასა, არა წმიდებად და გი-
ნებად კორცთა მათთა მათ-თანა.
25. რომელთა იგი გარდა-
ჰსცუალეს ჭეშმარიტება ღმრთისა
სიცრუედ, და პატივ-ჰსცემდეს, და
მსახურებდეს დაბადებულთა უფ-
როს დამბადებელის, რომელი
იგი არს კურთხეულ უკუნისამდე,
ამინ.
26. ამისთჳს მიჰსცნა იგინი
ღმერთმან ვნებასა მას გინებისასა;
რამეთუ დედათა მათთა გარდაჰსც-
უალეს ბუნებისა იგი წესი არა-
ბუნებად.
27. ეგრეცა მამათა მათთა,
დაუტევეს ბუნებისა იგი წესი
დედათა, განჰსხურდეს გულის-
თქმითა მათითა ურთიერთარს, მა-
მანი მამათა თანა სარცხჳნელსა
იქმოდეს, და კუალად საგებელი
იგი, რომელ ჯერ არნ საცთური-
სა მათისა ურთიერთარს მიიღიან.
28. და ვითარცა არა გამოი-
ცადეს ღმერთი, რათამცა აქუნდა
მეცნიერებით; მიჰსცნა იგინი
ღმერთმან გამოუცდელსა მას გო-
ნებასა, საქმედ უჯეროჲსა.
29. აღსავსენი ყოვლითა სი-

ცრუითა, სიძჳთა უკეთურებითა, ანგაარებითა, ბოროტებითა, სავსე შურითა, კაცის-კლვითა, ჴდომითა, ზაკვითა, ბოროტის ჩუეულებითა, ცუნდრუკებითა, მჳრის-მეტყუელ.

30. ღმრთის შემაწუხებელ, მაგინებელ, ამპარტავან, ლაღ, მომპოვნებელ ბოროტისა, მამა დედათა ურჩ.

31. უგულის-კმო, უწესო, უყუარულ, უწირავ, უწყალო.

32. რომელთა სამართალი ღმრთისა იცოდეს, რამეთუ ესე ვითარისა მოქმედნი ღირს არიან სიკუდილისა; არცა ხოლო ამას იქმან, არამედ თანაცა სათნო ეყოფიან მოქმედთა მათ.

## თ ა ვ ი 2.

1. ამისთჳს ვერ სიტყჳს მიმგებელ-ხარ ჵი კაცო, ყოველი, რომელიცა ჰსჯი; რამეთუ რომლითა ჰსჯი მოყუასსა, თავსა თჳსსა დაისჯი, რამეთუ მასვე იქმ, რომელსაცა ჰსჯი.

2. ესე უწყით, რამეთუ სასჯული ღმრთისა ჭეშმარიტ-არს ესე ვითარისა მოქმედთათჳს. ამას სამე ჰგონება ჵი, კაცო, რომელი ჰსჯი ესე ვითარისა მოქმედთა მათ,

3. და იქმ მასვე, ვითარმედ შენ განერე სასჯელსა ღმრთისასა?

4. ანუ სიმდიდრესა მას სიტკბოებისა მისისასა, და თავს-დებასა და სულ-გრძელებასა შეურაცხ-ჰყოფ, ვერ გიცნობიეს, რამეთუ სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ სინანულად მოგიყუანებს შენ?

5. ხოლო სიფიცხლითა მაგით შენითა და შეუნანებელითა გულითა, იუნჯებ თავისა შენისა რისხუასა დღესა მას რისხჳსა და გამოჩინებისა და მართლ-მსაჯულებისა ღმრთისასა.

6. რომელმან მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ:

7. მოთმინეთა მათ საქმისა კეთილისათა დიდებაჲ და პატივი და უხრწნელებაჲ, რომელნი ეძიებენ ცხოვრებასა საუკუნესა;

8. ხოლო ჴდომისაგანთა მათ და ურჩთა ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა სიცრუისათა, რისხუაჲ და გულის-წყრომაჲ.

9. ჭირი და იწროება ყოველსა ზედა სულსა კაცისასა, მოქმედსა ბოროტისასა, ურიასა პირველად და მერმე წარმართისა!

10. დიდება და პატივი და მშჳდობა ყოველსა მოქმედსა კეთილისასა, ურიასა პირველად და მერმე წარმართისა!

11. რამეთუ არა არს თუალ-ღება ღმრთისათანა.

12. რამეთუ რომლითა იგი უჰსჯულოდ შეჰსცოდეს, უჰსჯულოდცა წარსწყმდენ; და რომელთა ჰსჯულსა შინა შეჰსცოდეს, ჰსჯულითაცა ისაჯნენ;

13. რამეთუ არა მსმენელნი ჰსჯულისანი განმართლდენ წინაშე ღმრთისა, არამედ მყოფელნი ჰსჯულისანი განმართლდენ.

14. რამეთუ წარმართთა, რომელთა ჰსჯული არა აქუნდა,

ბუნებითსა მას ჰსჯულსა ჰყოფ-
დეს; ამათ, რამეთუ ჰსჯული არა
აქუ̂ს, თავისა თჳსისა თჳს ჰსჯულ-
არიან.

15. რომელნი გამოაჩინებენ
საქმესა ჰსჯულისასა დაწერილსა
გულთა შინა მათთა; თანა მოწმე-
ბითა მათდა გონებისა მათისათა,
და შორის ურთიერთარს გულის
სიტყუ̂ანი შეასმენდენ, ანუ სიტ-
ყუ̂ასა უგებდენ.

16. დღესა მას, რომელსა
ჰსჯიდეს ღმერთი დაფარულსა
მას კაცთასა, მჰსგავსად სახარები-
სა მის ჩემისა იესო ქრისტეს
მიერ.

17. უკეთუ შენ ურია სახელ-
გედების, და განისუ̂ენებ ჰსჯულ-
სა ზედა, და იქადი ღმრთისა,

18. და იცი ნებაჲ იგი, და
გამოიცდი უმჯობესსა მას და
სწავლულ-სარ ჰსჯულისაგან,

19. და ესავ თავსა შენსა, წინა-
მძღუ̂რად ბრმათა, ნათლად, რო-
მელნი არიან ბნელსა შინა,

20. მასწავლელად უგუნურთა,
მოძღუ̂რად ჩჩჳლთა, და გაქუ̂ს სა-
ტი იგი მეცნიერებისა და ჭეშმა-
რიტებისა ჰსჯულსა შინა.

21. რომელი ეგე ასწავებ მო-
ყუ̂ასსა, თავსა თჳსსა არა ასწა-
ვებ?

22. რომელი ჰქადაგებ არა
პარვასა, იპარავ? რომელი იტყჳ
არა მრუშებასა, იმრუშებ? რო-
მელსა გძაგან კერპნი, საკურ-
თხეველთა ჰსძარცუ̂ავ?

23. რომელი ჰსჯულითა იქა-
დი, გარდასლჳთა მაგით ჰსჯული-
სათა ღმერთსა შეურაცხ-ჰყოფ?

24. რამეთუ სახელი ღმრთი-
სა თქუ̂ენთჳს იგმობვის წარ-
მართთა შორის, ვითარცა წერილ-
არს.

25. რამეთუ წინა დაცუ̂ე-
თილება სარგებელ-არს, უკეთუ
ჰსჯულსა იმარხავ; ხოლო უკეთუ
გარდამავალ იყო ჰსჯულისა, წი-
ნა-დაცუ̂ეთილება შენი წინა-დაუ-
ცუ̂ეთელება იქმნა.

26. აწ უკუ̂ე, უკეთუ წინა-
დაუცუ̂ეთელი იგი სიმართლესა
ჰსჯულისასა იმარხავს, არამე წი-
ნა-დაუცუ̂ეთელება იგი მისი წი-
ნა-დაცუ̂ეთილებად შეერაცხოს?

27. და გსჯიდეს ბუნებით წი-
ნა-დაუცუ̂ეთელი იგი ჰსჯულისა
აღმასრულებელი, შენ, რომელი
ეგე წიგნითა და წინა-დაცუ̂ეთითა
ჰსჯულისა გარდამავალ ხარ?

28. რამეთუ არა რომელი იგი
ცხადად ურია არს, არცა რომე-
ლი ცხადად ჴორცითა წინა-და-
ცუ̂ეთილ;

29. არა რომელი ფარულად
ურია არს და წინა-დაცუ̂ეთილება
გულისა, აქუ̂ს სულითა, არა წიგ-
ნითა; რომლისა იგი ქება არა
კაცთაგან არს, არამედ ღმრთისა-
გან.

თ ა ვ ი 3.

1. რაჲმე უკუ̂ე უმეტეს არს
ურიისა მის, ანუ რაჲმე სარგე-
ბელი არს წინა-დაცუ̂ეთილე-
ბისა?

2. ფრიად ყოვლითავე სახითა. პირველად უკუჱ, რამეთუ ჰრწმენეს სიტყუანი ღმრთისანი.

3. არამედ რა? ურწმუნო თუ ვინმე იქმნეს, ნუ უკუჱ ურწმუნოებამან მათმან სარწმუნოებაჲ ღმრთისა განაქარვოსა?

4. ნუ იყოფინ. იყავნ ღმერთი მხოლო ჭეშმარიტ. და ყოველი კაცი ცრუ, ვითარცა წერილ-არს: რათა განმართლდე სიტყუთა შენითა, და ჰსძლო ჰსჯასა შენსა.

5. უკეთუ სიცრუე ჩუჱნი, სიმართლესა ღმრთისასა შეეხების, რაჲმე ვჰსთქუათ? ნუ უკუჱ სიცრუე არსა ღმრთისა თანა, რომელმან მოავლინის რისხუაჲ მისი? კაცობრივ ვიტყჳ.

6. ნუ იყოფინ. უკეთუ არა, ვითარ ჰსაჯოს ღმერთმან სოფელი?

7. უკეთუ ჭეშმარიტება ღმრთისა ჩემითა მით სიცრუითა აღემატა სადიდებელად მისა, რასაღამე, ვითარცა ცოდვილი ვისაჯები?

8. და არა, ვითარცა ვიგმობვით და ვითარცა იტყჳან ვინმე ჩუჱნდა სიტყუჱად, ვითარმედ ვჰქმნეთ ბოროტი, რათა მოგუხდეს ჩუჱნ კეთილი? რომელთა განკითხუა სასჯელსა შინა არს.

9. აწ უკუჱ რა? წინა-მე ვჰმატთა? არა სამე. რამეთუ წინასწარვე ვაბრალეთ ურიათა და წარმართთა ყოველთა, ცოდუასა ქუჱშე ყოფაჲ.

10. ვითარცა წერილ-არს, ვითარმედ არა ვინ-არს მართალ, არცაღა ერთ.

11. არა ვინ-არს გულის-ჴმის მყოფელ; არა ვინ-არს გამომეძიებელ ღმრთისა;

12. ყოველთავე მიაქციეს ერთბამად და უხმარ იქმნნეს; არა ვინ-არს, რომელმანცა ჰქმნა სიტკბოებაჲ, არა ვინ-არს მიერთადმდე.

13. სამარეზე აღებულ-არს კორკი მათი; ენითა მათითა ზაკვიდეს; გესლი ასპიტთა ბაგეთა მათთა.

14. რომელთა პირი წყევითა და სიმწარითა სავსე არს.

15. მალე არიან ფერკნი მათნი დათხევად სისხლისა;

16. შემუსრვა და უბადრუკება არს გზათა მათთა;

17. და გზა მშჳდობისა არა იცნეს.

18. არა არს შიში წინაშე თუალთა მათთა.

19. ხოლო ესე უწყით, რამეთუ რავდენსა ჰსჯული იტყჳს, მათ ეტყჳს, რომელნი იგი ჰსჯულსა ქუჱშე არიან, რათა ყოველი პირი დაიყოს, და სასჯელსა თანამდებ-იყოს ყოველი სოფელი ღმრთისა:

20. რამეთუ საქმეთა მათგან ჰსჯულისათა არა განმართლდეს ყოველი კორციელი წინაშე მისსა, რამეთუ ჰსჯულისაგან არს გამოცნობა ცოდვისა.

21. ხოლო აწ, თჳნიერ ჰსჯულისა, სიმართლე ღმრთისა გამოჩინებულ-არს, წამებული ჰსჯუ-

ლისა მიერ და წინასწარ-მეტ-
ყჳელთა.
22. ხოლო სიმართლე ღმრთი-
სა სარწმუნოებითა იესო ქრი-
სტესითა, ყოველთა მიმართ და
ყოველთა ზედა მორწმუნეთა; რა-
მეთუ არა არს განწჳალება:
23. რამეთუ ყოველთავე შეჰს-
ცოდეს, და დაკლებულ-არიან დი-
დებისაგან ღმრთისა.
24. ხოლო განმართლდებიან
უსასყიდლოდ, მადლითა მისითა
და გამოჴსნითა მით იესო ქრი-
სტესითა,
25. რომელი იგი წინასწარ-
განჰმზადა ღმერთმან სალხინებე-
ლად სარწმუნოებითა თჳსითა მით
სისხლითა, გამოჩინებად სიმარ-
თლისა მისისა მოტევებითა მით
პირველთა ცოდჳათათა,
26. თავს-დებითა ღმრთისათა,
გამოჩინებად სიმართლისა მისისა
ამათ ჟამთა, რათა იყოს იგი მა-
რთალ და განმამართლებელ სარ-
წმუნოებისაგან იესოჲსა.
27. სადა უკჳე არს სიქადუ-
ლი იგი? დამეყენებულ-არსა. რომ-
ლითამე ჰსჯულითა? საქმეთაგან-
მეა? არა, არამედ ჰსჯულისაგან
სარწმუნოებისა.
28. რამეთუ ვიტყჳთ განმართ-
ლებასა კაცისასა სარწმუნოებითა
თჳნიერ საქმეთა ჰსჯულისათა.
29. ანუ ურიათამე ხოლო არ-
სა ღმერთი, და არა წარმართთაცა?
ჰე, წარმართთაცა.
30. ვინაჲდგან ერთ-არს ღმე-
რთი, რომელმან განამართლის წი-
ნა-დაცჳეთილი სარწმუნოებითა
და წინა-დაუცჳეთელი მითვე სა-
რწმუნოებითა.
31. აწ ჰსჯულსა ნუ განვაქა-
რვებთა სარწმუნოებითა მით? ნუ
იყოფინ; არამედ ჰსჯულსა დავამტ-
კიცებთ.

თ ა ვ ი 4.

1. რაჲმე უკჳე, ვჰსთქჳათ,
იპოვამეა აბრაამ, მამა იგი ჩჳენი,
ჴორციელად?
2. უკეთუ აბრაამი საქმეთაგან
განმართლდა, აქჳს სიქადული,
არამედ არა ღმრთისა მიმართ.
3. რასა უკჳე იტყჳს წიგნი?
ჰრწმენა აბრაამს ღმერთი, და შე-
ერაცხა მას სიმართლედ.
4. ხოლო მოქმედსა მას სას-
ყიდელი იგი არა შეერაცხების
მადლით, არამედ თანანადებით;
ხოლო რომელი იგი არა იქმნ
და ჰრწამნ;
5. ხოლო განმამართლებელი
იგი უღმრთოჲსა, შეერაცხების
სარწმუნოება იგი მისი სიმართ-
ლედ.
6. ვითარცა იგი დავით იტ-
ყჳს ნეტარებასა მას კაცისასა,
რომელსაცა იგი შეურაცხა ღმერთ-
მან სიმართლე, თჳნიერ საქმისა.
7. ნეტარ-არიან, რომელთა
მიეტევნენ უჰსჯულოებანი, და
რომელთა დაეფარნენ ცოდჳანი.
8. ნეტარ-არს კაცი, რომელ-
სა არა შეურაცხა უფალმან ცო-
დჳაჲ.
9. აწ უკჳე ნეტარებაჲ ესე
წინა-დაცჳეთილებასა ზედა არსა,

ანუ წინა-დაუცჳეთელებასაცა? რამეთუ ვიტყჳთ, ვითარმედ შეერაცხა აბრაამს სარწმუნოებაჲ იგი მისი სიმართლედ.

10. ვითარ უკჳე შეერაცხა? წინა-დაცჳეთილებასადა იყო, ანუ წინა-დაუცჳეთელებასა? არა წინა-დაცჳეთილებასა, არამედ წინა-დაუცჳეთელებასა.

11. და სასწაულად მოიღო წინა-დაცჳეთილებაჲ იგი ბეჭედად სიმართლისა სარწმუნოებისა მის წინა-დაუცჳეთელებასა მას შინა, რათა იყოს იგი მამად ყოველთა მორწმუნეთა წინა-დაუცჳეთელთა, რათა შეერაცხოს მათცა სიმართლედ.

12. და მამად წინა-დაცჳეთილებისა, არა წინა-დაცჳეთილებისათა მათ ხოლო, არამედ რომელნი ჰგიან კჳალთა მათ ზედა წინა-დაუცჳეთელებისა სარწმუნოებისათა მამისა ჩჳენისა აბრაამისთა.

13. რამეთუ არა ჰსჯულისაგან იყო აღთქმა იგი აბრაამისი, ანუ ნათესავისა მისისა, რათა იყოს იგი მკჳდრ სოფლისა, არამედ სიმართლითა მით სარწმუნოებისათა.

14. რამეთუ უკეთუ ჰსჯულისაგანნი იგი არიან მკჳდრნი, ცალიერ-არს სარწმუნოება, და განქარვებულ-არიან აღთქმანი იგი.

15. რამეთუ ჰსჯული რისხჳსა შეიქმს; ხოლო სადა არა არს ჰსჯული, მუნ არცა ჰსჯულისა გარდასლჳსაჲ.

16. ამისთჳს სარწმუნოებისაგან, რათა მადლით იყოს მტკიცე აღთქმა იგი ყოვლისა ნათესავისა, არა ჰსჯულისაგანთა ხოლო, არამედ სარწმუნოებისაგანთაცა აბრაამისთა, რომელ-არს მამა ჩჳენ ყოველთა,

17. ვითარცა წერილ-არს, ვითარმედ მამად მრავალთა თესლთა დაგადგინე შენ წინაშე პირსა, რომლისა იგი ჰრწმენა ღმრთისა, რომელმან იგი განაცხოველის მკჳდარნი, დაუწესნ არა არსსა მას, ვითარცა არსსა.

18. რომელსა უსასოჲ იგი სასოებით ჰრწმენა, რათა იყოს იგი მამად მრავალთა თესლთა, მჰსგავსად თქმულისა მის: ესრეთ იყოს ნათესავი შენი.

19. და არა მოუძლურდა იგი სარწმუნოებითა, არა განიცადა თავი თჳსი, რამეთუ კნინღა და მკჳდარ-იყჳნეს კორცნი მისნი, რამეთუ ას-წლის სადამე იყო, და მკჳდრობაჲ იგი საშოჲსა სარასი;

20. ხოლო აღთქმასა მას ღმრთისასა არა შეორგულდა ურწმუნოებითა, არამედ განძლიერდა სარწმუნოებითა, მისცა დიდებაჲ ღმერთსა,

21. და გულ-სავსე იქმნა, ვითარმედ რომელმან იგი აღუთქჳა შემძლებელ-არს ყოფადცა.

22. ამისთჳსცა შეერაცხა მას სიმართლედ.

23. ხოლო არა დაიწერა მისთჳს, რამეთუ შეერაცხა მას სიმართლედ,

24. არამედ ჩჳენთჳსცა, რო-

მელთადა ესე შერაცხად არს, რომელთა გურწამს აღმადგინებელი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი მკუდრეთით.

25. რომელი მიეცა ცოდუათა ჩუენთათჳს, და აღსდგა განმართლებისა ჩუენისათჳს.

თ ა ვ ი 5.

1. აწ უკუე, განმართლებულვართ სარწმუნოებითა, და მშჳდობაჲ გუაქუს ღმრთისა მიმართ უფლისა ჩუენისა მიერ იესო ქრისტესა,

2. რომლისაგანცა მოუსხედით სარწმუნოებითა მადლსა მას, რომლითაცა ვჰსდგათ და ვიქადით სასოებითა დიდებისა ღმრთისათა.

3. არა ხოლო ესე, არამედ ვიქადითცა ჭირთა შინა, უწყით, რამეთუ ჭირი მოთმინებასა შეიქმს.

4. ხოლო მოთმინება გამოცდილებასა, ხოლო გამოცდილებაჲ სასოებასა,

5. ხოლო სასოებამან არა არცხჳნის, რამეთუ სიყუარული ღმრთისა განფენილ-არს გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა, რომელი იგი მოცემულ-არს ჩუენდა.

6. რამეთუ ქრისტე, ვიდრე იგი ჩუენ უძლურღა ვიყუენით, ჟამსა ოდენ უღმრთოთათჳს მოკუდა.

7. რამეთუ მნიად ვინმე მართლისათჳს მოკუდის; ხოლო კეთილისათჳს ვინ უწყის, ნუ უკუე, დაიკადრისცა ვინმე სიკუდილი.

8. ხოლო გამოაცხადა თჳსი იგი სიყუარული ჩუენდა მომართ ღმერთმან, რამეთუ ვიდრე იგი ცოდვილღა ვიყუენით, ქრისტე ჩუენთჳს მოკუდა.

9. რავდენ უკუე უფროჲს აწ, განმართლებულ რა ვართ სისხლითა მისითა, განვერნეთ ჩუენ მის მიერ რისხჳსაგან.

10. უკეთუ მტერ რა ვიყუენით, და ვეგენით ღმერთსა სიკუდილითა ძისა მისისათა; რავდენ უფროჲს აწ, და რა ვეგენით, ვჰსცხონდით მაცხოვარებითა მისითა.

11. არა ესოდენ ხოლო, არამედ ვიქადითცა ღმრთისა მიმართ იესო ქრისტეს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაგან აწ დაგებაჲ ესე მოვიღეთ.

12. ამისთჳს, ვითარცა იგი ერთისა მის კაცისათჳს ცოდუა სოფლად შემოჴდა, და ცოდვისა ძლით სიკუდილი; და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შეჰსცოდეს.

13. რამეთუ ჰსჯულისა მოწევნადმდე ცოდუა იყო სოფელსა შინა; ხოლო ცოდუად არა შერაცხილ-იყო, თჳნიერ ჰსჯულისა.

14. არამედ ჰსუფევდა სიკუდილი ადამისითგან ვიდრე მოსესადმდე და მათ ზედაცა, რომელთა იგი არავე ცოდეს მჰსგავსად გარდასლჳსა მის ადამისა, რომელი იგი არს სახედ მერმეთა მათ ჟამთა.

15. არამედ არა ვითარ შეცოდებაჲ და ეგრეთცა მადლი. რამეთუ უკეთუ ერთისა მის შეცოდებითა მრავალნი მოჰსწყდეს; რავდენ უფროს მადლი იგი ღმრთისა და ნიჭი იგი მადლითა მით ერთისა მის კაცისა, იესო ქრისტესითა, მრავალთა მიმართცა აღემატა.

16. და არა ვითარცა ერთისა შეცოდებულისათჳს ნიჭი იგი; რამეთუ სასჯელი იგი ერთისა მისგან დასასჯელად; ხოლო მადლი იგი მრავალთაგან შეცოდებათა განსამართლებელად.

17. რამეთუ უკეთუ ერთისა მის შეცოდებითა სიკუ̂დილი ჰსუფევდა ერთისა მისგან; რავდენ უფროს, რომელნი იგი უმეტესსა მას მადლისასა და ნიჭსა სიმართლისასა მიიღებენ ცხოვრებასა შინა, ჰსუფევდენ ერთისა მისგან იესო ქრისტესა.

18. ვითარცა იგი ერთისა მის შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასასჯელად, ეგრეთცა ერთისა მის სიმართლისათჳს ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებელად ცხოვრებისა.

19. რამეთუ ვითარცა იგი ერთისა მის კაცისა ურჩებითა ცოდვილნი შემოჰკდეს მრავალნი, ეგრეცა ერთისა მის კაცისა მორჩილებითა მართალნი შემოვიდენ მრავალნი.

20. რამეთუ ჰსჯული შორის შემოვიდა, რათა განმრავლდეს ცოდუ̂ა. და სადა იგი განმრავლდა ცოდუ̂ა, მუნ უფროჲსად გარდაემატა მადლი.

21. რათა, ვითარცა იგი ჰსუფევდა ცოდუ̂ა სიკუ̂დილსა შინა ეგრეთცა მადლი ჰსუფევდეს სიმართლისა მიერ ცხოვრებად საუკუნოდ ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩუ̂ჱნისა.

## თ ა ვ ი 6.

1. რაჲმე უკუ̂ჱ ვჰსთქუ̂ათ აწ? დამევადგრეთ ცოდუ̂ასა მას ზედა, რათა მადლი განმრავლდეს? ნუ იყოფინ.

2. რომელნი ესე მოვჰკუ̂ჱდით ცოდვითა: ვითარ უკუ̂ჱ მერმე ვჰსცხოვნდებოდეთ მას შინა?

3. ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესოს მიერ, სიკუ̂დილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ?

4. და თანა დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუ̂დილსა მისსა, რათა, ვითარცა იგი აღჰსდგა ქრისტე მკუ̂დრეთით დიდებითა მამისათა, ეგრეთცა ჩუ̂ჱნ განახლებითა ცხოვრებისათა ვიდოდეთ.

5. რამეთუ, უკეთუ თანა-ნერგვექმნენით მჰსგავსებასა მას სიკუ̂დილისა მისისასა; ეგრეთცა აღდგომასა მას მისსა ვიყუ̂ნეთ.

6. ესე უწყით, რამეთუ ძუ̂ჱლი იგი კაცი ჩუ̂ჱნი მისთანა ჯუ̂არს-ეცუ̂ა, რათა განჰქარდეს კორცი იგი ცოდვისა, რათა არღარა ვჰმონებდეთ ჩუ̂ჱნ ცოდუ̂ასა.

7. რამეთუ, რომელი იგი მოკუ̂და, განმართლებულ-არს ცოდვისაგან.

*

8. უკეთუ მოვჰკუდეთ ქრისტეს თანა; გურწამს, რამეთუ მისთანაცა ვჰსცხოვნდეთ,

9. ესე უწყით, რამეთუ ქრისტე, აღჰსდგა მკუდრეთით, არღარა მოკუდეს, და სიკუდილი მის ზედა არღარა უფლებდეს.

10. რამეთუ, რომელი იგი მოკუდა, ცოდვითა მოკუდა ერთგზის; ხოლო რომელი იგი ცხოველ-არს, ცხოველ-არს ღმრთისა.

11. ეგრეცა თქუჱნ შეჰრაცხენით თავნი თქუჱნნი მკუდრად ცოდვისათჳს და ცხოველად ღმრთისა ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუჱნისა.

12. ნუ უკუჱ ჰსუფევენ ცოდუა მოკუდავთა მაგათ კორცთა თქუჱნთა, მორჩილებად მისა გულის-თქმათა შინა მისთა.

13. ნუცა წარუდგინებთ ასოთა მაგათ თქუჱნთა საჭურველად სიცრუისა ცოდუასა, არამედ წარუდგინენით თავნი თქუჱნნი ღმერთსა, ვითარცა მკუდრეთით ცხოველნი, და ასონი ეგე თქუჱნნი საჭურველად სიმართლისა ღმერთსა.

14. და ცოდუა თქუჱნ ზედა არა უფლებდეს; რამეთუ არა ხართ ჰსჯულსა ქუჱშე, არამედ მადლსა.

15. აწ უკუჱ რა? ვჰსცოდვიდეთმეა, რამეთუ არა ვართ ჰსჯულსა ქუჱშე, არამედ მადლსა? ნუ იყოფინ.

16. არა უწყითა, რამეთუ რომელსა იგი წარუდგინენით თავნი თჳსნი მონად, მორჩილებისა მონანი ხართ, რომელსაცა იგი ერჩით, გინა თუ ცოდუასა სიკუდილად, ანუ მორჩილებად სიმართლესა?

17. ხოლო მადლი ღმერთსა, რამეთუ იყუჱნით მონა ცოდვისა, და მორჩილ იქმნენით გულითა, რომელსაცა იგი მიეცენით სახედ მოძღურებისა.

18. ხოლო აწ განთავისუფლებულ ხართ ცოდვისაგან, და დამონებულ ხართ სიმართლესა.

19. კაცობრივ ვიტყჳ, უძლურებისათჳს კორცთა თქუჱნთასა. ვითარცა იგი წარუდგინენით ასონი ეგე თქუჱნნი მონებად არაწმიდებასა და უჰსჯულოებასა უჰსჯულოებად; ეგრეცა აწ წარუდგინენით ასონი ეგე თქუჱნნი მონებად სიმართლესა სიწმიდედ.

20. რამეთუ, ოდეს იგი მონანი იყუჱნით ცოდვისანი, თავის-უფალ-იყუჱნით სიმართლისაგან.

21. რაჲ უკუჱ ნაყოფი გაქუჱნდა მაშინ? რომლისათჳს აწ ეგერა გრცხუჱნის; რამეთუ აღსასრული მათი სიკუდილი არს.

22. ხოლო აწ, განთავისუფლებულ-ხართ ცოდვისაგან, და დამონებულ ღმრთისა, და გაქუს ნაყოფი თქუჱნი სიწმიდედ, და აღსასრულსა ცხოვრება საუკუნო.

23. რამეთუ საგზალი ცოდვილისა სიკუდილი არს, ხოლო ნიჭი ღმრთისა ცხოვრება საუკუნო ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუჱნისა.

## თავი 7.

1. ანუ არა უწყითა, ძმანო, რამეთუ მეცნიერთა მათ სჯულისათა ვეტყჳ, ვითარმედ სჯული უფლებს კაცსა ზედა, რავდენ ჟამ ცოცხალ-არს იგი?

2. რამეთუ ქმრის ცოლი დედაკაცი, სიკჳდილადმდე ქმრისა შეკრულ-არს სჯულითა; ხოლო უკეთუ მოკჳდეს ქმარი იგი, განთავისუფლებულ-არს იგი სჯულისა მისგან ქმრისა.

3. აწ უკჳჱ ცხოვრებასა ქმრისასა მემრუშედ ეწოდოს, შეთუ-ეყოს ქმარსა სხჳსასა; ხოლო უკეთუ მოკჳდეს ქმარი მისი, თავისუფალ-არს იგი სჯულისა მისგან, რათა არა იყოს იგი მემრუშე, შეთუ-ეყოს ქმარსა სხჳსასა.

4. ამისთჳს თქჳჱნცა, ძმანო ჩემნო, მოჰკჳდით სჯულისაგან ჴორცითა მით ქრისტესითა, რათა იყჳნეთ თქჳჱნ სხჳსა მის, მკჳდრეთით აღდგომილისა, რათა ნაყოფი გამოიღოთ ღმრთისა.

5. რამეთუ, ვიდრე იგი ვიყჳჱნით ჴორცთა შინა, ვნებანი იგი ცოდჳათანი, სჯულისა მისგან იქმნებოდეს ასოთა შინა ჩჳჱნთა, რათა ნაყოფი გამოვიღოთ სიკჳდილისა;

6. ხოლო აწ, განთავისუფლებულ-ვართ სჯულისა მისგან, და მოვჰკჳდით, რომლითა იგი შეპყრობილ-ვიყჳჱნით, რათა ვჰმონებდეთ ჩჳჱნ განახლებულითა სულითა, და არა დაძჳჱლებულითა წიგნითა.

7. რაჲმე უკჳჱ ვჰსთქჳათ? სჯული ცოდჳამეარსა? ნუ იყოფინ. არამედ ცოდჳაჲ არა ვიცოდი, გარნა სჯულისაგან. რამეთუ გულის-თქმაჲ არა ვიცოდი, უკეთუმცა არა სჯული იტყოდა: ვითარმედ ნუ გული გითქჳამნ.

8. მიზეზი უკჳჱ ჰპოვა ცოდჳამან, მცნებისა მისგან, და შეჰქმნა ჩემთანა ყოველი გულის-თქმაჲ; რამეთუ თჳნიერ სჯულისა ცოდჳა მკჳდარ არს.

9. ხოლო მე ცხოველ-ვიყავ ოდესმე თჳნიერ სჯულისა; და ოდეს მოიწია მცნება იგი, ცოდჳა განცოცხლდა.

10. და მე მოვჰკჳდ; და მეპოვა მე მცნება იგი, რომელი იყო საცხოვრებელად, იგივე სიკჳდილად.

11. რამეთუ ცოდჳამან მან, მიზეზი მიიღო მცნებისა მისგან, მაცთუნა მე, და მის მიერ მომკლა.

12. ამიერითგან სჯული წმიდა არს, და მცნება იგი წმიდა, და მართალ, და კეთილ.

13. აწ უკჳჱ კეთილი იგი მე სიკჳდილ მექმნაა? ნუ იყოფინ; არამედ ცოდჳა იგი, რათა სჩნდეს ცოდჳა კეთილითა მით, რომელი იქმნა ჩემდა სიკჳდილ, რათა იყოს გარდარეულად ცოდჳლ ცოდჳა იგი მცნებისა მისგან.

14. ესე უწყით, რამეთუ სჯული სულიერ არს, ხოლო მე ჴორ-

ციელ ვარ და განზრდილ ცოდჳსა შინა.

15. რამეთუ რომელსა იგი ვიქმ, არა ვიცი; რამეთუ არა რომელი იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი იგი მძულს, მას ვჰყოფ.

16. ხოლო უკეთუ, რომელი იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, თანა-მოწამე ვარ ჰსჯულისა, რამეთუ კეთილ-არს;

17. აწ უკჳჱ არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი იგი დამკჳდრებულ არს ჩემთანა ცოდჳა.

18. რამეთუ უწყი, ვითარმედ არა რაჲ დამკჳდრებულ-არს ჩემთანა, ესე იგი, არს ჴორცთა შინა ჩემთა, კეთილი; რამეთუ ნება იგი წინა-მიძს მე, ხოლო საქმედ კეთილისა მის არა ვჰპოვებ.

19. რამეთუ არა რომელი იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ.

20. ხოლო უკეთუ, რომელი იგი მე არა მნებავს, და მას ვჰყოფ; არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი იგი დამკჳდრებულ-არს ჩემთანა ცოდჳა.

21. ვჰპოვომეა ჰსჯული, რომელსა უნდეს ჩემდა ყოფად კეთილისა, რამეთუ მე ბოროტი წინა-მიძს.

22. რამეთუ თანა მნებავს მე ჰსჯულსა ღმრთისასა შინაგანითა მით კაცითა;

23. და ვჰხედავ სხჳსასა ჰსჯულსა ასოთა შინა ჩემთა, რომელი იგი წინაგანეწყჳჱბის ჰსჯულსა მას გონებისა ჩემისასა და წარმტყუჳჱნავს მე ჰსჯულითა მით ცოდვისათა, რომელი იგი არს ასოთა შინა ჩემთა.

24. უბადრუკი მე ესე კაცი! ვინმე მიჴსნეს ჴორცთა ამათგან ამის სიკჳდილისათა?

25. ხოლო ვჰმადლობ ღმერთსა ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუჱნისა. აწ უკჳჱ თავადი მე გონებითა ჩემითა ვჰმონებ მე ჰსჯულსა ღმრთისასა, ხოლო ჴორცითა ჰსჯულსა ცოდვისასა.

## თავი 8.

1. არა რამე დასასჯელ-არს აწ, ქრისტე იესოს მიერ მათდა, რომელნი იგი არა ჴორცთა-ებრ ვლენან, არამედ სულისა-ებრ.

2. რამეთუ ჰსჯულმან სულისა ცხოვრებისამან ქრისტე იესოს მიერ განმათავისუფლა მე ჰსჯულისა მისგან ცოდჳსა და სიკჳდილისა.

3. რამეთუ შეუძლებელი იგი ჰსჯულისა, რომლითა უძლურ-იყო ჴორცთა მათ თჳს; ღმერთმან ძე თჳსი მოავლინა მჰსგავსად ჴორცთა მათ ცოდვისათა, და ცოდვისათჳს, დაჰსაჯა ცოდჳა იგი ჴორცითა თჳსითა.

4. რათა სიმართლე იგი ჰსჯულისა აღესრულოს ჩუჱნ შორის, რომელნი არა ჴორციელად ვიქცევით, არამედ სულიერად.

5. რამეთუ რომელნი იგი ჴორციელად არიან, ჴორცთასა ჰზრა-

ხავნ, ხოლო რომელნი იგი სუ-
ლიერად არიან, სულისასა.
6. რამეთუ ზრახვა იგი ჴორც-
თა სიკუდილი არს, ხოლო ზრა-
ხუა იგი სულისა ცხოვრება არს
და მშჳდობა;
7. რამეთუ ზრახუა იგი ჴორც-
თა მტერობა არს ღმრთისა; რა-
მეთუ სჯულსა მას ღმრთისასა
ვერ დაემორჩილების, და ვერცა
ძალ-უძს.
8. რამეთუ რომელნი იგი
ჴორცთა შინა არიან ღმრთისა
სათნო ყოფად ვერ ძალ-უძს.
9. ხოლო თქუენ არა ხართ
ჴორცთა შინა, არამედ სულთა,
უკეთუ სული ღმრთისა დამკჳ-
დრებულ-არს თქუენ შორის.
10. უკეთუ ვისმე სული ქრის-
ტესი არა აქუს, იგი არა არს
მისი.
11. უკეთუ ქრისტე თქუენ შო-
რის არს; ჴორცნიმცა მკუდარ
არიან ცოდვისათჳს, ხოლო სული
ცხოველ სიმართლისათჳს.
12. უკეთუ სული იგი აღმად-
გინებელისა იესოსი მკუდრეთით
მკჳდრ-არს თქუენ შორის; რო-
მელმან იგი აღადგინა ქრის-
ტე მკუდრეთით, განაცხოველნეს
მოკუდავნიცა ეგე ჴორცნი თქუენ-
ნი, დამკჳდრებულისა მის მიერ
თქუენ შორის სულისა მისისა.
13. აწ უკუე, ძმანო, თანა
გუამს არა ჴორცთა, რათა ჴორ-
ციელად ვსცხონდებოდეთ;
14. რამეთუ, უკეთუ ჴორცი-
ელად ვსცხონდებოდეთ, მოსიკუ-
დიდ ხართ; ხოლო უკეთუ სუ-
ლითა ჴორცთა საქმესა მოაკუდი-
ნებდეთ, ვსცხონდებოდეთ.
15. რამეთუ რომელნი სუ-
ლითა ღმრთისათა ვლენან, ესენი
არიან ძენი ღმრთისანი.
16. რამეთუ არა მიგიღებიეს
სული იგი მონებისა, რათამცა
კუალად გეშინოდა, არამედ მიგი-
ღებიეს სული იგი შჳლებისა, რო-
მლითა ვღაღადებთ: აბბა, მა-
მაო!
17. იგივე სული ეწამების
სულსა ამას ჩუენსა, რამეთუ
ვართ შჳლნი ღმრთისანი.
18. ხოლო უკეთუ შჳლ
მკჳდრცა, მკჳდრ ღმრთისა-თა-
ნა, და თანა-მკჳდრ ქრისტესა, ვი-
ნადგან მისთანა ვივნოთ, მისთა-
ნაცა ვიდიდნეთ.
19. რამეთუ მე ესრე მგონი-
ეს, ვითარმედ ვერ ღირს არიან
ვნებანი იგი ამის ჟამისანი მერ-
მისა მის თანა დიდებისა, რო-
მელ გამოჩინებად არს ჩუენდა
მომართ.
20. რამეთუ იჭჳ იგი დაბა-
დებისა გამოჩინებასა შჳლთა
ღმრთისათა მოელის;
21. რამეთუ ამაოებასა დაე-
მორჩილა დაბადებული, არა ნებ-
სით, არამედ მის მიერ, რომელ-
მან იგი დაამორჩილა სასოებით.
22. რამეთუ თჳთ იგიცა და-
ბადებული განთავისუფლდეს მო-
ნებისაგან ხრწნილებისა აზნაუ-
რებასა მას დიდებისა შჳლთა
ღმრთისათა.
23. უწყით, რამეთუ ყოველი

დაბადებული ჩუენთანა თანა კუნე-
სის და თანა ელმის მოაქამდე.

24. არა ხოლო თუ იგი,
არამედ თჳთ ჩუენცა, რომელთა
ესე პირველი ნაყოფი სულისა
გუაქუს, თჳთ ჩუენცა თავთა ში-
ნა ჩუენთა ვჰკუნესით და შჳლე-
ბასა მას მოველით, გამოკსნასა
მას კორცთა ჩუენთასა.

25. რამეთუ სასოებით ვჰსცხონ-
დებით. ხოლო სასოებაჲ, ხი-
ლული, არა არს სასოება; რამე-
თუ რომელსა იგი ვინმე ჰხე-
დავნ, რასაღამე ესავნ?

26. ხოლო ჩუენ, რომელსა
არა ვჰხედავთ, ვესავთ, რამეთუ
მოთმინებით მოველით.

27. ეგრეთვე და სულიცა იგი
თანა შეეწევის უძლურებათა ჩუენ-
თა; რამეთუ რამცა იგი ვილო-
ცეთ, ვითარ იგი ჯერ-არს, არა
ვიცით, არამედ თჳთ იგი სული
მეოხ-არს ჩუენთჳს სულთქმითა
მით უსიტყუელითა.

28. ხოლო რომელი იგი გა-
მომეძიებელ არს გულთა, იცის
თუ რაჲ არს ზრახუა იგი სუ-
ლისა, რამეთუ ღმრთისა მიმართ
მეოხ-არს წმიდათათჳს.

29. ესე უწყით, რამეთუ
ღმრთის-მოყუარეთა ყოველივე
განემარჯუების კეთილად, რო-
მელნი იგი ბრძანებით ჩინებულ-
არიან.

30. რამეთუ რომელნი იგი
წინასწარ იცნნა, წინასწარცა გა-
ნაჩინნა თანა მჰსგავსად ხატისა
მის ძისა თჳსისა, რათა იყოს
იგი პირმშო მრავალთა შორის
ძმათა.

31. ხოლო რომელნი იგი
წინასწარ-განაჩინნა, მათცა უწო-
და; და რომელთა იგი უწოდა,
იგინიცა განამართლნა; და რო-
მელნი იგი განამართლნა, იგინი-
ცა ადიდნა.

32. რაჲმე უკუ ვსთქუათ
ამისთვის? უკეთუ ღმერთი ჩუენ
კერძო არს, ვინ არს ძჳრის
მყოფელ ჩუენდა?

33. რომელმან იგი ძესაცა
თჳსსა არა ჰრიდა, არამედ ჩუენ
ყოველთათჳს მიჰსცა იგი, ვი-
თარ უკუ არა მითურთ ყოვე-
ლივე მოგუანიჭოს ჩუენ?

34. ვინ არს მაბრალობელ
რჩეულთა მათ ღმრთისათა? ღმერ-
თი არს განმამართლებელ.

35. და ვინ არს დამჰსჯელ?
ქრისტე იესო, რომელი მოკუდა,
უფროჲსღა აღჰსდგა; რომელი
იგი არს მარჯუენით ღმრთისა,
რომელიცა იგი მეოხ-არს ჩუენ-
თჳს.

36. ვინ განმაშორნეს ჩუენ
სიყვარულსა მას ქრისტესსა; ჭირ-
მან ანუ იწროებამან, დევნამან
ანუ სიყმილმან, შიშლოებამან
ანუ ურვამან, ანუ მახვილმან? ვი-
თარცა წერილ არს:

37. რამეთუ შენთვის მოვჰს-
წყდებით ჩუენ მარადღე; და შე-
ვირაცხებით ჩუენ, ვითარცა ცხო-
ვარნი კლვადნი.

38. არამედ ამას ყოველსა ზედა
ვჰსძლევთ ჩუენ მის მიერ, რო-
მელმანცა იგი შემიყუარნა ჩუენ.

39. რამეთუ მრწამს მე, ვითარმედ არცა სიკჳდილმან, არცა ცხორებამან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან,

40. არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხჳამან დაბადებულმან შემძლოს ჩჳჱნ განყენებად სიყჳარულსა ღმრთისასა, რომელ-არს ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩჳჱნისა.

## თ ა ვ ი 9.

1. ჭეშმარიტსა ვიტყჳ ქრისტეს მიერ და არა ვტყუი, თანამოწამებითა ჩემდა გონებისა ჩემისათა სულითა წმიდითა,

2. რამეთუ მწუხარებაა არს ჩემდა დიდ და მოუკლებელი სალმობა გულისა ჩემისა;

3. რამეთუ ვილოცევდ მე შეჩჳჱნებულ ყოფად თავსა ჩემსა ქრისტესგან ძმათა ჩემთა თჳს, და ნათესავთა ჩემთა კორციელად,

4. რომელნი იგი არიან ისრაიტელნი, რომელთა იყო შვილება, და დიდება, და აღთქმანი, და ჴსჯულის-დებანი,, და მსახურებანი, და მითხრობანი;

5. რომელთანი იყჳნეს მამანი, და რომელთაგან ქრისტე კორციელად, რომელ იგი არს ღმერთი ყოველთა ზედა, კურთხეულ უკუნისამდე, ამინ.

6. ხოლო არა ეგებოდა, ვითარმცა დავარდა სიტყჳა ღმრთისა; რამეთუ არა ყოველნი ისრაილისაგანნი, ესენი არიან ისრაილ.

7. არცა არიან ნათესავნი აბრაამისნი ყოველნი შვილ, არამედ ისააკისაგან გეწოდოს შენ ნათესავი.

8. ესე იგი არს, არა თუ შვილნი კორცთანი ესენი არიან შვილ ღმრთისა, არამედ შვილნი იგი აღთქმისანი შერაცხილ არიან ნათესავად.

9. რამეთუ აღთქმისაგან არს სიტყჳა ესე, ვითარმედ ჟამსა ოდენ ამას მოვიდე, და ესჳას სარრას ძე.

10. და არა ხოლო ესე, არამედ რებეკასცა, ერთისაგან საწოლისა ესჳა ისაკ, მამისა ჩჳჱნისა.

11. რამეთუ არღა სადა შობილ იყჳნეს, არცა ექმნა რა კეთილი, გინა ბოროტი, რათა რჩევით წინა განმზადება იგი ღმრთისა ეგოს

12. არა საქმეთაგან, არამედ მისგან, რომელმან იგი უწოდა: რამეთუ ჰრქჳა მას, ვითარმედ უხუცესმან ჰმონოს უმრწემესსა მას.

13. ვითარცა წერილ-არს. ვითარმედ იაკობი შევიყჳარე, ხოლო ესავი მოვიძულე.

14. რაჲმე უკჳჱ ვჰსთქჳათ? ნუ სიცრუე მე არსა ღმრთისა თანა? ნუ იყოფინ.

15. რამეთუ მოსეს ესრეთ ეტყჳს: შევიწყალო, რომელი იგი შევიწყალო; და შევიწყნარო, რომელი იგი შევიწყნარო.

16. აწ უკუჱ არა რომელსა იგი უნებს, არცა რომელი იგი ჰრბის, არამედ რომელი ეწყალის ღმერთსა.

17. რამეთუ ეტყჳს წიგნი ფარაოს, ვითარმედ აღვეამისთჳს გადგინე შენ, რათა ვაჩუჱნო შენ ზედა ძალი ჩემი, და რათა განითქუას სახელი ჩემი ყოველსა ქუჱყანასა.

18. აწ უკუჱ რომელი ჰნებავს ღმერთსა, შეიწყალებს; და რომელი ჰნებავს, განაფიცხებს.

19. ნუ უკუჱ მრქუა მე: და რაჲსადა აბრალებს? რამეთუ ნებასა მისსა ვინმე წინა-აღუდგა?

20. აწ უკუჱ ჵი კაცო, შენ ვინ ხარ, რომელი სიტყუას უგებ ღმერთსა? ჰრქუას ნუ-მეა ქმნულმან შემოქმედსა: რაჲსათჳს ესრეთ შემქმენ მე?

21. ანუ არა კელეწიფებისა მეკეცესა მას თიხისა მის, მისვე შეზელილისაგან შესაქმედ, რომელიმე პატიოსნად ჭურჭლად, და რომელიმე უპატიოდ?

22. უკეთუმცა უნდა ღმერთსა ჩუჱნებად რისხუაჲ თჳსი და უწყებად ძალი თჳსი, რომელი დაუთმენიეს მრავლითა სულგრძელებითა ჭურთა მათ ზედა რისხჳსათა, განმზადებულთა წარსაწყმედელად,

23. და რათა აჩუჱნოს სიმდიდრე იგი დიდებისა მისისა ჭურთა მათ ზედა წყალობისათა, რომელნი იგი წინასწარ განმზადნა სადიდებელად,

24. რომელთაცა ესე მიწოდა ჩუჱნ არა ხოლო თუ ურიათაგან, არამედ წარმართთაგანცა?

25. ვითარცა ოსეს შინა იტყჳს: უწოდო არა ერსა ჩემსა ერად ჩემდა, და არა საყუარელსა ჩემსა საყუარელად,

26. და იყოს ადგილსა მას, სადა იგი ერქუა მათ: არა ერი ჩემი თქუჱნ, მუნ იწოდნენ ძედ ღმრთისა ცხოველისა.

27. ხოლო ესაია ღაღადებს ისრაილისათჳს: დაღაცათუ იყოს რიცხჳ იგი ძეთა ისრაილისათა, ვითარცა ქვიშა ზღჳსა; ნეშტი ოდენ ჰსცხოვნდეს.

28. რამეთუ სიტყუა აღმასრულებელი და შემოკლებული სიმართლესა შინა, ვითარმედ სიტყუა შემოკლებულ-ჰყოს უფალმან ქუჱყანასა ზედა.

29. და ვითარცა იგი წინასწარ ჰსთქუა ესაია, არა თუმცა უფალმან საბაოთ დამიტევა ჩუჱნ თესლი, ვითარცა სოდომელნიმცა შევიქმნენით, და გომორელთამცა მივემჰსგავსენით.

30. აწ უკუჱ რაჲმე ვჰსთქუათ? რამეთუ წარმართნი, რომელნი არა ჰსდევდეს სიმართლესა, ეწინეს სიმართლესა, ხოლო სიმართლესა სარწმუნოებისაგან.

31. ხოლო ისრაილი, ჰსდევდა ჰსჯულსა მას სიმართლისასა, და ჰსჯულსა მას სიმართლისასა ვერ მიჰსწუდა.

32. რაჲსათჳს მე? რამეთუ არა სარწმუნოებისაგან, არამედ ვითარცა საქმეთაგან ჰსჯულისათა.

რამეთუ შეჰბრკოლდეს ლოდსა მას შებრკოლებისასა,
33. ვითარცა წერილ-არს: აჰა ესერა, დავჰსდებ სიონს შინა ლოდსა შებრკოლებისასა და კლდესა საცთურებისასა; და ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა სადა ჰრცხუჱნეს.

## თ ა ვ ი 10.

1. ძმანო, ნება გულისა ჩემისა და ვედრება ჩემი ღმრთისა მიმართ ისრაილისათჳს, არს საცხოვრებლად.
2. ვეწამები მათ, რამეთუ შური საღმრთო აქუს, არამედ არა მეცნიერებით.
3. რამეთუ უმეცარ-იყუნეს იგინი სიმართლისა მისგან ღმრთისა, და თჳსსა მას სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად, და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს.
4. რამეთუ დასასრული ჰსჯულისა ქრისტე არს, მაცხოვრად ყოვლისა მორწმუნისა.
5. რამეთუ მოსე დაჰსწერს სიმართლესა მას ჰსჯულისაგანსა, ვითარმედ რომელმან ჰქმნეს იგი კაცმან ჰსცხოვნდეს მას შინა.
6. ხოლო სარწმუნოებისაგან სიმართლე ესრეთ იტყჳს: ნუ იტყჳ გულსა შენსა: ვინ აღვიდეს ზეცად? ესე იგი არს, ქრისტესი გარდამოყუანება.
7. ანუ ვინ შთავიდეს უფსკრულად? ესე იგი არს, ქრისტესი მკუდრეთით აღმოყუანება.
8. არამედ რასა იტყჳს წერილი? მახლობელ შენდა არს სიტყუა ეგე, პირსა შენსა და გულსა შენსა, ესე იგი არს, სიტყუა სარწმუნოებისა, რომელსა ვჰქადაგებთ;
9. ვითარმედ აღთუ იარო პირითა შენითა უფალი იესო, და გრწმენეს გულითა შენითა, რამეთუ ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით; ჰსცხოვნდე.
10. რამეთუ გულითა გვრწამს სიმართლედ, ხოლო პირითა აღვიარებთ საცხოვრებელად.
11. რამეთუ იტყჳს წიგნი: ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს მისსა მიმართ, არა სადა ჰრცხუჱნეს.
12. რამეთუ არა არს განწუალებაჲ ურიისა და წარმართისა, რამეთუ თავადი არს უფალი ყოველთა, რომელი განამდიდრებს ყოველთა, რომელნი ჰხადიან მას.
13. რამეთუ ყოველმან, რომელმან ჰხადოს სახელსა უფლისასა, ჰსცხოვნდეს.
14. ვითარ უკუჱ ჰხადონ, რომლისა მიმართ არა ჰრწმენა? ანუ ვითარმე ჰრწმენეს, რომლისა არა ისმინეს? ანუ ვითარმე ისმინეს თჳნიერ ქადაგებისა?
15. ანუ ვითარმე ჰქადაგებდენ, არა თუ წარივლინნენ? ვითარცა წერილ-არს: ვითარ შუჱნიერ-არიან ფერკნი მახარებელთა მათ მშჳდობისათანი, რომელნი ახარებენ კეთილსა.
16. არამედ არა ყოველთა ისმინეს სახარებისა მის. რამეთუ

ესაია იტყჳს: უფალო! ვისმე
ჰრწმენეს სასმენელი ჩუჱნი?
17. აწ უკუჱ სარწმუნოება სა-
მე სმენისაგან არს, ხოლო სმენაჲ
სიტყუათა ღმრთისათა.
18. არამედ ვჰსთქუათ: ნუ
უკუჱ არა ესმა? არამედ იტყჳს,
ვითარმედ ყოველსა ქუჱყანასა
განჰსდა ჴმა მათი, და კიდეთა სო-
ფლისათა სიტყუანი მათნი.
19. არამედ ვიტყჳ: ნუ უკუჱ
ისრაილმან არა ჰსცნა? პირველად
მოსე იტყჳს: მე გაშურვო თქუჱნ
არა ნათესავსა მას ზედა, და
ნათესავითა მით უგულის-კმოჲათა
განგარისხნე თქუჱნ.
20. ხოლო ესაია იკადრებს და
იტყჳს: ვპოვე მათ, რომელნი მე
არა მეძიებდეს; და განვეცხადე მათ,
რომელნი მე არა მიკითხჳდეს.
21. ხოლო ისრაილისა მიმართ
იტყჳს: დღესა ყოველსა განვი-
პყრენ ჴელნი ჩემნი ერისა მი-
მართ ურჩისა და მაცილობელისა.

## თავი 11.

1. ვიტყჳ უკუჱ: ნუ განიშო-
რა-მეა ღმერთმან ერი თჳსი? ნუ
იყოფინ. და რამეთუ მეცა ისრა-
იტელი ვარ, თესლისაგან აბრაა-
მისა, ტომისაგან ბენიამენისა.
2. არა განიშორა ღმერთმან
ერი თჳსი, რომელი იგი წინას-
წარ იცნა.
3. ანუ არა უწყით ილიასი, რასა
იგი იტყჳს წიგნი? ვითარ იგი
შეემთხუჱვის ღმერთსა შესმენად
ისრაილისა და იტყჳს:
4. უფალო! წინასწარ-მეტყუჱლ-
ნი შენნი მოჰსწყჳდნეს და საკურთხე-
ველნი შენნი დაარღჳნეს; და მე
დაშთომილ-ვარ მარტოჲ, და ეძი-
ებენ სულსა ჩემსა.
5. არამედ რასა ეტყჳს მას
საღმრთო ბრძანება იგი სიტყჳ-
სა მის? დამიტევებიეს თავისა
ჩემისა შჳდ-ათასი მამა-კაცი, რო-
მელთა არა მოუდრეკიან მუკლნი
მათნი ბაალისა.
6. ეგრეცა უკუჱ და აწცა ჟამ-
სა ამას, ნეშტი რჩევით მადლითა
მით იქმნა.
7. ხოლო, უკეთუ მადლით,
არღარა საქმეთაგან; უკეთუ არა,
მადლი იგი არღარა შეირაცხების
მადლად. უკეთუ კულა საქმეთაგან,
არღარა არს მადლ; ვინათგან
საქმე იგი არღარა არს საქმე.
8. აწ უკუჱ რაჲ? რომელსა
ეძიებს ისრაილი, ამას ვერ მი-
ემთხჳა; ხოლო რჩეული იგი მიემ-
თხჳა, და სხუანი იგი დაბრმეს.
9. ვითარცა წერილ-არს: მოჰს-
ცა მათ ღმერთმან სული მწუხა-
რებისა, თუალნი, რათა არა ჰხედ-
ჳდენ, და ყურნი, რათა არა ეს-
მოდეს, ვიდრე დღეინდელად
დღედმდე.
10. და დავით იტყჳს: იქმე-
ნინ ტაბლა მათი მათ წინაშე
საფრხე, და სანადირო და მისაგე-
ბელ და საცთურ მათდა.
11. დაუბნელდედ თუალნი
მათნი, რათა არა ჰხედჳდენ; და
ზურგი მათი მარადის შეჰსდრიკე.
12. ხოლო ვიტყჳ: ნუ უკუჱ
შეუბრკმა, რათა დაეცნენ? ნუ
იყოფინ. არამედ მათითა მით

შეცოდებითა ცხორება წარმართთა იქმნა საშურებელად მათდა.

13. ხოლო უკეთუ შეცოდებაჲ იგი მათი სიმდიდრე სოფლისა, და ძლეულებაჲ იგი მათი სიმდიდრე წარმართთა; რავდენ უფროჲს სავსება იგი მათი.

14. ხოლო თქუენ გეტყჳ, წარმართთა მაგათ. რავდენ ესე ვარ მე წარმართთა მოციქული, მსახურებაჲ ესე ჩემი ვადიდო.

15. ვაშურო ხოლო თუ ჴორცთა ჩემთა, და ვაცხოვნნე ვინმე მათგანნი?

16. რამეთუ უკეთუ განვრდომაჲ იგი მათი დაგებაჲ სოფლისა; რავდენმე შეწყნარება მათი, არა თუ ცხოვრება მკუდართაგან.

17. ხოლო უკეთუ დასაბამი იგი წმიდა არს, და თბეცა; და უკეთუ ძირი იგი წმიდა არს, და რტონიცა მისნი.

18. ხოლო უკეთუ რტოთა მათგანნი ვინმე გარდაჰსტყდეს, ხოლო შენ, ველური ზეთის-ხილი იყავ, და დაემყენ მათ ზედა და თანა-ზიარ ძირისა და სიპოხისა ზეთის-ხილისა იქმენ;

19. ნუ ექადი რტოთა მათ. ხოლო უკეთუ ექადი; არათუ შენ ძირი იგი გიტჳრთავს, არამედ ძირსა მას შენ.

20. ჰსთქუა: უკეთუ გარდაჰსტყდეს რტონი იგი, რაჲთამე დავემყნა.

21. კეთილ. იგინი ურწმუნოებითა მათითა გარდაჰსტყდეს, ხოლო შენ სარწმუნოებითა ჰსდგა; ნუ ჰმაღლოი, არამედ გეშინოდენ.

22. უკეთუ ღმერთმან ბუნებითთა მათ რტოთა არა ჰრიდა; ნუ უკუე შენცა არა გრიდოს.

23. აწ უკუე იხილე სიტკბოებაჲ და სასტიკებაჲ ღმრთისა: დაცემულთა მათ ზედა სასტიკებაჲ, ხოლო შენ ზედა სიტკბოებაჲ, უკეთუ ეგო სიტკბოებასა მას ზედა; უკეთუ არა, შენცა მოვეეკუეთო.

24. და იგინი, თუ არა დაადგრენ ურწმუნოებასა მათსა ზედა, დავეემყნენ; რამეთუ შემძლებელ-არს ღმერთი კუალად დამყნად მათდა.

25. უკეთუ შენ ბუნებითისა მისგან მოეკუეთე ველურისა ზეთის-ხილისა, და გარეშე ბუნებისა დაემყენ კეთილსა ზეთის-ხილსა: რავდენ უფროს იგინი ბუნებითსა მას დაემყნენ თჳსსავე მას ზეთის-ხილსა.

26. არა მნებავს უმეცრება თქუენი, ძმანო, საიდუმლოსა ამის, რათა არა იყუნეთ თავით თჳსით ბრძენ, რამეთუ სიბრძნე ჟამად შეჰყუა ისრაილსა, ვიდრემდე სავსება იგი წარმართთა შემოჰხდეს.

27. და ესრეთ ყოველი ისრაილი ჰსცხოვნდეს, ვითარცა წერილ-არს: მოვიდეს სიონით მჴსნელი, და მოაქციოს უღმრთოებისაგან იაკობი.

28. და ესე არს ჩემ-მიერი იგი მათდა მიმართ აღთ-

ქმაჲ, რაჟამს მოვჴსნე ცოდვანი
მათნი.
29. სახარებისა მისგან, მტერ
თქუენდა; ხოლო რჩეულებისა
მისგან, საყუარელ მამათა თჳს.
30. რამეთუ შეუნანებელ-არი-
ან მადლნი იგი და ჩინებანი
ღმრთისანი.
31. რამეთუ ვითარცა იგი
თქუენცა ოდესმე ურჩ-ექმნენით
ღმერთსა, ხოლო აწ შეიწყალე-
ნით მათითა მით ურჩებითა.
32. ეგრეთცა ესენი ურჩ
ექმნნეს აწ თქუენისა შეწყალები-
სათჳს, რათა იგინიცა შეიწყალ-
ნენ.
33. რამეთუ შეაყენნა ღმერთ-
მან ყოველნივე ურჩებასა, რათა
ყოველნი შეიწყალნენ.
34. ჵ სიღრმე სიმდიდრისა,
და სიბრძნისა, და მეცნიერებისა
ღმრთისა! ვითარ გამოუძიებელ-
არიან განკითხვანი მისნი, და გა-
მოუკულევნელ-არიან გზანი მისნი!
35. რამეთუ ვინ ჰსცნა გონებაჲ
უფლისა? ანუ ვინ თანამზრა-
ხუელ-ეყო მას?
36. ანუ ვინ წინასწარ მირა-
მე-ჰსცა მას და კუალად მიეგოს მას?
37. რამეთუ მისგან, და მის
მიერ, და მისა მიმართ არს ყო-
ველი. მისა დიდება უკუნითი
უკუნისამდე, ამინ.

თ ა ვ ი 12.

1. ვლოცავ თქუენ, ძმანო,
მოწყალებათა-თჳს ღმრთისათა,
რათა წარუდგინნეთ გორცნი ეგე
თქუენნი მსხუერპლად ცხოველ-
ლად, წმიდად, სათნოდ ღმრთი-
სა, მეტყუელი ეგე მსახურებაჲ
თქუენი.
2. და ნუ თანა-ხატ-ექმნებით
სოფელსა ამას, არამედ შეიცვა-
ლენით განახლებითა მით გონე-
ბისა თქუენისათა, რათა გამოი-
ცადოთ თქუენ, რა იგი არს ნე-
ბა ღმრთისა, კეთილი, სათნოჲ
და სრული.
3. რამეთუ ვეტყჳ მადლითა
ღმრთისათა, რომელი მოცემულ-
არს ჩემდა ყოველსა მას, ვინაცა
იგი არს თქუენ შორის: ნუ
უფროჲს ჰბრძნობნ უმეტეს წე-
სისა მის; არამედ ჰბრძნობდინ
სიწმიდესა კაცად-კაცადი, ვითარ-
ცა ღმერთმან განუყო საზომითა
მით სარწმუნოებისათა.
4. ვითარცა ერთსა მას გუამ-
სა მრავალ ასოებ აქუს, ხოლო
ასოებსა მას ყოველსა არა იგივე
საქმე აქუს.
5. ეგრეცა ჩუენ ყოველნი
ერთ-გუამ-ვართ ქრისტეს მი-
ერ, ხოლო თჳთოეული ურთი-
ერთარს ასოებ ვართ.
6. ხოლო გუაქუს ჩუენ ნიჭე-
ბი მადლისა მისებრ მოცემულისა
ჩუენდა თჳთო სახედ; გინათუ
წინასწარ-მეტყუელებაჲ, საზომი-
საებრ სარწმუნოებისა;
7. გინა რომელი მსახურებ-
დეს, მსახურებითა მით; გინა
რომელი ასწავებდეს, სწავლითა
მით;
8. გინა რომელი ნუგეშინის-
ჰსცემდეს, ნუგეშინის-ცემითა მით;

რომელი მიჰსცემდეს, უხ̂ჳებით;
რომელი ზედა-ადგებოდეს, მოს-
წრაფებით; რომელი ჰსწყალობ-
დეს, მხიარულებით; სიყ̂ჳარული-
თა შეუორგულებელითა;
9. ვანეშორენით ბოროტსა
და შეეყ̂ჳენით კეთილსა;
10. ძმათ მოყ̂ჳარებითა ურ-
თიერთარს მოწლედ მოსურნე
იყ̂ჳენით; პატივის-ცემასა ერთი
ერთსა უსწრობდით;
11. სწრაფვასა ნუ მცონარე
ხართ; სულითა მდუღარე იყ̂ჳე-
ნით; უფალსა ჰმონებდით;
12. სასოებასა გიხაროდენ;
ჭირსა დაუთმობდით; ლოცჳ̂ასა
განკრძალულ-იყ̂ჳენით;
13. სახმარსა წმიდათასა ეზია-
რებოდეთ; სტუმრის-მოყ̂ჳარება-
სა შეუდეგით.
14. აკურთხევდით მდევართა
თქ̂ჳენთა; აკურთხევდით, და ნუ
ჰსწყევთ.
15. გიხაროდენ მოხარულთა
თანა და ჰსტიროდეთ მტირალთა
თანა.
16. და მასვე ურთიერთარს
ჰზრახევდით; ნუ მაღალსა მას
ჰზრახავთ, არამედ მდაბალსა მას
შეეყ̂ჳენით; ნუ იქმნებით ბრძენ
თავით თჳსით;
17. და ნუ ვინ ბოროტსა
ბოროტისა წილ მიაგებთ; წინა-
სწარ-განიზრახევდით კეთილსა
წინაშე ყოველთა კაცთა.
18. უკეთუ შესაძლებელ-არს
თქ̂ჳენ მიერ, ყოველთა კაცთა
თანა მშჳდობასა ჰყოფდით.
19. ნუ თავით თჳსით შურსა
ემიებთ, საყ̂ჳარელნო, არამედ
ეცით ადგილ რისხჳ̂ასა. რამეთუ
წერილ არს: ჩემი არს შურის-
გება და მე მივაგო, იტყჳს უფალი.
20. არამედ ჰშიოდეს თუ
მტერსა შენსა პური, ეც მას; და
ჰსწყუროდეს თუ, ასჳ̂ მას; რამე-
თუ, ესე რა ჰყო, ნაკჳ̂ერცხალი
ცეცხლისა შეჰკრიბო თავსა მისსა.
21. ნუ იძლევი ბოროტისა-
გან, არამედ ჰსძლე კეთილითა
მით ბოროტსა მას.

თ ა ვ ი 13.

1. ყოველნი ჴელმწიფებასა მას
უმთავრესისასა დაემორჩილენ: რა-
მეთუ არა არს ჴელმწიფებაჲ გარ-
ნა ღმრთისაგან; და რომელნი იგი
არიან ჴელმწიფებანი ღმრთისა
მიერ განწესებულ-არიან.
2. ამიერითგან, რომელი ად-
გებოდეს ჴელმწიფებასა ღმრთისა
ბრძანებასა ადგების. ხოლო რო-
მელნი იგი ადგებოდიან თავისა
თჳსისა სასჯელი მიიღონ.
3. რამეთუ მთავარნი იგი არა
არიან საშინელ კეთილის მოქმედ-
თა, არამედ ბოროტისა მოქმედ-
თა. გნებავს თუ, რათა არა გე-
შინოდეს ჴელმწიფებისაგან? კე-
თილსა იქმოდე და მოიღო ქებაჲ
მისგან:
4. რამეთუ ღმრთის მსახურ-
არს შენდა კეთილისათჳს. ხოლო
უკეთუ ბოროტსა იქმოდე, გეში-
ნოდენ; რამეთუ არა ცუდად ჴრ-
მალ-აბს; რამეთუ ღმრთის მსა-
ხურ-არს შენდა რისხჳსათჳს, შუ-

რის მეძიებელ ბოროტის-მოქმედ-
თა თჳს.
5. ვინაჲცა ჯერ-არს დამორ-
ჩილება არა ხოლო რისხვისა თჳს,
არამედ გონებისათჳსცა იგი ყო-
ველსა.
6, ამისთჳს ხარკსაცა მისცემ-
დით; რამეთუ მსახურნი ღმრთი-
სანი არიან, ამისთჳსცა მოღუა-
წებასა განკრძალულ-არიან.
7. მისცემდით უკუჱ ყოველ-
თა თანა-ნადებსა: სახარკოსა,
ხარკი; საზუჱრესა, ზუჱრი; სა-
შინელსა, შიში; პატივსა, პატივი.
8. ნურა რაჲმცა ვისი თანა-
გაძს, გარნა ურთი-ერთარს სი-
ყუარული; რამეთუ რომელსა
უყუარდეს მოყუასი თჳსი მან
ჰსჯული აღასრულა.
9. ვითარმედ: არა იმრუშო,
არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა
გული გითქმიდეს, და სხუა თუ
რაჲმე მცნება არს ამითვე სიტ-
ყჳთა აღესრულების; ვითარმედ
შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა
თავი თჳსი.
10. სიყუარულმან მოყუასსა
თჳსსა ბოროტი არა უყჳს; აღ-
მასრულებელი ჰსჯულისა სიყუა-
რული არს.
11. და ესე უწყოდეთ ჟამი,
რამეთუ აწვე არს ჟამი განღვი-
ძებად ჩუჱნდა ძილისაგან.
12. აწ უმახლობელეს არს
ჩუჱნდა ცხოვრება, ოდესღა ესე
გურწმენა.
13. ღამე იგი განგუჱშორა,
და დღე შემოგუჱახლა: განვიშორ-
ნეთ უკუჱ საქმენი ბნელისანი და
შევიმოსოთ საჭურველი ნათლისა.
14. და ვითარცა დღესა შინა,
შუჱნიერად ვიდოდეთ, ნუ სიმ-
ღერითა და მთვრალობითა, ნუ
საწოლითა და ბილწებითა, ნუ
კდომითა და შურითა;
15. არამედ შეიმოსეთ უფალი
იესო ქრისტე, და ჴორცთა ზრა-
ხუასა ნუ ჰყოფთ გულის-სათქმელ.

## თ ა ვ ი 14.

1. და უძლური იგი სარწმუ-
ნოებითა შეიწყნარეთ, ნუ ორგუ-
ლებით და გულის სიტყჳთა.
2. რომელსამე ჰრწამნ ჭამად
ყოველი, ხოლო უძლური იგი
მხალსა ჰსჭამნ.
3. მჭამელი იგი, არა-მჭა-
მელსა მას ნუ შეურაცხ-ჰყოფნ;
და არა მჭამელი იგი, მჭამელსა
მას ნუ განიკითხავნ; ღმერთმან
უკუჱ იგი შეიწყნარა.
4. შენ ვინ ხარ, რომელი გა-
ნიკითხავ სხვისა მონასა? თჳსისა
უფლისა ჰსდგეს, გინათუ და-
ეცეს. ჰსდგეს სამე; რამეთუ შემ-
ძლებელ-არს ღმერთი დადგინე-
ბად მისდა.
5. რომელიმე იმარხავნ დღე-
გამოღებით, და რომელიმე იმარ-
ხავნ ყოველსა დღესა. კაცად-კა-
ცადი თჳსითა გონებითა გულ-
სავსე იყავნ.
6. რომელი იგი ჰზრახჳდეს
დღესა მას, უფლისად ჰზრახავს;
და რომელი არა ჰზრახჳდეს დღე-
სა მას, უფლისადვე არა ჰზრა-
ხავს. და რომელი ჰსჭამს, უფ-

ლისად ჰსჭამს; რამეთუ მადლობს ღმერთსა, და რომელი არა ჰსჭამს, უფლისადვე არა ჰსჭამს, და ჰმადლობს ღმერთსა.

7. რამეთუ არავინ ჩუ̂ჱნგანი თავით თჳსით ცოცხალ-არს, და არავინ თავით თჳსით მოკუ̂დების;

8. რამეთუ გინათუ ცხოველ-ვართ, უფლისად ცხოველ-ვართ, და გინათუ მოვჰსწყუდებით, უფლისა მიერვე მოვჰსწყუდებით; გინათუ ცოცხალ-ვიყუ̂ნეთ, გინათუ მოვჰსწყუდეთ, უფლისანი ვართ.

9. რამეთუ ამისთჳსცა ქრისტე მოკუ̂და, და აღჰსდგა, და ჰსცხოვნდა, რათა მკუ̂დართაცა და ცხოველთაცა ზედა უფლობდეს.

10. ხოლო შენ, რასა განიკითხავ ძმასა შენსა? ანუ თუ შენ, რასა შეურაცხ-ჰყოფ ძმასა შენსა? რამეთუ ყოველნივე წარდგომად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა.

11. რამეთუ წერილ-არს: ცხოველ ვარ მე, იტყჳს უფალი, რამეთუ ჩემდა მოჰსდრკეს ყოველი მუკლი, და ყოველმან ენამან აღუ̂აროს ღმერთსა.

12. აწ უკეთუ კაცად-კაცადმან ჩუ̂ჱნმან თავისა თჳსისათჳს სიტყუ̂აჲ მიჰსცეს ღმერთსა.

13. ნუღარამცა ურთიერთარს განვიკითხავთ, არამედ უფროჲსღა ესე განიკითხეთ, რათა არა დაუდგათ შესაბრკოლებელი გინა საცთური ძმასა.

14. ვიცი და მრწამს უფლისა იესოს მიერ, რამეთუ არა რაჲ შეგინებულ-არს თავით თჳსით; გარნა თუ რომელი იგი შევინმე-ჰრაცხოს შეგინებულად, იგი არს შეგინებულ.

15. უკეთუ საჭმლისათჳს ძმა იგი შენი ჰსწყუხდეს, არღარა სიყუ̂არულით ჰსვალ. ნუ საჭმლითა შენითა მას წარჰსწყმედ, რომლისათჳს ქრისტე მოკუ̂და.

16. ნუცა უკუ̂ჱ იგმობვის კეთილი იგი თქუ̂ჱნი.

17. რამეთუ არა არს სასუფეველი ღმრთისა საჭმელ და სასუ̂მელ, არამედ სიმართლე და მშჳდობა და სიხარულ სულითა წმიდითა.

18. რამეთუ რომელი ამათ შინა ჰმონებდეს ქრისტესა, სათნო არს იგი ღმრთისა და რჩეულ კაცთა.

19. აწ უკუ̂ჱ მშჳდობასა შეუდგეთ და აღშენებასა ურთიერთარს.

20. ნუ ჭამადისათჳს დაჰკსნი საქმესა ღმრთისასა. ყოველივე წმიდა არს, არამედ ბოროტ-არს კაცისა, რომელი შებრკოლებისათჳს ჰსჭამდეს.

21. უმჯობეს-არს არა ჭამაჲ კორცისა, და არცა სუ̂მაჲ ღვინისა, არცა რომლითა ძმა იგი შენი შეჰბრკოლდების, გინა დაბრკოლდების, ანუ მოუძლურდების.

22. შენ სარწმუნოებაჲ გაქუ̂ს? თავისა შენისათჳს გაქუ̂ნდინ, წინაშე ღმრთისა. ნეტარ-არს მისა,

რომელმან არა განიკითხოს თავი თჳსი, რომელსა შინა გამოიცადოს.

23. ხოლო რომელი იგი ორგულებდეს, დაღაცათუ ჰსჭამოს, დაჰსჯილ-არს; რამეთუ არა სარწმუნოებით ჰსჭამს; და ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდუა არს.

24. ხოლო რომელი იგი შემძლებელ-არს დამტკიცებად თქუენდა, სახარებისაებრ ჩემისა და ქადაგებისა ქრისტე იესოჲსა, გამოცხადებითა საიდუმლოჲსათა, ჟამთა მათ საუკუნეთა დადუმებულსა.

25. ხოლო აწ გამოცხადებულსა წიგნთაგან საწინასწარ-მეტყუელოთა, ბრძანებითა საუკუნოჲსა ღმრთისათა, დასამორჩილებელად სარწმუნოებისა, ყოველთა მიმართ წარმართთა უწყებულსა,

26. მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა, ქრისტე იესოს მიერ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თ ა ვ ი 15.

1. ხოლო თანა-გუამს ჩუენ, ძლიერთა, უძლურებათა მათ უსუსურთასა ტჳრთვად, და არა თავთა თჳსთა სათნო-ყოფად.

2. კაცად-კაცადი ჩუენი მოყუასსა სათნო-ეყოფოდენ, კეთილისათჳს აღსაშენებელად.

3. და რამეთუ ქრისტეცა არა თავსა თჳსსა სათნო-ეყო, არამედ ვითარცა წერილ-არს: ყუედრებანი მაყუედრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემზედა.

4. რამეთუ რავდენი იგი წინასწარ დაიწერა, ჩუენდა სამოძღურებელად დაიწერა, რათა მოთმინებითა მით და ნუგეშინისცემითა წიგნთათა სასოება გუაქუნდეს.

5. ხოლო ღმერთმან მოთმინებისამან და ნუგეშინის-ცემისამან, მოგეცინ თქუენ იგივე ზრახუად ურთიერთარს, ქრისტეს იესოს მიერ,

6. რათა ერთბამად, ერთითა პირითა ადიდებდეთ ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა.

7. ამისთჳს შეიწყნარებდით ურთიერთარს, ვითარცა იგი ქრისტემან შეგიწყნარნა თქუენ სადიდებელად ღმრთისა.

8. ხოლო ვიტყჳ: იესო ქრისტესა, რამეთუ მსახურ-იქმნა წინა-დაცუეთილებისა ჭეშმარიტებისათჳს ღმრთისა, დასამტკიცებელად აღთქმასა მას მამათასა;

9. ხოლო წარმართნი წყალობისათჳს, სადიდებელად ღმრთისა, ვითარცა წერილ-არს: ამისთჳს აღგიარო შენ წარმართთა შორის უფალო, და სახელსა შენსა უგალობდე.

10. და კუალად იტყჳს: იხარებდით, წარმართნი, ერისა მისისა თანა.

11. და კუალად იტყჳს: უგალობდით უფალსა ყოველი თეს-

ლები, და აქებდით მას ყოველი
ერი.
12. და მერმე ესაია იტყჳს:
და იყოს ძირი იგი იესესი, და
რომელი იგი აღდგომად არს
მთავრად წარმართთა; და მას წარ-
მართნი ესჳდენ.
13. ხოლო ღმერთმან სასო-
ებისამან აღგავსენინ თქჳენ ყო-
ვლითა სიხარულითა და მშჳდობი-
თა სარწმუნოებად, და აღმატებად
თქჳენდა, სასოებითა და ძალითა
სულისა წმიდისათა.
14. მრწამს მე, ძმანო ჩემნო,
თქჳენთჳს, ვითარმედ თქჳენცა
სავსე ხართ სახიერებითა და აღ-
სავსე ყოვლითა მეცნიერებითა,
და შემძლებელ სხჳათაცა სწავ-
ლად.
15. უკადნიერესადრე მივჰს-
წერე თქჳენდა, ძმანო, ზოგსრე,
რათა მოგახსენო თქჳენ მადლი-
თა მით, რომელი მოცემულ-არს
ჩემდა ღმრთისა მიერ,
16. რათა ვიყო მე მსახურ
იესო ქრისტესა წარმართთა მი-
მართ, მღჳდელობისა მოღჳაწე
სახარებისა მის ღმრთისა, რათა
იყოს მსხჳერპლი იგი წარმართ-
თა შეწირულ და განწმედილ სუ-
ლითა წმიდითა.
17. მაქჳს უკჳე სიქადული
ქრისტეს იესოს მიერ ღმრთისა
მიმართ.
18. რამეთუ არა ვიკადრო
რაჲსამე სიტყჳად, რომელი იგი
არა ჰქმნა ქრისტემან ჩემ მიერ,
დასამორჩილებელად წარმართთა,
სიტყჳთა და საქმითა.
19. ძალითა სასწაულებითა
და ნიშებითა, ძალითა სულისა
ღმრთისათა, რათა მე იერუსალი-
მითგან და გარემო, ვიდრე ილი-
რიკიადმდე აღვასრულო სახარებაჲ
იგი ქრისტესი.
20. ხოლო ესრეთ ვიღჳაწე
სახარებად, არათუ სადა სახელ-დე-
ბულ-არს ქრისტე, რათა არა
სხჳასა საფუძჳელსა ზედა ვაშე-
ნებდე;
21. არამედ ვითარცა წერილ-
არს: რომელთა არა თხრობილ
არს მისთჳს იხილონ, და რო-
მელთა არა სმენილ-არს გულის-
ჴმა-ჰყონ.
22. ამისთჳსცა დავყოვნე მრა-
ვალ-გზის მისლჳად თქჳენდა.
23. ხოლო აწ, არღარა მაქჳნ-
და მე ადგილი ამიერ კერძოთა
ამათ ადგილთა, და მსურის მოს-
ლჳად თქჳენდა მრავლით-წლით-
გან.
24. და უკეთუ წარვიდოდი
სპანიად, მოვიდე თქჳენდა. რა-
მეთუ ვესავ, ვითარმედ მირავი-
დოდე მუნ, გიხილნე თქჳენცა,
და თქჳენ მიერ წარვიგზავნო
მუნ, უკეთუ თქჳენითა ხილჳთა
ზოგსრამე განვჰსძღე პირველად.
25. ხოლო აწ ესერა წარვალ
იერუსალიმად, მსახურებად წმი-
დათა.
26. რამეთუ ჯერ-იჩინეს მა-
კედონიამან და აქაიამან ზიარები-
სა რაჲსამე ყოფად გლახაკთა მათ-
თჳს წმიდათა, რომელნი არიან
იერუსალიმს.
27. ჯერ-იჩინეს, და თანამდებ-

ცა არიან მათდა. რამეთუ უკეთუ
სულიერთა მათ მათთა ეზიარნეს
წარმართნი; თანა-აძს და ხორცი-
ელთა მათ შინა მსახურებად მათდა.
28. ესე უკუჱ აღვასრულო, და
დავჰბეჭდო ნაყოფსა მას მათსა,
და წარვიდე თქუენ მიერ სპანიად;
29. ხოლო ესე უწყი, რამე-
თუ მოვიდოდე თქუენდა, სავ-
სებითა მით კურთხევისა სახარე-
ბისა ქრისტესითა მოვიდე.
30. ხოლო გლოცავ თქუენ,
ძმანო, უფლისა ჩუენისა მიერ
იესო ქრისტესა და სიყუარულითა
მით სულისათა, თანა-მოღუაწე
მექმნენით მე ლოცუათა შინა
ჩემთჳს ღმრთისა მიმართ,
31. რათა განვერე ურჩთა
მათგან ურიასტანს, და რათა მსა-
ხურება ჩემი იერუსალიმს შეწი-
რულ-იყოს წმიდათა მიმართ;
32. რათა მხიარულებით მო-
ვიდე თქუენდა, ნებითა ღმრთი-
სათა, და თქუენ-თანა განვისვენო.
33. ხოლო ღმერთი მშჳდო-
ბისა იყავნ თქუენ ყოველთა თა-
ნა, ამინ.

## თ ა ვ ი 16.

1. შეგვედრებ თქუენ ფიბეს,
დასა ჩუენსა, რომელი იგი არს
მსახურ ეკკლესიისა მის კენქრელ-
თასა;
2. რათა იგი შეიწყნაროთ
უფლისა მიერ, ღირსად წმიდათა,
და თანა დაუდგეთ მას, რომელი-
ცა რაჲმე საქმე უჴმდეს თქუენ-
გან; და რამეთუ იგიცა მრავალთა
თანა-მდგომ-ექმნა და თჳთ მეცა.
3. კითხვა არქუთ პრისკილას
და აკვილას, თანა-შემწეთა ჩემთა
ქრისტეს იესოს მიერ,
4. რომელთა იგი სულისა
ჩემისათჳს ქედნი მათნი წარუპყრ-
ნეს, რომელთადა არა მე ხოლო
მადლიერ ვარ, არამედ ყოველნი
ეკკლესიანი წარმართთანი.
5. და სახლსა სახლად კრე-
ბულნი მათნი. კითხვაჲ არქუთ
ეპენეტოსს საყუარელსა ჩემსა,
რომელი იგი არს პირველი ნა-
ყოფი აქაიასა ქრისტეს მიმართ.
6. კითხვა არქუთ მარიამს,
რომელი იგი ფრიად დაშურა
ჩუენდა მომართ.
7. კითხვა არქუთ ანდრონი-
კეს და იუნიანს, ნათესავთა ჩემთა,
და თანა ტყუეთა ჩემთა, რომელ-
ნი არიან შესწავებულ მოცი-
ქულთა შორის, რომელნი ჩემსა
წინათცა იყუნეს ქრისტეს მიერ.
8. კითხვა არქუთ ამპლიას,
საყუარელსა ჩემსა უფლისა მიერ.
9. კითხვა არქუთ ორბანოსს,
თანა-შემწესა ჩუენსა ქრისტეს
მიერ, და სტაქეს, საყუარელსა
ჩემსა.
10. კითხვა არქუთ აპელლეს,
რჩეულსა ქრისტეს მიერ. კითხვა
არქუთ არისტოვულესგანთა მათ.
11. კითხვა არქუთ ეროდი-
ონს, ნათესავსა ჩემსა. კითხვა
არქუთ ნარკისოსგანთა მათ, უფ-
ლისა მიერ.
12. კითხვა არქუთ ტრჳფენას
და ტრჳფოსას, რომელნი მაშუ-
რალ-არიან უფლისა მიერ. კით-

ხუა არქუთ პერსიდას საყუარელ-
სა, რომელი ფრიად დაშურა უფ-
ლისა მიერ.

13. კითხუა არქუთ როფოსს, რჩეულსა უფლისა მიერ, და დედასა მისსა და ჩემსა.

14. კითხუა არქუთ ასუნკრიტეს, ფლეგონს, ერმეს, პატრობას, ერმის და მათ-თანათა მათ ძმათა.

15. კითხუა არქუთ ფილოლოგეს და იულიას, ნირეასა და დასა მისსა, და ულუმპას, და მათ-თანათა მათ ყოველთა წმიდათა.

16. მოიკითხევდით ურთიერთ-არს ამბორის ყოფითა წმიდითა. გიკითხუენ თქუენ ეკკლესიანი ქრისტესნი.

17. გლოცავ თქუენ, ძმანო, ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი იგი წუალებასა და საცთურსა იქმან, გარეშე მის მოძღურებისა, რომელი თქუენ გისწავიეს, და განეშორენით მათგან.

18. რამეთუ ეგე ვითარნი იგი უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თჳსსა მუცელსა, და ტკბილად მეტყუელებითა მით და კურთხევითა აცთუნიან გულნი უმანკოთანი.

19. რამეთუ თქუენი ეგე მორჩილება ყოველთა მიმართ განთქმულ-არს; მიხარის უკუე თქუენთჳს; და მნებავს თქუენი, რათა ბრძენ იყუნეთ კეთილისათჳს, და უმანკო ბოროტისათჳს.

20. ხოლო ღმერთმან მშჳდობისამან შეჰმუსრენ ეშმაკი ქუეშე ფერჴთა თქუენთა ადრე. მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი თქუენ ყოველთა თანა! ამინ.

21. გიკითხუენ თქუენ ტიმოთე, შემწე ჩემი, და ლუკიოს და იასონ და სოსიპატროს, ნათესავნი ჩემნი.

22. გიკითხავ თქუენ მე ტერტჳოს, რომელმან დავჰსწერე წიგნი ესე უფლისა მიერ.

23. გიკითხავს თქუენ გაიოს, მესტუმრე ჩემი, და ყოვლისა ეკკლესიისა. გიკითხავს თქუენ ერასტოს, მნე ქალაქისა, და კუარტოს ძმა.

24. მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი თქუენ ყოველთა თანა. ამინ.

# კორინთელთა პირველი ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი.

## თავი 1.

1. პავლე, ჩინებული მოციქუ-
ლი იესო ქრისტესი ნებითა
ღმრთისათა, და სოსთენი ძმა,
2. ეკკლესიასა ღმრთისასა, რო-
მელი არს კორინთეს შინა, გან-
წმედილთა ქრისტე იესოს მიერ,
ჩინებულთა წმიდათა, ყოველთა
თანა, რომელნი ჰხადიან სახელსა
უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს-
სა, ყოველსა ადგილსა, მათსა და
ჩუენსა.
3. მადლი თქუენდა და მშჳდო-
ბა ღმრთისა მიერ მამისა ჩუენი-
სა და უფლისა იესო ქრისტესა.
4. ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა
მარადის თქუენთჳს, მადლსა მას
ზედა ღმრთისასა, მოცემულსა
თქუენდა ქრისტე იესოს მიერ.
5. რამეთუ ყოვლითა განმჰს-
დიდრდით მას შინა, ყოვლითა
სიტყჳთა, და ყოვლითა მეცნიერე-
ბითა,
6. ვითარცა წამება იგი ქრისტე-
სი განმტკიცნა თქუენ შორის;
7. რათა თქუენ არა რაჲთ
ნაკლულევან იყუნეთ არცა ერთითა
მადლითა, და მოელოდეთ გამო-
ჩინებასა მას უფლისა ჩუენისა
იესო ქრისტესსა.
8. რომელმანცა დაგამტკიცნეს
თქუენ ვიდრე აღსასრულადმდე,
უბრალონი დღესა მას უფლისა
ჩუენისა იესო ქრისტესა.
9. სარწმუნო არს ღმერთი,
რომლისა მიერ იჩინენით ზიარე-
ბასა მას ძისა მისისასა იესო ქრის-
ტეს უფლისა ჩუენისასა.
10. ხოლო გლოცავ თქუენ,
ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენი-
სა იესო ქრისტესითა, რათა მასვე
იტყოდეთ ყოველნი, და ნუ იყო-
ფინ თქუენ შორის წვალებანი, არა-
მედ იყუნეთ განმტკიცებულნი
მითვე გონებითა და მითვე მეც-
ნიერებითა.
11. რამეთუ მეუწყა მე თქუენ-
თჳს, ძმანო ჩემნო, ქლოველთა
მათგან, ვითარმედ ხდომა რამე
არიან თქუენ შორის.
12. ხოლო ვიტყჳ ამას, რამე-
თუ კაცად კაცადი თქუენი იტყჳს,
ვითარმედ მე პავლესი ვარ; ხოლო

მე აპოლოსი; ხოლო მე კეფასი; ხოლო მე ქრისტესი.

13. განმეყოფილ-არსა ქრისტე? ნუ პავლე ჯუარს-ეცუა თქუენთჳს? ანუ სახელისა მიმართ პავლესისა ნათელ-იღეთა?

14. ვმადლობ ღმერთსა, რამეთუ არავის თქუენგანსა ნათელ-ვეც, გარნა კრისპოსს და გაიოსს, რათა არავინ ჰსთქუას,

15. ვითარმედ სახელითა ჩემითა ნათელ ვეც.

16. ხოლო ნათელ-ვეც სტეფანაჲსცა სახლსა; მერმე არა ვიცი, უკეთუ ვისმე ნათელ-ვეც სხუასა.

17. რამეთუ არა მომავლინა მე ქრისტემან ნათლის-ცემად, არამედ სახარებად, არა სიბრძნისა სიტყჳთა, რათა არა ცალიერ იყოს ჯუარი იგი ქრისტესი.

18. რამეთუ სიტყუა იგი ჯუარისა წარწყმედულთა მათ თჳს სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხოვრებულთა ამათ-თჳს ძალ ღმრთისა არს.

19. რამეთუ წერილ-არს: წარვჰსწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთა, და მეცნიერება იგი მეცნიერთა შეურაცხ-ვჰყო.

20. სადა არს ბრძენი? სადა არს მწიგნობარი? სადა არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისა? ანუ არა განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისა?

21. რამეთუ ვინათგან სიბრძნითა მით ღმრთისათა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თჳსითა ღმერთი; ჯერ-იჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისათა ცხოვრება მორწმუნეთა მათ.

22. ვინაჲდგან ჰურიანიცა სასწაულსა ითხოვენ, და წარმართნი სიბრძნესა ეძიებენ.

23. ხოლო ჩუენ ვჰქადაგებთ ქრისტესა ჯუარ-ცმულსა, ჰურიათა სამე საცთურ, და წარმართთა სისულელე,

24. ხოლო მათვე ჩინებულთა, ჰურიათა და წარმართთა, ქრისტე, ღმრთისა ძალ-არს და ღმრთისა სიბრძნე.

25. რამეთუ სულელი იგი ღმრთისა უბრძნეს კაცთა არს, და უძლური იგი ღმრთისა უძლიერეს კაცთა არს.

26. რამეთუ იხილეთღა ჩინებულებაჲ ეგე თქუენი, ძმანო: არა მრავალნი ბრძენ არიანა ჴორციელად, არა მრავალნი ძლიერ არიანა, არა მრავალნი აზნაურ არიანა.

27. არამედ სულელნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რათა არცხვინოს ბრძენთა, და უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რათა არცხვინოს ძლიერთა;

28. და უაზნონი იგი სოფლისანი და შეურაცხნი გამოირჩინა ღმერთმან, და არა-არსნი იგი, რათა არსნი იგი განაქარვნეს;

29. რათა არა იქადოს ყოველმან ჴორციელმან წინაშე ღმრთისა.

30. მისგან თქუენ ხართ ქრისტეს იესოს მიერ, რომელი იგი იქმნა ჩუენდა სიბრძნე ღმრთისა

მიერ, სიმართლე, სიწმიდე და
გამოხსნა:
31. რათა, ვითარცა წერილ-
არს: რომელი იგი იქადოდეს,
უფლისა მიერ იქადოდეს.

## თ ა ვ ი 2.

1. და მე მორავედ თქუენდა,
ძმანო, არა მოვედ მეტნობისა
სიტყჳთა სიბრძნისათა მითხრო-
ბად თქუენდა წამება იგი ღმრთისა.
2. რამეთუ არა რაჲ სხუა
დავიდევ გულსა ჩემსა უწყებად
თქუენდა, გარნა ქრისტე იესო,
და ესეცა ჯუარ-ცუმული.
3. და მე უძლურებასა შინა, და
შიშსა და ძრწოლასა მრავალსა ვი-
ყავ თქუენდა მიმართ.
4. და სიტყუა ჩემი და ქადაგე-
ბა ჩემი არა რწმუნებითა კაცობრი-
ვისა სიბრძნისა სიტყუათათა,
არამედ გამოცხადებითა სულისა-
თა და ძალითა;
5. რათა სარწმუნოება ეგე
თქუენი არა იყოს სიბრძნითა
კაცთათა, არამედ ძალითა ღმრთი-
სათა.
6. ხოლო სიბრძნესა ვიტყჳთ
სრულთა მათ მიმართ, ხოლო
სიბრძნესა არა ამის სოფლისასა
არცა მთავართა მათ ამის სოფლისა-
თა, რომელნი განქარვებად არიან;
7. არამედ ვიტყჳ სიბრძნესა
ღმრთისასა საიდუმლოდ, დაფა-
რულსა მას, რომელი იგი პირვე-
ლადვე განაჩინა ღმერთმან უწინა-
რეს საუკუნეთა, სადიდებელად
ჩუენდა,
8. რომელი იგი არავინ მთა-
ვართაგანმან ამის სოფლისამან
იცნა; რამეთუ უკეთუმცა ეცნა,
არამცა უფალი იგი დიდებისა
ჯუარს-ეცუა.
9. არამედ ვითარცა წერილ-
არს: რომელი თუალმან არა იხი-
ლა, და ყურსა არა ესმა, და გულ-
სა კაცისასა არა მოუხდა, რომე-
ლი განუმზადა ღმერთმან მოყუა-
რეთა თჳსთა.
10. ხოლო ჩუენ ღმერთმან
გამოგჳცხადა სულისა მიერ თჳ-
სისა; რამეთუ სული ყოველსავე
გამოეძიებს, და სიღრმესაცა ღმრთი-
სასა.
11. რამეთუ ვინმე უკუე იცის
კაცმან კაცისა, გარნა სულმანვე
კაცისამან, რომელი არს მისთანა?
ეგრეცა ღმრთისა არავინ იცის,
გარნა სულმანვე ღმრთისამან.
12. ხოლო ჩუენ სული არა
ამის სოფლისა მოგჳღებიეს, არა-
მედ სული იგი, რომელ-არს
ღმრთისაგან, რათა ვიცოდეთ
ღმრთისა მიერ მონიჭებული იგი
ჩუენდა;
13. რომელსაცა ესე ვიტყჳთ
არა სწავლულებითა კაცობრივისა
სიბრძნისა სიტყუათათა, არამედ
სწავლითა სულისა წმიდისათა,
სულიერთა სულიერად შევატ-
ყუებთ.
14. ხოლო მშჳნვიერი კაცი
არა შეიწყნარებს სულსა ღმრთი-
სასა, რამეთუ სიცოფე უჩნნ მას;
და ვერ შემძლებელ-არს ცნობად,
რამეთუ სულიერად განიკითხჳნ.
15. ხოლო სულიერი განიკით-

ხავს ყოველსავე, და იგი არა ვის-
გან განიკითხვის.

16. რამეთუ ვინ ჰსცნა გონებაჲ უფლისა, რათამცა აზრახა მას? ხოლო ჩუენ გონებაჲ ქრისტესი გუაქუს.

## თ ა ვ ი 3.

1. და მე ძმანო, ვერ უძლე სიტყუაჲ თქუენდა, ვითარცა სულიერთა, არამედ ვითარცა ჴორციელთა, ვითარცა ჩჩჳლთა ქრისტეს მიერ.

2. სძე გასუ თქუენ, და არა საჭმელი; რამეთუ არღა გეძლო, არამედ არცაღა აწ გიძლავს;

3. რამეთუ წუთღა ჴორციელვე ხართ. რამეთუ სადაღა თქუენ შორის შური და ცილობაჲ და განწუალებანი: არა ჴორციელვეღა ხართა? და კაცობრივ იქცევით?

4. რამეთუ რაჟამს ვინმე იტყოდის, ვითარმედ მე პავლესი ვარ; და სხუა იტყოდის: მე აპოლოსი ვარ; არა ჴორციელვეღა ხართა?

5. რამეთუ რაჲ არს პავლე? ანუ რაჲ არს აპოლო? არამედ მსახურნი, რომელთაგან თქუენ გრწმენა, და კაცად-კაცადსა, ვითარცა უფალმან მიჰსცა.

6. მე დავასხ, აპოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაორძინა.

7. აწ უკუჱ არცა დამსხმელი რა არს, არცა მომრწყუველი, არამედ აღმაორძინებელი ღმერთი.

8. ხოლო დამსხმელი იგი და მომრწყუველი ერთ-არიან; და კაცად კაცადმან თჳსი სასყიდელი მიიღოს თჳსისაებრ შრომისა.

9. რამეთუ ღმრთისა თანა შემწენი ვართ; ღმრთისა ნამუშაკევნი, ღმრთისა აღშენებულნი ხართ.

10. მადლითა მით ღმრთისათა მოცემულითა ჩემდა, ვითარცა ბრძენმან ხუროთ-მოძღუარმან, საფუძველი დავჰსდევ, ხოლო სხუა იგი აშენებდინ; ხოლო კაცად-კაცადი ეკრძალენ, ვითარ მი აშენებდეს.

11. რამეთუ საფუძველი სხუაჲ ვერვის კელეწიფების დადებად გარეშე მისსა, რომელი იგი დადებულ-არს, რომელ-არს იესო ქრისტე.

12. უკეთუ ვინმე აშენებდეს საფუძუელსა ამას ზედა ოქროსა, ვეცხლსა, ანთრაკთა პატიოსანთა, ძელსა, თივასა, ლელწამსა;

13. კაცად-კაცადისა იგი საქმე გამოცხადნეს; რამეთუ დღემან მან გამოაცხადოს; რამეთუ ცეცხლითა გამოჩინებად-არს, და კაცად-კაცადისა იგი საქმე, ვითარ რა იყოს, ცეცხლმან გამოსცადოს.

14. რომლისა იგი საქმე ეგოს, რომელ აღაშენა, სასყიდელი მოიღოს;

15. რომლისა იგი საქმე დაიწუას, იზღჳოს; ხოლო იგი განერეს და ეგრეთ განერეს, ვითარცა ცეცხლისაგან.

16. არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ, და სუ-

ლი ღმრთისა დამკჳდრებულ-არს თქუენ შორის?

17. რომელმან ტაძარი ღმრთისა განხრწნას, განხრწნეს იგიცა ღმერთმან; რამეთუ ტაძარი ღმრთისა წმიდა არს; რომელ ეგე ხართ თქუენ.

18. ნუ ვინ თავსა თჳსსა აცთუნებნ. უკეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თჳსი თქუენ შორის ამას სოფელსა, სულელ-იქმენინ, რათა იყოს იგი ბრძენ.

19. რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა, რამეთუ წერილ-არს: რომელმან შეიპყრნის ბრძენნი სივერაგითა მათითა.

20. და კუალად იტყჳს: უფალმან უწყის ზრახუანი ბრძენთანი, რამეთუ არიან ამაო.

21. ვინაჲცა ნუ ვინ იქადინ კაცთაგანი; რამეთუ ყოველივე თქუენი არს.

22. გინათუ პავლე, გინათუ აპოლო, გინათუ კეფა, გინათუ სოფელი, გინათუ ცხოვრება, გინათუ სიკუდილი, გინათუ აწინდელი ჟამი, გინათუ მერმე იგი ჟამი, ყოველივე თქუენი არს.

23. ხოლო თქუენ ქრისტესნი, ხოლო ქრისტე ღმრთისა.

## თ ა ვ ი 4.

1. ესრეთ შემრაცხენინ ჩუენ კაცმან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი და მნენი საიდუმლოთა ღმრთისათანი.

2. ხოლო აქა ამიერითგან საძიებელ-არს მნეთა მათ შორის, რათა სარწმუნო ვინმე იპოვოს.

3. ხოლო ჩემდა საწუნელება არს, უკეთუ თქუენ მიერ განვიკითხო, გინათუ კაცობრივისაგან დღისა; არამედ არცაღა თავსა ჩემსა განვიკითხავ.

4. რამეთუ არა რაჲ თავსა ჩემსა შემიცნობიეს, არამედ არათუ ამით განვმართლდები; ხოლო განმკითხუელი ჩემი უფალი არს.

5. ამისთჳს ნუ წინასწარ ჟამისა რას განიკითხავთ, ვიდრემდის მოვიდეს უფალი, რომელმანცა განანათლოს დაფარული იგი ბნელისა, და განაცხადნეს ზრახუანი იგი გულთანი, და მაშინ ქება იყოს კაცად-კაცადისა ღმრთისა მიერ.

6. ხოლო ესე, ძმანო, სახედ დავიდევ თავისა ჩემისა და აპოლოჲსა თქუენთჳს, რათა ჩუენ მიერ ისწავოთ არა უფროჲს წერილისა მის ზრახუად, რათა არა ერთი ერთსა ზედა განლაღნეთ მოყუსისა-თჳს.

7. რამეთუ ვინ განგიკითხავს შენ? ანუ რა გაქუს, რომელი არა მიგიღებიეს? ხოლო უკეთუ მიგიღებიეს, რასა იქადი, ვითარცა არა მიღებულსა?

8. აწვე განმაძღარ-ხართ და აწვე განმჰსდიდრდით, და თჳნიერ ჩუენსა ჰსუფევდით. და თუმცა ჰსუფევდით, რათა ჩუენცა თქუენთანა ვჰსუფევდეთ!

9. რამეთუ ვჰგონებ, პირველად ღმერთმან ჩუენ მოციქულნი უკანასკნელად გამოგუაჩინა, ვითარ-

ცა სასიკუდილინი; რამეთუ სახილველ-ვიქმნენით სოფლისა და ანგელოსთა და კაცთა.

10. ჩუჱნ სულელ ქრისტესთჳს, ხოლო თქუჱნ ბრძენ ქრისტეს მიერ; ჩუჱნ უძლურ, ხოლო თქუჱნ ძლიერ; თქუჱნ დიდებულ, ხოლო ჩუჱნ გინებულ.

11. ვიდრე აქა ჟამადმდე გუშივისცა და გუწყურისცა, და შიშუჱლ-ვართ, და ვიქენჯნებით, და განუსუჱნებელ-ვართ, და ვჰშურებით,

12. რამეთუ ვიქმთ ჴელითა ჩუჱნითა. მაგინებელთა ჩუჱნთა ვაკურთხევთ; ვიდევნებით და თავს ვიდებთ;

13. მგმობართა ჩუჱნთა ულოცავთ; ვითარცა ნარჩევნი სოფლისანი შევიქმნენით ყოველთა ნასახურ მოაქამდე.

14. არა საკდემელად თქუჱნდა მივჰსწერ ამას, არამედ ვითარცა შვილთა ჩემთა საყუარელთა გასწავებ.

15. რამეთუ დაღათუ ბევრ-მზარდულ გესხნენ ქრისტეს მიერ, არამედ არა მრავალ მამა; რამეთუ ქრისტე იესოს მიერ სახარებისა მისგან მე გშუჱნ თქუჱნ.

16. ვლოცავ თქუჱნ: მობაძავ ჩემდა იყუჱნით, ვითარცა მე ქრისტესა.

17. ამისთჳს მივავლინე თქუჱნდა ტიმოთე, რომელ-არს შვილი ჩემი საყუარელი და სარწმუნოჲ უფლისა მიერ, რომელმან მოგახსენნეს თქუჱნ გზანი ჩემნი ქრისტეს მიერ, ვითარცა იგი ყოველთა ადგილთა, ყოველთა ეკკლესიათა ვასწავებ;

18. რათა არა მოსლუასა მას ჩემსა თქუჱნდა განვიეთნიმელაღნეს;

19. ხოლო მოვიდე ადრე თქუჱნდა, უფალსა თუ უნდეს, და ვჰსცნა არა სიტყუა იგი განლაღებულთა მათ, არამედ ძალი.

20. რამეთუ არა სიტყჳთ არს სასუფეველი ღმრთისა, არამედ ძალითა.

21. რა გნებავს? კუჱრთხითა მოვიდე თქუჱნდა, ანუ სიყუარულითა და სულითა მშჳდობისათა?

## თავი 5.

1. ყოვლადვე ისმის, რასა თქუჱნ შორის სიძუა და ეგე-გითარი სიძუა, რომელ არცა თუ წარმართთა შორის სახელ-ედების, ვითარმცა მამის ცოლი ვისმე ცოლად ესუა.

2. და თქუჱნ განლაღებულ-ხართ, და არა უფრო სად იგლოვეთ, რათა მოისპოს თქუჱნ შორის, რომელმან საქმეჲ ესე ჰქმნა?

3. რამეთუ მე შორსლა თუ ვარ კორცითა, ხოლო მახლობელ სულითა, და აწ ეგრეთ შემირაცხიეს, ვითარმცა მანდა მეოფსა ეგე-ვითარისა მისთჳს, რომელმან საქმე იგი ჰქმნა.

4. სახელითა უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესითა, შეკრებასა

სულისა ჩემისა და თქუჱნისასა, მალითურთ უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესითა.

5. მიცემად ეგე-ვითარი იგი ეშმაკსა სატანჯუჱლად ჴორცითა, რათა სული ჰსცხოვნდეს დღესა მას უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესსა.

6. არა კეთილ-არს სიქადული ეგე თქუჱნი. არა უწყითა, რამეთუ მცირემან ცომმან ყოველივე შესუარული აღაფუვნის?

7. განჰსწმიდეთ უკუჱ ძუჱლი იგი ცომი, რათა იყუნეთ ახალ თბე, ვითარცა ეგე ხართ უცომო, რამეთუ ზატიკად ჩუჱნდა, ჩუჱნ-თჳს დაიკლა ქრისტე.

8. რათა ვზატიკობდეთ არა ცომითა მით ძუჱლითა, არცა ცომითა მით სიბოროტისა და უკეთურებისათა, არამედ უცომოე-ბითა მით სიმართლისა და ჭეშმა-რიტებისათა.

9. მოვჰსწერე თქუჱნდა წიგნ-სა ამას შინა, ნუ-თანა აღერევით მეძავთა;

10. და არათუ ყოველთა მე-ძავთა ამის სოფლისათა, გინა ანგაართა, გინა მტაცებელთა, გი-ნა კერპთ-მსახურთა, უკეთუ არა თანა-გაძს-სამე სოფლით გამოს-ლუაჲ.

11. ხოლო აწ მივჰსწერე თქუჱნ-და, ნუ-თანა აღერევით, უკეთუ ვინმე ძმაჲ სახელ-დებულ იყოს მეძავ, ანუ ანგარ, გინა კერპთ-მსახურ; გინა მაგინებელ, გინა მომთრვალე, ანუ მტაცებელ; ესე ვითარისა მის-თანა არცაღა ჭა-მად.

12. რამეთუ რა ჰსმეს ჩემი და გარეშეთა მათ განკითხუაჲ? ანუ არა შინაგანნი იგი თქუჱნ განი-კითხნეთა?

13. ხოლო გარეშენი იგი ღმერთმან განიკითხნეს. და მოჰს-პოთ უკეთური იგი შორის თქუჱნ-სა.

## თ ა ვ ი 6.

1. იკადროს-მე ვინ თქუჱნ შო-რის, რომელსამცა საქმე აქუნდა მოყუსისა მიმართ, განჰსჯად ცრუ-თა წინაშე, და არა უფროჲსღა წმიდათა წინაშე?

2. არა უწყითა, რამეთუ წმი-დათა სოფელი განიკითხონ? და უკეთუ თქუჱნგან განიკითხჳს სოფელი; არა ჰღირთ სამსჯავ-როჲსა მის საწუნელისა?

3. არა უწყითა, რამეთუ ან-გელოსნი განვიკითხენით, ნუ უკუჱ ამის სოფლისაცა?

4. უკეთუ ამის სოფლისა სამ-ჯავროჲ რაჲმე გაქუნდეს, შეუ-რაცხნი იგი კრებულსა შორის, ესენი დაჰსხენით.

5. საკდემელად თქუჱნდა გეტ-ყჳ: ეგოდენ არა-ვინ-არს თქუჱნ შორის ბრძენ, რომელმანცა შეუძ-ლო განკითხუად შორის ძმისა თჳსისა?

6. არამედ ძმაჲ ძმისა-თანა გა-ნისჯების, და ესე ურწმუნოთა წი-ნაშე.

7. აწ უკუჱ ყოვლითურთ მლე-

უღლება არს თქუენდა ესე, რამეთუ სასჯელი გიძს ურთიერთარს. რაჲსათჳს არა უფროსად თქუენ გევნების? რაჲსათჳს არა უფროსად თქუენ მიგეხუეჭების.

8. არამედ თქუენ ავნებთ და მოჰხუეჭთ, და ამას ძმათა.

9. ანუ არა უწყითა, რამეთუ ცრუთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკჳდრონ? ნუ ჰსცთებით: არცა მეძავთა, არცა კერპთ-მსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათ-მავალთა, არცა ანგართა,

10. არცა მპარავთა, არცა მომთრვალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა, სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკჳდრონ.

11. და ესრეთ ოდესმე იყუენით: არამედ განიბანენით, არამედ განიწმიდენით, არამედ განმართლდით სახელითა უფლისა იესოსითა და სულითა ღმრთისა ჩუენისათა.

12. ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს-არს; ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ მე არა ვისსა კელმწიფებასა დავემორჩილო.

13. საზრდელი მუცლისათჳს, და მუცელი საზრდელისათჳს; ხოლო ღმერთმან იგიცა და ესეცა განაქარვოს; ხოლო კორცნი ესე არა სიძვისათჳს, არამედ უფლისათჳს, და უფალი კორცთათჳს.

14. ხოლო ღმერთმან უფალიცა აღადგინა, და ჩუენცა აღმადგინნეს ძალითა თჳსითა.

15. არა უწყითა, რამეთუ ხორცნი ეგე თქუენნი ასონი ქრისტესნი არიან? აღუგუე ვისუნეა ასონი იგი ქრისტესნი, და ვჰყუნე ასო მეძვის? ნუ იყოფინ!

16. არა უწყითა, რამეთუ რომელი შეეყოს მეძავსა ერთ-ხორც-არიან; რამეთუ იტყჳს: იყუნენ ორნივე ერთ-ხორც,

17. ხოლო რომელი შეეყოს უფალსა ერთ-სულ-არს უფლისა თანა.

18. ევლტოდეთ სიძუასა: ყოველი ცოდუა, რომელი ჰქმნეს კაცმან, გარეშე კორცთა არს; ხოლო რომელი ისიძჳდეს, თჳსთა მიმართ კორცთა ჰსცოდავს.

19. არა უწყითა, რამეთუ კორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელ ეგე გაქუს ღმრთისაგან, და არა ხართ თჳსთა თავთანი?

20. რამეთუ სასყიდლით სყიდულ ხართ.

21. ადიდეთ უკუე ღმერთი ხორცითა მაგით თქუენითა და სულითა მაგით თქუენითა, რომელი იგი არს ღმრთისა.

თ ა ვ ი 7.

1. ხოლო რომლისათჳს იგი მომჰსწერეთ ჩემდა, უმჯობეს-არს კაცისა დედაკაცისა შევეარახება.

2. ხოლო სიძჳსათჳს, კაცად კაცადსა თჳსი ცოლი ესჳნ, და თჳთეულსა თჳსი ქმარი ესჳნ.

3. ცოლსა ქმარი იგი თანა-

ნადებსა პატივსა მიჰსცემდინ; ეგ-
რეცა ცოლი ქმარსა.
4. ცოლი თჳსთა ჴორცთა ზე-
და არა უფალ-არს, არამედ ქმარი;
ეგრეთცა და ქმარიცა თჳსთა
ჴორცთა ზედა არა უფალ-არს,
არამედ ცოლი.
5. ნუ განეშორებით ურთი-
ერთსა, გარნა თუ შეთქმით რაჲ-
მე, ჟამ-რავდენმე, რათა მოიცა-
ლოთ ლოცჳსად და მარხჳსად, და
კჳალად ურთიერთარსვე იყჳენით,
რათა არა განგცადნეს თქჳენ ეშ-
მაკმან უთმინოებითა თქჳენითა.
6. ხოლო ამას ვიტყჳ შენდო-
ბით, არათუ ბრძანებით.
7. რამეთუ მნებავს, ყოვლი-
სა კაცისა ყოფად, ვითარცა თავი
ჩემი, არამედ კაცად-კაცადსა თჳსი
მადლი აქჳს ღმრთისაგან, რო-
მელსა-მე ესრეთ, და რომელსა-მე
ეგრეთ.
8. ვეტყჳ უქორწინებელთა მათ
და ქჳრივთა: კეთილ-არს მათდა უკე-
თუ ეგნენ ესრეთ, ვითარცა მე.
9. ხოლო უკეთუ ვერ დაითმე-
ნენ, იქორწინნედ; რამეთუ უმ-
ჯობეს-არს ქორწინება, ვიდრე
განკურვება.
10. ხოლო ქორწინებულთა
მათ ვამცნებ არა მე, არამედ უფა-
ლი: ცოლსა ქმრისაგან არა გან-
შორებად.
11. ხოლო უკეთუ განეშო-
როს, ეგენ უქორწინებელად, გი-
ნა ქმარსავე დაეგენ; და ქმარი
ცოლსა ნუ დაუტევებნ.
12. ხოლო სხჳათა მათ ვეტ-
ყჳ მე, არა უფალი: უკეთუ ძმასა
ვისმე ესჳას ცოლი ურწმუნო, და
მას ჯერ-უჩნდეს ყოფაჲ მის თა-
ნა, ნუ დაუტეობნ ცოლსა მას.
13. და დედაკაცსა თუ ესჳას
ქმარი ურწმუნო, და მას ჯერ-
უჩნდეს ყოფაჲ მისთანა, ნუ და-
უტევებნ ქმარსა მას.
14. რამეთუ განწმიდნების
ქმარი იგი ურწმუნო ცოლისა
მისგან მორწმუნისა, და განწმი-
დნების ცოლი იგი ურწმუნო
ქმრისა მისგან მორწმუნისა. უკე-
თუ არა, შჳლნიმცა თქჳენნი არა-
წმიდა იყჳნეს, ხოლო აწ წმიდა
არიან.
15. ხოლო უკეთუ ურწმუნო
იგი განეყენებოდეს, განეყენენ;
არა დამონებულ-არს ძმა იგი გინა
დაჲ იგი ესე-ვითარითა მით; რა-
მეთუ მშჳდობასა გჳწოდნა ჩჳენ
ღმერთმან.
16. რამეთუ რა იცი, დედა-
კაცო, აცხოვნო თუ ქმარი შენი?
ანუ შენ რა იცი, მამა-კაცო, აც-
ხოვნო თუ ცოლი შენი? არამედ
კაცად-კაცადსა, ვითარცა განუყო
ღმერთმან,
17. და კაცად-კაცადი, ვითარ-
ცა იჩინა უფალმან, ეგრეცა ვი-
დოდენ. და ესრეთვე ყოველთა
ეკკლესიათა უბრძანებ.
18. წინა-დაცჳეთილი თუ
ვინმე იჩინა, ნუ იურვინ; წინა-
დაუცჳეთელი თუ ვინმე იჩინა,
ნუ წინა-დაიცჳეთნ.
19. წინა-დაცჳეთილება არა
რაჲ არს და წინა-დაუცჳეთილება
არა-რაჲვე არს, არამედ დამარხვა
მცნებათა ღმრთისათა.

20. კაცად-კაცადი ჩინებითა
მით, რომლითაცა იჩინა, მას
ზედაცა ეგენ.
21. მონაჲ თუ იჩინე, ნუ რა
გეურვების; არამედ დაღათუ ძალ-
გედჳას განთავისუფლებად, უფ-
როჲსღა იჴმიე.
22. რამეთუ, რომელი უფ-
ლისა მიერ იჩინოს მონაჲ, უფ-
ლისა მიერ განთავის-უფლებულ
არს; ეგრეცა აზნაური, რომელი
იჩინოს, მონა არს ქრისტესი.
23. სასყიდლით სყიდულ ხართ;
ნუ იქმნებით მონა კაცთა.
24. კაცად-კაცადი, რომლითა-
ცა იჩინა, ძმანო, მას ზედაცა
ეგენ ღმრთისა მიერ.
25. ხოლო ქალწულთათჳს
ბრძანება უფლისა მიერ არა
მაქჳს, ხოლო ვაზრახებ, ვითარ-
ცა შეწყალებული უფლისა მიერ,
სარწმუნო-ყოფილ.
26. მე ეგრე ვჰგონებ, ვითარ-
მედ ესე კეთილ-არს მოწევნული-
სა მისთჳს ურვისა, რამეთუ უმ-
ჯობეს არს კაცისა ესრეთ თუ
იყოს.
27. შეთუყოფილ-ხარ ცოლსა?
ნუ განუტევებ. თავის-უფალ თუ
ხარ ცოლისაგან? ნუ ეძიებ ცოლ-
სა. იქორწინე თუ? არა ჰსცოდე.
28. და თუ იქორწინოს, ქორ-
წილი არა სცოდა; ჭირი კორც-
თა თავს-იდჳან ეგე ვითართა
მათ; ხოლო მე თქჳენ გერი-
დები.
29. ხოლო ამას გეტყჳ, ძმა-
ნო, ჟამი ესე შემოკლებულ-არს
ამიერითგან; და რათა რომელთა
ესხნენ ცოლ ესრეთ იყჳნენ, ვი-
თარმცა არა ესხნეს.
30. და რომელნი ჰსტირო-
დენ, ვითარმცა არა ჰსტიროდეს;
და რომელთა უხაროდეს, ვითარ-
მცა არა უხარის; და რომელნი
იყიდდენ, ვითარმცა არა აქჳნდა;
31. და რომელნი იმსახურებ-
დენ სოფელსა ამას, ვითარმცა
არა იმსახურებენ; რამეთუ წარ-
ვალს სახე ამის სოფლისა.
32. და მნებავს თქჳენი, რა-
თა უზრუნველ-იყჳნეთ. უქორ-
წინებელი იგი ჰზრუნავს უფლი-
სასა, ვითარ მი სათნო-ეყოს
უფალსა;
33. ხოლო ქორწინებელი
ჰზრუნავს სოფლისასა, ვითარ მი
სათნო-ეყოს ცოლსა. განყოფილ-
არს დედა-კაციცა იგი და ქალ-
წული.
34. უქორწინებელი იგი ჰზრუ-
ნავს უფლისასა, რათა იყოს წმი-
და კორცითაცა და სულითაცა;
ხოლო ქორწინებელი ჰზრუნავს
სოფლისასა, ვითარ მი სათნო-
ეყოს ქმარსა.
35. ხოლო ამას თქჳენისა
უმჯობესისათჳს ვიტყჳ, არა, რა-
თა სათრკე დაგიგო თქჳენ, არა-
მედ შჳენიერად და კეთილად და-
დგომად უფლისა მიმართ უზ
რუნველად.
36. უკეთუ ვისმე სარცხჳნელ-
უჩნდეს ქალწულება თჳსი, იყოს
თუ გარდასრულ, და ეგრეთ ჯერ-
უჩნდეს ყოფად; რომელი უნდეს
ჰყავნ; არა ჰსცოდავს; იქორწინ-
ნედ.

37. ხოლო რომლისასა დამტკიცებულ-არს გულსა მისსა მტკიცედ, და არა აქუს ურვაჲ და ჴელმწიფებაჲ აქუს თჳსსა ნებასა ზედა, და ესე განაჩინა გულსა შინა თჳსსა დამარხუად თჳსი ქალწულებაჲ; კეთილად ჰყოფს.

38. და რომელმან იქორწინოს თჳსი იგი ქალწულებაჲ კეთილად ჰყოფს; ხოლო რომელმან არა იქორწინოს უმჯობესსა ჰყოფს.

39. დედაკაცი შეკრულ-არს ჰსჯულითა, რავდენ-ჟამ ცოცხალ-არს ქმარი მისი; ხოლო უკეთუ მოკუდეს ქმარი იგი, თავის-უფალ-არს, უნდეს თუ ქორწინებაჲ, გარნა ხოლო უფლისა მიერ.

40. ხოლო უსანატრელეს-არს, უკეთუ ეგრეთ დაადგრეს ზრახებისა ჩემისაებრ; ვჰგონებ, ვითარმედ სული ღმრთისა მაქუს მე.

## თ ა ვ ი 8.

1. ხოლო კერპთ-ნაზორევთა მათ თჳს ვიცით, რამეთუ ყოველთა მეცნიერებაჲ გუაქუს; მეცნიერება განალაღებს, ხოლო სიყუარული აღაშენებს.

2. უკეთუ ვისმე ჰგონიეს, ვითარმედ იცის რაჲმე, არღა სადა უცნობიეს, ვითარ იგი ჯერ-არს ცნობაჲ.

3. ხოლო რომელსა უყუარს ღმერთი, იგი ცნობილ-არს მის მიერ.

4. ხოლო ჭამისათჳს ნაკერპავთასა უწყით, რამეთუ არა რა არს კერპ სოფელსა შინა, და ვითარმედ არავინ-არს ღმერთი სხუა, გარნა მხოლო იგი ერთი ღმერთი.

5. რამეთუ დაღაცათუ არიან რაჲმე სახელ-დებულ ღმერთნი, გინათუ ცათა შინა, გინათუ ქუეყანასა ზედა, ვითარცა არიან ღმერთნი მრავალ და უფალნი მრავალ.

6. არამედ ჩუენდა ერთ-არს ღმერთი მამა, რომლისაგან არს ყოველი, და ჩუენ მისა მიმართ, და ერთ-არს უფალი იესო ქრისტე, რომლისა მიერ ყოველი. და ჩუენ მის მიერ.

7. არამედ არა ყოველთა თანა არს მეცნიერებაჲ; ხოლო რომელნიმე იჭჳთ; ვიდრე აქამომდე კერპთასა მას, ვითარცა ნაკერპავსა ჰსჭამენ, და გონება იგი მათი უძლური, შეიგინების.

8. ხოლო საჭმელმან ჩუენ არა წარგუადგინნეს ღმრთისა; რამეთუ დაღათუ ვჰსჭამოთ, არა გუემატოს; და არა თუ ვჰსჭამოთ, არა დაგუაკლდეს.

9. ხოლო ეკრძალენით, ნუ უკუე ჴელმწიფებაჲ ეგე თქუენი დაბრკოლებაჲ ექმნეს უძლურთა მათ.

10. რამეთუ უკეთუ ვინმე გიხილოს შენ, რომელსა გაქუს მეცნიერებაჲ, საკერპოსა შინა ინაკით მჯდომარე; არამეა გონება იგი, უძლურისა მის, აღაშენოს ნაკერპავისა მის ჭამად?

11. და წარჰსწყმდეს ძმა იგი უძლური შენითა მით მეცნიერებითა, რომლისათჳს ქრისტე მოკუდა.

12. ესრეთ რა ჰსცოდჳდეთ ძმათა მიმართ, და ჰგუემდეთ

გონებასა მათსა უძლურსა, ქრის-
ტეს მიმართ ჰსცოდავთ.

13. ამისთჳსცა, უკეთუ საჭმე-
ლი დააბრკოლებდეს ძმასა ჩემსა,
არა ვჰსჭამო ჴორცი უკუნისამდე,
რათა არა ძმაჲ ჩემი დავაბრკოლო.

## თ ა ვ ი 9.

1. არა ვარა მოციქულ? არა
ვარა აზნაურ? ანუ არა უფალი
ჩუენი იესო ქრისტე თუალითა
ვიხილე? ანუ არა ნამუშაკევნი
ჩემნი თქუენ ხართ უფლისა
მიერ?

2. სხუათადა თუ არა ვარ
მოციქულ, არამედ თქუენდა ხოლო
ვარ;

3. რამეთუ ბეჭედნი ჩემისა
მოციქულებისანი თქუენ ხართ
უფლისა მიერ.

4. ჩემი სიტყჳს გება ჩემთა
მათ განმკითხუელთა ესე არს.

5. არა ნუ გუაქუს ჴელმწიფე-
ბაჲ ჭამად და სუმად.

6. არა ნუ გუაქუს ჴელმწიფე-
ბაჲ დათა მათ დედათა მიმოყუა-
ნებად, ვითარცა სხუათა მათ
მოციქულთა და ძმათა უფლისათა,
და კეფასს.

7. ანუ მე ხოლო და ბარნაბას
არა გუაქუს ფლობაჲ საქმედ?

8. ვინმე სადა საგრობნ თჳსი-
თა საგზლითა? ვინ დაასხის ვენა-
ჴი და ნაყოფისა მისგან არა
ჰსჭამის? ანუ ვინ ჰმწყსის სამწყსო-
სა და სძისა მისგან სამწყსოთასა
არა ჰსჭამის?

9. ანუ კაცობრივ მე ნუ ვიტ-
ყჳ ამას? ანუ არა ჰსჯულიცა
ამასვე იტყჳსა?

10. რამეთუ ჰსჯულსა მოსეს-
სა წერილ-არს: არა შეუკრა პირი
ჴარსა მლეწველსა. ნუ უკუე ჴარ-
თა რამე ეურვებოდა ღმერთსა?

11. არამედ ჩუენ ყოველთა-
თჳს სამე იტყჳს, რამეთუ ჩუენ-
თჳს დაიწერა; რამეთუ სასოებით
თანა-აძს ხნვაჲ, მხნველსა მას,
და რომელი იგი ჰლეწავნ, სასოე-
ბითა მითვე შეკრებაჲ სასოებით.

12. უკეთუ ჩუენ სულიერი
დავჰსთესეთ თქუენ შორის, დიდ-
მე რა არსა თქუენგან, თუ ხორ-
ციელი მოვიმკოთ ჩუენ?

13. უკეთუ სხუანი ჴელმწი-
ფებისაგან თქუენისა მიიღებენ,
არამე უფროჲსღა ჩუენსა? არა-
მედ არა ვინებეთ ჴელმწიფებაჲ
ესე, რამეთუ ყოველსავე დავით-
მენთ, რათა არა დაბრკოლებაჲ
რაჲმე ვჰსცეთ სახარებასა მას
ქრისტესსა.

14. არა უწყითა, რამეთუ რო-
მელნი იგი ბაგინსა ჰმსახურებენ
ბაგინისაგან ჰსჭამიან? და რომელ-
ნი საკურთხეველსა წინაშე ჰსდგა-
ნედ საკურთხეველისაგან ნაწილი
განიდიან?

15. ეგრეცა უფალმან ჰბრძანა,
რომელნი იგი სახარებასა მიუთ-
ხრობენ სახარებისაგან ცხოვრე-
ბაჲ.

16. ხოლო მე არა რაჲ ვიკ-
მიე ამათგანი და არა ამისთჳს
მივჰსწერე ესე, რათა ესრეთ იყოს
ჩემდა მომართ. რამეთუ უმჯო-
ბეს არს ჩემდა სიკუდილი, უფ-

როს ვიდრედა სიქადული ჩემი, და თუ ვინმე აცუდოს იგი.

17. რამეთუ ვახარებ თუ, არა არს ჩემდა სიქადულ; რამეთუ უნებელი ზედა მაძს მე, და ვაჲ არს ჩემდა, არა თუ ვახარებდე!

18. რამეთუ ნებსით თუ ვიქმ ამას, სასყიდელი მაქუს; ხოლო უკეთუ უნებლიეთ, სამწოჲ რწმუნებელ-არს ჩემდა.

19. რაჲმე უკუე არს სასყიდელი ჩემი? რათა ვახარებდე, რათა უსასყიდლოდ ვახარებდე სახარებასა მას ქრისტესსა, რათა არა რაჲ ვიმსახურო ჴელმწიფებითა ჩემითა სახარებასა მას შინა ჩემსა.

20. რამეთუ თავისუფალ ვიყავ ყოველთაგან და ყოველთა თავი ჩემი დავამონე, რათა უმრავლესნი შევიძინნე.

21. ვიქმენ ჰურიათა თანა, ვითარცა ჰურია, რათა ჰურიანი შევიძინნე; ჰსჯულსა-ქუეშე მყოფთა თანა, ვითარცა ჰსჯულსა-ქუეშე მყოფი, რათა ჰსჯულსა-ქუეშე მყოფნი შევიძინნე.

22. უსჯულოთა თანა, ვითარცა უსჯულოჲ, არა უსჯულო ვიყავ ღმრთისა, არამედ ჰსჯულიერ ქრისტესი, რათა უჰსჯულონი შევიძინნე.

23. ვიქმენ უძლურთა მათ თანა, ვითარცა უძლური, რათა უძლურნი იგი შევიძინნე. ყოველთა ვექმენ ყოვლად, რათა ყოველნი ვაცხოვნნე.

24. ხოლო ამას ვიქმ სახარებისა მისთჳს, რათა თანა ზიარ მისსა ვიქმნე.

25. არა უწყითა, რამეთუ რომელნი იგი ასპარეზსა მას შინა ჰრბიედ, ყოველნივე ჰრბიედ, ხოლო ერთმან მიიღის ნიჭი? ესრეთ ჰრბიოდეთ, რათა ეწინეთ.

26. ხოლო ყოველივე იგი მოღუაწე ყოველსავე მოითმენნ; იგინი უკუე სამე, რათა განხრწნადი გჳრგჳნი მოიღონ, ხოლო ჩუენ უხრწნელი.

27. მე უკუე აწ ესრეთ ვჰრბი, ვითარცა არა უჩინოდ, ესრეთ ვიჭირვი, ვითარცა არა ჰაერსა ვჰსცემ;

28. არამედ აღვიკრძალავ ჴორცთა ჩემთა, და დავიმონებ, ნუ უკუე სხუათა უქადაგებდე და მე გამოუცდელ ვიყო.

## თავი 10.

1. არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, რამეთუ მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყუნეს და ყოველნი ზღუასა განჰკდეს;

2. და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-იღეს ღრუბლითა მით და ზღჳთა;

3. და ყოველთა იგივე საზრდელი სულიერი ჰსჭამეს;

4. და ყოველთა იგივე სასუმელი სულიერი ჰსუეს; რამეთუ ჰსუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა; ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე.

5. არამედ არა მრავალნი მათ-

განნი სათნო-იყუნა ღმერთმან; რამეთუ დაეცნეს იგინი უდაბნოსა ზედა.

6. და ესენი სახე ჩუენდა იქმნნეს, რათა არა ვიყუნეთ ჩუენ გულის-მთქმელ ბოროტისა, ვითარცა იგი მათ გული-უთქმიდა.

7. ნუცა კერპთ-მსახურ-იქმნებით, ვითარცა იგი მათგანნი ვინმე, ვითარცა წერილ-არს: დასხდა ერი იგი ჭამად და სუმად, და აღსდგეს სიმღერად.

8. ნუცა ვისიძავთ, ვითარცა იგი ვიეთმე მათგანთა ისიძვეს, და დაეცნეს ერთსა შინა დღესა ოცდა-სამი-ათასი.

9. ნუცა განვჰსცდით ქრისტესა, ვითარცა იგი მათგანთა ვიეთმე გამოჰსცადეს, და გუელთა მიერ წარჰსწყმდეს.

10. ნუცა ჰსდრტჳნავთ, ვითარცა იგი მათგანნი ვინმე ჰსდრტჳნვიდეს, და წარჰსწყმდეს მომსრველისა მისგან.

11. ესე ყოველნი სახენი შეემთხუეოდეს მათ; ხოლო დაიწერა სამოძღურებელად ჩუენდა, რომელთა ზედა აღსასრული ჟამთა მოიწია.

12. ამიერითგან, რომელი ჰგონებდეს დგომასა, ეკრძალენ, ნუ უკუე დაეცეს.

13. განსაცდელი თქუენ არა შეგემთხვივა, გარნა კაცობრივ; ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქუენ განცდად უფროჲს ძალისა თქუენისა, არამედ ჰყოს განსაცდელისა თანა გამოყვანებაჲცა, რათა შეუძლოთ დათმენად.

14. აწ უკუე, საყუარელნო ჩემნო, ივლტოდეთ კერპთ-მსახურებისაგან.

15. ვითარცა ბრძენთა გეტყჳ თქუენ; განიკითხეთ, რომელსა ესე გეტყჳ თქუენ.

16. სასმელი ესე კურთხევისა, რომელი ვაკურთხევთ, არამე ზიარება სისხლთა ქრისტესთა არსა? პურსა ამას, რომელსა განვჰსტეხთ, არამე ზიარება ჴორცთა ქრისტესთა არსა?

17. რამეთუ ერთ პურ, და ერთ ჴორც ჩუენ მრავალნი ესე ვართ, რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს.

18. იხილეთღა ისრაილი ჴორციელად: ანუ არა, რომელნი იგი ჭამენ შესაწირავთა მათ, ზიარ საკურთხეველისა მის არიან?

19. რასა უკუე ვიტყჳ ამას? ვითარმედ კერპი იგი რაჲ არს, ანუ ნაგები იგი რაჲ არს?

20. არამედ, ვითარმედ რომელსა იგი უგებენ წარმართნი, ეშმაკთა უგებენ, და არა ღმერთსა. ხოლო მე არა მნებავს, თქუენი ეშმაკთა ზიარებაჲ.

21. ვერ კელეწიფების სასუმელი უფლისა სუმად და სასუმელი ეშმაკთა; ვერ კელეწიფების ტაბლასა უფლისასა ზიარებაჲ და ტაბლასა ეშმაკთასა.

22. ანუ ვაშურებთმეა უფალსა! ნუ უკუე უძლიერეს მისსა ვართ?

23. ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს-არს; ყოველივე ჯერ-არს ჩემდა, არამედ არა ყოველი აღმაშენებელ არს.
24. ნუ ვინ თავისსა ხოლო ეძიებნ, არამედ მოყუსისასაცა თჳთოეული.
25. ყოველი, რომელი სამზარეულოს ისყიდებოდეს, ჰსჭამეთ, და ნურას განიკითხავთ იჭჳსათჳს;
26. რამეთუ უფლისა არს ქუეყანა, და სავსება მისი.
27. ხოლო უკეთუ ვინმე გხადის თქუენ ურწმუნოთაგანი, და გნებავს მისლუაჲ; ყოველივე წინადაგებული თქუენი ჰსჭამეთ, და ნურა-რას განიკითხავთ იჭჳსათჳს.
28. ხოლო უკეთუ ვინმე გითხრას თქუენ, ვითარმედ ესე ნაკერპავი არს; ნუ ჰსჭამთ მის მაუწყებელისათჳს, და იჭჳსა, რამეთუ უფლისა არს ქუეყანა, და სავსება მისი.
29. იჭუსა მას ვიტყჳ, არა თავისა თჳსისასა, არამედ მოყუსისასა; რამეთუ რაჲსათჳს აზნაურებაჲ ჩემი განიკითხჳს სხვისა იჭჳსაგან?
30. უკეთუ მე მადლობით ვჰსჭამ, რაჲსათჳს ვიგმობვი, რომლისათჳს იგი მე ვჰმადლობ?
31. გინათუ ჰსჭამდეთ, გინათუ ჰსუმიდეთ, გინათუ რასაცა იქმოდეთ, ყოვლსავე სადიდებელად ღმრთისა იქმოდეთ.
32. დაუბრკოლებელ-იყუენით ურიათა მიმართ და წარმართთა, და ეკკლესიათა ღმრთისათა.
33. ვითარცა მე ყოვლითავე ყოველთა სათნო-ვეყოფვი, რამეთუ არა ვეძიებ თავისა ჩემისა უმჯობესსა, არამედ მრავალთასა, რათა ჰსცხოვნდენ.

## თავი 11.

1. მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესა.
2. ხოლო გაქებ თქუენ, ძმანო, რამეთუ ჩემი ყოველივე გახსოვს, და ვითარცა იგი მიგეც თქუენ მოძღურებაჲ, იგი შეიკრძალეთ.
3. და მნებავს თქუენი უწყებაჲ, რამეთუ ყოვლისა მამაკაცისა თავ ქრისტე არს; ხოლო თავ დედაკაცისა ქმარი; და თავ ქრისტესა ღმერთი.
4. ყოველი მამაკაცი, რომელი ილოცვიდეს გინათუ წინასწარმეტყუელებდეს თავ დაბურვილად, არცხუენს თავსა თჳსსა.
5. და ყოველივე დედაკაცი, რომელი ილოცვიდეს გინა წინასწარ-მეტყუელებდეს თავ დაუბურველად, არცხუენს იგი თავსა თჳსსა; რამეთუ ერთ-არს, და იგივე არს დაყუენილიცა იგი.
6. რამეთუ უკეთუ არა დაიბურავს დედაკაცი იგი, დაიკუეცენცა; ხოლო უკეთუ სამაგულ არს დედაკაცისა კუეცაჲ გინა დაყუენა, დაიბურენ მას.
7. მამაკაცისა უკუე არა ჯერ-არს დაბურვაჲ თავისა, რამეთუ ხატი და დიდება ღმრთისა არს;

ხოლო დედაკაცი დიდება ქმრისა
არს.

8. რამეთუ არა არს მამაკაცი
დედაკაცისაგან, არამედ დედაკაცი
მამაკაცისაგან;

9. და რამეთუ არა დაიბადა
მამაკაცი დედაკაცისათჳს, არამედ
დედაკაცი მამაკაცისათჳს.

10. ამისთჳს ჯერ-არს დედა-
კაცისა, რათა ფლობაჲ აქუნდეს
თავსა თჳსსა ზედა ანგელოსთა-
თჳს.

11. ხოლო არცა მამაკაცი
თჳნიერ დედაკაცისა, არცა დედა-
კაცი თჳნიერ მამაკაცისა, უფლი-
სა მიერ.

12. რამეთუ ვითარცა იგი
დედაკაცი ქმრისაგან არს, ეგრეცა
ქმარი ცოლისაგან; ხოლო ყოვე-
ლივე ღმრთისაგან არს.

13. თჳთ თქუენ შორისდა
განიკითხეთ ესე, ჰშუენისა დედა-
კაცსა დაუბურველად წინაშე
ღმრთისა ლოცუაჲ?

14. არცადა თჳთ იგი ბუნე-
ბა გასწავებს თქუენ, რამეთუ
მამაკაცმან თუ გარდაუტეოს თმაჲ
გრძელად, უშუერება არს მისა;

15. ხოლო დედაკაცმან თუ
გარდაუტეოს, დიდება არს მისა;
რამეთუ თმა იგი სამკაულად მოე-
ცა მას.

16. ხოლო უკეთუ ვისმე ცი-
ლობის ჰნებავს, ჩუენ ეგე ვი-
თარი ჩუეულებაჲ არა გუაქუს,
არცა ეკკლესიათა ღმრთისათა.

17. ამას რა გამცნებ, არა
გაქებ, რამეთუ არა უმჯობესად,
არამედ უნაკლულევანესად შეჰკრბე-
ბით პირველად უკუე;

18. რამეთუ შეკრებასა მას
თქუენსა ეკკლესიად, მესმის, ვი-
თარმედ წუალება არიან თქუენ
შორის; და ზოგსრამე მრწამს.

19. რამეთუ წუალებაცა უო-
ფად-არიან თქუენ შორის, რათა
რჩეულნი იგი თქუენ შორის
გამოჰსჩნდენ.

20. შეკრებასა მას უკუე თქუენ-
სა ერთად, არა არს ეკკლესია
პურის საჭმელ.

21. რამეთუ კაცად კაცადმან
თჳსი იგი სერი წინასწარ წარი-
ღის ჭამად, და რომელსამე ჰშიიან,
და რომელსამე ჰსთრავნ.

22. ნუ უკუე სახლებ არა
გიდგსა ჭამად და სუმად? ანუ ეკ-
კლესიასა ღმრთისასა შეურაცხ-
ჰყოფთ, და არცხუენთ მათ, რო-
მელთა არა რაჲ აქუს? რაჲმე
გრქუა თქუენ? გაქებდეა ამისთჳს?
არა გაქებ.

23. რამეთუ მე მოვიღე უფ-
ლისაგან, რომელიცა მიგეც თქუენ,
რამეთუ უფალი იესო ქრისტე
ღამესა მას, რომელსა მიეცემოდა,
მოიღო პური.

24. მადლობდა, განჰსტეხა და
ჰსთქუა: მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე
არს ხორცი ჩემი, თქუენთჳს
განტეხილი; ამას ჰყოფდით მო-
სახსენებლად ჩემდა.

25. ეგრეთვე სასუმელი იგი
შემდგომად სერობისა, და ჰსთქუა:
ესე სასუმელი ახალი ჰსჯული
არს სისხლისა ჩემისა, ამას ჰყოფ-

დით, რავდენ-გზისცა ჰსუმიდეთ,
ჩემდა მოსახსენებელად.
26. რამეთუ რავდენ-გზისცა
ჰსჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ
სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფ-
ლისასა მიუთხრობდით, ვიდრემ-
დის მოვიდეს.
27. ამიერითგან, რომელი
ჰსჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს
სასუმელსა ამას უფლისასა უღირ-
სებით უფლის, თანა-მდებ-არს
იგი ხორცსა და სისხლსა უფლი-
სასა.
28. გამოიცადენ კაცმან თა-
ვი თჳსი, და ესრეთ პურისა მის-
განი ჰსჭამენ და სასუმელისა მის-
განი ჰსუნ.
29. ხოლო რომელი არა ღირ-
სად ჰსჭამდეს და ჰსუმიდეს, და-
სასჯელად თავისა თჳსისა ჰსჭამს
და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხ-
ნა ხორცნი უფლისანი.
30. ამისთჳს მრავალ-არიან
თქუენ შორის უძლურ და სნე-
ულ, და წვანან მრავალნი.
31. რამეთუ უკეთუმცა თავთა
თჳსთა განვიკითხევდეთ, არამცა
განვიკითხენით.
32. ხოლო განთუვიკითხვთ,
უფლისა მიერ განვისწავლებით,
რათა არა სოფლისა თანა დავი-
საჯნეთ.
33. ამიერითგან, ძმანო ჩემნო,
შერაჰკრბებოდეთ ჭამად, ურთიერთ-
არს ჰგებდით.
34. ხოლო უკეთუ ვისმე ჰშიო-
დეს, სახლსა შინა ჰსჭამენ, რათა
არა დასასჯელად შეჰკრბეთ. ხო-
ლო სხუა იგი ოდეს მოვიდე,
მაშინ განვაგო.

## თ ა ვ ი 12.

1. ხოლო სულიერთა მათთჳს,
ძმანო, არა მნებავს უმეცრებაჲ
თქუენი.
2. უწყით, რამეთუ, ვიდრე
იგი წარმართდა იყუენით, კერპთა
მათ მიმართ უტყუთა, ვითარ იგი
შეუდეგით, მიმოყუანებულ იყუე-
ნით.
3. ამისთჳს გაუწყებ თქუენ,
რამეთუ არავინ, სულითა ღმრთი-
სათა იტყოდეს, და ჰსთქუას შე-
ჩუენებულ იესო, და არა ვის ძლე-
წიფების თქმად უფალი იესო,
გარნა სულითა წმიდითა.
4. ხოლო განყოფანი მადლ-
თანი არიან, და იგივე სული არს;
5. და განყოფანი მსახურება-
თანი არიან, და იგივე თავადი
უფალი არს;
6. და განყოფანი შეწევნათანი
არიან, და იგივე თავადი ღმერთი
არს, რომელი შეიქმს ყოველსა
ყოველთა შორის.
7. ხოლო თჳთოეულსა ჩუენ-
სა მიცემულ-არს გამოცხადება
იგი სულისა უმჯობესისათჳს.
8. რომელსამე სულისა მის-
გან მიცემულ-არს სიტყუა სიბრძ-
ნისა, ხოლო სხუასა სიტყუა
მეცნიერებისა, მითვე სულითა.
9. და სხუასა სარწმუნოებაჲ,
მისვე სულისაგან; რომელსამე
მადლი კურნებათა, მისგანვე სუ-
ლისა;

10. რომელსამე შეწევნანი ძალთანი, რომელსამე წინასწარ-მეტყჳელებაჲ, რომელსამე განკითხჳაჲ სულთა, დ̃ სხჳასა თესლად-თესლადი ენათა, დ̃ სხჳასა თარგმანებაჲ ენათა.

11. ხოლო ამას ყოველსა შეეწევის ერთი დ̃ იგივე სული, განუყოფს თჳთოეულად კაცად-კაცადსა, ვითარცა ჰნებავს.

12. ვითარცა იგი გჳამი ერთ-არს, დ̃ მრავალი ასოები აქჳს, დ̃ ყოველი იგი ასოები ერთისა მის გჳამისა, მრავალღა თუ არს, ერთ-გჳამვე არს; ეგრეცა ქრისტე.

13. რამეთუ ერთითა სულითა ჩჳენ ყოველთა ერთისა მიმართ გჳამისა ნათელ-ვიღეთ, გინათუ ურიათა, გინათუ წარმართთა, გინათუ მონათა, გინათუ აზნაურთა; დ̃ ყოველთავე ერთისა მიმართ სულისა გვისჳამს.

14. და რამეთუ გჳამი იგი არა არს ერთ-ასო, არამედ მრავალ.

15. უკეთუ ჰსთქჳას ფერჴმან, ვინაჲდგან არა ვარ ჴელ, არა ვარ მის გჳამისაგანი; ამისგანმე არა არსა მის გჳამისაგანი?

16. ანუ თუ ჰსთქჳას ყურმან, რამეთუ არა ვარ თჳალ, არა ვარ მის გჳამისაგანი, ნუ ამისთჳს არა არსა მის გჳამისაგანი?

17. უკეთუ ყოველი გჳამი თჳალ იყოს, სადა არს სასმენელი? უკეთუ ყოველი სასმენელ იყოს, სადა არიან საყნოსელნი?

18. აწ ესერა ღმერთმან დაჰსხნა ასონი იგი, თჳთოეულად გჳამსა მას შინა, ვითარცა ინება.

19. ხოლო უკეთუმცა იყო ყოველი ერთ-ასო, სადამცა იყო გჳამი იგი?

20. ხოლო აწ მრავალ არს ასოები, დ̃ ერთგჳამი.

21. ხოლო ვერ ჴელეწიფების თჳალსა,, ვითარმცა ჰრქჳა ჴელსა: არა მიჴმ შენ; ანუ კჳალად თავსა დ̃ ფერჴთა, ვითარმედ არა მიჴმთ თქჳენ.

22. არამედ უფროჲსღა უმეტეს, რომელნი იგი საგონებელ-არს ასო გჳამისა მის უძლურესად, იგი უსაჭმარეს-არს.

23. და რომლისასა ვჰგონებთ უპატიო-ყოფად გჳამისაგან, ამათ პატივსა უმეტესსა მივჰსცემთ.

24. და უშჳერსა მას ჩჳენსა შჳენიერებაჲ უმეტესი აქჳს; ხოლო შჳენიერსა მას ჩჳენსა არა რაჲ უჴმს. არამედ ღმერთმან შეჰზავა გჳამი იგი, დ̃ ნაკლულსა მას უმეტესი მიჰსცა პატივი,

25. რათა არა იყოს წჳალება ჴორცთა მათ შინა, არამედ მასვე ერთი ერთისათჳს ჰზრუნვიდენ ასონი იგი.

26. და თუ ევნებინ რა ერთსა ასოსა, მისთანა ელმინ ყოველთა ასოთა; დ̃ თუ იდიდებინ ერთი ასო, მისთანა იხარებენ ყოველნი ასონი.

27. თქჳენ ხართ ჴორცნი ქრისტესნი, დ̃ ასონი ასოთა მისთაგანნი.

28. და რომელნიმე დაადგინნა ღმერთმან ეკკლესიათა, პირვე-

ლად მოციქულნი, მეორედ წინას-
წარ-მეტყუჱლნი, მესამედ მოძ-
ღუარნი; მერმე ძალნი, მაშინღა
მადლნი კურნებათანი, შეწევნანი,
წარმართებანი, თესლად თესლადი
ენათა.
29. ნუ ყოველნი მოციქულ
იყუნეა? ნუ ყოველნი წინასწარ-
მეტყუჱლ? ნუ ყოველნი მოძ-
ღუარ? ნუ ყოველნი ძალ?
30. ნუ ყოველთა მადლი აქუნ-
დეს კურნებათა? ნუ ყოველნი ენა-
თა იტყოდიან? ნუ ყოველნი
გამოჰსთარგმანებდენ?
31. ხოლო ჰბაძევდით მადლ-
თა მათ უფროსთა; და მერმე აღ-
მატებული გზაჲ გიჩუჱნო თქუჱნ.

## თ ა ვ ი 13.

1. ენასაღა თუ კაცთასა და ან-
გელოსთასა ვიტყოდე, ხოლო
სიყუარული არა მაქუნდეს; ვიქ-
მენ მე, ვითარცა რვალი, რომე-
ლი ოხრინ, გინა წინწილი,
რომელი ჰკმობედ.
2. და მაქუნდესღათუ წინას-
წარ- მეტყუჱლებაჲ, და უწყოდე
ყოველი საიდუმლოჲ, და ყოველი
მეცნიერებაჲ, მაქუნდესღათუ ყო-
ველივე სარწმუნოებაჲ, ვიდრე
მთათაცა ცვალებადმდე, და სიყუა-
რული თუ არა მაქუნდეს; არავე
რა ვარ.
3. და შეღათუ ვაჭამო ყოველი
მონაგები ჩემი, და მივჰსცნე კორ-
ცნი ჩემნი დასაწუჳლად, და სიყუა-
რული არა მაქუნდეს; არა რავე
სარგებელ-არს ჩემდა.
4. სიყუარული სულ-გრძელ
არს და ტკბილ, სიყუარულსა არა
ჰშურნ, სიყუარული არა მაღლოინ,
არა განლაღნის,
5. არა სარცხჳნელ იქმნის, არა
ეძიებნ თავისასა, არა განჰრისხნის,
არად შეჰრაცხის ბოროტი,
6. არა უხარინ სიცრუესა ზედა,
არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა
ზედა.
7. ყოველსა თავს-იდებნ, ყოვე-
ლი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყო-
ველსა მოითმენნ.
8. სიყუარული არა სადა დავარ-
დების,
9. ვინათუ წინასწარ-მეტყუჱ-
ლებანი განჰქარდენ, ანუ თუ
ენანი დავესცხრენ, გინათუ მეც-
ნიერებანი განჰქარდენ.
10. რამეთუ მცირედ რაჲმე
ვიცით, და მცირედ რამე ვწინას-
წარ-მეტყუჱლებთ.
11. ხოლო რაჟამს მოიწიოს
სრული იგი, მაშინ მცირედიცა
იგი განჰქარდესვე.
12. ოდეს იგი ვიყავ ყრმა,
ვიტყოდი, ვითარცა ყრმა, შერა-
ცხილ-ვიყავ, ვითარცა ყრმა; ხოლო
ოდეს ვიქმენ მამა-კაც, დაუტევე
სიყრმისა იგი.
13. რამეთუ ვჰხედავთ აწ,
ვითარცა სარკითა და სახითა,
ხოლო მაშინ პირსა პირის-პირ;
აწ ვიცი მცირედ, ხოლო მერმე
ვიცნა, ვითარცა შევემეცნე.
14. ხოლო აწ ესერა ჰგიეს:
სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარუ-
ლი, სამი ესე; ხოლო უფროს
ამათსა სიყუარული არს.

## თ ა ვ ი 14.

1. შეუდეგით სიყუარულსა, და ჰბაძევდით სულიერსა მას, უფროჲს-ღა, რათა ჰსწინასწარ-მეტყუელებდეთ.

2. რამეთუ რომელი იგი იტყჳნ ენითა, არა კაცთა ეტყჳნ, არამედ ღმერთსა; რამეთუ არავის ესმის, რამეთუ სულითა იტყჳს საიდუმლოთა.

3. ხოლო რომელი წინასწარ-მეტყუელებნ, კაცთა ეტყჳს აღშენებასა, ვედრებასა და ნუგეშინის-ცემასა.

4. რომელი იტყჳნ ენითა, თავსა თჳსსა აღაშენებნ; ხოლო რომელი წინასწარ-მეტყუელებდეს, კრებულსა აღაშენებს.

5. მნებავს თქუენ ყოველთა ენათა სიტყუა უფროჲსღა, რათა ჰსწინასწარ-მეტყუელებდეთ; რამეთუ უფროჲს არს, რომელი წინასწარ-მეტყუელებდეს ვიდრე-და-რა, რომელი იტყოდეს ენათა, გარნა თუ, რათა გამოჰსთარგმანებდეს, რათა კრებული აღეშენოს.

6. ხოლო აწ, ძმანო, მოვიდე თქუენდა, და ენათა ვიტყოდე, რაჲმე გარგო თქუენ, არა თუ გეტყოდე თქუენ ანუ გამოცხადებითა, ანუ მეცნიერებითა, ანუ წინასწარ - მეტყუელებითა, ანუ მოძღურებითა?

7. ეგრეთვე უსულონი მათ კმა გამოჰსციან, ანუთუ ნესტუმან, ანუ ებანმან, უკეთუ გამოცხადება კმათა მათ ვერ გამოჰსცენ, ვითარმე სცნაურ-იქმნეს სტჳნვაჲ იგი ანუ ებნაჲ?

8. და უკეთუ საყჳრმან უჩინოდ კმა გამოჰსცეს, ვინმე განემზადოს ბრძოლად?

9. ეგრეცა თქუენ ენისა მიერ უკეთუ არა გამოცხადებულად სიტყუაჲ იგი გამოჰსცეთ; ვითარ სცნაურ იქმნეს თქმული იგი? რამეთუ იყუნეთ, ვითარცა ჰაერსა მეტყუელნი.

10. ესოდენნი სახენი თესლადნი კმათანი არიან სოფელსა შინა, და არცა ერთი მათგანი არს უკმო.

11. უკეთუ არა ვიცოდე ძალი იგი კმისა მის; ვიყო მე მეტყუელისა მის ჩემისა, ვითარცა სხუა-ენა, და რომელი იგი მეტყოდეს მე, ვითარცა სხუა-ენა.

12. ეგრეთცა თქუენ, ვინაჲთგან მოშურნე ხართ სულთა აღსაშენებელად, ეკკლესიისასა ეძიებდით, რათა აღემატებოდეთ.

13. ამისთჳსცა, რომელი იტყოდეს ენითა, ილოცვიდინ, რათა გამოჰსთარგმანოს.

14. რამეთუ უკეთუ ვილოცვიდე ენითა; სული ჩემი ილოცავს, ხოლო გონება ჩემი უნაყოფო არს.

15. აწ უკუე რაჲ არს? ვილოცვიდე თუ სულითა, ვილოცვიდე გონებითაცა; ვჰგალობდე თუ სულითა, ვჰგალობდე გონებითაცა.

16. ხოლო უკეთუ აკურთხევდე სულითა; რომელი იგი აღასრულებდეს ადგილსა მას უცბისასა, ვითარმე ჰსთქუას: ამინი, შენსა მას ზედა მადლობასა? ვინათგან რასა იგი იტყჳ, არა იცის.

17. რამეთუ შენ სამე კეთი-
ლად ჰმადლობ; არამედ მოყუასი
შენი არა აღეშენების.
18. ვჰმადლობ ღმერთსა ჩემ-
სა; რამეთუ უფროს თქუენ ყო-
ველთასა ენათა ვიტყჳ:
19. არამედ ეკკლესიასა შინა
მნებავს ხუთ-სიტყუა გონებითა
ჩემითა სიტყუად, რათა სხუათა-
ცა უმოძღურო, ვიდრე ბევრთა
სიტყუათა ენითა.
20. ძმანო! ნუ ყრმა იქმნებით
გონებითა; არამედ ბოროტისა-
თჳს ყრმა-იყუენით, ხოლო გო-
ნებითა სრულ-იყუენით.
21. რამეთუ ჰსჯულსა წერილ-
არს, ვითარმედ უცხოჲთა ენითა
და ბაგითა უცხოჲთა ვეტყოდე
ერსა ამას; და არცაღა ესრეთ ის-
მინონ ჩემი, იტყჳს უფალი.
22. ამისთჳსცა ენანი სასწა-
ულად არიან არა მორწმუნეთა-
თჳს, არამედ ურწმუნოთათჳს;
ხოლო წინასწარ-მეტყუელება არა
ურწმუნოთათჳს, არამედ მორწმუ-
ნეთათჳს.
23. აწ უკეთუ შეკრბეს ყოვე-
ლი კრებული ერთბამად, და ყო-
ველნი ენათა იტყოდიან, და შევი-
დენ ვინმე ურწმუნონი გინა
უცებნი; არამე ჰსთქუან, ვითარ-
მედ ჰსცთებით გინა ჰბორგთ?
24. ხოლო უკეთუ ყოველნი
წინასწარ-მეტყუელებდენ, და შე-
ვინმე-ვიდეს ურწმუნო გინა უცე-
ბი, ემხილოს ყოველთა მიერ.
25. და ესრეთ დაფარულნი
გულისა მისისანი განცხადნენ, და
ესრეთ დავარდეს პირსა ზედა
თჳსსა და თაყუანის-ჰსცეს ღმერთ-
სა, და აღიაროს, ვითარმედ ნამდჳლ-
ვე ღმერთი თქუენ შორის არს.
26. რაჲმე უკუე არს, ძმანო?
რაჟამს შეჰკრბეთ ერთბამად, კა-
ცად-კაცადსა თქუენსა ფსალმუნი
აქუს, მოძღურებაჲ აქუს, გამო-
ცხადებაჲ აქუს, თარგმანებაჲ
აქუს, ენათა-მეტყუელებაჲ აქუს;
ყოველივე ესე აღსაშენებელად
იქმნებოდენ.
27. უკეთუ ენითა ვინმე იტ-
ყოდეს, ორნი, გინათუ უმრავ-
ლეს, სამნი, და ერთი გამოჰსთარ-
გმანებდინ.
28. ხოლო უკეთუ არა იყოს
თარგმანი, ჰსდუმენინ ეკკლესიასა
შინა, თავსა თჳსსა ეტყოდენ და
ღმერთსა.
29. ხოლო წინასწარ-მეტყუელ-
ნი ორნი გინა სამნი იტყოდედ,
და სხუანი იგი ჰსცნობედ.
30. უკეთუ სხუასა გამოეცხა-
დოს მჯდომარეთაგანსა; პირ-
ველი იგი ჰსდუმენინ.
31. რამეთუ შემძლებელ-ხართ
ესრეთ თჳთოეულად ყოველნი
წინასწარ-მეტყუელებად, რათა
ყოველნი ისწავებდენ, და ყოველ-
ნი ნუგეშინის-ცემულ-იყუნენ.
32. და სულნი წინასწარ-მე-
ტყუელთა წინასწარ-მეტყუელთა
დაემორჩილენ;
33. რამეთუ არა არს ღმერ-
თი შფოთისა, არამედ მშჳდობი-
სა, ვითარცა იგი ყოველთა ეკკლე-
სიათა წმიდათასა.
34. დედანი თქუენნი ეკკლე-
სიასა შინა ჰსდუმნედ; რამეთუ

არა ბრძანებულ-არს მათდა სიტ-
ყჳად, არამედ დამორჩილებად,
ვითარცა ჰსჯულიცა იტყჳს.

35. ხოლო უკეთუ სწავლის
რაჲმე უნდეს, სახლსა შინა თჳს-
თა ქმართა ჰკითხვედ მათ; რამე-
თუ საძაგელ-არს დედათა ეკლე-
სიასა შინა ზრახჳად.

36. ანუ თქჳჱნ მიერ სიტ-
ყჳა იგი ღმრთისა გამოვიდა?
ანუ თქჳჱნდამდე ხოლო მიი-
წია?

37. უკეთუ ვისმე ეგონოს
თავი თჳსი წინასწარ-მეტყჳჱლ
გინა სულიერ, უწყოდენ, რომელ-
სა ესე მივჰსწერ თქჳჱნდა; რა-
მეთუ უფლისანი არიან მცნე-
ბანი.

38. ხოლო უკეთუ ვინმე უმე-
ცარ-არს, უმეცარ-იყავნ.

39. ვინაცა, ძმანო ჩემნო,
გშურდინ წინასწარ-მეტყჳჱლე-
ბად; და სიტყჳად ენათა ნუ დაა-
ყენებით.

40. ყოველივე შჳჱნიერად და
წესიერად იქმნებოდინ.

## თავი 15.

1. ხოლო გაუწყებთ თქჳჱნ,
ძმანო, სახარებასა მას, რომელი
გახარე თქჳჱნ, რომელცა იგი
მიგიღებიეს, რომელსაცა ზედა
ჰსდგათ.

2. რომლითაცა ჰსცხონდებით,
რომელი სიტყჳსაჲ გახარე თქჳჱნ,
უკეთუ გაჰხსოვს, გარნა თუ ცუ-
დად რამე გრწმენა.

3. რამეთუ მიგეც თქჳჱნ პირ-
ველად, რომელიცა იგი მოვიღე,
რამეთუ ქრისტე მოკჳდა ცოდჳა-
თა ჩჳჱნთათჳს, ვითარცა წერილ-
არს,

4. და რამეთუ დაეფლა, და
რამეთუ აღჰსდგა მესამესა დღესა,
ვითარცა წერილ-არს,

5. და რამეთუ ეჩჳჱნა კეფას
და მერმე ათერთ-მეტთა მათ.

6. და მერმე ეჩჳჱნა უმრავ-
ლეს ხუთ-ასისა ძმათა ერთ-გზის,
რომელთაგანნი უმრავლესნი ცოც-
ხალ-არიან აქამომდე, და რომელ-
თამე შეისჳჱნეს.

7. მერმე ეჩჳჱნა იაკობს, და
მერმე მოციქულთა ყოველთა.

8. უკანასკნელ ყოველთასა, ვი-
თარცა ნარჩევსა მეჩჳჱნა მეცა.

9. რამეთუ მე ვარ ნარჩევი
მოციქულთა, რომელი არა ვარ
ღირს წოდებად მოციქულად, რა-
მეთუ ვჰსდევნიდი ეკკლესიათა
ღმრთისათა.

10. ხოლო მადლითა ღმრთი-
სათა ვარ რა, იგი ვარ; და მადლი
იგი მისი, რომელი ჩემდა მო-
მართ იყო, არა ცუდად რა იყო,
არამედ უმეტეს მათ ყოველთასა
დავჰშუჱრ; არა მე, არამედ მად-
ლი იგი ღმრთისა, რომელი იყო
ჩემთანა.

11. აწ უკუჱ გინათუ მე,
გინათუ იგინი, ესრეთ ვჰქადა-
გებთ, და ესრეთ გრწმენა თქჳჱნ.

12. ხოლო უკეთუ ქრისტე
იქადაგების, ვითარმედ მკუდრე-
თით აღდგომილ-არს: ვითარ იტ-
ყჳან ვინმე თქჳჱნ შორის, ვი-

თარმედ აღდგომა მკუ̂დართა არა
არს?
13. უკეთუ აღდგომა მკუ̂დარ-
თა არა არს; არცა ქრისტე აღდგო-
მილ-არს.
14. უკეთუ ქრისტე არა აღ-
დგომილ-არს; ცუდად სამე არს
ქადაგებაჲ ესე ჩუ̂ენი, და ცუდად
არს სარწმუნოება ეგე თქუ̂ენი.
15. ვიპოვენით უკუ̂ე ცრუ-
მოწამეცა ღმრთისა, რამეთუ ვჰწა-
მებთ ღმრთისათჳს, ვითარმედ
აღადგინა ქრისტე, რომელი არა
აღადგინა, უკეთუ ნანდჳლვე
მკუ̂დარნი არა აღჰსდგებიან;
16. რამეთუ უკეთუ მკუ̂დარნი
არა აღჰსდგებიან; არცა ქრისტე
აღდგომილ-არს.
17. და უკეთუ ქრისტე არა
აღდგომილ-არს; ამაო არს სარწ-
მუნოება ეგე თქუ̂ენი; ცოდვათა-
ვე სამეღა შინა თქუ̂ენთა ხართ
აქამომდე.
18. და შესუ̂ენებულნიცა იგი
ქრისტეს მიერ წარვე-სამე-წუმდენ.
19. უკეთუ ამას ხოლო ცხოვ-
რებასა ვართ მოსავ ქრისტესა;
უსაწყალობელეს ყოველთა კაცთა-
სა ვართ.
20. ხოლო აწ ქრისტე აღჰს-
დგა მკუ̂დრეთით, და იქმნა იგი
დასაბამ შესუ̂ენებულთა.
21. რამეთუ კაცისა მიერ იყო
სიკუ̂დილი, და კაცისა მიერ აღ-
დგომა მკუ̂დართა.
22. და ვითარცა იგი ადამის
გამო ყოველნი მოჰსწყდებიან,
ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი
ცხოველ-იქმნენ.

23. ხოლო თჳთოეული თჳ-
სითა წესითა: პირველად ქრისტე,
და მერმე ქრისტესნი იგი, მოს-
ლვასა მას მისსა.
24. მაშინღა აღსასრული, რა-
ჟამს მოჰსცეს სუფევაჲ ღმრთსა
და მამასა, რაჟამს განაქარვნეს ყო-
ველნი მთავრობანი და ყოველნი
ჴელმწიფებანი და ძალნი.
25. რამეთუ ჯერ-არს მისსა
სუფევა, ვიდრემდის დაისხნეს
ყოველნი მტერნი მისნი ქუ̂ეშე
ფერჴთა მისთა.
26. უკანასკნელ მტერი იგი
განჰქარდეს სიკუ̂დილი.
27. რამეთუ ყოველივე და-
ამორჩილა ქუ̂ეშე ფერჴთა მისთა.
ხოლო რაჟამს ჰსთქუ̂ას, ვითარ-
მედ ყოველივე დაამორჩილა; ცხად-
არს, რამეთუ თჳნიერ მისა, რო-
მელმან იგი დაამორჩილა მას ყო-
ველი.
28. ხოლო რაჟამს დაემორჩი-
ლოს მას ყოველი; მაშინ თავადი-
ცა ძე დაემორჩილოს მას, რო-
მელმან იგი დაამორჩილა მას ყო-
ველი, რათა იყოს ღმერთი ყოვ-
ლად ყოველსა შინა.
29. უკეთუ არა, რაჲმე ჰყონ,
რომელნი იგი ნათელს-იღებენ
მკუ̂დართათჳს? უკეთუ ყოვლად
მკუ̂დარნი არა აღჰსდგებიან, რაჲ-
საღა ნათელს-იღებენ მკუ̂დართა-
თჳს?
30. ანუ ჩუ̂ენ რაჲსამეღა
ვიჭირვით ყოველსა ჟამსა?
31. მარადღე მოვჰკუ̂დებით:
ვჰფუცავ თქუ̂ენსა სიქადულსა,

რომელ მაქუს ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩუჱნისა.

32. უკეთუ კაცობრივ მკეცთა ბრძოლა ვჰყავ ეფესოს, რაჲმე სარგებელ-არს ჩემდა, უკეთუ მკუდარნი არა აღჰსდგენ? ვჰსჭამოთ და ვჰსუათ; რამეთუ ხვალე მოვჰკუდებით!

33. ნუ ჰსცთებით; განჰხრწნიან წესთა კეთილთა ზრასვანი ბოროტნი.

34. განიფრთხუჱთ სიმართლით, და ნუ ჰსცოდავთ; რამეთუ, უმეცრება ღმრთისა ვიეთმე აქუს, საკდემელად თქუჱნდა ვიტყჳ.

35. არამედ ჰსთქუას ვინმე, ვითარმედ ვითარმე აღჰსდგენ მკუდარნი? ანუ რომლითამე ჴორცითა მოვიდენ?

36. უგუნურო! შენ, რომელი დაჰსთესი, არა ჰსცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკუდის.

37. და რომელი იგი დაჰსთესი, არა თუ იგი გუამი, რომელ ყოფად არიან დაჰსთესი, არამედ შიშუჱლი მარცუალი, გინათუ იფქლისა, ანუ თუ სხუა, რომელიმე თესლი.

38. ხოლო ღმერთმან მოჰსცის მას გუამი, ვითარცა უნებნ, და თჳთოეულსა თესლსა თჳსი გუამი.

39. არა ყოველი ჴორცი ერთ ჴორც-არს; არამედ სხუა არს კაცთა, და სხუა ჴორცი არს პირუტყუთა, და სხუა ჴორცი არს მფრინუჱლთა, და სხუა ჴორცი არს თევზთა.

40. და ჴორცნი იგი ზეცისათანი, და ჴორცნი იგი ქუჱყანისათანი; არამედ სხუა არს ზეცისათა მათ დიდება, და სხუა არს ქუჱყანისათა,

41. სხუა დიდება არს მზისა, და სხუა დიდება არს მთოვარისა, და სხუა დიდება არს ვარსკულავთა; რამეთუ ვითარცა იგი ვარსკულავი ვარსკულავსა ჰმატს დიდებითა.

42. ეგრეცა აღდგომა მკუდართა. დაეთესჳს ხრწნილებით, და აღჰსდგების უხრწნელებით;
დაეთესჳს გინებით, და აღჰსდგების დიდებით;

43. დაეთესჳს უძლურებით, და აღჰსდგების ძლიერებით;

44. დაეთესჳს ჴორცი მშვინვიერი, და აღჰსდგების ჴორცი სულიერი. არს ჴორცი მშჳნვიერი, და არს ჴორცი სულიერი.

45. ეგრეცა წერილ-არს: იყო პირველი იგი კაცი ადამ სამშჳნველად ცხოველად; ხოლო უკანასკნელი ადამ სულად განმაცხოველებელად.

46. არამედ არა პირველად სულიერი იგი, არამედ მშჳნვიერი, მაშინღა სულიერი.

47. პირველი იგი კაცი ქუჱყანისაგან მიწისა; ხოლო მეორე იგი კაცი უფალი ზეცით.

48. ვითარცა იგი მიწისაგანი, ეგრეცა მიწისაგანნი; და ვითარცა იგი ზეცისა, ეგრეცა ზეცისაგანნი იგი.

49. და ვითარცა იგი შევიმოსეთ ხატი იგი მიწისაგანისა,

შევიმოსოთ ხატიცა იგი ზეცი-
საგანისა.
50. ხოლო ამას ვიტყჳ, ძმა-
ნო, რამეთუ ჴორცთა და სისხლ-
თა სასუფეველი ღმრთისა დამკჳ-
დრებად ვერ ძალ-უძს, არცა
ხრწნილებამან უხრწნელებაჲ დაიმ-
კჳდროს.
51. აჰა ესერა საიდუმლოსა
გითხრობ თქუ̂ჱნ: ყოველთავე
უკუ̂ჱ არა შევისუ̂ჱნოთ, ხოლო
ყოველნივე განვახლდეთ,
52. მეყსა შინა წამსა თვალი-
სასა უგანასკნელითა მით საყჳრი-
თა; რამეთუ საყჳრსა დაეცეს, და
მკუ̂დარნი იგი აღჰსდგენ უხრწნელ-
ნი, და ჩუ̂ჱნ განვახლდეთ.
53. რამეთუ ჯერ-არს ხრწნი-
ლისა ამის შემოსად უხრწნელე-
ბაჲ, და მოკუ̂დავისა ამის შემო-
სად უკუ̂დავებაჲ.
54. ხოლო რაჟამს განხრწნად-
მან ამან შეიმოსოს უხრწნელებაჲ,
და მოკუ̂დავმან ამან შეიმოსოს
უკუ̂დავებაჲ; მაშინ აღესრულოს
სიტყუ̂ა იგი წერილისა: დაინთქა
სიკუ̂დილი ძლევითა.
55. სადა არს სიკუ̂დილო!
საწერტელი შენი? სადა არს
ჯოჯოხეთო! ძლევაჲ შენი?
56. რამეთუ საწერტელ სიკუ̂-
დილისა ცოდუ̂ა; ხოლო ძალ
ცოდჳსა სჯული.
57. ხოლო ღმრთისა მადლი,
რომელმან მომცა ჩუ̂ჱნ ძლევაჲ
ქრისტე იესოს მიერ უფლისა
ჩუ̂ჱნისა!
58. ამიერითგან, ძმანო ჩემნო
საყუ̂არელნო, მტკიცე იყუ̂ჱნით
და შეურყეველ, და ჰმატებდით
საქმესა უფლისასა მარადის, უწყო-
დეთ, რამეთუ შრომა ეგე თქუ̂ჱნი
არა ცუდად იყოს უფლისა მიერ.

## თ ა ვ ი 16.

1. ხოლო შესაწირავისა მის-
თჳს წმიდათასა, ვითარცა იგი
უბრძანე ეკლესიათა გალატიისა-
თა, ეგრეცა თქუ̂ჱნ ჰყოფდით.
2. ერთ-შაბათად ერთ-შაბათად
კაცად-კაცადი თქუ̂ჱნი თჳს თანა
დაიკრებდინ, და იუნჯებდინ რაჲცა
იგი განემარჯოს, რათა არა ოდეს
მოვიდე, მაშინღა იქმნას შეკრე-
ბაჲ;
3. ხოლო რაჟამს მოვიდე,
რომელნიცა იგი გამოჰსცადნეთ
წიგნებითა, ესენი წარვავლინნე
მიღებად მადლისა მის თქუ̂ჱნისა
იერუსალიმად.
4. და უკეთუ ჰღირდეს ჩემიცა
წარსლვაჲ; ჩემთანა მოვიდენ.
5. ხოლო მოვიდე თქუ̂ჱნდა,
რაჟამს მაკედონიაჲ განვლო; რამე-
თუ მაკედონიას განვჰლი.
6. და ვინ უწყის, თქუ̂ჱნ თანა
დავადგრე, გინა თუ დაცავიზამთ-
რო, რათა თქუ̂ჱნ წარმგზავნოთ
მე, ვიდრეცა ვიდოდე.
7. რამეთუ არა მნებავს აწ
მგზავრ ხილვაჲ თქუ̂ჱნი, ხოლო
ვესავ რავდენისამე ჟამისა დაყოფა-
სა თქუ̂ჱნთანა, უფალმან თუ
გვიბრძანოს.
8. ხოლო დავადგრე ეფესოს
შინა, ვიდრე მარტჳლიადმდე.
9. რამეთუ კარი განმეღო მე

დიდად შემწე, და მკდომნი მრავალ-არიან.

10. და უკეთუ მოვიდეს ტიმოთე, იხილეთ, რათა უშიშად იყოს თქუენ თანა; რამეთუ საქმესა უფლისასა იქმს, ვითარცა ესე მე.

11. ნუ უკუე ვინმე შეურაცხ-ჰყოს იგი, და წარმოჰგზავნეთ იგი მშჳდობით, რათა მოვიდეს იგი ჩემდა, რამეთუ ველი მას ძმათა თანა.

12. ხოლო აპოლოჲს თჳს ძმისა, ფრიად ვლოცევდი მას, რათამცა მოვიდა თქუენდა ძმათა თანა; და არა სამე იყო ნებაჲ, რათამცა აწ მოვიდა, ხოლო მოვიდეს ოდეს მოიცალოს.

13. მღვიძარე იყუენით, მტკიცედ ჰსდეგით სარწმუნოებასა ზედა, მკნე იყუენით და განჰსძლიერდით.

14. ყოველივე თქუენი სიყუარული იყავნ.

15. ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, რამეთუ იცით სახლი იგი სტეფანაჲსი, ვათარმედ არს პირველი აქაიასა, და მსახურად წმიდათა დააწესნეს თავნი თჳსნი.

16. რათა თქუენცა დაემორჩილნეთ ეგე-ვითართა მათ და ყოველსავე თანა-შემწესა და მშრომელსა.

17. ხოლო მიხარის მოსლვასა მას ზედა სტეფანაჲსსა და ფორტონატესსა და აქაიკესსა; რამეთუ თქუენი იგი დაკლებული ამათ აღავსეს;

18. რამეთუ განუსუენეს ჩემსაცა სულსა და თქუენსაცა. იცნითმცა უკუე ეგე-ვითარნი იგი.

19. გიკითხუენ თქუენ ეკლესიანი ასიისანი; გიკითხუენ თქუენ ფრიად უფლისა მიერ აკჳლა და პრისკილა თანა-მკჳდრითურთ მათით კრებულით.

20. გიკითხუენ თქუენ ძმანი ყოველნი. მოიკითხუედით ურთიერთას ამბორის-ყოფითა წმიდითა.

21. კითხვაჲ ჴელითა ჩემითა პავლესითა.

22. რომელსა არა უყუარდეს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, იყავნ შეჩუენებულ, მარანათა.

23. მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თქუენ თანა.

24. სიყუარული ჩემი თქუენ ყოველთა თანა ქრისტეს იესუს მიერ. ამინ.

# კორინთელთა მეორე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი.

## თავი 1.

1. პავლე მოციქული, იესო ქრისტესი ნებითა ღმრთისათა, და ტიმოთე ძმა, ეკკლესიათა ღმრთისათა, რომელნი არიან კორინთეს შინა, ყოველთა თანა წმიდათა, რომელნი არიან ყოველსა აქაიასა.

2. მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა.

3. კურთხეულ-არს ღმერთი და მამა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, მამა მოწყალებათა და ღმერთი ყოვლისა ნუგეშინის-ცემისა.

4. რომელი ნუგეშინის-მცემს ჩუენ ყოველთა შინა ჭირთა ჩუენთა, რათა შეუძლოთ ჩუენცა ნუგეშინის-ცემად ყოველთა მათ ჭირვეულთა ნუგეშინის-ცემითა მით, რომლითა ნუგეშინის-ცემულ-ვართ ჩუენ ღმრთისა მიერ!

5. რამეთუ ვითარცა იგი ჰმატან ვნებანი ქრისტესნი ჩუენ-და მომართ, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ჰმატან ნუგეშინის-ცემანიცა ჩუენნი.

6. რამეთუ გინათუ ვიჭირვით თქუენისა თჳს ნუგეშინის-ცემისა და ცხოვრებისა, რომელი შეიქმნების მოთმინებითა მათვე ვნებათათა, რომლითა ესე ჩუენცა გუევნების.

7. და სასოება ჩუენი მტკიცე არს თქუენთჳს. გინათუ ნუგეშინის-ცემულ-ვართ თქუენისა თჳს ნუგეშინის-ცემისა და ცხოვრებისა, უწყით, რამეთუ ვითარცა იგი ზიარ-ხართ ვნებათა მათ ჩუენთა, ეგრეცა ნუგეშინის-ცემასა.

8. რამეთუ არა მნებავს უმეცრება თქუენი, ძმანო, ჭირისა მისთჳს ჩუენისა, რომელი იგი შეგუემთხჳა ჩუენ ასიას შინა; რამეთუ გარდარეულად დაგჳმძიმდა ჩუენ უფროს ძალისა ჩუენისა, ვიდრე წარწირვადმდე ჩუენდა ცხოვრებისაცა.

9. არამედ თჳთ თავით თჳსით განჩინება იგი სიკუდილისა მოგუელო, რათა არა ვესვიდეთ თავთა ჩუენთა, არამედ ღმერთსა, რომელმან იგი აღადგინის მკუდარნი,

10. რომელმან ესე ვითარისა მის სიკუდილისაგან მიჴსნნა ჩუენ, და მიჴსნის, რომელსა იგი ვესავთ, ვითარმედ მერმეცა მიჴსნეს.

11. თანა შეწევნითა ლოცვისათა თქუენთათა ჩუენთჳს; რათა მრავლითა პირითა ჩუენდა მომართი იგი მადლი, მრავალთა მიერ სამადლობელ-იქმნას თქუენთჳს.

12. რამეთუ სიქადული ჩუენნი ესე არს, წამებაჲ გონებისა ჩუენისა, რამეთუ სიწრფოებითა და ჭეშმარიტებითა ღმრთისათა, და არა სიბრძნითა ჴორციელითა, არამედ მადლითა ღმრთისათა, ვიქცეოდეთ სოფელსა შინა, ხოლო უმეტესადღა თქუენდა მიმართ.

13. რამეთუ არა თუ სხუასა რასამე გწერთ თქუენდა, არამედ რომელსაცა იგი იკითხავთ, და რომელიცა იგი გიცნობიეს.

14. ხოლო ვესავ, ვითარმედ სადაცა გულის-კმა-ჰყოთ, ვითარცა იგი მიცნენით ჩუენ ჟამად ჟამად, რამეთუ სიქადულ თქუენდა ვართ, ვითარცა თქუენ ჩუენდა, დღესა მას უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა.

15. და ამით სასოებითა მინდა მისლვად თქუენდა პირველად, რათა მეორე სიხარული გაქუნდეს.

16. და თქუენ მიერ წარსლვად მაკედონიად, და კუალად მაკედონიაჲთ მოსლვად თქუენდავე; და თქუენ მიერ წარგზავნად ჰურიასტანად.

17. ამას უკუე რა განვიზრახევდ, მცირედ რამე ნუ უკუე შემერაცხა? ანუ, რომელსა ესე ვზრახავ, ჴორციელადმე რას ვზრახავ, რათა იყოს ჩემ მიერი იგი ჰე, ჰე, და არა, არა?

18. ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რამეთუ სიტყუა იგი ჩუენი, რომელი იყო თქუენდა მიმართ არა იყო ჰე, და არა.

19. რამეთუ ძე ღმრთისა, იესო ქრისტე, რომელი ჩუენ მიერ თქუენ შორის იქადაგა, ჩემ მიერ და ტიმოთეს და სილოანეს, არა იყო ჰე და არა; არამედ ჰე იგი მას შინა იქმნა.

20. რამეთუ რავდენნი იგი აღთქმანი ღმრთისანი არიან მას შინა არს ჰე, იგი და მას შინა ამინი, ღმრთისა სადიდებელად, ჩუენ მიერ.

21. რომელმან იგი განმამტკიცნა ჩუენ თქუენ თანა ქრისტეს მიმართ, და ცხებულ-გუყვნა ჩუენ ღმერთმან,

22. და აღგუბეჭდნა ჩუენ, და მომცა წინდი იგი სულისა გულთა შინა ჩუენთა.

23. ხოლო მე მამად ღმერთსა ვჰხადი სულისა ჩემისა, რამეთუ, გერიდებოდი თქუენ, და მისთჳს არღარა მოვედ კორინთედ.

24. არა თუ უფლებთ რას სარწმუნოებასა თქუენსა; არამედ თანა შემწენი ვართ სიხარულისა თქუენისანი; რამეთუ სარწმუნოებითა ჰსდგათ.

## თ ა ვ ი 2.

1. და ესე ვჰსაჯე თავისა ჩემი-

სა, რათა არა კჳალად მწუხარე-
ბით მოვიდე თქუენდა.
2. რამეთუ უკეთუ მე შევაწუ-
ხებ თქუენ, და ვინ-არს იგი,
რომელმან მახაროს მე, არა თუ
მან, რომელი იგი შეწუხებულ-
იყოს ჩემ მიერ?
3. და მივჰსწერე თქუენდა
ესევე, რათა არა რაჟამს მოვიდე,
მწუხარებაჲ მწუხარებასა ზედა
მაქუნდეს, რომელთაგან ღირდა
ჩემდა სიხარული; გესავ თქუენ
ყოველთა, რამეთუ სიხარული
ჩემი თქუენ ყოველთა არს.
4. რამეთუ მრავლისაგან მწუ-
ხარებისა და შეურვებულისა გული-
სა მივჰსწერე თქუენდა მრავლი-
თა ცრემლითა, არა, რათა შეჰსწუხ-
ნეთ, არამედ რათა ჰსცნათ სიყუა-
რული იგი გარდარეული, რო-
მელ მაქუს თქუენდა მიმართ.
5. ხოლო უკეთუ ვინ მე
შემაწუხა, არა მე შემაწუხა, არა-
მედ ზოგსრაჲმე, რათა არა დავგი-
მძიმო თქუენ ყოველთა.
6. კმა არს ეგე ვითარისა მის
შერისხვაჲ ესე მრავალთა.
7. ხოლო აწ წინა-აღმდგომი
უფროჲსღა თქუენდა მიმადლე-
ბად და ნუგეშინის-ცემად, ნუ უკუჱ
უმეტესითა მწუხარებითა დაინთ-
ქას ეგე ვითარი იგი.
8. ამისთჳს გლოცავ თქუენ
განამტკიცეთ მის ზედა სიყუა-
რული.
9. რამეთუ მივე-ამის-თჳს-
ვჰსწერე, რათა ვჰსცნა გამოცდი-
ლებაჲ თქუენი, უკეთუ ყოვლი-
სათჳს მი მორჩილ ხართ.

10. ხოლო რა იგი მიჰმად-
ლოთ ვის თქუენ, და მეცა; და
რამეთუ მეცა რა იგი მიმიმადლე-
ბიეს, მივემიმადლებიეს თქუენ
მლით წინაშე პირსა ქრისტესსა,
რათა არა მივიანგარნეთ ჩუენ
ეშმაკისაგან;
11. რამეთუ არა გონებასა
მისსა უმეცარ ვართ.
12. ხოლო მოვედ ტროა-
დად სახარებითა ქრისტესითა, და
კარი განმეღო მე უფლისა მიერ.
13. არა მაქუნდა ლხინებაჲ
სულისა ჩემისა, რამეთუ არა
ვჰპოვე მე ტიტე ძმა იგი ჩემი;
არამედ ვიჯმენ მათგან და გამო-
ვედ მაკედონიად.
14. ხოლო მადლი ღმერთსა,
რომელმან მარადის მძლეველ
გვყვნის ჩუენ ქრისტეს იესოს
მიერ, და სული იგი მეცნიერები-
სა მისისა გამოაჩინის ჩუენ მიერ
ყოველსა ადგილსა.
15. რამეთუ ქრისტეს სუნნე-
ლებანი ვართ ღმრთისა მიერ
ცხოვრებულთა მათ შორის და
წარწყმედულთა.
16. რომელთამე სულად სი-
კუდილითი სიკუდილად; და
რომელთამე სულად ცხოვრებითი
ცხოვრებად. და ამის მიმართ ვინ-
მე შემძლებელ-არს?
17. რამეთუ არა ვართ ვითარ-
ცა იგი მრავალნი ვაჭარ, სიტ-
ყუასა მას ღმრთისასა; არამედ
ვითარცა ჭეშმარიტებისაგან, არა-
მედ ვითარცა ღმრთისაგან, წინა-
შე ღმრთისა ქრისტეს მიერ ვიტ-
ყჳთ.

## თ ა ვ ი 3.

1. კუალად ვიწყებთ თავთა თჳსთა წამებად? ანუ გვიკმსმე რა, ვითარ იგი ვიეთმე, საწამებელი წიგნი აქუს თქუენდა მიმართ, ანუ თუ თქუენგან ეგრევე საწამებელი?

2. ანუ არა წიგნ ჩუენდა თქუენ ხართ უფლისა მიერ, დაწერილ გულთა შინა ჩუენთა, უწყებულ და აღმოკითხულ ყოველთა მიერ კაცთა.

3. საცნაურ ქმნილ, რამეთუ ხართ წიგნ სამოციქულო ქრისტესა, რომელი იმსახურა ჩუენ მიერ დაწერილნი არა მელნითა, არამედ სულითა ღმრთისა ცხოველისათა, არა ფიცართა შინა ქვისათა, არამედ ფიცართა შინა გულისა ჴორციელისათა.

4. ხოლო სასოება ესე-ვითარი გუაქუს ქრისტეს მიერ ღმრთისა მიმართ;

5. არა თუ თავით თჳსით შემძლებელ-ვართ ზრახვად რასმე, რეცათუ ჩუენგან, არამედ შემძლებაჲ ჩუენი ღმრთისაგან არს.

6. რომელმან იგი შემძლებელ-მყუნა ჩუენ მსახურებად ახლისა ჰსჯულისა, არა წიგნისა, არამედ სულისა; რამეთუ წიგნი მოაკუდინებს, ხოლო სული აცხოვნებს.

7. ხოლო უკეთუ მსახურება იგი სიკუდილისა წიგნითა, გამოსახული ფიცართა შინა, იქმნა დიდებულ, ვიდრელა ვერ შემძლებელ-იყუნეს ძენი ისრაილისანი თვალთ-შედგმად პირსა მოსესსა დიდებისათჳს პირისა მისისა, რომელ განქარვებად იყო:

8. რავდენმე არა უფროჲს მსახურება იგი სულისა იყოს დიდებით?

9. რამეთუ უკეთუ მსახურება იგი დაჰსჯისა დიდება; რავდენ უფროს აღემატოს მსახურება იგი სიმართლისა დიდებითა.

10. და რამეთუ არცა დიდებულ-არს დიდებადი იგი ამით ჯერითა, გარდარეულისა მისთჳს დიდებისა.

11. რამეთუ უკეთუ განქარვებადი იგი იყო დიდებით, რავდენ უფროჲს, რომელი იგი ჰგიეს დიდებასა შინა.

12. ვინათგან უკუე გუაქუს ესე-ვითარი სასოება, მრავალი განცხადებულებაჲ ვიკმიოთ,

13. და არა ვითარ იგი მოსე, სათვარველი დაიბურის პირსა თჳსსა, რათა არა ჰხედვიდენ ძენი ისრაილისანი დასასრულსა მას განქარვებისასა.

14. არამედ დაბრმეს გონებანი მათნი; რამეთუ ვიდრე დღეინდელად დღედმდე იგივე საბურველი საკითხავსა მას ზედა ძუელისა ჰსჯულისასა ჰგიეს აღუმრცველად; რამეთუ ქრისტეს მიერ განჰქარდების.

15. არამედ დღეინდელად დღედმდე, რაჟამს აღმოიკითხჳს მოსესთჳს, საბურველი გულსა მათსა ჰსმეს.

16. ხოლო რაჟამს მოიქცეს უფლისა, მოეძარცჳს საბურველი იგი.

*

17. ხოლო უფალი სულ-არს; ხოლო სადა სული უფლისა, მუნ აზნაურება არს.

18. ხოლო ჩუენ ყოველნი განცხადებულითა პირითა დიდებასა უფლისასა განვიცდით, მასვე ხატსა მივიცვალებით დიდებითი დიდებად, ვითარცა სულისაგან უფლისა.

## თავი 4.

1. ამისთჳს, მაქუს ჩუენ მსახურებაჲ ესე, ვითარცა შევიწყალენით და არა გვეწყინების;

2. არამედ განვიშორენით დაფარულნი იგი სირცხჳლისანი, და რამეთუ არა ვალთ ჩუენ ვერაგობით, არცა ვჰზაკუავთ სიტყუასა ღმრთისასა, არამედ განცხადებულებითა ჭეშმარიტებისათა, წარვუდგინებთ თავთა თჳსთა ყოვლისა მიმართ გონებისა კაცთასა წინაშე ღმრთისა.

3. ხოლო უკეთუ არს დაფარულ სახარება ესე ჩუენი, წარწყმედულთა მათ შორის არს დაფარულ,

4. რომელთანი იგი ღმერთმან ამის სოფლისათა დაუბრმნა გონებანი ურწმუნოთანი, რათა არა გამოუბრწყინდეს მათ ნათელი იგი სახარებისა დიდებისა ქრისტესი, რომელი იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისა.

5. რამეთუ არა თუ თავთა თჳსთა ვჰქადაგებთ, არამედ ქრისტესა იესოს უფალსა; ხოლო თავთა ჩუენთა მონად თქუენდა იესო ქრისტეს-თჳს.

6. რამეთუ ღმერთმან, რომელმან ჰსთქუა ბნელისაგან ნათელი გამობრწყინვებად, რომელმან გამოაბრწყინვა გულთა შინა ჩუენთა, განსანათლებელად მეცნიერებისა დიდებისა ღმრთისა წინაშე პირსა იესო ქრისტესსა.

7. ხოლო გუაქუს ჩუენ საფასე ესე კეცის-ჭურებითა, რათა გარდარეული იგი ძლიერებისა იყოს ღმრთისა, და არა ჩუენგან.

8. ყოველსა შინა ვიჭირვით, არამედ არა იწროება გვიჩნს; წარღათუ-წირულ-ვართ, არამედ არა განწირულება გვიჩნს;

9. დევნულღა თუ ვართ, არამედ არა დატევებულ ვართ; დაღათუ-ვრდომილ-ვართ, არამედ არა წარწყმედულ ვართ.

10. მარადის სიკუდილი იგი უფლისა იესოსი ჴორცთა შინა ჩუენთა გვიტჳრთავს, რათა ცხოვრებაცა იგი იესოსი ჴორცთა ამათ შინა ჩუენთა გამოცხადნეს.

11. რამეთუ მარადის ჩუენ ცხოველნი ესე სიკუდილსა მივეცემით იესოსთჳს, რათა ცხოვრებაცა იგი იესოსი მოკუდავთა ამათ შინა ჴორცთა ჩუენთა განჰსცხადნეს,

12. ვინაცა სიკუდილი ჩუენ თანა შეიქმნების, ხოლო ცხოვრება თქუენ შორის.

13. ხოლო გუაქუს ჩუენ იგივე სული სარწმუნოებისა, ვითარცა წერილ-არს: მრწმენა მე, რომ-

ლისათჳსცა ვიტყოდე, და ჩუენცა გურწამს, რომლისათჳსცა ვიტყჳთ.

14. ესე უწყით, რამეთუ რომელმან აღადგინა უფალი იესო, ჩუენცა იესოს მიერ აღმადგინნეს, და წარმადგინნეს თქუენ თანა.

15. რამეთუ ყოველივე თქუენთჳს არს, რათა მადლი იგი აღემატოს მრავალთათჳს და მადლობა იგი გარდაერიოს სადიდებელად ღმრთისა.

16. ამისთჳს არა გუეწყინების; არამედ დაღათუ გარეშე ესე კაცი ჩუენი განიხრწნების, არამედ შინაგანი განახლდების დღითი-დღედ.

17. რამეთუ საწუთო ესე მცირე ჭირი ჩუენი გარდამატებულსა და გარდარეულსა დიდსა დიდებასა საუკუნესა შეიქმს ჩუენთჳს,

18. რამეთუ არა ვჰხედავთ ჩუენ ხილულსა ამას, არამედ უხილავსა მას; რამეთუ ხილული ესე საწუთო არს, ხოლო არა ხილული იგი საუკუნოჲ.

## თ ა ვ ი 5.

1. რამეთუ უწყით, ვითარმედ, უკეთუ ქუეყანიერი ესე სახლი ჩუენი, ჴორცისა, დაირღუეს, აღშენებული ღმრთისა მიერ მაქუს ჩუენ, სახლი ჴელით-უქმნელი, საუკუნო ცათა შინა.

2. და რამეთუ ამას შინა ვჰკუნესით, და საყოფელი იგი ჩუენი ზეცით გამო შემოსად გუსურის.

3. რომელი იგი შეთუ-ვიმოსოთ, არღარა შიშუელ ვიპოვნეთ.

4. და რამეთუ, რომელნი ესე ვართ ჴორცსა ამას შინა, ვჰკუნესით დამძიმებულნი; რომელი ესე არა გუნებავს განძარცუად, არამედ შემოსად, რათა დაინთქას მოკუდავი იგი ცხორებისაგან.

5. ხოლო რომელმან იგი შემქმნა ჩუენ ამისთჳს მებრვე ღმერთმან, რომელმან მომცა ჩუენ წინდი იგი სულისა.

6. მინდობილ ვართ უკუე მარადის; და უწყით, რამეთუ შემოვედით ჴორცითა ამით, და განვიდეთ უფლისა მიერ:

7. რამეთუ სარწმუნოებით ვიქცევით, და არა იჭჳთ.

8. ხოლო ვიკადრებთ და ჯერ-გჳჩნს უფროჲსღა განსლვა ჴორცთა ამათგან, და მისლუად უფლისა.

9. ამისთჳსცა ვიღუწით, გინათუ შემოვიდეთ, გინათუ განვიდეთ, სათნომცა ხოლო ვართ მისა:

10. რამეთუ ჩუენ ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა,

11. რათა მოიღოს კაცად კაცადმან ჴორცთა ამათგან რაჲცა იგი ჰქმნა, გინათუ კეთილი, გინათუ ბოროტი.

12. უწყით უკუე, შიში უფლისა, კაცთამე ვერწმუნეთა; რამეთუ ღმრთისა წინაშე განცხადე-

ბულ ვართ; და ვესავ, გონებათა-ცა თქუენთა შინა განცხადებად.

13. და არა თუ კუალად თავთა თჳსთა შეგასწავებ თქუენ, არამედ მიზეზსა გცემთ თქუენ სიქადულისასა ჩუენთჳს, რათა გაქუნდეს მათდა მიმართ, რომელნი იგი პირსა წინაშე ხოლო იქადიან, და არა გულითაცა.

14. რამეთუ გინათუ განვჰსცჳფრდით, ღმრთისა; გინათუ განვჰბრძნდით, თქუენდა.

15 რამეთუ სიყუარული იგი ქრისტესი მაწუევს ჩუენ.

16. გამორჩევად ამას, ვითარმედ ერთი იგი ყოველთათჳს მოკუდა, ყოველნივე სამე მოჰსწყუდეს.

17. და ქრისტე ყოველთათჳს მოკუდა, რათა ცხოველნი იგი არღარა თავთა თჳსთათჳს ცხოველ-იყუნენ, არამედ მათთჳს მომკუდრისა მის და აღდგომილისა.

18. ამისთჳს ჩუენ ამიერითგან არღარავინ ვიცით ჴორციელად; რამეთუ დაღათუ ვიცოდით ქრისტე ჴორციელად, არამედ აწ არღარა ვიცით.

19. არამედ რა იგი არს ქრისტეს მიერ, ახალი დაბადებული; პირველი იგი წარჰსდა, აჰა ესერა იქმნა ყოველივე ახალ.

20. და ყოველივე ღმრთისა მიერ, რომელმან იგი დამაგნა ჩუენ თავსა თჳსსა ქრისტე იესოს მიერ, და მომცა ჩუენ მსახურებაჲ იგი დაგებისა.

21. რამეთუ ღმერთი იყო ქრისტეს თანა, სოფელი დააგო თავსა თჳსსა, და არა შეურაცხნა მათ ცოდუანი მათნი, და დაჰსდუა ჩუენთანა სიტყუა იგი დაგებისა.

22. ქრისტესთჳს უკუე ვჰციქუთ, ვითარცა ღმერთი გლოცავს ჩუენ მიერ; გევედრებით ქრისტესთჳს: დაეგენით ღმერთსა.

23. რამეთუ რომელმან იგი არა იცოდა ცოდუა ჩუენთჳს ცოდუაჲ ჰქმნა, რათა ჩუენ ვიქმნნეთ სიმართლე ღმრთისა მის შინა.

თავი 6.

1. ხოლო თანა-შეგეწევით და გლოცავთ, რათა არა ამაოდ მადლი იგი ღმრთისა შეიწყნაროთ თქუენ.

2. რამეთუ იტყჳს: ჟამსა შეწყნარებისასა გისმინე შენ, და დღესა ცხოვრებისასა შეგეწიე შენ. აჰა ესერა, აწ არს ჟამი იგი შეწყნარებისა, აჰა ესერა, აწ არს დღე იგი ცხოვრებისა.

3. ნურავინ ნურარაჲთ ნუცა ერთსა დაბრკოლებასა ვის ჰსცემთ, რათა არა იგმოს მსახურება ეგე თქუენი;

4. არამედ ყოველსა შინა წარუდგინენით თავნი თქუენნი, ვითარცა ღმრთის-მსახურთა, მოთმინებითა მრავლითა, ჭირთა შინა და ურვათა, იწროებათა შინა,

5. და ტანჯუათა პყრობილებათა შინა და შფოთებათა, შრომითა და მღვიძარებითა, მარხჳთა,

6. და სიწმიდითა მეცნიერებითა და სულ-გრძელებითა სი-

ტკბოებითა და სულითა წმიდი-
თა, სიყუარულითა შეუორგულე-
ბელითა,
7. სიტყჳთა ჭეშმარიტებისა-
თა ძალითა ღმრთისათა, საჭურ-
ველითა მით სიმართლისათა მარ-
ჯუენისათა და მარცხენისათა,
8. დიდებითა და გინებითა,
გმობითა და ქებითა, ვითარცა მა-
ცთურნი და ჭეშმარიტნი;
9. ვითარცა უცნაურნი და სა-
ცნაურნი, ვითარცა მოსიკუდიდნი,
და აჰა ესერა, ცხოველ-ვართ, ვი-
თარცა სწავლულნი, და არა სიკუ-
დილადნი;
10. ვითარცა მწუხარენი, და
მარადის გვიხარის; ვითარცა გლა-
ხაკნი, და მრავალთა განვამდიდ-
რებთ; ვითარცა არა რაჲ გუაქუს,
და ყოვლივე გუაქუს.
11. პირი ჩუენი აღებულ-არს
თქუენდა მიმართ, კორინთელნო,
და გული ჩუენი განვრცომილ-
არს.
12. არა შეიწრებულ-ხართ ჩემ
მიერ; არამედ შეიწრებულ-ხართ
ნაწლევთაგან თქუენთა.
13. მისვე სასყიდლის კუალად-
გებასა, ვითარცა შვილთა გეტყჳ,
განვრცდენით თქუენცა.
14. ნუ ექმნებით თანა-მეუღ-
ლე ურწმუნოთა მათ; რამეთუ არა
მოყუსობა არს სიმართლისა და
უსჯულოებისა? ანუ რა ზიარება
არს ნათლისა და ბნელისა?
15. ანუ რა შეტყუება არს
ქრისტესი ბელიერისთანა? ანუ რა
ნაწილი უძს მორწმუნესა ურწმუ-
ნოსათანა?
16. ანუ რა სწორება არს
ტაძრისა ღმრთისა კერპთა თანა?
17. რამეთუ თქუენ ტაძარნი
ღმრთისა ცხოველისანი ხართ,
ვითარცა ჰსთქუა ღმერთმან: და-
ვიმკჳდრო და ვიქცეოდე მათ შო-
რის; და ვიყო მე მათდა ღმერთ,
და იგინი იყუნენ ჩემდა ერად.
18. ამისთჳს გამოვედით შო-
რის მათსა, და გამოეშორენით
იტყჳს უფალი, და არა-წმიდასა
ნუ შეეხებით; და მე შეგიწყნარნე
თქუენ.
19. და ვიყო მე თქუენდა
მამა, და თქუენ იყუნეთ ჩემდა
ძეებ და ასულებ, იტყჳს უფალი
ყოვლისა-მპყრობელი.

## თავი 7.

1. ესერა უკუე, გუაქუნან აღ-
თქმანი, საყუარელნო,
2. განვიწმიდნეთ თავნი ჩუენ-
ნი ყოვლისაგან შეგინებისა ჴორც-
თასა და სულისა, და აღვასრულებ-
დეთ სიწმიდესა შიშითა ღმრთი-
სათა.
3. შემინდვეთ ჩუენ. არა ვის
რაჲ ვავნეთ, არა ვინ ვჰხრწენით,
არა ვინ მოვიანგარეთ.
4. არა დასასჯელად ვიტყჳ.
წინასწარ ვჰსთქუ, ვითარმედ გულ-
თა შინა ჩუენთა ხართ, თანა
მოსიკუდილად და თანა-ცხოვრებად.
5. მრავალი კადნიერებაჲ მაქუს
თქუენდა მიმართ, მრავალი სიქა-
დული თქუენთჳს, სავსე ვარ
ნუგეშინის-ცემითა, გარდამრევიეს

სიხარული, ყოველთა ზედა ჭირთა ჩუენთა.

6. და რამეთუ, რაჟამს მოვედით ჩუენ მაკედონიად, არცა ერთი რა ლხინებაჲ აქუნდა ჴორცთა ჩუენთა; არამედ ყოვლითავე ვიჭირვოდით: გარეშე ბრძოლანი, შინაგან შიშნი.

7. არამედ რომელმან იგი ნუგეშინის-ჰსცის მდაბალთა, ნუგეშინის-მცა ჩუენ ღმერთმან მოსლვასა მას ტიტესა,

8. არა ხოლო მოსლვითა მისითა, არამედ ნუგეშინის-ცემითა მით, რომლითა ნუგეშინის-ცემულ-იქმნა თქუენ ზედა, მითხრობდა ჩუენ თქუენსა მას სურვილსა, თქუენსა მას გოდებასა, თქუენსა მას შურსა ჩუენთჳს, ვიდრელა მე უფროჲსად განვიხარე.

9. რამეთუ დალათუ შეგაწუხენ თქუენ წიგნითა მით, არა ვინანი, დალათუმცა ვინანდი; ვჰხედავ, რამეთუ წიგნმან მან დალათუ შეგაწუხნა თქუენ, ჟამ-ერთ.

10. აწ მიხარის, არათუ, რომელ შეჰსწუხენით; არამედ რამეთუ შეჰსწუხენით სინანულად; და რამეთუ ღმრთისათჳს შეჰსწუხენით, რათა არა რაჲთ იზღვინეთ ჩუენგან.

11. რამეთუ ღმრთისა მიერი იგი მწუხარება სინანულსა ცხოვრებისასა შეუნანებელსა შეიქმს; ხოლო სოფლისა ამის მწუხარება სიკუდილსა შეიქმს.

12. რამეთუ აჰა ესერა, მანვე ღმრთისა მიერმან მწუხარებამან მაგან თქუენმან, რავდენი შეჰქმნა თქუენ შორის სწრაფვაჲ, რავდენი სიტყჳს-გებაჲ, რავდენი შერისხვაჲ, რავდენი შიში, რავდენი სურვილი, რავდენი შური, რავდენი შურის-გებაჲ. ყოვლსა შინა წარუდგინენით თავნი თქუენნი წმიდად საქმესა მას.

13. დალაცათუ მივჰსწერე თქუენდა, გარნა არა სამე მავნებელისა მისთჳს არცა ვნებულისა; არამედ ამისთჳს, რათა გამოჰსჩნდეს მოსწრაფებაჲ თქუენი ჩუენდა მომართ თქუენდა მიმართ წინაშე ღმრთისა.

14. ამისთჳს ნუგეშინის-ცემულ-ვართ ნუგეშინის-ცემასა მას თქუენსა ზედა; უმეტესადღა და უფროჲს განვიხარეთ სიხარულსა მას ზედა ტიტესსა, რამეთუ განსუენებულ-არს სული მისი თქუენ ყოველთაგან.

15. რამეთუ რაჲცა იგი მისა მიმართ ვიქადე თქუენთჳს, არა მრცხუენა; არამედ ვითარცა ყოვლსავე ჭეშმარიტებით გეტყოდით თქუენ, ეგრეთცა სიქადული იგი ჩუენი ტიტეს მიმართ ჭეშმარიტ-იქმნა.

16. და მოწყალებაჲ მისი უმეტესადღა თქუენდა მიმართ არს, მოეხსენების თქუენ ყოველთა იგი მორჩილებაჲ, ვითარ იგი შიშით და ძრწოლით შეიწყნარეთ იგი.

17. მიხარის, რამეთუ ყოვლითავე კადნიერ-ვარ თქუენ შორის.

თ ა ვ ი 8.

1. ხოლო გაუწყებ თქუენ,

ძმანო, მადლსა მას ღმრთისასა, რომელი იგი მოცემულ-არს ეკკლესიათა მაკედონიაჲსათა.

2. რამეთუ მრავალმან მან გამოცდილებამან ჭირისამან და უმეტესმან სიხარულმან მათმან, და დიდ-ძალმან სიგლახაკემან მათმან გარდამატა სიმდიდრესა მას უხუჱბისა მათისასა.

3. რამეთუ მჰსგავსად ძალისა მათისა ვეწამები, და უფროს ძალისაცა ნებსით თჳსით.

4. მრავლითა ვედრებითა გვევედრებოდეს ჩუჱნ მადლსა მას და ზიარებასა მსახურებისასა წმიდათა მიმართ მიღებად ჩუჱნდა.

5. და არა ხოლო, ვითარ იგი ვესევდით, არამედ თავნი თჳსნი მიჰსცნეს პირველად უფალსა, და მერმე ჩუჱნ ნებითა ღმრთისათა.

6. რათა ვლოცვიდეთ ჩუჱნ ტიტეს, რათა, ვითარცა იგი წინასწარ იწყო, ეგრეთვე აღასრულოს თქუჱნდა მიმართ ესეცა მადლი.

7. არამედ ვითარცა იგი ყოველსა შინა წარემატებით: სარწმუნოებითა და სიტყჳთა, და მეცნიერებითა, და ყოვლითა მოსწრაფებითა, და ჩუჱნ მიერითა მით თქუჱნ შორის სიყუარულითა; რათა ამითცა მადლითა აღემატნეთ.

8. არა თუ ბრძანებით გეტყჳ, არამედ სხუათა მოსწრაფებისათჳს და თქუჱნისა სიყუარულისა გულითადობასა გამოვიცდი.

9. რამეთუ იცით მადლი იგი უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესი, რამეთუ თქუჱნთჳს დაგლახაკნა, მდიდარი იგი, რათა თქუჱნ მისითა მით სიგლახაკითა განჰმსდიდრდეთ.

10. და ამისთჳს გაზრახებ; რამეთუ ესე უმჯობეს-არს თქუჱნდა, რომელთა ეგე არა ხოლო თუ ყოფად, არამედ ნებადცა წინასწარ იწყეთ შრანდითგან.

11. ხოლო აწ ესერა ყოფადცა აღასრულეთ, რათა, ვითარცა იგი გულს-მოდგინებაჲ ნებისათჳს, ეგრეცა აღსრულებაჲ მისგან, რომელი იგი გაქუს.

12. რამეთუ უკეთუ გულს-მოდგინება იგი წინა-ჰსძეს; რაჲცა იგი ვის აქუს შეწირულ-არს, არა, რომელი იგი არა აქუს.

13. რამეთუ არა, რათა სხუათა ლხინი, ხოლო თქუჱნ ჭირი; არამედ განსწორებით.

14. ამას ჟამსა თქუჱნი იგი ნამეტნავი მათისა მის ნაკლულევანებისა; რათა მათიცა იგი ნამეტნავი იყოს თქუჱნისა მის ნაკლულევანებისა, რათა იყოს განსწორებულ.

15. ვითარცა წერილ არს: რომელმან ფრიად მიიღო, არა ემატა; და რომელმან მცირედ, არა დააკლდა.

16. ხოლო მადლი ღმერთსა, რომელმან მოჰსცა იგივე სწრაფაჲ თქუჱნთჳს გულსა ტიტესსა.

17. რამეთუ ვედრებაჲ იგი შეიწყნარა; და უმოსწრაფეს რა იყო, ნებსით თჳსით განვიდა თქუჱნდა მიმართ.

18. და მისთანა მივავლინეთ ძმაჲ, რომლისა იგი ქებაჲ სახა-

რებასა შინა ყოველთა მიერ ეკ-
კლესიათა,
19. და არა მხოლოდ თუ ესე,
არამედ ჴელთ-დასხმითაცა იკურთ-
ხა ეკკლესიათაგან თანა-გზისად
ჩუენდა მადლითა ამით, რომელი
იმსახურების ჩუენ მიერ თავადი-
სა უფლისა სადიდებელად და გულს-
მოდგინებისა თქუენისათჳს,
20. ვერიდებით ამას, ნუვინმე
გუგმობდეს ჩუენ სიმტკიცისა
ამისთჳს, რომელი იმსახურების
ჩუენ მიერ:
21. რამეთუ წინასწარ განვი-
ზრახავთ კეთილსა არა ხოლო წინა-
შე უფლისა, არამედ წინაშე კაცთაცა.
22. და ამათ თანა მივავლინეთ
ძმაჲ ჩუენი, რომელი მოგუეცა
და მრავალსა შინა მრავალ-გზის
და არს იგი მოსწრაფე, ხოლო
აწ ფრიად უმოსწრაფეს სასოები-
თა მრავლითა თქუენდა მიმართ.
23. გინათუ ტიტესთჳს, საქ-
მისა ზიარისა მის ჩუენისა და
თქუენისა შემწისა; გინათუ ძმანი
ჩუენნი, მოციქულნი ეკკლესიათა-
ნი, დიდებანი ქრისტესნი.
24. აწ უკუე გამოჩინებაა იგი
სიყუარულისა თქუენისა და ჩუენი-
სა, სიქადულისა თქუენთჳს მათ-
და მიმართ აჩუენეთ წინაშე პირ-
სა ეკკლესიათასა.

თ ა ვ ი 9.

1. რამეთუ მსახურებისა მის-
თჳს წმიდათასა ნამეტნავ-არს ჩემ-
და მიწერად თქუენდა,
2. რამეთუ ვიცი გულს-მო-
დგინებაჲ თქუენი, რომელი იგი
თქუენთჳს ვიქადე მაკედონელთა
თანა, ვითარმედ აქაია განმზადე-
ბულ-არს შრანდითგან; და თქუენ-
მან მან შურმან აღაბამვნა მრავალნი.
3. ხოლო მივავლინენ ძმანი,
რათა არა სიქადული იგი ჩუენი
თქუენთჳს ცუდად იყოს ამის
ჯერისათჳს, რათა, ვითარცა იგი
ვიტყოდე, განმზადებულ-იყუნეთ;
4. ნუ უკუე მოვიდენ ჩემ-
თანა მაკედონელნი, და გპოვნენ
თქუენ განუმზადებელნი, მრცხუე-
ნოდეს ჩუენ, რათა არა გეტყო-
დით თქუენ ამის ჯერისათჳს სი-
ქადულისა.
5. უმჯობესად უკუე შევრაც-
ხე, რათა ვევედრო ძმათა, რა-
თა წინასწარ მივიდენ თქუენდა,
და წინასწარ განგაკრძალნენ, და
დაამტკიცონ პირველ აღთქმული
იგი ევლოგია თქუენი, რათა ესე
განმზადებულ-იყოს, ვითარცა ევ-
ლოგია, და არა ვითარცა ანგარებაჲ.
6. ხოლო ამას ვიტყჳ: რო-
მელმან ჰსთესოს რიდობით, რი-
დობითცა მოიმკოს; და რომელ-
მან ჰსთესოს კურთხევით, კურ-
თხევითცა მოიმკოს.
7. კაცად კაცადსა, ვითარცა გა-
მოურჩევიეს გულითა, ნუ მწუ-
ხარებით ნუცა უნებლებით; რა-
მეთუ მხიარულებით მისაცემელი
უყუარს უფალსა.
8. ხოლო ძალ-უძს ღმერთსა
ყოველივე საკმარი გარდამატებად
თქუენდა, რათა ყოველსა შინა
მარადის ყოველივე უნაკლულოდ
გუაქუნდეს, და ჰმატებდეთ ყო-
ველსა ზედა საქმესა კეთილსა,

9. ვითარცა წერილ არს: განა-
ბნინა და მიჰსცა იგი გლახაკთა;
და სიმართლე მისი ჰგიეს უკუნი-
თი უკუნისამდე.
10. ხოლო რომელმან გამოჰს-
ცის თესლი მთესვარსა და პური
საზრდელად მოჰგეცინ და განამრავ-
ლენ თესლი თქუენი, და აღაორ-
მინენ ნაყოფი სიმართლისა თქუე-
ნისა;
11. ყოველსა შინა განგამდიდ-
რენინ ყოვლითა უხუებითა, რო-
მელი იგი შეიქმნების ჩუენ მიერ
სამადლობელად ღმრთისა.
12. რამეთუ მსახურება ესე
შესაწირავისა ამის არათუ აღმა-
ვსებელ ხოლო არს ნაკლულევა-
ნებისა მის წმიდათასა, არამედ
აღმატებაცა მრავალთათჳს სამად-
ლობელად ღმრთისა.
13. გამოცდილებითა მით
ამის მსახურებისათა, ადიდებდით
ღმერთსა დამორჩილებითა მით
აღსარებისა თქუენისათა სახარე-
ბასა მას ქრისტესსა და უხუები-
თა მით ზიარებისათა მათდა მი-
მართ და ყოველთა.
14. და მათი იგი ლოცუა
თქუენთანა, ჰსურის მათ თქუენ-
და გარდარეულისა მისთჳს მად-
ლისა ღმრთისა, რომელ-არს
თქუენ ზედა.
15. ხოლო მადლი ღმერთსა გა-
მოუთქმელთა მათ ნიჭთა მისთა
ზედა!

## თავი 10.

1. მე თავადი პავლე, გლოცავ
თქუენ სიმშჳდითა მით და სახი-
ერებითა ქრისტესითა, რომელი
ესე პირის-პირ მდაბალ თქუენ
შორის, ხოლო შორით ვიკადრებ
თქუენდა მიმართ.
2. ხოლო გლოცავ, რათა არა
პირის-პირ ვიკადრო სასოებით,
გინა შერამე ვჰრაცხო კადრებად
ვიეთმე ზედა, რომელთა ვჰგონიეთ
ჩუენ.
3. ვითარცა ხორციელად მა-
ვალნი, რამეთუ ხორციელად თუ
ვიქცევით, არამედ არა ხორციე-
ლად განწესებულ-ვართ.
4. რამეთუ საჭურველი ჩუენი-
სა მის მჴედრობისა არა ხორცით
არს, არამედ ძლიერ ღმრთისა
მიერ დასარღუეველად ძნელოვან-
თა; გულის სიტყუათა დავარ-
ღუევთ,
5. და ყოველსა სიმაღლესა, ამა-
ღლებულსა მეცნიერებასა ზედა
ღმრთისასა, და წარმოვჰსტყუენავთ
ყოველსავე ცნობასა მორჩილებად
ქრისტესა,
6. და განმზადებულად გუაქუს
შურის-გებად ყოვლისა ურჩებისა,
რაჟამს აღესრულოს თქუენი ეგე
მორჩილებაჲ.
7. კაცად კაცადისა პირსა ჰსე-
დევდით?
8. ვინ იგი ესავს თავსა თჳს-
სა, ქრისტესსა, ყოფად, ესე განი-
ზრახენ კუალად თავით თჳსით,
რამეთუ ვითარცა იგი ქრისტესი
არს, ეგრეცა ჩუენ ქრისტესნი.
9. რამეთუ, უკეთუ უმეტეს
რა ვიქადო კელმწიფებისა ამის
ჩუენისა თჳს, რომელი მომცა
ჩუენ უფალმან აღსაშენებელად,

და არა დასარღჳევლად თქჳენდა,
არა მრცხჳენეს.
10. ხოლო, რათა არა საგო-
ნებელ-ვიქმნა, ვითარმედ გაშინებ
რასმე თქჳენ წიგნითა ამით;
11. რამეთუ იტყჳს, ვითარმედ
წიგნები ესე რეცა მძიმე და ძლი-
ერ, ხოლო მოსლვაჲ კორცითა
უძლურ, და სიტყჳა შეურაცხ.
12. და ესე განიზრახენ ეგე-
ვითარმან მან, რამეთუ ვითარცა
იგი ვართ სიტყჳთა წიგნებისათა
შორით, ეგრეთცა მახლობელად
საქმითა.
13. რამეთუ ვერ ვიკადრებთ
თავთა თჳსთა განკითხჳად, გინა
შეტყჳებად ვიეთმე თანა, რომელ-
ნი იგი თავთა თჳსთა ეწამებიან.
არამედ იგინი თჳთ თავთა თჳსთა
განიზომენ, და თანა-შეატყჳებენ
თავთა თჳსთა თავით თჳსით, და
ვერ გულის-ხმა-ჰყოფენ.
14. ხოლო ჩჳენ არა უსაზო-
მოდ ვიქადოთ, არამედ საზომითა
მით წესისათა, რომელ იგი განგვი-
ყო ჩჳენ ღმერთმან საზომითა მით
მიწდომად, ვიდრე თქჳენდამდე.
15. რამეთუ არა ვითარცა ვერ
მიწდომილნი თქჳენდა მიმართ;
უმეტეს განვირთხამთ თავთა თჳს-
თა, რამეთუ ვიდრე თქჳენდამდე-
ცა მივჰსწჳედით სახარებითა ქრი-
სტესითა.
16. არა უსაზომოდ მოქადულ-
ნი სხჳსა შრომილსა ზედა, არა-
მედ სასოებაჲ გჳაქჳს ჩჳენ,
ადორძინებულისა მის სარწმუნოე-
ბისა თქჳენისა, თქჳენ შორის
განდიდებად კანონისა ებრ ჩჳენი-
სა ნამეტნავად,
17. მიერ კერძო თქჳენსა
სახარებად, არა სხჳსა კანონსა თანა
მზასა სიქადულად, ხოლო რომე-
ლი იგი იქადოდეს უფლისა მიერ
იქადოდენ.
18. რამეთუ არა რომელი იგი
თავსა თჳსსა ეწამებოდეს, იგი
არს გამოცდილი, არამედ რომელ-
სა იგი უფალი ეწამოს.

თ ა ვ ი 11.

1. ჵერ-იყო თავსა თუმცა იდე-
ვით ჩემი მცირედ უგუნურებისა!
არამედ თავსაცა იდვათ ჩემი,
2. რამეთუ გაშურებ თქჳენ
ღმრთისა შურსა; რამეთუ მიგათ-
ხოვენ თქჳენ ერთსა მამა-კაცსა,
ქალწულად წმიდად წარდგინებად
ქრისტესა.
3. ხოლო მეშინის, ნუ უკჳე,
ვითარცა იგი გჳელმან აცთუნა
ევა ზაკულებითა თჳსითა, ეგრეთ-
ცა განჰხრწნნეს გონებანი თქჳენ-
ნი, სიწრფოებისაგან ქრისტეს
მიმართ.
4. უკეთუ რომელი იგი მოვი-
დეს და სხჳასა იესოს ჰქადაგებ-
დეს, რომელი არა ვჰქადაგეთ, გინა
სხჳა სული მოაქჳნდეს, რომელი
არა მიიღეთ, გინა სახარებაჲ
სხჳა, რომელი არა შეიწყნარეთ;
კეთილად სამე ჰყავთ.
5. რამეთუ ვჰგონებ, ვითარ-
მედ არა რაჲ დავაკლდი ფრიად
მოციქულთა მათ.
6. და დაღათუ უცებ ვარ
სიტყჳთა, არამედ არა ცნობითა-

ცა, არამედ ყოვლითავე განვჰს-
ცხადენით ყოველსა შინა თქუჱნ-
და მიმართ.

7. ანუ ცოდვაჲ მე რაჲ ვჰქმე-
ნა, რამეთუ თავი თჳსი დავიმდაბ-
ლე, რათა თქუჱნ აჰმაღლდეთ;
რამეთუ უსასყიდლოდ სახარებაჲ
იგი ღმრთისა გახარე თქუჱნ?

8. სხუანი ეკლესიანი წარ-
მოვჰსტყუენ, და მოვიღე საგზა-
ლი თქუჱნდა სამსახურებელად;
და, მორავედ თქუჱნდა და ნაკლუ-
ლევან ვიქმენ, არავე რა ვის
თქუჱნგანსა დავუმძიმე.

9. რამეთუ ნაკლულევანებაჲ
ჩემი აღავსეს ძმათა, მორავიდეს
მაკედონიაჲთ; და ყოვლითავე და-
უმძიმებელად თქუჱნდა თავი ჩემი
დავიმარხე და დავიმარხო.

10. არს ჭეშმარიტებაჲ ქრისტე-
სი ჩემ თანა, ვითარმედ სიქადუ-
ლი ესე არა დაეყენოს ჩემდა
მომართ ადგილთა მათ აქაიასთა.

11. რაჲსათჳსმე არა მიყუარ-
თა თქუჱნ? ღმერთმან იცის!

12. ხოლო რომელსა ესე
ვჰყოფ, დავჰყო, რათა წარვჰკუჱ-
თო მიზეზი, რომელთა იგი
ჰნებავს მიზეზი, რათა, რომლითა
იგი იქადიან, იპოვნენ, ვითარცა
იგი ჩუჱნ.

13. რამეთუ ეგე-ვითარნი იგი
ცრუ-მოციქულნი, მუშაკნი ზაკულ-
ნი, გარდაიცვალნიან მოციქულად
ქრისტესად.

14. და არა საკჳრველ-არს;
რამეთუ თჳთ იგიცა ეშმაკი იც-
ვალისვე ანგელოსად ნათლისა.

15. არა უკუჱ დიდ-არს მსა-
ხურნიცა, თუ მისნი გარდაიცუალ-
ნენ, ვითარცა მსახურნი სიმართლი-
სანი, რომელთა აღსასრული იყოს
საქმეთა მათთაებრ.

16. კუალად ვიტყჳ: ნუ ვინ-
მე უგუნურად შემრაცხოს მე;
უკეთუ არა; მაშა ვითარცა უგუნუ-
რი თავს-მიდევით მე, რათა მეცა
მცირედ რაჲმე ვიქადო.

17. რომელსა ესე ვიტყჳ, არა
ვიტყჳ უფლისა მიერ, არამედ
ვითარცა უგუნურებით ჯერითა
ამით სიქადულისათა.

18. ვინათგან მრავალნი იქადი-
ან ჴორციელად, მეცა ვიქადოდე.

19. რამეთუ კეთილად თავს-
იდუათ უგუნურთა, გონიერთა
მაგათ, რამეთუ თავსაცა იდებთ.

20. უკეთუ ვინმე დაგიმონებს,
უკეთუ ვინმე შეგჭამს, უკეთუ
ვინმე მიგიღებს, უკეთუ ვინმე
ამაღლდების თქუჱნ ზედა, უკეთუ
ვინმე პირსა გცემს.

21. საკდემელად თქუჱნდა
გეტყჳ, ვითარმედ ჩუჱნ რეცა
მოუძლურდით;

22. რომლითა იგი ვინმე
იკადრებს სიქადულსა, უგუნურე-
ბით ვიტყჳ, ვიკადრო მეცა.

23. ებრაელ თუ არიან? მეცა.
ისრაიტელ თუ არიან? მეცა.
ნათესავნი თუ აბრაამისანი არიან?
მეცა.

24. მსახურნი თუ ქრისტესნი
არიან? უგუნურებსადრე ვიტყჳ,
უფროჲსღა მე შრომითა, უმეტეს
ტანჯვითა, უმეტეს პყრობილებითა
გარდარეულად, სიკუდილთა შინა
მრავალ-გზის.

25. ურიათაგან ხუთ-გზის
ორმეოცსა ერთ მოკლებული ცე-
მაჲ მოვიღე.
26. სამ-გზის კუერთხითა
ვიეც, ერთ-გზის ქჳთა განვიტვი-
ნე, სამ-გზის ნავი დამექცა, ღამე
და დღე უფსკრულთა შინა დავ-
ჰყავ.
27. გზისა სლვანი მრავალ-
გზის, ჭირნი მდინარეთანი, ჭირ-
ნი ავაზაკთაგან, ჭირნი ნათესავთა-
გან, ჭირნი წარმართთაგან, ჭირნი
ქალაქთა შინა, ჭირნი უდაბნოთა
ზედა, ჭირნი ზღუათა შინა,
ჭირნი ძმათა მტყუართაგან.
28. შრომითა და რუდუნები-
თა, მღჳძარებითა, მრავალ-გზის
შიმშილითა და წყურილითა, მარ-
ხჳთა მრავალ-გზის, ყინელითა
და შიშლოებითა.
29. გარეშე მისა, რომელი
მოიწევის ჩემ ზედა დღითი-დღე
ზრუნვაჲ ყოველთა ეკლესიათა.
30. ვინ უძლურ არნ, და მე
არა უძლურ ვიყვი? ვინ დაბრკოლ-
დებინ, და მე არა ვჰკურევდი?
31. უკეთუ ჯერ-არს სიქადუ-
ლი, უძლურებისა ჩემისასა ვიქა-
დოდე.
32. ღმერთმან და მამამან უფლი-
სა ჩუენისა იესო ქრისტესმან
იცის, რომელი იგი არს კურთხე-
ულ უკუნისამდე რამეთუ არა ვტყუი.
33. დამასკოს შინა მთავარსა
არეტა მეფისასა მოეცვა ქალაქი
დამასკელთა, შეპყრობაჲ ჩემი
უნდა; და სარკმლით სარგნითა
გარდავჰკედ ზღუდესა, და განვერი
ჴელთაგან მისთა.

თ ავ ი 12.

1. უკეთუ სიქადული ჯერ-
არს შერაჰგავს ჩემდა; ხოლო
მოვიდე ხილვასა და გამოცხადება-
სა უფლისასა.
2. ვიცი კაცი ქრისტეს მიერ,
უწინარეს ათოთხ-მეტისა წლისა
გინათუ ხორცითა, არა ვიცი,
გინა თუ თჳნიერ კორცთასა,
არა ვიცი, ღმერთმან იცის, აღი-
ტაცა ესე-ვითარი კაცი, ვიდრე
მესამედ ცადმდე.
3. და ვიცი ესე-ვითარი კაცი,
გინათუ ხორცითა, გინათუ გარე-
შე კორცთასა, არა ვიცი, ღმერთ-
მან იცის.
4. რამეთუ მიიტაცა სამოთ-
ხედ, და ესმნეს უთქმელნი სიტ-
ყუანი, რომელ არა ჯერ-არიან
კაცთა სიტყუად.
5. ესე-ვითარისათჳს ვიქადი;
ხოლო თავისა ჩემისათჳს არა
ვიქადი, გარნა უძლურებათა შინა
ჩემთა.
6. ხოლო უკეთუ მინდეს
სიქადულის, არა ვიყო უგუნურ,
რამეთუ ჭეშმარიტი ვჰსთქუა; ხო-
ლო ვერიდები, ნუ ვინმე ჩემდა
შერაცხოს, რომლისათჳს ესე
მხედავს მე, გინათუ ესმის რაჲმე
ჩემგან.
7. და გარდარეულებითა ამით
გამოცხადებათათა, რათა არა
აღვიმაღლო, მომეცა მე საწერტე-
ლი კორცთა, ანგელოს სატან,
რათა დამქენჯნიდეს მე, რათა არა
აღვიმაღლო.
8. და ამისთჳს სამ-გზის ვე-

ვედრე უფალსა, რათა განმაშო-
როს ჩემგან.
9. და მჰრქუა: კმა არს შენდა
მადლი ჩემი; რამეთუ ძალი ჩემი
უძლურებასა შინა სრულ-იქმნე-
ბის. უმჯობესღა უკუჱ და უფროს
ვიქადი უძლურებათა შინა ჩემთა,
რათა დაიმკჳდროს ჩემთანა ძალ-
მან ქრისტესმან.
10. ამისთჳს სათნო-მიჩნს უძ-
ლურებათა შინა, გინებათა, ჭირთა,
დევნულებათა, და იწროებათა ქრის-
ტესთჳს: რამეთუ, რაჟამს მოუძ-
ლურდე, მაშინ განვჰსძლიერდები.
11. ვიქმენ უგუნურ, სიქადუ-
ლისათჳს; რამეთუ თქუჱნ მაი-
ძულეთ მე. რამეთუ ჯერ-იყო
ჩემდა, რათამცა თქუჱნ მეწამენით
მე, რამეთუ არა რა დავაკლდი
ფრიად მოციქულთა მათ, დაღათუ
არა რაჲ ვარ.
12. არამედ სასწაული იგი
მოციქულისავე იქმნა თქუჱნ შო-
რის, ყოვლითა მოთმინებითა,
სასწაულებითა და ნიშებითა და
ძალითა.
13. რამეთუ რაჲ არს, რომ-
ლითა იგი იძლიენით უფროს
სხუათა მათ ეკკლესიათა, გარნა
თუ, რამეთუ მე თჳთ არა რაჲ
დაგიმძიმე თქუჱნ? მომმადლეთ მე
შეცოდებაჲ ესე.
14. აჰა ესერა, მესამედ განმ-
ზადებულ-ვარ მისლვად თქუჱნ-
და, და არავე დაგიმძიმო თქუჱნ;
რამეთუ არა ვეძიებ თქუჱნსა,
არამედ თქუჱნ. რამეთუ არა შჳლ-
ნი მამა-დედათა უუნჯებენ, არა-
მედ მამა-დედანი შჳლთა.

15. ხოლო მე ჯეროვნად
განვილიო და განვჰკფდე სულთა
თქუჱნთათჳს, რავდენ უფროს
მიყვართ თქუჱნ, უმცირეს გი-
ყუარ მე.
16. იყავნ უკუჱ, რამეთუ მე
თჳთ არა დაგიმძიმე თქუჱნ; არა-
მედ ვიყავ მეცნიერ და ზაკვით
მოგიყუანენ თქუჱნ.
17. ნუ უკუჱ, რომელი იგი
მივავლინე თქუჱნდა მის მიერ,
მომერაჲ-განგარე თქუჱნ?
18. ვლოცევდ ტიტეს, და თანა-
მივაყვანე ძმაჲ: ნუ მომერა-
გხუჱჭა ტიტე? ანუ არა მითვე
სულითა ვიდოდეთ? ანუ არა
მათვე კუალთა შეუდეგითა?
19. კუალად გუგონიეს, ვითარ-
მედ თქუჱნ სიტყუა-გიგებთ?
წინაშე ღმრთისა, ქრისტეს მიერ
ვიტყჳთ, ხოლო ყოველივე, სა-
ყუარელნო, თქუჱნისა აღშენები-
სათჳს არს.
20. რამეთუ მეშინის, ნუ
უკუჱ მოვიდე და არა ვითარ იგი
მნებავს, გპოვნე თქუჱნ; და მე
გეპოვო თქუჱნ, ვითარ იგი თქუჱნ
არა გნებავს, ნუ უკუჱ იყუნენ
თქუჱნ შორის კდომაჲ და შური,
გულის-წყრომანი, ძჳრის-ზრახვა-
ნი, წვალებანი, ცუნდრუკებანი,
განლაღებანი, შფოთებანი.
21. ნუ კუალად მოვიდე,
დამამდაბლოს მე ღმერთმან ჩემ-
მან თქუჱნდა მიმართ, დავეგლო-
დე მრავალთა წინასწარ შეცოდე-
ბულთა მათ, და არა შენანებულთა
არა-წმიდებასა მათსა ზედა, სიძ-
ვასა და სიბილწესა, რომელ ჰქმნეს.

## თ ა ვ ი 13.

1. აჰა ესერა, მესამედ მოვალ თქჳჱნდა. პირითა ორისა და სამისა მოწამისათა დაემტკიცების ყოველი სიტყჳა.

2. წინასწარ ვჰსთქჳ და აწცა წინასწარ ვიტყჳ, ვითარცა იგი პირის-პირ მეორედ მაშინ, და აწ შორით მივჰსწერ წინასწარ შეცოდებულთა მათ და სხჳათა ყოველთა, და რამეთუ, უკეთუ მოვიდე კჳალად, არღარა ვჰრიდო.

3. ვინაჲთგან გამოცდასა ეძიებთ მისსა, რომელ იგი ჩემ მიერ იტყჳს ქრისტე; რომელი იგი თქჳჱნდა მიმართ არა უძლურ არს, არამედ ძლიერ თქჳჱნ შორის.

4. რამეთუ დაღაცათუ ჯჳარს-ეცჳა უძლურებით, არამედ ცხოველ-არს ძალითა ღმრთისათა; და რამეთუ ჩჳჱნცა უძლურ ვართ მისა მიმართ, არამედ ვჰსცხონდეთ მისთანა ძალისაგან ღმრთისა თქჳჱნითურთ.

5. თავნი თჳსნი გამოიცადენით, უკეთუ ხართ სარწმუნოებასა შინა; თავნი თჳსნი განიკითხენით. ანუ არა უწყნითა თავნი თჳსნი, რამეთუ იესო ქრისტე თქჳჱნ შორის არს? გარნა თუ გამოუცდელ რაჲმე ხართ.

6. ხოლო ვესავ, ვითარმედ ჰსცნათ, რამეთუ ჩჳჱნ არა ვართ გამოუცდელ.

7. ხოლო ვილოცავ ღმრთისა მიმართ, რათა არა რაჲ ბოროტი გიყოს თქჳჱნ; რათა არა ჩჳჱნ გამოცდილად გამოვჰსჩნდეთ; არამედ რათა თქჳჱნ კეთილი ჰქმნეთ, ხოლო ჩჳჱნ, ვითარცა გამოუცდელნი ვიყჳნეთ.

8. რამეთუ არა კელგვეწიფების ჭეშმარიტებისა მჳრის-სიტყჳად, არამედ ჭეშმარიტებისა კერძო.

9. რამეთუ გვიხარის, რაჟამს ჩჳჱნ უძლურ-ვიყჳნეთ, ხოლო თქჳჱნ ძლიერ-იყჳნეთ; რამეთუ ამასცა ვილოცავთ, თქჳჱნსა დამტკიცებასა.

10. და ამისთჳს ამას შორით მივჰსწერ, რათა მირავიდე, არა თჳალ-უხჳავად ვიკმიო კელმწიფებისა მისებრ, რომელ მომცა მე უფალმან აღსაშენებელად, და არა დასარღვეველად.

11. ამიერითგან, ძმანო, გიხაროდენ, განმტკიცენით, ნუგეშინის-ცემულ-იყჳჱნით, ნუგეშინის-ჰსცემდით, მასვე ჰზრახევდით, მშჳდობასა ჰყოფდით; და ღმერთი სიყჳარულისა და მშჳდობისა იყავნ თქჳჱნთანა.

12. მოიკითხევდით ურთიერთარს ამბორის-ყოფითა წმიდითა. გიკითხვენ თქჳჱნ წმიდანი ყოველნი.

13. მადლი უფლისა ჩჳჱნისა იესო ქრისტესი, და სიყჳარული ღმრთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა თქჳჱნ ყოველთა თანა. ამინ.

# გალატელთა მიმართ ეპისტოლე პავლე მოციქულისა.

## თავი 1.

1. პავლე მოციქული, არა კაცთაგან, არცა კაცთა მიერ, არამედ იესო ქრისტეს მიერ დ ღმრთისა მამისა, რომელმან აღადგინა იგი მკუდრეთით.

2. და ჩემთანა ყოველნი ძმანი ეკკლესიათა გალატიისათა:

3. მადლი თქუენდა დ მშჳდობა ღმრთისა მიერ მამისა დ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა,

4. რომელმან მისცა თავი თჳსი ცოდვათა ჩუენთათჳს, რათა განმარინნეს ჩუენ სოფლისა ამის ბოროტისაგან, ნებითა ღმრთისა დ მამისა ჩუენისათა.

5. რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

6. მიკჳრს, რამეთუ ესრეთ ადრე გარდაიქცევით მისგან, რომელმან იგი გიჩინნა თქუენ მადლითა ქრისტესითა სხუად სახარებად,

7. რომელ სხუა არა არს, გარნა არიან ვინმე, რომელნი აღგძრვენ თქუენ დ ჰნებავს გარდაქცევად სახარებაჲ იგი ქრისტესი.

8. არამედ დაღაცათუ ჩუენ, გინათუ ანგელოსი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი იგი გახარე თქუენ, შეჩვენებულ იყავნ.

9. ვითარცა წინასწარ ვჰსთქუ, დ აწ კუალად ვიტყჳ: უკეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ, შეჩვენებულ იყავნ.

10. აწ კაცთამე ვარწმუნო, ანუ ღმრთისა? ანუ ვეძიებ რას კაცთა მოთნებასა? რამეთუ უკეთუმცა კაცთადა სათნო ვეყოფოდე, ქრისტესი მონამცა არა ვიყავ.

11. ხოლო გაუწყებ თქუენ, ძმანო, სახარებასა მას, რომელი იგი გხარა ჩემ მიერ, რამეთუ არა არს კაცობრივ;

12. და რამეთუ არცაღამე კაცისა მიერ მოვიღე იგი გინა ვისწავე, არამედ გამოცხადებითა იესო ქრისტესითა.

13. რამეთუ გესმინა თქუენ ოდესმე სლუაჲ ჩემი ურიაებასა შინა, რამეთუ გარდარეულად ვჰსდევნიდ ეკკლესიათა ღმრთისათა დ ვჰსტყუენვიდი მათ,

14. და წარვემატებოდი ურიაებასა შინა უფროს მრავალთა

ჰასაკისა სწორთა ჩემთა, ნათესავ-
თა შინა ჩემთა უმეტეს მოშურნე
ვიყავ მამულთა ჩემთა თჳს მოძ-
ღჳრებითა.
15. ხოლო რაჟამს სათნო
იყო ღმერთმან, რომელმან გამო-
მირჩია მე დედის მუცლით ჩემით-
გან, და მიწოდა მე მადლითა მი-
სითა,
16. გამოცხადებად ძე მისი ჩემ
მიერ, რათა ვახარო იგი წარმართ-
თა შორის; მეყჳსეულად არა
ვაუწყე იგი ჴორცითა და სის-
ხლითა,
17. არცა აღვედ იერუსალი-
მად მათდა, რომელნი იგი იყჳ-
ნეს უწინარეს ჩემსა მოციქულნი;
არამედ მივედ არაბიად, და კჳალად
მოვიქეც დამასკედ.
18. და მერმე, შემდგომად
სამისა წლისა, აღვედ იერუსალი-
მად ხილვად პეტრესა, და ვიყავ
მისთანა ათხუთ-მეტ დღე.
19. ხოლო სხჳა მოციქულ-
თაგანი არავინ ვიხილე, გარნა
იაკობ, ძმა უფლისა.
20. და რომელსა ესე მივჰს-
წერ თქჳჱნდა აჰა ესერა, წინაშე
უფლისა, რამეთუ არა ვჰსტყუი.
21. და მერმე მოვედ ადგილ-
თა მათ ასურეთისა და კილიკიაჲ-
სათა.
22. ხოლო ვიყავ შეუსწავებელ
წინაშე პირსა ეკკლესიათა მათ
ურიასტანისათა, რომელნი იყჳ-
ნეს ქრისტეს მიმართ;
23. გარნა სმენით ხოლო ესმი-
ნა, ვითარმედ რომელი იგი გჳდევ-
ნიდა ჩჳჱნ ოდესმე, აწ ახა-
რებს სარწმუნოებასა მას, რომელ-
სა იგი ოდესმე ჰსტყჳჱნვიდა;
24. და ადიდებდეს ღმერთსა
ჩემთჳს.

## თ ა ვ ი 2.

1. მერმე, მეათოთხ-მეტესა
წელსა, კჳალად აღვედ იერუსალი-
მად ბარნაბასთანა, ჩემთანა წარ-
ვიყჳანე ტიტეცა.
2. ხოლო აღვედ გამოცხადე-
ბით, და ვაუწყე მათ სახარებაჲ
იგი, რომელსა ვჰქადაგებდ წარ-
მართთა შორის, ხოლო თჳსგან
მათ, რომელნი იგი საგონებულ-
იყჳნეს, ნუ უკჳჱ ცუდად ვჰრბიო-
დი, ანუ ვჰრბი.
3. არამედ არცაღა ტიტე,
რომელი იგი იყო ჩემთანა, რამე-
თუ წარმართღა იყო, იძულა
წინა-დაცჳჱთად,
4. შემოსრულთა მათთჳს მძ̃ა-
თა მტყუვართა, რომელნი შემოვი-
დეს განმსტრობად აზნაურებასა
მას ჩჳჱნსა, რომელი მაქჳს ქრის-
ტე იესოს მიერ, რათა ჩჳჱნ
დაგვიმონნენ.
5. რომელთა ჟამ ერთცა არა
თავს ვიდევით დამორჩილებაჲ,
რათა ჭეშმარიტებაჲ იგი სახარები-
სა დაადგრეს თქჳჱნთანა.
6. ხოლო მათ, რომელნი იგი
ჰგონებდეს, ვითარმედ არიან რაჲ-
მე, რომელნი იგი ყოფილ ოდეს-
მე იყჳნეს, არა რაჲ უმჯობეს
ჩემსა; პირსა კაცისასა ღმერთმან
არა თჳალ-ახჳნის. რამეთუ მე,

რომელნი იგი საგონებელ იყუნეს,
არა რაჲვე მითხრეს.

7. არამედ წინა-აღმდგომი, უწყოდეს, რამეთუ რწმუნებულ-არს ჩემდა სახარებაჲ იგი წინა-დაუცჳჱთელებისა, ვითარცა იგი პეტრეს წინა-დაცჳჱთილებისა,

8. რამეთუ რომელი შეეწია პეტრეს მოციქულებად წინა-დაცჳჱთილებისა, შემეწია მეცა წარმართთა მიმართ;

9. და ვითარცა ჰსცნნეს მადლი იგი, რომელ მოცემულ-იყო ჩემდა, იაკობ, და კეფა, და იოანე, რომელნი იგი ჰგონებდეს სჳჱტად, თავთა თჳსთა მარჯჳჱნეჲ მოგჳცეს მე და ბარნაბას ზიარებისა, რათა ჩჳჱნ წარმართთა მიმართ, ხოლო იგინი წინა-დაცჳჱთილებისა მიმართ;

10. გარნა, რათა გლახაკნი ხოლომცა გვახსოვან, რომელცა იგი ვისწრაფეთ ამისა ყოფად.

11. და რაჟამს მოვიდა პეტრე ანტიოქიად, წინაშე პირსა მისსა, აღუდეგ; რამეთუ შეკდემულ-იყო.

12. და რამეთუ, პირველ მოსლჳადმდე ვიეთამე იაკობისგან, წარმართთა თანა ჰსჭამდა; ხოლო რაჟამს მოვიდეს, იჯმნა და განაშორა თავი თჳსი, რამეთუ ეშინოდა წინა - დაცჳჱთილთა მათგან.

13. და მისთანა ორგულ იქმნნეს სხჳანიცა ურიანი, ვიდრე ბარნაბაცა მიერჩდა მათსა მას ორგულებასა.

14. არამედ რაჟამს ვიხილე, ვითარმედ არა მართლ წარმართებულ-არიან ჭეშმარიტებისა მიმართ სახარებისა, ვარქუ პეტრეს წინაშე ყოველთასა: უკეთუ შენ ურია ხარ, და წარმართებრ, და არა ურიაებრ ჰსცხოვნდები, ვითარ აიძულებ წარმართთა ურიაებად?

15. ჩჳჱნ ბუნებით ურიანი ვართ, და არა წარმართთაგანნი ცოდჳლნი;

16. და უწყით, რამეთუ არა განმართლდების კაცი საქმეთაგან ჰსჯულისათა, გარნა სარწმუნოებითა იესო ქრისტესითა, და ჩჳჱნ იესო ქრისტეს მიმართ გჳრწმენა, რათა განვმართლდეთ სარწმუნოებითა ქრისტესითა, და არა საქმეთაგან ჰსჯულისათა; რამეთუ საქმეთაგან ჰსჯულისათა არა განმართლდეს ყოველი კორციელი.

17. უკეთუ მით ვეძიებდეთ განმართლებასა ქრისტეს მიმართ, ვიპოვნეთ ჩჳჱნცა ცოდჳლ: აწ უკჳჱ ქრისტე ცოდჳსა მე მსახურ იქმნა? ნუ იყოფინ.

18. რამეთუ, უკეთუ რომელი იგი დავარღჳვე, და კჳალად მასვე ვაშენებდე, გარდამავალად ჰსჯულისა თავი ჩემი შევირაცხო.

19. რამეთუ მე ჰსჯულისათჳს ჰსჯულითა მოვჰკჳჱდ, რათა ღმრთისა ვჰსცხონდე. ქრისტეს თანა ჯჳარ-ცმულ-ვარ.

20. ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ - არს ჩემთანა ქრისტე. ხოლო რომელ ესე აწ ცხოველ-ვარ კორცითა, სარწმუნოებითა ცხოველ-ვარ მისა ღმრთისათა, რომელმანცა შემიყჳა-

რა მე და მიჰსცა თავი თჳსი ჩემ-
თჳს.
21. არა შეურაცხ ვჰყოფ
მადლსა მას ღმრთისასა; რამეთუ
უკეთუ სჯულისაგან არს სიმართ-
ლე, ქრისტე სამე ცუდად მოკუდა.

თ ა ვ ი 3.

1. ჵ უცნობელნო გალატელ-
ნო! ვინ გეშურებოდა თქუენ
ჭეშმარიტებისა არა მორჩილებად,
რომელთა, თუალთა წინაშე პირ-
ველვე გამოიწერა თქუენ შორის,
იესო ქრისტე ჯუარ-ცმული?
2. ესე ხოლო მნებავს თქუენ-
გან უწყებად: საქმეთაგან სჯული-
სათა სული იგი მიიღეთ, ანუ
სმენითა მით სარწმუნოებისათა?
3. ესრეთ უცნობელ-ხართ,
იწყეთ სულიერად, და აწ ჴორციე-
ლად აღასრულებთ?
4. ესოდენი გევნო ცუდად?
და თუმცა ცუდად!
5. აწ უკუე, რომელმან იგი
მოგცა თქუენ სული და იქმს
ძალთა თქუენ შორის საქმეთა-
განმე სჯულისათა, ანუ სმენითა
მით სარწმუნოებისათა?
6. ვითარცა აბრაამს ჰრწმენა
ღმერთი, და შეერაცხა მას სი-
მართლედ.
7. უწყითმეა, რამეთუ სარწმუ-
ნოებისაგანნი იგი არიან შჳლნი
აბრაამისნი.
8. რამეთუ წინასწარ იცოდა
წიგნმან, ვითარმედ სარწმუნოები-
თა განამართლებს წარმართთა ღმერ-
თი, წინასწარ ახარა აბრაამს, ვი-
თარმედ შენდამი იკურთხეოდენ
ყოველნი წარმართნი.
9. აწ უკუე სარწმუნოებისა-
განნი იგი იკურთხევიან მორწმუ-
ნისა მის აბრაამის თანა.
10. რამეთუ რავდენნი იგი
საქმეთაგან სჯულისათა არიან,
წყევასა ქუეშე არიან. რამეთუ
წერილ-არს: წყეულ-იყავნ ყოვე-
ლი, რომელი არა დაადგრეს ყო-
ველსა წერილსა წიგნისა ამის
სჯულისასა ყოფად მისა.
11. და რამეთუ სჯულითა
არავინ განმართლდების ღმრთისა
წინაშე, ცხად-არს: რამეთუ მარ-
თალი სარწმუნოებით სცხოვნდეს.
12. ხოლო სჯული არა არს
სარწმუნოებისაგან; არამედ ჰყოს
თუ ვინმე იგი კაცმან, სცხოვნ-
დეს მას შინა.
13. ქრისტემან ჩუენ მოგვი-
ყიდნა წყევისა მისგან სჯულისა
და იქმნა ჩუენთჳს წყევასა ქუეშე;
რამეთუ წერილ-არს: წყეულ-იყავნ
ყოველი, რომელი დამოეკიდოს
ძელსა.
14. რათა წარმართთა მიმართ
კურთხევა იგი აბრაამისი იყოს
ქრისტე იესოს მიერ, რათა აღ-
თქმა იგი სულისა მოვიღოთ
სარწმუნოებითა.
15. ძმანო! კაცობრივ ვიტყჳ,
ვითარმედ კაცისა დამტკიცებული
წიგნი არავინ შეურაცხ-ჰყჳს, გი-
ნა სხუა ბრძანებაჲ ჰბრძანის მის
ზედა.
16. ხოლო აბრაამის მიმართ
ითქუნეს აღთქმანი ესე და ნა-
თესავისა მისისა. არა ეტყჳს: და

ნათესავთა, ვითარცა მრავალთასა, არამედ ვითარცა ერთისასა, და ნათესავისა შენისა, რომელ-არს ქრისტე.

17. ხოლო ამას ვიტყჳ, წინ-ნად აღთქმისა დამტკიცებულად ღმრთისა მიერ, ქრისტეს მიმართ, რომელ შემდგომად ოთხას-ოცდაათისა წლისა იყო სჯული, არა დაუმტკიცებელ-ჰყოფს, რათამცა განაქარვა აღთქმა იგი.

18. რამეთუ უკეთუ სჯულისაგან არს მკჳდრობა იგი არღარა აღთქმისაგან არს; ხოლო აბრაამს აღთქმისა მიერ მოჰმადლა ღმერთმან.

19. აწ უკუჱ რა სჯული? გარდასლვისათჳსმე მოეცა, ვიდრემდის მოვიდეს ნათესავი იგი, რომელ აღთქმულ-არს ბრძანებული ანგელოსთაგან, ჴელითა შუამდგომელისათა.

20. ხოლო შუა-მდგომელი ერთისა არა არს; ხოლო ღმერთი ერთ არს.

21. აწ უკუჱ სჯული მტერმე-არსა აღთქმათა მათ ღმრთისათა? ნუ იყოფინ. რამეთუ უკეთუმცა მოცემულ-იყო სჯული, შემძლებელი ცხოვრებად; ნამდჳლვე სამე სჯულისაგანმცა იყო სიმართლე.

22. არამედ შეაყენა წიგნმან ყოველივე ცოდვასა ქუეშე, რათა აღთქმა იგი სარწმუნოებისაგან იესო ქრისტესისა მოეცეს მორწმუნეთა.

23. ხოლო პირველ მოწევნადმდე სარწმუნოებისა სჯულსა ქუეშე მოცულ-ვიყვენით, და შეყენებულ მერმისა მისთჳს სარწმუნოებისა გამოჩინებადმდე.

24. ვინაცა სჯული იგი მზარდულ-გუექმნა ჩუენ ქრისტეს მიმართ, რათა სარწმუნოებითა განვმართლდეთ.

25. ხოლო მორაიწია სარწმუნოება, არღარა მზარდულთა ქუეშე ვართ.

26. რამეთუ ყოველნი შჳლნი ღმრთისანი ხართ სარწმუნოებითა ქრისტე იესოსითა;

27. რამეთუ რავდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ.

28. არა არს ჰურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამა-კაცისა, არცა დედა-კაცისა: რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ-ხართ ქრისტე იესოს მიერ.

29. ხოლო უკეთუ თქუენ ქრისტესნი ხართ, აბრაამისნი ვიდრემე შჳლნი ხართ, და აღთქმისა მისგან მკჳდრნი.

## თ ა ვ ი 4.

1. ხოლო ამას ვიტყჳ: რავდენ ჟამ მკჳდრი იგი, ყრმა არნ, არაჲთ ჰმატნ მონასა, უფალღა თუ არნ ყოვლისა.

2. არამედ ეზოს მოძღუართა და მნეთა ქუეშე არნ, ვიდრე ად-გილად მოდგომადმდე მამისა თჳსისა.

3. ეგრეცა ჩუენ, ვიდრე იგი ყრმაღა ვიყვენით, წესთა მათ

ქუეშე ამის სოფლისათა ვიყუე-
ნით დაკირთებულ.
4. ხოლო ოდეს მოიწია აღ-
სასრული ჟამთა, მოავლინა ღმერთ-
მან ძეჲ თჳსი, შობილი დედა-კა-
ცისაგან, და იქმნა იგი ჰსჯულსა
ქუეშე,
5. რათა ჰსჯულსა ქუეშე მყოფ-
ნი გამოიხსნეს და, რათა შჳლებაჲ
იგი მოვიღოთ.
6. და რამეთუ ხართ შჳლნი;
გამოავლინა ღმერთმან სული მი-
სა თჳსისა გულთა შინა ჩუენთა,
რომლითა ვღაღადებთ: აბბა, მა-
მაო!
7. ამიერითგან არღარა ხართ
მონა, არამედ შჳლ; ხოლო უკე-
თუ შჳლ, მკჳდრცა ღმრთისა ქრის-
ტეს მიერ.
8. არამედ მაშინ, არა იცო-
დით ღმერთი და ჰმონებდით მათ,
რომელნი იგი არა იყუნეს ბუნე-
ბით ღმერთ.
9. ხოლო აწ, იცანთ ღმერთი,
უფროჲსღა გიცნნა თქუენ ღმერთ-
მან, ვითარ მიიქცევით კუალად
უძლურისა მის და გლახაკისა წე-
სისა, რომელთა კუალად ზემოჲთ-
ვე გნებავს მონებად?
10. დღეთა იზმნით და თთუე-
თა, ჟამთა და წელთა.
11. მეშინის მე თქუენთჳს,
ნუ უკუე ცუდად დავჰშუერ
თქუენდა მიმართ.
12. იქმნენით, ვითარცა მე;
რამეთუ მე ვიყავ, ვითარცა თქუენ.
ძმანო, ჰევედრები თქუენ, არა
რაჲ შემცოდეთ მე.
13. ხოლო ესე იცით, რამეთუ
უძლურებითა ჴორცთათა გახარე
თქუენ პირველად;
14. და განსაცდელი იგი ჴორც-
თა ჩემთა არა შეურაცხ-ჰყავთ, არ-
ცა მოიძაგეთ, არამედ ვითარცა
ანგელოსი ღმრთისა, შემიწყნა-
რეთ მე, ვითარცა ქრისტე იესო.
15. რაჲმე უკუე იყო ნეტა-
რება იგი თქუენი! რამეთუ გე-
წამები თქუენ, ვითარმედ შე-
თუმცასაძლებელ-იყო, თუალნიმცა
თქუენნი აღმოიკადენით და მომ-
ცენით მე.
16. ვითარცა მტერ რაჲმე
გექმნენ თქუენ, რომელი ესე
ჭეშმარიტსა გეტყოდი თქუენ?
17. გეშურებიან თქუენ არა
კეთილისათჳს, არამედ გარდაქცე-
ვაჲ თქუენი ჰნებავს, რათა მათ
ჰბაძჳდეთ.
18. ხოლო კეთილ-არს ბაძვა
კეთილისათჳს მარადის, და ნუ
მისლუასა მას ხოლო ჩემსა თქუენ-
და მიმართ.
19. შჳლნო ჩემნო, რომელთა
თჳს კუალად მელმის, ვიდრემდე
გამოისახოს ქრისტე თქუენ შო-
რის!
20. ხოლო მინდა მისლუად
თქუენდა აწ, და ცვალებად ჴმა
ჩემი; რამეთუ განკჳრვებულ ვარ
მე თქუენთჳს.
21. მითხართღამე, რომელთა
ეგე ჰსჯულსა ქუეშე გნებავს ყო-
ფაჲ, ჰსჯული არა აღმოგიკით-
ხავსთა?
22. რამეთუ წერილ-არს, ვი-
თარმედ აბრაჰამს ორ. მე ესხნეს,

ერთი მჴევლისაგან, და ერთი აზნაურისაგან.

23. არამედ მჴევლისაგანი იგი, კორციელად შობილი იყო; ხოლო აზნაურისა იგი, აღთქმისაგან.

24. რომელი იგი არს იგავად: რამეთუ ესე არიან ორნი აღთქმანი; ერთი იგი სინა-მთით, შობილი მონებად, რომელ-არს აგარ.

25. რამეთუ აგარ სინა მთა არს არაბიას, ხოლო თანა-შეეტყუჱბის ამას იერუსალიმი; რამეთუ ჰმონებს იგი შჳლთა მისთა თანა.

26. ხოლო ზეცისა იგი იერუსალიმი აზნაურ-არს; რომელ-არს დედა ჩუჱნ ყოველთა.

27. რამეთუ წერილ-არს: იხარებდ ბერწი ეგე, რომელი არა ჰშობდ; აღიმაღლე და ჰკმობდ, რომელსა არა გელმოდა; რამეთუ მრავალ-არიან შჳლნი ოხრისანი უფროს, ვიდრე რომელსა იგი ესუას ქმარი.

28. ხოლო ჩუჱნ, ძმანო, ისააკისაგან აღთქმისა შჳლნი ვართ.

29. არამედ ვითარცა იგი მაშინ კორციელად შობილი იგი ჰსდევნიდა სულიერსა მას, ეგრეცა აწ.

30. არამედ რასა იტყჳს წიგნი? განაძე მჴევალი ეგე და ძეჲ მაგისი: რამეთუ არა დაიმკჳდროს შჳლმან მჴევლისამან მისა თანა აზნაურისასა.

31. ხოლო ჩუჱნ, ძმანო, არა ვართ შჳლნი მჴევლისანი, არამედ აზნაურისანი.

## თ ა ვ ი 5.

1. აზნაურებითა მით, რომლითა ქრისტემან ჩუჱნ განგუაზნაურნა, მტკიცედ ჰსდეგით და ნუ კუალად უღელსა მას მონებისასა თავს იდებთ.

2. აჰა ესერა, მე პავლე გეტყჳ თქუჱნ, ვითარმედ უკეთუ წინა-დაიცჳთოთ, ქრისტემან თქუჱნ არა რაჲ გარგოს.

3. ხოლო კუალად უწამებ ყოველსა კაცსა წინა-დაცუჱთილსა, ვითარმედ თანა-მდებ-არს იგი ყოველსა ჰსჯულსა ყოფად.

4. განქარვებულ ხართ ქრისტესგან, რომელნი ეგე ჰსჯულითა განმართლდებით, მადლისა მისგან განვრდომილ-ხართ.

5. რამეთუ ჩუჱნ სულითა სარწმუნოებისაგან სასოებასა სიმართლისასა მოველით.

6. რამეთუ ქრისტე იესოს მიერ არცა წინა-დაცუჱთილება რას შემძლებელ არს, არცა წინა-დაუცუჱთელებაჲ, არამედ სარწმუნოება, სიყუარულისაგან შეწევნული.

7. ჰსრბიოდეთ კეთილად; ვინ დაგაბრკოლნა თქუჱნ ჭეშმარიტებისა არა მორჩილებად?

8. მორჩილება ეგე არა ამისგან არს, რომელმან იგი გიჩინნა თქუჱნ.

9. მცირემან ცომმან ყოველივე შესვარული აღაფუვნის.

10. მე გესავ თქუჱნ უფლისა

მიერ, ვითარმედ სხჳსა არა რას
ჰზრახჳდეთ; ხოლო რომელი იგი
აღგმრავს თქჳჱნ, მან იტჳრთოს
სასჯელი, ვინაცა იგი არს.
11. ხოლო მე, ძმანო, წინა-
დაცჳჱთსადათუ ვჰქადაგებდე, რა-
სადამე ვიდევნები? განმეჰქარდა
საცთური იგი ჯჳარისა.
12. ჯერ-იყო განთუმცა გეშო-
რნეს, რომელნი იგი გაშფოთე-
ბენ თქჳჱნ!
13. რამეთუ თქჳჱნ აზნაუ-
რებასა ჩინებულ-ხართ, ძმანო;
გარნა ხოლო აზნაურება ეგე ნუ
მიზეზად ჴორცთა; არამედ სიყჳა-
რულისა მისთჳს ჰმონებდით ურ-
თიერთარს.
14. რამეთუ ყოველი ჰსჯული
ერთითა სიტყჳთა აღესრულების:
შეიყჳარო მოყჳასი შენი, ვითარ-
ცა თავი თჳსი.
15. ხოლო უკეთუ ურთიერთ-
არს იკბინებოდეთ და შეიჭამებო-
დეთ, იხილეთ ნუ უკჳჱ ურთიერთ-
არს განილინეთ.
16. ხოლო ამას გეტყჳ: სული-
თა ვიდოდეთ, და ჴორცთა გულის
თქმასა ნუ აღასრულებთ.
17. რამეთუ ჴორცთა გული
უთქჳამს სულისათჳს, და სულსა
ჴორცთათჳს. და ესენი მკდომ-
არიან ურთიერთარს, რათა არა
რა იგი გინდეს და მას ჰყოფდეთ.
18. უკეთუ სულითა იქცეო-
დეთ, არა ხართ ჰსჯულსა ქჳჱშე.
19. ხოლო ცხად არიან საქმე-
ნი ჴორცთანი, რომელ არიან:
სიძვანი, მრუშებანი, არა-წმიდება-
ნი, ბილწებანი,
20. კერპთ-მსახურებანი, მწამ-
ლველობანი, მტერობანი, კდომა-
ნი, შურობანი, გულის წყრომანი,
წვალებანი, შფოთებანი,
21. შურნი, კაცის კლჳანი,
ლირწებანი, მთრვალობანი, სიღო-
დანი, და მჰსგავსნი ამათნი. რო-
მელსა წინასწარ გეტყჳ თქჳჱნ,
ვითარცა პირველ გარქჳ, ვითარ-
მედ ესე ვითარისა მოქმედთა
სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმ-
კჳდრონ.
22. ხოლო ნაყოფი სულისა
არს: სიყჳარული, სიხარული,
მშჳდობა, სულ-გრძელება, სიტ-
კბოება, სახიერება, სარწმუნოება,
მყუდროება, მარხჳა, მოთმინება.
23. ესე ვითართათჳს არა
ჰსძეს ჰსჯული.
24. ხოლო ქრისტესთა მათ
ჴორცნი თჳსნი ჯჳარს-აცჳნეს,
ვნებითურთ და გულის-თქმით.
25. უკეთუ სულითა ცხოველ-
ვართ, სულითაცა ვეგნეთ.
26. ნუმცა ვართ მზჳაობარ,
ურთიერთარს მაბრალობელ, ურთი-
ერთარს მოშურნე.

## თ ა ვ ი 6.

1. ძმანო! უკეთუ ვინმე დაეპყ-
როს კაცი, რომელსამე ბრალსა,
თქჳჱნ სულიერთა მაგათ დაამტ-
კიცეთ ეგე-ვითარი იგი სულითა
მით მშჳდობისათა. ეკრძალე თავ-
სა შენსა, ნუ უკჳჱ შენცა განი-
ცადო.
2. ურთიერთარს სიმძიმე იტ-

ჳრთეთ, და ესრეთ აღასრულეთ
ჰსჯული იგი ქრისტესი.
3. რამეთუ უკეთუ ვისმე
ეგონოს, ვითარმედ არს რაჲმე,
და იგი არა იყოს, თავსა თჳსსა
აცთუნებს.
4. არამედ საქმენი თჳსნი
გამოიცადენინ კაცად-კაცადმან, და
მაშინ თავისა თჳსისა ხოლო ქება
აქუნდეს, და არა მოყუსისა მიმართ.
5. რამეთუ კაცად-კაცადმან
თჳსი ტჳრთი იტჳრთოს.
6. ხოლო ეზიარებოდენ უმე-
ცარი იგი სიტყუასა მასწავლელი-
სასა ყოველსა შინა კეთილსა.
7. ნუ ჰსცთებით; ღმერთი
არს შეურაცხ-იქმნების. რამეთუ
რაჲცა იგი ჰსთესოს კაცმან, იგი-
ცა მოიმკოს.
8. რამეთუ რომელმან ჰსთე-
სოს კორცთა შინა თჳსთა, კორც-
თა მიერ თჳსთა მოიმკოს ხრწნი-
ლებაჲ; ხოლო რომელმან ჰსთე-
სოს სულსა თჳსსა, სულისაგან
თჳსისა მოიმკოს ცხოვრებაჲ საუ-
კუნო.
9. ხოლო კეთილისა საქმე,
ნუმცა გუეწყინების; რამეთუ
თჳსსა ჟამსა მოვიმკოთ, არა თუ
მოვმედგრდეთ.
10. აწ უკუე, ვიდრე ჟამი
გუაქუსღა ვიქმოდეთ კეთილსა ყო-
ველთა მიმართ, ხოლო უფროჲს-
სად სახლეულთა მათ მიმართ სარ-
წმუნოებისათა.
11. აწ იხილეთ, რავდენი წიგ-
ნები მივჰსწერე თქუენდა კელითა
ჩემითა.
12. რომელთა იგი ჰნებავს
პირ-შუენიერებაჲ კორცითა, იგი-
ნი გაიძულებენ თქუენ წინა-და-
ცუეთად, გარნა ხოლო, რათა
ჯუარსა ქრისტესსა არა შეუდგენ.
13. რამეთუ არცაღა თჳთ იგი
წინა-დაცუეთილნი ჰსჯულსა იმარ-
ხვენ, არამედ ჰნებავს თქუენი
წინა-დაცუეთაჲ, რათა თქუენითა
მით კორცითა იქადოდიან.
14. ხოლო ჩემდა ნუ იყო-
ფინ სიქადული, გარნა ჯუარითა
უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტე-
სითა, რომლისათჳს სოფელი ჩემ-
დამო ჯუარცმულ-არს, და მე სოფ-
ლისა.
15. რამეთუ ქრისტე იესუს
მიერ არცა წინა-დაცუეთილება
რაჲ შემძლებელ-არს არცა წინა-
დაუცუეთელება, არამედ ახალი და-
ბადებული.
16. და რაოდენნი წესსა ამას
ზედა ეგნენ, მშჳდობაჲ მათ ზე-
და და წყალობა ისრაილსა ზედა
ღმრთისასა.
17. ამიერითგან შრომასა ნუ
ვინ შემამთხვევნ მე; რამეთუ მე
საწერტელნი იგი უფლისა იესუს-
ნი კორცთა შინა ჩემთა მიტჳრ-
თავს.
18. მადლი უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტესი სულისა თქუენ-
ნისა თანა, ძმანო. ამინ.

# ეფესელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა.

თავი 1.

1. პავლე მოციქული, იესო ქრისტესი ნებითა ღმრთისათა, წმიდათა მაგათ, რომელნი ხართ ეფესოს შინა და სარწმუნოთა ქრისტეს იესოს მიერ:
2. მადლი თქუჱნდა და მშჳდობა ღმრთისა მიერ მამისა ჩუჱნისა და უფლისა იესო ქრისტესა.
3. კურთხეულ-არს ღმერთი და მამა უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესი, რომელმან მაკურთხნა ჩუჱნ ყოვლითა კურთხევითა სულიერითა ცათა შინა ქრისტეს მიერ;
4. ვითარცა იგი გამოგვირჩინა ჩუჱნ მის მიერ უწინარეს სოფლის-დაბადებისა, რათა ვიყუნეთ ჩუჱნ წმიდა და უბიწო წინაშე მისსა სიყუარულით.
5. წინასწარ გვიჩინნა ჩუჱნ შვილებად იესო ქრისტეს მიერ მისა მიმართ, სათნოებისა-ებრ ნებისა მისისა.
6. საქებელად დიდებისა მადლისა მისისა, რომლითა მოგუმადლა ჩუჱნ საყუარელისა მის მიერ,
7. რომლისა მიერ გუაქუს ჩუჱნ გამოჴსნაჲ სისხლითა მისითა და მოტევებაჲ ცოდუათა ჩუჱნთა, სიმდიდრისა-ებრ მადლისა მისისა,
8. რომელი იგი გარდაჰმატა ჩუჱნდა მომართ ყოვლითა სიბრძნითა და გონიერებითა,
9. გუაუწყა ჩუჱნ საიდუმლოჲ იგი ნებისა მისისა, სათნოებისა-ებრ მისისა, რომელი იგი წინათვე განაჩინა მას შინა.
10. განსაგებელად აღსავსებისა მის ჟამთასა, თავ-ყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რა იგი არს ცათა შინა და ქუჱყანასა ზედა.
11. მისა მიმართ, რომელსა შინაცა განვეწესენით და წინასწარ ვიჩინენით წინა-განზრახჳთა ღმრთისათა, რომელმან იგი ყოველივე შეჰქმნა ზრახჳსა-ებრ ნებისა მისისა,
12. რათა ვიყუნეთ ჩუჱნ საქებელად დიდებისა მისისა, რომელი ესე წინასწარ მოსავ ვიყუჱნით ქრისტესა.
13. რომლისა მიერ და თქუჱნცა, გესმა სიტყუაჲ იგი ჭეშმარიტებისა, სახარება იგი ცხოვრებისა თქუჱნისა, რომლითაცა იგი

გრწმენა და აღიბეჭდენით სულითა მით წმიდითა აღთქმისათა.

14. რომელ იგი არს წინდი მკჳდრობისა ჩუენისა, გამოსაჴსრად შეწევნისა ჩუენისა, საქებელად დიდებისა მისისა.

15. ამისთჳს მეცა, მესმა თქუენნი ეგე სარწმუნოება უფლისა იესოს მიერ და სიყუარული იგი, რომელ გაქუს ყოველთა მიმართ წმიდათა,

16. არა დავსცხრები მადლობითა თქუენთჳს, ჴსენებასა თქუენსა ვჰყოფ ლოცუათა შინა ჩემთა,

17. რათა ღმერთმან უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესმან, მამამან დიდებისამან, მოგცეს თქუენ სული სიბრძნისა და გამოცხადებისა ცნობად მისსა,

18. და განანათლნეს თუალნი გულისა თქუენისანი, რათა იცოდეთ თქუენ, რა იგი არს სასოება ჩინებისა მისისა, და რა იგი არს სიმდიდრე დიდებისა მკჳდრობისა მისისა წმიდათა შორის,

19. და რა იგი არს გარდამატებული სიმდიდრე ძლიერებისა მისისა ჩუენდა მომართ მორწმუნეთა, შეწევნისაებრ სიმტკიცისა ძლიერებისა მისისა,

20. რომელმან ჰქმნა ქრისტეს თანა, რამეთუ აღადგინა იგი მკუდრეთით, და დაჰსუა მარჯუენით მისა ზეცათა შინა,

21. უზესთაეს ყოველთა მთავრობათა, და ჴელმწიფებათა, და ძალთა, და უფლებათა, და ყოვლისავე სახელისა, რომელ სახელ-დებულ-არს არა ხოლო თუ ამას სოფელსა, არამედ მერმესაცა მას,

22. და ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერჴთა მისთა, და იგი მოჰსცა თავად ზესთა ყოველთა ეკლესიასა,

23. რომელ იგი არს გუამი მისი, აღსავსება იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო.

## თ ა ვ ი 2.

1. და თქუენცა, რომელნი ეგე მკუდარ-იყუენით ბრალითა და ცოდვთა თქუენითა,

2. რომელთა შინა ოდესმე ჰსხჳდოდით, მჰსგავსად ჟამთა მათ ამის სოფლისათა, მთავრისა მისებრ, ჴელმწიფებისა ჰაერისა სულისა, რომელი იგი აწ იქმს ნაშობთა მათ შორის ურჩებისათა,

3. რომელთა შინა და ჩუენცა ყოველნი ვიქცეოდით ოდესმე გულის-თქმათა შინა ჴორცთა ჩუენთასა, ვჰყოფდით ნებასა ჴორცთა და გონებათასა, და ვიყუენნით ბუნებით შვილნი რისხჳსანი, ვითარცა იგი სხუანი;

4. ხოლო ღმერთმან, რამეთუ მდიდარ-არს წყალობითა მრავლითა, სიყუარულითა მისითა, რომლითა იგი შემიყუარნა ჩუენ.

5. და რამეთუ ვიყუენით ჩუენ მკუდარ შეცოდებითა, ქრისტეს თანა განგუაცხოველნა, მადლითა ხართ თქუენ გამოხსნილ;

6. და თანა-აღმადგინნა, და თანა-დამსხნა ზეცათა შინა ქრისტეს იესოს მიერ,

7. რათა აჩუენოს ჟამთა მათ

მომავალთა გარდამატებული იგი
სიმდიდრე მადლისა მისისა სიტ-
კბოებით ჩუჱნ ზედა ქრისტე
იესოს მიერ.
8. რამეთუ მადლითა ხართ
გამოხსნილ სარწმუნოებისა მიერ,
ჲ ესე არა თქუჱნგან, არამედ
ღმრთისა ნიჭი არს;
9. არა საქმეთაგან, რათა არა
ვინ იქადოს.
10. რამეთუ მისნი შექმნულ-
ნი ვართ ჲ დაბადებულნი ქრის-
ტე იესოს მიერ საქმეთა თჳს
კეთილთა, რომელთა თჳს წინას-
წარ განმზადა ღმერთმან, რათა
მათ შინა ვიდოდით.
11. ამისთჳს მოიჴსენეთ, რამე-
თუ თქუჱნ ოდესმე წარმართნი
ეგე ჴორცითა, რომელთა გერქუა
წინა - დაუცუჱთელ მის გამო,
რომელსა იგი ერქუა წინა-დაცუჱ-
თილება ჴორცთა მათ ჴელით
ქმნილთა,
12. რამეთუ იყუჱნით მას
ჟამსა შინა თჳნიერად ქრისტესა,
უცხო ქმნილნი მოქალაქობისა
მისგან ისრაილისა ჲ უცხო
ჰსჯულთა მისგან აღთქმათასა,
სასოება არა გაქუნდა, ჲ უღმრთო
იყუჱნით სოფელსა შინა;
13. ხოლო აწ ქრისტე იესოს
მიერ თქუჱნ, რომელნი ეგე ოდეს-
მე იყუჱნით შორს, იქმნენით
მახლობელ სისხლითა მით ქრისტე-
სითა.
14. რამეთუ იგი თავადი არს
მშჳდობა ჩუჱნი, რომელმან შეჰქ-
მნა ორივე ერთად, ჲ შუა კედე-
ლი ზღუდისა მის დაჰჴსნა,
15. მტერობა იგი ჴორცითა
მისითა, ჰსჯული იგი მცნებათა
მათ ბრძანებითა განაქარვა, რათა
ორივე იგი დაჰბადოს მას შინა
ერთად ახლად კაცად, ყოფად
მშჳდობისა.
16. და დააგნეს ორნივე იგი
ერთითა მით ჴორცითა ღმერთსა
ჯუარისა მიერ, მოიკლა მტერო-
ბა იგი მას ზედა.
17. და მოვიდა ჲ გახარა
მშჳდობაჲ თქუჱნ, შორიელთა ჲ
მახლობელთა;
18. რამეთუ მის მიერ მაქუს
ჩუჱნ მიახლება იგი ურთიერთ-
არს ერთითა სულითა მამისა მი-
მართ.
19. ამიერითგან უკუჱ არღა-
რა ხართ უცხო ჲ მწირ, არამედ
თანა მოქალაქე წმიდათა ჲ სახლე-
ულ ღმრთისა,
20. აღშენებულ საფუძველსა
ზედა მოციქულთასა ჲ წინასწარ-
მეტყუჱლთასა, რომლისა თავ-
საკიდურთა მისთა არს თჳთ ქრის-
ტე იესო,
21. რომლითა ყოველი შენე-
ბული, შენაწევრებული ორძის
ტაძრად წმიდად უფლისა მიერ,
22. რომელსა ზედა თქუჱნცა
თანა-აღშენებულ-ხართ სამკჳდრე-
ბელად ღმრთისა სულითა.

## თ ა ვ ი 3.

1. ამისთჳს მე პავლე კრული
ქრისტე იესოსი თქუჱნ წარმართ-
თათჳს.
2. უკეთუ გასმიეს მოღუაწე-

ბჲ იგი მადლისა ღმრთისა, რო-
მელ მოცემულ-არს ჩემდა თქუენ-
და მიმართ,
3. რამეთუ გამოცხადებით
მაუწყა მე საიდუმლოჲ იგი, ვითარ-
ცა იგი უწინარეს მივჰსწერე
თქუენდა მცირედრე;
4. რომლითა შემძლებელ-ხართ
აღმოკითხვად რა, ცნობად გუ-
ლის-ჴმის-ყოფისა მის ჩემისა
საიდუმლოთა მით ქრისტესითა,
5. რომელი ნათესავსა სხჳასა
არა გამოეცხადა მეთა კაცთასა,
ვითარ ესე აწ გამოეცხადა წმიდა-
თა მისთა მოციქულთა და წინას-
წარ-მეტყუელთა სულითა წმი-
დითა,
6. რათა იყუნენ წარმართნი
თანა-მკჳდრ და თანა-ჴორც, და
თანა-მეოფ აღთქმისა მის იესო
ქრისტეს მიერ სახარებითა მით,
7. რომლისა ვიქმენ მე მსა-
ხურ ნიჭისა მისებრ მადლისა
ღმრთისა, მოცემულისა ჩემდა შე-
წევნისაებრ ძალისა მისისა.
8. მე, უმრწემესსა ამას ყო-
ველთა წმიდათასა, მომეცა მადლი
ესე, წარმართთა შორის ხარებად
გამოუკულეველი იგი სიმდიდრე
ქრისტესი,
9. და განათლებად ყოველთა,
რა იგი არს განგებულება იგი
საიდუმლოჲსა მის, დაფარულისა
საუკუნითგან ღმრთისათანა, რო-
მელმან ყოველივე დაჰბადა იესო
ქრისტეს მიერ,
10. რათა ეუწყოს აწ მთავ-
რობათა მათ და ჴელმწიფებათა ზე-
ცისათა ეკკლესიისაგან მრავალ-ფე-
რი იგი სიბრძნე ღმრთისა,
11. გულს-მოდგინებისა-ებრ
საუკუნეთასა, რომელი იგი ჰქმნა
ქრისტე იესოს მიერ, უფლისა
ჩუენისა,
12. რომლითა მაქუს ჩუენ
განცხადებულებაჲ და მოსლუაჲ
სასოებით სარწმუნოებითა მისი-
თა.
13. ამისთჳს ვითხოვ, რათა
არა გეწყინებოდის ჭირთა შინა
ჩემთა თქუენთჳს, რომელ იგი
არს დიდება თქუენდა.
14. ამის ჯერისათჳს მოვიდ-
რეკ მუჴლთა ჩემთა მამისა მი-
მართ უფლისა ჩუენისა იესო
ქრისტესა,
15. რომლისაგან ყოველნი ნა-
თესავნი ცათა შინა და ქუეყანასა
ზედა სახელ-დებულ-არიან,
16. რათა მოგცეს თქუენ სიმ-
დიდრისაებრ დიდებისა მისისა,
ძალითა განმტკიცებად სულისა
მიერ მისისა შინაგანსა კაცსა,
17. დამკჳდრებად ქრისტეს სარ-
წმუნოებითა გულთა შინა თქუენ-
თა;
18. სიყუარულითა დამტკიცე-
ბულნი და დაფუძნებულნი, რათა
შეუძლოთ წარწევნად ყოველთა
თანა წმიდათა, რა იგი არს სივრ-
ცე და სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე,
19. ცნობად გარდარეული იგი
მეცნიერებისა სიყუარული ქრის-
ტესი; რათა აღივსნეთ თქუენ
ყოვლითა სავსებითა ღმრთისათა.
20. ხოლო, რომელი იგი შემ-
ძლებელ-არს უფროს ყოვლისა

ყოფად უმეტეს, რომელსა იგი
ვითხოვთ, გინა თუ ვჰსცნობთ
ძალისა მის ებრ შეწევნისა ჩუენ
შორის,
21. მისა დიდება ეკკლესიასა
შინა ქრისტე იესოს მიერ ყო-
ველთა ნათესავთა მიმართ საუკუ-
ნეთა უკუნისამდე. ამინ.

## თავი 4.

1. ვლოცავ თქუენ, მე კრუ-
ლი ესე უფლისა მიერ, რათა
ღირსად ჰსვლოდეთ ჩინებისა მის,
რომლითა იჩინენით,
2. ყოვლითა სიმდაბლითა და
სიმშჳდითა და სულგრძელებითა,
თავს-იდებდით ურთიერთარს სი-
ყუარულითა,
3. ისწრაფდით დამარხუად ერ-
თობასა მას სულისასა საკრველი-
თა მით მშჳდობისათა.
4. ერთ-ჴორც და ერთ-სულ,
ვითარცა იგი იჩინენით ერთითა
მით სასოებითა ჩინებისა თქუენ-
ნისათა;
5. ერთ-არს უფალ, ერთ სარ-
წმუნოება, ერთ ნათლის-ღება,
6. ერთ-არს ღმერთი და მამა
ყოველთა, რომელი ყოველთა ზე-
და არს, და ყოველთა მიერ, და
ჩუენ ყოველთა შორის.
7. ხოლო თჳთოეულსა კაცად-
კაცადსა ჩუენსა მოცემულ-არს
მადლი საზომისა-ებრ ნიჭისა
ქრისტესისა.
8. რომლისა თჳს იტყჳს:
აღჰჴდა მაღალსა, წარმოჰსტყუენა
ტყუჱა, და მიჰსცა იგი ნიჭად
კაცთა.
9. ხოლო აღსლვა იგი, რაჲმე
არს, არა თუ ესე, რამეთუ შთაჰჴდ-
და იგი პირველად ქუესკნელთა
ქუეყანისათა?
10. რომელი გარდამოჴდა იგი-
ვე არს, რომელი ამაღლდა ზედა
ყოველთა ცათა, რათა აღავსნეს
ყოველნი.
11. და მან მოჰსცნა, რომელ-
ნიმე მოციქულნი, რომელნიმე
წინასწარ-მეტყუელნი, რომელნი-
მე მახარებელნი, რომელნიმე მწყემს-
ნი და მოძღუარნი,
12. დასამტკიცებელად წმიდათა,
საქმედ მსახურებისა, აღსაშენებე-
ლად გუამისა ქრისტესისა;
13. ვიდრემდე მივიწინეთ ყო-
ველნი ერთობასა სარწმუნოებისა-
სა და მეცნიერებასა მისა ღმრთი-
სასა, მამა-კაცად სრულად, საზო-
მად ჰასაკისა სავსებისა მის ქრის-
ტესისა;
14. რათა არღარა ვიყუნეთ
ყრმა ჩჩჳლ, ღელვა-აღტესილ და
მიმოტაცებულ ყოველსა მას ქარ-
სა მოძღურებისასა, სივერაგითა
კაცთათა და ზაკულებითა მანქანე-
ბისა მის მიმართ საცთურებისა;
15. არამედ ჭეშმარიტ-ვიყუ-
ნეთ სიყუარულსა ზედა და აღვა-
ორძინებდეთ მისა მიმართ ყო-
ველსა, რომელ-არს თავ მისა
ქრისტე,
16. რომლისაგან ყოველი გუა-
მი, შენაწევრებულ და შემტკიცე-
ბულ არს ყოვლითა შესხლებითა
უხუებისათა, შეწევნისა-ებრ სა-

ზომისა თჳთოეულისა ასოჲსა, სიორძილსა მას გუამისასა ჰყოფდით აღსაშენებლად თავისა თქუჱნისა სიყუარულით.

17. ამას უკუჱ ვიტყჳ და ვჰსწამებ უფლისა მიერ, რათა ნუღარამცა ჰსუალთ, ვითარცა სხუანი იგი წარმართნი ვლენან, ამაოებითა გონებისა მათისათა,

18. დაბნელებულნი გულითა, უცხო-ქმნილნი ცხოვრებისაგან ღმრთისა, უმეცრებითა მით, რომელ-არს მათ თანა სიბრმითა გულისა მათისათა.

19. რომელთა წარიწირნეს თავნი მათნი, და მიჰსცნეს ბილწებასა საქმედ არა-წმიდებისა ყოვლისა ანგარებისა.

20. ხოლო თქუჱნ არა ეგრეთ გისწავიეს ქრისტე;

21. უკეთუ გასმიეს იგი და მისა მიმართ გისწავიეს, ვითარცა იგი არს ჭეშმარიტება იესოსთანა,

22. განიშორეთ თქუჱნგან პირველისა მისებრ სლვისა თქუჱნისა ძუჱლი იგი კაცი, განხრწნილი გულის-თქმისა მისებრ საცთურისა,

23. და განახლდებოდეთ თქუჱნ სულითა მით გონებისა თქუჱნისათა,

24. და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული, სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისათა.

25. ამისთჳს განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი მოყუსისა თჳსისა თანა; რამეთუ ვართ ურთიერთარს ასოებ.

26. გული გიწყრებოდენ, და ნუ ჰსცოდავთ; მზე ნუ დაჰსვალნ განრისხებასა თქუჱნსა.

27. ნუცა ჰსცემთ ადგილ ეშმაკსა.

28. მპარავი იგი, ნუღარა იპარავნ, არამედ უფროჲსღა ჰშურებოდენ, და იქმოდენ კეთილსა თჳსითა კელითა; რათა აქუნდეს მიცემად ვის იგი უკმდეს.

29. ყოველი სიტყუა უშუჱრი პირით თქუჱნით ნუ გამოვალნ, არამედ რა იგი იყოს კეთილ აღსაშენებლად სარწმუნოებისა საკმრისათჳს, რათა მიჰსცეს მადლი მსმენელთა მათ.

30. და ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა ღმრთისასა, რომლითაცა იგი აღიბეჭდენით დღედ გამოკსნისა.

31. ყოველი სიმწარე, და რისხუა, და გულის-წყრომა, და ღაღადება, და გმობა მოისპენ თქუჱნ შორის ყოვლითურთ უკეთურებით;

32. იყუჱნით ურთიერთარს ტკბილ, მოწყალე, მიმმადლებელ თავთა თჳსთა, ვითარცა იგი ღმერთმან ქრისტეს მიერ მოგუმადლა ჩუჱნ.

## თ ა ვ ი 5.

1. იყუჱნით უკუჱ მობაძავ ღმრთისა, ვითარცა შჳლნი საყუარელნი;

2. და ვიდოდეთ სიყუარუ-

ლით, ვითარცა იგი ქრისტემან
შემიყუარნა ჩუენ, და მიჰსცა თა-
ვი თჳსი ჩუენთჳს შესაწირავად
და მსხუერპლად ღმრთისა, სუნად
სულნელად.
3. ხოლო სიძვა და ყოველი
არა წმიდება გინა ანგარება ნუ-
ცადა სახელ-ედებინ თქუენ შო-
რის, ვითარცა ჰშუენის წმიდათა.
4. და საძაგელება და სიტყუა
სიცოფისა გინა ლაღობა, რომე-
ლი არა ჯერ-არს, არამედ უფ-
როჲსად მადლობა.
5. და ესემცა უწყით, რამეთუ
ყოველსა მეძავსა და არა-წმიდასა
და ანგარსა, რომელ-არს კერპთ-
მსახური, არა აქუს მკჳდრობა სა-
სუფეველსა ქრისტესსა და ღმრთი-
სასა.
6. ნუცა ვინ გაცთუნებს თქუენ
ცუდითა სიტყჳთა; რამეთუ ამის-
თჳს მოიწევის რისხვა ღმრთისა
ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა.
7. ნუ უკუე იქმნებით მჰსგავს
მათდა.
8. რამეთუ იყუენით ოდესმე
ბნელ, ხოლო აწ ნათელ ხართ
უფლისა მიერ, ვითარცა შვილნი
ნათლისანი ვიდოდეთ;
9. რამეთუ ნაყოფი სულისა
ყოვლითა კეთილითა და სიმართ-
ლითა და ჭეშმარიტებითა.
10. გამოიცადეთ, რა იგი არს
სათნო უფლისა,
11. და ნუ თანა-ეზიარებით
საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელი-
სათა, არამედ უფროჲსღა ამხი-
ლებდითცა.
12. რამეთუ, რა იგი ფარუ-
ლად იქმნების მათ მიერ, საძა-
გელ-არს სიტყუადცა.
13. ხოლო ყოველივე მხილე-
ბული ნათლისაგან გამოჰსცხად-
ნების; რამეთუ ყოველივე განცხა-
დებული ნათელ-არს.
14. რომლისათჳს იტყჳს: გა-
ნიღვიძე, რომელსა ეგე გძინავს,
და აღჰსდეგ მკუდრეთით, და განგა-
ნათლოს შენ ქრისტემან.
15. ეკრძალებოდეთ უკუე, ვი-
თარმი განკრძალულად ჰსვალთ,
ნუ ვითარცა უგუნურნი, არამედ
ვითარცა ბრძენნი,
16. გამოიფრდიდით ჟამთა;
რამეთუ დღენი ბოროტნი არიან.
17. ამისთჳს ნუ იყოფით
უგუნურ, არამედ გულის-ხმა-ჰყოფ-
დით, რა იგი არს ნება ღმრთი-
სა.
18. და ნუ დაითრვებით ღჳ-
ნითა, რომლითა არს სიბილწე;
არამედ აღივსენით სულითა,
19. ეტყოდეთ თავთა თჳსთა
ფსალმუნითა, და გალობითა, და
შესხმითა სულიერითა, უგალობ-
დით და აქებდით გულითა თქუენ-
ითა უფალსა,
20. ჰმადლობდით ყოვლადვე
ყოველთათჳს სახელითა უფლისა
ჩუენისა იესო ქრისტესითა,
ღმერთსა და მამასა,
21. დაემორჩილენით ურთი-
ერთარს შიშითა ქრისტესითა.
22. ცოლნი, თჳსთა ქმართა
დაემორჩილენით, ვითარცა უფა-
ლსა;
23. რამეთუ ქმარი არს თავ
ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ

არს ეკკლესიისა, დ იგი თავადი არს მაცხოვარი გუამისა.

24. არამედ ვითარცა ეკკლესია დამორჩილებულ-არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი თჳსთა ქმართა ყოვლითავე.

25. ქმართა გიყუარდენ ცოლნი თჳსნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკკლესია, დ თავი თჳსი მისცა მისთჳს,

26. რათა იგი წმიდა-ჰყოს, განჰსწმიდა იგი საბანელითა მით წყლისათა დ სიტყჳთა;

27. რათა წარუდგინოს თავადმან თავსა თჳსსა დიდებულად ეკკლესიაჲ, რათა არა აქუნდეს მწიკულევანება, არცა ნაოჭ ბრძჳლისა, არცა სხუა რა ესე-ვითარი, არამედ რათა იყოს წმიდა დ უბიწო.

28. ესრეთ ჯერ-არს ქმართა ცოლთა თჳსთა სიყუარული, ვითარცა კორცთა თჳსთა; რამეთუ რომელსა უყუარდეს ცოლი თჳსი თავი თჳსი უყუარს.

29. რამეთუ არა ვინ სადა თავი თჳსი მოიძულის, არამედ ჰზრდის დ ჰფუფუნებნ მას, ვითარცა ქრისტე ეკკლესიასა:

30 რამეთუ ასონი ვართ გუამისა მისისანი, კორცთა მისთაგანნი დ ძუალთა მისთაგანნი.

31. ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი დ დედაჲ თჳსი, დ შეეყოს ცოლსა თჳსსა, დ იყუნენ ორნივე იგი ერთ-კორც.

32. საიდუმლო ესე დიდ-არს; ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს დ ეკკლესიისა.

33. გარნა თქუენცა კაცად-კაცადმან თჳსი ცოლი ეგრეთ შეიყუარეთ, ვითარცა თავი თჳსი; ხოლო ცოლსა მას, რათა ეშინოდეს ქმრისა.

## თ ა ვ ი 6.

1. შჳლნი, მორჩილ-იყუენით მამა დედათა თქუენთა უფლისა მიერ; რამეთუ ესე არს სამართალ.

2. პატივ-ეც მამასა შენსა დ დედასა შენსა; რომელ ესე არს მცნება პირველი აღთქმასა შინა:

3. რათა კეთილი გეყოს შენ, დ იყო დღეგრძელ ქუეყანასა ზედა.

4. და მამანი, ნუ განარისხებთ შჳლთა თქუენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა დ მოძღურებითა უფლისათა.

5. მონანი, ერჩდით კორციელთა უფალთა თქუენთა, შიშით დ ძრწოლით, სიწრფოებითა გულისა თქუენისათა, ვითარცა ქრისტესა,

6. ნუ თუალთა წინაშე თუალღებით მონებად, ვითარცა კაცთმოთნენი, არამედ ვითარცა მონანი ქრისტესნი, ჰყოფდით ნებასა ღმრთისასა გულითად;

7. კეთილად ჰმონებდით, ვითარცა უფალსა, დ არა კაცთა,

8. უწყოდეთ, რამეთუ რაჲცა ვინ ჰქმნეს, კაცად-კაცადმან კეთილი იგიცა მოიღოს უფლისა მიერ, გინა თუ მონამან, გინა თუ აზნაურმან.

9. და უფალნი ეგე, ეგრეთვე

ჰყოფდით მათდა მიმართ, შეუნ-
დობდით რისხჳსასა, უწყოდეთ,
რამეთუ თქუენნი და მათი უფალი
ცათა შინა არს, და თუალ-ღება
არა არს მისთანა.
10. ამიერითგან, ძმანო ჩემ-
ნო, განძლიერდით უფლისა მიერ
და სიმტკიცითა ძლიერებისა მი-
სისათა:
11. შეიმოსეთ ყოვლად სა-
ჭურველი იგი ღმრთისა, რათა
შეუძლოთ თქუენ წინა-დადგო-
მად მანქანებათა მათ ეშმაკისა-
თა;
12. რამეთუ არა არს ბრძოლა
ჩუენი სისხლთა მიმართ და ჴორც-
თა, არამედ მთავრობათა მიმართ
და ჴელმწიფებათა, სოფლის-მპყრო-
ბელთა მიმართ ბნელისა ამის სა-
წუთოჲსათა, სულთა მიმართ უკე-
თურებისათა, რომელნი არიან
ცასა ქუეშე.
13. ამისთჳს აღიღეთ ყოვ-
ლად საჭურველი იგი ღმრთისა,
რათა შეუძლოთ წინა-დადგომად
დღესა მას ბოროტსა, და ყოველ-
სავე იქმოდეთ, რათა ჰსდგეთ.
14. მტკიცედ უკუე ჰსდეგით,
მოირტყუენით წელნი თქუენნი
ჭეშმარიტებითა, და შეიმოსეთ
ჯაჭჳ იგი სიმართლისა,
15. და შეისხენითა ფერჴთა
თქუენთა განმზადებულებაჲ სა-
ხარებისა მის მშჳდობისა.
16. ყოველსა შინა აღიღეთ
ფარი იგი სარწმუნოებისა, რომ-
ლითა შეუძლოთ ყოველთა მათ
ისართა ბოროტისათა განკურ-
ვებულთა დაშრეტად;
17. და ჩაიფხუტი იგი ცხოვ-
რებისა დაიდგთ და მახჳლი იგი
სულისა, რომელ-არს სიტყუა
ღმრთისა.
18. ყოვლითა ლოცჳთა და ვედ-
რებითა ილოცევდით ყოვლსა
ჟამსა სულითა; და მებრვე ამის-
თჳს იღჳძებდით ყოვლითა კრძა-
ლულებითა და ვედრებითა ყოველ-
თა წმიდათა თჳს,
19. და ჩემთჳსცა, რათა მომე-
ცეს მე სიტყუა, აღებასა პირისა
ჩემისასა განცხადებულად უწყებად
საიდუმლო იგი სახარებისა,
20. რომლისათჳს ესე ვციქუ
ჯაჭჳთურთ, რათა მას შინა გან-
ჰსცხადნე, ვითარ იგი ღირს ჩემ-
და სიტყუად.
21. ხოლო თქუენცა, რათა
უწყოდეთ ჩემთჳს რაჲსა იგი
ვიქმ, ყოველივე გაუწყოს თქუენ
ტჳქიკოს, საყუარელმან ძმამან და
სარწმუნომან მსახურმან უფლისა
მიერ,
22. რომელი იგი მივავლინე
თქუენდა ამისთჳს მებრ, რათა
უწყოდეთ ჩუენთჳს, და ნუგე-
შინის-ჰსცეს გულთა თქუენთა.
23. მშჳდობაჲ ძმათა და სიყუა-
რული სარწმუნოებითურთ ღმრთი-
სა მიერ მამისა და უფლისა ჩუე-
ნისა იესო ქრისტესა.
24. მადლი ყოველთა თანა მო-
ყუარეთა უფლისა ჩუენისა იესო
ქრისტესთა უხრწნელებათა. ამინ.

# ფილიპპელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა.

## თავი 1.

1. პავლე და ტიმოთე, მონა იესო ქრისტესნი, ყოველთა წმიდათა ქრისტე იესოს მიერ, რომელნი ხართ ფილიპპეს შინა, ეპისკოპოსთა თანა და დიაკონთა.

2. მადლი თქუენდა და მშჳდობა ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესო ქრისტესა.

3. ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა ყოველსა ზედა ჴსენებასა თქუენსა,

4. მარადის ყოველთა შინა ლოცვათა ჩემთა თქუენ ყოველთა თჳს სიხარულით ლოცვასა ვჰყოფ,

5. ზიარებისა მაგის თქუენისათჳს სახარებასა მას პირველით დღითგან მოაქამდე და ამის მებრვე სასოებისათჳს,

6. ვითარმედ, რომელმან იწყო თქუენ შორის საქმე კეთილისა აღასრულენ, ვიდრე დღედმდე უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა;

7. ვითარცა არს სამართალ ჩემდა ზრახუად ესე თქუენ ყოველთათჳს; რამეთუ მახსოვთ მე თქუენ გულსა ჩემსა, კრულებათა შინა ჩემთა და სიტყჳს-გებათა და დამტკიცებასა მას სახარებისასა, რათა ზიარ ჩემთანა მადლისა მის თქუენ ყოველნი იყუნეთ.

8. რამეთუ მოწამე ჩემდა არს ღმერთი, ვითარ იგი მსურის თქუენ ყოველთა თჳს მოწყალებითა ქრისტე იესოსითა.

9. და ამას ვილოცავ, რათა სიყუარული ეგე თქუენი უფროს და უმეტეს გარდაერიოს მეცნიერებითა და ყოვლითა ფრთხილებითა;

10. რათა გამოიცადოთ თქუენ უმჯობესი, რათა იყუნეთ თქუენ ჭეშმარიტ და დაუბრკოლებელ დღედმდე ქრისტე იესოსა.

11. აღსავსენი ნაყოფითა სიმართლისათა იესო ქრისტეს მიერ, სადიდებელად და საქებელად ღმრთისა.

12. უწყებაჲ თქუენი მნებავს, ძმანო, რამეთუ ჩემთჳს უფროჲსღა წარსამატებელად სახარებისა მისთჳს მოივლინა;

13. ვიდრეღა კრულებანი ესე ჩემნი განცხადებულ-იქმნეს ქრის-

ტეს მიერ ყოველსა მას ტაძარსა და სხჳსათა მიმართ ყოველთა;

14. და უმრავლესთა ძმათა უფლისა მიერ, მოსავთა მათ ჩემთა კრულებათასა, უმეტესღა ვიკადრებ უშიშად, სიტყჳსა მას ღმრთისასა სიტყჳად.

15. რომელნიმე შურით და კდომით, რომელნიმე და სათნოებისათჳსცა ქრისტესა ჰქადაგებენ.

16. რომელნი იგი კდომით ქრისტესა მიუთხრობენ არა-წმიდებით, ჰგონებენ ჭირთა მოწევნად კრულებათა ამათ ჩემთა;

17. ხოლო რომელნიმე სიყუარულით, უწყიან, რამეთუ სიტყჳს-გებად სახარებისა მის ვჰსდგამე.

18. აწ უკუე რაჲ? ყოვლითავე სახითა, გინათუ მიზეზით, გინათუ ჭეშმარიტებით, ქრისტე იქადაგების, ამისთჳს მიხარის, და მიხაროდესცა.

19. რამეთუ უწყი, ვითარმედ ესე მექმნას მე საცხოვრებელად, თქუენითა ვედრებითა და შეწევნითა სულისა ქრისტე იესოჲსითა,

20. მოხალოდებელითა მით და სასოებითა ჩემითა,

21. რამეთუ არა რაჲთ მრცხუენნის მე, არამედ ყოვლითა კადნიერებითა, ვითარცა მარადის, და აწცა, იდიდოს ქრისტე ჴორცთა ზედა ჩემთა, გინათუ ცხოვრებით, გინათუ სიკუდილით.

22. რამეთუ ჩემდა ცხოვრება ქრისტე არს, და სიკუდილი შესაძინელ.

23. ხოლო ცხოვრება ესე ჴორცითა ამით ესე არს ჩემდა ნაყოფ საქმისა; და რომელი გამოვირჩიო, არა უწყი.

24. ხოლო შეპყრობილ-ვარ ორთა ამათგან; გული მეტყჳს განსლჳად და ქრისტესთანა ყოფად, უფროს და უმჯობეს ფრიად;

25. ხოლო დადგრომაჲ ჴორცთა შინა უნებელადრე თქუენთჳს.

26. და ესე სასოებით უწყი, რამეთუ დავადგრე და გბანდე თქუენ ყოველთა, წარმატებისა თქუენისათჳს და სიხარულისა მის სარწმუნოებისა,

27. რათა სიქადული ეგე თქუენი ადემატოს ქრისტე იესოს მიერ ჩემდა მომართ, ჩემითა მით მისლვითა კუალად თქუენდა მიმართ.

28. გარნა ღირსად ხოლო სახარებისა მის ქრისტესისა ვიდოდეთ. რათა გინათუ მოვიდე და გიხილნე თქუენ, გინათუ შორს ვიყო და მესმას თქუენთჳს, ვითარმედ ჰსდგათ თქუენ ერთითასულითა და ერთითა გონებითა. და თანა იღუწით სარწმუნოებასა მას სახარებისასა,

29. და არა ჰზრთხებით არა რაჲთ მკდომთა მათგან. რომელი იგი არს მათდა სახე წარწყმედისა, ხოლო თქუენდა ცხოვრებისა; და ესე ღმრთისა მიერ.

30. რამეთუ თქუენ მიგემადლა ქრისტესთჳს არა ხოლო მისა მიმართ სარწმუნოებაჲ, არამედ მისთჳს ვნებაჲცა.

31. იგივე ღუაწლი გაქუნ-

დინ, რომელი იხილეთ ჩემთანა, და აწ გესმის ჩემ მიერ.

## თავი 2.

1. რავდენი რა ნუგეშინის-ცემა არს ქრისტეს მიერ, და რავდენი ნუგეშინის-ცემა სიყუარულისა, რავდენი რა ზიარება სულისა, რავდენი რა მოწყალება და წყალობა:

2. აღავსეთ სიხარული ჩემი, რათა მასვე ჰზრახვიდეთ და იგივე სიყუარული გაქუნდეს, ერთ-სულ და ერთ-ზრახვა იყუნით;

3. ნურა რაჲთ კდომით, გინა ზუაობით, არამედ სიმდაბლით ურთიერთარს უმეტეს შერაცხდით თჳთოეული თავისა თჳსისასა.

4. ნუ თავისა თჳსისასა ხოლო კაცად კაცადი თქუენი ეძიებნ, არამედ მოყუსისასაცა თჳთოეული თქუენი.

5. ესე ზრახვა იზრახებოდენ თქუენ შორის, რომელიცა იგი ქრისტე იესოს მიერ.

6. რომელი იგი ხატი ღმრთისა იყო, არა ნატაცებად შეირაცხა ყოფად იგი სწორებად ღმრთისა;

7. არამედ თავი თჳსი დაიმდაბლა და ხატი მონისა მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა, და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი;

8. დაიმდაბლა თავი თჳსი და იქმნა იგი მორჩილ, ვიდრე სიკუდილადმდე, და სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა.

9. ამისთჳსცა იგი ღმერთმან უმეტესად აღამაღლა, და მიანიჭა მას სახელი უზესთაესი უფროს ყოველთა სახელთასა:

10. რაჲთა სახელისა მიმართ იესო ქრისტესისა ყოველი მუკლი მოჰხდრკეს ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელისათანი.

11. და ყოველმან ენამან აღიაროს, რამეთუ უფალი იესო ქრისტე სადიდებელად ღმრთისა მამისა.

12. ვინაცა, საყუარელნო ჩემნო, ვითარცა ეგე ყოვლადვე მორჩილ ხართ, ნუ ხოლო მისლუასა მას ჩემსა, არამედ აწ უფროჲსღა შორს-ყოფასა ამას ჩემსა, შიშით და მრწოლით თჳსსა ცხოვრებასა იქმოდეთ.

13. ღმერთი არს, რომელი შეიქმს თქუენდა ნებასაცა და შეწევნასა სათნოებისათჳს.

14. ყოველსავე იქმოდეთ თჳნიერ დრტჳნვისა და გულის სიტყუათა,

15. რათა იყუნეთ უბრალო და უმანკო და შჳლ ღმრთისა შეუგინებელ შორის ნათესავსა დრკუსა და გულარძნილსა, რომელთა მიერ ჰსჩნდეთ, ვითარცა მთიებნი სოფელსა შინა.

16. სიტყუაჲ ცხოვრებისა გაქუნდეს, სიქადულად ჩემდა დღესა მას ქრისტესა,

17. რამეთუ არა ცუდად ვჰრბიოდი არცა ცუდად დავჭშუერ.

18. არამედ დაღათუ შევიწირვი მსხუერპლსა მას ზედა და მსახურებასა სარწმუნოებისა თქუენისასა; მიხარის და მიხაროდესცა თქუენ ყოველთა თანა.

19. ეგრეთვე და თქუენცა გიხაროდენ, და ჩემთანა გიხაროდენ.

20. ხოლო ვესავ ქრისტე იესოს მიერ ტიმოთესსაცა ადრე მივლინებასა თქუენდა, რათა მეცა, გულ-მხიარულად ვჰსცნა თქუენ თჳს.

21. რამეთუ არა ვინ მაქუს სხუაჲ ერთგული, რომელმანცა თქუენთჳს გულითად იზრუნა;

22. რამეთუ ყოველნი თავთა თჳსთასა ეძიებენ, და არა ქრისტე იესოსსა.

23. ხოლო გამოცდილებაჲ იგი მისი იცით, რამეთუ, ვითარცა მამასა შჳლმან, ეგრე ჰმონა ჩემთანა სახარებასა მას.

24. ამისსა უკუე ვესავ მივლინებასა, რაჟამს განვიგო თავისა ჩემისა მისგან.

25. ხოლო ვესავ უფალსა, ვითარმედ მეცა ადრე მოვიდე.

26. უმჯობესადრე შევრაცხე ეპაფროდიტეს, ძმისა ჩემისა და თანა შემწისა და თანა მოსაგრისა ჩემისა, ხოლო თქუენისა მოციქულისა და მსახურისა მის სახმართა ჩემთასა მივლინებად თქუენდა;

27. ვინაჲდგან სურვიელცა იყო თქუენ ყოველთა ხილვად, და ჰზრუნვიდა, რამეთუ გასმიოდა, ვითარმედ დასნეულდა.

28. და ნამდჳლვე დასნეულდა, ვიდრე სიკუდილადმდე; არამედ ღმერთმან შეიწყალა იგი, და არა ხოლო იგი, არამედ მეცა, რათა არა მწუხარებაჲ მწუხარებასა ზედა დამერთოს.

29. მოსწრაფედ უკუე მივავლინე ეგე, რათა იხილოთ ეგე და კუალად გიხაროდეს, და მე უჭუვარ ვიყო.

30. შეიწყნარეთ ეგე უფლისა მიერ ყოვლითა სიხარულითა, და ეგევითარნი ეგე პატიოსნად იპყრენით.

31. რამეთუ საქმისათჳს ქრისტესისა სიკუდილადმდე მიიწია, წინა დაპყრობად სულითა, რათა აღავსოს თქუენი იგი დაკლებული ჩემდა მომართ მსახურებისა.

## თ ა ვ ი 3.

1. ამიერითგან, ძმანო, გიხაროდენ უფლისა მიერ. იგივე მიწერად თქუენდა ჩემდა არა სიცონილ არს, და თქუენდა კრძალულება არს.

2. ეკრძალებოდეთ ძაღლთა მათგან, ეკრძალებოდეთ ბოროტთა მათგან მუშაკთა, ჰხედევდით განკუეთილებასა მას ურწმუნოთასა.

3. რამეთუ ჩუენ ვართ წინადაცუეთილება იგი, რომელნი სულითა ღმერთსა ვჰმსახურებთ, და ვიქადით ქრისტე იესოს მიერ, და არა ჴორცთა ვესავთ·

4. დაღათუ მაქუს მე ჴორცთაგანცა სასოებაჲ. უკეთუ ვინმე ჰგონებდეს სხუად სასოებად ჴორცთა: მე უფროჲსღა,

5. წინა დაცუეთილებაჲ მოვიღე რვა-დღისამან, ნათესავით ისრაილისა, ტომისაგან ბენიამე-

ნისა, ებრაელი ებრაელთაგან, ჰსჯულითა ფარისეველ,

6. შურით ვჰსდევნიდ ეკკლესიასა ღმრთისასა და სიმართლითა ჰსჯულისათა ვიყავ მე უბრალო.

7. არამედ რომელი იგი იყო ჩემდა შესაძინელ, ესე შემირაცხიეს ქრისტესთჳს ზღვევად.

8. არამედ და შეცავჰრაცხო ყოველივე ზღვევად გარდამატებულისა მისთჳს მეცნიერებისა ქრისტეს იესოს, უფლისა ჩემისა.

9. რომლისათჳს ყოვლისაგან ვიზღვივე, და შემირაცხიეს იგი ნაგევად, რათა ქრისტე შევიძინო,

10. და ვიპოვო მას შინა, რათა არა მაქუნდეს ჩემი სიმართლე ჰსჯულისაგანი, არამედ სარწმუნოებითა ქრისტესითა,

11. ღმრთისა მიერი იგი სიმართლე სარწმუნოებით;

12. ცნობად მისა, და ძალსა მას აღდგომისა მისისასა, და ზიარებასა მას ვნებათა მისთასა, თანახატ-ქმნად სიკუდილსა მას მისსა,

13. რათა მივითარრავჰსწუდე აღდგომასა მასცა მკუდართასა.

14. არა თუ, ვითარმედ აწვე მომიღებიეს, ანუ თუ აწვე სრულ-ქმნილ-ვარ; ხოლო ვჰსდევ ეგრე, რათა ვეწიო, რომელთაცა წევნულ-ვიქმენ ქრისტე იესოს მიერ.

15. ძმანო, მე არღარა შემირაცხიეს თავი ჩემი წარწევნულად;

16. ხოლო ერთი ესე, უკანასა მას დავივიწყებ, და წინასა მას მივჰსწუდები, და კრძალულებით ვჰსდევ გჳრგჳნსა მას ზეცისა ჩინებისა ღმრთისასა ქრისტე იესოს მიერ.

17. რავდენნი უკუე სრულნი ვართ, ამას ვზრახვიდეთ; და სხუასა თუ რასმე ჰზრახვიდეთ, და იგიცა ღმერთმან გამოვეგიცხადოს თქუენ.

18. გარნა, რომელსა ესე მივჰსწუეთით, მასვე ვჰზრახვიდეთ და მასვე წესსა ზედა ვეგნეთ.

19. მობაძავ ჩემდა იქმენით, ძმანო, და ჰსედევდით, რომელნი იგი ესრეთ ვლენან, ვითარცა ესე ვართ ჩუენ სახე თქუენდა.

20. რამეთუ მრავალნი ვინმე ვლენან, რომელთათჳს მრავალ გზის გეტყოდი თქუენ, ხოლო აწ ტირილით გითხრობ თქუენ, მტერთა მათთჳს ქრისტეს ჯუარისათა.

21. რომელთა აღსასრული წარწყმედა არს, რომელთა ღმერთ მუცელი არს, და დიდება სირცხჳლსა შინა მათსა; რომელნი ქუეყანისასა ჰზრახუენ;

22. ხოლო ჩუენი მოქალაქობა ცათა შინა არს, ვინაცა მაცხოვარსა მოველით, უფალსა იესო ქრისტესა.

23. რომელმან გარდაჰსცუალნეს ხორცნი ესე სიმდაბლისა ჩუენისანი, რათა იყუნენ იგინი თანა-ხატ ჴორცთა მათ დიდებისა მისისათა, შეწევნისაებრ ძლიერებისა მისისა, და მორჩილებად მისა ყოველი.

## თავი 4.

1. ვინაცა, ძმანო ჩემნო სა-

უყუარელნო და სასურველნო, სიხარულნო და გჳრგჳნნო ჩემნო, ესრედ მტკიცედ ჰსდეგით უფლისა მიერ, საყუარელნო.

2. ევოდიას ვლოცავ, და სჳნტჳქოსს ვლოცავ, რათა მასვე ჰზრახჳდეთ უფლისა მიერ.

3. ჰე, ვლოცავ შენცა, ერთგულსა თანა-მეუღლესა, შეეწყნარე ეგენი, რომელნი ეგე სახარებასა მას თანა-მოღუაწე-მექმნნეს მე, კლემენტოსითურთ და სხუათა მათ თანა შემწეთა ჩემთა, რომელთა სახელები წერილ-არს წიგნსა მას ცხოვრებისასა.

4. გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ, კუალად გეტყჳ გიხაროდენ.

5. სიმდაბლე თქუენი ცხად-იყავნ ყოველთა კაცთა. უფალი ახლოს არს.

6. ნურარას ჰზრუნავთ, არამედ ყოვლითა ლოცჳთა და ვედრებითა მადლობით თხოვანი ეგე თქუენნი საცნაურ-იყუნედ ღმრთისა მიმართ;

7. და მშჳდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, შეჰზღუდენინ გულნი თქუენნი და გონებანი თქუენნი ქრისტე იესოს მიერ.

8. ამიერითგან, ძმანო, რავდენი არს ჭეშმარიტ, რავდენი პატივოსან, რავდენი მართალ, რავდენი წმიდა, რავდენი საყუარელ, რავდენი საქებელ, რავდენი სათნო და რავდენი ქებულ, მას ჰზრახევდით.

9. რომელიცა იგი ისწავეთ, და მიიღეთ, და გესმა, და იხილეთ ჩემთანა, მას იქმოდეთ; და ღმერთი მშჳდობისა იყავნ თქუენთანა.

10. ხოლო განვიხარე უფლისა მიერ დიდად, რამეთუ აწვე ეგერა აღმოცენებულ-სართ ჩემ-კერძო; ზრახუად, რომელსაცა იგი ჰზრახევდით, ხოლო დაჰყუდონდით.

11. არა თუ ნაკლულევანებისათჳს რამე გეტყჳ თქუენ, რამეთუ მე მისწავიეს: რომელთა შინა ვარ, რათა კმა ვიყო.

12. ვიცი დამდაბლებაჲცა, და ვიცი გარდამატებაჲცა ყოველთა მიმართ; და ყოველსა შინა შეზმნილ-ვარ; განძღებად და შიმშილად, აღმატებად და დაკლებად.

13. ყოველივე ძალ-მიძს განმაძლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ.

14. გარნა კეთილად ჰყავთ, რამეთუ ეზიარენით ჭირთა ამათ ჩემთა.

15. ხოლო ესე თქუენცა უწყით, ფილიპპელნო, რამეთუ დასაბამსა მას სახარებისასა, რაჟამს განმოვედ მაკედონიაჲთ, არცა ერთი ეკკლესია მეზიარა მე სიტყუასა მას შინა მოცემისათჳს და მოღებისა, გარნა ხოლო თქუენ მარტოდ.

16. რამეთუ თესალონიკედცა ხოლო ერთ-გზის და ორ-გზისცა საკმრად ჩემდა მომიძღუანეთ.

17. არა თუ, რამეთუ საცემელსა ვეძიებ; არამედ ვეძიებ ნაყოფსა მას, რომელი აღემატების სასყელად თქუენდა.

18. მაქუს მე ყოველი, და გარდამრჩევის; და აღსავსე ვარ, მოღებითა ეპაფროდიტესგან თქუენ მიერ, სუნითა სულნელებისათა, მსხუერპლითა მით შეწირულითა, სათნოჲთა ღმრთისათა.

19. ხოლო ღმერთმან ჩემმან აღავსენ ყოველი საკმარი თქუენი, სიმდიდრისაებრ მისისა დიდებითა, ქრისტე იესოს მიერ.

20. ხოლო ღმერთსა და მამასა ჩუენსა დიდება უკუნითი უკუნისამდე! ამინ.

21. მოიკითხევდით ყოველთა წმიდათა ქრისტე იესოს მიერ. გიკითხვენ თქუენ ჩემთანანი ძმანი.

22. გიკითხვენ თქუენ ყოველნი წმიდანი, უფროჲსღა სახლისა მის კეისრისანი.

23. მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი სულისა თქუენისა თანა. ამინ.

# კოლასელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა.

## თავი 1.

1. პავლე, მოციქული იესო ქრისტესი ნებითა ღმრთისათა, და ტიმოთე ძმა.

2. კოლასეს შინა წმიდათა და მორწმუნეთა ძმათა ქრისტე იესოს მიერ:

3. მადლი თქუჱნდა და მშჳდობა ღმრთისა მიერ მამისა ჩუჱნისა და უფლისა იესო ქრისტესსა. ვჰმადლობთ ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუჱნისა იესო ქრისტესსა, მარადის თქუჱნთჳს ვილოცავთ,

4. გუჱსმა სარწმუნოება ეგე თქუჱნი ქრისტე იესოს მიმართ და სიყუარული ყოველთა მიმართ წმიდათა,

5. სასოებისა მისთჳს განმზადებულისა თქუჱნთჳს ცათა შინა, რომელი იგი წინასწარ გესმა სიტყუასა მას შინა ჭეშმარიტებისა სახარებისასა,

6. რომელი იგი მოიწია თქუჱნდა, ვითარცა ყოველსა შინა სოფელსა, და არს ნაყოფიერ, და აღორძინებულ, ვითარცა ეგე თქუჱნ შორის, ვინა დღითგან, გესმა, და ჰსცანთ მადლი იგი ღმრთისა ჭეშმარიტებით,

7. ვითარცა იგი ისწავეთ ეპაფრასისგან, საყუარელისა ჩუჱნთანა მონისა, რომელი იგი არს სარწმუნო თქუჱნდა მიმართ მსახური ქრისტესი,

8. რომელმანცა მაუწყა ჩუჱნ თქუჱნი ეგე სიყუარული სულითა.

9. ამისთჳს ჩუჱნცა, ვინა დღითგან გუჱსმა, არა დავჰსცხრებით თქუჱნთჳს ლოცვათა, და თხოვითა, რათა აღივსნეთ მეცნიერებითა ნებისა მისისათა, ყოვლითა სიბრძნითა და გულის-ხმის-ყოფითა სულიერითა;

10. რათა ჰსვლიდეთ თქუჱნ ღირსად ღმრთისა, ყოველსავე სათნოებასა, ყოვლითა საქმითა კეთილითა ნაყოფიერნი, და აღორძინებულნი მეცნიერებასა ღმრთისასა,

11. ყოვლითა ძალითა განძლიერებულნი სიმტკიცისა-ებრ დიდებისა მისისა, ყოვლისა მიმართ მოთმინებისა და სულ-გრძელებისა სიხარულით,

12. ჰმადლობდით ღმერთსა

და მამასა, რომელმან ღირს გვყუნა ჩუჱნ ნაწილსა მას მკჳდრობისა წმიდათასა ნათელსა შინა,

13. რომელმან მიჴსნნა ჩუჱნ ჴელმწიფებისა მისგან ბნელისა, და მიმცვალნა ჩუჱნ სასუფეველსა მისა მისისა საყუარელისასა,

14. რომლისაგან მაქუს ჩუჱნ გამოჴსნაჲ სისხლითა მისითა, და მოტევებაჲ ცოდუათა ჩუჱნთა,

15. რომელი იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისა, პირმშო ყოველთა დაბადებულთა.

16. რამეთუ მის მიერ დაებადა ყოველივე, ცათა შინა და ქუჱყანასა ზედა, ხილულნი და არა ხილულნი: ანუთუ საყდარნი, ანუთუ უფლებანი, გინათუ მთავრობანი, გინათუ ჴელმწიფებანი; ყოველივე მის მიერ და მისა მიმართ დაებადა.

17. და იგი თავადი არს ყოველთა წინა, და ყოველივე მის მიერ დამტკიცნა.

18. და იგი არს თავი გუამისა მის ეკკლესიისა; რომელი არს დასაბამი, პირმშო მკუდრეთით, რათა იყოს იგი თავადი ყოველსა შინა მთავარ,

19. რამეთუ მას შინა სათნო იყო, ყოველივე სავსება დამკჳდრებად,

20. და მის მიერ დაგებად ყოველი მისა მიმართ, მშჳდობა ჰყო სისხლითა მით ჯუარისა მისისათა მის მიერ, გინათუ ქუჱყანასა ზედა გინათუ ცათა შინა.

21. და თქუჱნ, ოდესმე იყუჱნით უცხო-ქმნულ და მტერ, გონებითა თქუჱნითა საქმეთა მათ შინა ბოროტთა,

22. ხოლო აწ დაგიგნა გუამითა მით ჴორცთა მისთათა, სიკუდილისა მიერ, და წარგადგინნა თქუჱნ წმიდად და უბიწოდ და უბრალოდ წინაშე მისსა;

23. უკეთუ ეგნეთ სარწმუნოებასა ზედა დაფუძნებულნი და დამტკიცებულნი, და შეურყეველნი სასოებისა მისგან სახარებისა, რომლისა გესმა, ქადაგებულისა, ყოვლისა შორის დაბადებულისა ცასა ქუჱშე, რომლისა ვიქმენ მე პავლე მსახურ.

24. აწ მიხარის ვნებათა მათ შინა თქუჱნთჳს, და აღვასრულებ დაკლებულთა მათ ჭირთა ქრისტესთა ჴორცითა ჩემითა გუამისათჳს მისისა, რომელ არს ეკკლესია,

25. რომლისა ვიქმენ მე მსახურ მოღუაწებითა ღმრთისათა, რომელი მომეცა მე თქუჱნდა მიმართ, აღსრულებად სიტყჳსა ღმრთისა.

26. საიდუმლო იგი, დაფარული საუკუნითაგან და ნათესავითგან, ხოლო აწ გამოეცხადა წმიდათა მისთა,

27. რომელთა იგი ინება ღმერთმან უწყებად, რა იგი არს სიმდიდრე დიდებისა საიდუმლოჲსა მის წარმართთა შორის, რომელ არს ქრისტე თქუჱნ შორის, სასოება იგი დიდებისა,

28. რომელსა ესე ჩუჱნ ვჰქადაგებთ, ვასწავებთ ყოველსა კაცსა, და ვჰმოძღურით ყოველსა კაც-

სა ყოვლითა სიბრძნითა, რათა
წარუდგინოთ ყოველი კაცი სრუ-
ლი ქრისტე იესოს მიერ;
29. რომლისათჳსცა ვჰშუ-
რები და ვიღუწი შეწევნისა ებრ
მისისა, შეწევნულისა ჩემ შორის
ძალითა.

## თ ა ვ ი 2.

1. რამეთუ მნებავს უწყებად
თქუენდა, რაბამი ღუაწლი მაქუს
თქუენთჳს და ლავდიკელთა მათდა
იეროპოლელთათჳს, და რავდენთა
არა უხილავს პირი ჩემი ჴორციე-
ლად;
2. რათა ნუგეშინის-ცემულ-
იქმნენ გულნი მათნი, თანა-შეტ-
ყუებულნი სიყუარულით ყოვლი-
სა მიმართ სიმდიდრისა გულ-
სავსებისა, გულის-ხმის-ყოფისა
მეცნიერებად საიდუმლოსა მას
ღმრთისასა და მამისასა და ქრის-
ტესსა,
3. რომელსა შინა არიან ყოველ-
ნი საუნჯენი სიბრძნისანი და
მეცნიერებისანი დაფარულნი.
4. ხოლო ამას ვიტყჳ, რათა
ნუ ვინმე გაცთუნოს თქუენ სიტ-
ყჳთა მეტნობისათა;
5. რამეთუ დაღათუ ჴორცითა
შორის ვარ, არამედ სულითა
თქუენთანა ვარ, მიხარის, და
ვჰხედავ თქუენსა მაგას წესიერება-
სა, და სიმტკიცესა მაგას ქრის-
ტეს მიმართ სარწმუნოებისა
თქუენისასა.
6. ვითარცა ეგე გისწავიეს
ქრისტე იესო უფალი, მას შინა
ვიდოდეთ,
7. დაფუძნებულნი და აღშენე-
ბულნი მას ზედა, და დამტკიცე-
ბულნი სარწმუნოებითა, ვითარცა
იგი ისწავეთ, აღემატებოდეთ მას
შინა მადლობითა.
8. ეკრძალენით, ნუ ვინმე იყოს
წარმტყუენველ თქუენდა სიბრძ-
ნი-სმოყუარებითა და ცუდითა
საცთურითა, მოძღურებისა-ებრ
კაცთასა, წესთა მათ-ებრ ამის სოფ-
ლისათა, და არა ქრისტეს მიერ;
9. რამეთუ მას შინა დამკჳდ-
რებულ-არს ყოვლივე სავსება
ღმრთაებისა ჴორციელად.
10. და ხართ თქუენ მას ში-
ნა აღსავსე, რომელი იგი არს
თავი ყოვლისა მთავრობისა და
ჴელმწიფებისა.
11. რომლითაცა წინა-დაიცჳ-
თეთ წინა-დაცუეთითა მით ჴე-
ლით უქმნელითა, განძარცჳთა
მით გუამისა მის ჴორცთა მათ
ცოდუათასა, წინა-დაცუეთითა
ქრისტესითა,
12. მისთანა დაეფლენით ნათ-
ლის-ღებითა მით, რომლისა თანა-
ცა აღჰსდეგით სარწმუნოებითა მით
შეწევნითა ღმრთისათა, რომელ-
ნი იგი აღადგინა მკუდრეთით;
13. და თქუენცა, მკუდარ
იყუენით შეცოდებათა შინა და
წინა-დაუცუეთელებითა მით ჴორც-
თა თქუენთათა, მისთანა განგა-
ცხოველნა თქუენ, მოგჳტევნა
ჩუენ ყოველნი შეცოდებანი,
14. და აღჰხოცა ჩუენთჳს
ჴელით-წერილი ბრძანებით, რო-

მელი იყო ანტაკრად ჩუ̂ჱნდა, და
იგი აღიღო შორის და შემსჭუ̂ა-
ლა ჯუ̂არსა,
15. განიძარცუ̂ნა მთავრობანი
იგი და ჴელმწიფებანი, და საჩუ̂ჱ-
ნებელ-ჰქმნნა იგინი კადნიერებით,
და განაქიქნა იგინი თჳს შორის.
16. ნუმცავინ უკუ̂ჱ განგი-
კითხავს თქუ̂ჱნ საჭმლითა და
სასმლითა, გინა კერძო დღესას-
წაულისათა, გინა თჳს თავითა,
გინა შაბათობითა;
17. რომელი იგი არს აჩრ-
დილი მერმეთა მათ,
18. ხოლო ჴორცთა ქრისტეს-
თა. ნუ ვინ თქუ̂ჱნ მძლე გექმნე-
ბინ უნდეს თუ სიმდაბლითა და
წესითა ანგელოსთათა, რომელი
იგი არა ისილა, განიკითხჳდეს
ამაოდ განლაღებული გონებითა
მით ჴორცთა მისთათა,
19. და არა შეიკრძალოს თა-
ვი, რომლისაგან ყოველი გუ̂ამი,
სხეულთაგან და ნაწევართა შექმ-
ნული და შეერთებული, ორძის
სიორძილსა მას ღმრთისასა,
20. უკეთუ მოჰკუ̂ჱდით ქრის-
ტეს თანა ნივთთა მათგან ამის
სოფლისათა, რასალა, ვითარ-
ცა ცხოველნი სოფელსა შინა
ჰბრძნობთ.
21. ნუ მიიახლები, ნუცა გე-
მოსა ისილავ, ნუცა შეეხები;
22. რომელი იგი არს ყოვე-
ლივე განსარყუ̂ნელად, კმევითა
მით მცნებისა მის ებრ და მოძ-
ღუ̂რებისა კაცთასა?
23. რომელ იგი არს რეცა
სიტყუ̂ა რაჲმე აქუ̂ს სიბრძნისა
ნებსითითა მით წესითა, და სიმ-
დაბლითა და ურიდებითა ჴორც-
თათა, არა თუ პატივითა რაჲთა-
მე განსამღებელად ჴორცთა.

თ ა ვ ი 3.

1. უკეთუ ქრისტეს თანა აღ-
ჰსდეგით, ზეცისასა ეძიებდით, სა-
დაცა იგი ქრისტე არს მარჯუ̂ჱ-
ნით ღმრთისა მჯდომარე.
2. ზეცისასა ჰზრახევდით, და
ნუ ქუ̂ჱყანისასა.
3. რამეთუ მოჰკუ̂ჱდით და
ცხორება თქუ̂ჱნი დაფარულ-არს
ქრისტეთურთ ღმრთისა თანა.
4. რაჟამს ქრისტე გამო-
ჰსცხადნეს, ცხორება იგი ჩუ̂ჱნი,
მაშინ თქუ̂ჱნცა მისთანა გამო-
ჰსცხადნეთ დიდებით.
5. მოაკუ̂დინენით უკუ̂ჱ ასო-
ნი თქუ̂ჱნნი ქუ̂ჱყანასა ზედა:
სიძუ̂აჲ, არა-წმიდებაჲ, ვნებაჲ,
გულის-თქმაჲ ბოროტი და ანგა-
რებაჲ, რომელ-არს კერპთ-მსახუ-
რება,
6. რომელთა თჳს მოიწევის
რისხუ̂ა ღმრთისა ნაშობთა მათ
ზედა ურჩებისათა,
7. რომელთა იგი შინა თქუ̂ჱნ-
ცა სადამე იქცეოდით, ოდეს იგი
ჰსცხონდებოდეთ მათ შინა.
8. ხოლო აწ განიშორეთ
თქუ̂ჱნცა ყოველივე: რისხუ̂აჲ,
გულის-წყრომაჲ, უკეთურებაჲ,
გმობაჲ, უშუ̂ჱრი სიტყუ̂ა პირი-
საგან თქუ̂ჱნისა;
9. ნუ უტყუით ერთი ერთსა,

განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი
საქმით მისითურთ,
10. და შეიმოსეთ ახალი იგი
განახლებული მეცნიერებად, მსგავ-
სად ხატისა მის დამბადებელისა
მისისა;
11. სადა იგი არა არს წარ-
მართ, და ურია, წინა-დაცუეთი-
ლება, და წინა-დაუცუეთელება,
ბარბაროს, სკჳთელ, მონება, აზ-
ნაურება; არამედ ყოვლად ყო-
ველსა შინა ქრისტე.
12. შეიმოსეთ უკუე, ვითარ-
ცა რჩეულთა ღმრთისათა, წმიდა-
თა და საყუარელთა, მოწყალებად,
შეწყნარებად, სიტკბოებად, სიმ-
დაბლე, სიმშჳდე, სულგრძელებად,
13. თავს-იდებდით ურთიერთ-
არს და მიჰმადლებდით თავთა
თჳსთა, უკეთუ ვისმე აქუნდეს
ვისთჳსმე ბრალი; ვითარცა იგი
ქრისტემან მიგმადლა თქუენ, ეგ-
რეცა თქუენ მიჰმადლეთ მათ.
14. და ამას ყოველსა ზედა
სიყუარული, რომელ იგი არს
სიმტკიცე სრულებისა.
15. და მშჳდობა იგი ღმრთი-
სა განმტკიცენინ გულთა შინა
თქუენთა, რომლისა მიმართცა
იგი ჩინებულ-ხართ ერთითა კორ-
ცითა, და მადლის-მიმცემელ-იყუე-
ნით.
16. და სიტყუა იგი ქრის-
ტესი დამკჳდრებულ-იყავნ თქუენ
თანა, მდიდრად ყოვლითა სიბრძ-
ნითა; ასწავებდით და ჰმოძღურვი-
დით თავთა თქუენთა ფსალმუ-
ნითა და გალობითა და შესხმითა
სულიერითა, მადლითურთ უგა-
ლობდით გულთა შინა თქუენთა
უფალსა.
17. და ყოველსავე, რასაცა იქ-
მოდეთ, სიტყჳთ გინა საქმით,
ყოველსავე სახელითა უფლისა
იესოსითა, ჰმადლობდით ღმერთ-
სა და მამასა მის მიერ.
18. ცოლნი, დაემორჩილენით
თჳსთა ქმართა, ვითარცა იგი
სათნო-არს უფლისა.
19. ქმართა, გიყუარდედ ცოლ-
ნი თჳსნი, და ნუ განჰმწარდებით
მათდა მიმართ.
20. შჳლნი, დაემორჩილენით
მამა დედათა თქუენთა ყოვლითა-
ვე, რამეთუ ესე არს სათნო უფ-
ლისა მიერ.
21. მამანი, ნუ განარისხებთ
შჳლთა თქუენთა, რათა არა იურ-
ვოდიან.
22. მონანი, ერჩდით ყოვლი-
თავე კორციელთა უფალთა თქუენ-
თა, ნუ ხოლო თუალთა წინაშე
თუალთღებით, ვითარცა კაცთ-
მოთნენი, არამედ მარტიობითა
გულისათა, გეშინოდენ ღმრთისა.
23. და ყოველსავე, რასაცა იქ-
მოდეთ, გულითად იქმოდეთ, ვი-
თარცა უფლისასა, და ნუ ვითარ-
ცა კაცთასა;
24. უწყოდეთ, რამეთუ უფ-
ლისა მიერ მოიღოთ მოსაგებე-
ლი მკჳდრობისა მის თქუენისა;
რამეთუ უფალსა ქრისტესა ჰმო-
ნებთ.
25. ხოლო რომელი იგი მავ-
ნებელ-იყოს, მოეგოს რაცა იგი
ავნოს; და არა არს თუალთ-ხუმა.

## თ ა ვ ი 4.

1. უფალნი ეგე, სამართალსა და სწორსა მიჰსცემდით მონათა მათ, უწყოდეთ, რამეთუ თქუენცა უფალივე გივის ცათა შინა.

2. ლოცუასა განეკრძალენით, და იღჳძებდით მას შინა, ჰმადლობდით.

3. ილოცევდით მისთანა და ჩუენთჳსცა, რათა ღმერთმან განმიღოს ჩუენ კარი სიტყჳსა, სიტყუად საიდუმლოთა მათ ქრისტესთა, რომლისათჳსცა პყრობილ-ვარ,

4. რათა განვაცხადო იგი, ვითარ იგი ჯერ-არს ჩემდა სიტყუად.

5. სიბრძნით იქცეოდეთ გარეშეთა მათ მიმართ, ჟამთა გამოიფრდიდით,

6. სიტყუა თქუენი მარადის მადლითა, ვითარცა მარილითა შეზავებულ-იყავნ, რათა უწყოდეთ, ვითარ იგი შეჰგავს თქუენდა თჳთოეულისა სიტყჳს-მიგება.

7. ჩემთჳს ყოველივე გაუწყოს თქუენ ტჳქიკოს, საყუარელმან ძმამან და სარწმუნომან მსახურმან, და ჩუენთანა მონამან უფლისა მიერ,

8. რომელი მივავლინე თქუენდა, მებრვე ამისთჳს, რათა ჰსცნას თქუენთჳს, და ნუგეშინის-ჰსცეს გულთა თქუენთა,

9. ონისიმეს თანა, სარწმუნოსა და საყუარელისა ძმისა, რომელ იგი არს თქუენგანი. ყოველივე აქაჲ გაუწყონ თქუენ.

10. გიკითხავს თქუენ არისტარხოს, თანა ტყუე ჩემი, და მარკოს, მამის ძმის წული ბარნაბასი, რომლისათჳს მიიღეთ მცნება: უკეთუ მოვიდეს თქუენდა, შეიწყნარეთ იგი.

11. და ისუ, რომელსა იგი ერქუა იოსტოს, რომელნი იყუნეს წინა-დაცუეთილებისაგანნი. ესენი ხოლო შემწე არიან ჩემდა სასუფეველისათჳს ღმრთისა, რომელნი მექმნეს მე ნუგეშინის-მცემელ.

12. გიკითხავს თქუენ ეპაფრა თქუენგანი, მონა ქრისტესი, მარადის იღუწის თქუენთჳს ლოცუათა შინა მისთა, რათა მტკიცედ ჰსდგეთ სრულნი და აღვსებულნი ყოვლითა ნებითა ღმრთისათა.

13. რამეთუ ვეწამები მას, ვითარმედ აქუს შური დიდი თქუენთჳს და ლავდიკელთა მათთჳს და იერაპოლელთა.

14. გიკითხავს თქუენ ლუკა, მკურნალი საყუარელი, და დიმას.

15. კითხუა არქუთ ლავდიკელთა მათ ძმათა, და ნუმფას, და სახლად-სახლად სახლისა მათისა კრებულთა.

16. და რაჟამს აღმოიკითხოთ თქუენ წიგნი ესე, ეგრეთ ჰყავთ, რათა ლავდიკელთაცა ეკკლესიასა აღმოიკითხოს; და ლავდიკიაჲთ, კუალად, რათა თქუენვე აღმოიკითხოთ.

17. და არქუთ არქიპოსს: ეკრძალე მსახურებასა მას, რომელი მიიღე უფლისა მიერ, რათა იგი აღასრულო.

18. კითხუა ჴელითა ჩემითა, პავლესითა. მოიჴსენენით კრულებანი ჩემნი. მადლი თქუენ თანა. ამინ.

# პირველი თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა.

## თავი 1.

1. პავლე და სილოვანე და ტიმოთე ეკკლესიასა თესალონიკელთასა ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა იესო ქრისტესა: მადლი თქუენდა და მშჳდობა ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უფლისა იესო ქრისტესა.

2. ვჰმადლობ ღმერთსა მარადის თქუენ ყოველთა თჳს, ჴსენებასა თქუენსა ვჰყოფთ ლოცუათა შინა ჩუენთა.

3. მოუკლებელად მოვიჴსენებთ თქუენთა მათ საქმეთა სარწმუნოებისათა და შრომასა სიყუარულისასა და მოთმინებასა მას სასოებისასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა წინაშე ღმრთისა და მამისა ჩუენისა.

4. უწყოდეთ, ძმანო საყუარელნო ღმრთისანო, რჩეულება ეგე თქუენი;

5. რამეთუ სახარება ესე ჩუენი არა იყო თქუენდა მიმართ სიტყჳთ ხოლო, არამედ ძალითაცა, და სულითა წმიდითა, და გულსავსებითა მრავლითა, ვითარცა იგი იცით, რაბამ ვიქმენით ჩუენ თქუენდა მიმართ თქუენთჳსვე.

6. და თქუენ მობაძავ ჩუენდა იქმენით და უფლისა, და შეიწყნარეთ სიტყუა იგი ჭირსა შინა მრავალსა სიხარულითა სულისა წმიდისათა;

7. ვიდრელა იქმენითცა თქუენ სახე ყოველთა მათ მორწმუნეთა, რომელნი არიან მაკედონიასა შინა და აქაიას.

8. რამეთუ თქუენ მიერ განეფინა სიტყუა იგი უფლისა არა ხოლო მაკედონიას შინა და აქაიას, არამედ ყოველთა ადგილთა სარწმუნოება თქუენი ღმრთისა მიმართ განჴდა; ვიდრემდის არღარა გვიხმს ჩუენ სიტყუად რაჲმე.

9. მაგათ თჳთ გითხრან ჩუენთჳს, ვითარი შესლვაჲ გუაქუნდა თქუენდა მიმართ, და ვითარ მოიქეცით კერპთაგან ღმრთისა მიმართ, მონებად ღმრთისა ცხოველისა და ჭეშმარიტისა.

10. და მოლოდებად ძისა მისისა ზეცით, რომელი იგი აღადგინა მკუდრეთით, იესო, მჴსნელი ჩუენი რისხჳსა მისგან მომავალისა.

## თავი 2.

1. რამეთუ თქუენ თჳთ უწყით, ძმანო, შემოსლვა იგი ჩუენნი თქუენდა მიმართ, რამეთუ არა ცუდად რა იყო;

2. არამედ წინასწარ ვივნეთ, და ვიგინენით, ვითარცა იგი უწყით, ფილიპპეს შინა, განვეცხადენით ღმრთისა ჩუენისა მიერ სიტყუად თქუენდა მიმართ სახარებასა მას ღმრთისასა მრავლითა ღვაწლითა,

3. რამეთუ ნუგეშინის-ცემაჲ ესე ჩუენი არა საცთურისაგან, არცა არა წმიდებისა, არცა ზაკვითა.

4. არამედ ვითარცა იგი გამოცდილ-ვართ ღმრთისა მიერ, რწმუნებად ჩუენდა სახარება იგი, ეგრეთცა ვიტყჳთ, არა, ვითარცა კაცთა სათნო-ვეყოფვით, არამედ ღმერთსა, რომელი იგი არს გამომცდელი გულთა ჩუენთა.

5. რამეთუ არცა სადა სიტყჳთა ლიქნისათა ვიყუენით, ვითარცა იგი თქუენ უწყით, არცა მიზეზითა ანგარებისათა; ღმერთი მოწამე არს!

6. არცა ვეძიებთ კაცთაგან დიდებასა, არცა თქუენგან და არცა სხუათაგან; და ესეღა კელ-გუეწიფების, და თუმცა რაჲმე გიმძიმეთ, ვითარცა ქრისტეს მოციქულთა;

7. არამედ ვიქმნენით ჩუენ მშჳდ და მყუდრო თქუენ შორის, ვითარცა მზრდელი რა ჰფუფუნებნ თჳსთა შჳლთა.

8. ეგრეთ მოსურნე ვიყუენით თქუენდა, და ჯერ-გჳჩნდა მიცემად თქუენდა არა ხოლო სახარება იგი ღმრთისა, არამედ თჳსთაცა სულთა, რამეთუ საყუარელ ჩუენდა იქმნენით.

9. მოიჴსენენით ძმანო, შრომანი ჩუენნი და რუდუნებანი: რამეთუ ღამე და დღე ვიქმოდით, რათა არავის დაუმძიმოთ თქუენგანსა, და ესრეთ ვქადაგეთ თქუენდა მიმართ სახარებაჲ იგი ღმრთისა.

10. თქუენ მოწამე ხართ და ღმერთი, ვითარ იგი ღირსად და მართლად და უბიწოდ თქუენ მორწმუნეთა მიმართ ვიყუენით;

11. ვითარცა ეგე იცით, ვითარ კაცად-კაცადსა თქუენსა, ვითარცა მამა თჳსსა შჳლსა, ეგრეთ გლოცევდით თქუენ,

12. და ნუგეშინის-გცემდით და გიწამებდით, რათა ჰსჳდოდეთ თქუენ ღირსად ღმრთისა, რომელმან იგი გიჩინნა თქუენ თჳსსა მას სასუფეველსა და დიდებასა.

13. ამისთჳს ჩუენცა ვჰმადლობთ ღმერთსა მოუკლებელად, რამეთუ, მიიღეთ თქუენ სიტყუაჲ იგი სმენისა ღმრთისა ჩუენ მიერ, და შეიწყუნარეთ არა თუ სიტყუა კაცთა, არამედ ვითარცა არს ჭეშმარიტად სიტყუა ღმრთისა, რომელიცა იგი შეწევნასა აჩუენებს თქუენ შორის მორწმუნეთა მაგათ.

14. რამეთუ თქუენ, მობაძავ-იქმნენით, ძმანო, ეკლესიათა მათ ღმრთისათა, რომელნი არიან ჰურიასტანს, ქრისტე იესოს მიერ, რამეთუ ეგრეთვე გევნო თქუენ-

ცა თჳსთაგან ტომთა, ვითარცა
იგი მათ ჰურიათაგან,
15. რომელთა იგი უფალი
მოჰკლეს იესო, და თჳსნი წინასწარ-
მეტყუჱლნი, და ჩუჱნ გამოგუდევნ-
ნეს, და ღმერთსა არა სათნო-ეყუ-
ნეს, და ყოველთა კაცთა წინა-
აღმდგომ არიან;
16. და ჩუჱნ მაბრკოლებენ
წარმართთა მიმართ სიტყუად, რა-
თა ჰსცხოვნდენ, რათა აღესრულ-
ნენ ცოდუანი მათნი მარადის; რა-
მეთუ მოიწია მათ ზედა რისხუა
სრულიად.
17. ხოლო ჩუჱნ, ძმანო,
ობოლდათუ ვიქმნენით თქუჱნგან
წუთ ერთ-ჟამ პირითა, და არა
გულითა, უმეტესად ვისწრაფეთ
პირისა თქუჱნისა ხილვად მრავ-
ლითა წადიერებითა.
18. ვინაცა ვინებეთ მისლვა
თქუჱნდა, მე პავლე, ერთ-გზის
და ორ-გზის; დამაბრკოლნა ჩუჱნ
სატანა.
19. რამეთუ რაჲმე არს სასო-
ება ჩუჱნი, ანუ სიხარული, ანუ
გჳრგჳნი სიქადულისა? ანუ არა
თქუჱნა წინაშე უფლისა იესო
ქრისტესა მისსა მას მოსლვასა?
20. რამეთუ თქუჱნ ხართ დი-
დებანი ჩუჱნნი და სიხარულნი.

## თ ა ვ ი 3.

1. ვინაჲცა, ვერღარა დავჰს-
თმეთ, ჯერ ვიჩინეთ ათინას ში-
ნა დაშთომაჲ მარტოთა,
2. და მივავლინეთ ტიმოთე,
ძმაჲ ჩუჱნი და მსახური ღმრთი-
სა, და თანა შემწე ჩუჱნი სახარე-
ბასა მას ქრისტესსა, რათა დაგა-
მტკიცნეს თქუჱნ და ნუგეშინის-
გცეს თქუჱნ სარწმუნოებისა მა-
გის თქუჱნისათჳს.
3. რათა არას იურვოდეთ ჭირ-
თა ამათ შინა: რამეთუ თქუჱნ
თჳთ უწყით, ვითარმედ ვჰსდგათ-
ვე ამისთჳს,
4. და ვიდრე იგი თქუჱნ თა-
ნა ვიყუჱნით, წინასწარ გითხ-
რობდით თქუჱნ, ვითარმედ ჭირ-
თა შესლუად ვართ, ვითარცა ესე
იქმნაცა, და იხილეთ.
5. ამისთჳს მეცა, ვერღარა
დავჰსთმე და მივავლინე ტიმოთე,
რათა ვჰსცნა თქუჱნი ეგე სარწ-
მუნოებაჲ, ნუ უკუჱ განგცადნა
თქუჱნ განმცდელმან მან, და ცუ-
დად იყოს შრომა იგი ჩუჱნი.
6. ხოლო აწღა მოვიდა ტი-
მოთე თქუჱნით, და მახარა ჩუჱნ
სარწმუნოებაჲ და სიყუარული
თქუჱნი, და რამეთუ გაქუს ჴსე-
ნებაჲ ჩუჱნი კეთილი მარადის და
გსურის ხილუად ჩუჱნდა, ვითარ-
ცა ესე ჩუჱნ თქუჱნდა:
1. ამისთჳს ნუგეშინის-ცემ-
ულ-ვიქმნენით ძმანო, თქუჱნ
ზედა ყოველთა მათგან ურვათა და
ჭირთა ჩუჱნთა, თქუჱნითა მა-
გით სარწმუნოებითა;
8. რამეთუ აწ ვჰსცხონდით,
უკეთუ თქუჱნ მტკიცედ ჰსდგეთ
უფლისა მიერ.
9. რამეთუ რომელსამე მადლო-
ბასა შემძლებელ-ვართ მიცემად
ღმრთისა თქუჱნთჳს, ყოვლისა
მისთჳს სიხარულისა, რომლითა

გვიხარის თქუენთჳს წინაშე ღმრთისა ჩუენისა,

10. ღამე და დღე უფროს და უმეტეს ვევედრებით ხილუად პირისა თქუენისა, და განმტკიცებად დაკლებული იგი სარწმუნოებისა თქუენისა.

11. ხოლო თავადმან ღმერთმან და მამამან ჩუენმან და უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან წარჰმართენ გზაჲ ჩუენი თქუენდა მიმართ.

12. ხოლო თქუენ უფალმან გარდაგრიენ და გარდაგმატენ სიყუარულითა ურთიერთარს და ყოველთა მიმართ, ვითარცა ესე ჩუენ თქუენდა მიმართ.

13. განმტკიცებად გულთა თქუენთა სიწმიდით და უბიწოდ წინაშე ღმრთისა და მამისა ჩუენისა, მოსლუასა მას უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა ყოველთა თანა წმიდათა მისთა. ამინ.

## თ ა ვ ი 4.

1. ამიერითგან, ძმანო ჩემნო, გივითხვევთ და გლოცავთ უფლისა მიერ იესო ქრისტესა, რათა, ვითარცა იგი ისწავეთ ჩუენგან, ვითარ ჯერ-არს თქუენდა სლუაჲ და სათნო ყოფაჲ ღმრთისა, ეგრეცა ჰსჳდოდეთ, რათა უფროს ჰმატებდეთ:

2. რამეთუ იცით, ვითარნი მცნებანი მიგცნენით თქუენ უფლისა მიერ იესო ქრისტესა.

3. რამეთუ ესე არს ნება ღმრთისა სიწმიდე ეგე თქუენი, განშორებად თქუენდა სიძვისაგან;

4. ცნობად კაცად-კაცადისა თქუენისა თავისა თჳსისა ჭურჭელი მოგებად სიწმიდით და პატივით.

5. ნუ ვნებითა გულის-თქმისათა, ვითარცა იგი წარმართნი, რომელთა არა იციან ღმერთი;

6. არა გარდასლუად და მოანგარებად საქმესა ძმისა თჳსისასა: რამეთუ შურის-მეძიებელ-არს ღმერთი ამათ ყოველთათჳს, ვითარცა იგი წინასწარ გარქუ თქუენ და გიწამებდით.

7. რამეთუ არა გვიჩინა ჩუენ ღმერთმან არა-წმიდებად, არამედ სიწმიდედ.

8. აწ უკუე, რომელმან შეურაცხ-ჰყოს არა კაცსა შეურაცხ-ჰყოფს, არამედ ღმერთსა, რომელმანცა მოგვცა სული წმიდა მისი ჩუენ ზედა.

9. ხოლო ძმათ მოყუარებისათჳს არა გვიკმს მიწერად თქუენდა; რამეთუ თქუენ თჳთ ღმრთივ-სწავლულნი ხართ სიყუარულისათჳს ურთიერთარს;

10. და რამეთუ ჰყოფთცა მას ყოველთა მიმართ ძმათა, რომელნი არიან ყოველსა მაკედონიასა. ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, გარდამატებად უფროჲსღა, და პატივის-ცემისა მოყუარე იყუენით და მყუდრო,

11. და იქმოდეთ თჳსსა და ჰშურებოდეთ კელითა თქუენითა, ვითარცა იგი გამცენით თქუენ;

12. რათა ჰსჳდოდეთ შუენიერად გარეშეთა მათ მიმართ, და ნურა რა ვის გიკმნ.

*

13. ხოლო არა გჳნებავს
უმეცრებაჲ თქჳჱნი, ძმანო, შე-
სჳჱნებულთა მათთჳს, რათა არა
ჰსწუხდეთ, ვითარცა იგი სხჳანი,
რომელთა არა აქჳს სასოება.
14. რამეთუ უკეთუ გჳრწამს,
ვითარმედ იესო მოკჳდა და აღჰსდ-
გა, ეგრეცა ღმერთმან შესჳჱნე-
ბულნი იგი იესოს მიერ მოი-
ყჳანნეს მისთანა.
15. ხოლო ამას გეტყჳთ თქჳჱნ
სიტყჳთა უფლისათა, ვითარმედ
ჩჳჱნ ცხოველნი ესე, რომელ
დაშთომილ-ვიყჳნეთ მოსლვასა მას
უფლისასა, ვერ მივეწიფნეთ შე-
სჳჱნებულთა მათ;
16. რამეთუ თავადი უფალი
ბრძანებითა და კმითა ანგელოსთ-
მთავრისათა და საყჳრითა ღმრთი-
სათა, გარდამოჴდეს ზეცით, და
მკჳდარნი იგი ქრისტეს-მიერნი
აღჰსდგენ პირველად:
17. მაშინღა ჩჳჱნ, ცხოველ-
ნი ესე, რომელნი დაშთომილ-
ვიყჳნეთ, მათ თანავე აღვიტაც-
ნეთ ღრუბლითა შემთხჳჱვად უფ-
ლისა ჰაერთა ზედა, და ესრეთ
მარადის უფლისა თანა ვიყოფო-
დეთ.
18. ამისთჳს ნუგეშინის-ჰსცემ-
დით ურთიერთარს სიტყჳათა
ამათ მიერ.

თ ა ვ ი 5.

1. ხოლო ჟამთა მათთჳს და
წელთა, ძმანო, არა გვიჴმს მიწე-
რად თქჳჱნდა:
2. რამეთუ თქჳჱნ თჳთ გა-
მოწჳლილვით იცით, რამეთუ
დღე იგი უფლისა, ვითარცა მპა-
რავი ღამისა ეგრეთ მოიწევის.
3. რამეთუ რაჟამს ჰსთქჳან:
მშჳდობა და კრძალულება; მაშინ
მეყჳსეულად მოიწიოს მათ ზედა
მომსრველი, ვითარცა სალმობა
შობადისა, და ვერ განერნენ..
4. ხოლო თქჳჱნ, ძმანო, არა
ხართ ბნელსა შინა, რათა დღე
იგი, ვითარცა მპარავი გეწიოს
თქჳჱნ.
5. რამეთუ თქჳჱნ ყოველნი
შჳლნი ნათლისანი ხართ და შჳლ-
ნი დღისანი; და არა ვართ ღამი-
სანი, არცა ბნელისანი.
6. აწ უკჳჱ ნუმცა გჳძინავს,
ვითარცა იგი სხჳათა, არამედ
მღვიძარე-ვიყჳნეთ და განვიფრთ-
ხოთ.
7. რამეთუ რომელთა იგი
ჰსძინავნ ღამე ჰსძინავნ, და რო-
მელნი იგი დაითრვნიან ღამე
დაითრვნიან.
8. ხოლო ჩჳჱნ, რამეთუ
დღისანი ვართ ნაშობნი, განვი-
ფრთხოთ, შევიმოსოთ ჯაჭჳ იგი
სარწმუნოებისა და სიყჳარულისა
და ჩაფხუტი იგი სასოებისა და
ცხოვრებისა.
9. რამეთუ არა შემქმნა ჩჳჱნ
ღმერთმან რისხჳსათჳს, არამედ
შესაწევნელად ცხოვრებისა უფლი-
სა ჩჳჱნისა მიერ იესო ქრის-
ტესა,
10. რომელი მოკჳდა ჩჳჱნ-
თჳს, რათა, გინათუ გვემინოს,
გინათუ გვეღვიძოს, ერთბამად
მისთანა ვჰსცხოვნდეთ..

11. ამისთჳს ნუგეშინის-ჰსცემდით ურთიერთარს, და აღაშენებდით ერთი-ერთსა, ვითარცა ეგე ჰყოფთცა.

12. ხოლო გლოცავ თქუენ, ძმანო, იცნითმცა მშრომელნი იგი თქუენ შორის, და წინამძღუარნი იგი თქუენნი უფლისა მიერ, და მასწავლელნი იგი თქუენნი,

13. და უმეტესად შეჰრაცხენით იგინი სიყუარულით უფროს საქმისათჳს მათისა; და მშჳდობასა ჰყოფდით მათ თანა.

14. გლოცავ თქუენ, ძმანო, ჰსწავლიდით უწესოთა მათ, ნუგეშინის-ჰსცემდით სულ-მოკლეთა, თავს-იდებდით უძლურთა მათ, სულ-გრძელ-იყუენით ყოველთა მიმართ.

15. ეკრძალენით, ნუ უკუე ბორიტისა წილ ბოროტი ვისმე მიაგოთ; არამედ მარადის კეთილსა შეუდეგით ურთიერთარს და ყოველთა მიმართ.

16. მარადის გიხაროდენ.

17. მოუკლებელად ილოცევდით.

18. ყოველსა შინა ჰმადლობდით: რამეთუ ესე არს ნება ღმრთისა ქრისტე იესოს მიერ თქუენდა მიმართ.

19. სულსა ნუ დაივიწყებთ.

20. წინასწარ-მეტყუელებათა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ.

21. ყოველივე გამოიცადეთ, და უკეთესი იგი შეიკრძალეთ.

22. ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა განეშორენით.

23. ხოლო თავადმან ღმერთმან მშჳდობისამან წმიდა-გყვენინ თქუენ ყოვლითა სრულებითა, და ყოვლითა სიცოცხლითა სული თქუენი სამშჳნველი და გუამი უბიწოდ მოსლვასა მას უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა დაჰმარხენინ.

24. სარწმუნო არს, რომელმან იგი გიჩინნა თქუენ, ვითარმედ და ჰყოსცა.

25. ძმანო! ილოცევდით ჩუენთჳსცა.

26. მოიკითხენით ძმანი ყოველნი ამბორის-ყოფითა წმიდითა.

27. გაფუცებ თქუენ უფალსა, წარუკითხეთ წიგნი ესე ყოველთა ძმათა წმიდათა.

28. მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი თქუენ თანა. ამინ.

# მეორე თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა.

თავი 1.

1. პავლე და სილოვანე და ტიმო-
თე ეკკლესიასა თესალონიკელთა-
სა ღმრთისა მიერ მამისა ჩუენი-
სა და უფლისა იესო ქრისტესა:
2. მადლი თქუენდა და მშჳდო-
ბა ღმრთისა მიერ მამისა ჩუენი-
სა და უფლისა იესო ქრისტესა.
3. მადლობა გჳღირს ღმრთი-
სა მარადის თქუენთჳს, ძმანო;
ვითარცა იგი ღირს-არს, რამეთუ
უმეტესად აღორძნდების სარწმუ-
ნოება ეგე თქუენი, და განმრავლდე-
ბის სიყუარული კაცად კაცადისა
თქუენისა ურთიერთარს;
4. ვიდრელა ჩუენ თჳთ თქუენ-
თჳს ვიქადეთ ეკკლესიათა შინა
ღმრთისათა, მოთმინებისა მის
თქუენისათჳს და სარწმუნოებისა,
ყოველთა მათ შინა დევნულებათა
თქუენთა და ჭირთა, რომელთა
თავს-იდებთ,
5. სახედ სიმართლისა, სა-
სჯელისა ღმრთისა, რათა ღირს
იქმნეთ თქუენ სასუფეველსა
ღმრთისასა, რომლისათჳსცა გევნე-
ბის.
6. უკეთუ სამართალ-არს
ღმრთისა მიერ მიგებად მაჭირ-
ვებელთა თქუენთა ჭირი.
7. და თქუენ, ჭირვეულთა,
ლხინი ჩუენ თანა, გამოჩინებასა
მას უფლისა ჩუენისა იესო
ქრისტესსა ზეცით, ანგელოსთა
თანა ძლიერებისა მისისათა,
8. ცეცხლითა ალისათა მიგე-
ბად შურის-გებისა, რომელთა იგი
არა იციან ღმერთი და, რომელნი
იგი არა დაემორჩილებიან სახა-
რებასა მას უფლისა ჩუენისა
იესო ქრისტესსა,
9. რომელთა იგი სასჯელი
მიეკადოს, მოსრველი საუკუნო,
პირისაგან უფლისა და დიდებისა-
გან ძლიერებისა მისისა,
10. რაჟამს მოვიდეს დიდე-
ბად შორის წმიდათა მისთა, და
საკჳრველებად ყოველთა შორის
მორწმუნეთა მისთა.
11. რამეთუ სარწმუნოება იქ-
მნა წამება ჩუენი თქუენდა მი-
მართ მას დღესა შინა,
12. რომლისა თჳს ვილოცავთ
მარადის თქუენთჳს, რათა ღირს
გუყვნეს თქუენ ღმერთმან ჩინები-
სა მის, და აღგავსნეს ყოვლითა

სათნოებითა სახიერებისათა და
საქმითა სარწმუნოებისათა და
ძალითა,

13. რათა იდიდოს სახელი
უფლისა ჩუენისა იესო ქრისტე-
სი თქუენ შორის, და თქუენ მის
მიერ მადლითა მით ღმრთისა
ჩუენისათა და უფლისა იესო
ქრისტესითა.

## თავი 2.

1. ხოლო გეტყჳ თქუენ, ძმა-
ნო, მოსლჳსა მისთჳს უფლისა
ჩუენისა იესო ქრისტესა და
ჩუენისა შეკრებისათჳს მისა მი-
მართ,

2. რათა არა ადრე აღიძრნეთ
თქუენ გონებითა არცა შეშფოთ-
ნეთ არცა სულითა, არცა სიტ-
ყჳთა, არცა წიგნითა, ვითარცა
ჩუენ მიერ, ვითარმცა მოწევნილ-
იყოს დღე იგი უფლისა.

3. ნუმცა ვინ გაცთუნებს
თქუენ ნუ რომლითა სახითა:
რამეთუ, უკეთუ არა მოვიდეს
განდგომილებაჲ იგი პირველად, და
გამოჰსჩნდეს კაცი იგი უჰსჯუ-
ლოებისა, შჳლი იგი წარსაწყმე-
დელისა,

4. მკდომი იგი და განლაღე-
ბული ყოველთა ზედა, რომელნი
სახელ-დებულ-არიან ღმრთად,
გინა სამსახურებელად, ვითარმედ
დაცაჰსჯდეს იგი ტაძარსა მას
ღმრთისასა და გამოაჩინებდეს
თავსა თჳსსა, ვითარცა ღმერთი.

5. არა გახსოვსა, რამეთუ,
ვიდრე იგიღა ვიყავ თქუენ თანა,
ამასვე გეტყოდი თქუენ?

6. და აწ, რომელი იგი და
გისწავიეს, იცით, გამოჩინებადი
იგი თჳსსა მას ჟამსა.

7. რამეთუ საიდუმლო იგი
აწვე იქმნების უჰსჯულოებისა,
გარნა ხოლო, რომელსა ესე უპყ-
რიეს აწ, ვიდრემდე შორის გან-
ვიდეს.

8. და მაშინ გამოჰსჩნდეს
უჰსჯულო იგი, რომელი იგი
უფალმან აღჰხოცოს სულითა პი-
რისა მისისათა, და განაქარვოს
იგი გამოჩინებითა მით მოსლჳსა
მისისათა,

9. რომლისა იგი მოსლვა არს
შეწევნითა ეშმაკისათა, ყოვლითა-
ვე ძალითა და ნიშებითა და სასწა-
ულებითა ტყუილისათა,

10. და ყოვლითავე საცთუ-
რითა სიცრუისათა წარწყმედულ-
თა მათ შორის; რამეთუ, ვინათ-
გან სიყუარული იგი ჭეშმარიტე-
ბისა არა შეიწყნარეს, რათამცა
ჰსცხოვნდეს იგინი.

11. ამისთჳს მოუვლინოს მათ
ღმერთმან შემწე საცთურებისა,
რათა ჰრწმენეს მათ ტყუილისა,

12. რათა ისაჯნენ ყოველნი,
რომელთა არა ჰრწმენა ჭეშმარი-
ტებისა მის, არამედ სათნო ეყუ-
ნეს სიცრუესა შინა.

13. ხოლო ჩუენ თანა გჳაძს
მადლობაჲ ღმრთისა მარადის
თქუენთჳს, ძმანო საყუარელნო,
უფლისა მიერ, რამეთუ გამო-
გირჩინა თქუენ ღმერთმან პირ-
ველად ნაყოფად ცხოვრებისად,
განწმედითა სულისათა და სარწმუ-
ნოებითა ჭეშმარიტებისათა,

14. რომელსაცა გიჩინნა თქუენ სახარებისა მიერ ჩუენისა, შესაწევნელად დიდებისა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა.

15. ამიერითგან, ძმანო, მტკიცედ ჰსდეგით და შეიკრძალეთ მოძღურებაჲ ესე, რომელიცა გისწავიეს გინა სიტყჳთა, გინა წიგნითა ჩუენითა.

16. ხოლო თავადმან უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან და ღმერთმან და მამამან ჩუენმან, რომელმან შემიყუარნა ჩუენ და მოგუცა ნუგეშინის-ცემაჲ საუკუნო და სასოება კეთილი მადლითა მით.

17. ნუგეშინის-ეცინ გულთა თქუენთა, და განგამტკიცენინ თქუენ ყოვლითა სიტყჳთა და საქმითა კეთილითა.

თ ა ვ ი 3.

1. ამიერითგან, ძმანო, ილოცევდით ჩუენთჳს, რათა სიტყუა ღმრთისა ჰრბიოდეს და იდიდებოდეს, ვითარცა იგი თქუენდა მიმართ;

2. და რათა განვერნეთ უწესოთა და უკეთურთა კაცთაგან; რამეთუ არა ყოველთა არს სარწმუნოებაჲ.

3. ხოლო სარწმუნო არს უფალი, რომელმან მტკიცე-გყუნეს თქუენ და დაგიცუნეს ბოროტისაგან.

4. ხოლო ვესავთ უფალსა თქუენთჳს, რამეთუ რომელსა ესე გამცნებთ თქუენ და ჰყოფთცა და ჰყოთცა.

5. ხოლო უფალმან წარუმართენ გულთა თქუენთა სიყუარულსა ღმრთისასა და მოთმინებასა ქრისტესსა.

6. გამცნებთ თქუენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, განშორებად თქუენდა ყოვლისავე მისგან ძმისა, რომელი უწესოდ ვიდოდეს, და არა მოძღურებისა მისებრ, რომელი ისწავა ჩუენგან.

7. რამეთუ თქუენ უწყით, ვითარ იგი ღირსბაძვად ჩუენდა, რამეთუ არარაჲ უჯერო ვჰყავთ თქუენ შორის,

8. და არცაღა ცუდად პური ვისგანმე ვჰსჭამეთ, არამედ შრომითა და რუდუნებითა ღამე და დღე ვიქმოდით, რათა არავის თქუენგანსა დაუმძიმოთ;

9. არათუ, რამეთუ არა გუაქუს ხელმწიფებაჲ, არამედ, რათა თავნი თჳსნი სახედ მიგცნეთ თქუენ, რათა მბაძვიდეთ ჩუენ.

10. და რამეთუ რაჟამს იგი ვიყავ თქუენ თანა, ამასვე გამცნებდი თქუენ, ვითარმედ უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჰსჭამნ.

11. რამეთუ მესმის ვიეთთჳსმე, რომელნი იქცევიან თქუენ შორის უწესოდ, არა რას იქმენ, არამედ მიმოიწულილვენ ესე-ვითართა უკუე მათ.

12. ვამცნებთ და ვლოცავთ უფლისა ჩუენისა მიერ იესო ქრისტესა, რათა მყუდროებით ჰშურებოდენ, და თჳსსა პურსა ჰსჭამდენ.

13. ხოლო თქჳენ, ძმანო, ნუ გეწყინების კეთილის-ყოფად.

14. და უკეთუ ვინმე არა ერჩის სიტყჳსა ჩჳენსა წიგნითა ამით, იგი შეისწავეთ, და ნუ თანა-აღერევით მას, რათა შეიკდიმოს.

15. და ნუ, ვითარცა მტერსა შეჰრაცხთ მას, არამედ ასწავებდით, ვითარცა ძმასა.

16. ხოლო თავადმან ღმერთმან მშჳდობისამან მოგეცინ თქჳენ მშჳდობაჲ მარადის ყოვლითავე სახითა. უფალი თქჳენ ყოველთა თანა.

17. კითხჳა ჩემითა ჴელითა პავლესითა, რომელ-არს სასწაული ყოველსა წიგნსა; ესრეთ მივჰსწერე:

18. მადლი უფლისა ჩჳენისა იესო ქრისტესი თქჳენ ყოველთა თანა. ამინ.

# პავლე მოციქულისა პირველი წიგნი ტიმო-
თეს მიმართ.

თავი 1.

1. პავლე, მოციქული იესო
ქრისტესი, ბრძანებითა ღმრთისა
მაცხოვრისა ჩუჱნისა და უფლისა
იესო ქრისტეს, სასოებისა ჩუჱ-
ნისათა,
2. ტიმოთეს, ერთგულსა შჳლ-
სა სარწმუნოებითა: მადლი, წყა-
ლობა და მშჳდობაჲ ღმრთისა მი-
ერ მამისა ჩუჱნისა და ქრისტე
იესოს მიერ, უფლისა ჩუჱნისა.
3. ვითარცა იგი გლოცევდ
შენ დადგრომად ეფესოს შინა,
მირავიდოდი მაკედონიად, რათა
ამცნო ვიეთმე, რათა არა სხუასა
რასმე ჰმოძღურებდენ,
4. არცა ერჩდენ ზღაპართა და
ტომის-რაცხუათა დაუსრულებელ-
თა, რომელთა იგი ძიება შეამთ-
ხჳვიან უფროს, ვიდრე მოღუაწე-
ბა ღმრთისა, რომელ-არს სარწ-
მუნოება.
5. ხოლო დასასრული მცნე-
ბისა არს სიყუარული გულისაგან
წმიდისა, და გონებისა კეთილისა,
და სარწმუნოებისა შეუორგულებე-
ლისა;
6. რომელსა იგი ვინმე ვერ
მიემთხჳვნეს და გარდაიქცეს ამაო-
სა სიტყუად.
7. უნდა მათ, რათამცა იყუნეს
ჰსჯულის-მოძღუარ და არა იცო-
დეს, არცა რასა იგი იტყჳან, არ-
ცა ვიეთთათჳს დაამტკიცებენ.
8. ხოლო ესე უწყით, ვითარ-
მედ კეთილ არს ჰსჯული, უკეთუ
ვინმე წესიერად იპყრას იგი.
9. უწყი ესე, რამეთუ მართალ-
სა ჰსჯულ არა-უძს, არამედ უს-
ჯულოთა და ურჩთა და უმსახურე-
ბელთა და ცოდჳლთა, უღირსთა
და ბილწთა, მამის-მაგინებელთა და
დედის-მაგინებელთა, კაცის-მკლ-
ველთა,
10. მეძავთა, მამათ-მავალთა,
ავაზაკთა, შემასმენელთა, მტყუარ-
თა, ცრუ-ფიცთა და სხუა, რომე-
ლიცა რაჲმე ჭეშმარიტისა მოძ-
ღურებასა უკდების,
11. სახარებისა მისებრ დი-
დებისა ნეტარისა ღმრთისა, რო-
მელი მერწმუნა მე.
12. და მადლიერ-ვარ მისსა,
რომელმან იგი განმაძლიერა მე,
ქრისტე იესოს, უფლისა ჩუჱნისა,
რამეთუ სარწმუნოდ შემრაცხა მე
და დამადგინა მე მსახურებასა ამას,

13. რომელი პირველად ვიყავ მგმობარ და მდევნელ და მაგინებელ, არამედ შევიწყალე, რამეთუ უმეცრებით ვიყავ, ურწმუნოებასა შინა;

14. ხოლო უფროს გარდაემატა მადლი იგი უფლისა ჩუჱნისა სარწმუნოებითურთ და სიყუარულით ქრისტე იესოს მიერ.

15. სარწმუნო არს სიტყუა და ყოვლისა შეწყნარებისა ღირს, რამეთუ ქრისტე იესო მოვიდა სოფლად ცოდვილთათჳს ცხოვრებად, რომელთა პირველი მე ვარ.

16. არამედ ამისთჳს შევიწყალე, რათა ჩემდა მომართ აჩუჱნოს პირველად იესო ქრისტემან ყოველი სულ-გრძელებაჲ მისი, სახედ მერმეთა მათ მორწმუნეთა მისა მიმართ ცხოვრებად საუკუნოდ.

17. ხოლო მეუფესა მას საუკუნეთასა უხრწნელსა, უხილავსა, მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა პატივი და დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

18. ამას მცნებასა შეგვედრებ შენ, შჳლო ტიმოთე, მჰსგავსად მიძღუანებულთა მათ შენდა წინასწარ-მეტყუჱლებათა, რათა ჰსაგრობდე მას შინა, კეთილსა მას საგრობასა,

19. და გაქუნდეს სარწმუნოება და კეთილი გონებაჲ, რომელი იგი ვიეთმე განიშორეს და სარწმუნოებისაგან განჰსცჳვეს.

20. რომელ-არიან ჰჳმენოს და ალექსანდროს. რომელნი იგი მივჰსცენ ეშმაკსა, რათა განისწავლნენ არა გმობად.

თავი 2.

1. ვლოცავ უკუჱ ყოვლისა წინა, რათა ჰყოფდე ვედრებასა, ლოცუასა, თხოვასა და მადლობასა ყოველთა კაცთათჳს.

2. მეფეთათჳს, და ყოველთა მთავართა, რათა მშჳდობით და მყუდროებით ვჰსცხონდებოდეთ ყოვლითა ღმრთის-მსახურებითა და სიწმიდითა:

3. რამეთუ ესე არს კეთილი და სათნო წინაშე მაცხოვრისა ჩუჱნისა ღმრთისა,

4. რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვა.

5. რამეთუ ერთ-არს ღმერთი და ერთ-არს შუა-მდგომელი ღმრთისა და კაცთა, კაცი იესო ქრისტე,

6. რომელმან მისცა თავი თჳსი სახსრად ყოველთა; საწამებელად ჟამთა თჳსთა,

7. რომლისათჳს დადგინებულ-ვარ მე ქადაგად და მოციქულად, ჭეშმარიტსა ვიტყჳ ქრისტეს მიერ, და არა ვჰსტყუი მოძღუარი წარმართთა სარწმუნოებითა და ჭეშმარიტებითა.

8. მნებავს უკუჱ, ლოცუაჲ მამათა ყოველსა ადგილსა, აღპყრობად წმიდად ჴელთა თჳნიერ რისხჳსა და გულის ზრახჳსა;

9. ეგრეთვე დედათა, წესიერებისა სამკაულითა, მორცხუჱდ და ღირსებით, შემკობად თავთა თჳსთა არა განთხზვითა, ანუ ოქროჲთა, ანუ მარგარიტითა, ანუ სამოსლითა დიდ-ფასისათა,

10. არამედ რომელი იგი ჰშჳჱნის დედათა, რომელთა აღუთქჳას ღმრთის მსახურებაჲ საქმეთა მიერ კეთილთა.

11. დედაკაცი მდუმრიად ისწავებდინ, ყოვლითა დამორჩილებითა;

12. მოძღჳრებად დედათა არა უბრძანებ, არცა მთავრობად ქმრისა, არამედ რათა იყოს იგი მყუდროებით.

13. რამეთუ ადამ პირველად დაიბადა, და მერმე ევა.

14. და ადამ არა ჰსცთა; ხოლო დედა-კაცი იგი ჰსცთა, და ჰსჯულსა გარდაჰკდა,

15. არამედ ჰსცხოვნდების შჳლთ-სხმისაგან, უკეთუ ეგნენ სარწმუნოებით და სიყჳარულით, და სიწმიდით ღირსებასა ზედა.

## თ ა ვ ი 3.

1. სარწმუნო არს სიტყჳაჲ: უკეთუ ვისმე ეპისკოპოსობის უნდეს, კეთილისა საქმესა გული ეტყჳს.

2. ჯერ-არს ეპისკოპოსისა, რათა უბრალო იყოს, ერთის-ცოლის-ქმარ, ფრთხილ, წმიდა, შემკულ, სტუმართ-მოყჳარე, სწავლულ.

3. არა მეღჳნე, არა ანგარ, არა საძაგელის-შემძინელ, არამედ მყუდრო, ულალველ, ვეცხლის უყჳარულ,

4. თჳსისა სახლისა კეთილად განმგებელ, შჳლნიმცა უსხენ დამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა;

5. ხოლო უკეთუ ვინმე თჳსისა სახლისა განგება არა იცის, ვითარმე ეკკლესიათა ღმრთისათა მოღჳაწება აგოს?

6. ნუ ახალ-ნერგ, რათა არა განლაღნეს და სასჯელსა შევარდეს ეშმაკისასა.

7. არამედ ჯერ-არს მისსა, რათა წამებაცა კეთილი აქჳნდეს გარეშეთაგან, რათა არა ყჳჱდრებასა შევარდეს და საფრხესა ეშმაკისასა.

8. დიაკონნი ეგრეთვე წმიდა, ნუ ორის-მეტყჳჱლ, ნუ ღჳნოსა ფრიადსა მორჩილ, ნუ საძაგელის შემძინელ,

9. აქჳსმცა საიდუმლო იგი სარწმუნოებისა წმიდითა გონებითა.

10. და ესენი გამოდაიცადნენ პირველად; და მაშინღა დიაკონებდედ, უბრალომცა არიან.

11. ცოლნი მათნი ეგრეთვე ღირსმცა არნ, ნუ მასმენელ, ფრთხილ, მორწმუნე ყოველსა შინა.

12. დიაკონნიმცა არნ ერთისა ცოლის-ქმარ, შჳლთა კეთილად ზედა-მდგომელ და თჳსისა სახლისა.

13. რამეთუ რომელნი კეთილად დიაკონობდენ პატივი თავთა თჳსთა კეთილი მოუგონ და მრავალი განცხადებულება სარწმუნოებითა ქრისტე იესოსითა.

14. ამას მივჰსწერ შენდა და ვესავ ადრე მოსლჳასა ჩემსა,

15. ხოლო უკეთუ ვჰყოვნო, რათა უწყოდე, ვითარ იგი ჯერ-

არს სახლსა შინა ღმრთისასა
სლვაჲ, რომელ-არს ეკკლესია
ღმრთისა ცხოველისა, სჳჱტი და
სიმტკიცე ჭეშმარიტებისა.
16. და აღსარულებად, დიდ-
არს ღმრთის მსახურებისა იგი
საიდუმლო: ღმერთი გამოჰსჩნდა
კორცითა და განმართლდა სული-
თა, ეჩჳჱნა ანგელოსთა, იქადაგა
წარმართთა შორის, ჰრწმენა სო-
ფელსა და ამაღლდა დიდებით.

თავი 4.

1. ხოლო სული წმიდა ცხა-
დად იტყჳს, რამეთუ უკანასკნელ-
თა ჟამთა განვინმე ჰსდგენ სარ-
წმუნოებისაგან და ერჩდენ იგინი
სულთა მათ მაცთურთა და მოძ-
ღჳრებასა ეშმაკთასა.
2. ორგულებითა და სიტყჳთა
ტყუილისათა, შემწჳარნი თჳსი-
თა გონებითა,
3. აყენებდენ ქორწილსა და
განაშორებდენ საჭმელთა, რომელ-
ნი ღმერთმან დაჰბადნა, მისაღებე-
ლად მადლობით მორწმუნეთათჳს
და რომელთა იციან ჭეშმარიტე-
ბით.
4. ყოველი დაბადებული ღმრთი-
სა კეთილ-არს, და არა რაჲ არს
განსაგდებელ, მადლობით მიღე-
ბული;
5. რამეთუ განწმიდნების სი-
ტყჳთა ღმრთისათა და ლოცჳთა.
6. ამას ასწავებდ ძმათა, და იყო
კეთილად მსახურ ქრისტე იესოს-
სა, და იზრდებოდე სიტყჳთა სარ-
წმუნოებისათა და კეთილითა მოძ-
ღჳრებითა, რომელსაცა შეუდეგ.
7. ხოლო შეგინებულთა მათ
და დედა-ბერებრთა ზღაპართაგან
იჯმენ; ხოლო იწჳართე თავი
შენი ღმრთის-მსახურებასა.
8. რამეთუ კორციელი წჳრთი-
ლება წუთ-ერთ-ჟამ სარგებელ-
არს; ხოლო ღმრთის-მსახურება
ყოვლითავე სარგებელ-არს, რამე-
თუ აღთქმა აქჳს ცხოვრებისა
აწინდელისა და მერმისა.
9. სარწმუნო არს სიტყჳა და
ყოვლისა შეწყნარებისა ღირს.
10. რამეთუ ამისთჳს ვჰშჳრე-
ბით, და ვიყჳჱდრებით, რამეთუ
ვესავთ ღმერთსა ცხოველსა, რო-
მელ-არს მაცხოვარი ყოველთა
კაცთა, უფროჲსღა მორწმუნეთა.
11. ამცნებდ ამას და ასწავებდ.
12. ნუმცა ვინ სიჭაბუკესა
შენსა შეურაცხ-ჰყოფნ; არამედ
სახე-ექმნენ მორწმუნეთა მათ, სი-
ტყჳთა, სლჳთა, სიყჳარულითა,
სულითა, სარწმუნოებითა, სიწმი-
დითა.
13. ვიდრემდე მოვიდე, ეკრ-
ძალე საკითხავსა, ნუგეშინის-ცე-
მასა, მოძღჳრებასა.
14. ნუ უდებ-ჰყოფ, რომელი
ეგე არს შენთანა მადლი, რომე-
ლი მოგეცა შენ წინასწარ-მეტყჳჱ-
ლებითა დასხმითა კელთა ხუცო-
ბისათა.
15. ამას იწჳრთიდ და ამას
შინა იყავ, რათა წარმატებულება
ეგე შენი ცხად იყოს ყოველსა
შინა,
16. ეკრძალე თავსა შენსა და
მოძღჳრებითა მით; დაადგერ მათ
ზედა: რამეთუ, ამას რა ჰყოფდე,

თავიცა შენი აცხოვნო და მორჩილნიცა შენნი.

თ ა ვ ი 5.

1. მოხუცებულსა ნუ ჰრისხავ, არამედ ჰლოცევდ, ვითარცა მამასა; ჭაბუკთა, ვითარცა ძმათა;
2. მოხუცებულთა დედათა, ვითარცა დედათა; ჭაბუკთა, ვითარცა დათა, ყოვლითა სიწმიდითა.
3. ქურივთა პატივ-ეც, ჭეშმარიტად ქურივთა.
4. უკეთუ ვისმე ქურივსა შჳლ, გინა შჳლის-შჳლ-ესხნენ; ისწავებდ პირველად თჳსსა სახლსა ღმრთის-მსახურებასა, და პატივს-ჰსცემდე მამა-დედათა; რამეთუ ესე არს კეთილ და სათნო წინაშე ღმრთისა.
5. ხოლო ჭეშმარიტი ქურივი და მარტო-ქმნული ესავს უფალსა, და დადგრომილ-არს ვედრებასა და ლოცუასა ღამე და დღე;
6. ხოლო რომელი იგი იშუჱბდეს ცოცხლივ მკუდარ არს.
7. და ამას ამცნებდ, რათა უბრალო იყუნენ.
8. ხოლო უკეთუ ვინმე თჳსთა, და უფროჲსღა სახლეულთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოება უარ-უყოფიეს, და არს იგი ურწმუნოსა უძჳრეს.
9. ქურივადმცა შერაცხილ-არს ნუ უნაკლულესი სამეოცისა წლისა, რომელი ყოფილ-არს ერთისა ქმრისა ცოლ,
10. და საქმეთა შინა კეთილთა წამებულ, უკეთუ შჳლნი განჰზარდნა, უკეთუ სტუმარნი ისტუმრნა, უკეთუ წმიდათა ფერჴნი დაჰბანნა, უკეთუ ჭირვეულთა შეეწია, უკეთუ ყოველსა საქმესა კეთილსა შეუდგა.
11. ხოლო ქურივთა ჭაბუკთა განეშორე; რამეთუ, რაჟამს დაიმღერნიან ქრისტესნი იგი, ქორწინების უნებნ.
12. აქუს მათ სასჯელი; რამეთუ პირველი იგი სარწმუნოება შეურაცხ-ჰყუჱს.
13. და ამას თანა უქმობასა ასწავებენ და მიმოსლუასა სახლითი სახლად, არა ხოლო უქმობასა, არამედ სიჩქურესა და გამოწულილვასა, და იტყჳედ უჯეროსა.
14. მნებავს უკუჱ, ჭაბუკთა ქორწინებაჲ, შჳლთ სხმაჲ, სახლისა პყრობაჲ, და არცა ერთისა მიზეზისა ცემად მკდომისა ადგილად გინებისა.
15. რამეთუ აწვე ვინმე გარდაიქცეს შედგომად ეშმაკისა.
16. უკეთუ ვინმე მორწმუნე, ესვას ქურივთა, იგი კმა ეყავნ მათ, და ნუ დაუმძიმებდ იგი ეკლესიასა, რათა სხუათა ქურივთა კმა-ეყოს.
17. რომელნი კეთილად ჰსმდომიან ხუცესნი ორის ნაწილის პატივისა ღირს-იყვნედ, უფროს ხოლო, რომელნი ჰშურებოდენ სიტყჳთა და მოძღურებითა.
18. რამეთუ იტყჳს წიგნი: კაცსა მეკალოესა არა დაუკრა პირი; და, ღირს-არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა.

19. ხუცისათჳს შესმენასა ნუ
თავს-იდებ, გარნა ორითა და სა-
მითა მოწამითა.
20. და რომელნი იგი ჰსცო-
დჳდენ წინაშე ყოველთასა ამხილე,
რათა სხუათა მათ ეშინოდეს.
21. ვჰსწამებ წინაშე ღმრთისა
და უფლისა იესო ქრისტესსა და
რჩეულთა ანგელოსთასა, რათა ესე
დაიმარხო თჳნიერ ორგულებისა,
ნურა რას ჰყოფ თუალღებით.
22. ჴელთა ადრე ნუ ვის და-
ასხამ, ნურცა ეზიარები სხჳსა
ცოდუათა. თავი შენი წმიდად დაი-
მარხე.
23. ნუ წყალსა ხოლო ჰსუამ,
არამედ ღჳნოჲცა მცირედ იხმიე,
სტომაქისათჳს და ზედას-ზედა
უძლურებისა შენისათჳს.
24. რომელთამე კაცთა ცო-
დუანი წინასწარ ცხად-არიან, და
წინა-უძღჳან სასჯელად, ხოლო
რომელთამე უკანა შეუდგიან.
25. ეგრეთვე საქმენი კეთილ-
ნი წინასწარ ცხად-არიან; და სხუებრ
თუ ვისმე აქუნდეს, დაფარვად
ვერ ჴელეწიფების.

## თავი 6.

1. რავდენნი იგი არიან უღელ-
სა ქუეშე მონებისასა, თჳსნი იგი
უფალნი ყოვლისავე პატივისა
ღირსად შეჰრაცხნედ, რათა არა
სახელი ღმრთისა და მოძღურება
ესე იგმოს.
2. რომელთა მორწმუნენი
ესხნენ უფალნი, ნუ შეურაცხ-ჰყო-
ფედ, რამეთუ ძმანი არიან; არა-
მედ უფროსად ჰმონებდ, რამეთუ
მორწმუნენი არიან და საყუარელ-
ნი, და ქუელის საქმისა შემწენი.
ამას ასწავებდ და ნუგეშინის-ჰს-
ცემდ.
3. უკეთუ ვინმე სხუასა ჰმოძ-
ღურებდეს, და არა მოვიდეს სი-
ცოცხლისა ამათ მოძღურებათა
უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს-
თა და ღმრთის-მსახურებისა ამის
მოძღურებასა ზედა; განლაღე-
ბულ არს, არა რაჲ იცის,
4. არამედ სნეულ-არს მიებისა-
თჳს და სიტყუათა ლალვისათა,
რომლისაგან იქმნებიან შურნი,
ჴდომანი, გმობანი, იჭუნი ბორო-
ტნი,
5. გულის-წყრომანი განხრწ-
ნილთა კაცთა გონება, და ნაკლუ-
ლევანთა ჭეშმარიტებისაგან, რო-
მელნი ჰგონებენ, ვითარმედ სარე-
წავ არს ღმრთის-მსახურებაჲ.
განეშორე ესე ვითართა მათგან.
6. ხოლო ნამდჳლვე არს სარე-
წავ დიდ, ღმრთის მსახურება
უნაკლულოებით.
7. არა რაჲ შემოვიღეთ სოფ-
ლად; ჰსჩანს, რამეთუ არცა განღე-
ბად რას ჴელგუეწიფების.
8. ხოლო მაქუნდეს თუ
საზრდელ და საფარველ ჴორცთა
ამათ, კმა-ვიყოფოდეთ ჩუენ.
9. ხოლო რომელთა ჰნებავს

სიმდიდრე შეჰსცჳვიან განსაცდელ-
სა, და საფრხესა და გულის-თქმათა
მრავალთა უცნაურთა და მავნებელ-
თა, რომელთა დაანთქნიან კაცნი
მოსასრველად და წარსაწყმედელად.
10. რამეთუ ძირი არს ყოველ-
თა ბოროტთა ვეცხლის მოყუარე-
ბა, რომლისა იგი ვიეთმე გული
უთქმიდა და შეჰსცთეს სარწმუნოე-
ბისაგან, და თავნი თჳსნი შეჰსთ-
ხინეს სალმობათა მრავალთა.
11. ხოლო შენ, ჵი კაცო
ღმრთისაო, ამას ევლტოდე;
12. შეუდეგ სიმართლესა,
ღმრთის-მსახურებასა, სარწმუნოე-
ბასა, სიყუარულსა, მოთმინებასა,
სიმშჳდესა.
13. მოიღუაწე ღუაწლი იგი
კეთილი სარწმუნოებისა, შეიტკბე
საუკუნო იგი ცხოვრებაჲ, რომელ-
საცა იჩინე, და აღიარე კეთილი
იგი აღსარებაჲ წინაშე მრავალთა
მოწამეთა.
14. გამცნებ შენ წინაშე ღმრთი-
სა, რომელმან ცხოველ-ჰყუნის
ყოველნი, და ქრისტე იესოსა,
რომელმან იგი ჰსწამა პონტოელი-
სა პილატეს ზე კეთილი იგი
აღსარებაჲ,
15. დამარხუად შენდა მცნება
იგი უბიწოდ და უბრალოდ, ვიდ-
რე გამოჩინებადმდე უფლისა ჩუჱ-
ნისა იესო ქრისტესა,
16. რომელი იგი ჟამთა თჳს-
თა აჩუჱნოს ნეტარმან მან და
მხოლომან ძლიერმან მეუფემან
მეუფეთამან და უფალმან უფლებათა-
მან,
17. რომელსა, მხოლოსა, აქუს
უკუდავება და ნათელსა მყოფ-არს
მიუწდომელსა, რომელი არა ვინ
იხილა კაცთაგანმან, არცა ხილუად
კელეწიფების. რომლისა არს პატი-
ვი და ძალი საუკუნო! ამინ.
18. მდიდართა მათ ამას
სოფელსა ამცენ, რათა არა მაღლო-
ოდენ, არცა ესვიდენ სიმდიდრე-
სა მას უჩინოსა, არამედ ღმერთ-
სა ცხოველსა, რომელმან მომცის
ჩუჱნ ყოველივე მდიდრად საშუჱ-
ბელად;
19. კეთილისა საქმედ, განმ-
დიდრებად საქმეთა შინა კეთილ-
თა, უხუად მიმცემელ იყუჱნედ,
ეზიარებოდედ და იუნჯებდინ,
20. თავისა მათისა საფუძველ-
სა, კეთილსა მერმისა მისთჳს
ჟამისა, რათა შეეკრძალნენ საუ-
კუნესა მას ცხოვრებასა.
21. ჵი ტიმოთე! ვედრი იგი
დაიმარხე, და განეშორე ბილწთა
მათგან ცუდთა კმათა და სიტყჳს-
გებათა მათგან ტყუილით სახე-
ლის მეცნიერებისათა,
22. რომელსა იგი ვიეთნიმე
აღუთქმიდეს და სარწმუნოებისა-
გან ცუდნი განვარდეს. მადლი
შენ თანა. ამინ.

# მეორე ტიმოთეს მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა.

## თ ა ვ ი 1.

1. პავლე, მოციქული ქრისტე
იესოსი ნებითა ღმრთისათა, აღთ-
ქმისა მისებრ ცხოვრებისა ქრის-
ტე იესოს მიერ,
2. ტიმოთეს, საყუარელსა შჳლ-
სა მადლი, წყალობა, მშჳდობა
ღმრთისა მიერ მამისა და ქრისტე
იესოს, უფლისა ჩუენისა.
3. ვჰმადლობ ღმერთსა, რო-
მელსა ვჰმსახურებ დასაბამითგან
წმიდითა გონებითა, ვითარ იგი
მოუკლებელად მაქუს შენთჳს კსე-
ნებაჲ ლოცუათა შინა ჩემთა ღამე
და დღე,
4. და მსურის ხილუაჲ შენი,
მომეკსენებიან ცრემლნი ეგე შენ-
ნი, რათა სიხარულით აღვივსო;
5. მოვიკსენებ, რომელი ეგე
არს შენთანა შეუორგულებელი
სარწმუნოება, რომელმან დაიმკჳდ-
რა პირველად დედის-დედისა შენი-
სა ლოიდას თანა და დედისა შენი-
სა ევნიკის თანა; და მრწამს, რამე-
თუ შენთანაცა.
6. რომლისათჳს მოგასხსენებ
შენ განცხოველებად მსურვალედ
მადლსა მას ღმრთისასა, რომელ-
არს შენ თანა დასხმითა კელთა
ჩემთათა.
7. რამეთუ არა მომცა ჩუენ
ღმერთმან სული მოშიშებისა,
არამედ ძლიერებისა და სიყუა-
რულისა და სიწმიდისა.
8. ნუ უკუე გრცხუენინ წამე-
ბა იგი უფლისა ჩუენისა, ნუმ-
ცა მე, კრული ესე მისი; არამედ
თანა იჭირვოდე სახარებასა მას
მალითა ღმრთისათა,
9. რომელმან იგი მიკსნნა
ჩუენ, და მიჩინნა ჩუენ ჩინებითა
მით წმიდითა, არა საქმეთა ჩუენთა-
თჳს, არამედ თჳსითა ნებითა და
მადლითა, რომელი მომცა ჩუენ
ქრისტე იესოს მიერ უპირატეს
ჟამთა მათ საუკუნეთა,
10. რომელი გამოჰსცხადნა
აწ გამოჩინებითა მით მაცხოვრი-
სა ჩუენისა იესო ქრისტესითა,
რომელმან იგი განაქარვა სიკუდი-
ლი, და განანათლა ცხოვრებაჲ და
უხრწნელებაჲ სახარებითა მით,
11. რომლისათჳს დადგინე-
ბულ-ვარ მე ქადაგად და მოციქუ-
ლად და მოძღურად წარმართთა.
12. რომლისათჳსცა ესე მევნე-
ბის; არამედ არა მრცხუენის.

რამეთუ ვიცი, რომელი იგი მრწმე-
ნა, და მრწამს, რამეთუ ძალ-უძს
ვედრებისა მის ჩემისა დამარხუად
მერმესა მას დღესა.
13. სახედ გაქუნდინ ცოცხლე-
ბისა სიტყუა იგი, რომელი გეს-
მა ჩემგან, სარწმუნოებითა და
სიყუარულითა ქრისტე იესოსითა.
14. კეთილი იგი ვედრი დაი-
მარხე სულითა წმიდითა, რომელ-
მან დაიმკჳდრა ჩუენთანა.
15. უწყი ესე, რამეთუ
დამიტევეს მე ყოველთა, რომელ-
ნი არიან ასიას შინა; რომელ
არიან ფიგელოს და ერმოგენი.
16. მიეცინ უფალმან წყალო-
ბა ონისიფორეს სახლსა, რამე-
თუ მრავალ-გზის მე განმისუენა,
და ჯაჭჳ ესე ჩემი არა სირცხჳლ-
უჩნდა,
17. არამედ მოვიდა ჰრომედ
და მოსწრაფედ მეძიებდა მე, და
მპოვა.
18. მოეცინ მას უფალმან
პოვნად წყალობა უფლისა მიერ
მას დღესა შინა; და რავდენი იგი
ეფესოს შინა მმსახურა, უმჯობეს
შენ უწყი.

## თავი 2.

1. ხოლო შენ შჳლო ჩემო,
განძლიერდი, მადლითა იესო ქრი-
სტესითა.
2. და რა იგი გესმა ჩემგან,
მრავლითა მოწამებითა, ესე შეჰ-
ვედრე მორწმუნეთა კაცთა, რომელ-
ნი შემძლებელ-იყუნენ სხუათა-
ცა სწავლად.
3. შენ უკუე ძჳრი დაითმინე,
ვითარცა კეთილმან მოღუაწემან
ქრისტე იესოსმან.
4. არა ვინ მოღუაწე შეეყოფ-
ვის სოფლისა საქმეთა, რათა
ერისთავსა მას სათნო ეყოს.
5. და უკეთუ ვინმე იღუწიდეს-
ცა, არა გჳრგჳნოსან იქმნების,
არა თუ ჰსჯულიერად იღუაწოს.
6. მშრომელისა მის ქუეყანის
მოქმედისა ჯერ-არს პირველად
ნაყოფისა გამოღება,
7. ჰსცნობდ, რომელსა ესე
გეტყჳ. რამეთუ მოგცეს შენ
უფალმან გულის-ჴმის-ყოფაჲ
ყოველსა შინა.
8. მოიჴსენე იესო ქრისტე,
აღდგომილი მკუდრეთით, ნათე-
სავისაგან დავითისა, მჰსგავსად
სახარებისა მის ჩუენისა,
9. რომელსა შინა მჭირსა ვიხი-
ლავ. ვიდრე კრულებადმდე, ვითარ-
ცა მჭირის მოქმედი; არამედ სიტ-
ყუა იგი ღმრთისა არა შეკრულ
არს.
10. ამისთჳს ყოველსა დავით-
მენ რჩეულთა მათთჳს, რათა მათ-
ცა ცხოვრებაჲ ჰპოვონ ქრისტე
იესოს მიერ დიდებასა თანა საუ-
კუნესა.
11. სარწმუნო არს სიტყუა:
რამეთუ უკეთუ ქრისტეს თანა
მოვჰსწყდეთ, მის თანაცა ვჰსცხოვნ-
დეთ.
12. უკეთუ დავითმინოთ,
მისთანა ვჰსუფევდეთ; უკეთუ უარ-
ვჰყოთ, მანცა უარ-მეუნეს ჩუენ.
13. უკეთუ არა გურწმენეს,

იგი სარწმუნოდ ჰგიეს; უარ-ყოფად თავისა თჳსისა ვერ მალ-უძს.

14. ამას მოახსენედ წინაშე ღმრთისა და უწამებდ, ნუ სიტყჳთა ლალვისათა, არად სახმარად განსადრეკელად მსმენელთა მათ.

15. ისწრაფე თავისა შენისა რჩეულად წარდგინებად წინაშე ღმრთისა, მუშაკად ურცხჳნელად, წარმართებად სიტყჳსა მას ჭეშმარიტებისასა.

16. ხოლო ბილწთა მათ და ცუდთა ჴმათა განეშორე; რამეთუ უმეტეს წარემატნიან უჰსჯულოებითა,

17. და სიტყჳამან მათმან, ვითარცა სრსჳლმან, სამოვარი ჰპოვოს. რომელ არიან ჳმენოს და ფილიტოს,

18. რომელნი იგი ჭეშმარიტებასა განუდგეს, იტყჳან, ვითარმედ აღდგომა აწვე იყო, და გარდააქცევენ რომელთამე სარწმუნოებასა.

19. ხოლო მტკიცე იგი საფუძველი ღმრთისა ჰგიეს, და აქჳს ბეჭედი ესე: იცნის უფალმან, რომელნი იგი არიან მისნი; და განეშორენ სიცრუისაგან ყოველი, რომელი სახელ-ჰსდებდეს სახელსა უფლისასა.

20. სახლსა შინა დიდსა არა არს ჭურჭელი ოქროჲსა ხოლო და ვეცხლისა, არამედ ძელისაცა და კეცისაცა; რომელიმე პატივოსნად, და რომელიმე უპატივოდ.

21. უკეთუ ვინმე განიწმიდოს თავი თჳსი ამათგან, იყოს იგი ჭურ პატივოსან, წმიდა და სახმარ უფლისა, ყოვლისავე თჳს საქმისა კეთილისა განმზადებულ.

22. ხოლო სიჭაბუკისა მათ გულის თქმათა ევლტოდე; შეუდეგ სიმართლესა, სარწმუნოებასა, სიყჳარულსა, მშჳდობასა, მათ თანა, რომელნი ჰხადიან უფალსა გულითა წმიდითა.

23. ხოლო სიცოფისათა მათ და უსწავლელთა ძიებათაგან იჯმენ, უწყი, რამეთუ ჰშჳნიან ლალვანი;

24. ხოლო მონისა უფლისა არა ჯერ არს ლალვა, არამედ რათა იყოს მყუდრო და სახიერ ყოველთა მიმართ, მასწავლელ, უმანკო,

25. მშჳდობით მასწავლელ წინა-აღმდგომთა მათ; მო-ხოლო-თუ ჰსცეს მათ უფალმან სინანული მეცნიერებად ჭეშმარიტებისა,

26. და განიფრთხონ საფრხისა მისგან ეშმაკისა, მონადირებულთა მათ მის მიერ ნებისაებრ მისისა.

## თავი 3.

1. ხოლო ესე უწყოდე, რამეთუ უკანასკნელთა დღეთა მოიწინენ ჟამნი ბოროტნი.

2. და იყჳნენ კაცნი თავის მოყჳარე, ვეცხლის მოყჳარე, ლაღ, თავ-მოთნე, ამპარტავან, მგმობარ, მამა-დედისა ურჩ.

3. უმადლო, უღირს, უყჳარულ, უწირავ, მასმენელ, უთმინო, დაუმჭირველ, უზავ. უმშჳდებელ, კეთილის მოძულე,

4. შინა-განმცემელ, წარმდებ,

აღზუავებულ, გულის-თქმის მო-
ყუარე, უფროს ვიდრე ღმრთის-
მოყუარე,
5. აქუნდეს ხატი ღმრთის-
მსახურებისა და ძალსა მისსა უარ-
ჰყოფდენ. და ამათგანცა განე-
შორე.
6. რამეთუ ამათგანნი არიან,
რომელნი შევლენან სახლებსა, და
გამოსტყუენვენ დედათა, შეკრე-
ბულთა ცოდჳთა, მოიზოვებენ გუ-
ლის-თქმათა თითო სახეთა,
7. ყოვლადვე ისწავებენ, და არა
სადა მეცნიერებასა ჭეშმარიტები-
სასა შემძლებელ არიან მოსლვად.
8. ვითარცა იგი იანე და იამ-
ბრე უკდებოდეს მოსეს, ეგრეთ-
ცა ესენი უკდებიან ჭეშმარიტე-
ბასა, კაცნი განხრწნილნი გონე-
ბითა, გამოუცდელნი სარწმუნოე-
ბითა.
9. გარნა არა წარემატნენ უფ-
როს; რამეთუ უგუნურება მათი
ცხად იყოს ყოველთა, ვითარცა
იგი მათი იყო.
10. ხოლო შემოდგომილ ხარ
ჩემსა მოძღურებასა, გულს-მოდ-
გინებასა სარწმუნოებასა, სულ-
გრძელებასა, სიყუარულსა, მოთმი-
ნებასა,
11. დევნულებათა, ვნებათა,
რავდენი შემემთხჳა მე ანტიო-
ქიას შინა, იკონიას, ლუსტრას;
რავდენი დევნანი დავითმინენ, და
ყოველთაგან მიჰსნა მე უფალმან.
12. და ყოველთავე, რომელთა
ჰნებავს ღმრთის-მსახურებით ცხო-
ვრებაჲ ქრისტე იესოს მიერ,
იდევნენ.
13. ხოლო უკეთურნი კაცნი
და გრძნეულნი წარემატებოდენ
უძჳრესისა მიმართ, აცთუნებდენ
და ჰსცთებოდენ.
14. ხოლო შენ დაადგერ მას
ზედა, რომელიცა გისწავიეს, და
გრწმენა, უწყი, ვისგან გისწა-
ვიეს.
15. და რამეთუ სიყრმითგან
საღმრთონი წიგნნი იცნი, რო-
მელნი შემძლებელ-არიან გან-
ბრძნობად შენდა ცხოვრებისათჳს
სარწმუნოებითა ქრისტე იესო-
სითა.
16. ყოველი წიგნი ღმრთივ-
სულიერი და სარგებელი სამოძ-
ღურებელად არს, და სამხილებე-
ლად, და განსამართლებელად, და
სასწავლელად სიმართლისა;
17. რათა სრულ-იყოს ღმრთი-
სა კაცი იგი, ყოვლისა მიმართ
საქმისა კეთილისა განმტკიცებულ.

თ ა ვ ი 4.

1. ვჰსწამებ მე წინაშე ღმრთი-
სა და უფლისა იესო ქრისტესა,
რომელმან განსაჯნეს ცხოველნი
და მკუდარნი გამოჩინებისაებრ მი-
სისა და სუფევისა მისისა:
2. ჰქადაგე სიტყუაჲ, ზედა-
ადეგ ჟამითი უჟამოდ, ამხილე,
შერისხენ და ნუგეშინის-ეც ყოვ-
ლითა სულ-გრძელებითა და მოძ-
ღურებითა.
3. რამეთუ იყოს ჟამი, ოდეს
სიცოცხლისა ამას მოძღურებასა
არა თავს იდებდენ, არამედ გულის-
თქმისა-ებრ თავისა თჳსისა შეი-

კრებდენ მოძღუართა, ქადილითა ყურთათა.

4. და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თჳსნი გარე-მიიქცინენ, და ზღაპრებსა მიექცნენ.

5. ხოლო შენ ფრთხილ-იყავ ყოველსა შინა, მჳრსა იხილევდ, საქმე ჰქმენ მახარებელისა, მსახურებაჲ შენი კეთილად აღასრულე.

6. რამეთუ მე აწ ესერა შევიწირვი, და ჟამი იგი მიქცევისა ჩემისა მოიწია.

7. ღუაწლი კეთილი მომიღუაწებიეს, სრბაჲ აღმისრულებიეს, სარწმუნოებაჲ დამიმარხავს.

8. ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა იგი გჳრგჳნი, რომელი მომცეს მე უფალმან, მას დღესა შინა, მართალმან მან მსაჯულმან; არა ხოლო თუ მე, არამედ ყოველთა რომელთა შეიყუარეს გამოჩინებაჲ მისი.

9. ისწრაფე მოსლვად ჩემდა ადრე, რამეთუ დიმა დამიტევა მე და შეიყუარა სოფელი ესე, და წარვიდა თესალონიკედ,

10. კრისტე გალატიად, ტიტე დალმატიად. ლუკა არს მარტო ჩემთანა.

11. მარკოს აღადგინე, და მოიყუანე შენ თანა; რამეთუ საკმარ არს იგი ჩემდა მსახურებასა.

12. ტჳქიკოსს წარვავლინე ეფესოდ.

13. ფელონი, რომელ დაუტევე ტროადას კარპოსს თანა, მორაჰხჳდოდე მოიღე, და წიგნებიცა და უფროჲსღა წიგნის-ტყავები.

14. ალექსანდრე მჭედელმან მრავალი ბოროტი შემაჩუჱნა მე. მიაგოს მას უფალმან საქმეთა მისთა ებრ!

15. რომელსა შენცა ეკრძალე; რამეთუ ფრიად წინააღუდგა იგი ჩუჱნთა სიტყუათა.

16. პირველსა მას სიტყჳს-გებასა ჩემსა არავინ თანა-დამიდგა მე; არამედ ყოველთა დამიტევეს მე. ნუ შეერაცხებინ მათ!

17. ხოლო უფალი თანა დამიდგა და განმაძლიერა მე, რათა ჩემ მიერ ქადაგებაჲ ესე აღასრულოს, და ესმეს ყოველთა წარმართთა; და განვერი პირისაგან ლომისა.

18. და მიჴსნა მე უფალმან ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა და მაცხოვნოს მე სასუფეველსა მისსა ზეცათასა. რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

19. კითხუაჲ არქუ პრისკილას და აკჳლას, და ონისიფორეს სახლსა.

20. ერასტოს დაჰსდგა კორინთეს შინა. ხოლო ტროფიმე დაუტევე მელიტონს შინა უძლური.

21. ისწრაფე ზამთრისა წინა მოსლვად. გიკითხვენ შენ ევბულოს, და პოდი, და ლინოს, და კლავდია, და ძმანი ყოველნი.

22. უფალი იესო ქრისტე სულისა შენისა თანა. მადლი თქუჱნ თანა. ამინ.

# პავლე მოციქულისა წიგნი ტიტეს მიმართ.

თავი 1.

1. პავლე, მონა ღმრთისა და მოციქული ქრისტე იესოსი, სარწმუნოებისა-ებრ რჩეულთა ღმრთისათა და მეცნიერებითა ჭეშმარიტებისათა, რომელ-არს ღმრთის მსახურებისა,

2. სასოებითა ცხოვრებისა საუკუნოსათა, რომელი იგი აღუთქუა უტყუელმან ღმერთმან უწინარეს ჟამთა საუკუნეთა,

3. ხოლო გამოაცხადა ჟამთა თჳსთა სიტყუაჲ იგი მისი ქადაგებითა, რომელი მარწმუნა მე ბრძანებითა ღმრთისა მაცხოვრისა ჩუენისათა,

4. ტიტეს, ერთგულსა შჳლსა ზოგადისა-ებრ სარწმუნოებისა: მადლი, წყალობა და მშჳდობა ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა იესო ქრისტეს მიერ, მაცხოვრისა ჩუენისა.

5. ამისთჳს დაგიტევე შენ კრიტს შინა, რათა ნაკლული იგი განაგო, და დაადგინნე ქალაქად ქალაქად ხუცესნი, ვითარცა იგი მე გიბრძანე შენ:

6. რომელი იყოს უბრალო, ერთის ცოლისა ქმარ, შჳლნიმცა უსხენ მორწმუნენი, ნუმცა შესმენილ-არიან ბილწებისა გინა ურჩებისა.

7. რამეთუ ჯერ-არს ეპისკოპოსისა უბიწო ყოფა, ვითარცა ღმრთისა მონისა, ნუ თავკედ, ნუ გულ-მწყრალ, ნუ მოღვინე, ნუ მოლალე, ნუ საძაგელის-შემძინელ,

8. არამედ სტუმრის-მოყუარე, კეთილის მოყუარე, წმიდა, მართალ, ღირს, მოთმინე, თავს-მდებელ, მჴსგავსად მოძღურებისა მის,

9. სარწმუნოებისა სიტყჳსა, რათა შემძლებელ-იყოს ნუგეშინის-ცემადცა მოძღურებასა მას შინა სიცოცხლისასა, და სიტყჳს მგებელთა მათ მამხილებელ.

10. რამეთუ არიან მრავალნი დაუმორჩილებელცა და ამაოჲსა მეტყუელ და გონება-მაცთურ, უფროს-ხოლო-და იგი წინა-დაცუეთილებისაგანნი.

11. რომელთა ჯერ-არს პირსა დაყოფა; რომელნი ყოველსა სახლებსა გარდააქცევენ, ასწავებენ, რომელი იგი არა ჯერ არს, საძაგელისა შემძინებისათჳს.

12. ჰსთქუა ვინმე მათგანმან თჳსმანვე მათმან წინასწარ-მეტყუელმან: კრიტელნი მარადის

მტყუარნი, მკეცნი ბოროტნი,
მუცელნი უქმნი.
13. წამება ესე არს ჭეშმარიტ.
ამისთჳს ამხილე მათ თვალ-
უხუ̂ავად, რათა ცოცხალ იყუ̂ნენ
სარწმუნოებითა,
14. და ნუ ერჩიედ ურიაებრ-
თა ზღაპართა და მცნებასა კაცთა-
სა, რომელნი გარემიქცეულ-იყუ̂-
ნენ ჭეშმარიტებისაგან.
15. რამეთუ ყოველივე წმიდა
არს წმიდათათჳს; ხოლო შეგინე-
ბულთათჳს და ურწმუნოთა არა
რაჲ არს წმიდა, არამედ შეგინე-
ბულ არს მათი გულიცა და გონე-
ბაცა.
16. ღმერთსა აღიარებენ, ვი-
თარმედ იციან; ხოლო საქმითა
უარ-ჰყოფენ, საძაგელნი არიან, და
ურჩნი, და ყოვლისა მიმართ საქმი-
სა კეთილისა გამოუცდელ.

თავი 2.

1. ხოლო შენ იტყოდე, რომე-
ლი ჰშუ̂ჱნის სიცოცხლისა მას
მოძღუ̂რებასა:
2. ხუცესნი ფრთხილ-იყუ̂ნედ,
ღირს, წმიდა, ცოცხალ სარწმუ-
ნოებითა, სიყუ̂არულითა, მოთმი-
ნებითა;
3. მოხუცებულნი დედანი ეგრეთ-
ვე დაწყნარებულებითა შუ̂ჱნიერ,
ნუ მასმენელ, ნუ ღჳნოსა ფრიად-
სა მორჩილ, კეთილის მოძღუ̂არ;
4. რათა განაბრძნობდენ ჭაბუკ-
თა მათ, ქმართ-მოყუ̂არე ყოფად,
შჳლთ-მოყუ̂არე,
5. წმიდა, უბიწო, სახლის-
მპყრობელ სახიერ, დამორჩილე-
ბულ თჳსთა ქმართა, რათა არა
სიტყუ̂ა ღმრთისა იგმობოდეს.
6. ჭაბუკთა მათ ეგრეთვე ჰლო-
ცევდ, რათა წმიდა იყუ̂ნენ.
7. ყოვლისავეთჳს თავსა შენსა
სახედ მიჰსცემდი კეთილთა საქმე-
თა მოძღუ̂რებასა მას შინა, უხ-
რწნელება, ღირსება, განურყუ̂ნე-
ლობა,
8. სიტყუ̂ა ცოცხალი, უგმობე-
ლი, რათა წინა-აღმდგომსა ჰრ-
ცხუ̂ჱნოდეს, და რათა არა აქუ̂ნ-
დეს ჩუ̂ჱნდა მომართ სიტყუ̂აჲ
ბოროტისა.
9. მონანი თჳსთა უფალთა
დაემორჩილნედ და ყოველსა შინა
სათნო იყუ̂ნედ, ნუ სიტყჳს-მგებელ.
10. ნუ მომხუ̂ჱჭელ, არამედ
ყოველსავე სარწმუნოებასა აჩუ̂ჱ-
ნებდ კეთილსა, რათა მოძღუ̂რებაჲ
იგი მაცხოვრისა ჩუ̂ჱნისა ღმრთი-
სა შეამკონ ყოვლითავე.
11. რამეთუ გამოჰსჩნდა მად-
ლი იგი ღმრთისა, მაცხოვრად
ყოველთა კაცთა,
12. სამოძღუ̂რებელად ჩუ̂ჱნდა,
რათა, უარ-ვჰყოთ უღმრთოებაჲ
და სოფლისა გულის-თქმაჲ, სი-
წმიდით და სიმართლით, და ღმრ-
თის მსახურებით ვჰსცხოვნდებო-
დეთ ამას სოფელსა,
13. და მოველოდეთ ნეტარსა
მას სასოებასა და გამოჩინებასა
დიდებისა დიდისა ღმრთისა და
მაცხოვრისა ჩუ̂ჱნისა იესო ქრის-
ტესსა,
14. რომელმან იგი მიჰსცა
თავი თჳსი ჩუ̂ჱნთჳს, რათა მიჳსნ-

ნეს ჩუენ ყოვლისაგან უსჯულოე-
ბისა, და განწმიდნეს თავისა
თჳსისა ერად მოგებულად, მობაძა-
ვად კეთილთა საქმეთა.

15. ამას ეტყოდე და ნუგეში-
ნის-ჰსცემდ, და ამხილებდ ყოვლი-
თა ბრძანებითა, ნუმცა ვინ შეუ-
რაცხ-გყოფს შენ.

## თ ა ვ ი 3.

1. მოასხსენებდ მათ მთავრობა-
თა და ჴელმწიფებათა დამორჩილე-
ბად და სარწმუნო-ყოფად, და რათა
ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილი-
სა განმზადებულ-იყუნენ,

2. ნუმცა ვის ჰგმობენ, ულალ-
ველ იყუნედ, საჴიერ, ყოველსა-
ვე აჩუენებდ სიმშჳდესა ყოველთა
მიმართ კაცთა.

3. რამეთუ ვიყუენით ოდესმე
ჩუენცა უცნობელ და ურჩ, შეცთო-
მილ და ვჰმონებდით გულის თქმა-
თა და გემოთა მრავალთა, უკე-
თურებასა და შურსა შინა ვიყუენ-
ნით, შემაწუხებელ და მოძულე
ურთიერთარს.

4. ხოლო რაჟამს სიტკბოებაჲ
და კაცთ-მოყუარებაჲ გამოჩნდა
მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისა,

5. არა საქმეთაგან სიმართლი-
სათა, რომელნი იგი ვჰქმნენით
ჩუენ, არამედ წყალობითა თჳსითა
მიკსნნა ჩუენ, ბანვითა მით მეო-
რედ შობისათა განახლებითა სუ-
ლისა წმიდისათა.

6. რომელი იგი მოჰფინა
ჩუენ ზედა მდიდრად იესო ქრის-
ტეს მიერ, მაცხოვრისა ჩუენისა.

7. რათა, განვჰმართლდეთ მად-
ლითა მით მისითა, და მკჳდრ ვი-
ქმნნეთ სასოებისა-ებრ ცხოვრე-
ბისა საუკუნოსა.

8. სარწმუნო არს სიტყუაჲ; და
მათ თჳსცა მნებავს, შენდა გან-
მტკიცებაჲ, რათა ჰზრუნვიდენ
კეთილთა საქმეთა ზედა დგომად
მორწმუნენი ღმრთისანი: რამეთუ
ესე არს კეთილ და სარგებელ კაცთა.

9. ხოლო სიცოფისათა მათ
მიებათა, და ტომის-რაცხთა, და
ჴდომათა, და ლალვათა ჰსჯულისა-
თა განეშორე; რამეთუ არიან ურ-
გებ და ამაო.

10. მწვალებელსა კაცსა, შემ-
დგომად ერთისა და ორისა სწავ-
ლისა, განეშორე.

11. უწყოდე, რამეთუ გარდა-
გულარძნილ-არს ეგე-ვითარი იგი,
და ჰსცოდავს და არს იგი თჳთ
დაჰსჯილ.

12. ოდეს მოვავლინო შენდა
არტემან ანუ ტჳქიკოს, ისწრაფე
მოსლვად ჩემდა ნიკოპოლის;
რამეთუ მუნ ვარჩიე დაზამთრებაჲ.

13. ზინან ჰსჯულის-მწერალი
და აპოლო ადრე წარმოგზავნენ,
და ნუმცა რა აკლს მათ.

14. ისწავებედ ჩუენნიცა იგი
კეთილისა საქმესა, წარდგინებად
საჭიროთა მათთჳს საკმართა, რა-
თა არა იყუნენ უნაყოფო.

15. გიკითხავს შენ ჩემთანანი
ყოველნი. კითხუა არქუ, რომელ-
ნი გჳყუარობენ ჩუენ სარწმუნო-
ებითა. მადლი თქუენ ყოველთა
თანა. ამინ.

# ფილიმონის მიმართ ეპისტოლე წმიდისა პავლე მოციქულისა.

## თავი 1.

1. პავლე, კრული ქრისტე იესოსი, და ტიმოთე ძმა, ფილიმონს საყუარელსა და თანა შემწესა ჩუენსა,

2. და აპფიას, დასა საყუარელსა, და არქიპოსს, თანა-მოსაგრესა ჩუენსა, და სახლისა შენისა კრებულთა:

3. მადლი თქუენდა და მშჳდობა ღმრთისა მიერ მამისა ჩუენნისა და უფლისა იესო ქრისტესა.

4. ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა, მარადის და ჴსენებასა შენსა ვჰყოფ ლოცვათა შინა ჩემთა.

5. მესმის შენი ეგე სიყუარული და სარწმუნოებაჲ, რომელი გაქუს უფლისა მიმართ იესო ქრისტესა და ყოველთა მიმართ წმიდათა,

6. რათა ზიარება ეგე სარწმუნოებისა შენისა შეწევნულ-იყოს მეცნიერებითა ყოვლისა კეთილისათა, რომელ-არს ჩუენ შორის ქრისტე იესოს მიმართ,

7. რამეთუ სიხარული დიდი მაქუს და ნუგეშინის-ცემა სიყუარულისა შენისათჳს; რამეთუ ნაწლევნი წმიდათანი განსუენებულ-არიან შენ მიერ, ძმაო.

8. ვინაცა, მრავალი კადნიერება მაქუს ქრისტეს მიერ ბრძანებად შენდა, ჯეროვანისა.

9. სიყუარულისათჳს უფროჲს-და გლოცავ, ესე-ვითარი ესე, ვითარცა პავლე მოხუცებული, ხოლო აწ კრულიცა ქრისტე იესოსი;

10. გლოცავ შენ შჳლისა ჩემისათჳს, რომელი ვჰშევ კრულებათა შინა ჩემთა ონისიმე,

11. რომელი იგი ოდესმე უკმარ შენდა, ხოლო აწ შენდა და ჩემდა საკმარ; რომელი იგი მივავლინე შენდა.

12. ხოლო შენ შეიწყნარე ესე, იგი არს ნაწლევი ჩემი.

13. რომლისა მეგულვებოდა დაყენებად ჩემთანა, რათა შენ წილ მსახურებდეს მე კრულებათა ამათ შინა სახარებისათა:

14. ხოლო თჳნიერ ცნობისა შენისა არა ვინებე ყოფად, რათა არა უნებლებით კეთილი იგი შენი იყოს, არამედ ნებსით.

15. ვინ უწყის, განვე-ამის-

თჳს-გეშორა ჟამ ერთ, რათა საუ-
კუნოდ მიიყუანო იგი,
16. არღა ვითარცა მონა, არა-
მედ უფროჲსღა მონისა, საყუა-
რელი ძმა, ვინათგან ჩემდა ეს-
რეთ, რავდენ უფროჲს შენდა,
ჴორციელადცა, და უფლისა მიერცა.
17. უკეთუ შეგირაცხიე მე
თანა ზიარად, შეიწყნარე ეგე,
ვითარცა მე.
18. ხოლო უკეთუ რაჲმე შეგ-
ცოდა, გინა თანა-ამს, იგი მე
შემირაცხე.
19. მე პავლე დავჰსწერე ჴე-
ლითა ჩემითა: მე გარდავიჴადო;
რათა არა გრქუა შენ, ვითარმედ
თავიცა შენი თანა-გაძს ჩემდა.
20. ჰე, ძმაო, მე მოგიპოვე
შენ უფლისა მიერ; განუსუჱნე
ნაწლევთა ჩემთა ქრისტეს მიერ.
21. სასოებითა მორჩილებისა
შენისათა, მივჰსწერე შენდა, უწყი,
რამეთუ უფროსცა რომლისათჳს
ესე გეტყჳ, ჰყო.
22. და მის თანა განმიმზადე
მე ვანიცა, რამეთუ ვესავ, ვითარ-
მედ ლოცვითა თქუჱნითა მიგე-
მადლო თქუჱნ.
23. გიკითხვენ შენ ეპაფრა,
ჩემთანა ტყუჱ ქრისტე იესოს
მიერ,
24. მარკოს, არისტარხოს, დი-
მა, ლუკა, თანა-შემწენი ჩემნი.
25. მადლი უფლისა ჩუჱნისა
იესო ქრისტესი სულისა თქუჱ-
ნისა თანა. ამინ.

# პავლე მოციქულისა წიგნი ებრაელთა მიმართ.

## თავი 1.

1. მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინასწარ-მეტყუელთა მიერ, ხოლო უკანასკნელთა ამათ დღეთა მეტყოდა ჩუენ ძისა მიერ თჳსისა,

2. რომელი იგი დაადგინა მკჳდრად ყოველთა, რომლისაგანცა შექმნა ღმერთმან საუკუნენი.

3. რომელი იგი არს ბრწყინვალება დიდებისა და ხატი არსებისა მისისა, უტჳრთავს ყოველნი სიტყჳთა მით ძლიერებისა მისისათა, თავისა მიერ თჳსისა განწმედა ცოდვათა ჩუენთა ჰყო, და დაჰჯდა იგი მარჯუენით საყდარსა დიდებისასა მაღალთა შინა,

4. ესოდენ უმჯობეს-იყო ანგელოსთა, რავდენცა უდიდებულესი მათსა დაიმკჳდრა სახელი.

5. რამეთუ ოდეს სადა ვის ჰრქუა ანგელოსთაგანსა: ძე ჩემი ხარ შენ, და მე დღეს მიშობიე შენ. და მერმე იტყჳს: მე ვიყო მისა მამა, და იგი იყოს ჩემდა ძე?

6. და ოდეს კუალად შემოჰყავს პირმშო იგი სოფლად, იტყჳს: და თაყუანის-ჰსცემდენ მას ყოველნი ანგელოსნი ღმრთისანი.

7. ხოლო ანგელოსთათჳს იტყჳს: რომელმან შექმნა ანგელოსნი მისნი სულად, და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა.

8. ხოლო მისათჳს იტყჳს; საყდარი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე; კუერთხი განგებისა და კუერთხი სუფევისა შენისა.

9. შეიყუარე სიმართლე, და მოიძულე უსჯულოებაჲ: ამისთჳს გცხო შენ, ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა უმეტეს მოყუასთა შენთა.

10. და კუალად: შენ დასაბამსა, უფალო, ქუეყანაჲ დააფუძნე, და ქმნულნი ჴელთა შენთანი ცანი არიან.

11. იგინი წარჰხდენ, ხოლო შენ ჰგო უკუნისამდე, და ყოველნი, ვითარცა სამოსელნი დაჰხმუელდენ.

12. და ვითარცა შესამოსელნი ჰსცვალნე იგინი, და იცვალნენ: ხოლო შენ თავადი იგივე ხარ, და წელიწადთა შენთა არა მოაკლდეს.

13. ოდეს სადა ვის ანგელოს-

თავგანსა ჰრქუა სადამე: დაჰსჯედ
მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის
დავჰსსნე მტერნი შენნი ქუეშე
ფერხთა შენთა?
14. ანუ არა ყოველნივე არი-
ანა მოხარკე სულებ მსახურად,
მოვლინებულ მათთჳს, რომელთა
იგი დამკჳდრებად არს ცხოვ-
რება?

თავი 2.

1. ამისთჳს ჯერ-არს უმეტე-
სად კრძალუა ჩუენი, რომელთა
ესე გუასმიეს, რათა არა მოუძლურ-
დეთ.
2. რამეთუ, უკეთუ რომელი
იგი ანგელოსთა მიერ ითქუა, სი-
ტყუა იქმნა მტკიცე, და ყოველ-
მან ჰსჯულისა გარდამავალმან და
ურჩმან მიიღოს სასჯელი კუალად-
გებისა:
3. ვითარმე ჩუენ განვერ-
ნეთ, უკეთუ ესოდენი ესე უდებ-
ჰყოთ ცხოვრებაჲ, რომელმან
იგი დასაბამი მიიღო სიტყუად
უფლისა მიერ, მსმენელთა მა-
თგან ჩუენდა მომართ დაამტკიცნა,
4. თანა-მოწამებითა ღმრთისა-
თა სასწაულებითა და ნიშებითა,
და ფერად-ფერადითა ძალითა, და
სულისა წმიდისა განყოფითა ნე-
ბისაებრ მისისა?
5. რამეთუ არა ანგელოსთა
დაამორჩილა ღმერთმან მერმე იგი
სოფელი, რომლისათჳს ესე ვი-
ტყჳ;
6. ხოლო უწამებიეს სადამე
ვისმე და იტყჳს: რაჲ არს კაცი,
რამეთუ მოიკსენე იგი? ანუ მე
კაცისა, რამეთუ მოჰხედენ მას?
7. დააკლე იგი მცირედ რამე
ანგელოსთა: დიდებითა და პატივი-
თა გჳრგჳნოსან-ჰყავ იგი, და დაად-
გინე იგი ზედა ქმნულსა კელთა
შენთასა;
8. ყოველივე დაამორჩილე ქუეშე
ფერკთა მისთა, რამეთუ დამორ-
ჩილებასა მას ყოვლისასა, არა რაჲ
დაუშთა მისა დაუმორჩილებელად.
ხოლო აწ არღარა ვჰხედავთ, ყოველ-
სავე დამორჩილებულად;
9. ხოლო მცირედ რამე ანგე-
ლოსთა დაკლებულად ვჰხედავთ,
იესოს ვნებითა მით სიკუდილისა-
თა და დიდებითა და პატივითა
გჳრგჳნოსანსა, რათა მადლითა
ღმრთისათა, ყოვლისავეთჳს იხი-
ლოს გემოჲ სიკუდილისა.
10. რამეთუ შეჰგვანდა მისა,
რომლისათჳს არს ყოველი, და
რომლისაგან არს ყოველი, რო-
მელმან მრავალნი შჳლნი დიდებად
მოიყუანნა, და წინა-მძღუარი იგი
ცხოვრებისა ჩუენისა, ვნებითა
სრულ ყოფად.
11. რამეთუ განმწმედელი იგი
და განწმედილი იგი, ერთისაგან
არიან ყოველნი; რომლისათჳსცა
არა ჰრცხუენის ძმად წოდებაჲ
მათი და იტყჳს:
12. მიუთხრა სახელი შენი
ძმათა ჩემთა და შორის კრებულსა
გიგალობდე შენ.
13. და მერმე იტყჳს: მე ვი-
ყო მოსავ მისა. და კუალად: აჰა
ესერა, მე და ყრმანი, რომელნი
მომცნა მე ღმერთმან.

14. რამეთუ ყრმათაცა ეზიარა კორცთა და სისხლთა, და თავადმან მჰსგავსად მოიღო მითვე, რათა სიკუდილითა მით განაქარვოს, რომელსა იგი კელმწიფებაჲ აქუნდა სიკუდილისა, ესე იგი არს, ეშმაკი,

15. და განათავისუფლნეს ესენი, რავდენნი შიშითა სიკუდილისათა, სამარადისოდ ცხოვრებად, თანა-მდებ-იყუნეს კირთებისა.

16. რამეთუ არა სადათ ანგელოსთათ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაამისა იწყო.

17. ამისთჳს ჯერ-იყო მისა ყოვლითავე ძმათა მჰსგავსებაჲ, რათა მოწყალე ქმნეს და სარწმუნო მღდელთ-მოძღუარ ღმრთისა მიმართ, რათა ულხინებდეს ცოდჳლთა ერისათა.

18. რამეთუ რომლითა იგი ივნო თავადმან და გამოიცადა; ძალ-უძს, რომელნი იგი განიცდებოდენ მათდაცა შეწევნად.

## თავი 3.

1. ვინაჲცა, ძმანო წმიდანო, ჩინებისა მის ზეცათასა ზიარნო, განიცადეთ მოციქული იგი და მღდელთ-მთავარი აღსარებისა ჩუენისა, იესო ქრისტე,

2. რომელი სარწმუნო არს შემოქმედისა თჳსისა, ვითარცა იგი მოსეცა ყოველსა მას სახლსა მისსა.

3. რამეთუ უმრავლესსა დიდებასა ესე ღირს-იყო უფროჲს მოსესა, ვითარცა იგი უფროს პატივი აქუნ სახლისა მის მაშენებელსა მას მისსა.

4. რამეთუ ყოველი სახლი აღიშენის ვისგანმე; ხოლო რომელმან ყოველივე აღაშენა ღმერთი არს.

5. და მოსეცა სარწმუნო იყო ყოველსავე სახლსა მისსა, ვითარცა მსახური მოწამედ თქმულთა მათ:

6. ხოლო ქრისტე, ვითარცა ძე, სახლსა ზედა მისსა. რომლისა სახლ ვართ ჩუენ, უკეთუ კადნიერება იგი და სიქადული სასოებისა მის, ვიდრე აღსასრულადმდე მტკიცედ შევიკრძალოთ.

7. ამისთჳს, ვითარცა იტყჳს სული წმიდა, დღეს, თუ კმისა მისისა ისმინოთ,

8. ნუ განიფიცხებთ გულთა თქუენთა, ვითარცა იგი განმწარებასა მას, დღისა მისებრ გამოცდისა უდაბნოსა ზედა,

9. სადა იგი განმცადეს მე მამათა თქუენთა, გამომცადეს მე, და იხილეს საქმენი ჩემნი ორმეოც-წელ.

10. ამისთჳს მოვიწყინე ნათესავი იგი და ვჰსთქუ: მარადის ჰსცთებიან იგინი გულითა მათითა და მათ არა იცნნეს გზანი ჩემნი.

11. ვითარცა ვჰფუცე რისხჳთა ჩემითა, ვერ შევიდენ იგინი განსასუენებელსა ჩემსა.

12. ეკრძალენით, ძმანო, ნუ უკუე სადამე იყოს ვისმე თქუენგანსა თანა გული უკეთუ-

რი ურწმუნოებისა, განდგომად ღმრთისაგან ცხოველისა.

13. არამედ ნუგეშინის-ჰსცემდით თავთა თჳსთა დღითი დღედ, ვიდრე ესე დღესდა ჰრქჳან: რათა არა განვინმე-ჰფიცხნეს თქუენგანი, საცთურითა მით ცოდჳსათა.

14. რამეთუ თანა-ზიარ ქრისტესა ვიქმნენით, უკეთუ დასაბამი იგი ძლიერებისა აღსასრულადმდე მტკიცედ შევიკრძალოთ.

15. რაჟამს იტყოდეს: დღეს, თუ ჴმისა მისისა ისმინოთ, ნუ განიფიცხებთ გულთა თქუენთა, ვითარცა იგი განმწარებასა მას.

16. რამეთუ ესმა ვიეთმე და განამწარეს; არამედ არა ყოველთა, რომელნი გამოვიდეს ეგჳპტით მოსეს მიერ.

17. ხოლო ვიეთი მოიწყინა ორმეოც-წელ? ანუ არა, რომელთა, იგი შეჰსცოდესა, რომელთა იგი ძუალები დაჰსცჳა უდაბნოსა ზედა? ანუ ვიეთ ეფუცა არა შესლუად განსასუენებელსა მისსა, არამედ ურჩთა მათ?

18. და ვჰხედავთ, რამეთუ ვერ შეუძლეს შესლუად ურწმუნოებითა.

## თავი 4.

1. გუეშინოდენ უკუე, ნუსადა დატევებასა მას აღთქმისასა შესლუად განსასუენებელსა მისსა, ჰგონებდეს ვინმე თქუენგანი დაკლებულად თავსა თჳსსა.

2. და რამეთუ ვართ ჩუენ სარებულ, ვითარცა იგინი: არამედ არა რაჲ არგო მათ სიტყუამან მან სმენისამან, ვინათგან არა თანა შეეზავა სარწმუნოება იგი მსმენელთა მათ.

3. ხოლო ჩუენ შევიდეთ განსასუენებელსა მორწმუნენი ესე, ვითარცა იგი ჰსთქუა; ვითარცა ვჰფუცე რისხჳთა ჩემითა, ვერ შევიდენ იგინი განსასუენებელსა ჩემსა: და დაღათუ საქმენი იგი დასაბამითგან სოფლისათ ქმნულ იყუნეს.

4. რამეთუ უთქუამს სადამე მეშჳდისა მისთჳს ესრეთ: და განისუენა ღმერთმან დღესა მას მეშჳდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა.

5. და ამისა შემდგომად კუალად იტყჳს: ვერ შევიდეს იგინი განსასუენებელსა ჩემსა.

6. ვინაჲთგან უკუე და ვიეთმე აკლებს შესლუად მას შინა; და რომელნი იგი წინასწარ ხარებულ-იქმნეს, ვერ შევიდეს ურწმუნოებითა:

7. კუალად რასმე განაჩინებს დღესა დავითის მიერ და იტყჳს: შემდგომად ესოდენისა ჟამისა, ვითარცა იგი თქმულ არს: დღეს, თუ ჴმისა მისისა ისმინოთ, ნუ განიფიცხებთ გულთა თქუენთა.

8. რამეთუ უკეთუმცა ისოს, ძესა ნავესსა განესუენა მათდა; არამცა სხჳსა დღისათჳს ამისსა შემდგომად იტყოდა.

9. და სამე აკლდების შაბათობა იგი ერსა ღმრთისასა.

10. რამეთუ რომელი იგი შევიდა განსასუენებელსა მისსა,

მანცა განისუჱნა საქმეთაგან მის-
თა, ვითარცა იგი თჳსთაგან
ღმერთმან.

11. ვისწრაფოთ უკუე შეს-
ლუად განსასუჱნებელსა მას, რათა
არა მასვე სახესა ურწმუნოებისასა
ვინმე შთავარდეს.

12. რამეთუ ცხოველ არს
სიტყუა ღმრთისა და ძლიერ, და
უმკუეთლეს უფროს ყოვლისა
მახჳლისა ორ-პირისა: და მიჰსწუ-
თების იგივე განსაყოფელადმდე
სამშჳნველისა და სულისა, ნაწევარ-
თა და ტჳნთა, და განმკითხველ გო-
ნებათა და ზრახვათა გულისათა.

13. და არა რაჲ არს დაბადე-
ბული, დაფარულ წინაშე მისსა;
არამედ ყოველივე შიშველ და ქედ-
დადრეკილ-არს წინაშე თუალთა
მისთა; რომლისათჳს არს სიტყ-
უა ესე ჩუენი.

14. მივის ჩუენ მღუდელთ-
მთავარი დიდი, რომელმან გან-
ვლნა ცანი, იესო ძე ღმრთისა,
შევიკრძალოთ აღსარებაჲ იგი მი-
სა მართლ.

15. რამეთუ არა ეგე ვითარი
გვივის მღუდელთ-მთავარი, რო-
მელიმცა ვერ შემძლებელ-იყო შე-
წყალებად უძლურებათა ჩუენთა,
გამოცდილი ყოვლითავე მჰსგავსე-
ბითა, თჳნიერ ცოდვისა.

16. მოუხდეთ უკუე განცხა-
დებულად საყდართა მათ მადლი-
სათა, რათა მოვიღოთ წყალო-
ბაჲ, და ვჰპოვოთ მადლი ჟამსა
შეწყნარებისასა.

თ ა ვ ი 5.

1. რამეთუ ყოველი მღუდელთ-
მთავარი, კაცთაგან მოყუანებული,
კაცთა-თჳს დაჰსდგის იგი ღმრთი-
სა მიმართ, რათა შეჰსწირვიდეს
შესაწირავთა და მსხუერპლთა ცო-
დუათათჳს შენდობით,

2. და სწორად წყალობად და
შემძლებელ-არს უმეცართა მათ და
შეცთომილთა: ვინაჲთგან მასცა ზე-
და ამს უძლურება,

3. და ამისთჳს თანა-ამს, ვი-
თარცა ერისათჳს, ეგრეცა თავი-
სა თჳსისათჳს შეწირვად მსხუერპ-
ლი ცოდუათათჳს.

4. და არავინ თავით თჳსით
მოიღის პატივი, არამედ რომელი
წოდებულ-არნ ღმრთისა მიერ,
ვითარცა იგი აჰრონ.

5. ეგრეთცა ქრისტე არა თა-
ვი თჳსი ადიდა, ყოფად იგი
მღუდელთ-მთავრად; არამედ, რო-
მელი იგი ეტყოდა მას: ძე ჩემი
ხარი შენ, და მე დღეს მიშობიე შენ;

6. ვითარცა იგი სხუასაცა ად-
გილსა იტყჳს: შენ ხარ მღუდელ
უკუნისამდე, წესსა მას ზედა მელ-
ქისედეკისსა.

7. ვითარცა იგი დღეთა მათ
კორცთა მისთასა, ვედრებასა და
ლოცუასა შემძლებელისა მის მი-
მართ კსნად მისსა სიკუდილისა-
გან კმითა მაღლითა და ცრემლითა
შეჰსწირვიდა; და შეისმინა მისი
მოშიშებისა მისგან.

8. და რამეთუ ძე-და იყო, ის-
წავა ვინათგან იგი ივნო მორჩი-
ლებაჲ;

9. და სრულ-იქმნა და იქმნა
ყოველთა მორჩილთა მისთა მი-
ზეზ ცხოვრებისა საუკუნოჲსა.
10. და სახელ ედვა ღმრთისა
მიერ მღუდელთ-მთავრად წესსა
მას ზედა მელქისედეკისსა.
11. რომლისათჳს მრავალ-არს
ჩუენდა სიტყუად, და ძნიად სათარ-
გმანებელ თქმად; ვინათგან უძ-
ლურ-იქმნენით სასმენელითა.
12. და რამეთუ თანა-გედვა,
რათამცა იყუენით მოძღუარ ჟა-
მისა ამისგან; კუალად გიჴმს ვედა
მოძღურებაჲ თქუენ ასოთა რა-
თმე დასაბამისა სიტყუათა ღმრთი-
სათა; და იქმნენით მოქნე სძისა,
და არა მტკიცისა საზრდელისა.
13. რამეთუ ყოველი, რომელი
მიიღებნ სძესა, უმეცარ არს სი-
ტყუასა მას სიმართლისასა; რამე-
თუ ჩჩჳლ არს.
14. ხოლო სრულთა არს მტკი-
ცე იგი საზრდელი, რომლითა
წესითა მით საცნობელნი და გო-
ნებანი წურთილნი ჰქონედ გან-
რჩევად კეთილისა და ბოროტისა.

## თავი 6.

1. ამისთჳს, დაუტევოთ დასა-
ბამისა მის ქრისტეს სიტყუათა
და სისრულისა მიმართ მოვიდეთ;
ნუ კუალად საძირკუელსა დავჰ-
სდებთ სინანულისასა მკუდართა-
გან საქმეთა და სარწმუნოებისა
ღმრთისა მიმართ.
2. ნათლის-ღებისა სწავლისა,
დასხმისა ჴელთასა და აღდგომისა
მკუდართასა და სასჯელისა მის
საუკუნოსა.
3. და ესე ვყოთ, უკეთუ
გვიბრძანოს ღმერთმან.
4. რამეთუ შეუძლებელ-არს,
ერთ-გზის განათლებულთა მათ,
რომელთა გემო-ეხილვოს ნიჭთა
მათ ზეცისათა, და ზიარ-ქმნულ-
იყუნენ სულისა წმიდისა,
5. და კეთილი გემო ეხილ-
ვოს სიტყჳსა ღმრთისა და ძალი
იგი მერმისა მის საუკუნოსა,
6. და დაცემულთა, კუალად
განახლება სინანულად; თანა-ჯუარ-
ცმად თავთა მათთა ძესა ღმრთი-
სასა; და განქიქებად.
7. რამეთუ ქუეყანამან, რო-
მელმან ჰსვის მრავალ-გზის მის
ზედა მოსრული წჳმაჲ, და გამო-
იღის მწუანვილი, სარგებელი მათ
თჳს, რომელთათჳსცა იქმნების, მი-
იღებს კურთხევასა ღმრთისა მიერ;
8. ხოლო უკეთუ მოიღის
ეკალი და კუროს თავი ურგები
და დაწყევისა მახლობელი, რომლი-
სა უკანასკნელი დასაწველად არნ.
9. ხოლო ჩუენ გურწამს
თქუენთჳს, საყუარელნო, უმჯო-
ბესი და მახლობელი ცხოვრებისა,
ესრეთღა თუ ვიტყჳთ.
10. რამეთუ არა არს სიცრუე
ღმრთისა თანა, ვითარმცა დაი-
ვიწყუნა საქმენი თქუენნი და შრო-
მაჲ სიყუარულისა თქუენისა, რო-
მელი აჩუენეთ სახელისა მისისა-
თჳს, რამეთუ ჰმსახურებდით წმიდა-
თა მათ და ჰმსახურებთცა.
11. ვსურის, კაცად-კაცადისა
თქუენისა, რათა მასვე აჩუენებ-

დეთ მოსწრაფებასა გულ-სავსებისა მის მიმართ სასოებისა, ვიდრე აღსასრულადმდე;

12. რათა არა მომედგრდეთ, არამედ მობაძავ-იყჳნეთ მათდა, რომელთა იგი სარწმუნოებითა და სულ-გრძელებითა დაიმკჳდრნეს აღთქმანი.

13. რამეთუ აბრაამს აღუთქუა ღმერთმან, ვინათგან არავინ იყო უფროისი, რომლისამცა ჰფუცა, ჰფუცა თავისა თჳსისა.

14. და ჰსთქუა: ვითარმედ კურთხევით გაკურთხო შენ, და განმრავლებით განგამრავლო შენ.

15. და ესრეთ სულ-გრძელ იქმნა და მიემთხჳა აღთქმასა.

16. რამეთუ კაცთა უფროისისა მიმართ ჰფუციან, და ყოვლისა ცილობისა მათისა დასასრულსა დასამტკიცებელად ფიცი არს.

17. რომლითა უმეტესად უნდა ღმერთსა, ჩუენებად მკჳდრთა მათ მის აღთქმისათა შეუძრველობაჲ ზრახვისა მისისა, შუამდგომელ-ჰყო ფიცი,

18. რათა ორთა მათ საქმეთა მიერ შეუძრავთა, რომელთა შინა შეუძლებელ-იყო ცრუებად ღმრთისა, ძლიერი ნუგეშინის-ცემაჲ გუაქუნდეს ჩუენ, რომელნი ესე შევევედრენით შეკრძალვად წინა-განმზადებულსა მას სასოებასა,

19. რომელი, ვითარცა ხარისხი გჳაპყრიეს სულისა კრძალული და მტკიცე, და შემავალი შინაგანსა მას კრეტსაბმელსა,

20. სადა იგი წინა-მორბედად ჩუენთჳს შევიდა იესო, წესსა მას ზედა მელქისედეკისსა მღდელთმთავარ-იქმნა იგი უკუნისამდე.

## თ ა ვ ი 7.

1. რამეთუ ესე მელქისედეკ, მეფე სალემისა, მღდელი ღმრთისა მაღლისა, რომელი შეემთხჳა აბრაამს, მოარაქცეულ-იყო იგი მოწყუედისა მისგან მეფეთასა, და აკურთხა იგი,

2. რომელსაცა იგი ათეული მისცა ყოვლისა მისგან ნაწილად აბრაამ, პირველად უკუე ითარგმანების მეუფე სიმართლისა, და მერმე მეფე სალემისა, რომელ-არს მეუფე მშჳდობისა.

3. უმამო, უდედო, ნათესავ-მოუკსენებელ, არცა დასაბამი დღეთა, არცა აღსასრული ცხოვრებისა აქუს; ხოლო მიმსგავსებულ-არს იგი ძესა ღმრთისასა და ჰგიეს იგი მღდელად სამარადისოდ.

4. იხილეთღა, რაბამ იყო ესე, რომელსა იგი ათეულიცა მისცა აბრაამ რჩეულთა მათგან მამათ-მთავარმან.

5. და რომელნი იგი ლევის ძეთაგანნი მღდელობასა მიიღებენ მცნება აქუს, ათეულისა მიღებად ერისაგან მჰსგავსად ჰსჯულისა, ესე იგი არს, ძმათაგან თჳსთა და გამოსრულთა მათგანღა წელთაგან აბრაამისთა.

6. ხოლო ნათესავ-მოუკსენებელმან მან მათგან, ათეული მიიღო აბრაამისგან, და აკურთხა რომელსა იგი აღთქმანი აქუნდეს.

7. ხოლო თჳნიერ ყოვლისა

ცილობისა უმცირესი იგი უმ-
ჯობესისაგან იკურთხევის.
8. და აქა, რომელნი იგი
მოჰსწყდებიან კაცნი ათეულსა მი-
იღებენ; ხოლო მუნ წამებულ არს,
ვითარმედ ცხოველ-არს.
9. და, რათა მოკლედ ვჰსთქუათ,
აბრაამისთჳს ⁊ ლევისთჳს ⁊
რომელი ათეულსა მიიღებს ათე-
ულადვე შეწირულ-არს:
10. რამეთუ წელთადა შინა
მამისათა იყო, ოდეს იგი შეემთ-
ხჳა მას მელქისედეკ.
11. რამეთუ, უკეთუმცა გან-
სრულება ლევიტელთაგან მღდე-
ლობისა იყო, რამეთუ ერი
იგი მას ზედა ჰსჯულ-დებულ-არს;
რადღა საკმარ-იყო მერმე წესსა მას
ზედა მელქისედეკისასა სხუა აღ-
დგინებად მღდელი, ⁊ არა წეს-
სა მას ზედა აჰრონისსა თქმად?
12. რამეთუ ცვალებასა თანა
მღდელობისასა ჰსჩანს იძულე-
ბით, რამეთუ ჰსჯულისაცა ცუა-
ლება იქმნების.
13. რომელსა ზედა თქმულ-
არს ესე, სხჳსა ნათესავსა ეზია-
რა, რომლისაგანი არა სადა სა-
კურთხეველსა წარდგომილ-იყო.
14. წინასწარ-ჰსჩანს, რამეთუ
იუდას ნათესავისაგან აღმოჳბრ-
წყინდა უფალი ჩუენი, რომლისა
ნათესავისა მღდელობისათჳს არა
აკსენა მოსე.
15. და უმეტესადღა ცხად-არს,
უკეთუ მჰსგავსად მელქისედეკის-
სა, აღჰსდგეს სხუა მღდელთ-მთა-
ვარი,
16. რომელი არა ჰსჯულისა
მისებრ მცნებისა ჴორციელისა
იყო, არამედ ძალისა მისებრ
ცხოვრებისა წარუვალისა.
17. რამეთუ ეწამების, ვითარ-
მედ შენ ხარ მღდელ უკუნისამ-
დე წესსა მას ზედა მელქისედე-
კისსა.
18. რამეთუ შეურაცხება იქ-
მნების პირველისა მის მცნებისა
უძლურებისა მისისათჳს ⁊ ურგე-
ბობისა.
19. რამეთუ არა რაჲ სრულ-
ჰყო ჰსჯულმან; ხოლო შემოსლუა
უმჯობესისა სასოებისა, რომლი-
სა მიერ მივეახლებით ღმერთსა.
20. და რავდენ იგი არა თჳ-
ნიერ ფიცისა, რამეთუ რომელნიმე
თჳნიერ ფიცისა არიან მღდელ
ყოფილ.
21. ხოლო ესე ფიცით მის
მიერ, რომელმან იგი ჰრქუა მას:
ჰფუცა უფალმან, ⁊ არა შეინა-
ნოს: შენ ხარ მღდელ უკუნისამ-
დე წესსა მას ზედა მელქისედე-
კისსა.
22. ესოდენ უმჯობესისა აღ-
თქმისა იქმნა თავს-მდები იესო.
23. და რომელნიმე მრავალნი
არიან მღდელად დადგინებულნი,
სიკუდილისაგან დაყენებითა დად-
გრომად.
24. ხოლო ამას, დადგრო-
მისათჳს მისისა, უკუნისამდე
წარუვალად აქუს მღდელობა
იგი.
25. ვინაჲცა ყოვლითურთ
ცხოვრებად შემძლებელ-არს მათ-
და, რომელნი იგი მის მიერ მო-
უკდებიან ღმერთსა, ⁊ სამარადი-

სოდ ცხოველ არს, მეოხად მათთჳს.

26. რამეთუ ესე ვითარი შეჰგვანდა ჩუ̂ენდა მღ̂უდელთ-მთავარი: წმიდა, უმანკო, შეუგინებელი, განშორებული ცოდუ̂ათაგან და უმაღლესი ცათა;

27. რომელსა არა უკმს დღითი დღედ, ვითარცა მღ̂უდელთ-მთავართა მათ, პირველად თჳსთა ცოდუ̂ათათჳს მსხუ̂ერპლისა შეწირვა და მერმე ერისათჳს; რამეთუ თავადმან ერთ-გზის ჰყო ესე, და თავი თჳსი შეჰსწირა.

28. რამეთუ ჰსჯულმან კაცნი დაადგინნა მღ̂უდელთ - მთავრად, რომელთა აქუ̂ნდა უძლურებაჲ; ხოლო სიტყუ̂ამან ფიცისამან, რომელი იგი შემდგომად ჰსჯულისა, იყო ძე, უკუ̂ე განსრულებული.

## თ ა ვ ი 8.

1. ხოლო თავად, თქმულთა მათ ზედა, ესე არს: ესე ვითარი გვივის ჩუ̂ენ მღ̂უდელთ-მთავარი, რომელი დაჰსჯდა მარჯუ̂ენით საყდართა დიდებისათა ზეცათა შინა,

2. წმიდათა მსახური და კარვისა მის ჭეშმარიტისა, რომელი აღაშენა უფალმან, და არა კაცმან.

3. რამეთუ ყოველივე მღ̂უდელთ-მთავარი შეწირვად მსხუ̂ერპლისა და შესაწირავისა დადგინებულ-არს: ვინაჲცა უღირს მასცა, რათა აქუ̂ნდეს რაჲმე, რომელი იგი შეჰსწიროს.

4. რამეთუ უკეთუმცა იყო ქუ̂ეყანასა ზედა, არამცა იყო მღ̂უდელი: ყოფილთა მათ მღ̂უდელთა შემწირველთა, მჰსგავსად ჰსჯულისა მსხუ̂ერპლთა,

5. რომელნი იგი სახედ და აჩრდილად ჰმსახურებენ ზეცისასა მას, ვითარცა იგი ბრძანებაჲ მოიღო მოსე, საქმესა მას კარვისასა: რამეთუ იტყჳს, ვითარმედ იხილე და ჰქმენ ყოველივე მჰსგავსად სახისა მის, რომელი გიჩუ̂ენე შენ მთასა ზედა.

6. ხოლო აწ უმჯობესსა მიიწია მსახურებასა, ვითარცა იგი არს უმჯობესისა აღთქმისა შუამდგომელ, რომელი იგი უმჯობესსა მას აღთქმასა ზედა ჰსჯულდებულ-არს.

7. რამეთუ უკეთუმცა პირველი იგი იყო უბიწო; არღარამცა მეორისა მის საძიებელ-იყო ადგილი.

8. რამეთუ აბრალებს მათ და ეტყჳს: აჰა ესერა, დღენი მოვლენან, იტყჳს უფალი, და აღვასრულო სახლსა ზედა ისრაილისასა და სახლსა ზედა იუდასსა აღთქმაჲ ახალი.

9. არა აღთქმისა მისებრ, რომელი იგი აღუთქუ̂ა მამათა მათთა, დღესა მას, რომელსა უპყარ ჴელი მათი, გამოყუ̂ანებად მათდა ქუ̂ეყანით ეგჳპტით; რამეთუ იგინი არა დაადგრეს ჰსჯულსა ჩემსა, და მე შეურაცხ-ვჰყუ̂ენ იგინი, იტყჳს უფალი.

10. რამეთუ, ესე არს აღთქმა, რომელი აღუთქუ̂ა სახლსა ისრაილისასა შემდგომად დღეთა მათ, იტყჳს უფალი: მივჰსცნე ჰსჯულ-

*

ნი ჩემნი გონებათა მათთა, და
გულთა მათთა ზედა გამოვჰსწერ-
ნე იგინი; და ვიყო მათდა ღმერთ,
და იგინი იყუნენ ჩემდა ერად.
11. და არა ასწავებდეს კაცად-
კაცადი მოქალაქესა თჳსსა, და
კაცად-კაცადი ძმასა თჳსსა და ჰრ-
ქუას: იცან უფალი. რამეთუ
ყოველთა, მიცოდენ მე, მცირით-
გან მათით, ვიდრე დიდად მათდა-
მდე.
12. რამეთუ ულხინო სიცრუე-
თა მათთა, და უჰსჯულოებანი
მათნი და ცოდუანი მათნი არღარა
მოვიჴსენნე მერმე.
13. რაჟამს იგი ჰსთქუას: ახა-
ლიო და ძუჱლი პირველი იგი;
ხოლო დაძუჱლებადი იგი და და-
ბერებადი მახლობელ-არს განრყუ-
ნისა.

## თ ა ვ ი 9.

1. რამეთუ აქუნდა პირველსა
მასცა კარავსა სამართალი მსახუ-
რებათა წმიდა იგი მსოფლიო:
2. რამეთუ კარავი შეიმზადა
პირველი, რომელსა შინა იყო
სასანთლე იგი, და ტაბლა, და დაგე-
ბა იგი პურთა, რომელსა ერქუა
წმიდა.
3. ხოლო შემდგომად მეორი-
სა მის კრეტსაბმელისა კარავი,
რომელსა ერქუა წმიდა წმიდათა,
4. ოქროჲსა აქუნდა სასაკმევ-
ლე და კიდობანი იგი ჰსჯულისა
შემოსილი გარეთ და შინათ ოქ-
როჲთა, რომელსა შინა იყო
ტაკუკი იგი ოქროჲსა სავსე
მანანაჲთა და კუჱრთხი იგი აჰ-
რონისი, რომელი განედლდა და
ფიცარნი იგი ჰსჯულისანი;
5. ხოლო ზედა კერძო მისსა
ხერუვიმი დიდებისა, რომელი
აგრილობდა სალხინებელსა მას.
რომელთათჳს არა არს აწ თითო-
ეულად სიტყუად.
6. და ესერა ესრეთ აღმართე-
ბულ-იყო, პირველსა მას კარავსა
მარადის შევლენედ მღუდელნი და
მსახურებასა მას აღასრულებედ;
7. ხოლო შინაგანსა მას, ერთ-
გზის წელიწადსა, მღუდელთ-
მთავარი იგი ხოლო შევიდის, და
არა თჳნიერ სისხლისა, რომელი
იგი შეჰსწირის თავისა თჳსისათჳს
და ერისა უმეცრებისათჳს.
8. და ესე უწყებითა სულისა
წმიდისათა, რამეთუ არღა გამო-
ჩინებულ-იყო წმიდათა იგი გზა,
არამედ პირველისა მისღა კარვისა
აქუნდა წესი.
9. რომელი იგი იგავი იყო
ჟამისა მის მოწევნადისა, რომელ-
სა შინა მსხუჱრპლნი და შესაწირავ-
ნი შეიწირვოდეს, რომელნი ვერ
შემძლებელ - იყუნეს გულითად
სრულ-ყოფად შემწირველთა მათ,
10. გარნა საჭმელთა ხოლო
ზედა და სასმელთა, და პირად-პირად-
თა ბანვათა, და სამართლითა კორც-
თათა, ვიდრე ჟამადმდე განგებისა
მის მოწევნადისა.
11. ხოლო ქრისტე მოვიდა,
მღუდელთ-მთავარი იგი ყოფადთა
მათ კეთილთა, უფროსითა მით და
უსრულესითა კარვითა ჴელით-
უქმნელითა, ესე იგი არს, არა
ამის დაბადებულისათა,

12. არცა სისხლითა ვაცთა და ზუარაკთათა, არამედ თჳსითა სისხლითა, შევიდა ერთ-გზის სიწმიდესა მას, და საუკუნო გამოჴსნნაჲ ჰპოვა.

13. რამეთუ უკეთუ სისხლი იგი ვაცთა და ზუარაკთა, და ნაცარი იგი დიაკეულთა, რომელი ეპკურებოდა შეგინებულთა მათ და განჰსწმედდა, მჴსგავსად ჴორცთა მათ განწმედისათა:

14. რავდენ უფროჲს სისხლმან ქრისტესმან, რომელმან იგი სულითა საუკუნოდ თავი თჳსი შეჰსწირა უბიწოდ ღმრთისა, განჰსწმიდნეს გონებანი თქუენნი მკუდართაგან საქმეთა, მსახურებად ღმრთისა ცხოველისა.

15. და ამისთჳს ახლისა აღთქმისა შუა-მდგომელ არს, რათა სიკუდილიდა მოიწიოს, გამოსასყრად პირველისა მის ჰსჯულისა გარდასრულთა, აღთქმაჲ იგი მოიღონ ჩინებულთა მათ საუკუნოჲსა მის მკჳდრობისათა.

16. რამეთუ სადა იგი წიგნის წერა არს, სიკუდილი უნებლიად ზედა აძს წიგნის მწერალსა მას.

17. რამეთუ ანდერძი დაწერილი მკუდართა შემდგომადღა მტკიცე არს; უკეთუ არა, ვერ სადა მტკიცე არს, ვიდრე ცოცხალღა არნ ანდერძის-მწერალი იგი.

18. ვინაჲცა არცა პირველი იგი თჳნიერ სისხლისა განახლდებოდა.

19. რამეთუ ითქუნეს ყოველნი იგი მცნებანი მჴსგავსად ჰსჯულისა მოსეს მიერ ყოვლისა მიმართ ერისა, მოიღის სისხლი იგი ზუარაკთა და ვაცთა წყალსა თანა მატყლითა მეწამულითა და უსუპითა, თჳთ მას წიგნსა და ყოველსა ერსა აპკურის,

20. და ჰსთქუა: ესე სისხლი აღთქმისა, რომელი გამცნო თქუენ ღმერთმან.

21. თჳთ მას კარავსა და ყოველსა მას ჭურჭელსა სამსახურებელისასა, ეგრეთვე მჴსგავსად სისხლი ასხურის.

22. და კნინღა ყოველივე იგი სისხლითა განჰსწმედებოდა მჴსგავსად ჰსჯულისა მის, და თჳნიერ სისხლისა დათხევისა არა იყო მოტევება.

23. საჭირო არს უკუე ვინაჲთგან სახენი იგი ზეცისათანი ამით განჰსწმედებოდეს, რათა ზეცისანი იგი ამათსა უმჯობესითა მსხუერპლითა განჰსწმდენ.

24. რამეთუ არა ხელით ქმნულთა სიწმიდეთა შევიდა ქრისტე, სახედ ჭეშმარიტთა მათ, არამედ თჳთ მათ ცათა, აწვე ჩუენებად პირსა ღმრთისასა ჩუენთჳს,

25. არცა, რათა მრავალ-გზის შეჰსწიროს თავი თჳსი, ვითარცა იგი მღდელთ-მთავარი შევიდის წელიწადსა ერთ-გზის სიწმიდესა მას სისხლითა სხჳსათა;

26. უკეთუ ჯერ-ვიდრემე-იყო მისა მრავალ-გზის ვნებად სოფლის დაბადებითგან. ხოლო აწ ერთ-გზის, აღსასრულსა ჟამთასა, შეურაცხის - ყოფად ცოდჳსათა მსხუერპლითა თჳსითა გამოჴსჩნდა.

27. და ვითარცა იგი წინა-უძს კაცთა ერთ-გზის სიკუდილი, და მისსა შემდგომად სასჯელი:
28. ეგრეცა ქრისტე, ერთ-გზის შეიწირა, მრავალთა თჳს აღჴოცად ცოდვათა, ხოლო მეორედ თჳნიერ ცოდვათა გამოეცხადოს, რომელნი იგი მოელიან მას მაცხოვრად.

## თავი 10.

1. რამეთუ აჩრდილი აქუნდა ჰსჯულსა მერმეთა მათ კეთილთა, არა თჳთ იგი ხატი საქმეთა მათ წლითი წლად მსხუერპლთა მათ, რომელთა შეჰსწირვედ სამარადისოდ, ვერსადა შემძლებელ-იყუნეს იგინი შემწირველთა მათ განსრულებად.
2. უკეთუმცა არა სადა დაჰსცხრეს შეწირვისაგან; ვინადგან არცა ერთიღამცა რა იჭჳ აქუნდა ცოდვათა შემწირველთა მათ, ერთ-გზის განწმედილთა.
3. არამედ მათ შინა კუალად მოჰსენება ცოდვათა წლითი-წლად.
4. რამეთუ ვერ შემძლებელ-არს, სისხლი ვაცთა და კუროთა აღჴოცად ცოდვათა.
5. ამისთჳს შემოვალს სოფლად, იტყჳს: შესაწირავი და მსხუერპლი არა გთნდა, ხოლო კორცნი დამამტკიცენ მე.
6. საკუერთხები და ცოდჳსათჳს არა ითხოვე.
7. მაშინ ვჰსთქუ: ესერა, მოვალ, თავსა წიგნთასა წერილ-არს ჩემთჳს, ყოფად ღმერთო ჩემო, ნებისა შენისა.
8. ზემო კერძო იტყჳს, ვითარმედ მსხუერპლი და შესაწირავი და საკუერთხი და ცოდჳსათჳს არა ინებე, არცა სათნო იყავ, რომელნი იგი მჰსგავსად ჰსჯულისა შეიწირვიან,
9. მაშინ ჰსთქუა: ესერა, მოვალ ყოფად ნებისა შენისა, ღმერთო. აღიღებს პირველსა მას, რათა მეორე იგი დაამტკიცოს.
10. რომლისა ნებითა ჩუენ განწმედილ-ვართ შესაწირავითა მით კორცითა იესო ქრისტესითა ერთ-გზის.
11. და ყოველი იგი მღდელი ჰსდგან დღითი დღე მსახურებასა მას, და მათვე მსხუერპლთა შეჰსწირავნ მრავალ-გზის, რომელნი იგი არა სადა შემძლებელ-არიან აღჴოცად ცოდვათა.
12. ხოლო თავადმან, ერთ-გზის შეჰსწირა მსხუერპლი ცოდვათათჳს, სამარადისოდ და დაჰსჯდა იგი მარჯუენით ღმრთისა,
13. და მიერითგან მოელის, ვიდრემდის დაისხნეს მტერნი მისნი ქუეშე ფერკთა მისთა.
14. რამეთუ ერთი მსხუერპლი სრულ-იქმნა სამარადისოდ განმწმედელთა მათ თჳს.
15. ხოლო მეწამების ჩუენ სული წმიდაცა. რამეთუ შემდგომად სიტყჳსა მის,
16. ვითარმედ, ესე არს აღთქმა ჩემი, რომელი აღვჰსთქუ მათდა მიმართ შემდგომად დღეთა მათ, იტყჳს უფალი: მივჰსცნე ჰსჯულნი ჩემნი გულთა მათთა,

და გონებათა მათთა ზედა გამოვჰსწერნე იგინი,

17. და უსჯულოებანი მათნი და ცოდვანი მათნი არღარა მოვიჴსენნე.

18. ხოლო სადა ამათი მოტევება არს, არღარა ჰხამს მსხვერპლი ცოდვათა თჳს.

19. გვაქვს უკვე, ძმანო, კადნიერებაჲ შესლვად სიწმიდეთა მათ სისხლითა იესოსითა.

20. რომელ იგი განგვიახლა ჩვენ გზაჲ ახალი და ცხოველი, კრეტსაბმელითა მით, ესე იგი არს, ჴორცთა მისთათა,

21. და მღვდელთ-მთავარი დიდი სახლსა შინა ღმრთისასა,

22. მოუკდეთ მას ჭეშმარიტითა გულითა, გულ-სავსებითა სარწმუნოებისათა, სხურებულნი გულითა იჭჳსაგან ბოროტისა; და განბანილნი გვამითა წყლითა წმიდითა,

23. შევიკრძალოთ აღსარებაჲ იგი სასოებისა მიუდრეკელად; რამეთუ სარწმუნო არს, რომელმან იგი აღმითქვა.

24. და განვიცდიდეთ ურთიერთარს, აღბამვებად სიყვარულსა და კეთილთა საქმეთა.

25. ნუ დაუტევებთ შესაკრებელსა თჳსსა, ვითარცა იგი ჩვეულება არს ვიეთიმე; არამედ ნუგეშინის-ჰსცემდით, და ესოდენ უფროჲს, რაოდენ ესე ჰხედავთ მოახლებულსა ამას დღესა.

26. რამეთუ ნებსით შეცოდებათა ჩვენთათჳს შემდგომად მოღებისა მის ცნობისა ჭეშმარიტებისა; არღარა ცოდვათათჳს მოაკლდების მსხვერპლი,

27. არამედ საშინელი რაჲმე მოლოდება საჰსჯელისა და ცეცხლისა შური, შეჰსჭამდეს მტერთა მათ.

28. უკეთუ ვინმე შეურაცხჰყოს ჰსჯული მოსესი, თჳნიერ წყალობისა, ორითა ანუ სამითა მოწამითა. მოკვდების:

29. რავდენ ჰგონებთ, უძჳრესისა ტანჯჳსა ღირს-ყოფად, რომელმან ძე ღმრთისა დაჰსთრგუნოს, და სისხლი იგი აღთქმისა არა ღირსად შერაცხოს, რომლითა განჰსწმიდნა, და სული იგი მადლისა აგინა?

30. რამეთუ ვიცით, რომელმან იგი ჰსთქვა: ჩემი არს შურის-გება; და მე მივაგო, იტყჳს უფალი. და კვალად იტყჳს: რამეთუ განიკითხოს უფალმან ერი თჳსი.

31. საშინელ-არს შევრდომა ჴელთა ღმრთისა ცხოველისათა!

32. მოიხსენებდით პირველთა მათ დღეთა, რომელთა იგი შინა ნათელ-იღეთ და მრავალი ღვაწლი დაითმინეთ ვნებათა,

33. ესე არს ყვედრებათა და და ჭირთა შინა სოფლის სახილველ-იქმნენით, და ესე, რამეთუ ეზიარენით მათ, რომელნი იგი მათ შინა იქცეოდეს.

34. და რამეთუ კრულებათა მათ ჩემთათჳს გელმოდა, და იავარის-ყოფა იგი მონაგებთა თქვენთა სიხარულით შეიწყნარეთ, უწყით, რამეთუ გაქვს თავისა თქვენ-

ნისა საუნჯე უმჯობესი ცათა ში-
ნა დადგრომილი.
35. ნუ განიშორებთ განცხა-
დებულებასა მაგას თქუჱნსა, რო-
მელსა აქუს დიდი სასყიდლის მო-
გებაჲ.
36. რამეთუ მოთმინება გიკმს
თქუჱნ, რათა, ნებაჲ ღმრთისა
ჰყოთ და მოიღოთ აღნათქუამი იგი.
37. რამეთუ მცირედ, წუთ
ერთსა, მომავალი იგი მოვიდეს
და არა ჰყოვნოს.
38. ხოლო მართალი სარწ-
მუნოებით ჰსცხონდეს; და უკეთუ
იჯმნათ მისგან, არა ჰსთნავს სულ-
სა ჩემსა მას შინა.
39. ხოლო ჩუჱნ არა ვართ
ჯმნულებისანი მის წარსაწყმედე-
ლად, არამედ სარწმუნოებისანი
შესაწყვნელად სულისა.

## თ ა ვ ი 11.

1. ხოლო არს სარწმუნოება
მოსავთა მათ მალ, საქმეთა მამხი-
ლებელ არა ხილულთა.
2. რამეთუ ამას შინა იწამნეს
მოხუცებულნი.
3. სარწმუნოებით გვიცნოე-
ბის, დამყარებად საუკუნეთა სიტ-
ყჳთა ღმრთისათა; არა საჩინოსა-
გან ხილულად შექმნულად.
4. სარწმუნოებით უმრავლესი
მსხუჱრპლები შეჰსწირა ღმრთისა
აბელ, კაენისსა; რომლისაგან იწა-
მა, ვითარმედ მართალ არს, წამე-
ბითა ღმრთისათა მსხუჱრპლთა
მათ მისთა ზედა; და ამისთჳს მო-
ღათუკუდა მერმე იტყჳსველა.
5. სარწმუნოებით ენუქ გარ-
დაიცუალა, რათა არა იხილოს
სიკუდილი; და არა იპოვა; რამეთუ
გარდაჰსცუალა იგი ღმერთმან.
რამეთუ პირველ გარდაცუალებისა
მისისა წამებულ-არს, ვითარმედ
სათნო-იყო იგი ღმერთმან.
6. ხოლო თჳნიერ სარწმუნო-
ებისა ვერ შესაძლებელ-არს სათნო-
ყოფა ღმრთისა; რამეთუ სარწმუ-
ნოება უღირს, რომელი მოუკდე-
ბის ღმერთსა, რამეთუ არს, და
მემიებელთა მისთა სასყიდლის-
მიმცემელ-იქმნების.
7. სარწმუნოებით, ბრძანება
მოიღო ნოე, არღა სადა ხილულ-
თა მათთჳს, შეეშინა და ჰქმნა კი-
დობანი საცხოვრებელად სახლისა
თჳსისა; რომლითა დაჰსაჯა სო-
ფელი, და სარწმუნოებითა მით
სიმართლისათა იქმნა იგი მკჳდრ.
8. სარწმუნოებით იწოდა რა
აბრაამ, ერჩდა გამოსლუად ადგილ-
სა მას, რომელი დაპყრობად იყო
მისა სამკჳდრებელად; და გამოვი-
და და არა უწყოდა, ვიდრე მოვი-
დოდა.
9. სარწმუნოებით მწირობდა
ქუჱყანასა მას აღთქმისასა, ვითარ-
ცა უცხოსა კარავსა შინა მკჳ-
დრობდა ისაკ და იაკობის თანა,
მკჳდრთა მათ თანა მისვე აღთქმი-
სათა.
10. რამეთუ მოელოდა მას,
რომელსა იგი საფუძუჱლ უსხენ
ქალაქსა, რომლისა იგი ხუროთ
მოძღუარ და შემოქმედ ღმერთი
არს.
11. სარწმუნოებით იგიცა სარ-

რა, ბერწღა თუ იყო, ძალი მი-
იღო შესაწყნარებელად თესლისა,
და ჟამთა გარდასრულმან ჰშჳა;
რამეთუ სარწმუნოდ შეჰრაცხა,
რომელმან იგი აღუთქჳა მას.

12. ვინაცა ერთისაგან იშჳნეს,
და ესე მკჳდრისა მისგან, ვითარცა
ვარსკჳლავნი ცისანი სიმრავლითა,
და ვითარცა ქჳშა ზღჳსა ურიცხჳ.

13. სარწმუნოებით მოჰსწყდეს
ესე ყოველნი, და არღა მოეღო
მათ აღნათქჳამი იგი; არამედ
შორით იხილეს იგი, და მოიკით-
ხეს, და აღიარეს, რამეთუ სტუმარ
და წარმავალ-არიან იგინი ქჳჱყანა-
სა ზედა.

14. რამეთუ, რომელნი ესე
ვითარსა იტყჳედ, გამოაჩინებენ,
ვითარმედ მამულსა ეძიებნ.

15. და თუმცა მას მოიკსენებ-
დეს, ვინა იგი გამოვიდეს; აქჳნდამ-
ცა ჟამი მუნ მიქცევისა.

16. ხოლო აწ უმჯობესისა
მის გული ეტყჳს, ესე იგი არს,
ზეცისასა; ამისთჳსცა არა სირც-
ხჳლ უჩნს მათი ღმერთსა, სახელის-
დებად მათდა ღმრთად: რამეთუ
განუმზადა მათ ქალაქი.

17. სარწმუნოებით შეჰსწირა
აბრაამ ისაკი, გამოცდასა მას; და
მხოლოდ-შობილსა მას შეჰსწირვი-
და, რომელმან აღთქმაჲ იგი
მოიღო.

18. რომლისა მიმართ ითქჳა,
ვითარმედ ისაკისაგან გეწოდოს
შენ ნათესავად.

19. ესრეთ შეჰრაცხა, ვათარ-
მედ მკჳდრეთითცა აღდგინებად
შემძლებელ-არს ღმერთი. რომ-
ლისათჳსცა იგავით მოიყჳანა იგი.

20. სარწმუნოებით მერმეთა
მათთჳს ისააკმან აკურთხა იაკობი
და ესავი.

21. სარწმუნოებით იაკობმან,
მორაკჳდებოდა, თჳთოეულსად ძენი
იოსებისნი აკურთხნა და თაყჳა-
ნის-ჰსცა წჳჱრსა ზედა კჳჱრთ-
ხისა მისისასა.

22. სარწმუნოებით იოსებ,
აღრასრულებოდა, გამოსლჳსათჳს
ძეთა ისრაილისათა მოიკსენა, და
ძჳალთა თჳსთათჳს ამცნო.

23. სარწმუნოებით მოსე, იშჳა
რა, დამალეს სამ-თთჳჱ მამა-დედა-
თა მისთა, რამეთუ იხილეს მკჳრ-
ცხლ ყრმა იგი, და არა შეიშინეს
ბრძანებისა მისგან მეფისა.

24. სარწმუნოებით მოსე,
განრამწყსნა, უარ-ჰყო სახელის-
დებაჲ ძჳლად ასულისა ფარაოჲ-
სა;

25. უფროჲსღა გამოირჩია
თანა ძჳრის-ხილჳა ერსა თანა
ღმრთისასა, ვიდრედარა აქჳნდეს
მას საწუთო იგი საშჳჱბელი
ცოდვისა.

26. უფროჲსად სიმდიდრედ
შეჰრაცხა ეგჳპტისა საფასეთა,
უჳჱდრებაჲ იგი ქრისტესი. რამე-
თუ ჰხედვიდა იგი სასყიდლის
კჳალად გებასა.

27. სარწმუნოებით დაუტევა
ეგჳპტე, და არა შეიშინა გულის-
წყრომისა მისგან მეფისა, რამე-
თუ უხილავი იგი, ვითარცა ხი-
ლული შეჰრაცხა.

28. სარწმუნოებით ჰყო ზატი-

კი იგი და პკურება იგი სისხლი-
სა, რათა არა მომსრუელი იგი
პირმშოთა შეეხოს მათ.
29. სარწმუნოებით წიაღჰსდეს
ზღუასა მას მეწამულსა, ვითარცა
ჴმელსა ქუეყანასა; რომლისა იგი
აზმნეს მეგჳპტელთა და დაინთქნეს.
30. სარწმუნოებით ზღუდენი
იერიქოსანი დაეცნეს, გარემოდ-
გომითა შჳდ-დღე.
31. სარწმუნოებით რააბ მეძა-
ვი იგი, არა წარწყმდა ურჩთა მათ
თანა, რამეთუ შეიწყნარა მსტო-
ვარნი იგი მშჳდობით.
32. და რაღამე ვჰსთქუა? რამეთუ
დამაკლებს მე ჟამი ესე, მითხრო-
ბად გედეონისთჳს, ბარაკისთჳს,
და სამფსონის-თჳს, და იეფთაეს-
თჳს, დავითისთჳს, და სამოელის-
თჳს და წინასწარ-მეტყუელთა,
33. რომელნი სარწმუნოებით
ერეოდეს მეფეთა, იქმოდეს სი-
მართლესა, მიემთხჳვნეს აღთქმასა,
დაუყუნეს პირნი ლომთანი,
34. დაშრიტეს ძალი ცეცხლი-
სა, განერნეს პირსა მახჳლისასა,
განჰსძლიერდეს უძლურებისაგან,
იქმნეს ძლიერ ბრძოლასა შინა,
ბანაკები აოტეს უცხო-თესლთა;
35. მოიყუანნეს დედათა აღდ-
გომილნი მკუდარნი მათნი; ხო-
ლო სხუანი წარკუეთითა თავთა-
თა აღესრულნეს, და არა მოიღეს
მათ გამოჴსნაჲ, რათა უმჯობესსა
აღდგომასა ღირს-იქმნნეს;
36. ხოლო სხუანი ტანჯჳთა
და გუემითა განიცადნეს, მერმე
კუალად ბორკილებითა და საპყ-
რობილებითა;
37. ქჳთა განიტჳნნეს, განი-
ხერხნეს, განიცადნეს; სიკუდილი-
თა მახჳლისათა მოჰსწყდეს; იქ-
ცეოდეს ხალენებითა და თხის-
ტყავებითა, ნაკლულევანნი, ჭირ-
ვეულნი, ძჳრ-ხილულნი,
38. რომელთა ღირსვე არა
იყო სოფელი ესე, უდაბნოთა ზე-
და შეცთომილნი მთათა და ქუაბთა
შინა, და კურელთა ქუეყანი-
სათა.
39. და ესე ყოველნი, იწამნეს
სარწმუნოებით და არა მოიღეს
აღნათქუამი იგი:
40. რამეთუ ღმერთმან ჩუენ-
თჳს უმჯობესი წინასწარ განიგუ-
ლა, რათა არა თჳნიერ ჩუენსა
სრულ იქმნენ.

## თ ა ვ ი 12.

1. აწ უკუე ჩუენცა, ესოდე-
ნი მაქუს გარე-მოდგომილი ჩუენ-
და სიმრავლე წმიდათა მოწამეთა,
სიმძიმე ყოველი განვიშოროთ და
მსწრაფლ მომავალი იგი ცოდჳსაჲ,
და მოთმინებით ვჰრბიოდეთ წი-
ნა განმზადებულსა მას ჩუენსა
ღუაწლსა.
2. და ვჰხედჳდეთ სარწმუნოე-
ბისა ჩუენისა წინამძღუარსა და
სრულებისა მოქმედსა იესოს,
3. რომელმან იგი წინა-განმზა-
დებულისა მის წილ სიხარულისა,
დაითმინა ჯუარი და სირცხჳლი
შეურაცხ ჰყო, და მარჯუენით საყ-
დართა ღმრთისათა დაჰსჯდა.
4. განუკუე-იზრახეთ, რომელ-

მან იგი ესე-ვითარი დაითმინა ცოდჳლთაგან, მისა მიმართი იგი სიტყჳს-გებაჲ, რათა არა დაშურეთ სულითა თქუჱნითა დ მოჴმედგრდეთ.

5. რამეთუ არღა სისხლთამდე წინა-დადგრომილ - ხართ თქუჱნ, ცოდჳსა მიმართ ახოვნად, დ მოჴმედგრდეთ ნუგეშინის - ცემისაგან, რომელი, ვითარცა შჳლთა გეტყჳს თქუჱნ: შჳლო ჩემო! ნუ სულმოკლე იქმნები სწავლასა უფლისასა, ნუცაღა დაჴსნდები მის მიერ მხილებასა.

6. რამეთუ, რომელი უყუარს უფალსა, ჰსწავლის დ ჰსტანჯის; ყოველი შჳლი, რომელი შეიწყნარის.

7. უკეთუ ჰსწავლასა დაუთმოთ, ვითარცა შჳლთა შეგიწყნარებს თქუჱნ ღმერთი. რამეთუ ვინმე არს შჳლი, რომელი არა ჰსწავლის მამამან?

8. ხოლო უკეთუ შორს ხართ სწავლასა, რომლისა ზიარ-ქმნულ-არიან ყოველნი, მწირნი ვიდრემე ხართ, დ არა შჳლნი.

9. აწ უკუჱ, თუმცა გუჱსკნეს ჴორციელნი მამა-დედანი მასწავლელად, გუჱკდიმებოდა საცემცა: არა-მე უფროს დავემორჩილნეთ მამასა მას სულთასა დ ვჰსცხოვნდეთ?

10. რამეთუ, რომელნი-მე იგი მცირეთა დღეთა მათისაებრ ნებისა ჰსწავლიდეს; ხოლო ესე უმჯობესისათჳს, რათა მოიღონ სიწმიდისაგან მისისა.

11. ყოველივე სწავლა მეყუსეულად არა არნ სიხარულ, არამედ მწუხარება; ხოლო უკანასკნელ ნაყოფი მშჳდობისა მის მიერ წურთილთა მათ მოაგის სიმართლეჲ.

12. ამისთჳს დაშთომილნი ჴელნი დ დაჴსნილნი მუჴლნი აღემართენით;

13. და ალაგნი მართლ-ჰყუჱნით ფერჴთა თქუჱნთანი, რათა არა მკელობელი იგი დაეცეს, არამედ უფროსღა განიკურნოს.

14. მშჳდობასა შეუდეგით ყოველთა თანა დ სიწმიდესა, რომლისა თჳნიერ ვერ ვინ იხილოს უფალი.

15. ეკრძალენით, ნუ ვინ-მე დაკლებულ - იყოს მადლისაგან ღმრთისა; ნუ ვისმე თანა ძირი სიმწარისა, აღმოცენებულ იყოს, შემაურვებელი, დ მის მიერ შეიგინნენ მრავალნი;

16. ნუ ვინ მეძავ დ ბილწ არნ, ვითარცა იგი ესავ, რომელმან ერთისა წილ საჭმლისა განჴყიდა პირმშოებაჲ თჳსი.

17. უწყით, რამეთუ ამისსა შემდგომად, უნდა დამკჳდრებად კურთხევაჲ დ შეურაცხ იქმნა იგი; რამეთუ სინანულისა ადგილი არა ჰპოვა დ ცრემლითღა თუ ითხოვდა მას.

18. რამეთუ არა მოსრულ ხართ თქუჱნ მათსა მას ჴელით შესახებელსა დ აღგზებულსა ცეცხლითა დ წყუდიადითა, დ ბნელითა, დ ნისლითა,

19. და საყჳრისა ოხრასა დ ჴმასა სიტყუათასა, რომელთა იგი

ესმა იჳმნეს, რათა არღარა შეემი-
ნოს მათ სიტყუაჲ.
20. რამეთუ ვერ ითმენდეს
ბრძანებულსა მას: მჴეციღა თუ
შეეხებოდა მთასა მას, ქვითა განი-
დევნებოდა.
21. და ესრეთ საშინელ იყო
საოცრება იგი, მოსე ჰსთქუა:
შეშინებულ-ვარ და შემრწუნებულ.
22. არამედ მოსრულ ხართ
თქუჱნ მთასა სიონსა, და ქალაქ-
სა ღმრთისა ცხოველისასა, იერუ-
სალიმსა ზეცისასა და ბევრეულსა
ანგელოსთა კრებულსა.
23. და ეკკლესიასა პირმშოთა-
სა, აღწერილსა ცათა შინა, და
ღმრთისა მსაჯულისა ყოველთა-
სა, და სულებისა მართალთა მათ
აღსრულებულთასა,
24. და ჰსჯულისა მის ახლი-
სა შუა-მდგომელისა იესოსა, და
სისხლითა პკურებასა, უმჯობესსა
თქმულისა მის, აბელის მიერ.
25. ეკრძალენით, ნუ უკუჱ
ვინმე იჳმნათ მეტყუჱლისა მის-
გან. რამეთუ უკეთუ იგინი, ვერ
განერნეს, რომელთა ქუჱყანასა
ზედა იჳმნეს ბრძანებისაგან: რავ-
დენ უფროს ჩუჱნ, უკეთუ ზე-
ცისასა მას გარე მივიქცეთ,
26. რომლისა ჴმამან ქუჱყა-
ნაჲ შეჰსძრა მაშინ, და აწ აღუთ-
ქუა მას და იტყჳს: მერმე ერთ-
გზის-ღა შევჰსძრა მე არა ხოლო
ქუჱყანაჲ, არამედ ცანიცა.
27. ხოლო ესე: მერმე ერთ-
გზის-ღა, აუწყებს შეძრულთა მათ
ცუალებასა, ვითარცა ქმნულთასა,
რათა ეგოს შეუძრველი იგი.
28. ამისთჳსცა, სასუფეველი
შეუძრველი დავიპყრათ, მაქუს
ჩუჱნ მადლი, რომლითა ვჰმსახუ-
რებთ სათნოდ ღმერთსა, მოში-
შებითა და ღირსებითა.
29. რამეთუ ღმერთი ჩუჱნი
ცეცხლ განმლეველ არს.

თ ა ვ ი 13.

1. ძმათ-მოყუარება ეგენ; სტუმ-
რის მოყუარებასა ნუ დაივიწ-
ყებთ:
2. რამეთუ ამისგან ვიეთმე,
რეცა არა უწყოდეს, და ანგელოს-
ნი ისტუმრნეს.
3. მოიჴსენენით კრულნი იგი,
ვითარცა მათთანავე კრულთა, და
ძჳრ ხილულნი იგი, რამეთუ
თქუჱნცა ჴორცნივე გასხენ.
4. პატიოსან არს ქორწილი
ყოვლითავე და საწოლი შეუგინე-
ბელ; ხოლო მეძავნი და მემრუშე-
ნი ჰსაჯნეს ღმერთმან.
5. ვეცხლის უყუარულ-იყუჱ-
ნით, სახითა კმა-გეყავნ, რომელი
იგი გაქუნდეს. რამეთუ თავადმან
ჰსთქუა: არა დაგიტეო არცა
დაგაგდო შენ.
6. ვინაჲცა საკადრებელ-არს
ჩუჱნდა თქმად: უფალი არს მწე
ჩემდა, არა შემეშინოს: რა მიყოს
მე კაცმან?
7. მოიჴსენენით წინამძღუარ-
ნი იგი თქუჱნნი, რომელნი
გეტყოდეს თქუჱნ სიტყუათა მათ
ღმრთისათა; და, ჰხედჳდით გამოს-
ლუასა მას ცხოვრებისა მათისასა,
და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა.
8. იესო ქრისტე გუშინ, და

დღეს, და იგი თავადი არს უკუ-
ნისამდე.

9. მოძღურებასა მრავალ სახე-
სა და უცხოსა ნუ შეიწუნარებთ:
რამეთუ კეთილად მადლითა გან-
მტკიცებულ-სართ გულითა, და არა
საჭმლითა, რომლითა ვერა რა ირ-
გეს, რომელნი ვიდოდეს მას შინა.

10. მაქუს ჩუენ საკურთხეველ-
ლი, რომლისაგან ჭამად ვერ
კელეწიფების, რომელნი იგი
კარავსა მას მსახურებენ.

11. რომელსა იგი შეიწირვის
საცხოვართა სისხლი ცოდუათა-
თჳს, სიწმიდესა მას შინა მღუ-
დელთ-მთავრისა მიერ, ამათნი იგი
კორცნი დაიწუებოდეს გარეშე
ბანაკსა მას;

12. ამისთჳსცა იესო, რათა
წმიდა ჰყოს თჳსითა სისხლითა
ერი, გარეშე ბჭეთა ივნო.

13. აწ უკუე განვიდეთ მისა
გარეშე ბანაკსა მას, და ყუედრე-
ბაჲ იგი მისი მოვიღოთ.

14. რამეთუ არა მაქუს ჩუენ
აქა საყოფელად ქალაქი, არამედ
მერმესა მას ვეძიებთ.

15. ამისთჳს შევჰსწირავთ
მსხუერპლსა ქებისასა მარადის
ღმრთისა, ესე იგი არს, ნაყოფ-
სა ბაგეთასა და აღსარებასა სახელი-
სა მისისასა.

16. ხოლო კეთილის საქმესა
და ზიარებასა ნუ დაივიწყებთ: რამე-
თუ ესე-ვითარნი მსხუერპლნი
სათნო არიან ღმრთისა.

17. დაემორჩილენით წინა-
მძღუართა თქუენთა და ერჩდით
მათ: რამეთუ იგინი იღვიძებენ
სულთა თქუენთათჳს, ვითარცა
იგი სიტყუა მიჰსცენ; რათა სი-
ხარულით ამას ჰყოფდენ, და არა
სულთ-ითქმიდენ: რამეთუ არა
ადვილ-არს ესე თქუენდა.

18. ილოცევდით ჩუენთჳსცა.
რამეთუ გურწამს, ვითარმედ კეთი-
ლი გონებაჲ გაქუსთ ყოველსა
შინა და კეთილად გნებავსთ სულად.

19. უმეტესადღა გლოცავ ამას
ყოფად, რათა ადრე მოვიდე
თქუენდა.

20. ხოლო ღმერთმან მშჳდო-
ბისამან, რომელმან აღმოიყუანა
მკუდრეთით მწყემსი იგი ცხოვარ-
თა დიდი სისხლითა მით აღთქმი-
სა საუკუნოჲსათა, უფალი ჩუენი
იესო ქრისტე,

21. დაგამტკიცენინ თქუენ
ყოვლითა საქმითა კეთილითა,
ყოფად ნებისა მისისა, რომელ-
მან ჰყოს სათნოებაჲ მისი ჩუენ
შორის წინაშე მისსა ქრისტე ი-
სოს მიერ. რომლისა არს დიდე-
ბა უკუნითი უკუნისამდე! ამინ.

22. ხოლო გლოცავ თქუენ,
ძმანო, თავს-იდევით სიტყუა ესე
ვედრებისა: დალათუ მცირედ მივ-
ჰსწერე თქუენდა.

23. იცით, ტიმოთე ძმაჲ ჩუენ-
ნი, რომელ მივავლინე, რომლი-
სა თანა ადრე თუ მოვიდეს გი-
ხილნე თქუენ.

24. კითხუა არქუთ ყოველთა წი-
ნა-მძღუართა თქუენთა და ყოველ-
თა წმიდათა. გიკითხუენ თქუენ,
რომელნი იგი არიან იტალიაჲთ.

25. მადლი თქუენ ყოველთა
თანა. ამინ.

# გამოცხადება იოანე მოციქულისა.

## თავი 1.

1. გამოცხადება იესო ქრის-
ტესი, რომელი იგი მოჰსცა მას
ღმერთმან, ჩუენებად მონათა მი-
სთა, საქმეთა, რომელთა ჯერ-არს
ადრე აღსრულება; და გამოცხადე-
ბა მოვლინებითა ანგელოსისა
მისისათა, მონასა მისსა იოანეს,
2. რომელმანცა წამა სიტყუა
ღმრთისა და წამება იესო ქრის-
ტესი, რავდენიცა იხილა, და რო-
მელი არს, და რომელსა ეგულვე-
ბის ყოფად.
3. ნეტარ-არს, რომელნი იკი-
თხჳდენ, და რომელნი ისმენდენ
სიტყუათა წინასწარ-მეტყუელები-
სათა, და დაიმარხონ, რომელი იგი
მას შინა წერილ-არს: რამეთუ ჟა-
მი ახლოს არს.
4. იოანე შჳდთა მათ ეკკლე-
სიათა ასიასთა: მადლი თქუენდა
და მშჳდობა ღმრთისაგან, რომე-
ლი არს, და რომელი იყო, და რო-
მელი მომავალ-არს, შჳდთა სულ-
თაგან, რომელნი წინაშე საყდარ-
სა მისსა არიან.
5. და იესო ქრისტესგან, მო-
წამისა სარწმუნოსა, პირმშოსა
შესუენებულთასა და მთავრისა მე-
ფეთა ქუეყანისათა. რომელმან
შემიყუარნა ჩუენ და განგუბანა
ცოდუათა ჩუენთაგან სისხლითა
თჳსითა,
6. და გუყუნა ჩუენ სამეუფო
მღუდელ ღმრთისა და მამისა თჳ-
სისა, რამეთუ მისი არს დიდებაჲ
და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამ-
დე. ამინ.
7. აჰა ესერა, მოვალს ღრუ-
ბელთა თანა, და იხილოს ყოველ-
მან თუალმან, რომელთა იგი უგ-
მირეს; და გოდებდენ ყოველნი
ტომნი ქუეყანისანი. ჰე, ამინ.
8. მე ვარ ანი და ჵე, პირვე-
ლი და უკანასკნელი, იტყჳს უფა-
ლი, რომელი არს, და რომელი
იყო, და რომელი მომავალ არს,
ყოვლისა მპყრობელი.
9. მე იოანე, ძმა თქუენი და
ზიარი ჭირსა და სუფევასა და
მოთმინებასა ქრისტე იესოს მიერ,
ვიყავ ჭალაკსა მას, რომელსა ეწო-
დების პატმოს, სიტყჳსათჳს
ღმრთისა და წამებისათჳს იესო
ქრისტესისა.
10. ვიქმენ სულითა დღესა
კჳრიაკესა, და მესმა უკანაჲთ კერ-
ძო ჩემსა ჴმა დიდი, ვითარცა
საყჳრისა,
11. რომელი მეტყოდა, ვი-
თარმედ მე ვარ ანი და ჵე, პირვე-

ლი და უკანასკნელი; რომელსა ესე
ჰხედავ, დაწერე წიგნსა შინა, და
წარეც შჳდთა მათ ეკკლესიათა
ასიასთა: ეფესოს, და ზმირინს, და
პერგამოს, და თეატიროს, და სარ-
დეს, და ფილადელფეს, და ლავდი-
კეს.
12. და მივიქეც მუნ, სმენად
ჴმისა მის, რომელი მეტყოდა მე;
და ვითარცა მივიქეც, ვიხილენ
შჳდნი სასანთლენი ოქროჲსანი,
13. და შორის შჳდთა მათ
სასანთლეთა მჰსგავსი ძისა კაცისა,
შემოსილი ზეწრითა და ერტყა
მუმუთა თანა მისთა სარტყელი
ოქროჲსა.
14. და თავი და თმანი მისნი
სპეტაკ, ვითარცა მატყლი სპეტა-
კი, და ვითარცა თოვლი; და თუალ-
ნი მისნი, ვითარცა ალი ცეცხლისა;
15. და ფერჴნი მისნი მსგავს
იყუნეს რვალსა გუნდრუკსა, ვი-
თარცა ცეცხლსა შინა გამოხურვე-
ბულსა, და ჴმა მისი, ვითარცა
ჴმა წყალთა მრავალთა.
16. და მარჯუენესა ჴელსა
მისსა აქუნდეს ვარსკულავნი შჳდ-
ნი; და პირისა მისისაგან გამოვი-
დოდა მახჳლი ორპირი ალესუ-
ლი, და პირი მისი, ვითარცა მზე,
ბრწყინავს ძალითა თჳსითა.
17. და რაჟამს ვიხილე იგი,
დავარდი ფერჴთა თანა მისთა,
ვითარცა მკუდარი. და დაჰსდუა
მარჯუენე მისი ჩემ ზედა, მრქუა:
ნუ გეშინინ; მე ვარ პირველი და
უკანასკნელი,
18. და რომელი ცხოველ ვარ;
და ვიქმენ მკუდარ, და აჰა ესერა,
ცხოველ ვარ უკუნითი უკუნისამ-
დე, ამინ. და მქონან კლიტენი
სიკუდილისა და ჯოჯოხეთისანი.
19. დაწერე უკუე, რა ესე
იხილე, და რა ესე არს, და რა ეგულ-
ვების ყოფად შემდგომად ამისა.
20. საიდუმლო შჳდთა ამათ
ვარსკულავთა, რომელნი იხილენ
მარჯუენესა ზედა ჩემსა, და შჳდ-
ნი ესე სასანთლენი ოქროჲსანი:
და შჳდნი ესე ვარსკულავნი ანგე-
ლოსნი შჳდნი ეკკლესიათანი არიან;
და შჳდნი ესე სასანთლენი, რომელი
იხილე, არიან შჳდნი ეკკლესიანი.

## თ ა ვ ი 2.

1. ანგელოზსა ეფესოჲს ეკკ-
ლესიისასა მიუწერე, ვითარმედ
ამას იტყჳს, რომელსა უპყრიან
შჳდნი იგი ვარსკულავნი მარჯუე-
ნესა მისსა, რომელი იგი ვალს
შჳდთა მათ სასანთლეთა შორის
ოქროჲსათა;
2. ვიცნი საქმენი შენნი, და შრო-
მანი შენნი, და მოთმინება შენი,
და ვითარმედ ვერ მალ-გიძს ტჳრ-
თუად უკეთურთა მათ, და გამოჰსცა-
დენ იგინი, რომელნი იტყჳან თავ-
თა თჳსთა მოციქულად, და არა არნ,
და ჰპოვნე იგინი მტყუვრად.
3. და მოთმინება გაქუს, და
იტჳრთე სახელისა ჩუენისათჳს,
და არა დაშურე.
4. არამედ მაქუს შენდა მომართ,
რამეთუ სიყუარული იგი შენი
პირველი დაუტევე.
5. მოიჴსენებდ, უკეთუ და სა-
დათ დაეცი, და შეინანე, და პირ-
ველნივე საქმენი ქმნენ; უკეთუ

არა, მოვალ ადრე, და აღვმრა სასანთლე შენი ადგილისაგან თჳსისა, უკეთუ არა შეინანო.

6. არამედ ესე გაქუს, რამეთუ გძულან საქმენი იგი ნიკოლაელთანი, რომელნი იგი მე მძულან.

7. რომელსა გქონან ყურნი ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა: რომელმან ჰსძლოს, მივსცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხოვრებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღმრთისასა.

8. და ანგელოზსა ზმირინისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყჳს პირველი და უკანასკნელი იგი რომელი იქმნა მკუდარ, და აჰა, ცხოველ არს.

9. ვიცნი საქმენი შენნი, ჭირი, და სიგლახაკე, არამედ მდიდარ ხარ, და გმობა იგი მათი, რომელნი იტყჳან თავთა თჳსთა ურიად, და არა არიან, არამედ შესაკრებელი ეშმაკთა.

10. ნუ გეშინის საქმეთაგან, რომელთა ეგულვების ეშმაკსა თქუჱნთაგანთა შთაგდებად საპყრობილესა, რათა გამოიცადნეთ ათ დღე. იქმენ მორწმუნე, ვიდრე სიკუდილადმდე; და მოგცე შენ გჳრგჳნი ცხოვრებისა.

11. რომელსა ჰქონან ყურნი ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა: რომელმან ჰსძლოს, არა ევნოს მას სიკუდილისა მისგან მეორისა.

12. და ანგელოზსა პერღამისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყჳს, რომელსა იგი აქუს მახჳლი ორპირი აღლესული:

13. ვიცნი საქმენი შენნი, თუ სადა მკჳდრ ხარ, სადა იგი არს საყდარი ეშმაკისა, და გიპყრიეს სარწმუნოება ჩემი, და არა უარ-ჰყავ სახელი ჩემი, დღეთა მათ ანტიპა მოწამისა ჩემისა სარწმუნოსათა, რომელი იგი მოიკლა თქუჱნ შორის სადა იგი ეშმაკი მკჳდრ არს.

14. არამედ მაქუს შენდა მომართ მცირედი: რამეთუ გქონან ვინმე, რომელთა უპყრიეს სწავლა იგი ბალამისი, რომელ ასწავა ვალაკს, რათა დადვას დაბრკოლება წინაშე ძეთა ისრაილისათა, ჭამად კერპთა ნაზორევსა და სიძვად.

15. ეგრეთვე შენცა გყუანან, რომელთა უპყრიეს სწავლა იგი ნიკოლაელთა, რომელი მძულს.

16. შეინანე; უკუჱ თუ არა, მოვალ შენდა ადრე, და ბრძოლა ვჰყო მათ თანა მახჳლითა პირისა ჩემისათა.

17. რომელსა ჰქონან ყურნი ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა: ვითარმედ, რომელმან ჰსძლოს, მივსცე მას ჭამად მანანასა მისგან დაფარულისა, და მივსცე მას ქუა სპეტაკი და ქუასა მას ზედა სახელი ახალი დაწერილი, რომელი არა ვინ უწყის, გარნა, რომელმან მიიღოს.

18. და ანგელოზსა თიატირისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყჳს ძე ღმრთისა, რომლისა თუალნი არიან, ვითარცა ალი ცეცხლისა, და ფერკნი მისნი მსგავს არიან რვალსა გუნდრუკსა:

19. ვიცნი საქმენი შენნი, და სიყუარული შენი, და სარწმუნოე-

ბა, და მსახურება, და მოთმინება, და საქმენი შენნი უკანასკნელნი უმრავლეს პირველისა.

20. არამედ მაქუ̂ს შენდა მომართ მცირე რაჲმე: რამეთუ დაუტევე ცოლი შენი იეზაბელ, რომელი იტყჳს თავსა თჳსსა წინასწარ-მეტყუ̂ჱლად, და ასწავლის და აცთუნებს ჩემთა მონათა, სიძვად და ჭამად კერპთა ნაზორევისა.

21. და მივეც მას ჟამი, რათა შეინანოს, და არა ჰნებავს სინანულად სიძვისაგან მისისა.

22. აჰა ესერა, მე დავამკუ̂ა იგი სარეცელსა ზედა, და რომელნი იმრუშებდენ მისთანა შთავჰყარნე ჭირსა დიდსა, უკეთუ არა შეინანონ საქმეთაგან მათთა.

23. და შჳლნი მისნი მოვჰსწყვიდნე სიკუ̂დილითა, და ჰსცნან ყოველთა ეკკლესიათა, ვითარმედ მე ვარ, რომელი განვიკითხავ გულსა და თირკმელთა; და მიგცე თქუ̂ჱნ თითოეულსა საქმეთა თქუ̂ჱნთაებრ.

24. ხოლო თქუ̂ჱნ გეტყვი, სხუ̂ათა მაგათ, რომელნი ხართ თიატირსა შინა, რომელთა არა გაქუ̂ს სწავლა ესე, რომელთა არა გიცნობიეს საქმენი ეშმაკთანი, ვითარ იტყვიან, არღარა მოვაწიო თქუ̂ჱნ ზედა სხუ̂ა სიმძიმე;

25. არამედ, რომელი ეგე გაქუ̂ს, დაიმჭირეთ, ვიდრემდის მოვიდე.

26. და რომელმან ჰსძლოს, და იმარხოს ვიდრე აღსასრულადმდე საქმენი ჩემნი, მივჰსცე მას ჴელმწიფება წარმართთა ზედა.

27. და ჰმწყსიდეს მათ კუ̂ჱრთხითა რკინისათა; ვითარცა ჭურნი იგი მეკეცეთანი, შეიმუსრნენ, ვითარცა მე მოვიღე მამისაგან ჩემისა.

28. და მივჰსცე მას ვარსკუ̂ლავი იგი განთიადისა.

29. რომელსა ასხენ ყურნი ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკკლესიათა.

## თ ა ვ ი 3.

1. და ანგელოზსა სარდიის ეკკლესიისასა მიუწერე: ვითარმედ ამას იტყჳს, რომელსა ჰქონან შჳდნი იგი სულნი ღმრთისანი და შჳდნი იგი ვარსკუ̂ლავნი: ვიცნი საქმენი შენნი; რამეთუ სახელი გაქუ̂ს, რამეთუ ცხოველ-ხარ, და მკუ̂დარ-ხარ.

2. იქმენ მღჳძარე, და განამტკიცენ სხუ̂ანი იგი, რომელთა ეგულვებოდა სიკუ̂დილი; რამეთუ არა მიპოვნიან საქმენი შენნი აღსრულებად წინაშე ღმრთისა.

3. იხსენებდ უკუ̂ჱ, ვითარ მიიღე და ისმინე, და იმარხე და შეინანე. ხოლო უკეთუ არა მღჳძარე იყო, მოვიდე შენ ზედა, ვითარცა მპარავი, და ვერ ჰსცნა, რომელსა ჟამსა მოვიდე შენ ზედა.

4. არამედ მცირედი სახელები გყავს სარდეს შინა, რომელთა არა შეუგინებიეს სამოსლები მათი, და ვიდოდიან იგინი ჩემთანა სამოსლითა სპეტაკითა; რამეთუ ღირს არიან.

5. რომელმან ჰსძლოს, ესრეთ შეიმოსოს სამოსელი სპეტაკი; და არა აღვხოცო სახელი მისი წიგნისაგან ცხოველთასა, და აღვიარო სახელი მისი წინაშე მამისა ჩემისა და წინაშე ანგელოსთა მისთა.

6. რომელსა ჰქონან ყურნი ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა.

7. და ანგელოზსა ფილადელფის ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყჳს წმიდა იგი და ჭეშმარიტი, რომელსა აქჳს კლიტე დავითისი, რომელი იგი განაღებს, და არა ვინ დაჴშის; გარნა განმღებელმან მან, და არა ვინ განაღოს დაჴშული იგი.

8. ვიცნი საქმენი შენნი; აჰა ესერა, მიმიცემია წინაშე შენსა კარი განღებული, რომლისა დაჴშად ვერ ვინ შემძლებელ-არს; რამეთუ მცირე გაქჳს ძალი და დაიმარხე სიტყჳა ჩემი, და არა უარ-ჰყავ სახელი ჩემი.

9. აჰა ესერა, მიგცემ კრებულისაგან ეშმაკისა, რომელნი იტყჳან თავსა თჳსსა ურიად და არა არიან, არამედ ტყუიან, აჰა ესერა, ვჰყჳნე იგინი, რათა მოვიდენ და თაყჳანის-გცენ წინაშე ფერჴთა შენთა, და ჰსცნან, რამეთუ მე შეგიყჳარე შენ.

10. რამეთუ დაიმარხე შენ სიტყჳა მოთმინებისა ჩემისა: და მეცა დაგიცჳა შენ ჟამისა მისგან განსაცდელისა, რომელსა ეგულვების მოსლჳად ყოველსა ზედა სოფელსა, გამოცდად მკჳდრთა მათ ქუეყანისათა.

11. აჰა, მოვალ ადრე; იპყარ, რომელ ეგე გაქჳს, რათა არა ვინ მიიღოს გჳრგჳნი შენი.

12. რომელმან ჰსძლოს, ვჰყო იგი სჳეტად ტაძარსა შინა ღმრთისა ჩემისა, და გარე არღარა განვიდეს მერმე; და დავჰსწერო მას ზედა სახელი ღმრთისა ჩემისა და სახელი ქალაქისა ღმრთისა ჩემისა, ახლისა იერუსალიმისა, რომელი გარდამოვალს ზეცით ღმრთისაგან ჩემისა, და სახელი ჩემი ახალი.

13. რომელსა ასხენ ყურნი სმენად ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკლესიათა.

14. და ანგელოზსა ლავდიკიისა ეკლესიისასა მიუწერე, ვითარმედ ამას იტყჳს ამინი, მოწამე იგი სარწმუნო და ჭეშმარიტი, დასაბამი დაბადებულთა ღმრთისათა:

15. ვიცნი საქმენი შენნი; რამეთუ არცა გრილი ხარ და არცა ტფილი; ჯერ-იყო, რათამცა გრილი იყავ, ანუ ტფილი!

16. არამედ ესრეთ ნელ-ტფილ ხარ, და არცა გრილ ხარ და არცა ტფილი: მეგულვების აღმოგდება შენი პირისაგან ჩემისა.

17. რამეთუ იტყჳ: მდიდარ ვარ და განვმდიდრდი და არა რა მეკმარების; და არა უწყი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკ, და საწყალობელ, და გლახაკ, და ბრმა, და შიშჳლ.

18. და განგაზრახებ შენ, რათა იყიდო ჩემგან ოქრო, გამოხურვებული ცეცხლითა, რათა განმდიდრდე, და სამოსელი სპეტაკი შეიმოსო; და არა გამოცხადნეს

სირცხჳლი სიშიშულისა შენისა, და საოლავი, რათა იოლვნე თუალნი შენნი, რათა ხედვიდე.

19. მე რომელნი მიყუარან, ვამხილებ და ვჰსწავლი. ეშურვებოდენ უკუჱ, და შეინანე.

20. აჰა ესერა, ვჰსდგა კარსა ზედა, და ვრეკ. უკეთუ ვინმე ისმინოს ჴმისა ჩემისა, და განაღოს კარი, შევიდე მისთანა, და ვჰსჭამო მის თანა სერი, და მან ჩემთანა.

21. რომელმან სძლოს, მივჰსცე მას დაჯდომა ჩემთანა საყდარსა ჩემსა, ვითარცა იგი მე ვჰსძლე, და დავჰსჯე მამისა ჩემისა თანა საყდარსა მისსა.

22. რომელსა ასხენ ყურნი ისმინენ, რასა ეტყჳს სული ეკკლესიათა.

## თავი 4.

1. შემდგომად ამისა ვიხილე, და აჰა, კარი განღებული ცათა შინა, და ჴმა იგი, რომელ მესმა პირველ, ვითარცა საყჳრისა, მეტყოდა მე, ვითარმედ მოვედ აქა, და გიჩუენო, რა იგი ყოფად არს შემდგომად ამისსა.

2. მეყუსეულად ვიქმენ სულითა; და აჰა, ჰსდგა საყდარი ცათა შინა, და საყდარსა ზედა მჯდომარე.

3. მჯდომარე იყო მჰსგავსი ქუასა მას იასპსა და სარდიონსა; ირისე იყო გარეშემო საყდრისა მის, და ეგრეთვე ხილვა სმარაგდეთა.

4. გარემოს საყდრისა საყდარნი ოცდა ოთხნი; და საყდართა მათ ზედა ვიხილე ოცდა ოთხნი მღუდელნი მსხდომარენი, შემოსილნი სამოსლითა სპეტაკითა, და თავთა ზედა მათთა გჳრგჳნი ოქროსანი.

5. და საყდრისა მისგან გამოვალნ ელვანი და ქუხილნი და ჴმანი, და შჳდნი ლამპარნი ცეცხლისანი იწუებოდეს წინაშე საყდრისა მის, რომელნი არიან შჳდნი იგი სულნი ღმრთისანი.

6. და წინაშე საყდარსა მისსა, ვითარცა ზღუა მინისა, მჰსგავსი ბროლისა; და შორის საყდრისა და გარემოს საყდრისა ოთხნი ცხოველნი, სავსენი თუალით წინაჲთ და უკანაჲთ.

7. და პირველი იგი ცხოველი მჰსგავსი ლომისა, და მეორე ცხოველი მჰსგავსი კუროსა, და მესამესა ცხოველსა აქუნდა, ვითარცა პირი კაცისა, და მეოთხე ცხოველი მჰსგავსი არწივსა მფრინვალესა.

8. და ოთხთა მათ ცხოველთა თითოეულსა აქუნდეს ექუსნი ფრთენი გარემო, და შინაგან სავსე არიან თუალითა; და განსუენება არა აქუს დღე და ღამე. არამედ იტყჳან: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი ყოვლისა მპყრობელი, რომელი იყო, რომელი არს და რომელი მომავალ არს.

9. და რაჟამს მისცენ ცხოველთა მათ დიდება და პატივი და მადლობა მჯდომარესა მას საყდარსა ზედა, რომელი ცხოველ არს უკუნითი უკუნისამდე;

*

10. დავარდებიან ოცდა ოთ-
ხნი იგი მღუდელნი წინაშე საყ-
დართა მჯდომარისა მის, და თაყ-
უანის სცემენ მას, რომელი იგი
ცხოველ არს უკუნითი უკუნისამ-
დე, დაჰსდებენ გჳრგჳნთა მათთა
წინაშე საყდრისა მის და იტყჳან:
11. ღირს ხარ შენ, უფალო,
მიღებად დიდებისა და პატივისა
და ძლიერებისა: რამეთუ შენ დაჰ-
ბადენ ყოველნივე, და ნებითა შე-
ნითა იყუნეს და დაებადნეს.

თ ა ვ ი 5.

1. და ვიხილე მარჯუენით
მჯდომარისა მის საყდარსა ზედა
წიგნი, დაწერილი შინაგან და გა-
რეგან, დაბეჭდული ბეჭდითა შჳ-
დითა.
2. და ვიხილე ანგელოსი ძლი-
ერი, რომელი ქადაგებდა ჴმითა
დიდითა, ვითარმედ ვინმე ღირს
არს განღებად წიგნისა მის და
განჴსნად ბეჭდთა მისთა?
3. და ვერ ვინ შემძლებელ-არს
ზეცათა შინა, და არცა ქუეყანასა
ზედა, არცა ქუესკნელთა შინა,
განღებად წიგნისა მის, და არცა
მიხედუად მისა.
4. და მე ვჰსტიროდე ფრიად,
რამეთუ არა ვინ იპოვა ღირსი,
რომელსამცა განეღო წიგნი იგი
და წარეკითხა, ანუმცა მიეხედნეს
მისდა.
5. და ერთმან მღუდელთაგან-
მან მრქუა მე: ნუ სტირ; აჰა ესე-
რა, ჰსძლო ლომმან, რომელ-არს
თესლისგან იუდასსა, ძირმან მან
დავითისმან, რომელმან განაღოს
წიგნი, და განჰხსნას შჳდნი იგი
ბეჭედნი მისნი.
6. და ვიხილე, და აჰა ესერა,
შორის საყდართა და ოთხთა მათ
ცხოველთა, და შორის მღუდელ-
თასა კრავი მდგომარე, ვითარცა
დაკლული, და აქუნდა შჳდნი რქა-
ნი, და შჳდნი თუალნი, რომელ
არიან შჳდნი იგი სულნი ღმრთი-
სანი, რომელნი მოივლინებიან
ყოველსა ქუეყანასა.
7. და მოვიდა, და მიიღო წიგ-
ნი მარჯუენისაგან საყდართა ზე-
და მჯდომარისა.
8. და რაჟამს მიიღო მან წიგ-
ნი იგი, ოთხნი იგი ცხოველნი
და ოცდა-ოთხნი მღუდელნი დაჰ-
ვარდეს წინაშე კრავისა მის, და
აქუნდა თითოეულსა ათ-ძალი და
ლანკანი ოქროსანი, სავსენი საკ-
მეველითა, რომელ არიან ლოც-
ვანი წმიდათანი.
9. და გალობდეს გალობასა
ახალსა და იტყოდეს: ღირს ხარ
შენ მიღებად წიგნისა მის, და
აღებად ბეჭედთა მისთა: რამეთუ
დაიკალ, და გჳყიდენ ჩუენ ღმერ-
თსა სისხლითა შენითა ყოვლი-
საგანვე თესლისა და ენისა და ერ-
თა და წარმართთა;
10. და მეყუენ ჩუენ ღმერთ-
მან ჩუენმან მეფედ და მღუდლად;
და ვსუფევდ ქუეყანასა ზედა.
11. და ვიხილე, და მესმა, ვი-
თარცა ჴმა ანგელოსთა მრავალთა
გარემოს საყდრისა და ცხოველთა
და მღუდელთასა; და იყო რიცხვი

მათი ბევრი ბევრთანი, და ათასნი ათასთანი.

12. რომელნი იტყოდეს ჴმითა დიდითა: ღირს არს კრავი დაკლული მიღებად ძალისა, და სიმდიდრისა, და სიბრძნისა, და ძლიერებისა, და პატივისა, და დიდებისა, და კურთხევისა.

13. და ყოველთავე დაბადებულთა, რომელნი არიან ცასა შინა და ქუეყანასა ზედა, და ქუესკნელთა ქუეშე ქუეყანისათა, და ზღვათა შინა, რომელ-არს მათ ყოველთაგან, მესმა, რომელნი იტყოდეს: რომელი ზის საყდარსა ზედა, და კრავისა კურთხევა და პატივი და დიდება და სიმტკიცე, უკუნითი უკუნისამდე.

14. და ოთხთა მათ ცხოველთა თქუეს: ამინ. და ოცდა ოთხნი მღდელნი იგი დავარდეს, და თაყუანის-სცეს ცხოველსა მას საუკუნეთა საუკუნეთასა.

## თ ა ვ ი 6.

1. და ვიხილე, რამეთუ აღაღო კრავმან მან ერთი მათ ბეჭედთაგანი, და მესმა ერთისა მის ოთხთა ცხოველთაგანისა, ვითარცა ჴმითა ქუხილისათა, რომელი იტყოდა: მოვედ და იხილე.

2. და ვიხილე, აჰა, ცხენი სპეტაკი, და მჯდომარესა მას ზედა, აქუნდა მშჳლდი, და მიეცა მას გჳრგჳნი; და განვიდა ძლევითა, და რათა სძლოს.

3. და რაჟამს აღაღო მეორე ბეჭედი, მესმა მეორისა მის ცხოველისა, რომელი იტყოდა: მოვედ და იხილე.

4. და განმოვიდა სხუა ცხენი წითელი; და მჯდომარესა მას ზედა მიეცა აღებად მშჳდობა ქუეყანით, რათა ერთმან ერთი მოკლწყვიდონ; და მიეცა მას მახჳლი დიდი.

5. და რაჟამს აღაღო მესამე ბეჭედი, მესმა მესამისა მის ცხოველისა, რომელი იტყოდა: მოვედ და იხილე. და ვიხილე, და აჰა ცხენი შავი, და მჯდომარესა მას ზედა, აქუნდა ჴელთა მისთა უღელი.

6. და მესმა ჴმა შორის ოთხთა მათ ცხოველთასა, რომელი იტყოდა: სამაგდანი იფქლი დრაჰკანისა, და სამი სამაგდანი ქერი დრაჰკნისა; და არა ღვინოსა და ზეთსა ნუ ავნებ.

7. და რაჟამს აღაღო მეოთხე ბეჭედი, მესმა მეოთხისა ცხოველისა, რომელი იტყოდა: მოვედ და იხილე.

8. და ვიხილე, და აჰა, ცხენი მწვანე და ზედა მჯდომარესა მას ზედა სახელი მისი სიკუდილი; და ჯოჯოხეთი შეუდგა მას, და მიეცა ჴელმწიფებაი მეოთხედისა ქუეყანისასა, მოკლუად მათდა მახჳლითა და სიყმილითა, და სიკუდილითა, და მხეცთა მიერ ქუეყანისათა.

9. და რაჟამს აღაღო მეხუთე ბეჭედი, ვიხილენ საკურთხეველსა ქუეშე სულნი იგი მოკლულნი სიტყჳსათჳს ღმრთისა და წამებისათჳს, რომელ აქუნდა.

10. და ჴმა ჰყუეს ჴმითა დიდითა და ჰსთქუეს: ვიდრემდის, მეუფეო წმიდაო და ჭეშმარიტო, არა ჰსჯი სისხლთა ჩუენთა მკჳდრთაგან ქუეყანისათა?

11. და მიეცა მათ თითოეულსა სამოსლები სპეტაკები, და ითქუა მათდა მიმართ, რათა განისუენონ მცირედ ჟამთა, ვიდრემდის აღესრულნენ მათ თანა მონანი და ძმანი მათნი, და რომელთა ეგულვებოდა სიკუდილი, ვითარცა მათ.

12. და ვიხილე, რაჟამს აღაღო მეექუსე ბეჭედი, და აჰა, ძრვა იქმნა, დიდი, და მზე შავიქმნა, ვითარცა ძაძა ბალნისა, და მთოვარე ყოვლითურთ იქმნა, ვითარცა სისხლი.

13. ვარსკულავნი ცისანი გარდამოცჳვეს ქუეყანად, ვითარცა ლეღუმან რა დაყარის პირველი ნაყოფი თჳსი, ქარისაგან დიდისა შერყევითა.

14. და ცა წარიგრაგნა, ვითარცა წიგნი წარგრაგნილი; და ყოველი მთა და ბორცჳ ადგილთა თჳსთაგან შეიძრვნეს.

15. და მეფეთა ქუეყანისათა, და მთავართა, და ათასის-თავთა, და მდიდართა, და ძლიერთა, და ყოველმან მონამან, და აზნაურმან დამალნეს თავნი მათნი ქვაბთა შინა და კლდეთა და მთათა შინა;

16. და ეტყოდეს მთათა და კლდეთა: დამეცენით ჩუენ ზედა, და დაგუფარენით ჩუენ პირისაგან საყდართა ზედა მჯდომარისა და რისხჳსაგან კრავისა.

17. რამეთუ მოვიდა დღე იგი დიდ რისხჳსა მისისა; და ვინ შემძლებელ-არს დადგომად?

თ ა ვ ი 7.

1. და შემდგომად ამისა ვიხილენ ოთხნი ანგელოსნი, მდგომარენი ოთხთა კიდეთა ქუეყანისათა, და დაეპყრნეს ოთხნი ქარნი ქუეყანისანი, რათა არღარა ქროდიან ქუეყანასა ზედა, არცა ზღუათა, არცა ხეთა.

2. და ვიხილე სხუა ანგელოსი, აღმომავალი აღმოსავალით მზისათ და აქუნდა ბეჭედი ღმრთისა ცხოველისა. და ჴმა უყო ჴმითა დიდითა ოთხთა მათ ანგელოსთა, რომელთა მიეცა მათ ვნება ქუეყანისა და ზღვისა,

3. იტყოდენ: ნუ ავნებთ ქუეყანასა, ნუცა ზღუასა, ნუცა ხეთა, ვიდრემდის დავბეჭდნეთ მონანი ღმრთისა ჩუენისანი შუბლთა ზედა მათთა.

4. და მესმა რიცხჳ დაბეჭდულთა მათ: ას ორმეოცდა ოთხი ათასი დაბეჭდულთა ყოვლისაგან ტომისა ძეთა ისრაელისათა.

5. თესლისაგან იუდასთა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა; თესლისაგან რუბენისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა; თესლისაგან გაადისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა;

6. თესლისაგან ასერისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა; თესლისაგან ნეფთალემისა ათორმეტი

ათასი დაბეჭდულთა; თესლისაგან მანასესა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა;

7. ტომისაგან სჳმეონისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა; თესლისაგან ლევისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა; თესლისაგან იზაქარისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა;

8. თესლისაგან ზაბულონისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა; თესლისაგან იოსებისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა; თესლისაგან ბენიამენისა ათორმეტი ათასი დაბეჭდულთა;

9. და ამისა შემდგომად ვიხილე, და აჰა, ერი ფრიადი, რომლისა აღრიცხუად ვერ ვინ შემძლებელ-იყო, ყოველთაგან წარმართთა და ტომთა და ენათა და ერთა მდგომარენი წინაშე საყდრისა და წინაშე კრავისა და შემოსილნი სამოსლითა სპეტაკითა და ჴელთა მათთა ფინიკები.

10. და ჴმობდეს ჴმითა დიდითა და იტყოდეს: მაცხოვარება ღმრთისა ჩუენისა, მჯდომარისა საყდართა ზედა, და კრავისათა!

11. და ყოველნი ანგელოზნი ჰსდგეს გარემოს საყდრისა და მღუდელთა და ოთხთა მათ ცხოველთასა, და დავარდეს წინაშე საყდრისა მის პირთა ზედა მათთა, და თაყუანის-ჰსცეს ღმერთსა,

12. და იტყოდეს: ამინ; კურთხევა და დიდება, და სიბრძნე, და მადლობა, პატივი, და ძალი, და სიმტკიცე ღმრთისა ჩუენისა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

13. და მომიგო ერთმან მღუდელთაგანმან და მრქუა მე: ესენი, რომელთა ჰმოსიეს სამოსლები სპეტაკები ვიეთნიმე არიან, ანუ სადათ მოსრულ-არიან?

14. და ვარქუ მას: უფალო ჩემო, შენ უწყი. და მრქუა მე: ესენი არიან, რომელნი მოსრულ-არიან ჭირისა მისგან დიდისა; და განურეცხნიეს მათ სამოსელნი მათნი, და განსპეტაკნეს სისხლითა მით კრავისათა.

15. ამისთჳს არიან წინაშე საყდარსა ღმრთისასა, და მსახურებენ მას დღე და ღამე ტაძარსა შინა მისსა, და მჯდომარემან მან საყდართა ზედა დაიმკჳდროს მათ შორის.

16. არღარა მოემშიოს მათ მერმე, არცა მოეწყუროს მერმე, არცაღა მოვიდეს მათ ზედა მზე, არცა ყოვლადვე სიცხე:

17. რამეთუ კრავი იგი, რომელ არს შორის საყდრისა, ჰმწყსის მათ და უძღჳს წყაროთა მიმართ წყლისა ცხოვრებისათა; და ახოცოს ღმერთმან ყოველი ცრემლი თუალთაგან მათთა.

## თ ა ვ ი 8.

1. და რაჟამს აღაღო მეშჳდე ბეჭედი, იქმნა დუმილი ცათა შინა, ვითარ ნახევარსა ჟამისასა.

2. და ვიხილენ შჳდნი იგი ანგელოზნი, რომელნი წინაშე ღმრთისა ჰსდგანან; და მიეცნეს მათ შჳდნი საყჳრნი.

3. და სხუა ანგელოზი მოვი-

და, და დაჰსდგა საკურთხეველსა ზედა, რომელსა აქუნდა სასაკმევლე ოქროსა; და მიეცა მას საკმეველი ფრიადი, რათა მიჰსცეს იგი ლოცუასა ყოველთა წმიდათასა საკურთხეველსა ზედა ოქროსასა, რომელ არს წინაშე საყდრისა.

4. და აღჰსხდა კუამლი იგი საკმეველთა ლოცჳსა მიმართ წმიდათასა ჴელისაგან ანგელოზისა წინაშე ღმრთისა.

5. და აღიღო ანგელოზმან მან სასაკმეველე იგი, აღავსო ცეცხლისა მისგან საკურთხეველსა, და დაასხა იგი ქუჱყანასა: და იქმნეს ქუხილნი და ჴმანი, და ელუანი, და ძრუა.

6. და შჳდთა ანგელოზთა, რომელთა აქუნდეს შჳდნი იგი საყჳრნი, და განემზადნეს თავნი თჳსნი ცემად.

7. და პირველმან მან ანგელოზმან დაჰსცა საყჳრსა, და იქმნა სეტყუა და ცეცხლი შეერთებული სისხლითა, და მოვიდა ქუჱყანად; და მესამედი ხეთა დაიწუა, და ყოველი თივა ნედლი დაიწუა.

8. მეორემან ანგელოზმან დაჰსცა საყჳრსა, და ვითარცა მთა დიდი, მოტყინარე ცეცხლითა, შთავარდა ზღუად; და მესამედი ზღჳსა იქმნა სისხლ.

9. და მოჰსწყდა მესამედი დაბადებულთა ზღჳსათა, რომელთა თანა არს სული, და მესამედი ნავთა განიხრწნა.

10. და მესამემან ანგელოზმან დაჰსცა საყჳრსა, გარდამოვარდა ზეცით ვარსკულავი დიდი, მოტყინარე ვითარცა ლამპარი, და დავარდა მესამედსა ზედა მდინარეთასა და წყაროთა ზედა წყალთასა.

11. და სახელი ვარსკულავისა მის აფსინდი; და გარდაიქცა მესამედი წყალთა აფსინდად, და მრავალნი კაცთაგანნი მოჰსწყდეს წყალთა მიერ, რამეთუ დამწარდეს.

12. და მეოთხემან ანგელოზმან დაჰსცა საყჳრსა, და იწყლა მესამედი მზისა, და მესამედი მთოვარისა, და მესამედი ვარსკულავთა, რათა დაბნელდენ მესამედი მათი, და მესამედი მათი არღარა გამოჰსჩნდეს, დღე და ღამე ეგრეთვე.

13. და ვიხილე და მესმა ერთისა ანგელოზისა, მფრინვალისა ჰაერთა შინა, რომელი იტყოდა ჴმითა დიდითა: ვაჲ არს, ვაჲ არს, ვაჲ არს მკჳდრთა ქუჱყანისათა სხუათა მათგან ჴმათა საყჳრისათა სამთა მათ ანგელოზთა, რომელთა ეგულების ჴმობად!

## თ ა ვ ი 9.

1. და მეხუთემან ანგელოზმან დაჰსცა საყჳრსა, და ვიხილე ვარსკულავი, რომელი გარდამოვარდა ზეცით ქუჱყანად, და მიეცა მას კლიტე ჯურღმულისა მის უფსკრულისა.

2. და განაღო წყარო უფსკრულისა, და აღჰსხდა კუამლი ჯურღმულისაგან, ვითარცა ცეცხლისა მოტყინარისაგან; და დაბნელდა

მზე და ჰაერი კუამლისა მისგან ჯურღმულისა.

3. და კუამლისა მისგან გამოვიდეს მკალნი ქუეყანად, და მიეცა მათ კელმწიფება, ვითარცა აქუს კელმწიფება ღრიანკალთა ქუეყანისათა.

4. და ითქუა მათდა მიმართ, რათა არა ავნონ თივასა ქუეყანისასა, არცა ყოველსა მწვანჱლსა, არცა ხეთა, არამედ კაცთა, რომელთა არა აქუს ბეჭედი ღმრთისა შუბლთა ზედა მათთა.

5. და მიეცა მათ, რათა არა მოჰკლნენ, არამედ, რათა იტანჯნენ ხუთ თთუე. და ტანჯუა მათი, ვითარცა ტანჯუა ღრიანკალისა, რაჟამს უცეს კაცსა.

6. და მათ დღეთა შინა ეძიებდენ კაცნი სიკუდილსა, და ვერ ჰპოვონ მათ; და სუროდის მოკუდომად, და ივლტოდის მათგან სიკუდილი იგი.

7. და მსგავსება იგი მკალთა ესე ვითარი იყო მსგავს იყუნეს ცხენთა, განმზადებულთა ბრძოლად; და თავთა ზედა მათთა, ვითარცა გჳრგჳნი, მსგავსი ოქროსანი, და პირნი მათნი, ვითარცა პირნი კაცთანი.

8. და აქუნდა თმები, ვითარცა თმანი დედათანი, და კბილნი მათნი, ვითარცა ლომთანი იყუნეს.

9. და აქუნდა ჯაჭუჱბი, ვითარცა ჯაჭჳ რკინისა, და ჴმა ფრთეთა მათთა, ვითარცა ჴმა ეტლთა ცხენთა მრავალთა, რომელნი რბიოდიან ბრძოლად.

10. და აქუს კუდები, მსგავსი ღრიანკალთა, და საწერტელები აქუნდა კუდებთა მათთა; და აქუს კელმწიფება, ვნებად კაცთა ხუთ თთუე.

11. და აქუს მათ ზედა მეფედ ანგელოზი იგი უფსკრულისა; სახელი მისი ებრაელებრ აბადონ, ხოლო ბერძულებრ აქუს სახელი აპოლიონ.

12. ერთი იგი ვაება წარჰჴდა; აჰა ესერა, მოვლენ ორნიღა ვაებანი შემდგომად ამისა.

13. მეექუსემან ანგელოზმან დაჰჴდა საყჳრსა თჳსსა, და მესმა ჴმა ერთი ოთხთა მათ რქათაგან საკურთხეველისა მის ოქროჲსათა, რომელ-არს წინაშე ღმრთისა.

14. რომელი ეტყოდა მეექუსესა მას ანგელოზსა, ვითარმედ, რომელსა ეგე გაქუს საყჳრი: განხსენ ოთხნი იგი ანგელოზნი, რომელნი შეკრულ-არიან მდინარესა მას ზედა დიდსა ევფრატსა.

15. და განხსნეს ოთხნი იგი ანგელოზნი, განმზადებულნი ჟამისა მის, და დღისა, და თთჳსა, და წელიწადისა, რათა მოსრან მესამედი კაცთა.

16. და რიცხჳ მჴედრობათა მათ ცხენთა ორი ბევრნი ბევრთანი; მესმა რიცხჳ მათი.

17. და ესრეთ ვიხილენ ცხენნი იგი ხილჳთა და მსხდომარეთა მათ ზედა, აქუნდა ჯაჭუჱბი ცეცხლისა და იაკინთისა, და წუნწუბისა სახენი; და თავნი ცხენთანი, ვითარცა თავნი ლომთანი, და პირთა მათთაგან გამოვალს ცეცხლი, და კუამლი და წუმწუბა.

18. სამთა ამათ წყლულებათა-
გან, მოჰსწყდა მესამედი კაცთა,
ცეცხლისაგან და კუამლისა, და წუმ-
წუბისა, რომელი იგი გამოვიდო-
დეს პირითგან მათთა.
19. რამეთუ ჴელმწიფება იგი
ცხენთა მათ პირთა შინა მათთა
არს და კუდთა მათთა; რამეთუ
კუდნი მათნი მსგავს არიან გუელ-
თა, და აქუს თავები; და მით ავნე-
ბენ.
20. და სხუათა მათ კაცთა,
რომელნი იგი არ მოიკლნეს ამათ
წყლულებათაგან, არა შეინანეს
მათ საქმეთაგან ჴელთა მათთასა,
რათამცა არა თაყუანის-სცემდეს
ეშმაკთა და კერპთა ოქროჲსა და
ვეცხლისა, და რვალისა, და ქვისა, და
შეშისათა, რომელთა ვერცა მალ-
უძს ხედვად და ვერცა სმენად,
ვერცა სლუად.
21. და არა შეინანეს კაცის
მკლველობათა მათთაგან, არცა
მწამლველობათა მათთაგან, არცა
სიძვისა მათისაგან, არცა მპარო-
ბათა მათთაგან.

თავი 10.

1. და ვიხილე სხუა ანგელოზი
ძლიერი, გარდამომავალი ზეცით,
და ემოსა ღრუბელი; და ირისე,
რომელ-არს მშჳლდი ცისა ბერ-
ძულებრ, იყო თავსა ზედა მისსა,
და პირი მისი ვითარცა მზე, და
ფერჴნი მისნი ვითარცა სუეტნი
ცეცხლისანი.
2. და აქუნდა ჴელთა მისთა
წიგნი განღებული; და დასდუა
ფერჴი მისი მარჯუენე ზღუასა
ზედა, და მარცხენე ქუეყანასა
ზედა.
3. და ჴმა ყო ჴმითა დიდი-
თა, ვითარცა ლომი რა ღჳრნ; და
რაჟამს ჴმა ყო, თქუნეს შჳდთა
ქუხილთა ჴმანი მათნი.
4. და რაჟამს თქუნეს შჳდთა ქუ-
ხილთა ჴმანი მათნი, მეგულებოდა
წერად; და მესმა მე ჴმა ზეცით,
რომელი მეტყოდა მე: დაბეჭდე,
რომელი ეგე თქუეს შჳდთა მათ
ქუხილთა, და ნუ ეწერ დასწერ.
5. და ანგელოსმან მან, რომე-
ლი ვიხილე ქუეყანასა ზედა და
ზღუასა შინა მდგომარე, აღიღო
ჴელი მისი მარჯუენე ზეცად,
6. და ჰფუცა მისსა, რომელი
იგი ცხოველ არს უკუნითი უკუ-
ნისამდე, რომელმან დაჰბადა ცაჲ
და რა არს მას შინა, და ქუეყანაჲ
და რაჲ არს მას შინა, და ზღუაჲ და
რა არს მას შინა, ვითარმედ ჟა-
მი არღარა იყოს მერმე.
7. არამედ დღეთა ჴმისა მეშჳ-
დისა ანგელოსისათა, რომელსა
ეგულების დაცემად საყჳრისა, და
აღესრულა საიდუმლო ღმრთისა,
ვითარცა ახარა მონათა თჳსთა,
წინასწარ-მეტყუელთა.
8. და ჴმა იგი, რომელ მესმა
პირველ ზეცით, კუალად მეტყო-
და მე, ვითარმედ წარვედ და აღი-
ღე წიგნი იგი განღებული ჴელ-
თა შინა ანგელოსისა მის, მდგო-
მარისა ზღუასა ზედა და კმელსა.
9. და წარვედ ანგელოსისა
მისდა, ვარქუ მას, მომცემად ჩემ-
და წიგნი იგი. და მრქუა მე, ვი-

თარმედ აღიღე და შეჭამე ესე; და დაამწარობს მუცელი შენი, არამედ პირსა შენსა ტკბილ-გეულს, ვითარცა თაფლი.

10. და აღვიღე წიგნი იგი ჴელთაგან ანგელოზისათა, და შევჭამე იგი; და იყო პირსა შინა ჩემსა ტკბილ, ვითარცა თაფლი; და რაჟამს შევჭამე, დაამწარა მუცელი ჩემი.

11. და მრქჳა მე: ჯერ-არს შენდა კჳალად წინასწარ-მეტყჳჱლება ერთა ზედა და წარმართთა და ენათა და მეფეთა თანა ქჳჱყანისათა.

## თ ა ვ ი 11.

1. და მომცა მე ლელწამი, მჰსგავსი კჳჱრთხისა, და ანგელოზმან მდგომარემან მრქჳა მე: აღჰსდეგ, და განზომე ტაძარი ღმრთისა, და თაყჳანის-მცემელნი მას შინა და საკურთხეველი.

2. და ეზო იგი, რომელ-არს გარეგან ტაძრისა განაგდე გარე, და ნუ განზომ მას; რამეთუ მიეცა იგი წარმართთა: და ქალაქი წმიდა დათრგუნონ ორმეოცდა ორ თთჳჱ.

3. და მივჰსცე ორთა მათ მოწამეთა ჩემთა, და წინასწარ-მეტყჳჱლებდენ ათას ორას და სამეოც დღე, შემოსილნი ძაძითა.

4. ესენი არიან ორნი იგი ზეთისხილნი და ორნი იგი სასანთლენი, მდგომარენი წინაშე ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა.

5. და რომელსა უნდეს ვნებად მათდა, ცეცხლი გამოვალს პირისაგან მათისა, და შესჭამს მტერთა მათთა; და რომელსაცა ენებოს ვნება მათი, ესრეთ ჯერ-არს მოკლომა მათი.

6. ამათ აქჳს ჴელმწიფება დაჴშჳად ცათა, რათა არა წჳმდეს წჳმა დღეთა მათ წინასწარ-მეტყჳჱლებისა მათისათა; და ჴელმწიფება აქჳს წყალთა ზედა, რათა გარდააქციონ სისხლად, და რათა შემუსრონ ქჳჱყანა, რავდენ გზისცა ენებოს ყოვლითავე წყლულებითა.

7. და რაჟამს აღასრულონ წამება მათი, მჴეცმან მან, რომელი აღმოვალს უფსკრულით, ბრძოლა ჰყოს მათთანა, და ჰსძლოს, და მოჰკლას იგინი.

8. და მძორები მათი უბანთა ზედა ქალაქისა მის დიდისათა, რომელსა ეწოდების სულიერად სოდომი და ეგჳპტე, სადა იგი უფალი ჩჳჱნი ჯჳარს ეცჳა.

9. და იხილონ ერთა, ტომთა და ენათა და წარმართთა მძორები მათი სამ-დღე და ნახევარ, და არა უტეონ მძორებსა მათსა დადებად სამარებსა შინა.

10. და მკჳდრთა ქჳჱყანისათა განიხარონ მათ ზედა და იშჳჱბდენ, და ძღვენი მიჰსცენ ურთიერთარს; რამეთუ ამათ ორთა წინასწარ-მეტყჳჱლთა ტანჯნეს მკჳდრნი ქჳჱყანისანი.

11. და შემდგომად სამისა მის დღისა და ნახევრისა სული ღმრთისა ცხოველი შევიდეს მათ თანა; და დაჰსდგეს ფერჴთა ზედა

მათთა, და შიში დიდი დაეცა
მათ ზედა, რომელნი ჰხედვიდეს
მათ.
12. და ესმა ჴმა დიდი ზე-
ცით, რომელი ეტყოდა მათ:
აღმოვედით აქა. და აღვიდეს ზე-
ცად ღრუბლითა; და იხილეს იგი
მტერთა მათთა.
13. მას ჟამსა შინა იქმნა
ძრვა დიდი, და მეათედი ქალაქი-
სა დაეცა, და მოსწყდეს ძრვასა
მისგან კაცნი შჳდ-ათასნი; და
სხუანი იგი შეშინებულ-იქმნეს,
და მისცეს დიდება ღმრთისა ცა-
თასა.
14. ვაება იგი მეორე წარჴდა;
და აჰა ესერა, ვაება იგი მესამე
მოვალს ადრე.
15. და მეშჳდემან მან ანგე-
ლოსმან დასცა საყჳრსა, და იქმ-
ნეს ჴმანი დიდნი ცათა შინა,
რომელნი იტყოდეს: იქმნეს სუ-
ფევანი სოფლისანი უფლისა ჩუენ-
ნისა და ქრისტესა მისისა, და სუ-
ფევდეს უკუნითი უკუნისამდე.
16. კუალად ოცდა ოთხნი
მღდელნი იგი, რომელნი სხდეს
წინაშე ღმრთისა საყდართა ზედა
მათთა, დავარდეს პირსა ზედა,
და თაყუანი-სცეს ღმერთსა,
17. და თქუეს: გმადლობთ
შენ, უფალო უფლისა მპყრობე-
ლო, რომელი ხარ, და რომელი
იყავ, და რომელი მომავალ
ხარ, რამეთუ მიიღე ძალი იგი
შენი დიდი, და სუფევ.
18. და წარმართნი განრისხ-
ნეს; და მოვიდა რისხვა შენი, და
ჟამი მკუდართა სჯისა, და მიცე-
მად მონათა შენთა სასყიდელი,
წინასწარ-მეტყუელთა და წმიდათა
და მოშიშთა სახელისა შენისათა,
მცირეთა და დიდთა, და განხრწ-
ნას განმხრწნელი ქუეყანისა.
19. და განეღო ტაძარი
ღმრთისა ცათა შინა, და იხილუა
კიდობანი იგი აღთქმისა მის ტა-
ძარსა შინა მისსა; და იქმნეს ელ-
ვანი, ქუხილნი და ჴმანი და ძრვა
და სეტყუა დიდი.

## თავი 12.

1. და სასწაული დიდი გა-
მოჩნდა ცათა შინა: და დედა-
კაცი, რომელსა ემოსა მზე; და
მთოვარე იყო ქუეშე ფერჴთა
მისთა, და თავსა ზედა გჳრგჳნი
ათორმეტთა ვარსკულავთა.
2. და მუცლად ეღო, და ღა-
ღადებდა, რამეთუ ელმოდა და
იგუემებოდა შობად.
3. და იხილუა სხუა სასწაუ-
ლი ცათა შინა. და აჰა ვეშაპი დი-
დი ცეცხლისა, რომელსა ედგნეს
თავნი შჳდნი და რქანი ათნი, და
თავსა ზედა მისსა შჳდნი გჳრ-
გჳნნი.
4. კუდი მისი მიითრევდა
მესამედსა ვარსკულავსა ცისასა,
და გარდამოჰყარნა იგინი ქუეყა-
ნად. და ვეშაპი იგი ჰსდგა წინა-
შე დედაკაცისა მის, რომელსა ეგუ-
ლებოდა შობად, რათა, ოდეს
ჰშუეს, შთანთქას შჳლი მისი.
5. და შუა მან ძე წული, რო-
მელსა ეგულების მწყსა ყოველთა
წარმართთა კუერთხითა რკინისა-

თა, და წარტაცებულ იქმნა შვილი მისი ღმრთისა მიმართ საყდარსა მისსა.

6. და დედა-კაცი იგი ივლტოდა უდაბნოდ, სადა იგი აქუს მუნ ადგილი განმზადებული ღმრთისა მიერ, რათა მუნ გამოზარდონ იგი ათას ორას და სამეოც დღე.

7. და იქმნა ბრძოლა ცათა შინა. მიხაილ და ანგელოსნი მისნი ჰბრძოდეს ვეშაპსა მას, და ვეშაპნი და ანგელოსნი მისნი ებრძოდეს მათ.

8. და ვერ შეუძლო, არცაღა ეპოვა მას ადგილი ცათა შინა.

9. და გარდამოვარდა ვეშაპი იგი დიდი, გუელი დასაბამისა, რომელსა ეწოდების ეშმაკი და სატანა, რომელი აცთუნებს ყოვლისა სოფელსა, გარდამოვარდა ქუეყანად. და ანგელოსნი მისნი მის თანა გარდამოცჳვეს.

10. და ესმა ჴმა დიდი ცათა შინა, რომელი იტყოდა, ვითარმედ აწ იქმნა მაცხოვარება და ძალი და სუფევა ღმრთისა ჩუენისა და ჴელმწიფება ქრისტეს მისის; რამეთუ გარდამოვარდა შემასმენელი ძმათა ჩუენთა, რომელი შეასმენდა მათ წინაშე ღმრთისა ჩუენისა დღე და ღამე.

11. და მათ ჰსძლეს მას სისხლითა მით კრავისათა და სიტყჳთა წამებისა მისისათა, და არა შეიყუარნეს სულნი მათნი ვიდრე სიკუდილადმდე.

12. ამისთჳს იხარებდით ცანი და ყოველნი დამკჳდრებულნი მას შინა! ვაჲ არს მკჳდრთა ქუეყანისა და ზღჳსათა! რამეთუ გარდამოჴდა ეშმაკი თქუენდა მომართ სავსე გულის-წყრომითა დიდითა, რამეთუ უწყის, ვითარმედ მცირედი ჟამი უც მას.

13. და რაჟამს იხილა ვეშაპმან მან, ვითარმედ გარდამოვარდა ქუეყანად, და განდევნა დედა-კაცი იგი, რომელმან ჰშვა მე იგი წული.

14. და მიეცნეს დედა-კაცსა მას ორნი ფრთენი არწივისანი დიდნი, რომლითა ფრინვიდეს უდაბნოდ ადგილსა მისსა, რათა გამოიზარდოს მუნ წელთა, და წელსა და ნახევარსა წელიწადისასა, პირისაგან გუელისა მის.

15. და აღმოსხა გუელმან მან პირისაგან თჳსისა შემდგომად დედა-კაცისა მის წყალი, ვითარცა მდინარე, რათამცა წარიღო მდინარემან მან.

16. და შეეწია ქუეყანა დედა-კაცსა მას. და აღაღო ქუეყანამან პირი თჳსი, და შთანთქა მდინარე იგი, რომელი აღმოსხა ვეშაპმან პირით თჳსით.

17. და განრისხნა ვეშაპი იგი დედა-კაცისა მისთჳს, და წარვიდა ბრძოლისა ყოფად სხჳათა მათ თესლისა მისისათა, რომელნი იმარხუენ მცნებასა ღმრთისასა და აქუს წამება იესო ქრისტესი.

## თავი 13.

1. და ვსდეგ მე ქვიშასა ზედა ზღჳსასა, და ვიხილე მჴეცი

ერთი აღმომავალი ზღჳთ, რომელსა აქუნდეს შჳდნი თავნი და ათნი რქანი: და რქათა ზედა მისთა ათნი გჳრგჳნნი, და თავთა ზედა მისთა სახელნი გმობისანი.

2. და მჴეცი იგი, რომელი ვიხილე, იყო მჰსგავსი ვეფხვისა; და ფერჴნი მისნი ვითარცა დათჳსანი, და პირი მისი ვითარცა პირი ლომისა; და მისცა მას ვეშაპმან მან ძალი თჳსი და საყდარი თჳსი და ჴელმწიფებაჲ თჳსი.

3. და ვიხილე, ერთი თავთა მისთაგან, რომელი იგი დაკლულ იყო სიკუდილად; და წყლულება იგი სიკუდილისა განიკურნა, და უკჳრდა ყოველსა ქუეყანასა, მჴეცისა მისთვის.

4. და თაყუანი-ჰსცეს ვეშაპსა; რომელმანცა მისცა ჴელმწიფება მჴეცსა მას, და თაყუანი-ჰსცეს მჴეცსა მას და იტყოდეს: ვინ არს მჰსგავსი მჴეცისა ამის? ვინ შემლებელ-არს ბრძოლად ამისა?

5. და მიეცა მას პირი, დიდად მეტყუელი და მგმობარი, და მიეცა მას ჴელმწიფება ყოფად ბრძოლისა ორმეოც და ორ თთუე.

6. და აღაღო პირი თჳსი გმობად ღმრთისა მიმართ, და გმობად სახელისა მისისა, და სამკჳდრებელისა მისისა, და ცათა შინა დამკჳდრებელთა მათ.

7. და მიეცა მას ბრძოლისა ყოფად წმიდათა მიმართ, და ძლევად მათდა; და მიეცა მას ჴელმწიფება ყოველსა ზედა ტომსა და ერსა, და ენასა და წარმართთასა.

8. და თაყუანი-ჰსცეს მას ყოველთა მკჳდრთა ქუეყანისათა, რომელთა სახელები არა დაწერილ-არს დასაბამითგან სოფლისათ წიგნსა მას ცხოვრებისასა კრავისა მის დაკლულისათა.

9. რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ.

10. რომელსა აქუს ტყუეობა, წარვალს ტყუეობად; რომელი მახჳლითა ჯერ-არს მისი მოკულა, და მახჳლითა თჳსითა მოიკლას. აქა არს მოთმინება და სარწმუნოება წმიდათა.

11. და ვიხილე სხუა მჴეცი აღმომავალი ქუეყანით; და აქუნდეს რქანი ორნი, მჰსგავსი კრავისა, და ზრახჳდა ვითარცა ვეშაპი.

12. და ჴელმწიფებასა პირველისა მის მჴეცისასა ყოველსავე იქმს წინაშე მისსა, და ჰყოფდა ქუეყანასა და ყოველთა მკჳდრთა მისთა, რათა თაყუანი-ჰსცენ მჴეცსა მას პირველსა, რომლისა წყლულება სიკუდილისა მისისა განიკურნა.

13. და იქმნ სასწაულთა დიდთა, და რათა ცეცხლი გარდამოხდეს წინაშე კაცთა ზეცით ქუეყანასა ზედა.

14. და აცთუნებდეს მკჳდრთა მათ, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა, სასწაულთა მათ თჳს, რომელ მიეცნეს მას ქმნად წინაშე მჴეცისა მის, და ეტყჳს მკჳდრთა ქუეყანისათა, რათა ქმნან ხატი მჴეცისა მის, რომელსა იგი აქუნდა წყლულება და ცხოვნდა მახჳლისაგან.

15. და მიეცა მას სული მიცემად ხატსა მას მჴეცისასა, რა-

თა იტყოდის ხატი მკეცისა მის
და ქმნას ყოველთა, რომელთა არა
თაყჳანის-ჰსცენ ხატსა მხეცისასა,
რათა მოიკლნენ.
16. და ჰყჳნეს ყოველნივე,
მცირენი და დიდნი, მდიდარნი და
გლახაკნი და აზნაურნი და მონანი,
რათა მიუღონ ბეჭედნი კელსა
მათსა მარჯჳჱნესა ზედა, ანუ
შუბლთა ზედა მათთა;
17. და რათა არა-ვის კელეწი-
ფებოდის სყიდჳად, ანუ განსყი-
დჳად, გარნა, რომელთა აქჳნდეს
ბეჭედი სახელისა მხეცისა მის,
ანუ რიცხჳ სახელისა მისისა.
18. აქა არს სიბრძნე. რომელ-
სა აქჳს გონება, აღიპყარნ რიცხჳ
იგი მხეცისა, რამეთუ რიცხჳ კა-
ცისა არს. რიცხჳ მისი შჳდას
სამეოც და ექჳსი.

თ ა ვ ი 14.

1. და ვიხილე, და აჰა, კრავი
მდგომარე მთასა ზედა სიონსა,
და მისთანა რიცხჳ ას ორმეოც და
ოთხი ათასი, რომელთა აქჳნდა
სახელი მამისა მისისა დაწერილი
შუბლთა ზედა მათთა.
2. და მესმა ზეცით კმა, ვი-
თარცა კმა წყალთა მრავალთა და
ვითარცა კმა ქუხილისა დიდისა;
და კმა იგი, რომელი მესმა ვი-
თარცა კმა მეათძლეთა მათთა,
სცემდენ ათძალთა თჳსთა,
3. და გალობდენ გალობასა
ახალსა წინაშე საყდრისა და წინა-
შე ოთხთა მათ ცხოველთა და
მღჳდელთასა; და ვერ ვინ შემძლე-
ბელ-იყო ცნობად გალობისა მის,
გარნა ას-ორმეოც და ოთხი ათას-
ნი იგი, სყიდულნი ქჳჱყანისაგან.
4. ესენი არიან, რომელნი იგი
დედათა თანა არა შეიგინნეს: რა-
მეთუ ქალწულ არიან; ესენი არიან,
რომელნი შეუდგეს კრავსა მას,
სადაცა ვიდოდის. ესენი სყიდულ-
არიან კაცთაგან, შესაწირავად
ღმრთისა და კრავისა.
5. და არა იპოვა პირსა მათსა
ტყუილი; რამეთუ უბიწო არიან
წინაშე საყდრისა ღმრთისა.
6. და ვიხილე სხჳა ანგელო-
სი, მფრინვალე შორის ცისა და
ქჳჱყანისა, და აქჳნდა სახარება
საუკუნო, ხარებად მკჳდრთა ქჳჱყა-
ნისათა და ყოველსა ერსა ზედა,
და ტომთა, და ენათა, და წარმართ-
თა;
7. იტყოდენ კმითა დიდითა:
გეშინოდენ ღმრთისა, და მიეცით
მას დიდებაჲ; რამეთუ მოვიდა
ჟამი სასჯელისა მისისა, და თაყჳა-
ნი-ეცით მას, რომელმან ჰქმნა
ცა და ქჳჱყანა, ზღჳა და წყარო-
ნი წყალთანი.
8. და სხჳა ანგელოსი შეუდგა
მას და იტყოდა: დაეცა, დაეცა
ბაბილოანი, ქალაქი იგი დიდი,
რამეთუ ღჳნისა მისგან გულის
წყრომისა და სიძჳსა მისისა ასჳა
ყოველთა წარმართთა.
9. და ანგელოსი მესამე შეუ-
დგა მას და იტყოდა კმითა დიდი-
თა: რომელმანცა თაყჳანი-ჰსცეს
მხეცსა მას და ხატსა მისსა, და
მიუღოს ბეჭედი შუბლსა მისსა,
ანუ კელსა მისსა;

10. მანცა სჳას ღჳნისა მისგან გულის წყრომისა ღმრთისა, რომელი წდეულ-არს ურწყულად სასჳმელსა შინა რისხვისა მისისასა, და იტანჯოს ცეცხლითა და წუნწუბითა წინაშე წმიდათა ანგელოსთა და წინაშე კრავისა,

11. და კჳამლი ტანჯჳსა მისისა აღჳდოდეს უკუნითი უკუნისამდე, და არა აქჳნდეს განსჳენება დღე და ღამე, რომელთაცა თაყჳანისცეს მხეცსა მას და ხატსა მისსა, ანუ მიიღონ ბეჭედი სახელისა მისისა.

12. აქა არს მოთმინებაჲ წმიდათა, აქა, რომელთა დაიცჳნენ მცნებანი ღმრთისანი და სარწმუნოება იესოსი.

13. და მესმა ჴმა ზეცით, რომელი მეტყოდა მე, ვითარმედ დაწერე: ნეტარ-არიან მკჳდარნი იგი, რომელნი უფლისა მიერ მოკჳდენ. ამიერითგან, იტყჳს სული, ჰე, რათა განისჳენონ შრომათაგან მათთა, და საქმე მათი შეუდგეს მათ თანა.

14. და ვიხილე, და აჰა, ღრუბელი სპეტაკი, და ღრუბელსა ზედა მჯდომარე მსგავსი მისა კაცისა. და აქჳნდა თავსა ზედა თჳსსა გჳრგჳნი ოქროჲსა, და ჴელთა მისთა მანგალი ახლესული.

15. და სხჳაჲ ანგელოსი გამოვიდა ტაძრისაგან, და ჴმა-უყო ჴმითა დიდითა მჯდომარესა მას ღრუბელსა ზედა; მიყავ მანგალი ეგე შენი და მომკე. რამეთუ მოიწია ჟამი მკისა; და რამეთუ განჴმა სამკალი ქჳეყანისა.

16. და მიყო მჯდომარემან ღრუბელსა ზედა მანგალი თჳსი ქჳეყანასა, და მომკო ქჳეყანა.

17. და სხჳაჲ ანგელოსი გამოვიდა ტაძრისა მისგან, რომელ არს ცათა შინა, და აქჳნდა მასცა მანგალი ახლესული.

18. და სხჳაჲ ანგელოსი, გამოვიდა საკურთხეველისაგან, რომელსა აქჳნდა ჴელმწიფებაჲ ცეცხლსა ზედა, და ჴმა-უყო ჴმითა დიდითა, რომელსა იგი აქჳნდა მანგალი ახლესული და ეტყოდა, ვითარმედ მიყავ მანგალი ეგე ახლესული, და მოისთჳლენ ტევანნი იგი ვენაკისა მის ქჳეყანისანი; რამეთუ დამწიფებულ არს ყურძენი იგი მისი.

19. და გამოიღო ანგელოსმან მან მახჳლი თჳსი ქჳეყანად, და მოჰკრიბა ვენაკი ქჳეყანისა, და შთადვა საწნეხელსა მას დიდსა გულის წყრომისა ღმრთისასა.

20. დაწნიხა საწნახელი იგი გარეშე ქალაქისა, და გამოჰხდა სისხლი საწნეხელისგან ვიდრე აღჳრადმდე ცხენთა, ათას ექჳსასით სტადიონით შორის.

თავი 15.

1. და ვიხილე სხჳაჲ სასწაული დიდი ცათა შინა და საკჳრველი: და ანგელოსნი შჳდნი, რომელთა აქჳნდეს შჳდნი იგი წყლულებანი უკანასკნელნი, და რამეთუ ამათ წყლულებათა ზედა აღესრულების გულის წყრომა ღმრთისა.

2. და ვიხილე ვითარცა ზღჳა ჭიქისა, შერეული ცეცხლითა, და რომელთაცა სძლიან მჴეცსა და ხატსა მისსა, და ბეჭედსა მისსა, და რიცხჳსა მას სახელისა მისისასა, მდგომარე იყჳნენ ზღჳსასა მას ზედა ჭიქისასა, და აქუნდა ათმახლები ღმრთისა.

3. და გალობენ გალობასა მოსეს, მონისა ღმრთისასა, და გალობასა მას კრავისასა და იტყჳან: დიდ და საკჳრველ არიან საქმენი შენნი, უფალო ღმერთო ყოვლისა მპყრობელო; მართალ და ჭეშმარიტებით არიან გზანი შენნი, მეუფეო წმიდათაო!

4. ვინ არა შეშინდეს, უფალო, და ადიდებდეს სახელსა შენსა? რამეთუ შენ მხოლო ხარ წმიდა; და რამეთუ ყოველნი მოვიდენ და თაყუანის გცენ წინაშე შენსა, რამეთუ სიმართლენი შენნი გამოცხადნეს.

5. და შემდგომად ამისა ვიხილე, და აჰა, განეღო ტაძარი კრავისა მის საწამებელისა ცათა შინა.

6. და გამოვიდეს შჳდნი იგი ანგელოზნი, რომელთა აქუნდეს შჳდნი იგი წყლულებანი ტაძრისა მისგან, რომელთა ემოსა სამოსელი წმიდა და ბრწყინვალე, და მკერდთა მათთა ზედა ერტყა სარტყელები ოქროსა.

7. და ერთმან ოთხთა მათ ცხოველთაგანმან მისცა შჳდთა მათ ანგელოსთა შჳდნი ლანკანნი ოქროსანი, სავსენი გულის-წყრომითა ღმრთისათა, რომელი იგი ცხოველ-არს უკუნითი უკუნისამდე.

8. და აღივსო ტაძარი იგი კუამლითა დიდებისაგან ღმრთისა და ძლიერებისა მისისაგან, და ვერვინ შემძლებელ იყო შესლვად ტაძარსა,ვიდრემდის აღესრულნენ შჳდნი წყლულებანი შჳდთა მათ ანგელოსთანი.

## თავი 16.

1. და მესმა ჴმა დიდი ტაძრისაგან, რომელი ეტყოდა შჳდთა მათ ანგელოსთა, ვითარმედ წარვედით, დასთხიენით შჳდნი ეგე ლანკანნი გულის წყრომისა ღმრთისანი ქუეყანასა ზედა.

2. და მოვიდა პირველი იგი, დასთხია ლანკანი თჳსი ქუეყანასა ზედა: და იქმნა სიმყრალე ბოროტი კაცთა ზედა, რომელთაცა აქუნდა ბეჭედი იგი მჴეცისა მათ ზედა, და თაყუანის-სცემდეს ხატსა მისსა.

3. და მეორემან ანგელოსმან დასთხია ლანკანი თჳსი ზღუასა ზედა: და იქმნა სისხლი, ვითარცა მკუდრისა, და ყოველი სული ცხოველი, რომელი იყო ზღუასა შინა მოკუდა.

4. და მესამემან ანგელოსმან დასთხია ლანკანი თჳსი მდინარეთა ზედა და წყაროთა ზედა წყალთასა: და გარდაიქცეს სისხლად.

5. და მესმა ანგელოზისა მის წყალთასა, რომელი იტყოდა: მართალ ხარ, უფალო, რომელი ეგე ხარ, და რომელი იყავ, და რომელი ხარ წმიდა, რამეთუ ესე საჯე.

6. რამეთუ სისხლი წმიდათა
და წინასწარ-მეტყუელთა დასთხი-
ეს, და სისხლი მიეც მათ სასმე-
ლად, რამეთუ ღირს არიან.
7. და მესმა სხუა საკურთხევე-
ლისაგან, რომელი იტყოდა: ჰე,
უფალო ღმერთო ყოვლისა მპყრო-
ბელო, მართალ და ჭეშმარიტებით
არიან სასჯელნი შენნი.
8. და მეოთხემან ანგელოსმან
დასთხია ლანკანი თჳსი მზესა
ზედა: და მიეცა მას ცეცხლითა
დაწვად კაცთა.
9. და დაიწუნეს კაცნი სიცხი-
თა დიდითა; და ჰგმობდეს კაცნი
სახელსა ღმრთისასა, და რომელი
იგი აქუს ჴელმწიფებაჲ წყლულება-
თა ზედა მათთა; და არა შეინანეს,
რათამცა მისცეს მას დიდებაჲ.
10. და მეხუთემან ანგელოს-
მან დასთხია ლანკანი თჳსი საყ-
დარსა ზედა მჴეცისა მის: და იქმ-
ნა ჴელმწიფებაჲ მისი დაბნელე-
ბულ; და იცოხნიდეს ენათა თჳს-
თა ტკივილისაგან,
11. და ჰგმობდეს ღმერთსა
ცათასა ტკივილთა მათთაგან და
წყლულებათა და შალალთა მათთა;
და არავე შეინანეს საქმეთა მათთა-
გან.
12. და მეექუსემან ანგელოს-
მან დასთხია ლანკანი თჳსი მდი-
ნარესა ზედა დიდსა ევფრატსა,
და განჴმა წყალი იგი, რათა
განუმზადოს გზა მეფეთა აღმოსა-
ვალით მზისათ.
13. და ვიხილე პირისაგან
ვეშაპისა, და პირისაგან მჴეცისა,
და პირისაგან ცრუ წინასწარ-მეტ-
ყუელისა მის სულნი არა წმიდა-
ნი სამნი, ვითარცა მყუართა.
14. რამეთუ არიან სულნიცა
საეშმაკონი, მოქმედნი სასწაულთა-
ნი; რომელნი გამოვლენ მეფეთა
ზედა ქუეყანისათა და ყოვლისა
სოფლისა, შემოკრებად მათდა
ბრძოლასა მას დღისა მის დიდისა
ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა.
15. აჰა ესერა, მოვალს ვითარ-
ცა მპარავი: ნეტარ-არს, რომელ-
მან იღჳძოს და დაიმარხოს სამო-
სელი თჳსი, რათა არა შიშულად
ვიდოდეს, და ხედვიდენ უშუერება-
სა თჳსსა.
16. და შემოკრიბნა იგინი
ადგილსა მას, რომელსა ეწოდების
ებრაელებრ არმაგედდონ.
17. და მეშჳდემან ანგელოს-
მან დასთხია ლანკანი თჳსი
ჰაერსა ზედა, და გამოჴდა ჴმა
დიდი ტაძრისაგან ზეცათასა და
საყდრისაგან, რომელი იტყჳთ:
იქმნა!
18. ვითარმედ იქმნა ჴმანი და
ელუანი, და ქუხილნი, და ძრვა
იქმნა დიდი, რომელ არღარა
ქმნილ-არს, ვინათგან კაცნი დაიბად-
ნეს ქუეყანასა ზედა. ესოდენი
ძრვა! ესოდენ დიდი!
19. და იქმნა ქალაქი იგი
დიდი სამად ნაწილად, და ქალაქ-
ნი იგი წარმართთანი დაეცნეს, და
ბაბილონი დიდი მოჴსენებულ
იქმნა წინაშე ღმრთისა, მიცემად
მისდა სასუმელი იგი ღჳნისა
გულის წყრომისა რისხჳსა მისი-
სა.
20. და ყოველივე ჭალაკი

ლტოლვილ-იქმნა, და მთანი არა
იპოვნეს;

21. და სეტყუა დიდი, ვითარ-
ცა ტალანტი, მოვიდა ზეცით
კაცთა ზედა, და ჰგმეს კაცთა
ღმერთი წყლულებისა მისგან სეტ-
ყჳსა; რამეთუ დიდ იყო წყლულე-
ბა იგი ფრიად.

## თავი 17.

1. და მოვიდა ერთი შჳდთა მათ
ანგელოსთაგანი, რომელსა აქუნ-
დეს შჳდნი იგი ლანკნები, და
მრქუა მე: მოვედ და გიჩუენო
შენ სასჯელი იგი მეძავისა მის
დიდისა, რომელი იგი ზის ზედა
წყალთა მრავალთა.

2. რომლისა თანა ისიძვეს
ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა,
და დაითრვნეს ყოველნი მკჳდრნი
ქუეყანისანი ღჳნისა მისგან სიძვი-
სა მისისა.

3. და წარმიყუანა მე სულითა
უდაბნოდ; და ვიხილე დედაკაცი,
მჯდომარე მხეცსა ზედა წითელსა,
სავსესა სახელებითა გმობისათა,
რომელსა ედგნეს შჳდნი თავნი
და ათნი რქანი.

4. და დედაკაცსა მას ემოსა
პორფირი და მოწეული, შემკული
ოქროთა და ქვთა პატიოსნითა
და მარგალიტითა, და აქუნდა კელ-
თა მისთა ბარძიმი ოქროჲსა,
სავსე საძაგელებითა და არა წმი-
დებითა სიძვსა მისისათა;

5. და შუბლსა ზედა მისსა
სახელი დაწერილი: საიდუმლო,
ბაბილოვანი დიდი, დედა მეძავთა
და საძაგელებათა ქუეყანისათა.

6. და ვიხილე დედაკაცი იგი
დამთრვალი სისხლითა წმიდათათა
და სისხლითა მოწამეთა იესოჲსთა,
ვიხილე რაჲ იგი, და დავიკჳრდა
საკჳრველებითა დიდითა.

7. და მრქუა მე ანგელოსმან
მან: რად დაგიკჳრდა? მე გითხრა
შენ საიდუმლო დედაკაცისა მის და
მხეცისა, რომელსა იგი უტჳრთავს,
რომელსა ჰქონან შჳდნი თავნი და
ათნი რქანი.

8. და მხეცი ეგე, რომელი
იხილე, იყო, და არა არს, და
ეგულების აღმოსლვა უფსკრუ-
ლით, და წარსაწყმედელად წარსლვა;
და დაუკჳრდეს მკჳდრთა ქუეყანისა-
თა, რომელთა სახელები არა
წერილ არს წიგნსა მას ცხოვრე-
ბისასა დასაბამითგან სოფლისით,
რაჟამს იგი ხედვიდენ, რამეთუ იყო
მხეცი იგი და არა არს, და მოვი-
დეს.

9. აქა არს გონება, რომელსა
აქუს სიბრძნე. შჳდნი იგი თავნი
შჳდნი მთანი არიან, რომელთა
ზედა დედაკაცი ზის.

10. და მეფენი არიან შჳდნი,
ხუთნი იგი დაეცეს, და ერთი არს,
და სხუა იგი არღა მოსრულ არს,
და მოვიდეს მცირედ ჟამ-არს
მისი ყოფა.

11. და მხეცი იგი, რომელი
იყო, და არა არს, და ესე მერვე
არს და შჳდთაგანი არს, და წარსა-
წყმედელად წარვალს.

12. და ათნი იგი რქანი,
რომელნი იხილენ, ათნი მეფენი
არიან, რომელთა მეფობა არღარა

*

მიუღებია, არამედ კელმწიფებს,
ვითარცა მეფენი, ერთსა ჟამსა
მიიღებენ მხეცისა ამის თანა.
13. ამათ ერთი ნება აქუს, და
ძალსა და კელმწიფებასა მათსა
მხეცსა მისცემენ.
14. ესენი კრავსა მას ებრძოლ-
ნენ, და კრავმან სძლოს მათ, რამე-
თუ უფალი უფლებათა არს და
მეუფე მეუფეთა; და მის თანა
წოდებულნი იგი რჩეულ და
მორწმუნენი.
15. და მრქუა მე: წყალნი იგი,
რომელნი იხილენ, სადა იგი მეძა-
ვი მჯდომარე არს, ერნი არიან
და წარმართნი, და ენანი.
16. და ათნი იგი რქანი, რო-
მელ იხილენ მხეცსა ზედა, მათ
მოიძულონ მეძავი იგი განრყუნი-
ლი, და შიშუელ ყონ იგი, და
კორცნი მისნი შეჭამნენ, და იგი
დაწუან ცეცხლითა.
17. რამეთუ ღმერთმან მისცა
გულთა მათთა, ყოფად ნებისა მისი-
სა, და ყოფად ნებისა ერთისა, და მიცე-
მად მეფობა მათი მხეცისა, ვიდ-
რემდის აღესრულნენ სიტყუანი
ღმრთისანი.
18. და დედაკაცი იგი, რომელი
იხილე, არს ქალაქი იგი დიდი,
რომელსა აქუს მეფობა მეფეთა
ქუეყანასა ზედა.

## თ ა ვ ი 18.

1. შემდგომად ამისა ვიხილე
სხუა ანგელოსი, გარდამომავალი
ზეცით, რომელსა აქუნდა კელმწი-
ფება დიდი. და ქუეყანა განათლ-
და დიდებისაგან მისისა.
2. და ჴმა ჰყო ძლიერად,
ჴმითა დიდითა და ჰსთქუა, ვითარ-
მედ დაეცა, დაეცა ბაბილონი
დიდი, და იქმნა სამკჳდრებელ
ეშმაკთა და საყოფელ ყოვლისა
არა წმიდებისა სულისა, და სად-
გურ ყოვლისა მფრინველისა არა
წმიდისა და მოძულვებულისა;
3. რამეთუ ღვინისა მისგან
გულის წყრომისა სიძვისა მისისა
ჰსუმეს ყოველთა წარმართთა; და
მეფეთა ქუეყანისათა მისთანა ისი-
ძვეს, და ვაჭარნი ქუეყანისანი
ძალისაგან სიბორგილისა მისისა
განმდიდრდეს.
4. და მესმა ჴმა სხუა ზეცით,
რომელი იტყოდა: გამოვედით
მისგან, ერო ჩემო, რომელ არა
ეზიარნეთ ცოდუათა მისთა, და
წყლულებათა მისთაგან რათა არა
მიიღოთ.
5. რამეთუ მისწუთეს ცოდუანი
მისნი ცადმდე, და მოიხსენა ღმერთ-
მან უსჯულოებანი მისნი.
6. და მიაგეთ მას, რომელთა
იგი მოგაგონ თქუენ, და შეკეცეთ
ორ-კეცი იგი, ვითარცა იგი მან
ჰქმნა საქმეთა მისთა ებრ; ბარძიმ-
სა შინა მისსა, რომლითა იგი
გიწდიათ თქუენ, უწდიეთ მას
ორკეცი.
7. ვითარ იგი ადიდა თავი
თჳსი და განცოფნა, ესე ზომად
მიეცით მას ტანჯუა და ტკივილი.
და რამეთუ გულსა თჳსსა იტყჳს,
ვითარმედ ვზი დედოფლად, და
ქურივი არა ვარ, და გლოვა არა
ვიხილო!

8. ამისთჳს ერთსა დღესა მოვიდენ წყლულებანი მისნი, სიკუ̂დილი, გლოვა და სიყმილი, და ცეცხლითა დაიწვას, რამეთუ ძლიერ არს უფალი ღმერთი, რომელმან განიკითხა იგი.

9. და ტიროდენ და ჰგოდებდენ მის ზედა მეფენი ქუ̂ეყანისანი, რომელთა მისთანა ისიძვეს და განცოფნეს, რაჟამს ხედვიდენ კუ̂ამლსა ხურვებისა მათისასა,

10. შორით მდგომარენი შიშისათჳს ტანჯჳსა მისისა, იტყოდიან: ვაჲ, ვაჲ ქალაქო, დიდო ბაბილოვანო, ქალაქო ძლიერო! რამეთუ ერთსა წამსა მოვიდა სასჯელი შენი.

11. და ვაჭარნი ქუ̂ეყანისანი ტიროდენ და იგლოვდენ მის ზედა; რამეთუ ტჳრთსა მათსა არღარავინ იყიდდეს, მერმე არღარა იყოს.

12. ტჳრთი ოქროჲსა და ვეცხლისა, და ქჳსა პატიოსნისა და მარგალიტისა, და ბისონისა, და პორფირისა, და მეწამულისა, და მოწეულისა, და ყოველივე შეშა სულნელი, და ყოველივე ჭურჭელი პილოს ძვალისა, და ყოველივე ჭურჭელი შეშისა პატიოსნისა და რვალისა და რკინისა და მარმარილოსა,

13. და კინამოჲსა და საკმეველისა და მირონისა და გუნდრუკისა, და ღჳნისა და ზეთისა, სემინდალისა და იფქლისა, და პირუტყუ̂თა და ცხოვართა, და ცხენთა და ეტლნი, და კორცნი და სულნი კაცთანი.

14. და ხილი გულის თქმისა სულისა შენისა წარვიდა შენგან, და ყოველი პოხილი და ბრწყინვალე წარჰხდა შენგან; და ვერღარა ჰპოვნე ესე ყოველნი.

15. და ვაჭარნი ამის ყოველისანი, რომელნი განმდიდრდეს მისგან, შორს დადგენ, შიშისათჳს ტანჯჳსა მისისა, და ტიროდენ და იგლოვდენ.

16. და იტყოდენ: ვაჲ, ვაჲ ქალაქი იგი დიდი, შემოსილი ბისონითა და პორფირითა და მოწეულითა, და შემკული ოქროთა და ქჳთა პატიოსნითა და მარგალიტითა! რამეთუ ერთსა წამსა განირყუ̂ნა ესოდენი სიმდიდრე.

17. და ყოველივე წყალთა ზედა მავალი, და მენავენი, და რომელნიცა შუ̂რებიან ზღუ̂ასა შორს ჰსდგეს,

18. და ხედჳდეს კუ̂ამლსა მას ხურვებისა მისისა, და იტყოდეს: ვინა არს მსგავს ქალაქსა მას დიდსა!

19. და დაისხეს მიწა თავთა ზედა მათთა, და ღაღადებდეს, ტირილით და გლოვით, და იტყოდეს: ვაჲ, ვაჲ ქალაქი იგი დიდი, რომელსა შინა განმდიდრდეს ყოველნი, რომელთა აქუ̂ნდა ნავები ზღუ̂ასა შინა პატიოსნებისაგან მისისა! რამეთუ ერთსა წამსა აოხრდა.

20. და იხარებდი მას ზედა ცაო და წმიდანო მოციქულნო და წინასწარ-მეტყუ̂ელნო; რამეთუ საჯა ღმერთმან სასჯელი მისი თქუ̂ენგან.

21. და აღიღო ერთმან ანგელოსმან ძლიერმან ქუ̂ა, ვითარცა წისქჳლი დიდი, და შთააგდო იგი ზღუ̂ასა და ჰსთქუ̂ა: ესრეთ შთავარდეს ბაბილონი, ქალაქი იგი დიდი, და არღარა იპოოს მერმე.

22. და ჴმა მეათძლეთა, და მეწინწილეთა, და მესტჳრეთა, და მესაყჳრეთა არღარა ისმეს შენ შორის მერმე; და ყოვლისა მოსაქმისა საქმენი არღარა იპოვნენ შენთანა მერმე, და ჴმა წისქჳლისა არღარა ისმეს შენ შორის მერმე;

23. და ნათელი სანთლისა არღარა იხილვოს შენ შორის მერმე; და ჴმა სიძისა და სძლისა არღარა ისმეს შენ შორის მერმე: რამეთუ ვაჭარნი შენნი იყუ̂ნენ მთავარნი ქუ̂ჱყანისანი, რამეთუ მწამლველობითა შენითა სცთეს ყოველნი წარმართნი.

24. და შენ შორის სისხლნი წინასწარ-მეტყუ̂ჱლთანი და წმიდათანი იპოვნეს, და ყოველთა მოკლულთა ქუ̂ჱყანასა ზედა.

## თავი 19.

1. შემდგომად ამისა მესმა ვითარცა ჴმა დიდი ერისა მრავლისა ცათა შინა, რომელნი იტყოდეს: ალილუჲასა! და მაცხოვარება და ძალი, და დიდებაჲ და პატივი უფლისა ღმრთისა ჩუ̂ჱნისა!

2. რამეთუ ჭეშმარიტებითა და სამართლითა არიან სასჯელნი მისნი: რამეთუ საჯა მეძავი იგი დიდი, რომელმან განხრწნა ქუ̂ჱყანა სიძჳთა თჳსითა, და გამოიძია სისხლი მონათა თჳსთა ჴელისაგან მისისა.

3. და მეორედ ჰსთქუ̂ჱს: ალილუია! და კუ̂ამლი მისი აღვალს უკუნითი უკუნისამდე.

4. და დავარდეს ოცდა ოთხნი იგი მღუ̂დელნი და ოთხნი ცხოველნი და თაყუ̂ანი-ჰსცეს ღმრთისა, მჯდომარესა საყდართა ზედა, და ჰსთქუ̂ჱს: ამინ! ალილუია!

5. და ჴმა გამოვიდა საყდრით, რომელი იტყოდა: აქებდით ღმრთისა ჩუ̂ჱნსა ყოველნი მონანი მისნი და მოშიშნი მისნი, მცირენი დიდთა თანა.

6. და მესმა ჴმა, ვითარცა ერისა მრავლისა, და ჴმა, ვითარცა წყალთა მრავალთა, და ვითარცა ჴმა ქუხილთა ძლიერთა, რომელნი იტყოდეს: ალილუჲასა! რამეთუ სუფევს უფალი ღმერთი ჩუ̂ჱნი ყოვლისა მპყრობელი.

7. ვიხარებდეთ და ვიშუ̂ჱბდეთ, და ვიხილოთ დიდებაჲ მისი; რამეთუ მოვიდა ქორწილი კრავისა, ცოლმან მისმან განმზადა თავი თჳსი.

8. და მიეცა მას რათა შეიმოსოს ძოწეული წმიდა და ბრწყინვალე; რამეთუ ძოწეული სიმართლენი წმიდათანი არიან.

9. და მრქუ̂ა მე: დაწერე, ვითარმედ ნეტარ არიან წოდებულნი სერობასა მას კრავისა მის რჩეულნი; და მრქუ̂ა მე: ესე სიტყუ̂ანი ჭეშმარიტნი ღმრთისანი არიან.

10. დავვარდი წინაშე ფერჴთა

მისთა; თაყუანის-ცემად მისა; და მრქუა მე: იხილე, ნუ შენთანა მონა ვარ მე და ძმათა შენთა, რომელთა აქუს წამება იესოსი: ღმერთსა თაყუანი-ჰსცენ: რამეთუ წამება იესოსი არს სული იგი წინასწარ-მეტყუელებისა.

11. და ვიხილენ ცანი განხუმულნი, და აჰა, ცხენი სპეტაკი, და მჯდომარესა მას ზედა ეწოდებოდა სარწმუნო და ჭეშმარიტი, და სიმართლით სჯის და ებრძჳს.

12. და თუალნი მისნი იყუნეს ვითარცა ალი ცეცხლისა, და თავსა ზედა მისსა გჳრგჳნი მრავალი, რომელთა ზედა წერილ იყო სახელი, და სახელი წერილი არა ვინ უწყის, გარნა მან მხოლომან.

13. და ემოსა სამოსელი, შეღებული სისხლითა. წოდებულ არს სახელი მისი: სიტყუა ღმრთისა.

14. და მჴედრობანი წმიდათანი შეუდგეს მას მსხდომარენი ცხენთა ზედა სპეტაკთა, შემოსილნი ბისონითა სპეტაკითა და ბრწყინვალითა.

15. და პირისაგან მისისა გამოვიდოდა მახჳლი ალლესული, რათა მით მოსრნეს წარმართნი; და იგი ჰმწყსიდეს მათ კუერთხითა რკინისათა: და იგი დაჰსწნეხს საწნეხელსა მას ღჳნისა მის გულის წყრომისა რისხჳსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა.

16. და აქუს წერილი სამოსელსა ზედა და თემოსა მისსა სახელი, ვითარმედ მეუფე მეუფეთა, და უფალი უფლებათა.

17. და ვიხილე ანგელოზი ერთი, მდგომარე მზესა ზედა; და ჴმობდა ჴმითა მაღლითა და ეტყოდა ყოველთა მფრინველთა, რომელნი ფრინვენ შორის ცათა: ამოვედით, და შემოკრებით სერსა ამას დიდსა ღმრთისასა,

18. რათა ჰსჭამოთ ჴორცნი მეფეთანი, და ჴორცნი ათასის თავთანი, და ჴორცნი ძლიერთანი, და ჴორცნი ცხენთანი და მათ ზედა მსხდომარეთანი, და ჴორცნი ყოველთა აზნაურთა და მონათანი, და მცირეთა და დიდთანი.

19. და ვიხილე მჴეცი იგი და მეფენი ქუეყანისანი და მჴედრობანი მათნი, შემოკრებულნი ბრძოლისა ყოფად მჯდომარისა მის ცხენსა ზედა და მჴედრობისა მისისა მიმართ.

20. და შეპყრობილ-იქმნა მჴეცი იგი და მისთანა ცრუ-წინასწარ-მეტყუელი იგი, რომელმან ჰქმნნა წინაშე მისსა სასწაულნი, და რომლითა აცთუნნა იგინი, რომელთა მიიღეს ბეჭედი მჴეცისა და თაყუანის-ჰსცეს ხატსა მისსა. და ცოცხლივ შთავარდეს ორნი იგი ტბასა მას ცეცხლისასა, რომელი იგი იწჳების წუნწუბითა;

21. და სხუანი იგი მოისრნეს მახჳლითა ცხენსა მას ზედა მჯდომარისათა, რომელი გამოვიდოდა პირით მისით: და ყოველნი მფრინველნი განძღეს ჴორცთაგან მათთა.

## თავი 20.

1. და ვიხილე ანგელოზი გარ-

დამომავალი ზეცით, ჲ აქუნდა კლიტე უფსკრულისა ჲ ჯაჭჳ დიდი ჴელსა მისსა.

2. და შეიპყრა ვეშაპი იგი ჲ გუელი დასაბამისა, რომელ-არს ეშმაკი ჲ სატანა, ჲ შეკრა იგი ათას წელ.

3. და შთააგდო იგი უფსკრულსა შინა, ჲ დაჴშა კარი, ჲ დაბეჭდა მას ზედა, რათა არღარა აცთუნებდეს წარმართთა მერმე, ვიდრე აღესრულოს ათასი წელი; შემდგომად ამისა ჯერ არს განჴსნად მისი მცირედ ჟამ.

4. და ვიხილენ საყდარნი ჲ დასხდეს მას ზედა ჲ საშჯელი მიეცა მათ, ჲ სულნი იგი მოკლულთანი წამებისათჳს იესოსისა ჲ სიტყჳსათჳს ღმრთისა, ჲ რომელთა არა თაყუანი-ჰსცეს ხატსა მას მჴეცისასა, ჲ არცა მიიღეს ბეჭედი შუბლთა ზედა ანუ ჴელთა მათთა; ჲ ცხოვნდეს ჲ სუფევდენ შემდგომად ქრისტესა ათას წელ.

5. და მკუდარნი არა აღდგომილ არიან, ვიდრემდის გარდასდეს წელნი ათასნი. ესე არს აღდგომა იგი პირველი.

6. ნეტარ არს ჲ წმიდა, რომელსა აქუნდეს ნაწილი აღდგომასა მას შინა პირველსა. მათ ზედა მეორესა მას სიკუდილსა არა აქუს ჴელმწიფება; არამედ იყუნენ მღუდელ ღმრთისა ჲ ქრისტესა, ჲ სუფევდენ მის თანა ათას წელ.

7. და შემდგომად ათასის მის წლისა, განიჴსნას ეშმაკი საპყრობილისაგან თჳსისა,

8. და გამოვიდეს ცთუნებად წარმართთა, რომელნი არიან ოთხთა კიდეთა ქუეყანისათა, გოგს ჲ მაგოგს, შემოკრებად მათდა ბრძოლად, რომელთა სიმრავლე ვითარცა ქჳშა ზღჳსა.

9. და აღმოვიდეს სივრცესა ზედა ქუეყანისასა, ჲ გარე მოადგეს ბანაკსა წმიდათასა ჲ ქალაქსა მას შეყუარებულსა; ჲ გარდამოჴდეს ცეცხლი ღმრთისა მიერ ზეცით, ჲ შეჭამნეს იგინი.

10. და ეშმაკი იგი, რომელი აცთუნებდა მათ, შთავარდა ტბასა მას ცეცხლისასა ჲ წუნწუბისასა, სადა იყუნეს მჴეცი იგი ჲ ცრუ წინასწარ-მეტყუელი, ჲ იტანჯებოდიან დღე ჲ ღამე უკუნითი უკუნისამდე.

11. და ვიხილე საყდარი დიდი სპეტაკი, ჲ მჯდომარესა მას ზედა, რომლისა პირისაგან ლტოლვილ იქმნა ქუეყანა ჲ ცა; ჲ ადგილი არა ეპოვა მათ.

12. და ვიხილენ მკუდარნი, მცირენი ჲ დიდნი, მდგომარენი წინაშე, ჲ წიგნი განეხუნეს, ჲ სხუა წიგნი განეღო, რომელ არს ცხოვრებისა; ჲ განისაჯნეს მკუდარნი წერილთა მათგან წიგნთა მათ შინა, საქმეთაგან მათთა.

13. და მოსცნა ზღუამან მასთანა მკუდარნი, რომელნი იყუნეს მას შინა, ჲ სიკუდილმან ჲ ჯოჯოხეთმან მოსცნეს მკუდარნი, რომელნი იყუნეს მათ შორის; ჲ განისაჯა თჳთოეული საქმეთაებრ თჳსთა.

14. და სიკუდილი ჲ ჯოჯო-

სეთი შთავარდეს ტბასა მას შინა ცეცხლისასა, ესე არს სიკჳდილი მეორე ტბა იგი ცეცხლისა.

15. და რომელიცა არა იპოვა წიგნსა მას ცხოვრებისასა დაწერილი, შთავარდა ტბასა მას ცეცხლისასა.

## თ ა ვ ი 21.

1. და ვიხილე ცა ახალი და ქუეყანა ახალი; რამეთუ პირველი იგი ცა და პირველი იგი ქუეყანა წარხდეს, და ზღუა არღარა არს მერმე.

2. და მე, იოანე, ვიხილე ქალაქი იგი წმიდა იერუსალიმი ახალი, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან, განმზადებულ ვითარცა სძალი, შემკული ქმრისა მიმართ თჳსისა.

3. და მესმა ჴმა დიდი ზეცით, რომელი იტყოდა: აჰა, სამკჳდრებელი ღმრთისა კაცთა თანა, დაიმკჳდროს მათთანა; და იგინი იყუნენ ერ მისსა, და იგი ღმერთი მკჳდრ იყოს მათ შორის ღმრთად მისსა.

4. და ახოცოს ღმერთმან ყოველი ცრემლი თუალთაგან მათთა, და სიკუდილი არღარა იყოს მერმე; და არცა გლოვა, არცა ღაღადება, არცა ტკივილი არღარა იყოს მერმე; რამეთუ პირველნი იგი წარხდეს.

5. და მრქუა მჯდომარემან მან საყდარსა ზედა: აჰა ესერა, ყოვლსავე ახალ ვჰყოფ, და მრქუა მე: დაწერე; ვითარმედ ესე სიტყუანი სარწმუნონი და ჭეშმარიტნი არიან.

6. და მრქუა მე კუალად: იქმნა! მე ვარ ანი და ჰე, დასაბამი და აღსასრული; მე წყურიელსა მივჰსცე წყალი წყაროსა მისგან წყლისა ცხოველისა უსასყიდლოდ.

7. რომელმან სძლოს დაიმკჳდროს ესე ყოველი, და ვიყო მისა ღმერთ, და იგი იყოს ჩემდა მე.

8. ხოლო მოშიშთა და ურწმუნოთა, და ცოდჳლთა, და საძაგელთა, და კაცის მკუდლელთა, და მეძავთა, და მწამლველთა, და კერპთ მსახურთა, და ყოველთა მტყუართა ნაწილი მათი იყოს ტბასა მას, ცეცხლითა და წუნწუბითა მოტყინარესა; რომელ-არს სიკუდილი იგი მეორე.

9. და მოვიდა ერთი შჳდთა მათ ანგელოსთაგანი, რომელსა იგი აქუნდეს შჳდნი ლანკანნი, სავსენი შჳდთა მათ წყლულებათა მიერ უკანასკნელთა, და იტყოდა ჩემთანა და მრქუა: მოვედ და გიჩუენო შენ დედაკაცი იგი, სძალი კრავისა.

10. და წარმიყუანა მე სულითა მთასა მაღალსა და დიდსა, და მიჩუენა მე ქალაქი დიდი, წმიდა იერუსალიმი, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან;

11. და აქუნდა დიდებაჲ ღმრთისა. მნათობი მისი მსგავს იყო ქუასა პატიოსანსა, ვითარცა ქუასა იასპსა ბროლის სახესა.

12. და აქუნდა ზღუდე დიდი და მაღალი, და ბჭენი ათორმეტნი და ბჭენი ანგელოსთა ათორმეტნი;

და სახელები წერილი, რომელ
არს სახელები ათორმეტთა მეთა
ისრაილისათა.
13. აღმოსავალით ბჭენი სამ-
ნი, და სამხრით ბჭენი სამნი, და
ჩრდილოთ ბჭენი სამნი, დასავალით
ბჭენი სამნი,
14. და ზღუდესა მას ქალაქი-
სასა აქუნდეს ათორმეტნი საფუ-
ძველნი, და მათ ზედა ათორმეტ-
ნი სახელნი ათორმეტთა მათ
მოციქულთა კრავისათანი.
15. და რომელი იგი იტყოდა
ჩემთანა აქუნდა საზომი ლერწამი
ოქროსა, რათამცა განზომა ქალა-
ქი იგი და ბჭენი მისნი და ზღუდე-
ნი მისნი.
16. და ქალაქი იგი მოოთხკუთა
დგას, და არს სიგრძე მისი, ვი-
თარცა სივრცე. და განზომა ქალა-
ქი იგი ლერწმითა მით ათორმეტ-
სა ათასსა უტევანსა. ათორმეტი
სიგრძე და სივრცე მისი და სიმაღ-
ლე მისი სწორ არს.
17. და საზომი ზღუდისა
მის ას-ორმოც და ოთხი წყრთა,
საზომითა კაცისათა, რომელ არს
ანგელოსისა.
18. და იყო მოსწრაფება ნა-
შენები ზღუდისა მისისა იასპის,
და ქალაქი იგი ოქროჲ წმიდა,
მსგავსი შუშისა წმიდისა.
19. და საფუძველნი ზღუდე
ქალაქისა ყოვლითა ქვითა პატიოს-
ნითა შემკობილი. საფუძველი
ერთი იასპი, მეორე საფირონი,
მესამე ქალკიდონი, მეოთხე სმა-
რაგდი,
20. მეხუთე სარდონიქს, მე-
ექუსე სარდიოს, მეშვდე ოქროჲ
ქუა, მერვე ბივრილი, მეცხრე
ტოპაზიონ, მეათე ხრისოპრასოს,
მეათერთმეტე იაკინთე, მეათორმე-
ტე ამეთჳსტო.
21. და ათორმეტნი იგი ბჭე-
ნი იყუნეს ათორმეტნი მარგალიტ-
ნი. თჳთოეული ბჭე იყო ერთი-
სა და ერთისა მარგალიტისა; და
უბანი ქალაქისა მის ოქროჲ წმი-
და და ვითარცა შუშა ბრწყინუალე.
22. და ტაძარი არა მიხილავს
მის შორის; რამეთუ უფალი
ღმერთი ყოვლისა მპყრობელი
ტაძარ მისა არს, და კრავი იგი.
23. და ქალაქსა მას არა უჴმს
მზე, ანუ მთოვარე მნათობად;
რამეთუ დიდებამან ღმრთისამან
განანათლა იგი, და სანთელი მისი
არს კრავი იგი.
24. და ვიდოდიან წარმართნი
ნათლითა მისითა, და მეფეთა
ქუეყანისათა დიდებაჲ და პატივი
წარმართთა მისგან მიიღონ.
25. და ბჭენი მისნი არა
დაიკშნენ დღისი; რამეთუ ღამე
მუნ არა იყოს.
26. და მიიღონ დიდებაჲ და
პატივი წარმართთა მუნ, რათა
შევიდეს.
27. და არა შევიდეს მუნ ყო-
ველივე შეგინებული, და მოქმედი
ბოროტისა და ტყუილისა, გარნა
დაწერილნი იგი წიგნსა მას ცხო-
ვრებისა კრავისსა.

## თავი 22.

1. და მიჩუენა მდინარე წმი-

დაჲ ერთი წყლისა ცხოველისა, ბრწყინვალე, ვითარ ბროლი, გამომავალი საყდრისაგან ღმრთისა და კრავისა.

2. შორის სივრცესა მის ქალაქისასა და მდინარისა მისა მიერ წიაღვლი ხე ცხოვრებისა, ნაყოფის გამომღებელი ათორმეტთა ნაყოფთა ყოველთა თთუეთა, მომცემელი თჳსისა მის ნაყოფისა: და ფურცელნი იგი მის ხისანი საკურნებელად წარმართთა.

3. და პირველი წყევა არა იყო მუნ მერმე; და საყდარი იგი ღმრთისა და კრავისა მას შინა იყოს, და მონანი მისნი ჰმსახურებდენ მას.

4. და იხილონ პირი მისი, და სახელი მისი შუბლთა ზედა მათთა.

5. და ღამე არა იყოს მუნ, და არა საკმარ იყოს ნათელი მზისა; რამეთუ უფალმან ღმერთმან განანათლნეს იგინი; და სუფევდენ უკუნითი უკუნისამდე.

6. და მრქუა მე: ესე სიტყუანი სარწმუნო და ჭეშმარიტ არიან; და უფალმან ღმერთმან წმიდათა წინასწარ-მეტყუელთამან მოავლინა ანგელოზი თჳსი ჩუენებად მონათა თჳსთა, რა იგი ყოფად არს ადრე.

7. და აჰა ესერა, მოვალ ადრე: ნეტარ-არს, რომელმან დაიმარხნეს სიტყუანი წინასწარ-მეტყუელებისა ამის წიგნისანი.

8. და მე, იოანე, რომელსა მესმოდა და ვხედევდი ამას ყოველსა. და რაჟამს მესმა და რაჟამს ვიხილე, დავარდი თაყუანის-ცემად წინაშე ფერჴთა ანგელოზისა მის, რომელი მიჩუენებდა მათ;

9. და მრქუა მე: იხილე, ნუ შენთანა მონა ვარ და ძმათა შენთა-თანა წინასწარ-მეტყუელთა, და რომელთა დაიცჳნეს სიტყუანი ამის წიგნისანი. ღმერთსა თაყუანის-ეც.

10. და მრქუა მე: ნუ დაჰბეჭდავ სიტყუათა წინასწარ-მეტყუელებისა ამის წიგნისათა; რამეთუ ჟამი ახლოს არს.

11. უსამართლო იგი უსამართლოებდინ ჯერეთ; და შეგინებული იგი შეიგინებოდენ ჯერეთ; და მართალი სიმართლესა იქმოდენ ჯერეთ, და წმიდა იგი წმიდა იქმნებოდენ ჯერეთ.

12. და აჰა, მოვალ ადრე, და სასყიდელი მივაგო საქმეთა მათთაებრ. მე ვარ ანი და ჰე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული.

13. ნეტარ-არიან, რომელნი იქმოდენ მცნებათა მისთა, რათა იყოს ჴელმწიფება მათი ძელსა მას ცხოვრებისასა, და ბჭეთა მათ მიერ შევიდენ ქალაქად.

14. ხოლო გარე იყუნენ ძაღლნი, და მეძავნი, და კაცის მკლველნი, და მწამლველნი, და კერპთ მსახურნი, და ყოველი მოყუარე და მოქმედი ტყუილისა.

15. მე იესო, მოვავლინე ანგელოზი ჩემი, რათა გიწამოს ესე, ვითარცა თქუენ ეკკლესიათა. მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, და ვარსკულავი ბრწყინვალე განთიადისა.

16. და სული და სძალი იტ-
ყჳან: მოვიდოდენ! და, რომელსა
ესმოდის არქუ: მოვიდოდენ! რო-
მელსა ჰნებავს მივედინ წყლისა
მის ცხოველისა უსასყიდლოდ.
17. ვწამებ მე ყოველისა მი-
მართ, რომელსა ესმოდენ სიტ-
ყუანი წინასწარ-მეტყუელებისა
ამის წიგნისანი: უკეთუ ვინმე
შეჰსძინოს ამათ ზედა, შეჰსძინენ
ღმერთმან მის ზედა წყლულებანი
იგი მისნი, რომელ წერილ არი-
ან ამას წიგნსა.
18. და უკეთუ ვინმე მოაკლოს
სიტყუათა წიგნისა ამის წინას-
წარ-მეტყუელებისათა, მოაკლენ
ღმერთმან ნაწილი მისი წიგნისა
მისგან ცხოვრებისა და ქალაქისა
მისგან წმიდისა, რომელ წერილ
არიან წიგნსა ამას.
19. იტყჳს, რომელი ჰწამებს
ამას: ჰე, მოვალ ადრე! ამინ. ჰე,
მოვედ, უფალო იესო!
20. მადლი უფლისა ჩუენისა
იესო ქრისტესი თქუენ ყოველ-
თა თანა. ამინ.